https://www.facebook.com/groups/ELLIB/

უმბერტო ეკო
ვარდის სახელი

რუკა



რა თქმა უნდა, ხელნაწერი

1968 წლის 16 აგვისტოს ხელში ჩამივარდა წიგნი, რომელიც ვინმე აბატ ვალეს კალამს ეკუთვნოდა: „Le manu-script de Dom Adson de Melk, traduit en français d'après l'édition de Dom J. Mabillon" (Aux Presses de l'Abbaye de la Source, Paris, 1842)[1]. გამოცემა, რომელსაც მწირი ისტორიული მითითებები ერთვოდა, XIV საუკუნის ხელნაწერის ზედმიწევნით გამეორების მცდელობა იყო. თავის მხრივ, ეს ხელნაწერი მელქის მონასტერში უპოვია

მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ სწავლულს, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ბენედიქტელთა ორდენის ისტორიის შესწავლაში. ამ ღირსშესანიშნავი აღმოჩენით გახალისებულს (მე უკვე მესამე ვიყავი, ვინც ეს ხელნაწერი აღმოაჩინა), პრაღაში ძვირფასი ქალის მოლოდინში მარტოობა არც კი მიგრძნია. სამი დღის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა დაიპყრეს ბედკრული ქალაქი. მე გამიმართლა და ლინცს, ავსტრიის საზღვარს, მივაღწიე, ვენაში კი ჩემს მეგობარ ქალს შევხვდი და ერთად ავუყევით აღმა დუნაის.

უდიდესი გზნებით, მოჯადოებული ვკითხულობდი მელქელი ადსოს შემზარავ ამბავს. გატაცებულმა, თითქმის სულმოუთქმელად ვთარგმნე მისი მონათხრობი „ჟოზეფ ჟიბერის“ რვეულებში, რომლის ფურცლებზეც ასე სასიამოვნოა წერა, თუ კალამი რბილია. მელქის შემოგარენს მივადექით, სადაც მდინარის პირას, შემაღლებულზე, საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ რესტავრირებული ულამაზესი მონასტერია აღმართული. თუმცა, როგორც მკითხველი თავადაც მიხვდება, მონასტრის ბიბლიოთეკაში ადსოს ხელნაწერის კვალსაც ვერ მივაგენი.

ზალცბურგში ჩასვლამდე, ერთ უბედურ ღამეს, მონდზეეს ნაპირზე მდებარე პატარა სასტუმროში უეცრად დასრულდა ჩვენი მოგზაურობა: ჩემი თანამგზავრი გაქრა და აბატ ვალეს წიგნიც თან გაიყოლა, თუმცა ეს განგებ კი არ გაუკეთებია, არამედ – თავისი უთავბოლობითა და უპასუხისმგებლობით. ჩვენს ურთიერთობასაც ამით მოუღო ბოლო. ასე დამრჩა საკუთარი ნაწერით სავსე რვეულები ხელთ და ვეებერთელა სიცარიელე – გულში.

რამდენიმე თვის შემდეგ პარიზში გადავწყვიტე, ბოლომდე მიმეყვანა კვლევა. ფრანგული წიგნიდან შემორჩენილ მწირ ცნობებს შორის იყო მითითებაც წყაროზე, უაღრესად დაწვრილებითი და ზუსტი: VETERA ANALECTA, Sive COLLECTIO VETERUM ALIQUOT OPERUM & Opusculorum omnis generis, Carminum, Epistolarum, Diplomatum, Epitaphiorum, & CUM ITINERE GERMANICO, Adnotationibus & aliquot disquisitionibus R.P.D. Joannis Mabillon, Presbiteri ac Monachi Ord. Sancti Benedicti e Congregatione S. Mauri. – NOVA EDITIO Cui accessere MABILONII Vita & aliquot opuscula, scilicet Dissertatio de PANE EUCHARISTICO, AZYMO ET FERMENTATO, ad Eminentiss. Cardinalem BONA. Subjungitur opusculum ELDEFONSI Hispaniensis Episcopi de eodem argumento ET EUSEBII Romani ad THEOPHILUM Gallum epistola, DE CULTU SANCTORUM IGNOTURUM, Parisiis, apud Levesque, ad Pontem S. Michaelis, MDCCXXI, cum privilegio Regis.[2]

სასწრაფოდ მოვიძიე „Vetera Analecta“ სენტ-ჟენევიევის ბიბლიოთეკაში, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ამ გამოცემას ორი რამ განასხვავებდა იმისგან, რომელსაც ვეძებდი: გამომცემელი იყო Montalant, ad Ripam P. P. Augustinianorum (prope Pontem S. Michaelis)[3], თარიღი კი – ორი წლით გვიანდელი. აღარცაა საჭირო თქმა, რომ ეს „Analecta“ არავითარი მელქელი ადსოს, ანუ ადსონის, ხელნაწერს არ შეიცავდა. ესაა უბრალოდ, როგორც ყველას შეუძლია გადაამოწმოს, მცირე და საშუალო ტექსტების კრებული, ვალეს მონათხრობი კი ასობით გვერდზე იყო გაშლილი. შუა საუკუნეების უდიდეს მკვლევარებს დავეკითხე, მათ შორის უძვირფასეს და დაუვიწყარ ეტიენ ჟილსონს, მაგრამ ნათელი იყო, რომ ერთადერთი „Vetera Analecta“ სწორედ ის იყო, რომელიც სენტ-ჟენევიევში ვიხილე. პასის მიდამოებში მდებარე ლასურსის სააბატოში შევლამ და ჩემს მეგობარ მამა არნე ლაანეშტედტთან საუბარმაც დამარწმუნა, რომ არავითარ აბატ ვალეს არ დაუბეჭდავს ნაშრომები სააბატოს სტამბაში (არც კი არსებულა ასეთი სტამბა). ყველასათვის ცნობილია, რა ზედაპირულნი არიან ფრანგი მკვლევრები ბიბლიოგრაფიული მითითებებისას, მაგრამ ეს შემთხვევა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ვიფიქრე, ყალბი დოკუმენტი ჩამივარდა ხელში-მეთქი. თავად ვალეს წიგნს ვეღარაფრით დავიბრუნებდი (ყოველ შემთხვევაში, იმას ვეღარ ვთხოვდი, ვისაც ის წაჰყვა). მოკლედ, საკუთარი შენიშვნებიღა მრჩებოდა, მათში კი უკვე თავადაც მეპარებოდა ეჭვი.

არსებობს რაღაც მაგიური წამები უკიდურესი გადაღლილობისა და უდიდესი ფიზიკური აგზნებულობისა, როდესაც წარსულში გაცნობილი ადამიანები გვიდგებიან ხოლმე თვალწინ („en me retraçant ces details, j’en suis à me demander s’ils sont réels, ou bien si je les ai rêvés“)[4]. მოგვიანებით აბატ ბუკუას მშვენიერ წიგნში ამოვიკითხე, რომ შეიძლება, ადამიანს ჯერ წაუკითხავი წიგნების ხილვაც ეწვიოს.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/

ალბათ, დღემდე უპასუხოდ დამრჩებოდა კითხვა, საიდან მოდიოდა მელქელი ადსოს ამბავი, რომ არა ერთი შემთხვევა: 1970 წელს ბუენოს-აირესში, კორიენტესის ქუჩის ყველაზე ცნობილ პატიო დელ ტანგოს მახლობლად, ერთი პატარა ანტიკვარული წიგნის მაღაზიის დახლზე მილო ტემეშვარის წიგნის კასტილიურ ვერსიას წავაწყდი – „ჭადრაკის თამაშში სარკეების ხმარების შესახებ“, რომელიც ადრეც მიხსენებია (და არც პირველი ვყოფილვარ) ჩემს წიგნში „აპოკალიფსურნი და ინტეგრირებულნი“, როცა მის უკანასკნელ ნაშრომს – „აპოკალიფსის გამყიდველებს“ განვიხილავდი. ეს იყო აწ უკვე სამუდამოდ დაკარგული ქართული ტექსტის (რომელიც თბილისში იყო გამოცემული 1934 წელს) თარგმანი და მასში, ჩემდა გასაოცრად, სიტყვასიტყვით მეორდებოდა მონაკვეთები ადსოს ხელნაწერიდან, მაგრამ წყაროდ არც ვალე იყო მითითებული და არც მაბიიონი, არამედ – ვინმე ბერი ათანასე კირხერი (მაგრამ მისი რომელი თხზულება?). ერთი მეცნიერი, რომლის დასახელებასაც საჭიროდ არ მივიჩნევ, შემდგომ მარწმუნებდა (ზეპირად ახსოვდა კირხერის ნაშრომები), რომ დიდ იეზუიტს არასოდეს უხსენებია მელქელი ადსო. მაგრამ ტემეშვარის გვერდები ხელთ მქონდა და ის ეპიზოდები ზუსტად ემთხვეოდა ვალეს თარგმნილ ხელნაწერში აღწერილს (განსაკუთრებით ლაბირინთის აღწერა არ ტოვებდა ეჭვს). რაც უნდა დაეწერა ამაზე ბენიამინო პლაჩიდოს[5], აბატი ვალე არსებობდა და უეჭველად არსებობდა მელქელი ადსოც.

ვიფიქრე, რომ ადსოს მოგონებების ბედი საოცრად ჰგავდა მისსავე მონათხრობს: მათშიც ყველაფერი იდუმალებითაა მოსილი, ავტორის ვინაობით დაწყებული მონასტრის ადგილმდებარეობით დამთავრებული (რაზეც ადსო ჯიუტად დუმს), თუმცა დაახლოებით შეიძლება მოვიაზროთ ადგილი პომპოზისა და კონკის სიახლოვეს, აპენინის ქედის გასწვრივ – პიემონტს, ლიგურიასა და საფრანგეთს შორის (ანუ სადღაც ლერიჩიდან ტურბიამდე). ასევე სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ აღწერილი მოვლენები 1327 წლის ნოემბრის მიწურულს ხდება, მაგრამ როდის წერს ავტორი, გაუგებარია. თუ გამოვთვლით, რომ 1327-ში ის მონასტრის მორჩილია, მოგონებებს კი უკვე სიკვდილს მიახლოებული წერს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერი XIV საუკუნის ბოლო ათ-ოც წელიწადშია დაწერილი.

მოკლედ, არცთუ ბევრი მიზეზი მქონდა საიმისოდ, რომ გამომექვეყნებინა მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს გერმანელი ბერის მიერ ლათინურად დაწერილი ტექსტის მეჩვიდმეტე საუკუნის ლათინური გამოცემის ფრანგული ნეოგოთური საეჭვო ვერსიის ჩემი იტალიური თარგმანი.

პირველ რიგში, რა ენობრივი სტილისთვის მიმემართა წერისას? იმ პერიოდის იტალიურთან მორგების ცდუნება იმთავითვე უკუვაგდე, როგორც სრულიად გაუმართლებელი: ადსო არა მხოლოდ წერს ლათინურად, არამედ ტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ ის (და ის მონასტერიც, რომელიც მასზე აშკარა ზეგავლენას ახდენს) ბევრად უფრო ძველ კულტურას მიეკუთვნება. ნათელია, რომ ეს ცოდნისა და სტილისტურ ჩვევათა მრავალსაუკუნოვანი ნაზავია, რომელიც ადრეული შუა საუკუნეების ლათინურ ტრადიციას უკავშირდება. ადსო აზროვნებს და წერს, როგორც პატრისტიკულ და სქოლასტიკურ ტექსტებზე აღზრდილი ბერი, შეუვალი ხალხური ენის მიმართ და სიღრმისეულად დაკავშირებული იმ ბიბლიოთეკის კედლებში დაცულ თხზულებებთან, რომელზეც მოგვითხრობს. მისი ამბავი კი (XIV საუკუნის ამბებსა და მინიშნებებს თუ არ ჩავთვლით, რომლებსაც თავად ადსოც მუდამ ყოყმანით, ყურმოკრულივით ახსენებს), თხრობის ენითა და ციტირებების მიხედვით შეიძლებოდა XII ან XIII საუკუნეში დაწერილად ჩაგვეთვალა.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ ადსოს ლათინურის თავის ნეოგოთურ ფრანგულზე თარგმნისას ვალეს საკუთარიც ბევრი ჩაურთავს და არა მხოლოდ სტილისტური თვალსაზრისით. მაგალითად, პერსონაჟები დროდადრო მცენარეთა გარკვეულ თვისებებზე ლაპარაკობენ, რაც აშკარად ეხმიანება საუკუნეთა მანძილზე უამრავჯერ გადაკეთებულ „საიდუმლოთა წიგნს“, რომელსაც ალბერტ დიდის[6] კალამს აკუთვნებენ. ცხადია, ადსოს უნდა სცნობოდა ეს წიგნი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მის მიერ ციტირებული ადგილები სიტყვასიტყვით იმეორებს, გნებავთ, პარაცელსუსის[7] რეცეპტებს და გნებავთ, აშკარა ჩანართებს „ალბერტის“ ერთ-ერთი გამოცემიდან, რომელიც უდავოდ ტიუდორების ეპოქისაა[8]. მოგვიანებით ისიც გავარკვიე, რომ მაშინ, როცა ვალე ადსოს ხელნაწერს იწერდა (?), პარიზში დიდი და მცირე ალბერტის[9] მეთვრამეტე საუკუნისეული

გამოცემები არსებობდა, უკვე შეუქცევადად შერყვნილი. და მაინც დარწმუნებული ვერ ვიქნებით, რომ ტექსტი, რომელზეც ადსო (ან თუნდაც ის ბერები, რომელთაც ის ამა თუ იმ დიალოგს მიაწერს) მუშაობდა, შენიშვნებს, სქოლიოებსა და მრავალრიცხოვან დანართებს შორის ისეთ მინიშნებებსაც არ შეიცავდა, რომლებიც შემდგომი ეპოქების კულტურას ასაზრდოებდა.

დაბოლოს, ლათინურად უნდა გადმომეტანა მონაკვეთები, რომელთა თარგმნაც თავად აბატ ვალეს არ მიუჩნევია საჭიროდ, ალბათ, ეპოქის სურნელის შესანარჩუნებლად. ერთადერთი მიზეზი მქონდა საამისოდ (იქნებ, ვცდებოდი კიდეც) – წყაროსადმი ერთგულება... ზედმეტი მოვაშორე, მაგრამ რაღაც დავტოვე და ვშიშობ, ვაითუ იმ უვარგისი მწერალივით მომივიდა, რომელიც თუკი ფრანგ მოქმედ პირს გამოიყვანს სცენაზე, უსათუოდ დააძახებინებს ხოლმე: „parbleu!“ და „la femme, ah! la femme!“.

და მაინც ეჭვებით ვარ აღსავსე. მართლა არ ვიცი, როგორ მეყო გამბედაობა, ორიგინალად წარმომედგინა ადსოს ხელნაწერი. სიყვარულს დააბრალეთ. ან, გნებავთ, ძველ და მრავალრიცხოვან აკვიატებათაგან თავის დაღწევის ერთგვარ მცდელობად ჩამითვალეთ.

ვიწერ ხელნაწერს და დღევანდელობის საზრუნავი არ მადარდებს. იმ წლებში, როცა ვალეს ტექსტი აღმოვაჩინე, ბატონობდა აზრი, რომ წერისას აწმყოს პრობლემებზე უნდა იფიქრო, სამყაროს შეცვლა დაისახო მიზნად. ახლა კი, ათი წლის გადასახედიდან, წიგნიერი კაცის (რომელიც თავის უზენაეს ღირსებას უბრუნდება) ნუგეში ისაა, რომ უბრალოდ მწერლობის სიყვარულითაც შეიძლება წერა. ასე რომ, ახლა აღარაფერი მზღუდავს, თუნდაც მხოლოდ სიუჟეტისადმი ტრფიალით მოგითხროთ მელქელი ადსოს ამბავი. და კიდევ უფრო მამხნევებს და მანუგეშებს, რომ ეს ამბავი ასე უსაშველოდ შორეულია (ახლა, როდესაც გონების სიფხიზლემ მისივე ძილის ნაშობი ურჩხულნი მიმოფანტა), ასე დიდებულად მოწყვეტილია ამჟამინდელობას, უსასრულოდ დაშორებული ჩვენს იმედებს, ეჭვებსა და უეჭველობას.

რადგან ესაა ამბავი წიგნებისა და არა ყოველდღიური უბად რუკობისა, და მისმა კითხვამ შეიძლება გვიბიძგოს, დიდ კემპელ[10] მიმბაძველთან ერთად წარმოვთქვათ: „In omnibus requiem quaesivi, et nusquam inveni nisi in angulo cum libro[11]“.

1980 წ. 5 იანვარი

შენიშვნა

ადსოს ხელნაწერი შვიდი დღისგან შედგება, თითოეული დღე – ჟამთაგან, რომლებიც ლიტურგიულ საათებს შეესაბამება. მესამე პირში დაწერილი ქვესათაურები ვალეს დამატებული უნდა იყოს, მაგრამ, ვინაიდან ისინი მკითხველს ორიენტირებაში ეხმარება და თანაც მათ ხშირად იყენებდნენ მაშინდელ ხალხურ ენაზე შექმნილ ლიტერატურაში, მათი ამოღება საჭიროდ არ მივიჩნიე.

ერთგვარად მაეჭვებდა კანონიკური საათების ადსოსეული განმარტება. გარდა იმისა, რომ ისინი ადგილისა და წელიწადის დროთა მიხედვით იცვლება, ისიც სავარაუდოა, რომ XIV საუკუნეში დიდი სიზუსტით არც იცავდნენ წმინდა ბენედიქტეს დადგენილ წესებს.

მაინც მკითხველის საორიენტაციოდ, ნაწილობრივ ტექსტიდან გამომდინარე, ნაწილობრივ კი – სამონასტრო ცხოვრების იმ წესზე დაყრდნობით, რომელიც ედუარდ შნაიდერმა აღწერა თავის „Les heures bénédictines“[12]-ში (პარიზი, გრასი, 1925), ვფიქრობ, შეგვიძლია, შემდეგი სურათი წარმოვიდგინოთ: ცისკრისა (რომელსაც ადსო ხანდახან ძველ ყაიდაზე სიფხიზლისას უწოდებს) ღამის სამის ნახევარსა და სამ საათს

შორის.

ქებანი (რომელთაც უფრო ძველად დილის ლოცვებს უწოდებდნენ) დილის ხუთსა და ექვს საათს შორის, ისე, რომ დასრულდეს, სანამ ინათებს.

პირველი ჟამი რვის ნახევრისთვის, მზის ამოსვლამდე ცოტა ადრე.

მესამე ჟამი ცხრა საათისთვის.

მეექვსე ჟამი თორმეტ საათზე (მონასტრებში, სადაც ბერები მიწას არ ამუშავებდნენ, ეს სადილის დროც იყო).

მეცხრე ჟამი ნაშუადღევის ორსა და სამ საათს შორის.

მწუხრი დაახლოებით ხუთის ნახევარზე, მზის ჩასვლისას (წესი დაბნელებამდე ითხოვდა ვახშმობას).

სერობა ექვსი საათისთვის (შვიდისთვის ბერები დასაძინებლად წვებოდნენ).

ლიტურგიული საათების ასეთი განაწილება ემყარება იმას, რომ ჩრდილოეთ იტალიაში ნოემბრის ბოლოს მზე დილის რვის ნახევარზე ამოდის და ნაშუადღევის ხუთის ნახევრის შემდეგ ჩადის.

პროლოგი

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმრთისა თანა, და სიტყვა იყო ღმერთი. ეს იყო პირველად ღმრთისა თანა და ყოველი მორწმუნე ბერის ვალია, ყოველდღე ფსალმუნთ მკითხველის კრძალვით იმეოროს ღვთის სიტყვა, ერთადერთი და უცვლელი, რომლითაც ვლინდება მარადიული ჭეშმარიტება. მაგრამ videmus nunc per speculum et in aenigmate[13], და ჭეშმარიტება, ვიდრე პირისპირ წარმოგვიდგებოდეს, მინიშნებებად გვეცხადება (ვაი, რომ მათი ამოკითხვა ხშირად ასე ძნელია) წუთისოფლის შეცდომაში, და მათში უნდა ამოვმარცვლოთ ჭეშმარიტების ნიშნები, თუნდაც ბუნდოვანი და რაღაც ერთიანად ბოროტისაკენ მიმართული ნებით ჩახლართული.

ჩემი ცოდვილი ცხოვრების დასასრულს, სამყაროსავით მხცოვანსა და თმაშევერცხლილს, მდუმარე, უცხო რამ ღვთიურობასთან შერთვისა და ანგელოზურ გონთა ჩუმ ნათელს ზიარების მომლოდინეს, მელქის ძვირფასი მონასტრის სენაკში ეს დამძიმებული, სნეული სხეულიღა მაკავებს და ვემზადები, რომ ამ პერგამენტზე დავტოვო მონათხრობი გასაოცარ, შემზარავ ამბავთა, რომელთაც სიყმაწვილეში შევესწარ, გავიმეორო ყოველივე, რაც მიხილავს და მსმენია, თუმც ვერ გავბედავ, გავკადნიერდე და ამ მოვლენათა ახსნას ვეცადო, მსურს ოდენ, მომავალთ შემოვუნახო (თუ მათ ანტიქრისტემ არ დაასწრო) ნიშანთა ნიშანნი, და დაე მათზე აღსრულდეს განმარტების ლოცვა.

მიწყალობოს უფალმა ნიჭი და შეძლება, მართლად მოგითხროთ, რა მოხდა მაცხოვრის შემდგომ 1327 წლის მიწურულს მონასტერში, რომლის სახელის გამხელაც არ მსურს; იმ წელს, იმპერატორი ლუდვიგი იტალიას რომ ჩამობრძანდა წმინდა რომის იმპერიის ღირსების აღსადგენად (უზენაესის ნებით რომ ეკუთვნოდა მას) და მოსადრეკად სიმონიელი და მწვალებელი უზურპატორისა, რომელმაც ავინიონში მოციქულის წმინდა სახელი გმო (სულწაწყმედილ იაკობ კაჰორელზე მოგახსენებთ, ცოდვილთ იოანე XXII-ის სახელით რომ განადიდეს).

ჩემ ირგვლივ დატრიალებული ამბების უკეთ გასაგებად, ვგონებ, უპრიანი იქნება, გავიხსენო, რა ხდებოდა იმ წლებში, ისე, როგორც მაშინ მესმოდა (როცა პირადად გადამხდა ყოველივე) და ისე, როგორც ახლა (შემდგომ მოსმენილ მონათხრობთაგან გამდიდრებული) ვიხსენებ მათ, თუკი ჩემი გონება შეძლებს, დაალაგოს იმ აურაცხელ,

ბუნდოვან მოვლენათა წყება.

საუკუნის პირველსავე წლებში პაპმა კლემენტ V-მ ავინიონს გადაიტანა წმინდა საყდარი და რომი ადგილობრივ დიდებულთ დაუგდო საჯიჯგნად. მმართველთა ძიძგილაობით დაფლეთილი ქრისტიანობის წმინდა ქალაქი ცირკად, საროსკიპოდ გარდაიქცა; რესპუბლიკა ერქვა, მაგრამ შეიარაღებული ბანდებისაგან გათელილს, გაძარცულსა და გაუპატიურებულს, რესპუბლიკისა აღარაფერი ეცხო. საერო იურისდიქციას თავდაღწეული საეკლესიონი აღვირახსნილნი თარეშობდნენ, შეიარაღებულ ყაჩაღთა დაჯგუფებებს მეთაურობდნენ, ბოროტად იყენებდნენ საკუთარ ძალაუფლებას ბინძური საქმეებისთვის. როგორ უნდა შეშლოდა ხელი იმას, რომ Caput Mundi[14] ხელახლა გამხდარიყო, და სამართლიანადაც, იმისი სამიზნე, ვინც წმინდა რომის იმპერიის გვირგვინის დადგმასა და დროებითი სამეფოს იმ ღირსების აღდგენას მოისურვებდა, რომელიც ჯერ კიდევ კეისრებს ეკუთვნოდათ?

ასე მოხდა, რომ 1314 წელს ოთხმა გერმანელმა მთავარმა ფრანკფურტში ლუდვიგ ბავარიელი დაასახელა იმპერიის უზენაეს მმართველად. მაგრამ იმავე დღეს მაინის მეორე ნაპირზე რაინის გრაფმა და კიოლნის არქიეპისკოპოსმა იმავე ტახტზე ფრიდრიხ ავსტრიელი დასვეს. ორი იმპერატორი ერთ გვირგვინქვეშ და ერთი პაპი – ორ ტახტზე: ვითარება, რომელიც გაუთავებელი არეულობის მიზეზად იქცა…

ორი წლის შემდეგ ავინიონში ახალი პაპი აირჩიეს – იაკობ კაჰორელი, სამოცდათორმეტი წლის მოხუცი, როგორც ვთქვით, იოანე XXII-დ წოდებული, და ინებოს ზეცამ, აღარასოდეს მიეღოს პაპს მართალთათვის ამიერიდან ესოდენ საძულველი ეს სახელი. ფრანგმა და საფრანგეთის მეფის ერთგულმა (იმ გახრწნილი ქვეყნის შვილნი ხომ მუდამ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ და არ ძალუძთ, სულიერ სამშობლოდ აღიქვან მთელი სამყარო), მხარი დაუჭირა ფილიპე ლამაზს ტამპლიერთა წინააღმდეგ, რომელთაც მეფემ მათი ქონების დაპატრონების მიზნით და ამ რენეგატი მღვდლის ხელშეწყობით სამარცხვინო დანაშაულობანი დასწამა (ვთვლი, რომ უსამართლოდ). ამ ამბავში რობერტო ნეაპოლელიც იყო ჩართული, რომელმაც იტალიის ნახევარკუნძულზე კონტროლის შესანარჩუნებლად პაპი დაარწმუნა, გერმანელ იმპერატორთაგან არც ერთი არ ეღიარებინა და, ამგვარად, საეკლესიო სახელმწიფოს მეთაურად დარჩენილიყო.

1322 წელს ლუდვიგ ბავარიელმა თავისი მეტოქე – ფრიდრიხი დაამარცხა. ერთი იმპერატორით კიდევ უფრო თავზარდაცემულმა, ვიდრე ორით იყო, იოანემ შეაჩვენა გამარჯვებული, მან კი საპასუხოდ პაპი მწვალებლად გამოაცხადა. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ იმ წელს შეიკრიბნენ პერუჯაში ფრანცისკელი მამები და მათმა მეთაურმა, ჩეზენელმა მიქაელმა, „სპირიტუალისტთა“ მოსაზრებებს ყური ათხოვა (მათზე საუბრის საშუალება კიდევ მექნება), სარწმუნოების ჭეშმარიტებად ქრისტეს უპოვარება გამოაცხადა და დაადგინა, რომ, თუკი ქრისტესა და მის მოციქულთ რამე ებადათ, მხოლოდ usus facti[15]. ეს გადაწყვეტილება ორდენის ღირსებისა და სიწმინდის დაცვისაკენ იყო მიმართული, მაგრამ არ მოეწონა პაპს, რომელიც, ალბათ, გრძნობდა, რომ ეს პრინციპი საფრთხეს უქმნიდა მის, როგორც ეკლესიის მეთაურის, ზრახვას, ეპისკოპოსთა არჩევის უფლება ჩამოერთმია იმპერიისთვის და იმპერატორიც თავად ეკურთხებინა. ამ თუ კიდევ სხვა მიზეზთა გამო იოანემ 1323 წელს დეკრეტალიით, cum inter nonnullos[16], ფრანცისკელთა მოძღვრება შეაჩვენა.

ვფიქრობ, მაშინ მოხდა, რომ ლუდვიგმა ფრანცისკელებში, აწ უკვე პაპის მტრებში, ძლიერი მოკავშირეები დაინახა. ქრისტეს უპოვარების მტკიცებით ისინი ერთგვარად იმპერიის თეოლოგების – პადუელი მარსილიუსისა და ჯანდუნოელი იოანეს მოსაზრებებს იცავდნენ. ჩემს მონათხრობ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე კი ლუდვიგმა დამარცხებულ ფრიდრიხთან შეთანხმებას მიაღწია. შემდეგ იტალიაში ჩამოვიდა, მილანში მეფედ ეკურთხა, ვისკონტებს აუმხედრდა (მიუხედავად იმისა, რომ მათ ის კარგად მიიღეს), ალყა შემოარტყა პიზას და იმპერატორის წარმომადგენლად კასტრუჩო, ლუკასა და პისტოიის ჰერცოგი, დანიშნა (და, ვფიქრობ, ცუდად მოიქცა, რადგან არასოდეს მინახავს კაცი მასზე უფრო სასტიკი, გარდა ფაჯოლელი უგუჩონესი). ახლა კი უკვე რომს მიეშურებოდა, სადაც მას ადგილობრივი მთავარი – შიარა კოლონა უხმობდა.

ასეთი იყო ვითარება, როდესაც მე, მელქის ბენედიქტელთა მონასტრის მორჩილი, მამამ

(რომელიც ლუდვიგის მომხრეთა მოწინავე რიგებში იბრძოდა) მონასტრის სიმყუდროვეს მომწყვიტა და ბრძნულად მიიჩნია, თან წავეყვანე, რათა იტალიის საოცრებებს გავცნობოდი და პირადად დავსწრებოდი იმპერატორის კურთხევას რომში. მაგრამ პიზის ალყამ სამხედრო საქმეებში ჩაითრია მამაჩემი. მე ვსარგებლობდი ამით და ტოსკანის ქალაქებში დავეხეტებოდი ცოტა – უქნარობის, ცოტაც – ცნობისწადილის გამო, მაგრამ მალე მშობლებმა განსაჯეს, რომ ამგვარი ლაღი და თავაშვებული ყოფა მჭვრეტელობითი ცხოვრებისათვის მოწოდებულ ყრმას არ შეჰფეროდა და მარსილიუსის რჩევით, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, ფრანცისკელი სწავლულის – ბერ უილიამ ბასკერვილელისთვის გადაწყვიტეს ჩემი მიბარება, რომელიც ის-ის იყო, ცნობილი ქალაქებისა და უძველესი მონასტრებისაკენ უნდა გასდგომოდა გზას. ასე გავხდი მამა უილიამის გადამწერიცა და შეგირდიც და არასოდეს მინანია ეს, რამეთუ მისი წყალობით შევიქენ მოწმე ამბავთა, რომლებიც, ხამს, შემოენახოს ჩვენ შემდგომ მოსულთ.

არც მაშინ ვუწყოდი და არც ახლა ვიცი, რას ეძებდა მამა უილიამი, ვფიქრობ, თავადაც არ იცოდა ეს, ერთადერთი – ჭეშმარიტების წყურვილი ამოძრავებდა და ეჭვი – რომელსაც მუდამ ვგრძნობდი – რომ ჭეშმარიტება ის არ იყო, რაც იმწუთს ეგონა ხოლმე. ალბათ, იმ საუკუნის მოთხოვნილებებით ნაკარნახევი კვლევებითაც იყო გართული. მთელი მოგზაურობის მანძილზე ვერ ჩავწვდი უილიამის მისიას: გზაში ამაზე არაფერი უთქვამს. მონასტრებში, გზადაგზა რომ ვჩერდებოდით, წინამძღვრებთან მის საუბარს მოვკრავდი ხოლმე ყურს და რაღაცას ვხვდებოდი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავერკვიე, სანამ მიზანს არ მივაღწიეთ.

ჩრდილოეთისკენ მივიწევდით, მაგრამ ბევრჯერ ვიცვალეთ გეზი და ბოლოს დასავლეთისკენ გადავუხვიეთ (თუმც კი აღმოსავლეთისკენ უნდა გვევლო). ისე მოხდა, რომ გავყევით უღელტეხილს, რომელსაც პიზიდან წმინდა იაკობის კვალდაკვალ მივყავართ და შევჩერდით მიწაზე, რომლის სახელსაც მასზე დატრიალებულ შემზარავ მოვლენათა გამო არ დავასახელებ, ვიტყვი ოდენ, რომ მისი მთავარნი იმპერიის ერთგულნი იყვნენ და ჩვენი ორდენის იქაური ბერები ერთსულოვნად ეწინააღმდეგებოდნენ მწვალებელ და გახრწნილ პაპს. ორკვირიანი მოგზაურობის მანძილზე ბევრი რამ მოხდა და საშუალება მომეცა, გამეცნო (მაგრამ არა ბოლომდე, ამაში დღემდე ვრწმუნდები) ჩემი ახალი მასწავლებელი.

მომდევნო ფურცლებზე ადამიანთა გარეგნულ აღწერილობებს აღარ ჩავუღრმავდები, თუ რომელიმეს გამომეტყველება ან მოძრაობა უტყვ და თან მრავლისმეტყველ ნიშნად არ მომეჩვენება: როგორც ბოეთიუსი[17] ამბობს, არაფერია გარეგნულ ფორმაზე უფრო ამაო. ის ჭკნობადია და ცვალებადი, როგორც შემოდგომის მინდვრის ყვავილი. ან აქვს კი აზრი იმის თქმას, რომ წინამძღვარ აბონს ფერმკრთალი სახე და მკაცრი მზერა ჰქონდა, როცა აწ უკვე ისიცა და მისი თანამედროვენიც მტვრად ქცეულან და მათ სხეულებს სიკვდილის ნაცრისფერი გადაჰფენია (მხოლოდ სული, უზენაესის ნებით, ბრწყინავს მარადიული შუქით). მაგრამ უილიამზე მაინც ვიტყვი ორიოდ სიტყვას (ერთადერთხელ), ვინაიდან მისი თითოეული ნაკვთი ძვირფასი იყო ჩემთვის. ყმაწვილთ ხომ სჩვევიათ, მიეკედლონ მხცოვან, ბრძენ მეგობარს, და არა ოდენ ხიბლიანი სიტყვისა და მახვილგონიერების, არამედ მის ნაკვთთა სიყვარულის გამოც, როგორც ყრმა, მამის ყოველ მიმოხვრას რომ უჭვრეტს, უთვალთვალებს, იმახსოვრებს მის ღიმილსა თუ სევდიან გამომეტყველებას ისე, რომ ბიწიერების ჩრდილიც არ ბღალავს ამ (ალბათ, ერთადერთ) უმანკო ფორმას ხორციელი სიყვარულისა.

კაცნი ოდესღაც ლამაზნი, ტანადნი იყვნენ (ახლა ბავშვებად, ჯუჯებად ქცეულან), მაგრამ ურიცხვთაგან ეს მხოლოდ ერთი დასტურია ამ ბედკრული სამყაროს დაბერებისა. ყრმათ სწავლა აღარ სურთ, მეცნიერება უკან მიჩოჩავს, ქვეყანა ყირაზე დგას, ბრმა ბრმას მიუძღვის და უფსკრულში ჩეხს, ფრინველი ფრთის გაშლამდე ცდილობს ნავარდს, ვირი ქნარზე უკრავს, კურონი აროკებულან, მარიამს მჭვრეტელობითი ცხოვრება მოსძულებია და მართას – ქმედითი, ლეა დაბერწებულა, რაქელს თვალი გაავხორცებია, კატონი საროსკიპოებს სტუმრობს. ყველაფერი გზას ასცდენია. მადლი უფალს, რომ იმ წლებში ჩემი მასწავლებლისგან შეცნობის წადილი და სწორი გზის ალღო მებოძა, დაკლაკნილ ბილიკზეც რომ არ გღალატობს.

მამა უილიამი საშუალოზე მაღალი იყო და სიგამხდრისაგან კიდევ უფრო მაღალი ჩანდა.

მახვილი, გამჭოლი მზერა ჰქონდა, თხელი, კეხიანი ცხვირი კი მის სახეს მარად ფხიზელ გამომეტყველებას სძენდა, თუმცა კი წაგრძელებულ და ჭორფლიან სახეზე, რომელიც ჰიბერნიასა[18] და ნორთუმბრიას[19] შორის დაბადებულებს ახასიათებთ, ხანდახან ეჭვი ან ყოყმანიც გამოესახებოდა ხოლმე. მოგვიანებით მივხვდი, რომ, რაც მე ყოყმანად მეჩვენებოდა, ცნობისწადილი იყო, მაგრამ მაშინ ცოტა რამ ვუწყოდი ამ თვისებაზე და ის უფრო ცოდვილი სულის ვნებათაგანი მეგონა. ჩემი აზრით, გონიერი სულისთვის, რომელიც ოდენ ჭეშმარიტებით საზრდოობს, ის უცხო უნდა ყოფილიყო, რადგან ჭეშმარიტება (მაშინ ასე მეგონა) იმთავითვე ყველასათვის ცხადია.

უილიამი ღრმად მოხუცი იყო, ორმოცდაათი გაზაფხული მაინც ექნებოდა ნანახი, მაგრამ ისე მოქნილად მოძრაობდა, რომ მეც, ყმაწვილს, ხშირად სახტად მტოვებდა. ამოუწურავი ენერგია ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ანაზდად მოეშვებოდა, კირჩხიბივით გაიყურსებოდა ხოლმე და უმოქმედოდ საათობით იწვა საწოლზე თავის სენაკში, თითო სიტყვა თუ ამოსცდებოდა პირიდან ისე, რომ სახეზე ნაკვთიც არ შეერხეოდა. ასეთ წუთებში სადღაც შორს იყო, სიცარიელე ედგა თვალებში და ვიფიქრებდი, რაღაც ხილვის მომგვრელი მცენარეული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ არის-მეთქი, რომ არა მისი საოცარი თავშეკავებულობა და ზომიერება, რაც მაიძულებდა, უკუმეგდო ეს აზრი. თუმც არ დავმალავ, ხანდახან მდელოზე ან ტყის პირას შეჩერდებოდა, რაღაც ბალახბულახს აგროვებდა (მგონი, სულ ერთსა და იმავეს), მერე კი ღეჭავდა მდუმარედ. ნაწილს ინახავდა და განსაკუთრებული დაძაბულობის წუთებში მიმართავდა ხოლმე (მონასტერში კი ასეთები მრავლად გვქონია!). ერთხელ, რომ ვკითხე, რა არის-მეთქი, ღიმილით მითხრა, კარგმა ქრისტიანმაც შეიძლება რაღაც ისწავლოს ურჯულოთაგანო. ვთხოვე, გამასინჯე-მეთქი. მიპასუხა, ზოგიერთმა მცენარემ, შეიძლება, ბებერ ფრანცისკელს არგოს, ყმაწვილ ბენედიქტელს კი ავნოსო.

ერთად გატარებული დროის მანძილზე მოწესრიგებული ცხოვრების საშუალება არ გვქონია. მონასტერშიც ღამით ვფხიზლობდით და დღისით ზეზეურად გვეძინებოდა, არც წმინდა მსახურებას დავსწრებივართ წესის მიხედვით. თუმცა მგზავრობისას მამა უილიამი სერობის ლოცვის შემდეგ იძინებდა და, საერთოდ, გაწონასწორებული ჩვევებით გამოირჩეოდა. ხანდახან მონასტერში მთელ დღეს ბოსტანში ატარებდა, ისე დაჰფოფინებდა ბალახბულახს, როგორც ლალ-ზურმუხტს. ლალითა და ზურმუხტით გამოჭედილ ზარდახშებს კი, როგორც სარეველას, ისე დაჰყურებდა. ხშირად მთელ დღეს ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ატარებდა და ისე სხვათა შორის ფურცლავდა ხელნაწერებს, გეგონებოდა, დროს კლავსო (მაშინ, როცა ჩვენ ირგვლივ შემზარავად დახოცილ ბერთა გვამები მრავლდებოდა). ბაღშიც არაერთხელ შემხვედრია ისე უდარდელად მოსეირნე, თითქოს გამჩენის წინაშე პასუხს არ აგებდა საკუთარ ნამოქმედარზე. ორდენში მე სულ სხვაგვარად მასწავლიდნენ დროის განაწილებას, ჰოდა ერთხელ ვუთხარი კიდეც ეს. მიპასუხა, კოსმოსის მშვენიერება მარტო მრავალფეროვნების ერთიანობა კი არაა, არამედ – ერთიანობის მრავალფეროვნებაცო. მაშინ ეს უხეშ, ემპირიულ პასუხად მივიჩნიე, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ მის მხარეში ადამიანებს უცნაურად სჩვეოდათ მოვლენათა შეფასება: მათ მსჯელობაში იშვიათად ერია ხოლმე გონების განმანათლებელი ძალა.

მონასტერში გატარებული დროის განმავლობაში სულ წიგნების მტვრით ხელებგასვრილს ვხედავდი, ჯერ კიდევ ცინცხალი მინიატურების ოქროთი და იმ მოყვითალო ნივთიერებებით თითებშეღებილს, რომლებსაც ლაზარეთში ეხებოდა. მამა უილიამი თითქოს ხელებით ფიქრობდა, მე კი ეს ხელოსანთა საფერი თვისება მეგონა (ბავშვობაში ხომ მასწავლიდნენ, რომ ხელოსანი არის moechus[20] და სცოდავს გონებრივი ცხოვრების წინაშე, რომელსაც უწმიდესი ქორწინებით უნდა შეერწყას). მაგრამ მაშინაც, როდესაც მისი ხელები დროისაგან შეჭმული წიგნების ხმიადივით ფხვნად ფურცლებს ეხებოდა, მეჩვენებოდა, რომ ნაზად შეხების რაღაც განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. ასეთივე ფრთხილი იყო თავის ხელსაწყოებთანაც. აქვე ვიტყვი, რომ ეს ცნობისმოყვარე კაცი აბგით დაატარებდა ნივთებს, რომელთა მსგავსი იქამდე არასოდეს მენახა და რომელთაც ის თავის „სასწაულმოქმედ ხელსაწყოებს“ უწოდებდა. ეს ხელსაწყოები ხელოვნების ქმნილებებიაო, ამბობდა, ხელოვნება კი ბუნებას ბაძავს, და ეს ხელსაწყოებიც არა მხოლოდ ბუნების ფორმებს, არამედ თავად ბუნებრივი ქმნის პროცესს ქმნიანო. ასე გამაცნო საათის, ასტროლაბის, მაგნიტის საოცრებანი. თავიდან ვშიშობდი, რომ ამ

ყველაფერში ჯადოსნობა ერია და თავს მოვიმძინარებდი ხოლმე, როცა ღამღამობით მოწმენდილ ცაზე რაღაც უცნაური სამკუთხედით ხელში ვარსკვლავებს აკვირდებოდა. ფრანცისკელები, რომელთაც იტალიასა და ჩემს მხარეში შევხვედროდი, უბრალო, ხშირად უწიგნური ადამიანები იყვნენ, ამიტომ მუდამ მიკვირდა მამა უილიამის განსწავლულობა. ის კი მეუბნებოდა, ჩემი კუნძულის ფრანცისკელები სხვა ჯურისანი არიანო: „როჯერ ბეკონი, ჩვენი მოძღვარი, გვასწავლიდა, რომ ღვთიური ნება ოდესმე ხელსაწყოთა მეცნიერებასაც შეეხება, ეს კი ბუნებრივი და წმინდა მაგიაა. ბუნების ძალით სანაოსნო მანქანები შეიქმნება, რომელთა წყალობით გემები homine regente[21] ივლიან და იმაზე ბევრად სწრაფად, ვიდრე იალქნითა და ნიჩბებითო; და იქნება ეტლები, რომლებიც ცხოველთა გარეშე, შინაგანი ძალით იმოძრავებენ; მფრინავ მანქანებს კაცი მართავს, ხელოვნური ფრთებით, ფრინველთა დარად; პაწაწინა ხელსაწყოები ვეებერთელა ტვირთს აზიდავენ, ერთი ბეწო გემები კი ზღვათა ფსკერს მოგვატარებენ“.

რომ ვკითხე, სადაა ეს ყველაფერი-მეთქი, მითხრა: „ბევრი მათგანი უკვე ძველად იყო გამოგონილი და ზოგიერთი ჩვენს დროშიც არსებობს, გარდა საფრენი ხელსაწყოსი, რომელიც არც თავად მინახავს და არც მნახველი შემხვედრია მისი, მაგრამ ერთ სწავლულს ვიცნობ, რომელმაც ის ჩაიფიქრა. აშენდება ხიდები, რომლებიც ბურჯების გარეშე გადასწვდება მდინარეებს და შეიქმნება სხვა გაუგონარი მანქანები. არა უშავს, თუ ეს ყველაფერი ჯერ არ შექმნილა, რადგან ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიქმნება. დამიჯერე, ღვთის ნებაა, რომ მათ იარსებონ და მის გონებაში უეჭველად უკვე არიან კიდეც, თუმცა კი ჩვენი მეგობარი ოკამი უარყოფს იდეების ამგვარად არსებობის შესაძლებლობას. და იმიტომ კი არა, რომ ღვთიური ბუნების რაობის განსაზღვრა ძალგვიძს, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მისთვის ზღვრის დადებაა შეუძლებელი“. ეს არ ყოფილა ერთადერთი წინააღმდეგობრივი განცხადება, რაც მისგან მსმენია, მაგრამ ახლაც, მხცოვანსა და დაბრძენებულს, ბოლომდე ვერ გამიგია, როგორ შეეძლო, ერთნაირად ნდობოდა თავის მეგობარ ოკამსაც და ბეკონის სიტყვებსაც. თუმცა მაშინ, იმ შავბნელ დროში, შეუძლებელიც იყო, ბრძენკაცს წინააღმდეგობრივი აზრები არ ჰქონოდა.

აჰა ვეცადე, თუმცა, ვგონებ, ფუჭად, რამე მომეთხრო მამა უილიამზე, თავი მომეყარა ჩემი მაშინდელი მიფანტულ-მოფანტული შთაბეჭდილებებისთვის. ვინ იყო ის და რას აკეთებდა, ჩემო კეთილო მკითხველო, მისი ნამოქმედარიდან უკეთ გაიგებ. სრულყოფილ აღწერას არ დაგპირებივარ, მხოლოდ მომხდარს (ამას კი უეჭველად) მოგითხრობ, საოცარსა და შემაძრწუნებელს.

ასე, დღითი დღე, ნელ-ნელა ვეცნობოდი ჩემს მასწავლებელს. წინ დიდი გზა გვედო, საათობით ვსაუბრობდით ათას რამეზე (მოგითხრობთ კიდეც, რასაც საჭიროდ ჩავთვლი) და ასე მივადექით მთას, რომელზეც მონასტერი აღმართულიყო. აწ კი დროა, მას დაუახლოვდეს ჩვენი ამბავი და ინებოს ზეციერმა, ხელის აუკანკალებლად აღვწერო, რაც შემდეგ მოხდა.

დღე პირველი

პირველი ჟამი

სადაც მონასტერს მიადგებიან და უილიამი დიდ გამჭრიახობას გამოავლენს

ნოემბრის მიწურულის ლამაზი დილა იყო. ღამით ჩამოეთოვა და თხელ, ფაფუკ საფარში გაეხვია არემარე. ჯერ ისევ ბნელში, ქებანის შემდეგ, ხეობაში ერთ პატარა სოფელში დავესწარით წირვას და მზე ამოიწვერა თუ არა, მთას შევუყევით.

როგორც კი ციცაბო ბილიკმა, მთას რომ უვლიდა გარს, გაივაკა, მონასტერი დავინახე. გალავანს არ გავუკვირვებივარ, ისეთივე იყო, როგორიც სხვა ქრისტიანულ მონასტრებში მინახავს, მაგრამ შორიდანვე გამაოგნა ვეებერთელა ნაგებობამ, რომელიც, შემდეგ მივხვდი, ციტადელი იყო. რვაკუთხა ნაგებობა შორიდან ოთხკუთხა ჩანდა (ღვთის ქალაქის სიმტკიცისა და შეუვალობის განმასახიერებელი უსრულქმნილესი ხატი) და სამხრეთით მონასტრის ეზოს გადაჰყურებდა, ხოლო ჩრდილოეთის კედლით თითქოს კლდეს შეზრდოდა თუ კლდიდანვე გამოზრდილიყო, ერთი სიტყვით, ქვევიდან ისე ჩანდა, თითქოს კლდე აზიდულიყო ცამდე, რადგან ციტადელის პირქუში კედელი მისგან ფერითაც არ განირჩეოდა (ზეცასა და ხმელეთთან გაშინაურებულ დევკაცთა ნახელავს ჰგავდა). სამ წყებად გაჭრილი ფანჯრები სამების რიტმს უქმნიდა კედელს, თითქოს მიწაზე ოთხკუთხად დაწყებული ქმნილება სულიერად გასამებულიყო ზეცისკენ. მიახლოებისას ჩანდა, რომ საძირკველზე ოთხმხრივად შვიდკუთხა კოშკები მიედგათ. თითოეული კოშკის ხუთი კედელი გარეთ იყო მიქცეული, ანუ მთავარი რვაკუთხედის ოთხ წახნაგს ოთხი მცირე შვიდკუთხედი ებმოდა, რომლებიც გარედან ხუთკუთხედებს ჰგავდა. აღმაფრთოვანებელი იყო ამდენი წმინდა რიცხვის ასეთი საოცარი სიმეტრია, უფაქიზესი სულიერი შინაარსით ნაქსოვი: რვა – ყოველი ოთხკუთხედის სრულყოფილების რიცხვი, ოთხი – სახარებათა, ხუთი – სამყაროს ნაწილებისა, შვიდი – რიცხვი სულიწმიდის ნიჭთა. ციტადელი, რომელიც იერითა და ფორმებით ურსინოს ან დალმონტეს ციხესიმაგრეებს ჰგავდა, მოგვიანებით რომ ვიხილე ნახევარკუნძულის სამხრეთში, მგზავრისთვის ურთულესი მისადგომი და შიშის მომგვრელი იყო. ბედმა გამიღიმა, რომ ზამთრის კამკამა დილით ვიხილე პირველად და ისე შემზარავად არ მომჩვენებია, როგორიც ავდარში იყო ხოლმე.

თუმცა ვერ ვიტყვი, სიმშვიდის შეგრძნება მომანიჭა-მეთქი. დამზაფრა, ამაფორიაქა და იცის უფალმა, ეს შიში ოდენ ჩემი უმწიფარი სულის წარმოსახვის ნაყოფი არ ყოფილა. ვგრძნობდი იმ ავის მომასწავებელ ნიშნებს, გოლიათების დროიდან რომ ამოჭრილიყო ქვაში, იქამდე, სანამ მეოცნებე ბერების ნება ღვთის სიტყვის საგუშაგოდ აკურთხებდა ამ ადგილს.

სანამ ჩვენი ჯორები ფერდობზე ათოხარიკდებოდნენ, სადაც მთავარი გზა სამად იყოფოდა, ჩემი მოძღვარი შეჩერდა, მიმოიხედა. ერთგან გზას ჩამოთოვლილი ფიჭვების ტოტები გადაჰფარებოდა ბუნებრივ სახურავად.

– მდიდარი მონასტერია, – ჩაილაპარაკა. – წინამძღვარს უყვარს საჯაროდ თავის გამოჩენა.

მიჩვეული ვიყავი მის უცნაურ შენიშვნებს და არაფერი მიკითხავს. ცოტაც რომ გავიარეთ, ხმაური შემოგვესმა და ბერები და მონასტრის მსახურები გამოჩნდნენ, შეშფოთებულები ჩანდნენ, რაღაცას ეძებდნენ. ერთ-ერთი მათგანი, დაგვინახა თუ არა, მოწიწებით შემოგვეგება: – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო. ნუ გაიოცებთ, ვიცი, ვინც ხართ, გაგვაფრთხილეს თქვენი მოსვლის შესახებ. მე რემიგუსი ვარ, ვარაჯინედან, მონასტრის მეკუჭნავე. თქვენ, ალბათ, მამა უილიამი ხართ ბასკავილიდან, წინამძღვარი გაფრთხილებულია. შენ, – მიუბრუნდა მერე ერთ-ერთ მსახურს, – ადი და ამცნე, რომ ჩვენი სტუმარი გალავანს უახლოვდება!

– გმადლობთ, ბატონო, – თავაზიანად უპასუხა ჩემმა მასწავლებელმა, – მით უფრო, რომ ჩემს მოსაგებებლად ძებნა შეწყვიტეთ. მაგრამ ნუ შიშობთ, ცხენს აქ გაუვლია, მარჯვენა ბილიკს გაჰყვებოდა. შორს ვერ წავიდოდა, ნაგვის საყართან შეჩერდებოდა. ძალიან ჭკვიანია საიმისოდ, რომ ციცაბოზე დაეშვას...

– როდის დაინახეთ? – გაიოცა მეკუჭნავემ.

– საერთოდ არ დაგვინახავს, არა, ადსო? – ხალისით მომიბრუნდა უილიამი. – მაგრამ თუ წაბლას ეძებთ, უეჭველად იქ იქნება, სადაც გითხარით.

მეკუჭნავე შედგა. ჯერ უილიამს მიაჩერდა, მერე ბილიკს გახედა: – წაბლა? რა იცით?

– რა ცოდნა უნდა! – უთხრა უილიამმა. – ცხადია, რომ წაბლას ეძებთ, წინამძღვრის საყვარელ ცხენს, თქვენი საჯინიბოს საუკეთესო ბედაურს, გრძელფეხას, მსხვილკუდასა და

მრგვალჩლიქიანს, მწყობრი ჩორთით მავალს, პატარათავიანს, წვრილყურას, დიდთვალებას.

მეკუჭნავე წამით შეყოვნდა, მერე მხლებლებს ანიშნა და მარჯვნივ მიმავალ ბილიკზე დაეშვა, ჩვენ კი ზევით განვაგრძეთ გზა. ერთი სული მქონდა, მეკითხა უილიამისთვის, საიდან იცოდა ეს ყველაფერი, ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, მაგრამ მანიშნა, შეიცადეო. მართლაც, რამდენიმე წუთში სიხარულის შეძახილები მოგვესმა და ისევ გამოჩნდნენ ბერები და მსახურები, ცხენი მოჰყავდათ. გაოცებულებმა ჩაგვიარეს და გაგვისწრეს. ალბათ, უილიამმაც შეანელა ნაბიჯი, რათა საშუალება მიეცა მათთვის, მონასტერში ჩვენამდე მისულიყვნენ და მომხდარი მოეთხროთ. მერეც ბევრჯერ შემინიშნავს, რომ ჩემს მასწავლებელს, ამ საოცარი ღირსებებით შემკულ კაცს, საკუთარი გამჭრიახობის გამოვლენის წადილით არაერთხელ წაუჩოქებია ამპარტავნობის ცოდვის წინაშე და ვინაიდან იშვიათი დიპლომატიური ნიჭის პატრონი იყო, მივხვდი, ეწადა, წინდაწინვე გაეთქვა ბრძენკაცის სახელი, სანამ მონასტერში შეაბიჯებდა.

– მითხარით, – თავი ვეღარ შევიკავე, – როგორ მიხვდით?

– ჩემო კეთილო ადსო, – მითხრა მასწავლებელმა, – მთელი მგზავრობის მანძილზე გასწავლი, ამოიცნო ნიშნები, რომლითაც სამყარო გადაშლილი წიგნივით გველაპარაკება. კუნძულელი ალანი[22] რომ ამბობდა: omnis mundi creatura

quasi liber et pictura

nobis est in speculum[23]

სწორედ სიმბოლოთა იმ ამოუწურავ მარაგს გულისხმობდა, რითაც შემოქმედი თავის ქმნილებათა საშუალებით მარადიულ ცხოვრებაზე მიგვანიშნებს. მაგრამ სამყარო კიდევ უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე ალანს ეგონა, და არა მხოლოდ უმთავრესს გვიჩვენებს (რაც მუდამ ბინდითაა მოსილი), არამედ მყისიერ მოვლენებზეც მიგვითითებს, თანაც საოცრად ნათლად. მრცხვენია კიდეც, გიმეორო, რაც ისედაც უნდა იცოდე. იქ, სადაც გზა სამად იყოფოდა, წამოფიფქულზე ნათლად შეიმჩნეოდა ცხენის ნაკვალევი, რომელიც მარცხენა ბილიკს მიუყვებოდა. კოხტა ნაკვალევი მეტყველებდა, რომ ჩლიქი პატარა და მრგვალი იყო, ჩორთი – მწყობრი, ამან მიკარნახა ცხენის გვარობაცა და ისიც, რომ გაანცებული ცხოველივით არ გარბოდა. ფიჭვის ხეებს ტოტები დაახლოებით ხუთი ფუტის სიმაღლეზე შეტეხოდა. ჩანს, სანამ მარჯვნივ გაუყვებოდა ბილიკს, ერთხანს მაყვლის ბუჩქებთან იტრიალა და თან, ალბათ, ამაყად იქნევდა მშვენიერ კუდს, რადგან ეკლებში მუქი ბეწვი იყო შერჩენილი... იმასაც უნდა მიმხვდარიყავი, რომ ის ბილიკი ნაგვის საყრელთან მიდის, რადგან ქვევიდან ნარჩენების გორა მოჩანდა, აღმოსავლეთ კოშკის ძირიდან ჩამოგრძელებული, თოვლი რომ გაეჭუჭყიანებინა. გზა კი ისე იყოფოდა, შეუძლებელი იყო, ბილიკი სხვა მიმართულებით წასულიყო.

– კარგი, მაგრამ პატარა თავი, წაწვეტებული ყურები, დიდი თვალები...

– სულაც არ ვიცი, მართლა ასეთია თუ არა ის ცხენი, მაგრამ ეჭვი არაა, რომ ბერებს ასეთად მიაჩნიათ. განა ისიდორე სევილიელი არ აღწერს ლამაზ ცხენს: „ut sit exiguum caput et siccum prope pelle ossibus adhaerente, aures breves et argutae, oculi magni, nares patulae, erecta cervix, coma densa et cauda, ungularum soliditate fixa rotunditas[24]“. ის ცხენი საუკეთესო რომ არ ყოფილიყო საჯინიბოში, ამდენი კაცი კი არ გამოეფინებოდა მის საძებრად! ხომ ნახე, მეჯინიბეებთან ერთად მეკუჭნავეც დაეძებდა. ბერი, რომელსაც ცხენი გამორჩეულად მიაჩნია, შეუძლებელია, მას ისე არ ხედავდეს, როგორც ძველ მამათ აღუწერიათ. მით უფრო, თუ... – და ეშმაკურად გაიღიმა, – ეს ბერი ბენედიქტელი სწავლულია...

– კარგი, მაგრამ რატომ წაბლა?

– სულიწმიდას ცოტა ტვინიც მოეცა შენთვის, შვილო ჩემო! – შეჰყვირა ჩემმა მოძღვარმა. – სხვას რას დავარქმევდი, თუ თავად დიდ ბურიდანსაც[25], რომელიც მალე რექტორი გახდება პარიზში, მშვენიერ ცხენზე ლაპარაკისას სხვა სახელი ვერ მოუნახავს?!

ასეთი იყო ჩემი მასწავლებელი. არა მარტო თავად შეეძლო ბუნების დიადი წიგნის წაკითხვა, არამედ ზუსტად იცოდა, როგორ კითხულობდნენ მას ბერები და როგორი იყო შემდგომ მათ ფიქრთა მდინარება, ამ საკითხავით ზღვარდადებული. ეს უნარი უილიამს დიდად გამოადგა მომდევნო დღეებში. მისეული ახსნა იმდენად მარტივი და ცხადი მეჩვენა, რომ შემრცხვა, თავად როგორ ვერ მივხვდი-მეთქი ყოველივეს, თუმცა სირცხვილი მალევე დაჩრდილა სიამაყემ იმის გამო, რომ მეც დიადი აღმოჩენის თანაავტორი ვიყავი, და ლამის საკუთარ თავს მივულოცე სხვისი გამჭრიახობა. ასეთია ჭეშმარიტება – თვითგავრცელებადი, როგორც სიკეთე. დიდება მაცხოვრის წმინდა სახელს ამ მშვენიერი აღმოჩენისთვის.

ახლა კი საკუთარ მონათხრობს დაუბრუნდი, მხცოვანო ბერო, თორემ მეტისმეტად აიხლართე და დაშორდი მთავარს. აჯობებს, ის თქვა, რომ, როცა მონასტრის კარიბჭეს მივადექით, ზღურბლზე უკვე გველოდა წინამძღვარი, ორ მორჩილს კი წყლით სავსე ოქროს თასი ეჭირა. როგორც კი ჩამოვქვეითდით, წინამძღვარმა ხელები დააბანინა უილიამს, მერე მოეხვია და პირზე აკოცა სალმის ნიშნად, ხოლო მეკუჭნავე მე მიტრიალებდა.

– გმადლობთ, მამაო, – უთხრა უილიამმა, – დიდი სიხარულია ჩემთვის თქვენი უწმინდესობის მონასტერში ფეხის დადგმა, რომლის სახელი და დიდებაც, რა ხანია, ამ მთებს გასცდენია. პირველ რიგში, მომლოცველად მოვსულვარ, მაცხოვრის სახელით და

თქვენ, როგორც მომლოცველი, ისე მიმიღეთ. მაგრამ ჩვენი მიწიერი მეუფის ნებითაც გეახელით, როგორც ამ წერილით შეიტყობთ, და მისი სახელითაც გმადლობთ სტუმართმოყვარეობისთვის.

წინამძღვარმა იმპერატორის ბეჭდებიანი წერილი ჩამოართვა და უთხრა, თქვენი სტუმრობა წინდაწინვე მაცნობეს თქვენი ორდენის ბერებმაო (მაშინ მივხვდი ერთგვარი სიამაყით, რომ ძნელია, მოულოდნელობით გააოცო ბენედიქტელი წინამძღვარი). მერე მეკუჭნავეს სთხოვა, მოსასვენებლისკენ გაგვძღოლოდა, მეჯინიბეებმა კი აღვირები ჩამოგვართვეს. წინამძღვარი დაგვპირდა, მოგვიანებით გინახულებთ, როცა მოისვენებთო და შევედით ეზოში, სადაც გავაკებულ ფერდობზე მონასტრის ნაგებობები გაშლილიყო.

მონასტერს მოგვიანებით და უფრო დაწვრილებით აღვწერ. კარიბჭიდან (რომელიც ერთადერთი ჭრილი იყო მთელ გალავანში) ეკლესიამდე ხეივნიანი გზა მიდიოდა. ხეივნის მარცხნივ ბოსტნები იყო გაშლილი, ხოლო აბანოსა და ლაზარეთის შენობების გარშემო, გალავნის კედლის გასწვრივ, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ბაღი იყო გაშენებული. მარცხნივ სიღრმეში წამომართულ ციტადელს ეკლესიისაგან პატარა სასაფლაო ყოფდა. ეკლესიის ჩრდილოეთის კარი ციტადელის სამხრეთ კოშკს უყურებდა. მნახველი პირველად ციტადელის დასავლეთის კოშკს ხედავდა. ამრიგად, ციტადელი მარცხნივ გალავანს უერთდებოდა, მისი ჩრდილოეთის კოშკი პირდაპირ კლდეზე გადიოდა და დახრილად მოჩანდა. ეკლესიას მარჯვნიდან სხვადასხვა ნაგებობა ჰქონდა მიშენებული: ბერების სენაკები, წინამძღვრის საცხოვრებელი და მომლოცველთა საძილე ოთახები, საითაც ჩვენ მიგვიძღოდნენ. კიდევ უფრო მარჯვნივ, გალავნის სამხრეთ კედელთან, დამხმარე ნაგებობები ჩაედგათ: თავლები, ბოსლები, წისქვილები, ზეთის სახდელები, ბეღლები, საკუჭნაოები და, ვგონებ, მორჩილთა საბინადროც. თითქმის სწორ, ოდნავ ბორცვიან ნიადაგს საშუალება მიეცა ამ წმინდა ადგილის მშენებელთათვის, ზუსტად დაეცვათ დადგენილი წესები, იმაზე ზედმიწევნითაც კი, ვიდრე ამას ჰონორიუს ავგუსტოდუნელი და უილიამ დურანდელი ისურვებდნენ. მზის მიხედვით მივხვდი, რომ კარიბჭე დასავლეთით გადიოდა, ისე, რომ ქორედი და საკურთხეველი ზუსტად აღმოსავლეთს უყურებდა; მზე ამოსვლისთანავე საძილე ოთახებს ადგებოდა და სენაკებში ბერებს აღვიძებდა, სადგომებში – პირუტყვს. არასოდეს მინახავს ასეთი მშვენიერი და ასე კარგად დაგეგმილი მონასტერი, თუმცა კი ვყოფილვარ სან-გალოში, კლიუნიში, ფონტენში. ისინი ბევრად უფრო შთამბეჭდავია, მაგრამ არა ასეთი პროპორციული. ამ მონასტერს სხვა დანარჩენთაგან ვეებერთელა ციტადელი გამოარჩევდა. მშენებელი მასწავლებელი არ მყოლია, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ციტადელი მონასტრის ნაგებობათა შორის უძველესი იყო და, ალბათ, თავიდან სხვა მიზნით იყო აშენებული. ჩანდა, რომ მონასტრის კომპლექსი მისთვის შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე შემოერტყათ გარს, იმგვარად, რომ ციტადელის მდებარეობა ეკლესიისას ეხამებოდა, უფრო სწორად კი – პირიქით: ხუროთმოძღვრება ხომ ყველა სხვა ხელოვნებაზე მეტად ცდილობს, გაიმეოროს სამყაროს წესრიგი, რასაც ძველები კოსმოსს უწოდებდნენ, და, რომელიც, როგორც ვეებერთელა, ცოცხალი არსება, საკუთარი ნაწილების სრულყოფილებითა და ჰარმონიულობითაა კაზმული და გაბრწყინებული. დიდება შემოქმედს, ვინც, როგორც წმინდა წერილი ამბობს, ოდენობა, წონა და საზომი დაუდგინა ყოველივეს.

მესამე ჟამი

სადაც უილიამსა და წინამძღვარს შორის ყურადსაღები საუბარი გაიმართება

მეკუჭნავე ჩასუქებული, მდაბიური, მაგრამ ხალისიანი იერის კაცი იყო, თმაშევერცხლილი, ჩასხმული, პატარა და მკვირცხლი. სტუმრების მოსასვენებელში, ჩვენი სენაკებისკენ წაგვიძღვა, უფრო სწორად, ჩემი მასწავლებლისთვის განკუთვნილი სენაკისკენ და დამპირდა, ხვალ შენც გაგითავისუფლებთ ადგილსო. მორჩილი კი ხარ, მაგრამ მაინც ჩვენს სტუმრად ითვლები და პატივით მოპყრობა გერგებაო. იმ ღამეს სენაკის კედელში შეჭრილ წაგრძელებულ, განიერ ნიშაში უნდა დამეძინა, სადაც ფუმფულა თივა დამიფინეს.

მეკუჭნავემ ამიხსნა, ასე ვასვენებთ მსახურებს, როცა მათ ბატონებს სურთ, ღამის ლოცვებისთვის გააღვიძონ ხოლმეო.

მერე ბერებმა ღვინო, ყველი, ზეთისხილი, პური და უგემრიელესი ქიშმიში მოგვიტანეს და მარტო დაგვტოვეს, რომ მოგვესვენა. გემრიელად გეახელით. ჩემი მასწავლებელი ბენედიქტელთა მკაცრ წესებს არ იცავდა და სიჩუმეში ჭამა არ უყვარდა. თან ისეთი საამო მოსასმენი იყო მისი ლაპარაკი, წმინდანთა ცხოვრების კითხვასავით ჩამესმოდა.

ისევ ვერ შევიკავე თავი, ცხენის ამბავი ვკითხე.

— კი, მაგრამ, — ვუთხარი, — თქვენ რომ თოვლსა და ხეებზე ნიშნები ამოიკითხეთ, ხომ არ იცოდით, როგორი იყო წაბლა. ის კვალი ხომ ნებისმიერი ცხენის შეიძლებოდა ყოფილიყო, ან მისი მსგავსი ყველა ცხენისა მაინც. ანუ გამოდის, რომ ბუნების წიგნი მხოლოდ მთავარზე გვესაუბრება, როგორც ბევრი ცნობილი თეოლოგი მიიჩნევს, ასეა?

— მთლად ასე არაა, ძვირფასო ადსო, — მიპასუხა მოძღვარმა. — ცხადია, კვალი მანიშნებდა ცხენზე, როგორც verbum mentis[26] და ამასვე გამოხატავდა, სადაც არ უნდა მენახა ის. მაგრამ იმ კონკრეტულ ადგილას და იმ დროს ეს ნიშნები მამცნობდა, რომ ყველა შესაძლო ცხენიდან ერთს მაინც გაევლო იქ. ამრიგად, ცხენის არსის გაგებასა და კონკრეტული ცხენის ცნობას შორის ვიყავი. ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი ცოდნა ზოგადად ცხენზე იმწამს იმ კონკრეტულ კვალში იყო ასახული. შეიძლება ითქვას, რომ ნიშნის კონკრეტულობასა და საკუთარ უმეცრებას შორის ვიყავი დატყვევებული, რაც უნივერსალური იდეის საკმაოდ გამჭვირვალე სახეს იღებდა. თუ შორიდან რაღაცას ხედავ და ვერ იგებ, რა არის, დანახულს უბრალოდ „სივრცულ სხეულს“ უწოდებ. რომ მოგიახლოვდება, იტყვი, რომ ცხოველია, თუმცა ჯერ ვერ გაარჩევ, ცხენია თუ ვირი; თუ კიდევ უფრო ახლოს მოვიდა, დაადგენ, რომ ცხენია, თუმცა არ გეცოდინება, წაბლაა თუ შავრა. და მხოლოდ სათანადო მანძილიდან შეძლებ დაასკვნა, რომ წაბლაა (ანუ ის ცხენი და არა სხვა რომელიმე, რაც გინდა ერქვას). და ეს იქნება სრული ცოდნა, კონკრეტულის შეცნობა. მეც ერთი საათის წინ ნებისმიერ ცხენს ველოდი და იმიტომ კი არა, რომ ჩემი გონებრივი შესაძლებლობები უსაზღვრო მგონია, არამედ სწორედ ინტუიციის სიმწირის გამო. ჩემი გონება მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდა, როდესაც კონკრეტული ცხენი დავინახე, ბერებს რომ მოჰყავდათ სადავით. მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩემმა მსჯელობამ ჭეშმარიტებამდე მიმიყვანა. ის, რასაც უხილავი ცხენის წარმოსადგენად ვიყენებდი, უბრალოდ ნიშნები იყო ისევე, როგორც თოვლზე დატოვებული კვალი — ზოგადად ცხენისა; ნიშნებს და ნიშანთა ნიშნებს კი მხოლოდ მაშინ მივმართავთ, როცა კონკრეტულის ნაკლებობას განვიცდით.

შემდეგაც ბევრჯერ მინახავს ჩემი მოძღვარი სკეპტიკურად მოლაპარაკე უნივერსალურ იდეებზე და მოწიწებით — ყველაფერ კონკრეტულზე. არაერთხელ მიფიქრია, რომ ეს თვისება მისი ბრიტანელობიდანაც მომდინარეობდა და ფრანცისკელობიდანაც. მაგრამ იმ დღეს ძალიან დაქანცული ვიყავი თეოლოგიური დისპუტებისთვის, ასე რომ ჩემს ნიშაში მოვკალათდი, გადასაფარებელში გავეხვიე და ღრმა ძილმა წამიღო.

ნიშაში მოკუნტული, ალბათ, ფუთას ვგავდი და წინამძღვარმაც უეჭველად ასე იფიქრა, როცა მესამე ჟამის დროს უილიამს ეწვია სენაკში. ასე მოვისმინე პირველად მათი საუბარი, და ჩემი იქ ყოფნა არავის შეუნიშნავს. საგანგებოდ არც მიცდია საუბრის მოსმენა, უბრალოდ ვიფიქრე, ახლა რომ გამოვეცხადო სტუმარს, უარესი იქნება, ვიდრე დამალვა-მეთქი და თავი მოვიმძინარე.

სენაკში წინამძღვარი შემოვიდა. მოიბოდიშა შემოჭრისათვის, კიდევ ერთხელ მიესალმა უილიამს და განუცხადა, უაღრესად სერიოზულ საკითხზე უნდა დაგელაპარაკოთო.

შენიშნა, რა ოსტატურად გაგირკვევიათ ცხენის ასავალ-დასავალიო და ჰკითხა, როგორ მოახერხეთ ასეთი ზუსტი ცნობები მოგეცათ ცხოველზე, რომელიც არასოდეს გინახავთო. მამა უილიამი მოკლედ მოუყვა ყოველივეს და წინამძღვარი დიდად გაახალისა მისმა მიხვედრილობამ. ამაზე ნაკლებს არც ველოდით კაცისგან, რომელსაც ასე გაუთქვამს სახელი გამჭრიახობითო. უთხრა, ფარფის წინამძღვრისგან წერილი მივიღეთ, არა მარტო იმპერატორის მიერ თქვენთვის დაკისრებულ დიდ მისიაზე გვწერს (ამაზე მერე ვილაპარაკოთო), არამედ იმასაც იუწყება, რომ ინგლისსა და იტალიაში ინკვიზიტორად

ყოფილხართ რამდენიმე სასამართლოზე და გამჭრიახობითა და ადამიანურობით გამოგიჩენიათ თავიო.

– ძალიან მეამა, – დასძინა წინამძღვარმა, – რომ არაერთხელ გამოგიცხადებიათ ბრალდებული უდანაშაულოდ. მწამს, და მით უფრო ამ უმძიმეს დღეებში, რომ კაცთა ნამოქმედარში ხშირად ურევია ხელი ბოროტს, – და ისე შეპარვით მოავლო თვალი იქაურობას, თითქოს მტერი ამ კედლებში ეგულებოდა დაბუდებული, – მაგრამ ასევე მგონია, რომ უკეთური ხშირად სწორედ იმაში ფათურობს, რაც ერთი შეხედვით უმნიშვნელოა. ისე ათამაშებს საკუთარ მსხვერპლს, ისე მოაქცევს საქმეს, რომ ბრალი უდანაშაულოს დაედოს და ნეტარებს, როცა დამნაშავის ნაცვლად უმწიკვლოს დაგავს მარადიული ცეცხლი. მეტისმეტად გულმოდგინე ინკვიზიტორები ხშირად ძალით წაჰგლეჯენ ხოლმე აღიარებას ბრალდებულს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ კარგი ინკვიზიტორი ისაა, ვინც სამსჯავროს განტევების ვაცის პოვნით დააგვირგვინებს.

– ინკვიზიტორიც შეიძლება ეშმაკის კარნახით მოქმედებდეს, – თქვა უილიამმა.

– შესაძლოა, – თავშეკავებულად დაეთანხმა წინამძღვარი, – რადგან უზენაესის ნება შეუცნობელია, მაგრამ ჩემი საქმე არაა, ეჭვის ჩრდილი მივაყენო დამსახურებულ ადამიანებს. უფრო მეტიც, დღეს სწორედ თქვენ გთხოვთ დახმარებას, როგორც ერთ-ერთ მათგანს. ამ მონასტერში მოხდა რაღაც, რასაც გამჭრიახი და ფრთხილი კაცის გონება სჭირდება. გამჭრიახისა – აღმოსაჩენად და ფრთხილისა (თუ ამას საჭიროება მოითხოვს) – დასაფარავად. რა თქმა უნდა, ხშირად საჭიროა, იმათი ბრალეულობაც დამტკიცდეს, ვინც თავად უნდა იძლეოდეს სიწმინდის მაგალითს, მაგრამ ბოროტების მიზეზი ისე უნდა აღმოიფხვრას, რომ დამნაშავეს საზოგადოებამ თითი არ მიაშვიროს გაკიცხვის ნიშნად. ცოდვილი მწყემსი უნდა ჩამოაშორონ სამწყსოს, მაგრამ უბედურება მაშინ მოხდება, თუ ცხვრებმა საკუთარი მწყემსისადმი ნდობა დაკარგეს.

– გასაგებია, – მიუგო უილიამმა.

ადრევე შევნიშნე, ასე მოჭრილად მაშინ პასუხობდა, როცა არ ეთანხმებოდა გამოთქმულ მოსაზრებას ან დარწმუნებული არ იყო მასში, მაგრამ თავაზიანობის გამო არ ამხელდა ამას.

– ამიტომ, – განაგრძო წინამძღვარმა, – მიმაჩნია, რომ მწყემსის შეცოდების ყოველი შემთხვევა მხოლოდ თქვენნაირ ადამიანებს უნდა მიენდოს, რომელთაც არა მარტო ბოროტის კეთილისაგან გარჩევა ხელეწიფებათ, არამედ ისიც უწყიან, რის გახმაურება ხამს და რის – არა. ვიმეორებ, მესიამოვნა, რომ ბრალდებული დამნაშავედ მხოლოდ იმ შემთხვევებში გიღიარებიათ, როცა…

– …როცა ბრალდებული დანაშაულებრივ ქმედებებში – ბიწიერებაში, უწვერულ ყრმათა გახრწნაში და სხვა სიბინძურეში იყო მხილებული, რასაც ჩემი ბაგე ვერც კი წარმოთქვამს…

– …რომ ბრალდებული დამნაშავედ მხოლოდ მაშინ გიღიარებიათ, როცა… – წინამძღვარმა არ შეიმჩნია უილიამის ჩართვა, – ეშმაკის თანამონაწილეობა იმდენად აშკარა იყო, რომ მიტევება თავად დანაშაულზე საგანგაშო იქნებოდა.

– ყველას, ვინც კი დამნაშავედ გამომიცხადებია, – დააზუსტა უილიამმა, – იმდენად მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რომ მშვიდად შემეძლო გადამეცა სამსჯავროსათვის.

წინამძღვარი წამით შეყოყმანდა: – რატომ ცდილობთ, დანაშაულებრივ ქმედებას გაუსვათ ხაზი და მისი ეშმაკეული საწყისი არ ახსენოთ?

– იმიტომ, რომ მიზეზებისა და შედეგების განსჯა ფრიად რთული რამაა და განმსჯელი, მიმაჩნია, მხოლოდ შემოქმედი შეიძლება იყოს. ჩვენ ისეთ მარტივ, ხილული მიზეზსა და შედეგს შორისაც რის ვაივაგლახით ვამყარებთ კავშირს, როგორიცაა მეხი და მის მიერ დანაცარტუტებული ხე. უხილავ მიზეზთა და შედეგთა უგრძესი ჯაჭვების გამოკიდება კი ისეთივე უგუნურება მგონია, როგორიც ცამდე მიმავალი კოშკის აგების მცდელობა.

– აკვინელ[27] დოქტორს არ შეშინებია, ოდენ გონების ძალით დაესაბუთებინა უზენაესის არსებობა, ნაბიჯ-ნაბიჯ აჰყოლოდა თითოეულ მიზეზს იმ უზენაეს საწყისამდე, რომელიც

არაფრით არ იყო გამოწვეული.

– მე ვინა ვარ, – მოკრძალებით მიუგო უილიამმა, – რომ აკვინელ დოქტორს გავუტოლდე? თანაც მისეული დასაბუთება ღვთის არსებობისა უამრავი სხვა რამითაა განმტკიცებული. უფალი ჩვენი სულის წიაღში გვესაუბრება, ავგუსტინეც ხომ ამას გვეუბნებოდა, და თქვენ, მამაო, უფლის არსებას მაინც ადიდებდით, თომას რომ არ… – წამით შეჩერდა და დასძინა: – ასე მგონია…

– აჰ, რა თქმა უნდა, – საჩქაროდ წააშველა წინამძღვარმა. ასე კოხტად მოსხიპა უილიამმა ეს სქოლასტიკური კამათი, რომელიც, ჩანდა, სულაც არ ეპიტნავებოდა. მერე ისევ ალაპარაკდა: – სასამართლო საქმეებს დავუბრუნდეთ. დავუშვათ, კაცი მოიწამლა. ეს კონკრეტული ფაქტია. რაღაც უეჭველ ნიშანთა გამო შემიძლია წარმოვიდგინო, რომ მოწამლეს. ასეთ მარტივ მიზეზობრივ ჯაჭვებზე საკუთარი გონებისადმი რწმენითაც შემიძლია ვიმსჯელო. მაგრამ რა საჭიროა, გავართულო ეს ჯაჭვი და წარმოვიდგინო, რომ ბოროტება კიდევ სხვა ძალის ჩარევით მოხდა, თანაც არა ადამიანურის, არამედ – დემონურის? შეუძლებელი არაფერია, ეშმაკიც ხომ ისეთივე მკაფიო ნიშნებით ადასტურებს თავის არსებობას, როგორითაც თქვენი წაბლა. მაგრამ რატომ უნდა ვჩხრიკო ეს ნიშნები? განა არ კმარა, დამნაშავე გამოვავლინო და სამსჯავროს გადავცე? ყველა შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ელის, უფალმა მიუტევოს.

– როგორც ვიცი, სამი წლის წინ კილკენიში სასამართლოზე, რომელზეც რამდენიმე კაცს უმძიმეს დანაშაულში დაედო ბრალი, უარი არ გითქვამთ, რომ მათ ქმედებებში ეშმაკს ერია ხელი.

– მაგრამ არც დამიდასტურებია ეს. თუმცა, მართალია, უარიც არ მითქვამს. მე ვინა ვარ, რომ ბოროტის ქმედებები შევაფასო, განსაკუთრებით… – ჩანდა, დაჟინებით უნდოდა ამ მოსაზრების ხაზგასმა, – მაშინ, როცა ყველა, ვინც საქმეს აღძრავს – ეპისკოპოსი, საპატიო მოქალაქეები, ხალხი და, ალბათ, თავად ბრალდებულებიც – მოწადინებულია, მართლა შეიგრძნოს ეშმაკის ხელი? იცით, ეშმაკის არსებობის ერთადერთი დასტური, ალბათ, სწორედ ის თავგამოდებაა, რითაც ადამიანები ილტვიან ხოლმე მისი თანამონაწილეობის დასანახად.

– ესე იგი თქვენ, – შეშფოთება დაეტყო წინამძღვარს, – იმის თქმა გინდათ, რომ ზოგჯერ ეშმაკი მხოლოდ ბრალდებულებში კი არა, უფრო მეტად თავად მოსამართლეებშია?

– ფიქრობთ, ასეთი რამის თქმა შემიძლია? – გაიოცა უილიამმა და ვიგრძენი, რომ შეკითხვა ისე იყო დასმული, წინამძღვარი ვერაფრით ვერ ეტყოდა, შეგიძლიათო. უილიამმა კი მისი დუმილით ისარგებლა და საუბრის თემა შეცვალა. – მოკლედ, ეს ძველი ამბებია. კარგა ხნის წინ დავანებე თავი ამ საქმეს და მაშინაც მხოლოდ იმიტომ ვაკეთებდი ამას, რომ შემოქმედმა ინება ასე…

– უდავოდ, – დასძინა წინამძღვარმა.

– …ახლა კი, – განაგრძო უილიამმა, – სხვა ფაქიზ საკითხებზე ვმუშაობ. და თქვენს საქმეზეც დავფიქრდები, თუ მომიყვებით, რა გაწუხებთ.

მომეჩვენა, რომ წინამძღვარს ესიამოვნა საუბრის თემის შეცვლა. ფრთხილად, შემოვლით, სიტყვების შერჩევით დაიწყო რამდენიმე დღის წინ მომხდარი ამბის მოყოლა, რომელსაც ერთიანად დაერღვია მონასტრის სიმშვიდე. უთხრა, იმიტომ გიყვებით ამ ამბავს, რომ თქვენ, ადამიანთა სულებისა და დემონის ხრიკების უბადლო მცოდნემ, ნათელი მოჰფინოთ ამ შავბნელ და მტკივნეულ საიდუმლოსო. ამ რამდენიმე დღის წინ, დილაუთენია, მწყემსებს ციტადელის აღმოსავლეთ კოშკის ძირში ოტრანტოელი ადელმუსის, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული მხატვრის, მინიატურების უბადლო ოსტატის, გვამი ეპოვათ. სერობის ლოცვაზე მგალობელთა შორის ენახათ ბერებს ადელმუსი, ცისკრისაზე კი აღარ გამოჩენილიყო, ამიტომ ვარაუდობდნენ, რომ გვიან ღამით გადაჩეხილიყო კლდეზე. დასავლეთის ქარი მძვინვარებდა თურმე იმ ღამეს, სამართებელივით ბასრი ფანტელები სეტყვას უფრო ჰგავდა, ვიდრე თოვლს. ადელმუსის სხეული, კლდეზე ნახეთქები, უფსკრულის ძირში ყინულის ფილაქნად ქცეულ თოვლზე ეპოვათ დაგდებული. საბრალო, სუსტი მოკვდავი ქმნილება, ღმერთმა შეიფაროს მისი

სული. ცხადი იყო, ადელმუსი კოშკის გარე კედლებზე სამ წყებად განლაგებული, უფსკრულზე გამავალი ერთ-ერთი ფანჯრიდან იყო გადავარდნილი, მაგრამ ძნელი მისახვედრი იყო, რომელი სართულიდან, ისე დაესახიჩრებინა მისი სხეული კლდის შვერილებს.

– სად დაკრძალეთ საბრალო? – ჰკითხა უილიამმა.

– რა თქმა უნდა, სასაფლაოზე, – უპასუხა წინამძღვარმა. – ალბათ, შენიშნეთ, ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს, ციტადელსა და ბაღს შორისაა.

– გასაგებია, რაც გადარდებთ, – თქვა უილიამმა, – თუ იმ უბედურმა, ღმერთმა ნუ ქნას და, თავი მოიკლა (ვინაიდან შეუძლებელია, შემთხვევით გადავარდნილიყო), მეორე დღეს ერთ-ერთი ფანჯარა მაინც ღია დაგხვდებოდათ და ფილაქანზე სისველესაც შენიშნავდით.

ადრეც მოგახსენეთ, წინამძღვარი უაღრესად დიპლომატიური და თავშეკავებული კაცი იყო, მაგრამ ამჯერად გაოცებისგან ისე შეხტა, ნამდვილად რომ არ შეჰფეროდა არისტოტელესეულ დინჯ და ზნემაღალ ადამიანს.

– ვინ გითხრათ?

– თქვენ, – უთხრა უილიამმა. – ფანჯარა რომ ღია ყოფილიყო, მაშინვე იფიქრებდით, რომ თავი მოიკლა. როგორც გარედან შევნიშნე, დიდი, დაბინდულშუშებიანი ფანჯრებია და როგორც წესი, ასეთი ფანჯრები ამგვარ შენობებში ძალიან მაღალზეა, ადამიანი ვერ მისწვდება. ამრიგად, ფანჯარა ღია რომ ყოფილიყო (უბედური შემთხვევა გამორიცხულია, ის საბრალო ვერაფრით მიუდგებოდა ისე, რომ წონასწორობა დაეკარგა და გადავარდნილიყო), ერთადერთი ვარაუდი თვითმკვლელობა იქნებოდა. მაგრამ მაშინ ნაკურთხ მიწაზე არ დაკრძალავდით. რადგან ქრისტიანულად დაგიკრძალავთ, ჩანს, ფანჯრები დაკეტილი ყოფილა. ეშმაკეულთა საქმეებშიც არ შემხვედრია მიცვალებული, რომლისთვისაც ღმერთს ან ეშმაკს უფსკრულიდან ამოსვლის და საკუთარი დანაშაულის კვალის წაშლის ძალა მიეცა, ამრიგად, ცხადია, რომ უბედურს ხელი ჰკრეს, გნებავთ ადამიანმა, გნებავთ დემონურმა ძალამ. ახლა კი გსურთ, გაიგოთ, ვის შეეძლო, ხელი ეკრა მისთვის, უფრო სწორად, ფანჯრის რაფამდე აეზიდა მოკლულის სხეული, და შფოთავთ, რადგან ბუნებრივი თუ ზებუნებრივი ბოროტი ძალა ტრიალებს მონასტერში.

– ასეა… – ჩაილაპარაკა წინამძღვარმა, გაუგებარი იყო, უილიამის სიტყვებს ადასტურებდა თუ ცდილობდა, საკუთარი თავისთვის აეხსნა უილიამის გასაოცარი მსჯელობა. – კი, მაგრამ როგორ მიხვდით, რომ არც ერთ ფანჯარასთან სისველე არ ყოფილა?

– წეღან ბრძანეთ, დასავლეთის ქარი უბერავდაო და აღმოსავლეთის ფანჯრებში წყალს რანაირად შეასხამდა.

– ცოტა რამ მცოდნია თქვენს ღირსებებზე, – ჩაილაპარაკა წინამძღვარმა. – მართალი ხართ, სისველე არსად იყო და ახლა ვხვდები, რატომაც. სწორედ ისეა, როგორც ბრძანეთ. ახლა ხომ გესმით ჩემი შფოთვა. ისიც უმძიმესი იქნებოდა, ბერს თვითმკვლელობის მიუტევებელი ცოდვით დაემძიმებინა სული, მაგრამ ახლა ყველა მიზეზი მაქვს, ვიფიქრო, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ასევე შემზარავი ცოდვით შეიბილწა სული. ეჰ, თანაც ნეტავ მარტო ეს იყოს…

– ჯერ ერთი, რატომ ბერმა? მონასტერში უამრავი ვინმე ცხოვრობს: მეჯინიბეები, მწყემსები, მსახურები…

– მართალია, ჩვენი მონასტერი პატარაა, მაგრამ მდიდარი, – დაეთანხმა წინამძღვარი. – ას ორმოცდაათი მსახური და სამოცი ბერი გვყავს. მაგრამ ყველაფერი ციტადელში მოხდა. ალბათ, უკვე იცით, პირველ სართულზე სამზარეულო და სატრაპეზოა განთავსებული, ზედა ორი სართული კი სკრიპტორიუმსა და ბიბლიოთეკას უჭირავს. ვახშმის შემდეგ ციტადელი იკეტება და ყველას უმკაცრესად ეკრძალება იქ შესვლა, – აქ წინასწარ გამოიცნო უილიამის შეკითხვა და მაშინვე დაამატა დარდიანად: – ცხადია, ბერებსაც, მაგრამ…

– მაგრამ?

– მაგრამ გამოვრიცხავ, სრულიად გამოვრიცხავ, რომ მსახურთაგან ვინმეს გაებედა ღამით იქ შესვლა. – და მზერაში წამით მოწყვეტილი ვარსკვლავივით გაუკიაფა გამომწვევმა ღიმილმა. – შეეშინდებოდათ, გესმით… მდაბიოთ თუ რამე უბრძანე, ცოტათი უნდა დაემუქრო კიდეც, რომ წესის დამრღვევს რაღაც საშინელი შეემთხვევა და აუცილებლად – ზებუნებრივი. ბერი კი…

– გასაგებია.

– უფრო მეტიც, ბერს, შესაძლოა, სხვა მიზეზებიც ჰქონდეს საიმისოდ, რომ აკრძალულ ადგილას სცადოს შეღწევა, როგორ გითხრათ… გონივრულ მიზეზებს ვგულისხმობ… თუმცა კი წესის საწინააღმდეგოს…

უილიამმა შენიშნა წინამძღვრის უხერხულობა და სხვა შეკითხვა დაუსვა, ალბათ, საუბრის მიმართულების შესაცვლელად, უარესი უხერხულობა კი გამოიწვია.

– შესაძლო მკვლელობა რომ ახსენეთ, თქვით, ნეტავ მხოლოდ ეს იყოსო. რას გულისხმობდით?

– ასე ვთქვი? ჰო, იცით, უმიზეზოდ მკვლელობა არ ხდება, რაც უნდა ამაზრზენი იყოს. და ტანში მზარავს იმის წარმოდგენაზე, რას უნდა ებიძგა ბერისთვის, თავისი სულიერი ძმა მოეკლა. ამას ვგულისხმობდი.

– სხვას არაფერს?

– სხვას ვერაფერს გეტყვით.

– ანუ სხვა არაფრის თქმის უფლება არ გაქვთ?

– გთხოვთ, მამაო უილიამ, ძმაო უილიამ, – წინამძღვარმა გამოკვეთილად წარმოთქვა მამაც და ძმაც. უილიამი წამოწითლდა: – Eris sacerdos in aeternum.[28]

– გმადლობთ, – დასძინა წინამძღვარმა.

ჰოი, ზეციერო, რა შემზარავ საიდუმლოს შეეხნენ იმწამს წინდაუხედავი მამები, ერთი შფოთვით, მეორე კი ცნობისწადილით შეპყრობილი. მეც კი, უზენაესის იდუმალებათა შეცნობის გზაზე მყოფი უწვერული ყმაწვილი, მივხვდი, რომ წინამძღვარს აღსარებაში მოესმინა რაღაც ადელმუსის ტრაგიკულ აღსასრულთან დაკავშირებით. ამას სთხოვდა უილიამს, იმედი ჰქონდა, ჩემი მოძღვარი გონების ძალით ამოხსნიდა საიდუმლოს, რასაც თავად ვერ გაამხელდა, რაც რწმენის უზენაესი მოთხოვნით ჩრდილში უნდა დაეტოვებინა.

– კარგი, – თქვა მაშინ უილიამმა, – შემიძლია, ბერებს გავესაუბრო?

– შეგიძლიათ.

– შემიძლია, შეუზღუდავად ვიმოძრაო მონასტერში?

– სრულ უფლებას გაძლევთ.

– ამ უფლებამოსილებას coram monachis[29] მომანიჭებთ?

– ამ საღამოსვე.

– მაგრამ მე ახლავე შევუდგები საქმეს, სანამ ბერები გაიგებენ, რაც დამავალეთ. თან ერთი სული მაქვს, ბიბლიოთეკა მოვინახულო, რომელზეც ასეთი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ქრისტიანობის ყველა მონასტერში. ესეცაა ჩემი აქ ყოფნის ერთ-ერთი მიზეზი.

წინამძღვარი ლამის შეხტა, სახე დაეძაბა.

– გითხარით, მონასტერში თავისუფლად იმოძრავებთ-მეთქი, მაგრამ ციტადელის ბოლო სართული, ბიბლიოთეკა, არ მიგულისხმია.

– რატომ?

– ალბათ, თავიდანვე უნდა მეთქვა, მაგრამ მეგონა, იცოდით. მოგეხსენებათ, ჩვენი ბიბლიოთეკა სხვებს არ ჰგავს…

– ვიცი, რომ ყველა სხვა ქრისტიანულ ბიბლიოთეკაზე მდიდარია. მსმენია, რომ თქვენს ბიბლიოთეკასთან შედარებით ბობიოს, პომპოზის, კლიუნისა და ფლერის ბიბლიოთეკები ყრმის სამუშაო ოთახებია, წერა-კითხვის სწავლას ახლა რომ იწყებს. ვიცი, რომ ექვსი ათასი ტომი, რასაც ნოვალესა იკვეხნიდა ასი წლის წინ, თქვენი ბიბლიოთეკის საგანძურის წინაშე არარაა, უფრო მეტიც, მათგან ბევრი, ალბათ, ახლა აქ ინახება. ვიცი, რომ თქვენი ბიბლიოთეკა, ალბათ, ერთადერთი ნათელია, რომელიც ქრისტიანულმა სამყარომ შეიძლება დაუპირისპიროს ბაღდადის ოცდათექვსმეტ ბიბლიოთეკას, ვაზირ იბნ ალ-ალქამის ათი ათას ტომს, ვიცი, რომ თქვენთან იმდენივე – ორი ათას ოთხასი – ბიბლია ინახება, რამდენ ყურანსაც კაიროს ბიბლიოთეკა ითვლის. რომ თქვენი საგანძური ბრწყინვალე ჭეშმარიტებაა ამპარტავან ურჯულოთა დასადუმებლად, წლების წინ რომ ამაყობდნენ (და ყველამ ვუწყით, რაგვარად ეძმობილებიან სიცრუეს) ტრიპოლის ბიბლიოთეკის ვითომდა ექვსი მილიონი ტომით, ოთხმოცი ათასი განმმარტებლითა და ორასი გადამწერით.

– სწორედ ასეა, დიდება უფალს.

– ვიცი, რომ აქ მცხოვრებ ბერთაგან ბევრი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული მონასტრებიდანაა ჩამოსული: ვინ ცოტა ხნით, რათა უიშვიათესი ხელნაწერები გადაიწეროს და შემდეგ მათთან ერთად დაუბრუნდეს თავის საყუდელს. სანაცვლოდ კი სხვა, ასევე უიშვიათესი ხელნაწერები მოაქვთ თქვენთან, რომლებიც აქ გადაიწერება და თქვენს საგანძურს შეემატება; ბევრიც ხანგრძლივი დროით სტუმრობს თქვენთან და სიკვდილამდე აქ რჩება, რადგან მხოლოდ აქ შეუძლია, მოიძიოს ის ნაშრომები, რომლებიც მის ღვაწლს გააბრწყინებს. ვიცი, რომ გყავთ გერმანელები, დანიელები, ესპანელები, ფრანგები და ბერძნები. ვიცი, რომ მრავალი წლის წინ იმპერატორმა ფრიდრიხმა სწორედ თქვენ გთხოვათ მერლინუსის წინასწარმეტყველებათა წიგნის შედგენა და შემდეგ მისი არაბულად თარგმნა, რათა ძღვნად გაეგზავნა ეგვიპტის სულთნისთვის. ისიც ვიცი, რომ ისეთ სახელოვან მონასტერს, როგორიც მურბახია, ჩვენს ნაღვლიან დროში ერთი გადამწერიც აღარ ჰყავს, რომ სან-გალოში რამდენიმე ბერიღა შემორჩენილა წერა-კითხვის მცოდნე, რომ ახლა ქალაქებში იქმნება სწავლულთა კორპორაციები და გილდიები, რომლებიც უნივერსიტეტებისთვის მუშაობენ, მათ კი მხოლოდ თქვენი მონასტერი ამდიდრებს ცოდნით. რაღა გითხრათ? თქვენი ორდენის დიდება სულ უფრო იზრდება…

– „Monasterium sine libris, – წამოიშველია გამხნევებულმა წინამძღვარმა, – est sicut civitas sine opibus, castrum sine numeris, coquina sine suppellectili, mensa sine cibis, hortus sine herbis, pratum sine floribus, arbor sine foliis…“[30] და ჩვენი ორდენი, რომელიც სამუშაოსა და ლოცვის ორმაგ საძირკველზეა ნაშენი, მუდამ ნათელი იყო მთელი სამყაროსთვის, ცოდნის წყარო, ძველი დოქტრინის ხსნა, სამჭედლო ახალი დამწერლობისა და ამყვავებელი ძველისა, რომელსაც ხანძართა, მძარცველთა და მიწისძვრათაგან გაცამტვერება ემუქრებოდა… მაგრამ ახლა შავბნელ დროში ვცხოვრობთ. ღვთის ხალხი ვაჭრუკანობისა და დამაქუცმაცებელი ომების ფერხულში ჩაბმულა. დიდ დასახლებულ ცენტრებში, სადაც სიწმინდის სული ვერ დაიბუდებს, არა მხოლოდ ლაპარაკობენ (საეროთ სხვას ვერც მოსთხოვ), არამედ უკვე წერენ კიდეც მდაბიურ ენაზე და ღმერთმა ნუ ქნას, ამ წიგნებმა – მწვალებლობის საზრდომ – ჩვენს კედლებში შემოაღწიოს! კაცთა ცოდვათაგან სამყარო უფსკრულის პირასაა და მასშიც ასეთივე უფსკრული გაჩენილა… ხვალ, როგორც ჰონორიუსი ბრძანებდა, ადამიანის სხეული კიდევ უფრო დაჩიავდება. განა ჩვენც წინაპრებზე ტანმორჩილნი არა ვართ? Mundus senescit.[31] და ჩვენი ორდენის მისია უფლის წინაშე სწორედ ისაა, როგორმე წინ აღვუდგეთ უფსკრულში ვარდნას, დავიცვათ და შემოვინახოთ სიბრძნის საგანძური, რომელიც მამათ მოუნდიათ ჩვენთვის. ღვთიური ნება იყო, რომ ყოვლისმომცველ განმგებლობას, რომელიც სამყაროს შექმნიდან აღმოსავლეთში იყო, დროთა განმავლობაში დასავლეთით გადმოენაცვლა და სამყაროს აღსასრულის მოახლოება ენიშნებინა, ვინაიდან მოვლენათა სვლამ ზღვარს მიაღწია. მაგრამ იქამდე, სანამ ეს ათასწლეული მიიწურება, სანამ, თუნდაც მცირე ხნით, არ

იზეიმებს უძღები მხეცი, ანტიქრისტე რომ ჰქვია, ჩვენი ვალია, ვუდარაჯოთ ქრისტიანული სამყაროს საგანძურსა და თავად უფლის სიტყვას, ისე შევინახოთ, როგორც მან მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს გადასცა, როგორც წმინდა მამები იმეორებდნენ, როგორც სკოლები განმარტავდნენ მას. თუმცა დღეს თავად სკოლებში ჩაბუდებულა ამპარტავნობის, შურის, მრისხანების სისინა გველი. და კაცობრიობის ამ დაისზე ჩვენ კვლავ ვკიაფობთ ჰორიზონტზე და სანამ ეს კედლები გაუძლებს, მარად ვიდგებით მაცხოვრის სიტყვის სადარაჯოზე.

– დე ასე იყოს, – სასოებით დასძინა უილიამმა. – მაგრამ ეს ყველაფერი რა შუაშია იმასთან, რომ ბიბლიოთეკაში შესვლა არ შეიძლება?

– იცით, ძმაო უილიამ, – უთხრა წინამძღვარმა, – იმ დიადი წმინდა საქმის შესასრულებლად, ამ კედლებს რომ ასულდგმულებს, – და ციტადელის წვერისკენ ანიშნა თავით, რომელიც სენაკის ფანჯრიდან მოჩანდა, – მორწმუნეთ საუკუნეთა მანძილზე უშრომიათ უმკაცრესი წესების დაცვით. ბიბლიოთეკის გეგმა საუკუნეთა მანძილზე ყველასთვის უცნობი დარჩა და მისი გაგება ბერებს არ უწერიათ. მხოლოდ ბიბლიოთეკარმა იცის ყოველივე. ყოველ ბიბლიოთეკარს ერთი დამხმარე ჰყავს, რომელსაც საკუთარ ცოდნას გადასცემს და მის ადგილსაც ის დაიკავებს. ეს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკარის მოულოდნელმა სიკვდილმა მისი ცოდნა თან არ წაიღოს. ორივე მარადიული დუმილით იცავს საიდუმლოს. მხოლოდ ბიბლიოთეკარს აქვს წიგნთა ლაბირინთებში შესვლის უფლება, მან ერთმა იცის, საიდან აიღოს და სად დადოს წიგნი, მას ავალია წიგნების დაცვა, მათზე ზრუნვა. სხვა ბერები სკრიპტორიუმში მუშაობენ და შეუძლიათ ნახონ იმ წიგნების სია, რომლებიც ბიბლიოთეკაში ინახება. თუმცა ხშირად სათაური ბევრს არაფერს ამბობს და მხოლოდ ბიბლიოთეკარმა იცის, წიგნის ადგილმდებარეობის მიხედვით, რა საიდუმლოს, ცნობასა თუ სიცრუეს ინახავს მისი ფურცლები. ის წყვეტს, მიაწოდოს თუ არა ესა თუ ის წიგნი ბერს და ხანდახან წინასწარ მეც მითანხმდება. ეს იმიტომ, რომ ყოველი ჭეშმარიტება როდია ყველას ყურთათვის ისევე, როგორც ყოველი მოკვდავი ერთნაირად არ ხედავს სიცრუეს. ბერები კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად სხედან სკრიპტორიუმში და ამისთვის ყველანაირი საკითხავი სულაც არ სჭირდებათ. მათი საქმე არაა ცნობისწადილი, რომელიც ამპარტავნობით, გონებრივი სისუსტით ან, გნებავთ, ეშმაკის კარნახით შეუჩნდებათ.

– მაშ, ისეთი წიგნებიც ინახება ბიბლიოთეკაში, სიცრუეს რომ შეიცავს?

– ურჩხულები იმიტომ არსებობენ, რომ ისინიც ღვთიური ჩანაფიქრის ნაწილია და მათ უკეთურ ნამოქმედარშიც ვლინდება შემოქმედის ძალა. ასევე ღვთის ნებით არსებობს მაგიის წიგნები, იუდეველთა კაბალა, წარმართ პოეტთა იგავები, ურჯულოთა ზღაპრები. ისინი, ვინც ეს მონასტერი დააარსა და აცოცხლა საუკუნეთა მანძილზე, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სიცრუის შემცველ წიგნებშიც შეიძლება, ბრძენი მკითხველის თვალწინ ღვთიური სიბრძნის ნათელი გაკრთეს. ამიტომაა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა ასეთ წიგნებსაც ინახავს. მაგრამ გესმით, ალბათ, სწორედ ამიტომაა დაუშვებელი იქ განურჩევლად ყველას შეშვება. თანაც, – დასძინა წინამძღვარმა ისე, თითქოს იბოდიშებდა მოყვანილი საბუთების არადამაჯერებლობის გამო, – წიგნი ფაქიზი ქმნილებაა, ცვდება, ძნელად უძლებს დროს, მღრღნელებს, უხეშ მოპყრობას, მოუქნელ ხელებს, უამინდობას. ასწლეულების მანძილზე ყველას რომ შეძლებოდა, ჩვენს წიგნებს შეხებოდა, მათი დიდი ნაწილი საერთოდ აღარ იარსებებდა. ამრიგად, ბიბლიოთეკარი წიგნებს არა მარტო ადამიანებისგან იცავს, არამედ ბუნებისგანაც და საკუთარ სიცოცხლეს უძღვნის ჭეშმარიტების მტრის – წარმავალობის – წინააღმდეგ ბრძოლას.

– ამრიგად, ორი ადამიანის გარდა, ვერავინ მოხვდება ციტადელის ბოლო სართულზე…

წინამძღვარმა გაიღიმა: – არ უნდა მოხვდეს. ვერ მოხვდება. რომც მოიწადინოს, ვერ შევა. ბიბლიოთეკა თავად იცავს საკუთარ თავს, მიუწვდომელი და ამოუცნობი, როგორც თავად ჭეშმარიტება, რომელსაც იცავს და მატყუარა, როგორც ის სიცრუე, რომელსაც სდარაჯობს. სულიერი ლაბირინთი, ამავე დროს, მიწიერი ლაბირინთიცაა. შეიძლება, შიგ შესული უკან ვეღარ გამოვიდეს. ასე რომ, ვიმედოვნებ, თქვენც დაიცავთ მონასტრის წესებს.

– მაგრამ ხომ არ გამორიცხავთ, რომ ადელმუსი, შესაძლოა, ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ფანჯრიდან გადავარდნილიყო. თუ ასეა, როგორ ვიმსჯელო მის სიკვდილზე, თუ მისი აღსასრულის ადგილს არ ვნახავ?

– ძმაო უილიამ, – შემრიგებლური ტონით უპასუხა წინამძღვარმა, – კაცს, რომელმაც უნახავად აღწერა ჩემი წაბლა ცხენი და ადელმუსის სიკვდილი ისე, რომ წინასწარ არაფერი იცოდა, არ გაუჭირდება, იმ ადგილზეც იმსჯელოს, სადაც ვერ შევა.

უილიამმა თავი დაუხარა: – ბრძენი ხართ, თუმცა მკაცრი. როგორც გენებოთ.

– თუ რამე მცხია სიბრძნის, იმიტომ, რომ სიმკაცრე შემიძლია, – მიუგო წინამძღვარმა.

– კიდევ ერთი რამ, – თქვა უილიამმა, – უბერტინუსი?

– აქაა. გელოდებათ. ეკლესიაში დაგხვდებათ.

– როდის?

– ყოველთვის, – გაიღიმა წინამძღვარმა. – მოგეხსენებათ, თუმცა ძალიან განსწავლულია, ბიბლიოთეკის დიდი მოყვარული არ გახლავთ. ამ საუკუნის საცდურად მიაჩნია წიგნი. ძირითადად ეკლესიაშია, ფიქრობს, ლოცულობს...

– მოხუცია? – წამით შეიცადა და მერე ჰკითხა უილიამმა.

– რამდენი ხანია, არ გინახავთ?

– მრავალი წელია.

– დაიქანცა. ყოველივე ამქვეყნიურს ჩამოშორდა. სამოცდარვა წლისაა, მაგრამ ვფიქრობ, სული ჯერ კიდევ ყმაწვილის შერჩა.

– ახლავე ვნახავ, გმადლობთ.

წინამძღვარმა ჰკითხა, საძმოს ხომ არ შეუერთდებით სატრაპეზოდ მეექვსე ჟამის შემდეგო. უილიამმა უპასუხა, ახლახან გეახელით და მირჩევნია, უბერტინუსი ვნახოო.

წინამძღვარი დაემშვიდობა.

სენაკიდან რომ გადიოდა, ეზოდან გულის გამგმირავი კივილი მოისმა. სასიკვდილოდ განწირულის ყვირილს ჰგავდა. პირველს მეორე მოჰყვა, მერე კიდევ სხვა.

– რა არის?! – შეცბა უილიამი.

– არაფერი, – გაიღიმა წინამძღვარმა, – ამ დროს ღორებს კლავენ. ეს მეღორეების საქმეა. თქვენ სხვა სისხლით მოგიწევთ დაინტერესება.

წინამძღვარი გავიდა. უმტყუნა გამჭრიახობამ, რადგან მეორე დილით... მაგრამ, დაოკდი, სულსწრაფო ენავ! დაღამებამდეც ბევრი რამ მოხდა, რაც, ხამს, გიამბოთ.

მეექვსე ჟამი

სადაც ადსო ეკლესიის კარით აღფრთოვანდება, უილიამი კი კაზალელ უბერტინუსს მოინახულებს

ეკლესია სტრასბურგის, შარტრის, ბამბერგისა და პარიზის ტაძრებივით შთამბეჭდავი არ იყო: იტალიური ტაძრების ყაიდაზე ნაშენს, მიწაზე მყარად დაბჯენილს, უფრო განიერი ეთქმოდა, ვიდრე მაღალი. გარედან ორნაწილიანი ჩანდა: ერთ მხარეს კვადრატული

ქონგურები დაჰყვებოდა და მასზე თითქოს მეორე შენობა ამოზრდილიყო, რომელსაც კოშკს ვერც დაარქმევდი, უფრო მეორე ეკლესიას ჰგავდა, ტანმსხვილ სამრევლო ეკლესიას, წაწვეტებული სახურავითა და პირქუში ფანჯრებით, როგორსაც ძველად აშენებდნენ პროვანსსა და ლანგედოკში. თანამედროვე მოჩუქურთმებული ეკლესიებისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ვფიქრობ, შედარებით გვიანდელი დამატებული მხოლოდ მგალობელთა სადგომის თავზე ზეცისკენ ატყორცნილი წვეტი ჰქონდა.

შესასვლელთან მდგარი სვეტები თაღს ქმნიდა, მათგან კი დათაღული ღიობები მიდიოდა ნამდვილი შესასვლელისკენ, სიღრმეში უფსკრულივით რომ მოჩანდა. ისიც თაღით იყო დახურული, რომელიც აქეთ-იქიდან ბურჯებს ეყრდნობოდა. ქვის სვეტი შესასვლელს ორად ყოფდა და მის ორივე მხარეს ლითონით შეჭედილი მუხის კარები ეკიდა. დღის იმ დროს ფერმკრთალი მზე ზევიდან სცემდა სახურავს და სინათლე ისე ეცემოდა ფასადს, რომ შესასვლელს არ ანათებდა: ბურჯებს გავცდით თუ არა, მაშინვე ბნელში აღმოვჩნდით. აქეთ-იქით მცირე თაღების მწკრივები იყო ჩარიგებული. პირველი, ყველაზე დაბალი სვეტი შემდეგს – უფრო შემაღლებულს – თაღით უკავშირდებოდა, ის – თავის მომდევნოს და ასე შემდეგ. როცა თვალი სიბნელეს შეეჩვია, ამოტვიფრული ქვის მუნჯი მეტყველება გადამეშალა თვალწინ, შთამბეჭდავი მზერისა და ფანტაზიისათვის (რამეთუ pictura est laicorum literatura[32]). ისეთ სახილველს შევცქეროდი, რომლის აღწერას ჩემი უბადრუკი ენა დღესაც ვერ ახერხებს.

ზეცას დაბრძანებული ტახტი მოჩანდა და ტახტზე მჯდომი, მკაცრი, უგრძნობსახიანი, ფართოდ გახელილი თვალებით, შემმუსვრელი მზერით დაჰყურებდა მიწიერ სამყაროს. სიმეტრიულად გაყოფილი მეფური თმა-წვერი წყლის ჭავლივით სცემდა მკერდზე. თავზე მომინანქრებულ-მომარგალიტებული გვირგვინი ედგა, ოქრო-ვერცხლით ნაქარგი საიმპერატორო მეწამული სამოსი ფართო ნაკეცებად ეფინებოდა კალთაზე. მარცხენა ხელი, რომელშიც დახურული წიგნი ეჭირა, მუხლებზე ედო, მარჯვენა კი ზევით აღემართა მუქარისა თუ კურთხევის ნიშნად. ჟრუანტელის მომგვრელი სილამაზის, აყვავებული, ჯვრიანი შარავანდედი სახეს უნათებდა და დავინახე, როგორ ბრწყინავდა მის თავზე და ტახტის გარშემო ზურმუხტისფერი ცისარტყელა. მის ფეხებთან ბროლის ზღვა ლივლივებდა და ტახტის ირგვლივ ოთხი შემზარავი ცხოველი იყო გამოსახული. შემზარავი ჩემთვის, მონუსხულივით რომ მივჩერებოდი, თორემ მის წინაშე მორჩილნი და თვინიერნი ჩანდნენ.

თუმცა ყველა ფიგურა შიშის მომგვრელი არ იყო. სანდომიანი მეჩვენა ჩემგან მარცხნივ (და ტახტის მარჯვნივ) გამოსახული კაცი, რომელიც წიგნს აწვდიდა მას. სრულიად ამაზრზენი იყო საპირისპირო მხარეს გამოსახული ვეებერთელა არწივი, ბრტყელნისკარტა, ბუმბულგაფშეკილი, მძლავრკლანჭიანი, გაფარჩხულფრთიანი. მის ფეხებთან კიდევ ორი ფიგურა იყო გამოსახული, ხარი და ლომი, წიგნები ეჭირათ, ერთს – ჩლიქებით, მეორეს – ბრჭყალებით, თავი ტახტისკენ მიექციათ, ყბადაფჩენილებს კისერი და მხრები უცნაურად დაგრეხოდათ, თითქოს აგონიაში იყვნენ, ფერდები უფეთქავდათ, ქვეწარმავალივით დახვეული კუდებით ცეცხლოვან ალებს ისროდნენ. ორივე ფრთოსანი იყო, შარავანდედით მოსილი: იერის მიუხედავად, ჯოჯოხეთის ბინადარნი კი არა, ზეციური ქმნილებები იყვნენ, შემზარავები კი იმიტომ ჩანდნენ, რომ ბრდღვინავდნენ მკვდართა და ცოცხალთა განკითხვის დღის მოლოდინში.

ტახტისა და ოთხი ცხოველის აქეთ-იქით, მის ფეხებთან, რომლებიც გამჭვირვალე ბროლის წყლის ქვეშ მოჩანდა, ოცდაოთხი უხუცესის სხეული თითქმის მთლიანად ავსებდა მხედველობის არეს. პირამიდისებურად იყვნენ განლაგებული: ქვევით შვიდ-შვიდი, მერე – სამ-სამი და ბოლოს – ორ-ორი, მომცრო ტახტებზე ისხდნენ, თეთრ სამოსელში, ოქროს გვირგვინებით შემკულნი. ზოგს ხელში ქნარი ეჭირა, ზოგს – ნელსაცხებლებით სავსე თასი. ერთი უკრავდა მის სადიდებლად, დანარჩენები კი გატაცებით უსმენდნენ. სხეულები მათაც უცნაურად მოეგრიხათ, რაღაც უცნაურ, გონმიხდილ როკვას ჰგავდა მათი მოძრაობა – ალბათ, ასე თუ იცეკვა დავითმა აღთქმის კიდობანთან. სხეულის ნებისმიერი მოძრაობისას თვალის გუგები, ბუნების კანონთა საწინააღმდეგოდ, ერთ წერტილზე მიჯაჭვოდათ. გამაოგნებელი, თავდავიწყებული, ზებუნებრივი და ჯადოსნური იყო ამ მისტიკური ენით განსხეულებული მიხვრა-მოხვრა: უწონო სხეულები, ერთმანეთში ჩაღვრილ-

ჩახლართული, ნივთიერების რაღაც ახალ ფორმად ქცეულიყვნენ, თითქოს წმინდა სხეულთა ჯგუფი ქარს, სიცოცხლის მობერვას, ნეტარების ჟრუანტელს, ბგერიდან სასწაულებრივ ხატად გარდაქმნილს – გალობის სიტკბოებას – წარეტაცოს.

სულიწმიდით გაცოცხლებული, აღმოჩენით გაცისკროვნებული სხეულები, განცვიფრებით შეცვლილი სახეები, შთაგონებული მზერა, სიყვარულით აფაკლული ღაწვები, ნეტარებით განაბული თვალები… ზოგი – საამო დათრგუნულობით განგმირული და ზოგიც – დათრგუნული სიამოვნებით გატრუნული, გაყმაწვილებულნი, სახემომღერალნი, სამოსალივლივებულნი, ნაკვთდაძაბულნი, მარადიული ქებათა ქების ღიმილით ბაგეშეხსნილნი გალობდნენ ახალ სადიდებელს. უხუცესთა ფეხებთან, მათ გარშემო, ტახტის ირგვლივ კი ერთმანეთში იხლართებოდა ყვავილები, ფოთლები, ბუჩქები, პწკალები, ბალახბულახი და ყოველივე სამშვენისი ზეციური და მიწიერი ბაღნარებისა: ია, ტყის ცოცხი, აბრეშუმა, კვლიავი, შროშანა, დუმფარა, ღიღილო, ნარგიზი, ტარო, აკანთო, მალობატრი, ზეთოვან-სურნელოვანი მცენარეები – ოსტატის უზადო ხელით მიმობნეულნი, ერთგვარნი მრავალფეროვნებაში და მრავალგვარნი ერთიანობაში, ერთადერთნი ნაირგვარობაში და სხვადასხვაგვარნი apta coadunatio[33], ნაწილთა აღმაფრთოვანებელი შეხამებით, ფერთა ხალისიანი გატრუნულობით, სადარნი კითარის სიმთა გასაოცარი ჰარმონიისა, ღრმა შინაგანი ძალით მიმართულნი ორაზროვნებათა მონაცვლეობით თამაშში ერთაზრის მისაკვლევად, ვითარცა სართავ-სამკაული და ერთობა ყოფიერებასთან მოურგებელ და ამავე დროს წარმოუდგენლად ყოფიერ არსებათა, პირმშონი ზეციური და მიწიერი კანონებით გამყარებული სიყვარულისა (მარადიული პირობა და მტკიცე კავშირი მშვიდობის, სიყვარულის, ნიჭის, წყობილების, ძალაუფლების, წესრიგის, პირველსაწყისის, სიცოცხლის, ნათელის, ბრწყინვალების, სახეობისა და სახებისა), ვით თვალისმომჭრელი ოსტატობით ერთგვაროვან მასალაში ამოტვიფრული მრავალფეროვნება.

და მაშინ, როცა სული ჩემი, იმ მიწიერი სილამაზითა და მედიდური ზებუნებრივი ნიშნებით გატაცებული, სიხარულის საგალობლად ლამობდა დაღვრას, უხუცესთა ფეხებთან ვეებერთელა აყვავებული ვარდების რიგისკენ გამექცა თვალი და თაღის მზიდ სვეტს შეზრდილ-შეხორცებული, გადაგრეხილი ფიგურები დავინახე. ნეტავ რა იყო ან რა სიმბოლურ შინაარსს ატარებდა ის ერთმანეთზე ჯვრისებურად გადაწნული, მორკალული სამი წყვილი ლომი? ორფეხებივით რომ წამომდგარიყვნენ, მუქარით აღრენილნი, სვეტს შემოსალტულ ხვიარა მცენარეთა გორგალში ჩაქსოვილ-ჩახლართულნი, წინა თათებით ერთიმეორეს რომ დაბჯენოდნენ ზურგზე და აბურძგნული ფაფრის ხვეულები დაკლაკნილ ქვეწარმავლებს მიუგავდათ? ალბათ, ჩემი სულის დასამშვიდებლად თუ ლომების ეშმაკეული ბუნების დასათრგუნად, ან მათ რაღაც უზენაეს შინაარსზე სიმბოლურად მისანიშნებლად, სვეტის კიდეებზე ადამიანის ორი ფიგურა იყო გამოსახული, არაბუნებრივად წაგრძელებული, სვეტის მთელ სიმაღლეზე აწელილი, მათ პირდაპირ, გვერდით ბურჯებზე, მუხის კარების ჩარჩოებთან – კიდევ ორი, მათივე მსგავსი. ოთხი უხუცესი ჩაცმულობითა და აღკაზმულობით პეტრედ, პავლედ, იერემიად და ესაიად შევიცანი. ისინიც უცნაურად ამოძრავებულიყვნენ, თითქოს საცეკვაოდ, გრძელი, ძვლიანი, თითებგაშლილი ხელები ფრთებივით ზეაღემართათ, ფრთებივით მოუჩანდათ წინასწარმეტყველური გრიგალით წამოშლილი თმა-წვერიც, აზიდულ ფეხებზე ტალღებად სცემდათ უგრძესი სამოსი, თითქოს უპირისპირდებოდნენ ლომებს, თუმცა იმავე თიხით იყვნენ ნაძერწი. ის იყო, დავაპირე, დავხსნოდი წმინდა სხეულთა და ჯოჯოხეთურ ნაკვთთა ამ იდუმალ პოლიფონიას, რომ კარიბჭის გვერდით, თაღებქვეშ, ბურჯებზე, კოხტა სვეტებს შორის, თაღებს რომ იჭერდა და თან ამშვენებდა, ტყის ტევრივით დატოტვილ-დაბურულ მცენარეულ საფარში თვალისთვის შემზარავი სანახაობანი შევნიშნე, რომელთა არსებობასაც ასეთ ადგილას მხოლოდ მათი პარაბოლური და ალეგორიული ძალა და მათში ჩადებული მორალური სწავლება თუ გაამართლებდა: ავხორცი, დედიშობილა დიაცის სხეულს, ფაშვგაბერილ, ხვლიკისფეხება, სლიკინაბალნიან სატირს რომ ეჯვარებოდა, უწმინდური გველ-გომბეშო დასეოდა, სისხლს სწოვდა და ხორცს აგლეჯდა; საკუთარი თავის წყევლა-კრულვას გაღმუოდნენ ავხორცნი. ძუნწს, მდიდრულ საწოლში გაქვავებულს, ეშმაკები სულს ჰგლეჯდნენ პირიდან ჩვილი ბავშვის სახით (ვაი, რომ ვეღარასოდეს დაუბრუნდებოდა მარადიულ ცხოვრებას); ამაყს ბეჭებზე დემონი შეხტომოდა და ბრჭყალებით თვალებში ჩაფრენოდა; ნაყროვანნი ამაზრზენად გლეჯდნენ ერთმანეთის სხეულს. თხისთავიანი, ლომისბალნიანი, ჯიქისკლანჭება ქმნილებები

ცეცხლის ალში გახვეულიყვნენ, სიმხურვალის შეგრძნება ლამის კანზე გადმოგდიოდა ამის შემყურეს. მათში უამრავი სხვა სხეული და სახე ირეოდა: ქალი და მამაკაცი თმებში ჩაფრენოდნენ ერთმანეთს; ორი ასპიტი თვალებს სწუწნიდა შეჩვენებულს; ვიღაც კბილთა ღრჭენით ცდილობდა, შემოეხსნა ტანზე შემოჭდობილი ჰიდრის საცეცები... სატანის ცხოველთა წიგნის ყველა არსება, ტახტის გარშემო შემოკრებილი, საკუთარი მარცხით ადიდებდა ტახტზე მჯდომს: ფავნები, ორსქესიანი არსებები, ექვსთითა ურჩხულები, ქალთევზები, კენტავრები, გორგონები, ჰარპიები, დრაკონები, მინოტავრები, ლეოპარდები, ფოცხვერები, ქიმერები, ნესტოებიდან ცეცხლის ოხშივარის მფრქვეველი ძაღლისთავა მღრღნელები, ღრჯოლიანი მრავალკუდები, ბალნიანი ქვეწარმავლები, სალამანდრები, გველკუები, რქოსანი გველგესლები, ორთავა ზურგდაკბილული ჯოჯოები, აფთრები, წავები, ყვავ-ყორნები, ნიანგები, ჭაობის ქერცლოვანი ბინადრები, ბაყაყ-გომბეშოები, ხვლიკები, მაიმუნები, ძაღლისთავიანები, ბანჯგვლიანები, ჩხრიალა გველები, სვავები, თრითინები, სინდიოფალები, ჭოტები, ოფოფები, ბასილისკოები, მორიელები, ნიჟარიანები, წითური ცხენები, ვეშაპები, მახრჩობელა გველები, ამფიბიები, მწვანე ხვლიკები, მცოცავნი, მხოხავნი, ტკიპები, პოლიპები, მურენები და ბაკნიანები. ქვესკნელის ბინადარნი, არმაგედონის მსხვერპლნი, თითქოს უდაბურ ტევრად შემორტყმოდნენ გარს ტახტზე დაბრძანებულს, იმედის მომცემსა და მრისხანეს, მას, რომელიც მოვიდოდა ცოცხალთა და მკვდართა საუკუნოდ გასაყოფად. შიშით გაქვავებულს (თითქმის) ამ სანახაობით, ვეღარ გამეგო, წმინდა ადგილას ვიყავ თუ უზენაესი სამსჯავროს წინაშე, გული ამიჩუყდა და ძლივს შევიკავე ტირილი, თითქოს (თუ მართლა?) ის ხმა ჩამესმა, ის სახეები დავლანდე, ჩემი მორჩილობის წლებს, ყრმობასა და სიყმაწვილეს, რომ ახლდა. გამახსენდა ნორჩობაში წაკითხული პირველი წმინდა წიგნები, მელქის ტაძარში ფიქრში გატარებული ღამეები და სუსტს, დაუძლურებულს და თითქმის გონმიხდილს უძლიერესი, საყვირისებრი ხმა ჩამესმა: „რომელსა-ესე ჰხედავ, დაწერე წიგნსა შინა“ (რასაც ახლა ვიქმ), და ვიხილე ოქროს შვიდი სასანთლე და მათ შორის მსგავსი კაცის ძისა: მკერდზე ოქროს სარტყელშემოვლებული, სპეტაკი თმა-წვერით, აალებული მზერით, თითქოს ღუმელში გავარვარებული სპილენძის ფეხებით. ხმა წყალთა ხუილს მიუგავდა, მარჯვენაში შვიდი ვარსკვლავი ეპყრა და ბაგეთგან ორლესული მახვილი გამოსდიოდა. და ვიხილე ცაში გაჭრილი კარიბჭე და ის, ვინც ტახტზე იჯდა, მეჩვენა, ვითარცა იასპი და სარდონიქსი. ტახტს ცისარტყელა შემოხვეოდა და მისგან ელვა და ქუხილი იფრქვეოდა. და ტახტზე მჯდომმა ხელთ იპყრა ბასრი ნამგალი და დაიქუხა: „მიყავ ნამგალი ეგე შენი და მომკე, რამეთუ მოვიდა ჟამი მკისა, და განხმა სამკალი იგი ქუეყანისაი“, და მიმართა ნამგალი და მოიმკა მიწა.

მაშინ მივხვდი, რომ ეს ხილვა იმაზე მიანიშნებდა, რაც მონასტერში ხდებოდა, იმაზე, რაც სიტყვამომჭირნე წინამძღვრისგან შევიტყვეთ. მომდევნო დღეებში არაერთხელ დავბრუნდი შესასვლელის დასათვალიერებლად და მივხვდი, რასაც გადმოსცემდა, მივხვდი, იქ იმისათვის ვიყავით, რომ შევქმნილიყავით მოწმენი უდიდესი ზეციური ხოცვა-ჟლეტისა.

ამაკანკალა, თითქოს ზამთრის ყინულოვან წვიმაში ვდგარიყავი. და ისევ მომესმა ხმა, მაგრამ უკვე სხვაგვარი. უკნიდან, მიწიდან, მოდიოდა და არა ჩემ თვალწინ გადაშლილი გამაოგნებელი სანახაობიდან, მეტიც, ამ ხმამ სრულიად გააქრო ხილვა, და უილიამიც (მაშინღა შევნიშნე, რომ იქ იყო), იქამდე ფიქრებში ჩაძირული, მიტრიალდა.

არსება, რომელიც ზურგს უკან გვედგა, ბერს ჩამოჰგავდა, თუმცა ჭუჭყიანი და დაფლეთილი სამოსი უფრო მათხოვარს ამსგავსებდა. ეშმაკს არასოდეს გადავყროდი, ჩემი სულიერი ძმებისგან განსხვავებით, მაგრამ მგონია, თუ ოდესმე გამომეცხადება, სწორედ ჩვენი თანამოსაუბრის სახე ექნება. თავზე თმა არ ჰქონდა, მაგრამ აღთქმის გამო კი არა, აშკარად კანის რაღაც ამაზრზენი სნეულება გადაეტანა. თითქმის უშუბლო იყო და თმა რომც ჰქონოდა, აბურძგნილ წარბებთან ექნებოდა შეზრდილ-გაერთიანებული. მრგვალ თვალებში პაწია, მკვირცხლი გუგები დაუხტოდა და ვერ ვიტყვი, უმწიკვლო იყო მისი მზერა თუ ბიწიერი, ალბათ, ორივე, უფრო სწორად – ხან ერთი და ხანაც მეორე. ცხვირის ნაცვლად თვალებს შუა მოკლე ძვალი ამოსჩროდა, ნესტოების ადგილზე კი ბალნით სავსე ვეებერთელა ნახვრეტები ჰქონდა. ფართო, უშნო, მარჯვნივ მოღრეცილი პირი ცხვირს ნაჭრილობევით უკავშირდებოდა, ზედა ტუჩი საერთოდ არ ჰქონდა, ხორციანი ქვედა ტუჩი კი ლაშივით გადმობრუნებოდა. მათ შორის ოღროჩოღროდ

გამოსჩროდა უშავესი წვეტიანი, ძაღლის კბილები.

კაცმა გაიღიმა (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა) და თითი აღმართა გამაფრთხილებლად: – ინანქმედებდეთ! იხილო გველი, დაგიგლიჯოს სული ნაფლეთად! დაგვყუდებია თავზე სიკვდილი! ილოცვიდენით, გადმოვიდოდეს ნეტარი პაპი და გიხსნიდეს ცოდვათ ბილწისგან! ჰა, ჰა! ვინც იხარობთ სიკვდილებას მეუფის ჩვენის იესო ქრისტეს! მხიარულობდის ესე ნაღველი, სიყვარული კი ნაღვლიანობდის! მომწყდი, სატანო! ლოცვაში ჩასაფრებულო, ნუ დამკბილ-დამძიძგნე ხორცი ტანიდან! ჭკვა ხმარებია სალვატორეს, შტერი როდია! კეთილ მონასტერს შეკედლებია, აქ სახლობს, აქ ჭამს, აქავ ლოცულობს. სხვა ჭირს წაეღოს ყოველივე, ჩირის ფასია. და ამინ. არა?

კვლავაც მომიწევს, ვახსენო ეს არსება და მისი სიტყვებიც მოვიგონო. ვაღიარებ, ძალიან მიჭირს, რადგან ვერც ახლა გეტყვით, ვერც მაშინ გავიგე, რა ენაზე ლაპარაკობდა. მონასტრის სწავლულთა ლათინური არ იყო, მაგრამ არც იმ მხარის მდაბიოთა ენა იყო და არც რომელიმე სხვა, ოდესმე ყურმოკრული ხალხური ენა. ვეცადე, გადმომეცა (როგორც მახსოვს და როგორც მოვახერხე) მისი პირიდან გაგონილი პირველი სიტყვები. მოგვიანებით შევიტყვე სალვატორეს თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრების შესახებ, ის, რომ ბევრგან ეცხოვრა, ფეხი კი ვერსად მოეკიდა და მივხვდი, რომ სალვატორე ყველა ენაზე ერთად ლაპარაკობდა და თან – არც ერთზე. რაღაც საკუთარი ენა მოეგონებინა და მასში ახლართავდა სიტყვებს და გამოთქმებს იმ ენებიდან, რომლებსაც ოდესმე გაჰკარებოდა. ერთხელ ისიც კი ვიფიქრე, რომ მისი ენა ადამის ენა კი არ იყო, რომელზეც ბედნიერი კაცობრიობა ერთხმად მეტყველებდა ბაბილონის გოდოლამდე ან მისი საბედისწერო დახლეჩით წარმოქმნილ ენათაგან რომელიმე, არამედ – სწორედ ბაბილონური ენა, ღვთიური სამსჯავროს პირველი დღისა, პირველსაწყისი ქაოსის ენა. სალვატორეს მეტყველებას ენას ვერც დაარქმევდი, ვინაიდან ყველა ადამიანურ ენაში არსებობს წესები და ყოველი სიტყვა ad placitum[34] რაღაცას ნიშნავს, უცვლელ კანონთა თანახმად, რადგან ადამიანი ძაღლს ხან ძაღლს და ხანაც კატას ვერ უწოდებს, ვერც ისეთი ბგერებით და ბგერათა ერთობლიობით გამოხატავს სათქმელს, რომელთათვისაც კაცთა ერთობას გარკვეული შინაარსი არ მიუცია. და მაინც ასე თუ ისე ვხვდებოდი, რას ამბობდა სალვატორე, ეს კი ნიშნავდა, რომ ერთ ენაზე კი არა, ყველაზე ერთად ლაპარაკობდა და არც ერთზე – სწორად. ზოგ სიტყვას ერთიდან იღებდა, ზოგს – მეორიდან. ისიც შევნიშნე, რომ ხან ლათინურიდან ამოგლეჯდა რაღაცას, ხან პროვანსულიდან, მისი წინადადებები შეერთებულ-შეკოწიწებული იყო, disiecta membra[35] აქა-იქ, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მოსმენილი ფრაზებისა. ამა თუ იმ კერძზე ლაპარაკი მხოლოდ იმ ხალხის ენაზე შეეძლო, ვისთანაც ეგემა ის კერძი, სიხარულს იმათი სიტყვებით გამოხატავდა, ვინც ოდესმე გახარებული ენახა. მისი მეტყველება ისეთივე იყო, როგორიც მისი სახე – სხვადასხვა სახეებიდან აგლეჯილ ნაკვთთა გროვა, იმ საგანძურებს ჰგავდა (si licet magnis componere parva[36] ან ღვთიურს – ეშმაკეული), წმინდა ნაწილთა აქა-იქ მოკრებილი ნაშთებით რომ არის ხოლმე შეკოწიწებული. პირველ ნახვაზე სახისა და მეტყველების გამო სალვატორეც იმ მღრინავ, ბანჯგვლიან არსებათაგანი მეჩვენა, ტაძრის შესასვლელზე რომ იყვნენ გამოსახული. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს საოცარი არსება კეთილი და გონებამახვილი კაცი იყო. უფრო მოგვიანებით კი... თუმცა მოვლენათა მდინარებას მივყვეთ. თანაც, როგორც კი სალვატორემ ხმა ამოიღო, ჩემი მასწავლებელი ცნობისწადილით შეუდგა მის გამოკითხვას.

– რატომ თქვი, „ინანქმედებდეთო“?

– უმაღლესო ძმაო უგაბრწყინვალესებულო, – რაღაცნაირად მოიკუნტა სალვატორე, – Jesus venturus est et li homini debent facere penitentia.[37] არა?

უილიამი დაჟინებით ჩააჩერდა: – მინორიტების[38] მონასტრიდან მოხვედი აქ?

– ვერ მესმის.

– გეკითხები, წმინდა ფრანცისკის ბერებთან თუ გიცხოვრია-მეთქი, ეგრეთ წოდებულ მოციქულებს თუ იცნობ?

სალვატორე გაფითრდა, უფრო სწორად, გარუჯული, პირუტყვული სახე გაუნაცრისფრდა. მთლად მოიკაკვა, „vade retro“[39], ამოიჩურჩულა, პირჯვარი გამოისახა სასოებით,

შეტრიალდა და გაიქცა, თან უკან-უკან იხედებოდა.

– რა უთხარით? – მივუბრუნდი უილიამს.

წამით ჩაფიქრდა.

– არაფერი, მერე გეტყვი. ახლა შევიდეთ. უბერტინუსის ნახვა მინდა.

მეექვსე ჟამი ახალი გამოსული იყო. დასავლეთიდან ფერმკრთალი მზე ჭიატობდა ეკლესიის ვიწრო ფანჯრებში. სინათლის წვრილი სხივი სცემდა და ოქროსფრად აბრდღვიალებდა საკურთხეველს. ტაძრის გვერდითი ნავები ბნელში ჩაძირულიყო.

საკურთხევლამდე, მარცხენა ნავში, ქალწულის ქანდაკება იდგა კოხტა საყრდენზე, თანამედროვე ოსტატობით ჩამონაკვთული, მოხდენილ სამოსში გამოწყობილი, კოხტა კორსეტით, გამოშვერილი მუცლით, უმეტყველო ღიმილით. ხელში ჩვილი ეჭირა. ქალწულის ფეხებთან მლოცველი მოკუნტულიყო, კლიუნიელთა ორდენის ტანსაცმლით მოსილი.

მივაშურეთ. ნაბიჯების ხმაზე კაცმა წამოიწია. უხუცესი იყო, ქოსასახიანი, დიდი ცისფერი თვალებით, წვრილი წითელი ბაგეებითა და გამჭვირვალე კანით, ძვლიან უთმო თავის ქალაზე რძეში შენახულ მუმიასავით გადაჰკვროდა კანი. უთეთრესი, გრძელთითება და ვიწროფრჩხილებიანი ხელები ჰქონდა. უდროო სიკვდილით გადაქათქათებულ ქალწულის ცხედარს ჰგავდა. თავიდან დაბნეულმა შემოგვხედა, თითქოს ღრმა ხილვა დაგვეფრთხო მისთვის, მერე ანაზდად სიხარულმა გაუნათა სახე.

– უილიამ! – შეჰყვირა. – უძვირფასესო ძმაო! – გაჭირვებით წამოდგა და ჩემს მოძღვარს მოაშურა, ჩაეხუტა და პირზე აკოცა. – უილიამ! – თვალები აუწყლიანდა. – რამდენი ხანია! მაგრამ ისევ ისა ხარ. რამდენი ხანია, რამდენი რამ მოხდა! რამდენი გამოცდა მოგვიწყო უფალმა! – მოხუცი ატირდა. უილიამი მოეხვია, გულაჩუყებული ჩანდა. ეს იყო კაზალელი უბერტინუსი.

იტალიაში ჩამოსვლამდეც ბევრი გამეგო მასზე იმპერატორის კარის ფრანცისკელებისგან. ისიც კი მსმენოდა, რომ იმ დროის უდიდეს პოეტს, ფლორენციელ დანტე ალიგიერის, რომელიც რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო, პოემა დაეწერა (წაკითხული არ მქონდა, ფლორენციულ მდაბიურ ენაზე იყო დაწერილი), ზეცითა და მიწით ერთნაირად ხელდასხმული, და ამ პოემაში არაერთი პწკარი სწორედ უბერტინუსის ქმნილებიდან – „Arbor vitae crucifixae“[40] – ყოფილა გადატანილი. ამ სახელოვან კაცს დამსახურება სხვაც ბევრი ჰქონდა. მკითხველს რომ იმ შეხვედრის მნიშვნელობა ავუხსნა, უნდა ვცადო მაინც, იმ წლების მოვლენები გავაცოცხლო, ზოგი რამ – ცენტრალურ იტალიაში ჩემი ხანმოკლე ყოფნისას გაგებული და ზოგიც – ჩვენი ერთობლივი მოგზაურობის მანძილზე ჩემი მოძღვრისგან ან წინამძღვრებთან და ბერებთან მისი საუბრებიდან ყურმოკრული.

ჩემი მელქელი მოძღვრები ხშირად ამბობდნენ, ჩრდილოელისთვის ადვილი არ არის იტალიის რელიგიურ და პოლიტიკურ ამბებში გარკვევაო.

ნახევარკუნძულზე, სადაც ეკლესია ბევრად უფრო იწონებდა თავს სიმდიდრითა და ძალაუფლებით, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ამ დროს უკვე დაახლოებით ორ საუკუნეს ითვლიდა ღატაკი ცხოვრების წესის მქადაგებელთა მოძრაობა. მისი მიმდევარნი გათახსირებულ სამღვდლოებას უპირისპირდებოდნენ, მათ აღსრულებულ საიდუმლოთაც არ აღიარებდნენ, დამოუკიდებელ ჯგუფებად ცხოვრობდნენ და მთავრებს, ქალაქთა მმართველობებს და იმპერიას არ ემორჩილებოდნენ.

შემდეგ წმინდა ფრანცისკი მოვიდა და უპოვარების სიყვარული იქადაგა, რაც ეკლესიის პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა. მისი წყალობით ეკლესიამ გაიზიარა ძველ ქრისტიანთა შეხედულებები თავმდაბლობასა და ადათ-წესთა უბრალოებაზე და სარეველასაგან გაწმინდა სამღვდელოება. ამას წესით მშვიდი, ნეტარი ხანა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ფრანცისკელთა ორდენი იზრდებოდა, სულ უფრო იკრებდა საკუთარ რიგებში საუკეთესოთ, ძლიერდებოდა და, ამგვარად, მიწიერ ამბებსაც თანდათან მეტად და მეტად უკავშირდებოდა. მაშინ ფრანცისკელთა ნაწილმა ისურვა,

ძველი სისპეტაკე დაებრუნებინა ორდენისათვის. ეს კი ურთულესი რამ იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ მონასტერში ჩემი ყოფნის წლებში ორდენი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ოცდაათი ათას წევრს ითვლიდა. ბევრი ფრანცისკელი ბერი ეწინააღმდეგებოდა ორდენის წესდებას, რადგან მიაჩნდათ, რომ ორდენი უკვე თავად დამსგავსებოდა იმ საეკლესიო სტრუქტურებს, რომელთა გარდასაქმნელადაც დაარსებულიყო თავის დროზე. ბევრი თვლიდა, რომ ეს ყველაფერი წმინდა ფრანცისკის სიცოცხლეშივე დაიწყო, რომ მის სიტყვას და საქმეს უღალატეს.

ბევრმა მათგანმა ხელახლა მოიმარჯვა XII საუკუნის დასაწყისში ცისტერციელი ბერის – იოაკიმეს დაწერილი წიგნი, რომელსაც წინასწარმეტყველურ ნიჭს მიაწერდნენ. მან იწინასწარმეტყველა ახალი ხანის დასაბამი, როდესაც ქრისტეს სული, მის მიმდევართა ფარისევლობით შერყვნილი, კვლავ მოევლინებოდა დედამიწას. და ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ წინასწარმეტყველი სწორედ ფრანცისკელთა ორდენს გულისხმობდა ისე, რომ თავადაც არ იცოდა ეს.

ამით ფრიად გათამამდნენ ფრანცისკელები, ჩანს, ზედმეტადაც, ვინაიდან საუკუნის შუა წლებში პარიზში სორბონელმა დოქტორებმა იოაკიმეს მოსაზრებები შეაჩვენეს. ამის მიზეზი კი სწორედ ის იყო, რომ ფრანცისკელები (და დომინიკელები) სულ უფრო პოპულარულები ხდებოდნენ უნივერსიტეტში, მათი ავტორიტეტი იზრდებოდა და ამიტომაც ლამობდნენ მათ, როგორც მწვალებელთა, განადგურებას. მაგრამ, ეკლესიის საბედნიეროდ, ეს არ მოხდა და ამან განაპირობა შემდგომ თომა აკვინელისა და ბანიორეჯოელი ბონავენტურას[41] შრომების გავრცელება, რომელთაც მწვალებლობას ვერავინ დასწამებდა. ჩანს, პარიზში ისედაც ვერ გარკვეულიყვნენ კარგად, ზოგიერთს კი მათი უარესად დაბნევა აძლევდა ხელს საკუთარი მიზნების სასარგებლოდ. პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლა – ესაა ბოროტება, რასაც მწვალებლობა მართებს ქრისტიანთ: გონებას უბინდავს და ინკვიზიტორობისკენ უბიძგებს. მონასტერში დატრიალებულმა ამბებმა ისიც კი მაფიქრებინა, რომ ხშირად თავად ინკვიზიტორები ქმნიან მწვალებლებს. არა მარტო იმიტომ, რომ იქ დაეძებენ, სადაც მათი კვალიც არაა, არამედ იმიტომაც, რომ მწვალებლური სულის ამოძირკვის გააფთრებული სურვილით და მეტისმეტი გულმოდგინებით ბევრს, პირიქით, მისკენ უბიძგებენ. მართლაც, დემონურ წრეს ჰგავს, ღმერთმა დაგვიფაროს მისგან!

თუმცა იოაკიმეს მწვალებლობაზე (მართალი იყო ეს თუ ტყუილი) მოგახსენებდით. ამ დროს ტოსკანაში გამოჩნდა სან-დონინოელი ბერი გერარდუსი, რომელიც იოაკიმეს სწავლებას ქადაგებდა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა ფრანცისკელ ბერებში. ასე ჩაისახა ფრანცისკელებში ძველი წესის მიმდევართა დაჯგუფება და როცა ლიონის კრებამ ფრანცისკელთა ორდენი გაუქმებას გადაარჩინა და მისი ქონებაც კანონიერად აღიარა, როგორც სხვა უძველესი ორდენების ავლადიდება, მარკეს მხარეში ბერები აჯანყდნენ, ვინაიდან, მათი აზრით, ფრანცისკელს, არც ბერს, არც მონასტერს და არც ორდენს, ქონება არ უნდა ჰქონოდა. არა მგონია, საბრალოთ სახარების საწინააღმდეგოდ ექადაგათ რამე, მაგრამ როცა საქმე მიწიერ ქონებას ეხება, ძნელია, კაცთ სამართლიანად განსაჯონ. მრავალი წლის შემდეგ ორდენის ახალმა მეთაურმა, რაიმონდუს გაუფრედიმ, მოინახულა ტუსაღები ანკონაში და გაათავისუფლა: „უფალმა ინებოს, ყოველი ჩვენგანი, მთელი ორდენი იყოს ასეთი ბრალით შებილწულიო“.

ამ გათავისუფლებულ ტუსაღთა შორის იყო ანგელუს კლარენუსი, რომელიც ჯერ პროვანსელ ბერს, იოანე პეტრე ოლივის – იოაკიმეს მოძღვრების მქადაგებელს – შეხვდა, შემდეგ კი – კაზალელ უბერტინუსს. ასე ჩაისახა სპირიტუალისტთა მიმდინარეობა. იმ წლებში პაპის ტახტზე იჯდა უწმინდესი განდეგილი, პეტრე მორონელი, რომელიც პაპად ცელესტინუს V-ის სახელით იყო ცნობილი. სპირიტუალისტებმა ის სასოებით მიიღეს: „გამოჩნდება წმინდანი, – ამბობდნენ, – და დაიცავს ქრისტეს სწავლებას, თავად იქნება ანგელოზებრივი ცხოვრების მაგალითი, ძრწოდეთ, გარყვნილო მღვდლებო!“. ან ცელესტინუსი იყო ზედმეტად ანგელოზებრივი, ან მის ირგვლივ მყოფი სამღვდელოება – ზედმეტად გარყვნილი, ან უბრალოდ ვეღარ აიტანა იმპერატორთან და ევროპის სხვა მეფეებთან უსასრულო ომის დაძაბულობა; მოკლედ, ცელესტინუსმა უარი თქვა პაპის გვირგვინზე და განდეგილობას დაუბრუნდა. მაგრამ მისი მეუფეობის მოკლე ხანში, რომელიც წელიწადიც არ გაგრძელებულა, სპირიტუალისტთა იმედები სრულად

დაკმაყოფილდა: ცელესტინუსმა მათთან ერთად დააარსა საძმო „fratres et pauperes heremitae domini Celestini“[42]. მაშინ, როცა პაპს რომის უძლიერეს კარდინალთა შორის შუამავლობა ეკისრებოდა, მათ შორის აღმოჩნდა ორი, ვინმე კოლონა და ვინმე ორსინი, რომლებიც საიდუმლოდ უჭერდნენ მხარს სიღატაკის ახალ მოძღვრებას. ფრიად უცნაური არჩევანი იყო უდიდესი ძალაუფლების მქონე, უსაზღვრო ფუფუნებაში მცხოვრები ადამიანებისთვის და ვერასოდეს გავიგე ბოლომდე, უბრალოდ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ სპირიტუალისტებს თუ, მდიდრული ცხოვრების წესის მიმდევარნი, ერთგვარ გამართლებას ეძებდნენ სპირიტუალისტების მოსაზრებათა მხარდაჭერაში; თუ რამე გამეგება იტალიური ამბებისა, ვიტყოდი, რომ ორივე მიზეზი ამოძრავებდათ. სხვაგვარად რით აიხსნებოდა, რომ კარდინალმა ორსინიმ უბერტინუსი კაპელანად აიყვანა მაშინ, როცა შეიძლებოდა, მწვალებლად შეერაცხათ, რადგან სპირიტუალისტებში ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავდა. იგივე კარდინალი გამოესარჩლა მას ავინიონში.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ანგელუსი და უბერტინუსი დოქტრინის მიხედვით ქადაგებდნენ, მდაბიოთა მასები კი მათ სწავლებას მთელ ქვეყანაში ავრცელებდნენ. ასე გაივსო იტალია ბერ-მონაზვნებით, სიღატაკის სიყვარულისკენ რომ მოუწოდებდნენ ხალხს, ბევრისთვის კი ხილულ მუქარას წარმოადგენდნენ. უკვე ძნელი იყო ეკლესიის სათავეებთან დაახლოებულ სპირიტუალისტთა გარჩევა მოძღვრების ყველაზე უბრალო მიმდევართაგან, რომლებიც ორდენში აღარც ცხოვრობდნენ, მოწყალებას ითხოვდნენ და საკუთარი შრომით გაჰქონდათ თავი ისე, რომ არავითარ ქონებას არ იჩერებდნენ ხელში. მათ ხალხი ფრატიჩელებს[43] ეძახდა, ცოტათი ფრანგ ბეგინებს[44] ჰგავდნენ, რომელთა შთაგონების წყარო იოანე პეტრე ოლივი იყო.

ცელესტინუს V ბონიფაციუს VIII-მ შეცვალა და პაპი დაეშურა, რაც შეიძლებოდა შეევიწროებინა სპირიტუალისტები და კერძოდ – ფრატიჩელები. სწორედ საუკუნის ბოლო წლებში, სიკვდილის წინ მოაწერა ხელი ბულას Firma Cautela[45], რომლითაც შეაჩვენა მათხოვარი ბერ-მაწანწალები და სპირიტუალისტები, ანუ ისინი, ვინც ორდენის წესებს არ იცავდა და განდეგილად ცხოვრობდა.

მოგვიანებით სპირიტუალისტებმა სცადეს, სხვა პაპებთან მიეღწიათ შეთანხმებისთვის, თუნდაც კლემენტთან, რათა ნაკლებად მტკივნეულად გამოჰყოფოდნენ ორდენს, მაგრამ იოანე XXII-ის მოსვლამ ყოველგვარი იმედი წაართვა მათ. როგორც კი აირჩიეს, 1316-ში, იოანემ ანგელუს კლარენუსი და პროვანსელი სპირიტუალისტები დილეგში გამოამწყვდია; ბევრი კი მათგან, ვინც პოზიცია არ შეცვალა და თავისუფალი ცხოვრება განაგრძო, კოცონზე დააწვევინა.

თუმცა იოანეს ესმოდა, რომ ფრატიჩელების გასანადგურებლად მწვალებლურად უნდა გამოეცხადებინა მოსაზრება, რომ ქრისტესა და მოციქულებს არანაირი ამქვეყნიური საკუთრება არ გააჩნდათ, არც პირადი და არც საერთო; და, ვინაიდან ამ ამბებამდე ერთი წლით ადრე პერუჯაში გამართულმა ფრანცისკელთა მთავარმა კრებამ ჭეშმარიტებად გამოაცხადა ეს მოსაზრება, ფრატიჩელთა შეჩვენებით პაპი მთელ ორდენს განკვეთდა. უცნაური იყო, რატომ უნდა მიეჩნია პაპს უკუღმართობად ქრისტეს სიღარიბის იდეა, მაგრამ ცხადი იყო, ქრისტეს სიღატაკის აღიარება მისი ეკლესიის სიღატაკის აღიარებასაც ნიშნავდა, ღარიბი ეკლესია კი იმპერატორს ვერ გაუმკლავდებოდა. ასე რომ, იმ დღიდან ფრატიჩელთაგან ბევრმა, ვინც არც იმპერიაზე უწყოდა რამე და არც პერუჯის კრებაზე, კოცონზე დაამთავრა სიცოცხლე.

ამ ამბებზე ვფიქრობდი, როცა ლეგენდარულ არსებას – უბერტინუსს ვუყურებდი. უილიამმა წარმადგინა მის წინაშე და მოხუცი ლოყაზე მომეფერა. ცხელი, მწველი ხელი ჰქონდა. მისმა შეხებამ ბევრ რამეს მიმახვედრა ამ წმინდა კაცზე გაგონილიდან, ვიგრძენი ის მისტიკური ცეცხლი, სიყმაწვილიდან რომ დაგავდა, როცა მონანიე მაგდალინელად წარმოედგინა თავი; შევიგრძენი ურთიერთობა, წმინდა ანჯელა ფოლინიოელთან რომ აკავშირებდა, რომელსაც უბერტინუსი მისტიკური ცხოვრების საუნჯისა და ჯვრის თაყვანისცემისათვის ეზიარებინა…

ვაკვირდებოდი მის ნაკვთებს: ისეთივე სათნო სახე ჰქონდა, როგორიც მასთან უბიწო მეგობრობით სამუდამოდ დაკავშირებულ წმინდან ქალს. ვცდილობდი, წარმომედგინა

უბერტინუსის მკაცრი სახე, როცა 1311 წელს ვიენის კრებამ ეკლესიის მმართველობას ჩამოაშორა სპირიტუალისტთა მოწინააღმდეგე ყველა ფრანცისკელი, მაგრამ აიძულა სპირიტუალისტები, ორდენის წესების მიხედვით ეცხოვრათ. უბერტინუსმა, შეუვალმა, უარი თქვა ამ აშკარა კომპრომისზე და დამოუკიდებელი, უმკაცრეს წესებზე აგებული ორდენის დასაარსებლად დაიწყო ბრძოლა. უბერტინუსი მაშინ დამარცხდა, რადგან იმ წლებში იოანე XXII იოანე პეტრე ოლივის მიმდევართა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომისთვის აჟღარუნებდა იარაღს და ნარბონელ და ბეზიერელ ბერებს განკვეთდა. მაგრამ უბერტინუსმა მედგრად დაიცვა მეგობრის ხსოვნა პაპის წინაშე და მანაც, უბერტინუსის უმწიკვლო სახელით შეშინებულმა, ვერ გაბედა მისი შეჩვენება (თუმცა კი სხვებზე წარბიც არ შეუხრია). უფრო მეტიც, პაპმა ერთგვარი გამოსავალიც კი შესთავაზა მას, როცა კლიუნიელთა ორდენში შესვლა მოსთხოვა. უბერტინუსს საკუთარი მოხერხებულობის წყალობით (თუმცა ერთი შეხედვით უმწეო და ფაქიზი ჩანდა) პაპის კარზე ნდობა და მფარველობა ჰქონდა მოპოვებული, ასე რომ დათანხმდა ფლანდრიაში, გემბლახის მონასტერში, წასვლაზე, მაგრამ, ვგონებ, ფეხიც არსად გაუდგამს ავინიონიდან, კარდინალ ორსინის კალთას შეაფარა თავი ფრანცისკელთა საქმის მხარდასაჭერად.

ბოლო ხანებში (ყურმოკრული ცნობები დაუზუსტებელი იყო) უბერტინუსის დიდების მზე ჩაესვენა და პაპის კარზე მისი გავლენა შესუსტდა. ისიც იძულებული გახდა, ავინიონს მოშორებოდა. პაპი სდევნიდა მას, როგორც მწვალებელს, per mundum discurrit vagabundus[46]. ამბობდნენ, რომ კვალიც გამქრალიყო მისი. უილიამისა და წინამძღვრის საუბრიდან კი გავიგე, რომ თურმე ამ მონასტერში იმალებოდა და ახლა ჩემ წინაშე იდგა.

– უილიამ, – ეუბნებოდა, – ძლივს გადავრჩი, იცი, ღამით მომიწია გაქცევა.

– ვის ეწადა შენი სიკვდილი? იოანეს?

– არა. იოანეს არასოდეს ვყვარებივარ, მაგრამ ყოველთვის პატივს მცემდა. განა მან არ გადამარჩინა სამსჯავროს ათი წლის წინ, როცა ბენედიქტელთა რიგებში შესვლა მაიძულა?

– მაშ ვინღა გერჩოდა?

– ყველა. მთელი კურია. ორჯერ სცადეს ჩემი მოკვლა. უნდოდათ, გავეჩუმებინე. ხომ იცი, რაც მოხდა ხუთი წლის წინ. ნარბონელი მაწანწალა ბერების გასამართლებიდან და განკვეთიდან ორი წლის შემდეგ ბერენგარიუს ტალონიმ, რომელიც ერთ-ერთი მსაჯული იყო, პაპს მიმართა. მძიმე დრო იყო, იოანეს უკვე გამოეცა ორი ბულა სპირიტუალისტთა წინააღმდეგ და თავად მიქაელ ჩეზენელმა დათმო მაშინ. მართლა, როდის ჩამოდის?

– ორ დღეში აქ იქნება.

– მიქაელი... რამდენი ხანია, აღარ მინახავს. ახლა გაახილა თვალი, მიხვდა, რა გვინდოდა. პერუჯის კრებამ გაგვამართლა. მაგრამ მაშინ, ჯერ კიდევ 1318-ში, პაპს წაუჩოქა და ხელთ მისცა ხუთი ურჩი პროვანსელი სპირიტუალისტი. კოცონზე აიყვანეს, უილიამ... რა საშინელებაა! – და ხელებში ჩამალა თავი.

– კი, მაგრამ მაინც რა მოხდა ტალონის განცხადების შემდეგ? – ჰკითხა უილიამმა.

– იოანეს დებატების განახლება უნდოდა, გესმის? სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან კურიაშიც იყვნენ დაეჭვებული ადამიანები, კურიის ფრანცისკელებიც – ფარისევლები, გადახრწნილი გვამები, ორ გროშად სულის გამყიდველები – დაეჭვებულები იყვნენ. მაშინ მთხოვა იოანემ უპოვარებაზე წიგნის დაწერა. კარგი რამ იყო, უილიამ, მომიტევოს უფალმა ამპარტავნობა...

– წავიკითხე, მიქაელმა მიჩვენა.

– ჩვენ შორისაც ბევრი ყოყმანობდა: აკვიტანიის პროვინციის მთავარი, სან-ვიტალეს კარდინალი, კაფის ეპისკოპოსი...

– იდიოტი, – ჩაილაპარაკა უილიამმა.

– დაე მოისვენოს მშვიდობით, ღმერთს მიაშურა ორი წლის წინ.

– არა, არც ასე მოწყალეა ღმერთი. ყალბი ცნობა მოსულა კონსტანტინოპოლიდან. ჯერაც ცოცხალი ბრძანდება და მითხრეს, მისიაშიც იქნებაო. ღმერთმა დაგვიფაროს!

– კი, მაგრამ პერუჯის კრებას უჭერს მხარს, – უთხრა უბერტინუსმა.

– სწორედაც. იმათგანია, მტერსაც რომ შეეხარბება მათი ვერაგობა.

– სიმართლე გითხრა, – განაგრძო უბერტინუსმა, – მაშინაც დიდად ხელი არ შეუწყვია საქმისთვის. ყველაფერი ისე დამთავრდა, საქმე არ გაკეთებულა. მაგრამ იდეა მწვალებლობად რომ არ მონათლეს, ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვებმა ეს არასოდეს მაპატიეს. ყველანაირად ეცადნენ, რამე დაეშავებინათ, თქვეს, ზაქსენჰაუზენში იყო, როცა ლუდვიგმა სამი წლის წინ იოანე მწვალებლად შერაცხაო. თუმცა ყველამ იცოდა, რომ ივლისში ავინიონში ვიყავი ორსინისთან... უთქვამთ, იმპერატორის განცხადებებში მისი მოსაზრებები ჟღერსო, რა სიგიჟეა.

– არც ისე, – ჩაურთო უილიამმა. – ის მოსაზრებები იმპერატორს მე მივაწოდე, მე კი შენი ავინიონის დროინდელი გამონათქვამებიდან და ოლივის ნაწერებიდან ავიღე.

– შენ? – გაოცებით შესძახა გახარებულმა უბერტინუსმა. – ესე იგი შენც ჩემს აზრს იზიარებ!

უილიამი უხერხულად შეიშმუშნა: – იმ დროისათვის კარგი აზრები იყო იმპერატორისთვის, – თავი აარიდა პასუხს.

უბერტინუსმა უნდობლად შეხედა: – აჰ, მაგრამ შენ არ ეთანხმები, არა?

– მომიყევი კიდევ, – სიტყვა ბანზე აუგდო უილიამმა, – მომიყევი, როგორ დააღწიე თავი იმ ძაღლებს.

– მართლა ძაღლები. ცოფიანი ძაღლები იყვნენ. იცი, რომ თავად ბონაგრაციასთან მომიწია შეტაკება?

– კი, მაგრამ ბერგამოელი ბონაგრაცია ჩვენ გვერდითაა!

– ახლა კი, მას შემდეგ, რაც მე ვესაუბრე. ძლივს გადავარწმუნე და გაკიცხა კიდეც Ad conditorem canonum[47]. ამისთვის პაპმა დილეგში გამოამწყვდია ერთი წლით.

– გავიგე, რომ ახლა ერთი ჩემი მეგობრის გვერდით ყოფილა, რომელიც პაპის კურიაშია, ოკამელ უილიამთან.

– კარგად არ ვიცნობ. არ მომწონს. უსისხლო კაცია, მარტო თავი აქვს, გული – არა.

– ჰო, მაგრამ კარგი თავი.

– არ გედავები, და ჯოჯოხეთშიც კარგად ჩაიყვანს.

– მაშინ ისევ შევხვდები იქ, ქვევით და ლოგიკაზეც ვეკამათები.

– გაჩუმდი, უილიამ, – უბერტინუსმა სიყვარულით გაუღიმა. – შენ სჯობიხარ შენს ფილოსოფოსებს. რომ მოგენდომებინა...

– რა?

– როდის შევხვდით ერთმანეთს ბოლოს? უმბრიაში? გახსოვს? სულ ახალი განკურნებული ვიყავი სნეულებისგან იმ არაჩვეულებრივი ქალის წყალობით... კლარა მონტეფალკოელი... – ჩაიჩურჩულა გასხივოსნებული სახით, – კლარა... როცა ქალური ბუნება, თავისი არსით ასეთი ბილწი, ასეთ სიწმინდემდე მაღლდება, უდიდესი მადლის მატარებელია. იცი, რომ უმწიკვლობას მივუძღვენი ჩემი ცხოვრება, უილიამ, – ამას რომ ამბობდა, მკლავში სწვდა, აკანკალებული. – შენ ხომ იცი, მონანიების რა... ცხოველი – ჰო, სწორედ ცხოველი – წყურვილით ვეცადე, ხორცის ფეთქვა ჩამეკლა, რათა სრულიად უმანკო დავრჩენილიყავ ოდენ ჯვარცმული იესოს სიყვარულისთვის... მაგრამ სამი ქალი

მომივლინა ზეცამ ცხოვრებაში: ანჯელა ფოლინიოელი, მარგარიტა კასტელოელი (რომელმაც ჩემი წიგნის დასასრული წინასწარ განსაზღვრა, როცა მხოლოდ მესამედი მქონდა დაწერილი) და ბოლოს – კლარა მონტეფალკოელი. ციური ძღვენი იყო, რომ მე, სწორედ მე მხვდა წილად მის სასწაულებზე დაკვირვება და ხალხისთვის მისი სიწმინდის შეტყობინება, სანამ ეკლესია გააკეთებდა ამას. შენც იქ იყავი, უილიამ, შეგეძლო, დამხმარებოდი ამ წმინდა საქმეში, მაგრამ არ ისურვე…

– ჰო, მაგრამ ის წმინდა საქმე, რომელშიც მეპატიჟებოდი, ბენტივენგას, ჯაკომოს და ჯოვანუჩოს კოცონზე გაგზავნა იყო, – ჩუმად ჩაურთო უილიამმა.

– მის ხსოვნას ბილწავდნენ თავიანთი გარყვნილებით. შენ კი ინკვიზიტორი იყავი!

– სწორედ მაშინ ვითხოვე იმ მოვალეობისგან გათავისუფლება. არ მომწონდა ის ამბავი. არც ის მომეწონა, გამოგიტყდები, როგორ აიძულე ბენტივენგა, ცოდვები მოენანიებინა. თავი მოაჩვენე, ვითომ მის სექტაში გინდოდა შესვლა, თუ იმას სექტა ერქვა, გამოსცინცლე საიდუმლოებანი და მერე დააპატიმრებინე.

– ასე უნდა ქრისტეს მტრების წინააღმდეგ მოქმედება! მწვალებლები იყვნენ, ცრუ მოციქულები, გოგირდის სუნით აყროლებულები!

– კლარას მეგობრები იყვნენ.

– არა, უილიამ, ნუ შეეხები კლარას ხსოვნას!

– კი, მაგრამ მის გარშემო ტრიალებდნენ…

– სპირიტუალისტები ეგონა, ენდობოდა… მხოლოდ დაკითხვების დროს გამოირკვა, რომ გუბიოელი ბენტივენგა თავს მოციქულად აცხადებდა და ბევანიელ ჯოვანუჩოსთან ერთად მონაზვნებს აცდუნებდა, ეუბნებოდა, ჯოჯოხეთი არ არსებობს, ხორციელ წადილთა დაკმაყოფილება ღმერთის შეურაცხყოფის გარეშეც შეიძლებაო, ბერი ქრისტეს სხეულს ეზიარება (უფალო, მომიტევე!), თუ მონაზონთან გაიზიარებს სარეცელსო, მაცხოვარს მაგდალინელი უფრო უყვარდა, ვიდრე წმინდა ქალწული აგნესიო, ის, რასაც მდაბიონი დემონს ეძახიან, თავად ღმერთია, იმიტომ რომ დემონი ცოდნააო, და ღმერთიც ხომ ცოდნაა! სწორედ ნეტარ კლარას მოევლინა ამის მოსმენის შემდეგ უფალი და ამცნო, რომ ისინი Spiritus Libertatis-ის[48] მზაკვარი თაყვანისმცემლები იყვნენ!

– მინორიტები იყვნენ და მათი გონებაც ისეთივე გზნებით იყო აღსავსე, როგორითაც კლარას სული, და ხშირად მანძილი წმინდა აღტყინებასა და ცოდვით მოგვრილ ჟრუანტელს შორის ძალიან მცირეა, – თქვა უილიამმა.

უბერტინუსი მკლავში სწვდა, ცრემლებმა მზერა გადაუბინდა: – ამას ნუ ამბობ, უილიამ. როგორ შეგიძლია, ერთმანეთში აურიო განყენებული, წმინდა სიყვარულის გზნება, საკმევლის სურნელით რომ გიღადრავს გულ-მუცელს, და გოგირდის ხრჩოლვით გონების ამამღვრეველი აღტყინება? ბენტივენგა შიშველი სხეულის ხელით შეხებისაკენ მოუწოდებდა, ამტკიცებდა, მხოლოდ ასე მიიღწევა გრძნობათა ტყვეობისაგან გათავისუფლებაო, homo nudus cum nuda iacebat[49]…

– Et non commiscebantur ad invicem[50]…

– სიცრუეა! სიამოვნებას ეძებდნენ! თუ ხორციელი ლტოლვა იჩენდა თავს, ამას ცოდვად არ თვლიდნენ, ქადაგებდნენ, რომ ლტოლვის დასაცხრობად კაცი დიაცთან დაწოლილიყო, ერთმანეთს შეხებოდნენ, ეკოცნათ ყველგან, შიშველი მუცლებით აჰკვროდნენ ერთურთს!

ვაღიარებ, რომ უბერტინუსის მგზნებარე აღწერა სხვათა უზნეობისა მთლად უმწიკვლო ფიქრებს არც მე აღმიძრავდა. მოძღვარმა, ალბათ, შემატყო აფორიაქება და ლაპარაკი შეაწყვეტინა წმინდა კაცს.

– მდუღარე სულის პატრონი ხარ, უბერტინუს, ღვთის სიყვარულშიც და ბოროტის სიძულვილშიც. მე მხოლოდ ის მსურდა, მეთქვა, რომ აღგზნებაში, სერაფიმთა იქნება თუ

ლუციფერისა, მცირე სხვაობაა, ვინაიდან ერთიცა და მეორეც სულის უკიდურესი აღტყინებით იბადება.

– განსხვავება არის და ვიცი, რაცაა! შენ ამბობ, რომ სიყვარულსა და სიძულვილს შორის მცირე მანძილია, ვინაიდან ორივე მეტისმეტი აღგზნებითაა გამოწვეული. ეს მართალია. მაგრამ განსხვავება არსშია, არსი კი გამჭვირვალეა და ცნობადი. აქეთ ღმერთია, იქით – ეშმაკი.

– მე კი, ვშიშობ, ვეღარ ვარჩევ მათ, უბერტინუს. შენი ანჯელა ფოლინიოელი არ იყო, რომ ჰყვებოდა, ხილვით გატაცებული ქრისტეს აკლდამაში აღმოვჩნდიო? ის არ ამბობდა, ჯერ მკერდზე ვაკოცეო იესოს, გაქვავებულს, თვალდახუჭულს, მერე ბაგეზე ვემთხვიე და მის ბაგეთაგან წამოსულმა ტკბილმა სურნელმა თავბრუ დამახვიაო… მერე ლოყა ლოყაზე დავადე, ქრისტემ სახეზე ხელი ჩამომისვა, გულზე მიმიხუტა და – მის სიტყვებს გიმეორებ – განუზომელი ნეტარება შევიგრძენიო?

– ეს რა შუაშია გრძნობათა სამყაროსთან? – ჰკითხა უბერტინუსმა. – ეს მისტიკური განცდა იყო, სხეული კი – მაცხოვრისა.

– ალბათ, ოქსფორდმა მიმაჩვია ასე ფიქრს, – უთხრა უილიამმა, – იქ მისტიკური განცდაც სხვაგვარი იყო…

– მხოლოდ გონებისმიერი, – გაიღიმა უბერტინუსმა.

– ან თვალით აღქმული. ღმერთი, განცდილი, როგორც სინათლე, მზის სხივებში, სარკის ანარეკლში, მოწესრიგებული მატერიის ნაწილებზე ფერთა გავრცელებაში, სველ ფოთლებზე ალიცლიცებულ დღის შუქში… განა ეს უფრო ახლო არაა იმ სიყვარულთან, რომლითაც ფრანცისკი ადიდებს შემოქმედს მისსავე ქმნილებებში, ყვავილებში, ბალახში, წყალსა და ჰაერში? არა მგონია, ამგვარი სიყვარულიდან გესლი დაიბადოს. ის სიყვარული კი სულაც არ მომწონს, მაცხოვართან საუბრისას ხორციელი შეხების ჟრუანტელს რომ მოგგვრის…

– მკრეხელობ, უილიამ! ეს სხვადასხვა რამაა. უზარმაზარი უფსკრულია ჯვარცმული იესოს სიყვარულით ანთებულ გულსა და მონტეფალკოელ ცრუ მოციქულთა ბიწიერ ჟინს შორის…

– ცრუ მოციქულები კი არა, თავისუფალი სულის ძმები იყვნენ, თავად არ თქვი?

– მერედა, რა განსხვავებაა? შენ ყველაფერი არ იცი იმ საქმეზე. მეც კი ვერ გავბედე, საქმეში ჩამედო ზოგიერთი აღიარება, რათა წამითაც არ გაჰკარებოდა დემონის აჩრდილი წმინდა გარემოს, რომელიც კლარამ შექმნა იმ ადგილას. რომ იცოდე, რა გავიგე და რა მოვისმინე, უილიამ! ღამღამობით თურმე სადღაც მიწისქვეშეთში იკრიბებოდნენ, ახალშობილ ჩვილს დაიჭერდნენ და აბურთავებდნენ, სანამ ხელში არ ჩააკვდებოდათ… ვისაც უკანასკნელად მოხვდებოდა ხელთ ცოცხალი, ვის ხელშიც დალევდა სულს, სექტის მეთაურიც ის ხდებოდა თურმე… მერე ჩვილის სხეულს წვრილად დაკეპავდნენ და ცომში შეურევდნენ უწმინდურ კვერთა დასაცხობად!

– უბერტინუს, – მტკიცედ შეეპასუხა უილიამი, – ამ ზღაპრებს მრავალი საუკუნის წინ ჰყვებოდნენ სომეხი მღვდლები პავლიკიანთა[51] და ბოგომილების[52] სექტებზე…

– მერე რა? დემონი ჩლუნგია, საცდურთა და უკეთურობათა საკუთარ რიგს მისდევს, საუკუნეთა, ათასწლეულთა მანძილზე იმეორებს თავის რიტუალებს, მარად უცვლელია, სწორედ ამიტომ ამოიცნობა მტრად! გეფიცები, აღდგომის ღამეს თურმე სანთლებს ანთებდნენ, ყმაწვილი გოგოები ჩაჰყავდათ სარდაფში. მერე სანთლებს ჩააქრობდნენ და დაეძგერებოდნენ, თუნდაც სისხლისმიერი ნათესაობით ყოფილიყვნენ მათთან დაკავშირებული… და თუ იმ შემზარავი კავშირებიდან ბავშვი დაიბადებოდა, იწყებოდა ჯოჯოხეთური რიტუალი: შეჯგუფდებოდნენ ღვინით სავსე თასის გარშემო, რომელსაც „კასრს“ ეძახდნენ, თვრებოდნენ, ჩვილს ნაჭერ-ნაჭერ აქნიდნენ, მის სისხლს თასში აგროვებდნენ, ჯერ კიდევ ცოცხალ ჩვილებს ცეცხლში ყრიდნენ, მათ ფერფლს შემდეგ სისხლში ურევდნენ და სვამდნენ!

– ეს ხომ მიქაელ ფსელოსს[53] დაუწერია დემონთა მოქმედებათა შესახებ წიგნში, სამასი წლის წინ! ეგ ვიღამ გითხრა?

– იმათ, ბენტივენგამ და სხვებმაც, როცა აწამეს!

– ერთადერთი რამ აღაგზნებს პირუტყვს სიამოვნებაზე მეტად – ტკივილი. წამებისას იმავეს განიცდი, რასაც ხილვისმომგვრელ მცენარეთა ზემოქმედებაში მყოფი. გახსენდება ყველაფერი, რაც კი გსმენია, რაც წაგიკითხავს, თითქოს რაღაც ძალა გეწეოდეს, მაგრამ არა ზეცისკენ, არამედ ჯოჯოხეთისკენ. წამებით არა მარტო იმას აღიარებ, რასაც ინკვიზიტორი ითხოვს შენგან, არამედ იმასაც, რაც, შენი აზრით, მას ასიამოვნებს. იმიტომ, რომ ერთგვარი კავშირი მყარდება (ეს კი უეჭველად ეშმაკისეულია) მასა და შენ შორის... ეს ამბები კარგად ვიცი, უბერტინუს, მეც ვიყავი იმათ შორის, ვისაც ჰგონია, გავარვარებული შანთით გამოავლენს სიმართლეს. და მაინც იცოდე, რომ სიმართლის მხურვალებას სულ სხვა ცეცხლი ბადებს. წამებით ბენტივენგას შეიძლება წარმოუდგენელი სიცრუე ეღიარებინა, რადგან ის კი აღარ ლაპარაკობდა, არამედ მისი ხორციელი ჟინი, მისი სულის დემონები.

– ჟინი?

– დიახ, არსებობს ტკივილის ჟინიც, ისევე, როგორც თაყვანისცემისა და თვით თავმდაბლობისაც კი. თუ ასე ცოტა ეყოთ ურჩ ანგელოზებს, რომ თაყვანისცემისა და თავმდაბლობის გზნება ამპარტავნობისა და ურჩობის ჟინით შეეცვალათ, ადამიანურ ქმნილებაზე რაღა ვთქვათ? აი, რას მივხვდი ინკვიზიტორობის დროს, და სწორედ ამიტომ ავიღე ხელი ამ საქმეზე. გამბედაობა არ მეყო, ეშმაკეულთა სისუსტეები გამომეძია, როცა მივხვდი, რომ წმინდანნიც იმავე სისუსტეთაგან შეჭირვებულან.

უბერტინუსმა ისე მოისმინა მისი უკანასკნელი სიტყვები, თითქოს არც ესმოდა, რას ამბობდა უილიამი. სახეზე სულ უფრო ეკვეთებოდა გულთბილი თანაგრძნობა და მივხვდი, რომ უილიამიც ბიწიერ გრძნობათა მსხვერპლად მიაჩნდა, მაგრამ მიუტევებდა, რადგან ძალიან უყვარდა. გულდაწყვეტილმა შეაწყვეტინა: – მნიშვნელობა არ აქვს. თუ ამას გრძნობდი, კარგი გიქნია, რომ შეჩერებულხარ. ცდუნებები უნდა დავძლიოთ. მაგრამ ძალიან დამაკლდა მაშინ შენი მხარდაჭერა, შეგვეძლო, ამოგვეძირკვა ის ბილწი ხროვა. ამის ნაცვლად კი იცი, რაც მოხდა? აქეთ დამდეს ბრალი მათდამი სისუსტეში და მწვალებლობაც დამწამეს. შენც ძალიან სუსტი აღმოჩნდი ბოროტებასთან ბრძოლაში, უილიამ! ნუთუ ვერასოდეს დავაღწევთ თავს ამ წყევლას, ამ წყვდიადს, ამ ლაფს, ანკარა წყაროსთან მისვლაში რომ გვიშლის ხელს? – და მიუახლოვდა უილიამს, თითქოს ეშინოდა, ვინმეს არ გაეგო მისი სიტყვები: – აქაც, ლოცვისათვის ნაკურთხ ამ კედლებშიც, იცი?

– ვიცი, წინამძღვარი მელაპარაკა, უფრო სწორად, დახმარება მთხოვა ამ საქმის გასარკვევად.

– მაშ ეძებე, ჩხრიკე, კატის თვალით უთვალთვალე, ორ კვალს მიჰყევი: ავხორცობისა და ამპარტავნობის...

– ავხორცობის?

– დიახ, ავხორცობის. იყო რაღაც... დიაცური, ანუ ეშმაკეული, იმ ყმაწვილში, რომელიც მოკვდა. ნორჩი გოგოს თვალები ჰქონდა, დემონთან რომ დაეძებს კავშირს. მაგრამ ამპარტავნობაც-მეთქი, გითხარი, გონების ამპარტავნობა, ამ მონასტერში, სადაც ყველაფერი სიტყვის, მოჩვენებითი ცოდნის განდიდებისკენაა მიმართული...

– თუ რამე იცი, დამეხმარე.

– არაფერი არ ვიცი. არაფერია ისეთი, რომ ვიცოდე. არის რაღაც, რასაც გული გრძნობს... კი, მაგრამ რატომ ვლაპარაკობთ ამ საშინელებებზე და ვაფრთხობთ ჩვენს ყრმა მეგობარს? – ნათელი თვალები მომანათა და თეთრი, თლილი თითებით მომეფერა ლოყაზე. ძალაუნებურად უკან დახევა მომინდა, მაგრამ კიდევ კარგი, თავი შევიკავე, უდავოდ ეწყინებოდა, მისი ქმედება ხომ სრულიად უმწიკვლო იყო. – შენზე მომიყევი,

ჯობია, – მიუბრუნდა ისევ უილიამს. – მერე რას საქმიანობდი? რამდენი წელი…

– თვრამეტი. ჩემს მხარეში დავბრუნდი. ისევ ოქსფორდში ვმუშაობდი. ბუნებას შევისწავლიდი.

– ბუნება მშვენიერია, რადგან ღმერთის ასულია, – დასძინა უბერტინუსმა.

– ღმერთი კი უდავოდ კეთილი უნდა იყოს, თუ ბუნება შექმნა, – გაიღიმა უილიამმა. – ვსწავლობდი, ბრძენი მეგობრები გავიჩინე. მერე მარსილიუსი გავიცანი, გამიტაცა მისმა იდეებმა იმპერიაზე, ერზე, მიწიერ სამეფოთა ახალ კანონზე, და ასე აღმოვჩნდი ჩვენს ძმათა იმ დაჯგუფებაში, რომელიც იმპერატორს რჩევებს აძლევს. მაგრამ ეს ამბები უკვე იცი, ხომ მოგწერე. ავღელდი, როცა ბობიოში მითხრეს, რომ აქ იყავი. დაკარგული გვეგონე. მაგრამ რაკიღა აქ ხარ, შეგიძლია დაგვეხმარო რამდენიმე დღეში, როცა მიქაელიც ჩამოვა. სასტიკი შეჯახება იქნება.

– ბევრი არაფერი მექნება სათქმელი იმის გარდა, რაც ავინიონში ვთქვი ხუთი წლის წინ. ვინ ჩამოვა მიქაელთან ერთად?

– რამდენიმე იმათგან, პერუჯის კრებას რომ ესწრებოდნენ, აკვიტანიელი არნალდუსი, ნიუკასლელი უგო…

– ვინ? – ჩაეკითხა უბერტინუსი.

– უგო ნოვოკასტროდან. მაპატიე, ლათინურად ლაპარაკისასაც ვურევ ჩემს ენას. კიდევ უილიამი ალნვიკიდან. ავინიონელი ფრანცისკელებიდან იერონიმე იქნება, კაფელი ბრიყვი, ალბათ, ბერენგარიუს ტალონი და ბერგამოელი ბონაგრაციაც ჩამოვლენ.

– ღვთის წყალობით, – ჩაილაპარაკა უბერტინუსმა, – იმედია, ეგ ორნი პაპის გადამტერებას არ მოინდომებენ. კურიის პოზიციის დასაცავად ვინღა იქნება? გამბედავს ვგულისხმობ ვინმეს.

– მიღებული წერილების მიხედვით თუ ვიტყვი, ვფიქრობ, ლორენცო დეკოალკონე იქნება…

– მზაკვარი კაცი.

– ჟან დ’ანო…

– ეგ თეოლოგიაში ძლიერია, გაფრთხილდი.

– გავფრთხილდებით. და ბოლოს ჟან დე ბონი.

– მაგას ბერენგარიუსი მიხედავს.

– ჰო, მგონი, ურიგოდ არ გავერთობით, – გახალისდა ჩემი მოძღვარი. უბერტინუსმა დაეჭვებით შეხედა.

– ვერასოდეს ვიგებ, თქვენ, ინგლისელები, როდის ლაპარაკობთ სერიოზულად. გასართობი არაფერია ასეთ სერიოზულ საკითხში. შენი ორდენის გადარჩენას ეხება საქმე. გულის სიღრმეში მეც ჯერ კიდევ მის ნაწილად ვთვლი თავს. მაგრამ დავაფიცებ მიქაელს, ავინიონში არ წავიდეს. იოანე მეტისმეტი დაჟინებით ითხოვს, ეძებს, ეპატიჟება. არ ენდოთ იმ ბებერ ფრანგს. ჰოი, უფალო, ვის ხელში აღმოჩნდა შენი ეკლესია! – საკურთხევლისკენ მიბრუნდა. – მეძავად გადაიქცა, ფუფუნებისგან გათახსირებული, ამძუვნებული გველივით კოტრიალობს მრუშობის მორევში! ბეთლემის ბაგა, ისეთივე წმინდა ხით ნაგები, როგორიც იყო lignum vitae[54] იმ ჯვრისა, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს, ოქროსა და ქვის ბაკქანალიად იქცა. ხედავ, აქაც კი, ეკლესიის კარზე, ვერ წაუხვალ გამოსახულების მედიდურობას! ბოლოს და ბოლოს მოახლოვდა დღე ანტიქრისტესი და ვძრწი, უილიამ! – მიმოიხედა, სიბნელეს ჩააჩერდა, თითქოს წამი წამზე ელოდა ანტიქრისტეს გამოჩენას. – მისი მოციქულები უკვე აქ არიან, როგორც ქრისტემ მიავლინა მოწაფეები ქვეყანაზე! თრგუნავენ ღვთის ქალაქს, აცდუნებენ მოტყუებით, ფარისევლობითა და ძალადობით. უნდა გამოგზავნოს მაცხოვარმა თავისი მსახურნი, ილია და ენოქი, რომლებიც

მარადიულად ცოცხლობენ მიწიერ სამოთხეში, რათა დაჩრდილონ ანტიქრისტე, და მოვლენ წინასწარმეტყველებისათვის, ფრანცისკელთა ჯვალოში, და იქადაგებენ სინანულს სიტყვითა და საქმით…

– უკვე მოვიდნენ, უბერტინუს, – უთხრა უილიამმა და საკუთარ სამოსზე მიუთითა.

– მაგრამ ჯერ არ გაუმარჯვიათ. ეს იქნება ჟამი, როცა ანტიქრისტე, ცოფით აღსავსე, ენოქისა და ილიას მოკვლას ბრძანებს, რათა ყველამ იხილოს და ვერ გაბედოს მათი მიბაძვა. როგორც ჩემი განადგურება სურდათ…

იმწამს, ძრწოლით ატანილმა, ვიფიქრე, უბერტინუსი ერთგვარი ღვთიური სიგიჟითაა-მეთქი შეპყრობილი. ამან შემაშფოთა. და ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, როცა ვიცი, როგორ აღესრულა – რამდენიმე წლის შემდეგ საიდუმლო ვითარებაში მოკლეს გერმანიის ერთ ქალაქში და ვერავინ ვერასოდეს შეიტყო მკვლელის ვინაობა – კიდევ უფრო ვძრწუნდები, რადგან ვხვდები, რომ იმ საღამოს უბერტინუსი წინასწარმეტყველებდა.

– ხომ იცი, იოაკიმე სიმართლეს ამბობდა. კაცობრიობის ისტორიის მეექვსე ხანას მივაღწიეთ, როცა ორი ანტიქრისტე მოევლინება სამყაროს: მისტიკური და ნამდვილი, და ეს ახლა, მეექვსე ხანაში, მოხდება, მას შემდეგ, რაც ფრანცისკი მოგვევლინა საკუთარ სხეულში ჯვარცმული იესოს ხუთი ჭრილობის ხორცშესასხმელად. ბონიფაციუსი მისტიკური ანტიქრისტე იყო და ცელესტინუსის გადადგომას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბონიფაციუსი ზღვით მოსული მხეცი იყო, რომლის შვიდი თავი შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას, ათი რქა კი ათი მცნების შერყვნას მიანიშნებდა. კარდინალები, გარს რომ ეხვია, მკალი იყო, ხოლო სხეული მისი – აპოლიონი! მაგრამ თუ მხეცის რიცხვს ბერძნული ასოებით წაიკითხავ, გამოდის Benedicti! – მერე მე მომაჩერდა, რომ გაეგო, მივხვდი თუ არა, რას ამბობდა და თითი აღმართა გამაფრთხილებლად: – ბენედიქტე XI ნამდვილი ანტიქრისტე იყო, მხეცი, მიწიდან ამოზრდილი! უფალმა დაუშვა, რომ ამ ბილწ და აღვირახსნილ ურჩხულს ემართა ეკლესია, რათა მის შემდგომ მოსული დიდების მადლით გაბრწყინებულიყო!

– კი, მაგრამ, წმინდა მამაო, – წამოვიკნავლე, – მისი შემდგომი ხომ იოანეა!

უბერტინუსმა შუბლზე გადაისვა ხელი, თითქოს ავი სიზმრის განსადევნად. დაქანცული ჩანდა, ძლივს სუნთქავდა.

– მართლაც. გათვლა მცდარი აღმოჩნდა, კვლავაც ველით ანგელოზებრივ პაპს… თუმცა ამასობაში ფრანცისკი და დომინიკე მოგვევლინენ. – ცას ახედა, თითქოს ლოცულობდა (თუმცა დარწმუნებული ვარ, ნაწყვეტს ამბობდა თავისი დიდი წიგნიდან „სიცოცხლის ხის“ შესახებ): „Quorum primus seraphico calculo purgatus et ardore celico inflammatus totum incendere videbatur. Secundus vero verbo predicationis fecundus super mundi tenebras clarius radiavit…“[55] დიახ, თუ ეს იყო დაპირება, ანგელოზებრივ პაპს კვლავაც ველით.

– დე ასე იყოს, უბერტინუს, – თქვა უილიამმა. – მე კი ამასობაში იმაზე უნდა ვიზრუნო, რომ მიწიერი იმპერატორი არ გააძევონ. შენს ანგელოზებრივ პაპზე ძმა დოლჩინოც ლაპარაკობდა…

– აღარ ახსენო იმ გველის სახელი! – შეჰყვირა უბერტინუსმა და პირველად დავინახე, რომ შეიცვალა, სევდა მრისხანებად ექცა. – მან შერყვნა იოაკიმე კალაბრიელის სიტყვა და ის სიკვდილისა და სიბინძურის მოძღვრებად აქცია! ანტიქრისტეს მოციქული, თუკი ასეთი არსებულა ოდესმე. შენ კი, უილიამ, ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ არ გწამს ანტიქრისტეს მოსვლის, შენმა ოქსფორდელმა მოძღვრებმა გასწავლეს, გონება კერპად აქციო და გულის წინასწარმეტყველური ნიჭი დაიჭკნო!

– ცდები, უბერტინუს, – სერიოზულად მიუგო უილიამმა. – კარგად იცი, რომ ჩემს მასწავლებელთაგან ყველაზე მეტად როჯერ ბეკონს ვეთაყვანები…

– რომელიც მფრინავ მანქანებზე ოცნებობდა, – ქილიკით ჩაილაპარაკა უბერტინუსმა.

– რომელიც ნათლად და გარკვევით ლაპარაკობდა ანტიქრისტეზე და სამყაროს ხრწნასა და გონებრივ დაძაბუნებაში სწორედ მისი მოსვლის ნიშნებს ხედავდა. მან ამიხსნა, რომ

ერთადერთი გზა ანტიქრისტეს დასახვედრად ბუნების საიდუმლოებათა შესწავლა, ადამიანთა მოდგმის გასაუმჯობესებლად ცოდნის გამოყენებაა. შეიძლება, ანტიქრისტეს დასამარცხებლად მცენარეთა სამკურნალო თვისებების, ქვათა ბუნების შესწავლით მოემზადო და თუნდაც მფრინავი მანქანების გამოგონებით, რაზეც ახლა გეღიმება.

– შენი ბეკონისთვის ანტიქრისტე მხოლოდ საბაბი იყო, საზრდო გონების სიამაყისთვის.

– მაგრამ წმინდა საბაბი.

– საბაბი წმინდა ვერ იქნება. უილიამ. იცი, რომ მიყვარხარ, იცი, როგორ გენდობი. ისწავლე გონების დათრგუნვა, იტირე მაცხოვრის იარებზე, გადაყარე შენი წიგნები.

– მხოლოდ შენსას დავიტოვებ, – გაიღიმა უილიამმა.

უბერტინუსსაც გაეღიმა და თითით დაემუქრა: – რეგვენო ინგლისელო, შენ დასცინი მათ, ვინც არ გიყვარს. თუმცა, პირიქით, უნდა გეშინოდეს მათი. მონასტერს კი უფრთხილდი. არ მომწონს ეს ადგილი.

– სწორედ ეგ მინდა, უკეთ გავიცნო აქაურობა, – უთხრა უილიამმა და დაემშვიდობა. – წავიდეთ, ადსო.

– გეუბნები, არ მომწონს-მეთქი, შენ კი გაიძახი, უკეთ მინდა გავიცნოო. ეჰ! – თავი გააქნია უბერტინუსმა.

– მართლა, – ტაძრის შუაგულიდან მიუტრიალდა უილიამი, – ვინაა ის ბერი, პირუტყვს რომ უგავს სახე და ბაბილონის ენაზე მეტყველებს?

– სალვატორე? – შემობრუნდა უბერტინუსი, უკვე მუხლი მოეყარა. – მე ვაჩუქე ის ამ მონასტერს... ისიც და მეკუჭნავეც. ფრანცისკელთა სამოსი რომ გავიხადე, რამდენიმე ხნით ჩემს ძველ მონასტერს დავუბრუნდი კაზალეში. იქ სხვა ბერებიც დამხვდნენ შეკედლებული, მათაც სპირიტუალისტობას აბრალებდნენ, ჩემი სექტის წევრობას... ასე ამბობდნენ. ვცადე, დავხმარებოდი მათ და მოვახერხე, რომ ჩემს მაგალითს მიჰყოლოდნენ. ორი მათგანი, სალვატორე და რემიგუსი, შარშან აქ რომ ჩამოვედი, უკვე მონასტერში დამხვდნენ. სალვატორე... მართლა ნადირს ჰგავს. მაგრამ ისეთი დაუზარელია.

უილიამმა წამით შეიცადა.

– გავიგე, ასე თქვა, „ინანქმედებდეთო“.

უბერტინუსი დადუმდა. ხელები გაასავსავა, თითქოს უკეთური აზრის გასადევნად.

– არა, არა მგონია, ხომ იცი, როგორები არიან ეს მდაბიო ბერები. სოფლის ხალხია, სადმე მოხეტიალე მქადაგებელს მოუსმენენ და იმეორებენ, არც იციან, რას ამბობენ. სალვატორეს სხვა რამე შეიძლება დააბრალო, თუნდაც ის, რომ მსუნაგი და ავხორცია! მაგრამ ეკლესიისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს! არა, ამ მონასტერს სხვა ჭირი ღრღნის, ეჭვის კოშკებს ნუ ააგებ ერთ სიტყვაზე.

– არც ვაპირებდი, – უპასუხა უილიამმა, – ინკვიზიტორობას სწორედ ამიტომ დავანებე თავი. მაგრამ სიტყვებს კი ვაქცევ ყურადღებას: მერე ვფიქრობ ხოლმე მათზე.

– ზედმეტს ფიქრობ. ბიჭუნავ, – მომიბრუნდა, – ეცადე, ცუდი მაგალითი არ აიღო მასწავლებლისგან. ერთადერთი, რაზეც ფიქრი გვმართებს, სიკვდილია, და ამას მხოლოდ ახლა, სიცოცხლის ბოლოს, მივხვდი. Mors est quies viatoris – finis est omnis laboris[56]. ახლა კი დამაცადეთ, ვილოცო.

მეცხრე ჟამამდე

სადაც უილიამსა და ბალახთა მცოდნე სევერინუსს შორის ფრიად განსწავლული საუბარი გაიმართება

ტაძრიდან გამოვედით. აფორიაქებული ვიყავი უბერტინუსის სიტყვებით.

– უცნაური... კაცია, – ჩავილაპარაკე.

– დიდი კაცია, ყოველ შემთხვევაში, ადრე მაინც იყო დიდი, ბევრი რამის გამო. ამიტომაცაა უცნაური. მხოლოდ პატარა ადამიანები არ გვეჩვენება უცნაურად. უბერტინუსს შეეძლო, იმ მწვალებელთა ადგილზე ყოფილიყო, რომლებიც თავად გაუშვა კოცონზე, ან წმინდა რომის ეკლესიის კარდინალი გამხდარიყო. ორივე უკიდურესობასთან ახლოს იყო. უბერტინუსს რომ ველაპარაკები, ასე მგონია, ჯოჯოხეთი იგივე სამოთხეა, მეორე მხრიდან დანახული.

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

– რომელი მხრიდან? – ვკითხე.

– საქმეც ეგაა, – აღიარა უილიამმა, – იმის გაგებაა საქმე, არსებობს თუ არა მხარეები, ან თუნდაც ერთი მთლიანი. თუმცა შენ ყურს ნუ მიგდებ და ნუღა მისჩერებიხარ იმ კარს, – და კეფაზე წამითაქა, რადგან გაუთავებლად უკან ვიხედებოდი, იმ გამოსახულებებით მონუსხული, შესასვლელში რომ ვიხილე. – დღეისათვის საკმარისად შეგაშინეს. ყველამ.

შემოვბრუნდი და ბერს შევეფეთე. უილიამის ასაკისა იქნებოდა. გაგვიღიმა, თავაზიანად მოგვესალმა. გვითხრა, სევერინუსი ვარო, სანტ-ემერანოდან, ბალახთა მცოდნე, აბანოს, ლაზარეთს, ბაღ-ბოსტანს ვუვლი და თქვენს განკარგულებაში მიგულეთ, თუ მონასტერში გზა აგებნათო.

უილიამმა მადლობა გადაუხადა, უთხრა, შემოსვლისთანავე შევნიშნე უმშვენიერესი ბაღი და, თოვლქვეშ თუ კარგად გავარჩიე, ვგონებ, არა მარტო საკვები მცენარეები მოგიშენებიათ, არამედ სამკურნალოცო.

– ზაფხულში და გაზაფხულზე მცენარეთა მრავალფეროვნებითა და ყვავილთა ნაირგვარობით ეს ბაღი უკეთ მღერის უფლის სადიდებელს, – თქვა სევერინუსმა, თითქოს ბოდიშობდა. – მაგრამ მცოდნე თვალი ახლაც, გამხმარ ტოტებქვეშაც არჩევს იმ მცენარეთა ყლორტებს, გაზაფხულზე რომ ყვავილობენ და გვამცნობენ, რომ ეს ბაღი ნებისმიერ მცენარეთა წიგნზე მდიდარია, რაც უნდა ლამაზად იყოს მოხატული ეს წიგნები. ზამთარშიც მრავლად იზრდება სასარგებლო მცენარე, სხვებს კი დაკრეფილს, ჭურჭელში ვინახავ ლაბორატორიაში. მჟაველას ფესვებით კატარი იკურნება, ალთეს ფესვების ნახარშის საფენებით – კანის სნეულებანი, ოროვანდი ეგზემას ახორცებს, გველისებრი მთიულას ბოლქვს თუ დანაყავ, კუჭის აშლილობასა და ზოგიერთ ქალურ დაავადებას შველის, წიწაკა მონელებისთვისაა კარგი, ვირისტერფა ხველას უხდება, მონელებისთვის ასევე არაჩვეულებრივი ნაღველა გვაქვს, და გლიცინია, ღვიაც, ნაყენისთვის, შავი ანწლი, რომლის ქერქისგანაც ღვიძლისთვის მარგებელი ნახარში მზადდება, საპონას ფესვებს თუ დანაყავ ცივ წყალში, ყელისთვისაა უებარი, კატაბალახას თვისებებიც ხომ კარგად მოგეხსენებათ.

– სხვადასხვა კლიმატის მცენარეები გქონიათ. როგორ ხარობენ?

– ღვთის წყალობაცაა, რომ ასეთ ადგილასაა განლაგებული ჩვენი ზეგანი, ორ მთაგრეხილს შორის. ერთი მხარე სამხრეთს, ზღვას გადაჰყურებს და თბილ ჰაერს არ გვაკლებს, ჩრდილოეთიდან კი, მთებიდან, ტყის ველური სურნელი ეფრქვევა ფერდობს. თუმცა, საკუთარ ოსტატობას იმ ცოდნასაც ვუმადლი, ჩემს მოძღვართაგან რომ გადმომეცა. ზოგიერთი მცენარე მისთვის არაბუნებრივ კლიმატშიც ხარობს, თუ მიწას დაუმუშავებ სათანადოდ, მოუვლი, საჭირო საზრდოს მიაწვდი.

– მაგრამ მხოლოდ საკვებად ვარგისი მცენარეებიც ხომ გაქვთ? – შევეკითხე.

– ჩემო დამშეულო კვიცო, თუ ზომიერად მივიღებთ, ყველა საკვებად ვარგის მცენარეს აქვს სამკურნალო თვისებები. მხოლოდ ჭარბი მოხმარება იწვევს დაავადებებს. თუნდაც ხახვი აიღე. ცხელი და წყლიანია, ზომიერად თუ შეჭამ, მამაკაცურ ძალთა გამაძლიერებელია, ცხადია, მათთვის, ვისაც ჩვენსავით უმანკოების აღთქმა არ დაუდვია, ხოლო თუ ზედმეტი მოგივიდა, თავი გიმძიმდება და რძითა და ძმრით უნდა ებრძოლო. მშვენიერი მიზეზია საიმისოდ, – დაამატა ცუღლუტად, – რომ ყმაწვილ ბერებს მეტისმეტი არ მოუვიდეთ. სამაგიეროდ ნიორი მიირთვი, რამდენიც გინდა. ცხელი და მშრალი, შხამის საწინააღმდეგოა. მართალია, ზოგიერთს მიაჩნია, რომ თუ გვიან შეჭამ, ნიორმა სიზმრების არევა იცის, მაგრამ არც ისე, როგორც ცუდი ხილვების გამომწვევმა მცენარეებმა.

– რომლებმა? – ვკითხე.

– აჰ, აჰ, ჩვენი მორჩილი ძალიან ცნობისმოყვარეა. ზოგიერთი რამ მხოლოდ ბალახთა მცოდნემ უნდა იცოდეს. ასე რომ არ იყოს, ხომ ყველა შეძლებდა, ხილვები გამოეწვია ადამიანებში, ანუ სიცრუე ეთესა ბალახთა საშუალებით.

– საკმარისია ცოტა ჭინჭარი, – ჩაერია უილიამი, – ან როიბრა, ან ოლიერიბუსი, რომ ხილვებს გაუმკლავდე. იმედი მაქვს, გაქვთ ეს სამკურნალო მცენარეები.

სევერინუსმა ცერად გახედა ჩემს მოძღვარს: – ბალახებში ერკვევი?

– ცოტა, – მოკრძალებით მიუგო უილიამმა. – ერთხელ ხელთ ჩამივარდა ბალდახელი აბუბჰასიმის „Theatrum Sanitatis“[57]…

– აბულ ჰასან ალ მუსთარ იბნ ბოტლანი.

– ან, გნებავს, ელუკაზიმ ელიმიტარი, როგორც გირჩევნია. ნეტა აქ თუ ინახება ეს წიგნი…

– არის და თან ერთ-ერთი საუკეთესო ეგზემპლარი, უძვირფასესი ნახატებით.

– დიდება ზეცას. პლატეარიუსის „De virtutibus herbarum“[58]?

– ეგეცაა, არის ასევე არისტოტელეს „De plantis“[59]. სიამოვნებით დაგელაპარაკებოდი ოდესმე მცენარეებზე.

– მე კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით, – უთხრა უილიამმა, – მაგრამ დუმილის წესს ხომ არ დავარღვევთ? მგონი, თქვენი ორდენი მას იცავს, არა?

– წესდება, – უპასუხა სევერინუსმა, – საუკუნეთა მანძილზე ეთანხმებოდა და ერგებოდა საძმოთა სხვადასხვაგვარ მოთხოვნებს. მაგალითად, წესდება მოითხოვდა წმინდა წიგნების კითხვას და არა შესწავლას და მაინც, მოგეხსენება, მრავალგზის უკვლევია ჩვენს ორდენს ღვთიური თუ ადამიანური ბუნება! წესდება ჯერ კიდევ საერთო საძილე ოთახს ითვალისწინებს, მაგრამ სწორია, როგორც ჩვენთანაა, ბერებს ღამითაც ჰქონდეთ ფიქრის საშუალება, ამიტომ ყოველ მათგანს საკუთარი სენაკი აქვს. დუმილის წესი ძალიან მკაცრია და ამ მონასტერში იმ ბერებსაც კი ევალებათ დუმილი, ვინც წერს და კითხულობს. მაგრამ მონასტერი, უპირველეს ყოვლისა, სწავლულთა თანასაზოგადოებაა და სასარგებლოა, ბერებმა ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა, რომელსაც დამოუკიდებლად შეაგროვებენ. ნებისმიერი შენიშვნა, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს ეხება, კანონიერად და სასარგებლოდ ითვლება, ოღონდ კი სატრაპეზოში და წმინდა მსახურებათა დროს არ დაირღვეს დუმილი.

– ოტრანტოელ ადელმუსთან გილაპარაკია? – მოჭრით ჰკითხა უილიამმა.

სევერინუსს გაოცება არ დამჩნევია.

– ვხედავ, უკვე გისაუბრია წინამძღვართან, – უთხრა. – არა, მასთან დიდი ხნით არ ვჩერდებოდი ხოლმე. ხატვაში ატარებდა დროს. ხანდახან ყური მომიკრავს, თავის სამუშაოზე სხვა ბერებთან რომ კამათობდა, სალვემეკელ ვენანციუსთან ან ბურგოსელ ხორხესთან. თანაც მე მთელ დღეს ლაბორატორიაში ვატარებ და არა სკრიპტორიუმში, – და შენობის იმ ნაწილისკენ გაიშვირა ხელი, სადაც ლაზარეთი იყო.

– მესმის, – უთხრა უილიამმა. – ესე იგი, არ იცი, ადელმუსს ხილვები ჰქონდა თუ არა.

– ხილვები?

– შენი ბალახები რომ იწვევს, თუნდაც ისეთი.

სევერინუსი გაქვავდა.

– მე ვთქვი, საგულდაგულოდ ვდარაჯობ-მეთქი საშიშ ბალახებს.

– ამას არ გეუბნები, – სასწრაფოდ დააზუსტა უილიამმა. – ზოგადად ხილვებს ვგულისხმობდი.

– არ მესმის, – არ დათმო სევერინუსმა.

– ვიფიქრე, რომ ბერს, რომელიც ღამით დაბოდიალებს ციტადელში, სადაც, როგორც წინამძღვარმა მითხრა, შეიძლება... შემზარავი რამ დაემართოს ყველას, ვინც იქ აკრძალულ საათებში შევა... ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ ისეთი რამ ხილვა ეწვია, რამაც უფსკრულისკენ უბიძგა-მეთქი.

– მოგახსენეთ, სკრიპტორიუმის ხშირი სტუმარი არ გახლავართ, მხოლოდ მაშინ შევდივარ, თუ წიგნი მჭირდება, მაგრამ იშვიათად, რადგან ჩემი წიგნები მცენარეებზე ლაბორატორიაში მაქვს. გითხარით, ადელმუსი ახლოს იყო ხორხესთან, ვენანციუსთან და ცხადია, ბერენგარიუსთან.

მეც შევნიშნე სევერინუსს ხმაში წამიერი ყოყმანი. ეს არც ჩემს მასწავლებელს გამოჰპარვია: – ბერენგარიუსთან? რატომაა ცხადი?

– ბერენგარიუს არუნდელზე ვამბობ, ბიბლიოთეკარის დამხმარეზე. თანატოლები იყვნენ, მორჩილობაც ერთად გაუტარებიათ, ბუნებრივია, ბევრი ექნებოდათ საერთო. ამას ვგულისხმობდი.

– ესე იგი, ამას გულისხმობდი, – შენიშნა უილიამმა. და გამიკვირდა, რომ აღარ შეჩერდა ამაზე, მაშინვე შეცვალა საუბრის თემა. – ალბათ, დროა, ციტადელში შევიდეთ. გაგვიძღვები?

– სიამოვნებით, – თქვა სევერინუსმა და აშკარად გულზე მოეშვა. ბოსტანს გვერდი ავუარეთ და ციტადელის დასავლეთ ფასადის წინ გავჩერდით.

– ბოსტნის მხრიდან კარია, სამზარეულოში შესასვლელი, – თქვა, – მაგრამ სამზარეულოს პირველი სართულის მხოლოდ დასავლეთის ნახევარი უჭირავს, მეორე ნახევარში კი სატრაპეზოა. სამხრეთიდან კი, სადაც ეკლესიის ქორედის შემოვლით შეგიძლია მიხვიდე, კიდევ ორი კარია, საიდანაც სამზარეულოშიც შეიძლება მოხვედრა და სატრაპეზოშიც. თუმცა, მოდი, აქედან შევიდეთ, მერე სამზარეულოდან გავალთ სატრაპეზოში.

როგორც კი ფართო სამზარეულოში შევაბიჯეთ, შევნიშნე, რომ ციტადელი რვაკუთხა შიგა ეზოს ქმნიდა. როგორც შემდგომ მივხვდი, ეს ერთგვარი ვეებერთელა ჭა იყო, შესასვლელის გარეშე, სადაც ყველა კედლიდან განიერი ფანჯრები გადიოდა, ისეთივე, როგორებიც გარე ფასადებზე. სამზარეულო ვეებერთელა დარბაზი იყო, კვამლით სავსე, მსახურები უკვე ეზიდებოდნენ სანოვაგეს ვახშმისთვის. ვეებერთელა მაგიდაზე ორი მათგანი შეჭამანდს ამზადებდა ქერის, შვრიის, ჭვავისა და წვრილად დაჭრილი თალგამის, ბოლოკისა და სტაფილოსაგან. გვერდით მეორე მზარეულს თევზი მოეხარშა წყალსა და ღვინოში და ახლა ზედ ომბალოთი, პიტნით, ოხრახუშით, კვლიავით, ნივრით, პილპილითა და მარილით შემზადებულ საკმაზს ასხამდა.

დასავლეთის კედელში უზარმაზარი პურის ღუმელი ვარვარებდა წითლად. სამხრეთ კედელში გაჭრილ ვეებერთელა ბუხარში უშველებელი ქვაბები შეედგათ და შამფურებს ატრიალებდნენ. ეკლესიის უკან მდელოზე გამავალი კარიდან მეღორეები შემოდიოდნენ და ახალდაკლული ღორის ხორცი შემოჰქონდათ. სწორედ იმ კარიდან გავედით და მოვაკებულზე აღმოვჩნდით, ფერდობის აღმოსავლეთ ბოლოში, გალავნის ძირას, სადაც

დამხმარე შენობები ჩარიგებულიყო: ბოსლები, თავლები, საქათმეები და ბოლოს – ცხვრების სადგომი. სევერინუსი შენობების დანიშნულებას გვიხსნიდა. ბოსლის წინ მეღორეები თიხის ვეებერთელა ჭურჭელში ახლახან დაკლული ღორების სისხლს ურევდნენ შესადედებლად. თუ კარგად მოურევდნენ და სიცივის წყალობით რამდენიმე დღე არ გაფუჭდებოდა, მერე სისხლის შეჭამანდს მოამზადებდნენ.

ციტადელში შევბრუნდით და თვალი მოვავლეთ სატრაპეზოს. მასზე უნდა გაგვევლო, რომ აღმოსავლეთ კოშკის კედელთან მივსულიყავით. ჩრდილოეთ კოშკში ბუხარი იყო გაჭრილი, აღმოსავლეთ კოშკში კი ხვეული კიბე იყო, რომელიც სკრიპტორიუმში, ანუ მეორე სართულზე, ადიოდა. ამ კიბით ბერები ყოველდღე სამუშაოდ ადიოდნენ. იყო კიდევ სხვა ორი ხვეული კიბეც, ნაკლებ მოხერხებული, მაგრამ კარგად გამთბარი, ერთი ბუხრის, მეორე კი – სამზარეულოს ღუმლის უკან.

უილიამმა იკითხა, სკრიპტორიუმში ვინმე თუ იქნებაო, რადგან კვირადღე იყო. სევერინუსმა ღიმილით უპასუხა, ბენედიქტელი ბერისთვის მუშაობა ლოცვააო. კვირაობით მსახურება უფრო ხანგრძლივად გრძელდებოდა, მაგრამ ბერები, რომლებიც წიგნებთან დაიშვებოდნენ, რამდენიმე საათს მაინც ატარებდნენ იქ და დრო ძირითადად ნაყოფიერ კამათში გაჰყავდათ, წმინდა წიგნებთან დაკავშირებული მეცნიერული შენიშვნების, რჩევებისა და მოსაზრებების ურთიერთგაცვლაში.

მეცხრე ჟამის შემდეგ

სადაც ვესტუმრებით სკრიპტორიუმს და გავიცნობთ სწავლულებს, გადამწერებსა და კომენტატორებს, ასევე უსინათლო უხუცესს, რომელიც ანტიქრისტეს ელის

ასვლისას შევნიშნე, ჩემი მასწავლებელი ფანჯრებს უყურებდა, საიდანაც კიბე ნათდებოდა. ალბათ, მეც ვიწყებდი მასავით დახელოვნებას დაკვირვებაში, რადგან მაშინვე შევამჩნიე, ფანჯრები ისე იყო განლაგებული, ადამიანი ვერ მისწვდებოდა. არც სატრაპეზოზე გამავალი ფანჯრები იყო ადვილად მისადგომი (პირველი სართულის ფანჯრებიდან მხოლოდ ესენი გადიოდა კლდეზე), რადგან მათ ქვეშ არაფერი არ იდგა.

კიბე ავათავეთ და აღმოსავლეთ კოშკიდან შევედით სკრიპტორიუმში. აღფრთოვანების შეძახილი აღმომხდა გაოგნებულს. მეორე სართული პირველივით ორად არ იყო გაყოფილი და უკიდეგანო სივრცედ იშლებოდა მნახველის წინაშე. მომრგვალებული და არცთუ მაღალი თაღები (ეკლესიის თაღებზე დაბალი, მაგრამ ნებისმიერ სხვა იქამდე ნანახ დარბაზისაზე მაღალი) სქელ სვეტებს ეყრდნობოდა და ულამაზეს, ნათელ სივრცეს ევლებოდა გარს. თითოეულ დიდ კედელზე სამი უზარმაზარი ფანჯარა იყო გაჭრილი, თითოეული კოშკის გარე ხუთ კედელზეც – თითო, უფრო მომცრო ფანჯარა და ბოლოს – რვა მაღალი და ვიწრო ფანჯარა შიგა ეზოს გადაჰყურებდა, ისე, რომ შუქი რვაკუთხა შიგა ეზოდანაც შემოსულიყო.

ფანჯრების სიმრავლის გამო დიდ დარბაზში მუდმივად იღვრებოდა დღის შუქი და სკრიპტორიუმი ზამთარშიც საღამომდე იყო განათებული. ეკლესიის ფერადი ვიტრაჟებისგან განსხვავებით, მისი ფანჯრების ტყვიის ჩარჩოებში გამჭვირვალე შუშები ჩაესვათ, ამრიგად, დარბაზში სუფთა სინათლე შემოდიოდა და უზადოდ ემსახურებოდა წერისა და კითხვის დიად საქმეს. ბევრ სკრიპტორიუმში ვყოფილვარ, მაგრამ არსად მინახავს ასე გაბრწყინებული ფიზიკური სინათლის ნიაღვარში თავად ის სულიერი საწყისი – claritas[60], რაც სინათლეშია განხორციელებული, წყარო ცოდნისა და ყოველგვარი სილამაზისა, განუყოფელი ნაწილი იმ დარბაზში შექმნილი საოცარი წონასწორობისა. რამეთუ სამი რამ ბადებს სილამაზეს: უპირველესად – სისავსე, ანუ სრულქმნილება და ამადაც მიიჩნევა უსახურად ყოველივე დაუსრულებელი; შემდეგ – პროპორცია, ანუ ჰარმონია, და ბოლოს – შუქი, ანუ ნათელი. განა ლამაზი არაა ყოველივე ნათელი ფერისა? ვინაიდან სილამაზეს სიმშვიდის შეგრძნება მოაქვს, მშვიდობა, სიკეთე და მშვენიერება კი სულს ასაზრდოებს, საოცარი უდრტვინველობა დამეუფლა და

წარმოვიდგინე, რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო იქ მუშაობა.

ნაშუადღევის შუქში განფენილი, ჩემს მზერას ცოდნის ხალისიან სამჭედლოდ ეჩვენა ის ადგილი. შემდეგ სან-გალოშიც ვნახე მსგავსი სკრიპტორიუმი, ბიბლიოთეკისგან გამოყოფილი (ზოგიერთ მონასტერში ბერები იქვე მუშაობდნენ, სადაც წიგნები ინახებოდა), მაგრამ ასე ლამაზად ჩაფიქრებული და გათვლილი არ ყოფილა. სიძველეთა მკვლევარნი, მწერალნი, გადამწერნი და სწავლულნი ფანჯრებთან მიდგმულ მაგიდებთან მუშაობდნენ. ვინაიდან ფანჯარა სულ ორმოცი იყო (მართლაც სრულყოფილი რიცხვი, ოთკუთხედის ათზე ნამრავლი, თითქოს ათი მცნება, ოთხი ძირითადი ნიჭით გაპატიოსნებული), ორმოც ბერს შეეძლო ერთად ემუშავა დარბაზში, თუმცა იმ დღეს ოცდაათიც არ იქნებოდა. სევერინუსმა აგვიხსნა, რომ სკრიპტორიუმში მომუშავე ბერები გათავისუფლებული იყვნენ მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამის ლოცვებიდან, რათა დღისით განუწყვეტლად ემუშავათ, და მხოლოდ მწუხრის ლოცვაზე ჩამოდიოდნენ.

ყველაზე კარგად განათებულ მაგიდებთან სიძველეთა მკვლევარნი, მხატვრები და გადამწერნი ისხდნენ. მაგიდებზე ხატვისა და გადაწერისათვის საჭირო ნივთები ეწყო: რქის სამელნეები, უწვრილესი ფრთის კალმები, რომლებსაც ბერები თხელი დანით წვერს უთლიდნენ, პერგამენტის გასაპრიალებელი ქვები, სახაზავები. ყველა მაგიდას ჰქონდა წიგნის საყრდენი ზედ დასვენებული გადაშლილი წიგნებით. იმ პწკარის ქვევით, რომელზეც გადამწერი მუშაობდა, გვერდი ფურცლით იყო დაფარული. ზოგს ოქროსფერი და ფერად-ფერად მელნიანი სამელნეები ედგა მაგიდაზე. ზოგი უბრალოდ კითხულობდა და შენიშვნებს იწერდა რვეულში თუ დაფაზე.

დრო არ მქონდა, დავკვირვებოდი, ვინ რას აკეთებდა, რადგან ბიბლიოთეკარი შემოგვეგება. მისი ვინაობა უკვე ვიცოდით – მალაქია ერქვა, ჰილდესჰაიმიდან იყო. ცდილობდა, სტუმართმოყვარე გამომეტყველება შეენარჩუნებინა, მაგრამ ავკანკალდი მისი საოცარი სახის დანახვაზე. ფერმკრთალი იყო მალაქია, ჯერ შუახნისაც არ იქნებოდა, მაგრამ სახე ერთიანად წვრილი ნაოჭებით დაფარვოდა, რაც დედაბერს უფრო ამსგავსებდა (მომიტევოს უფალმა), ვიდრე მოხუც კაცს. ერთი შეხედვით ასე მომეჩვენა. არ ვიცი, რა, მაგრამ იყო რაღაც ქალური მის ღრმა, ნაღვლიან თვალებში. მის ბაგეებს თითქოს გაღიმება არც კი შეეძლოთ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანი რაღაც უსიამოვნო მოვალეობის შესასრულებლად არსებობდა ამქვეყნად და ამით საშინლად იტანჯებოდა.

ბიბლიოთეკარი თავაზიანად მოგვესალმა და სკრიპტორიუმში მომუშავე ბერები წარგვიდგინა, თან გვიხსნიდა, ვინ რაზე მუშაობდა. აღვფრთოვანდი ცოდნისადმი მათი სიყვარულით და ღვთის სიტყვის შესწავლისთვის თავდადებით. ასე გავიცანი სალვემეკელი ვენანციუსი, ბერძნული და არაბული ენებიდან მთარგმნელი, იმ არისტოტელეს ერთგული, უდავოდ ყველაზე ბრძენი რომ იყო კაცთაგან. უფსალელი ბენციუსი – ახალგაზრდა სკანდინავიელი ბერი, რომელიც რიტორიკას სწავლობდა. არუნდელელი ბერენგარიუსი, ბიბლიოთეკარის თანაშემწე, აიმარუს ალექსანდრიელი, გადამწერი, რომელიც ისეთ წიგნებს იწერდა, მხოლოდ რამდენიმე თვით რომ სტუმრობდნენ ბიბლიოთეკას. იქვე იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მინიატურების რამდენიმე ოსტატი, კლონმაკნოისელი პატრიციუსი, ტოლედოელი რაბანუსი, იონელი მაგნუსი, ჰერფორდელი ვალდუსი.

შემიძლია გავაგრძელო, და განა რამეა ჩამონათვალზე – ვარაუდთა ამოუწურავ წყაროზე – საოცარი, მაგრამ ჩვენს საუბარს უნდა დავუბრუნდე, საიდანაც მალე გაირკვა, რომ ბერებში ერთგვარი მსუბუქი შფოთვა დაბუდებულიყო და კიდევ რაღაც, არ ვიცი რა, რასაც არავინ გამოხატავდა და რაც ყოველ მათგანს, მათ ყოველ სიტყვას, თავს დასტრიალებდა.

ჩემი მოძღვარი მალაქიას ესაუბრებოდა, აღფრთოვანებული სკრიპტორიუმის მშვენიერებით და იმით, რომ აქ ამდენი ბრწყინვალე წიგნი იქმნებოდა. აინტერესებდა, როგორ მუშაობდნენ ბერები, ამბობდა, ბევრი მსმენია ამ ბიბლიოთეკის სიდიადეზე და მინდა, საკუთარი თვალით ვნახო ზოგიერთი წიგნიო. მალაქიამ წინამძღვრის ნათქვამი გაუმეორა, წესის თანახმად, ბერი ბიბლიოთეკარს სთხოვს წიგნს, რომელიც მას ზედა სართულზე მოძებნის, თუკი მოთხოვნა მართებული და ღვთისგან ნაკარნახევიაო.

უილიამმა ჰკითხა, როგორ გავიგო, რა წიგნები ინახება ბიბლიოთეკაშიო და მალაქიამ ვეებერთელა, მაგიდაზე ოქროს ჯაჭვით მიბმულ წიგნზე მიუთითა, უწვრილესი ასოებით ჩაწიკწიკებული სათაურებით რომ იყო სავსე.

უილიამმა ხელი შეიყო სამოსში, რომელიც ჯიბესავით ეხსნებოდა მკერდზე და გამოაძვრინა ხელსაწყო, რომელიც ადრეც მეხილა მის ხელში და სახეზე. პაწია, ორკაპი რამ იყო, ადამიანის ცხვირზე ისე ჩერდებოდა (უფრო სწორად – უილიამის არწივისებურ კეხიან ცხვირზე), როგორც რაინდი – უნაგირზე ან ფრინველი – ტოტზე. ორკაპს ბოლოებზე, თვალების შესაბამისად, ლითონის ოვალური რკალები ჰქონდა მიბმული და მათში ნუშის ფორმის, ჭიქის ძირივით სქელი შუშები იჯდა. კითხვისას წამოიცვამდა ხოლმე ცხვირზე იმ ხელსაწყოს და ამბობდა, უკეთ ვხედავ, ვიდრე იმ თვალისჩინით, რაც ბუნებამ მარგუნა და ჩემმა ხანდაზმულმა ასაკმა შემარჩინაო, მით უფრო, დღის შუქი რომ იკლებს და ხედვა მიჭირსო. შორს დასანახად არც სჭირდებოდა, პირიქით, საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა, მხოლოდ ახლო მანძილზე იყენებდა. მისი დახმარებით უწვრილესი ასოებით ნაწერსაც კითხულობდა, მეც რომ ძლივს ვარჩევდი ხოლმე. ამიხსნა, კაცი ცხოვრების ნახევარს რომ გადააბიჯებს, თუნდაც არაჩვეულებრივი მხედველობა ჰქონდეს, თვალი უხისტდება და უძაბუნდებაო. რამდენი ბრწყინვალე სწავლულ-მეცნიერი გარდაცვლილა კითხვისა და წერისათვის ცხოვრების ორმოცდამეათე გაზაფხულის მერეო. დიდი უბედურებაა მათთვის, ვინც კიდევ მრავალი წელი შეძლებდა საკუთარი გონების გამოყენებას და დიდება უფალს, რომ ვიღაცამ მოიგონა და შექმნა ეს ხელსაწყოო. ამასაც იმ თავისი როჯერ ბეკონის იდეების დასაცავად მეუბნებოდა, რომელიც თურმე ამტკიცებდა, ცოდნის მიზანი, სხვა მრავალთა შორის, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებაც არისო.

ბერები ცნობისწადილით, უხმოდ შესცქეროდნენ უილიამს. მივხვდი, რომ ასეთ ადგილასაც კი, სადაც ასე ამაყად და ერთგულად ჩამდგარიყვნენ წერისა და კითხვის სამსახურში, ამ საოცარ ხელსაწყოს ჯერ არ იცნობდნენ. მეამაყებოდა, რომ ჩემს მოძღვარს რაღაც ისეთი ჰქონდა, სიბრძნით საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებსაც რომ გააოცებდა.

ცხვირზე იმ ხელსაწყოწამოსკუპებული უილიამი წიგნების სიაზე გადაიხარა. მეც მივბაძე. თვალწინ გვქონდა უსასრულო ჩამონათვალი ცნობილი თუ უცნობი წიგნებისა, რომლებსაც ბიბლიოთეკის კედლები ინახავდა.

„სოლომონის ხუთკუთხედის შესახებ“, „ებრაულ ენაზე მეტყველებისა და შეცნობისათვის“, როჯერ ჰერეფორდელის „ლითონთა თვისებებზე“, ალ-ხორეზმის „ალგებრა“, ლათინურად ნათარგმანები რობერტ ინგლისელის მიერ, სილვიუს იტალიკუსის „პუნიკური ომები“, რაბანი მავრის „ფრანკთა ქმედებანი“ და „წმინდა ჯვრის სადიდებელი“, „ფლავიუს კლაუდიუს იორდანელი სამყაროსა და კაცობრიობის ასაკის შესახებ, ასოთა და წიგნთა მიხედვით, ანიდან ჰაემდე“, – კითხულობდა ჩემი მოძღვარი. – ბრწყინვალე შრომებია. მაგრამ რა მიმდევრობითაა განლაგებული? და უცებ წამოიწყო რაღაც, ჩემთვის უცნობი, მაგრამ მალაქიასთვის უდავოდ კარგად ნაცნობი, წიგნიდან: „Habeat Librarius et registrum omnium librorum ordinatum secundum facultates et auctores, reponeatque eos separatim et ordinate cum signaturis per scripturam applicatis.“[61] რანაირად იმახსოვრებთ წიგნის ადგილს?

მალაქიამ შენიშვნები უჩვენა თითოეული სათაურის გვერდით. წავიკითხე: iii, IV რიგი, V ბერძენთა პირველში; ii V რიგი, VII ინგლისელთა მესამეში და ასე შემდეგ. მივხვდი, რომ პირველი ციფრი აღნიშნავდა წიგნის ადგილს თაროზე, მეორე – თაროს, მესამე – კარადას, სხვა აღნიშვნები კი – შესაბამისად – ბიბლიოთეკის ოთახებს, გასასვლელებს. შევბედე, მათზეც მეკითხა. მალაქიამ მკაცრად შემომხედა: – ალბათ, არ იცით ან დაგავიწყდათ, რომ წიგნებთან მხოლოდ ბიბლიოთეკარი დაიშვება, ამრიგად, უპრიანია, ამ აღნიშვნათა ბოლომდე წაკითხვაც მხოლოდ მან იცოდეს.

– კი, მაგრამ რა პრინციპითაა გაკეთებული ეს ჩამონათვალი? – ჰკითხა უილიამმა. – თემატურს არ ჰგავს. – ავტორთა სახელების ანბანური თანმიმდევრობა არც უხსენებია, რადგან ამ სისტემის გამოყენება ამ ბოლო წლებში დაიწყეს და მაშინ იშვიათად მიმართავდნენ მას.

– ბიბლიოთეკას უძველეს დროში აქვს ფესვები გადგმული, – თქვა მალაქიამ, – და წიგნები შეძენის ან ჩუქების, ანუ ამ კედლებში მოხვედრის დროის მიხედვითაა ჩაწერილი.

– ძნელი მოსაძებნი იქნება, – შენიშნა უილიამმა.

– საკმარისია, ბიბლიოთეკარს ზეპირად ახსოვდეს თითოეული წიგნის შემოსვლის დრო. ბერებს კი შეუძლიათ, ბიბლიოთეკარის მეხსიერებას ენდონ. – ისე ლაპარაკობდა, თითქოს ვიღაცაზე საუბრობდა და არა საკუთარ თავზე. მივხვდი, რომ ცოდნაცა და მოვალეობაც, ახლა რომ მალაქიას ეტვირთა, საუკუნეთა მანძილზე გადადიოდა კაციდან კაცზე.

– გასაგებია, – თქვა უილიამმა. – ესე იგი, თუ რაღაცას ვეძებ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რას, ვთქვათ, სოლომონის ხუთკუთხედზე, თქვენ მეტყვით, რომ არსებობს ის წიგნი, რომლის სათაურიც წეღან შეგვხვდა და მომიძებნით მას ზედა სართულზე?

– ასეა. მაგრამ თუ მართლა სოლომონის ხუთკუთხედით დაინტერესდებით, – უთხრა მალაქიამ, – ვშიშობ, ეს სწორედ იმ წიგნთაგანია, რომელთა გასაცემადაც წინამძღვართან მომიწევდა მოთათბირება.

– გავიგე, თქვენს მხატვართაგან ერთ-ერთი, მინიატურის უბადლო ოსტატი, – განაგრძო უილიამმა, – ახლახან გარდაცვლილა. წინამძღვარმა მომითხრო მასზე. შეიძლება, ვნახო, რას ხატავდა?

– ოტრანტოელი ადელმუსი, – ჩაილაპარაკა მალაქიამ და უნდობლად შეხედა უილიამს. – ყმაწვილი იყო და ამიტომ მხოლოდ მარგინალიებს[62] ასურათებდა. საოცრად ცოცხალი წარმოსახვა ჰქონდა, ცნობილ ამბებს უცხო, გამაოგნებელი ფანტაზიით აფერადებდა, კაცის სხეულს რომ ცხენის გავა მიაბა, ისე. იქ აწყვია მისი წიგნები. ჯერ არავინ შეხებია მის მაგიდას.

ადელმუსის სამუშაო მაგიდას მივუახლოვდით, სადაც მდიდრულად მოხატული ფსალმუნთა წიგნის ფურცლები ეწყო. უთხელესი ფურცელი იყო – პერგამენტთა დედოფალი. ერთი მათგანი ჯერ კიდევ მაგიდაზე იყო მიმაგრებული. სულ ახალი გაპრიალებული იყო ქვით, ცარცით დარბილებული და მომზადებული, გვერდებზე წვრილი კალმით წერტილები იყო დასმული, რომელთაც ოსტატის ხელი უნდა მიჰყოლოდა ხატვისას. პირველი ნახევარი უკვე სავსე იყო ნაწერით და ბერს მინდვრების მოხატვა დაეწყო. ვერც მე, ვერც უილიამმა აღფრთოვანება ვერ დავფარეთ. ფსალმუნთა წიგნის კიდეებზე ამოყირავებული სამყარო იშლებოდა, ჩვენთვის ჩვეული სამყაროს საპირისპირო. თითქოს საცა ფსალმუნთა სიტყვები მთავრდებოდა (რომლებიც თავად ჭეშმარიტების ღაღადია), იწყებოდა გასაოცარი, in aenigmate[63] მინიშნებებით მათთანვე შეზრდილი და მათგან განუყოფელი, მეორე, ცრუ მოძღვრება, თავდაყირა ამოტრიალებული სამყაროს მოძღვრება, სადაც ძაღლი კურდღელს გაურბის და შველი ლომზე ნადირობს. ჩიტის ფეხებზე წამოსკუპებული ადამიანის თავები, კაცის მტევანგამობმული ნადირთა კიდურები, ფეხებზე შემდგარი, უტანო ფაფარა თავები, ჭრელი ურჩხულები, ერთმანეთზე გველის კისრებით გადაკვანძული ოთხფეხნი, რქოსანი მაიმუნები, მფრინავი სირენები ზურგზე აპკიანი ფრთებით, უხელო ადამიანები, რომელთაც ზურგზე კუზებივით გამოზრდოდათ სხვა ადამიანთა სხეულები, ბასრკბილა ხახები, თავის ნაცვლად ფაშვზე გაჭრილნი, ცხენისთავა კაცები და კაცისფეხება ცხენები, ფრთოსანი თევზები და თევზისკუდა ჩიტები, ერთსხეულიანი ორთავა ან ორსხეულა ერთთავიანი ურჩხულები, მამლისკუდა, ფარვანასფრთიანი ძროხები, თევზის ქერცლიანი დიაცები, ორთავა ქიმერები, ხვლიკისთავიანი კალიები, კენტავრები, დრაკონები, სპილოები, ბეწვოსნები, მცოცავნი, მხოხავნი, ხის ტოტებზე გადაზლაზნილი ქვეწარმავლები, მათი კუდებიდან გამოწელილ-გამოგრძელებული საბრძოლოდ შემართული მშვილდოსნები, გრძელკისერა ეშმები, ადამიანისებრი პირუტყვნი და პირუტყვისებრი ადამიანები, ჯუჯები, და ეს ყველაფერი ისე ცოცხლად, შთამბეჭდავად ერწყმოდა სოფლური ცხოვრების სცენებს, სულჩადგმული, ამოძრავებული გეგონებოდა ყველაფერი: მინდვრები, მხვნელ-მთესველნი, მოსავლის ამღებნი, მთიბავნი, მსხვლელნი, შუბებით შეიარაღებული მელიები და კვერნები, ქალაქის ქონგურებიან გალავანს რომ შესეოდნენ, გალავანს კი მცველებად მაიმუნები ედგნენ. ასომთავრული „ლ“, ბოლოში წაგრძელებული, ურჩხულად გადაქცეულიყო, „სიტყვის“ „ს“ კი ვაზის ლერწივით დაგრეხილიყო და შიგ გაკლაკნილი

გველი ჩაზრდოდა, ფოთოლ-მტევნებად კი მისგან წვრილ-წვრილი გველის წიწილნი გამოზრდილიყვნენ.

ფსალმუნის გვერდით, ალბათ, ახალი დამთავრებული, არაჩვეულებრივი, პაწაწინა „ჟამნი“ იდო, ხელისგულის ტოლა. ნაწერიცა და ნახატიც იმდენად წვრილი იყო, კარგად უნდა დაკვირვებოდი, რომ მათი მშვენიერება დაგენახა (ნეტავ რა უფაქიზესი ხელსაწყოთი შეესრულებინა ეს ფიგურები ოსტატს, ასეთი პაწაწინა და ასეთი მეტყველი). წიგნის კიდეები მთლიანად დაფარული იყო უწვრილესი სხეულებით: ასოების თავსა თუ ბოლოდან და პწკარებიდან ჭაობის ჭიებივით გამოზრდილიყვნენ ქალთევზები, მოსხლეტილი შვლები, ქიმერები, უხელო სხეულები. ერთგან, თითქოს „Sanctus, Sanctus, Sanctus-ის“[64] რიტმის გასამეორებლად (სიტყვის, რომელიც სამ სხვადასხვა ხაზზე გვხვდებოდა), სამი კაცისთავა ცხენი იყო გამოსახული, რომელთაგან ერთი ქვევით გადმოხრილიყო, მეორე კი ზევით აზნექილიყო და ისე ჟინიანად კოცნიდნენ ერთმანეთს, შევშფოთდებოდი, რომ არ მეფიქრა, ალბათ, რაღაც ბუნდოვანი, ღრმა სულიერი შინაარსი ამართლებს-მეთქი წმინდა წიგნში ასეთ გამოსახულებას.

აღფრთოვანებისგან დამუნჯებული ვათვალიერებდი ნახატებს და ხანდახან მეცინებოდა კიდეც, იმდენად უცნაური და სახალისო იყო ამ წმინდა წიგნის ფურცლებზე გამოსახული ფიგურები. მამა უილიამიც ღიმილით ათვალიერებდა ნახატებს. შენიშნა: – ბაბეიუნ, ასე ეძახიან ჩემს კუნძულებზე.

– ბაბუინ, გალები კი ასე იტყვიან, – თქვა მალაქიამ. – ადელმუსი თავის ხელოვნებას სწორედ თქვენს ქვეყანაში დაეუფლა. თუმცა მერე საფრანგეთშიც უსწავლია. ბაბუინები, ანუ აფრიკის მაიმუნები. უკუღმართი სამყაროს ბინადრები, სადაც სახლები სახურავებს ეყრდნობა, მიწა კი ზეცას დაჰყურებს.

რამდენიმე სტრიქონი გამახსენდა, ჩემს მხარეში გაგონილი, და თავი ვერ შევიკავე: Aller Wunder si geswigen,

das herde himel hât überstigen, daz sult ir vür ein Wunder wigen.[65]

მალაქია ამყვა: Erd ob un himel unter

das sult ir hân besunder

Vür aller Wunder ein Wunder.[66]

– ყოჩაღ, ადსო, – განაგრძო ბიბლიოთეკარმა, – ეს ნახატები მართლაც იმ მხარეზე გვიყვება, სადაც ლურჯი ბატის ჭენებით თუ მიხვალ, ქორი ნაკადულში თევზაობს, დათვი მიმინოს ფრენით დასდევნებია, კირჩხიბნი მტრედებთან დანავარდობენ და სამ გოლიათს, ხაფანგში გაბმულთ, მამალი ჰკორტნის.

მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა ბაგეზე. ბერებმა, რომლებიც იქამდე მორიდებით უგდებდნენ ყურს საუბარს, გულიანად გაიცინეს, თითქოს ნიშანს ელოდნენო მალაქიასგან. იცინოდნენ, საბრალო ადელმუსის ოსტატობას აქებდნენ და მის უცნაურ ნახატებზე უთითებდნენ ერთმანეთს, რომ მალაქია ანაზდად მოიქუშა და ჩვენ ზურგს უკან ვიღაცის მკაცრი, მჭექარე ხმა მოისმა: – Verba vana aut risui apta non loqui[67].

შემოვბრუნდით. წელთა სიმრავლისაგან ერთიანად მოკუნტული, თოვლივით სპეტაკი მოხუცი გვედგა წინ, თეთრი ჰქონდა არა მხოლოდ თმა და კანი, არამედ თვალებიც. მივხვდი, ბრმა იყო. მბრძანებლური ხმა და მძლავრი კიდურები ჰქონდა, თუმცა სხეული წლებს დაეძაბუნებინა. ისე გვიყურებდა, თითქოს გვხედავდა და მერეც, როცა კი მინახავს, ისე მოძრაობდა და ლაპარაკობდა ხოლმე, თითქოს თვალისჩინი არც დაეკარგა. წინასწარმეტყველური რიხი უჟღერდა ხმაში.

– ასაკისა და სიბრძნის შარავანდით მოსილი კაცია თქვენ წინაშე, – მალაქიამ უილიამს მოხუცზე მიუთითა, – ხორხე ბურგოსიდან. ყველაზე მხცოვანია მონასტერში, თუ გროტაფერატელ ალინარდუსს არ ჩავთვლით. მონასტრის ბერებიდან ბევრი სწორედ მას ანდობს ცოდვათ სიმძიმეს აღსარების საიდუმლოში. – შემდეგ მოხუცს მიუბრუნდა: – თქვენ წინაშეა უილიამ ბასკერვილელი, ჩვენი სტუმარი.

– იმედია, არ გაგარისხათ ჩემმა სიტყვებმა, – მკვახედ მოჭრა მოხუცმა. – სიცილი გავიგე და ჩვენი წესდების ერთ-ერთი უმთავრესი წესი შევახსენე ჩემს ძმათ. როგორც მეფსალმუნე ამბობს, თუ ბერს კეთილ საუბართაგან მართებს თავშეკავება დუმილის აღთქმის დასაცავად, მით უფრო მართებულია, უკეთურ სიტყვას არიდოს თავი. როგორც სიტყვა, გამოსახულებაც შეიძლება იყოს ბოროტი, თუკი ცრუა და სამყაროს გამყალბებელი. თუმცა, როგორც ვიცი, თქვენი ორდენი მიმტევებლურად უდგება მხიარულებას, თუნდაც ყველაზე უადგილოსა და უმართებულოს.

იმას გულისხმობდა, რომ ბენედიქტელები ხშირად ხუმრობდნენ ხოლმე წმინდა ფრანცისკ ასიზელისა და ფრანცისკელთა ორდენიდან ახლად გამოჩეკილი ფრატიჩელებისა და სპირიტუალისტების ოინებზე. უილიამმა ვითომ ვერ გაიგო გადაკრული.

– მინდვრებზე გამოსახული ფიგურები ხშირად სასაცილოა, მაგრამ სასარგებლო, – უპასუხა მან. – სწავლება, მდაბიოთათვის გასაგები რომ გახადო, მაგალითებით უნდა გაამდიდრო, თუნდაც გამოგონილით. ასევეა გამოსახულების ენაც. თითოეული სათნოებისა თუ ცოდვის თვალსაჩინოებისთვის ნიმუშია ამოღებული ცხოველთა წიგნებიდან და პირუტყვნი ადამიანური სამყაროს ხატად ქცეულან.

– აჰ, რა თქმა უნდა, – გაეხმაურა მოხუცი, მაგრამ არ გაუღიმია. – ყოველი გამოსახულება ვარგისია სიკეთეზე მისანიშნებლად, მაგრამ თავად ქმნის მიზანი, თავდაყირა დახატული, სიცილის საგნად ვაქციოთ? თუ ასეა, ღვთის სიტყვა სახედარს დაამღერებინეთ ქნარზე, ჭოტს ფარით ახვნევინეთ, ისე ქენით, ხარი თავისით შეებას უღელში, მდინარეები აღმა ადინეთ, ზღვას ცეცხლი მოუკიდეთ და მგელი განდეგილად შეაყენეთ! კურდღელს ხარ-კამეჩი დაადევნეთ, ბუკიოტს ჰკითხეთ გრამატიკის წესები, დე ძაღლი კბენდეს რწყილს და არა პირიქით, უსინათლოებმა მუნჯებს უცქირონ და მუნჯებმა მოწყალება ითხოვონ, ჭიანჭველამ ხბო შვას, შამფურზე წამოცმული ქათამი კრიახობდეს, კვერი ბანზე იზრდებოდეს, თუთიყუშმა რიტორიკას გვაზიაროს, დედალმა მამალი ანაყოფიეროს, ურემი ხარ-კამეჩს წინ უსწრებდეს, ძაღლს ბუმბული დაუგეთ და თავდაყირა იარეთ ყოველმა! რა მიზანი აქვს ამ ოინებს? ღვთით დადგენილი სამყაროს შერყვნა, თანაც – უფლის მცნებათა დაცვის საბაბით!

– მაგრამ არეოპაგელი[68] ხომ გვასწავლის, – მოკრძალებით შეეპასუხა უილიამი, – რომ უფალი სწორედ უსახურში გვეცხადება. სან-ვიტორელი უგო კი გვახსენებდა, რომ ჭეშმარიტება სწორედ იმაში ვლინდება, რაც ყველაზე ნაკლებად ჰგავს მას. რაც უფრო ნაკლებ ნეტარებს თვალი საამური სახილავით, მით უფრო დაძაბული და შემართულია სიმახინჯეში დაფარული საიდუმლოს ამოსაცნობად…

– ვიცი, ვიცი! და სირცხვილით ვაღიარებ, რომ ეს ჩვენი ორდენის ძირითადი პრინციპი იყო, როცა კლიუნიელები ცისტერციელებს ებრძოდნენ. მაგრამ წმინდა ბერნარდი მართალს ამბობდა: კაცი ჯერ per speculum et in aenigmate[69] ღვთიურის გამჟღავნების საბაბით ხატავს ბუნების სიმახინჯეთ, მერე კი თავად ბუნებაზე მეტადაც მოსწონს საკუთარი ნაშობი უხამსობანი და ტკბება მათით, ვეღარაფერს ხედავს მათ გარდა. თქვენივე ტაძრის კაპიტელებს შეხედეთ, ვისაც თვალის ჩინი არ დაგიკარგავთ და დარწმუნდებით ამაში, – თქვა და ხელი გაიშვირა ფანჯრებისკენ, საიდანაც ეკლესია მოჩანდა. – ფიქრში ჩაძირული ბერის თვალისთვის რას ნიშნავს ის უგვანი ურჩხულები, ის უფორმო ფორმები და ფორმიანი უფორმობანი, ის უსახური მაიმუნები? ლომები, კენტავრები, ნახევრად ადამიანები, ფაშვზე პირგაჭრილი, ცალფეხა, ყურპანტურა ჯოჯოები? ის შეთითხნილი ვეფხვები, მეომრები, რქის საყვირიანი მონადირენი, მრავალთავა სხეულები და მრავალსხეულიანი თავები? გველისკუდიანი ოთხფეხები და ოთხფეხისთავიანი თევზები, ცხენისა და თხის ნაჯვარი ჩლიქოსნები, რქოსანი ცხენები? ბერს აწ უკვე ურჩევნია, მარმარილოს ჩასცქიროს და არა ხელნაწერთ, ადამიანის ნამოქმედარით აღფრთოვანდეს და არა ღვთის კანონებით. გრცხვენოდეთ თქვენი მზერის წადილისა და ღიმილის გამო!

მოხუცი გაჩერდა, სუნთქვა უჭირდა. აღფრთოვანებული შევცქეროდი, მისი მეხსიერებით გაოგნებული. მრავალი წლის წინ დაბრმავებულს, ჯერაც წვრილად ახსოვდა ყოველივე, რაზეც ლაპარაკობდა. წარმოვიდგინე, როგორ უნდა დაეტყვევებინათ მისი მზერა

ოდესღაც ამ გამოსახულებებს, თუ დღესაც ასეთი გზნებით აღწერდა მათ. თუმცა ცოდვა, ყველაზე მიმზიდველად აღწერილი, სწორედ მათ ნაშრომებში მინახავს, ვისაც ყველაზე უმწიკვლო სახელი ჰქონდა და ვინც სხვაზე შეუპოვრად ებრძოდა ცოდვის საცდურთ და შედეგებს. ეს კი ნიშნავს, რომ ეს ადამიანები ისეთი გულანთებით ცდილობენ ჭეშმარიტების დასაბუთებას, რომ ათასგვარ ხიბლს მიაწერენ ბოროტს, რათა უკეთ ამცნონ კაცობრიობას, რა ძლიერია ეშმაკის ცდუნების გზანი. სიმართლე გითხრათ, ხორხეს სიტყვებმა სამლოცველოს ვეფხვებისა და მაიმუნების ხილვის წადილი აღმიძრა, რომლებიც ჯერ არ მენახა. მაგრამ მოხუცმა ლაპარაკი განაგრძო და ფიქრი შემაწყვეტინა. ახლა ნაკლები გზნება ჰქონდა ხმაში.

– მაცხოვარს ამდენი სიმახინჯე არ დასჭირვებია, რომ სწორი გზა ეჩვენებინა. მის იგავებში არაფერია სასაცილო ან საშიში. ადელმუსი კი, რომელსაც ახლა დასტირით, ისე ტკბებოდა იმ სიმახინჯით, რომელსაც ხატავდა, რომ უმთავრესი გადაავიწყდა, რის ხილული ხატიც მისი ნახატები უნდა ყოფილიყო. და ყველა, გიმეორებთ, ყველა, – მუქარით შეემღვრა ხმა, – ბილიკი განვლო უსახურებისა, რისთვისაც უფლის სასჯელი გარდუვალია.

დარბაზში გულის დამამძიმებელი დუმილი ჩამოწვა. ბოლოს სალვემეკელმა ვენანციუსმა გაბედა მისი დარღვევა.

– ღირსო ხორხე, – უთხრა, – თქვენივე სათნოება გავიწყებთ სამართლიანობას. ადელმუსის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ხომ თქვენც ესწრებოდით მეცნიერულ კამათს სწორედ აქ, სკრიპტორიუმში. ადელმუსი შეშფოთებული იყო, ამ ონავარ ფანტაზიასთან თამაშის გამო ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებენ, როგორც მაცხოვრის სადიდებელს, მის შესაცნობად მიმართულსო. ძმა უილიამმა სიმახინჯის გაგებისათვის წეღან არეოპაგელი მოიშველია, ადელმუსმა კი იმ დღეს კიდევ ერთი უდიდესი წყარო დაასახელა, აკვინელი დოქტორი, როცა თქვა, ხამს, ღვთიური უფრო უკეთური ხატით გამოისახოს, ვიდრე საამურითო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ადამიანის სული ამგვარად უფრო დაცულია შეცდომისაგან: ხომ ცხადია, რომ რაღაც თვისებებს ზეციურს ვერ მივაკუთვნებთ. ეს კი ასე არ იქნებოდა, ყოველივე რომ მშვენიერით ყოფილიყო ასახული. მეორეც, იმიტომ, რომ ეს სახვითი ხერხი უფრო შეესაბამება ჩვენს ცოდნას ღმერთზე: იგი ხომ უფრო ხშირად იმაში ვლინდება, რაც ღვთიური არაა და არა იმაში, რაც ღვთიურია. ამრიგად, ყოველივე, რაც ღვთიურობისგან შორსაა, ღმერთის შესახებ უფრო მკაფიო აზრს გვიქმნის, ვინაიდან ვხვდებით, რომ უფალი იმ ყველაფერზე მაღლაა, რის წარმოდგენაც და თქმაც ჩვენს ენას ან გონებას ხელეწიფება. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ გზით ღვთიური უღირს თვალთათვის ფარული რჩება. იმ დღეს გვსურდა, გაგვერკვია, როგორ შეიძლება ჭეშმარიტების მიგნება სახუმარო და საიდუმლოებით მოცულ გამოსახულებათა მეშვეობით. მაშინ ვთქვი, დიდი არისტოტელეს ნაშრომში ამ საკითხზე საკმაოდ ნათელი განმარტება ამომიკითხავს-მეთქი…

– არ მახსოვს, – მშრალად გააწყვეტინა ხორხემ, – ძალიან ბებერი ვარ. არ მახსოვს. შეიძლება, სიმკაცრე ზედმეტი მომივიდა. ახლა გვიანია. უნდა წავიდე.

– უცნაურია, რომ არ გახსოვთ, – არ მოეშვა ვენანციუსი, – მშვენიერი მეცნიერული კამათი იყო, რომელშიც ბენციუსმა და ბერენგარიუსმაც მიიღეს მონაწილეობა. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მეტაფორები, სიტყვათა თამაში, გამოცანები, რომლებიც თითქოს პოეტთა გამონაგონია ოდენ ტექსტის სამკაულებად, ყოველივეს ახლებურად და გასაოცრად დაგვანახვებს და მე ვამბობდი, ესეც ერთ-ერთი ნიჭია-მეთქი, რომელიც ბრძენს მოეთხოვება… მალაქიაც იყო…

– თუ ღირს ხორხეს არ ახსოვს, პატივი მიაგე მის წლებსა და დაქანცულ გონებას… რომელიც მუდამ ასეთი ფხიზელი იყო, – ჩაერია ვიღაც იმ ბერთაგან, უხმოდ რომ უსმენდნენ კამათს. მგზნებარედ დაიწყო, მაგრამ ჩანს, მაშინვე მიხვდა, რომ მოხუცის პატივისცემისკენ ამგვარი მოწოდებით მისსავე სისუსტეს აღიარებდა და უცებ მოუდუნდა საწყისი შემართება, ბოლო სიტყვები ბოდიშის მოხდასავით გამოუვიდა. ბერენგარიუს არუნდელელი იყო, ბიბლიოთეკარის თანაშემწე, ფერმკრთალი სახის ყმაწვილი და მის დანახვაზე გამახსენდა, როგორ აღწერა უბერტინუსმა ადელმუსი. ამასაც ავხორცი ქალის თვალები ჰქონდა. დამსწრეთა მზერით დარცხვენილს ისე გადაეჭდო თითები

ერთმანეთზე, ჩანდა, უდიდეს შინაგან დაძაბულობას ებრძოდა.

ვენანციუსის რეაქცია გამაოგნებელი იყო. ისე შეხედა ბერანგარიუსს, რომ მან მზერა დახარა.

– კარგი, ძმაო, – თქვა, – თუ მეხსიერება ნიჭია ღვთიური, დავიწყების უნარიც შეიძლება კეთილი იყოს და მასაც პატივი უნდა ვცეთ. მაგრამ გულმავიწყობას მხცოვანს მივუტევებ, შენ კი გმართებს, გახსოვდეს იმდღევანდელი, აქ რომ ვიყავით შენს უძვირფასეს მეგობართან ერთად…

თავს ვერ დავდებ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ვენანციუსმა ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „უძვირფასესი“. იქ მყოფთაც დავატყვე უხერხულობა. ყველა თვალს არიდებდა ბერენგარიუსს, რომელიც საშინლად წამოწითლებულიყო. მალაქია სასწრაფოდ ჩაერია საქმეში: – წამობრძანდით, ძმაო უილიამ, – უთხრა, – უაღრესად საინტერესო წიგნებს გიჩვენებთ.

ბერები დაიშალნენ. შევნიშნე, როგორ ესროლა ბერენგარიუსმა ვენანციუსს საყვედურიანი მზერა და როგორ გამომწვევად გახედა მანაც პასუხად, მდუმარედ. დავინახე, რომ მოხუცი ხორხე გასვლას აპირებდა და მოწიწებით აღვსილი, დავიხარე და ხელზე ვემთხვიე. მოხუცმა მიიღო ამბორი, ხელი დამადო თავზე და მკითხა, ვინ ხარო. რომ ვუპასუხე, სახე გაუცისკროვნდა.

– უმშვენიერეს, მნიშვნელოვან სახელს ატარებ, – მითხრა, – იცი, ვინ იყო ადსო მონტენდერელი? – მკითხა. ვაღიარებ, არ ვიცოდი. მაშინ ხორხემ დაამატა: – შემაძრწუნებელი წიგნის – „Libellus de Antichristo“[70] – ავტორი, სადაც მან მკაფიოდ იწინასწარმეტყველა მომავალი, მაგრამ სათანადოდ არავინ დაუგდო ყური.

– წიგნი ათასწლეულის დადგომამდე დაიწერა, – შენიშნა უილიამმა, – და მასში ნაწინასწარმეტყველები არ ამხდარა…

– მისთვის, ვისაც თვალი დახშული აქვს, – თქვა უსინათლომ, – ანტიქრისტეს გზა ნელი და დაკლაკნილია. ის მაშინ მოვა, როცა არ ველით, იმიტომ კი არა, რომ მოციქული შეცდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ამოგვიცნია მისი სათქმელი. – მერე დარბაზისკენ შეტრიალდა და გულის გამგმირავი ხმით სკრიპტორიუმის თაღები შეაზანზარა: – ის მოდის! კაცნო, ნუ დაკარგავთ დროს გლახაკ, კანჭრელ, კუდგრძელ ჯოჯოებზე ხითხითში! ნუ გაფლანგავთ უკანასკნელ შვიდ დღეს!

მწუხრი

სადაც მონასტრის დანარჩენ ნაწილს მოვინახულებთ. უილიამი პირველ დასკვნებს აკეთებს ადელმუსის სიკვდილის შესახებ, შუშის ოსტატს კი საკითხავ შუშებსა და იმ მოჩვენებებზე ესაუბრება, რომლებიც ზედმეტი კითხვის მოყვარულთ ესტუმრებიან ხოლმე

ამ დროს მწუხრისა ჩამოჰკრეს და ბერები ახმაურდნენ, მაგიდებიდან წამოიშალნენ. მალაქიამ გვაგრძნობინა, რომ ჩვენც უნდა წავსულიყავით. ის თავის დამხმარესთან, ბერენგარიუსთან ერთად რაღაცეებს მიალაგ-მოალაგებდა (თავად თქვა ასე) და ბიბლიოთეკას ღამისთვის მოამზადებდა. უილიამმა ჰკითხა, კარს თუ კეტავთო.

– სკრიპტორიუმი სამზარეულოსა და სატრაპეზოსაგან კარით არაა გამოყოფილი. არც ბიბლიოთეკასა და სკრიპტორიუმს შორის არსებობს კარი. ყოველგვარ საკეტზე გამძლე წინამძღვრის გაფრთხილებაა. ბერებს კი სამზარეულოთი და სატრაპეზოთი სარგებლობა მხოლოდ სერობამდე შეუძლიათ. შემდეგ, ციტადელში რომ არავინ მოხვდეს, კაცი იქნება თუ ცხოველი, რომელიც გაფრთხილებას ნაკლებად დაგიდევთ, მე თავად ვრაზავ კარს ქვევით, საიდანაც სამზარეულოშიც შევდივართ და სატრაპეზოშიც. იმ წუთიდან ციტადელში ვერავინ შეაღწევს.

ჩავედით. ბერები ეკლესიისკენ მიიჩქაროდნენ, ჩემმა მოძღვარმა კი გადაწყვიტა, რომ უფალი მოგვიტევებდა, თუ წმინდა მსახურებას არ დავესწრებოდით (ბევრის პატიება მოუხდა მაცხოვარს ჩვენთვის შემდგომ დღეებშიც!) და მითხრა, ეზოში გავისეირნოთ, ადგილს გავუშინაურდეთო.

სამზარეულოდან გავედით და სასაფლაო გავიარეთ: ახალი საფლავის ქვებიც მრავლად იყო და საუკუნეთაგან დაღდასმულებიც, უხსოვარ დროში გარდაცვლილ მამათა ცხოვრებაზე რომ ღაღადებდნენ. საფლავები უსახელო იყო, ქვის ჯვარი ედგა თითოეულს.

ამინდი ფუჭდებოდა. ცივი ქარი ამოვარდა და ცა მოიბურა. ბაღის ბოლოში მკრთალად მოჩანდა ჩამავალი მზე, აღმოსავლეთი უკვე ჩამუქებულიყო. ეკლესიას შემოვუარეთ. გალავნის ძირში, სადაც კედელი ციტადელის აღმოსავლეთ კოშკს ერწყმოდა, ბოსლები იყო ჩამწკრივებული. მეღორეები ახალდაკლული პირუტყვის სისხლით სავსე თიხის ჭურჭელს თავს ახურავდნენ. შევნიშნეთ, ბოსლის უკან გალავანი შედარებით დაბალი იყო, ისე, რომ გარეთ გადახედვა შეიძლებოდა. თავბრუდამხვევად დაქანებული ფერდობი ნაყარით იყო სავსე, რომელსაც ახალი თოვლი ვერ ფარავდა. მივხვდი, ნაგვის საყრელი უნდა ყოფილიყო და ნაყარი იმ ბილიკამდე ჩაგრძელებულიყო, საიდანაც დილით წინამძღვრის წაბლა მოაბრუნეს. ნაყარი-მეთქი, თუმცა უფრო ვეებერთელა, აყროლებული მასა იყო, რომლის სუნი გალავნის კედლამდე აღწევდა; გლეხები დავინახე, ნარჩენებს ეზიდებოდნენ, ალბათ ნახნავების გასანაყოფიერებლად თუ იყენებდნენ. კლდეს მკვდარი მატერიის ვეებერთელა ნაკადად ეღვრებოდა ფერდზე პირუტყვთა და კაცთა გამონაყოფისა და სხვა ათასგვარი სიბინძურის ნაზავი, რასაც მონასტერი საკუთარი სხეულის წიაღიდან გამოდევნიდა, რათა, მთის წვერზე წამომართული, კრიალა და უმწიკვლო დარჩენილიყო ზეცის წინაშე.

მეჯინიბეები ცხენებს თავლებისკენ ერეკებოდნენ. კედლის მხარეს მთელ სიგრძეზე საჯინიბოები იყო ჩაყოლებული, მარჯვნივ, ქორედის ძირში, ბერების სენაკები მიეშენებინათ, მათ მერე კი საპირფარეშოები იყო. გალავნის კუთხეში, იქ, სადაც აღმოსავლეთის კედელი სამხრეთისკენ უხვევდა, სამჭედლო მოეწყოთ. მჭედლები უკვე ხელსაწყოებს ალაგებდნენ და ქურას აქრობდნენ, რომ წმინდა მსახურებას დასწრებოდნენ. უილიამმა ცნობისმოყვარედ მიაშურა სამჭედლოს კუთხეს, სადაც ერთ-ერთი ბერი საკუთარ ნივთებს ალაგებდა. მაგიდაზე არაჩვეულებრივი სილამაზის პაწაწინა ფერადი შუშები ეწყო, უფრო დიდები კედელზე დაეკიდათ. ოსტატს წინ ზარდახშა ედგა, უფრო სწორად, ზარდახშის ვერცხლის ჩონჩხი, რომელშიც მარგალიტების ზომასა და ფორმაზე დამუშავებულ შუშებს და ძვირფას ქვებს სვამდა.

ასე გავიცანით მორიმონდოელი ნიკოლოზი, მონასტრის შუშის ოსტატი. აგვიხსნა, სამჭედლოს უკანა ნაწილში შუშასაც ვამზადებთ, აქ კი, წინა ნაწილში, შუშებს ტყვიის ჩარჩოში ვსვამთ ეკლესიის ვიტრაჟებისთვისო. თუმცაო, დაამატა, თუკი რამ შუშისაა ეკლესიასა თუ ციტადელში, ორ საუკუნეზე მეტის ნახელავია და ახლა მხოლოდ მცირე სამუშაოებს ვასრულებთ ან დაზიანებულს თუ შევაკეთებთო.

– თანაც დიდი წვალებით, – დაამატა მან, – ვეღარ ვახერხებთ გარდასულ დღეთა ფერების აღდგენას, განსაკუთრებით ლურჯის გამეორება ჭირს, ასე რომ ატკბობს თვალს ეკლესიაში, ისეთი გამჭვირვალეა, რომ მზე თუ მაღალზეა, ტაძარში სამოთხისეული შუქი იღვრება. დასავლეთის კედლის შუშები, შედარებით ახალი გაკეთებული, ისეთი ხარისხის აღარაა და ეს განსაკუთრებით ზაფხულის დღეებში შეიმჩნევა. სულ ფუჭად ვწვალობთ, – ამოიოხრა, – აღარსადაა წინაპართა სიბრძნე, გოლიათთა ხანა მიიწურა!

– ქონდრისკაცები ვართ, – დაეთანხმა უილიამი, – მაგრამ ქონდრისკაცები გოლიათებს ვადგავართ მხრებზე და, სიდაბლის მიუხედავად, მათზე შორს ვხედავთ ჰორიზონტის ხაზს.

– მითხარი, რას ვიქმთ მათზე უკეთ ან ისეთს, რაც მათ ვერ მოუხერხებიათ! – შეჰყვირა ნიკოლოზმა. – ტაძრის საგანძურში რომ შეხვიდე, ისეთ ნაკეთ ზარდახშებს იხილავ, ეს ჩემი ნაცოდვილარი, – და თავის მაგიდას მიაშვირა ხელი, – არარად მოგეჩვენება!

– კი, მაგრამ ვინ დაადგინა, რომ შუშის ოსტატებმა მარად ეკლესიის ვიტრაჟები უნდა აკეთონ, ან ოქრომჭედლებმა – წმინდა სანაწილეები? თანაც თავად ამბობ, წინაპართა

ნახელავს საუკუნეებმაც ვერაფერი დააკლოო. სანაწილეებით ხომ არ გადაივსება დედამიწა, თანაც ახლა, როცა წმინდანები, რომელთა ნაწილების დასაბრძანებლადაც ეს ზარდახშებია განკუთვნილი, ასე ცოტანი არიან, – შენიშნა უილიამმა. – არც უსასრულოდ ფანჯრების კეთებაა საჭირო. მრავალ ქვეყანაში მინახავს შუშის ახალი ქმნილებანი, რომლებიც ხვალინდელ დღეზე გვაფიქრებს, როცა შუშა მხოლოდ წმინდანთა სამსახურში კი აღარ იქნება, ადამიანის სისუსტეთა შესამსუბუქებლად იქნება გამოყენებული. თანამედროვეობის ერთ-ერთი საოცარი ქმნილება თან მაქვს და ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. – სამოსში შეიყო ხელი და შუშა ამოიღო, რომელმაც სრულიად განაცვიფრა ჩვენი თანამოსაუბრე.

ნიკოლოზმა დიდი მოწიწებითა და ცნობისმოყვარეობით ჩამოართვა უილიამს ორკაპა საოცრება. „Oculi di vitro cum capsula!“[71] – წამოიძახა. – მსმენოდა მასზე ვინმე ბერ იორდანესგან, რომელიც პიზაში გავიცანი! ამბობდა, ოცი წელი არაა გასული, რაც გამოიგონესო. თუმცა ეს ოციოდე წლის წინათ იყო.

– ვგონებ, ბევრად ადრე უნდა იყოს გამოგონებული, – უთხრა უილიამმა, – მაგრამ ფრიად ძნელი დასამზადებელია და დიდ ოსტატობას, დროსა და შრომას მოითხოვს. ათი წლის წინ ამ vitrei ab oculis ad legendum[72]-ის ერთი წყვილი ბოლონიაში ექვს სოლდოდ გაიყიდა. მე ის ერთმა დიდმა ოსტატმა, არმატელმა სალვინუსმა მაჩუქა ათიოდე წლის წინ და თვალისჩინივით ვუვლი ამდენი წელია, თითქოს – უკვე ასეცაა – ჩემი სხეულის ნაწილი იყოს.

– იმედია, ამ დღეებში უფლებას მომცემ, კარგად დავათვალიერო, ვისურვებდი, მეც შემექმნა მსგავსი, – ხმა აუთრთოლდა ნიკოლოზს.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა უილიამი, – მაგრამ გაითვალისწინე, რომ შუშის სისქე იმ თვალის მიხედვით შეირჩევა, რომელსაც უნდა მოარგო და უამრავი შუშის გასინჯვა მოგიწევს, სანამ სათანადო სისქისას შეარჩევ.

– რა საოცრებაა! – არ ცხრებოდა ნიკოლოზი. – თუმცა რამდენი მასში ჯადოსნობასა და ეშმაკეულ ძალას დაინახავდა…

– რა თქმა უნდა, შეიძლება, აქ მაგიის ძალა დაინახო, – დაეთანხმა უილიამი, – მაგრამ მაგია ორნაირია. არის მაგია ეშმაკისეული, კაცის გასანადგურებლად მიმართული ისეთი ხერხებით, რომელთა ხსენებაც არ შეიძლება, მაგრამ არის ღვთიური მაგიაც, ღვთიური მეცნიერება, ადამიანურ მეცნიერებაში გამჟღავნებული და ბუნების შეცვლისკენ მიმართული თავად ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. და წმინდა მაგიით მეტად უნდა დაინტერესდნენ სწავლულნი, არა მარტო სიახლეთა აღმოსაჩენად, არამედ ბუნების იმ საიდუმლოებათა ხელახლა გასახსნელად, რომლებიც ღვთიურმა გონებამ უკვე დიდი ხანია გაუმხილა ებრაელებს, ბერძნებს, სხვა უძველეს ხალხებსა და თვით ურჯულოებსაც კი (აღარ ვიტყვი, რამდენი საოცარი რამაა ხედვის მეცნიერებაზე ურჯულოთა წიგნებში!). ქრისტიანული მეცნიერება ხელახლა უნდა დაეუფლოს ცოდნის ამ მარაგს, ჩამოართვას იგი წარმართთა და მწვალებელთ, tamquam ab iniustis possessoribus[73], თითქოს არა მათ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს ჭეშმარიტების ეს საგანძური.

– კი, მაგრამ ის, ვინც ამ საიდუმლოს ფლობს, რად არ გაუზიარებს მას ღვთის სამწყსოს?

– იმად, რომ ღვთის სამწყსოში ბევრი როდია მზად მის მისაღებად. არაერთგზის მომხდარა, ადამიანს საკუთარი ცოდნის სხვათათვის გაზიარება მოუწადინებია, ის კი ჯადოქრად, დემონის ხელქვეითად მიუჩნევიათ და საბრალოს სიცოცხლე გაუღია ამის საფასურად. პირადად მეც, როცა ეშმაკის მოკავშირეობაში ბრალდებულთა საქმეებს განვიხილავდი, სასამართლოში ვერიდებოდი ამ შუშების გამოჩენას და მოხალისეებს ვიხმარებდი, თუ კითხვა დამჭირდებოდა. მაშინ, როცა ეშმაკის არსებობის რწმენა ასე ძლიერი იყო და ყველას სცემდა გოგირდის სულისშემხუთავი ოხშივარი, მეც შეიძლებოდა, ბრალდებულის თანამზრახველად მოვენათლე ვინმეს. და ბოლოს, როგორც დიდი როჯერ ბეკონი იტყოდა, მეცნიერების საიდუმლოებანი ყველას ხელში არ უნდა მოხვდეს, რადგან ზოგიერთი მათ ბოროტი მიზნებისთვის გამოიყენებს. ხშირად სწავლულმა მაგიურად უნდა წარმოაჩინოს წიგნები, რომელთაც მაგიური არაფერი აქვთ, რათა

ცნობისმოყვარე თვალთაგან დაიცვას ისინი.

– მაშ, გეშინია, მდაბიოთ ცუდად არ გამოიყენონ ეს საიდუმლოებანი? – ჰკითხა ნიკოლოზმა.

– არა, მდაბიო შეიძლება დაშინდეს მხოლოდ, ეშმაკეულად მიიღოს მეცნიერება, მქადაგებელთაგან გონებადაბინდულმა. მინახავს დიდი ექიმები, რომელთაც უებარი წამლები შეუქმნიათ, მაგრამ ყოველივეს, მალამო იქნებოდა თუ ნაყენი, ლოცვების თანხლებით აძლევდნენ მდაბიოთ. განა ლოცვას რამე ძალა ჰქონდა, მაგრამ მდაბიოს სჯეროდა, რომ განკურნება სწორედ ლოცვათა მადლით ხდებოდა და წმინდა სიტყვის რწმენით აგზნებული სულის განწყობაც ხელს უწყობდა წამლის დადებით ზემოქმედებას სხეულზე. თუმცა ხშირად მეცნიერების საგანძურს მდაბიონი კი არა, თავად სწავლულნი ემუქრებიან. დღეს გასაოცარი მანქანები იქმნება, რომლებიც ოდესმე ბუნების სვლის მართვას შეძლებენ, მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს, მათ ჩაუვარდეს ხელთ, ვინც მხოლოდ საკუთარი მიწიერი ძალაუფლების განმტკიცებას დახარბებია. გავიგე, კატაიში[74] ერთ ბრძენს ფხვნილი დაუმზადებია, რომელიც თურმე, ცეცხლს თუ მოხვდა, საოცარი ხმაურითა და ვეებერთელა ალით ყოველივეს ანადგურებს გარშემო. ეს ხომ საოცრებაა, თუკი ამ ძალას მდინარეთა გეზის საცვლელად ან კლდის დასანგრევად გამოიყენებენ, სადაც საჭიროა. მაგრამ საკუთარი მტრის წინააღმდეგ რომ მიმართოს ვინმემ?

– ურიგო არ იქნებოდა, თუ ეს მტერი ღვთის სამწყსოს მტერია, – მართლმორწმუნედ შენიშნა ნიკოლოზმა.

– ჰო, – დაეთანხმა უილიამი, – მაგრამ ვინაა დღეს ღვთის სამწყსოს მტერი? იმპერატორი ლუდვიგი თუ პაპი იოანე?

– ჰოი, შემოქმედო! – შეძრწუნდა ნიკოლოზი. – მე ვინა ვარ, ესოდენ მტკივნეული საკითხი გადავწყვიტო!

– ხედავ? – განაგრძო უილიამმა. – ხანდახან საჭიროა, რომ ზოგიერთი საიდუმლო დაფარული დარჩეს. ბუნების საიდუმლოებანი თხისა და ცხვრის ტყავზე არ გადაიტანება. საიდუმლოთა წიგნში არისტოტელე წერს, რომ ბუნებისა და ხელოვნების საიდუმლოთა გამჟღავნებით ციური კლიტე ტყდება, რამაც, შესაძლოა, ბევრ ბოროტებას დაუდოს სათავე. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საიდუმლო არ უნდა გაცხადდეს, არამედ იმას, რომ სწავლულთა საქმეა, როდის და ვის წინაშე უნდა მოხდეს ეს.

– ამიტომაც მართებულია, – დასძინა ნიკოლოზმა, – ასეთ ადგილებში წიგნები ყველასთვის არ იყოს ხელმისაწვდომი.

– ეს სხვა ამბავია, – უთხრა უილიამმა, – შეიძლება, შესცოდო ყბედობითაც და მეტისმეტი დუმილითაც. მე ის არ მიგულისხმია, რომ ცოდნის წყარო დაიმალოს. პირიქით, ეს დიდად საზიანოდ მეჩვენება. ვგულისხმობდი, რომ, როცა ისეთ საიდუმლოსთან გაქვს საქმე, საიდანაც კეთილიც შეიძლება იშვას და ბოროტიც, სწავლულის საქმეა, უფრო მეტიც – მოვალეობა, ბუნდოვანების ენა იხმაროს, მხოლოდ თავის მსგავსთათვის გასაგები. ცოდნის გზა რთულია, ძნელია მასში კეთილისა და ბოროტის გარჩევა. დღევანდელი სწავლულნი მხოლოდ ჯუჯები არიან, სხვა ჯუჯათა ბეჭებზე წამოსკუპებულნი.

ჩემი მასწავლებლის გულწრფელმა ლაპარაკმა ნიკოლოზს გულის გადაშლის საღერღელი აუშალა. თვალი ჩაუკრა უილიამს (თითქოს იმის სათქმელად, მიგიხვდი, ერთსა და იმავე რამეზე ვლაპარაკობთო): – კი, მაგრამ იქ, – და ციტადელზე მიუთითა, – ცოდნის საიდუმლოებანი მტკიცედაა დაცული მაგიის ძალებით…

– ჰო? – ვითომ სხვათა შორის უთხრა უილიამმა. – დახშული კარები, უმკაცრესი აკრძალვები, მუქარაც, ალბათ.

– არა, უფრო მეტიც…

– მაინც რა?

– ზუსტად არ ვიცი, მე შუშაზე ვმუშაობ და არა წიგნებზე, მაგრამ მონასტერში უცნაური…

ხმები დადის…

– მაინც რა ხმები?

– უცნაური. მაგალითად, ბერზე, რომელსაც ღამით ბიბლიოთეკაში შეღწევა განუზრახავს და გველები, უთავო და ორთავა კაცები მოლანდებია. ლამის ჭკუიდან შეშლილი გამოუყვანიათ ლაბირინთიდან…

– რატომ ახსენე მაგია და არა ეშმაკეული ხილვები?

– იმიტომ, რომ შუშის უბრალო ოსტატი ვარ, მაგრამ ჩერჩეტი არ გახლავარ. ეშმაკი (ღმერთმა დაგვიფაროს!) კაცს გველებითა და ორთავა ურჩხულებით როდი აცდუნებს. თუ მისი დაღუპვა უნდა, მაცდურ, ავხორცულ ხილვას მოუვლენს, როგორც უდაბნოს ბერებს მოსდით ხოლმე. თანაც, თუ იმ წიგნების კითხვა ბოროტებაა, ეშმაკი რატომ დაიცავდა კაცს ბოროტის ჩადენისაგან?

– საუცხოო ენთიმემაა, – მოიწონა უილიამმა მსჯელობა.

– დაბოლოს, ლაზარეთის ფანჯრების შეკეთებისას სევერინუსის წიგნები მომხვდა ხელთ. საიდუმლოებათა წიგნი იყო, ალბერტ დიდის დაწერილი, რომელშიც ნახატებმა მომტაცა თვალი და რამდენიმე გვერდი გადავიკითხე იმაზე, როგორ უნდა გაჟღინთო ზეთის სანათურის პატრუქი, რომ მისმა კვამლმა ხილვები გამოიწვიოს. შემჩნეული გექნება, უფრო სწორად, ჯერ ვერ შეამჩნევდი, რადგან მონასტერში ღამე არ გაგიტარებია, რომ ღამით ციტადელის ზედა სართული განათებულია. ფანჯრებში აქა-იქ მკრთალი სინათლე კიაფობს. ბევრი რამ უთქვამთ მაცდურ ცეცხლზე, გარდაცვლილ ბიბლიოთეკართა სულებზე, რომლებიც დროდადრო უბრუნდებიან თავიანთ სამეფოს. ბევრს სჯერა კიდეც ამის. მე კი მგონია, რომ ხილვათა მოსახმობად გამზადებული ლამპრებია. იცი, რომ ძაღლის ყურის ქონით თუ გაჟღენთ პატრუქს, და იმ ლამპრის კვამლს შეისუნთქავ, მოგეჩვენება, რომ ძაღლის თავი გაბია? სხვა საპოხიც არსებობს, რომელიც ადამიანს სპილოსხელა გოლიათად მოაჩვენებინებს თავს. ღამურის თვალებით, რომელიღაც თევზის ქონით, სახელი აღარ მახსოვს, და მგლის ნაღვლით გაჟღენთილი პატრუქი კი იმ ცხოველებს მოგაჩვენებს, რომელთა ცხიმიც იხმარე. ხვლიკის კუდით ირგვლივ ყველაფერი ვერცხლისა მოგეჩვენება, შავი გველის ქონით გაჟღენთილი სუდარის ნაგლეჯის პატრუქი ოთახს გველებით სავსეს მოგაჩვენებს. ვიცი… ვიღაც მეტისმეტად ხრიკიანია ბიბლიოთეკაში…

– კი, მაგრამ არ შეიძლება, გარდაცვლილ ბიბლიოთეკართა სულების ჯადოსნობა იყოს?

ნიკოლოზი შეყოყმანდა, შეშფოთებული: – ეს არ მიფიქრია. შეიძლება. ღმერთმა დაგვიფაროს. გვიანია, მწუხრის ლოცვა დაიწყო. მშვიდობით. – და ეკლესიას მიაშურა.

სამხრეთის კედელს გავყევით: მარჯვნივ მოგზაურ მომლოცველთა მოსასვენებელი და საეპისკოპოსო დარბაზი იყო ბაღით, მარცხნივ – წისქვილი, ზეთის სახდელი, ბეღლები, მორჩილთა ბინები. ყველა შემხვედრი ეკლესიისკენ მიეშურებოდა.

– რას ფიქრობთ იმაზე, რაც ნიკოლოზმა გვითხრა? – ვკითხე უილიამს.

– არ ვიცი, ბიბლიოთეკაში რაღაც ხდება და არა მგონია, ეს მიცვალებულ ბიბლიოთეკართა ოინები იყოს…

– რატომ?

– იმიტომ, რომ, ვგონებ, ისეთი ღირსებით შემკულები იქნებოდნენ, რომ ახლა მაცხოვრის სახის ცქერით ტკბებიან სამოთხეში, თუ დაგაკმაყოფილებს ეს პასუხი. ლამპრებს კი, თუ არსებობს, უეჭველად ვნახავთ. იმ საპოხებს რაც შეეხება, რაზეც ჩვენი მეშუშე მოგვითხრობდა, ხილვათა გამოსაწვევად ბევრად უფრო მარტივი ხერხებიც არსებობს და სევერინუსი მათ მშვენივრად იცნობს, თავადაც მიხვდებოდი დღეს. ცხადი ერთია, რომ მონასტერში არ უნდათ, ღამით ვინმემ შეაღწიოს ბიბლიოთეკაში და ისიც ცხადია, რომ არაერათს უცდია ეს და დღესაც ბევრი ცდილობს.

– ჩვენი დანაშაული რამით უკავშირდება ამ ამბავს?

– დანაშაული? რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ადელმუსმა თავი მოიკლა.

– რატომ?

– გახსოვს, დღეს დილით ნაგვის საყრელი რომ დავინახეთ? აღმოსავლეთ კოშკის ფერდობზე რომ ავდიოდით, შევნიშნე, ნიადაგის ნაწილი დაახლოებით იქ, სადაც ნაყარი გროვდება, ფერდის ძირამდე ჩამოშვავებულიყო. ამიტომაც, საღამოს ზევიდან რომ გადავხედეთ, ნაყარ მიწაზე თოვლი თითქმის არ ჩანდა, ალბათ, მხოლოდ გუშინდელი თოვლი ედო თხლად და არა ძველი. წინამძღვარმა გვითხრა, ადელმუსის გვამი კლდეზე ხეთქებით იყო დაჩეხილიო, მაგრამ აღმოსავლეთ კოშკი პირდაპირ ეყრდნობა კლდის პირს, ქვევით კი ფიჭვები იზრდება. კლდე კოშკის გვერდით, კედლის ძირთანაა საფეხურივით გამოშვერილი, მის ქვეშ კი ნაგვის საყრელია.

– მერე რა?

– მერე ის, რომ... როგორ გითხრა... განა უფრო ადვილი არაა, ვიფიქროთ, რომ ადელმუსი, ჯერ კიდევ დასადგენ მიზეზთა გამო, საკუთარი ნებით გადამხტარიყო კედლიდან, და კლდეზე ნახეთქები, მკვდარი თუ დაჭრილი, ნაგვის საყრელზე დავარდნილიყო. მერე კი იმღამინდელ ქარიშხალს ნიადაგის ნაწილი, ნაგავთან და იმ უბედურის ცხედართან ერთად, აღმოსავლეთის კოშკის ძირში ჩაეცურებინა.

– რატომ გგონიათ, რომ ეს ყველაზე ადვილი საფიქრებელია?

– ძვირფასო ადსო, საჭირო არაა ახსნათა და მიზეზთა ძალად გამრავლება, როცა ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. ადელმუსი თუ აღმოსავლეთის კოშკიდანაა გადავარდნილი, მას ჯერ ბიბლიოთეკაში უნდა შეეღწია, მერე ვინმე უნდა დასხმოდა თავს და მიპარვით ჩაერტყა რამე, თორემ ხომ გაუწევდა წინააღმდეგობას. მერე მკვლელს მისი სხეული ფანჯრის რაფამდე უნდა აეწია, ფანჯარა გაეღო და უფსკრულში გადაეგდო უბედური. ჩემი ვარაუდის გასამართლებლად კი საკმარისია ადელმუსი, მისი ნება და ჩამოშვავებული ნაყარი მიწა. ბევრად ნაკლები საბუთით აიხსნება ყველაფერი.

– კი, მაგრამ რატომ მოიკლავდა თავს?

– თუ ასეა, რატომ უნდა მოეკლათ? ორივე შემთხვევაში მიზეზია საპოვნელი. და მიზეზი რომ არსებობს, ამაში ეჭვი არ მეპარება. ციტადელში ჰაერი შეხუთულია, ყველა რაღაცას მალავს. ამასობაში რაღაც მინიშნებაც დავიჭირეთ, თუმცა საკმაოდ ბუნდოვანი, ადელმუსისა და ბერენგარიუსის უცნაურ ურთიერთობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკარის თანაშემწეზე უნდა გვეჭიროს თვალი.

მწუხრის ლოცვა დასრულებულიყო. მსახურები ვახშმამდე თავიანთ საქმეს უბრუნდებოდნენ, ბერები კი სატრაპეზოსკენ მიეშურებოდნენ. დაბნელებულიყო და თოვას იწყებდა. მსუბუქი, ფუმფულა ფანტელები ცვიოდა, ჩანდა, თოვა კარგა ხანს გასტანდა და ასეც მოხდა, რადგან დილით მთელი ეზო თეთრ საფარქვეშ დაგვხვდა, როგორც შემდეგ მოგახსენებთ.

მშიოდა და გახარებულმა მივაშურე სატრაპეზოს.

სერობა

სადაც უილიამსა და ადსოს წინამძღვრის გულღია მასპინძლობა და ბრაზიან ხორხესთან ლაპარაკი ელით

სატრაპეზო დიდი ჩირაღდნებით იყო გაბრდღვიალებული. ბერები გრძელ მაგიდებს

შემოსხდომოდნენ. განიერ შემაღლებულ საფეხურზე წინამძღვრის მაგიდა იდგა. მის საპირისპირო მხარეს უკვე დაეკავებინა ადგილი ბერს, რომელიც ვახშმის დროს საღმრთო წერილს წაიკითხავდა. წინამძღვარი წყალთან გველოდა, დაბანის შემდეგ თეთრი ნაჭერი მოგვაწოდა ხელების შესამშრალებლად, წმინდა პაკომიუსის უძველესი რჩევის თანახმად.

წინამძღვარმა უილიამი თავის მაგიდასთან მიიწვია და გვაცნობა, რომ თუმცა მორჩილი ვიყავი, მაგრამ იმ საღამოს მეც იმავე პატივს მომაგებდნენ, როგორც სტუმარს. ხვალიდანო, მამაშვილურად მითხრა, ბერებთან ერთად შეგიძლია მოთავსდე, ან, შენი მოძღვარი თუ რამეს დაგავალებს, სადილ-ვახშმამდე შეგიძლია სამზარეულოში შეიარო ხოლმე, მზარეულები მოგხედავენო.

ბერები უძრავად იდგნენ მაგიდებთან, თავზე კაპიუშონები წამოეხურათ და ხელები მკერდზე დაეკრიფათ. წინამძღვარმა თავის მაგიდას მიაშურა და Benedicite[75] წაიკითხა. შემაღლებულიდან მგალობელი შეეხმიანა: Edent pauperes[76]. წინამძღვარმა ტრაპეზი აკურთხა და ყველა დაჯდა.

ჩვენი ორდენის წესი მწირი საკვებით დაკმაყოფილებას მოითხოვს, მაგრამ ყოველთვის წინამძღვარი წყვეტს, რამდენი საკვები სჭირდებათ ბერებს. თანაც ჩვენს მონასტრებში უკვე საკმაოდ მიმტევებლურად უდგებიან საჭმლით სიამოვნებას. იმათზე აღარაფერს ვამბობ, ღორმუცელათა ბუნაგებად რომ გადაქცეულან; იმ მონასტრებშიც კი, რომლებშიც მონანიების წრფელი მადლია დაბუდებული, ბერები ნოყიერ საკვებს იღებენ, რადგან მძიმე გონებრივ შრომას ეწევიან. თანაც წინამძღვრის მაგიდა ყოველთვის განსაკუთრებულად ხვავიანია ხოლმე, რადგან მასთან ხშირად საპატიო სტუმრები სადილობენ. მონასტრები დიდად ამაყობენ თავიანთი მიწის დოვლათითა და მზარეულთა ოსტატობით.

ვახშამმა მდუმარედ ჩაიარა, როგორც წესი ითხოვდა. ვხედავდი, ზოგიერთები ჩვენს ორდენში მიღებული თითების ენით საუბრობდნენ. წინამძღვრის მაგიდის შემდეგ პირველ რიგში მორჩილებს და შედარებით ახალგაზრდა ბერებს ემსახურებოდნენ.

ჩვენთან ერთად ისხდნენ მალაქია, მეკუჭნავე და მონასტრის ყველაზე მხცოვანი ბერები: ბურგოსელი ხორხე – სკრიპტორიუმში ნანახი უსინათლო მოხუცი და ალინარდუს გროტაფერატელი. ალინარდუსს, თითქმის ას წელს მიტანებულს, კოჭლსა და ფარატინას, თითქოს სული ჰქონდა ამოცლილი. წინამძღვარმა გვითხრა, ალინარდუსი ჯერ კიდევ მორჩილად მოვიდა მონასტერში და მუდამ აქ ცხოვრობდა, ასე რომ მონასტრის ცხოვრების თითქმის საუკუნის მომსწრეაო. წინამძღვარმა ვახშმის დაწყებამდე გვამცნო ეს, რადგან შემდეგ, ორდენის წესის თანახმად, მდუმარედ ვუსმენდით საკითხავს. მაგრამ, როგორც გითხარით, წინამძღვრის მაგიდასთან მსხდომთ უფლებებიც მეტი ჰქონდათ და ჩვენც დროდადრო მზარეულთა ოსტატობას ვაქებდით, წინამძღვარი კი თავისი ზეთითა და ღვინით ამაყობდა. მეტიც, დალიეთო, გვთავაზობდა და თან წმინდა დამფუძნებლის სიტყვებს იხსენებდა, ღვინო ბერებს არ შეჰფერის, მაგრამ რადგან ჩვენი დროის ბერებს ვერ აიძულებ, ღვინო არ დალიონ, სასურველი იქნება, ზედმეტი მაინც არ მოუვიდეთ. ვინაიდან, როგორც ეკლესიასტე შენიშნავს, ღვინო თავად ბრძენთა ბრძენსაც ხელს ააღებინებს რწმენაზეო. „ჩვენს დროში“ ბენედიქტე თავის დროს გულისხმობდა, აწ უკვე უშორესს და ხომ წარმოგიდგენიათ, მაშინ რაღა იქნებოდა, ვახშამზე რომ ვიჯექი იმ მონასტერში, ბენედიქტეს შემდეგ მომხდარ ზნეობრივ გაუფასურებათა ფონზე (ახლანდელ დროზე აღარას ვიტყვი, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ აქ, მელქში, უფრო ლუდს სწყალობენ!). მოკლედ, ზედმეტი არ დაგვილევია, მაგრამ გემრიელად გეახელით.

შამფურზე შემწვარი ღორის ხორცი ვჭამეთ. შევნიშნე, რომ სამზარეულოში ცხოველურ ცხიმებს ან რაფსის ზეთს არ ხმარობდნენ, მონასტრის მიწებიდან აღებული ზეთისხილის შესანიშნავ ზეთზე ამზადებდნენ ყველაფერს. მონასტრის ზეთისხილის ბაღები ზღვის მხარეს, გორაკებზე შეფენილიყო. წინამძღვარმა გაგვასინჯა (მხოლოდ მის მაგიდას მიართვეს) ის ქათამი, სამზარეულოში რომ მოვკარი თვალი მომზადებისას. კერძს ლითონის ჩანგალიც ახლდა, რაც მაშინ ფრიად იშვიათი რამ იყო და ფორმით ჩემი მასწავლებლის ორკაპს მაგონებდა. დიდებული წარმომავლობის კაცს, ჩვენს მასპინძელს, არ სურდა, საქონლის ცხიმით გაექონა ხელები და ჩვენც გვათხოვა თავისი ჩანგალი, რომ

დიდი ლანგრიდან ხორცი ფიალებზე გადაგვეღო. მე ვიუარე, უილიამი კი სიამოვნებით დათანხმდა და ძალიან ოსტატურადაც ხმარობდა კეთილშობილთა წილხვედრ ხელსაწყოს, ალბათ, არ უნდოდა, წინამძღვრისთვის ეჩვენებინა, რომ ფრანცისკელები გაუნათლებელი და მდაბიო წარმომავლობის ადამიანები იყვნენ.

ისე ვიყავი აღტაცებული გემრიელი კერძებით (გზაში იმით ვიკვებებოდით, რაც მოგვხვდებოდა), გულისყურით ვეღარ ვუსმენდი წმინდა საკითხავს, რომელიც მთელი ვახშმის მანძილზე არ შეწყვეტილა. ხორხეს კმაყოფილი შეძახილი მომესმა და მივხვდი, წესდებიდან ნაწყვეტის კითხვა დაეწყოთ. სკრიპტორიუმში მოსმენილი მისი სიტყვების შემდეგ გასაგები იყო, რატომ ჩანდა ხორხე ასეთი კმაყოფილი. მკითხველი განაგრძობდა: „მივბაძოთ წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობს: განვიზრახე, ვიფხიზლო მარად, რათა არ შევცოდო ენით, დავადე კლიტე ბაგეს ჩემსას, დავიმუნჯე თავი საკუთარი თავის დამცირებით, უარი ვთქვი სიტყვაზე, თუნდაც კეთილზე. და თუ ამ სიტყვებით წინასწარმეტყველი გვასწავლის, რომ დუმილის სიყვარული კეთილ სათქმელშიც უნდა გვახსოვდეს, წარმოიდგინეთ, რამდენად მართებულია თავის შეკავება უხამსი სიტყვისგან. ვარიდოთ თავი ამ დამღუპველ ცოდვას!“ და კვლავ: „მკრეხელობას და მასხარაობას მარადიული სასჯელი ელის და არ დავუშვებთ, შეგირდმა უხამსობა ამოუშვას პირიდან“.

– ეს იმ ნახატებსაც ეხება, რაზეც დღეს ვლაპარაკობდით, – თავი ვერ შეიკავა ხორხემ, მერე კი ჩუმად დაამატა: – იოანე ოქროპირი ამბობს, ქრისტეს არასოდეს გაუცინიაო.

– ადამიანური ბუნებით თუ ვიმსჯელებთ, არაფერი უშლიდა ხელს ამაში, – შენიშნა უილიამმა, – ვინაიდან სიცილი, როგორც თეოლოგები გვასწავლიან, ადამიანურია.

– Forte potuit sed non legitur eo usus fuisse[77], – პეტრე მგალობლის სიტყვებით მოუჭრა ხორხემ.

– თუმცა, – ჩაიჩურჩულა უილიამმა წმინდანის გამომეტყველებით, – როცა წმინდა ლორენცოს რკინის გავარვარებულ ბადეზე აწამებდნენ, ჯალათებისთვის უთხოვია, გადამაბრუნეთ, ეს გვერდი უკვე დაიბრაწაო. ამას იხსენებს პრუდენციუსიც „წმინდა სტეფანეს აპოლოგიაში“. მაშასადამე, წმინდა ლორენცოს სიცილიც სცოდნია და ხუმრობაც, თუნდაც საკუთარი მტრის დასამცირებლად.

– რაც უფრო ნათლად ადასტურებს, რომ სიცილი ახლოა სიკვდილთან და ხორცის გახრწნასთან, – შეუღრინა ხორხემ. ჭეშმარიტად ლოგიკური პასუხი იყო.

წინამძღვარმა თავაზიანად მოგვიწოდა დუმილისაკენ. ვახშამი მთავრდებოდა. წინამძღვარი წამოდგა და უილიამი ბერებს წარუდგინა. შეუქო სიბრძნე, აღნიშნა მისი სახელოვნება და ამცნო ბერებს, რომ უილიამს ადელმუსის სიკვდილის გამოძიება ჰქონდა დავალებული. ყველას მოუწოდა, ეპასუხათ უილიამის შეკითხვებზე, დახმარებოდნენ მას გამოძიებაში, ოღონდ მონასტერში დადგენილი წესების ფარგლებში. თუ რამეში ეჭვი შეგეპარებათ, მე მომმართეთო.

ვახშმის შემდეგ ბერები სერობის ლოცვისთვის ქორედისკენ გამწკრივდნენ. ისევ წამოიხურეს თავზე კაპიუშონები, სახეები ჩამალეს და კართან მოგროვდნენ. შემდეგ გრძელ რიგად დაეწყვნენ, სასაფლაო გადაჭრეს და ჩრდილოეთის კარიდან შევიდნენ ტაძარში.

ჩვენ წინამძღვარს გავყევით.

– ამ დროს კეტავენ ციტადელს? – ჰკითხა უილიამმა.

– როგორც კი მსახურები სატრაპეზოსა და სამზარეულოს დაასუფთავებენ, ბიბლიოთეკარი თავად დაკეტავს კარს, შიგნიდან გადარაზავს ურდულით.

– შიგნიდან? თავად საიდანღა გადის?

წინამძღვარმა წამით სერიოზულად შეხედა უილიამს: – სამზარეულოში ნამდვილად არ სძინავს, – მოუჭრა მერე მკვახედ და ნაბიჯს აუჩქარა.

– კარგი, კარგი, – ჩამიჩურჩულა უილიამმა, – ესე იგი სხვა კარიც არის, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ მისი არსებობა.

მე ამაყად გავიღიმე მისი აღმოჩენით კმაყოფილმა, მან კი დამტუქსა: – ნუ იცინი! ხომ ნახე, ამ კედლებში სიცილს არ სწყალობენ.

ტაძარში შევედით. ბრინჯაოს მსხვილ სამფეხზე ერთადერთი სანათური ხრჩოლავდა, დაახლოებით ორი კაცის სიმაღლეზე. ბერებმა მდუმარედ დაიკავეს ადგილები, წმინდა გრიგოლის ქადაგებიდან კითხულობდნენ ნაწყვეტს.

წინამძღვარმა ნიშანი მისცა და მგალობელმა კითხვას ხმა ააყოლა: „Tu autem domine miserere nobis“[78]. წინამძღვარმა უპასუხა: „Adjutorium nostrum in nomine Domini“[79] და ყველა ერთხმად აჰყვა: „Qui fecit coelum et terram“[80]. შემდეგ ფსალმუნები დაიწყო: „ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი ღმერთსა სიმართლისა ჩემისასა; აღგიარო შენ, უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა; აკურთხევდით უფალსა ყოველნი მონანი უფლისანი“. ჩვენ ბერებს შორის არ ვიდექით, ტაძრის შუაგულიდან ვუყურებდით მგალობლებს. უცებ გვერდითი, ჩაბნელებული კაპელიდან მალაქია გამოვიდა.

– თვალი გეჭიროს იმ ადგილზე, – მითხრა უილიამმა. – შეიძლება იქიდან იყოს ციტადელში გასასვლელი.

– სასაფლაოს ქვეშ?

– რატომაც არა? სადმე ხომ უნდა იყოს საძვალე? შეუძლებელია, საუკუნეთა მანძილზე გარდაცვლილი ბერები მიწის ამ პატარა ნაგლეჯზე იყვნენ დასაფლავებული.

– მართლა გინდათ ღამით ბიბლიოთეკაში შეღწევა? – ვკითხე თავზარდაცემულმა.

– სადაც მიცვალებული ბერები და ქვეწარმავლები დაბორიალებენ და იდუმალი შუქი ჭიატობს, ჩემო კეთილო ადსო? არა, ჩემო ბიჭუნავ. დღეს ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ცნობისწადილის გამო კი არა, იმიტომ, რომ ვერ ვხვდებოდი, როგორ მოკვდა ადელმუსი. ახლა, როგორც უკვე გითხარი, უფრო ლოგიკური ახსნის მომხრე ვარ და არც მონასტრის წესების დარღვევა მინდა.

– აბა რატომ გაინტერესებთ?

– იმიტომ, რომ მეცნიერება მარტო იმის ცოდნა არაა, რა შეიძლება ან რა უნდა გააკეთო, არამედ ისიც, გაიგო, რის გაკეთებაა შესაძლებელი, მაგრამ არ უნდა გააკეთო. აი, რატომ ვეუბნებოდი დღეს შუშის ოსტატს, სწავლულმა გარკვეულწილად უნდა დამალოს კიდეც საიდუმლოებანი, რომელთაც ფარდას ახდის-მეთქი, რათა სხვებმა ბოროტად არ გამოიყენონ მისი აღმოჩენა. მაგრამ აღმოჩენა აუცილებელია. ამ ბიბლიოთეკაში კი, ასე მგონია, საიდუმლოებები მხოლოდ იმალება.

ამ სიტყვებით გასასვლელისკენ გატრიალდა. მსახურება დამთავრებულიყო. ძალიან დაღლილები ვიყავით და ჩვენს სენაკს მივაშურეთ. მე ჩემს „სამარხში“ – ასე შეარქვა ჩემს საბუდარს უილიამმა – მოვიკუნტე და მაშინვე ჩამეძინა.

დღე მეორე

ცისკრისა

სადაც მისტიკური ნეტარება ხანმოკლე აღმოჩნდება ერთი სისხლიანი მოვლენის გამო

ხან ეშმაკის და ხანაც მკვდრეთით აღმდგარი იესოს სიმბოლო, მამალი, ყველაზე ვერაგია სულიერთა შორის. და ჩვენს ორდენს ბევრი ახსოვს ისეთი, მზის ამოსვლას ყივილით რომ არ ეგებებოდა. არადა, ცისკრის მსახურება, განსაკუთრებით ზამთარში, ჯერ კიდევ ბნელში იწყება, სანამ ბუნება გამოიღვიძებს. რადგან ბერი ბნელში უნდა ადგეს, ლოცვით შეეგებოს დღეს, რწმენის სინათლით გააცისკროვნოს წყვდიადი. ამით იყო განპირობებული ბრძნული განკარგულება, რომ ღამის მლოცველებს ბერებთან ერთად კი არ დაეძინათ, არამედ ღამე ფსალმუნების კითხვაში გაეტარებინათ და წაკითხული ფსალმუნების მიხედვით ზუსტად გამოეთვალათ დრო, რათა სხვების ძილისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ სიფხიზლის ნიშანი მიეცათ.

იმ ღამით სწორედ მათ გაგვაღვიძეს, ბერების სენაკები და სტუმარ მომლოცველთა საძილე ოთახები დაიარეს ზანზალაკის წკარუნით, სენაკიდან სენაკში გადადიოდა „Benedicamus Domino“[81], რასაც ეხმიანებოდა „Deo gratias“[82].

უილიამი და მე ბენედიქტელთა წესის მიხედვით სასწრაფოდ მოვემზადეთ ახალი დღის შესაგებებლად და ტაძარში ჩავედით, სადაც ბერები იატაკზე დამხობილები კითხულობდნენ პირველ თხუთმეტ ფსალმუნს, ვიდრე მორჩილებს მოძღვარი შემოუძღვებოდა. თითოეულმა თავისი ადგილი დაიკავა და ქორომ წამოიწყო: „Domine labia mea aperies et os meum annuntiabit laudem tuam“[83]. გალობის ხმა ეკლესიის თაღებს სწვდებოდა, ბიჭუნას მუდარას ჰგავდა. ორი ბერი შემაღლებულზე ავიდა და ოთხმოცდამეთოთხმეტე ფსალმუნი იგალობა: „Venite exultemus“[84], შემდეგ კი სხვებიც – წესის მიხედვით. განახლებული რწმენის მხურვალება ჩამეღვარა გულში.

ბერები ქორედში ჩამწკრივებულიყვნენ: სამოსში ჩამალული, ერთმანეთისაგან სრულიად განურჩეველი სამოცი სხეული, სამფეხაზე შემოდგმული მბჟუტავი ლამპრით მკრთალად განათებული სამოცი ჩრდილი, სამოცი ხმა, ერთკრებილი უზენაესის სადიდებლად. ამ გულისშემძვრელი ერთხმოვანების მსმენელს ნეტარებისაგან სამოთხის კარიბჭესთან მეგონა თავი და ვერ ვიჯერებდი, რომ ეს მონასტერი საიდუმლოთა და მათი გამჟღავნების უკანონო მცდელობათა ავბედითი ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო. იქაურობა მეჩვენებოდა კერად სათნოებისა, საგანძურად ცოდნისა და საყუდელად კეთილგონიერებისა, ციხესიმაგრედ სიბრძნისა, სავანედ კდემისა, საგუშაგოდ ძლიერებისა და საცეცხლურად სიწმინდისა.

ექვსი ფსალმუნის შემდეგ საღმრთო წერილის კითხვა დაიწყო. ბერთაგან ზოგიერთი ზეზეურად თვლემდა და ღამის მორიგე პატარა სანათურით ხელში დადიოდა მათ შორის, რათა არავის ჩასძინებოდა. ვისაც ძილის ტყვეობაში წაასწრებდნენ, სასჯელად მას გადასცემდნენ სანათურს და ის განაგრძობდა შემოწმებას. საღმრთო წერილს მომდევნო ექვსი ფსალმუნის გალობა მოჰყვა. წინამძღვრის კურთხევის შემდეგ ლოცვები წაიკითხეს და წუთით ყველამ თავი მოიდრიკა საკურთხევლის წინაშე. ამ წამის სიტკბოებას ვერავინ გაიგებს, თუ თავად არ განუცდია ეს მისტიკური ცეცხლი და შინაგანი სიმშვიდე. ბოლოს ბერებმა კვლავ წამოიფარეს თავზე კაპიუშონები, დასხდნენ და „Te Deum“[85] წამოიწყეს. მეც გულით ვადიდე უფალი, რომ მიხსნა იმ ეჭვებისა და უსიამოვნო განცდისგან, რომელმაც ასე შემიპყრო მონასტერში ყოფნის პირველ დღეს. რა უსუსურნი ვართ, გავიფიქრე, ამ კეთილმორწმუნე ბერებშიც კი თესავს ეშმაკი წვრილ-წვრილ შურს, შუღლსა და ქიშპობას, მაგრამ ყოველივე ეს მქრქალი კვამლივით იფანტება რწმენის მძლავრი ქარის შემობერვაზე, უმალ, როგორც კი მამის სახელით ყველანი ერთად იკრიბებიან და ქრისტე გარდამოდის მათზე.

ცისკრისა და ქებანის ლოცვათა შორის ბერები სენაკებში არ ბრუნდებიან, თუმცა კი ჯერ კიდევ არ გათენებულა. მორჩილნი მოძღვარს გაჰყვნენ დიდ დარბაზში ფსალმუნთა შესასწავლად. რამდენიმე ბერი ტაძარში დარჩა წმინდა საგანთა დასაბინავებლად, დანარჩენები კი ეზოში მიდი-მოდიოდნენ ჩაფიქრებულნი. ჩვენც მათ მივბაძეთ. მსახურებს ეძინათ და არც მაშინ გაუღვიძიათ, როცა, ჯერ კიდევ ბნელში, ქებანის ლოცვისთვის ეკლესიაში შევბრუნდით.

ფსალმუნთა გალობა დაიწყო. ორშაბათის მსახურების ფსალმუნთაგან ერთ-ერთი ჩემს

მარადიულ შიშს მაგონებდა და უწყვეტად მიგუგუნებდა თავში: „განარისხა ცოდვილმან უფალი, მრავლითა გულის წყრომითა მისითა არა გამოიძიოს; არა არს ღმერთი წინაშე მისსა. წყევითა და სიმწარითა და ზაკუვითა სავსე არს პირი მისი, ენასა მისსა ქუეშე არს შრომა და სალმობა“. ცუდად მენიშნა, რომ მაინცდამაინც იმ დღეს ითხოვდა წესი ამ შემზარავი გაფრთხილების წაკითხვას. ვერც სახოტბო ფსალმუნების შემდეგ „გამოცხადების“ კითხვამ დამიმშვიდა აფორიაქებული გული და ისევ ეკლესიის კარზე გამოსახული სცენები დამიდგა თვალწინ, რომელთაც ასე შემიშფოთეს გული და მზერა წინა დღით. მაგრამ რესპონსორიუმის[86], ჰიმნისა და ვერსეტოს[87] შემდეგ, სახარების გალობის დაწყებამდე, ტაძრის სარკმელთა მიღმა, საკურთხევლის თავზე, მკრთალი სინათლე შევნიშნე, რომელიც წყვდიადით ჩამქრალ ვიტრაჟებს ათასფერად აციმციმებდა. მზის ამოსვლამდე ჯერ ადრე იყო, აისი მხოლოდ პირველი ჟამის დროს იფეთქებდა, როცა „Deus qui est sanctorum splendor mirabilis“-სა და „Iam lucis orto sidere“[88]-ს ვიგალობებდით. მაგრამ ზამთრის აისის მაუწყებელი ის მკრთალი ციალი, ახლა ტაძარში გამეფებულ სიბნელეს რომ ცვლიდა, საკმარისი აღმოჩნდა ჩემი გულის გასანათებლად.

წმინდა წიგნის სიტყვებს ვგალობდით და მაშინ, როცა ხალხთა გასანათლებლად მოვლენილ სიტყვას ვადიდებდით, მეჩვენა, რომ დღის მნათობი მთელი თავისი სიკაშკაშით იპყრობდა ტაძარს. ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ ნათელი საგალობლის სიტყვებში ირეკლებოდა მისტიკური შროშანი, სურნელოვნად გაფურჩქნილი თაღთა რიგებში. „გმადლობ, უფალო, ამ აღუწერელი ნეტარებისთვის“, – ვლოცულობდი გულში და საკუთარ გულს ვეკითხებოდი: „შენ კი, სულელო, ნეტავ რის გეშინია?“

უცებ ჩრდილოეთის კარიდან ხმაური მოისმა. გამიკვირდა, როგორ ბედავდნენ წმინდა მსახურებისთვის ხელის შეშლას. ტაძარში სახეშეშლილი მეღორეები შემოცვივდნენ, წინამძღვარს მიაშურეს და რაღაც უჩურჩულეს. წინამძღვარმა სცადა, ხელით ენიშნებინა, დამშვიდდითო, თითქოს არ სურდა მსახურების შეწყვეტა, მაგრამ მალე სხვებიც შემოცვიდნენ და ხმაურმაც იმატა: „კაცია, კაცია მკვდარი!“ – ყვიროდნენ, ვიღაც გაიძახოდა: „ბერია, წუღები ვერ დაინახე ფეხზე?“

მგალობლები დადუმდნენ, წინამძღვარი გასასვლელისკენ გაქანდა, თან მეკუჭნავეს ანიშნა რაღაც და ისიც გაედევნა. უილიამიც მათ მიჰყვა. ამასობაში სხვებიც წამოშლილიყვნენ და გარეთ გარბოდნენ.

გათენებულიყო, თოვლით გადაქათქათებული ფერდობი კიდევ უფრო ნათელი ჩანდა. ეკლესიის უკან, ბოსლის წინ, სადაც წინა დღით ღორების სისხლით სავსე ვეებერთელა ჭურჭელი დაედგათ, რაღაც უცნაური, თითქმის ჯვრისებრი საგანი მოჩანდა, თითქოს მიწაში ჯოხები ჩაერჭოთ და ზედ ჩვრები დაეხვიათ ჩიტების დასაფრთხობად.

მაგრამ ეს ადამიანის ფეხები იყო, სისხლიან ჭურჭელში თავდაყირა ჩაყუდებული ადამიანის ფეხები.

წინამძღვარმა უწმინდური სითხიდან გვამის ამოღება ბრძანა (სამწუხაროდ, გვამისა, რადგან ცოცხალი კაცი იმ შემზარავ მდგომარეობაში ვერაფრით გაჩერდებოდა). მეღორეებმა, ერთიანად სისხლში მოთხვრილებმა, ჭურჭლიდან უბადრუკი გასისხლიანებული სხეული ამოათრიეს. ვიცოდი, რომ, თუ სისხლს ჭურჭელში ჩასხმისთანავე კარგად მოურევდი და სიცივეში დატოვებდი, სისხლი არ შედედდებოდა, მაგრამ ის ფენა, რომელიც ცხედარს ფარავდა, ახლა სწრაფად დედდებოდა, სამოსს აჯირჯვებდა და სახეზე ისე ეკვრებოდა გვამს, რომ ვერ ამოიცნობდი. ერთ-ერთმა მსახურმა სათლით წყალი გადაასხა იმ საწყალობელ სხეულს, მეორე კი დაიხარა და ჩვარი გადაუსვა სახეზე, რომ ნაკვთები გამოეჩინა. ვენანციუს სალვემეკელის თეთრი სახე დაგვიდგა თვალწინ, ბერძნულის მცოდნისა, რომელსაც წინა დღეს ადელმუსის მოხატულ წიგნებზე ვესაუბრეთ.

– ადელმუსმა, ალბათ, თავი მოიკლა, – ჩაილაპარაკა უილიამმა, თან ვენანციუსის სახეს ჩასჩერებოდა, – მაგრამ ამას თავი ნამდვილად არ მოუკლავს, ვერც იმას ვიფიქრებთ, რომ შემთხვევით აიწია ჭურჭლის კიდემდე და შიგ ჩავარდა.

წინამძღვარმა უილიამს მიაშურა: – ძმაო უილიამ, როგორც ხედავთ, რაღაც ხდება მონასტერში, რაც მთელ თქვენს ყურადღებას ითხოვს. გაფიცებთ ყველაფერს, სწრაფად

იმოქმედეთ!

– ქორედში იყო მსახურების დროს? – უილიამმა გვამს თითი მიაშვირა.

– არა, – უპასუხა წინამძღვარმა. – შევნიშნე, რომ მისი ადგილი ცარიელი იყო.

– სხვა არავინ აკლდა?

– არა მგონია. არაფერი შემინიშნავს.

უილიამმა წამით შეიცადა, სანამ შემდეგ შეკითხვას დასვამდა, და მერე ჩურჩულით, ისე, რომ სხვებს არ გაეგოთ, ჰკითხა: – ბერენგარიუსი ადგილზე იყო?

წინამძღვარმა აღტაცებით და თან შეშფოთებით შეხედა უილიამს. თითქოს გაუკვირდა, საიდან უნდა გასჩენოდა ჩემს მოძღვარს იგივე ეჭვი, რაც მას: უილიამს ხომ, მისგან განსხვავებით, ეჭვის საფუძველი არ უნდა ჰქონოდა. მერე სწრაფად უთხრა: – იყო, მისი ადგილი პირველ რიგშია, ჩემ მარჯვნივ.

– რა თქმა უნდა, – თქვა უილიამმა, – ეს არაფერს ნიშნავს. არა მგონია, ტაძარში ვინმე უკნიდან შესულიყო, ასე რომ, შესაძლოა, გვამი აქ უკვე რამდენიმე საათის წინ იყო. იმ დროიდან, როცა ყველა დასაძინებლად წავიდ-წამოვიდა.

– რა თქმა უნდა. მსახურები გათენებისას დგებიან და ამიტომაც ნახეს მხოლოდ ახლა.

უილიამი გვამზე დაიხარა, თითქოს გვამების დათვალიერება მისთვის ჩვეული საქმე ყოფილიყო. ჩვარი ამოწურა, მიცვალებულის თავთან სათლში რომ ეგდო, და კარგად გაუწმინდა სახე ვენანციუსს. ბერები მჭიდრო წრედ შემოხვეოდნენ ცხედარს და ხმაურობდნენ, წინამძღვარი კი ყველას სიჩუმისკენ მოუწოდებდა. სევერინუსმა, რომელსაც მიცვალებულთა სხეულებზე ზრუნვა ევალებოდა მონასტერში, წრე გაარღვია და უილიამისკენ დაიხარა. მათი საუბარი რომ მომესმინა და თან ჩემს მოძღვარს დავხმარებოდი, რომელსაც სველი, სუფთა ჩვარი სჭირდებოდა, ძრწოლა და ზიზღი გადავლახე და მივუახლოვდი.

– დამხრჩვალი გინახავს ოდესმე? – ჰკითხა უილიამმა.

– მრავალჯერ, – უთხრა სევერინუსმა, – და თუ სწორად მივხვდი, რასაც გულისხმობ, დამხრჩვალს ნაკვთები დასიებული აქვს.

– ესე იგი, კაცი უკვე მკვდარი იყო, როცა ამ ჭურჭელში ჩააგდეს.

– რატომ უნდა ექნათ ეს?

– მაშინ საერთოდ რატომ უნდა მოეკლათ? არაჯანსაღი გონების ნამოქმედარია. მაგრამ ახლა უნდა ვნახოთ, ჭრილობა ან რაიმე სხვა კვალი თუ აქვს სხეულზე. ლაზარეთში უნდა გადავიყვანოთ, გავხადოთ, დავბანოთ და დავათვალიეროთ. ახლავე დაგეწევი.

და სანამ სევერინუსი, წინამძღვრის ნებართვით, გვამს გადაატანინებდა მეღორეებს, ჩემმა მოძღვარმა ბერებს სთხოვა, ტაძარში იმავე გზით შებრუნებულიყვნენ, რომლითაც გამოვიდნენ, იგივე სთხოვა მსახურებსაც, რათა ეზო დაცარიელებულიყო. წინამძღვარს არ უკითხავს ამ გადაწყვეტილების მიზეზი, ბრძანა, დამორჩილებოდნენ უილიამს. ასე დავრჩით მარტონი ავბედითი ჭურჭლის წინ, რომლიდანაც გვამის ამოღებისას გადმოღვრილ სისხლს ქათქათა თოვლი მოერწყა გარშემო. სადაც წყალი დაასხეს, იქ თოვლი გამდნარიყო, ხოლო სადაც გვამი ეწვინათ, მუქი ლაქა დარჩენილიყო.

– რთული საქმეა, – თქვა უილიამმა და ბერებისა და მსახურების მიერ აჩიჩქნილ არემარეზე მიმითითა. – თოვლი, ჩემო ადსო, საოცარი პერგამენტია, რომელზეც ადამიანთა სხეულები მკაფიოზე მკაფიო კვალს ტოვებენ. მაგრამ ეს პალიმფსესტი უკვე ხელნახლებია და მასზე, ალბათ, საინტერესოს ვეღარაფერს ამოვიკითხავთ. აქედან ეკლესიამდე ბერები მოაწყდნენ, თავლებიდან და ბოსლებიდან – მსახურები. ერთადერთი ხელუხლებელი მონაკვეთი ბოსლებიდან ციტადელამდეა. ვნახოთ, თუ არის რამე საინტერესო.

– რას ეძებთ? – ვკითხე.

– თუ თავად არ ჩაყუდებულა იმ ჭურჭელში, ვინმემ ხომ მიიყვანა იქამდე, უკვე მკვდარი, როგორც წარმომიდგენია. და მკვდარ სხეულს რომ მიათრევს, ადამიანი თოვლზე ღრმა ნაკვალევს ტოვებს. ჰოდა, სცადე, მონახო ისეთი კვალი, რომელიც განსხვავებულად მოგეჩვენება ამ ყაყანა ბერების ნაკვალევთაგან, პერგამენტი რომ წაგვიბილწეს.

ასეც მოვიქეცით და გაგიმხელთ, რომ სწორედ მე ვიპოვე რაღაც (ღმერთმა დამიფაროს მკვეხარობისგან!) ჭურჭელსა და ციტადელს შორის. ადამიანის ნაკვალევი იყო, საკმაოდ ღრმა, იქ, სადაც იმ დილას არავის გაევლო და, როგორც მაშინვე შენიშნა ჩემმა მოძღვარმა, ისე მკვეთრად არ ჩანდა, როგორც ბერებისა და მსახურთა ნაკვალევი, ვინაიდან ზევიდან გადაეთოვა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ უფრო ადრინდელი იყო. მაგრამ ყველაზე მეტად ყურადღება იმან მიიქცია, რომ ნაფეხურებში რაღაც სხვა კვალიც ირეოდა გრძივ ხაზად, თითქოს რაღაცას მიათრევდნენ თოვლზე, მოკლედ, ეს უწყვეტი კვალი ჭურჭლიდან სატრაპეზოს კარამდე მიდიოდა, ციტადელის სამხრეთ და აღმოსავლეთ კოშკებს შორის.

– სატრაპეზო, სკრიპტორიუმი, ბიბლიოთეკა, – თქვა უილიამმა. – ისევ ბიბლიოთეკა. ვენანციუსი ციტადელში მოკვდა, და სავარაუდოდ – სწორედ ბიბლიოთეკაში.

– რატომ მაინცდამაინც ბიბლიოთეკაში?

– ვცდილობ, მკვლელად წარმოვიდგინო თავი. თუ ვენანციუსი სატრაპეზოში, სამზარეულოში ან სკრიპტორიუმში მოკვდა (უფრო სწორად, მოკლეს), იქვე რატომ არ დატოვეს? მაგრამ თუ ბიბლიოთეკაში მოკვდა, სადმე უნდა გადაეტანათ, რადგან ბიბლიოთეკაში ვერასოდეს ვერავინ იპოვიდა (მკვლელს კი, ალბათ, სწორედ ეს სურდა, რომ ეპოვათ), მაგრამ იმიტომაც, რომ მკვლელს არ უნდა, ყურადღება ბიბლიოთეკაზე გაამახვილონ.

– კი, მაგრამ მკვლელს რატომ უნდა ნდომებოდა, რომ გვამი ეპოვათ?

– არ ვიცი, ვვარაუდობ. რა იცი, რომ მკვლელმა იმიტომ მოკლა ვენანციუსი, რომ ვენანციუსი სძულდა? შეიძლებოდა, ნებისმიერი სხვა მოეკლა მის ნაცვლად, რაღაცაზე მისანიშნებლად, რაღაცის ნიშნად.

– Omnis mundi creatura quasi liber et pictura…[89] – ჩავიბურტყუნე. – კი, მაგრამ რა ნიშნებზეა ლაპარაკი?

– სწორედ ეს არ ვიცი. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბევრი რამ ნიშანი გვგონია და სინამდვილეში კი უაზროა, როგორც სიტყვა „ბახ-ბახ-ბახ“ ან „ბუხ-ბუხ-ბუხ“…

– რა მხეცობაა, – გავიოცე, – „ბახ-ბახ-ბახის“ სათქმელად კაცის მოკვლა!

– ადამიანის მოკვლა, – შენიშნა უილიამმა, – Credo in unum Deum[90]-ის სათქმელადაც მხეცობაა…

ამ დროს სევერინუსი დაგვეწია. გვამი დაებანათ და ყურადღებით დაეთვალიერებინათ. არავითარი ჭრილობა, არავითარი ნიშანი სხეულზე. თითქოს ჯადოთი მომკვდარიყო.

– როგორც ღვთის სასჯელით? – ჰკითხა უილიამმა.

– შეიძლება, – დაეთანხმა სევერინუსი.

– ან საწამლავით?

სევერინუსი შეყოყმანდა.

– ესეც შეიძლება.

– გაქვს საწამლავი ლაბორატორიაში? – ჰკითხა უილიამმა, ლაზარეთს რომ მივაშურეთ.

– გააჩნია, საწამლავში რას გულისხმობ. არის ნივთიერებები, რომლებიც მცირე დოზით სამკურნალოა, დიდით კი – საწამლავი. როგორც ბალახთა ყველა მცოდნეს, მეც მაქვს ასეთები და მოზომილად ვხმარობ. ჩემს ბაღში, მაგალითად, კატაბალახაც მომყავს. რამდენიმე წვეთი სხვა ბალახის ნაყენთან ერთად გულისცემას ამშვიდებს, მაგრამ გადაჭარბებით მიღების შემთხვევაში კრუნჩხვასა და სიკვდილს იწვევს.

– გვამზე საწამლავის კვალი არ შეგინიშნავს?

– არა. მაგრამ ბევრი საწამლავი კვალს არ ტოვებს.

ლაზარეთთან მივედით. ვენანციუსის სხეული დაებანათ და სევერინუსის ლაბორატორიის დიდ მაგიდაზე გაეწვინათ. კოლბებმა და შუშისა თუ თიხის სხვა ჭურჭელმა ალქიმიკოსის ლაბორატორია მომაგონა (თუმცა ამაზე მხოლოდ მონაყოლით ვიცოდი). კედელზე ჩაყოლებულ გრძელ თაროებზე სხვადასხვა ფერის სითხეებით სავსე შუშები, ქილები, კოლბები, თასები ჩამწკრივებულიყო.

– ბალახების არაჩვეულებრივი კოლექციაა, – თქვა უილიამმა, – ყველა თქვენი ბაღისაა?

– არა, – უპასუხა სევერინუსმა, – ბევრი მათგანი, რომელიც ამ მხარეში არ ხარობს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოუტანიათ ბერებს. უიშვიათესი რაღაცეებიც მაქვს, ჩვენი მხარის მცენარეების ნაყენებთან შერეული. ნახე… დაფქვილი აგალინგო, ჩინეთიდანაა, ერთმა არაბმა სწავლულმა ჩამომიტანა. ალოე სოკოლტრინი ინდოეთიდანაა, არაჩვეულებრივი შემახორცებელი თვისებები აქვს. ნედლი არიენტო მკვდარს აცოცხლებს, უფრო სწორად, გონდაკარგულს აბრუნებს ამქვეყნად. დარიშხანი საშიშზე საშიშია, მომაკვდინებელი, თუკი ჩაყლაპავ. ბორაკი საოცარი საშუალებაა ავადმყოფი ფილტვებისთვის. ბარისპირა თავის ქალის ჭრილობებს ახორცებს. დანამასტაკი ფილტვების გაღიზიანებასა და გამწვავებულ კატარს კურნავს. მური…

– მოგვების მური? – ვკითხე.

– ჰო, მოგვების მური, მედიცინაში მუცლის მოშლის საწინააღმდეგოდ გამოიყენება. ეს კი მუმიაა, უიშვიათესი, მუმიად ქცეული გვამის გახრწნით მიიღება და მისგან თითქმის სასწაულმოქმედი წამლები მზადდება. მანდრაგოლა უძილობას შველის…

– და ხორციელ ვნებათა აშლას უწყობს ხელს, – შენიშნა ჩემმა მოძღვარმა.

– ამბობენ, მაგრამ ჩვენ მაგ მიზნით არ ვიყენებთ, როგორც თავად მიხვდებით, – გაიღიმა სევერინუსმა. – ამას შეხედეთ, – პატარა შუშა აიღო, – თუთიის ჟანგია, საოცარია თვალებისთვის.

– ეს რაღაა? – გამოცოცხლდა უილიამი და თაროზე შემოდებულ ქვაზე მიუთითა.

– ეს კარგა ხნის წინ მაჩუქეს, მგონი lopris amatiti თუ lapis ematitis ჰქვია, ამბობენ, უამრავი სამკურნალო თვისება აქვსო, მაგრამ არ ვიცი, რა. იცნობ?

– კი, – უთხრა უილიამმა, – მაგრამ არა როგორც სამკურნალო საშუალებას. – სამოსიდან პატარა დანა ამოიღო და ნელა მიუახლოვა ქვას. დანა შეხტა, ქვაზე გაწკარუნდა. დავინახე, რომ უილიამს ხელი არც გაუნძრევია, ისე მიეკრო ლითონი ქვას.

– ხედავ? – მომიბრუნდა მასწავლებელი. – მაგნიტია.

– რისთვისაა? – ვკითხე.

– ბევრი რამისთვის, მერე აგიხსნი. მაგრამ ახლა ის მინდა ვიცოდე, სევერინუს, რამე ისეთი გაქვს თუ არა, რასაც კაცის მოკვლა შეუძლია.

სევერინუსი წამით დაფიქრდა. მაგრამ მალევე მკაფიოდ და ნათლად გვიპასუხა: – უამრავი რამ. ხომ გითხარი. ბუნდოვანია, სად გადის ზღვარი წამალსა და საწამლავს შორის. ბერძნები ორივეს ფარმაკონს ეძახდნენ.

– ახლახან რამე ხომ არ მოუპარავთ?

სევერინუსი ისევ დაფიქრდა. მერე რაღაცნაირად გაწელა სიტყვები: – ახლახან არაფერი.

– ადრე?

– რა ვიცი. აღარ მახსოვს. ოცდაათი წელია, მონასტერში ვარ და ოცდახუთი – ლაზარეთში.

– მეტისმეტია ადამიანის მეხსიერებისთვის, – დაეთანხმა უილიამი. მერე მოჭრით ჰკითხა: – გუშინ რომ ახსენებდი ხილვების გამომწვევ მცენარეებს... რომლებია?

სევერინუსმა ცხადად აგრძნობინა, სახის გამომეტყველებითაც და ხელების მოძრაობითაც, რომ ამ საკითხზე ლაპარაკი არ სურდა.

– უნდა დავფიქრდე, აქ უამრავი საოცარი თვისებების მქონე საშუალებაა. მაგრამ ჯობია, ვენანციუსზე ვილაპარაკოთ. რას იტყვი?

– უნდა დავფიქრდე, – მიუგო უილიამმა.

პირველი ჟამი

სადაც უფსალელი ბენციუსი რაღაც-რაღაცეებს აღიარებს, სხვასაც ბერენგარიუს არუნდელელი დაამატებს და ადსო მიხვდება, რა ყოფილა ჭეშმარიტი მონანიება

ამ ავბედითმა შემთხვევამ სრულიად ააფორიაქა მონასტრის ცხოვრება. გვამის პოვნით გამოწვეულმა შფოთმა წმინდა მსახურება შეწყვიტა. წინამძღვარმა სასწრაფოდ შერეკა ბერები ტაძარში დაღუპული ძმის სულისთვის სალოცავად. ბერებს ხმაში ბზარი შეპარვოდათ. ისეთ ადგილას მოვკალათდით, რომ მათი სახეები კარგად გვეთვალიერებინა. წესის თანახმად, თავზე არ ეხურათ. ბერენგარიუსის სახე დავინახეთ, გაფითრებული, დაძაბული, ოფლით ალაპლაპებული. წინა დღეს ყური მოვკარით, რომ რაღაც განსაკუთრებული კავშირი ჰქონდა ადელმუსთან; იმაში არაფერი იყო გასაოცარი, რომ თანატოლებს ემეგობრათ, მაგრამ ამ მეგობრობაზე რაღაც გადაკრულად ლაპარაკობდნენ.

მის გვერდით მალაქია შევნიშნეთ, დაბღვერილი და მოქუფრული. მალაქიას გვერდით შეუვალი გამომეტყველებით იდგა უსინათლო ხორხეც. უფსალელი ბენციუსი კი, რიტორიკის სწავლული, რომელიც წინა დღით სკრიპტორიუმში გავიცანით, მოუსვენარი ჩანდა. სწრაფი მზერა ესროლა მალაქიას.

– ბენციუსი ნერვიულობს, ბერენგარიუსი შეშინებულია, – შენიშნა უილიამმა. – სასწრაფოდ უნდა დავკითხოთ.

– რატომ? – ვკითხე გულუბრყვილოდ.

– რთულია ჩვენი ხელობა, – მითხრა უილიამმა. – მძიმეა ინკვიზიტორის სამუშაო. სუსტს უნდა დააჭირო წიხლი და თანაც მაშინ, როცა ყველაზე უსუსურია.

როგორც კი მსახურება დამთავრდა, ბენციუსს წამოვეწიეთ, რომელიც ბიბლიოთეკისკენ მიდიოდა. ყმაწვილი შეშფოთებული ჩანდა, უმწეოდ სცადა უილიამისგან თავის დაღწევა, ეტყობოდა, სკრიპტორიუმში ასვლას ჩქარობდა. მაგრამ ჩემმა მოძღვარმა შეახსენა, რომ წინამძღვრის დავალებით იძიებდა საქმეს და სამლოცველოში დააბრუნა. ორ სვეტს შორის ძელზე ჩამოვსხედით. ბენციუსი ელოდა, როდის დაილაპარაკებდა უილიამი, თან დროდადრო ციტადელისკენ გაურბოდა თვალი.

– აბა, – ჰკითხა უილიამმა, – რა მოხდა იმ დღეს, ადელმუსის ნახატებზე რომ გიკამათიათ შენ, ბერენგარიუსს, ვენანციუსს, მალაქიას და ხორხეს?

– ხომ მოისმინეთ გუშინ. ხორხე ამბობდა, დაუშვებელია სასაცილო ნახატებით

ჭეშმარიტების წიგნთა მოხატვაო. მაშინ ვენანციუსმა შეახსენა, რომ თავად არისტოტელე ლაპარაკობდა სიტყვათა თამაშსა და ენობრივ ხრიკებზე, როგორც ჭეშმარიტების გამოვლენის საშუალებებზე, და რომ სიცილი სულაც არაა უკეთური რამ, თუ ჭეშმარიტებისკენ მიგვიძღვის. ხორხემ უთხრა, რამდენადაც მახსოვს, არისტოტელე ამას ამბობდა, როცა „პოეტიკაში“ მეტაფორებზე ლაპარაკობდაო. და ამაში თავისთავად უკვე ორი რამაა შემაშფოთებელი, ერთი ის, რომ „პოეტიკა“, რომელიც, ალბათ, ღვთის ნებით, საუკუნეთა მანძილზე უცხო დარჩა ქრისტიანული სამყაროსთვის, უსჯულო შავკანიანთა მეშვეობით მოვიდა ჩვენამდეო…

– მაგრამ ის ხომ თავად წმინდა აკვინელი დოქტორის მეგობარმა თარგმნა ლათინურად, – შენიშნა უილიამმა.

– მეც ეგ ვუთხარი, – გამხნევდა ბენციუსი. – ბერძნული ცუდად ვიცი და ეს უდიდესი წიგნი სწორედ უილიამ მერბეკელის თარგმანით გავიცანი-მეთქი. მაგრამ ხორხემ დაამატა, შფოთვის მეორე მიზეზი ისაა, რომ ამ წიგნში არისტოტელე პოეზიაზე ლაპარაკობს, რაც თავისთავად არარაობა, მდაბალი მოძღვრებაა და მძორით საზრდოობსო. ვენანციუსმა უპასუხა, ფსალმუნებიც ხომ მეტაფორებით აღსავსე პოეზიის ნიმუშებიაო. ამაზე ხორხე განრისხდა, ფსალმუნები ღვთივ შთაგონებული ქმნილებებია და მეტაფორა მათში ჭეშმარიტების გადმოსაცემად გამოიყენება, ხოლო წარმართ პოეტებს მეტაფორა სიცრუის გამოსახატავად და ოდენ სამკაულად სჭირდებათო. ამან ძალიან გამანაწყენა…

– რატომ?

– იმიტომ, რომ რიტორიკაზე ვმუშაობ, უამრავ წარმართ პოეტს ვკითხულობ და ვიცი… უფრო სწორად, მჯერა, რომ მათი პირით naturaliter[91] ქრისტიანული ჭეშმარიტებაც არაერთხელ თქმულა… მოკლედ, ამის მერე, როგორც მახსოვს, ვენანციუსმა სხვა წიგნებიც მოიშველია და ხორხე ძალიან გაღიზიანდა.

– რა წიგნები?

ბენციუსი შეყოვნდა: – არ მახსოვს. რა მნიშვნელობა აქვს, რა წიგნები ახსენეს?

– დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ვცდილობთ, გავერკვეთ, რა მოხდა ადამიანთა შორის, რომლებიც წიგნებთან, წიგნებით, წიგნებისთვის ცხოვრობენ, მათი სიტყვებიც წიგნების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია.

– მართალია, – თქვა ბენციუსმა და პირველად გაიღიმა, სახე გაუცისკროვნდა. – ჩვენ წიგნებისთვის ვცხოვრობთ. უტკბესი მისიაა ამ დაცემულ, უზნეობის მორევში ჩაფლულ სამყაროში. ალბათ, ეს დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, რა მოხდა იმ დღეს. ვენანციუსმა, რომელმაც კარგად იცის… კარგად იცოდა ბერძნული, განაცხადა, რომ არისტოტელემ სწორედ სიცილს მიუძღვნა „პოეტიკის“ მეორე წიგნი, და თუკი ასეთმა დიდმა ფილოსოფოსმა მთელი წიგნი მიუძღვნა სიცილს, სიცილი მნიშვნელოვანი რამ უნდა იყოსო. ამაზე ხორხემ უპასუხა, წმინდა მამათაც არაერთი წიგნი მიუძღვნიათ ცოდვისთვის, რაც უმნიშვნელოვანესი, მაგრამ უკეთური რამააო. ვენანციუსმა არ დაუთმო, რამდენადაც მახსოვს, არისტოტელე სიცილზე ამბობდა, რომ ის სიკეთე და ჭეშმარიტების წყაროაო. მაშინ ხორხემ დაცინვით ჰკითხა, ხომ არ წაგიკითხავს არისტოტელეს ეგ წიგნიო, რაზეც ვენანციუსმა უთხრა, ვერავინ წაიკითხავდა, რადგან მიუწვდომელია და ალბათ, სამუდამოდ დაკარგულიცო. მართლაც არავის წაუკითხავს „პოეტიკის“ მეორე წიგნი, უილიამ მერბეკელსაც კი არასოდეს სჭერია ის ხელში. ხორხემ უთხრა, ჰოდა, თუ არავის წაუკითხავს, ესე იგი, არც არასოდეს დაწერილა, ვინაიდან უზენაესის ნებაა, წარმავალი არაფერი განდიდდესო. მინდოდა, როგორმე დამეცხრო კამათი, რადგან ხორხეს მრისხანე ხასიათი აქვს, ვენანციუსი კი გამომწვევად ელაპარაკებოდა, ამიტომ ჩავურთე, „პოეტიკის“ იმ ნაწილში, რომელიც ჩვენთვისაა ცნობილი, და „რიტორიკაშიც“ ბევრი ბრძნული შენიშვნაა თავსატეხთა შესახებ-მეთქი. ვენანციუსიც დამეთანხმა. ჩვენთან იყო ტივოლელი პაციფიკუსი, რომელიც კარგად იცნობს წარმართ პოეტებს, და მან დაამატა, თავსატეხთა მხრივ აფრიკელ პოეტებს ვერავინ შეედრებაო. უფრო მეტიც, სიმფოსიუსის თევზის გამოცანა მოიშველია: Est domus in terris, clara quae voce resultat.

Ipsa domus resonat, tacitus sed non sonat hospes.

Ambo tamen currunt, hospes simul et domus una[92].

პასუხად ხორხემ თქვა, იესო გვეუბნება, „ჰოთი“ და „არათი“ შემოვიფარგლოთო; ამიტომ რაც ამას სცილდება, ყოველივე ბოროტისეულიაო; თევზის სახსენებლად საკმარისია თქვა თევზი, ისე, რომ მისი არსი სხვა სიტყვების საფარქვეშ არ მიჩქმალოო. ისიც თქვა, აფრიკელთა ნიმუშად აღება ბრძნულად სულ არ მეჩვენებაო… მაშინ…

– მაშინ?

– მაშინ ისეთი რამ მოხდა, რაც ვერ გავიგე. ბერენგარიუსს სიცილი აუტყდა, ხორხემ დაამუნათა, იმან კი მიუგო, იმიტომ ვიცინი, რომ გამახსენდა, აფრიკელებში, თუ კარგად მოვჩხრეკთ, უამრავ გამოცანას წავაწყდებით, თანაც თევზის გამოცანაზე ბევრად რთულსო. მალაქია, რომელიც იქვე იდგა, გაცოფდა ამაზე, ლამის ქეჩოში სწვდა ბერენგარიუსს და გააძევა იქიდან, საქმეს მიხედეო… ბერენგარიუსი, ხომ იცით, მისი დამხმარეა…

– მერე?

– მერე ხორხე გაეცალა იქაურობას და კამათსაც ბოლო მოეღო. ყველანი საქმეს დავუბრუნდით. რომ ვმუშაობდი, დავინახე, ჯერ ვენანციუსი და მერე ადელმუსი ბერენგარიუსთან მივიდნენ და რაღაც ჰკითხეს. შორიდან ვხედავდი, რომ ცდილობდა, თავი აერიდებინა მათთვის, მაგრამ დღის განმავლობაში ორივემ კვლავ მიაკითხა ბერენგარიუსს. მერე, იმ საღამოს, თვალი მოვკარი, ბერენგარიუსი და ადელმუსი ჩურჩულებდნენ შიგა ეზოში, სატრაპეზოში შესვლამდე. აი, სულ ესაა, რაც ვიცი.

– ანუ იცი, რომ ადამიანებმა, რომლებიც ახლახან იდუმალ ვითარებაში დაიღუპნენ, რაღაც ჰკითხეს ბერენგარიუსს, – დაასკვნა უილიამმა.

ბენციუსი შეიშმუშნა: – ეს არ მითქვამს! მე ის გითხარით, რაც იმ დღეს მოხდა, და თქვენ რომ მკითხეთ… – მერე წამით დაფიქრდა და სწრაფად დაამატა: – მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ბერენგარიუსი მათ რაღაცაზე ელაპარაკა, რაც ბიბლიოთეკაშია, და იქ უნდა ეძებოთ.

– რატომ გგონია, რომ ბიბლიოთეკაშია? რას გულისხმობდა ბერენგარიუსი, აფრიკელებში ჩხრიკეთო, რომ თქვა? იმას, რომ უფრო ყურადღებით უნდა ვიკითხოთ აფრიკელი პოეტები?

– ალბათ. ასე ჩანდა, მაგრამ მაშინ რატომ გადაირია მალაქია? განა მასზე არაა დამოკიდებული, გასცეს თუ არა წასაკითხად აფრიკელ პოეტთა წიგნები? მე ერთი რამ ვიცი: წიგნების კატალოგის მითითებებში, რომელთა წაკითხვა მხოლოდ ბიბლიოთეკარს შეუძლია, ხშირად გვხვდება მინიშნება „Africa“. რამდენჯერმე „finis Africae“-ც[93] კი შემხვდა. ერთხელ ვითხოვე ამ ნიშნის მქონე წიგნი, აღარ მახსოვს, რატომ, სათაურმა დამაინტერესა, და მალაქიამ მითხრა, მაგ ნიშნით აღნიშნული წიგნები დაკარგულიაო. აი, რაც ვიცი. ამიტომ გეუბნებით: თვალყური ადევნეთ ბერენგარიუსს. შეამოწმეთ, როცა ბიბლიოთეკაში ადის. ვინ იცის…

– ვინ იცის… – დაასკვნა უილიამმა და გამოემშვიდობა. მერე შიგა ეზოში მოჰყვა აქეთ-იქით სიარულს, და მითხრა, ჯერ ერთი, ბერენგარიუსი კიდევ ერთხელ იქცა ბერების ჩურჩულის საგნად და მეორე, ბენციუსი, მგონი, ძალიან ლამობდა, ბიბლიოთეკისკენ მიეპყრო ჩვენი ყურადღებაო. მე ვუთხარი, ალბათ, უნდა, ისეთი რამეები გამოვიკვლიოთ, რაც თავადაც აინტერესებს-მეთქი. უილიამი დამეთანხმა, შესაძლოა ასეცაა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, ბიბლიოთეკისკენ იმიტომ გვიბიძგებდეს, რომელიმე სხვა ადგილს რომ ჩამოაშოროს ჩვენი ყურადღებაო. რა ადგილს-მეთქი, ვკითხე. არ ვიციო, მიპასუხა, შესაძლოა, სკრიპტორიუმს, სამზარეულოს, ეკლესიას, საძილე ოთახებს ან სულაც ლაზარეთსო. მე ვუთხარი, კი, მაგრამ გუშინ თავად არ გიზიდავდათ ბიბლიოთეკა-მეთქი? ასე მითხრა, მინდა, ის მიზიდავდეს, რაც მე მომწონს და არა ის, რაზეც სხვები მიმითითებენო. ბიბლიოთეკაზე, ცხადია, თვალი უნდა გვეჭიროს და ახლა მართლა არ იქნებოდა ურიგო შიგ შეღწევაო. გარემოება მაძლევს უფლებას, ჩემმა ცნობისწადილმა მონასტრის წეს-ჩვეულებათა პატივისცემა გადასწონოსო.

შიგა ეზოდან გავედით. მსახურები და მორჩილნი ტაძრიდან გამოდიოდნენ წირვის შემდეგ. ტაძარს დასავლეთიდან შემოვუარეთ და ბერენგარიუსი დავინახეთ, რომელიც გვერდითა კარიდან გამოვიდა და სასაფლაო გადაჭრა ციტადელის მიმართულებით. უილიამმა დაუძახა, ბერენგარიუსი შეჩერდა. წამოვეწიეთ. კიდევ უფრო აფორიაქებული ჩანდა, ვიდრე ეკლესიაში და უილიამმა, ალბათ, გადაწყვიტა, მისი მდგომარეობით ესარგებლა, როგორც ბენციუსთან.

– ასე გამოდის, შენ გინახავს ადელმუსი უკანასკნელად ცოცხალი, – უთხრა.

ბერენგარიუსი შექანდა, თითქოს გონება დაკარგაო.

– მე? – ძლივს ამოიკნავლა. უილიამმა სრულიად შემთხვევით დაუსვა ეს შეკითხვა, ალბათ, იმიტომ, ბენციუსმა რომ გვითხრა, ადელმუსი და ბერენგარიუსი რაღაცას თათბირობდნენ შიგა ეზოში მწუხრის შემდეგო, მაგრამ, როგორც ჩანს, მიზანში მოარტყა, რადგან ბერენგარიუსს ხმა გაებზარა: ალბათ, იფიქრა, უილიამი სხვა, მართლა ბოლო შეხვედრაზე მიმანიშნებსო.

– რას ამბობთ, მეც დაძინებამდე ვნახე, როგორც სხვებმა!

უილიამს განზრახული ჰქონდა, ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცა მისთვის: – არა, შენ მერეც ნახე და იმაზე მეტი იცი, ვიდრე გსურს, გაამხილო. მაგრამ ახლა ორი მკვდარი გვყავს და ვეღარ გაჩუმდები. ხომ იცი, რამდენი საშუალება არსებობს, რომ კაცი აალაპარაკო!

უილიამს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ, თუმცა ინკვიზიტორი იყო, წამებას ყოველთვის თავს არიდებდა, მაგრამ ბერენგარიუსმა ვერ გაუგო (ან უილიამს უნდოდა, რომ ვერ გაეგო), და მისმა ხერხმა გაჭრა.

– ჰო, ჰო, – ბერენგარიუსს ქვითინი აუვარდა, – ვნახე ადელმუსი იმ საღამოს, მაგრამ უკვე მკვდარი იყო!

– როგორ მკვდარი?! – ჩაეკითხა უილიამი. – კლდის ძირში?

– არა, არა, აქ, სასაფლაოზე, ვნახე, საფლავებს შორის მიდიოდა, მატლი მატლთა შორის. შევეფეთე და მაშინვე მივხვდი, რომ ცოცხალი კაცი არ მედგა წინ, ცხედრის სახე ჰქონდა, მისი თვალები უკვე მარადიულ სატანჯველს ჩასცქეროდა. ცხადია, მხოლოდ მეორე დილით, მისი სიკვდილი რომ შევიტყვე, მივხვდი, რომ მის აჩრდილს გადავყროდი, თუმცა სასაფლაოზევე ვიფიქრე, რომ ეს ხილვა იყო, რომ შეჩვენებული სული მედგა თვალწინ, ლემური... ჰოი, ზეციერო, იმქვეყნიური ხმა ამოსდიოდა!

– რა გითხრა?

„დაწყევლილი ვარ! – ასე მითხრა. – ჯოჯოხეთიდან ვარ მოსული და მასვე უნდა დავუბრუნდეო“. დავუყვირე: „ადელმუს, მართლა ჯოჯოხეთიდან მოდიხარ? როგორია ჯოჯოხეთის სატანჯველი-მეთქი?“ ვკანკალებდი, სერობის ლოცვიდან ვიყავი გამოსული, სადაც უფლის მრისხანებაზე შემზარავი სიტყვები მოვისმინე. იმან კი მითხრა: „ჯოჯოხეთის სატანჯველი იმაზე ბევრად საშინელია, ვიდრე ჩვენს ენას ძალუძს აღწერაო. ხედავო, მითხრა, სოფიზმების საბურველი, რომელშიც დღემდე ვიყავი გახვეული, ისე მაწვება და მჭყლეტს, თითქოს პარიზის უდიდესი კოშკი ან სამყაროს უდიდესი მთა შემომედგას მხრებზე. ვერც ვერასოდეს მოვიხსნი ამ ტვირთს. ეს სასჯელი მომანიჭა საღვთო სამართალმა ჩემი ამაოებისთვის, იმისთვის, რომ სიამეთა სავანე მეგონა ჩემი სხეული, იმად, რომ მეგონა, სხვებზე მეტი ვიცოდი, იმად, რომ ათასგვარი სიმახინჯით ვტკბებოდი, რომლებმაც, ჩემს წარმოსახვაში ახეტიალებულებმა, კიდევ უფრო მეტი სიმახინჯე ჩამისახეს სულის წიაღში და ახლა მათთან ერთად მომიწევს ყოფნა სამარადისოდო. ხედავო, – მითხრა, – ამ სამოსელს თითქოს მხურვალე სარჩული გამოჰფენია და სხეულს მიშანთავს, და ეს სასჯელი ხორციელი ცოდვისთვის მომეგო, რომლითაც თავი გავინებივრე, ახლა კი ეს ცეცხლი მარადიულად დამბუგავსო! გამომიწოდე ხელი, ჩემო კარგო მასწავლებელოო, – მითხრა, – რათა ეს შეხვედრა გაკვეთილად გამოგადგესო“! გავარვარებული ხელი გამოიქნია და ოფლის წვეთი მომხვდა, ისეთი მდუღარე, რომ ხელი

ამომწვა, და რამდენიმე დღეს მართლა მქონდა ხელზე ნაკვალევი, მაგრამ არავისთვის მიჩვენებია. მერე საფლავებს შორის გაუჩინარდა და დილით შევიტყვე, რომ იმისი სხეული, ვინც ასეთი შიშის ზარი დამცა იმ ღამეს, კლდის ძირას ეპოვათ უსულოდ.

ბერენგარიუსი გულამომჯდარი ტიროდა. უილიამმა ჰკითხა: – მასწავლებელს რატომ გეძახდა, ტოლები არ იყავით? რამე ასწავლე?

ბერენგარიუსმა სახე კაპიუშონში ჩამალა, მუხლებზე დაეცა და ფეხებზე მოეხვია უილიამს: – არ ვიცი, არ ვიცი, რატომ დამიძახა ასე, არაფერი მისწავლებია მისთვის! – ისევ ქვითინი აუვარდა, ასლოკინებდა. – მეშინია, მამაო, აღსარება მინდა გითხრათ, რა ვქნა, ეშმაკი მიფლეთს შიგნეულობას!

უილიამმა თავი გაითავისუფლა და ხელი გაუწოდა წამოსაყენებლად.

– არა, ბერენგარიუს, – უთხრა, – ნუ მთხოვ აღსარებას. შენი ბაგის გახსნით ჩემსას ნუ დაახშობ. ის, რაც შენგან მინდა გავიგო, სხვაგვარად უნდა მითხრა. და თუ არ მეტყვი, თავად გავიგებ. თანაგრძნობა მთხოვე, თუ გინდა, მაგრამ დუმილს ნუ მომთხოვ. ისედაც ბევრი დუმს ამ მონასტერში. ის მითხარი, როგორ დაინახე, ფერმკრთალი იყო თუ არა, თუკი წყვდიადში გადაგეყარა, ან ხელი რამ დაგწვა გრიგალში, თავსხმასა და ნამქერში. რას აკეთებდი სასაფლაოზე? მიდი! – მხრებში სწვდა და შეანჯღრია. – ეს მაინც მითხარი!

ბერენგარიუსი ერთიანად ცახცახებდა.

– არ ვიცი, რას ვაკეთებდი სასაფლაოზე, არ მახსოვს. არ ვიცი, რანაირად დავინახე მისი სახე, ალბათ, თავად ასხივებდა… არა… სანათური ეჭირა ხელში, ალბათ, იმის ალზე დავინახე სახე…

– სანათური რანაირად ეჭირა თქეშსა და ნამქერში?

– სერობის შემდეგ იყო, ჯერ არ თოვდა, მერე დაიწყო… მახსოვს, პირველი ფანტელები ცვიოდა, როცა სენაკებისკენ გავრბოდი, იმის საპირისპიროდ, საითაც აჩრდილი მიიმალა… მეტი აღარ მახსოვს, გთხოვთ, ნუღარაფერს მკითხავთ, თუ აღსარება არ გინდათ მიიღოთ.

– კარგი, – უთხრა უილიამმა, – ახლა წადი, ტაძარში შედი, მაცხოვარს ესაუბრე, რადგან ადამიანებთან არ გინდა ლაპარაკი, ან წადი და მონახე ბერი, რომელიც შენი აღსარების მოსმენას ისურვებს, რადგან თუ მას შემდეგ არ გითქვამს აღსარება, უწმინდური ხელით ეხები სიწმინდეებს. წადი. კიდევ შევხვდებით.

ბერენგარიუსი გაუჩინარდა. უილიამმა ისე მოიფშვნიტა ხელები, კმაყოფილმა რომ იცოდა ხოლმე.

– ძალიან კარგი, – თქვა, – ახლა ბევრი რამ გაირკვა.

– გაირკვა, მოძღვარო? – გავიოცე. – ახლა, როცა ადელმუსის აჩრდილიც დაგვემატა?

– ძვირფასო ადსო, – მომიბრუნდა უილიამი. – ის აჩრდილი მე სულაც არ მგონია აჩრდილი და თან კაკალ-კაკალ გაუმეორებია სიტყვები, რომლებიც არაერთხელ წამიკითხავს წიგნებში, მქადაგებლები რომ აფრიალებენ ხოლმე. ეს ბერები მეტისმეტად ბევრს კითხულობენ და აგზნების წუთებში წაკითხული ხილვებად უბრუნდებათ. ვერ გეტყვი, მართლა ადელმუსმა უთხრა ის ყველაფერი ბერენგარიუსს, თუ თავად მოესმა, რადგან უნდოდა მათი მოსმენა. ფაქტი ისაა, რომ ეს ამბავი ჩემს ვარაუდებს ადასტურებს. მაგალითად იმას, რომ ადელმუსმა თავი მოიკლა, და სანამ ამას გააკეთებდა, საშინელი სინდისის ქენჯნა ტანჯავდა რაღაცის გამო, რაც ჩაიდინა. შეძრწუნებული და აგზნებული იყო თავისივე ჩადენილი ცოდვით, ვინაიდან ვიღაცამ შეაშინა და ალბათ, სწორედ იმ ჯოჯოხეთური ტანჯვით დაემუქრა, რომელიც მას ასე ხატოვნად წარმოუჩენია ბერენგარიუსისთვის. სასაფლაოზე კი იმიტომ იყო, რომ ტაძრიდან მოდიოდა, სადაც ვიღაცას გაანდო (ან აღსარებაში უთხრა) თავისი ცოდვა, ვინც შეაშინა და დაემუქრა. სასაფლაოდან, როგორც ბერენგარიუსმა მიგვახვედრა, სენაკების საპირისპირო მხარეს, ესე იგი ციტადელისკენ მიდიოდა, შეიძლება, ბოსლების უკან მდებარე კედლისკენ, საიდანაც, როგორც ვივარაუდე, კლდეზე გადავარდა, სანამ ქარიშხალი ამოვარდებოდა.

იმ კლდის ძირში მოკვდა და მხოლოდ ჩამოშვავებულმა მიწამ ჩაიტანა მისი გვამი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კოშკებს შორის.

– კი, მაგრამ ოფლის მდუღარე წვეთი?

– ოფლის წვეთი ნახსენები იყო იმ ამბავში, რომელიც მან ადელმუსისგან მოისმინა და გაიმეორა, ან, შესაძლოა, სულაც ბერენგარიუსის აგზნებული წარმოსახვისა და სინდისის ქენჯნის ნაყოფი იყო. საქმე ის არის, რომ ადელმუსამდე ბერენგარიუსს ქენჯნიდა სინდისი, ხომ თავად მოისმინე. თუ ადელმუსი მართლა ეკლესიიდან მოდიოდა, ალბათ, სანთელი ეჭირა ხელში, ის წვეთიც, ბერენგარიუსს კანი რომ ამოწვა, ცხელი ცვილი იქნებოდა და სხვა არაფერი. მაგრამ ბერენგარიუსს ტკივილი ერთი ათად ეჩვენა, რადგან ადელმუსმა მასწავლებელი უწოდა. ადელმუსი, როგორც ჩანს, რაღაცას საყვედურობდა მას, რაც ბერენგარიუსმა ასწავლა და რაც საშინლად ტანჯავდა. ბერენგარიუსმა იცის ეს და იტანჯება, რადგან სიბინძურე ჩაადენინა და ძალაუნებურად სიკვდილისკენ უბიძგა ადელმუსს. და, ჩემო საწყალო ადსო, იმის შემდეგ, რაც ბიბლიოთეკარის თანაშემწეზე გვსმენია, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაც მოხდა.

– მგონი, ვხვდები, რაც მოხდა მათ შორის, – ვთქვი და საკუთარი მიხვედრილობისა შემრცხვა. – მაგრამ განა ყველას მოწყალე ღმერთის არა გვწამს? თქვენ ამბობთ, ადელმუსმა, ალბათ, აღსარება თქვაო. მაშინ რატომ დაამძიმა საკუთარი ცოდვა სხვა, შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმე ცოდვით?

– იმიტომ, რომ საბოლოოდ უბიძგეს სასოწარკვეთილებისკენ. გითხარი, ჩვენი დროის მქადაგებელთა რომელიღაცა წიგნიდან ამოკითხული სიტყვები უთხრა ვიღაცამ ადელმუსს, რამაც ასე შეაძრწუნა ის და მან კი თავის მხრივ ბერენგარიუსს დასცა თავზარი. ამ ბოლო წლებში მქადაგებლები საოცრად აშინებენ ხალხს, რათა მათში სიმდაბლე და შიში (და ადამიანური თუ ღვთიური კანონისადმი უდრტვინველი მორჩილება) გააღრმაონ შემაძრწუნებელი, ავბედითი სიტყვებით. არასოდეს არ შეუსხამთ ქრისტესა და წმინდა ქალწულის ტკივილებისთვის ამდენი ხოტბა, რამდენიც ახლა, ფლაგელანტების პროცესიების ეპოქაში, ასე გააფთრებით არასოდეს ცდილან მდაბიოთა შორის რწმენის გამტკიცებას ჯოჯოხეთურ სატანჯველთა აღწერითა და ათასი ჯურის ძრწოლის მომგვრელი მუქარით.

– ალბათ, მონანიებაა საჭირო, – ვუთხარი.

– ადსო, არასოდეს მსმენია ამდენი მოწოდება სინანულისკენ, რამდენიც დღეს მესმის, ახლა, როცა აღარც მქადაგებლებს, აღარც ეპისკოპოსებს და აღარც ჩემს სულიერ ძმებს აღარ ხელეწიფებათ ჭეშმარიტი სინანულის გაღვივება...

– კი, მაგრამ მესამე ხანა, ანგელოზებრივი პაპი, პერუჯის კრება... – ამოვილუღლუღე.

– ეგ ძველი ამბებია. სინანულის დიდი ეპოქა მიიწურა. ამიტომაც სინანულზე ახლა ორდენის მთავარმა კრებამაც შეიძლება იმსჯელოს. ასი, ორასი წლის წინ განახლების ძლიერმა ქარმა დაქროლა. მაგრამ ვინც ამაზე კრინტს დაძრავდა, წმინდანი იქნებოდა თუ მწვალებელი, კოცონს ვერ ასცდებოდა, ასეთი დროც იყო. ახლა ყველა განახლებაზე ლაპარაკობს. ხანდახან პაპიც კი მსჯელობს ამაზე. კაცთა მოდგმის განახლების არ დაიჯერო, როცა მასზე სამღვდელოება და სამეფო კარი ლაპარაკობს.

– მაგრამ ძმა დოლჩინო, – შევბედე, ცნობისწადილი მკლავდა, რამე გამეგო ამ სახელზე, რომელსაც რამდენჯერმე მოვკარი ყური წინა დღით.

– მოკვდა, ისევე ცუდად, როგორც იცხოვრა, რადგან მასაც დააგვიანდა. კი, მაგრამ შენ რა იცი?

– არაფერი, ამიტომაც გეკითხებით...

– მირჩევნია, ამაზე საერთოდ არ ვილაპარაკო. ვიცნობდი იმ ეგრეთ წოდებულ მოციქულებს და ახლოდანაც დავკვირვებივარ მათ. უსიამოვნო ამბავია, არ მოგიყვები, არ მინდა, აგაღელვო, თან არც კი ვიცი, რა გითხრა ამ ამბავზე და ამან, შეიძლება, კიდევ უფრო აგაფორიაქოს. დოლჩინო ცდილობდა, წმინდანების ნაქადაგებისთვის ხორცი

შეესხა, რამაც არაერთი უგუნურება ჩაადენინა. მაგრამ დადგა დრო, როცა ვეღარ გავარკვიე, ვინ იყო ბრალეული, გონარეული ვიყავი იმ ორმხრივად მობერილი ქარით: აქეთ – სინანულის მოქადაგე წმინდანები და იქით – ცოდვილნი, რომლებიც შენანებას პრაქტიკულად ცდილობდნენ, ხშირად სხვათა ხარჯზე... თუმცა სხვა რამეს ვამბობდი... უფრო სწორად, ამაზე იყო სწორედ ლაპარაკი: სინანულის ხანა გასრულდა და მომნანიეთათვის მონანიების მოთხოვნილება სიკვდილის მოთხოვნილებად იქცა. და მათ (ვინც გონს გადასულ მომნანიებელთა მოსპობით სიკვდილი სიკვდილს დაუბრუნა ჭეშმარიტი სინანულის დასამარცხებლად, რომელიც სიკვდილს ბადებდა) სულის სინანული წარმოსახვის სინანულით, ტანჯვისა და სისხლის ზებუნებრივი ხილვებით ჩაანაცვლეს; სისხლსა და ტანჯვას კი „ნამდვილი სინანულის სარკე“ უწოდეს. სარკე, რომელშიც ამქვეყნადვე დაინახავ ჯოჯოხეთურ სატანჯველთ, და არა მხოლოდ მდაბიოთ წარმოუდგენიათ ასე, არამედ ხშირად – სწავლულთაც. რათა – ასე ამბობენ – არავინ შესცოდოს. იმედი აქვთ, შიშით აიძულებენ სულებს, ცოდვისაგან თავი შეიკავონ და ცდილობენ, ჯანყი ძრწოლით ჩაახშონ.

– მერე, მართლა აღარ შესცოდავენ? – ვკითხე გულის ფანცქალით.

– გააჩნია, ცოდვად რას თვლი, ადსო, – მითხრა მოძღვარმა. – ამდენი წელია, აქ ვცხოვრობ და არ მინდა, უსამართლო ვიყო აქაურებისადმი, მაგრამ მგონია, იტალიის ხალხების უღირსობაზე მიანიშნებს ის, რომ ცოდვას რომელიმე კერპის შიშით ერიდებიან, თუნდაც ამ კერპს წმინდანის სახელი ერქვას. წმინდა სებასტიანის ან წმინდა ანტონიოსი უფრო ეშინიათ, ვიდრე იესოსი. თუ გინდა, სახლის კარზე არ მიგიფსან, იტალიელებს რომ სჩვევიათ ხოლმე, ძაღლივით, წმინდა ანტონიოს გამოსახულება ამოკაწრე ზედ და უმალ განდევნის ყველას, ვინც მიფსმას დააპირებს. ამგვარად, იტალიელები თავიანთ მქადაგებელთა გამოისობით ცრურწმენების აღორძინების საშიშროების წინაშე დგანან და ხორცის აღდგომის აღარ სწამთ, მხოლოდ ხორციელ ტკივილსა და განსაცდელს უფრთხიან, ამიტომაა, რომ ქრისტეზე მეტად წმინდა ანტონიოს რიდი აქვთ.

– კი, მაგრამ ბერენგარიუსი რომ იტალიელი არაა?

– მაგას მნიშვნელობა არ აქვს, მე იმ გარემოს ვგულისხმობ, რომელიც ეკლესიამ და მქადაგებელმა ორდენებმა შექმნეს ამ ნახევარკუნძულზე, აქედან კი ყოველ მხრივ ვრცელდება და განსწავლულ მამათა ისეთ დიდებულ სავანესაც აღწევს, როგორიც ეს მონასტერია.

– ცოდვას მაინც ნუ ჩაიდენენ, – არ ვეშვებოდი, თანახმა ვიყავი, ამას დავჯერებოდი.

– ეს მონასტერი რომ speculum mundi[94] ყოფილიყო, უკვე გექნებოდა მაგაზე პასუხი.

– კი, მაგრამ არ არის?

– იმისთვის, რომ სამყაროს სარკე არსებობდეს, სამყაროს ფორმა უნდა ჰქონდეს, – დაასკვნა უილიამმა, რომელიც მეტისმეტად ფილოსოფოსი იყო ჩემი ყრმა გონებისათვის.

მესამე ჟამი

სადაც მდაბიოთა ჩხუბს შეესწრებიან, აიმარუს ალექსანდრიელი რაღაცეებზე მიანიშნებს და ადსო სიწმინდესა და დემონის სიბინძურეზე დაფიქრდება. შემდეგ უილიამი და ადსო სკრიპტორიუმში დაბრუნდებიან, უილიამი რაღაც საინტერესოს მოჰკრავს თვალს, მესამედ საუბრობენ სიცილის მართებულობაზე, მაგრამ იმას მაინც ვერ ნახავს, რის ნახვაც უნდოდა

სკრიპტორიუმში ასვლამდე სამზარეულოში გავიარეთ სასაუზმოდ. სიამოვნებით დავლიე ერთი ფინჯანი ცხელი რძე. სამხრეთის კედლის დიდი ბუხარი უკვე ღადარაწითლებული გიზგიზებდა, პურს აცხობდნენ. მწყემსებმა ახალდაკლული ცხვარი შემოათრიეს. მსახურთა

შორის სალვატორეს მოვკარი თვალი, თავისი მგლური პირით გამიცინა. დავინახე, მაგიდიდან წუხანდელი ქათმის ნარჩენი აიღო და მზარეულთა მალულად გადააწოდა მწყემსებს. იმათაც ბეწვის სამოსში ჩამალეს ნადავლი. უფროსმა მზარეულმა შენიშნა და დატუქსა სალვატორე: „უნდა უფრთხილდებოდე მონასტრის ქონებას, კი არ უნდა ანიავებდე!“

– ღმერთის შვილებია, – უთხრა სალვატორემ, – იესო ხო გითხრა, ჩემთვის აკეთო, რაც ღარიბებს გაუკეთოო!

– ჩვენს სამოსელში გამოხვეულო ფრატიჩელო, შე კუანა მინორიტო! – უყვირა მზარეულმა. – იცოდე, შენს მაწანწალა ძმებში კი არ ხარ! ღვთის შვილებისთვის მოწყალების გაცემაზე წინამძღვარი იზრუნებს!

სალვატორეს სახე ჩაუშავდა ბრაზისგან: – მე მინორიტი ფრატიჩელი არ ვარ! წმინდა ბენედიქტეს ბერი ვარ! აქოთებულო, დამპალო ბოგომილო!

– ბოგომილი ის ძუკნაა, ღამით რომ ჩიჩქნი მაგ შენი მყრალი ხორცმეტით, ღორო! – დაუღრიალა მზარეულმა.

სალვატორემ მწყემსებს სასწრაფოდ კარისკენ უბიძგა და ჩვენ რომ ჩაგვიარა, შეშფოთებულმა შემოგვხედა: – ძმაო, – უთხრა უილიამს, – დაიცავი შენი ორდენი, ჩემი კი არაა, უთხარი, ფრანცისკის შვილები არაა მწვალებელები-თქო! – მერე ყურში ჩამჩურჩულა: – ფუ, მატყუარა! – და ძირს დააფურთხა.

მზარეული მივარდა, მუჯლუგუნებით გააძევა სამზარეულოდან და ზურგს უკან კარი მიუჯახუნა.

– ძმაო, – მოუტრიალდა მერე მოწიწებით უილიამს, – მე თქვენს ორდენზე არ მინდოდა ცუდის თქმა და იმ უწმინდეს ადამიანებზე, ვინც იქ არიან, მე მაგ ვითომ მინორიტს და ვითომ ბენედიქტელს ვგულისხმობდი, არც კაცი რომაა და აღარც პირუტყვი.

– ვიცი საიდანაცაა, – დაუყვავა უილიამმა, – მაგრამ ახლა ისეთივე ბერია, როგორიც შენ და ძმური პატივისცემა ერგება.

– ჰო, მაგრამ ცხვირს ჰყოფს ყველაფერში, რაც მისი საქმე არაა. მეკუჭნავე მფარველობს და მაგასაც აქაურობის ბატონ-პატრონი ჰგონია თავი. ისე დაპარპაშებს მონასტერში, თითქოს მისი სახლი იყოს, დღისითა და ღამით!

– რატომ ღამით? – ჰკითხა უილიამმა. მზარეულმა ისე აიქნია ხელი, თითქოს უწმინდურ რამეებზე არ სურდა ლაპარაკი. უილიამიც აღარ ჩაეძია და რძიანი ფინჯანი დაცალა.

ცნობისწადილი სულ უფრო მიღიტინებდა. უბერტინუსთან შეხვედრა, სალვატორესა და მეკუჭნავის წარსულზე გადაკრული სიტყვა, მწვალებელ ფრატიჩელებსა და მინორიტებზე მინიშნებები, გაუთავებლად რომ მესმოდა იმ დღეებში, ჩემი მოძღვრის თავშეკავება, ძმა დოლჩინოს რომ ახსენებდნენ... ყველაფერი ერთად მერეოდა გონებაში. აქეთ მომავალთ გზაში ორჯერ მაინც შეგვხვდა ფლაგელანტების[95] პროცესია. პირველად ადგილობრივი მოსახლეობა წმინდანებივით შესციცინებდა მათ, მეორედ კი ბურტყუნებდნენ, მწვალებლებიო. არადა, ერთი და იგივე ხალხი იყო. ორ-ორად დაწყობილები მიდიოდნენ, მოურიდებლად გატიტვლებულები, მხოლოდ სარცხვინელი დაეფარათ. ტყავის მათრახებს იტყლაშუნებდნენ მხრებზე და სისხლმდინარენი, ცრემლთაღვრით, თითქოს საკუთარი თვალით ენახათ მაცხოვრის ვნებანი, საწყალობელი ძახილით შესთხოვდნენ შენდობას შემოქმედსა და ღვთისმშობელს. დღისით თუ ღამით, ზამთრის სუსხში, ანთებული კელაპტრებით დადიოდნენ, ეკლესიების გარშემო გროვდებოდნენ, საკურთხევლის წინაშე მოწიწებით გაერთხმებოდნენ. წინ დროშებითა და კელაპტრებით მღვდელმსახურნი მიუძღოდნენ. ამ ხალხში არა მარტო მდაბიონი იყვნენ, არამედ კეთილშობილი მანდილოსნებიც, ვაჭრებიც... და ეს იყო მონანიების საოცარი სანახაობა: ქურდები მოპარულს აბრუნებდნენ, ადამიანები დანაშაულს აღიარებდნენ...

უილიამი ყოველთვის გულგრილად უყურებდა ამ ყველაფერს და მეუბნებოდა, ეს ჭეშმარიტი მონანიება არ არისო. იმავეს ამბობდა, რაც იმ დილით მითხრა: განწმენდის

დიდი ეპოქა გასრულებულია, ეს მხოლოდ მქადაგებელთა ხერხია ბრბოს რწმენის სამართავად, იმის შიშით, ხალხი მონანიების სხვაგვარი წადილის მსხვერპლი არ გახდეს, რომელსაც მწვალებლურად მიიჩნევენ და უფრთხიანო. რომ ყოფილიყო კიდეც რამე განსხვავება, მე ვერაფერს ვხვდებოდი და მეჩვენებოდა, რომ თავად მონანიების ფორმები კი არ იყო განსხვავებული, არამედ ეკლესიის მოსაზრება სინანულის ამ ფორმებზე.

უბერტინუსთან კამათი მახსენდებოდა. უილიამი დაჟინებით ცდილობდა, აეხსნა მისთვის, რომ მცირე იყო სხვაობა მის მისტიკურ (მართლმორწმუნე) რწმენასა და მწვალებელთა გამრუდებულ რწმენას შორის. უბერტინუსი ისე ბრაზობდა ამ სიტყვებზე, თითქოს თავად მკაფიოდ ხედავდა ამ განსხვავებას. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ უბერტინუსის განსაკუთრებულობა სწორედ ამ განსხვავების დანახვის უნარში იყო, უილიამს კი იმიტომ ეთქვა უარი ინკვიზიტორობაზე, რომ ამ სხვაობას ვეღარ ხედავდა. ამიტომაც ვერაფერს მიყვებოდა იმ იდუმალ ძმა დოლჩინოზე. ანუ, როგორც ჩანს (ასე ვფიქრობდი), უილიამს დაეკარგა უზენაესის შეწევნა, რომელიც არა მხოლოდ ასწავლის გარჩევის უნარს, არამედ სამარადჟამოდ ამკობს თავის რჩეულთ ამ ნიჭით. უბერტინუსი და მონტეფალკოელი კლარა (რომელიც ასევე გარშემორტყმული იყო ცოდვილებით) უმწიკვლონი დარჩნენ სწორედ იმიტომ, რომ ეს ნიჭი ჰქონდათ. სწორედ ესაა სიწმინდე.

რატომ ვერ ხედავდა უილიამი ამ განსხვავებას? ასეთი გონებამახვილი კაცი, რომელსაც საგანთა თუ მოვლენათა შორის უმცირესი სხვაობა და მსგავსებაც კი არ ეპარებოდა…

ამ ფიქრებში ვიყავი, უილიამი კი რძეს სვამდა, როცა ვიღაც მოგვესალმა. აიმარუს ალექსანდრიელი იყო. წინა დღეს შევხვდით სკრიპტორიუმში და მისმა დამცინავმა გამომეტყველებამ უმალ მიიქცია ჩემი ყურადღება, თითქოს ვერაფრით გაეგო ადამიანთა სიყალბე და ამავე დროს დიდად არ ადარდებდა მთელი ეს კოსმიური ტრაგედია.

– აბა, ძმაო უილიამ, უკვე მიეჩვიეთ ამ ჩლუნგთა ბუნაგს?

– მე სიწმინდითა და სარწმუნოებით სათაყვანო კაცთა საყუდელი მგონია, – ფრთხილად უპასუხა უილიამმა.

– იყო ასეთი. როცა წინამძღვარი წინამძღვრობდა და ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკარობდა. ახლა, ხომ ნახეთ, რა ხდება იქ, – და ზედა სართულზე მიუთითა, – ის ბრმისთვალება მკვდარი გერმანელი სასოებით უსმენს მკვდრისთვალება ბრმა ესპანელის ბოდვას, თითქოს ყოველ დილას უნდა მოვიდეს ანტიქრისტე, გაუთავებლად რაღაცას ჩხაპნიან პერგამენტზე, მაგრამ ახალი წიგნი ცოტა იქმნება… ჩვენ აქ უმოქმედოდ ვართ, ქალაქებში კი ცხოვრება დუღს… ოდესღაც მონასტრებიდან იმართებოდა ქვეყანა. ახლა ხომ ხედავთ, იმპერატორი იმისთვის გვიყენებს, რომ თავისი მეგობრები მოავლინოს აქ თავისსავე მტრებთან შესახვედრად (რაღაც მსმენია თქვენი მისიის შესახებ, ბერები ყბედობენ, სხვა რა საქმე აქვთ), მაგრამ თავად ქალაქებიდან მართავს ქვეყანას. ჩვენ ხორბალს ვიმკით და საქონელს ვუვლით, იქ კი, ქვევით, აბრეშუმს სელზე ცვლიან, სელს – ნელსაცხებლებზე, ყველაფერს ერთად კი – ფულზე. ჩვენ განძს ვდარაჯობთ, იქ კი განძს ამრავლებენ. წიგნებსაც. და იმაზე ბევრად ძვირფასს, ვიდრე ჩვენ გვაქვს.

– ცხადია, ქვეყნად უამრავი სიახლე ხდება. მაგრამ რატომ გგონიათ, რომ წინამძღვარს მიუძღვის ბრალი?

– იმიტომ, რომ ბიბლიოთეკა უცხოელებს ჩაუგდო ხელთ და ისე მართავს მონასტერს, როგორც ბიბლიოთეკის დასაცავად აღმართულ ციხესიმაგრეს. ბენედიქტელთა მონასტერი ამ მხარეში ის ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც იტალიელები განაგებენ იტალიურ ამბებს. რას აკეთებენ იტალიელები ახლა, როცა პაპიც აღარ ჰყავთ? ვაჭრობენ, ხელოსნობენ, საფრანგეთის მეფეზე მდიდრები არიან. მაშ, ჩვენც იგივე ვაკეთოთ. თუ კარგი წიგნების შექმნა გვეხერხება, უნივერსიტეტებისთვის გავამრავლოთ ისინი, დავინტერესდეთ იმით, რაც ქვევით ხდება. იმპერატორის საქმეებს არ ვგულისხმობ, თუმცა პატივს ვცემ თქვენს მისიას, ძმაო უილიამ, მაგრამ იმით დავინტერესდეთ, რასაც ბოლონიელები, ფლორენციელები აკეთებენ. ხომ შეგვიძლია, აქედან ვმართოთ მომლოცველთა, ვაჭართა მიმოსვლა იტალიასა და პროვანსს შორის, ბიბლიოთეკის კარი გავუხსნათ მდაბიურ ენაზე დაწერილ წიგნებს და ისინიც ამოვლენ აქ, ვინც ლათინურად აღარ წერს. ამის ნაცვლად კი უცხოელთა ხროვას ვემორჩილებით, რომელიც ახლაც ისე

მართავს ბიბლიოთეკას, თითქოს კლიუნის წინამძღვარი დღესაც კეთილი ოდილიონი იყოს…

– კი, მაგრამ წინამძღვარი ხომ იტალიელია, – უთხრა უილიამმა.

– აქ წინამძღვარი არაფერს ნიშნავს, – ჩაიქირქილა აიმარუსმა. – თავის მაგივრად ბიბლიოთეკის კარადა აბია, მატლით გამოჭმული. პაპის ჯინაზე ფრატიჩელებით აავსო მონასტერი… მწვალებლებით, ძმაო, თქვენი უწმინდესი ორდენის დეზერტირებით… და იმპერატორი რომ ასიამოვნოს, ჩრდილოეთის მონასტრებიდან ეძახის ბერებს, თითქოს ჩვენთან არ იყვნენ კარგი გადამწერნი, ბერძნულისა და არაბულის მცოდნენი, თითქოს ფლორენციასა და პიზაში არ იყვნენ მდიდარ ვაჭართა გულუხვი შვილები, რომლებიც სიამოვნებით შევიდოდნენ ორდენში, თუკი ორდენი მათ მამის სახელისა და ძალაუფლების გაზრდის საშუალებას მისცემდა. მაგრამ აქ საუკუნის მოვლენათადმი მიმტევებლობა მარტო იმაში გამოიხატება, რომ გერმანელებს დაანებონ… ჰოი, კეთილო უფალო, დალახვრე ჩემი უკეთური ენა, რამეთუ უგვანის წარმოთქმას აპირებდა!

– მონასტერში ხდება რამე უგვანი? – სხვათა შორის ჰკითხა უილიამმა და კიდევ დაისხა რძე.

– ბერიც კაცია, – დაასკვნა აიმარუსმა. მერე დაამატა: – მაგრამ აქ კაცობაში მოისუსტებენ. და ის, რაც ვთქვი, იცოდეთ, არ მითქვამს.

– ძალიან საინტერესოა, – უთხრა უილიამმა. – ეს ყველაფერი თქვენი მოსაზრებაა თუ ბევრი ფიქრობს ასე?

– ბევრი, ბევრი. ბევრი, ვინც ახლა ბედშავ ადელმუსს დასტირის. მაგრამ მის ნაცვლად სხვა რომ გადაჩეხილიყო უფსკრულში, ვინც ახლა ბიბლიოთეკაში დაპარპაშებს, უკმაყოფილო არავინ იქნებოდა.

– რას გულისხმობთ?

– ისედაც ბევრი ვილაპარაკე. აქ ბევრს ყბედობენ, შეამჩნევდით. დუმილის წესს აღარავინ იცავს. ზოგჯერ კი ზედმეტადაც დუმან. დუმილსაც და ყბედობასაც მოქმედება აჯობებდა. ჩვენი ორდენის ოქროს ხანაში, თუკი წინამძღვარი სიმტკიცით მოიკოჭლებდა, ხელად შეუზავებდნენ საწამლავით ღვინის თასს და შემდეგს გაუთავისუფლებდნენ ადგილს. ალბათ, გესმით, ძმაო უილიამ, ამას წინამძღვარზე ან ბერებზე საწუწუნოდ კი არ გეუბნებით, ღმერთმა დამიფაროს. საბედნიეროდ, ბუზღუნი არ მჩვევია. მაგრამ იმედია, წინამძღვარს არ უთხოვია თქვენთვის ჩემი თვალთვალი, ან თუნდაც სხვისთვის, მაგალითად ტივოლელი პაციფიკუსის ან სანტალბანოელი პეტრესათვის თვალყურის დევნება. ჩვენ ბიბლიოთეკასთან ხელი არა გვაქვს. ვისურვებდით კი, უფრო თავისუფლად გვიშვებდნენ შიგნით. თავი მოურღვიეთ, ძმაო, ამ გველების ბუდეს, თქვენ, რომელსაც არაერთი მწვალებელი შეგიხრაკავთ კოცონზე.

– მე არასოდეს არავინ დამიწვავს, – მშრალად მოუჭრა უილიამმა.

– ისე ვთქვი, – გაიღიმა აიმარუსმა. – კარგ ნადირობას გისურვებთ, ძმაო უილიამ, მაგრამ ღამით გაფრთხილდით.

– რატომ დღისით არა?

– იმიტომ, რომ დღისით აქ სამკურნალო მცენარეებით ელოლიავებიან სხეულს, ღამით კი მავნე ბალახებით ასნეულებენ გონებას. არ გეგონოთ, ადელმუსი ვინმეს გადაეგდოს უფსკრულში, არც ვენანციუსი ჩაუხრჩვიათ სისხლში. აქ ვიღაცას არ სურს, ბერებმა თავად გადაწყვიტონ, სად წავიდნენ, რა აკეთონ, რა იკითხონ. ჰოდა, ჯოჯოხეთურ, ნეკრომანტიულ ხრიკებს მიმართავენ, რათა გონი აუმღვრიონ ცნობისმოყვარეთ…

– ბალახთა მცოდნე ბერს გულისხმობთ?

– სანტემერანოელი სევერინუსი კარგი კაცია. ცხადია… გერმანელია… მალაქიაც გერმანელია… – აიმარუსმა აღარ დაამთავრა სათქმელი, რითაც კიდევ ერთხელ

დაადასტურა, რომ ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა და სამუშაოს მიაშურა.

– ნეტა რის თქმა უნდოდა? – ვკითხე უილიამს.

– ყველაფრის და არაფრის. მონასტრებში ბერები მუდამ ექიშპებიან ერთმანეთს პირველობის მოსაპოვებლად. მელქშიც ასეა, მაგრამ, ალბათ, შენ, მორჩილს, არ შეგიმჩნევია. თუმცა შენს ქვეყანაში მონასტრის მმართველობა იმპერატორთან პირდაპირ კავშირს ნიშნავს. აქ სხვა ვითარებაა, იმპერატორი შორსაა, მაშინაც კი, როცა რომშია. ახლა პაპის კარიც აღარ არსებობს. აქ ქალაქებია, მოგეხსენება.

– ჰო, ძალიან გამაოცა ამან. ჩემს ქვეყანაში ქალაქი სულ სხვა რამეა... იტალიაში ქალაქებში უბრალოდ კი არ ცხოვრობენ, ბჭობენ, გადაწყვეტილებებს იღებენ... სულ მოედანზე არიან. გავლენიანი მოქალაქე აქ მეტს ნიშნავს, ვიდრე იმპერატორი ან პაპი. ქალაქები... სახელმწიფოებივითაა...

– ხელმწიფეები ვაჭრები არიან. მათი იარაღი კი ფულია. იტალიაში ფულს განსხვავებული ფუნქცია აქვს, ვიდრე შენს ან ჩემს ქვეყანაში. ფული ყველგან ტრიალებს, მაგრამ ძირითადად მაინც ქონების გაცვლა-გამოცვლა ხდება: ფრინველის, მარცვლეულის, ნამგლისა თუ ურიკის. ფული ქონების მოსაგროვებლადაა საჭირო. იტალიის ქალაქებში კი, შეამჩნევდი, ქონებაა საჭირო ფულის საშოვნელად. მღვდლებს, ეპისკოპოსებს, თვით რელიგიურ ორდენებსაც კი ფულთან აქვთ საქმე. ამიტომ ბუნებრივია, რომ სიღარიბისკენ მოწოდება ძალაუფლების წინააღმდეგ ამხედრებად ჟღერს. ძალაუფლებას ის უმხედრდება, ვინც ფულისგან შორსაა, სიღატაკისაკენ ყოველი მოწოდება დიდ კამათს წარმოშობს და მთელი ქალაქი, ეპისკოპოსიდან მოსამართლემდე, პირად მტრად აღიქვამს იმას, ვინც უპოვარებას ქადაგებს. ინკვიზიტორები დემონის თანამზრახველობას მას აბრალებენ, ვინც ეშმაკის განავლის სიმყრალეს ამხელს. ახლა ხომ ხვდები, რას ფიქრობს აიმარუსი. ორდენის აღზევების წლებში ბენედიქტელთა მონასტერი ის ადგილი იყო, საიდანაც მწყემსები მორწმუნეთა სამწყსოს მწყემსავდნენ. აიმარუსს ტრადიციის დაბრუნება სურს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სამწყსოს ცხოვრება შეიცვალა და ტრადიციებთან მიბრუნებას (იმ დიდების, ძალაუფლების აღდგენას, ოდესღაც რომ ჰქონდა) მონასტერი მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ სამწყსოს ახალი ცხოვრების წესს მიიღებს და თავად შეიცვლება. რადგან დღეს სამწყსოს ვერც იარაღით მართავ და ვერც რიტუალთა დიდებულებით, არამედ მხოლოდ ფულით, აიმარუსს სწადია, მონასტერიცა და თავად ბიბლიოთეკაც ფულის სამჭედლოდ გადაიქცეს.

– კი, მაგრამ დანაშაულთან თუ დანაშაულებთან ამას რა კავშირი აქვს?

– ჯერ არ ვიცი. ახლა კი ზევით მინდა ავიდე. წამოდი.

ბერები საქმეს შესდგომოდნენ. სკრიპტორიუმში სიჩუმე გამეფებულიყო, მაგრამ ეს დამშვიდებულ გულთა საქმიანი დუმილი არ იყო. ბერენგარიუსი უკვე იქ დაგვხვდა და ჩვენს დანახვაზე უხერხულად შეიშმუშნა. დანარჩენებმა თავები წამოსწიეს. ხვდებოდნენ, რომ ვეცდებოდით, ვენანციუსზე გაგვერკვია რამე. ყველა მალვით უყურებდა ცარიელ მაგიდას, შიგა ეზოს რვაკუთხედზე გამავალი ერთ-ერთი ფანჯრის ქვეშ რომ იდგა.

ძალიან ცივი დღე იყო, მაგრამ სკრიპტორიუმში საკმაოდ თბილოდა. შემთხვევით არ იყო სკრიპტორიუმი სამზარეულოს თავზე: ქვევიდან მუდმივად სითბო ამოდიოდა. თანაც ბუხრების საკვამურები სწორედ იმ სვეტებში იყო დატანებული, რომლებზეც დასავლეთისა და სამხრეთის კოშკებში ამავალი კიბეები იყო შემოხვეული. ჩრდილოეთის კოშკში, დიდი დარბაზის საპირისპირო მხარეს, კიბე არ იყო, მაგრამ ვეებერთელა ბუხარი გაეჭრათ, რომელიც საამო სითბოს აფრქვევდა. იატაკიც თივით იყო მოფენილი, ნაბიჯების ხმის ჩასახშობად. ყველაზე ნაკლებ გამთბარი მხარე აღმოსავლეთის კოშკი იყო და თავისუფალი ადგილებიც სწორედ იმ მხარეს დაეტოვებინათ, რადგან მაგიდები მეტი იყო, ვიდრე მომუშავე ბერები. მოგვიანებით შევნიშნე, რომ აღმოსავლეთ კოშკში დატანებული ხვეული კიბე ერთადერთი იყო, რომლითაც სკრიპტორიუმი ქვევით სატრაპეზოს უკავშირდებოდა, ზევით – ბიბლიოთეკას, და ვიფიქრე, დარბაზის ასეთი გათბობა, ალბათ, საგანგებოდაა გათვლილი, რათა აღმოსავლეთის კიბის მხარეს სიხალვათე იყოს და ბიბლიოთეკარს ბიბლიოთეკის ასასვლელისთვის თვალყურის დევნება გაუადვილდეს-მეთქი. შეიძლება, ჩემი მოძღვრის მიბაძვით, ვაჭარბებდი კიდეც და ისიც უმალ ვიფიქრე,

რომ ეს ჩანაფიქრი ზაფხულობით განუხორციელებელი იქნებოდა. თუმცა, შესაძლოა, ზაფხულში ის ადგილი მეტისმეტად მზიანი და აქედან გამომდინარე – მაინც ნაკლებ მიმზიდველი ყოფილიყო სამუშაოდ.

საბრალო ვენანციუსის მაგიდა დიდი ბუხრისკენ ზურგით იდგა და, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო და სასურველი სამუშაო ადგილი იყო. მაშინ ძალზე ცოტა დრო მქონდა გატარებული სკრიპტორიუმებში, მაგრამ შემდგომ მივხვდი, რა სატანჯველია გადამწერის, მხატვრისა თუ მეცნიერისთვის ზამთარში ყინვისაგან გაფშეკილი, კალამზე მიყინული თითებით საათობით ჯდომა სამუშაო მაგიდასთან (მაშინ, როცა ექვსი საათი თავაუღებლად წერის შემდეგ ადამიანს ჩვეულებრივ ტემპერატურაზეც თითები ეგრიხება და საჩვენებელი ისე სტკივა, თითქოს კარში მოჰყოლოდეს). ამით აიხსნება ხოლმე ხელნაწერთა მინდვრებზე გადამწერთა ტანჯვის (ან მოთმინების ამოწურვის) ნიშნად დატოვებული წარწერები: „მადლი უფალს, მალე დაბნელდება!“ ან: „ნეტავ ერთი ჭიქა ღვინო მომცა!“ ან კიდევ: „დღეს ცივა, შუქი მკრთალია, ტყავიც ხაოიანი, რაღაც არ გამოდის“. როგორც ერთი ძველი ანდაზა ამბობს, კალამი სამ თითს უჭირავს, მაგრამ მთელი სხეული შრომობს. მთელ სხეულს სტკივა.

ვენანციუსის მაგიდაზე მოგახსენებდით. სხვებზე მომცრო იყო, როგორც მკვლევართათვის განკუთვნილი, რვაკუთხა ეზოზე გამავალი სხვა მაგიდები. გარე კედლებთან ჩარიგებული უფრო განიერი მაგიდები გადამწერთა და მხატვართათვის დაეთმოთ. თუმცა ვენანციუსსაც ედგა წიგნის საყრდენი, ალბათ, მონასტერში დროებით, გადასაწერად შემოსულ წიგნებზე თუ მუშაობდა. მაგიდის ქვეშ დაბალი თარო ედგა, რომელზეც აუკინძავი ფურცლები დაეხვავებინა. ნაწერი ლათინური იყო და დავასკვენი, რომ მისი ახალი თარგმანები უნდა ყოფილიყო. ნაჩქარევი ნაწერი იყო და არა წიგნის გამზადებული გვერდები, ჩანს, მერე უნდა გადაეცათ გადამწერისა და მხატვრისათვის. ძნელი გასარჩევი იყო ნაწერი. ფურცლებში რამდენიმე ბერძნული წიგნი იდო და მაგიდაზეც ბერძნული თხზულება იყო გადაშლილი, რომელსაც ვენანციუსი წინა დღეებში თარგმნიდა. მაშინ ბერძნული ჯერ არ ვიცოდი, მაგრამ მოძღვარმა მითხრა, ვინმე ლუციანუსის წიგნია ვირად ქცეულ კაცზეო. ამან აპულეუსის არაკი გამახსენა, რომელიც სასტიკად ეკრძალებოდათ მორჩილებს.

– რატომ თარგმნიდა ვენანციუსი ამას? – ჰკითხა უილიამმა ბერენგარიუსს, რომელიც გვერდით გვედგა.

– მილანის მთავარმა სთხოვა მონასტერს, სანაცვლოდ კი მონასტერს უფლება ექნებოდა, აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე ვაზი გაეშენებინა, – და ბერენგარიუსმა აღმოსავლეთით გაიშვირა თითი. მაგრამ მალევე დაამატა: – არ იფიქროთ, რომ მონასტერი საეროთათვის მოგების მიზნით მუშაობს, მაგრამ შემკვეთი დიდად გაისარჯა, რათა ეს ძვირფასი ბერძნული ხელნაწერი ვენეციის ჰერცოგს ჩვენთვის ეთხოვებინა, რომელიც მას ბიზანტიის იმპერატორისაგან მიუღია ძღვნად. ვენანციუსი რომ მუშაობას დაამთავრებდა, ორი ასლი უნდა გაგვეკეთებინა, ერთი – შემკვეთისთვის და ერთი – ჩვენი ბიბლიოთეკისთვის.

– რომელიც, ჩანს, არ უკადრისობს წარმართთა ზღაპრებს, – შენიშნა უილიამმა.

– ბიბლიოთეკაში ჭეშმარიტების დასტურიც ინახება და შეცდომის მაგალითებიც, – მოგვესმა უკნიდან. ხორხე იყო. კიდევ ერთხელ გამაოცა (თუმცა გაოცება კიდევ ბევრჯერ მელოდა მომდევნო დღეებში) მოხუცის მოულოდნელმა გამოჩენამ, თითქოს ის ყოველთვის გვხედავდა, თავად კი უხილავი იყო ჩვენთვის. ისიც კი ვიფიქრე, რა საქმე აქვს-მეთქი უსინათლოს სკრიპტორიუმში, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ ხორხე ყველგან იყო მონასტერში. ხშირად სკრიპტორიუმში ბუხრის წინ დაბალ სკამზე იჯდა ხოლმე, თითქოს თვალყურს ადევნებდა ყველაფერს, რაც დარბაზში ხდებოდა. ერთხელ ყური მოვკარი, თავისი ადგილიდან რომ იკითხა: „ვინ ადის?“ მალაქია იყო, რომელიც ბიბლიოთეკაში ადიოდა და მისი ნაბიჯების ხმა თივას ჩაეხშო. ბერები დიდ პატივს სცემდნენ მას და ხშირად სთხოვდნენ დახმარებას, ძნელად გასაგებ მონაკვეთებს უკითხავდნენ ხოლმე, ეკითხებოდნენ, როგორ გაეკეთებინათ სქოლიო, როგორ გამოესახათ ესა თუ ის ცხოველი თუ წმინდანი. ის სიცარიელეს გასცქეროდა ამოშრეტილი თვალებით, თითქოს თვალწინ ედგა ყოველი გვერდი, მეხსიერებაში ცოცხლად

შემონახული, და უხსნიდა ბერებს, რომ ცრუ წინასწარმეტყველთ ეპისკოპოსთა სამოსი უნდა ეცვათ და პირიდან გომბეშოები გადმოსდიოდეთ, ან აღუწერდა, რომელი ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი ზეციური იერუსალიმის გალავანი, ან რომ არიმასპების[96] მხარე რუკაზე მამა იოანეს სამშობლოსთან უნდა იყოს გამოსახული და ურჩევდა, ზედმეტი სიმახინჯით მაცდურნი არ გამოგივიდეთ, საკმარისია, სიმბოლურად გამოსახოთ, ისე, რომ მნახველმა იცნოს ისინი, მაგრამ ჟინი არ აღუძრას და არ გააცინოსო.

ერთხელ ყური მოვკარი, სქოლიოს ოსტატს ურჩევდა, როგორ განემარტა წმინდა ავგუსტინეს ნაშრომების ამონარიდები, რომლებსაც ტიხონის ტექსტებში ხვდებოდა, რათა დონატისტური[97] მწვალებლობა აერიდებინა თავიდან. ერთხელ იმას მოვკარი ყური, ვიღაცას არიგებდა, როგორ გაერჩია მწვალებელი სქიზმატიკოსისგან. ერთხელ რომელიღაც მკვლევარს რაღაც წიგნს ურჩევდა, ზუსტად მიუთითებდა, ამა და ამ გვერდზეა კატალოგშიო, ბიბლიოთეკარი უეჭველად მოგცემს, რადგან ღვთივ შთაგონებული წიგნიაო. ერთხელ ვიღაცას ისიც კი უთხრა, ეგ წიგნი კი არის კატალოგში, მაგრამ მოთხოვნას აზრი არ აქვს, თაგვებმა დაღრღნეს ორმოცდაათი წლის წინ და ახლა ვინც კი გადაფურცლავს, ხმიადივით ეფშვნება ხელშიო. მოკლედ, ეს კაცი თავად ბიბლიოთეკის მეხსიერება იყო, სკრიპტორიუმის სული. ხანდახან დატუქსავდა ხოლმე ბერებს, თუკი ყურს მოჰკრავდა, რომ ერთმანეთში ლაპარაკობდნენ: „აჩქარდით, ჭეშმარიტება დაუტევოთ ფურცლებზე, მოახლოვდა ჟამი!“ ანტიქრისტეს მოსვლას გულისხმობდა.

– ბიბლიოთეკაში ჭეშმარიტების დასტურიც ინახება და შეცდომის მაგალითებიც, – თქვა ხორხემ.

– რა თქმა უნდა, აპულეუსმა და ლუკიანემ ბევრი შეცდომა დაუშვეს, – უთხრა უილიამმა. – მაგრამ ამ ზღაპრულ საფარქვეშ მშვენიერი მორალია ჩადებული, ვინაიდან გვასწავლის, თუ რა ძვირად გვიჯდება საკუთარი შეცდომები და თან ვფიქრობ, სახედრად ქცეული კაცის იგავი იმ მეტამორფოზაზე მინიშნებაა, რასაც ცოდვაში ჩაფლული სული განიცდის.

– შესაძლოა, – თქვა ხორხემ.

– ახლა ვხვდები, იმ კამათში, გუშინ რომ გაიხსენა ვენანციუსმა, რატომ იყო ასე დაინტერესებული კომედიის საკითხებით. ასეთი ზღაპრები შეიძლება ძველ კომედიებს შევადაროთ. კომედია ხომ ნამდვილ ადამიანებზე კი არ ჰყვება, როგორც ტრაგედია, არამედ – ამას ისიდორეც ამბობს – ფიქციაა: „fabulae poetae a fando nominaverunt quia non sunt res factae sed tantum loquendo fictae“[98]…

უცებ ვერ მივხვდი, რატომ ჩაება უილიამი ამ მეცნიერულ კამათში, თან კაცთან, რომელსაც, ჩანდა, არ სიამოვნებდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ხორხეს პასუხმა მიმახვედრა, რა გამჭრიახი იყო ჩემი მოძღვარი.

– იმ დღეს კომედიებზე კი არ ყოფილა კამათი, არამედ სიცილის მართებულობაზე, – წამოენთო ხორხე. მშვენივრად მახსოვდა, წინა დღით, ვენანციუსმა რომ ის კამათი გაიხსენა, ხორხე ამტკიცებდა, არაფერი მახსოვსო.

– აჰ, – უდარდელად თქვა უილიამმა, – მე მეგონა, პოეტთა სიცრუესა და საჭირბოროტო საკითხებზე კამათობდით…

– სიცილზე იყო ლაპარაკი, – მშრალად მოუჭრა ხორხემ. – კომედიებს იმისთვის წერდნენ წარმართნი, რომ მაყურებელი გაეცინებინათ, და ცუდადაც იქცეოდნენ. მაცხოვარს ჩვენსას, იესოს, კომედიები და ზღაპრები არასოდეს მოუყოლია, ის მხოლოდ გამჭვირვალე იგავებს ჰყვებოდა, რომლებიც ალეგორიულად მიგვითითებს, როგორ დავიმკვიდროთ სასუფეველი. დაე ასე იყოს.

– ვერ გამიგია, რატომ ამტკიცებთ ასეთი გააფთრებით, რომ იესოს არასოდეს გაუცინია. მე მიმაჩნია, რომ სიცილი მშვენიერი წამალია ხასიათის გამოსაკეთებლად, სხეულის უძლურებათა განსაკურნავად, განსაკუთრებით კი დარდის გასაქარვებლად, როგორც, მაგალითად, აბაზანები.

– აბაზანები კარგია, – თქვა ხორხემ, – და თავად აკვინელიც გვირჩევს მათი საშუალებით ნაღველის გაქარვებას, თუკი ნაღველს სათავეში ბოროტება არ უდევს: ბოროტს ოდენ სულის სიძლიერე თუ მოერევა. აბაზანები ამშვიდებს, განწყობას უუმჯობესებს ადამიანს, სიცილი კი სხეულს უგრეხს, სახეს უმანჭავს და მაიმუნს ამსგავსებს.

– მაიმუნები არ იცინიან, სიცილი სწორედ ადამიანის თვისებაა, მისი გონიერების ნიშანი, – მიუგო უილიამმა.

– ადამიანის გონიერების ნიშანია სიტყვაც და სიტყვით კაცს ღვთის გმობაც ძალუძს. ყველაფერი ადამიანური როდია კეთილი. სიცილი სიმრუდის ნიშანია. ვინც იცინის, არ სწამს იმის, რაზეც იცინის, მაგრამ არც სძულს იგი. ამრიგად, ბოროტზე სიცილი არ ნიშნავს მასთან საბრძოლველად განწყობას, კეთილზე სიცილი კი ნიშნავს, არ აღიარო სიკეთის ძალა – ძალა სიკეთის თვითგავრცელებისა. ამიტომ ამბობს წესი: „მეათე რიგი მორჩილებისა ისაა, რომ ბერს სიცილი არ მართებს, რამეთუ წერილ არს: „stultus in risu exaltat vocem suam“[99].

– კვინტილიანი, – შეაწყვეტინა ჩემმა მოძღვარმა, – ამბობს, რომ პანეგირიკში სიცილი უნდა შეიზღუდოს, რამეთუ ის ამ ჟანრს აკნინებს, მაგრამ სხვა შემთხვევაში ის სიცილს არ ეწინააღმდეგება. ტაციტუსი ადიდებს კალპურნიუს პიზონის ირონიას, პლინიუს უმცროსი კი ამბობს: „როცა ვიცინი, ვთამაშობ, ვხუმრობ, ადამიანი ვარ“.

– წარმართები იყვნენ, – შენიშნა ხორხემ. – წესი ამბობს: „მასხარაობა, ფუჭსიტყვაობა და სიცილი სამარადისოდაა განკვეთილი ყოველი ჩვენი სავანიდან და სრულიად დაუშვებელია ბერისთვის“.

– მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრისტეს სიტყვამ იზეიმა დედამიწაზე, განა კირენელმა სინესიუსმა არ თქვა, რომ ღვთიურობამ შეძლო კომიკურისა და ტრაგიკულის ჰარმონიულად შეთავსება? ელიუს სპარციანუსმა კი იმპერატორ ადრიანეზე, ზნემაღალ და ჭეშმარიტად ქრისტიან კაცზე, თქვა: გართობისა და საქმის შერწყმა ხელეწიფებაო. დაბოლოს, ავსონიუსი ზომიერებას გვირჩევს მხიარულებასაცა და სერიოზულობაშიც.

– მაგრამ ნოლელი პაოლინუსი და ალექსანდრიელი კლემენტე დაუპირისპირდნენ ამ სიმრუდეთ და სულპიციუს სერვიუსიც ამბობს, რომ წმინდა მარტინი არვის უნახავს არც გარისხებული და არც გაცინებული.

– მაგრამ ის წმინდანის ზოგიერთ spiritualiter salsa[100] პასუხსაც იხსენებს, – უთხრა უილიამმა.

– ეს პასუხები სხარტი და ბრძნული იყო და არა სასაცილო. წმინდა ეფრემსაც აქვს გამონათქვამები სიცილის წინააღმდეგ და თავის „De habitu et conversatione monachorum“-ში[101] ბერებს ურჩევს, თავი აარიდონ უხამსობასა და ოხუნჯობას, როგორც ასპიტთა შხამს!

– მაგრამ ილდებერტუსი ამბობს: „admittenda tibi joca sunt post seria quaedam“, რაც ნიშნავს, რომ ხანდახან, საქმის შემდეგ, გართობაც დაშვებულია. სოლსბერიელი იოანე მრისხანებასაც არ გმობს, თუ ის ზღვარს გადასული არაა. და თომაც, რომელიც წეღან სიცილის უკეთურების დასტურად მოიშველიეთ, მშვიდი სულის თავშეკავებულ სიცილს სულაც არ ეწინააღმდეგება.

– სული მშვიდად მხოლოდ მაშინაა, როცა ჭეშმარიტებას ჭვრეტს და ქმნილი სიკეთით ნეტარებს. ჭეშმარიტებასა და სიკეთეში კი სასაცილო არაფერია. აი, რატომ არ იცინოდა ქრისტე. სიცილი ეჭვის საწინდარია.

– მაგრამ ეჭვი ხანდახან სასარგებლოა.

– არა მგონია. თუ გეეჭვება, მას უნდა მიმართო, ვინც მეტი იცის და ვისაც ენდობი, მოძღვარს ან მკურნალს, და შენი ეჭვიც აღმოიფხვრება. მეჩვენება, რომ მეტისმეტად დასწაფებიხართ საკამათო მოძღვრებებს, პარიზელ ლოგიკოსთა და მათ მსგავსთა მოსაზრებებს. მაგრამ წმინდა ბერნარდმა მოახერხა, დაპირისპირებოდა საჭურის აბელარს[102], რომელიც ყველაფერზე ცივი, უსიცოცხლო გონებით პასუხობდა ისე, რომ

მის სიტყვებს არასოდეს აცისკროვნებდა წმინდა საკითხავთა შუქი. ცხადია, ამ საშიში აზრების გამზიარებელთ შეიძლება მოსწონდეთ კიდეც სიმდარე და დასცინონ იმას, რისაც ოდენ თაყვანისცემა გვმართებს – ერთადერთ, ერთხელ და სამუდამოდ გაცხადებულ ჭეშმარიტებას. სიცილით ბრიყვი გულისხმობს, რომ „Deus non est“[103].

– ღირსო ხორხე, უსამართლობა მგონია საჭურის აბელარის სიტყვების მოშველიება, კარგად იცით, რომ იმ საწყალობელ მდგომარეობაში სხვისი მზაკვრობის გამო აღმოჩნდა…

– თავის ცოდვათა გამო დაემართა ყოველივე. ადამიანის გონების ამპარტავნული რწმენის გამო. გონების განდიდებისათვის ხალხის რწმენა მასხარად აიგდეს, ღვთის საიდუმლო ფეხით გათელეს (ან სცადეს მაინც უკეთურებმა), უზენაეს საკითხებზე აგდებით ლაპარაკობდნენ, მამებს დასცინოდნენ, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ამგვარი საკითხების დამალვა ჯობდა, ვიდრე მათში ჩხრეკა.

– ვერ დაგეთანხმებით, ღირსო ხორხე. ღმერთის ნებაა, გონებას მივმართოთ ბუნდოვანების გასაფანტად, ვიაზროვნოთ, სადაც საღმრთო წერილი ამის უფლებას გვაძლევს. როდესაც ამა თუ იმ მოსაზრებას გვთავაზობენ, ჯერ უნდა განვსაჯოთ, მისაღებია თუ არა იგი. და ვინაიდან ადამიანის გონებაც ღმერთის შექმნილია, რაც ჩვენი გონებისთვის მისაღებია, შეუძლებელია, ღვთიური გონისთვის იყოს მიუღებელი, რომელზეც, სხვათა შორის, მხოლოდ ის ვიცით, რასაც, ანალოგიითა თუ უარყოფით, ჩვენივე გონებრივი მსვლელობით ვასკვნით. მაშასადამე, ზოგიერთი მიღებული, მაგრამ აბსურდული მოსაზრების გასაცამტვერებლად, რომელიც გონებას ეწინააღმდეგება, სიცილიც შეიძლება სასარგებლო საშუალება იყოს. სიცილი ხანდახან ბოროტის დასაბნევად, მისი სიბრიყვის გამოსააშკარავებლადაცაა საჭირო. წმინდა მავრზე ჰყვებიან, რომ წარმართთ მდუღარე წყალში ჩაუსვამთ და მას დაუჩივლია, ცივიაო; წარმართების მეთაურს ხელი ჩაუყვია წყალში შესამოწმებლად და დამდუღრულა. ამ ხუმრობით წმინდა წამებულს სარწმუნოების მტრები გაუმასხარავებია.

ხორხემ ჩაიქირქილა: – მქადაგებელთა მონათხრობშიც ბევრი ყბედობაა. მდუღარეში ჩაგდებული წმინდანი ქრისტესთვის ეწამება და ყვირილს იკავებს, ბავშვივით კი არ ეცუღლუტება წარმართთ!

– ხედავთ? – უთხრა უილიამმა. – თქვენი აზრით, ეს ამბავი გონებას ეწინააღმდეგება და ამიტომ აცხადებთ მას სასაცილოდ. თუმცა კი, თუ კარგად დავაკვირდებით თქვენს ბაგეთ, თქვენც გეცინებათ და გსურთ, არც მე აღვიქვა ის სერიოზულად. სიცილს დასცინით, მაგრამ იცინით.

ხორხე გაღიზიანდა: – სიცილზე ლაყბობით ფუჭად მალაპარაკებთ. კარგად იცით, რომ ქრისტე არ იცინოდა.

– სულაც არ ვარ ამაში დარწმუნებული. ფარისევლებს რომ მოუწოდებს, პირველი ქვა ისროლონ, როცა კითხულობს, ვისი სახეა ხარკის გადასახდელ მონეტაზე გამოსახული, სიტყვებით რომ თამაშობს და ამბობს: „tu es petrus“[104], მგონია, რომ სწორედ ცოდვილთა დასაბნევად და თავისიანთა გასამხნევებლად ენამახვილობს. კაიაფასაც ორაზროვნად ეუბნება, „შენ თქვი ასეო“. კარგად იცით, რომ კლიუნიელებსა და ცისტერციელებს შორის გაცხარებულ ბრძოლაში პირველნი მასხრად იგდებენ მეორეთ, თქვე უნიფხოებოო. „Speculum Stultorum“-ში[105] კი სახედარი ფიქრობს, ნეტა რა მოხდება, ღამით ქარმა ბერს ანაფორა რომ წამოხადოს და სარცხვინელი გამოუჩინოსო…

გარშემო ბერების სიცილი გაისმა. ხორხე გაცოფდა.

– შმაგთა ბრბოდ გადამიქცევთ ამ ბერებს! ვიცი, ფრანცისკელთა წესია, ამგვარი უგვანობით მოიპოვონ ხალხის სიყვარული, მაგრამ ამ ოხუნჯობაზე იმ სიტყვებით გიპასუხებთ, ერთი თქვენი მქადაგებლისგან რომ მომისმენია: „tum podex carmen extulit horridulum“[106].

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მართალია, უილიამს ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ახლა ხორხე მას პირიდან სიმყრალის გამოშვებაში ადანაშაულებდა. ისიც ვიფიქრე, მხცოვანი ბერის ასეთი

პასუხი სკრიპტორიუმიდან უილიამის გაძევებას ხომ არ ნიშნავს-მეთქი. მაგრამ უილიამი, ცოტა ხნის წინ ასე საბრძოლველად შემართული, უეცრად მოტკბა: – მომიტევეთ, ღირსო ხორხე. ბაგემ ვერ დააკავა ჩემი ფიქრები, არც მიფიქრია თქვენი უპატივცემულობა. ალბათ, მართალი ხართ და მე ვცდებოდი.

ამ საოცარი თავმდაბლობის გამოვლინებაზე ხორხემ რაღაც ჩაიბურდღუნა, შესაძლოა, კმაყოფილების ნიშნად, შესაძლოა – პატიებისა, და თავის ადგილს დაუბრუნდა. ბერებიც, რომლებიც კამათის მოსასმენად მაგიდებიდან წამოშლილიყვნენ, ნელ-ნელა დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს. უილიამის ბოდიშმა სკრიპტორიუმში ვნებათაღელვა ჩააცხრო, ისიც ისევ ვენანციუსის მაგიდასთან ჩაცუცქდა, ქაღალდებში განაგრძო ქექვა და სწორედ იქ ნანახმა მიახვედრა, რა უნდა ეძებნა იმ ღამეს.

სიმშვიდემ სულ რამდენიმე წამს გასტანა. მალევე ბენციუსი მოგვიახლოვდა, ვითომ კალამი დარჩა მაგიდასთან, ხორხესთან კამათის მოსასმენად რომ ადგა. უილიამს უჩურჩულა, სასწრაფოდ უნდა დაგელაპარაკოთო და აბანოების უკან დაუთქვა შეხვედრა. უთხრა, ჯერ თქვენ გადით, მეც მალე დაგეწევითო.

უილიამმა რამდენიმე წამს შეიცადა, შემდეგ მალაქია მოიხმო, რომელიც თავისი მაგიდიდან, კატალოგის გვერდით რომ იდგა, თვალყურს ადევნებდა მომხდარს, და სთხოვა, წინამძღვრის დავალებაა (ამას საგანგებოდ გაუსვა ხაზი), ვინმე დააყენო ვენანციუსის მაგიდის მეთვალყურედ, რომ არავინ მიეკაროს მაგიდას ჩემ დაბრუნებამდეო. ხმამაღლა წარმოთქვა ეს სიტყვები, ისე, რომ არა მარტო მალაქიას ავალებდა ბერების თვალყურს, არამედ ბერებსაც – მალაქიასთვის თვალყურის დევნებას. ბიბლიოთეკარს ისღა დარჩენოდა, დასთანხმებოდა. სკრიპტორიუმიდან გავედით. აბანოებისკენ რომ მივდიოდით. უილიამმა შენიშნა: – ასე მგონია, ბევრს არ უნდა, გავეკარო ვენანციუსის მაგიდას და წიგნებს, რომლებზეც ის მუშაობდა.

– მაინც რომელს?

– მგონი, ეგ იმანაც არ იცის, ვისაც არ სურს, მაგიდასთან მიმიშვას.

– გგონიათ, ბენციუსს სათქმელი არაფერი აქვს და ცდილობს, მხოლოდ სკრიპტორიუმიდან გაგიტყუოთ?

– მაგას ახლავე შევიტყობთ, – თქვა უილიამმა. ცოტა ხანში ბენციუსიც დაგვეწია.

მეექვსე ჟამი

სადაც ბენციუსის უცნაური მონათხრობი მონასტრის ცხოვრების ფრიად უღირს მხარეებს გამოავლენს

ბენციუსის მონათხრობი ფრიად გაუგებარი იყო. მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ბენციუსს მხოლოდ სკრიპტორიუმიდან ჩვენი გამოტყუება უნდოდა, მაგრამ ახლა თავის გასამართლებლად ცდილობდა, რაღაც მოეყოლა და ამ არეულ-დარეული მონათხრობით თავისდა უნებურად რაღაც უფრო მნიშვნელოვან სიმართლეს გვიმხელდა.

ამბობდა, დილით დუმილი ვარჩიე, მაგრამ ახლა, რომ დავფიქრდი, მიმაჩნია, რომ უილიამმა სრული სიმართლე უნდა იცოდესო. სიცილზე იმ ყბადაღებული კამათის დროს ბერენგარიუსმა „finis Africae“ ახსენა. რა იყო ეს? ბიბლიოთეკა სავსე იყო იდუმალებით, განსაკუთრებით კი – წიგნებით, რომლებზეც ბერებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ბენციუსზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა უილიამის სიტყვებს მოსაზრებათა რაციონალურად განხილვის შესახებ. მას მიაჩნდა, რომ განსწავლულ ბერს უფლება ჰქონდა, გასცნობოდა ყველაფერს, რაც ბიბლიოთეკაში ინახებოდა, გულანთებით მოიხსენია სუასონის კრება, რომელმაც აბელარი შეაჩვენა, და სანამ ლაპარაკობდა, შევნიშნეთ, რომ რიტორიკით

გატაცებული ეს ყმაწვილი ბერი, აგზნებული დამოუკიდებლობის წადილით, ვერ ემორჩილებოდა შეზღუდვებს, რასაც მონასტრის დისციპლინა ახვევდა თავს მისი ინტელექტის ცნობისწადილს. მე მუდამ მიჩიჩინებდნენ, ცნობისმოყვარეობას არ ავყოლოდი, მაგრამ ვიცოდი, ჩემი მასწავლებელი სულაც არ იყო მისი წინააღმდეგი და ვიგრძენი, რომ თანაუგრძნობდა და ენდობოდა ბენციუსს. მოკლედ, ბენციუსმა გვითხრა, არ ვიცი, რა საიდუმლოებებზე ლაპარაკობდნენ ადელმუსი, ვენანციუსი და ბერენგარიუსი, მაგრამ ამ უსიამოვნო ამბის შედეგად იქნებ იმას მაინც მოეფინოს ნათელი, როგორ იმართება ბიბლიოთეკაო. იმედი მაქვს, როგორც არ უნდა წაიყვანოს გამოძიება, ძმა უილიამი ეცდება, წააქეზოს წინამძღვარი, შეარბილოს ინტელექტუალური შეზღუდვები ბერებისთვის, რომლებიც ჩემსავით შორეთიდან ჩამოსულან, რათა გონება ამ ბიბლიოთეკის უსასრულო წიაღში დაცული საოცრებებით ასაზრდოონო.

მწამს, ბენციუსი გულწრფელად ელოდა უილიამის გამოძიებიდან ამას, მაგრამ, ჩანს, ცნობისწადილით ატაცებულს ისიც სურდა – და ამას უილიამი მყის მიხვდა – პირველს გაეჩხრიკა ვენანციუსის მაგიდა. ამის სანაცვლოდ კი მზად იყო, რაღაც მოეყოლა ჩვენთვის. აი, რა მოგვითხრო: უკვე ყველამ იცოდა, რომ ბერენგარიუსი ადელმუსისადმი არაჯანსაღი ლტოლვით დადაგულიყო, ვნებით, რომლის მსხვერპლნიც სოდომსა და გომორში დალახვრა ღვთის რისხვამ. ასე თქვა მაშინ ბენციუსმა, ალბათ, პირდაპირ თქმას ჩემი ასაკის გამო თუ მოერიდა. მაგრამ ვისაც სიყმაწვილე მონასტერში გაუტარებია, ამგვარი ცოდვის შესახებ ყველას სმენია, თუნდაც უმანკოების შესანარჩუნებლად, ბევრს თავის დაცვაც უწევდა ამ სენით შეპრობილთაგან. განა მელქში ერთი ხანდაზმული ბერი მეც არ მიძღვნიდა სტრიქონებს, როგორებსაც საერონი დიაცთ სწერენ ხოლმე? ბერის ფიცი გვაიძულებს, ვერიდოთ ბიწიერების ისეთი წყაროს, როგორიცაა ქალის სხეული, თუმცა იგივე ფიცი სხვა ცოდვებთან გვაახლოებს. განა შემიძლია, საკუთარ თავს არ გავუმხილო, რომ ჩემს სიბერეს დღესაც ამღვრევს დემონი, როცა ქორში მდგარ უწვერულ ყრმათა გოგოსავით კრიალა, ქორფა სახეები მომტაცებს ხოლმე მზერას?

ამას საკუთარი არჩევანის სანანებლად კი არ ვაღიარებ, არამედ ოდენ იმიტომ, რომ გავუგო შეცდომილთ, ვისაც წმინდა სამოსი ასე ამძიმებს. ალბათ, ბერენგარიუსის შემზარავი დანაშაულის ასახსნელადაც. მაგრამ ბენციუსს მიაჩნდა, რომ ბერენგარიუსი საკუთარ უხამს მიდრეკილებას კიდევ უფრო ამძიმებდა უკადრისი ხერხებით – შანტაჟით ცდილობდა, ის მიეღო, რასაც, კეთილგონიერებისა თუ ღირსების გამო, ადვილად არ უთმობდნენ.

მოკლედ, კარგა ხანი იყო, ბერები ქირქილებდნენ, არაერთხელ შეემჩნიათ, როგორ ალერსიანად უმზერდა ბერენგარიუსი ადელმუსს, რომელიც, როგორც ამბობენ, საოცრად მიმზიდველი იყო. ადელმუსს, რომელსაც თავდავიწყებით ჰყვარებია საკუთარი საქმე, თურმე მხოლოდ სამუშაო ანიჭებდა სიამოვნებას და დიდად არ დაგიდევდათ ბერენგარიუსის გატაცებას. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მისი სულიც იმავე სიბილწისკენ იყო მიდრეკილი. მოკლედ, ბენციუსმა გაგვიმხილა, ადელმუსისა და ბერენგარიუსის საუბარს შევესწარი, ბერენგარიუსი რაღაც საიდუმლოზე მიანიშნებდა, რომლის გამხელის სანაცვლოდაც ადელმუსს ბინძურ საზღაურს სთხოვდაო. ყველაზე გულუბრყვილო მკითხველიც ადვილად წარმოიდგენს, რას გულისხმობდა. ადელმუსი ერთგვარი შვებითაც დაეთანხმაო, განაგრძობდა ბენციუსი, თითქოს მასაც იგივე უნდოდა, მაგრამ არ აღიარებდა ამას და რამე საბაბს ეძებდა, რომ დათანხმებოდაო. ეს კი იმას ადასტურებსო, – ამბობდა ბენციუსი, – რომ ბერენგარიუსის საიდუმლო ცოდნის სიღრმეებს შეეხებოდა, და ადელმუსი საკუთარ თავს დაარწმუნებდა, რომ ხორციელი ცოდვის წინაშე თავს ინტელექტის ნებით იდრეკდაო. ბენციუსმა ღიმილით დაამატა, თავადაც არაერთხელ ვყოფილვარ ისე აღტყინებული ინტელექტუალური ჟინით, რომ მის დასაურვებლად სხვისი ხორციელი წადილის დაკმაყოფილებას დავთანხმდებოდი, თუნდაც ჩემივე ნების წინააღმდეგო.

– განა არ მოგსვლიათ, – ჰკითხა უილიამს, – რომ უგვან საქციელისთვსაც მზად იყავით, ოღონდ კი ხელთ ჩაგეგდოთ წლობით ნანატრი წიგნი?

– ბრძენთა ბრძენსა და უმაღლეს სილვესტრუს II-ს მრავალი საუკუნის წინ უძვირფასესი სამკლაური გაუღია ერთი ხელნაწერის სანაცვლოდ, ვგონებ, სტაციუსისა თუ ლუკანუსისა, – თქვა უილიამმა. მერე კი მოკრძალებით დაამატა: – მაგრამ ეს სამკლაური იყო და არა

საკუთარი ღირსება.

ბენციუსმა აღიარა, ენთუზიაზმმა მეტისმეტად გამიტაცაო და თხრობა განაგრძო. ადელმუსის სიკვდილის წინა ღამეს ცნობისწადილით შეპყრობილი უკან ასდევნებოდა მათ და სერობის ლოცვის შემდეგ დაენახა, სენაკებისკენ რომ მიდიოდნენ თურმე. დიდხანს ველოდე ღრიჭოდ შეღებულ კართან, ჩემი სენაკი ახლოს იყო მათ ოთახებთან, და როცა ბერების სენაკებში დუმილმა დაისადგურა, დავინახე, როგორ შესრიალდა ადელმუსი ბერენგარიუსის სენაკის კარშიო. ცოტა ხანში ბერენგარიუსის სენაკის კარი უეცრად გაიღო და ადელმუსი გიჟივით გამოვარდა, ბერენგარიუსი ცდილობდა, შეეკავებინაო. ადელმუსი ქვედა სართულზე ჩარბოდა თურმე თავქუდმოგლეჯილი, ბერენგარიუსი დასდევნებია. ბენციუსი ჩუმად გაჰყოლია უკან და დაუნახავს, ქვედა სართულზე ბერენგარიუსი აკანკალებული მისჩერებოდა ხორხეს ოთახის კარს. ბენციუსი მიმხვდარა, რომ ადელმუსი მხცოვან ბერს შევედრებოდა, მისი აღსარება მოესმინა. ბერენგარიუსი კი შიშით ცახცახებდა, რადგან იცოდა, მის საიდუმლოს ფარდა ეხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აღსარებაში იყო გამხელილი.

მერე ადელმუსი გამოსულა, გადაფითრებული, ხელი უკრავს ბერენგარიუსისთვის, რომელიც ცდილობდა, დალაპარაკებოდა, და გარეთ გავარდნილა, ეკლესიისთვის შემოუვლია და ჩრდილოეთის კარიდან შესულა ტაძარში (რომელიც ღამითაც ღია იყო). ალბათ, ლოცვა უნდოდა. ბერენგარიუსი უკან გაჰყოლია, თუმცა ეკლესიაში არ შესულა, საფლავებს შორის დაძრწოდა თურმე და ხელებს იმტვრევდა.

ბენციუსი საგონებელში ჩავარდნილა, როცა იმ არემარეში ვიღაც მეოთხეც შეუნიშნავს. ჩანს, ისიც უკან გაჰყოლოდა ადელმუსსა და ბერენგარიუსს და ბენციუსი ვერ შეენიშნა, რომელიც სასაფლაოს განაპირას მუხას ეფარებოდა. ვენანციუსი იყო. მის დანახვაზე ბერენგარიუსი საფლავებს შორის ჩამალულა და ვენანციუსი ტაძარში შესულა. ბენციუსს შეშინებია, არ დამინახონო და სენაკში დაბრუნებულა. დილით კი ადელმუსის გვამი კლდეზე გადაჩეხილი ეპოვათ. ბენციუსმა სხვა არაფერი იცოდა.

სადილის დრო ახლოვდებოდა. ბენციუსი დაგვემშვიდობა, ჩემს მოძღვარს აღარაფერი უკითხავს. ცოტა ხანს შევყოვნდით აბანოების უკან, მერე რამდენიმე წუთით ბაღში გავისეირნეთ, ბენციუსის მონაყოლზე ვფიქრობდით.

— ფრანგულა, — უცებ უილიამი რაღაც მცენარისკენ დადაიხარა, რომელიც ღეროთი იცნო. — ამის ქერქის ნახარში ბუასილს არგებს. ეს კი ოროვანდია, რომელიც ეგზემებს აშუშებს.

— თქვენ სევერინუსზე მეტი იცით, — ვუთხარი, — მაგრამ გამაგებინეთ, იმაზე რას ფიქრობთ, რაც წეღან მოვისმინეთ!

— ძვირფასო ადსო, საკუთარი ტვინით აზროვნება უნდა ისწავლო. შესაძლოა, ბენციუსმა სიმართლე თქვა, მისი სიტყვები ბერენგარიუსის მონაყოლს ემთხვევა, უბრალოდ ის უფრო აბდაუბდა, ხილვებით სავსე იყო. ეცადე, აღადგინო მოვლენები. ბერენგარიუსი და ადელმუსი უგვან რამეს სჩადიან ერთად, ამას ადრევე მივხვდით. ბერენგარიუსს ადელმუსისთვის უნდა გაემხილა რაღაც, რაც, ვაი რომ, კვლავ საიდუმლოდ რჩება. ადელმუსი, რომელმაც საკუთარი სიწმინდეც ხელყო და ბუნების კანონიც, მხოლოდ იმას ესწრაფვის, ვინმეს გაანდოს ჩადენილი ცოდვა, მიტევებას ეძებს ხორხესთან. ის კი საბრალოს მთლად დათრგუნავს ბრალდებისა და მუქარის სეტყვით. იქნებ არც მიუტევა, ვინ იცის, რაღაც დაუწესა მოსანანიებლად, ამას ხორხე არასოდეს იტყვის. ადელმუსი ეკლესიაში გარბის საკურთხეველთან მუხლის მოსაყრელად, მაგრამ ეს მის სატანჯველს ვერაფერს შველის. ამ დროს ახლოვდება ვენანციუსი. არ ვიცით, რა უთხრეს ერთმანეთს. შესაძლოა, ადელმუსმა გაანდო კიდეც მას საიდუმლო, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა და რომელსაც აღარც აქვს მისთვის მნიშვნელობა, რადგან ახლა თავისი ბევრად უფრო მწველი და შემზარავი საიდუმლო აქვს. ვენანციუსს რაღა მოსდის? ალბათ, იმავე მწველი ცნობისწადილით შეპყრობილი, როგორსაც დღეს ჩვენი ბენციუსი აეტანა, დაკმაყოფილდა იმით, რაც შეიტყო და ადელმუსი თავის სატანჯველთან მარტო დატოვა. ადელმუსი თავს მიტოვებულად გრძნობს, თავის მოკვლას აპირებს, სასოწარკვეთილი გამორბის სასაფლაოზე და იქ შეეჩეხება ბერენგარიუსს. შემზარავ სიტყვებს ეუბნება მას, საკუთარ პასუხისმგებლობას შეახსენებს, უხამსობაში თავის მასწავლებლად მოიხსენიებს. ვფიქრობ,

ხილვებისაგან რომ დაწმინდო, ბერენგარიუსის მონაყოლი სრული სიმართლეა. ადელმუსი იმავე სასოწარმკვეთ სიტყვებს უმეორებს მას, რომლებიც, ჩანს, ხორხესგან მოისმინა. ბერენგარიუსი გარბის, შეძრწუნებული, ადელმუსი კი თავს იკლავს. შემდეგ მოხდა დანარჩენი, რასაც ფაქტობრივად თავად შევესწარით. ყველას ჰგონია, რომ ადელმუსი მოკლეს, ვენანციუსი ასკვნის, რომ ბიბლიოთეკის საიდუმლო იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ეგონა და განაგრძობს დამოუკიდებლად ძიებას. მაგრამ ვიღაც აჩერებს. თუმცა, არ ვიცით, მოასწრო თუ არა იმის გაგება, რაც ეწადა.

– ვინ მოკლა? ბერენგარიუსმა?

– შესაძლოა. ან მალაქიამ, რომელსაც ციტადელის დაცვა ავალია. ან ვინმე სხვამ. შეიძლება, ბერენგარიუსმაც, რადგან შეშინებული იყო და თან იცოდა, რომ ვენანციუსმა გაიგო მისი საიდუმლო. შეიძლება მკვლელი მალაქია იყოს, ბიბლიოთეკის ხელშეუხებლობის დარაჯი, რომელიც მიხვდა, რომ ვიღაცამ წესი დაარღვია. ხორხემ ყველაზე ყველაფერი იცის, ადელმუსის საიდუმლოც, თან არ უნდა, რომ მე გავიგო, რაც ვენანციუსმა შეიტყო… ბევრი რამ აყენებს მას ეჭვის ჩრდილს, მაგრამ აბა თავად მითხარი, უსინათლომ როგორ უნდა მოკლას საღ-სალამათი ადამიანი და მოხუცი, თუნდაც ტანმსხვილი, როგორ ასწევდა გვამს, რომ თიხის ჭურჭელში ჩაეყუდებინა. დაბოლოს, არ შეიძლება თავად ბენციუსი იყოს მკვლელი? ხომ შეიძლება, იცრუა და ისეთი რამ ამოძრავებდა, რასაც ვერ აღიარებს. ან რატომ უნდა მივიტანოთ ეჭვი მხოლოდ მათზე, ვინც სიცილზე კამათში მონაწილეობდა? იქნებ მკვლელობა სულ სხვა მიზეზით მოხდა, რასაც ბიბლიოთეკასთან კავშირი არ აქვს. ყველა შემთხვევაში ორი რამ გვჭირდება: გავარკვიოთ, როგორ შეიძლება ღამით ბიბლიოთეკაში შეღწევა და სანათური. ამაზე შენ იზრუნე. იქნებ სადილის დროს სამზარეულოში აიღო…

– მოვიპარო?

– ითხოვე, ღმერთის სახელით. რაც შეეხება ბიბლიოთეკაში შესვლას, ხომ დავინახეთ, საიდან გამოჩნდა გუშინ მალაქია. დღეს ეკლესიას დავათვალიერებ, განსაკუთრებით – კაპელას. ერთ საათში სადილია. მერე კრება გვაქვს წინამძღვართან. შენც შემოხვალ, საგანგებოდ ვთხოვე, მდივანი მჭირდება, რომ ჩაიწეროს, რაც კრებაზე ითქმება-მეთქი.

მეცხრე ჟამი

სადაც წინამძღვარი ამაყობს თავისი მონასტრის სიმდიდრით, უფრთხის მწვალებლებს და ბოლოს ადსოს ეჭვიც შეეპარება, ვაითუ არ ღირდა მონასტრის დატოვება ქვეყნიერების სანახავადო

წინამძღვარი ეკლესიაში დაგვხვდა, დიდი საკურთხევლის წინ. მორჩილებს ხელმძღვანელობდა. მათ საცავიდან წმინდა ჭურჭელი, ბარძიმები, ლანგრები, სკივრები და ჯვარცმა გამოეტანათ, რომელიც დილის მსახურების დროს არ დამინახავს. აღფრთოვანება ვერ დავმალე იმ წმინდა ნივთების დამაბრმავებელი სილამაზის შემხედვარემ. ტაძრის სარკმლებიდან თეთრ ჩანჩქერად იღვრებოდა შუადღის სინათლე, ღვთიური არსების მისტიკური შუქის ნიაღვრები ერთმანეთს ერწყმოდა ეკლესიის სივრცეში და ერთიანად ავსებდა საკურთხეველს.

ლარნაკები, ბარძიმები, ყველაფერი ძვირფასეულობით ბრწყინავდა: ბაჯაღლოს ელვარება, სპილოს ძვლის სიქათქათე, ბროლის ანკარა გამჭვირვალება ჰიაცინტის, ტოპაზის, ლალის, ზურმუხტის, ქრიზოლითის, ონიქსის, გიშრის, ალმასისა და იასპის მბზინვარე ფერები ერთმანეთში ირეოდა. ახლა შევნიშნე ისიც, რაც დილით, ჯერ ლოცვით გატაცებულმა, შემდეგ კი შიშის ზარდაცემულმა, ვერ შევამჩნიე: საკურთხევლის გადასაფარებელი, მთელი მისი შემკულობა ოქროსი იყო და საიდანაც არ უნდა შეგეხედა, საკურთხეველი ერთიანად ოქროსი ჩანდა.

წინამძღვარმა შენიშნა ჩემი გაოცება და გაეღიმა.

– ეს განძი, – მოგვიბრუნდა, – და კიდევ მრავალი, რასაც შემდგომ იხილავთ, საუკუნეთა რწმენისა და სათნოების მემკვიდრეობაა, ჩვენი მონასტრის ძლიერებისა და სიწმინდის დასტური. მეფეებს, მთავრებს, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ეპისკოპოსებს და არქიეპისკოპოსებს უფლისა და ამ წმინდა ადგილის სადიდებლად შემოუწირავთ ამ საკურთხევლისათვის ამქვეყნიური დიდებულების ყოველგვარი სიმბოლო, სართავ-სამკაული, ოქრო და ძვირფასი ქვა. თუმცა დღეს მონასტერს კვლავ გლოვის დღე გაუთენდა, ჩვენი სისუსტის გამო უზენაესის ძლიერებას ვერ დავივიწყებთ. შობის წმინდა დღესასწაული ახლოვდება და საგანძურს ვასუფთავებთ, რათა მაცხოვრის დაბადებას სათანადო დიდებით შევეგებოთ. უზადოდ უნდა ბზინავდეს ყოველივე… – ამბობდა და უილიამს არ აშორებდა თვალს. გვიან მივხვდი, რატომ ცდილობდა ასე ჯიუტად, ეჩვენებინა მისთვის, თუ როგორ ამაყობდა ამ საგანძურით, – რადგან მიმაჩნია, ღვთით ნაბოძები კი არ უნდა დავმალოთ, უნდა გამოვაჩინოთ.

– რა თქმა უნდა, – თქვა უილიამმა თავაზიანად, – თუ თქვენს უმაღლესობას მიაჩნია, რომ ღმერთი ასე უნდა ვადიდოთ, ამ მონასტერს უდავოდ დიდი წვლილი შეუტანია უფლის ქებაში.

– ასეც უნდა იყოს, – მიუგო წინამძღვარმა. – თუ ოქროს ფიალები, სურები და ლარნაკები განგების ნებითა თუ წინასწარმეტყველთა ბრძანებით სოლომონის ტაძარში თხისა და ხბოს სისხლის შესაგროვებლად გამოიყენებოდა, მით უფრო მართებულია, ოქროს ჭურჭელიცა და ადამიანის ხელით შექმნილი ყოველივე ძვირფასეულობა ღვთის სადიდებლად იყოს გამოყენებული, ჭურჭლად ქრისტეს სისხლისა, სასოებითა და მარადიული მოწიწებით! ღვთიური ნებით ჩვენი არსება თვით ქერუბიმთა და სერაფიმთა ბუნებას რომ გაიგივებოდა, მაინც უღირსი იქნებოდა ესოდენ სათაყვანებელი მსხვერპლის სამსახურისთვის…

– მართალი ხართ, – ვუთხარი.

– ბევრს არ სჯერა, რომ უზენაესი მოვალეობის აღსასრულებლად წმინდა გონება, სუფთა გული და წრფელი რწმენაა საკმარისი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებითი სწორედ ესაა, მაგრამ ამავ დროს გვწამს, რომ მაცხოვარს წმინდა საგანთა გარეგანი მშვენიერებითაც უნდა ვცეთ თაყვანი, სრულად ვემსახუროთ მას, ვინც დაუფიქრებლად გაიღო ჩვენთვის ყოველივე.

– თქვენი ორდენის უდიდესი მამები მუდამ ასე ფიქრობდნენ, – დაეთანხმა უილიამი, – ნეტარ მოძღვარს – სუგერიუსს ბევრი დაუწერია ეკლესიათა გაფორმებაზე.

– ასეა, – თქვა წინამძღვარმა. – ამ ჯვარცმას შეხედეთ. ჯერ არაა დასრულებული… – და უსაზღვრო სასოებითა და სიყვარულით გაბრწყინებულმა შეათვალიერა ნეტარი ნივთი. – მარგალიტები აკლია, სასურველი ზომისა ვერ მოგვინახავს. ოდესღაც წმინდა ანდრიამ გოლგოთის ჯვარზე თქვა, ქრისტეს სხეულითაა შემკული, ვითარცა მარგალიტებითო. ამ ჯვრის მარგალიტებით შემკობა სწორედ იმ დიდი სიწმინდის მოკრძალებული მიბაძვა იქნება. თავად მაცხოვრის თავთან კი ულამაზესი ბრილიანტი ჩავასმევინე, რომლის მსგავსიც არსად გექნებათ ნანახი, – გრძელი თეთრი თითებით სასოებით მოეფერა წმინდა ხის ყველაზე ძვირფას ადგილებს, სპეტაკ სპილოს ძვალს, რომლითაც ჯვრის მკლავები იყო ნაკეთი.

– როდესაც უფლის ამ სახლის მშვენიერებით ვტკბები და ძვირფას ქვათა ნაირფერი ბზინვარება საზრუნავს მავიწყებს, ამაღლებული ფიქრები გამიტაცებს, მატერიალურ თვისებებს არამატერიალურს მივაწერ და ღვთიურ ნიჭთა მრავალგვარობაზე ვფიქრობ, მეჩვენება ხოლმე, რომ სამყაროს რაღაც უცნაურ მხარეში ვიმყოფები, რომელიც არც ერთიანად ამქვეყნიურ ჭუჭყშია ჩაფლული და არც ზეციურ კამკამში განწმენდილი. და ასე მგონია, ღვთის წყალობით ამ მდაბალი სამყაროდან მასზე უფრო მაღალში ძალმიძს მისტიკური ზეაღსვლა…

ლაპარაკობდა, მზერა ტაძრის სიღრმისკენ მიეპყრო. მაღლიდან შემოჭრილი სინათლის სხივი, დღის მნათობის რაღაც განსაკუთრებული კეთილგანწყობით, სახეს და ჯვრის

მკლავებივით გაშლილ ხელებს უნათებდა აბონს; გარინდებულიყო ამ მოკაშკაშე სინათლეში.

– ყოველი ქმნილება, ხილული თუ უხილავი, შუქია, იმის ქმნილი, ვინც ყოველი სინათლის მამაა. ეს სპილოს ძვალი, ეს ონიქსი, თუნდაც ამ ტაძრის კედლების ქვა, გარს რომ გვარტყია, თავად სინათლეა, რამეთუ კეთილია და მშვენიერი, წონასწორობის საკუთარი წესებით ნასულდგმულები, ყოველივესაგან განსხვავებული, რაოდენობრივად საზღვრული, ურყევი წყობის შემცველი, საკუთარი, ერთადერთი, თავისი მნიშვნელობის დარი ადგილის მაძიებელი. და ამ ყოველივეს მით უფრო ცხადად შევიგრძნობ, რაც უფრო ძვირფასია ნივთი, რომელიც ხელთ მიპყრია, და ღვთის შემოქმედი ძალაც მით უფრო ნათელია, რადგან, თუ შედეგის მშვენიერება მეტყველებს მიზეზის მშვენიერებაზე, რომელიც თავისი სისრულით მიუწვდომელია, რამდენად ნათლად უნდა მეტყველებდეს მიზეზის ღვთიურობაზე ისეთი თვალისმომჭრელი შედეგი, როგორიცაა ოქრო და ალმასი, თუკი ნეხვიცა და მღილიც კი ამაზე მეტყველებს! და როცა ამ ძვირფას ქვებში უზენაესის ხელს შევიცნობ, სიხარულით შეძრული სული ტირის, ცრემლად იღვრება არა მიწიერი ამაოებით ან სიმდიდრის თაყვანისცემით, არამედ – უმიზეზო პირველმიზეზისადმი უსპეტაკესი ტრფობით.

– ეს მართლაც ყველაზე სათნოა საღვთისმეტყველო მოძღვრებათა შორის, – უდიდესი მოწიწებით თქვა უილიამმა და ვიფიქრე, რომ აზრის გამოთქმის იმ მზაკვრულ ხერხს მიმართავდა, რომელსაც რიტორიკის ოსტატნი ირონიას უწოდებენ. მაგრამ რიტორიკის წესების თანახმად, თუ მოსაუბრე მას იყენებს, რაღაცნაირად წინდაწინ უნდა მიანიშნოს ამაზე, რათა გაამართლოს ეს საშუალება. უილიამი კი ამ წესს არასოდეს იცავდა. ამიტომაც წინამძღვარმა, რომელიც არ იცნობდა მეტყველების ხერხების მრავალფეროვნებას, პირდაპირ გაიგო მისი ნათქვამი და, კვლავ მისტიკური გატაცების ტყვეობაში მყოფმა, დაამატა: – ეს ყველაზე მოკლე გზაა უზენაესთან კავშირის დასამყარებლად, ხელშესახები თეოფანია.

უილიამმა მოკრძალებით ჩაახველა: „ჰმ… ჰმმ…“ ასე იცოდა ხოლმე, როცა საუბრის თემის შეცვლა უნდოდა. და მშვენივრადაც გამოუვიდა. საერთოდ სჩვეოდა – ვგონებ, მის თანამემამულეთ წესად ჰქონდათ ეს – საუბარს ერთგვარი ოხვრით იწყებდა ხოლმე, თითქოს ნაფიქრის გამოსახატავად დიდი გონებრივი დატვირთვა სჭირდებოდა. მგონია, და მაშინ უკვე თითქმის დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ, რაც უფრო მოსწონდა აზრი, რომლის გამოთქმასაც აპირებდა, მით მეტად ოხრავდა ხოლმე წინასწარ.

– ეჰ… ოჰ… – დაიწყო უილიამმა. – მომავალ შეხვედრასა და უპოვარების საკითხზე უნდა ვისაუბროთ…

– უპოვარება… – წინამძღვარი ჯერ კიდევ აღელვებული იყო, თითქოს უჭირდა სამყაროს იმ მშვენიერი კუთხიდან დაბრუნება, საითაც თვალ-მარგალიტს გაეტაცა. – მართალია, შეხვედრა…

და გაცხარებული კამათი გაჩაღდა საკითხებზე, რომელთაც ნაწილობრივ უკვე ვიცნობდი, ბევრი რამ კი მათი საუბრიდან გავარკვიე. ლაპარაკი იყო, როგორც ამ ჩემი ერთგული მონათხრობის თავში მოგახსენეთ, ორმაგ დავაზე, ერთი მხრივ, იმპერატორსა და პაპს, მეორე მხრივ კი – პაპსა და ფრანცისკელებს შორის, რომელთაც პერუჯის კრებაზე, თუმცა კი მრავალი წლის დაგვიანებით, მიეღოთ სპირიტუალისტთა მოსაზრებანი ქრისტეს უპოვარების შესახებ; იმ ხლართზე, რომელიც იმპერიასთან ფრანცისკელთა გაერთიანებით წარმოქმნილიყო, რომელიც მოქიშპეთა და მოკავშირეთა სამკუთხედიდან ოთხკუთხედად გარდაქმნილიყო, რამეთუ მასში – ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარი სახით – წმინდა ბენედიქტეს ორდენის ბერებიც ჩართულიყვნენ.

ბოლომდე ვერასოდეს გავარკვიე, რატომ დაეცვათ და შეეკედლებინათ ბენედიქტელ ბერებს ფრანცისკელი სპირიტუალისტები იქამდე, სანამ ფრანცისკელთა ორდენი გაიზიარებდა მათ მოსაზრებებს. რადგან, თუ სპირიტუალისტები ყოველგვარი მიწიერი საკუთრების უარყოფას ქადაგებდნენ, ჩემი ორდენის წინამძღვრები, და ამის დასტური იმავ დღეს მივიღე, არა ნაკლებ ღირსეულ, თუმც სრულიად საწინააღმდეგო გზას ადგნენ. მაგრამ ვფიქრობ, წინამძღვრებს მიაჩნდათ, რომ პაპის გარდამეტებული ძალაუფლება

ეპისკოპოსთა და ქალაქთა გარდამეტებულ ძალაუფლებასაც მოასწავებდა, მაშინ როცა ჩემს ორდენს საუკუნეთა მანძილზე საკუთარი ძლიერება სწორედ თეთრ სამღვდელოებასა და ქალაქელ ვაჭრებთან ბრძოლით შეენარჩუნებინა ხელუხლებლად, იმით, რომ საკუთარ თავს ხელისუფალთა მრჩევლად, ზეცასა და მიწას შორის პირდაპირ შუამავლად მიიჩნევდა.

ბევრჯერ მსმენოდა, რომ ღმრთის სამწყსო იყოფოდა მწყემსებად (ანუ სამღვდელოებად), ძაღლებად (ანუ მეომრებად) და ცხვრებად, ანუ ხალხად. მაგრამ შემდგომ მივხვდი, რომ ეს მოსაზრება ბევრნაირად შეიძლება გამოითქვას. ბენედიქტელები ხშირად ლაპარაკობდნენ არა სამ ორდენზე, არამედ ორ დიდ განაყოფზე: ერთი მიწიერ, მეორე კი – ციურ საქმეთა განმგებელი იყო. ამქვეყნიური განმგებლობა იყოფოდა სამღვდელოებად, საერო დიდებულებად და ხალხად, მაგრამ ამ სამეულის ზევით იდგა ordo monachorum[107] – პირდაპირი კავშირი ღმრთის სამწყსოსა და ზეცას შორის. ბერებს საერთო არაფერი ჰქონდათ ქალაქების უბირ, გარყვნილ სამღვდელოებასთან, რომელთა სამწყსო კეთილმორწმუნე გლეხების ნაცვლად ახლა გაქნილი ვაჭარ-ხელოსნების ლაშქარი იყო. ბენედიქტელთა ორდენი არ ეცილებოდა თეთრ სამღვდელოებას მდაბიოთა მართვას, იმ პირობით, რომ ამ მართვის შეუვალი განაწესის დადგენის უფლება ბერებს ჰქონოდათ, რადგან ბერებს პირდაპირი კავშირი ჰქონდათ როგორც ყოველგვარი მიწიერი ძალაუფლების წყაროსთან – იმპერიასთან, ისე ზეციურ განგებასთან. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ – რათა იმპერიას დაებრუნებინა ღირსება ქალაქების გამგებელთა (ანუ ვაჭრებთან შეკრულ მღვდელმსახურთა) საწინააღმდეგოდ – ბევრი ბენედიქტელი ბერი თანახმა იყო, სპირიტუალისტი ფრანცისკელებიც შეეფარებინა, რომლებიც ბენედიქტელთა შეხედულებებს არ იზიარებდნენ, მაგრამ მათი შეფარება ბენედიქტელებს ხელს აძლევდა, რადგან ისინიც პაპის გარდამეტებულ ძალაუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ იმპერიის სასარგებლოდ.

დავრწმუნდი, სწორედ ამ მიზეზთა გამო ახლა წინამძღვარი მზად იყო, დახმარებოდა უილიამს, რომელიც იმპერატორმა მოავლინა წმინდა საყდარსა და ფრანცისკელთა ორდენს შორის შუამავლად. მართლაც, მიუხედავად ეკლესიის ერთიანობის შემარყეველი მწვავე უთანხმოებისა, ჩეზენელმა მიქაელმა, რომელიც არაერთხელ იხმო პაპმა იოანემ ავინიონში, ბოლოს და ბოლოს მიიღო მიწვევა, რადგან არ სურდა, მისი ორდენი საბოლოოდ დაპირისპირებოდა პაპს. მიქაელს, როგორც ფრანცისკელთა წინამძღოლს, უნდოდა, ერთდროულად საკუთარი პოზიციაც გაემყარებინა და პაპსაც მორიგებოდა, რადგან გრძნობდა, რომ პაპის თანხმობის გარეშე დიდხანს ვერ დარჩებოდა ორდენის სათავეში.

მაგრამ მიქაელს აფრთხილებდნენ, პაპი ხაფანგს გიმზადებსო, სურს, საფრანგეთში ჩასული მწვალებლობაში დაგადანაშაულოს და გაგასამართლოსო. ამიტომ ურჩევდნენ, ავინიონში წასვლამდე წინასწარ მოლაპარაკებოდა პაპს. მარსილიუსს უკეთესი აზრი დაებადა: მიქაელთან ერთად იმპერიის დესპანიც გაეგზავნა პაპთან, რომელიც მას იმპერატორის მხარდამჭერთა მოსაზრებებს გააცნობდა. ეს ღონისძიება არა იმდენად ბებერი კაჰორელის დასარწმუნებლად იყო გამიზნული, რამდენადაც მიქაელის დასაცავად, რომელიც, თუ იმპერატორის დესპანებთან ერთად ეახლებოდა პაპს, იოლად ვერ გახდებოდა მისი შურისძიების მსხვერპლი.

თუმცა ამ გეგმას ბევრი უარყოფითი მხარე ჰქონდა და არც ადვილი განსახორციელებელი იყო. მაშინ დაიბადა აზრი, ჯერ იმპერატორისა და პაპის წარმომადგენლები შეხვედროდნენ ერთმანეთს, რათა წინასწარ მოესინჯათ ერთურთის პოზიციები და ნიადაგი მოემზადებინათ შეხვედრისათვის, რომ იტალიელ სტუმართა უსაფრთხოება გარანტირებული ყოფილიყო. სწორედ უილიამ ბასკერვილელს ევალებოდა ამ შეხვედრის ორგანიზება. მას უნდა გაეცნო ავინიონისთვის იმპერიის თეოლოგთა მოსაზრებები, თუკი ჩათვლიდა, რომ ეს მისია უსაფრთხო იყო. არ იყო ადვილი საქმე, რადგან იცოდნენ, რომ პაპი მხოლოდ მიქაელს იბარებდა თავის კარზე, რათა უფრო ადვილად მოედრიკა, ამიტომ იტალიაში მის დესპანებს დავალებული ექნებოდათ, როგორმე ჩაეშალათ პაპის კარზე იმპერტორის წარმომადგენელთა მივლინება. უილიამი თავიდანვე მოხერხებულად ამოქმედდა. ბენედიქტელ წინამძღვრებთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ (ამის გამო იყო, რომ ამდენგან გავჩერდით ჩვენი მოგზაურობის

მანძილზე) ის მონასტერი შეერჩია, სადაც ახლა ვიმყოფებოდით, ვინაიდან საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი წინამძღვრის ერთგულება იმპერიისადმი და ამასთან, უდიდესი დიპლომატიის გამო, არც პაპის კარს ემტერებოდა. მოკლედ, ეს მონასტერი ნეიტრალური ტერიტორია იყო, სადაც შეიძლებოდა მხარეები ერთმანეთს შეხვედროდნენ.

მაგრამ პაპი ჯერ კიდევ განაგრძობდა წინააღმდეგობას. იცოდა, როგორც კი მონასტრის მიწაზე დადგამდა ფეხს, მისი დელეგაცია წინამძღვარს უნდა დამორჩილებოდა და, ვინაიდან მის მივლენილთა შორის საერო პირებიც იქნებოდნენ, აფრთხობდა ეს პირობა. პაპს იმპერატორის ხაფანგის ეშინოდა და ამიტომ მოითხოვა, მისი დესპანების უსაფრთხოება საფრანგეთის მეფის მშვილდოსანთა რაზმს დაეცვა, რომელიც მის სანდო პირს დაემორჩილებოდა. სადღაც მოვკარი ყური, ვგონებ ბობიოში, უილიამი სწორედ ამაზე ესაუბრებოდა პაპის დესპანს: განესაზღვრათ ამ რაზმის უფლება-მოვალეობები, ანუ ის, თუ რა იგულისხმებოდა პაპის მოციქულთა უსაფრთხოების დაცვაში. საბოლოოდ ავინიონელთა წინადადება მიიღეს, რომელიც გონივრულად გამოიყურებოდა: შეიარაღებული რაზმი და მისი მეთაური იმოქმედებდნენ იმათ წინააღმდეგ, „ვინც რაიმე სახით ხელს აღმართავდა პაპის დესპანთა სიცოცხლეზე, ან ძალისმიერი მეთოდებით თავს მოახვევდა მათ გარკვეულ ქმედებებსა თუ მოსაზრებებს“. თავიდან ეს პირობა თითქოს წმინდად ფორმალური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ახლა, მონასტერში დატრიალებული ამბების შემდეგ, წინამძღვარი მართლა შეშფოთებული იყო და ეს გაანდო კიდეც უილიამს. თუ დელეგაცია იქამდე ჩამოვიდოდა, სანამ მკვლელის ვინაობა გაირკვეოდა (რა იცოდა წინამძღვარმა, რომ კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდებოდა, რადგან, მკითხველო, იმ ღამეს მესამე დანაშაულიც მოხდა), იძულებულნი იქნებოდნენ, ეღიარებინათ, რომ მონასტერში იყო ვიღაც, ვისაც შეეძლო, ძალისმიერი მეთოდებით ზეგავლენა მოეხდინა პაპის წარგზავნილებზე.

მომხდარ დანაშაულთა მიჩუმათებას აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან, კვლავ რომ განმეორებულიყო მკვლელობა, პაპის წარმომადგენლები უდავოდ მათ წინააღმდეგ შეთქმულებად მიიღებდნენ ამას. ორი გამოსავალი რჩებოდა: ან უილიამს დელეგაციის ჩამოსვლამდე უნდა გამოევლინა მკვლელი (ამ სიტყვებზე წინამძღვარმა ისე შეხედა უილიამს, თითქოს საყვედურობდა, რომ აქამდე ვერ გაართვა თავი დავალებას), ან იძულებულნი გახდებოდნენ, სიმართლე გაემხილათ პაპის წარმომადგენლისთვის და მისი დახმარება ეთხოვათ, რათა შეხვედრის დროს მონასტერი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო. ეს კი წინამძღვარს საშინლად არ უნდოდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ საკუთარ ძალაუფლებაზე ნაწილობრივ უარი უნდა ეთქვა და თავისი ბერები ფრანგებისთვის დაემორჩილებინა. თუმცა გარისკვაც არ შეიძლებოდა. უილიამიცა და წინამძღვარიც დაბნეულები იყვნენ მოვლენათა ასეთი განვითარებით, მაგრამ დიდი არჩევანი არ ჰქონდათ. პირველ რიგში, ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ მეორე დღეს საბოლოოდ გადაწყვეტდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ჯერჯერობით კი ვერაფერს იზამდნენ, უზენაესის გულმოწყალებასა და უილიამის გამჭრიახობას უნდა მინდობოდნენ.

– ყველაფერს გავაკეთებ, რის ძალაც შემწევს, თქვენო უმაღლესობავ, – უთხრა უილიამმა. – თუმცა მართლა არ მესმის, როგორ უნდა შეუშალოს ამან ხელი შეხვედრას. პაპის რწმუნებულიც მიხვდება, რომ გიჟის, თუნდაც სისხლისმსმელის, ან უბრალოდ გონებაამღვრეული ადამიანის ნამოქმედარი იმ საკითხებს არ უკავშირდება, რომელთა განსახილველადაც შეიკრიბებიან აქ სწავლულნი.

– ასე გგონიათ? – წინამძღვარი უილიამს ჩააკვირდა. – არ დაგავიწყდეთ, ავინიონელებმა იციან, რომ აქ მინორიტებს შეხვდებიან – მათ, ვინც ძალიან დაახლოებულია ფრატიჩელებთან, და მათზე კიდევ უფრო საშიშ, უამრავ დანაშაულში ხელგასვრილ მწვალებლებთან. – აქ წინამძღვარმა ხმას დაუწია: – ეს ხალხი კი ისეთ საქმეებშია გარეული, რომელთა ფონზე ჩვენთან მომხდარი ყოველივე ისე მქრქალდება, ვითარცა ნისლი მზის ამოსვლისას.

– ეს ერთი და იგივე როდია! – შესძახა უილიამმა. – ერთად ვერ დააყენებთ პერუჯის კრების მინორიტებს და მწვალებელთა ხროვას, რომელთაც სახარების სიტყვები ვერ გაუგიათ და სიმდიდრის წინააღმდეგ ბრძოლა პირად შურისძიებად და სისხლისღვრად გადაუქცევიათ...

– დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც აქვე, რამდენიმე მილის მოშორებით, ერთმა ასეთმა ხროვამ, როგორც თქვენ უწოდეთ, ცეცხლითა და მახვილით დააწიოკა ვერჩელის ეპისკოპოსის მიწები და ნოვარის შემოგარენი, – მოუჭრა წინამძღვარმა.

– ძმა დოლჩინოსა და მოციქულთა მიმდევრებს გულისხმობთ…

– ყალბ მოციქულებს, – შეუსწორა წინამძღვარმა. ასე რომ, კიდევ ერთხელ ახსენეს ძმა დოლჩინო და თვითმარქვია მოციქულები შიშით, ლამის ძრწოლით.

– ყალბ მოციქულებს, – სიამოვნებით დაეთანხმა უილიამი. – მაგრამ მათ მინორიტებთან საერთო არაფერი ჰქონიათ…

– გარდა იმისა, რომ მათსავით ეთაყვანებოდნენ კალაბრიელ იოაკიმეს, – შეაგება წინამძღვარმა. – თქვენი ორდენის ძმას, უბერტინუსს შეგიძლიათ ჰკითხოთ.

– შევახსენებ თქვენს უმაღლესობას, რომ ის ახლა უკვე თქვენი ორდენის წევრია, – ჩაიღიმა უილიამმა და ოდნავ თავი დაუკრა წინამძღვარს, თითქოს ულოცავდა ისეთ ფასდაუდებელ შენაძენს ორდენისათვის, როგორიც ამხელა რეპუტაციის მქონე კაცი იყო.

– ვიცი, ვიცი, – გაუღიმა მანაც პასუხად. – და მოგეხსენებათ, როგორ ძმურად შეიფარა ჩვენმა ორდენმა სპირიტუალისტები, როცა პაპის რისხვას გაერიდნენ. მარტო უბერტინუსს როდი ვგულისხმობ, მათ შორის უამრავი უსახელო ბერიც იყო, რომლებზეც არავინ არაფერი უწყის. თუმცა კი ხამს, ვიცოდეთ. არაერთხელ შეგვიფარებია მინორიტების სამოსში გახვეული ლტოლვილები და შემდეგ გაგვიგია, რომ ოდესღაც ისინი დოლჩინოს მიმდევრებთან ყოფილან დაახლოებულნი…

– აქაც? – გაიოცა უილიამმა.

– აქაც. რაღაც ისეთი უნდა გითხრათ, რაზეც ძალიან ცოტა რამ ვიცი, ყოველ შემთხვევაში იმდენი არაფერი, რომ ბრალდება ჩამოვაყალიბო. მაგრამ ვინაიდან ამ მონასტრის ცხოვრებას იძიებთ, საჭიროდ მიმაჩნია, თქვენც იცოდეთ ეს. მოკლედ, ეჭვი მაქვს, და ეს ეჭვი ნაწილობრივ ყურმოკრულს ემყარება, ნაწილობრივ კი იმას, რასაც თავად მივხვდი, ჩვენი მეკუჭნავის წარსულშიც უნდა იყოს ბნელით მოსილი ხანა… ისიც ხომ სწორედ მინორიტების დევნის დროს მოხვდა აქ, მრავალი წლის წინ.

– მეკუჭნავე? ვარაჯინელი რემიგუსი – დოლჩინოს მიმდევარი? მე ყველაზე უწყინარი არსება მგონია, ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, მათგან, ვინც კი ოდესმე მინახავს, მას ყველაზე ნაკლებ ადარდებს ქრისტეს უპოვარება… – უთხრა უილიამმა.

– მართლაც, მასზე ვერაფერს ვიტყვი, ძალიან ვაფასებ და მთელი საძმო ემადლიერება თავდადებული სამსახურისთვის. მაგრამ ამას იმიტომ ვამბობ, რომ მიგახვედროთ, რა ადვილია ბერსა და ფრატიჩელს შორის კავშირის დანახვა.

– ისევ უსამართლო ბრძანდებით, თქვენო უმაღლესობავ, თუ შეიძლება ასე ვთქვა, – შეეკამათა უილიამი. – ჩვენ დოლჩინოს მიმდევრებზე ვლაპარაკობდით და არა ფრატიჩელებზე. ფრატიჩელებზე უსასრულოდ შეიძლება ილაპარაკო და თან ბოლომდე არ იცოდე, ვის გულისხმობ. ფრატიჩელები ათასგვარნი არიან, მაგრამ მათ სისხლისმსმელობაში ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ; დიდი-დიდი, იმაში დასდო ბრალი, რომ ღმრთის ჭეშმარიტი სიყვარულით შთაგონებულნი, დაუფიქრებლად მისდევენ სპირიტუალისტთა ნაქადაგებს. იმაშიც დაგეთანხმებით, რომ მათ შორის ზღვარი საკმაოდ ბუნდოვანია…

– კი, მაგრამ ფრატიჩელები მწვალებლები არიან! – მოუჭრა წინამძღვარმა. – არა მარტო ქრისტესა და მოციქულთა უპოვარებას ქადაგებენ, მოძღვრებას, რომელსაც არ ვიზიარებ, მაგრამ მგონია, რომ ავინიონის გაუმაძღრობას მომგებიანად შეიძლება დაუპირისპირო. საქმე ისაა, რომ ფრატიჩელები ამ მოძღვრებით პრაქტიკული მოქმედებისკენ მოუწოდებენ ხალხს, ამბოხს, ძარცვას, ადათ-წესთა შელახვას ამართლებენ.

– კი, მაგრამ რომელი ფრატიჩელები?

– ყველა, ზოგადად. იცით, რომ წარმოუდგენელ დანაშაულებებში გაისვარეს ხელი, რომ არ ცნობენ ქორწინებას, უარყოფენ ჯოჯოხეთის არსებობას, სოდომის ცოდვას ეძლევიან, ბულგარეთისა და დრიგონტიის[108] ბოგომილთა მწვალებლურ მოსაზრებებს იზიარებენ…

– გთხოვთ, – უთხრა უილიამმა, – ნუ აურევთ ერთმანეთში! ისე ნუ გამოიყვანთ, თითქოს ფრატიჩელები, პატარიელები[109], ვალდენსები[110], კათარები[111], ბულგარელი ბოგომილები და დრაგოვიცელი მწვალებლები ყველა ერთი იყოს!

– სწორედ ასეა, – მშრალად მოუჭრა წინამძღვარმა, – ასეა, რადგან ყველანი მწვალებლები არიან და საფრთხეს უქმნიან მთელი ცივილიზებული სამყაროს წყობას და იმპერიის იმ წყობასაც, რომელიც, როგორც ვხვდები, თქვენთვის მოსაწონია. ასი წლის წინ ბრეშელი არნალდუსის მიმდევრებმა კეთილშობილთა და კარდინალთა სახლები გადაწვეს, ეს იყო ლომბარდიელი პატარიელების მწვალებლობის შედეგი. საშინელი ამბები წამიკითხავს ამ უსჯულოებზე აისტერბახელ ცეზარიუსთან. ვერონაში წმინდა გედეონის კანონიკოსს, ევერარდუსს, შეუნიშნავს, რომ მისი მასპინძელი ყოველ ღამე ცოლთან და ქალიშვილთან ერთად სადღაც მიდიოდა. გამოუკითხავს ერთ-ერთი, აღარ მახსოვს, რომელი, სად დადიოდნენ და რას აკეთებდნენ ღამღამობით. წამოდი და თავად ნახავო, ასე უპასუხიათ და ისიც გაჰყოლია. ერთ მიწისქვეშა თავშესაფარში მისულან, სადაც უამრავ ადამიანს მოეყარა თურმე თავი. ერთ უსჯულოს სიტყვა წარმოუთქვამს, მკრეხელობით აღსავსე, იქ მყოფთა ცხოვრებისა და ზნეობის შესარყვნელად. გასუსულები უსმენდნენ თურმე. მერე სანთლები ჩაუქრიათ და მამაკაცები ქალებს დაძგერებიან, განურჩევლად იმისა, კანონიერი ცოლი იქნებოდა თუ ქალიშვილი, ქვრივი თუ ქალწული, ბატონი თუ მსახური. უფრო მეტიც, არც დას განარჩევდნენ თურმე და არც საკუთარ შვილს (მომიტევოს უფალმა ამ სიბილწეთა გამეორება). ევერარდუსს, ჭკუამხიარულსა და ავხორც ყმაწვილს, ამის დანახვაზე მათ მიმდევრად მოუჩვენებია თავი და სანთელი ჩაუქრიათ თუ არა, აღარ დაუყოვნებია და არ მახსოვს, თავისი მასპინძლის ერთ-ერთ ქალიშვილთან თუ სხვა გოგონასთან, შეუცოდავს. საუბედუროდ, წელიწადზე მეტხანს გაგრძელებულა ასე, ისე გამოუდვია თავი, რომ ერთ დღეს მასწავლებელს უთქვამს, ეს ყმაწვილი ისე ბეჯითად ირჯება, მალე თავად შეძლებს ახალბედათა გაწვრთნასო. მაშინ მიმხვდარა ევერარდუსი, რა უფსკრულში იყო გადაჩეხილი და თავი დაუღწევია ცდუნებათათვის, უთქვამს, აქ იმიტომ დავდიოდი, რომ გოგოები მიზიდავდა, და არა მწვალებლობაო. ჰოდა, გაუძევებიათ. ასეთია, როგორც ხედავთ, ერეტიკოსების, პატარიელების, კათარების, იოაკიმელების, ყველა ჯურის სპირიტუალისტთა ცხოვრების წესი. გასაკვირიც არაფერია: მათ არ სწამთ ხორცის აღდგომისა და ჯოჯოხეთისა, რომელიც დასჯის ბიწიერთ, მიაჩნიათ, რომ რაც არ უნდა აკეთონ, სასჯელი არაფრისთვის ელოდებათ. მართლაც, საკუთარ თავს catharoi-ს, ანუ წმინდებს, უწოდებენ.

– აბონ, – უთხრა უილიამმა, – თქვენ სამყაროსაგან მოწყვეტილი ცხოვრობთ ამ ბრწყინვალე და წმინდა მონასტერში, ქვეყნის სიბინძურეთაგან შორს. ქალაქებში ცხოვრება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე თქვენ გგონიათ, და, თავადაც მოგეხსენებათ, თვით შეცდომასა და ცოდვაშიც არსებობს მეტნაკლებობა. ლოთი ბევრად უცოდველი იყო, ვიდრე მისი თანამოქალაქეები, რომლებიც ღვთიურ ანგელოზებზეც კი ავხორცულად ფიქრობდნენ; პეტრეს ღალატიც არაფერია იუდას ღალატთან შედარებით. მართლაც, ერთს ეპატია, მეორეს კი – არა. არ შეიძლება, პატარიელები და კათარები ერთ ქვაბში მოხარშოთ. პატარიელების მოძღვრება წმინდა დედაეკლესიის კანონების ფარგლებში არსებული შეხედულებების რეფორმაა. მათ სურდათ, ეკლესიის მსახურთა ცხოვრების წესი გაეუმჯობესებინათ.

– და მიაჩნდათ, რომ უწმინდურ მღვდელმსახურთაგან არ უნდა მიეღოთ წმინდა საიდუმლოებანი…

– ცდებოდნენ, მაგრამ ეს მათი მოძღვრების ერთადერთი შეცდომა იყო. მათ არასოდეს გაუბედავთ, ღმრთის კანონს დაპირისპირებოდნენ…

– მაგრამ ბრეშელი არნალდუსის კათარულმა ქადაგებამ უბიძგა მდაბიოთ, ორასი წლის წინ რომში დიდგვაროვანთა და კარდინალთა სახლები გადაებუგათ.

– არნალდუსი ცდილობდა, თავის რეფორმატორულ მოძრაობაში ქალაქის მმართველნი

აეყოლიებინა. რადგან მათ მხარი არ აუბეს, არნალდუსმა სცადა, მდაბიოთა და უპოვართა ბრბოში ეპოვა მხარდაჭერა. მაგრამ ის ვერ აგებს პასუხს იმ აგრესიაზე, რომლითაც გლახაკნი მის მოწოდებებს შეხვდნენ, მოწოდებებს, რომლებიც ქალაქების განწმენდის წადილით იყო შთაგონებული.

– ქალაქი მუდამ გარყვნილია.

– ქალაქი დღეს ის ადგილია, სადაც ღმრთის სამწყსო ცხოვრობს, თქვენი, ჩვენი სამწყსო. დღეს ქალაქში მდიდარი მღვდელმსახური კეთილშობილებისკენ მოუწოდებს ღატაკსა და დამშეულ ერს. პატარიელთა არეულობებიც სწორედ აქედან წარმოიშვა. სევდის მომგვრელია ეს ყველაფერი, მაგრამ არა გაუგებარი. კათარები სულ სხვა რამეა. ეს აღმოსავლური მწვალებლობაა, რომელიც ეკლესიის დოქტრინას სცდება. ვერ გეტყვით, მართლა ჩაუდენიათ თუ არა ყველაფერი ის, რაშიც ბრალს სდებენ. ვიცი, რომ არ ცნობენ ქორწინებას, არ აღიარებენ ჯოჯოხეთს. მაგრამ იქნებ ბევრი ისეთი რამ მიეწერებათ, რაც არ ჩაუდენიათ, იქნებ მხოლოდ თავიანთი შეხედულებების (უდავოდ უგვანის) გამო ბრალდებათ უამრავი რამ.

– გინდათ, მითხრათ, რომ კათარები არ აღრეულან პატარიელებში, და რომ ისინი ერთი დემონური გამოვლინების ორი სახე არაა?

– მე იმას ვამბობ, რომ ამ მწვალებლურ მოძღვრებათაგან ბევრს, განურჩევლად იმისა, თუ ვის სასარგებლოდ ქადაგებენ ისინი, გლახაკნი ხშირად იმიტომ ემხრობიან, რომ განსხვავებული ცხოვრების იმედს აძლევს მათ. იმის თქმა მინდა, რომ ხშირად ხალხმა არაფერი იცის მოძღვრებაზე. არაერთხელ ყოფილა, მდაბიოთა ბრბოებს ერთმანეთში აურევიათ კათართა და პატარიელთა ქადაგებანი, და ყველაფერი ერთად – სპირიტუალისტთა მოწოდებებში. გლახაკთა ცხოვრება, აბონ, არაა გაცისკროვნებული იმ ცოდნითა და სიფხიზლით, რომელიც განსხვავების უნარს სძენს ადამიანს და ბრძენად აქცევს მას. მდაბიო სნეულების, სიღატაკის ძრწოლითაა შეპყრობილი, ენაბრგვილია სიბნელითა და უცოდინარობით. ხშირად მათთვის ამა თუ იმ მწვალებლურ დაჯგუფებაში გაერთიანება მხოლოდ საშუალებაა, საკუთარი სასოწარკვეთა ამოიყვირონ. შეიძლება კაცმა სამღვდელოების გამოსწორების წადილით გადაწვას კარდინალის სახლი, ან იმიტომ, რომ ჯოჯოხეთის არ სწამდეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს იმიტომ ხდება, რომ არსებობს მიწიერი ჯოჯოხეთი, რომელშიც ის სამწყსო ცხოვრობს, რომელსაც ჩვენ ვმწყემსავთ. თქვენ კარგად იცით, რომ ხალხს წარმოდგენა არ აქვს, რა სხვაობაა ბულგარულ ეკლესიასა და მამა ლიპრანდუსის მიმდევართა შორის, ხშირად თავად იმპერიის ხელისუფალთ და მათ მსახურთაც ვერ გაურჩევიათ სპირიტუალისტები მწვალებლებისგან. არაერთხელ მომხდარა, რომ გიბელინები მტრის დასამარცხებლად კათარულ მიდრეკილებებს აღვივებდნენ ხალხში და ვგმობ მათ საქციელს. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ხშირად თავად ეკლესიაც და გიბელინებიც, საშიში, მეტისმეტად „მდაბიო“ მტრის ჩამოსაშორებლად ერთის ცოდვას მეორეს აბრალებდნენ და განურჩევლად ყველას კოცონისკენ ერეკებოდნენ. აბონ, საკუთარი თვალით მინახავს, არაერთი წმინდად მცხოვრები ადამიანი, ნამდვილად უპოვარი და უბიწო, მაგრამ სამღვდელოების დაუძინებელი მტერი, როგორ გადაუციათ ამავე მღვდელმსახურთ საერო ხელისუფლებისათვის – იმპერატორისა თუ ქალაქისა (თუ ეს ამბავი თავისუფალ ქალაქში ხდებოდა). ხორციელ ბიწიერებაში, სოდომის ცოდვაში, ათასგვარ სიბინძურეში დაუდანაშაულებიათ ისინი, რაშიც მათ ბრალი არ მიუძღოდათ. გლახაკი სხვა არაფერში სჭირდებათ, მას მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა რომელიმე მხარეს ძალაუფლების კრიზისის გამოწვევა სურს. მდაბიო მყის დაუფიქრებლად გაიწირება, რაწამს მისი საჭიროება აღარ იქნება.

– მაშ, მითხარით, – შეპარვით დაიწყო წინამძღვარმა, – ძმა დოლჩინო და მისი მიმდევრები, გერარდუს სეგალელი და ის ბინძური მკვლელები მზაკვარი კათარები იყვნენ თუ კეთილშობილი ფრატიჩელები, სოდომის ცოდვით შებღალული ბოგომილები თუ რეფორმატორი პატარიელები? ხომ ვერ მეტყოდით მაშინ, უილიამ, თქვენ, რომელმაც ყველაფერი იცით მწვალებელთა შესახებ – იმდენად ყველაფერი, თითქოს თქვენც მათიანი იყოთ – სადაა ჭეშმარიტება?

– არსად, – ნაღვლიანად უპასუხა უილიამმა.

– ხედავთ, თქვენც ვეღარ გაგირჩევიათ მწვალებელნი ერთმანეთისგან. მე ერთი წესი მაინც მაქვს. ვიცი, რომ მწვალებელია ყველა, ვინც ეჭვქვეშ აყენებს იმ წყობას, რომელსაც ღმრთის სამწყსო ეფუძნება. იმპერიას კი იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ ამ წყობის სიმტკიცის გარანტიას მაძლევს. პაპს იმიტომ ვებრძვი, რომ სულიერ ძალაუფლებას ქალაქელ მღვდელმთავრებს გადასცემს, რომლებიც ვაჭართ შეკვრიან და ამ წყობის შენარჩუნება არ შეუძლიათ. ჩვენ საუკუნეთა მანძილზე შეგვინარჩუნებია იგი. რაც შეეხება მწვალებელთ, მათთვისაც მაქვს ერთი წესი, რომლის მოკლედ გადმოცემაც არნალდუს ამალრიკის, სიტოს წინამძღვრის, სიტყვებით შეიძლება: რომ ჰკითხეს, რა ვუყოთ ბეზიეს – ცოდვაში ჩაფლული ქალაქის – მცხოვრებთო, უპასუხა: „უკლებლივ ყველა დახოცეთ, ღმერთი თავად იცნობს თავისიანებსო“.

უილიამმა თავი დახარა. ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე თქვა: – ქალაქი ბეზიე აიღეს და ჩვენებმა წარმომავლობის, სქესისა და ასაკის მიუხედავად ოცი ათასამდე ადამიანი ამოხოცეს. ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ქალაქი დაარბიეს, გაძარცვეს და გადაწვეს.

– წმინდა ომიც ომია.

– წმინდა ომიც ომია. ალბათ, ამიტომაც არ უნდა არსებობდეს წმინდა ომები. მაგრამ რაზე ვლაპარაკობ, როცა აქ ლუდვიგის უფლებათა დასაცავად ვარ, რომელიც იტალიას ცეცხლის ალში ახვევს. მეც გახლართული ვარ უცნაურ კავშირებში. უცნაურია სპირიტუალისტთა მოკავშირეობა იმპერატორთან, იმპერატორისა – მარსილიუსთან, რომელიც ხალხისთვის ითხოვს ძალაუფლებას. ჩვენი მოკავშირეობაც უცნაურია, რადგან ასე განვსხვავდებით შეხედულებებითა თუ ტრადიციებით. მაგრამ ორი საერთო მიზანი გვაქვს: შეხვედრის წარმატებით ჩატარება და მკვლელის გამოვლენა. ვცადოთ, მშვიდად ვიმოქმედოთ.

წინამძღვარმა ხელები გაშალა.

– მშვიდობის ამბორი მიბოძეთ, ძმაო უილიამ. თქვენნაირ განათლებულ ადამიანთან უსასრულოდ შეიძლება თეოლოგიისა და მორალის ფაქიზ საკითხებზე კამათი. მაგრამ პარიზელი მამებივით ნუ მოვუხრით ქედს კამათის ტრფიალს. მართალი ხართ, დიდი მიზანი გვაქვს და ურთიერთთანხმობით უნდა ვიმოქმედოთ. მაგრამ ეს ყველაფერი იმისთვის მოგახსენეთ, რომ, ვგონებ, რაღაც კავშირი არსებობს, გესმით? შესაძლო კავშირი, ანუ ის, რომ აქ მომხდარი დანაშაულებანი ვიღაცამ შეიძლება ჩვენი ბერების შეხედულებებს დაუკავშიროს. ამიტომ მინდოდა გამეფრთხილებინეთ… თავიდან უნდა ავიცილოთ ავინიონელთა ყოველგვარი ეჭვი და ზეწოლა.

– მაშ ვიფიქრო, რომ თქვენმა უმაღლესობამ ჩემი გამოძიებისთვის რაღაც კვალი მიმანიშნა? მიგაჩნიათ, რომ ბოლოდროინდელი ამბების სათავეში შესაძლოა ამ მონასტრის რომელიმე ბინადრის მწვალებლურ წარსულთან დაკავშირებული ბნელი ამბები იყოს?

წინამძღვარი ერთხანს დუმდა და უგამომეტყველებოდ მისჩერებოდა უილიამს. მერე დაილაპარაკა: – ამ ნაღვლიანი ამბის გამომძიებელი თქვენ ხართ. თქვენი ვალია, ეჭვი გქონდეთ, თუნდაც ეს ეჭვი უსამართლო იყოს. მე მხოლოდ ამ ბერების მამა ვარ და, ვიმეორებ, ჩემს ბერთაგან რომელიმეს წარსულზე დასაბუთებული ეჭვი რომ მქონოდა, თავად ვეცდებოდი სარეველას ამოძირკვას. რაც ვიცოდი, უკვე მოგახსენეთ. რაც არ ვიცი, უნდა გაიგოთ თქვენი გამჭრიახობის წყალობით. ყველა შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ მე მაცნობეთ ყოველივე, – დაემშვიდობა და ეკლესიიდან გავიდა.

– ჩვენი საქმე ცოტა გართულდა, ძვირფასო ადსო, – მოიქუფრა უილიამი. ხელნაწერს დავეძებთ, მეტისმეტად ცნობისმოყვარე და მეტისმეტად ავხორცი ბერების თავსატეხებს ვხსნით, ახლა კი სულ უფრო ძლიერად იკვეთება სხვაგვარი, ახალი კვალი. მაშ მეკუჭნავე… მასთან ერთად მოხვედრილა აქ ის უცნაური ცხოველიც, სალვატორე… მაგრამ ახლა უნდა დავიძინოთ, რადგან ღამე ღვიძილი მოგვიწევს.

– მაშ, კვლავ აპირებთ ამაღამ ბიბლიოთეკაში შეღწევას? არ ეშვებით პირველად კვალს?

– არანაირად. ან ვინ თქვა, რომ ეს ორი სხვადასხვა კვალია? თანაც ეს მეკუჭნავის ამბავი

შესაძლოა მხოლოდ წინამძღვრის ეჭვი იყოს.

უილიამი მომლოცველთა სადგომისაკენ წავიდა. ზღურბლზე შეჩერდა და განაგრძო, თითქოს ლაპარაკი არც კი შეეწყვიტა.

– წინამძღვარმა მაშინ მთხოვა ადელმუსის სიკვდილის გამოძიება, როცა ეგონა, რომ ახალგაზრდა ბერებს შორის რაღაც ბინძური ხდებოდა. მაგრამ ვენანციუსის სიკვდილი ახალ ეჭვებს ბადებს. ალბათ, წინამძღვარმა იგრძნო, რომ საიდუმლოს გასაღები ბიბლიოთეკაშია და აღარ უნდა, მე ჩავერიო. ამიტომაა, რომ მეკუჭნავის კვალი შემომიგდო, რათა ჩემი ყურადღება ციტადელს ჩამოაშოროს...

– კი, მაგრამ რატომ არ უნდა უნდოდეს, რომ...

– მორჩი ზედმეტ შეკითხვებს. წინამძღვარმა იმთავითვე მითხრა, რომ ბიბლიოთეკა ხელშეუხებელია. მიზეზი ექნება საამისოდ. შესაძლებელია, თავად იყოს ჩათრეული რაღაცაში, რაც, როგორც თავიდან ეგონა, ადელმუსის სიკვდილს არ უკავშირდებოდა. ახლა კი ხვდება, რომ წრე გაფართოვდა და თავადაც შეიძლება ჩაიყოლოს, ამიტომ აღარ სურს, სიმართლე გაირკვეს. ყოველ შემთხვევაში, მე გავარკვიო ის...

– ესე იგი, ღვთისაგან მიტოვებულ ადგილას ვართ, – ვთქვი ნირწამხდარმა.

– გინახავს ისეთი ადგილი, სადაც ღმერთი მოხერხებულად იგრძნობდა თავს? – გადმომხედა უილიამმა.

მერე მოსასვენებლად გამიშვა. დავწექი და ვიფიქრე, რომ მამაჩემი შეცდა, სამყაროს გასაცნობად რომ გამიშვა: ეს უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. იმაზე მეტს ვსწავლობდი, ვიდრე საჭირო იყო.

„Salva me ab ore leonis“[112] – წავილუღლუღე ლოცვა და ჩამეძინა.

მწუხრის შემდეგ

სადაც, თუმცა კი თავი მოკლეა, უხუცესი ალინარდუსი საინტერესო რამეებს ჰყვება ლაბირინთზე და იმაზეც, თუ როგორ უნდა მასში შეღწევა

თითქმის საღამოს ტრაპეზის დრო იყო, რომ გამომეღვიძა. გაბრუებული ვიყავი ძილისგან. დღის ძილი ხორციელ ცოდვასავითაა: რაც მეტს იღებ, მეტი გინდა და მაინც უბედური ხარ: თან მაძღარი, თან მშიერი. უილიამი თავის სენაკში არ იყო, ალბათ, ადრე ადგა. ძებნა დავუწყე და მალევე ვიპოვე: ციტადელიდან გამოდიოდა. მითხრა, სკრიპტორიუმში ვიყავი, კატალოგი ვნახე და ბერების ნამუშევრები დავათვალიერე, თან ვცდილობდი, ვენანციუსის მაგიდას მივახლოვებოდი, მაგრამ თითქოს ყველა დადარაჯებული იყო, რომ ამის საშუალება არ მოეცათო. ჯერ მალაქია მიახლოვებია, რაღაც განსაკუთრებული, უძვირფასესი მინიატურები უჩვენებია, მერე ბენციუსი გამოლაპარაკებია, სრულიად უაზროდ. კიდევ რომ უცდია ვენანციუსის მაგიდასთან მიახლოება, ახლა ბერენგარიუსი აღარ მოშორებია გვერდიდან.

ბოლოს მალაქიას, რომ დაუნახავს, ჩემი მასწავლებელი ვენანციუსის მაგიდით იყო დაინტერესებული, პირდაპირ გამოუცხადებია, გარდაცვლილის ნივთების ჩხრეკამდე მართებული იქნება, წინამძღვარს დაეკითხო, ვინაიდან მეც კი, ბიბლიოთეკარი, რიდისა და წესის გამო თავს ვიკავებ ზედმეტი ცნობისმოყვარეობისგან, ჯერ არავინ მიახლოებია ამ მაგიდას და ასეც იქნება, თუ წინამძღვარი ნებართვას არ მოგვცემსო. უილიამს შეუხსენებია, რომ წინამძღვრის ნება იყო, შეუზღუდავად გამოეკვლია ყველაფერი მონასტრის მთელ ტერიტორიაზე. ამაზე მალაქიას ეშმაკურად უკითხავს, წინამძღვარმა შემთხვევით სკრიპტორიუმიც ხომ არ იგულისხმა, ან, ღმერთო დაგვიფარე, ბიბლიოთეკაო? მოკლედ, უილიამი მიმხვდარა, რომ არ ღირდა მალაქიასთან

დაპირისპირება, თუმცა კი, ბუნებრივია, ვენანციუსის მაგიდასთან დაკავშირებულმა ასეთმა სიფრთხილემ და შიშმა კიდევ უფრო გაუძლიერა მისდამი ინტერესი. მაგრამ, რადგან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი იქ ღამით დაბრუნება, თუმცა ჯერ არ იცოდა, როგორ, საქმის გამწვავება აღარ უცდია. ნათელი იყო, ერთი სული ჰქონდა, თავისი გაეტანა და ეს წადილი, ჭეშმარიტების გასარკვევად რომ არ ყოფილიყო მიმართული, მეტისმეტად ჯიუტი და საძრახიც კი იქნებოდა.

სატრაპეზოში შესვლამდე ეზოში გავისეირნეთ, რომ ცივ ჰაერზე გამოვფხიზლებულიყავით. ეზოში რამდენიმე ბერი მიმოდიოდა, ფიქრებში გართული. ეზოს მიღმა, ბაღში, გროტაფერატელი უხუცესი ალინარდუსი დავინახეთ. ალინარდუსი, აწ უკვე სხეულდაძაბუნებული, თუ ეკლესიაში არ ლოცულობდა, უმეტეს დროს მცენარეებთან ატარებდა ხოლმე. თითქოს ვერც გრძნობდა სიცივეს, თაღებიანი კედლის ძირას ჩამომჯდარიყო.

უილიამი მიესალმა. მოხუცი თითქოს გაახალისა ამ ყურადღებამ.

– მოწმენდილი დღეა! – უთხრა უილიამმა.

– ღვთის წყალობით, – უპასუხა მოხუცმა.

– მოწმენდილია ზეცაში, მაგრამ ქუფრიანი მიწაზე. კარგად იცნობდით ვენანციუსს?

– რომელ ვენანციუსს? – ჩაილაპარაკა მოხუცმა. მერე სინათლე აუკიაფდა თვალებში. – აჰ, გარდაცვლილ ბიჭს? მხეცი დაძრწის მონასტერში…

– რომელი მხეცი?

– ვეებერთელა მხეცი, ზღვიდან ამომავალი… შვიდთავა, ათი რქით, რქებზე შარავანდედები ადგას, თავებზე კი სამი მკრეხელური სიტყვა აწერია. ჯიქს ჰგავს, დათვის ტორებიანია, ლომის ხახიანი… მე მინახავს.

– სად გინახავთ? ბიბლიოთეკაში?

– რატომ ბიბლიოთეკაში? მრავალი წელია, სკრიპტორიუმში არ ავსულვარ, ბიბლიოთეკაში კი ფეხი არასოდეს დამიდგამს. არავის უნახავს ბიბლიოთეკა. თუმცა ვიცნობდი მათ, ვინც იქ ადიოდა…

– ვინ? მალაქია? ბერენგარიუსი?

– ოჰ, არა… – გაბზარული ხმით გაიცინა მოხუცმა. – ადრე. მალაქიამდე ვინც იყო ბიბლიოთეკარი, მრავალი წლის წინ…

– ვინ იყო?

– არ მახსოვს. მოკვდა, როცა მალაქია ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო. ის კი, ვინც მალაქიას მასწავლებლამდე გვყავდა, ჩემს ახალგაზრდობაში ბიბლიოთეკარის თანაშემწე იყო… მაგრამ ბიბლიოთეკაში ფეხი არასოდეს დამიდგამს. ლაბირინთი…

– ბიბლიოთეკა ლაბირინთია?

– Hunc mundum tipice laberinthus denotat ille[113], – შთაგონებით წარმოთქვა მოხუცმა. – Intranti largus, redeunti sed nimis artus[114]. ბიბლიოთეკა უზარმაზარი ლაბირინთია, სამყაროს ლაბირინთის ნიშანი. შეხვალ და არ იცი, გამოაღწევ თუ არა. არ უნდა გადალახო ჰერკულესის სვეტები…

– ანუ, არ იცით, როგორ შეიძლება ბიბლიოთეკაში შესვლა, როცა ციტადელის კარი დაკეტილია?

– როგორ არა, – გაიცინა მოხუცმა, – ეგ ბევრმა იცის. გზა საძვალეზე გადის, მაგრამ საძვალეზე გავლა არავის უნდა. მკვდარი მამები ფხიზლობენ.

– გარდაცვლილი მამები საძვალეში ფხიზლობენ თუ ღამღამობით ბიბლიოთეკაში

დადიან ანთებული სანთლით?

– სანთლით? – მოხუცი გაოცებული ჩანდა. – ეს არასოდეს მსმენია. გარდაცვლილი ბერები საძვალეში არიან, ძვლები ნელ-ნელა ჩადის სასაფლაოდან საძვალეში, იქ გროვდება და გასასვლელს იცავს. არასოდეს გინახავს კაპელის საკურთხეველი, რომელიც საძვალეში გადის?

– მარცხნიდან მესამე?

– მესამე? შეიძლება. ისაა, რომლის ქვაზეც ჩონჩხებია ამოკვეთილი. მარჯვნიდან მეოთხე ქალას თვალებში უნდა დააჭირო… და საძვალეში აღმოჩნდები. მაგრამ შესვლა არ შეიძლება. მე არასოდეს შევსულვარ. წინამძღვარს ასე სურს.

– მხეცი? მხეცი სადღა ნახეთ?

– მხეცი? აჰ… ანტიქრისტე… უნდა მოვიდეს… ათასწლეული მიიწურა, ველით…

– კი, მაგრამ ათასწლეული სამასი წლის წინ მიიწურა, და არ მოსულა…

– ანტიქრისტე მაშინ კი არ მოდის, ათასი წელი რომ მიიწურება. ათასი წლის შემდეგ მართალთა სამეფო იწყება, მერე მოდის ანტიქრისტე და გონებას აუმღვრევს მართალთ, და მერე იქნება საბოლოო ბრძოლა…

– კი, მაგრამ მართალნი ხომ ათას წელს იმეფებენ! – თქვა უილიამმა. – თუ ქრისტეს სიკვდილიდან პირველი ათასწლეულის ბოლომდე იმეფეს, მაშინ უნდა მოსულიყო ანტიქრისტე, ახლა კი ჯერ შორსაა.

– ათასწლეული ქრისტეს გარდაცვალებიდან კი არ ითვლება, კონსტანტინეს საჩუქრიდან. ახლა სრულდება ათასი წელი…

– და მართალთა მეფობა მთავრდება?

– არ ვიცი, აღარ ვიცი… დავიღალე. ძნელია გათვლა. ლიებანას ნეტარმა გაიანგარიშა. ხორხეს ჰკითხე, ახალგაზრდაა, კარგად ახსოვს… მაგრამ დრო მომწიფებულია. არ გაგიგია შვიდი საყვირის ხმა?

– რა შვიდი საყვირის?

– ვერ გაიგე, როგორ მოკვდა ის ბიჭი, მინიატურების ოსტატი? პირველმა ანგელოზმა პირველ საყვირს ჩაბერა და მისგან სისხლნარევი სეტყვა და ცეცხლი გამოვარდა… მეორე ანგელოზმა მეორე საყვირს ჩაბერა და ზღვის მესამედი სისხლად იქცა… განა სისხლის ზღვაში არ მოკვდა ის ყმაწვილი? უფრთხილდით მესამე საყვირს! ზღვის ბინადართა მესამედი ამოწყდება. ღმერთი გვსჯის. მონასტრის გარეთ სამყარო უსჯულოებაში ჩაძირულა, მითხრეს, რომ რომში თურმე გარყვნილი პაპი ზის ტახტზე, რომელიც წმინდა სეფისკვერებს ნეკრომანტიული რიტუალებისთვის იყენებს და თავის დამქაშებს კვებავს მათით… ჩვენთან კი ვიღაცას აღთქმა დაურღვევია, ლაბირინთის კლიტე აუხსნია…

– ვინ გითხრათ?

– ყური მოვკარი, ყველა ჩურჩულებს, რომ ცოდვამ შემოაღწია მონასტერში. ბარდა ხომ არ გაქვს?

მე მეკითხებოდა. გამაოცა შეკითხვამ.

– არა, არ მაქვს ბარდა, – ვუთხარი დაბნეულმა.

– შემდეგზე ბარდის მარცვლები მომიტანე, ხომ ხედავ ამ ჩემს უბედურ უკბილო პირს, ბარდა მიყრია პირში, სანამ სულ არ დარბილდება. ნერწყვის გამოყოფას უწყობს ხელს. aqua fons vitae[115]. ხვალ მომიტან ბარდას?

– მოგიტანთ, – ვუთხარი. მოხუცს ჩასთვლიმა. დავტოვეთ და სატრაპეზოს მივაშურეთ.

– რას ფიქრობთ იმაზე, რაც გვითხრა? – ვკითხე უილიამს.

– ასწლოვანთა ღვთიური სიგიჟითაა შეპყრობილი. ძნელია, მის სიტყვებში ტყუილი მართლისგან გაარჩიო. მაგრამ, მგონი, რაღაც გვითხრა ციტადელში შეღწევის შესახებ. წუხელ დავინახე, მალაქია კაპელიდან რომ გამოდიოდა. მართლა არის იქ ქვის საკურთხეველი, რომლის ძირზეც თავის ქალებია ამოკვეთილი. ამაღამ ვნახავთ.

სერობა

სადაც შედიან ციტადელში, ხვდებიან იდუმალ სტუმარს, ნახავენ საიდუმლო ბარათს ნეკრომანტული ნიშნებით, და ნახვისთანავე გაუჩინარდება წიგნი, რომელსაც შემდეგ დიდხანს ეძებენ. არც უილიამის ძვირფასი საკითხავი შუშების ქურდობა იქნება ამ თავის უკანასკნელი ამბავი

ვახშამმა ნაღვლიანად და მდუმარედ ჩაიარა. ვენანციუსის გვამის პოვნიდან თორმეტი საათი იყო გასული. ყველა ჩუმად აპარებდა თვალს მისი ცარიელი ადგილისკენ. სერობის ჟამს სამლოცველოსკენ გამწკრივებული ბერების რიგი სამგლოვიარო პროცესიას ჰგავდა. ჩვენც დავესწარით მსახურებას, განივ ნავში ვიდექით და თვალი კაპელაზე გვეჭირა. ეკლესიას მქრქალი შუქი ანათებდა. დავინახეთ, როგორ ამოიზარდა მალაქია სიბნელიდან და თავისი ადგილი დაიკავა ქორში, თუმცა ვერ გავარკვიეთ, საიდან გამოვიდა. ვეცადეთ, ბნელში ვმდგარიყავით, გვერდით ნავში დავიმალეთ, რომ ყველასგან შეუმჩნევლად მსახურების მერე ტაძარში დავრჩენილიყავით. აბგაში სანათური მქონდა, ვახშმის დროს სამზარეულოდან ავცინცლე. ცეცხლს მოვუკიდებდით ბრინჯაოს სამფეხა ჩირაღდნიდან, რომელიც მთელი ღამე ენთო ხოლმე. ზეთი ბლომად მქონდა. სინათლე დიდხანს გვეყოფოდა.

მეტისმეტად აგზნებული ვიყავი. ვცდილობდი, თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს მსახურებაში ვიყავი ჩართული, თუმცა ლოცვა ისე დამთავრდა, ვერ გავიგე. ბერებმა თავზე წამოიხურეს, ჩამწკრივებულნი ნელა გავიდნენ ეკლესიიდან და სენაკებს მიაშურეს. სამფეხას მკრთალი შუქით განათებული ტაძარი დაცარიელდა.

– აბა ჰე, – მომიბრუნდა უილიამი. – საქმეს შევუდგეთ.

მესამე კაპელას მივაშურეთ. საკურთხევლის ძირი მართლა საძვალეს ჰგავდა. თვალებდათხრილი, ძრწოლის მომგვრელი თავის ქალები ასევე ქვაში ამოკვეთილი ძვლების გროვაზე იყო დახვავებული. უილიამმა ხმადაბლა გაიმეორა ალინარდუსის სიტყვები (მარჯვნიდან მეოთხე ქალა, თვალებში ჩააჭირე) და თვალების ფოსოებში შეუყო თითები თავის ქალას. ღრჭიალი მოგვესმა, საკურთხეველი დაიძრა, უხილავ ღერძზე შეტრიალდა და ბნელი ხვრელი გამოჩნდა. სანათური მოვიმარჯვე და ნესტიან საფეხურებს ჩავუყევით. გადავწყვიტეთ, არ დაგვეკეტა შესასვლელი. ასე ჯობიაო, თქვა უილიამმა, იქნებ ვეღარ გავაღოთო. კიბეს ჩავუყევით. შესასვლელის ღია დატოვებით რომ ვინმეს აღმოვეჩინეთ, ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან იმ დროს თუ ვინმე მივიდოდა იქ და იმავე მექანიზმის ამუშავებას ეცდებოდა, ესე იგი იცოდა, როგორ უნდა შესულიყო საძვალეში და არც დაკეტილი კარი გააჩერებდა.

ათიოდე საფეხური ჩავიარეთ და აღმოვჩნდით დერეფანში, რომლის კედლებზე განივად იყო ნიშები გაჭრილი. ასეთები მოგვიანებით არაერთ სამარხში მინახავს, მაგრამ მაშინ პირველად ვიყავი საძვალეში და საოცრად მეშინოდა. მიწიდან ამოთხრილი ბერების ძვლები საუკუნეთა მანძილზე გროვდებოდა იქ, ნიშებში ხვავდებოდა, ისე, რომ არავინ ცდილობდა სხეულთა ფორმების შენარჩუნებას. ზოგიერთ ნიშაში მხოლოდ წვრილი ძვლები იყო, ზოგში – მხოლოდ თავის ქალები, გულმოდგინედ, პირამიდებად დალაგებული, რომ არ დაგორებულიყვნენ. მართლა შემაძრწუნებელი სანახაობა იყო, რასაც კიდევ უფრო შიშის მომგვრელს ხდიდა ჩვენი ჩრდილების თამაში. ერთ ნიშაში მხოლოდ ხელის მტევნები დავინახე, უამრავი ხელის მტევანი, ერთმანეთზე ახორხლილი,

მკვდარი თითების აწ უკვე გაუხსნელი ხლართები. ყვირილი აღმომხდა, მომეჩვენა, რომ იმ მკვდართა სამეფოში რაღაცას მოვკარი თვალი, ცოცხალს, თითქოს ჩრდილმა გაირბინა და წკმუტუნისმაგვარი ხმაც მომესმა.

– ვირთხებია, – დამამშვიდა უილიამმა.

– ვირთხებს აქ რა უნდათ?

– გადი-გამოდიან, როგორც ჩვენ. საძვალე ხომ ციტადელს, ანუ სამზარეულოს, უკავშირდება. და ბიბლიოთეკასაც, სადაც წიგნებია. ახლა ხვდები, რატომ აქვს მალაქიას სასტიკი სახე? ის დღეში ორჯერ მაინც გადის ამ გზას, დილით და საღამოს. მალაქიას მართლა არაფერი აქვს სასაცილო.

– კი, მაგრამ რატომ არ წერია სახარებაში, რომ ქრისტე იცინოდა? – ვკითხე უაზროდ. – მართალია, რასაც ხორხე ამბობს?

– თაობები არკვევდნენ, იცინოდა თუ არა ქრისტე. მართალი გითხრა, მე ეს დიდად არ მაინტერესებს. მგონი, იმიტომ არ იცინოდა, რომ ძემ ღვთისა, ყოვლისმცოდნემ, წინასწარ იცოდა, რასაც მოვიმოქმედებდით ქრისტიანები. აჰა, მოვედით კიდეც.

მართლაც, ღვთის წყალობით საძვალე გავიარეთ. კიბეს ავუყევით, ხის მძიმე, ლითონით შეჭედილ კარს მივაწექით და სამზარეულოს ბუხრის უკან აღმოვჩნდით, ხვეული კიბის ქვეშ, რომელიც სკრიპტორიუმში ადიოდა. კიბეზე ვიყავით, რომ თითქოს რაღაც ხმაური მოგვესმა ზევიდან.

წამით გავჩერდით, გავისუსეთ. მერე დავიჩურჩულე: – შეუძლებელია. ჩვენამდე არავინ შესულა…

– კი, თუ ეს ერთადერთი გზაა ციტადელში შესაღწევად. საუკუნეთა მანძილზე აქ კლდე იყო და ისეთი მისადგომებიც ექნება, რომლებიც ჩვენ არ ვიცით. ნელა ავიდეთ. თუმცა დიდი არჩევანი არ გვაქვს. თუ სინათლეს ჩავაქრობთ, ვეღარაფერს დავინახავთ, თუ დავტოვებთ, ჩვენს მიახლოებას ვამცნობთ ზევით მყოფს. ერთადერთი იმედი ისაა, რომ, ვინც ახლა იქაა, ჩვენზე მეტად იყოს შეშინებული.

სამხრეთის კოშკიდან ავედით სკრიპტორიუმში. ვენანციუსის მაგიდა საპირისპირო მხარეს იდგა. ჩვენი სანათური ვეებერთელა დარბაზის მხოლოდ მცირე ნაწილს ანათებდა. ვიმედოვნებდით, ეზოში არავინ იქნებოდა და ფანჯრებიდან სინათლეს ვერ დაინახავდა. მაგიდა თითქოს წესრიგში იყო, მაგრამ უილიამი სასწრაფოდ ქვედა თაროსკენ დაიხარა და უკმაყოფილოდ შეჰყვირა.

– რამე აკლია? – ვკითხე.

– დღეს აქ ორი წიგნი დავინახე, ერთი – ბერძნული. ახლა აღარ დევს. ვიღაცას აუღია, თანაც, ეტყობა, ჩქარობდა, რადგან პერგამენტი ჩამოუგდია.

– კი, მაგრამ მაგიდას ხომ დარაჯობდნენ…

– ცხადია, ცოტა ხნის წინ იყო ვიღაც. იქნებ ახლაც აქაა. – მერე ბნელს ჩააჩერდა და მისმა ხმამ მკაფიოდ გაიჟღერა თაღებში: – თუ აქა ხარ, გაფრთხილდი, იცოდე!

მომეწონა ეს აზრი: როგორც უილიამმა თქვა, როცა ვინმესი გვეშინია, ჯობია, თავად შეაშინო.

უილიამმა ფურცელი აიღო, მაგიდაზე დადო და ჩააკვირდა. მერე მთხოვა, მიმენათებინა. სანათური მივუახლოვე. ფურცლის ნახევარი ცარიელი იყო, მეორე ნახევარი კი – ასოებით დაფარული, დამწერლობა ვერ ვიცანი.

– ბერძნულია? – ვკითხე.

– ჰო, მაგრამ კარგად არ მესმის. – საკითხავი შუშები ამოიღო და ცხვირზე დაიმაგრა, მერე კიდევ უფრო მიუახლოვა სახე ნაწერს.

– ბერძნულია, ძალიან წვრილად ნაწერი, მაგრამ უწესრიგოდ. შუშებითაც ძლივს ვკითხულობ, მეტი სინათლე მჭირდება, მომიახლოვდი…

ფურცელი ცხვირთან მიიტანა, მე კი იმის ნაცვლად, რომ ზევით დამეჭირა სანათური, წინიდან მივუნათე. მთხოვა, გვერდზე გადექიო. გავიწიე და ალი ქვევიდან გავუტარე ფურცელს. უილიამმა ხელი მკრა, ხელნაწერს დაწვავო, დამტუქსა, და უცებ შეჰყვირა. ნათლად დავინახე, რომ ფურცლის ზედა ნაწილზე მოყავისფრო-მოყვითალო ფერის გაუგებარი ნიშნები გამოისახა. უილიამმა სანათური ჩამომართვა და ფურცელს ქვევიდან გაუტარა, ალი ახლოს ეჭირა პერგამენტის ზედაპირთან, რომ გაეთბო, მაგრამ ფურცელი არ დაეწვა. ნელა, თითქოს უხილავი ხელი წერდა ასოებს, გამოჩნდა: „მანე, თეკელ, ფარეს“. თეთრ ფურცელზე სათითაოდ, უილიამის ხელის მოძრაობის კვალდაკვალ, სანამ კვამლი პერგამენტს უკნიდან აშავებდა, გამოჩნდა ასოები, რომლებიც არც ერთ ანბანს არ ჰგავდა, თუ არა ნეკრომანტებისას.

– ფანტასტიკურია! – აღფრთოვანდა უილიამი, – სულ უფრო საინტერესოა. – მიმოიხედა: – მაგრამ აჯობებს, ეს აღმოჩენა ჩვენს იდუმალ სტუმარს არ დავანახვოთ, თუ ჯერ კიდევ აქაა… – შუშები მოიხსნა და მაგიდაზე დადო. მერე ფრთხილად დაახვია პერგამენტი და აბგაში ჩაიდო. ჯერ კიდევ გაოგნებული ვიყავი ამ საოცარი აღმოჩენებით, უამრავი რამ მინდოდა მეკითხა, მაგრამ უეცრად ხმაური მოისმა აღმოსავლეთის კიბის მხრიდან, რომელიც ბიბლიოთეკაში ადიოდა.

– იქაა, დაიჭირე! – იყვირა უილიამმა და იქით გაქანდა, საიდანაც ხმა მოგვესმა. მე უფრო ნელა მივყევი, რადგან სანათური მეჭირა. ადამიანის წაბორძიკების და ძირს დანარცხების ხმა გავიგე. მივირბინე და უილიამი დავინახე, კიბესთან დახრილიყო და მძიმე, ლითონის სალტეებით გამაგრებულ წიგნს აკვირდებოდა. ისევ შემოგვესმა ხმაური, ახლა იქიდან, სადაც წეღან ვიდექით.

– რამ გამომაშტერა! – იყვირა უილიამმა. – ჩქარა ვენანციუსის მაგიდასთან!

მივხვდი, რომ ვიღაცამ, ვინც ჩვენ უკან, ჩრდილში, იდგა, საგანგებოდ ისროლა ის წიგნი, რომ ჩვენი ყურადღება შორს გადაეტანა.

ახლაც დამასწრო უილიამმა, მაგიდას ეცა. მე უკან მივდევდი. ბნელში დავინახე, როგორ ჩასრიალდა ჩრდილი დასავლეთის კოშკის კიბეზე.

ბრძოლის ჟინით ატანილმა სანათური უილიამს შევაჩეჩე და ბრმად ვეცი კიბეს. იმწამს ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ჯოჯოხეთის ლეგიონებთან მებრძოლი ქრისტეს ჯარისკაცი, სურვილი მწვავდა, შემეპყრო უცნობი და ჩემი მოძღვრისთვის მიმეგვარა. დიდხანს ვიფათურე კიბეზე, ჩემსავე სამოსში გახლართულმა (ვფიცავ, ჩემს ცხოვრებაში ეს ერთადერთი წამი იყო, როდესაც ბერად შედგომა ვინანე), მაგრამ მაშინვე ვიფიქრე, რომ ჩემი მოწინააღმდეგეც იმავე დღეში უნდა ყოფილიყო, უფრო მეტიც, თუ წიგნი გაიტაცა, ხელებიც დაკავებული ექნებოდა. სამზარეულოში, პურის საცხობ ღუმელთან ჩავირბინე და მთვარის შუქზე, რომელიც მკრთალად ანათებდა განიერ გასასვლელს, დავინახე ჩრდილი, რომელიც სატრაპეზოს კარს მიეფარა. მეც იქით გავქანდი, კარს დავეჯაჯგურე, გაჭირვებით შევაღე, მიმოვიხედე, არავინ ჩანდა. გარეთ გამავალი კარი გადარაზული იყო. უკან მივბრუნდი. სიბნელე და დუმილი გამეფებულიყო ირგვლივ. სამზარეულოდან სინათლეს მოვკარი თვალი, კედელს ავეკარი. ზღურბლზე განათებული ფიგურა აღიმართა. ვიყვირე. უილიამი იყო.

– აღარავინაა? ასეც ვიცოდი. ის კარიდან არ გასულა. საძვალისკენ ხომ არ წასულა?

– არა, აქედან გავიდა, მაგრამ არ ვიცი, როგორ!

– ხომ გითხარი, სხვა გასასვლელებიც არსებობს-მეთქი. აზრი არ აქვს მათ ძებნას. ჩვენი კაცი, ალბათ, უკვე შორსაა. და მასთან ერთად ჩემი შუშებიც.

– თქვენი შუშები?

– დიახ. ჩვენმა მეგობარმა პერგამენტი ვერ წამართვა, მაგრამ გაქცევისას მოხერხებულად

ამწაპნა შუშები მაგიდიდან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ბრიყვი არაა. გაიგო, იმ შენიშვნებზე რომ ვლაპარაკობდი, მიხვდა, რომ მნიშვნელოვანი იყო, იფიქრა, რომ საკითხავი შუშების გარეშე მათ გაშიფვრას ვერ შევძლებდი და ისიც კარგად იცის, რომ ვერავის ვაჩვენებ მათ. მართლაც, ახლა ეს ჩანაწერი გინდ მქონია, გინდ არა.

– კი, მაგრამ რა იცოდა თქვენი შუშების შესახებ?

– კარგი რა, იმას რომ თავი დავანებოთ, რომ გუშინ შუშის ოსტატს ველაპარაკე ამაზე, დღეს დილით სკრიპტორიუმშიც გავიკეთე, ვენანციუსის ქაღალდებში რომ მინდოდა ჩხრეკა. ასე რომ, ვფიქრობ, უკვე ბევრმა იცის, რამდენად ძვირფასია ის ნივთი. ჩვეულებრივი ხელნაწერის წაკითხვა შემიძლია, მაგრამ ამის – არა, – ხელში ატრიალებდა იდუმალ პერგამენტს. – ბერძნული ძალიან წვრილი ნაწერია, ზედა ნაწილი კი – მეტისმეტად გაუგებარი…

ის იდუმალი ნიშნები მიჩვენა, რომლებიც ასე საოცრად გამოიკვეთა სანათურის შუქზე: – ვენანციუსს მნიშვნელოვანი საიდუმლოს დაფარვა სურდა და უფერო მელანი უხმარია, რომლით ნაწერიც მხოლოდ გათბობის შემთხვევაში იკვეთება. ან ლიმონის წვენი ექნება ნახმარი. მაგრამ ვინაიდან ზუსტად არ ვიცით, რით დაწერა, ნიშნები შესაძლოა მალევე გაქრეს, ამიტომ შენ უნდა გადაწერო, სწრაფად და რაც შეიძლება ზუსტად. თან ეცადე, უფრო დიდი ნიშნები გამოიყვანო.

მეც ასე მოვიქეცი. არც ვიცოდი, რას ვიწერდი. რაღაც ჯადოსნური ნიშნების სამი თუ ოთხი რიგი იყო, ახლა მხოლოდ ზოგიერთს გავიმეორებ, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა გამოცანა გვქონდა თვალწინ: რომ მოვრჩი, უილიამმა ნაწერს დახედა. სამწუხაროდ, შუშების გარეშე უჭირდა გარჩევა, ცხვირიდან კარგა მოშორებით ეჭირა პერგამენტი.

– უდავოა, საიდუმლო ანბანია, რომლის ამოცნობაც მოგვიწევს, – ჩაილაპარაკა. – ნიშნები ცუდადაა გამოყვანილი და შენ იქნებ კიდევ უარესად გადაწერე, მაგრამ უეჭველია, რომ ზოდიაქოს ნიშნებია. ხედავ? პირველ პწკარში… – კიდევ უფრო შორს დაიჭირა ფურცელი, თვალები მოჭუტა, დაიძაბა: მშვილდოსანი, მზე, მერკური, მორიელი…

– რას ნიშნავს?

– ვენანციუსი რომ უფრო გულუბრყვილო ყოფილიყო, ჩვეულებრივ ზოდიაქოს ანბანს გამოიყენებდა: ა – მზის გამოსახულება, ბ – იუპიტერისა… მაშინ პირველი პწკარი ასე წაიკითხებოდა… მიდი, ჩაწერე: „რაიქაზულ…“ – შეწყვიტა. – არა, ეს არაფერს ნიშნავს. ანბანი სხვაგვარად აქვს გამოყენებული. უნდა ამოვხსნა.

– შესაძლებელია? – ვკითხე აღფრთოვანებულმა.

– კი, თუ ცოტა რამ მაინც იცი არაბთა მეცნიერების შესახებ. კრიპტოგრაფიის საუკეთესო ტრაქტატები უსჯულო სწავლულთა ხელიდანაა გამოსული და ოქსფორდში გავეცანი ზოგიერთ მათგანს. ბეკონი მართალი იყო, როცა ამბობდა, ცოდნის დაგროვება ენების ცოდნაზე გადისო. აბუ ბაქრ აჰმად ბენ ალი ბენ ვაშია ან-ნაბატიმ დაწერა საუკუნეების წინ „მორწმუნის ვნებიანი წადილის წიგნი ძველ დამწერლობათა ენიგმების შეცნობისა“ და მასში საიდუმლო ანბანთა შექმნისა და გაშიფვრის უამრავი წესი მოგვაწოდა. ეს ანბანები არა მარტო მაგიური საქმეებისთვის გამოიყენებოდა, არამედ ჯარებს, მეფეებსა და მათ დესპანებს შორის მიმოწერისთვისაც იყო საჭირო. სხვა არაბული წიგნებიც მინახავს, რომლებშიც საოცარი ხერხებია ჩამოთვლილი. მაგალითად, შეგიძლია, ერთი ასო მეორით შეცვალო, შეგიძლია, სიტყვა უკუღმა დაწერო, შეიძლება, ასოთა მიმდევრობა შეცვალო: თითო ასო გამოტოვო და მერე გამოტოვებულები თავიდან დაიწყო; შეიძლება, როგორც ამ შემთხვევაშია, ასოებად ზოდიაქოს ნიშნები გამოიყენო, მაგრამ ნაგულისხმევ ასოებს ანბანში მათივე რიგის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა მიანიჭო, შემდეგ რომელიმე სხვა ანბანის რიგს შეუსაბამო და ისე იხმარო…

– მერე ამ ხერხებიდან რომელს გამოიყენებდა ვენანციუსი?

– ყველა უნდა სცადო. მაგრამ ნაწერის გაშიფვრის პირველი წესია, მისი შინაარსი გამოიცნო დაახლოებით.

– აბა რაღა საჭიროა მისი გაშიფვრა!

– ამას არ ვგულისხმობ. შეგიძლია, ივარაუდო, რა იქნება ფრაზის პირველი სიტყვები და მერე დააკვირდე, კანონზომიერება, რომელსაც მათგან მიიღებ, მოქმედებს თუ არა მთელი ტექსტისთვის. მაგალითად, აქ, ცხადია, ვენანციუსს Finis Africae-ს გასაღები აქვს აღნიშნული. თუ ვივარაუდებ, რომ ტექსტში ამაზეა ლაპარაკი, უცებ დავინახავ რიტმს… აბა პირველ სამ სიტყვას შეხედე, ასოებს ნუ უყურებ, მხოლოდ მათ რაოდენობას დაუკვირდი… IIIIIIIII IIIIII IIIIIIII… ახლა სცადე, მარცვლებად დაყო, თითოეულში ორი ნიშანი მაინც რომ იყოს, და ხმამაღლა გაიმეორე: ტა-ტა-ტა, ტა-ტა, ტა-ტა-ტა… არაფერი გაგონდება?

– არაფერი.

– მე კი მაგონდება. Secretum Finis Africae[116]… მაგრამ თუ ასეა, უკანასკნელი სიტყვის პირველი და მეექვსე ასო ერთი და იგივე უნდა იყოს, და მართლაც ასეა. აგერ, ბატონო, ორჯერ დედამიწის სიმბოლო. პირველი სიტყვის პირველი ასო კი იგივე უნდა იყოს, რაც მეორე სიტყვის უკანასკნელი: ს. და მართლაც, მეორდება ქალწულის ნიშანი. ალბათ, სწორ გზაზე ვართ. თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ დამთხვევა იყოს. კანონზომიერებას უნდა მიაგნო…

– სად?

– გონებაში. გამოიგონო. და მერე დააკვირდე, სწორია თუ არა. მაგრამ ამ მცდელობებში შეიძლება მთელი დღე გავიდეს, მეტი – არა, რადგან, გახსოვდეს, არ არსებობს საიდუმლო დამწერლობა, რომელიც ცოტაოდენი მოთმინებით ვერ გაიშიფრება. მაგრამ ახლა გვაგვიანდება და ბიბლიოთეკაში ვაპირებთ შესვლას. თანაც შუშების გარეშე ბარათის მეორე ნაწილს ვერასოდეს წავიკითხავ და შენც ვერ დამეხმარები, რადგან ეს ნიშნები შენს თვალთათვის…

– Graecum est, non legitur[117], – დავასრულე დამცირებულმა.

– სწორედ. როგორც ხედავ, ბეკონი მართალი იყო. ისწავლე! მაგრამ ახლა იმედს ნუ გადავიწურავთ. ავიღოთ პერგამენტი და შენი ჩანაწერი და ბიბლიოთეკაში ავიდეთ. რადგან ამ საღამოს ჯოჯოხეთის ათი ლეგიონიც კი ვერ დაგვაკავებს.

პირჯვარი გადავიწერე.

– კი, მაგრამ ვინ იქნებოდა აქ წეღან? ბენციუსი?

– ბენციუსი იწვოდა წადილით, გაეგო, რა იყო ვენანციუსის ნაწერებში, მაგრამ არ მგონია, ასეთ მზაკვრულ თამაშში გაბმულიყო. ჩვენ ხომ მოკავშირეობა შემოგვთავაზა, და თანაც, არა მგონია, ღამით ციტადელში შესაღწევად გამბედაობა ჰყოფნოდა.

– მაშ ბერენგარიუსი? თუ მალაქია?

– ვფიქრობ, ბერეგნარიუსს ხელეწიფება ამისთანები. თან ბიბლიოთეკარის თანაშემწეა, სინდისის ქენჯნა ჭამს, რომ ბიბლიოთეკის რაღაც საიდუმლო გასცა, მიაჩნდა, რომ ვენანციუსმა ის წიგნი მოიპარა და იქნებ მისი ბიბლიოთეკაში დაბრუნება სურდა. ვერ ავიდა, ახლა წიგნს სადღაც მალავს და თუკი უფალი წაგვეშველება, შეგვიძლია დავიჭიროთ კიდეც, როცა თავის ადგილას მის დაბრუნებას ეცდება.

– კი, მაგრამ ხომ შეიძლება, მალაქიაც იყოს, მასაც იგივე განზრახვა ამოქმედებდეს.

– არა მგონია. მალაქიას უამრავი დრო ჰქონდა, რომ, როცა ციტადელს კეტავდა, ვენანციუსის მაგიდა გაეჩხრიკა, ვერავინ შეუშლიდა ხელს. მშვენივრად ვიცოდი ეს და არაფრით შემეძლო მისთვის ხელის შეშლა. ახლა ვიცით, რომ არ გაუკეთებია. და თუ კარგად დაფიქრდები, რის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, თითქოს მალაქიამ იცოდა, რომ ვენანციუსმა ბიბლიოთეკაში შეაღწია და რამე მოიპარა? ეს ბერენგარიუსმა,

ბენციუსმა, მე და შენ ვიცით. ადელმუსის აღსარების შედეგად შესაძლოა ხორხემაც იცოდეს, მაგრამ ის ვერაფრით ვერ ჩაირბენდა ასე თავქუდმოგლეჯილი ხვეულ კიბეზე…

– მაშინ ბერენგარიუსი ან ბენციუსი…

– კი, მაგრამ რატომ არ შეიძლება, ტივოლელი პაციფიკუსი ან სხვა რომელიმე ბერი ყოფილიყო, ვინც დღეს აქ ვნახეთ? ან შუშის ოსტატი ნიკოლოზი, რომელმაც ჩემი შუშების შესახებ იცის? ან ის კუდიანი სალვატორე, რომელიც, ეშმაკმა იცის, რისთვის დაეხეტება ღამღამობით? ფრთხილად უნდა ვიყოთ, ზედმეტად არ შევავიწროვოთ ეჭვმიტანილთა წრე, მხოლოდ იმიტომ, რომ ბენციუსის აღიარებამ ერთი მიმართულებით წაგვიყვანა. ხომ შეიძლება, ბენციუსი ჩვენთვის კვალის არევას ცდილობდა.

– კი, მაგრამ ხომ გულწრფელი მოგეჩვენათ.

– ცხადია. მაგრამ გახსოვდეს, რომ კარგი გამომძიებლის მოვალეობაა, პირველ რიგში იმათზე მიიტანოს ეჭვი, ვინც გულწრფელს ჰგავს.

– უკეთური საქმეა გამომძიებლობა, – ვუთხარი.

– ამიტომაც დავანებე მას თავი. და ახლა, როგორც ხედავ, იძულებული ვარ, ისევ დავუბრუნდე. აბა ჰე, ბიბლიოთეკისკენ.

ღამე

სადაც ბოლოს და ბოლოს შეაღწევენ ლაბირინთში, უცნაური ხილვები ეწვევათ და, როგორც ლაბირინთებში ხდება ხოლმე, იკარგებიან

სკრიპტორიუმში დავბრუნდით, ამჯერად აღმოსავლეთის კიბით, რომელიც აკრძალულ სართულზეც ადიოდა. სანათური მაღალზე მეჭირა. ალინარდუსის სიტყვები მახსოვდა ლაბირინთზე და ყოველგვარ ხიფათს ველოდი.

როცა ფეხი დავდგით აკრძალულ ადგილას, გავოცდი: შვიდკუთხა დარბაზი გადაიშალა ჩვენ თვალწინ, არც ისე ვრცელი, უფანჯრო, სადაც, ისევე როგორც მთელ სართულზე, ნესტისა და ობის სუნი გამეფებულიყო. შემზარავს ვერაფერს ვხედავდი.

დარბაზი, როგორც ვთქვი, შვიდკუთხა იყო, მაგრამ მხოლოდ ოთხ კედელზე, სვეტებს შორის, იყო გაჭრილი განიერი ღიობები, თაღებით შემოვლებული. დახშულ კედლებთან კი ვეებერთელა კარადები იყო მიდგმული, რომლებშიც წიგნები იყო ჩარიგებული. კარადებიცა და თაროებიც დანომრილი იყო, ალბათ იმავე ნომრებით, რაც კატალოგში ვნახეთ. ოთახის შუაგულში მაგიდა იდგა, ისიც წიგნებით სავსე. ყველა წიგნს მტვრის მსუბუქი ფენა დასდებოდა, ჩანდა, რომ წიგნებს საკმაოდ ხშირად წმენდდნენ. არც იატაკზე ჩანდა მტვერი სქელი. ერთ-ერთი თაღის ზევით წარწერა იყო: „Apocalypsis Iesu Christi[118]“. გახუნებული არ ჩანდა, თუმცა კი ასოები ძველებური იყო. მოგვიანებით სხვა ოთახებში შევნიშნეთ, რომ ეს წარწერები ქვაში იყო ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად, და მერე ნაჭდევი საღებავით ამოევსოთ.

ერთ-ერთ ღიობში შევედით. მეორე ოთახში აღმოვჩნდით, მის ერთადერთ ფანჯარას შუშების ნაცვლად ალებასტრის ფირფიტები ჰქონდა ჩასმული. ოთახს ორი ყრუ კედელი და ერთი ღიობი ჰქონდა, ისეთივე, როგორიც მასში მოსახვედრად გავიარეთ და ისიც სხვა ოთახში გადიოდა; მასაც ორი ყრუ კედელი, ერთი ფანჯარა და ერთი გასასვლელი ჰქონდა. ორივე ოთახში ღიობის თავზე ისეთივე წარწერა იყო ამოკვეთილი, როგორიც პირველ დარბაზში, მაგრამ სხვა სიტყვებით. ერთზე ეწერა: „Super thronos viginti quatuor“[119], ხოლო მეორეზე: „Nomen illi mors“[120]. ეს ორი ოთახი ცოტა პატარა იყო იმაზე, რომლიდანაც შევედით ბიბლიოთეკაში, მაგრამ იგივენაირი (მართლაც, როგორც ვთქვი, პირველი შვიდკუთხა იყო, მომდევნო ორი კი – ოთხკუთხა), ავეჯიც იგივე იყო: ყრუ

კედლებთან – წიგნებით სავსე კარადები და შუაში – მაგიდა. მესამე ოთახში არც წიგნები იყო და არც წარწერა თაღის თავზე. სამი გასასვლელი ჰქონდა: ერთი – საიდანაც შევედით, მეორე – პირველ, შვიდკუთხა, ოთახში გამავალი და მესამე – რომელსაც სხვა ოთახში გავყავდით, სხვების მსგავსში, იმ განსხვავებით, რომ მისი წარწერა იუწყებოდა: „Obscuratus est sol et aer“[121]. შემდეგი ოთახის გასასვლელს ასეთი წარწერა ჰქონდა: „Facta est grando et ignis“[122]; იქიდან ვეღარსად გახვიდოდი და უკან უნდა მობრუნებულიყავი.

– დავფიქრდეთ, – თქვა უილიამმა. – ოთხი მართკუთხედის ან ტრაპეციის ფორმის ოთახი, თითოეული თითო ფანჯრით, რომლებიც გარს ერტყმის შვიდკუთხა უფანჯრო ოთახს, სადაც კიბე ამოდის. ძალიან მარტივად მეჩვენება. აღმოსავლეთის კოშკში ვიმყოფებით, გარედან თითოეულ კოშკს ხუთი კედელი და ხუთი ფანჯარა მოუჩანს, ანუ ყველაფერი სწორია. ცარიელი ოთახი სწორედ ისაა, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს იყურება, იმავე მიმართულებით, საითაც ეკლესიის ქორი, ცისკარზე მზის სინათლე საკურთხეველს ანათებს, და ასეც უნდა იყოს. ერთადერთი ხრიკი ალებასტრის ფირფიტები მგონია. დღისით საამო სინათლეს ატარებს, ღამით კი მთვარის შუქს გასავალს არ აძლევს. დიდი ლაბირინთი არ უნდა იყოს. ახლა ვნახოთ, სად გადის შვიდკუთხა ოთახის დანარჩენი ორი კარი. მგონია, არ უნდა გაგვიჭირდეს ორიენტირება.

ჩემი მოძღვარი ცდებოდა, ბიბლიოთეკის მშენებლები იმაზე ეშმაკები ყოფილან, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა. კარგად ვერ ავხსნი, რა მოხდა, მაგრამ როგორც კი კოშკიდან გამოვედით, ოთახების რაოდენობა აგვერია. ზოგს ორი გასასვლელი ჰქონდა, ზოგს – სამი. ყველას ერთი ფანჯარა ჰქონდა, იმათაც, რომლებშიც წინა ფანჯრიანი ოთახიდან გავდიოდით და გვეგონა, რომ ციტადელის სიღრმისკენ მივიწევდით. ყველა მათგანში ერთნაირი კარადები და მაგიდები იდგა, ლამაზად დალაგებული წიგნებით, ისინიც სრულიად ერთნაირი ჩანდა და ვერაფრით გვეხმარებოდა ადგილის ცნობაში. ვცადეთ, წარწერებით მოგვეხერხებინა ორიენტირება. ერთი ოთახი გავიარეთ, რომელსაც ეწერა „In diebus illis“[123] და ცოტა ხნის შემდეგ მოგვეჩვენა, რომ ისევ იქ ვიყავით. მაგრამ გვახსოვდა, რომ ფანჯრის მოპირდაპირე ღიობი გადიოდა ოთახში, რომელსაც ეწერა: „Primogenitus mortuorum“[124], ახლა კი მის ნაცვლად კვლავ „Apocalypsis Iesu Christi“-ს ვხედავდით, და ეს ის შვიდკუთხა ოთახი არ იყო, საიდანაც დავიწყეთ. ამან დაგვარწმუნა, რომ ზოგან წარწერები მეორდებოდა. ორი ოთახიც ვნახეთ, ერთიმეორის გვერდით, წარწერით „Apocalypsis“, მათ შემდეგ კი – ოთახი წარწერით „Cecidit de coelo stella magna“[125].

მაშინვე მივხვდით, ეს ფრაზები იოანეს „გამოცხადებიდან“ იყო, მაგრამ გაუგებარი იყო, რის მიხედვით შეერჩიათ ეს სიტყვები ან რა წესით განელაგებინათ. კიდევ უფრო დაგვაბნია იმან, რომ ზოგიერთი წარწერა წითელი ფერის იყო და არა შავი.

ბოლოს ისევ საწყის შვიდკუთხა ოთახში აღმოვჩნდით (ადვილი საცნობი იყო, რადგან მასში კიბე ამოდიოდა) და მარჯვნივ წავედით, თან ვცდილობდით, სულ პირდაპირ გვევლო ოთახიდან ოთახში. სამი ოთახი გავიარეთ და პირდაპირ ყრუ კედელი დაგვხვდა. ერთადერთი ღიობით სხვა ოთახში გადიოდი, რომელსაც მხოლოდ ერთი გასასვლელი ჰქონდა იმის გარდა, საიდანაც შევედით. ისიც გავიარეთ, ოთხი ოთახი გადავჭერით და ისევ ყრუ კედელს მივადექით. წინა ოთახში დავბრუნდით, რომელსაც ორი გასასვლელი ჰქონდა, ახლა მეორე კარში გავედით, კიდევ ერთი ოთახი გავიარეთ და ისევ საწყის შვიდკუთხაში აღმოვჩნდით.

– რა ერქვა ბოლო ოთახს, რომლითაც უკან დავბრუნდით? – მკითხა უილიამმა.

გონება დავძაბე: – „Equus albus“[126].

– კარგი, ვიპოვოთ.

ადვილი აღმოჩნდა. იქიდან, თუ იმავე გზით არ გინდოდა უკან დაბრუნება, ერთი გამოსავალი გქონდა, ოთახი წარწერით „Gratia vobis et pax“[127], და მოგვეჩვენა, რომ იქიდან მარჯვნივ ახალი გასასვლელი აღმოვაჩინეთ, რომელიც უკან არ დაგვაბრუნებდა. მართლაც, ისევ დავინახეთ „In diebus illis“ და „Primogenitus mortuorum“ (ვინ იცის, წეღან გავლილი ოთახები იყო ნამდვილად?), მაგრამ საბოლოოდ გავედით ოთახში, რომელშიც

თითქოს პირველად ვიყავით. შესასვლელის თავზე ეწერა: „Tertia pars terrae combusta est“[128]. მაგრამ ახლა წარმოდგენა აღარ გვქონდა, რომელ მხარეს ვიყავით აღმოსავლეთის კოშკიდან.

სანათური მაღლა ავწიე და გზას გავუყევი. წინ ვეებერთელა არსება შემომეფეთა, დატალღული, აჩრდილივით მოლივლივე სხეულით.

– ეშმაკი! – დავიყვირე და კინაღამ სანათური ხელიდან გამივარდა, შეშინებული შემოვტრიალდი და უილიამს ჩავუვარდი მკლავებში. მან სანათური ჩამომართვა, გვერდზე გამწია და საოცარი გამბედაობით წავიდა წინ. მანაც რაღაც დაინახა, რადგან უცებ დაიხია უკან. მერე ისევ წინ გაიწია, სანათური ასწია და სიცილი აუტყდა.

– მართლა გენიალურია. სარკე!

– სარკე?

– დიახ, ჩემო ნორჩო მებრძოლო. წეღან სკრიპტორიუმში ასე გაბედულად გამოენთე ნამდვილ მტერს, ახლა კი საკუთარმა გამოსახულებამ შეგაშინა. სარკეა, შენსავე გამოსახულებას გიჩვენებს, მხოლოდ გადიდებულსა და დამახინჯებულს.

ხელი მომკიდა და ოთახში შემავალი ღიობის მოპირდაპირე კედელთან მიმიყვანა. დატალღული შუშის ზედაპირზე, ახლა, როცა სანათური მას ახლოდან ანათებდა, ჩვენი გამოსახულებები დავინახე, გროტესკულად დამახინჯებული, რომლებიც ფორმასა და სიმაღლეს იმის მიხედვით იცვლიდნენ, მივუახლოვდებოდით თუ მოვშორდებოდით.

– ოპტიკის ტრაქტატები უნდა წაიკითხო, – მითხრა გახალისებულმა უილიამმა, – ბიბლიოთეკის მშენებლებს უეჭველად ექნებოდათ ისინი წაკითხული. საუკეთესოები არაბებს ეკუთვნით. ალჰაზენმა დაწერა ტრაქტატი „De aspectibus“[129], რომელშიც სარკეთა ძალაზე ლაპარაკობს და გეომეტრიულად ამტკიცებს თავის მოსაზრებებს. ამბობს, რომ ზედაპირის სიმრუდის მიხედვით, სარკემ შეიძლება გაზარდოს (აბა ჩემი საკითხავი შუშები სხვა რაა?), ამოაყირავოს ან გააორმაგოს გამოსახულება, ერთის მაგივრად ორი გიჩვენოს და ორის ნაცვლად – ოთხი. ზოგიერთი, როგორც ეს სარკე, ჯუჯას გოლიათად მოგაჩვენებს, გოლიათს – კი ჯუჯად.

– იესო მაცხოვარო! – აღმომხდა. – მაშ ესაა ის ხილვები, რომ ჰყვებიან, ბიბლიოთეკაში ვნახეთო?

– ალბათ. მართლა გენიალური იდეაა. – და კედელზე, სარკის თავზე, წარწერა წაიკითხა: „Super thronos viginti quatuor“. – ეს უკვე ვნახეთ, მაგრამ უსარკო ოთახში. თანაც ამას ფანჯრები არ აქვს, თუმცა კი შვიდკუთხაა. სად ვართ? – მიმოიხედა და კარადას მიუახლოვდა: – ადსო, იმ დალოცვილი საკითხავი შუშების გარეშე ვერ ვხედავ, რა აწერია ამ წიგნებს. რომელიმეს სათაური წამიკითხე.

პირველივე წიგნი ავიღე, რომელიც ხელში მომხვდა: – მოძღვარო, ეს ნაწერი არაა!

– როგორ, ვხედავ, რომ რაღაც წერია. წაიკითხე!

– ვერ ვკითხულობ. ანბანის ასოები არაა, არც ბერძნულია, ვიცნობდი ბერძნულს. ჭიებივითაა, გველივით გაკლაკნილი, ბუზის ნაკვალევივით…

– აჰ, არაბული ყოფილა. სხვებიც ასეთია?

– ჰო, ზოგიერთი. აგერ ერთი ლათინურია, ღვთის წყალობით. ალ… ალ-ქუვარიზმი, „Tabulae“[130].

– ალ-ქუვარიზმის ასტრონომიული ცხრილები, ბათელი ადელარდუსის მიერ თარგმნილი! უიშვიათესი ნაშრომი! მერე?

– ისა იბნ ალი, „De oculis“[131], ალ-ქინდი, „De radiis stellatis…“[132]

– ახლა მაგიდაზე ნახე.

ვეებერთელა წიგნი გადავშალე, „De bestiis“[133]. უფაქიზესად მოხატული გვერდი შემხვდა, მარტორქის ულამაზესი გამოსახულებით.

– მშვენიერი ნამუშევარია, – შენიშნა უილიამმა, რომელიც კარგად ხედავდა გამოსახულებას. – ის რაღაა?

წავიკითხე: „Liber monstrorum de diversis generibus“[134]. ესეც უმშვენიერესი ნახატებითაა გაფორმებული, მაგრამ უფრო ძველი მგონია.

უილიამი ტექსტზე დაიხარა: – ირლანდიელი ბერების მოხატულია, დაახლოებით ხუთი საუკუნის წინ. მარტორქის წიგნი კი ბევრად უფრო ახალია, ფრანგულ ყაიდაზე ჩანს გაკეთებული.

კიდევ ერთხელ აღმაფრთოვანა ჩემი მასწავლებლის განსწავლულობამ. შემდეგ ოთახში გავედით და მომდევნო ოთხი ოთახიც გავიარეთ. ყველას ფანჯარა ჰქონდა და ყოველი მათგანი უცნობ ენებზე დაწერილი წიგნებით იყო სავსე. ბოლოს კედელს მივადექით და იძულებული გავხდით, უკან გამოვბრუნებულიყავით, რადგან უკანასკნელი ხუთი ოთახი ერთიმეორეში გადიოდა და მათგან სხვაგან გასასვლელი აღარ იყო.

– კედლების დახრილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შემდეგი კოშკის ხუთკუთხედში უნდა ვიყოთ, – თქვა უილიამმა, – მაგრამ ცენტრალური შვიდკუთხა დარბაზი არ არის, ალბათ, ვცდებით.

– კი, მაგრამ ფანჯრები? – ვუთხარი. – საიდან ამდენი ფანჯარა? შეუძლებელია, ყველა ოთახი გარეთ გადიოდეს.

– ცენტრალური ჭა გავიწყდება. ამ ფანჯრებიდან ბევრი სწორედ ცენტრალური ჭის რვაკუთხედზე გადის. დღე რომ იყოს, სინათლე მიგვახვედრებდა, რომელია გარეთ გამავალი ფანჯრები და რომელი – შიგნით, ალბათ, თავად ოთახის განლაგებასაც მიგვანიშნებდა მზის მიმართ. მაგრამ ღამით ეს განსხვავებები არ შეიმჩნევა. უკან დავბრუნდეთ.

სარკიან ოთახში დავბრუნდით და მესამე ღიობს მივაშურეთ, რომელშიც, როგორც გვახსოვდა, ჯერ არ შევსულიყავით. ჩვენ წინ სამი თუ ოთხი ოთახის რიგი გადაიშალა და უკანასკნელში სინათლეს მოვკარით თვალი.

– ვიღაცაა! – შევყვირე და შიშისაგან ხმა ჩამიწყდა.

– თუ ვინმეა, უკვე შენიშნა ჩვენი შუქი, – თქვა უილიამმა და მაინც ხელი ააფარა სანათურს. ერთი-ორ წუთს უძრავად ვიდექით. სინათლე კვლავ კიაფობდა, არც იმატებდა, არც იკლებდა.

– იქნებ მხოლოდ ლამპარია, – ჩაილაპარაკა უილიამმა, – იმ ლამპართაგანი, რომლებიც იმისთვის დგას, რათა ბერები დაარწმუნოს, რომ ბიბლიოთეკაში გარდაცვლილთა სულები ბუდობენ. მაგრამ უნდა დავრწმუნდეთ. შენ აქ დარჩი და სანათურს ხელი დააფარე, მე კი ფრთხილად მივუახლოვდები.

საშინლად მრცხვენოდა, რომ სარკემ შემაშინა, და მინდოდა, ახლა როგორმე თავი გამომეჩინა უილიამის წინაშე.

– არა, მე წავალ. თქვენ აქ დარჩით, – ვუთხარი. – ფრთხილად ვიქნები. უფრო პატარა ვარ და უფრო მსუბუქი. რომ დავრწმუნდები, საშიში არაფერია, დაგიძახებთ.

ასეც მოვიქეცი. სამი ოთახი კედელ-კედელ გავიარე, კატასავით ფეხაკრეფით (ან მონასტრის მორჩილივით, სამზარეულოში რომ იპარება ყველის მოსაპარად, რაშიც დიდად ვიყავი დახელოვნებული მელქში). კედელზე აკრული მივიწევდი წინ. ოთახის ზღურბლს მივადექი, საიდანაც მკრთალი სინათლე მოდიოდა, სვეტს ავეკარი და ოთახში შევიჭყიტე. არავინ იყო. რაღაც ლამპარივით იდგა მაგიდაზე, ძლივსღა ჭიატობდა ალი. ჩვენი სანათურისგან განსხვავდებოდა, უფრო შანდალს წააგავდა. კვამლი არ ასდიოდა, მაგრამ რაღაცა იწვოდა და ნაცარივით ნამწვი გროვდებოდა მაგიდაზე. ძალა მოვიკრიბე

და შევედი. შანდლის გვერდით წიგნი იყო გადაშლილი, კაშკაშა ფერებით მოხატული. მივაშურე და წიგნის გვერდზე ოთხი სხვადასხვა ფერის ზოლი დავინახე: ყვითელი, მეწამული, ფირუზისფერი და გამომწვარი თიხის ფერი. შემზარავი ცხოველი იყო ზედ გამოსახული, ათთავიანი ურჩხული, კუდით ვარსკვლავებს ებღაუჭებოდა და მიწაზე ყრიდა. უცებ დავინახე, როგორ გამრავლდა ურჩხული, მისი ქერცლი მჭრელი ნაფლეთების უღრან ქსელად იქცა, რომელიც ფურცელს მოსწყდა და ჩემ ირგვლივ დაიწყო ტრიალი. უკან გადავქანდი და კედელს მივენარცხე. ოთახის ჭერი თითქოს დაიხარა და თავზე დამემხო, მერე ქვეწარმავალთა სისინი მომესმა, მაგრამ შემზარავი კი არა, თითქოს მაცდური, და ნათლით მოსილი ქალი დავინახე, სახე ისე მომიახლოვა, რომ მისი სუნთქვა ვიგრძენი სახეზე. ვცადე, მომეშორებინა და მომეჩვენა, რომ ხელებით კარადაში ჩარიგებულ წიგნებს მივწვდი, ან ისინი გაზრდილიყვნენ უსაშველოდ. ვეღარ ვხვდებოდი, სად ვიყავი, სად იყო მიწა და სად – ზეცა. ოთახის შუაგულში ბერენგარიუსი დავინახე, რომელიც საძულველი, ავხორცი ღიმილით მომჩერებოდა. სახეზე ხელები ავიფარე და საკუთარი ხელები გომბეშოს სველ, ცივ, ლორწოიან თათებად მეჩვენა. მგონი, დავიყვირე, მომჟავო გემო ვიგრძენი პირში და უსასრულო წყვდიადში გადავეშვი, რომელიც თითქოს სულ უფრო ღრმავდებოდა ჩემ ქვეშ… მერე აღარაფერი მახსოვს.

რომ გამოვფხიზლდი, მეგონა, საუკუნე იყო გასული. თავი მიგუგუნებდა, იატაკზე ვიწექი და უილიამი ლოყებში მილაწუნებდა. იმ ოთახში აღარ ვიყავი, თვალი მოვკარი წარწერას „Requiescant a laboribus suis“[135].

– მიდი, მიდი, ადსო, – მეჩურჩულებოდა უილიამი. – არაფერია…

– რაღაცეები… – ვამბობდი უაზროდ, – იქ, ქვევით, ურჩხულია…

– არავითარი ურჩხული არ არის. მშვენიერ მოსარაბულ[136] „გამოცხადებაზე“ დაყუდებული ბოდავდი, გადაშლილი იყო ნახატზე, სადაც ქალი, მზით შემოსილი, ურჩხულს ერკინება. სუნზე მივხვდი, რომ რაღაც ჩაისუნთქე და სასწრაფოდ გამოგათრიე იქიდან. მეც მტკივა თავი.

– კი, მაგრამ რა დავინახე?

– არაფერი არ დაგინახავს. უბრალოდ რაღაც ისეთი ნივთიერება იწვოდა, რომელიც ხილვებს იწვევს ადამიანში, სუნით ვიცანი. არაბული რაღაცაა, ალბათ, იმის მსგავსი, „მთის მოხუცი“ რომ ასუნთქებდა თავის ასასინებს[137], სანამ დავალებაზე გაუშვებდა. მოკლედ, ხილვების მიზეზიც გავარკვიეთ. ვიღაც მაგიურ ბალახებს წვავს ღამით, რათა დაუპატიჟებელი სტუმრები დაარწმუნოს, რომ ბიბლიოთეკას დემონური ძალები იცავენ. მითხარი ერთი, რა იგრძენი?

მოვუყევი ჩემი ხილვა, არეულ-დარეულად, რაც გამახსენდა. უილიამმა გაიცინა: – სანახევროდ იმაზე ბოდავდი, იმას აზვიადებდი, რაც წიგნში დაინახე, სანახევროდ კი საკუთარი შიში და წადილი გალაპარაკებდა. სწორედ ესაა ამ ბალახების ზემოქმედება. ხვალ სევერინუსს უნდა დაველაპარაკოთ ამაზე, ვფიქრობ, იმაზე ბევრად მეტი იცის, ვიდრე ამჟღავნებს. ბალახია, მხოლოდ ბალახი, რომელსაც სულაც არ სჭირდება ის ნეკრომანტული შეზავებები, რომელზეც შუშის ოსტატი გველაპარაკებოდა. ბალახები, სარკეები… აკრძალული ცოდნის ამ ადგილს უამრავი მეცნიერული აღმოჩენა იცავს. მეცნიერება, რომელიც სინათლის მოსაფენად კი არა, წყვდიადის შესანარჩუნებლად გამოიყენება. არ მომწონს ეს ამბავი. უკუღმართი გონება განაგებს ბიბლიოთეკის დაცვის წმინდა საქმეს. მძიმე ღამე იყო, ადსო, ჯერჯერობით კმარა. ახლა უნდა გავიდეთ აქედან. შეძრული ხარ, წყალი და სუფთა ჰაერი გჭირდება. ამ ფანჯრების გაღებას აზრი არ აქვს, ძალიან მაღალია და ალბათ, ათწლეულებია, არ გაღებულა. რამ აფიქრებინათ, რომ ადელმუსი აქედან გადავარდა?

გავიდეთო, ისე ამბობდა, თითქოს ადვილი ყოფილიყო იქიდან გასვლა. ვიცოდით, რომ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთი კოშკიდან შეიძლებოდა შესვლა, აღმოსავლეთიდან. მაგრამ იმწუთას სად ვიყავით? სრულიად დაგვეკარგა ორიენტაციის შეგრძნება. გვეშინოდა, რომ ვეღარასოდეს გავაღწევდით ამ ადგილიდან, ერთიანად ვკანკალებდი და გული მერეოდა. ამ შეცდომამ ჩემი მდგომარეობით შეშფოთებულ უილიამს გადააწყვეტინა, რომ, თუკი ახლა გავაღწევდით აქედან, მეორე დღეს უნდა

დავბრუნებულიყავით ბიბლიოთეკაში და ნახშირი ან სხვა რამე წამოგვეღო, რომ კედლებზე ნიშნების დატოვება შეგვძლებოდა.

– ლაბირინთიდან გამოსაღწევად, – გამოაცხადა უილიამმა, – ერთადერთი ხერხი არსებობს: ყოველ ახალ გზასაყარზე იქ, საიდანაც შეხვედი, სამი ნიშანი უნდა დასვა. თუ ამ გზასაყარის რომელიმე გასასვლელი უკვე მონიშნულია, ესე იგი აქ ნამყოფი ხარ და მაშინ იმ გზას, რომლითაც შეხვედი, მხოლოდ ერთ ნიშანს დაასვამ. თუ ყველა გასასვლელი უკვე აღნიშნულია, უკან უნდა დაბრუნდე. მაგრამ თუ გზასაყარზე ერთი ან მეტი გასასვლელი ჯერ კიდევ მოუნიშნავია, ერთ-ერთს აირჩევ და იქ ორ ნიშანს დატოვებ. თუ იმ გზას გაჰყვები, რომელსაც მხოლოდ ერთი ნიშანი აქვს, მას კიდევ ორ ნიშანს დაამატებ, ანუ ამ გასასვლელს ახლა სამი ნიშანი ექნება. თუ უკვე ყველა გზა აღნიშნულია და არასოდეს გაჰყოლიხარ სამნიშნიან გასასვლელს, გამოდის, რომ ლაბირინთის ყველა გზა გავლილი გაქვს.

– საიდან იცით ეს? ბევრ ლაბირინთში ყოფილხართ?

– არა, ერთ ძველ ტექსტში წაკითხულს ვიმეორებ.

– და ესაა წესი ლაბირინთიდან გამოსაღწევად?

– რამდენადაც ვიცი, ამ წესს არავისთვის უშველია, მაგრამ მაინც ვცდით. თანაც რამდენიმე დღეში საკითხავი შუშები მექნება და შევძლებ, წიგნებსაც დავაკვირდე. სადაც თაღებზე განთავსებული წარწერები გვაბნევს, იქნებ წიგნებმა მაინც გვიკარნახოს კანონზომიერება.

– შუშები გექნებათ? როგორ დაიბრუნებთ?

– გითხარი, მექნება-მეთქი. სხვას გავაკეთებ. ვგონებ, შუშის ოსტატს ერთი სული აქვს, ეს საქმე ისწავლოს, მთავარია, საჭირო ხელსაწყოები ჰქონდეს დასაქლიბად. შუშა კი სახელოსნოში ბევრი აქვს.

გზის ძებნაში ვიყავით, რომ ერთ-ერთი ოთახის შუაში ვიგრძენი, უხილავი ხელი როგორ მომეფერა სახეზე და რაღაც გმინვასავით გაისმა იმ ოთახსა და მის გვერდით ოთახში. ეს ხმა არც ადამიანისას ჰგავდა და არც ცხოველისას. თითქოს რაღაც დაეხეტებოდა ოთახებში. უკვე მზად უნდა ვყოფილიყავი ბიბლიოთეკის ფათერაკებისთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ შევძრწუნდი და უკან ვისკუპე. ვგონებ, უილიამმაც იგრძნო იგივე, რადგან ლოყაზე მოისვა ხელი, სანათური ასწია და მიმოიხედა.

ხელი უფრო მაღლა ასწია, ალს დააკვირდა, რომელიც ახლა უფრო ძლიერი ჩანდა, მერე საჩვენებელი თითი ნერწყვით დაისველა და ხელი აღმართა.

– ნათელია, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ და ორი ნაპრალი დამანახვა ერთიმეორის მოპირისპირე კედლებზე, ადამიანის თავის სიმაღლეზე. ხელს თუ მიიტანდი ახლოს, ცივი ჰაერი შემოდიოდა გარედან. ყურს თუ მიადებდი, რაღაც ზუოდა, თითქოს გარეთ ქარი უბერავსო.

– ბიბლიოთეკას უეჭველად უნდა ჰქონოდა ჰაერის განახლების სისტემა, – თქვა უილიამმა, – თორემ აქ სუნთქვაც შეუძლებელი იქნებოდა, განსაკუთრებით ზაფხულში. გარდა ამისა, ეს ღიობები ნესტსაც ატარებს, რათა პერგამენტები არ გამოშრეს. მაგრამ მშენებელთა გამჭრიახობა ამით არ ამოწურულა. ამ ღიობების გარკვეული კუთხით განლაგება იწვევს იმას, რომ ქარიან ღამეში ამ ნაპრალებიდან სტვენით მობერილი ჰაერი სხვა ნაკადებს უერთდება, და ქარი სისინით დაძრწის ოთახებში, იმ ხმებს წარმოშობს, ახლა რომ მოგვესმა და მაგიურ ბალახებთან და სარკეებთან ერთად კიდევ უფრო აფრთხობს არამკითხეთ, ვინც აქ შემოღწევას ეცდება ჩვენსავით, და ვინც ამ ადგილს არ იცნობს. ჩვენც კი ვიფიქრეთ წამით, რომ აჩრდილთა სუნთქვა მოგვხვდა სახეზე. გვიან მივხვდით, რა მოხდა, რადგან მხოლოდ ახლა ამოვარდა ქარი. ეს საიდუმლოც ამოვხსენით. თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ გავაღწიოთ აქედან!

ასე, ლაპარაკით, დავბოდიალებდით აქეთ-იქით, დაბნეულები, აღარც ვკითხულობდით წარწერებს, რომლებიც ახლა თითქოს ყველა ერთნაირი იყო. კიდევ ერთ შვიდკუთხა ოთახში აღმოვჩნდით, მისი მოსაზღვრე ოთახები მოვიარეთ, მაგრამ გასასვლელი არსად

ჩანდა. უკან დავბრუნდით, თითქმის ერთი საათი ვიარეთ, წარმოდგენა აღარ გვქონდა, სად ვიყავით. ბოლოს უილიამმა აღიარა, დავმარცხდით, ისღა დაგვრჩენია, დასაძინებლად მივწვეთ რომელიმე ოთახში და დაველოდოთ, რომ დილით მალაქიამ გაგვიყვანოს აქედანო. გული გვწყდებოდა ამ არაჩვეულებრივი წამოწყების ასეთ უბადრუკ დასასრულზე და ის-ის იყო, ავწუწუნდით, რომ იმ დარბაზში შევედით, სადაც კიბე ამოდიოდა. მხურვალედ შევწირეთ მადლი ზეცას და ხალისიანად დავეშვით კიბეზე.

სამზარეულოში ბუხრისკენ გავქანდით, მერე საძვალის დერეფანს გავყევით და ვფიცავ, იმ ხორცშემოცლილი თავის ქალების კბილთა ღრჭენა უსაყვარლეს ადამიანთა ღიმილად მომეჩვენა. ეკლესიაში დავბრუნდით და ჩრდილოეთის კარიდან გამოვედით, ბედნიერები ჩამოვსხედით საფლავის ქვებზე. ღამის მშვენიერი ჰაერი ღვთიური ბალზამივით მომესალბუნა. ვარკვლავები ბრჭყვიალებდა და ბიბლიოთეკის ხილვანი უშორეს მოგონებად მეჩვენა.

– რა ლამაზია სამყარო და რა მახინჯია ლაბირინთები! – შვებით აღმომხდა.

– რა ლამაზი იქნებოდა სამყარო, ლაბირინთებში სიარულის წესი რომ არსებობდეს! – შემომეხმიანა ჩემი მოძღვარი.

– რომელი საათი იქნება? – ვკითხე.

– დროის შეგრძნება დავკარგე. მაგრამ ჯობია, ჩვენს სენაკებს დავუბრუნდეთ, სანამ ცისკრისას ჩამოჰკრავენ.

ეკლესიის მარცხენა კედელს გავუყევით, კარიბჭეს ჩავუარეთ (სხვა მხარეს გავიხედე, რომ „გამოცხადების“ სცენები არ დამენახა, super thronos viginti quatuor!) და ეზო გავიარეთ, მომლოცველთა საყუდელში რომ მივსულიყავით.

შენობის ზღურბლზე წინამძღვარი იდგა, მკაცრად შემოგვხედა.

– მთელი ღამეა, დაგეძებთ, ვერც სენაკში გნახეთ, ვერც ეკლესიაში…

– ერთ კვალს მივყევით… – მოკლედ უპასუხა უილიამმა, უხერხულობა ეტყობოდა. წინამძღვარი დიდხანს ჩააკვირდა, მერე ნელი, მკაცრი ხმით თქვა: – სერობის ლოცვის შემდეგ გეძებთ. ბერენგარიუსი არ იყო ქორში.

– რას ბრძანებთ! – შესძახა უილიამმა. ახლა მიხვდა, ვისაც გადავეყარეთ სკრიპტორიუმში.

– სერობის ლოცვაზე არ შემოსულა, არც სენაკში დაბრუნებულა, – გაიმეორა წინამძღვარმა. – საცაა ცისკრისა ჩამოჰკრავს, და ვნახავთ, თუ გამოჩნდება. გული რაღაც ახალ უბედურებას მიგრძნობს.

ცისკრის ლოცვაზე ბერენგარიუსი არ გამოჩენილა.

დღე მესამე

ქებანიდან პირველ ჟამამდე

სადაც გაუჩინარებული ბერენგარიუსის სენაკში სისხლიან ნაჭერს პოულობენ და სულ ესაა

ამ სტრიქონების წერისას ისე ვარ დაქანცული, როგორც იმ ღამით, უფრო სწორად, იმ

დილით ვიყავი. აბა რა გითხრათ? წირვის შემდეგ წინამძღვარმა შეშფოთებული ბერები ბერენგარიუსის საძებნელად გაგზავნა, თუმცა უშედეგოდ.

ქებანის ლოცვა ახლოვდებოდა, როდესაც ბერენგარიუსის სენაკში ერთ-ერთმა ბერმა თივის ლეიბის ქვეშ სისხლით მოთხვრილი თეთრი ნაჭერი იპოვა და წინამძღვარს აჩვენა. ავად ენიშნა აბონს სისხლიანი ნაჭერი. ხორხემ კი იკითხა: – სისხლი? – თითქოს გაუკვირდაო. ალინარდუსმა თავი გააქნია: – არა, არა, მესამე საყვირზე წყალს მოაქვს სიკვდილი...

უილიამი ქსოვილს დააკვირდა: – ახლა ყველაფერი ნათელია.

– მაშ, სად არის ბერენგარიუსი? – ჰკითხეს.

– არ ვიცი, – უპასუხა უილიამმა.

აიმარუსმა ცად აღაპყრო მზერა და პეტრე სანტალბანელს გადაუჩურჩულა: – ასეთები არიან ეს ინგლისელები.

როცა პირველი ჟამი მოახლოვდა და მზე ამოიწვერა, მსახურები გაგზავნეს გალავნის გასწვრივ ფერდობის დასათვალიერებლად. მესამე ჟამამდე ეძებდნენ ბერენგარიუსს, მაგრამ უშედეგოდ.

უილიამმა მითხრა, მეტი არაფერი შეგვიძლია, უნდა დავიცადოთო. თავად სამჭედლოს მიაშურა შუშის ოსტატ ნიკოლოზთან დასალაპარაკებლად. ვხედავდი, კარგა ხანს საუბრობდნენ.

ეკლესიაში შევედი და შესასვლელთან დავჯექი. წირვა მიმდინარეობდა, ჰოდა მეც, მეტისმეტი რწმენისაგან, ჩამთვლიმა და კარგა ხანსაც მეძინა. როგორც ჩანს, ახალგაზრდებს მეტი ძილი გვჭირდება, ვიდრე მოხუცებს: მათ ხომ ისედაც ბევრი იძინეს და აწ უკვე მარადიული ძილისთვის ემზადებიან.

მესამე ჟამი

სადაც ადსო სკრიპტორიუმში თავისი ორდენის ისტორიასა და წიგნების ხვედრზე დაფიქრდება

ეკლესიიდან ცოტა დასვენებული, თუმცა გონებაარეული გამოვედი: სხეული ხომ ჭეშმარიტად მხოლოდ ღამით ისვენებს. სკრიპტორიუმში ავედი, მალაქიას კატალოგის დათვალიერების ნებართვა ვთხოვე. უგულისყუროდ ვფურცლავდი კატალოგს, სინამდვილეში გარშემომყოფთ ვაკვირდებოდი.

გამაოცა ბერების სიმშვიდემ და უდრტვინველობამ, ისე მუშაობდნენ, თითქოს არც იცოდნენ, რომ მათ ერთ-ერთ ძმას გამალებით დაეძებდნენ მონასტრის მიდამოებში, ორი კი შემაშფოთებელ ვითარებაში დაღუპულიყო. აი, სად ჩანს ჩვენი ორდენის სიდიადე-მეთქი, ვიფიქრე: რამდენჯერ დაურბევიათ ბარბაროსებს მონასტრები, ცეცხლის ალში გაუხვევიათ სამეფოები და ბერები კი, ყველაფრის მიუხედავად, პერგამენტისა და მელნის სიყვარულით, კვლავაც სასოებით იმეორებდნენ სიტყვებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და რომლებსაც ახლა თავად გადასცემდნენ მომავალ საუკუნეებს. ამ ადამიანებს ათასწლეულის მოახლოებამაც ვერ შეაწყვეტინა კითხვა და გადაწერა, მაშ, ახლა რაღას უნდა შეეშალა მათთვის ხელი?

ბენციუსმა რომ თქვა, იშვიათი წიგნის ხელში ჩასაგდებად ცოდვასაც კი ჩავიდენდიო, არც ტყუოდა და არც ხუმრობდა. ცხადია, ბერს კრძალვით უნდა უყვარდეს თავისი წიგნები, მათ სასიკეთოდ უნდა იღვწოდეს და არა ცნობისწადილის დასაოკებლად, საკუთარი ამპარტავნობის განსადიდებლად, მაგრამ ის, რაც საეროთათვის მრუშობის საცდურია და

სამღვდელოებისთვის – სიმდიდრის წყურვილი, ბერთათვის ცოდნის ხიბლი და ცდუნებაა.

კატალოგის ფურცლებზე იდუმალებით მოცულმა სათაურებმა ამიჭრელა თვალი: Quinti Sereni de medicamentis, Phaenomena, Liber Aesopi de natura animalium, Liber Aethici peronymi de cosmographia, Libri tres quos Arculphus episcopus Adamnano escipiente de locis sanctis ultramarinis designavit conscribendos, Libellus Q. Iulii Hilarionis de origine mundi, Solini Polyshistor de situ orbis terrarum et mirabilibus, Almagesthus[138]… აღარ მაკვირვებდა ის, რომ იდუმალი ბოროტმოქმედებანი სწორედ ბიბლიოთეკას უკავშირდებოდა. წერისთვის თავდადებულ ამ ადამიანთათვის ბიბლიოთეკა ერთდროულად ზეციური იერუსალიმიც იყო და უცნობ მიწასა და ჯოჯოხეთის ზღვარზე არსებული მიწისქვეშეთიც. ბიბლიოთეკა ერთიანად ბატონობდა მათზე, დაპირებებითა და აკრძალვებით. ბერები მასთან ერთად, მისთვის და, შესაძლოა, მის წინააღმდეგაც ცხოვრობდნენ და იდუმალად ატარებდნენ ცოდვიან იმედს, რომ ოდესმე ყველა საიდუმლოს გამოგლეჯდნენ მას. რა გასაკვირი იყო, რომ გონების მწველი ცნობისწადილის დასაოკებლად საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ, ან თუნდაც მოსაკლავად გაემეტებინათ ის, ვინც მათი ნალოლიავები საიდუმლოს დაუფლებას შეეცდებოდა?

რაღა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ცდუნება, გონების ამპარტავნობაა. სულ სხვაგვარად წარმოედგინა გადამწერი ბერი ჩვენი ორდენის წმინდა დამაარსებელს: გადაწერისას მას წიგნის შინაარსიც არ უნდა სცოდნოდა, ღვთის ნებას მინდობოდა და ისე ეწერა, თითქოს ლოცულობდა, რამეთუ ბერისთვის წერაც ლოცვაა. რატომ აღარ ხდებოდა ასე? ორდენის დაცემა მხოლოდ ამაში როდი ვლინდებოდა: ორდენი მეტისმეტად გაძლიერდა, მისი წინამძღვრები მეფეებს ეჯიბრებოდნენ. ჩვენი მასპინძელი აბონიც განა მონარქივით არ ცდილობდა მონარქთა შორის უთანხმოებათა ჩაცხრობას? თვით მონასტერთა მიერ დაგროვებული ცოდნა ქცეულიყო ახლა აღებ-მიცემის საგნად, ამპარტავნობის, სიამაყის, თვითგანდიდების მიზეზად. თუ რაინდები საჭურველითა და ალმებით იწონებენ თავს, ჩვენი წინამძღვრები მოხატულ ხელნაწერებს ამზეურებდნენ სიამაყით… და მეტი დაჟინებით აკეთებდნენ ამას (რა სიგიჟეა!) ახლა, როცა მხოლოდ მონასტრებს აღარ ეპყრათ სიბრძნის კელაპტარი: წიგნებს ქალაქებში, საეკლესიო სკოლებსა და უნივერსიტეტებშიც იწერდნენ და, შესაძლოა, ჩვენზე უკეთაც. ახალ წიგნებსაც ისინი ქმნიდნენ და იქნებ ეს იყო მრავალი უბედურების მიზეზი.

ეს მონასტერი შეიძლება უკანასკნელიც იყო მათ შორის, რომლებიც ჯერ კიდევ უზადოდ ემსახურებოდნენ წიგნების შექმნისა და გადაწერის დიად საქმეს და ამაყობდნენ ამით. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ ამიტომ აღარ აკმაყოფილებდათ აქაურ ბერებს გადამწერის წმინდა საქმე, სიახლეებს დახარბებულთ, თავადაც სურდათ სამყაროს გამდიდრება. მაშინ ბუნდოვნად, გუმანით ვგრძნობდი (დღეს კი, წლებით და გამოცდილებით გაჭაღარავებულმა, ნამდვილად ვიცი), ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამგვარი საქციელით საკუთარ დიდებას ანადგურებდნენ: თუ მათი დაგროვებული ცოდნა მონასტრის კედლებს მიღმა თავისუფლად გავრცელდებოდა, რაღა განასხვავებდა ამ წმინდა ადგილს საეკლესიო სკოლებისა და უნივერსიტეტებისაგან? დაფარული კი, ეს ცოდნა საკუთარ ძალას ინარჩუნებდა, არ იბილწებოდა ფუჭი კამათით, რომელსაც საიდუმლოს სიდიადე „ჰოსა და არას“ სიმდაბლემდე დაჰყავს. ამიტომაც არის-მეთქი, გავიფიქრე, ბიბლიოთეკა ესოდენ მდუმარე და ბნელით მოცული. ის ცოდნის საცავია, მაგრამ ამ ცოდნის ხელუხლებლად შენარჩუნებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ მასთან ახლოს არავის მიუშვებს, თვით ბერებსაც კი. ცოდნა რკინის ფული როდია, რომელსაც ბინძური გარიგებაც კი ვერაფერს ავნებს. ის უფრო მშვენიერ სამოსს ჰგავს, ხმარებითა და საჯაროდ გამომზეურებით რომ ხუნდება და ცვდება. განა იგივე არ ემართება წიგნსაც? ზედმეტი შეხებით მისი ფურცლები იშლება, მელანი ხუნდება, ოქრო კი ფერმკრთალდება. ჩემ გვერდით პაციფიკუს ტივოლელი მუშაობდა: უძველეს წიგნს ფურცლავდა, გვერდები ნესტისგან ერთმანეთს მიკვროდა და გადასაფურცლად ბერი ცერა და საჩვენებელ თითებს ისველებდა ენით. მისი ნერწყვისგან ფურცელი ლბებოდა, იცრიცებოდა. დროთა განმავლობაში ფურცლები ილახებოდა, ჰაერი და მტვერი აზიანებდა პერგამენტს, ნერწყვით დამბალი კუთხეები კი ობდებოდა. როგორც ზედმეტი ფოფინი ადუნებს და აუძლურებს მეომარს, ასევე ანადგურებდა წიგნებს მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა და სიყვარული.

რა უნდა ექნათ ბერებს? კითხვა შეეწყვიტათ და მხოლოდ წიგნების შენახვაზე ეზრუნათ? საფუძვლიანი იყო ჩემი შიში? რას იტყოდა ჩემი მასწავლებელი?

შორიახლოს მჯდომ რუბრიკატორს მაგნუს იონელს გავხედე: ფოროვანი ქვით პერგამენტის გახეხვა დაემთავრებინა და ახლა ცარცით არბილებდა მის ზედაპირს, რათა შემდეგ გაეპრიალებინა. მის გვერდით მჯდომ ბერს, ტოლედოელ რაბანუსს დაფაზე დაემაგრებინა პერგამენტი, მის კიდეებზე მსუბუქი ნაჩხვლეტებით საზღვრები მოენიშნა და ლითონის კალმით უწვრილეს ხაზებს ავლებდა მათ შორის. ცოტა ხანში ორივე ფურცელი ფერებითა და ფორმებით შეივსებოდა და საბოლოოდ წმინდა ნაწერით ნაქსოვი გვერდი ძვირფასი ქვებით სავსე საგანძურს დაემსგავსებოდა. გავიფიქრე, ეს ბერები მიწიერ სამოთხეში არიან-მეთქი. ისინი ახალ წიგნებს ქმნიდნენ ძველთა დარად, რომელთაც დრო უმოწყალოდ გაანადგურებდა… მაშასადამე, ბიბლიოთეკას მიწიერი ძალა ვერ დაემუქრებოდა, რადგან ის ცოცხალი იყო… მაგრამ, თუ ცოცხალი იყო, რატომ უფრთხოდა სიახლის შეცნობას? ნეტავ სწორედ ამას ლამობდა ბენციუსი და მანამდე – ვენანციუსი?

საკუთარმა ფიქრებმა დამაბნია და შემაშინა. ალბათ, ასეთი აზრები არ შეშვენოდა მორჩილს, რომელსაც წესდების ბეჯითად და ზედმიწევნით აღსრულება ევალებოდა მარადჟამს, სიცოცხლის ბოლომდე. შემდგომში ვცდილობდი კიდეც, ასე მოვქცეულიყავი და აღარ ამეფორიაქებინა გონება ზედმეტი შეკითხვებით, მაშინ, როცა ჩემ ირგვლივ სამყარო სულ უფრო მეტად იძირებოდა სისხლისა და სიგიჟის მორევში.

დილის ტრაპეზის დრომ მოაღწია და სამზარეულოს მივაშურე. მზარეულებთან უკვე დამეგობრებული ვიყავი, ასე რომ ჩემთვის ყველაფერი საუკეთესო გადაენახათ.

მეექვსე ჟამი

სადაც სალვატორე ადსოს ბევრ რამეს გაუმხელს. მისი აღსარება, რომელიც ორი სიტყვით ვერ გადმოიცემა, ფრიად შეაშფოთებს ადსოს

საუზმის დროს სალვატორე შევნიშნე, კუთხეში იჯდა. შერიგებოდა მზარეულს და ახლა ხალისიანად სანსლავდა ცხვრის ხორცის ღვეზელს. ისე ჭამდა, თითქოს ცხოვრებაში პირველად ხედავდა საკვებს, ნამცეცებს აგროვებდა და პირში იყრიდა, ჩანდა, ამ საოცრებისთვის ღმერთს მადლობას უძღვნიდა.

თვალი ჩამიკრა და თავის უცნაურ ენაზე მითხრა, შიმშილში გატარებულ წლებს ახლა ვინაზღაურებო. გამოვკითხე. თავის საცოდავ ბავშვობაზე მიამბო. მის მხარეში საშინელი ჰავა ყოფილა, უსაშველო წვიმები მინდვრებს ალპობდა თურმე, ჰაერს მავნე ანაორთქლით ჟღენთდა. თუ სწორად გავიგე, წყალდიდობები ნათესებს ანადგურებდა, ერთი ფუთი თესლი ერთ მუჭა მოსავალს იძლეოდა, ერთი მუჭა – აღარაფერს. ბატონებსაც ღარიბებივით ფერმკრთალი სახეები ჰქონდათ, თუმცაო, მითხრა სალვატორემ, ღარიბები მაინც უფრო ხშირად იხოცებოდნენ, შეიძლება, იმიტომ (დაამატა ღიმილით), რომ უფრო მეტნი იყვნენო… ერთი მუჭა თესლი თხუთმეტი სოლდო ღირდა, ფუთი – სამოცი სოლდო, მქადაგებლები წუთისოფლის აღსასრულს წინასწარმეტყველებდნენ, თუმცა სალვატორეს მშობლებსა და წინაპრებს ახსოვდათ, რომ უწინაც ასე ყოფილა, და ამბობდნენ, ასეა, წუთისოფელი მუდამ დასასრულს უახლოვდებაო. როდესაც უწმინდური ცხოველებიც შეეჭამათ და ფრინველის ლეშიც აღარსად იპოვებოდა მთელ არემარეში, ხმა გავრცელებულა, სოფელში მიცვალებულებს თხრიანო. სალვატორე მასხარასავით იმანჭებოდა, მაჩვენებდა, როგორ ჩიჩქნიდნენ ახალი მკვდრების საფლავებზე მიწას ის „საზიზღარკაცები“.

– იფ! – ამბობდა და გემრიელად კბეჩდა ხორციან ღვეზელს, მე კი მის სახეზე იმ ადამიანის სასოწარკვეთილებას ვხედავდი, მიცვალებულს რომ ჭამს. ნაკურთხი მიწის თხრა რომ არ იკმარეს, ზოგიერთი, ყაჩაღივით, ტყეში გაიჭრა და გამვლელებს ესხმოდა თავსო. „ჰოპ!“ – ამბობდა სალვატორე. – დანას ყელში გამოუსვამდნენ და „ყლაპ!“ ყველაზე ბოროტები კი

კვერცხით ან ვაშლით იტყუებდნენ ბავშვებს და ჭამდნენ, მაგრამ წინასწარ ხარშავდნენო, დააზუსტა სალვატორემ.

ერთ კაცზე მიამბო, რომელსაც სოფელში მოხარშული ხორცი ჩაუტანია და კაპიკებად ყიდდა. ხალხს ვერ გაეგო, რატომ აკეთებდა ამას, მერე მღვდელს უთქვამს, ხორცი ადამიანისააო და გაშმაგებულ ბრბოს ნაფლეთებად უქცევია გამყიდველი. თუმცა იმავე ღამეს სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა დამარხული კაციჭამია ამოთხარა და მისი ხორცი შეჭამა, ეს რომ სოფელში გაიგეს, ხალხმა მასაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანაო.

სალვატორემ კიდევ ბევრი რამ მიამბო. გაჭირვებით ვხვდებოდი მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ მონაყოლს, ნაწილობრივ ჩემი მწირი პროვანსული მშველოდა და ცოტასაც – აქა-იქ ნასწავლი იტალიური დიალექტები. მომიყვა, როგორ გაიქცა მშობლიური სოფლიდან, როგორ დაეხეტებოდა ქვეყნად. მის მონათხრობში ბევრი ადამიანი ვიცანი, ვისაც იქამდეც შევხვედროდი, ბევრს კი მერე შემყარა ბედმა. და ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მგონია, რომ სალვატორესთან ვაიგივებ, მას მივაწერ სხვათა ბრალსა თუ თავგადასავალს, იმასაც, რაც მის დაბადებამდე და მისი სიკვდილის შემდეგ მომხდარა, მაგრამ ჩემს დაქანცულ გონებაში ეს ამბები წარმოსახვის ძალით ერთიან მოგონებად შერწყმულა. წარმოსახვა ხომ სწორედ ესაა: მასში ორი ფიქრი, ორი ხატება, მაგალითად, ოქრო და მთა, ერთმანეთს ერწყმის და ოქროს მთა წარმოგვიდგება თვალწინ.

მოგზაურობისას ხშირად გამიგონია, რომ უილიამი „უბრალოებს“ ახსენებდა. ეს სიტყვა მისი ორდენის ზოგიერთი ბერისათვის არა მხოლოდ მდაბიოს ნიშნავდა, არამედ – უბირსაც. მეტისმეტად ზოგადად მეჩვენებოდა ეს სიტყვა, რადგან იტალიის ქალაქებში შევხვედრივარ ვაჭრებსა და ხელოსნებს, რომელთაც უბირს ვერ უწოდებდი, თუმცა კი სასულიერო პირები არ იყვნენ და სათქმელსაც ხალხური ენით გამოხატავდნენ. ნახევარკუნძულის მმართველ ტირანთაგანაც ყველა როდი იცნობდა თეოლოგიასა და მედიცინას, ლოგიკას და ლათინურს, თუმცა უბრალოებისა ნამდვილად არაფერი ეცხოთ და არც უპოვარნი გახლდნენ. ამიტომ ვფიქრობ, „უბრალოებს“ რომ ახსენებდა, ჩემი მასწავლებელიც ფრიად უბრალო რამეს გულისხმობდა. თუმცა სალვატორე უეჭველად „უბრალო“ იყო, საუკუნეთა მანძილზე შიმშილითა და მემამულეთა ჩაგვრით ტანჯული სოფლის შვილი. „უბრალო“ იყო, თუმცა სულელი არ ყოფილა. განსხვავებულ სამყაროს ელტვოდა, რომელიც, როგორც მითხრა, მშობლიური სახლიდან გაქცევის ჟამს ბარაქის ქვეყნად წარმოედგინა, სადაც ხეებს თაფლი გადმოსდიოდათ და ყველის თავებსა და მადის აღმძვრელ ძეხვებს ისხამდნენ.

ამ იმედით ფრთაშესხმულ სალვატორეს, რომელიც არ აღიარებდა წუთისოფელს, როგორც ჭირვარამის საუფლოს (მე ხომ ასე მასწავლიდნენ), სადაც უსამართლობაც განგების მიერაა მოვლენილი სამყაროს წონასწორობის შესანარჩუნებლად, განგებისა, რომლის ჩანაფიქრი ჩვენთვის მიუწვდომელია, ბევრი უხეტიალია, თავისი მშობლიური მონფერატოდან ჯერ ლიგურიაში ჩასულა, შემდეგ კი პროვანსსა და ფრანგთა მეფის სამფლობელოში.

გზადაგზა სალვატორე მათხოვრობდა, ქურდობდა, თავს იავადმყოფებდა, დროებით რომელიმე დიდებულთან მსახურობდა, შემდეგ ან ტყეს აფარებდა თავს, ან ისევ გზას დაადგებოდა. მისი მონათხრობიდან მივხვდი, რომ სალვატორე მაწანწალათა ჯგუფებს ეკედლებოდა, რომლებიც მომდევნო წლებში სულ უფრო მომრავლდნენ ევროპის გზებზე: თვითმარქვია ბერები, მძარცველები, ყალთაბანდები, მატყუარები, გლახაკ-მათხოვრები, კეთროვნები და ხეიბრები, მოხეტიალენი და მოყიალენი, მეზღაპრეები, გაურკვეველი წარმომავლობის სამღვდელონი, მომთაბარე სტუდენტები, ჟონგლიორები, თაღლითი ვაჭრები, ურჯულოთა კლანჭებს გამოქცეული, სულგანადგურებული იუდეველნი, შეშლილები, დევნილები, ლტოლვილები, ყურმოკვეთილი ბოროტმოქმედები, მამათმავლები; მოგზაური ხელოსნები: ფეიქრები, მექვაბეები, მესკამეები, მლესავები, მეფიტულენი, კალატოზები; ათასი ჯურის არამზადა: ფლიდები, ავკაცები, უსაქმურები, უკეთურები, გაიძვერები, სხვისი სახელის მიმთვისებელნი, მაწანწალები, საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე კანონიკოსები და მღვდლები, რომლებიც სხვათა მიამიტობით ირჩენდნენ თავს, პაპის სიგელთა და ბეჭედთა გამყალბებელნი, ინდულგენციებითა და ყალბი სიწმინდეებით მოვაჭრენი, ვითომ დამბლიანი სნეულნი, ეკლესიებთან რომ

ეყარნენ და მათხოვრობდნენ, მონასტრებიდან გაქცეული ქურდბაცაცები, ცრუ სასწაულთმოქმედნი, ნათელმხილველები და ქირომანტები, ნეკრომანტები, ექიმბაშები, მჩხიბავები, ქველმოქმედებად თავის გამსაღებელნი და ყველა ჯურის გახრწნილები, ტყუილითა და ძალადობით მონაზონთა და ქალწულთა გამრყვნელები, წყალმანკის, ბნედის, ბუასილის, ნიკრისის, სიშმაგის, ჭრილობათა დამჩემებელნი. ზოგიერთი რას არ იკრავდა სხეულზე, რომ ეჩვენებინა, მოურჩენელი წყლულები მაქვსო, სხვები პირს სისხლისფერი სითხით ივსებდნენ და ჭლექს იჩემებდნენ, თვალთმაქცები თავს იკატუნებდნენ, ვითომ ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდნენ, სიარულისას ჯოხს იშველიებდნენ, ბნედით, მუნით, ათასგვარი მოურჩენელი სენით შეპყრობილებად ასაღებდნენ თავს, ხელ-ფეხს იხვევდნენ, ზაფრანის ყვავილის ნაყენს ისვამდნენ, ხელბორკილითა და თავსახვევებით დადიოდნენ, აყროლებულები ეკლესიებში იპარებოდნენ და ხალხმრავალ ადგილებში უეცრად ძირს ეცემოდნენ, პირიდან დორბლს ყრიდნენ, თვალებს გადმოკარკლავდნენ და ნესტოებიდან მაყვლის წვენითა და სინგურით დამზადებულ სისხლს აშხეფებდნენ, რათა საკვები ან ფული დაეტყუებინათ ღვთისმოშიშთათვის, რომელთაც ახსოვდათ წმინდა მამათა მოწოდებები მოწყალებაზე: გაუყავი მშიერს შენი პური, შეიკედლე უსახლკარო, მივიდეთ ქრისტესთან, მივიღოთ ქრისტე, შევმოსოთ ქრისტე, რათა, როგორც წყალმა – ცეცხლი, ისე დაანავლოს მოწყალებამ ჩვენი ცოდვები.

დუნაის ნაპირების გასწვრივ არაერთხელ შევხვედრივარ და დღემდე ხშირად ვხვდები ამ თაღლითებს, რომელთა თითოეულ ჯგუფს თავისი სახელი აქვს, დემონთა ლეგიონების დარად: მკრეჯელები, მხვეჯელები, მხვეწნელები, ლაფოსნები, გულთმისნები, დასტაქრები, მჭვრეტელები, ამბოროსნები, მოშიმშილენი, ჯვართმფლობელნი, ყავარჯნოსნები, სიწმინდეთმპყრობელნი, სასწაულმოქმედნი, მოცახცახენი, მოკანკალენი, მტირალნი, მყვირალნი, დორბლოსანნი, დუჟიანნი, ნაცტიტველნი, საცდუნებელნი და სანდობელნი, ყროლიანნი, შფოთიანნი, მღერალნი და მგალობელნი, მთხოვნელნი და მსესხებელნი.

შლამივით მოდებოდნენ ქვეყანას, ვინ აღარ ერია მათში: წრფელი გულით მქადაგებელნი, მსხვერპლის მაძიებელი მწვალებლები, განხეთქილების მთესველნი. სწორედ სიღატაკის მომხრე მდაბიოთა შიშით აუმხედრდა პაპი იოანე მოხეტიალე მქადაგებლებს, შესაწირავს რომ აგროვებდნენ, პაპის თქმით კი, ცნობისმოყვარეთა ბრბოს ჭრელი ბაირაღებით იზიდავდნენ, ქადაგებდნენ და ფულს სძალავდნენ ხალხს. მართალი იყო ღვთის მგმობი და გახრწნილი პაპი, როცა სიღატაკის მქადაგებელ მამებს უკუღმართ მძარცველთა ხროვებთან აიგივებდა? იტალიის ნახევარკუნძულზე მოგზაურობამ სულ დამაბნია: გაგონილი მქონდა ალტოპაშოელ ბერთა შესახებ, რომლებიც ქადაგებისას შეჩვენებით იმუქრებოდნენ, ინდულგენციების ყიდვით ცოდვისგან განწმენდას აღუთქვამდნენ ხალხს, ფულის სანაცვლოდ ძარცვის, ძმათა კვლის, მკვლელობის, ცრუ ფიცის ცოდვათა მიტევებას ჰპირდებოდნენ, ხმას ავრცელებდნენ, რომ მათ ლაზარეთში ყოველდღიურად ასამდე წირვა სრულდებოდა, რისთვისაც შემოწირულობებს აგროვებდნენ და რომ თავიანთი ქონებით ორას ღარიბ ქალწულს ამზითვებდნენ. გაგონილი მქონდა კოჭლი ძმის – პავლეს შესახებაც, რომელიც რიეტის ტყეში განმარტოებით ცხოვრობდა და ტრაბახობდა, თავად სულიწმიდა გამომეცხადა და მითხრა, ხორციელი კავშირი ცოდვა არ არისო. ამგვარად აცდუნებდა თავის მსხვერპლთ, დებს უწოდებდა მათ და აიძულებდა, შოლტი გადაეჭირათ შიშველ ტანზე, მერე ჯვარივით ხელგაშლილნი ხუთჯერ გართხმულიყვნენ მიწაზე, რის შემდეგაც ღმერთს წარუდგენდა მათ და იმას მოითხოვდა, რასაც თავად მშვიდობის კოცნას უწოდებდა. მაგრამ მართალი იყო ეს? ან რა აკავშირებდა ამ განდეგილებს, ღვთიური სინათლით მოსილებად რომ აცხადებდნენ თავს, ღატაკი ცხოვრების მქადაგებელ ბერებთან, რომლებიც ნახევარკუნძულზე დადიოდნენ და მართლაც ინანიებდნენ? სწორედ იმიტომ სძულდა ისინი სამღვდელოებას, რომ ეკლესიის მსახურთა მანკიერებასა და წამგლეჯველობას ამათრახებდნენ.

სალვატორეს ნაამბობი ადრე გაგონილს ერთვოდა და ვეღარ ვხვდებოდი, რაში იყო განსხვავება: ყველაფერი ერთნაირი მეჩვენებოდა. ხანდახან სალვატორე იმ ტურენელ ხეიბრებს მაგონებდა, რომლებიც წმინდა მარტინის სასწაულმოქმედი ნეშტის დანახვაზე დამდუღრულებივით დაფანტულან აქეთ-იქით, თავზარდაცემულები, რომ წმინდანი განკურნავდა მათ და, ამგვარად, შემოსავლის წყაროს წაართმევდა. წმინდანსაც არ დაუნდვია ისინი, გზაში მიუწევია თავისი მადლი და განუკურნავს საპყარნი. სალვატორეს

მხეცურ სახეს ხანდახან უნაზესი ნათელი ეფინებოდა, როცა მიყვებოდა, იმ მაწანწალებთან ერთად ხეტიალის დროს როგორ მოუსმინა მასავით დევნილ ფრანცისკელ მქადაგებლებს და მიხვდა, რომ სხვაგვარად უნდა დაენახა თავისი ღატაკი და მოხეტიალე ცხოვრება: არა როგორც იძულებითი, ბედშავი ყოფა, არამედ როგორც ნებაყოფლობითი, სიხარულით სავსე არჩევანი. მაშინ შევუერთდი მომნანიეთა სექტებსა და ჯგუფებსო, მითხრა. მათ სახელებს ამახინჯებდა, მოსაზრებებს კი სრულიად გაუგებრად მიხსნიდა, რაღაცას მიედ-მოედებოდა. აქედან დავასკვენი, რომ პატარიელებსა და ვალდენსებს, შესაძლოა, კათარებს, არნალდისტებსა და ჰუმილიატებსაც შეხვედროდა, რომ ქვეყნად ხეტიალისას ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა, ამ წანწალს და მათხოვრობას თანდათან მისიად აღიქვამდა და მიაჩნდა, რომ უფლისთვის იღვწოდა იმით, რასაც მანამდე საკუთარი კუჭისთვის აკეთებდა.

მაგრამ როგორ? როდემდე იცხოვრა ასე? როგორც გავიგე, ამ მონასტერში მოსვლამდე ოცდაათიოდე წლით ადრე ტოსკანაში მინორიტთა ერთ მონასტერს შეეკედლა და იქ ჩაიცვა წმინდა ფრანცისკის ორდენის სამოსი, თუმცა ბერად არ აღკვეცილა. ვფიქრობ, ის მცირეოდენი ლათინურიც იქ ისწავლა და უსახლკაროდ ხეტიალისას ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მოსმენილ ათასგვარ კილო-თქმაში ურევდა მას, იმ მაწანწალების ენებში, რომელთაც გზად გადაჰყროდა: ჩემი თანამემამულე დაქირავებული ჯარისკაცები იქნებოდნენ თუ დალმაციელი ბოგომილები. მითხრა, მონასტერში მონანიების გზას დავადექიო (ინანქმედებდეთო – კვლავ სასოებით წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც უილიამს ასეთი ცნობისმოყვარეობა აღუძრა). თუმცა, როგორც ჩანს, ის მინორიტებიც, ვისთანაც დასახლდა, მთლად კარგად ვერ გარკვეულიყვნენ საკუთარ აზრებში: მახლობელი ეკლესიის გაუმაძღარ და მტაცებელ მღვდელზე განრისხებულებს მისი სახლი და ეკლესია დაურბევიათ, მღვდელი კი კიბიდან დაუგორებიათ. ადგილზე მომკვდარა ცოდვილი. ეპისკოპოსს შეიარაღებული ხალხი გაუგზავნია წესრიგის დასამყარებლად, ბერები დაფანტულან და ამის შემდეგ სალვატორეს დიდხანს უხეტიალია ჩრდილოეთ იტალიაში მაწანწალა ფრატიჩელებთან, იგივე მათხოვარ მინორიტებთან, ერთად, რომლებიც არანაირ წესსა და კანონს არ ცნობდნენ.

შემდეგ კი ტულუზის მხარეს შეაფარა თავი, სადაც ერთი უცნაური ამბავი გადახდა. ეს იმ დროს იყო, ჯვაროსანთა დიად საქმეებს რომ შენატროდა აღტაცებით. ერთ დღეს მწყემსები და გლეხები შეიკრიბნენ და სარწმუნოების მტრებთან შესაბრძოლებლად ზღვის გადალახვა გადაწყვიტეს. მათ პასტორელებს ეძახდნენ. სინამდვილეში ამ ხალხს თავისი დაწყევლილი მხარიდან გაქცევა სურდა. ჯგუფს ორი მეთაური ჰყავდა, რომლებმაც უბირთ ცრუ ქადაგებით დაუბინდეს გონება. ერთი მათგანი თავისი უზნეობის გამო ეკლესიისაგან განკვეთილი ღვთისმსახური იყო, მეორე კი – წმინდა ბენედიქტეს ორდენიდან განდევნილი ბერი. მათ ისე გააგიჟეს გაღატაკებული ხალხი, რომ თექვსმეტი წლის ბიჭებიც კი მშობლების ნებართვის გარეშე ტოვებდნენ სამშობლოს და უფულოდ, ბოხჩის ამარა, ნახირივით მისდევდნენ უკან ცრუ მქადაგებლებს. ასეთები ბევრნი ყოფილან. აღარც გონებას უგდებდნენ ყურს და აღარც სამართალს დაგიდევდნენ, ბრმად მისდევდნენ სხვის ძალასა და ნებას. საკუთარმა სიმრავლემ, ნანატრმა თავისუფლებამ და აღთქმული მიწის ბუნდოვანმა იმედმა დაბანგა ეს ადამიანები. გზად, სოფლებსა და ქალაქებში, ყველაფერს ისაკუთრებდნენ, და თუ რომელიმე მათგანს დააპატიმრებდნენ, ციხეს ალყაში მოაქცევდნენ და ტყვეს ათავისუფლებდნენ. მთავართა მიერ დატუსაღებული რამდენიმე თანამოძმის გასათავისუფლებლად პარიზის ციხესიმაგრეში შეიჭრნენ და ქალაქის მღვდელმთავარი, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ციხის კიბიდან გადმოაგდეს. შემდეგ კი სენ-ჟერმენის მინდორზე განლაგდნენ საბრძოლველად, მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოსვლა ვერავინ გაბედა და მათაც აკვიტანიისკენ გასწიეს, თან გზადაგზა ებრაელთა გეტოებს ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ…

რატომ ებრაელებს-მეთქი, ვკითხე სალვატორეს. რატომაც არაო, გაიკვირვა, ხალხს ხომ მუდამ ჩასჩიჩინებდნენ, ებრაელები ქრისტიანობის მტრები არიან და უკანონოდ აგროვებენ ქონებასო. კი, მაგრამ სინამდვილეში ხომ მთავრები და ეპისკოპოსები ითვისებენ სხვის ქონებას მეათედის გადასახადით, მაშასადამე, პასტორელები ნამდვილ მტრებს არ ებრძოდნენ-მეთქი. სალვატორემ მიპასუხა, როდესაც ნამდვილი მტერი ძალიან ძლიერია, კაცმა სხვა, უფრო სუსტი უნდა აირჩიოს სამტროდო. გავიფიქრე, რომ სწორედ ამიტომ ერქვათ უბრალოებს უბრალოები. მხოლოდ მან იცის ზუსტად, ვინ არის

ნამდვილი მტერი, ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთ. მთავრებს ეშინოდათ, პასტორელებს მათი ქონება არ დაეტაცებინათ და ხელს აძლევდათ, რომ პასტორელთა მეთაურებს ბრბო ებრაელების წინააღმდეგ მიემართათ.

ვკითხე, ვინ ჩააგონებდა ბრბოს, რომ ებრაელები უნდა დაერბიათ-მეთქი. აღარ ახსოვდა. როცა უამრავი ადამიანი ერთად შეიყრება დანაპირების მოლოდინში და რაღაცას ითხოვს, ვფიქრობ, შეუძლებელია ბრბოში თითოეული მათგანის ხმის გამორჩევა. მეთაურები, ალბათ, მონასტრებსა და საეპისკოპოსო სკოლებში იყვნენ აღზრდილი და დიდებულთა დარად მეტყველებდნენ, შემდეგ კი სათქმელს მდაბიოთათვის გასაგები სიტყვებით გადმოსცემდნენ. პასტორელებმა პაპის ადგილსამყოფელი არ იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ, სად ცხოვრობდნენ ებრაელები. ერთ დღეს საფრანგეთის მეფის კუთვნილ ერთ-ერთ მაღალ კოშკს შემოარტყეს ალყა, სადაც უამრავ შეშინებულ ებრაელს შეეფარებინა თავი. კოშკის ძირას თავდასაცავად გამოსული ებრაელები მამაცურად და თავდაუზოგავად იბრძოდნენ, იარაღად ქვებსა და მორებს იყენებდნენ. მაგრამ თავდამსხმელებმა კოშკის ხის კარს ცეცხლი წაუკიდეს და გამაგრებულნი კვამლსა და ცეცხლის ალში გახვიეს. ებრაელებმა წინადაუცვეთელთა ხელით ამოჟლეტას თვითმკვლელობა არჩიეს და ერთ-ერთს, სხვებზე უფრო მამაცს, სთხოვეს, ხმლით დაეხოცა საკუთარი თანამოძმენი. ისიც დათანხმდა და ხუთასამდე თანამოძმე გამოასალმა სიცოცხლეს. შემდეგ კი ბავშვებთან ერთად მოალყეებთან გამოვიდა და სთხოვა, მომნათლეთო. შენიანების სასაკლაო გამართე, ახლა კი გსურს, სიკვდილისგან თავი დაიძვრინოო? უთხრეს პასტორელებმა და იქვე აკუწეს ებრაელი. ბავშვები კი დაინდეს და მოანათვლინეს.

შემდეგ პასტორელები კარკასონისკენ დაიძრნენ. გზად ძარცვავდნენ და ჟლეტდნენ. საფრანგეთის მეფე მიხვდა, რომ ეს ადამიანები უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ და ბრძანა, ყოველ ქალაქში, სადაც გაივლიდნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის და ებრაელებსაც ისე დაეცვათ თავი, როგორც მეფის მომხრეთ…

რატომ დაიწყო მეფემ უცებ ებრაელებზე ზრუნვა? ალბათ, მიხვდა, რასაც დაატრიალებდნენ პასტორელები მთელ სამეფოში და არ უნდოდა, მეტისმეტად მომრავლებულიყვნენ. ჰოდა, ებრაელთა მიმართაც მოულბა გული, იმიტომ, რომ მათ ვაჭრობისთვის მოჰქონდათ სარგებლობა და იმიტომაც, რომ ახლა ამ მაწანწალათა ბრბოების განადგურება იყო საჭირო და ყოველი ქრისტიანი წინ უნდა აღდგომოდა ავაზაკებს. თუმცა ქრისტიანთაგან ბევრი არ დაემორჩილა მეფეს, რადგან უსამართლოდ მიაჩნდა ებრაელების – ქრისტე ღმერთის მარადიული მტრების – დაცვა. ქალაქების მცხოვრებლები, რომლებსაც მევახშე ებრაელები სისხლს სწოვდნენ, ხარობდნენ, რომ პასტორელები სიმდიდრისთვის სჯიდნენ ებრაელებს. მაშინ მეფე სიკვდილით დასჯით დაემუქრა ყველას, ვინც პასტორელებს დაეხმარებოდა. მეფემ დიდძალი ჯარი შეკრიბა, თავს დაესხა და მუსრი გაავლო პასტორელებს. ვინც ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველა თავს და ტყეს შეაფარა თავი, შიმშილით მოკვდა. ცოტა ხანში პასტორელები სრულიად გაანადგურეს. მეფის რწმუნებულმა უკანასკნელი გადარჩენილებიც დააჭერინა და ერთად ჩამოახრჩობინა ყველაზე მაღალ ხეებზე, რათა მათი გვამები სამარადისო მაგალითად დარჩენილიყო და აღარავის გაებედა სამეფოში სიმშვიდის დარღვევა.

აღსანიშნავი ისაა, რომ სალვატორე ამ ამბებს ისე მიყვებოდა, როგორც საგმირო საქმეებს. ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ პასტორელების ბრბოს ქრისტეს საფლავის ურჯულოთაგან გათავისუფლების წყურვილი ამოძრავებდა.

ასე იყო თუ ისე, სალვატორეს ურჯულოთა ქვეყნამდე ვერ მიუღწევია. მითხრა, ნოვარაში ჩავედიო, მაგრამ იქ რა მოხდა, გარკვევით აღარ უთქვამს. ბოლოს და ბოლოს, კაზალეს მიაღწია და მინორიტთა მონასტერში შევიდა ბერად (ვფიქრობ, რემიგუსსაც იქ შეხვდა) სწორედ იმ ხანებში, როდესაც ბევრი მინორიტი სამოსელს იცვლიდა და სხვა ორდენებს აფარებდა თავს, რათა სიცოცხლე კოცონზე არ დაესრულებინა. სწორედ ისე, როგორც უბერტინუსმა მოგვითხრო. სალვატორე ხელმარჯვე იყო (ხან თავისუფლების, ხანაც ქრისტეს სიყვარულით უგზოუკვლოდ ხეტიალისას, ბიწიერი განზრახვითა თუ უმანკო მიზნებით, სალვატორე ათას რამეში გაწაფულიყო) და მეკუჭნავემ უმალვე ხელქვეითად აიყვანა. ამიტომ იყო, რომ ამდენი წელი ცხოვრობდა ამ მონასტერში, ორდენის საქმიანობა არაფრად ადარდებდა, მარანსა და საკუჭნაოზე ზრუნავდა, არც ქურდობა

სჭირდებოდა დასანაყრებლად და უფალსაც კოცონზე დაწვის შიშის გარეშე ადიდებდა.

სალვატორე საუზმის დროს მომიყვა ამ ყველაფერს. ვფიქრობდი, ნეტა რა გამოიგონა და რა დამალა-მეთქი თავის მონათხრობში.

ცნობისმოყვარეობით მივჩერებოდი, თუმცა, ვგონებ, სალვატორეს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს: მისი თავგადასავალი ზუსტად ასახავდა იმ მოვლენებს, რომელთა გამოც ეგზომ მიმზიდველი და აუხსნელი იყო იმდროინდელი იტალია.

რა ჩანდა მისი მონათხრობიდან? თავგადასავლებით სავსე ცხოვრება კაცისა, რომელსაც ისე შეეძლო თავისი მსგავსის მოკვლა, რომ დანაშაულს ვერც კი გააცნობიერებდა. მაშინ ჩემთვის ღვთის კანონის ნებისმიერი დარღვევა ერთნაირი დანაშაული იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა ვწვდებოდი იმ დღეებში მონასტერში მომხდარ მოვლენებს და ვხვდებოდი, რომ ერთია აგზნებული, გონდაბინდული ბრბოს მიერ მოწყობილი სასაკლაო (ბრბოსი, რომელსაც ეშმას კანონი ღვთის სამართალში არევია) და სულ სხვაა ერთი კაცის მიერ ჩუმად, სიფრთხილით, ცივი გონებით ჩადენილი დანაშაული. არა მგონია, სალვატორეს ამგვარი ბოროტების ლაქა სცხებოდა სინდისზე.

ცნობისწადილი მკლავდა, მინდოდა გამეგო, რის თქმა უნდოდა წინამძღვარს წეღან და თან ძმა დოლჩინოს ამბით ვიყავი შეპყრობილი: თითქმის არაფერი ვიცოდი მასზე, არადა, მისი აჩრდილი გამუდმებით თან მდევდა იმ დღეებში.

ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ მივახალე სალვატორეს: – ძმა დოლჩინოს არასოდეს შეხვედრიხარ?

განცვიფრებულმა თვალები დაჭყიტა, თუკი მისი თვალების უფრო მეტად დაჭყეტა შეიძლებოდა, მრავალგზის გადაიწერა პირჯვარი, რამდენიმე სიტყვა ჩაიბურტყუნა სრულიად გაუგებარ ენაზე, თუმცა მომეჩვენა, რომ მისი ნათქვამი „არას“ ნიშნავდა. იმ წუთამდე კეთილგანწყობითა და ნდობით, მეგობრულადაც კი მიყურებდა, ამ შეკითხვის შემდეგ კი თითქოს მზერა გაუბოროტდა. მერე რაღაც მოიმიზეზა, ადგა და წავიდა.

ცნობისწადილი მკლავდა. ვინ იყო ეს დოლჩინო, შიშის ზარს რომ სცემდა ყველას, ვინც კი მის სახელს გაიგონებდა? მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. გავიფიქრე: უბერტინუსი! მან თავად ახსენა ეს სახელი პირველ საღამოს, უბერტინუსმა ყველაფერი იცოდა იმ ხანებში მინორიტების, ფრატიჩელებისა და მათ მსგავსთა ცნობილი თუ დაფარული ამბების შესახებ. სად იქნებოდა ახლა? უეჭველია, ეკლესიაში, ლოცვაში ჩაძირული. მცირეოდენი თავისუფალი დრო მქონდა და ეკლესიას მივაშურე.

უბერტინუსი ტაძარში არ დამხვდა. საღამომდე ვერსად მივაგენი მას. ასე დავრჩი საკუთარი ცნობისმოყვარეობის ამარა, ამასობაში ბევრი სხვა რამ მოხდა, რასაც ახლა მოგითხრობთ.

მეცხრე ჟამი

სადაც უილიამი ადსოს ნაირ-ნაირ მწვალებლობასა და ეკლესიაში უბრალოთა როლზე ესაუბრება, ზოგად კანონთა შეცნობადობაზე თავის ეჭვებს უზიარებს და საკმაოდ გასაგებად უხსნის, როგორ ამოხსნა ვენანციუსის დატოვებული ნეკრომანტული ნიშნები

უილიამს სამჭედლოში მივაგენი, ნიკოლოზთან ერთად მუშაობდა. ერთობ გართულიყვნენ საქმეში. მაგიდაზე შუშის პაწაწინა, მრგვალი ნაჭრები დაეწყოთ, ალბათ, ვიტრაჟების ტიხრებში ჩასამაგრებლად გაემზადებინათ. ზოგი მათგანი საგანგებო ხელსაწყოებით გაექლიბათ და გაეთხელებინათ. უილიამი სათითაოდ იღებდა შუშებს, თვალებთან მიჰქონდა და ამოწმებდა. ნიკოლოზი კი მითითებებს აძლევდა მჭედლებს ჩარჩოს დასამზადებლად, რომლის ტიხრებშიც შერჩეული შუშები უნდა ჩაესვათ.

უილიამი გაღიზიანებული იყო, ბუზღუნებდა: შუშა, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა, ზურმუხტისფერი იყო, მას კი, ასე ამბობდა, არ სურდა, პერგამენტები მდელოსფრად დაენახა. ნიკოლოზი მჭედლებს მიუბრუნდა. სანამ უილიამი თავის შუშებს დასტრიალებდა, სალვატორეს ამბავი მოვუყევი.

– მაგ კაცმა იმდენი რამ გამოიარა, – მითხრა, – შესაძლოა, მართლაც იყო დოლჩინოს ხალხთან. ეს მონასტერი შეკუმშულ სამყაროს ჰგავს. პაპ იოანეს მოციქულები და მამა მიქაელი რომ ჩამოვლენ, მაშინ მართლა სრული შემადგენლობით ვიქნებით.

– მოძღვარო, აღარაფერი მესმის.

– რა არ გესმის, ადსო?

– ჯერ ერთი, მწვალებელთა ჯგუფებს შორის განსხვავებები. მაგრამ ამაზე შემდეგ გკითხავთ. ამწუთში თვით განსხვავების საკითხი მაწუხებს. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენ ცდილობდით, უბერტინუსისთვის დაგემტკიცებინათ, რომ წმინდანებიცა და მწვალებლებიც ერთნაირები არიან. წინამძღვარს კი უხსნიდით, რა განსხვავებაა ორ მწვალებელსა და მწვალებელსა და მართლმორწმუნეს შორის. ანუ უბერტინუსს იმას საყვედურობდით, რომ არსებითად ერთნაირნი განსხვავებულად მიაჩნდა, წინამძღვარს კი იმას, რომ განსხვავებულებს მიიჩნევდა ერთნაირებად.

უილიამმა ერთი წუთით მაგიდაზე დააწყო შუშები.

– ჩემო კეთილო ადსო, – მითხრა, – ვცადოთ, განმასხვავებელი ნიშნები დავადგინოთ და პარიზის სკოლების ტერმინებიც განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. მაშ, პარიზში ამბობენ, რომ ყველა ადამიანი თავისი არსით ერთია, ასეა?

– რა თქმა უნდა, – ამაყად ვუპასუხე საკუთარი ცოდნით კმაყოფილმა, – ადამიანი ცხოველია, თუმცა რაციონალური ცხოველი და სიცილის უნარი აქვს.

– შესანიშნავია. მაგრამ თომა განსხვავდება ბონავენტურასგან, და თანაც თომა მსუქანია, ბონავენტურა კი – გამხდარი, მეტიც, ისეც კი ხდება, რომ უგუჩონე ბოროტია, ფრანცისკი – კეთილი, ალდემარუსი – გულგრილი, აგილულფუსი კი – ღვარძლიანი. არა?

– უეჭველია, ასეა.

– ამიტომაც ეს ნიშნავს, რომ ადამიანები არსით მსგავსნი არიან, გარეგანი გამოხატულებით კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

– ნამდვილად ასეა.

– მაშ, როცა უბერტინუსს ვეუბნები, რომ ადამიანის ბუნება ურთულესია და განაგებს როგორც კეთილის, ისე ბოროტის სიყვარულს, ვცდილობ, უბერტინუსი ადამიანური ბუნების ერთგვარობაში დავარწმუნო. ხოლო როდესაც წინამძღვარს ვუმტკიცებ, რომ კათარსა და ვალდენსს შორის განსხვავება არსებობს, მათ გარეგნულ გამოხატულებათა სხვადასხვაობას ვუსვამ ხაზს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგჯერ ვალდენსს კათარის ნიშნებს მიაწერენ და ამიტომ წვავენ კოცონზე. პირიქითაც ხდება. ხოლო როდესაც ადამიანს წვავენ, მისი ინდივიდუალური არსი იწვის და ამით ნადგურდება მისი არსებობა. არსებობა კი თავისთავად კეთილია, უფლისთვის მაინც, რამეთუ უფალი შთაბერავს სიცოცხლეს ყოველ სულიერს. როგორ გგონია, საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ ადამიანთა შორის განსხვავებებს გავუსვათ ხაზი?

– დიახ, მოძღვარო, – ვუპასუხე გულანთებულმა, – ვხვდები, ასე რატომ ლაპარაკობთ და ვაფასებ თქვენს ბრძნულ განსჯას!

– ეს ჩემი განსჯა არ არის, – თქვა უილიამმა, – და არც ის ვიცი, ბრძნულია თუ არა. თუმცა მნიშვნელოვანი ისაა, რომ გაიგე. მოდი, შენი მეორე შეკითხვა განვიხილოთ.

– იცით, – ვუპასუხე, – სრულიად უვარგისი მგონია თავი. ვეღარ ვხედავ გარეგნულ განსხვავებას ვალდენსებს, კათარებს, ლიონელ გლახაკებს, ჰუმილიატებს[139], ბეგინებს, პინცოკერებს[140], ლომბარდიელებს, იოაკიმელებს, პატარიელებს, მოციქულთა

მიმდევრებს, ღარიბ ლომბარდიელებს, არნალდისტებს, უილიამელებს, თავისუფალი სულის მიმდევრებსა და ლუციფერელებს შორის. რა უნდა ვქნა?

– ოჰ, საბრალო ადსო, – გაიცინა უილიამმა და ალერსიანად წამითაქა კეფაზე, – მართალი ხარ! იცი, ორ საუკუნეზე მეტია, ჩვენი სამყარო თითქოს ერთდროულად მოიცვა შეუწყნარებლობამ, იმედმა და სასოწარკვეთამ... თუმცა არა, ეს კარგად ვერ გამოხატავს იმას, რის თქმაც მინდა. წარმოიდგინე წყალუხვი, უგრძესი მდინარე, რომელიც ღრმა კალაპოტში მიედინება და ხედავ, სად არის წყალი, სად – კალაპოტი და სად – ხმელეთი. მაგრამ დგება ჟამი, როდესაც დინებით დაღლილი ზღვას უახლოვდება და მასში შთანთქმის მოლოდინში წყალი დაბლდება, კალაპოტი ირღვევა, მდინარე იშლება, იტოტება. ათასობით მცირე თუ მსხვილი ახალი კალაპოტი ათასი სხვადასხვა მიმართულებით მიიზლაზნება, ზოგი მათგანი სხვა მდინარეს შეერწყმის და ვეღარ იგებ, სად დასასრულია და სად – დასაწყისი, სად მთავრდება მდინარე, სადაა შესართავი და სად იწყება ზღვა...

– თქვენი შედარება თუ სწორად გავიგე, მდინარე ღვთის ქალაქია, ანუ მართალთა სამეფო, რომელიც ათასწლეულის დასასრულს უახლოვდება და ამ გაურკვევლობაში სიმტკიცეს კარგავს. იბადებიან ცრუ და ჭეშმარიტი წინასწარმეტყველნი და ყოველივე იმ დიდი ველისკენ მიედინება, სადაც არმაგედონი მოხდება...

– მთლად ამას არ ვგულისხმობდი. თუმცა ისიც მართალია, რომ ჩვენში, ფრანცისკელებში, მუდამ ცოცხლობს მესამე ხანისა და სულიწმიდის სასუფევლის მოახლოების რწმენა. მე უფრო ის მინდა აგიხსნა, რომ ეკლესია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მთელ საზოგადოებას, ღვთის სამწყსოს, განასახიერებდა, მეტისმეტად გამდიდრდა და გაიზარდა, თან იმ მიწებისა და ქვეყნების წიდას მოათრევს, რომლებიც გზად გამოიარა, საკუთარი სიწმინდე კი დაკარგა. შესართავის თითოეული ტოტი მდინარის მცდელობაა, რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს ზღვას, ანუ განწმენდის ჟამს. მაგრამ ჩემი ალეგორია არასრულყოფილია, ამით ის მინდოდა ამეხსნა, რომ, როდესაც მდინარე სიმტკიცესა და ერთიანობას კარგავს, მწვალებლობისა და განახლების მცდელობათა ნაკადები მრავლდება და ერთმანეთში ირევა. ჩემი უვარგისი ალეგორიის შესავსებად წარმოიდგინე ადამიანი, რომელიც შიშველი ხელებით ცდილობს კალაპოტის აღდგენას და არაფერი გამოსდის. ზოგიერთი შტო მიწით ივსება, ზოგი ხელოვნური არხებით კვლავ მდინარეს უბრუნდება, ზოგიერთიც თავის ნებაზე მიშვებული რჩება, რადგან ყველაფრის შეჩერება შეუძლებელია. მდინარემ თავისი წყლის ნაწილი უნდა დაკარგოს, თუ მთლიანობისა და დინების ერთიანი, გამოკვეთილი კალაპოტის შენარჩუნება სურს.

– ახლა სულ აღარ მესმის.

– არც მე. ქარაგმებით ლაპარაკი არ მეხერხება. დაივიწყე მდინარის მაგალითი. ჯობს, იმაზე დაფიქრდე, რომ იმ მოძრაობებიდან, შენ რომ ჩამოთვალე, ზოგი სულ ცოტა ორასი წლის წინ აღმოცენდა და უკვე აღარ არსებობს, სხვები უფრო ახალია...

– კი, მაგრამ მწვალებლებზე ლაპარაკისას ყველას ერთად ახსენებენ.

– მართალია, და ეს ხერხი სწორედ ერთ-ერთია იმათგან, რომელთა მეშვეობითაც ვრცელდება მწვალებლობა და რომელთა მეშვეობითაც მას ანადგურებენ.

– ისევ არ მესმის.

– ღმერთო ჩემო, რა ძნელია ამის ახსნა. კარგი. წარმოიდგინე, რომ ზნე-ჩვეულებათა რეფორმატორი ხარ და რამდენიმე თანამოაზრე შემოიკრიბე, რათა მთის წვერზე დასახლდეთ და სიღატაკის წესი დაიცვათ. ცოტა ხანში კი ხედავ, რომ შენთან უამრავი ადამიანი მოდის, შორიდანაც მოდიან, ახალ წინასწარმეტყველს, მოციქულს გიწოდებენ, გბაძავენ. როგორ გგონია, მართლა შენ გეძებენ? შენი ქადაგება სწყურიათ?

– არ ვიცი, იმედი მაქვს. აბა სხვა რა მიზეზი უნდა იყოს?

– მიზეზი ისაა, რომ მამათაგან გაუგონიათ სხვა რეფორმატორთა შესახებ, ლეგენდები სმენიათ მეტ-ნაკლებად სრულყოფილ ერთობებზე და ჩვენიც ასეთი ჰგონიათ.

– ესე იგი, თითოეული მოძრაობა სხვის შვილებს იღებს მემკვიდრეობად.

– ნამდვილად ასეა, რადგან მათ უმეტესად უბრალოები უერთდებიან, რომლებიც მოძღვრების წვრილმანებში ვერ ერკვევიან. თუმცა რეფორმისტული მოძრაობები სხვადასხვა ადგილებში აღმოცენდება და განსხვავებულ მოძღვრებას ქადაგებს. მაგალითად, ხალხს ხშირად ეშლება ერთმანეთში კათარები და ვალდენსები. მათ შორის კი დიდი სხვაობაა. ვალდენსები არსებული ეკლესიის რეფორმირების იდეას ამკვიდრებდნენ, კათარები კი განსხვავებული ეკლესიის, ღმერთისა და ზნეობის განსხვავებულ ხედვას ქადაგებდნენ. კათარები ფიქრობდნენ, რომ სამყარო დაპირისპირებულ, ბოროტ და კეთილ ძალებად იყო გაყოფილი, ჩამოაყალიბეს ეკლესია, სადაც სრულყოფილებს უბრალო მორწმუნეებისაგან განასხვავებდნენ და საკუთარი სიწმინდეები და წესებიც ჰქონდათ. კათარებს ძალიან მკაცრი იერარქია ჰქონდათ, თითქმის ჩვენს წმინდა დედაეკლესიაში არსებული იერარქიის მსგავსი, და სულაც არ აპირებდნენ ძალაუფლების ყველა ფორმის განადგურებას. მიხვდები, რატომაც მიემხრნენ კათარებს ძალაუფლებისა და ქონების მქონენი, ფეოდალები. ისინი არც სამყაროს შეცვლაზე ფიქრობდნენ, რადგან, მათი აზრით, ბოროტსა და კეთილს შორის დაპირისპირება არასოდეს დასრულდება. ვალდენსებს კი (და მათთან ერთად არნალდისტებს და ღარიბ ლომბარდიელებს) სიღატაკის იდეალზე დამყარებული განსხვავებული სამყაროს აშენება სურდათ, ამიტომაც იღებდნენ უქონელთ და გაჭირვებულთ, ერთად ცხოვრობდნენ, საკუთარი შრომით შექმნილითა და მოწეულით საზრდოობდნენ. კათარები უარს ამბობდნენ ეკლესიის საიდუმლოებებზე, ვალდენსები კი არა, ისინი მხოლოდ ხმამაღლა გამოთქმული აღსარების წინააღმდეგნი იყვნენ.

– მაშ რატომ ურევენ მათ ერთმანეთში და ყველაზე, როგორც ერთსა და იმავე სარეველაზე, ისე ლაპარაკობენ?

– ეს უკვე გითხარი. მათ ერთი რამ ასულდგმულებს და კლავს. მათი რიგები სხვა მოძრაობათა მიერ წაქეზებულ უბრალოთა ხარჯზე იზრდება, რომელთაც მხოლოდ აჯანყების წადილი და იმედი ამოძრავებთ. ამ მოძრაობებს კი ინკვიზიტორები ანადგურებენ, რომლებიც ერთთა შეცდომებს მეორეთ მიაწერენ და, თუ რომელიმე სექტის წევრებმა დანაშაული ჩაიდინეს, ეს დანაშაული თითოეული მოძრაობის თითოეულ წევრს დაედება ბრალად. ინკვიზიტორები უგუნურად იქცევიან, რადგან ურთიერთსაწინააღმდეგო მოძღვრებებს აერთიანებენ; ისინი იმდენად არიან მართალნი, რამდენადაც სხვები ცდებიან, რადგან, როგორც კი რომელიმე ქალაქში რომელიმე, მაგალითად არნალდისტთა, მოძრაობა აღმოცენდება, მას ისინიც უერთდებიან, ვინც ადრე ვალდენსი ან კათარი იყო ან იქნებოდა. ძმა დოლჩინოს მოციქულები ეკლესიის მსახურთა და დიდებულთა ფიზიკურ განადგურებას ქადაგებდნენ და ბევრი ძალადობაც ჩაიდინეს. ვალდენსები ძალადობის წინააღმდეგნი იყვნენ ისევე, როგორც ფრატიჩელები. თუმცა დარწმუნებული ვარ, ძმა დოლჩინოს ბევრი ისეთი შეუერთდა, ვისაც მანამდე ვალდენსთა ან ფრატიჩელთა ქადაგებები ჰქონდა მოსმენილი. უბრალოებს არ ძალუძთ საკუთარი მწვალებლობის თავად არჩევა, ადსო, ისინი იმას ეტანებიან, ვინც მათ მხარეში, მათ სოფელში, მათ მოედანზე იქადაგებს. სწორედ ამას იყენებენ მათი მტრები. დაანახვო ხალხს მწვალებლობა, რომელიც, შეიძლება, ერთდროულად სექსუალური სიამოვნების უარყოფისკენ მოუწოდებდეს მათ და ხორციელ კავშირსაც არ გმობდეს, ქადაგებისთვის მშვენიერი საშუალებაა, რადგან ეს ერეტიკოსებს ეშმაკისეული წინააღმდეგობების ერთიან ხლართად წარმოაჩენს, იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც საღ აზრს შეურაცხყოფს.

– მაშ, ამ მწვალებლობათა შორის კავშირი არ არსებობს და მხოლოდ ეშმაკის ხრიკების შედეგია, რომ უბრალო, რომელსაც იოაკიმელი ან სპირიტუალისტი სურდა ყოფილიყო, კათართა ხელში აღმოჩნდება და პირიქით?

– არა, ასე არაა. ვცადოთ, თავიდან დავიწყოთ, ადსო. დამიჯერე, ისეთი რამის ახსნას ვცდილობ შენთვის, რაშიც თავადაც არ ვარ დარწმუნებული. შეცდომა იქნება, ვიფიქროთ, რომ მწვალებლობა განყენებულად არსებობს და უბრალოები მას მისდევენ (ანუ მისით იწყმედენ სულს). სინამდვილეში მწვალებლობა უბრალოთა მდგომარეობას მოსდევს.

– ეგ როგორ?

– კარგად იცნობ ღვთის სამწყსოს ბუნებას. ეს კეთილი და ბოროტი ცხვრების დიდი ფარაა, რომელსაც, როგორც ძაღლები, ისე სდარაჯობენ მეომრები, ანუ ამქვეყნიური ძალაუფლება – იმპერატორები და ბატონები – მწყემსების, ანუ ეკლესიის მსახურთა, ღვთის სიტყვის განმმარტებელთა, ხელმძღვანელობით. ეს მარტივი სურათია.

– მაგრამ სწორი არ არის. მწყემსები ძაღლებს ეჩხუბებიან, რადგან ერთმანეთის უფლებებში იჭრებიან.

– მართალია, და სწორედ ამის გამოა გაურკვეველი, როგორია ფარა. ერთმანეთთან ძიძგილაობით დაკავებული მწყემსები და ძაღლები აღარ ზრუნავენ ფარაზე, და ცხვრების ნაწილი გარეთ რჩება.

– როგორ გარეთ?

– განზე რჩება. გლეხები გლეხები არ არიან, რადგან მიწა არ აქვთ, ან ის, რაც აქვთ, მათ არ კვებავს. მოქალაქეები მოქალაქეები არ არიან, იმიტომ რომ არც ამქარს და არც რაიმე სხვა გაერთიანებას არ მიეკუთვნებიან, უმნიშვნელო ხალხია, ნებისმიერის საკბილო. სოფლად კეთროვანთა ჯგუფები თუ გინახავს?

– კი, ერთხელ, ასიოდე ვნახე ერთად. დამახინჯებულნი, ნახევრად გახრწნილი და გათეთრებული სხეულებით, ყავარჯნებით, დასიებული ქუთუთოებითა და ჩასისხლიანებული თვალებით, ვეღარც ყვიროდნენ და ვეღარც ლაპარაკობდნენ, თაგვებივით წრიპინებდნენ.

– ქრისტიანთათვის ისინი სხვანი არიან, ფარიდან გარიყულნი. ფარას სძულს ისინი, მათ კი ფარა სძულთ. სურთ, ყველანი თავიანთ მსგავსად მომაკვდავნი, ყველანი კეთროვანნი გვიხილონ.

– დიახ, მახსოვს ერთი ამბავი მეფე მარკის შესახებ. მას მშვენიერი იზოლდა კოცონზე უნდა დაეწვა. ამ დროს კეთროვნები მოვიდნენ და მეფეს უთხრეს, კოცონი საკმარისი სასჯელი არაა, მასზე უარესიც არსებობსო. ყვიროდნენ: მოგვეცი იზოლდა, რათა ყველა ჩვენგანის საკუთრებად იქცეს; სენი აღაგზნებს ჩვენს სურვილებს; ჩვენი სახვევები დაჩირქებულ იარებს ეწებება, ის, ვინც შენ გვერდით ფარჩა-აბრეშუმსა და სამკაულში ნებივრობდა, როცა ჩვენს ზღურბლს გადმოვა და ჩვენთან გაიზიარებს სარეცელს, მაშინ შეიცნობს ნამდვილად თავის ცოდვას და სანატრელი გაუხდება მაყვლის ტოტებით აგიზგიზებული ეს მშვენიერი კოცონიო!

– როგორც ვხედავ, წმინდა ბენედიქტეს ორდენის მორჩილის კვალობაზე უცნაური წიგნები გიკითხავს, – წარმოთქვა უილიამმა. მე გავწითლდი, რადგან ვიცოდი, რომ მორჩილმა სასიყვარულო ამბები არ უნდა იკითხოს, მაგრამ მელქის მონასტრის ახალგაზრდებს გვქონდა ასეთი წიგნები და მათ ღამღამობით სანთლის შუქზე ვკითხულობდით. – თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს, – განაგრძო უილიამმა, – მიხვდი, რის თქმაც მინდოდა. საზოგადოებიდან გარიყულ კეთროვნებს სურთ, ყველანი ჩაითრიონ თავიანთ უფსკრულში. ისინი მით უფრო გაბოროტდებიან, რაც უფრო გარიყავ და განდევნი. და რაც უფრო მეტად წარმოიდგენ მათ შენი დაღუპვის მსურველ ლემურთა[141] ხროვად, მით უფრო გაირიყებიან. წმინდა ფრანცისკი მიხვდა ამას და მისი პირველი გადაწყვეტილება კეთროვნებთან დასახლება იყო. ღვთის სამწყსო ისე არ შეიცვლება, თუ განდევნილნი და გარიყულნი მის წიაღში არ დაბრუნდებიან.

– მაგრამ თქვენ სხვა გარიყულებზე ლაპარაკობდით. მწვალებლურ მოძრაობებს კეთროვნები არ ქმნიან.

– ფარა ერთი ცენტრის მქონე წრეწირთა რიგს წააგავს, და მისი ცენტრი ძალიანაა დაშორებული კიდისაგან. კეთროვანი ზოგადად გარიყულობის ნიშანია და წმინდა ფრანცისკი მიხვდა ამას. მას მხოლოდ კეთროვანთა დახმარება როდი სურდა, ასეთ შემთხვევაში მისი საქციელი კაცთმოყვარეობის უსუსურ გამოხატულებად იქცეოდა. მას სხვა რამ ეწადა. გსმენია ფრინველებისთვის ქადაგების შესახებ?

– ოჰ, დიახ, გამიგონია ეს მშვენიერი ამბავი და აღვფრთოვანდი წმინდანით, რომელიც

ღმერთის ამ ნაზ ქმნილებებთან ურთიერთობით ტკბებოდა, – ვუპასუხე მგზნებარედ.

– ჰოდა, არასწორად მოუყოლიათ. უფრო სწორად, ორდენი ახლა ცდილობს, გაარკვიოს, სინამდვილეში როგორ მოხდა ეს ამბავი. როცა ფრანცისკი ქალაქის მოსახლეობასა და მოსამართლეებს დაელაპარაკა და დაინახა, რომ მისი არ ესმოდათ, სასაფლაოს მიაშურა და ყვავებს, კაჭკაჭებს, ქორებს – ლეშისმჭამელ მტაცებელ ფრინველებს უქადაგა თურმე.

– რა საშინელებაა, – ვთქვი, – მაშ, ეს სათნო ფრინველები არ ყოფილან!

– კეთროვანთა მსგავსად გარიყული მტაცებელი ფრინველები იყვნენ. უეჭველია, ფრანცისკი „გამოცხადების“ იმ სტრიქონებზე ფიქრობდა, სადაც ნათქვამია: „და ვიხილე ანგელოზი, მდგომარე მზესა ზედა, და ეტყოდა ყოველთა მფრინველთა, მფრინვალეთა ცათა შინა: მოვედით და შემოკერბით სერსა მას დიდისა ღმრთისასა, რაითა სჭამნეთ ხორცნი ათასი-თავთანი და ხორცნი ძლიერთანი და ხორცნი ცხენთანი და მათ ზედა მსხდომარეთანი და ხორცნი ყოველთა აზნაურთა და მონათა და მცირეთა და დიდთანი!“

– ანუ ფრანცისკს გარიყულთა წაქეზება სურდა აჯანყებისკენ?

– არა, ეს უფრო დოლჩინოსა და მის მიმდევართა საქმე იყო. ფრანცისკს აჯანყებისთვის გამზადებულ გარიყულთა უკან მოხმობა და მათი ღვთის სამწყსოს წიაღში დაბრუნება სურდა. ასე იყო საჭირო ფარის კვლავ გასაერთიანებლად. ფრანცისკმა ეს ვერ შეძლო, სამწუხაროდ. გარიყულთა დასაბრუნებლად მას ეკლესიის შიგნით უნდა ემოქმედა, ამისთვის კი თავისი წესდების აღიარებისთვის უნდა მიეღწია. აქედან ორდენი აიღებდა დასაბამს, ორდენი კი, რომელიც აღმოცენდა კიდეც, გაამთლიანებდა იმ რკალს, რომლის მიღმაც გარიყულნი იმყოფებიან. ახლა ხვდები, რატომ ცდილობენ კვლავაც ფრატიჩელებისა და იოაკიმელთა ჯგუფები, გარიყულები შემოიკრიბონ გარშემო?

– მაგრამ ფრანცისკზე კი არ ვლაპარაკობდით, არამედ იმაზე, რომ მწვალებლობა უბრალოთა და გარიყულთა არსებობის შედეგია.

– დიახ, ცხვრის ფარიდან გარიყულთა შესახებ ვლაპარაკობდით. საუკუნეთა განმავლობაში, სანამ პაპი და იმპერატორი ძალაუფლებისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს, ისინი განცალკევებით ცხოვრობდნენ, ნამდვილი კეთროვნები იყვნენ. კეთროვანი მხოლოდ მათი ხატია, ღმერთის მიერ შექმნილი, რათა ამ გასაოცარ იგავს ჩავწვდეთ და სიტყვა „კეთროვანში“ „გარიყულნი, უბრალონი, ღარიბნი, უპოვარნი, სოფლიდან გარეკილნი, ქალაქად დამცირებულნი“ ვიგულისხმოთ. ჩვენ ეს ვერ გავიგეთ და კეთრის საიდუმლო კვლავაც აკვიატებულად გვაწვალებს, რადგან მისი ნიშნის რაობა ვერ ამოვიცანით. ფარიდან გარიყული ადამიანები მუდამ მზად იყვნენ, ნებისმიერი ქადაგება ესმინათ, რომელიც ქრისტეს სიტყვას დაიმოწმებდა, ძაღლებსა და მწყემსებს დაადანაშაულებდა და მათ დასჯას დაჰპირდებოდა გარიყულთ. ძალაუფლების მქონეთ ეს ყოველთვის კარგად იცოდნენ. ესმოდათ, რომ გარიყულთა დაბრუნება საზოგადოებაში მათ პრივილეგიებს შეზღუდავდა, ამიტომაც გარიყულები, რომლებიც საკუთარ გარიყულობას აცნობიერებდნენ, მწვალებლებად უნდა შერაცხილიყვნენ, რწმენის მიუხედავად. საკუთარი დაჩაგრულობით გამწარებულ გარიყულებს კი არც ერთი მოძღვრება არ აინტერესებდათ. მწვალებლობის ილუზია სწორედ ესაა. მნიშვნელობა არ აქვს, რა რწმენას სთავაზობს ესა თუ ის მოძრაობა ადამიანებს, მთავარია იმედი, რომელსაც ის მათ უსახავს. მწვალებლობას თუ კარგად გაქექავ, კეთროვანს მიადგები. მწვალებლობის წინააღმდეგ ყოველი ბრძოლა ერთ მიზანს ისახავს: რომ კეთროვანი კეთროვნად დარჩეს. თავად კეთროვნებს რაც შეეხება, აბა მათ რა უნდა მოსთხოვო? რომ სამების არსსა და ევქარისტიის განსაზღვრაში გარკვევა შეძლონ? კარგი რა, ადსო, ეს საჩვენო, სწავლულთა შესაფერი თავშესაქცევია. უბრალოებს სულ სხვა საზრუნავი აქვთ და მისი მოგვარების მცდელობაში შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ჰოდა, მწვალებლები ხდებიან.

– მაგრამ რატომ ემხრობა მათ ზოგიერთი?

– იმიტომ, რომ საკუთარი ინტერესებისთვის სჭირდებათ ისინი, ეს ინტერესები კი იშვიათად უკავშირდება რწმენას და როგორც წესი, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ემსახურება.

– ამიტომაა, რომ რომის ეკლესია თავის ყველა მოწინააღმდეგეს მწვალებლობაში სდებს ბრალს?

– სწორედ ამიტომ. და ამავე მიზეზით აღიარებს მართლმორწმუნეობად იმ მწვალებლობას, რომელიც შეუძლია თავად აკონტროლოს, ან რომელსაც უნდა შეეგუოს, რადგან უკვე მეტისმეტად ძლიერია. თუმცა დადგენილი წესი არ არსებობს და ეს მეფეებსა და ქალაქებსაც ეხება. დიდი ხნის წინათ კრემონაში იმპერიის ერთგულნი კათარებს დაეხმარნენ, მაგრამ რწმენის გამო კი არა, მხოლოდ იმიტომ, რომ რომის ეკლესიისთვის თავსატეხი გაეჩინათ. ზოგჯერ ქალაქის ხელმძღვანელობა აგულიანებს მწვალებლებს, რადგან ისინი ხალხურ ენაზე თარგმნიან სახარებას: ხალხური უკვე ქალაქების ენაა, ლათინური კი – რომისა და მონასტრების. ან კიდევ ვალდენსებს უჭერენ მხარს, რადგან ისინი ამტკიცებენ, რომ ყველას – ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას შეუძლია ქადაგება და სწავლება. და ამგვარად სპობენ იმას, რაც განასხვავებს და შეუცვლელს ხდის სასულიერო პირს!

– მაშინ რატომ ხდება, რომ შემდეგ ქალაქთა მმართველნი თავად ებრძვიან მწვალებლებს და ეკლესიას უბამენ მხარს კოცონზე მათ დასაწვავად?

– ხვდებიან, რომ მწვალებლები ხალხურ ენაზე მოლაპარაკე საერო პირთა მდგომარეობასაც უქმნიან საფრთხეს. ორასი წლის წინ ერთ საეკლესიო კრებაზე დადგინდა, რომ არ შეიძლებოდა უბირი და უწიგნური ვალდენსებისთვის ნდობის გამოცხადება. თუ სწორად მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ ითქვა, მართალია, უსახლკაროდ, ფეხშიშველნი დაიარებიან, არაფერი აბადიათ, ყველაფერი საერთო აქვთ და ასე დედიშობილა მისდევენ შიშველ ქრისტეს, მაგრამ ზედმეტი გასაქანი თუ მიეცათ, ყველას შეავიწროებენო. ამიტომაც იყო, რომ ქალაქებმა მოხეტიალეთა ორდენებს, განსაკუთრებით კი ჩვენს ორდენს, მიანიჭეს უპირატესობა: ჩვენთვის დასაშვები იყო მონანიების მოთხოვნილებასა და ქალაქურ ცხოვრებას, ეკლესიასა და ქალაქის ვაჭართა შორის ჰარმონიული თანაარსებობა...

– მაშ, ღვთის სიყვარულსა და ვაჭრობის სიყვარულს შორის ჰარმონია მიღწეულია?

– არა, სულიერი განახლების მოძრაობები შეფერხდა და პაპის მიერ აღიარებული ერთი ორდენის ფარგლებში მოექცა. თუმცა ის, რაც სიღრმეში დუღდა, კვლავ გარეთ დარჩა და ერთი მხრივ, ყოვლად უწყინარ თვითგვემის მიმდევართა მოძრაობებად ჩამოყალიბდა, მეორე მხრივ – შეიარაღებულ ბანდებად, როგორიც დოლჩინოს ჰყავდა, ან იმის მსგავს ჯადოქრულ რიტუალებად, მონტეფალკოელი ბერები რომ მისდევდნენ, ვისზეც უბერტინუსი ლაპარაკობდა...

– მაშ, ვინ იყო მართალი, ვინაა მართალი, ვინ შეცდა? – ვკითხე დაბნეულმა.

– ყველა თავისებურად მართალი იყო და ყველა შეცდა.

– მაგრამ თქვენ, – შევყვირე აღშფოთებულმა, – რატომ არ გამოხატავთ თქვენს თვალსაზრისს, რატომ არ მეუბნებით, სად არის ჭეშმარიტება?

უილიამი დადუმდა, შუშა აიღო, რომელსაც ქლიბავდა და სინათლეზე გახედა. შემდეგ შუშა მაგიდისკენ დახარა, მასში ჩამახედა და ქლიბზე მიმითითა: – შეხედე, – მითხრა, – რას ხედავ?

– ქლიბს, ცოტათი გადიდებულს.

– ჰო, ერთადერთი რაც შეგიძლია, ისაა, უკეთ შეხედო.

– მაგრამ ეს იგივე ქლიბია!

– ვენანციუსის ხელნაწერიც იგივე იქნება, როდესაც ამ გამადიდებელი შუშის მეშვეობით მის წაკითხვას შევძლებ. მაგრამ მისი წაკითხვის შემდეგ, ალბათ, უკეთ მეცოდინება ჭეშმარიტების ერთი ნაწილი და იქნებ მონასტერში ცხოვრების გაუმჯობესება შევძლოთ.

– მაგრამ ეს არ კმარა!

– უფრო მეტს გეუბნები, ვიდრე გგონია, ადსო. პირველად არ გიხსენებ როჯერ ბეკონს. შესაძლოა, ის ყველა დროის უდიდესი ბრძენი არ ყოფილა, მაგრამ მუდამ მხიბლავდა იმედი, ცოდნისადმი მის სიყვარულს რომ ასაზრდოებდა. ბეკონს უბრალოთა ძალის, მოთხოვნილებათა და სულიერი აღმოჩენების რწმენა ჰქონდა. კარგი ფრანცისკელი ვერ იქნებოდა, რომ არ ეფიქრა, რომ ღარიბები, უქონელნი, უბირები და უწიგნურები ხშირად ჩვენი უფლის პირით მეტყველებენ. ფრატიჩელების უფრო ახლოს გაცნობა რომ შეძლებოდა, მათ მეტ ყურადღებას მიაპყრობდა, ვიდრე ორდენის ადგილობრივ მმართველთ. უბრალოებს რაღაც ისეთი აქვთ, რაც სწავლულთ არ გააჩნიათ, მეცნიერნი ხომ ხშირად ზოგადი წესების ძიებაში იკარგებიან. უბრალოებს საკუთარი გუმანი აქვთ, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა. უბრალოები გრძნობენ საკუთარ, შესაძლოა, ეკლესიის მასწავლებელთა ჭეშმარიტებაზე უფრო ნამდვილ ჭეშმარიტებას, მაგრამ გაუაზრებლად ფლანგავენ მას. რა უნდა ვქნათ? ცოდნას ვაზიაროთ ისინი? ეს მეტისმეტად მარტივია ან მეტისმეტად რთული. თანაც რომელი მეცნიერება? ჩვენი მასპინძლის ბიბლიოთეკაში რომაა დაცული? ფრანცისკელმა მასწავლებლებმაც წამოჭრეს ეს საკითხი. დიდი ბონავენტურა ამბობდა, რომ ბრძენკაცებმა უბრალოთა ქმედებებში ნაგულისხმევი ჭეშმარიტება არსობრივ სიცხადემდე უნდა მიიყვანონ…

– პერუჯის კრებისა და განსწავლული უბერტინუსის მსგავსად, რომლებიც თეოლოგიურ დადგენილებებად აქცევენ სიღატაკისკენ უბრალოთა მოწოდებებს, – ვთქვი მე.

– დიახ, მაგრამ როგორც ნახე, ეს დაგვიანებით ხდება და, როდესაც ხდება, უბრალოთა ჭეშმარიტება უკვე ძლევამოსილთა ჭეშმარიტებადაა გარდაქმნილი, რომელიც იმპერატორ ლუდვიგს უფრო ესადაგება, ვიდრე ღატაკი ცხოვრების წესის მიმდევარ ბერს. როგორ უნდა მოახერხო, რომ უბრალოთა გვერდით დარჩე და ამავე დროს შეინარჩუნო მათი ყოფის ქმედითი ღირსება, სამყაროს გარდაქმნისა და გაუმჯობესებისკენ მიმართული მათი უნარი? ეს იყო ბეკონის თავსატეხი: Quod enim laicali ruditate turgescit non habet effectum nisi fortuito: უბრალოთა უცოდინარობას მხოლოდ შემთხვევითი შედეგები მოჰყვება. Sed opera sapientiae certa lege vallantur et in finem debitum eficaciter diriguntur“[142]: ის ფიქრობდა, რომ ბუნების ახალი მეცნიერება სწავლულთა ახალი დიადი წამოწყება უნდა ყოფილიყო, რომელიც ბუნებრივ პროცესთა ახლებური შეცნობით თავს მოუყრიდა იმ ელემენტარულ საჭიროებებს, რომლებიც უბრალოთა იმედების მოუწესრიგებელი და ამავე დროს ნამდვილი და სწორი გამოხატულება იყო. ერთია, რომ, ბეკონის აზრით, ეს წამოწყება ეკლესიას უნდა ემართა და ვფიქრობ, ასე იმიტომ ამბობდა, რომ მის დროში სასულიერო პირი და განათლებული ადამიანი ერთი და იგივე იყო. დღეს ასე აღარ არის, სწავლულები მონასტრების, საკათედრო ტაძრებისა და უნივერსიტეტების კედლების გარეთაც ყალიბდებიან. თუნდაც ეს ქვეყანა აიღე: აქ ჩვენი საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი ბერი კი არა, საერო პირი იყო. იმ ფლორენციელზე გეუბნები, ვისი პოემის შესახებაც უეჭველად გსმენია და რომელიც არასოდეს წამიკითხავს, რადგან მისი ხალხური ენა არ ვიცი. თან, რამდენადაც მესმის, დიდად არ მომეწონებოდა, რადგან ჩვენს ცხოვრებასთან კავშირი არ აქვს. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი სიბრძნე დაწერა, რაც კი ადამიანმა სტიქიათა ბუნების, მთლიანად სამყაროსა და სახელმწიფოთა მართვის შესახებ შეიძლება შეიტყოს. ისიც (ისევე, როგორც მე და ჩემი მეგობრები) თვლის, რომ ადამიანურ საქმეთა მართვის მიზნით კანონწარმოება ეკლესიის კი არა, სახალხო კრების ამოცანაა. ასევე იქნება მომავალში სწავლულთა ამოცანა, ადამიანთა უახლეს ცოდნას, ანუ ბუნების ფილოსოფიასა და კეთილ მაგიას, მიაპყროს ყურადღება.

– მშვენიერი რამეა, – ვუთხარი, – მაგრამ ეს შესაძლებელია?

– ბეკონს სწამდა ამის.

– თქვენ?

– მეც მწამდა. მაგრამ ამის რომ გვწამდეს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უბრალოები მართლები არიან, რადგან ინდივიდუალური ალღო აქვთ – ერთადერთი სასარგებლო უნარი. მაგრამ, თუ ალღოთაგან მხოლოდ ინდივიდუალური გუმანია სასარგებლო, როგორ შეძლებს მეცნიერება უნივერსალურ კანონთა ჩამოყალიბებას, რომელთა მეშვეობითა და განმარტებით კეთილი მაგია ქმედითად იქცევა?

– მართლაც, როგორ შეძლებს?

– უკვე აღარ ვიცი. ოქსფორდში იმდენი მიკამათია ჩემს მეგობარ უილიამ ოკამთან, რომელიც ახლა ავინიონშია. სული ეჭვებით ამივსო. რადგან, თუ დავუშვებთ, რომ მხოლოდ ინდივიდუალური ალღოა სწორი, მაშინ ძნელი დასამტკიცებელია, რომ ერთნაირი მიზეზები ერთნაირ შედეგებს იწვევს. ერთი და იგივე სხეული შეიძლება იყოს ცხელი ან ცივი, ტკბილი ან მწარე, ნოტიო ან მშრალი, ამ და არა რომელიმე სხვა ადგილას. როგორ შემიძლია იმ უნივერსალური კავშირის აღმოჩენა, რომელიც საგნებს აწესრიგებს, თუკი თითის უბრალო მოძრაობითაც კი ათას ახალ რამეს ვქმნი, რადგან თითის მოძრაობით იცვლება ურთიერთმიმართება ჩემს თითსა და ყველა სხვა საგანს შორის? ურთიერთმიმართება ის ხერხია, რომლითაც ჩემი გონება ცალკეულ არსებათა შორის ურთიერთობებს სწვდება, მაგრამ რა ვიცი, რომ ეს ხერხი უნივერსალური და სტაბილურია?

– მაგრამ თქვენ იცით, რომ შუშის გარკვეულ სისქეს ხედვის გარკვეული ხარისხი შეესაბამება და ამ ცოდნის წყალობით ახლა შეგიძლიათ დაკარგულის მსგავსი გამადიდებელი შუშები შექმნათ. ცოდნის გარეშე ამას ხომ ვერ შეძლებდით?

– გამჭრიახი პასუხია, ადსო. მართლაც, მივხვდი, რომ გარკვეულ სისქეს ხედვის გარკვეული ხარისხი შეესაბამება. ამას იმიტომ ვასკვნი, რომ სხვა შემთხვევებში მსგავსი დასკვნა მიკარნახა საკუთარმა ალღომ. ცხადია, მისთვის, ვინც ბალახთა სამკურნალო თვისებებს იკვლევს, ცნობილია, რომ ერთი და იმავე სახის მცენარე ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებზე ერთი და იმავე სახის გავლენას ახდენს. ამიტომაც მკვლევარი ვარაუდობს, რომ ამა და ამ სახის მცენარე სიცხის დამწევია, ან რომ ამა და ამ სახის შუშა თანაბრად ზრდის მხედველობის უნარს. მეცნიერება, რომელზეც ბეკონი ლაპარაკობდა, უეჭველად ამ ვარაუდებს ეხება. დაუკვირდი, მე საგანთა შესახებ ვარაუდებზე ვლაპარაკობ და არა თვით საგნებზე. მეცნიერება ვარაუდებს გამოთქვამს და მათ განმსაზღვრელ ტერმინებს ადგენს, ტერმინები კი ცალკეულ საგნებს აღნიშნავს. ხომ გესმის, ადსო, მე უნდა მჯეროდეს, რომ ჩემი ვარაუდი სწორია, რადგან ის გამოცდილების საფუძველზე მივიღე. მაგრამ ეს რომ დავიჯერო, უნდა ვიგულისხმო, რომ არსებობს უნივერსალური კანონები, ამის შესახებ კი ვერაფერს ვამბობ, რადგან უნივერსალურ კანონთა და სამყაროში განსაზღვრული წესრიგის არსებობის იდეა თვითონ გულისხმობს, რომ ღმერთი მის ტყვეობაშია მოქცეული. ღმერთი კი იმდენად თავისუფალია, რომ, თუ მოინდომებდა, მხოლოდ მისი ნება იკმარებდა, რომ სამყარო სულ სხვაგვარი გამხდარიყო.

– მაშ, თუ კარგად გავიგე, თქვენ აკეთებთ და იცით, რატომ აკეთებთ, მაგრამ არ იცით, თუ რატომ იცით, რომ იცით ის, რასაც აკეთებთ?

სიამაყით ვამბობ, რომ უილიამმა აღტაცებით შემომხედა: – შეიძლება ასეა. ყოველ შემთხვევაში, ახლა ხვდები, რატომ მეპარება ასე ეჭვი საკუთარ სიმართლეში, თუმცა კი მწამს მისი.

– უბერტინუსზე უფრო მისტიკოსი ხართ! – გამეცინა.

– ალბათ. მაგრამ მე ბუნების საკითხებზე ვმუშაობ. ამ საქმეშიც, ჩვენ რომ ვიძიებთ, იმის გარკვევა კი არ მაინტერესებს, ვინაა კეთილი ან ვინ – ბოროტი, არამედ იმისი, ვინ იყო სკრიპტორიუმში გუშინ საღამოს, ვინ წაიღო შუშები, ვინ დატოვა თოვლზე კვალი სხეულისა, რომელიც მეორე სხეულს მიათრევს, და სად არის ბერენგარიუსი. ეს ფაქტებია. შემდეგ ვეცდები, ისინი ერთმანეთს დავუკავშირო, თუკი ეს შესაძლებელი იქნება, რადგან ძნელი სათქმელია, რომელი შედეგი რა მიზეზითაა გამოწვეული. ანგელოზის ჩარევა კმარა, ყველაფერი რომ შეიცვალოს, ამიტომაც რა გასაკვირია, თუკი შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ ერთი მოვლენა მეორის მიზეზია. თუმცა ცდა ყოველთვის აუცილებელია და სწორედ ამას ვაკეთებ.

– რა რთული ცხოვრება გაქვთ, – ვუთხარი.

– მაგრამ წაბლა ვიპოვე! – შესძახა უილიამმა. ორი დღის წინანდელ ამბავს გულისხმობდა.

– მაშასადამე, სამყაროში წესრიგი არსებობს! – ვიყვირე აღტაცებულმა.

– მაშასადამე, ჩემს საბრალო თავში მცირეოდენი წესრიგი სუფევს, – მიპასუხა უილიამმა.

ამ დროს ნიკოლოზი დაბრუნდა თითქმის გამზადებული ჩარჩოთი და კმაყოფილმა გვაჩვენა ნახელავი.

– და როცა ეს ჩარჩო ჩემს უბადრუკ ცხვირზე აღმოჩნდება, – თქვა უილიამმა, – იქნებ ჩემს საბრალო თავში უფრო მეტი წესრიგი დამყარდეს.

მორჩილი მოვიდა და გვამცნო, რომ წინამძღვარს უილიამის ნახვა სურდა და ბაღში ელოდა. ჩემი მასწავლებელი იძულებული იყო, თავისი ექსპერიმენტები სხვა დროისთვის გადაედო და შეხვედრის ადგილისკენ გავეშურეთ. გზაში უილიამმა უეცრად შუბლზე მიირტყა ხელი, თითქოს იმწამს გაახსენდა რაღაცო.

– მართლა, – მითხრა, – ვენანციუსის ნიშნები ამოვხსენი.

– ყველა?! როდის?

– როცა გეძინა. და გააჩნია, ყველაში რას გულისხმობ. ის ნიშნები ამოვხსენი, სანთლის შუქმა რომ გამოაჩინა და შენ რომ გადაწერე. ბერძნული ჩანაწერების დრო მაშინ მოვა, ახალი შუშები რომ მექნება.

– მაშ, „აფრიკის კიდის“ საიდუმლოზეა ლაპარაკი?

– დიახ, და გასაღები საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. ვენანციუსის განკარგულებაში იყო ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი და კიდევ რვა – ხუთი პლანეტის, ორი მნათობისა და დედამიწის აღმნიშვნელი, ანუ სულ ოცი ნიშანი. ეს კი ლათინური ანბანის ასოების რაოდენობას ემთხვევა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ unum[143] და velut[144] სიტყვების საწყისი ბგერების გადმოსაცემად ერთი ასო იხმარება[145]. ასოების თანმიმდევრობა ჩვენთვის ცნობილია. რა თანმიმდევრობა შეიძლებოდა ჰქონოდა ნიშნებს? ზეცათა რიგი წარმოვიდგინე და ზოდიაქოს კვადრანტი მის უკიდურეს განაპირა ზოლზე მოვათავსე. მაშასადამე, გვაქვს დედამიწა, მთვარე, მერკური, ვენერა, მზე და ასე შემდეგ და მერე ზოდიაქოს ნიშნები ტრადიციული თანმიმდევრობით, როგორც მათ ისიდორე სევილიელი ახარისხებს: ვიწყებთ ვერძიდან და გაზაფხულის ბუნიობიდან და ვასრულებთ თევზებით. თუ ამ გასაღებს გამოიყენებ, ვენანციუსის ნაწერი აზრს იძენს.

პერგამენტი გამომიწოდა, რომელზეც დიდი ლათინური ასოებით ტექსტი გადაეწერა: „Secretum finis Africae manus supra idolum age primum et septimum de quatuor“.

– გასაგებია? – მკითხა.

– „შეახე ხელი კერპის ზევით პირველსა და მეშვიდეს ოთხთაგან…“ – თავი გავაქნიე. – არაფერიც არ არის გასაგები!

– ეგ ვიცი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, idolum-ში რას გულისხმობდა ვენანციუსი: ნახატს, აჩრდილს, გამოსახულებას? ან რას ნიშნავს ოთხის პირველი და მეშვიდე? ან რა უნდა ქნა? შეეხო, უბიძგო, გასწიო?

– ესე იგი, არაფერი არ ვიცით და იმავე ადგილას ვართ, – ვთქვი უკმაყოფილომ. უილიამი შედგა. ცოტა გაღიზიანებული მეჩვენა. – ჩემო ბიჭუნა, – მითხრა, – შენ წინ ერთი საბრალო ფრანცისკელია, რომელმაც თავისი მოკრძალებული ცოდნისა და იმ მცირე უნარის წყალობით, ღმერთმა რომ მიამადლა, რამდენიმე საათში შეძლო საიდუმლო ნაწერის ამოხსნა, რომლის ავტორიც დარწმუნებული იყო, რომ ის მარად იდუმალებით მოცული დარჩებოდა ყველასთვის, მის გარდა… და შენ, უბირო ყალთაბანდო, თავს უფლებას აძლევ, განაცხადო, რომ წინ არ წავსულვართ?

მოუქნელად მოვუბოდიშე. ჩემი მასწავლებლის პატივმოყვარეობა შევლახე, არადა ვიცოდი, როგორ ამაყობდა საკუთარ დასკვნათა სისხარტითა და უეჭველობით. უილიამმი მართლაც იმსახურებდა აღტაცებას და რა მისი ბრალი იყო, თუ უეშმაკესმა ვენანციუსმა თავისი აღმოჩენა მხოლოდ ზოდიაქოს ანბანით კი არ შენიღბა, არამედ თავსატეხიც

[illegible] გამოიგონა.

– არა უშავს, არა უშავს, ბოდიშს ნუ იხდი, – შემაწყვეტინა უილიამმა. – ისე, მართალი ხარ, ჯერ ძალიან ცოტა რამ ვიცით. წამოდი.

მწუხრი

სადაც კვლავ ვესაუბრებით წინამძღვარს, უილიამს რამდენიმე გამაოგნებელი აზრი მოსდის თავში ლაბირინთის გამოცანის ამოსახსნელად და ყველაზე გონივრული ხერხით გაართმევს თავს ამ ამოცანას. შემდეგ კი გმირები ყველის კერძს შეექცევიან

წინამძღვარი მოღუშული და შეშფოთებული გველოდა. ხელში ფურცელი ეჭირა.

– კონკის წინამძღვრისგან წერილი მივიღე, – გვითხრა მან. – იმის სახელს მატყობინებს, ვისაც იოანემ ფრანგი ჯარისკაცების ხელმძღვანელობა და მისიის უსაფრთხოებაზე ზრუნვა მიანდო. ის არც სამხედროა და არც კარისკაცი და ამავე დროს მისიის წევრიც იქნება.

– მრავალი სათნოების იშვიათი შერწყმაა, – თქვა შეფიქრიანებულმა უილიამმა. – ვინ შეიძლება იყოს?

– ბერნარ გუი, ან ბერნარდო გუიდონი, როგორც გსურთ, ისე უწოდეთ.

უილიამმა რაღაც წამოიძახა მშობლიურ ენაზე. ვერც მე გავიგე და ვერც წინამძღვარმა, რა თქვა, მაგრამ, ალბათ, ასე ჯობდა, რადგან მომეჩვენა, რომ რაღაც უხამსი უნდა ყოფილიყო.

– ეს არ მომწონს, – უმალ დასძინა. – ბერნარი წლების განმავლობაში ტულუზის მხარის მწვალებელთა რისხვა იყო და დაწერა „Practica officii inquisitionis heretice pravitatis[146] „, ყველას სახელმძღვანელოდ, ვისაც ვალდენსთა, ბეგინთა, პინცოკერთა, ფრატიჩელთა და დოლჩინოელთა დევნა და განადგურება მოუწევს.

– ვიცი. ვიცნობ ამ წიგნს. გასაოცარი სიბრძნის შემცველი ნაშრომია.

– მართლაც გასაოცარია. – დაეთანხმა უილიამი. – ბერნარ გუი იოანეს ერთგულია, რომელმაც უკანასკნელ წლებში არაერთი მისია მიანდო მას ფლანდრიასა და აქ, ჩრდილოეთ იტალიაში. გალიციის ეპისკოპოსად რომ დანიშნეს, თავის ეპარქიაში არც გამოჩენილა, ინკვიზიტორული საქმიანობა გააგრძელა. ახლა ლოდევის საეპისკოპოსოში მეგონა განმარტოებული, მაგრამ, როგორც ჩანს, იოანემ კვლავ მოუძებნა საქმე და თანაც სწორედ აქ, ჩრდილოეთ იტალიაში. რატომ გახდა საჭირო მაინცდამაინც ბერნარის გამოგზავნა და თანაც შეიარაღებულთა მეთაურად?

– ამ კითხვაზე პასუხი არსებობს, – თქვა წინამძღვარმა, – და ჩემს შიშს ადასტურებს, გუშინ რომ გაგიზიარეთ. კარგად იცით – თუმცა ამის აღიარება არ გსურთ – რომ ქრისტესა და ეკლესიის სიღატაკის შესახებ პერუჯის კრების დადგენილება, თუნდაც თეოლოგიურად მტკიცედ დასაბუთებული, არსებითად, იმავეს ამბობს, რასაც, ბევრად ნაკლები სიფრთხილითა და ნაკლებად მართლმორწმუნე გამოხატულებებით, მწვალებლური მოძრაობები ამტკიცებენ. დიდი გარჯა არ უნდა იმის დამტკიცებას, რომ მიქაელ ჩეზენელის თვალსაზრისი, რომელიც იმპერატორმა გაიზიარა, უბერტინუსისა და ანგელუს კლარენუსის მოსაზრებას ემთხვევა. და ამ საკითხზე დელეგაციებს არაფერი ექნებათ საკამათო. მაგრამ შესაძლოა, გუი ამას არ დასჯერდეს: ეცდება, დაამტკიცოს, რომ პერუჯის კრების თეზისები და ფრატიჩელების, ანუ ფსევდომოციქულების, მოსაზრებები ერთია.

– ვიცოდით, რომ ბერნარის გარეშეც ასეთ დასკვნებამდე მივიდოდა საქმე. უბრალოდ, ბერნარს ეს უკეთესად გამოუვა, ვიდრე კურიის ზოგიერთ უღიმღამო წარმომადგენელს, და

მის წინააღმდეგაც უფრო დახვეწილი მეთოდებით იქნება საჭირო კამათი.

– კი, ბატონო, – თქვა წინამძღვარმა, – მაგრამ აქ კვლავ გუშინ წამოჭრილი საკითხის წინაშე აღმოვჩნდით. თუ ხვალამდე ორი ან, შესაძლოა, სამი დანაშაულის ჩამდენს ვერ ვიპოვით, ბერნარისთვის მონასტრის მეთვალყურეობის დათმობა მომიწევს. არ შემიძლია დავუმალო მისი ძალაუფლების მქონე ადამიანს (ჩვენი შეთანხმების საფუძველზე, გვახსოვდეს ეს), რომ აქ, მონასტერში, აუხსნელი მოვლენები მოხდა და კვლავაც ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კი ამას აღმოაჩენს, როგორც კი (ღმერთმა ნუ ქნას) ახალი იდუმალებით მოცული ამბავი მოხდება, სრული უფლება ექნება, ღალატში დაგვდოს ბრალი…

– მართალია, – ჩაილაპარაკა შეწუხებულმა უილიამმა. – ვერაფერს გავაწყობთ. უნდა გავფაციცდეთ და თვალი გვეჭიროს ბერნარზე, რომელიც იდუმალ მკვლელს ადევნებს თვალყურს. ვინ იცის, ეს იქნებ სასიკეთოც აღმოჩნდეს და მკვლელის თვალთვალით დაკავებულ ბერნარს ნაკლებად ეცალოს დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად.

– გახსოვდეთ, რომ, თუ ბერნარი შეუდგა მკვლელის ძიებას, ეს ჩემს ავტორიტეტს შეარყევს. ამ ბნელი და საეჭვო ამბის გამო პირველად ვხდები იძულებული, სხვას დავუთმო ძალაუფლება ჩემს მონასტერში. თვით კლიუნიელთა ორდენსაც კი არ ახსოვს ასეთი რამ. ყველაფერს ვიღონებდი ამის თავიდან ასაცილებლად. პირველი ნაბიჯი კი, ალბათ, დელეგაციათა მიღებაზე უარის თქმა იქნებოდა.

– მხურვალედ ვთხოვ თქვენს უმაღლესობას, დაფიქრდეთ ამ სერიოზულ გადაწყვეტილებაზე, – თქვა უილიამმა. – თქვენ ხელთ გაქვთ იმპერატორის წერილი, რომელიც მგზნებარედ მოგიწოდებთ…

– ვიცი, რაც მაკავშირებს იმპერატორთან, – მკვახედ შეაწყვეტინა წინამძღვარმა, – ეს თქვენც იცით. მაშასადამე, ისიც იცით, რომ, სამწუხაროდ, უკან დახევა არ შემიძლია. მაგრამ ყოველივე ეს ძალიან უსიამოვნოა. სად არის ბერენგარიუსი, რა შეემთხვა მას, თქვენ რას აკეთებთ?

– მერ მხოლოდ ბერი ვარ, რომელიც მრავალი წლის წინ ინკვიზიციის საქმეებს იძიებდა. შეუძლებელია ჭეშმარიტების მიგნება ორ დღეში. თანაც რა ძალაუფლება მომანიჭეთ? შემიძლია ბიბლიოთეკაში შესვლა? შემიძლია ყველა იმ შეკითხვის დასმა, რაც მსურს?

– ვერ ვხედავ კავშირს დანაშაულებებსა და ბიბლიოთეკას შორის, – მოღუშულად წარმოთქვა წინამძღვარმა.

– ადელმუსი მინიატურების ოსტატი იყო, ვენანციუსი – მთარგმნელი, ბერენგარიუსი – ბიბლიოთეკარის დამხმარე… – მოთმინებით განმარტა უილიამმა.

– ამ თვალსაზრისით სამოცივე ბერს რაღაც აკავშირებს ბიბლიოთეკასთან ისევე, როგორც ეკლესიასთან. მაშ, ეკლესიაში რატომ არ ეძებთ? ძმაო უილიამ, გამოძიებას ჩემი დავალებით და ჩემ მიერ მითითებულ ფარგლებში აწარმოებთ. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ამ კედლებში, უფლის შემდეგ და მისი წყალობით, მე ვარ ერთადერთი უფროსი. ეს ბერნარმაც უნდა გაითვალისწინოს. გარდა ამისა, – დაამატა უფრო მშვიდი ტონით, – არავის უთქვამს, რომ ბერნარი სწორედ შეხვედრაზე დასასწრებადაა აქ ჩამოსული. კონკის წინამძღვარი იმასაც მწერს, რომ იტალიაში ჩამოსული ბერნარი სამხრეთით აპირებს გზის გაგრძელებას. მწერს ასევე, რომ პაპმა კარდინალ ბერტრან პოჯეტოელს სთხოვა, ბოლონიიდან აქეთ გამოემართოს და მისი დელეგაციის ხელმძღვანელობა ითაოს. იქნებ ბერნარი აქ კარდინალთან შესახვედრად მოდის.

– რაც, საკითხს უფრო ფართო თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, კიდევ უარესია. ბერტრანი ცენტრალური იტალიის მწვალებელთა რისხვაა. შესაძლოა, მწვალებლობასთან ამ ორი დიდი მებრძოლის შეხვედრა, ქვეყანაში მასშტაბური ბრძოლის მომასწავებელი იყოს, ბრძოლისა, რომელშიც, საბოლოოდ, ფრანცისკელთა მთელი მოძრაობის ჩათრევა სურთ…

– რის შესახებაც უმალ ვაცნობებთ იმპერატორს, – თქვა წინამძღვარმა. – თუმცა ამ

შემთხვევაში უშუალო საფრთხეს არ უნდა ველოდეთ. ფხიზლად ვიქნებით. მშვიდობით.

წინამძღვრის წასვლის შემდეგ უილიამი მცირე ხანს დუმდა. შემდეგ მითხრა: – უპირველეს ყოვლისა, ადსო, ვეცადოთ, სიჩქარემ არ აგვიყოლიოს. საქმეები სწრაფად არ წყდება, როდესაც უამრავი წვრილმანი ცნობაა შესაგროვებელი. მე შუშის ოსტატთან ვბრუნდები: შუშების გარეშე ვერც ხელნაწერს წავიკითხავ და არც ამაღამ ბიბლიოთეკაში დაბრუნებას ექნება აზრი. შენ წადი და გაიკითხე, ბერენგარიუსის შესახებ თუ ისმის რამე.

ამ დროს დავინახეთ, შუშის ოსტატი ნიკოლოზი მორბოდა ჩვენკენ. ყოვლად უსიამოვნო ამბავი გვამცნო: გაპრიალებისას საუკეთესო შუშა გასტყდომოდა, რომელზეც უილიამი ესოდენ დიდ იმედებს ამყარებდა. მეორე კი, რომელიც შემცვლელად გამოდგებოდა, ჩარჩოში ჩასმისას დაბზარულიყო. ნიკოლოზმა უნუგეშოდ მიგვითითა ზეცისკენ. მწუხრის დრო მოწეულიყო და ბინდი ეშვებოდა. იმ დღეს მუშაობა აღარ შეიძლებოდა. – კიდევ ერთი დღე დაიკარგა, – მწარედ დაეთანხმა უილიამი და (როგორც მოგვიანებით გამომიტყდა) თავი შეიკავა, რომ ყელში არ სწვდომოდა ისედაც შეწუხებულ ხელმარცხ მეშუშეს.

ხელმოცარული და დარცხვენილი ნიკოლოზი დავტოვეთ და ბერენგარიუსის ამბის გასაგებად გავეშურეთ. როგორც მოველოდით, ის ვერსად ეპოვათ.

ვგრძნობდით, რომ ჩიხში აღმოვჩნდით. მცირე ხანს შიგა ეზოში ვისეირნეთ, ვერ გადაგვეწყვიტა, რა უნდა გვეკეთებინა. თუმცა მალე შევამჩნიე, რომ უილიამი ფიქრში წასული იდგა, გაფანტული მზერით, თითქოს ვერაფერს ხედავდა. სამოსიდან იმ ბალახის ღერი ამოეღო, გზაში რომ აგროვებდა ხოლმე, და ღეჭავდა ერთგვარი გზნებით გარინდული, თითქოს არ ფიქრობდა, მაგრამ დროდადრო თვალები ისე აენთებოდა, თითქოს გონებაში ახალმა აზრმა გაუელვაო; მერე ისევ იმ უცნაურ, აქტიური გარინდების მდგომარეობას უბრუნდებოდა. უცებ თქვა: – რა თქმა უნდა, შეიძლება...

– რა? – ვკითხე.

– ლაბირინთში გზის გაკვლევის ხერხზე ვფიქრობდი. ადვილი არაა, მაგრამ შეიძლება გამოვიდეს... შესასვლელი აღმოსავლეთის კოშკშია და ეს ვიცით. ახლა დავუშვათ, რომ გვაქვს ხელსაწყო, რომელიც მიგვითითებს, რომელ მხარესაა ჩრდილოეთი. რა მოხდება?

– მაშინ საკმარისი იქნება, სულ ხელმარჯვნივ ვიაროთ და აღმოსავლეთით ვიზამთ პირს. ან საკმარისია საპირისპირო მიმართულებით წასვლა და გვეცოდინება, რომ სამხრეთის კოშკისკენ მივდივართ. მაგრამ თუნდაც დავუშვათ, რომ ამგვარი მაგიური რამ არსებობს, ლაბირინთი სწორედ რომ ლაბირინთია და როგორც კი აღმოსავლეთისკენ გავემართებით, უმალ გზაზე კედელი გადაგვეღობება, რომელიც არ მოგვცემს პირდაპირ სიარულის საშუალებას და ისევ დავიკარგებით... – შევნიშნე მე.

– კი, ოღონდ ის ხელსაწყო, რომელზეც ვლაპარაკობ, მუდამ ჩრდილოეთს აჩვენებს, მაშინაც კი, თუ გეზს შევიცვლით, და ყოველ ნაბიჯზე მიგვითითებს, საით უნდა მივბრუნდეთ.

– საოცარი რამ იქნებოდა. მაგრამ ეს ხელსაწყო უნდა გვქონდეს, თანაც უნდა შეძლოს, ჩრდილოეთი ღამით და დახურულ სივრცეშიც მიუთითოს, მზისა და ვარსკვლავების გარეშე... არ მჯერა, რომ თუნდაც თქვენს როჯერ ბეკონს ჰქონოდა მსგავსი მანქანა, – გავიცინე.

– არადა, ცდები, – თქვა უილიამმა, – რადგან ასეთი ხელსაწყო მართლაც ააწყვეს და რამდენიმე მეზღვაურმა ის გამოიყენა კიდეც. მას არც მზე და არც ვარსკვლავები არ სჭირდება, რადგან ერთი გასაოცარი ქვის ძალას იყენებს. ამ ქვის მსგავსი სევერინუსის სამუშაო ოთახში გვაქვს ნანახი, ისაა, რკინას რომ იზიდავს. ის ბეკონმა და ერთმა პიკარდიელმა ჯადოქარმა, პეტრე მარიკურელმა, შეისწავლეს და ამ უკანასკნელმა მისი გამოყენების მრავალი შესაძლებლობა აღწერა.

– და თქვენ ამ მანქანის აწყობას შეძლებთ?

– თავისთავად რთული არაა. ამ ქვას მრავალი საოცარი თვისება აქვს. მაგალითად, მისგან მზადდება ხელსაწყო, რომელიც გამუდმებით თავისთავად მოძრაობს გარეშე

ძალის დაუხმარებლად, თუმცა ყველაზე მარტივი ხერხი ერთმა არაბმა, ბაილეკ ალ ქაბაიაკმა აღწერა. აიღე წყლით სავსე ჭურჭელი და მასში ტივტივა მოათავსე – საცობი შიგ ჩარჭობილი რკინის ნემსით. შემდეგ ქვა წყლის ზედაპირზე იმდენ ხანს ამოძრავე წრიულად, სანამ ნემსი ქვის თვისებებს არ შეიძენს. მაშინ კი ნემსის წვერი ჩრდილოეთისკენ მიბრუნდება (ქვაც ამასვე იზამდა, საყრდენი ღერძის გარშემო რომ ემოძრავა) და ჭურჭელი რომც გადააადგილო, ნემსი მაინც ჩრდილოეთისკენ დარჩება მიმართული. ზედმეტია იმის განმარტება, რომ თუ ჭურჭლის ნაპირებზე ჩრდილოეთის მიხედვით სხვა მხარეებსაც აღნიშნავ, ყოველთვის გეცოდინება, საით უნდა წახვიდე ბიბლიოთეკაში, აღმოსავლეთის კოშკს რომ მიადგე.

– რა სასწაულია! – შევძახე. – მაგრამ რატომაა ნემსი მუდამ ჩრდილოეთისკენ მიმართული? ქვა რკინას იზიდავს, ეს ვნახე და წარმომიდგენია, რომ ძალიან ბევრი რკინაც მიიზიდავს ქვას. მაგრამ მაშინ… მაშინ… პოლარული ვარსკვლავის მიმართულებით, დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთში რკინის დიდი საბადოები არსებობს!

– ვიღაცამ ივარაუდა კიდეც ასეთი რამ. ოღონდ ნემსი ზუსტად მეზღვაურთა გზამკვლევი ვარსკვლავის მიმართულებას კი არ აჩვენებს, არამედ ციურ მერიდიანთა შეხვედრის ადგილს მიუთითებს, რაც იმის ნიშანია, რომ, როგორც ნათქვამია, „hic lapis gerit in se similitudinem coeli“[147] და მაგნიტის პოლუსები ციური პოლუსების მიხედვით იხრება და არა დედამიწის პოლუსებისა. ეს კი მშვენიერი მაგალითია მანძილზე გამოწვეული მოძრაობისა, რომელიც შორიდან იმართება და უშუალო მატერიალური ზემოქმედებით არაა გამოწვეული. სწორედ ამ საკითხზე მუშაობს ხოლმე ჩემი მეგობარი იოანე ჯანდუნელი, როდესაც იმპერატორის დავალებით ავინიონისთვის ძირის გამოთხრას არ ცდილობს…

– მაშ, წავიდეთ და ავიღოთ სევერინუსის ქვა, ჭურჭელი, წყალი, საცობი… – ვთქვი აღგზნებულმა.

– მოიცა, მოიცა, – მიპასუხა უილიამმა. – არ ვიცი, რატომ, მაგრამ არასოდეს მინახავს ხელსაწყო, რომელიც მოქმედებაშიც ისევე სრულყოფილია, როგორც ფილოსოფოსთა აღწერილობებში. გლეხის ნაჯახი კი, რომელიც არც ერთ სწავლულს არ აღუწერია, ზუსტად ისე მოქმედებს, როგორც საჭიროა… ვშიშობ, რომ ლაბირინთში ცალ ხელში ლამპრითა და მეორეში წყლიანი ჭურჭლით სიარული… მოიცა, სხვა აზრი მომივიდა. ხელსაწყო ჩრდილოეთს მაშინაც უჩვენებს, ლაბირინთს გარეთ თუ ვიქნებით, არა?

– დიახ, მაგრამ მაშინ ის არ დაგვჭირდება, რადგან გარეთ მზე და ვარსკვლავებია… – ვუპასუხე.

– ვიცი, ვიცი. მაგრამ თუ ხელსაწყო შიგნითაც მუშაობს და გარეთაც, ჩვენი თავიც რატომ არ უნდა აკეთებდეს იმავეს?

– ჩვენი თავი? რა თქმა უნდა, თავი გარეთაც მუშაობს. მართლაც, გარეთ მყოფებმა მშვენივრად ვიცით ციტადელის აგებულება! ეგ არის, შიგნით რომ შევდივართ, იქ ვერაფერს ვხვდებით!

– ზუსტად ასეა. მაგრამ ახლა ის ხელსაწყო დაივიწყე. მასზე ფიქრმა ბუნებრივ კანონებსა და ჩვენი აზროვნების კანონებზე დამაფიქრა. აი რაშია საქმე: გარედან უნდა მოვახერხოთ ციტადელის შიგა აგებულების აღწერა…

– ეგ როგორ?

– დამაცადე, ვიფიქრო, არც ისე რთული უნდა იყოს…

– ეს ის ხერხია, რომელზეც გუშინ ლაპარაკობდით? ხომ აპირებდით ლაბირინთის მოვლას და გზადაგზა ნახშირით აღნიშვნების გაკეთებას?

– არა, – მიპასუხა მან. – ამაზე რაც მეტს ვფიქრობ, სულ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი მეჩვენება. შეიძლება, წესი არ მახსოვს კარგად, ან შესაძლოა, ლაბირინთში სახეტიალოდ კეთილი არიადნეა საჭირო, რომელიც შესასვლელთან თოკის ბოლოთი დაგელოდება. მაგრამ ასეთი გრძელი თოკები არ არსებობს. რომც არსებობდეს, ეს იმის ნიშანი

იქნებოდა (ზღაპრებში ხშირად სიმართლე ითქმის), რომ ლაბირინთიდან გამოსვლაში მხოლოდ გარედან თუ დაგეხმარებიან. ესე იგი, შიგნითაც იგივე კანონები მოქმედებს, რაც გარეთ. ასე, ადსო, მოდი მათემატიკური მეცნიერება მოვიშველიოთ. როგორც ავეროესი ამბობს, მხოლოდ მათემატიკურ მეცნიერებებში უიგივდება ის, რაც ჩვენთვისაა ცნობილი, იმას, რაც საყოველთაოდ ცნობილია.

– ხედავთ, თქვენ უნივერსალურ ცოდნას აღიარებთ.

– ჩვენი ინტელექტი მათემატიკურ ცოდნას იმგვარ დებულებებად აყალიბებს, რომლებიც მუდამ ძალაშია, რადგან ისინი ჭეშმარიტია. და ჭეშმარიტია იმიტომ, რომ ისინი თანდაყოლილია, ან იმიტომ, რომ მათემატიკა სხვა მეცნიერებებზე ადრე გამოიგონეს. ბიბლიოთეკა მათემატიკურად მოაზროვნე ადამიანის გონებამ შექმნა, რადგან მათემატიკის გარეშე ლაბირინთს ვერ ააგებ. ამიტომაც ჩვენი მათემატიკური ვარაუდი ნაგებობის დამგეგმარებლის ვარაუდს უნდა შევადაროთ და ეს შედარება მიგვიყვანს მეცნიერულ დასკვნამდე, რამეთუ მათემატიკა განსაზღვრებათა განსაზღვრების მეცნიერებაა… და ნუ ცდილობ, მეტაფიზიკურ კამათში ჩამითრიო. რა ეშმაკი შეგიჩნდა დღეს? ჯობს, მჭრელი თვალის პატრონმა, პერგამენტი აიღო, ფირფიტა აღნიშვნებისთვის და… რით დავწეროთ?.. ყოჩაღ, ადსო, სტილოსიც[148] თან გქონია. წამოდი, ციტადელს შემოვუაროთ, სანამ არ დაბნელებულა.

დიდხანს ვუვლიდით გარს ციტადელს, გარედან ვაკვირდებოდით აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის კოშკებს და მათ დამაკავშირებელ კედლებს. დანარჩენი უფსკრულზე იყო დაკიდებული, თუმცა, სიმეტრიის კანონებიდან გამომდინარე, იმისგან განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო, რასაც ვხედავდით.

დავინახეთ, რომ ყოველ კედელს ორი ფანჯარა ჰქონდა, თითოეულ კოშკს კი – ხუთი. უილიამი მკარნახობდა და ფირფიტაზე ვინიშნავდი ყველაფერს.

– ახლა იფიქრე, – მითხრა ჩემმა მასწავლებელმა, – ჩვენ მიერ ნანახ ყოველ ოთახს თითო ფანჯარა ჰქონდა…

– შვიდკუთხა ოთახების გარდა, – მივუგე მე.

– ეს ბუნებრივიცაა, ასეთი ოთახები ყოველი კოშკის შუაგულშია განლაგებული.

– და გარდა იმ რამდენიმე უფანჯრო ოთახისა, რომლებიც არც შვიდკუთხა იყო.

– ეგენი დაივიწყე. ჯერ წესს მივაგნოთ და მერე გამონაკლისთა ახსნა ვცადოთ. მაშასადამე, გარე მხარეს გვექნება ხუთ-ხუთი ოთახი თითოეულ კოშკში და ორ-ორი ოთახი ყოველ კედელზე, თითოეული მხოლოდ ერთი ფანჯრით. მაგრამ თუ ფანჯრიანი ოთახიდან ციტადელის სიღრმისკენ წავალთ, კიდევ ერთ ფანჯრიან ოთახს მივადგებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოთახების ფანჯრები გარეთ არ გამოდის. რა ფორმისაა შიგა ეზო, რომელსაც სამზარეულოდან და სკრიპტორიუმიდან ვხედავთ?

– რვაკუთხედია, – ვუპასუხე მე.

– შესანიშნავია. რვაკუთხედის თითოეულ გვერდზე კი სკრიპტორიუმის ორი ფანჯარა გადის. ეს ნიშნავს, რომ რვაკუთხედის ყოველ გვერდზე ორი შიგა ოთახი მდებარეობს. მართალია?

– მართალია, მაგრამ უფანჯრო ოთახები?

– ეგეთი ოთახი სულ რვაა. მართლაც, თითოეული კოშკის შიგა შვიდკუთხა ოთახის ხუთი კედელი ამ კოშკების ხუთ ოთახს ესაზღვრება. რას ესაზღვრება დანარჩენი ორი კედელი? არ ესაზღვრება გარე კედლების გასწვრივ მდებარე ოთახებს, რადგან ამ შემთხვევაში იქ ფანჯრები იქნებოდა, ასევე შეუძლებელია, რვაკუთხედის გასწვრივ განლაგებულ ოთახებს ესაზღვრებოდეს, თანაც, ასე რომ იყოს, ეს ოთახები უზომოდ გრძელი იქნებოდა. სცადე ერთი, დახატე, როგორი შეიძლება გამოჩნდეს ბიბლიოთეკა, ზემოდან თუ დავხედავთ. ხედავ, თითოეული კოშკის შესაბამისად უნდა იყოს ორი ოთახი, რომლებიც შვიდკუთხა ოთახს ესაზღვრება და შიგა რვა-კუთხა ჭის მოსაზღვრე ორ ოთახში გადის.

ვცადე, მასწავლებლის მითითების მიხედვით ლაბირინთის გეგმა დამეხაზა და კმაყოფილების შეძახილი აღმომხდა.

– მაშ ყველაფერი ვიცით! ერთი დავთვალო… ბიბლიოთეკას ორმოცდათექვსმეტი ოთახი აქვს, აქედან ოთხი შვიდკუთხაა და ორმოცდათორმეტი – თითქმის კვადრატული, ამათგან ოთხს ფანჯარა არა აქვს, ოცდარვა გარეთ გამოდის, თექვსმეტი კი შიგნითაა!

– ოთხი კოშკიდან თითოეულს ხუთი ოთხგვერდიანი და თითო შვიდგვერდიანი ოთახი აქვს… ბიბლიოთეკა ზეციური ჰარმონიის თანახმადაა აგებული, რომელსაც სხვადასხვა სასაწაულებრივი მნიშვნელობა შეიძლება მიეწეროს…

– ბრწყინვალე აღმოჩენაა, – ვთქვი მე, – მაგრამ რატომაა ასე რთული მასში გზის გაკვლევა?

– იმიტომ, რომ ის, რაც არც ერთ მათემატიკურ წესს არ ექვემდებარება, გასასვლელთა განლაგებაა. ზოგი ოთახიდან რამდენიმე სხვა ოთახში შეიძლება გასვლა, სხვებიდან – მხოლოდ ერთში და საკითხავია, ხომ არ არის ისეთი ოთახები, საიდანაც სხვა გასასვლელი აღარ არსებობს? თუ გაითვალისწინებ ამ გარემოებას, შუქის ნაკლებობას და იმასაც, რომ საშუალება არ გაქვს, მზის მდებარეობის მიხედვით რაიმე განსაზღვრო (ამას ხილვები და სარკეებიც დაუმატე), მიხვდები, როგორ აბნევს ლაბირინთი მასში შესულ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ისედაც აღგზნებულია დანაშაულის შეგრძნებით. მეორე მხრივ, გაიხსენე, რა სასოწარკვეთილები ვიყავით გუშინ, გამოსასვლელ გზას რომ ვეღარ ვაგნებდით. უკიდურესი წესრიგით გამოწვეული უკიდურესი დაბნეულობა! ჩემი აზრით, დიდებულადაა გათვლილი. ბიბლიოთეკის მშენებლები ნამდვილი დიდოსტატები იყვნენ.

– მაშ როგორ უნდა გავიკვლიოთ გზა?

– ახლა რთული აღარაა. შენი ნახაზის მიხედვით, რომელიც ავად თუ კარგად ბიბლიოთეკის გეგმას უნდა შეესაბამებოდეს, როგორც კი პირველ შვიდკუთხა ოთახს მივაღწევთ, ისე ვიმოძრავებთ, რომ ორიდან ერთ-ერთი ყრუ ოთახი ვიპოვოთ. შემდეგ სულ მარჯვნივ ვივლით და სამი თუ ოთხი ოთახის გავლის შემდეგ კვლავ კოშკში უნდა აღმოვჩნდეთ და ეს მხოლოდ ჩრდილოეთის კოშკი შეიძლება იყოს. შემდეგ იქამდე ვივლით, სანამ მომდევნო ყრუ ოთახს არ მივაღწევთ, რომელიც მარცხნიდან შვიდკუთხა ოთახს ესაზღვრება, მის მარჯვნივ კი, ახლა რომ აღვწერე, იმის მსგავსი გზა უნდა იყოს, რომელიც დასავლეთის კოშკთან მიგვიყვანს.

– ასე იქნება, თუკი ყველა ოთახი სხვა ოთახებში გადის…

– სწორედ ასეა. ამისათვის დაგვჭირდება შენი გეგმა, რომელზეც ყრუ კედლები უნდა აღვნიშნოთ, რათა ვიცოდეთ, რა მიმართულებით ვმოძრაობთ. ამის გაკეთება რთული არ იქნება.

– მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ჩვენი გეგმა გაამართლებს? – ვკითხე შეფიქრიანებულმა, რადგან ყველაფერი მეტისმეტად მარტივი მეჩვენა.

– გაამართლებს, – მიპასუხა უილიამმა. – „Omnes enim causae effectuum naturalium dantur per lineas, angulos et figuras. Aliter enim impossibile est scire propter quid in illis“[149], – ზეპირად გაიმეორა ციტატა. – ეს ერთ-ერთი დიდი ოქსფორდელი სწავლულის სიტყვებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ყველაფერი არ ვიცით. ის გავიგეთ, როგორ არ დავიკარგოთ. ახლა ის უნდა გავიგოთ, არსებობს თუ არა რაიმე წესი, რომელიც ოთახებში წიგნების განლაგებას განსაზღვრავს. „გამოცხადების“ სტრიქონები ძალიან ცოტას გვეუბნება, იმიტომაც, რომ ბევრი მათგანი სხვადასხვა, სრულიად განსხვავებულ ოთახში მეორდება…

– მოციქულის წიგნში ხომ ორმოცდათექვსმეტ სტრიქონზე ბევრად მეტია!

– უდავოდ ასეა. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა სტრიქონი არ გამოდგება. უცნაურია. თითქოს არ ჰყოფნიდათო სტრიქონები, სულ ოცდაათი, ოცი ჰქონდათო… ოჰ, მერლინის წვერს ვფიცავ!

– ვისი?

– არავისი, ერთი ჩვენებური ჯადოქარია... იმდენი სტრიქონი აქვთ გამოყენებული, რამდენი ასოცაა ლათინურ ანბანში! რა თქმა უნდა, ასეა! სიტყვებს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი პირველი ასოა. თითოეული ოთახი ანბანის ერთი ასოთია აღნიშნული, ყველა ერთად კი რაღაც ტექსტს შეადგენს, რომელიც უნდა ამოვიკითხოთ.

– როგორც ლექსი, რომლის სტრიქონები ისეა განლაგებული, რომ ნახატს ქმნის, მაგალითად, ჯვრის ან თევზის გამოსახულებას!

– დაახლოებით. სავარაუდოდ, იმ დროს, როცა ბიბლიოთეკა აშენდა, ამგვარი ლექსები ძალიან გავრცელებული იყო.

– კი, მაგრამ სად იწყება ტექსტი?

– ყველაზე დიდი წარწერიდან, შესასვლელი კოშკის შვიდკუთხა ოთახიდან, ანდა... ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, წითელი წარწერებიდან!

– მაგრამ ასეთი წარწერა ხომ ბევრია!

– მაშასადამე, იქ ბევრი ტექსტი ან ბევრი სიტყვაა. მოდი, ახლა შენი გეგმა უფრო უკეთ გადახაზე დიდ ფირფიტაზე. ბიბლიოთეკაში რომ შევალთ, მასზე სტილოსით მსუბუქად აღნიშნავ იმ ოთახებს, რომლებსაც გავივლით, კარების, კედლებისა და ფანჯრების განლაგებას, ასევე წარწერების პირველ ასოებს და მინიატურათა კარგი ოსტატის მსგავსად, უფრო მსხვილად გამოყოფ წითელი მელნით გამოყვანილ ასოებს.

– მაგრამ როგორ მოხდა, – ვუთხარი აღტაცებულმა, – რომ ბიბლიოთეკის საიდუმლოების ამოხსნა მის გარეთ მყოფმა შეძელით, ხოლო როცა შიგნით იყავით, ეს არ გამოგივიდათ?

– ასე შეიცნობს ღმერთი სამყაროს, რამეთუ შექმნამდე ჩაიფიქრა ის, ასე ვთქვათ, გარედან გაიაზრა, ჩვენთვის კი მისი წესი უცნობია, რადგან სამყაროში ვცხოვრობთ და ის უკვე შექმნილი და გამზადებული დაგვხვდა.

– ამგვარად, საგანთა შეცნობა გარედან მათი დაკვირვებით შეიძლება!

– ეს ხელოვნების ნიმუშებს ეხება: მათი შეცნობისას გონებით შემქმნელი ოსტატის ნაბიჯებს ვიმეორებთ. მაგრამ ბუნების საგანთა ამგვარად შეცნობა არ ძალგვიძს, რადგან ისინი ჩვენი გონების ნაყოფი არაა.

– მაგრამ ბიბლიოთეკისთვის ეს საკმარისია, არა?

– დიახ, – თქვა უილიამმა, – მაგრამ მხოლოდ ბიბლიოთეკისთვის. ახლა წავიდეთ, დავისვენოთ. დილამდე ვერაფერს გავაკეთებ. ხვალ, იმედია, შუშები მექნება. ამიტომ, ჯობია, დავიძინოთ და ხვალ ადრე ავდგეთ. ვეცდები, ვიფიქრო ამ ყველაფერზე.

– ვახშამი?

– აჰ, მართალია, ვახშამი. დაგვაგვიანდა. ბერები უკვე საღამოს ლოცვაზე არიან. თუმცა შეიძლება სამზარეულო ჯერაც ღიაა. წადი, იქნებ რამე ნახო.

– მოვიპარო?

– სალვატორეს სთხოვე, ხომ შენი მეგობარია.

– მაგრამ ის მოიპარავს!

– შენი ძმის დარაჯი ხომ არ ხარ? – მომიგო უილიამმა კაენის სიტყვებით. მაგრამ მივხვდი, ხუმრობდა და იმის თქმა სურდა, რომ ღმერთი დიდი და მოწყალეა. ამიტომაც სალვატორეს საძებნელად გავეშურე და თავლებთან მივაგენი.

– ლამაზია, – ვთქვი წაბლაზე, საუბარი რომ წამომეწყო. – სიამოვნებით მოვახტებოდი.

– არ შეიძლების. წინამძღვრისა არს. მაგრამ სწრაფად გასაჭენებლად კარგი ცხენი არაა აუცილებელი… – ღონიერ, მაგრამ ულამაზო ცხენზე მიმითითა: – იგიცა კმარის… მუნ იხილე, ტერციუსი…

მესამე ცხენზე მიმანიშნებდა. მის უცნაურ ლათინურზე გამეცინა. – და რას იზამ მაგ ცხენით? – ვკითხე.

სალვატორემ უცნაური რამ მიამბო. მითხრა, შეიძლება, ნებისმიერი ცხენი, ყველაზე ბებერი და სუსტიც კი, წაბლასავით მარდი გახადოო. ამისთვის ცხენს შვრიაში უნდა შეურიო კარგად დანაყილი ბალახი, სატირიონს რომ ეძახიან, და ბარძაყებზე ირმის ქონი უნდა წაუსვაო. შემდეგ ცხენზე უნდა შეჯდე და სანამ დეზს ჰკრავ, დრუნჩი აღმოსავლეთით უნდა აქნევინო, ყურში კი სამჯერ ჩასჩურჩულო: „კასპარი, მელქიორი, ბალთაზარი“. ცხენი უსწრაფესად გაჭენდება და ერთ საათში იმდენს გაივლის, წაბლა რვა საათს რომ ანდომებსო. ხოლო თუ კისერზე იმ მგლის კბილებს ჩამოჰკიდებ, რომელიც თვითონ გათელა ჭენების დროს, ცხენი დაღლილობასაც აღარ იგრძნობსო.

ვკითხე, ოდესმე თუ ეცადა ასეთი რამის გაკეთება. ისე მომიახლოვდა, რომ მისი აყროლებული სუნთქვა მეცა და ჩამჩურჩულა, ეს ძალიან რთული საქმეა, რადგან სატირიონი ახლა მხოლოდ ეპისკოპოსებსა და რაინდებს მოჰყავთ, საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად იყენებენო. ლაპარაკი შევაწყვეტინე და ვუთხარი, ამ საღამოს ჩემი მასწავლებელი საკუთარ სენაკში აპირებს დარჩენას საკითხავად და ვახშმობაც იქვე სურს-მეთქი.

– მე ვაკეთებ, – თქვა სალვატორემ, – ვაკეთებ ყველის შეჭამანდს, მე.

– ეგ რა არის?

– ადვილაა. აიღო ყველს, ხმელა, მაგრამ ძალიან არა და არც მეტი მლაშე. დაჭერი ოთხკუთხა ლუკმებად ან როგორც გინდა. მერე ჩადე ცოტათი კარაქი ან, ჯობია, ახალი ქონი ღორის, დაადებ შამფურს, მერე ჩადე ყველის ორი ნაჭერი, და რო გადნეს, დარბილდეს, როგორც გინდა, მიაყარ-მოაყარე შაქარ-დარიჩინი და გააქანე მაგიდასთან, რომ იგემო ცხელ-ცხელი.

– მიდი, მოიტანე ყველის კერძი, – ვუთხარი სალვატორეს. დამიბარა, აქ დამელოდეო და სამზარეულოს მიმართულებით გაუჩინარდა. ნახევარ საათში ტილოგადაფარებული თეფშით დაბრუნდა. თეფშს საამო სურნელი ასდიოდა.

– იჭერდის, – მითხრა და თეფშთან ერთად დიდი, ზეთით სავსე ლამპარიც გამომიწოდა.

– ეს რისთვის? – შევეკითხე.

– არ იცის მე, – თქვა ეშმაკურად. – ვაითუ შენმა მოძღვარმა ამაღამ ბნელში უნდა შევიდეს.

სალვატორემ აშკარად იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე მეგონა. აღარ ჩავძიებივარ და კერძით ხელში უილიამისკენ გავემართე. ვივახშმეთ და ჩემს სენაკს მივაშურე. უფრო სწორად, მას ვუთხარი ასე, მე კი ჩუმად ეკლესიაში შევბრუნდი, უბერტინუსის ნახვა მინდოდა.

სერობის შემდეგ

სადაც უბერტინუსი ადსოს დოლჩინოს ამბავს უყვება, სხვა ამბებს ადსო თავად იხსენებს ან ბიბლიოთეკაში კითხულობს, შემდეგ კი შეხვდება ასულს, რომელიც ისეთი მშვენიერი და ძრწოლისმომგვრელია, როგორიც საომრად დაწყობილი ლაშქარი

უბერტინუსი მართლაც წმიდა ქალწულის ქანდაკებასთან დამხვდა. მდუმარედ ამოვუდექი გვერდში და მცირე ხანს თავს ვიკატუნებდი (ვაღიარებ), ვითომ ვლოცულობდი. შემდეგ გავბედე და დაველაპარაკე.

– წმინდა მამაო, – მივმართე, – შეიძლება რაღაც გკითხოთ და ერთი რჩევა გთხოვოთ?

უბერტინუსმა შემომხედა, ხელი მომკიდა, წამოდგა და ახლოს მდგომი მერხისკენ გამიძღვა. ჩამოვსხედით. ხელი გადამხვია, სახეზე მის სუნთქვას ვგრძნობდი.

– ძვირფასო შვილო, – მითხრა უბერტინუსმა, – თუკი რამ ძალუძს შენი სულისთვის ამ ბებერ ცოდვილს, სიხარულით გააკეთებს. მითხარი, რა გაღელვებს? – თავადაც აღელვებული ჩანდა. – ხორცის მღელვარება, ხომ?

– არა, – წამოვწითლდი, – ეს უფრო გონების მღელვარებაა, რომელსაც მეტისმეტად ბევრის გაგება სურს…

– ეს ცუდია. ცოდნა უფლის საქმეა, ჩვენ მისი სიბრძნის თაყვანისცემა გვევალება.

– მაგრამ ჩვენ ხომ კეთილის ბოროტისგან გარჩევა და ადამიანურ ვნებებში გარკვევაც გვევალება. ახლა მორჩილი ვარ, მაგრამ ოდესმე ბერი, ღვთისმსახური გავხდები და უნდა ვისწავლო, სადაა და როგორია ბოროტება, რათა ერთ დღეს ამოვიცნო ის და სხვებსაც ვასწავლო მისი ცნობა.

– ეს მართალია, ჩემო ბიჭო. მაშ, რა გსურს შეიცნო?

– მწვალებლობის სარეველა, მამაო, – ვუთხარი მტკიცედ და სულმოუთქმელად მივაყოლე: – ერთ უკეთურ კაცზე მსმენია, მრავალი აცდუნა, თურმე ძმა დოლჩინოს ეძახიან.

უბერტინუსი ცოტა ხანს დუმდა. შემდეგ თქვა: – მართალია, უილიამს რომ ველაპარაკებოდი იმ დღეს, მაშინ გაიგე მასზე. მაგრამ ეს საძაგელი ამბავია და მიმძიმს მასზე ლაპარაკი, რადგან გვასწავლის (ისე, ამ მხრივ ჯობია კიდეც, მოგიყვე, რათა სათანადო დასკვნები გააკეთო)… რომ მონანიების წყურვილი და სამყაროს განწმენდის წადილი შესაძლოა სისხლისღვრისა და კაცის კვლის მიზეზი გახდეს.

მოხერხებულად მოკალათდა. წეღანდელივით აღარ ვყავდი მიხუტებული, თუმცა ცალი ხელი კვლავაც გადახვეული ჰქონდა, ალბათ თავისი ცოდნის ან გზნების გადმოსაცემად.

– ეს ამბავი დოლჩინომდე დაიწყო, პარმაში. – მითხრა, – სამოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. ბავშვი ვიყავი. ვინმე გერარდუს სეგალელი ქადაგებდა იქ, ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ხალხს მონანიებისკენ მოუწოდებდა შეძახილით: „ინანქმედებდეთ!“ უსწავლელი კაცი იყო და ამგვარად სურდა ეთქვა: „Penitentiam agite, appropinquabit enim regnum coelorum“[150]. თავის მიმდევრებს მოუწოდებდა, მოციქულთა დარად ეცხოვრათ, სურდა, მის სექტას მოციქულთა ორდენის სახელი ეტარებინა, მის მიმდევართ მათხოვრებივით ეხეტიალათ ქვეყნად და მხოლოდ მოწყალებით ესაზრდოვათ…

– ფრატიჩელებივით, – ვუთხარი. – განა ეს არ იყო ჩვენი უფლისა და თქვენი ფრანცისკის მოწოდებაც?

– დიახ, – დამეთანხმა უბერტინუსი მცირე ყოყმანის შემდეგ და მსუბუქად ამოიოხრა. – მაგრამ გერარდუსს, ალბათ, ზედმეტი მოუვიდა. ის და მისი მომხრეები იმაში დაადანაშაულეს, რომ სამღვდელოებას, წირვა-ლოცვას, აღსარებას აღარ აღიარებდნენ და უქმად დაყიალობდნენ.

– სპირიტუალისტ ფრანცისკელებსაც ამას არ აბრალებდნენ? მინორიტები ხომ დღესაც არ აღიარებენ პაპს?

– კი, მაგრამ ღვთისმსახურებს აღიარებენ. ჩვენ თავად ვართ ღვთისმსახურნი. ბიჭუნავ, ძნელია ამ საკითხებში გარკვევა. კეთილისა და ბოროტის გამყოფი ხაზი ისეთი ფაქიზი და უხილავია… გერარდუსი როგორღაც შეცდა და მწვალებლობით წაიხდინა სახელი… ფრანცისკელთა ორდენში შესვლის ნებართვა ითხოვა, მაგრამ ჩვენმა მოძმეებმა არ მიიღეს ის. ჩვენი ორდენის ტაძარში ატარებდა დღეებს და იქ ნახა კედელზე გამოსახული მოციქულები სანდლებითა და მხრებზე მოხვეული მოსასხამებით. თმა გაიზარდა და წვერი

მოუშვა, მანაც ჩაიცვა სანდლები და მინორიტ მამათა მსგავსად წელზე თოკი შეიბა, რადგან ყველა, ვისაც ახალი კონგრეგაციის დაარსება სურს, ნეტარი ფრანცისკის ორდენს ესესხება ხოლმე რაიმეს.

– მაშ, ის მართალი ყოფილა…

– მაგრამ რაღაც შეეშალა… თმამოშვებული დადიოდა, თეთრი ტუნიკითა და მოსასხამით, უბრალოთა შორის წმინდანის სახელი გაითქვა. თავისი ქოხი გაყიდა და ფული არც დახარჯა, არც ღარიბებს დაურიგა, ფულიანი ქისით ხელში ავიდა ქვაზე, რომლიდანაც წარსულში მამასახლისები ხალხს მიმართავდნენ, იქვე მახლობლად მოთამაშე თაღლითებს უხმო და მათ გაუნაწილა: „დაე, ვისაც სურს, იმან მიიღოსო“. თაღლითებმაც დაიტაცეს ფული და კვლავ კამათელში გაფლანგეს, თან ღმერთს გმობდნენ და ის, ვინც მათ ფული მისცა, ამას მშვიდად ისმენდა.

– მაგრამ ფრანცისკმაც ხომ ყველაფერი გასცა, რაც ებადა. დღეს უილიამისგან გავიგე, რომ ყვავ-ყორნებისთვის უქადაგია, კეთროვნებისთვისაც, ანუ მათთვის, ვინც იმ ხალხს, ქველად რომ მოჰქონდა თავი, გარიყული ჰყავდა…

– კი, მაგრამ გერარდუსს რაღაც შეეშალა, ხოლო ფრანცისკს არასოდეს ჰქონია უთანხმოება წმინდა ეკლესიასთან. სახარებაში წერია, ღარიბებს მიეცით და არა თაღლითებსო. გერარდუსმა გასცა და არაფერი მიუღია სანაცვლოდ, რადგან მან უკეთურ ხალხს მისცა. ცუდად დაიწყო, ცუდად გააგრძელა და ცუდადაც დაამთავრა, რადგან მისი საძმო პაპმა გრიგოლ X-მ დაგმო.

– იქნებ ის პაპი ნაკლებად შორსმჭვრეტელი იყო, ვიდრე მეორე, ვინც ფრანცისკის წესდება მოიწონა…

– კი, მაგრამ გერარდუსმა სადღაც შეცდომა დაუშვა. თან, ჩემო ბიჭო, ამ ღორებისა და ძროხების მწყემსებს, მოულოდნელად თვითმარქვია მოციქულებად რომ მოგვევლინენ, უზრუნველი და უშრომელი ცხოვრება ეწადათ იმათ ხარჯზე, ვინც ფრანცისკელმა ბერებმა ესოდენი ტანჯვის ფასად, სიღარიბის გმირული მაგალითით აღზარდეს! მაგრამ მთავარი ეს არაა, – დაამატა ნაჩქარევად, – მოციქულებს რომ დამსგავსებოდა, ისინი ხომ ადრე იუდეველნი იყვნენ, გერარდუს საგალელმა წინადაიცვითა, ეს კი ეწინააღმდეგება პავლეს სიტყვებს გალატელთა მიმართ. გაგიგია ალბათ, ბევრი წმინდა ადამიანი აცხადებს, რომ ანტიქრისტე წინადაცვეთილთა ტომიდან იქნება… მაგრამ გერარდუსმა უარესი გააკეთა: უბრალოებს აგროვებდა და ეუბნებოდა: „წამოდით ჩემთან ვენახშიო“ და, ვინც მას არ იცნობდა, სხვის ვენახში მიჰყვებოდა და სხვის ყურძენს ჭამდა…

– მინორიტები გამოიდებდნენ თავს სხვისი ქონების დასაცავად? – წამომცდა.

უბერტინუსმა მკაცრად შემომხედა: – მინორიტები ღატაკად ცხოვრების უფლებას ითხოვენ, მაგრამ სხვებისთვის არასოდეს უთხოვიათ, ღატაკები იყავითო. არ შეიძლება კეთილ ქრისტიანთა საკუთრების ხელყოფა არ ისჯებოდეს, კეთილი ქრისტიანები ყაჩაღად გამოგაცხადებენ. გერარდუსს სწორედ ასე მოუვიდა. ამ გერარდუსზე იმასაც ამბობდნენ (ოღონდაც გახსოვდეს, არ ვიცი, მართალია ეს თუ არა და ძმა სალიმბენის სიტყვებს ვენდობი, რომელიც იმ ხალხს იცნობდა), რომ ნებისყოფის გამოსაცდელად რამდენიმე ქალთან ეძინა ისე, რომ მათთან ხორციელი კავშირი არ ჰქონია, მაგრამ როცა მოწაფეებმა მისი მიბაძვა სცადეს, მათი ცდა სხვაგვარად დამთავრდაო… ოჰ, ეს საშენო ამბები არ არის, ყმაწვილო, ქალი ეშმაკის ჭურჭელია… გერარდუსი კვლავაც გაიძახოდა „ინანქმედებდეთო“, მაგრამ ერთი მისი მოწაფე, ვინმე გვიდო პუტაჯო, დიდი ზარ-ზეიმით დაიარებოდა ცხენოსანთა თანხლებით, რომის ეკლესიის კარდინალივით უხვად ხარჯავდა ფულს და მდიდრულ ნადიმებს აწყობდა. მერე კი სექტის ხელმძღვანელობისთვის ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ და საძაგელი ამბები დატრიალდა. თუმცა გერარდუსთან მაინც მრავალი ადამიანი მიდიოდა, არა მარტო გლეხები, არამედ ქალაქელებიც. გერარდუსი ყველას მოუწოდებდა, დედიშობილა გაჰყევით შიშველ ქრისტესო და საქადაგებლად აგზავნიდა. თავად კი თეთრი ჯვალოს უსახელო პერანგით დაიარებოდა და ამგვარი ჩაცმულობით მასხარას უფრო ჰგავდა, ვიდრე მოწესეს! ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ, თუმცა დროდადრო ეკლესიებში შედიოდნენ, ღვთისმსახურებს აძევებდნენ კათედრებიდან და თავად უქადაგებდნენ მრევლს, ერთხელ კი რავენის

სანტორსოს ეკლესიაში ჩვილი დასვეს ეპისკოპოსის ტახტზე. იოაკიმე ფიორელის მოძღვრების მიმდევრებად აცხადებდნენ თავს…

– ისევე, როგორც ფრანცისკელები, სან-დონინოელი გერარდუსი და თქვენ! – შევძახე.

– დამშვიდდი, ბიჭუნა. იოაკიმე ფიორელი დიდი წინასწარმეტყველი იყო და პირველი მიხვდა, რომ ფრანცისკი ეკლესიაში დიდ განახლებას წამოიწყებდა. მაგრამ თვითმარქვია მოციქულებმა მისი მოძღვრება საკუთარ სიშმაგეთა გასამართლებლად გამოიყენეს. სეგალელს თან მოციქული ქალი დაჰყავდა, ვინმე ტრიპია თუ რიპია, რომელიც წინასწარმეტყველად ასაღებდა თავს. ქალი დაჰყავდა თან, გესმის?

– მაგრამ, მამაო, – ვცადე შეპასუხება, – თქვენ თავად ლაპარაკობდით იმ საღამოს კლარა მონტეფალკოელისა და ანჯელა ფოლინიოელის სიწმინდეზე…

– ისინი წმინდანები იყვნენ! მოკრძალებულად ცხოვრობდნენ, წმინდა ეკლესიის ძალაუფლებას აღიარებდნენ, არასოდეს გაკადნიერებულან და წინასწარმეტყველების უნარი არ დაუჩემებიათ! ცრუ მოციქულები კი, სხვა მწვალებელთა დარად, ამტკიცებდნენ, რომ ქალებსაც შეეძლოთ ქალაქ-ქალაქ სიარული და ქადაგება. ისინი უცოლოსა და ცოლიანს არ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან, არც ერთი წმინდა საიდუმლო არ მიაჩნდათ მარადიულად. მოკლედ, ბოლოს და ბოლოს პარმის ეპისკოპოსმა ობიცუსმა გერარდუსის დატყვევება გადაწყვიტა. თუმცა შემდეგ ერთი უცნაური რამ მოხდა, რომელიც ცხადად მეტყველებს იმაზე, თუ რა სუსტია ადამიანის ბუნება და რაოდენ ვერაგი – მწვალებლობა: ეპისკოპოსმა მალევე გაათავისუფლა გერარდუსი და სუფრასთანაც დაისვა. ისიც მასხარაობდა და კარდინალი გულიანად იცინოდა მის უტიფარ ხუმრობებზე.

– კი, მაგრამ რატომ?

– არ ვიცი, უფრო სწორად, ვშიშობ, რომ ვიცი: ეპისკოპოსი კეთილშობილი გვარისა იყო და ქალაქელი ვაჭრები და ხელოსნები გულზე არ ეხატებოდა. შეიძლება, მოსწონდა კიდეც, რომ სიღატაკის ქადაგებით გერარდუსმა მათ წინააღმდეგ გაილაშქრა და მათხოვრობიდან ყაჩაღობაზე გადავიდა. თუმცა ბოლოს საქმეში პაპი ჩაერია, ეპისკოპოსმა სათანადო სიმკაცრე გამოიჩინა და გერარდუსმა კოცონზე დაასრულა სიცოცხლე, როგორც მწვალებელმა, ისე, რომ არც შეუნანია.

– რა კავშირშია ამ ამბებთან ძმა დოლჩინო?

– სწორედ რომ კავშირშია, რაც გვიჩვენებს, რომ მწვალებლობა მწვალებელთა განადგურების შემდეგაც განაგრძობს არსებობას. ეს დოლჩინო ერთი ღვთისმსახურის ბუში იყო, რომელიც იტალიის ამ მხარეში ცხოვრობდა, აქედან ცოტა ჩრდილოეთით. ზოგი ამბობდა, სხვაგან დაიბადაო, ოსოლას ხეობაში ან რომანიანოში. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. ძალიან გონიერი ახალგაზრდა იყო და წერა-კითხვაც იცოდა, მაგრამ ერთ დღეს თავისი აღმზრდელი ღვთისმსახური გაძარცვა და აღმოსავლეთით, ქალაქ ტრენტოს შეაფარა თავი. იქ გერარდუსის ქადაგება გააგრძელა თურმე, თავს ღვთის ერთადერთ ჭეშმარიტ მოციქულად აცხადებდა და ამტკიცებდა, რომ ადამიანებს ყოველივე საერთო უნდა ჰქონოდათ სიყვარულში, რომ ნებისმიერ ქალთან ყოფნა დაშვებული იყო, ცოლი იქნებოდა თუ საკუთარი შვილი, რომ არავინ უნდა გაეკიცხათ ქორწინების გარეშე ქალთან სარეცლის გაყოფისთვის…

– მართლა ქადაგებდა ასეთ რამეს თუ დააბრალეს? გამიგონია, რომ სპირიტუალისტებსაც იმასვე აბრალებდნენ, რასაც იმ მონტეფალკოელ ბერებს…

– De hoc satis[151], – მკვახედ შემაწყვეტინა უბერტინუსმა. – ისინი ბერები კი არა, მწვალებლები იყვნენ. თანაც სწორედ დოლჩინოს მიერ წაბილწულები. საკმარისია გაიგო, რაც დოლჩინომ შემდეგ ჩაიდინა, რომ მას ბოროტმოქმედი უწოდო. არც ვიცი, საიდან შეიტყო ცრუ მოციქულთა მოძღვრებებზე. შეიძლება, ახალგაზრდობაში პარმაში იყო ნამყოფი და იქ მოისმინა გერარდუსის ქადაგება. დანამდვილებით ის ვიცით, რომ დოლჩინომ ტრენტოში დაიწყო ქადაგება. იქ კეთილშობილი წარმოშობის მშვენიერი ასული, მარგარიტა აცდუნა, ან მან თავად აცდუნა დოლჩინო, როგორც ელოიზამ აბელარი, რადგან, გახსოვდეს, რომ ეშმაკი სწორედ ქალის მეშვეობით აღწევს ადამიანთა

გულებში! ტრენტოს ეპისკოპოსმა დოლჩინო თავისი ეპარქიიდან განდევნა, თუმცა ამ დროისთვის მას უკვე ათასზე მეტი მომხრე ჰყავდა შემოკრებილი და მათთან ერთად თავის მშობლიურ მხარეს მიაშურა. გზად კიდევ ბევრი შეუერთდა, მისი სიტყვებით მონუსხული და გაბრიყვებული. შესაძლოა, დოლჩინოს მწვალებელი ვალდენსებიც მიემხრნენ, იმ მთების ბინადარნი, რომლებიც გზად გაიარა. ნოვარის მხარეში დოლჩინოს თავისი ამბოხისათვის შესაფერი ვითარება დახვდა, რადგან ვერჩელის ეპისკოპოსის ვასალები, გატინარას რომ განაგებდნენ, ხალხს გაეძევებინა. ამ ხალხმა დოლჩინოს ყაჩაღები მოკავშირეებად მიიღო.

– ეპისკოპოსის ვასალებმა რაღა ჩაიდინეს?

– არ ვიცი და ჩემი განსასჯელი არც არის. ქალაქ ვერჩელიში რამდენიმე ოჯახი იყო დაპირისპირებული, ცრუ მოციქულებმა ამით ისარგებლეს, ამ ოჯახებმა კი ცრუ მოციქულთა მიერ მოწყობილი აურზაურით იხეირეს. მემამულეები ყაჩაღებს ფულს უხდიდნენ ქალაქელთა საძარცვავად, ისინი კი ნოვარის ეპისკოპოსს სთხოვდნენ მფარველობას.

– რა ჩახლართული ამბავია. დოლჩინო ვის მხარეს იყო?

– არ ვიცი. ის თავისთვის იყო, მაგრამ ამ ამბებში მონაწილეობდა და ამით სარგებლობდა, რათა სიღატაკის სახელით სხვათა ქონების ხელყოფა ექადაგა. თავის მომხრეებთან ერთად, რომელთა რიცხვიც იმხანად უკვე სამ ათასს აღწევდა, დოლჩინო ნოვარის მახლობლად ერთ მთაზე ავიდა, რომელსაც პარეტე კალვას ეძახდნენ. იქ გამაგრდნენ და დოლჩინო უამრავ ქალსა და მამაკაცს მართავდა თავის ჭკუაზე, გარყვნილებაში აცხოვრებდა. იქიდან დოლჩინო ერთგულ მომხრეებს წერილებს უგზავნიდა, სწერდა, რომ მხოლოდ სიღატაკის თაყვანისცემა ევალებოდათ, რომ არავის მორჩილება არ მართებდათ, ის კი, თავად დოლჩინო, ღმერთის მიერ იყო მოვლენილი ძველ და ახალ აღთქმათა განსამარტავად და წინასწარმეტყველებათა გამოსაცხადებლად. მღვდლებს, მქადაგებლებსა და მინორიტებს ეშმაკის მსახურებს უწოდებდა და ადამიანებს მათდამი დაუმორჩილებისკენ მოუწოდებდა. ღვთის სამწყსოს ცხოვრებაში დოლჩინო ოთხ ხანას განასხვავებდა. პირველი ძველი აღთქმის, პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა ხანა იყო ქრისტეს მოვლინებამდე, ამ დროს ქორწინება საჭირო იყო, რადგან ადამიანები უნდა გამრავლებულიყვნენ; მეორე ხანა ქრისტეს და მოციქულთა, ანუ სიწმინდისა და უბიწობის, ხანა ყოფილა; შემდეგ მესამე ხანა დადგა, როდესაც პაპებს თავდაპირველად მიწიერი ქონების აღიარება მოუწიათ, რათა ხალხის მართვა შესძლებოდათ, თუმცა როცა ხალხმა ნელ-ნელა ღვთის სიყვარული დაკარგა, მოვიდა ბენედიქტე, ყოველგვარი მიწიერი ძალაუფლების მოწინააღმდეგე. როდესაც ბენედიქტეს ბერებმაც დაიწყეს ქონების დაგროვება, წმინდა ფრანცისკისა და წმინდა დომინიკის ბერები მოვიდნენ, რომლებიც ბენედიქტეზე უფრო მკაცრად ქადაგებდნენ მიწიერი ძალაუფლებისა და სიმდიდრის წინააღმდეგ. ამბობდა, ახლა, როდესაც უამრავი სასულიერო პირის ცხოვრება კვლავაც ეწინააღმდეგება ამ სათნო მცნებებს, მესამე ხანაც მიიწურა და მოციქულთა სწავლებისკენ მიბრუნება გახდა საჭიროო.

– მაშ, დოლჩინო იმას ქადაგებდა, რასაც ფრანცისკელები, კერძოდ – სპირიტუალისტები და მათ შორის თქვენც, მამაო!

– ასეა, მაგრამ ამ ქადაგებიდან დოლჩინოს მზაკვრული სილოგიზმი გამოჰყავდა! ამბობდა, იმისთვის, რომ ზნედაცემულობის ეს მესამე ხანა დასრულდეს, ყველა სასულიერო პირი, ბერი და მამა საშინელი წამებით უნდა მოკვდესო. ამბობდა, სამღვდელოება, მონაზვნები, მოწესე ქალები და მამაკაცები, მქადაგებელთა და მინორიტთა ორდენების ყველა წევრი, განდეგილნი და თვით პაპი ბონიფაციუსიც ჩემ მიერ არჩეულმა იმპერატორმა უნდა გაანადგუროს და ეს იმპერატორი ფედერიკო სიცილიელი უნდა იყოსო.

– კი, მაგრამ ფედერიკო არ იყო, სიცილიაში პატივით რომ მიიღო უმბრიიდან გარეკილი სპირიტუალისტები და განა მინორიტები არ ითხოვენ, რომ იმპერატორმა მოუღოს ბოლო პაპისა და კარდინალთა დროებით ძალაუფლებას?

– საქმეც ეს არის, მწვალებლობა აუკუღმართებს მართებულ აზრებს და ღვთისა და კაცის

კანონთა წინააღმდეგ მიმართავს მათ. მინორიტებს არასოდეს უთხოვიათ იმპერატორისთვის სხვა ღვთისმსახურთა დახოცვა.

თავს იტყუებდა, ახლა ვხვდები. რადგან, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ბავარიელმა რომში საკუთარი წესრიგი დაამყარა, მარსილიუსი და სხვა მინორიტები ზუსტად ისე მოექცნენ პაპის ერთგულ მსახურთ, როგორც დოლჩინო ითხოვდა. ამით დოლჩინოს კი არ ვამართლებ, უფრო იმის თქმა მინდა, რომ მარსილიუსიც შეცდა. ნაშუადღევს უილიამთან საუბრის შემდეგ იმაზე ვიტეხდი თავს, როგორ ასხვავებდნენ დოლჩინოს მიმდევარი უბრალოები სპირიტუალისტთა დაპირებებს დოლჩინოს დაპირებებისგან? განა ის იმას არ აკეთებდა, რასაც სხვები მხოლოდ მისტიკურად ქადაგებდნენ? ან იქნებ განსხვავებაც სწორედ ეს იყო და სიწმინდე სწორედ იმას ნიშნავდა, უდრტვინველად დავლოდებოდით, როდის გვიბოძებდა უფალი იმას, რასაც მისი წმინდანები გვპირდებოდნენ, და თავად არ გვეცადა, მიწიერი ხერხებით მოგვეპოვებინა დანაპირები? ახლა ვიცი, რომ ეს ასეა და ვიცი, რატომ ცდებოდა დოლჩინო: სამყაროში არსებულ წესრიგს არ უნდა შევეხოთ, თუმცა კი მისი ცვლილების მხურვალე იმედი უნდა შევინარჩუნოთ. მაგრამ იმ საღამოს წინააღმდეგობრივი აზრებით მქონდა გონება ამღვრეული.

– დასასრულ, – განაგრძობდა უბერტინუსი, – მწვალებლობის კვალს მუდამ ამპარტავნობაში პოულობ. საბოლოოდ დოლჩინომ სამოციქულო კონგრეგაციის მეთაურად გამოაცხადა თავი და გვერდში ქალიც კი ამოიყენა, მზაკვარი მარგარიტა. ის წმინდა, ანგელოზებრივი პაპის მოსვლას ქადაგებდა, რომელზეც ოდესღაც წინამძღვარი იოაკიმე ლაპარაკობდა. ის ღმერთის მიერ უნდა ყოფილიყო არჩეული და მაშინ დოლჩინოსა და მისი მომხრეებზე (იმ დროისთვის უკვე ოთხი ათასამდე იყვნენ) ერთად გადმოვიდოდა სულიწმიდის მადლი. მაგრამ ამ პაპის მოსვლამდე დარჩენილ სამ წელიწადში ბოროტება სრულად უნდა დაძლეულიყო. ეს უნდოდა სწორედ დოლჩინოს, ამიტომ დაატრიალა ომის ქარცეცხლი ყველგან, სადაც კი ფეხი დადგა. მაგრამ შემდეგი პაპი, და აქ ცხადად ჩანს, როგორ ათამაშებს დემონი თავის კლანჭებში მოხვედრილ მსხვერპლს, სწორედ კლემენტ V იყო, რომელმაც ჯვაროსნული ომი დაიწყო დოლჩინოს წინააღმდეგ. და სწორადაც მოიქცა, რადგან თავის წერილებში დოლჩინო მეძავს უწოდებდა რომის ეკლესიას, ხალხს ღვთისმსახურების დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა, ამბობდა, ახალი ეკლესია მხოლოდ მოციქულებისგან შედგება და მათ ქორწინების გაუქმება შეუძლიათო; ყველა დაიღუპება, ვინც სექტაში არ გაწევრიანდება, ცოდვისგან ხსნა არც ერთ პაპს არ ძალუძსო; ხალხს აქეზებდა, გადასახადები არ გადაიხადოთო, მიაჩნდა, რომ საერო ცხოვრება სასულიერო ცხოვრებაზე უფრო სრულყოფილია, რომ ნაკურთხი ეკლესია სულაც არაა საჭირო სალოცავად, რომ სულერთია, ეკლესიაში ილოცებ თუ ბოსელში და რომ ქრისტეს თაყვანისცემა ტყე-ღრეშიც შეიძლება და ეკლესიაშიც.

– მართლა ამბობდა ამას?

– რა თქმა უნდა. თუმცა ამაზე უარესიც გააკეთა. პარეტე კალვაზე რომ დაბანაკდა, ახლომდებარე სოფლების დარბევა და დაწიოკება დაიწყო სარჩო-სანოვაგის საშოვნელად. ამას ზამთარიც დაერთო, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, და საშინელი სიდუხჭირე მოიტანა. მთაში ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო, შიმშილისაგან ყველანაირ ცხოველს ჭამდნენ, ცხენებიც აღარ დარჩათ, ბოლოს თივას ხარშავდნენ, რომ ეჭამათ. ბევრი დაიხოცა მაშინ.

– კი, მაგრამ ვის ებრძოდნენ?

– ვერჩელის ეპისკოპოსმა პაპ კლემენტ V-ს მიმართა და მწვალებელთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი გამოცხადდა. მის ნებისმიერ მონაწილეს სრული ინდულგენცია შესთავაზეს, მიიწვიეს ლუდოვიკო სავოიელი, ლომბარდიელი ინკვიზიტორები, მილანის მთავარეპისკოპოსი. ვერჩელისა და ნოვარის მცხოვრებთა დასახმარებლად ბევრმა მიიღო მონაწილეობა ამ ლაშქრობაში, ჩამოვიდნენ სავოიიდან, პროვანსიდან, საფრანგეთიდან, ვერჩელის ეპისკოპოსის მეთაურობით. ორი ლაშქრის მოწინავე რაზმები გამუდმებით ერკინებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ დოლჩინოს სიმაგრეები აუღებელი იყო, თანაც მკრეხელებს ვიღაც ეხმარებოდა.

– ვინ?

– ვფიქრობ, სხვა მკრეხელნი და უღმერთონი, ვისაც მთელი ეს აურზაური ხელს აძლევდა. 1305 წლის დასასრულს მწვალებელი იძულებული გახდა, პარეტე კალვა დაეტოვებინა. დაჭრილები და ავადმყოფები დატოვა და ტრივერში გადავიდა, სადაც ზუბელოდ წოდებულ მთაზე დაბანაკდა. იმის მერე ამ მთას რუბელოს ან რებელოს[152] ეძახიან, რადგან ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრებულთა სიმაგრედ იქცა. მოკლედ, ყველაფერს ვერ მოგიყვები, რაც იქ მოხდა, საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. ბოლოს ამბოხებულებს დანებება მოუწიათ, დოლჩინო და მისი მომხრეები დაატყვევეს და სამართლიანად კოცონზე დაწვეს.

– მშვენიერი მარგარიტაც?

უბერტინუსმა შემომხედა: – გახსოვს, ლამაზი რომ იყო, არა? ამბობენ, რომ მშვენიერი იყო და მრავალ იქაურ დიდებულს სურდა მისი ცოლად შერთვა, კოცონისგან რომ დაეხსნათო. მაგრამ მარგარიტამ არავინ ისურვა და მოუნანიებლად მოკვდა თავის მოუნანიებელ საყვარელთან ერთად. დაე, გაკვეთილად იქცეს ეს შენთვის, ერიდე ბაბილონელ მეძავს, მაშინაც კი, როცა უაღრესად ნატიფი ქმნილების იერს იძენს.

– მაგრამ ერთი რამ მითხარით, მამაო. გავიგე, რომ მონასტრის მეკუჭნავე და შეიძლება სალვატორეც შეხვედრიან დოლჩინოს, რაღაცნაირად ჰქონიათ მასთან კავშირი…

– გაჩუმდი და დაუფიქრებლად ლაპარაკს ერიდე. მეკუჭნავე მინორიტთა ერთ მონასტერში გავიცანი. თუმცა, მართალია, ეს დოლჩინოს ამბების შემდეგ მოხდა. იმ წლებში, სანამ წმინდა ბენედიქტეს ორდენს შევაფარებდით თავს, ბევრმა სპირიტუალისტმა მშფოთვარე ცხოვრება განვლო და საკუთარი მონასტრის მიტოვება მოუხდა. არ ვიცი, სად იყო რემიგუსი ჩემთან შეხვედრამდე. ვიცი, რომ მუდამ მართლმორწმუნე ბერი იყო, ეკლესიის სწავლების ერთგული. სხვა რა გითხრა, ვაი, რომ ხორცი სუსტია…

– რას გულისხმობთ?

– შენთვის სულაც არაა აუცილებელი, ეს იცოდე. თუმცა, რაკი უკვე ვილაპარაკეთ ამაზე და კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისგან განსხვავება უნდა ისწავლო… – კიდევ შეყოვნდა, – გეტყვი, აქ, მონასტერში, ამბობენ, რომ მეკუჭნავე უძლურია ცდუნების წინაშე… მაგრამ ეს მითქმა-მოთქმაა. უნდა ისწავლო, ასეთ რამეებზე არც კი იფიქრო. – უბერტინუსმა ისევ თავისკენ მიმიზიდა, ხელი მომხვია და ქალწულის ქანდაკებაზე მიმითითა: – შენ უმწიკვლო სიყვარულს უნდა ეზიარო. აი ის, ვის პიროვნებაშიც ამაღლებულია ქალურობა. ამიტომაც შეგიძლია თქვა მასზე, რომ მშვენიერია, როგორც სატრფო ქებათა ქებისა. მასში, – უბერტინუსი შინაგანი გზნებით იყო გაცისკროვნებული, როგორც წინა დღით წინამძღვარი, მონასტრის საგანძურს რომ გვათვალიერებინებდა, – მასში სხეულის სინატიფეც კი ზეციურ მშვენიერებათა ნიშნადაა ქცეული და ამიტომაც მოქანდაკემ ის ყველა იმ სამკაულით შეამკო, რითაც ქალი უნდა იყოს დამშვენებული, – ქალწულის მოხდენილ მკერდზე მიმითითა. მჭიდროდ შეკრული კორსეტის თასმებს ყრმის პაწია ხელები ეთამაშებოდა. – ხედავ, რა მომხიბლავია მისი პატარა, უბიწო ძუძუები? Pulchera enim sunt ubera quae paululum supereminent et tument modice, nec fluitantia licenter, sed leniter restricta, repressa sed non depressa…[153] რას განიცდი ამ უნაზესი ხილვის წინაშე?

საშინლად გავწითლდი, შიგნიდან თითქოს ცეცხლი წამეკიდა. ალბათ, უბერტინუსმა ეს დაინახა ან, შესაძლოა, ჩემი ლოყების მხურვალება იგრძნო, რადგან უმალ დაამატა: – უნდა ისწავლო ზებუნებრივი სიყვარულის ცეცხლის განსხვავება გრძნობათა მგზნებარებისაგან. ეს წმინდანებსაც უჭირთ.

– რით ამოიცნობა კეთილი სიყვარული? – ვკითხე კანკალით.

– რა არის სიყვარული? ქვეყნად არაფერს – არც კაცს, არც ეშმაკს, არც რაიმე საგანს არ ვუყურებ ისეთი ეჭვით, როგორც სიყვარულს, რადგან ის ყოველივე სხვა გრძნობაზე მეტად აღწევს ადამიანის სულში. სხვა არაფერს ძალუძს გულის ისე დაპყრობა, როგორც სიყვარულს. ამიტომაც, თუ ადამიანის სული არ ფლობს იმ იარაღს, რომელიც სიყვარულს

მართავს, მის გამო საშინელ უბედურებაში ვარდება. დარწმუნებული ვარ, რომ არა მარგარიტას ცდუნებანი, დოლჩინო თავს არ დაიღუპავდა, და რომ არა ის არეული და უწესო ცხოვრება, პარეტე კალვაზე რომ ეწეოდნენ, მის მიმდევართაგან ბევრი ვერ იგრძნობდა მისი ამბოხის ხიბლს. ყურადღებით იყავი, ამას მხოლოდ ბოროტ სიყვარულზე კი არ გეუბნები, რომელსაც, ცხადია, ყველა უნდა გაურბოდეს, როგორც ეშმაკეულს, არამედ იმავეს ვამბობ – დიდი შიშით – ადამიანსა და ღმერთს, მოყვასთა შორის არსებულ კეთილ სიყვარულზეც. ხშირად ხდება, რომ ადამიანებს, ქალებსა თუ კაცებს, უყვართ ერთმანეთი, სიახლოვე, ურთიერთობა სურთ. გამოგიტყდები, განმიცდია მსგავსი გრძნობა სათნო ქალთა მიმართ, როგორებიც ანჯელა და კლარა იყვნენ. ჰოდა, ესეც დასაძრახია, თუმცა კი სულიერად და ღვთის სახელით ხდება… რადგან სულისმიერ სიყვარულსაც, თუ სათანადოდ არაა მოთოკილი და გზნება ურევია, უცილობლად დაცემა ემუქრება, ძნელია მისი დათრგუნვა. ოჰ, სიყვარულს ათასგვარი თვისება აქვს. სიყვარულით აღტაცებული სული თავიდან ლღვება, მერე განიარაღებული ეცემა… შემდეგ კი ღვთაებრივი სიყვარულის ჭეშმარიტ ცეცხლს შეიგრძნობს, ყვირის და ჩივის, ღუმელში შეგდებულ ქვასავით, კირად რომ იქცეს, ცეცხლის ალში გახვეული ტკაცანებს…

– ესაა კეთილი სიყვარული?

უბერტინუსი თავზე მომეფერა. დავინახე, რომ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე: – კი, ბოლოს და ბოლოს ეს კეთილი სიყვარულია. – ხელი ჩემი მხრებიდან აიღო. – მაგრამ რა რთულია, – დაამატა, – რა რთულია სხვა სიყვარულისგან მისი გარჩევა. როცა შენს სულს დემონები აცდუნებენ, ისე ხარ, როგორც ყელში თოკწაჭერილი, ხელებშეკრული, თვალახვეული კაცი, რომელიც სახრჩობელაზე კიდია, მაგრამ ჯერ ცოცხალია და ყოველგვარი დახმარების, საყრდენის, საშველის გარეშე ქანაობს სიცარიელეში…

სახეზე ახლა ცრემლებთან ერთად ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი. – წადი ახლა, წადი, – მითხრა სწრაფად, – რის ცოდნაც გსურდა, გითხარი. ერთ მხარეს ანგელოზთა გუნდია, მეორე მხარეს კი – ჯოჯოხეთის ხახა. წადი. დიდება უფალს. – ისევ განერთხა ქალწულის ქანდაკების წინაშე და მისი ხმადაბალი ქვითინი მომესმა. ლოცულობდა.

ეკლესიიდან არ გავსულვარ. უბერტინუსთან საუბარმა საშინლად ამაღელვა, ამიფორიაქა სულიცა და სხეულიც. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ვიგრძენი დაუმორჩილებლობის სურვილი და გადავწყვიტე, მარტო დავბრუნებულიყავი ბიბლიოთეკაში. თავადაც არ ვიცოდი, რას დავეძებდი. მსურდა, მარტოს გამომეკვლია უცნობი ადგილი, მხიბლავდა იმის გაფიქრება, რომ იქ დამოუკიდებლად, მასწავლებლის გარეშე შემეძლო გზის გაკვლევა. ისე ავედი ბიბლიოთეკაში, როგორც დოლჩინო – რუბელოს მთაზე.

ლამპარი მქონდა (რისთვის წამოვიღე? იქნებ ადრევე მქონდა გულის სიღრმეში ეს საიდუმლო ჩანაფიქრი?) და საძვალეში თითქმის თვალდახუჭული შევედი. ცოტა ხანში სკრიპტორიუმში ვიყავი.

ვფიქრობ, ეს საბედისწერო საღამო იყო, რადგან რომელიღაც მაგიდაზე გადაშლილი ხელნაწერი შევნიშნე, რომელსაც ერთ-ერთი ბერი იწერდა იმ დღეებში. სათაურმა უმალ მიიქცია ჩემი ყურადღება: „Historia fratis Dulcini Heresiarche“[154]. ვგონებ, პეტრე სანტალბანელის მაგიდა იყო, რომელზეც მითხრეს, მწვალებლობის მონუმენტურ ისტორიას წერსო (მონასტერში დატრიალებული ამბების შემდეგ, ცხადია, ეს წიგნი აღარ დაწერილა, თუმცა მოვლენებს ნუ გავუსწრებთ). მაშასადამე, არაფერი იყო უცნაური იმაში, რომ ნაშრომი იქ იდო. მაგიდაზე სხვა ნაწერებიც ელაგა იმავე თემაზე, პატარიელებსა თუ ფლაგელანტებზე. მაგრამ მე ეს გარემოება ზებუნებრივ ნიშნად მივიღე, თუმცა ახლაც არ ვიცი, ზეციურად თუ ეშმაკეულად, და ხარბად დავეწაფე ნაწერს. ტექსტი ძალიან გრძელი არ იყო, მის პირველ ნაწილში უფრო დაწვრილებით იგივე იყო მოთხრობილი, რაც უბერტინუსმა მიამბო, თუმცა წვრილმანები აღარ მახსოვს. აქვე იყო აღწერილი მრავალი დანაშაული, რომლებიც დოლჩინოს მომხრეებს ომისა და ალყაში ყოფნის დროს ჩაედინათ. ეწერა საბოლოო, უსასტიკეს ბრძოლაზეც. მაგრამ ტექსტში ისიც აღმოვაჩინე, რაც უბერტინუსს ჩემთვის არ უთქვამს. თანაც ეს თვითმხილველის მონათხრობი იყო, ვისაც ჯერაც ცხადად ედგა ყოველივე თვალწინ.

ასე შევიტყვე, რომ 1307 წლის მარტში, დიდ შაბათს, ბოლოს და ბოლოს შეუპყრიათ

დოლჩინო და მარგარიტა და ქალაქ ბიელას ეპისკოპოსისთვის მიუგვრიათ, რომელიც პაპის გადაწყვეტილებას ელოდა. როგორც კი მეამბოხეთა დატყვევების ამბავი გაუგია, პაპს უმალვე საფრანგეთის მეფისთვის მიუწერია: „უაღრესად სასიხარულო ცნობები მივიღეთ, რამეთუ ის ბილწი ეშმაკი, ბელიალის ძე და უსაშინლესი მწვალებელი დოლჩინო ხანგრძლივი დევნის, ბრძოლისა და ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ბოლოს და ბოლოს თავის მომხრეებთან ერთად დატყვევებულია და ჩვენს ციხეში იმყოფება, რაც ჩვენი სათაყვანო ძმის, ვერჩელის ეპისკოპოსის რანიერის დამსახურებაა, ვინც ეს მზაკვარი უფლის წმინდა სერობის დღეს შეიპყრო, მასთან მყოფი და მის მიერ დასნებოვნებული მრავალი ადამიანი კი იმავე დღეს დაიხოცა“.

პაპი დაუნდობელი იყო ტუსაღთა მიმართ, მათი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. იმავე წლის ივლისის თვის პირველ რიცხვში მწვალებლები საერო სასამართლო ხელისუფლებას გადასცეს. ქალაქის სამრეკლოებიდან განუწყვეტლად რეკავდნენ ზარები. დამნაშავეებს ურმით დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში, უკან ჯარისკაცები მიჰყვებოდნენ, ჯალათები კი გზადაგზა გავარვარებული მარწუხებით აჯიჯგნიდნენ ხორცს. ჯერ მარგარიტა დაწვეს, დოლჩინოს თვალწინ, რომელსაც წარბიც არ შეუხრია. მას არც მაშინ დაუჩივლია, როცა მარწუხები სხეულს უფლეთდნენ. ურემი სვლას განაგრძობდა, ჯალათები იარაღებს აგიზგიზებული ნაკვერჩხლით სავსე ჭურჭელში აცხელებდნენ. დოლჩინომ უხმოდ აიტანა წამება, მხოლოდ ცხვირი რომ მოაჭრეს, ცოტათი შეიშმუშნა და ასო რომ მოაგლიჯეს, გულისგამგმირავად ამოიგმინა. მონანიება წამითაც არ უფიქრია, განაცხადა, სამ დღეში მკვდრეთით აღვდგებიო. დოლჩინოს ფერფლი ქარს გაატანეს.

ხელის კანკალით დავხურე ხელნაწერი. დოლჩინომ ბევრი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ის საზარლად აწამეს. კოცონზე კი ისე მოიქცა... როგორ? როგორ მოიქცა? მოწამეობრივი სიმტკიცით თუ სულწაწყმედილთათვის ჩვეული კადნიერებით? სანამ ბარბაცით მივუყვებოდი ბიბლიოთეკისკენ მიმავალ კიბეს, მივხვდი, რატომ ვიყავი ასე აღელვებული. მოულოდნელად რამდენიმე თვის წინანდელი ამბავი გამახსენდა, რომელსაც ტოსკანაში ახალი ჩასული შევესწარი. გამიკვირდა კიდეც, როგორ არ გამახსენდა აქამდე, თითქოს ჩემს სნეულ სულს სურდა, წაეშალა შემზარავი მოგონება. ყოველთვის, როცა ფრატიჩელებზე მესმოდა ლაპარაკი, ის სურათი მიდგებოდა თვალწინ, მაგრამ ვცდილობდი, არ მეფიქრა ამაზე, სულის სიღრმეში ჩამეჩქმალა, თითქოს იმ საშინელების ნახვით მეც ცოდვა ჩამედინოს.

ფრატიჩელების სახელს პირველად მაშინ მოვკარი ყური, როცა ფლორენციაში ერთ-ერთი მათგანის კოცონზე დაწვას შევესწარი. ეს პიზაში ძმა უილიამთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. უილიამი აგვიანებდა და მამამ ნება დამრთო, დამეთვალიერებინა ფლორენცია, რომლის ტაძართა მშვენიერებაც საქვეყნოდ იყო ცნობილი. იტალიური ხალხური ენის უკეთ შესასწავლად ტოსკანა მოვიარე და დასასრულ ერთი კვირა ფლორენციაში გავატარე, რადგან ბევრი რამ მსმენოდა ამ ქალაქის შესახებ და მისი ნახვა მსურდა.

ფლორენციაში ჩასვლისთანავე შევიტყვე ამბავი, რომელიც მთელ ქალაქს აღელვებდა. იმ დღეებში სარწმუნოების წინაშე ჩადენილ დანაშაულში ბრალდებული ერთი მწვალებელი ფრატიჩელის ინკვიზიცია იყო დაგეგმილი ეპისკოპოსისა და სხვა სასულიერო პირთა თანდასწრებით. ხალხს გავყევი და დანიშნულ ადგილას მივედი, გზადაგზა კი მესმოდა, რომ ეს ბერი, სახელად მიქაელი, სინამდვილეში ძალიან ღვთისმოსავი კაცი იყო, წმინდა ფრანცისკის სიტყვებს იმეორებდა, მონანიებასა და სიღატაკეს ქადაგებდა, სამსჯავროზე კი მავან დიაცთა მზაკვრობით აღმოჩნდა, რომლებმაც ჯერ თავი მოაჩვენეს, ვითომ აღსარებას ეუბნებოდნენ, შემდეგ კი ღვთისგმობა დააბრალესო; იმასაც ამბობდნენ, ეპისკოპოსის ხალხმა ის სწორედ ამ ქალების სახლში შეიპყროო. ამან ფრიად გამაოცა, რადგან ეკლესიის მსახური საიდუმლოებათა აღსასრულებლად ესოდენ შეუფერებელ ადგილებში არ უნდა დადიოდეს. თუმცა ფრატიჩელთა სისუსტეც, ალბათ, ის იყო, რომ ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდნენ მართებულსა და უმართებულოს და, ვფიქრობ, ხალხი არ ცდებოდა, როცა მათ საეჭვო ყოფაქცევაში ადანაშაულებდა (ისევე, როგორც კათარებს – ურჯულობასა და სოდომის ცოდვაში).

წმინდა სალვატორეს ეკლესიასთან მივედი, სადაც პროცესი იმართებოდა. იმდენი ხალხი შეკრებილიყო, ტაძარში ვერ შევედი. მაგრამ რამდენიმე კაცი სარკმლებზე ამძვრალიყო,

ტაძარში მომხდარს ისმენდნენ და ხედავდნენ და ყოველივეს ქვემოთ შეკრებილთ უყვებოდნენ. ძმა მიქაელს საკუთარ აღიარებას უკითხავდნენ, რომელშიც აცხადებდა, რომ ქრისტესა და მის მოციქულებს „არანაირი საკუთრება არ ჰქონიათ, არც თავისი, არც ვინმესთან საზიარო“. მიქაელი არ ეთანხმებოდა წაკითხულს, ამბობდა, მწერალმა უამრავი ისეთი რამ მიამატა, რაც არ მითქვამსო. ყვიროდა (გარეთაც გავიგონე): „ამაზე განკითხვის დღეს გასცემთ პასუხსო“. მაგრამ ინკვიზიტორებმა აღიარება ისე წაიკითხეს, როგორც თავად ჩაასწორეს და ბოლოს ჰკითხეს მიქაელს, ეთანხმებოდა თუ არა ეკლესიისა და ხალხის აზრს. მესმოდა, როგორ ყვიროდა მიქაელი, მე იმას ვეთანხმები, რაც მწამს, ანუ იმას, რომ ქრისტე ჯვარცმული ღატაკი იყო, პაპი იოანე XXII კი მწვალებელია, რადგან ამის საპირისპიროს ამტკიცებსო.

ამ სიტყვებს დიდი კამათი მოჰყვა. ინკვიზიტორები, მათ შორის ფრანცისკელებიც, ცდილობდნენ, აეხსნათ მიქაელისთვის, რომ საღმრთო წერილში ასე არ ეწერა, მიქაელი კი ფრანცისკელებს თავიანთი ორდენის წესდების უარყოფაში ადანაშაულებდა. ფრანცისკელები ეკითხებოდნენ, რა გგონია, ჩვენზე – ამ საქმის ოსტატებზე – უკეთ გესმის საღმრთო წერილიო? მიქაელი არ ეპუებოდა მათ, ეკამათებოდა, პასუხად კი უკვე გამომწვევი ფრაზები ისმოდა: „ჰო, ჩვენ ის გვინდა, ქრისტე მესაკუთრედ ჩათვალო, პაპი იოანე კი – მართლმორწმუნედ და წმინდანად“. მიქაელი უკან არ იხევდა და იმეორებდა, მწვალებელიაო. ინკვიზიტორები აცხადებდნენ, არასოდეს გვინახავს საკუთარი სიმდაბლის ესოდენ ერთგული, უტეხი ადამიანიო. მესმოდა, რომ გარეთ შეკრებილთაგან ბევრი მიქაელს ფარისეველთა შორის მყოფ ქრისტეს ადარებდა და მივხვდი, იქ მყოფთაგან ბევრს სჯეროდა მისი სიწმინდის.

ბოლოს ეპისკოპოსის მცველებმა ხუნდებდადებული მიქაელი საპყრობილეში დააბრუნეს. საღამოს გავიგე, ეპისკოპოსის მომხრე არაერთი ბერი მისულა მიქაელთან შეურაცხყოფის მისაყენებლად, მოითხოვდნენ, ნათქვამი გადაეთქვა, ის კი საკუთარ სიმართლეს უმტკიცებდა ყველას და იმეორებდა, ქრისტე ღატაკი იყო და ამავეს აცხადებდნენ წმინდა ფრანცისკიც და დომინიკიცო. და თუკი ამ რწმენისათვის წამებით სიკვდილს მომისჯიან, მით უკეთესი, რადგან უფრო მალე ვიხილავ საღმრთო წერილში დანაპირებს: „გამოცხადების“ ოცდაოთხ უხუცესს, იესო ქრისტეს, წმინდა ფრანცისკსა და შარავანდედით შემკულ მოწამეთო. ვიღაცამ ისიც თქვა, მიქაელს უთქვამს, თუ წმინდა მამათა სწავლებას ესოდენ გზნებით ვეწაფებით, რაოდენ მეტი გზნებითა და სიხარულით უნდა ვესწრაფოდეთ მათ შორის ყოფნასო. ამ სიტყვების გამგონე ინკვიზიტორები საკნიდან გულმოსულები გამოსულიყვნენ და ყვიროდნენ, ამას ეშმაკი შეუჩნდაო!

მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ განაჩენი გამოეტანათ. სხვა ბევრ დანაშაულთან ერთად იმასაც აბრალებდნენ, თომა აკვინელს წმინდანად არ აღიარებს და მიაჩნია, რომ მას მარადიული ხსნა კი არ ერგო, სული წარიწყმიდა და დაიღუპაო. ეს სრულიად დაუჯერებლად მეჩვენა. განაჩენი ასე მთავრდებოდა: რადგან ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს, სასჯელის აღსასრულებლად ჩვეულ ადგილზე გაიყვანონ et ibidem igne et flammis igneis accensis concremetur et comburatur, ita quod penitus moriatur et anima a corpore separetur[155].

მერე ღვთისმსახურები მივიდნენ მიქაელთან საპყრობილეში და განაჩენი აცნობეს. უთხრეს: „ძმაო მიქაელ, უკვე დამზადებულია მიტრები და მოსასხამები ფრატიჩელთა გამოსახულებებით, რომელთაც ეშმაკები უმშვენებენ გვერდს“. მის დასაშინებლად ლაპარაკობდნენ ასე, რათა აეძულებინათ, თავისი სიტყვა გადაეთქვა. მაგრამ ბერი მუხლებზე დაეშვა და თქვა: „კოცონის სიახლოვეს ჩვენი მამა ფრანცისკი იქნება, მეტიც, მწამს, რომ იესო, მოციქულები და შარავანდედით შემკული მოწამენი ბართლომე და ანტონიც იქ იქნებიან“, და ასე საბოლოოდ უარყო ინკვიზიტორთა შეთავაზება.

მეორე დილას მეც ვიყავი ეპისკოპოსის სასახლის წინ, სადაც ინკვიზიტორები შეიკრიბნენ. ბორკილდადებული მსჯავრდებულიც იქ მიიყვანეს. ერთ-ერთი მორწმუნე მუხლებზე დაეცა და კურთხევა სთხოვა მამა მიქაელს. ის შეიარაღებულმა მცველებმა შეიპყრეს და უმალ დილეგში გააქანეს. შემდეგ ინკვიზიტორებმა კვლავ წაუკითხეს ბრალდებულს განაჩენი და ჰკითხეს, მონანიება ხომ არ სურდა. ბრალდების კითხვისას, როცა მას მწვალებლად იხსენიებდნენ, მიქაელი იმეორებდა: „მწვალებელი არ ვარ, ცოდვილი ვარ, მაგრამ მართლმორწმუნე“, ხოლო როდესაც „უნეტარეს და უწმინდეს პაპ იოანე XXII-ს“

ახსენებდნენ, მიქაელი ამბობდა: „არა, მწვალებელია“. ეპისკოპოსმა მიქაელს დაჩოქება უბრძანა, მან კი უპასუხა, მწვალებელთა წინაშე მუხლს არ მოვიყრიო. მაშინ ძალით დააჩოქეს და ჩაილაპარაკა: „უფალმა მომიტევოს“. მიქაელი საღვთისმსახურებო სამოსელით წარდგა სამსჯავროს წინაშე. რიტუალი დაიწყო. ნელ-ნელა ხდიდნენ, სანამ პერანგის ამარა არ დარჩა, რომელსაც ფლორენციაში „ჩოპას“ ეძახიან. როგორც წესი მოითხოვს მღვდლად კურთხევისას, მიქაელს ბასრი მახვილით თითები დაუსერეს და თმა გადაპარსეს. ამის შემდეგ მსჯავრდებული კვლავ მცველებს გადასცეს. საშინლად ეპყრობოდნენ, ისევ ბორკილები დაადეს და საპყრობილეში წაიყვანეს, გზად მიქაელი ხალხს ეუბნებოდა: „per Dominum moriemur“[156]. როგორც გავიგე, მეორე დღეს უნდა დაეწვათ. იმ დღეს კვლავ ჰკითხეს, აღსარების თქმა და ზიარების მიღება თუ სურდა. მიქაელმა ცოდვილთაგან საიდუმლოს მიღებაზე და, ამგვარად, ცოდვის ჩადენაზე უარი თქვა. ჩემი აზრით, აქ შეცდა და დაამტკიცა, რომ პატარიელთა მწვალებლობით იყო შებღალული.

ბოლოს სასიკვდილო განაჩენის აღსრულების დილაც დადგა. მიქაელის წასაყვანად მებაირაღე მივიდა, ჰკითხა, რატომ ჯიუტობ, როცა საკმარისია, ის თქვა, რასაც ხალხი ამბობს და წმინდა დედაეკლესიის აზრი გაიზიაროო. მაგრამ მიქაელი შეუვალი იყო: „მე ღატაკ და ჯვარცმულ ქრისტეს ვაღიარებ“. მებაირაღემ ხელი ჩაიქნია და უკან გაბრუნდა. შემდეგ მცველებმა მიქაელი შიგა ეზოში გაიყვანეს, სადაც ეპისკოპოსის ვიკარიუსმა თავიდან წაუკითხა აღიარებაც და განაჩენიც.

მაშინ ვერ ვხვდებოდი, რატომ ებრძოდა ასეთი გაშმაგებით ეკლესიაც და საერო ხელისუფლებაც იმ ადამიანებს, ვისაც ღატაკად ცხოვრება სურდა. მიკვირდა, განა იმათი არ უნდა ეშინოდეთ, ვისაც მდიდრული ცხოვრება, სხვისთვის ფულის წართმევა და ეკლესიაში სიმონიის დამკვიდრება სურს-მეთქი? გაჩუმება აღარ შემეძლო და გვერდით მდგომ კაცს გამოველაპარაკე, ეს აზრი გავუზიარე. მან ეშმაკურად ჩაიცინა და მითხრა, სიღატაკის მიმდევარი ბერი ცუდ მაგალითს აძლევს ხალხს, რომელიც შემდეგ იმათ ვეღარ ეგუება, ვინც ამ წესს არ მისდევსო. უპოვარებისკენ მოწოდება სახიფათოა, რადგან შეიძლება ხალხი საკუთარი სიღარიბით ამპარტავნობით აივსოს, ამპარტავნობა კი მრავალი მანკიერების დასაბამიაო. ისიც მითხრა, იცოდე, სამღვდელოების სიღატაკისკენ მოწოდება იმპერატორს აძლევს ხელს, ეს კი პაპს არ მოსწონსო. ოღონდ ახლა ის აღარ მესმოდა, რატომ უნდა ნდომებოდა მიქაელს ასეთი საზარელი სიკვდილი იმპერატორის მხარდასაჭერად.

მართლაც, აქა-იქ ხალხში ისმოდა: „წმინდანი კი არ არის, ლუდვიგმა გამოგზავნა მოქალაქეთა შორის უთანხმოების გასაღვივებლად. ფრატიჩელები ტოსკანელები არიან, მაგრამ მათ უკან იმპერატორის მსტოვრები დგანან“. სხვები ამბობდნენ: „ეს ხომ გიჟია, ეშმაკი შეუჩნდა, ამპარტავნობით სკდება და ქედმაღლურად ტკბება მოწამეობით. ამ ბერებს მეტისმეტად ბევრს აკითხებენ წმინდანთა ცხოვრებას, ამას აჯობებდა, ცოლები შეერთოთ“. იმასაც გაიგონებდით, ნეტავ ყველა ქრისტიანი ასეთი იყოს, საკუთარი რწმენისათვის თავდადებული, როგორც წარმართობის დროს იყოო. ათასგვარი რამ მესმოდა, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა და ამ დროს სიკვდილმისჯილს მოვკარი თვალი, რომელსაც დროდადრო წინ მდგომი ხალხი ეფარებოდა: ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც არაამქვეყნიურს ხედავდა. ასეთი გამომეტყველება ხანდახან ხილვებით გატაცებულ წმინდანთა ქანდაკებების სახეებზე შემინიშნავს. მივხვდი, რომ, შეშლილი იყო თუ წინასწარმეტყველი, მიქაელს სურდა სიკვდილი, რადგან სწამდა, რომ ამით მტერს დაამარცხებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს მტერი. და იმასაც მივხვდი, რომ მისი მაგალითი სხვებსაც მიიყვანდა ასეთ აღსასრულამდე. მხოლოდ მისმა სიმტკიცემ დამაბნია, რადგან დღესაც არ ვიცი, ასეთ ადამიანებში იმ ჭეშმარიტების ამაყი სიყვარული ჭარბობს, რომელიც სწამთ და რომელსაც თავგანწირვამდე მიჰყავს ისინი, თუ სიკვდილის ამაყი სურვილი, რომელიც უბიძგებს მათ, დაიჯერონ თავიანთი ჭეშმარიტება, როგორიც უნდა იყოს ის. ამაზე ფიქრი აღტაცებითა და ძრწოლით მავსებს.

თუმცა სიკვდილით დასჯას მივუბრუნდეთ. უკვე ყველა განაჩენის აღსრულებისთვის დათქმული ადგილისკენ მიემართებოდა.

მცველებმა მიქაელი გარეთ გამოიყვანეს. პერანგის ამარა, ღილებშეხსნილი, ფართო ნაბიჯით მიდიოდა და ლოცულობდა, ნამდვილ მოწამეს ჰგავდა. უამრავი ხალხი იყო

შეყრილი, უყვიროდნენ: „არ მოკვდე!“, ის კი პასუხობდა: „მინდა, ქრისტესთვის მოვკვდე“. „მაგრამ შენ ქრისტესთვის არ კვდები“, ეუბნებოდნენ, ის კი პასუხობდა: „სიმართლისთვის ვკვდები“. როცა იმ ადგილს მიაღწიეს, რომელსაც პროკონსულის გასასვლელს ეძახდნენ, ვიღაცამ დაუძახა, ჩვენთვის ილოცეო და მან ხალხი აკურთხა. წმინდა ლიპერატას ეკლესიის წინ ვიღაცამ დაუყვირა: „შე სულელო, იწამე პაპი!“ მიქაელმა უპასუხა, „ღმერთად გყავთ ქცეული ეგ თქვენი პაპიო“ და მერე ტოსკანურად დაუმატა: „კაი დღე კი გაყარეს მაგ თქვენმა პაპებმაო!“ (მერე ამიხსნეს, რომ ტოსკანურად პაპი და ბატი ერთნაირად გამოითქმის და მიქაელი სიტყვებით თამაშობდა). ყველა გაოცდა, რომ სასიკვდილოდ მიმავალიც კი ხუმრობდა.

წმინდა იოანეს ეკლესიასთან მიქაელს ხალხიდან შესძახეს: „თავს უშველე!“ მან უპასუხა: „თქვენ უშველეთ თავს ცოდვებისგან!“ ძველ ბაზართან დაუყვირეს: „გაიქეცი!“ პასუხად მიქაელმა გასძახა: „თავად გაექეცით ჯოჯოხეთს!“; ახალ ბაზართან მიაძახეს: „მოინანიე, მოინანიე!“ მან კი უპასუხა: „თქვენ შეინანეთ მევახშეობა“. წმიდა ჯვრის ეკლესიის კიბეზე მიქაელმა თავისი ორდენის ბერები დაინახა და უსაყვედურა, რომ წმინდა ფრანცისკის წესს არ მისდევდნენ. ზოგმა მხრები აიჩეჩა, ზოგს კი შერცხვა და სახე დაიფარა.

„სამართლის კარიბჭისკენ“ მივიწევდით. მიქაელს ეძახდნენ: „უარყავი, უარყავი, არ გინდა სიკვდილი“, ის კი იმეორებდა: „ქრისტე ჩვენთვის მოკვდა“. „მაგრამ შენ ქრისტე არა ხარ, არ უნდა მოკვდე ჩვენთვის!“ – პასუხობდა ხალხი, ხოლო მიქაელი ამბობდა: „მე მისთვის მინდა მოვკვდე“. სამსჯავროზე მისულს ერთმა კაცმა ჰკითხა, იქნებ შენც ისე მოიქცე, როგორც შენი წინამძღვარი, რომელმაც რწმენაზე უარი თქვაო, მაგრამ მიქაელმა მიუგო, რომ არ აპირებდა მრწამსის გადათქმას. უამრავი ადამიანი აგულიანებდა, ამხნევებდა და სიმტკიცისკენ მოუწოდებდა: ვხვდებოდით, რომ მისიანები იყვნენ, განზე ვიწეოდით და გზას ვუთმობდით მათ.

კარიბჭიდან გამოსულებმა კოცონისთვის მომზადებული შეშა დავინახეთ. მწვალებელთა დასაწვავად შეშას ქოხივით ალაგებენ ხოლმე და ამიტომ იმ მხარეში ამას „ქოხმახს“ ეძახიან. შეიარაღებულმა ცხენოსნებმა იმ ადგილს ალყა შემოარტყეს, რომ ხალხი მეტისმეტად არ მიახლოებოდა. მიქაელი ბოძზე მიაბეს. ისევ გავიგონე, ვიღაცამ დაუძახა: „კი, მაგრამ რისთვის გინდა მოკვდე?“ და მან უპასუხა: „ჭეშმარიტებისთვის, რომელიც ჩემში სახლობს და რომლის დამტკიცება მხოლოდ სიკვდილით შეიძლება“.

შეშას ცეცხლი შეუნთეს. მიქაელმა ჯერ „მრწამსი“ წარმოთქვა, შემდეგ კი „შენ, უფალო“ წამოიწყო. ალბათ, რვა სტრიქონი თუ ექნებოდა წარმოთქმული, რომ მოიკეცა, თითქოს დაცემინებას აპირებსო, და მიწაზე დაეცა, რადგან თოკები დაიწვა. უკვე მკვდარი იყო. კოცონზე ადამიანი იქამდე კვდება, სანამ ცეცხლი მოედება: მხურვალება გულს უხეთქავს და კვამლი ფილტვებს უვსებს.

შემდეგ „ქოხმახი“ ჩირაღდანივით აბრდღვიალდა და რომ არა საბრალო მიქაელის დანახშირებული სხეული, რომელიც აგიზგიზებულ მორებს შორის მოჩანდა, ვიფიქრებდი, რომ ალმოდებულ ჭალას ვუცქერდი. იმწუთას ხილვა მეგონა ყოველივე და უნებურად წმინდა ჰილდეგარდას წიგნებში ამოკითხული სიტყვები მომადგა ბაგეზე, ექსტაზის შეგრძნებას რომ აღწერს: „ალი თვალისმომჭრელი სიკაშკაშის, შინაგანი ძალისა და ცეცხლოვანი გზნებისგან შედგება, სიკაშკაშე გასაბრწყინებლად ბუდობს მასში, ცეცხლოვანი გზნება კი – მის დასანაცრად“. ბიბლიოთეკის კიბეზე ასვლისას მომაგონდა ეს ყველაფერი.

უბერტინუსის სიტყვები გამახსენდა სიყვარულზე. ალმოდებული მიქაელის ხატება დოლჩინოსას შეერია, დოლჩინოსი კი – მშვენიერი მარგარიტასას. კვლავ ამიტანა შფოთვამ, ეკლესიაში რომ არ მასვენებდა.

შევეცადე, ამაზე აღარ მეფიქრა და მიზანდასახულად გავემართე ლაბირინთისკენ.

პირველად შევდიოდი ლაბირინთში მარტო. ლამპრის შუქზე იატაკზე დაფენილი გრძელი ჩრდილები ისეთსავე შიშის ზარს მცემდა, როგორსაც წინა ღამის ხილვები. ყოველ წამს ახალი სარკის დანახვის მეშინოდა. სარკეთა ჯადოსნობა სწორედ ამაშია: იცი, რომ სარკეა, მაგრამ მაინც გაშფოთებს.

არც გზის გაკვლევას ვცდილობდი და არც ხილვათა გამომწვევ სურნელებათა ოთახისთვის გვერდის ავლას. ციებიანივით მივაბიჯებდი და არც ვიცოდი, საით მივდიოდი. ჩანს, ლაბირინთის შესასვლელს დიდად არც დავშორებივარ, რადგან მალე ისევ იმ შვიდკუთხა ოთახში აღმოვჩნდი, საიდანაც შევედი. მაგიდაზე რამდენიმე წიგნი იდო, რომლებიც, როგორც მახსოვდა, წინა საღამოს არ დამინახავს. მივხვდი, რომ ეს წიგნები მალაქიას სკრიპტორიუმიდან ამოეტანა და ჯერ ვერ მოესწრო მათი თავ-თავიანთ ადგილებზე დაწყობა. კარგად ვერ ვხვდებოდი, შორს ვიყავი თუ არა სურნელებათა ოთახისგან, გაბრუებულივით ვგრძნობდი თავს, ალბათ, შორიდან მონაბერი სუნის ან ჩემივე ფიქრებისაგან. ნახატებიანი წიგნი გადავშალე. სტილით უკიდურესი ჩრდილოეთის მონასტრებისას ჰგავდა.

მარკოზის წმინდა სახარების თავფურცელზე გამოსახულმა ლომმა გამაოცა. უეჭველად ლომი იყო, თუმცა არასოდეს მენახა ცოცხალი ლომი. მხატვარს ზედმიწევნით დაეხატა მისი ნაკვთები, შესაძლოა, ჰიბერნიის – ურჩხულთა მიწის – მკვიდრი ლომების დარად. დავრწმუნდი, რომ ამ ცხოველში – „ფიზიოლოგიც“[157] ხომ ამას ამბობს – ყველაზე შემზარავი და ყველაზე დიდებული თვისებებია გაერთიანებული. ეს გამოსახულება ერთდროულად მტრის ხატსაც მახსენებდა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახებასაც, მისი სიმბოლური მნიშვნელობაც არ მესმოდა და ერთიანად ვკანკალებდი შიშისა და კედლის ღიობებიდან მობერილი ქარის გამო.

ლომს ეშვებიანი პირი და გველისებრი ქერცლით დაფარული თავი ჰქონდა. მისი უზარმაზარი სხეული ბასრკლანჭებიან თათებს ეყრდნობოდა, ბეწვი კი მორთულობით აღმოსავლურ ხალიჩას მიუგავდა, მოგვიანებით რომ მინახავს: წითელ-მწვანე ქერცლიდან ჭლექივით ყვითელი, მძლავრი სახსრები საზარლად იყო ამოზნექილი. ყვითელი ჰქონდა კუდიც, თავამდე აზიდული და დაგრაგნილი, შავ-თეთრი ბალნის ხვეულით დაგვირგვინებული.

ლომის გამოსახულება იმდენად შთამბეჭდავი იყო (რამდენჯერმე უკანაც კი მივიხედე, თითქოს მსგავსი ცხოველის გამოჩენას ველოდი), რომ წიგნის დათვალიერება გადავწყვიტე. მათეს სახარების დასაწყისში გამოსახულმა ადამიანმა მიიქცია ჩემი ყურადღება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ლომზე მეტად მან შემაშინა: სახე ადამიანისა ჰქონდა, მაგრამ კისრიდან ტერფებამდე შავი სფერო ჰქონდა ჩამოცმული ჯავშანივით, წითელ-ყვითელი ქვებით მოჭედილი. მომეჩვენა, რომ ლალებისა და ტოპაზების გროვიდან უცნაურად ამოყოფილი ეს თავი იდუმალებით მოცული მკვლელისა იყო (რა მკრეხელად მაქცია შიშმა!), რომლის ნაკვალევსაც დავეძებდით. მოგვიანებით მივხვდი, რატომ ვაკავშირებდი ასე მხეცსა და ჯავშნიან კაცს ლაბირინთთან: ორივე მათგანი, ისევე, როგორც იმ წიგნის ყველა ნახატი, ერთმანეთში ჩახლართულ-ჩაქარაგმებული ლაბირინთების ქსოვილიდან იყო ამოზრდილი და თითქოს დარბაზებისა და დერეფნების იმ ხლართებზე მიანიშნებდა, სადაც მე ვიმყოფებოდი. მონუსხული დავყურებდი ფურცელს და ჩემი მზერა ისევე იკარგებოდა წიგნის მოქარგულ, მბრწყინავ გვერდებში, როგორც ჩემი სხეული – ბიბლიოთეკის ამოუცნობ განლაგებაში. ისე დავიბენი და ავფორიაქდი, ვიფიქრე, რომ ამ წიგნთაგან თითოეული იდუმალი და დამცინავი ქირქილით ჩემზე ჰყვებოდა. „De te fabula narratur“[158], ჩავილაპარაკე და გავიფიქრე, ნეტავ ამ ფურცლებზე ჩემი მომავალიც ხომ არ წერია-მეთქი.

სხვა წიგნი გადავშალე, ესპანური სკოლისას ჰგავდა. მკვეთრი ფერები მომხვდა თვალში, სისხლისფერი, ალისფერი წითელი. ეს მოციქულის „გამოცხადების“ წიგნი იყო და, როგორც წინა საღამოს, კვლავ მზით შემოსილი ქალის გამოსახულებამ მომტაცა მზერა. თუმცა ეს იგივე წიგნი არ იყო, რადგან ნახატი განსხვავდებოდა. მხატვარს უფრო დაწვრილებით გამოესახა ქალის ნაკვთები. მისი სახე, მკერდი და ნარნარი თეძოები უბერტინუსთან ნანახ ქალწულის ქანდაკებას შევადარე. მკერდი სხვანაირი ჰქონდა, თუმცა ეს ქალიც უმშვენიერესი მეჩვენა. გავიფიქრე, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება არ მმართებდა და რამდენიმე გვერდი გადავფურცლე. ისევ ქალის სურათი შემხვდა. ბაბილონელი მეძავი იყო. გამაოცა იმის გაფიქრებამ, რომ ესეც ქალი იყო, მაგრამ ყოველი ბოროტების ჭურჭელი, ის კი, პირველი – სათნოების ნავსაყუდელი. თუმცა ორივე სურათზე ქალური ნაკვთები იყო გამოსახული და ვერ ვიტყოდი, რა განასხვავებდა მათ ერთმანეთისგან. ისევ ვიგრძენი აღგზნება, ეკლესიაში ნანახი ქალწულის ქანდაკების

ხატება მშვენიერი მარგარიტას წარმოდგენას შეერწყა. „შეჩვენებული ვარ!“ – გამიელვა გონებაში და ვიფიქრე, რომ ბიბლიოთეკაში დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

საბედნიეროდ, კიბესთან ახლოს ვიყავი. ისე კისრისტეხით დავეშვი, ფეხი რომ წამომეკრა რამეზე, სანათურიც ჩამიქრებოდა. სკრიპტორიუმის ფართო თაღების ქვეშ აღმოვჩნდი, თუმცა არ გავჩერებულვარ და სატრაპეზოსკენ დავუყევი კიბეს.

სატრაპეზოში შევჩერდი აქოშინებული. ფანჯრის მინებიდან მთვარის შუქი იღვრებოდა, ისეთი კაშკაშა, რომ სანათური თითქმის აღარ მჭირდებოდა, ბიბლიოთეკის ჯურღმულებში კი მის გარეშე ნაბიჯს ვერ გადავდგამდი. თუმცა ანთებული ლამპარი რაღაცნაირად მანუგეშებდა და არ ჩავაქრე. მძიმედ ვსუნთქავდი, ვიფიქრე, წყალს მოვსვამ-მეთქი. ამიტომ სატრაპეზო გავიარე და ნელა შევაღე ერთ-ერთი კარი, რომელიც სამზარეულოში გადიოდა.

დამშვიდების ნაცვლად ერთიანად ამიტანა შიშმა, რადგან სამზარეულოში, პურის საცხობი ღუმლის სიახლოვეს, ვიღაც შევნიშნე. კუთხეში სინათლე ციმციმებდა და თავზარდაცემულმა, ლამპარი ჩავაქრე. მივხვდი, რომ შეშინებულმა თავადაც ვიღაც შევაშინე, რადგან მან (ან მათ) ასევე სწრაფად ჩააქრო სანთელი. მთვარის შუქი საკმარისად ანათებდა სამზარეულოს და ჩემ წინ იატაკზე ჩრდილები დავინახე.

გაქვავებული, ვერც უკან დახევას ვბედავდი და ვეღარც წინ წასვლას. გადალაპარაკება გავიგონე, თითქოს ქალის მოგუდული ხმა მომესმა. შემდეგ იმ უფორმო ლაქას, ღუმელთან რომ მოძრაობდა, ჩრდილი გამოეყო, გარეთა კარისკენ გასრიალდა, რომელიც ღია უნდა ყოფილიყო, და კარის დაკეტვის ხმა გავიგე.

სატრაპეზოსა და სამზარეულოს შორის ვიდექი გაშეშებული და ლანდს მივჩერებოდი. ჩრდილი კუთხეში მიკუნჭულიყო და უცნაურად წკმუტუნებდა, ვერ მივხვდი, ტიროდა თუ შეშინებული ზლუქუნებდა.

შეშინებულს ხომ სხვისი შიშის დანახვა ამხნევებს ყველაზე მეტად. ჩრდილს მივუახლოვდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, გამბედაობა მოვიკრიბე-მეთქი, გაბრუებულივით ვმოძრაობდი, თითქოს ისევ ხილვით ვიყავი დაბანგული. სამზარეულოში ისეთი სურნელი ტრიალებდა, წინა დღით ბიბლიოთეკაში რომ დამხვდა. შეიძლება, იგივე არ იყო, მაგრამ მეტისმეტად აღგზნებული ვიყავი და ჩემზე ისევე იმოქმედა. შაბისა და ღვინის ქვის სუნი ვიგრძენი, რომლებსაც მზარეულები ღვინისთვის სურნელის მისაცემად იყენებდნენ. თანაც, როგორც შემდგომში შევიტყვე, იმ დღეებში ლუდს ამზადებდნენ ჩემს ქვეყანაში მიღებული წესის თანახმად: ხარშვისას მანანას, ჭაობის ანწლსა და ველურ როზმარინს ამატებდნენ. ამ სურნელმა გონება დამიბინდა.

და მაშინ, როცა გონება უკან დახევას მკარნახობდა, მირჩევდა, გავცლოდი იმ მოკრუსუნე არსებას, ეშმაკის მოგზავნილ მაჯლაჯუნას, სულის იმ კუნჭულმა, რომელშიც ნდომა ბუდობს, წინ მიბიძგა, თითქოს საოცრებათან ზიარება მსურდა.

ჩრდილს ნელა მივუახლოვდი და გარედან შემოსულ სინათლეზე გავარჩიე, რომ ქალი იყო. აკანკალებული, ცალი ხელით რაღაც ფუთას იკრავდა გულში და ტირილით ღუმლისკენ მიფორთხავდა.

ღმერთი, ნეტარი ქალწული და სამოთხის ყველა წმინდანი შემეწიოს ახლა, რამეთუ უნდა მოვყვე, რაც თავს გადამხდა. სირცხვილი და ღირსება (უკვე მოხუცი ბერისა მელქის ამ მშვენიერ მონასტერში, სიმშვიდისა და დინჯი ფიქრების სავანეში) სიფრთხილეს მკარნახობს. ალბათ, აჯობებდა, უბრალოდ მეთქვა, რომ რაღაც ცუდი შემემთხვა, რის გამეორებაც არ ხამს. არც მე ავღელდებოდი და არც მკითხველი.

მაგრამ საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ იმ შორეულ ამბებს სრულად და შეულამაზებლად მოვყვებოდი, სიმართლე კი მთლიანია, თავისივე სიცხადით კაშკაშებს და დაუშვებელია, ის ჩვენი სურვილისა თუ სირცხვილის კარნახით დავანაწევროთ. ყველაზე ძნელია, მომხდარი ისე კი არ გადმოვცე, როგორც ახლა ვხედავ და მახსოვს (თუმცა თითოეული წვრილმანი დღემდე უმოწყალო სიცხადით მიდგას თვალწინ და არ ვიცი, განცდილი სინანულის გამო აღიბეჭდა ყოველივე ასე ცოცხლად ჩემს მეხსიერებაში,

თუ პირიქით, საკმარისად არ შემინანია და ამიტომ მიდაღავს ტანჯულ გონებას წარსული და არ მეშვება მწველი სირცხვილი), არამედ ისე, როგორც მაშინ დავინახე და ვიგრძენი. ამაში ჟამთააღმწერლის კეთილსინდისიერება თუ დამეხმარება, რადგანაც, თუ თვალს მოვხუჭავ, კვლავ ძალმიძს, მოვყვე არა მხოლოდ ის, რაც გავაკეთე, არამედ ისიც, რაც გავიფიქრე იმ წუთებში, თითქოს მაშინ დაწერილ წიგნს ვიწერდე ზედმიწევნით. ვეცდები, ასე მოვიქცე და წმინდა მთავარანგელოზი მიქაელი იყოს ჩემი მფარველი, რამეთუ მკითხველის გაფრთხილებისა და საკუთარი დანაშაულის გამათრახების მიზნით მსურს მოვყვე, როგორ შეიძლება გაებას ყმაწვილი ეშმაკის მახეში. დაე ყველამ იცოდეს, რა საფრთხე ემუქრება, რათა თავიდან აირიდოს ის.

როგორც ვთქვი, ქალი იყო. ქალი კი არა, გოგონა. მანამდე (და ღვთის წყალობით შემდგომშიც) ამ სქესის არსებებთან ახლო ურთიერთობა არ მქონია და ვერ ვიტყვი, რამდენი წლის იქნებოდა. ვიცი, რომ ყმაწვილი იყო, თექვსმეტ ან თვრამეტ გაზაფხულს იქნებოდა მოსწრებული. კანკალებდა, როგორც შეციებული ჩიტი ზამთარში, ტიროდა და ჩემი ეშინოდა.

რამეთუ ყოველი კეთილი ქრისტიანის ვალია, მოყვასს დაეხმაროს, მივუახლოვდი და გამართული ლათინურით ნაზად ვუთხარი, ნუ გეშინია, მეგობარი ვარ და არა მტერი, ყოველ შემთხვევაში, არა ის მტერი, რომელიც, ალბათ, შენ გგონივარ-მეთქი.

ალბათ, ჩემმა უწყინარმა მზერამ გოგონა დაამშვიდა. მომიახლოვდა. მივხვდი, რომ ლათინური არ ესმოდა და ინსტინქტურად ჩემს მშობლიურ გერმანულ ენაზე მივმართე. ძალიან შეეშინდა. არ ვიცი, აქაურებისთვის უცხო უხეში ბგერების გამო იყო თუ იმიტომ, რომ ამ ენამ მას ჩვენებურ ჯარისკაცებთან დაკავშირებული გაახსენა რამე. გავჩუმდი და გავუღიმე. შევატყვე, გოგონა დამშვიდდა, თავადაც გამიღიმა და რაღაც მითხრა.

აქაური ენა ცუდად ვიცოდი, ძალიან განსხვავდებოდა პიზაში ნასწავლი დიალექტისაგან. თუმცა მივხვდი, რომ გოგონა რაღაც კარგს მეუბნებოდა, რაღაც ამდაგვარი თქვა: „ახალგაზრდა ხარ, ლამაზი...“. მორჩილს, რომელმაც მთელი ბავშვობა მონასტერში გაატარა, იშვიათად ეტყვის ვინმე, ლამაზი ხარო. მორჩილს მუდმივად ჩააგონებენ, რომ სხეულის სილამაზე წარმავალია და ყურადღებას არ იმსახურებს. მაგრამ მტრის ხრიკები ულევია და ვაღიარებ, რომ, რაოდენ ცრუც უნდა ყოფილიყო, ამ სიტყვებმა უტკბესად გაიჟღერა და საოცრად ამაღელვა. თანაც, ამას რომ ამბობდა, გოგონამ ხელი გამოიწოდა და ლოყაზე მომეფერა. ვიფიქრე, გული მიმდის-მეთქი, თუმცა ცოდვის აჩრდილის მოახლოება არ მიგრძნია. ასეთია ეშმაკი, როცა მოისურვებს, გამოგვცდის და წამში ამოგვიშლის სულიდან მადლს.

რა ვიგრძენი? რა ვიხილე? ის მახსოვს მხოლოდ, რომ ვერაფრით გამოვხატავდი, რასაც ვგრძნობდი, ჩემი ენა და გონება ამგვარ განცდათა აღსაწერად არ იყო გაწვრთნილი. მოგვიანებით კი მომადგა ბაგეზე სიტყვები, სხვაგან და სხვა დროს გაგონილი და უეჭველად სხვა აზრით ნათქვამი, მაგრამ მეჩვენა, რომ საოცრად შეესაბამებოდა და გამოხატავდა ჩემს იმწუთიერ ნეტარებას. მეხსიერების სიღრმეში დალექილი ეს სიტყვები ერთად ამოზვირთდა გონებაში, მაგრამ ხმა არ ამომიღია. სრულიად დამავიწყდა, რომ საღმრთო წერილში ამოკითხული სულ სხვა განცდის, სულ სხვა ნათელის აღწერას ემსახურება. თუმცა იქნებ არც იყო სხვაობა წმინდანთა მიერ აღწერილ სიხარულსა და იმ ნეტარებას შორის, რომელსაც ჩემი აღგზნებული სული აევსო მაშინ. ჩემი არსების სიღრმეში ჩაკარგულიყო და ერთიანად მომდუნებოდა განსხვავების უნარი.

გოგონა უცებ იმ შავ, მაგრამ მშვენიერ ქალწულად წარმოვიდგინე, რომელზეც „ქებათა ქებაშია“ ლაპარაკი. ჩამოფლეთილი ჯვალოს კაბა ეცვა, მკერდი უსირცხვილოდ გაღეღოდა, კისერზე კი ფერადი ყელსაბამი ეკიდა, უბრალო კენჭებისგან ასხმული. სპილოს ძვლის კოშკივით თეთრი ნატიფი კისერი ჰქონდა, თვალები – ხეშბონის ტბორებივით ცისფერი და კამკამა, ცხვირი – ლიბანის გოდოლივით თლილი, თმა კი – სამეფო ძოწეულის დარი. დიახ, მისი თმა თხის არვედ მეჩვენა, კბილნი – ვითარცა არვე მორისულთა, რომელნი აღმოვიდეს საბანელითა; და „აჰა, მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ!“ – აღმომხდა. – „თმა შენი, ვითარცა არვე თხათა, რომელნი გამოჩნდეს გალადით, ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენი და სიტყუა შენი შუენიერ, ვითარცა ნაქურცენი ბროწეულისა, ვითარცა გოდოლი დავითისი, ქედი შენი, ათასი ფარი

დამოკიდებულ არს ზედა“. შეშინებული და აღტაცებული შევცქეროდი და ვფიქრობდი, ვინ იყო ეს არსება – აისივით გაბრწყინებული, მთვარისებრ მშვენიერი, მზისებრ ნათელი, ძრწოლის მომგვრელი, ვითარცა საომრად დაწყობილი ლაშქარი.

გოგონა მომიახლოვდა, გულზე მიხუტებული შეკვრა კუთხეში მოისროლა, კვლავ მომიალერსა სახეზე და იგივე სიტყვები გაიმეორა. თავზარდაცემულმა აღარ ვიცოდი, გავქცეოდი თუ მივახლოებოდი, საფეთქლები ისე მიცემდა, თითქოს ისო ნავეს ძის საყვირები ანგრევდა იერიქონის კედლებს, სურვილი მკლავდა, შევხებოდი და თან მეშინოდა. გოგონამ გაიღიმა, სახე გაუნათდა, მოფერებით განაბული ციკანივით ამოიკრუსუნა, თასმები შეიხსნა და ჯვალოს კაბა გადაიძრო. დედიშობილა ევას ჰგავდა, ედემის ბაღში ადამის წინაშე აღმართულს. „მისი ძუძუები ზომიერია, მკვრივი, თუმცა არა გამომწვევი“, ჩურჩულით გავიმეორე უბერტინუსისგან მოსმენილი სიტყვები, რადგან გოგონას ძუძუები შროშანთა ველზე მაძოვარ ნიამორის ნუკრებად მეჩვენა. მისი ჭიპი – ღვინით სავსე თასი იყო და მუცელი მისი – ხვავი იფქლისა, მოკრძალული შროშნითა.

„ასულო მანათობელო, – აღმომხდა, – დახშულო ბაღო, დაგმანულო ჭაო, დაბეჭდილო წყაროვ!“ და, არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ ვიგრძენი, როგორ მეკვროდა ტანზე მისი მხურვალე სხეული და მანამდე უცნობი, მკვეთრი სურნელი მათრობდა. გამახსენდა: „შვილებო, როდესაც შმაგი სიყვარული მოდის, კაცი უძლურია!“ და მივხვდი, რომ ეშმაკის მახე იყო ეს თუ ზეციური მადლი, სრულიად უმწეო ვიყავ იმ მწველი წადილის წინაშე. „უძლური ვარ, – შევძახე, – და მიზეზიც ვუწყი ჩემი უძლურების, მაგრამ არ ვცდილობ, თავს ვუშველო!“ მისი ბაგე ვარდის სურნელს აფრქვევდა, ხამლებში ნატიფი ტერფები უჩანდა, თეთრი ფეხები სვეტებს უგავდა და მრგვალი თეძოები – ოსტატის ნაქანდაკებს. „ო, სიყვარულო, ნეტარების ასულო, მეფეც კი გაებმის შენს ბადეში“, – ვჩურჩულებდი. მის მკლავებში აღმოვჩნდი, სამზარეულოს ფილაქანზე დავეშვით და არ ვიცი, თავად გავიხადე თუ მან გამაშიშვლა, მაგრამ არ გვრცხვენოდა ჩვენი სიშიშვლის, et cuncta erant bona[159].

მეამბორებოდა, ღვინოზე ტკბილი იყო მისი ალერსი, სურნელოვანი – მისი სხეული, მშვენიერი – მძივებით შემკული მისი ნარნარი ყელი და ნატიფ ლოყებთან კონწიალა საყურეები. „მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, მშვენიერი ხარ! თუალნი შენნი ტრედ არიან (ხმამაღლა ვამბობდი ამას), მაჩვენე მე პირი შენი და მასმინე მე ხმა შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმა შენი. გვასურვე ჩვენ, დაო ჩვენო, სძალო, გული ერთითა თვალითა შენითა და ერთითა მძივითა ყელისა შენისათა! თაფლი დამოსწვეთს ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი და სძე ქვეშე ენასა შენსა, და იყვნენ ძუძუნი შენნი, ვითარცა ტევანნი ვენახისანი, და ორთქლი ცხვირთა შენთა, ვითარცა ვაშლი. სასა შენი, ვითარცა ღვინო კეთილი, მომვლელი ძმისწულისა მიერ ჩემისა სიწრფოებად, კმა საყოფელად ბაგეთა ჩემთა და კბილთა… წყარო, ნარდიონი და ქურქუმა, საკმეველი ლერწმისა და კინამო, მური და ალოე. ვჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემითა. ვსვი ღვინო ჩემი სძითა ჩემითა“. ვინ იყო, ნეტავ ვინ იყო ის არსება – აისივით გაბრწყინებული, მთვარისებრ მშვენიერი, მზისებრ ნათელი, ძრწოლის მომგვრელი, ვითარცა საომრად დაწყობილი ლაშქარი?

ჰოი, უფალო, აღტყინებული სულისათვის ერთადერთი სათნოება ისაა, უყვარდეს ის, რასაც უყურებს (ასე არაა?), უდიდესი ბედნიერება – დაეუფლოს იმას, რაც გააჩნია. მაშინ ეზიარები ნეტარებას, ნამდვილ, მარადიულ სიცოცხლეს ანგელოზთა შორის (განა ასე არაა ნათქვამი?) მიწიერი ცხოვრების შემდეგ… ასე ვფიქრობდი და მეჩვენებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს წინასწარმეტყველებათა ახდენის ჟამი დამდგარიყო. გოგონა აუწერელი სინაზით მავსებდა, ჩემი სხეული კი თითქოს ერთიან, ყველგანმზირალ, ყველაფრის დამნახავ თვალად ქცეულიყო, განურჩევლად ხედავდა ყოველივეს, წინაც და უკანაც. ვხვდებოდი, რომ მასში, სიყვარულშია თავმოყრილი ერთობა, სიმშვიდე, ნეტარება, სიკეთე, ამბორი, შეხების სიტკბოება. ამაზე ადრეც მსმენოდა, თუმცა მეგონა, რომ ეს სიტყვები სხვა რამეს გულისხმობდა. და როცა ნეტარებამ ზენიტს მიაღწია, წამით გავიფიქრე, ალბათ, დემონი თუ დამეუფლა-მეთქი. დემონი, რომელიც, როცა ნეტარებაში ჩაძირული სული ეკითხება, ვინ ხარო, თავის ნამდვილ სახეს აშიშვლებს, სულს წარიტაცებს, სხეულს ატყუებს. მაგრამ უმალ დავრწმუნდი, რომ ჩემი მერყეობა უფრო ეშმაკისეული იყო, რამეთუ არაფერი იყო ქვეყნად უფრო კეთილი, მართებული, უფრო წმინდა, ვიდრე ჩემი გრძნობა. უსაზღვრო ნეტარება სულ უფრო იზრდებოდა.

როგორც ღვინოში ჩავარდნილი წყლის წვეთი, მყისიერად ჩაკარგული ღვინის ფერსა და

გემოში, როგორც გავარვარებული რკინა, ფორმას რომ კარგავს და თავადაც ცეცხლს ემსგავსება, როგორც მზის სხივებით გამსჭვალული ჰაერი, თავად რომ გარდაიქმნება სინათლედ, მეც ასე ვგრძნობდი თავს, ვლღვებოდი და ვიკარგებოდი ნეტარებაში და ღონემიხდილი ძლივს ვიმეორებდი ფსალმუნის სიტყვებს: „მკერდი ჩემი ღვინოა დაუდუღარი, ქვევრს რომ ხეთქავს“. და მაშინ თვალისმომჭრელი სიკაშკაშე დამიდგა თვალწინ, მასში კი საფირონისფერი სხეული გამოიკვეთა, ნაზი და ბრწყინვალე, ცეცხლით აბრიალებული. მოგიზგიზე ცეცხლის კაშკაშა ნათელი საფირონის ელვარებას შეერთო და ერთიანად ააბრჭყვიალა და გააცისკროვნა ის მოელვარე სხეული.

თითქმის გულწასული, გოგონას ტანს შეზრდილი, იატაკზე დავეცი და, სანამ სულ დამებინდებოდა გონება, გავიფიქრე, რომ ცეცხლის ალი თვალისმომჭრელი სინათლის, შინაგანი ძალისა და ცეცხლოვანი გზნებისაგან შედგება, სიკაშკაშე აბრწყინებს ცეცხლს, გზნება კი – ფერფლავს. მერე თითქოს უფსკრულში გადავეშვი, ერთს მეორე უფსკრული მოჰყვა, მეორეს – მესამე, და ასე უსასრულოდ გრძელდებოდა ქვესკნელში ვარდნა.

ხელი მიკანკალებს წერისას (არც ვიცი, რატომ, კვლავ მზარავს მაშინდელი ცოდვა, თუ, ცოდვილს, მენატრება ის შეგრძნება) და ვხედავ, რომ იმ ხორციელი გზნების გადმოსაცემად იგივე სიტყვები მოვიშველიე, რითაც ცოტა ხნის წინ ცეცხლი აღვწერე, რომელზეც წამებული მამა მიქაელის სხეული დაიფერფლა. ხელი ხომ ოდენ მორჩილი მსახურია სულისა და თუ ჩემმა კალამმა ესოდენ განსხვავებული ორი გრძნობა ერთნაირად აღწერა, ალბათ, ერთნაირად განვიცადე ისინი მაშინაც და ახლაც, როცა მათი პერგამენტზე გადატანა ვცადე.

რაღაც იდუმალი სიბრძნის ძალით სრულიად განსხვავებული მოვლენები შეიძლება ერთი და იმავე სიტყვებით გამოიხატოს. ეს იდუმალი სიბრძნეა იმაშიც, რომ ღვთაებრივი ხანდახან მიწიერი სახელით იხსენიება: სიმბოლოთა საშუალებით, შეიძლება, ღმერთი ლომად ან ჯიქად იწოდოს, სიკვდილი – ჭრილობად, სიხარული – ცეცხლად, ცეცხლი – სიკვდილად, სიკვდილი – უფსკრულად, უფსკრული – დაღუპვად, დაღუპვა – გულყრად, გულყრა კი – ვნებად.

როგორ მოხდა, რომ ყრმამ სიკვდილის ექსტაზი, რამაც მიქაელის წამებაში მომაჯადოვა, იმ სიტყვებით აღვწერე, რომლებითაც წმინდანი ქალი სიცოცხლის (ღვთაებრივ) ექსტაზს აღწერდა და ახლა იმავე სიტყვებით გადმოვეცი ხორციელი ტკბობის ექსტაზიც (ცოდვიანი და წარმავალი), რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ სიკვდილად და დაღუპვად წარმომიდგა? ვცდილობ, გავიხსენო, როგორ განვიცდიდი იმ ღამეს მონასტერში ასე განსხვავებულ, მაგრამ ერთნაირად აღმგზნებ და მტკივნეულ ორ შეგრძნებას, ერთზე ვფიქრობდი, სხეულით კი მეორეს განვიცდიდი. ვცდილობ, გავერკვე, როგორ აღვიქვამ იმ შეგრძნებებს ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ვცდილობ, აღვიდგინო ღვთიურობასთან ზიარების ის სხვადასხვაგვარი განცდები. ნეტავ როდის დავგმე ღმერთი, მაშინ თუ ახლა? მიქაელის მგზნებარე ლტოლვა სიკვდილისაკენ რით ჰგავდა იმ გატაცებას, რითაც წამებულის სხეულზე მოდებული ცეცხლის ენებს მივჩერებოდი, ან – გოგონასთან ხორციელი შეერთების წადილს და იმ მისტიკურ სირცხვილს, რომლითაც საკუთარი ნდომის ჩაქრობას ვლამობდი? ან იმ აღმაფრენასთან რა ჰქონდა საერთო, წმინდან ქალს რომ თავი გააწირვინა სიყვარულისთვის, მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად? ნუთუ შესაძლებელია, ამდენად განსხვავებული განცდები ადამიანმა ერთი და იმავე სიტყვებით გამოხატოს? თუმცა, ვგონებ, სწორედ ამას გვასწავლიდნენ სწავლულთა შორის ყველაზე სწავლულნი: „omnis ergo figura tanto evidentius veritatem demonstrat quanto apertius per dissimilem similitudinem figuram se esse et non veritatem probat“[160].

მაგრამ თუ ცეცხლისა და უფსკრულის სიყვარული ღვთის სიყვარულს განასახიერებს, შეიძლება, ისინი სიკვდილსა და ცოდვის სიყვარულსაც განასახიერებდეს? რატომაც არა, თუ ლომი და გველი, ქრისტეს სიმბოლოები, დემონის სიმბოლოებიცაა? მხოლოდ წმინდა მამათ ძალუძთ, დაადგინონ, რომელია სწორი გამოხატულება, ჩემს განცდებში გასარკვევად კი მე ვერავისთვის მიმიმართავს და ეჭვი მდაგავს (აი, კვლავ ცეცხლის ხატი, ჩემს უბედურ სულში ჭეშმარიტების სიმწირისა და ცოდვის სიმრავლის მანიშნებელი!). ნეტავ ახლა რა ხდება ჩემს სულში, უფალო, ახლა, როცა მოგონებათა მორევი მითრევს და გარდასულ დღეებს ვაცოცხლებ, თითქოს მნათობთა წესრიგს ხელვყოფდე და მათ ზეციურ სვლას ვაფერხებდე? კარგად ვიცი, ჩემი ცოდვილი, სნეული გონების ზღვარს

ვცდები, თუმცა მინდა, ბოლომდე შევასრულო მოკრძალებით ნაკისრი მოვალეობა და წერა განვაგრძო. ვამბობდი, გონება დავკარგე-მეთქი, მინდოდა, ზუსტად გადმომეცა, რა გამახსენდა იმ წუთებში, ვეცდები, ზედმეტად აღარ ვიყბედო და მოვთოკო ჟამთააღმწერლის სუსტი კალამი.

დიდხანს ვიწექით ერთმანეთის გვერდით. გოგონას ხელი ოფლიან სხეულზე მეფერებოდა. დამცხრალი ვიყავი, მაგრამ შიგნიდან რაღაც მაფორიაქებდა, მინავლული ნაკვერჩხალივით, ცეცხლის ჩაქრობის შემდეგაც რომ იწვის. გავთამამდები და ვიტყვი, რომ ნეტარია ყველა, ვისაც მსგავსი რამ ერთხელ მაინც უგრძნია ცხოვრებაში (მე ერთადერთხელ განვიცადე ეს გრძნობა). ეს გამოუთქმელი ნეტარება სულ რაღაც რამდენიმე წამს გრძელდება, თითქოს საკუთარი სხეული ხელიდან გეცლება, ვეღარაფერს გრძნობ, გამლღვალი, დაშლილი, უსასრულობაში ჩაკარგული. ვფიქრობდი, ადამიანებს რომ შეეძლოთ, თუნდაც წამით განიცადონ ის, რაც მე განვიცადე, ეს უკუღმართი საწუთრო ფუჭად მოეჩვენებათ, ყოფიერების სიავე შეაწუხებთ, სხეულით სიკვდილის სიმძიმეს შეიგრძნობენ-მეთქი… განა ასე არ მასწავლიდნენ? ახლა ვხვდები, ჩემი სულის მძაფრი ლტოლვა ნეტარებისკენ მარადიული მზის გამოსხივება იყო, მისგან ნაშობი სიხარული ხსნის, ამაღლებს ადამიანს, სულში ერთხელ გახსნილი კარი კი აღარასოდეს დაიხშობა. არაფერია უფრო ტკბილი და შემზარავი, ვიდრე სიყვარულის ლახვრით მიყენებული იარა. მზეს აქვს უფლება, უმოწყალოდ დასეროს სხივებით, არ დააცალოს დაკოდილს იარების მოშუშება. ადამიანი, ძარღვებგადახსნილი, ვნებით მართული, დუნდება, გონებას აღარ ემორჩილება, სული იწვის, უფსკრულთან შეხებით დაბანგული, უფსკრულში ჩაკარგული და ხედავს, როგორ სძლია გრძნობამ მის ნებასა და გონებას. ესაა წამი, როცა ადამიანი, გაოგნებული, თავადვე ხედავს, როგორ კარგავს გონებას.

ამ განცდებში, წარმოუდგენელ ნეტარებაში ჩამეძინა.

თვალები რომ გავახილე, კარგა ხანი იყო გასული. მთვარე აღარ ანათებდა, ალბათ, მოღრუბლულიყო. ხელი გავიწოდე და ფილაქანი მოვსინჯე. გოგონა აღარსად იყო.

ჩემი წადილის აღმძვრელი, წყურვილის დამაცხრობელი რომ ვეღარ დავინახე, მთელი სიცხადით ვიგრძენი იმ სურვილის ამაოებაცა და იმ წყურვილის უკუღმართობაც. Omne animal triste post coitum[161]. მივხვდი, რომ შევცოდე. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, როცა კვლავაც მწარედ დავტირი საკუთარ უსუსურებას, ვერ ვივიწყებ იმ საღამოს განცდილ უსაზღვრო ნეტარებას და უნდა ვაღიარო უზენაესის წინაშე, რომელმაც ესოდენი სიკეთე და სილამაზე ჩაჰბერა თავის ყოველ ქმნილებას, რომ ორი ცოდვილის იმ კავშირშიც იყო რაღაც, თავისთავად კეთილი და მშვენიერი. თუმცა, შეიძლება, მზაკვარი სიბერე მაჩვენებდეს ლამაზად სიყმაწვილის ყოველ მოგონებას. ახლა ხომ მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრიღა მმართებს. მაშინ, ყრმას, სიკვდილზე არ მიფიქრია, თუმცა გულწრფელად, ღრმად ვინანე ჩემი შეცოდება.

კარგა ხანს ვიწექი სამზარეულოს გაყინულ იატაკზე, ალბათ, ერთიანად გათოშილი ვიყავი. აკანკალებული წამოვდექი, ჩავიცვი და მაშინღა შევამჩნიე კუთხეში შეკვრა, გოგონას რომ დაეტოვებინა: ტილოს ფუთა იყო, ავიღე და გავხსენი. ბნელში თავიდან ვერ გავარჩიე, შიგ რა იდო, შემდეგ კი მივხვდი: სისხლის ბლანტ კოშტებში და მოთეთრო, ფამფალა ხორცის ნაფლეთებში გახვეული მკვდარი, მოლურჯო ძარღვებით დასერილი ვეებერთელა გული მეჭირა ხელში.

თვალთ დამიბნელდა, პირში სიმწარე ვიგრძენი. ერთი დავიყვირე და გონმიხდილი დავეცი იატაკზე.

ღამე

სადაც საქციელწამხდარი ადსო აღსარებას ეუბნება უილიამს და სამყაროს შექმნაში

ქალის როლზე დაფიქრდება, თუმცა შემდეგ მამაკაცის გვამს აღმოაჩენს

გონს რომ მოვედი, ვიღაც სახეს მინამავდა. უილიამი იყო, ხელში ლამპარი ეჭირა, თავქვეშ რაღაც ამოედო ჩემთვის.

– რა ხდება, ადსო, – მკითხა, – შუაღამით სამზარეულოში გულ-ღვიძლის მოსაპარად დაიარები?

მოკლედ, უილიამს გაღვიძებია და აღარ მახსოვს, რატომ, ჩემი ძებნა დაუწყია. რომ ვერ მიპოვა, უფიქრია, ბიბლიოთეკაში არ იყოს და ხიფათს არ გადაეყაროსო. სამზარეულოს მხრიდან ციტადელთან მიახლოებულს ბოსტნებისკენ მიმავალი ლანდი დაუნახავს (ეს გოგონა იყო, რომელსაც, ალბათ, ნაბიჯების ხმა მოესმა და იქაურობას გაეცალა). უილიამი უკან დასდევნებია, რომ გაეგო, ვინ იყო, მაგრამ უცნობი (ანუ, როგორც უილიამმა თქვა, ლანდი) გალავანთან უეცრად გაუჩინარებულა. მაშინ უილიამს არემარე შეუთვალიერებია და სამზარეულოში შემოსულა, სადაც გულწასული მიპოვა ფილაქანზე.

შეძრწუნებულმა, შემზარავ ფუთაზე ვანიშნე და ძლივს ამოვილუღლუღე, კიდევ ვიღაც მოკლეს-მეთქი. უილიამს სიცილი წასკდა: – კი, მაგრამ, ადსო, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ამხელა გული? ძროხის ან ხარის გული იქნება, დღეს ხომ საქონელი დაკლეს! ჯობს, ის მითხარი, შენთან როგორ მოხვდა?

სინდისის ქენჯნით შეწუხებულსა და შიშით დათრგუნულს, ტირილი წამსკდა და ვთხოვე, ჩემი აღსარება მიეღო. უილიამი დამთანხმდა და ყოველივე ვუამბე, არაფერი დამიმალავს.

მოძღვარი მდუმარედ მისმენდა, თუმცა მის მზერაში გაკიცხვა არ მიგრძნია. მოყოლა რომ დავამთავრე, მკაცრად მითხრა: – უეჭველია, ადსო, შესცოდე. მცნებაც დაარღვიე, რომელიც მრუშობას გიკრძალავს, და მორჩილის ვალდებულებაც. ის თუ გიშველის, რომ ისეთ ვითარებაში აღმოჩნდი, მეუდაბნოე ბერსაც რომ წააწყმედინებდა სულს. ქალზე კი, როგორც საცდურზე, საკმარისადაა ნათქვამი საღმრთო წერილში. ეკლესიასტე ქალის სიტყვას მოგიზგიზე ცეცხლს ადარებს, იგავებში კი ნათქვამია, რომ ის მამაკაცის ძვირფას სულს ეუფლება და ყველაზე ძლიერნიც კი გაუნადგურებია. კვლავ ეკლესიასტე ამბობს: „მივხვდი, სიკვდილზე მწარეა დიაცი, მახე და ბადეა მისი გული, ბორკილებია მისი ხელები“. ზოგმა ქალს ეშმაკის ჭურჭელიც უწოდა. და მაინც, ძვირფასო ადსო, ვერ ვიჯერებ, რომ ღმერთმა ესოდენ ბილწი არსება შექმნა და არანაირი ღირსებით არ შეამკო იგი. უფალმა ქალი მრავალი უპირატესობითა და ღირსებით დააჯილდოვა, რომელთაგან სამი სრულიად უდავოა: ღმერთმა მამაკაცი ამ მუხთალ სამყაროში შექმნა, თანაც ტალახისგან, ქალი კი შემდეგ მიწიერ სამოთხეში, კეთილშობილი ადამიანური მასალისგან გამოძერწა, თანაც – ადამის ფეხების ან შიგნეულისგან კი არა, მისი ნეკნისგან. მეორე, უფალს, ყოვლისშემძლეს, ხომ შეეძლო პირდაპირ მამაკაცად გარდასახულიყო რაიმე სასწაულებრივი გზით, მან კი ქალის მუცლად ყოფნა არჩია, რაც იმის ნიშანია, რომ ქალი არც ისე ბილწია. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ კი იესო სწორედ ქალს გამოეცხადა. და დასასრულ, ზეციურ სასუფეველში მამაკაცი კი არ იმეფებს, არამედ – დედოფალი, ქალი, რომელსაც არასოდეს შეუცოდავს. თუკი უფლისათვის ესოდენ ძვირფასნი იყვნენ თვით ევა და მისი ასულნი, განა უცნაურია, ჩვენც გვიზიდავდეს ამ სქესის სიტურფე და კეთილშობილება? ცხადია, ადსო, ეს აღარ უნდა ჩაიდინო, მაგრამ ასეთი შემაძრწუნებელი სულაც არაა, ამ ცდუნებას რომ ვერ გაუძელი. თანაც, ბერმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს ხორციელი ვნება, რათა მერე შეძლოს, გაუგოს ცოდვილთ, ვინც მისგან ელის ნუგეშსა და რჩევას, შეიწყნაროს ისინი. ჩემო ადსო, ეს ისეთი რამეა, არ უნდა ისურვო, მაგრამ თუ მოხდა, არ უნდა დაიზაფრო. ჰოდა, გფარავდეს უფალი, და ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ნუღა იფიქრებ, ჯობს, დაივიწყო… თუკი შეძლებ… – და მომეჩვენა, რომ ხმა შეუთრთოლდა, თითქოს აღელდა, – ამ ღამით მომხდარზე დავფიქრდეთ. ვინ იყო ის გოგო და ვის უნდა შეხვედროდა?

– ეს ნამდვილად არ ვიცი, ვერ დავინახე ის კაცი, მასთან რომ იყო, – ვუპასუხე.

– კარგი, მაგრამ მრავალი რამ უტყუარად მიგვანიშნებს, ვინც იქნებოდა. უპირველეს ყოვლისა, ბებერი და უშნო უნდა იყოს, რომელსაც ყმაწვილი ქალი, მით უფრო ისეთი ლამაზი, როგორც შენ აღწერე, ხალისით არ გაიკარებს. თუმცა, ჩემო მგლის ლეკვო,

მგონი, შენ ნებისმიერი საკბილო გეგემრიელებოდა.

– რატომ ბებერი და უშნო?

– იმიტომ, რომ გოგონა სიყვარულით კი არ ნებდებოდა მას, არამედ – საქონლის შიგნეულის სანაცვლოდ. უეჭველია, სოფლელი გოგოა, რომელიც შიმშილის გამო შეიძლება პირველად არ უთმობს საკუთარ სხეულს რომელიმე ავხორც ბერს, რომ გასამრჯელოდ ერთი-ორი ლუკმა მიიღოს თავისთვის და ოჯახისთვის.

– მეძავი იყო! – აღმომხდა შეძრწუნებულს.

– ღარიბი გლეხის ქალი, ადსო, რომელსაც, ვინ იცის, მცირეწლოვანი და-ძმა ჰყავს დასაპურებელი. რომ შეეძლოს, ის გოგონა, ალბათ, გასამრჯელოს ხათრით კი არ გასცემდა საკუთარ სხეულს, არამედ – სიყვარულისთვის, როგორც დღეს გააკეთა. ხომ მითხარი, რომ ახალგაზრდა და ლამაზი გიწოდა და უანგაროდ, შენი სიყვარულისთვის გიბოძა ის, რასაც სხვას ხარის გულისა და ფილტვის ნაჭრისთვის მისცემდა. ეს უანგარო ძღვენი მისთვის ისეთი შვება იყო, რომ სანაცვლოდ არაფერი წაიღო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის, ვისაც შენ გადარებდა, არც ახალგაზრდაა და არც ლამაზი.

ვაღიარებ, საშინელი სინანულის მიუხედავად, ამ სიტყვებმა უტკბესი სიამაყით ამავსო, მაგრამ ხმა არ ამომიღია, ისე ვუსმენდი უილიამს.

– ეს მახინჯი ბებრუხანა, უეჭველია, სოფელში ჩადის და იქაურებთანაც აქვს ურთიერთობა, ალბათ, თავისი საქმიანობის გამო და ისიც ეცოდინება, როგორ შემოიყვანოს გალავანში უცხო ადამიანი. ისიც იცოდა, რომ სამზარეულოში შიგნეული იქნებოდა (ხვალ, ალბათ, იტყოდნენ, კარი ღიად დარჩენილა და ძაღლებმა შეჭამეს გულ-ღვიძლიო). დაბოლოს, ეს ადამიანი იმაზეც ზრუნავდა, რომ სამზარეულოდან ძვირფასი არაფერი გამქრალიყო, თორემ გოგონასთვის შემწვარ ხორცს ან რამე უფრო გემრიელს გაიმეტებდა. ჰოდა, როგორც ხედავ, ჩვენი უცნობი მამაკაცის სახე ფრიად მკაფიოდ გამოიკვეთა და ეს თვისებები, ანუ ნიშნები, სავსებით ეხამება ჩვენს მეკუჭნავეს, რემიგუს ვარაჯინელს. ან, შეიძლება, იდუმალებით მოცულ ჩვენს სალვატორეს. თანაც ეს ვაჟბატონი აქაურია, ამ ხალხის ენა იცის და იოლად დაიყოლიებდა გოგონას, შენ რომ არ შესწრებოდი.

– ნამდვილად ასეა, – ვუთხარი დარწმუნებით, – მაგრამ ეს რას გვაძლევს?

– არაფერს და ყველაფერს, – თქვა უილიამმა. – ეს შეიძლება ან უკავშირდებოდეს, ან არა იმ ბოროტმოქმედებებს, რომელთაც ვიკვლევთ. მეორე მხრივ, თუ მეკუჭნავე დოლჩინოს რაზმის წევრი იყო, ერთი მეორეს ახსნიდა და პირიქით. ახლა უკვე ვიცით, რომ ღამღამობით ამ მონასტერში ბევრი აუხსნელი რამ ხდება და იქნებ მეკუჭნავემ ან სალვატორემ, რომლებიც ასე თავისუფლად დაიარებიან ღამით, გაცილებით მეტი იციან, ვიდრე ამბობენ.

– მაგრამ ჩვენ რამეს გვეტყვიან?

– არ გვეტყვიან, თუ თანაგრძნობას გამოვიჩენთ და მათ ცოდვებზე თვალს დავხუჭავთ. მაგრამ თუ დაგვჭირდა, მშვენივრად შევძლებთ მათ ალაპარაკებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ საჭირო გახდა, მეკუჭნავეცა და სალვატორეც ხელთ გვეყოლებიან და ნუთუ ღმერთი არ შეგვინდობს ვითარების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენებას? თუ ამდენს გვპატიობს... – თქვა და ეშმაკურად შემომხედა. გამბედაობა არ მეყო, უილიამის ამ სიტყვების მართლზომიერებაზე დავფიქრებულიყავი.

– ახლა წესით უნდა ვიძინებდეთ, ერთ საათში ცისკრის ჟამს ჩამოჰკრავენ. მაგრამ, როგორც ვხედავ, ჯერაც აღგზნებული ხარ, ჩემო საბრალო ადსო, ჯერაც ძრწი შენი ცოდვის გამო... სულის დასამშვიდებლად არაფერი სჯობს ეკლესიაში შესვლას. მე კი მოგიტევე, მაგრამ რა იცი... წადი, უფალს სთხოვე დასტური. – ამ სიტყვებზე გვარიანად წამითაქა, რაც მამობრივი და მამაკაცური სიყვარულის ნიშანი ან, შესაძლოა, ერთგვარი სასჯელი იყო. თუმცა, შეიძლება (როგორც მე ცოდვილმა გავიფიქრე იმწუთას), ეს საქციელი ამ ცნობისმოყვარე, სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანში აღძრული მსუბუქი, უწყინარი შურის გამოვლინებაც კი იყო.

ეკლესიისკენ იმ გზით გავედით, რომელსაც უკვე კარგად ვიცნობდით. თვალდახუჭული, სწრაფად მივდიოდი, იმ ღამით მიცვალებულთა ძვლები მეტისმეტად ცხადად მახსენებდა, რომ მეც მტვერი ვიყავ და რომ უგუნური იყო ჩემი ხორციელი ამპარტავნობა.

ეკლესიაში, საკურთხევლის წინ ჩრდილი შევნიშნეთ. ისევ უბერტინუსი მეგონა, მაგრამ ალინარდუსი აღმოჩნდა. თავიდან ვერ გვიცნო. გვითხრა, ვეღარ ვიძინებ და გადავწყვიტე, გაუჩინარებული ახალგაზრდა ბერისთვის ვილოცოო (სახელიც აღარ ახსოვდა მისი). თუ მკვდარია, მისი სულისთვის ვლოცულობ და თუ ჯერ კიდევ უდგას სული, ნაგვემსა და უმწეოს, მისი სხეულისთვისო.

– ბევრი მკვდარია, – თქვა ალინარდუსმა, – მეტისმეტად… მაგრამ ასე ეწერა მოციქულის წიგნში. პირველ საყვირს სეტყვა მოჰყვა, მეორე საყვირზე ზღვის მესამედი სისხლად იქცა, ჰოდა, ერთი სეტყვაში იპოვეთ, მეორე კი – სისხლში… მესამე საყვირი იუწყება, რომ ცეცხლოვანი ვარსკვლავი ჩავარდება მდინარეთა და წყაროთა მესამედში და აჰა, ჩვენი მესამე ძმა გაუჩინარდა. და ძრწოდეთ მეოთხის გამო, რამეთუ მოისპობა მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა მესამედი და თითქმის სრული წყვდიადი დაისადგურებს…

ეკლესიიდან რომ გამოვდიოდით, უილიამმა შეფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა, იქნებ მოხუცის სიტყვებში მართლაც ურევია სიმართლეო.

– მაგრამ, – შევეპასუხე, – თუ ასეა და ბერენგარიუსიც მკვდარია, გამოდის, რომ სამივე სიკვდილი ერთმა ეშმაკისეულმა გონებამ ჩაიფიქრა „გამოცხადების“ მიხედვით. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადელმუსმა თავი მოიკლა…

– ეგ მართალია, – მითხრა უილიამმა, – მაგრამ იქნებ იმავე ეშმაკისეულ თუ ავადმყოფ გონებას ადელმუსის სიკვდილმა შთააგონა, სიმბოლოთა მიხედვით დაეგეგმა დანარჩენი ორი მკვლელობა? თუ ასეა, ბერენგარიუსი დამხრჩვალი უნდა იყოს. მონასტერში კი არც მდინარე ჩამოდის და არც წყარო, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, ვინმე რომ დაიხრჩოს ან ჩაახრჩონ…

– აქ მხოლოდ აბანოებია, – წამომცდა.

– ადსო! – შესძახა უილიამმა. – იცი, რომ შეიძლება გამოიცანი? აბანოები!

– იქ უკვე ნახავდნენ…

– ამ დილით დავინახე, რომ ძებნისას მსახურებმა აბანოს კარი გამოაღეს და შიგნით ისე შეიხედეს, რომ ხეირიანად არ შეუმოწმებიათ. მათ ხომ არ უძებნიათ, ელოდნენ, რომ მიცვალებული შესამჩნევ ადგილას დახვდებოდათ, როგორც ვენანციუსის გვამი იყო ჩაყუდებული იმ ჭურჭელში… წამოდი, მივიხედ-მოვიხედოთ, ჯერ მაინც ბნელა, ჩვენი ლამპარი კი მშვენივრად ანათებს.

ასეც მოვიქეცით. ადვილად გავაღეთ საავადმყოფოს უკან მდებარე აბანოს კარი.

შენობაში ერთმანეთისგან განიერი ფარდებით დაცალკევებული აბაზანები იდგა, აღარ მახსოვს, რამდენი. დადგენილ დღეებში აქ ბერები ბანაობდნენ, სნეულნი კი სამკურნალო აბაზანებს იღებდნენ, სევერინუსი რომ უნიშნავდა მათ: აბაზანა ხომ ყველაზე უკეთ ამშვიდებს სხეულსა და გონებას. დარბაზის კუთხეში ბუხარი იყო, სადაც წყალს აცხელებდნენ: წყალი დარბაზში საგანგებოდ იყო შემოყვანილი. ბუხარში ახალი ნაცრის კვალი შევნიშნეთ, მის წინ კი დიდი ამოყირავებული ქვაბი ეგდო.

რიგრიგობით ვიხედებოდით თითოეულ აბაზანაში. ყველა ცარიელი იყო, მხოლოდ ფარდით დაფარული უკანასკნელი აბაზანა იყო სავსე და მის გვერდით ტანსაცმელი იყო დახვავებული. წყლის ზედაპირი მშვიდი გვეჩვენა, ერთი შეხედვით ვერაფერი დავინახეთ, მაგრამ როგორც კი ლამპარი მივანათეთ, აბაზანის ფსკერზე ადამიანის შიშველი, უსულო სხეული დავინახეთ. ნელა ამოვიყვანეთ წყლიდან ბერენგარიუსი: როგორც უილიამმა თქვა, მართლაც დამხრჩვალს ჰგავდა. სახე დასივებოდა, თეთრი, რბილი, უბალნო სხეული ქალისა გეგონებოდა, რომ არა მოდუნებული, მოფლაშული, საზარელი სანახავი სარცხვინელი. გავწითლდი, შემდეგ ჟრუანტელმა დამიარა და პირჯვარი გადავიწერე. უილიამმა გვამი აკურთხა.

დღე მეოთხე

ქებანი

სადაც უილიამი და სევერინუსი ბერენგარიუსის გვამს ათვალიერებენ, აღმოაჩენენ, რომ მიცვალებულს ენა აქვს გაშავებული, რაც ერთობ უცნაურია წყალში დამხრჩვალისთვის; შემდეგ საშინელ შხამებსა და დიდი ხნის წინათ მომხდარ ქურდობაზე საუბრობენ

დიდხანს აღარ შევყოვნდები იმის მოსათხრობად, თუ როგორ შევატყობინეთ მომხდარი წინამძღვარს, როგორ გაიღვიძა მთელმა მონასტერმა დაწესებულ დროზე ადრე, აღარაფერს ვიტყვი შეძრწუნებულ ადამიანებზე, მათ სახეებზე ასახულ შიშსა და ტკივილზე, იმაზე, თუ როგორ გავრცელდა ახალი ამბავი მონასტრის მიმდებარე სოფლებში, როგორ იწერდნენ პირჯვარს და ბუტბუტებდნენ ლოცვებს მსახურები. არ ვიცი, ჩატარდა თუ არა იმ დილას წესისამებრ პირველი მსახურება, ან ვინ დაესწრო მას. უილიამისა და სევერინუსის განკარგულებით ბერენგარიუსის ცხედარი ნაჭერში შეახვიეს და ლაზარეთში მაგიდაზე დაასვენეს. მეც მათ გავყევი.

როცა წინამძღვარი და ბერები ლაზარეთიდან გავიდნენ, ბალახთა მცოდნე და ჩემი მასწავლებელი გვამის დათვალიერებას შეუდგნენ. დიდხანს ათვალიერებდნენ, ექიმთათვის ჩვეული უდრტვინველობით.

— დამხრჩვალია, — თქვა სევერინუსმა, — ამაში ეჭვი არ მეპარება. სახე გასიებული აქვს, მუცელი დაჭიმული...

— მაგრამ სხვას არ დაუხრჩვია, — შენიშნა უილიამმა, — მკვლელს ხომ წინააღმდეგობას გაუწევდა, მაშინ კი აბაზანის გარშემო წყალი იქნებოდა დაღვრილი. იქ კი ყველაფერი მოწესრიგებული და მოსუფთავებული იყო, ჩანს, ბერენგარიუსმა წყალი გააცხელა, აბაზანა გაავსო და თავად ჩაწვა შიგ.

— ეს არ მაკვირვებს. ბერენგარიუსს კრუნჩხვები აწუხებდა და მეც არაერთხელ მითქვამს მისთვის, რომ თბილი აბაზანები მშვენივრად აცხრობს სხეულისა და სულის აღგზნებას. რამდენჯერმე მთხოვა აბანოში შესვლის ნებართვა. შეიძლება, წუხელაც იგივე გააკეთა...

— გუშინწინ ღამით, — შეუსწორა უილიამმა, — ეს სხეული, თავადაც ხედავ, ერთი დღე მაინცაა წყალში ნამყოფი...

— ჰო, შეიძლება, გუშინწინ მოხდა, — დაეთანხმა სევერინუსი. უილიამმა ნაწილობრივ უამბო მას იმ ღამით მომხდარი. ის არ უთქვამს, რომ სკრიპტორიუმში ვიყავით შეპარულები და კიდევ რაღაც-რაღაცეები დაუმალა, მაგრამ უთხრა, რომ იდუმალ არსებას დავედევნეთ, რომელმაც წიგნი მოგვტაცა. სევერინუსი მიხვდა, რომ უილიამი ბოლომდე არ ეუბნებოდა სიმართლეს, მაგრამ აღარაფერი უკითხავს. დაამატა, თუ მართლა ბერენგარიუსი იყო იდუმალი ქურდი, შესაძლოა, აგზნებულმა დასამშვიდებლად მიაშურა აბაზანასო. ძალიან მგრძნობიარე ადამიანი იყო, დასძინა სევერინუსმა, გამწყრალს ან აღელვებულს ხშირად კანკალი აუტყდებოდა ხოლმე, ცივი ოფლი ასხამდა, თვალებს გადმოკარკლავდა, ძირს დაეცემოდა, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა.

— თუ მართლა ის იყო, — უთხრა უილიამმა, — აქ მოსვლამდე სადღაც შეუვლია, რადგან აბანოში ის წიგნი არსად დამინახავს.

– დიახ, – ამაყად დავუკარი კვერი, – აბაზანის გვერდით დალაგებული მისი სამოსელიც ავწიე, იქ არაფერი შემინიშნავს.

– ყოჩაღ, – გამიღიმა უილიამმა, – მაშასადამე, იქამდე სადღაც სხვაგან იყო, შემდეგ კი, დავუშვათ, აღგზნების დასაცხრობად და, შესაძლოა, ჩვენგან თავის დასაღწევად, აბანოში შეიპარა და წყალში ჩაწვა. სევერინუს, როგორ ფიქრობ, შეიძლება, ბერენგარიუსს თავისი სნეულების გამო გული წასვლოდა წყალში და დამხრჩვალიყო?

– შესაძლოა, – სევერინუსი მთლად დარწმუნებული არ ჩანდა, – თუმცა, თუ ეს ამბავი ორი დღის მომხდარია, აბაზანის გარშემო იქნებ ესხა კიდეც წყალი, მაგრამ მერე გაშრა. ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ვიღაცამ დაახრჩო.

– ჰო, მაგრამ, – არ დაეთანხმა უილიამი, – გინახავს სადმე მოკლული, რომელიც, სანამ დაახრჩობენ, ტანსაცმელს იხდის?

სევერინუსს ხმა არ გაუცია, გულისყურით უთვალიერებდა გვამს ხელებს.

– უცნაურია… – ჩაილაპარაკა შემდეგ. – იმ დღეს, ვენანციუსის სხეული სისხლისგან რომ განბანეს, მის ხელებს დავაკვირდი და ერთი რამ შევამჩნიე, რისთვისაც მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია: მარჯვენა ხელის ორი თითი გაშავებოდა, თითქოს რაღაც მუქი ნივთიერებით ჰქონდა შეღებილი. ზუსტად ასე, ხედავ, როგორც ბერენგარიუსის თითის ბალიშები. მეტიც, ამას მესამე თითზეც აქვს მკრთალი ლაქა. იმ დღეს ვიფიქრე, ალბათ ვენანციუსი სკრიპტორიუმში რაღაც მელანს შეეხო-მეთქი…

– ძალიან საინტერესოა, – შენიშნა ჩაფიქრებულმა უილიამმა და ბერენგარიუსის ხელებს ახლოდან დააკვირდა. თენდებოდა, შენობაში სინათლე ჯერ კიდევ სუსტი იყო და ჩემს მასწავლებელს აშკარად აკლდა თავისი შუშები. – ძალიან საინტერესოა, – გაიმეორა უილიამმა. – ცერა და საჩვენებელი თითების ბალიშები აქვს გამუქებული, შუა თითისა კი მხოლოდ შიგა მხარე, ოდნავ. მაგრამ კიდევ უფრო სუსტი კვალი მარცხენა ხელზეც შეიმჩნევა, ყოველ შემთხვევაში, ცერა და საჩვენებელ თითებზე.

– მარტო მარჯვენა ხელი რომ იყოს, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ამ თითებით კაცს რაღაც პატარა ან გრძელი და თხელი საგანი ეჭირა ხელში…

– მაგალითად, კალამი. ან საჭმელი. ან მწერი. ან გველი. ან კვერთხი. ან ჯოხი. უამრავი რამ. მაგრამ თუკი კვალი მეორე ხელზეც შეიმჩნევა, ეს შეიძლება თასი იყოს: მარჯვენას მტკიცედ უჭირავს ის, მარცხენა კი ოდნავ ეშველება…

სევერინუსმა მსუბუქად დაუსრისა გარდაცვლილს თითის ბალიშები, მაგრამ თითების ფერი არ შეცვლილა. შევამჩნიე, რომ სევერინუსს ხელთათმანები ეცვა, რომლებსაც, ვფიქრობ, შხამიან ნივთიერებებთან შეხებისას იცვამდა ხოლმე. დაყნოსა კიდეც, მაგრამ ვერაფერი იგრძნო.

– აუმრავი შხამიანი ნივთიერება შემიძლია დაგისახელო, რომელიც ასეთ კვალს ტოვებს. ზოგი მათგანი სასიკვდილოა, ზოგი არა. მინიატურათა მხატვრებს ხანდახან ოქროს მტვრით აქვთ თითები დასვრილი…

– ადელმუსი სწორედ მინიატურებს ხატავდა, – თქვა უილიამმა. – მისი დასახიჩრებული სხეულის ხილვისას არა მგონია, თითებს დაკვირვებოდი. დანარჩენებს კი შეეძლოთ ისეთ რამეს შეხებოდნენ, რაც ადელმუსს ეკუთვნოდა.

– ნამდვილად არ ვიცი, – თქვა სევერინუსმა. – ორი მკვდარი, ორივე გაშავებული თითებით. შენ რას ასკვნი აქედან?

– არაფერს არ ვასკვნი: სილოგიზმის წესის თანახმად, nihil sequitur geminis ex particularibus unquam[162], ორი ცალკეული ფაქტიდან წესი არ გამომდინარეობს. ჯერ წესი უნდა იცოდე, მაგალითად, ის, რომ არსებობს ნივთიერება, რომელიც შეხებისას თითებს აშავებს…

მე გამარჯვებული იერით დავასრულე სილოგიზმი: – ვენანციუსსა და ბერენგარიუსს თითები გაშავებული აქვთ, მაშასადამე, ორივე შეეხო ამ ნივთიერებას!

– ყოჩაღ, ადსო, – მითხრა უილიამმა. – დასანანია, რომ არც შენი სილოგიზმია მართებული, რადგან aut semel aut iterum medium generaliter esto[163]. ამ სილოგიზმში საშუალო ტერმინი არსად არ არის მთელი მოცულობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწყისი მოცემულობა არასწორად შევარჩიეთ. ის კი არ უნდა მეთქვა, ყველას, ვინც გარკვეულ ნივთიერებას შეეხო, თითები გაუშავდა-მეთქი, რადგან შეიძლება არსებობდნენ ადამიანები შავი თითებით, რომლებიც ამ ნივთიერებას არ შეხებიან. არამედ უნდა მეთქვა: ის და ყველა ის, ვისაც შავი თითები აქვს, უეჭველად შეეხო ამ ნივთიერებას-მეთქი. ანუ ვენანციუსი, ბერენგარიუსი და ასე შემდეგ. რითაც მივიღებთ Darii-ს – პირველი ფიგურის – შესანიშნავ მესამე სილოგიზმს.

– მაშ, პასუხი მიგვიღია, – ვთქვი კმაყოფილმა.

– ეჰ, ადსო, როგორ ენდობი სილოგიზმებს! პასუხი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ახალი შეკითხვა მივიღეთ. ანუ, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ვენანციუსი და ბერენგარიუსი ერთსა და იმავე ნივთიერებას შეეხნენ. ეს ნამდვილად გონივრული ვარაუდია. მაგრამ, როცა დავუშვით, რომ გარკვეული ნივთიერება – არსებულთაგან მხოლოდ ერთი – ასეთ შედეგს იწვევს (ესეც დასამტკიცებელია), ხომ არ ვიცით, რა ნივთიერებაა ეს, სად იპოვეს ამ ადამინებმა ის და რატომ შეეხნენ მას. თანაც დაუკვირდი, ისიც არ ვიცით, რომ მათი სიკვდილი ნამდვილად ამ ნივთიერებასთან შეხებამ გამოიწვია. წარმოიდგინე, რომ რომელიმე შეშლილს სურს, მოკლას ყველა, ვინც ოქროს ფხვნილს შეეხება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანთა მკვლელი ოქროს ფხვნილია?

შევშფოთდი. ლოგიკა ყოველთვის უნივერსალურ იარაღად მიმაჩნდა, ახლა კი ვხედავდი, რომ ლოგიკის ღირებულება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ იყენებდა მას ადამიანი. მეორე მხრივ კი – რაზეც ჩემს მასწავლებელთან ურთიერთობის მანძილზე არაერთხელ მეფიქრა და რის სისწორეშიც მომდევნო დღეებმა კიდევ უფრო დამარწმუნა – ლოგიკა ბევრ რამეში შეიძლება დაგეხმაროს, მაგრამ იმ პირობით, რომ მასში შეღწევაც იცი და იქიდან უკან გამოსვლაც.

სევერინუსი, რომელიც ნამდვილად არ იყო ლოგიკაში ძლიერი, თავისი გამოცდილების მიხედვით მსჯელობდა.

– შხამთა სამყარო ისევე მრავალფეროვანია, როგორც ბუნების საიდუმლონი, – განაცხადა მან და თაროებზე წიგნებთან ერთად ჩამწკრივებულ ათასნაირ ჭურჭელსა და წამლის შუშაზე მიგვითითა, რომლებიც ერთხელ უკვე დავათვალიერეთ აღტაცებით. – როგორც უკვე გითხარი, სათანადოდ შეხამებისა და რაოდენობების გათვლის შემთხვევაში ამ ბალახთაგან მრავალი გამოდგება მომაკვდინებელი სასმელის თუ საცხის დასამზადებლად. აი იქ, ქვემოთ, ლემას, ბელადონასა და ძელწლას ვინახავ: მათ ძილის მომგვრელი ან აღგმზნები ზეგავლენა აქვთ, ან სულაც – ორივე ერთად. გონივრულად მიღებული ეს სამივე ბალახი შესანიშნავი წამალია, გადაჭარბებით მიღების შემთხვევაში კი – მომაკვდინებელი…

– მაგრამ არც ერთი მათგანი არ დატოვებდა კვალს თითებზე, არა?

– ალბათ, არა. აქ ისეთი ნივთიერებებიცაა, რომლებიც მხოლოდ მაშინაა საშიში, თუ გადაყლაპავ, ზოგიერთი კი კანზე მოქმედებს. თეთრი შხამა მიწიდან ამოთხრისას გულზიდვას იწვევს ადამიანში. ბეგონიის ზოგი სახეობა ყვავილობის პერიოდში ღვინოსავით აბრუებს მებაღეს. შავ შხამასთან ერთი შეხებაც კი კუჭის აგიშლის. ზოგი მცენარე გულისცემის გახშირებას ან თავის ტკივილს იწვევს, ისეთებიც არსებობს, ხმას რომ ართმევენ ადამიანს. გველგესლას შხამი კი კანთან შეხებისას, სისხლში თუ არ მოხვდა, მხოლოდ მსუბუქ გაღიზიანებას იწვევს… ერთხელ ერთი ნარევი მაჩვენეს, რომელიც ძაღლისთვის უკანა თათებს შორის, ასოს სიახლოვეს რომ წაგესვა, მწვავე კრუნჩხვებს და კიდურების გაშეშებას იწვევდა და უმალ კლავდა ცხოველს…

– ბევრი რამ იცი შხამებზე, – უილიამს აღტაცება ერია ხმაში. სევერინუსმა შეხედა და ერთხანს თვალი არ მოუშორებია: – მე ის ვიცი, რაც ექიმმა, ბალახთა მცოდნემ, ადამიანის ჯანმრთელობის შემსწავლელი მეცნიერების თაყვანისმცემელმა უნდა იცოდეს.

უილიამი დიდხანს იყო ჩაფიქრებული. მერე სევერინუსს სთხოვა, გვამს ენა

დაუთვალიერეო. სევერინუსს ცნობისმოყვარეობა დაეტყო, თავისი სამედიცინო იარაღებიდან პატარა თხელპირიანი ნიჩაბი ამოიღო და ცხედარს პირი გაუღო. გაოცების შეძახილი აღმოხდა: – ენა შავია!

– მაშ ასე, – ჩაილაპარაკა უილიამმა. – თითებით რაღაც აიღო და მერე ჩაყლაპა... მაშ, გამოირიცხა შხამები, წეღან რომ ახსენებდი, კანიდან რომ აღწევს სხეულში და ისე კლავს ადამიანს. თუმცა ეს საქმეს არ აიოლებს, რადგან ორივე სიკვდილი რაღაც ნებაყოფლობით, არაშემთხვევით მოქმედებას უკავშირდება, რაც არც დაბნეულობითაა გამოწვეული, არც გაუფრთხილებლობით და არც ძალადობით. რაღაც აიღეს და ისე ჩაიდეს პირში, რომ იცოდნენ, რას აკეთებდნენ...

– საკვები? სასმელი?

– შეიძლება. ან შეიძლება... რა ვიცი, ფლეიტის მსგავსი მუსიკალური საკრავი...

– სიგიჟეა, – თქვა სევერინუსმა.

– რა თქმა უნდა, სიგიჟეა. მაგრამ ყველაზე უჩვეულო ვარაუდიც არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან. თუმცა ახლა შხამებს დავუბრუნდეთ. ვინმე, ვინც შენსავით იცნობს შხამებს, აქ რომ შემოსულიყო და შენი ბალახები გამოეყენებინა, შეძლებდა ისეთი მომაკვდინებელი საცხის დამზადებას, ამგვარ ლაქებს რომ ტოვებდეს თითებსა და ენაზე? ისეთის, რომელიც შეიძლება საჭმელში, სასმელში შეურიო, წაუსვა კოვზს ან რამეს, რასაც ადამიანი პირში იდებს?

– კი, – აღიარა სევერინუსმა, – მაგრამ ვინ იზამდა მას? თან, ეს ვარაუდი რომც დავუშვათ, რანაირად შეაპარებდა მკვლელი შხამს ჩვენს საბრალო გარდაცვლილ ძმებს?

გულწრფელად რომ გითხრათ, ვერც მე წარმომედგინა, როგორ უნდა ეიძულებინა ვინმეს ვენანციუსი ან ბერენგარიუსი, ეჭამა ან დაელია იდუმალი სამსალა. მაგრამ უილიამი ამ უცნაურობას თითქოს არ შეუწუხებია. – ამაზე შემდეგ ვიფიქრებთ, – თქვა, – ახლა იქნებ გაიხსენო, ვინმე ისეთი ხომ არ გეკითხებოდა შენს ბალახებზე, ვისაც ადვილად შეუძლია ლაბორატორიაში შეღწევა...

– იცი, – შეფიქრიანდა სევერინუსი, – დიდი ხნის წინათ ერთ-ერთ თაროზე ძალიან ძლიერმოქმედ ნივთიერებას ვინახავდი, ერთმა ძმამ ჩამომიტანა შორეული მოგზაურობიდან. თავადაც არ იცოდა ზუსტად, რისგან იყო დამზადებული, მისი შემადგენელი ბალახებიდან ბევრი არც გამეგონა, თუმცა, ვიცოდით, რომ მცენარეული ნარევი იყო. გარეგნულად ბლანტი, მოყვითალო სითხე იყო, გამაფრთხილეს, არ შევხებოდი: მისი ერთი წვეთიც კი სიცოცხლეს გამომასალმებდა. მახსოვს, იმ ძმამ მითხრა, ამ სითხის ერთი წვეთის ჩაყლაპვაც კი ნახევარ საათში საშინელ მოთენთილობას, შემდეგ სხეულის ყველა ნაწილის ნელ დამბლასა და ბოლოს სიკვდილს იწვევსო. მისი თან ტარება არ სურდა და მე მაჩუქა. დიდხანს ვინახავდი იმ სითხეს, მინდოდა, როგორმე გამომეკვლია. ერთ დღესაც ამ ზეგანს საშინელი გრიგალი დაატყდა. ერთ-ერთ ჩემს თანაშემწეს, მორჩილს, ლაზარეთის კარი ღია დარჩენოდა და ქარიშხალმა სულ თავდაყირა დააყენა ეს ოთახი. ჭურჭელი დაიმსხვრა, სითხეები იატაკზე დაიღვარა, ბალახები და ფხვნილები დაიფანტა. მთელი დღე მოვანდომე აქაურობის მოწესრიგებას და მხოლოდ შუშის ნამსხვრევებისა და უკვე გამოუსადეგარი ბალახების გატანაში დავიხმარე სხვები. ბოლოს შევამჩნიე, რომ ის ჭურჭელი აკლდა, რომელზეც ახლა გელაპარაკებოდი. თავიდან შევშფოთდი, შემდეგ საკუთარი თავი დავაჯერე, ალბათ იმ არეულობაში დაიმტვრა და სხვა ნამსხვრევებს შეერია-მეთქი. კარგად მოვარეცხვინე ლაბორატორიის იატაკი და თაროები...

– ქარიშხლამდე აქ იყო ის ჭურჭელი?

– კი... უფრო სწორად, ახლა რომ ვუფიქრდები, არა. ქოთნების უკან იდგა, თვალს მოფარებული და ყოველდღე არ ვამოწმებდი...

– ანუ, გამოდის, რომ ის შეიძლება ქარიშხლამდე კარგა ხნით ადრე წაეღოთ და შენ ვერც კი შეგემჩნია, არა?

– აქამდე ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ უეჭველად ასეა.

– იმ შენს მორჩილს შეეძლო მისი მოპარვა, შემდეგ კი ქარიშხლის მოხერხებულად გამოყენება, კარის განზრახ ღიად დატოვება და შენი ნივთების არევ-დარევა.

სევერინუსი ძალიან აღელვებული ჩანდა: – რა თქმა უნდა. და თანაც, მახსოვს, იმან გამაოცა, რომ ქარიშხალს, თუნდაც ძლიერს, ამდენი ნივთი გადმოეყარა. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ვიღაცამ ქარიშხლით ისარგებლა ოთახის გადასაქოთებლად და ბევრად მეტი ზარალის მისაყენებლად, ვიდრე ამას ქარი შეძლებდა.

– ვინ იყო ის მორჩილი?

– ავგუსტინე ერქვა. შარშან დაიღუპა, ხარაჩოდან ჩამოვარდა, როცა ბერებთან და სოფლის მცხოვრებლებთან ერთად ეკლესიის ფასადზე ქანდაკებებს წმენდდა. ისე, საწყალი იფიცებდა, ქარიშხლის წინ კარი ღია არ დამიტოვებიაო. მე ვფიქრობდი, გაცეცხლებული, რომ მისი ბრალი იყო. იქნებ მართლა არ იყო დამნაშავე.

– მაშ ვიღაც მესამეც იქნებოდა, შეიძლება, მორჩილზე ბევრად უფრო გამოცდილი, რომელმაც შენი შხამის შესახებ იცოდა. იყო ვინმე ასეთი?

– ეს ნამდვილად აღარ მახსოვს. უეჭველია, წინამძღვარს ვუთხარი და მას ესოდენ საშიში ნივთიერების შენახვის ნებართვა ვთხოვე. კიდევ ვიღაცას ვესაუბრე, მგონი, სწორედ ბიბლიოთეკაში, რადგან ჰერბარიუმებს ვეძებდი, რაღაცის გაგება მსურდა.

– შენ არ მითხარი, ჩემი ხელობისთვის საჭირო წიგნებს აქ ვინახავო?

– ასეა, ბევრი წიგნი აქ მაქვს, – სევერინუსმა კუთხეში თაროებზე დალაგებულ წიგნებზე მიუთითა. – მაგრამ მაშინ რამდენიმე ისეთი წიგნი მჭირდებოდა, რომლებსაც აქ ვერ დავიტოვებდი. მალაქიას არც უნდოდა მათი ჩვენება, წინამძღვრისგან მომიწია ნებართვის აღება. – ხმას დაუწია, თითქოს არ სურდა, მისი სიტყვები მეც გამეგონა. – იცი, ბიბლიოთეკაში, სადღაც, ნეკრომანტიული წიგნებიც კი ინახება. ამ ნაშრომთაგან ზოგიერთის წაკითხვა მოვახერხე კიდეც, იმედი მქონდა, რომ იმ შხამისა და მისი მოქმედების აღწერას მივაგნებდი. ამაოდ.

– ესე იგი, მალაქიასთან გილაპარაკია ამაზე.

– მალაქიას ნამდვილად ველაპარაკე. შეიძლება ბერენგარიუსსაც, ის ხომ მალაქიას თანაშემწე იყო. მაგრამ ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტან: აღარ მახსოვს, შეიძლება, საუბარს სხვა ბერებიც ესწრებოდნენ, ხომ იცი, ზოგჯერ სკრიპტორიუმში საკმაოდ ბევრი ხალხი იყრის თავს...

– ეჭვი არავისზე მაქვს. მხოლოდ ვცდილობ, გავიგო, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. მოკლედ, შენ ამბობ, რომ ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა. უცნაურია, რომ ვიღაცამ ამდენი ხნის წინ მოპარული შხამი მხოლოდ ახლა გამოიყენა. შესაძლოა, ბოროტი ნება დიდხანს მალავდა ჩრდილში მკვლელობის განზრახვას.

სევერინუსმა, შეძრწუნებულმა, პირჯვარი გადაისახა. – ღმერთო, შეგვინდე ყველას! – თქვა მან.

აღარაფერი იყო სათქმელი. ბერენგარიუსის გვამს, რომელიც დაკრძალვისთვის უნდა მოემზადებინათ, ტილო გადავაფარეთ.

პირველი ჟამი

სადაც უილიამი ჯერ სალვატორეს მოაყოლებს საკუთარ წარსულს, შემდეგ კი მეკუჭნავეს, სევერინუსი მოპარულ შუშებს იპოვის, ნიკოლოზი ახლებს მოიტანს და ექვსი თვალით

შეიარაღებული უილიამი ვენანციუსის ხელნაწერის წაკითხვას ეშურება

გავდიოდით, მალაქია რომ შემოვიდა. შეეტყო, ჩვენი იქ დანახვა არ ესიამოვნა და უკან გაბრუნება დააპირა. მაგრამ შიგნიდან სევერინუსმა დაინახა და დაუძახა: – მე მეძებდი? იცი... – მერე ჩვენ შემოგვხედა და უცებ გაჩუმდა. ბიბლიოთეკარმა რაღაც ანიშნა, თითქოს ეუბნებოდა, მერე დავილაპარაკოთო. ზღურბლზე შევხვდით ერთმანეთს. მალაქიამ ჩაილაპარაკა, წამლის ოსტატს ვეძებდი, თავი მტკივაო.

– ბიბლიოთეკის დახუთული ჰაერის ბრალი იქნება, – უთხრა უილიამმა მზრუნველად და თანაგრძნობით. – უნდა გაანიავოთ ხოლმე იქაურობა.

მალაქიამ თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. თავი დახარა და ოთახში შევიდა, ჩვენ კი იქაურობას გავეცალეთ.

– სევერინუსთან რა უნდა? – ვიკითხე.

– ადსო, – მოუთმენლად მიპასუხა მასწავლებელმა, – საკუთარი თავის განძრევა ისწავლე. – შემდეგ საუბრის თემა შეცვალა: – ახლა რამდენიმე ადამიანი უნდა გამოვკითხოთ. სანამ კიდევ... – დაამატა, თან ეზოს ათვალიერებდა, – სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. სხვათა შორის, ამიერიდან ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რას ვჭამთ და ვსვამთ. საჭმელი ყოველთვის საერთო თეფშიდან აიღე, სასმელი კი იმ დოქიდან ჩამოისხი, საიდანაც სხვებმა უკვე დალიეს. ბერენგარიუსის შემდეგ ყველაზე ბევრი ჩვენ ვიცით. რა თქმა უნდა, მკვლელის გარდა.

– ახლა ვინ უნდა დაკითხოთ?

– ადსო, – თქვა უილიამმა, – შეამჩნევდი, რომ ყველაზე საინტერესო ამბები აქ ღამით ხდება. ღამით ადამიანები კვდებიან, სკრიპტორიუმში დაიარებიან, მონასტერში ქალები შემოჰყავთ... მონასტერს აქვს დღის ცხოვრება და ღამის ცხოვრება და ღამეული, საუბედუროდ, დღისაზე ბევრად უფრო საინტერესოა. ამიტომაც გვაინტერესებს ყველა, ვინც ღამით დაბორიალობს, მათ შორის, თუნდაც ის, გუშინ რომ ნახე გოგონასთან ერთად. შეიძლება, გოგონას ამბავს შხამებთან არაფერი ჰქონდეს საერთო, მაგრამ შეიძლება, ასე არ იყოს. აჰა, აი ჩვენი წუხანდელი კაციც! თუ ის არაა, უეჭველია, იცის მაინც, ვინ იყო გუშინ ღამით სამზარეულოში.

სალვატორეზე მიმითითა. მანაც დაგვინახა. ყოყმანი დაეტყო ნაბიჯზე, თითქოს უნდოდა, თავიდან აეცილებინა ჩვენთან შეხვედრა, მაგრამ ვეღარ მოიფიქრა, საით წასულიყო. ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა. ჩანს, მიხვდა, რომ შეხვედრას ვერ გაექცეოდა და ჩვენკენ წამოვიდა. ფართო ღიმილითა და ერთობ შემპარავი „მაკურთხებოდით“ შეგვეგება. ჩემმა მასწავლებელმა სალმის ხეირიანად დამთავრებაც არ აცალა და მკაცრად მიმართა: – იცი, რომ ხვალ აქ ინკვიზიცია ჩამოდის?

სალვატორეს ეს არ მოეწონა. მიკნავლებული ხმით იკითხა: – და მე?

– ჰოდა, აჯობებს, სიმართლე მე მითხრა, შენს მეგობარსა და უბრალო ბერს, როგორიც ერთ დროს შენც იყავი, და არა ხვალ იმათ, ვისაც კარგად იცნობ.

ასეთი შეტევის შემდეგ სალვატორეს წინააღმდეგობის გაწევა აღარ უცდია. მორჩილად შეხედა უილიამს, თითქოს ანიშნებდა, მზად ვარ, გითხრა, რასაც მოისურვებო.

– წუხელ სამზარეულოში ქალი შეიყვანეს. ვინ იყო მასთან ერთად?

– ოჰ, ბინძური დედაკაცი, უკეთური, თახსირული, – შესძახა სალვატორემ.

– არ მიკითხავს, კარგი გოგო თუ იყო-მეთქი. ის მინდა ვიცოდე, მასთან ერთად ვინ იყო!

– ღმერთუფალო, რა ავსულია დედაკაცები! დღეებს და ღამეს ფიქრობენ, რათი დაღუპვოს მამაკაცი...

უილიამი მკერდში სწვდა და სამოსელით დაითრია: – ვინ იყო-მეთქი მასთან ერთად, შენ თუ მეკუჭნავე?

სალვატორე მიხვდა, ტყუილი აღარ გაუვიდოდა და უცნაური ამბის მოყოლა დაიწყო, საიდანაც ძლივძლივობით გავარკვიეთ, რომ მეკუჭნავის მოსათაფლად სალვატორეს მასთან სოფლიდან გოგოები მოჰყავდა. ისინი ღამით შეჰყავდა მონასტერში, თუმცა რა გზით, არ გაგვიმხილა. მაგრამო, საზეიმოდ დაიფიცა, ამას უანგაროდ ვაკეთებო. თან სინანული ვერ დაფარა, ვერასოდეს მოვახერხე, მეც მეხეირა ამ ვითარებით და მეკუჭნავის დაკმაყოფილების შემდეგ გოგონებს ჩემთვისაც გაემეტებინათ რამეო. ორაზროვანი, ავხორცი ღიმილითა და თვალის პაჭუნით გვიყვებოდა ამას, აშკარად ცდილობდა, ეგრძნობინებინა, თქვენც ასეთივე ხორციელი ადამიანები ხართ და იგივე გჩვევიათო. თან ქვეშ-ქვეშად მე მიყურებდა.

მაშინ უილიამმა გადაწყვიტა, ყოველგვარი ხერხი ეცადა და მოულოდნელად ჰკითხა სალვატორეს: – როდის გაიცანი რემიგუსი, დოლჩინოსთან ყოფნამდე თუ შემდეგ?

სალვატორე მუხლებზე დაეცა და ცრემლით შეევედრა უილიამს, არ დამღუპო, ინკვიზიციისაგან დამიხსენიო. უილიამმა შეჰფიცა, არავის გავუმხელ, რასაც შენგან შევიტყობო და იმასაც ბევრი აღარ უფიქრია, უმალ დაფქვა მეკუჭნავის ამბავი. პარეტე კალვაზე გაეცნოთ ერთმანეთი, ორივენი დოლჩინოს ბანდაში ყოფილან. მერე სალვატორე მეკუჭნავესთან ერთად გაქცეულა და კაზალეს მონასტერს შეკედლებია, მოგვიანებით ისევ მასთან ერთად გადასულა კლიუნიელებთან. სალვატორე ლუღლუღით გვევედრებოდა დანდობას და ცხადი იყო, მისგან მეტს ვერაფერს გავიგებდით. უილიამმა გადაწყვიტა, ახლა რემიგუსს დასტყდომოდა თავს მოულოდნელად და შეეშვა სალვატორეს, რომელიც თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და ეკლესიას შეაფარა თავი.

მეკუჭნავე მონასტრის მეორე ბოლოში, ბეღლების წინ, სოფლის რამდენიმე მცხოვრებს ესაუბრებოდა. ჩვენს დანახვაზე აღელდა და სცადა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ძალიან დაკავებული იყო, მაგრამ უილიამმა უკან არ დაიხია და დაჟინებით სთხოვა, უნდა დაგელაპარაკოო. აქამდე ამ კაცთან თითქმის არ გვქონია ურთიერთობა, ის ჩვენდამი იყო თავაზიანი, ჩვენ კი – მისდამი. იმ დილით უილიამი ისე დაელაპარაკა, როგორც თავისი ორდენის წევრს, თანამოძმეს. ჩანდა, რომ ამან მეკუჭნავე დააბნია, ფრთხილად პასუხობდა უილიამის შეკითხვებს.

– შენი საქმიანობის გამო ალბათ მაშინაც გიწევს მონასტრის ტერიტორიაზე სიარული, როცა სხვებს სძინავთ, – თქვა უილიამმა.

– გააჩნია, – უპასუხა რემიგუსმა, – ზოგჯერ საქმეს ძილის რამდენიმე საათსაც ვწირავ ხოლმე.

– მერე, არასოდეს გინახავს ან არ გაგიგია რამე ისეთი, რაც მიგვანიშნებდა, რომ შენ გარდა სხვაც დაიარება სამზარეულოსა და ბიბლიოთეკაში, ვისაც, შენგან განსხვავებით, საამისო მიზეზი არ აქვს?

– რამე რომ მენახა, წინამძღვარს ვეტყოდი.

– ცხადია, – დაეთანხმა უილიამი და მკვეთრად შეცვალა საუბრის თემა: – დაბლობში რომ სოფელია, ძალიან მდიდარი არ უნდა იყოს, არა?

– ისე რა, – უპასუხა რემიგუსმა. – იქ მრევლი ცხოვრობს, რომელსაც მონასტერი არჩენს და მოსავლიან წლებში მათაც მეტი ხვდებათ. მაგალითად, წმინდა იოანეს დღეს მათ თორმეტი ფუთი ქერი, ერთი ცხენი, შვიდი ხარი, ერთი ბუღა, ოთხი დეკეული, ხუთი ხბო, ოცი ცხვარი, თხუთმეტი ღორი, ორმოცდაათი ქათამი და ჩვიდმეტი სკა მიიღეს. გარდა ამისა, ოცი შებოლილი ღორი, ოცდაშვიდი კასრი დამდნარი ღორის ქონი, ნახევარი საწყაო თაფლი, სამი საწყაო საპონი, ერთი ბადე თევზის საჭერად...

– კარგი, კარგი, – შეაწყვეტინა უილიამმა, – მაგრამ დამეთანხმები, რომ ეს მაინც არაფერს მეუბნება სოფლის მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რამდენი მოსახლეა მონასტრის მრევლი, და რამდენი საკუთარი მიწა აქვს დასამუშავებლად იმას, ვინც მრევლში არ შედის...

– აჰ, გასაგებია, – თქვა რემიგუსმა, – სოფელში ჩვეულებრივ ოჯახს ორმოცდაათი წილი მიწა აქვს.

– რამდენია ერთი წილი?

– ცხადია, თორმეტი ადლი.

– ადლი? ეგ რამდენია?

– ერთი ადლი თორმეტი წყრთაა. ან, თუ ასე უფრო იოლად წარმოიდგენ, რვაასი ადლი ერთ პიემონტური მილია. ისიც გაითვალისწინე, რომ ჩრდილოეთის მხარეს ერთ ოჯახს სულ ცოტა ნახევარი კასრი ზეთის სამყოფი ზეთისხილი შეუძლია მოიყვანოს.

– ნახევარი კასრის?

– ჰო, ერთი კასრი ხუთი ფუთია, ერთ ფუთში კი რვა ჩანახი ჩადის.

– გავიგე, – თქვა ნირწამხდარმა ჩემმა მასწავლებელმა, – ყველა სოფელს თავისი საზომი აქვს. თქვენ, მაგალითად, ღვინოს კათხებით წყავთ?

– ან დოქებით. ექვსი დოქი ერთი ჩაფია, რვა ჩაფი – ერთი კასრი. თუ გნებავს, ასე იანგარიშე: ერთ დოქს ექვს კოკამდე ორი კათხა აკლია.

– ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, – ჩაილაპარაკა ხელჩაქნეულმა უილიამმა.

– კიდევ გაინტერესებს რამე? – რემიგუსის ტონი გამომწვევი მეჩვენა.

– ჰო! სოფელში როგორ ცხოვრობენ-მეთქი, ამას იმიტომ გეკითხებოდი, რომ დღეს ბიბლიოთეკაში რომანსელი უმბერტუსის ქადაგებებზე ვფიქრობდი, ქალებს რომ მიმართავდა, კერძოდ კი თავზე „Ad mulieres pauperes in villulis“[164], სადაც ნათქვამია, რომ სიღატაკის გამო დიაცი ადვილად დაჰყვება ხორციელ ცდუნებებს. წიგნში ბრძნულადაა ნათქვამი, რომ „esse peccant enim mortaliter, cum peccant cum quocumque laico, mortalius vero quando cum Clerico in sacris ordinibus constituto, maxime vero quando cum Religioso mundo mortuo“[165]. ჩემზე უკეთ იცი, რომ ისეთ წმინდა ადგილებშიც კი, როგორიც მონასტრებია, მრავლადაა ეშმაკის საცდური. ვფიქრობდი, სოფლის ხალხთან ურთიერთობისას ხომ არ გსმენია, რომ, ღმერთმა არ ქნას, ბერთაგან რომელიმეს ახალგაზრდა ქალებისთვის მრუშობისაკენ ებიძგებინოს?

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მასწავლებელი ყოველივე ამას ვითომ სხვათა შორის, უგულისყუროდ ამბობდა, მკითხველი მიხვდება, როგორ ააღელვა ამ სიტყვებმა საბრალო მეკუჭნავე. არ ვიცი, მართლა დაკარგა თუ არა მან ფერი, მაგრამ იმდენად ველოდი ამას, რომ დავინახე, როგორ გაფითრდა.

– ისეთ რამეს მეკითხები, რაც, რომ ვიცოდე, უკვე ნათქვამი მექნებოდა წინამძღვრისთვის, – უპასუხა უილიამს თვინიერად. – ყოველ შემთხვევაში, თუკი ეს ცნობები გამოძიებისთვის გჭირდება, ყველაფერს გეტყვი, რაც ვიცი. ისე, შენს პირველ შეკითხვას რაც შეეხება… ახლა რომ ვუფიქრდები, იმ ღამით, საბრალო ადელმუსი რომ მოკვდა, ეზოში ვიყავი… გაგონილი მქონდა, რომ ვიღაც ღამით საქათმეში დაძვრებოდა ქათმების მოსაპარად… ჰოდა, იმ ღამით დავინახე – მაგრამ შორიდან, ვერ დავიფიცებდი – როგორ ბრუნდებოდა ბერენგარიუსი საძინებელში, ქორედს მოუყვებოდა, თითქოს ციტადელიდან მოდიოდა… არ გამკვირვებია, რადგან კარგა ხანია ბერებში ხმა დადიოდა მასზე, შეიძლება, გსმენია…

– არა, მითხარი.

– კარგი. როგორ გითხრა… არსებობდა ეჭვი, რომ ბერენგარიუსს… ბერისთვის შეუფერებელი ვნებები ჰქონდა…

– იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ სოფლის გოგოებთან ჰქონდა ურთიერთობა?

მეკუჭნავემ უხერხულად ჩაახველა და უხამსად გაიღიმა: – ოჰ, არა… კიდევ უფრო შეუფერებელი ვნებები…

– და სოფლის გოგოებთან ხორციელი ტკბობა ბერისთვის რამენაირად შესაფერი ვნებაა?

– ეს არ მითქვამს, მაგრამ ხომ შენვე ამბობ, რომ, როგორც სათნოებას, გარყვნილებასაც თავისი იერარქია აქვს. ხორციელი ცდუნება შეიძლება იყოს ბუნებრივი და… ბუნების საწინააღმდეგო.

– გულისხმობ, რომ ბერენგარიუსს საკუთარი სქესის მიმართ ჰქონდა ხორციელი ლტოლვა?

– იმას ვამბობ, რომ მასზე ასეთი ხმები დადიოდა… ჩემი გულწრფელობისა და კეთილი ნების ნიშნად გაგიმხილე ეს…

– მადლობელი ვარ ამისთვის. და გეთანხმები, რომ სოდომის ცოდვა სხვა ხორციელ ცოდვებზე მძიმეა, რომელთა კვლევის არანაირი სურვილი არ მაქვს…

– ეს წვრილმანებია, წვრილმანები, რომც დადასტურდეს, – ფილოსოფიურად წარმოთქვა მეკუჭნავემ.

– წვრილმანებია, რემიგუს. ყველანი ცოდვილები ვართ. არასოდეს დავიწყებ მოყვასის თვალში ბეწვის ძიებას, ვინაიდან ვშიშობ, საკუთარში დირე არ აღმოვაჩინო. მაგრამ მადლიერი დაგრჩები თითოეული დირისთვის, რომელსაც დამანახებ. ასე რომ, მოდი, მსხვილ-მსხვილ მორებს მივხედოთ, ბეწვი კი ქარს გავატანოთ. როგორ თქვი, რამდენს იტევს ერთი ტრაბუკიო?

– ოცდათექვსმეტ კვადრატულ ფუტს. მაგრამ თავს ნუ აიტკივებ. თუ რამე დაგჭირდა, აქა ვარ. ერთგულ მეგობრად მიგულე.

– ასეც მიმაჩნიხარ, – გულმხურვალედ უთხრა უილიამმა. – უბერტინუსმა მითხრა, ერთ დროს ჩემი ორდენის წევრი ყოფილხარ. ვერასოდეს ვუღალატებდი ძველ თანამოძმეს, მით უმეტეს ასეთ დროს, როცა მონასტერში პაპის დელეგაციას ელიან დიდი ინკვიზიტორის ხელმძღვანელობით, რომელმაც მრავალი დოლჩინელის დაწვით გაითქვა სახელი. როგორ თქვი, ერთი ტრაბუკი ოცდათექვსმეტი ფუტიაო?

მეკუჭნავე სულელი არ იყო. მიხვდა, აღარ ღირდა კატათაგვობანას თამაში, მით უმეტეს, გრძნობდა, რომ თაგვი თავად იყო.

– ძმაო უილიამ, – თქვა მან, – ვხედავ, იმაზე მეტი იცი, ვიდრე მე მეგონა. მართალია, ერთი საბრალო მიწიერი კაცი ვარ და ხორციელ ცდუნებებს ვერ ვუმკლავდები. სალვატორემ მითხრა, რომ წუხელ შენ თუ შენი შეგირდი თავზე დასდგომიხართ სამზარეულოში. ბევრგან ხარ ნამყოფი, უილიამ, უამრავი რამ გინახავს და კარგად იცი, რომ ავინიონელი კარდინალებიც კი არ ვარგიან სათნოების ნიმუშად. დარწმუნებული ვარ, ამ წვრილმან ცოდვათა გამო არ მიწყობ დაკითხვას. ვხვდები, ჩემს წარსულზე რაღაც გსმენია. უცნაური ცხოვრება მქონდა ბევრი ჩვენი მოძმე მინორიტის მსგავსად. მრავალი წლის წინ უპოვარება ვაღიარე და საძმო მივატოვე, რათა მოხეტიალე ცხოვრება დამეწყო. დოლჩინოს ქადაგება ვირწმუნე. ნასწავლი არ ვარ, ხელოსნების ოჯახში დავიბადე და თეოლოგიისა ბევრი არაფერი გამეგება. არც კი ვიცი, რატომ ვაკეთებდი მაშინ იმ ყველაფერს. იცი, სალვატორეს შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია, ის ყმა გლეხის შვილი იყო, სიღატაკითა და ავადმყოფობით დაღდასმული ბავშვობა ჰქონდა… მისთვის დოლჩინო აჯანყებას განასახიერებდა, იმის დამხობას, ვის გამოც შიმშილით სძვრებოდა სული. ჩემთვის – არა. ქალაქელი ვარ და შიმშილს არ გამოვქცევივარ. ეს იყო… არ ვიცი, როგორ ვთქვა, შეშლილთა ზეიმი, ერთი დიდი კარნავალი… იქ, მთაში, დოლჩინოს გვერდით, სანამ ბრძოლაში დაღუპული ჩვენი მეგობრების ხორცის ჭამა არ მოგვიწია და შიმშილით დახოცილთა რიცხვმა ისე არ იმატა, რომ ყველას უბრალოდ ვეღარ შევჭამდით და გვამებს მტაცებელ ფრინველებს და ნადირებს ვუყრიდით საჯიჯგნად… ან, იქნებ, იმ წუთებშიც… ვსუნთქავდით… რომ გითხრა, თავისუფლებით ვსუნთქავდით-მეთქი? მანამდე არ ვიცოდი, რა იყო თავისუფლება. მქადაგებლები გვეუბნებოდნენ: „ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთო“. ჩვენ თავისუფლებად ვგრძნობდით თავს და გვეგონა, რომ ეს იყო ჭეშმარიტება. გვეგონა, ყველაფერი, რასაც ვაკეთებდით, სწორი იყო…

– და იქ დაეჩვიეთ… თქვენს ნებაზე ქალებთან ყოფნას? – ვკითხე, არც კი ვიცი, რატომ, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა წინა ღამით მოსმენილი უბერტინუსის სიტყვები,

სკრიპტორიუმში წაკითხული და ჩემს თავს გადამხდარი ამბები. უილიამმა ცნობისმოყვარე მზერა მომაპყრო, ალბათ, ჩემგან ასეთ გაბედულ და უტიფარ საქციელს არ ელოდა. მეკუჭნავემ კი ისე შემომხედა, თითქოს რაღაც უცნაური ცხოველი დაინახაო.

– რუბელოს მთაზე, – თქვა მან, – ისეთები იყვნენ, მთელი ბავშვობა რამდენიმე გოჯის სიგრძის ოთახში რომ ჰქონდათ გატარებული, სადაც ათ სულზე მეტს ეძინა ერთად: და ძმასთან იწვა, მამა – ქალიშვილებთან. როგორ გგონია, რა სიახლე უნდა ყოფილიყო მათთვის ამაში? ახლა საკუთარი არჩევანით აკეთებდნენ იმას, რასაც ადრე გაჭირვების გამო ჩადიოდნენ. თანაც ღამით, მტრის თავდასხმის შიში რომ გზარავს და მიწაზე გართხმული, სიცივისგან თავის დასაცავად გვერდით მყოფს ეკვრი... ერეტიკოსობა: თქვენ, ბერებს, ციხე-დარბაზებიდან რომ მოდიხართ მონასტრებში, ეს ეშმაკისეული გგონიათ. ეს კი მხოლოდ არჩევანია... ცხოვრების ფორმა... და ეს სიახლეა... იყო... ბატონები აღარ გვყავდა და გვარწმუნებდნენ, რომ ღმერთი ჩვენთან იყო. არ ვამბობ, მართლები ვიყავით- მეთქი, უილიამ, და აქ იმიტომ მხედავ, რომ ისინი მალევე მივატოვე. მაგრამ არასოდეს მესმოდა ქრისტეს სიღატაკეზე თქვენი მეცნიერული კამათი, წესები, ფაქტები, უფლებები... ხომ გითხარი, ეს დიდი კარნავალი იყო, კარნავალი კი ყველაფერს თავდაყირა აყენებს. მერე კი ბერდები და კი არ ბრძენდები, მსუნაგდები. ჰოდა, მეც ვმსუნაგობ აქ... შეგიძლია, მწვალებელს განაჩენი გამოუტანო, მაგრამ მსუნაგ კაცს როგორ გაასამართლებ?

– საკმარისია, რემიგუს, – უთხრა უილიამმა, – წარსულზე აღარაფერს შეგეკითხები, ახლახან მომხდარზე მიამბე მხოლოდ. დამეხმარე და ნამდვილად არ ვეცდები შენს დაღუპვას. არ შემიძლია და არც მსურს შენი განსჯა. მაგრამ უნდა მითხრა, რა იცი მონასტრის ამბებზე. გაუთავებლად მიდი-მოდიხარ მონასტერში, დღისით და ღამით, არ შეიძლება, რამე არ იცოდე. ვინ მოკლა ვენანციუსი?

– არ ვიცი, გეფიცები. ვიცი, როდის მოკვდა და სად.

– როდის? სად?

– დამაცადე, მომაყოლე. იმ ღამით, სერობიდან ერთი საათის შემდეგ სამზარეულოში შევედი...

– რომელი მხრიდან და რისთვის?

– ბოსტნის მხარეს გამავალი კარიდან. კარგა ხანია, მჭედლებს ჩემთვის გასაღები გამოვაჭედვინე. სამზარეულოს კარი ერთადერთია, რომელიც შიგნიდან არ ირაზება. ხოლო მიზეზს... მნიშვნელობა არა აქვს, თავად თქვი, რომ ხორციელ სისუსტეთა გამო ჩემი განსჯა არ გსურს... – დაბნეულად გაიღიმა. – მაგრამ არც ის მინდა, იფიქრო, რომ დღენიადაგ მრუშობას ვეძლევი... იმ საღამოს საჭმელს ვეძებდი გოგონასთვის მისაცემად, რომელიც სალვატორეს უნდა შემოეყვანა...

– საიდან?

– გალავანში, კარიბჭის გარდა, სხვა შესასვლელებიც არის. მაგრამ იმ საღამოს გოგონა არ შემოსულა, უკან გავაბრუნე, სწორედ იმის გამო, რაც აღმოვაჩინე და რასაც ახლა მოგიყვები. ამიტომ ვცადე წუხელ გოგონას ისევ შემოყვანა. ცოტა გვიან რომ მოსულიყავით, სალვატორეს ნაცვლად მე მიპოვიდით, მან შემატყობინა სწორედ, რომ ციტადელში ვიღაც იყო და მეც ჩემს სენაკში შევბრუნდი...

– კვირადღესა და ორშაბათს შორის ღამეს დავუბრუნდეთ.

– სამზარეულოში შევედი და იატაკზე ვენანციუსი დავინახე, მკვდარი იყო.

– სამზარეულოში?

– ჰო, ხელსაბანთან ახლოს. შესაძლოა, მცირე ხნის წინ იყო ჩამოსული სკრიპტორიუმიდან.

– ბრძოლის რამე კვალი ხომ არ შეგინიშნავს?

– არავითარი. უფრო სწორად, სხეულის მახლობლად დამსხვრეული ჭიქა ეგდო და იატაკზე წყალი იყო დაქცეული.

– რა იცი, რომ წყალი იყო?

– არ ვიცი. ვიფიქრე, რომ წყალი იქნებოდა. აბა რა შეიძლებოდა ყოფილიყო?

როგორც შემდეგ უილიამმა მითხრა, იმ ჭიქას ორ სხვადასხვა რამეზე შეეძლო მინიშნება: ან იქვე, სამზარეულოში, ვიღაცამ ვენანციუსს შხამიანი სასმელი დაალევინა, ან საბრალოს უკვე ჩაყლაპული ჰქონდა შხამი (მაგრამ სად და როდის?) და სამზარეულოში იმისთვის ჩავიდა, რომ მოულოდნელი წყურვილი მოეკლა, ის კრუნჩხვა, ტკივილი დაეცხრო, შიგნეულს და ენას რომ უთუთქავდა. და, ალბათ, მასაც, ბერენგარიუსივით, ენა შავი ექნებოდა.

ასე იყო თუ ისე, იმ წუთისთვის მეტის გაგება შეუძლებელი იყო. გვამი რომ აღმოუჩენია, შეშინებული რემიგუსი დაფიქრებულა, როგორ მოქცეულიყო და გადაუწყვეტია, არაფერი გაეკეთებინა. დახმარება რომ ეთხოვა ვინმესთვის, უნდა ეღიარებინა, რომ ღამით ციტადელში დაბორიალობდა, თან ვეღარც მიცვალებულ ძმას უშველიდა რამეს. ამიტომაც განუზრახავს, ყველაფერი ხელუხლებლად დაეტოვებინა იმ იმედით, რომ მიცვალებულს დილით კარის გაღებისას აღმოაჩენდნენ. მერე სალვატორეს გასაფრთხილებლად გაქცეულა, რომელსაც გოგონა უნდა შემოეყვანა გალავანში, შემდეგ კი ორივენი დასაძინებლად წასულან, თუკი ძილი შეიძლება ეწოდოს იმ მშფოთვარე ძილ-ღვიძილს, რომელშიც გაატარეს ღამე ცისკრის ლოცვამდე. ცისკრისას კი, როცა მეღორეები წინამძღვართან ამბის შესატყობინებლად მივიდნენ, რემიგუსს ეგონა, რომ სხეული იქ იპოვეს, სადაც მან დატოვა და თიხის ჭურჭელში ჩამხობილი გვამის დანახვაზე სახტად დარჩა. ვინ გააქრო გვამი სამზარეულოდან? რემიგუსს წარმოდგენა არ ჰქონდა ამაზე.

– ერთადერთი, ვინც ციტადელში თავისუფლად მოძრაობს, მალაქიაა, – თქვა უილიამმა.

მეკუჭნავე ენერგიულად შეეპასუხა: – არა, მალაქია არა. არა მგონია... მე შენთვის არაფერი მითქვამს მალაქიას საწინააღმდეგო..

– დამშვიდდი, რაც არ უნდა გემართოს მისი. რამე იცის შენზე?

– დიახ, – გაწითლდა მეკუჭნავე. – და კეთილგონიერი ადამიანივით მოიქცა. შენს ადგილას ბენციუსს ვადევნებდი თვალყურს. უცნაური ურთიერთობა ჰქონდა ბერენგარიუსსა და ვენანციუსთან... მაგრამ გეფიცები, მეტი არაფერი მინახავს. რამეს თუ გავიგებ, გეტყვი.

– ჯერჯერობით საკმარისია. თუ დამჭირდა, ისევ მოგმართავ.

აშკარად გამხნევებული მეკუჭნავე თავის საქმეებს მიუბრუნდა და გლეხები დატუქსა, რომლებსაც მის არყოფნაში რაღაც თესლის ტომრები გადაეადგილებინათ.

ამასობაში სევერინუსი მოგვადგა. ხელში უილიამის შუშები ეჭირა. – ბერენგარიუსის სამოსში ვიპოვე ეს შუშები, თქვა სევერინუსმა. – იმ დღეს ბიბლიოთეკაში დაგინახეთ, გეკეთათ. ხომ თქვენია?

– მადლობა უფალს, – სიხარულით შესძახა უილიამმა. – ორი საკითხი მოვაგვარეთ! ჩემი შუშებიც დავიბრუნე და ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ იმ ღამით სკრიპტორიუმში ბერენგარიუსმა გაგვქურდა!

ის იყო, სიტყვა დაასრულა, რომ ნიკოლოზ მორიმონდოელი მოიჭრა ჩვენთან, უილიამზე უფრო გახარებული ჩანდა. ხელში ჩარჩოში ჩასმული შუშები ეჭირა. – უილიამ, – ყვიროდა, – შევძელი, შუშები დაგიმზადე, მგონი, ისაა, რაც გინდოდა! – მერე შენიშნა, რომ უილიამს უკვე ეკეთა შუშები და ადგილზე გაშეშდა. უილიამს მისი წყენინება არ უნდოდა, ძველი შუშები მოიხსნა და ახალი მოირგო: – ძველს სჯობია, – უთხრა, – ამიტომაც ძველს სათადარიგოდ შევინახავ და შენს დამზადებულს ვატარებ. – შემდეგ მე მომიბრუნდა: – ადსო, ახლა ჩემს სენაკში წავალ, რაღაც მაქვს წასაკითხი, ხომ იცი. როგორც იქნა! სადმე დამელოდე. მადლობა, დიდი მადლობა ყველას, ძვირფასო ძმებო.

მესამე ჟამი ჩამოკრეს და ქორედს მივაშურე, სხვებთან ერთად სადიდებლის, ფსალმუნებისა და „უფალო, შეგვიწყალეს“ საგალობლად. ბერები გარდაცვლილი ბერენგარიუსის სულისთვის ლოცულობდნენ. მე კი მადლობას ვუხდიდი ღმერთს, რომ ერთის ნაცვლად ახლა ორი წყვილი სათვალის შუშა გვქონდა.

ამ დიადმა სიმშვიდემ მიმავიწყა ყოველივე ნანახი და მოსმენილი და ჩამთვლიმა. თვალი რომ გავახილე, წირვა დასრულებულიყო. გამახსენდა, რომ ღამით არ მიძინია და ამაფორიაქა იმის გაფიქრებამ, რომ დაქანცული ვიყავი, ძალაგამოლეული. ჰაერზე გამოვედი, გოგონაზე ფიქრს ვერაფრით ვიშორებდი თავიდან.

ფიქრების გასაფანტად ეზოში სწრაფად სიარულს მოვყევი. მსუბუქი თავბრუსხვევის შეგრძნება მქონდა. გათოშილ ხელებს ერთმანეთს ვურტყამდი, ფეხებს მიწაზე ვაბაკუნებდი. ჯერაც მეძინებოდა, თუმცა საკუთარი თავი ფხიზელი და სიცოცხლით სავსე მეგონა. ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს.

მესამე ჟამი

სადაც ადსოს სიყვარული ტანჯავს, შემდეგ მოდის უილიამი ვენანციუსის ტექსტით, რომელიც ამოხსნის შემდეგაც ამოუხსნელი რჩება

სიმართლე გითხრათ, გოგონასთან ცოდვილი შეხვედრა თითქმის მიმავიწყა შემდეგ მომხდარმა საზარელმა ამბებმა. თანაც უილიამისთვის ნათქვამმა აღსარებამ სული გამითავისუფლა ტვირთისგან, რომელიც იმღამინდელი დანაშაულებრივი სისუსტის გამო მტანჯავდა. მომეჩვენა, რომ სიტყვებთან ერთად მოძღვარს ის ტვირთიც გადავაბარე, რაც აღსარებაში იდო. აღსარების მადლი ხომ სწორედ სულის განბანაა, ცოდვის სიმძიმით შეჭირვებული სულის დახსნა და უფლის კალთისთვის თავის შეფარება, მისი შენდობით სულის ნიავივით ამსუბუქება და სიმდაბლით დაჯიჯგნილი სხეულის დავიწყება! თუმცა, ვგრძნობდი, ბოლომდე არ ვიყავი გათავისუფლებული. ზამთრის ცივი დილის ფერმკრთალი მზის სხივებში ვსეირნობდი, ჩემ გარშემო ადამიანები და ცხოველები დაფუსფუსებდნენ და სხვაგვარად მაგონდებოდა მომხდარი. თითქოს იმ ამბიდან აღარც სინანული დარჩენილიყო და არც მონანიებაში განბანის ნუგეში, არამედ მხოლოდ ადამიანების სხეულები, მათი ნაწილები. ჩემს უკიდურესად აღგზნებულ გონებაში წყლით გაბერილი ბერენგარიუსის საზარელი მოჩვენება ამოტივტივდა და ზიზღნარევი სიბრალულის ჟრუანტელმა დამიარა ტანში. მერე, თითქოს იმ შემზარავი ფიქრის დასაფრთხობად, გონებამ სხვა მოგონებები გამოიხმო, რომლებიც სულ ახალი აღბეჭდილი იყო ჩემს მეხსიერებაში და საოცარი სიცხადით წარმომიდგა თვალწინ (სულის მზერას ვგულისხმობ, თუმცა ისე ცხადად ვხედავდი მას, თითქოს მართლაც წინ მედგა) გოგონას ხატება, მშვენიერი და შიშის მომგვრელი, როგორც საბრძოლოდ დაწყობილი ლაშქარი.

კიდევ ერთხელ პირობა მივეცი საკუთარ თავს (აწ უკვე მხცოვანმა გადამწერმა ტექსტისა, რომელიც არასოდეს დაწერილა, მაგრამ ათწლეულების მანძილზე მეტყველებდა ჩემს გონებაში), ვიყო ბეჯითი მემატიანე, და არა მხოლოდ ჭეშმარიტების სიყვარულით ან მომავალ თაობათა დასამოძღვრად (რაც ყოვლად ღირსეული საქმეა), არამედ ჩემი მიმქრალი, დაქანცული მეხსიერების გასათავისუფლებლად იმ ხილვათაგან, რომლებიც მთელი ცხოვრება აწვალებდა მას. მაშასადამე, ყველაფერი უნდა ვთქვა, ღირსეულად, სირცხვილის გარეშე. ცხადად უნდა გამოვხატო მაშინდელი ჩემი ფიქრები, რომელთაც საკუთარ თავსაც კი ვუმალავდი, მონასტრის ეზოში რომ ვსეირნობდი და დროდადრო ნაბიჯს ისე ვუმატებდი, ლამის დავრბოდი, რომ გახშირებული გულისცემა სხეულის მოძრაობისთვის დამებრალებინა. ვჩერდებოდი, აღტაცებით ვაკვირდებოდი გლეხების ფუსფუსს გარშემო და თავს ვიტყუებდი, რომ მათი ცქერით ვერთობოდი, თან ხარბად ვისუნთქავდი ცივ ჰაერს, მსგავსად კაცისა, ღვინოს რომ ეწაფება შიშის ან ტკივილის დასავიწყებლად.

ამაოდ. გოგონაზე ვფიქრობდი. ჩემს სხეულს დაევიწყებინა ის მძაფრი, ცოდვიანი, წარმავალი ნეტარება (უღირსი გრძნობა), რომელიც მასთან შეერთებით განვიცადე, მაგრამ სული მის სახეს ვერ ივიწყებდა და არათუ ბილწად არ ეჩვენებოდა ეს მოგონება, არამედ ისე თრთოდა, თითქოს იმ ნაკვთებში ყოფილიყოს გაბრწყინებული სამყაროს მთელი სინაზე და მშვენიერება.

ბუნდოვნად ვგრძნობდი და საკუთარ თავსაც არ ვუმხელდი, თუ რა ნამდვილი იყო ის, რასაც ვგრძნობდი: ეს მდაბიო, ბინძური, უსირცხვილო არსება, რომელიც სხვა ცოდვილებთან საკუთარი სხეულით ვაჭრობდა (ვინ იცის, რამდენი ხანია და რა ხშირად აკეთებდა ამას), ევას ასული, თავისი დებივით სუსტი, საკუთარი ხორცის გამყიდველი, მაინც რაღაც ბრწყინვალე და საოცარი იყო ჩემთვის. ჩემი გონება ცოდვის წყაროდ მიიჩნევდა მას, გრძნობა კი – ყოველგვარი მადლის სავანედ. ძნელი სათქმელია, რას ვგრძნობდი. ჯერაც ცოდვის მახეში გაბმულს, ალბათ, გოგონას დანახვა მეწადა და გლეხების ფუსფუსსაც იმიტომ ვუთვალთვალებდი, რომ სადმე მისთვის მომეკრა თვალი, იქნებ რომელიმე ქოხიდან ან ბოსლიდან გამოსულიყო ჩემი მაცდუნებელი არსება. მაგრამ ესეც მხოლოდ სიმართლის შებურვის მცდელობაა იმ შეგრძნების ძალისა და სიცხადის შესამსუბუქებლად, რასაც მართლა ვგრძნობდი: ნამდვილი სიმართლე ისაა, რომ მე „ვხედავდი“ გოგონას, ვხედავდი მას ფოთოლგაცვენილი ხეების შიშველ ტოტებში, გათოშილი ბეღურების ფრთხიალზე რომ ირხეოდნენ; ვხედავდი ბოჩოლების წყლიან თვალებში, მას მაგონებდნენ კრავებიც, მონასტრის ეზოში რომ დაბაკუნობდნენ და ფეხებში მებლანდებოდნენ; თითქოს მთელი სამყარო მასზე მესაუბრებოდა. დიახ, მეწადა გოგონას ნახვა, თუმცა მზად ვიყავი, იმასაც შევგუებოდი, რომ ვეღარასოდეს ვნახავდი, ვეღარასოდეს შევერწყმებოდი მას, ოღონდ კი ახლა შემძლებოდა მისი სიახლოვის ნეტარებით ტკბობა, სულს რომ მივსებდა იმ სუსხიან დილით, და შემდეგ თუნდაც სამარადისოდ დამეკარგა. ახლა ვცდილობ ამის გააზრებას: იმ წუთებში ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი სამყარო – ეს მართლაც ღვთის ხელით ნაწერი წიგნი, სადაც ყოველი საგანი მისი შემქმნელის უსაზღვრო სიკეთეზე მიგვითითებს, სადაც ყოველი ქმნილება სიცოცხლისა და სიკვდილის ანაბეჭდი და სარკეა, სადაც აყვავებული ვარდიც რაღაცის ნიშანია ჩვენს მიწიერ გზაზე – ერთი სიტყვით, ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ სამზარეულოს სუნით გაჟღენთილ სიბნელეში თვალმოკრულ იმ სახეს მაგონებდა. ამ ფიქრებში ვიყავი და საკუთარ თავს ვეუბნებოდი (უფრო სწორად, არ ვეუბნებოდი, რადგან იმ წუთებში აზრთა სიტყვებად გარდაქმნა არ ძალმიძდა), თუკი სამყაროს დანიშნულებაა, შემოქმედის ძალაზე, სიკეთესა და სიბრძნეზე მიგვანიშნოს, და თუკი ამ დილით მთელი სამყარო გოგონაზე მელაპარაკება, რომელიც, რაც უნდა ცოდვილი იყოს, მაინც სამყაროს ამ დიდი წიგნის ერთი პწკარი, კოსმოსის დიადი საგალობლის ერთი სტროფია-მეთქი, მაშინ, ასე ვფიქრობდი (ახლა ვფიქრობ), არ შეიძლება, ყოველივე ეს იმ დიდი გეგმის ნაწილი არ იყოს, რომელიც ციტრის – კეთილხმოვანებისა და ჰარმონიის საოცრების – დარად მოწყობილ სამყაროს მართავს-მეთქი. და დაბანგულივით ვტკბებოდი გოგონას ანარეკლით გარშემომყოფ საგნებში, მათში ვნატრობდი მას და მათით ვკმაყოფილდებოდი. თუმცა მაინც მტკიოდა შიგნით რაღაც, მიუხედავად იმ ბედნიერებისა, რითაც გოგონას სიახლოვის შეგრძნება მავსებდა, მაინც მტანჯავდა უმისობა. ვერაფრით ავხსნი წინააღმდეგობრიობის ამ საიდუმლოს, რაც იმის ნიშანია, რომ ადამიანის სული ერთობ სუსტია და პირდაპირ კი არ მიჰყვება ღვთაებრივი გონების გზებს, რომელმაც სამყარო სრულყოფილი სილოგიზმის მსგავსად ააგო, არამედ ამ სილოგიზმის ცალკეულ, ხშირად ერთმანეთთან დაუკავშირებელ ნაწილებს სწვდება მხოლოდ. ამიტომაც ხდება ადამიანი ასე იოლად ეშმაკის საცდურთა მსხვერპლი. ეშმაკის ცდუნება მიჩქროლებდა გულს იმ დილით? ახლა ვფიქრობ, რომ ასე იყო, რადგან მორჩილი ვიყავი, მაგრამ მგონია, რომ ის ადამიანური გრძნობა, რომელიც მაღელვებდა, თავისთავად კი არ იყო ბოროტი, უბრალოდ ჩემს მაშინდელ მდგომარეობას არ შეეფერებოდა. თავისთავად ეს ის გრძნობა იყო, რომელიც მამაკაცს ქალისადმი ლტოლვას აღუძრავს, მასთან შერწყმას კარნახობს, როგორც ეს უფალს სურს, რათა ერთ ხორცად იქცნენ, ახალი ადამიანები შექმნან და ერთად განვლონ გზა სიბერემდე. ოღონდ უფალი ამას იმათ ურჩევს, ვისაც სურს, ავხორცობას თავი აარიდოს და ჯოჯოხეთს ასცდეს. თუმცა მაცხოვარი შეგვახსენებს, რომ ამაზე საქები უმანკოებაა, და მე, როგორც ბერს, სწორედ ეს აღთქმა მქონდა დადებული. მაშ, რასაც იმ დილით განვიცდიდი, ჩემთვის იყო ცოდვა, სხვათათვის კი, ალბათ, მადლი იყო, უტკბესი მადლი, და ახლა მესმის, რომ ჩემი აზრების ბიწიერება კი არ მტანჯავდა, (ისინი სუფთა და სათუთი იყო), არამედ თავზარს მცემდა მათი შეუთავსებლობა

ჩემს აღთქმასთან. ამიტომ ცუდად ვიქცეოდი, როცა იმით ვტკბებოდი, რაც ერთი თვალსაზრისით კარგი იყო, მეორე თვალსაზრისით კი – ცუდი. ჩემი ბრალი ის იყო, რომ ვცდილობდი, ბუნებრივი წადილი რაციონალური სულის მოთხოვნებთან შემეთანხმებინა. ახლა ვიცი, რომ ინტელექტუალურ წადილსა (რომელშიც ნების ძალა უნდა გამოვლენილიყო) და გრძნობით წადილს შორის (რომელიც ადამიანურ ვნებებს ექვემდებარება) დაპირისპირება მტანჯავდა. მართლაც, „actus appetitus sensitivi in quantum habent transmuta-tionem corporalem annexam, passiones dicuntur, non autem actus voluntatis“[166]. და ჩემი გრძნობითი ქმედებაც სწორედ ასეთი იყო: სხეული ერთიანად მიკანკალებდა, რაღაც მიბიძგებდა შიგნიდან ყვირილის, შფოთვისკენ. ანგელოზებრივი დოქტორი ხომ ამბობს, რომ ვნებები თავისთავად ბოროტი არაა, თუ მათ რაციონალური სულით მართული ნება აწონასწორებს. მაგრამ იმ დილით ჩემი რაციონალური სული მინავლებულიყო დაღლილობისგან და ეს დაღლა ანელებდა ჟინის სიფიცხეს, რომელიც ისე ელტვის კეთილსა და ბოროტს, როგორც დასაპყრობ სამიზნეს, თუმცა ვერ აოკებდა ავხორც ლტოლვას, რომელიც კეთილსა და ბოროტს, როგორც უკვე შეცნობილს, ისე დაეძებს. ჩემი მაშინდელი ქარაფშუტობის გასამართლებლად და თან ანგელოზებრივი დოქტორის სიტყვებით ვიტყვი, რომ უეჭველად სიყვარულით ვიყავი შეპყრობილი, რომელიც ვნებაა და კოსმოსური კანონი: სხეულთა მიზიდულობაც ხომ ბუნებრივი სიყვარულია. და ამ ბუნებრივმა სიყვარულმა მაცდუნა, რადგან ამ ვნებაში appetitus tendit in appetibile realiter consequendum ut sit ibi finis motus[167]. ამიტომაც, ბუნებრივია, amor facit quod ipsae res quae amantur, amanti aliquo modo uniantur et amor est magis cognitivus quam cognitio[168]. მართლაც, გოგონას ახლა უკეთ ვხედავდი, ვიდრე იმ ღამეს, ცოცხლად შევიგრძნობდი მას intus et in cute[169], რადგან მასში აღვიქვამდი საკუთარ თავს და ჩემში – მას. ახლა ვფიქრობ, ის გრძნობა მეგობრული სიყვარული იყო, როცა ადამიანი თავის მსგავსს შეიყვარებს და მხოლოდ მისი სიკეთე სურს, თუ ავხორცი სიყვარული, როცა კაცს საკუთარი წადილის დაკმაყოფილება აღელვებს მხოლოდ და, არასრულყოფილი, საკუთარი ნაკლოვანების შევსებას ლამობს ოდენ. ვგონებ, ავხორცი მხოლოდ ის იყო, რაც იმ ღამეს მოხდა, როცა გოგონასგან მინდოდა მიმეღო ის, რაც იქამდე არასოდეს მქონია. იმ დილით კი მას არაფერს ვთხოვდი, მხოლოდ სიკეთე მსურდა მისთვის, ვნატრობდი, თავი დაეღწია სასტიკი გაჭირვებისთვის, რომელიც ლუკმაპურისთვის სხეულით ვაჭრობას აიძულებდა. მინდოდა, ბედნიერი ყოფილიყო. არაფერს ვითხოვდი მისგან, მხოლოდ მეწადა, კვლავაც მეფიქრა მასზე და კვლავაც დამენახა ის ცხვრებში, ხარებში, ხის ტოტებში და მონასტრის კედლებზე მოლიცლიცე მშვიდ სინათლეში.

ახლა ვიცი, რომ სიყვარულის საწყისი სიკეთეა, კეთილი კი შეცნობით განისაზღვრება და ვერაფერს შეიყვარებ, თუ ის სიკეთედ არ შეიცანი. მე კი გოგონა შევიცანი, როგორც სიკეთე ფიცხი ჟინისა, მაგრამ ამავე დროს ნების ბოროტებად მივიღე ის. თუმცა მაშინ საშინელი წინააღმდეგობები მიწეწავდა სულს, ვინაიდან რასაც ვგრძნობდი, წმინდათაწმინდა სიყვარულს ჰგავდა, სწავლულთა მიერ აღწერილს. ეს სიყვარული აგზნებით მავსებდა, როცა შეყვარებულსა და მისი სიყვარულის საგანს ერთი წადილი ამოძრავებთ (და რაღაც იდუმალი გაცისკროვნებით ვგრძნობდი, რომ, სადაც უნდა ყოფილიყო, მასაც იგივე სურდა, რაც მე), და ვეჭვიანობდი მასზე, თუმცა ეს არ იყო კორინთელთა მიმართ პირველ წერილში პავლეს მიერ დაგმობილი ბოროტი ეჭვი, რომელიც principium contentionis[170] და არ აღიარებს consortium-ს[171] მასთან, ვინც გიყვარს, არამედ ეს იყო ეჭვი, რომელზეც დიონისე თავის ნაშრომში „საღმრთოთა სახელთათვის“ ლაპარაკობს და რის გამოც ღმერთსაც კი უწოდებენ ეჭვიანს propter multum amorem quem habet ad existentia[172] (გოგონა სწორედ იმიტომ მიყვარდა, რომ ის არსებობდა, და მისი არსებობა მახარებდა, შურით კი არ მავსებდა). ისეთი ეჭვით ვეჭვიანობდი, რომელსაც ანგელოზებრივი დოქტორი motus in amatum-ს[173] უწოდებს; ეს მეგობრული ეჭვია, რომელიც უბიძგებს ადამიანს, შეებრძოლოს ყოველივეს, რაც მის საყვარელს აწუხებს (იმწუთს სწორედ იმაზე ვოცნებობდი, დამეხსნა გოგონა ავხორცთაგან, მის სხეულს რომ ყიდულობდნენ და უწმინდური ჟინით ბილწავდნენ მას).

ახლა ვიცი, რომ, როგორც დოქტორი ამბობს, ზედმეტ სიყვარულს საყვარლის ვნებაც შეუძლია. მე კი მართლა მეტისმეტად მიყვარდა. ვცდილობ, აგიხსნათ, თუ რას ვგრძნობდი მაშინ, წამით არ მიფიქრია ჩემი განცდების გამართლება. ცოდვიან, ყმაწვილურ ვნებებზე ვლაპარაკობ ოდენ. ეს ვნებები ბოროტი იყო, თუმცა ჭეშმარიტება მავალდებულებს, ვთქვა,

რომ მაშინ ისინი კეთილად მეჩვენებოდა. და ეს კარგი გაკვეთილია ყველასთვის, ვინც ჩემსავით ცდუნების მახეში გაიხლართება. ახლა, მხცოვანი, ამ ცდუნებათაგან თავის დაღწევის უამრავ ხერხს ვიპოვიდი (და ვერ გეტყვით, რამდენად საამაყოა, რამეთუ ეშმაკის ხორციელ საცდურთ კი დავეხსენი, მაგრამ სხვა ბევრი ცდუნება ჯერ კიდევ მემუქრება და იქნებ ისიც, რასაც ახლა ვაკეთებ, ცოდვიანი წადილია, გავაცოცხლო მოგონებები, სულელური მცდელობაა, დროის დინებას, სიკვდილს გავექცე).

მაშინ თითქმის სასწაულებრივმა ინსტინქტმა მიშველა. გოგონას ბუნებისა და ადამიანის ქმნილებებში ვხედავდი და შინაგანი გრძნობის კარნახით ვცადე, ამ ქმნილებების ჭვრეტას ჩავღრმავებოდი. ვუყურე, როგორ გამორეკეს მენახირეებმა საქონელი, როგორ დააპურეს მეღორეებმა ღორები, როგორ იხმარებდნენ მწყემსები ძაღლებს ცხვრის ფარის გამოსარეკად, როგორ მიჰქონდათ გლეხებს ხორბალი და ფეტვი წისქვილში და იქიდან ფქვილით სავსე ტომრებით ბრუნდებოდნენ. ბუნების ჭვრეტით ვტკბებოდი, ვცდილობდი, საკუთარი აზრები დამევიწყებინა, მხოლოდ გარემომცველი სამყაროსთვის მეცქირა, მის თვალიერებაში მეპოვა ხალისი და თავდავიწყება.

რა მშვენიერი იყო ბუნება, რომელსაც ჯერ არ შეხებოდა ადამიანის ზოგჯერ უკუღმართი ცოდნა!

კრავი დავინახე, რომელსაც ეს სახელი ალბათ სწორედ მისი სიწმინდისა და სიკეთის გამო დაარქვეს[174], თუმცა სიტყვა აგნუს ხომ იქიდან წარმოიშვა, რომ ეს ცხოველი საკუთარ დედას ცნობს[175], მრავალრიცხოვან ფარაშიც გამოარჩევს დედის ხმას. და დედაც უამრავ ერთნაირ კრავში ამოიცნობს თავის ნაშიერს და მას აძლევს ძუძუს. თვალი მოვკარი ცხვარს, რომლის სახელიც მსხვერპლშეწირვას უკავშირდება[176], რადგან ამ ცხოველს დასაბამიდანვე მსხვერპლად სწირავდნენ. ცხვარი ზამთრის პირას ხარბად აგროვებს ბალახს, საკვების მარაგს ივსებს, სანამ ყინვა მინდვრებს დააზრობს. ცხვრის ფარას კი ძაღლები – cani – სდარაჯობენ, რომელთა სახელიც canor[177]-ისგან მოდის. ძაღლი სრულყოფილია ცხოველთა შორის და განსაკუთრებული გამჭრიახობითაა დაჯილდოებული. პატრონის ერთგულია, მის ოჯახს იცავს, ნადირობს, ფარას სდარაჯობს და საკუთარ ერთგულებას ხშირად ეწირება კიდეც. მტრის ტყვეობაში მყოფი მეფე გარამანტი ორასი ძაღლის ხროვას დაუხსნია, რომლებსაც მტრის რიგები გაურღვევიათ. იასონ ლიციუსის ძაღლმა პატრონის სიკვდილის შემდეგ საჭმელს პირი აღარ დააკარა და შიმშილით მოკვდა. მეფე ლისიმაქეს ძაღლი კოცონში ჩახტა, როცა მის პატრონს წვავდნენ, და მასთან ერთად დაიწვა. ძაღლს ლოკვით ჭრილობათა მოშუშება შეუძლია, ლეკვის ენა კი ნაწლავურ იარებს კურნავს. ძაღლს ბუნებით შესწევს უნარი, ნაჭამი ამოაღებინოს და მეორედ შეჭამოს. ზომიერება სულის სრულყოფილების სიმბოლოა, მისი ენის სასწაულთმოქმედი უნარი კი აღსარებისა და მონანიების გზით ცოდვათაგან განწმენდის სიმბოლოა. ის, რომ ძაღლი საკუთარ ამოღებინებულს კვლავ უბრუნდება, აღსარების შემდეგ კვლავ ძველ ცოდვებთან მიბრუნების ნიშანია და ეს შეგონება ფრიად სასარგებლო გაფრთხილება იყო ჩემი გულისთვის იმ დილით, როცა ბუნების მშვენიერებით ვტკბებოდი.

ამასობაში ბოსლებს მივუახლოვდი. მენახირეები ხარებს ერეკებოდნენ და ეს ცხოველი უცებ აღვიქვი ისეთად, როგორიც სინამდვილეშია – მეგობრობისა და სიკეთის სიმბოლოდ: უღელში შებმული ხარი, თუკი თავისი თანამოძმე ვერ დაინახა, დაეძებს მას, მოსიყვარულე ბღავილით მოუხმობს. წვიმაში ხარი თვინიერად ბრუნდება ბოსელში და ბაგას შეფარებული, გარეთ იხედება, რომ დაინახოს, გადაიღო თუ არა წვიმამ, რადგან სამუშაოდ დაბრუნებას ესწრაფვის. ხარებს ხბოებიც გამოჰყვნენ. სიტყვა vitello, დედალია ცხოველი თუ მამალი, მომდინარეობს სიტყვებიდან viridas და virgo[178], რადგან ამ ასაკში ეს ცხოველი ჯერ ახალგაზრდაა და უმანკო. ვიფიქრე, რომ მანკიერება იყო მათ უბიწო მოძრაობებში ბიწიერი გოგონას ნაკვთების დანახვა. ასე ვფიქრობდი სამყაროსა და საკუთარ თავთან კვლავ შერიგებული და სოფლის ხალისიანი დილის ფუსფუსს ვადევნებდი თვალს. გოგონაზე აღარ ვფიქრობდი, უფრო სწორად, თავი ვაიძულე, ჩემი მისდამი გზნება შინაგანი ხალისისა და რელიგიური სიმშვიდის გრძნობად გარდამექმნა.

ვიფიქრე, რომ სამყარო სიკეთით სავსე და თვალწარმტაცია, რომ ღვთიური სიკეთე ყველაზე საშინელ ცხოველებშიც კი ვლინდება, როგორც ჰონორიუს ავგუსტოდუნელი განმარტავს. მართლაც, არსებობენ ისეთი ვეებერთელა გველები, რომელთაც ირმის

გადაყლაპვა და ოკეანის გადაცურვა შეუძლიათ, არსებობს ვირის ტანიანი მხეციც, ჯიხვის რქებით, ლომის მკერდითა და თავით, ცხენის ფეხებით, მაგრამ ხარივით წყვილჩლიქიანი, რომელიც პირს ყურებამდე აბჩენს, ხმა ადამიანისას მიუგავს, კბილების ნაცვლად კი ერთი მთლიანი ძვალი აქვს. არსებობს ადამიანისსახიანი ბალნიანი მხეციც, სამწყება კბილებით, ლომის ტანითა და მორიელის კუდით, მონაცრისფრო-მომწვანო თვალებით, თავად სისხლისფერია, გველივით სისინებს და ადამიანის ხორცით საზრდოობს. არსებობენ ძაღლივით მყეფარი ურჩხულები, თითო ფეხზე რვა-რვა თითით, მგლის დრუნჩით, მორკალული ბრჭყალებით, ცხვრის ტყავით, რომელთაც სიბერეში ბალანი გათეთრების ნაცვლად უშავდებათ, და ადამიანზე ბევრად მეტს ცოცხლობენ. არიან უთავო არსებები, რომელთაც თვალები მხრებზე აქვთ და ნესტოები – მკერდზე. მდინარე განგის პირას ისეთი არსებებიც ცხოვრობენ, მხოლოდ რომელიღაც ერთი ვაშლის ხის სურნელით რომ საზრდოობენ, მასთან დაშორებისას კი იხოცებიან. მაგრამ ეს უწმინდური ცხოველებიც კი თავიანთი მრავალფეროვნებით შემოქმედსა და მის სიბრძნეს ადიდებენ ისევე, როგორც ძაღლი, ხარი, ცხვარი, კრავი თუ ფოცხვერი. ვინჩენცო ბელოვაჩელის დარად გავიფიქრე, რაოდენ დიადია სამყაროს თუნდაც ყველაზე მარტივი სილამაზე და რა საამოა გონებისთვის სამყაროში სახეობათა ესოდენ მოწესრიგებულ მრავალფეროვნებაზე დაკვირვება; ან თუნდაც დაკვირვება თავად დროზე, მის მდინარებაზე, იმ მიმდევრობებითა და მონაცვლეობებით, რომლებიც ცოცხალ არსებათა სიკვდილით აღინიშნება. ცოდვილი და კვლავაც ხორცის ტყვეობაში მყოფი სულის პატრონი, ვაღიარებ, რომ მაშინ შემოქმედისა და ამქვეყნიური წესრიგის მიმართ სულიერი სინაზით აღვივსე და სიხარულით, მოწიწებით ვეთაყვანე სამყაროს სიდიადესა და ურყეობას.

ასეთი ამაღლებული სულიერი განწყობით შევხვდი ჩემს მასწავლებელს, როცა, ფიქრებში გართულმა, თითქმის მთელი მონასტერი მოვიარე და ისევ იქ დავბრუნდი, სადაც ორი საათით ადრე დავშორდით ერთმანეთს. უილიამის დანახვამ ფიქრებიდან გამომარკვია და კვლავ მონასტრის შავბნელი ამბები გამახსენა.

მასწავლებელი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ვენანციუსის ხელნაწერი ეჭირა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ამოეხსნა. ცნობისმოყვარეთაგან თავის დასაცავად მის სენაკს შევაფარეთ თავი და მოძღვარმა ამოკითხული ტექსტი მითარგმნა. აი რას იუწყებოდა ბერძნული ტექსტი, რომელიც ზოდიაქური ანბანით ნაწერს (secretum finis Africae manus supra idolum age primum et septimum de quatuor[179]) მოჰყვებოდა: საზარელი შხამი, განმწმენდელი…

საუკეთესო იარაღი მტრის დასათრგუნად…

გამოიყენე მდაბიონი, ლაჩარნი და მახინჯნი, ინეტარე მათ ნაკლთაგან… არ უნდა მოკვდნენ… დიდებულთა და ძლევამოსილთა სახლებში არა… გლეხთა სოფლებში, დანაყრებულნი… წყურვილ-მოკლულნი… ჯმუხი სხეულები, დამანჭული ნაკვთები.

ქალწულთ აბახებენ, მეძავებთან მრუშობენ, ურცხვად, უდრტვინველად.

სხვა ჭეშმარიტება, ჭეშმარიტების სხვაგვარი ხატება…

პატივმიგებული არარაობანი

აღვირახსნილი ლოდი მოგორავს დაბლობზე… ხედავ.

მოატყუე და მოტყუებით გამოიჭირე, უარყავი ის, რისაც სწამდათ, ერთი თქვი და მეორე იგულისხმე.

მათ ჭრიჭინები უგალობებენ მიწიდან.

სულ ეს იყო. ჩემთვის თითქმის არაფერს ნიშნავდა ეს სიტყვები, შეშლილის ნაბოდვარს უფრო ჰგავდა და ასეც ვუთხარი უილიამს.

– შეიძლება. თანაც ჩემი ნათარგმნი კიდევ უფრო შეშლილი ჩანს, ვიდრე არის. ბერძნული ცუდად ვიცი. და მაინც, რომც დავუშვათ, რომ ვენანციუსი ან თუნდაც ამ წიგნის ავტორი, გიჟი იყო, ამით ხომ ვერ ავხსნით, რა ამოძრავებს ამდენ ადამიანს – ყველა გიჟი ხომ არაა – ან გადამალონ, ან ასე გამალებით ეძებონ ეს წიგნი…

– კი, მაგრამ ეს ნაწყვეტი იმ იდუმალი წიგნიდანაა?

– ეს უეჭველად ვენანციუსის დაწერილია. თვითონაც ხედავ, პერგამენტი ახალია. სავარაუდოდ, ეს კითხვისას გაკეთებული ჩანაწერებია, თორემ ვენანციუსი ბერძნულად არ დაწერდა. მან უეჭველად „აფრიკის კიდის“ წიგნიდან ამოიწერა ეს ფრაზები შემოკლებულად. ვენანციუსმა ის წიგნი სკრიპტორიუმში ჩაიტანა და კითხვისას საყურადღებო ადგილებს ინიშნავდა. მერე რაღაც მოხდა. ან ცუდად გახდა, ან გაიგონა, რომ კიბეზე ვიღაც ადიოდა. მანაც წიგნი და ჩანაწერები თავისი მაგიდის ქვეშ დამალა, ალბათ, იმ იმედით, რომ მეორე დღეს დააბრუნებდა ბიბლიოთეკაში. ყველა შემთხვევაში, მხოლოდ ამ ფურცლის დახმარებით თუ გავარკვევთ, რომელი იყო ის იდუმალი წიგნი და მხოლოდ იმ წიგნის შინაარსით შევძლებთ მკვლელის დადგენას. როცა დანაშაული ამა თუ იმ საგნის დასაუფლებლად ხდება, თავად ამ საგნის რაობა მიგვანიშნებს მკვლელის რაობაზეც, თუნდაც მიახლოებით. ერთი მუჭა ოქროსთვის მკვლელობის ჩამდენი ხარბი კაცი უნდა იყოს, წიგნის გულისთვის კაცის მკვლელს კი ამ წიგნის შინაარსის დაუფლების წადილი უნდა ამოძრავებდეს. ერთი სიტყვით, უნდა გავიგოთ, რა წერია წიგნში, რომელიც ხელში ვერ ჩავიგდეთ.

– და ამ რამდენიმე სტრიქონით შეგიძლიათ გამოიცნოთ, რა წიგნია ეს?

– ძვირფასო ადსო, ეს რაღაც წმინდა ტექსტის სიტყვები უნდა იყოს, რომლის მნიშვნელობაც პირდაპირ არ იკითხება. ამ დილით, მეკუჭნავესთან საუბრის შემდეგ რომ წავიკითხე, გამაოცა იმან, რომ აქაც მდაბალნი და გლეხები არიან ნახსენები, როგორც სხვა, ბრძენთა ჭეშმარიტებისგან განსხვავებული ჭეშმარიტების მატარებელნი. მეკუჭნავემ მიგვანიშნა, რომ რაღაც უცნაური ფარული თანხმობა აკავშირებს მალაქიასთან. იქნებ მალაქიამ რამე საშიში მწვალებლური ტექსტი დამალა, რომელიც მას რემიგუსმა გადასცა? ასეთ შემთხვევაში ვენანციუსმა, შეიძლება, წაიკითხა და ჩაინიშნა საიდუმლო მითითებები უბირი არამზადების ერთობაზე, რომელიც ყველას და ყველაფერს უპირისპირდება. მაგრამ…

– მაგრამ?

– მაგრამ ამ ვარაუდს ორი რამ ეწინააღმდეგება. პირველი ისაა, რომ ვენანციუსი ასეთი საკითხებისადმი გულგრილი ჩანდა: ის ბერძნული ტექსტების მთარგმნელი იყო და არა მწვალებლობათა მქადაგებელი… მეორე კი ის არის, რომ ლოდის, ჭრიჭინებისა თუ სხვათა ხსენება ამ პირველი ვარაუდით ვერ აიხსნება…

– შეიძლება, ეს გამოცანებია და სხვა რამეს ნიშნავს, – გამოვთქვი აზრი. – სხვა ვარაუდი არ გაქვთ?

– მაქვს, მაგრამ ჯერ ბუნდოვანი. ამ სტრიქონების კითხვისას მეჩვენება, რომ ზოგი რამ ადრეც წამიკითხავს, თითქმის მსგავსი ფრაზები მახსენდება. მეტიც, ასე მგონია, ამ ფურცელზე რაღაც ისეთი წერია, რაზეც ამ დღეებში უკვე იყო ლაპარაკი… მაგრამ ვერ ვიხსენებ, რა. უნდა დავფიქრდე. შეიძლება, კიდევ რაღაცის წაკითხვა დამჭირდეს.

– ეგ როგორ? იმის გასაგებად, წიგნში რა წერია, სხვა წიგნები უნდა წაიკითხოთ?

– ზოგჯერ ასეცაა საჭირო. ხშირად წიგნები სხვა წიგნებზე მოგვითხრობენ. ხშირად სრულიად უვნებელი წიგნი თესლს ჰგავს, საიდანაც სახიფათო წიგნი აღმოცენდება ან პირიქით, მწარე ძირის ტკბილი ნაყოფია. ალბერტის ნაწერების კითხვისას განა ვერ გაიგებ, თომამ რა თქვა? ან თომას წიგნის კითხვისას – რა თქვა ავეროესმა?

– მართალია, – აღვფრთოვანდი. მანამდე ვფიქრობდი, რომ თითოეულ წიგნში წიგნებს გარეთ მყოფ ადამიანურ თუ ღვთაებრივ საგნებზე იყო ლაპარაკი. ახლა კი ვხვდებოდი, რომ ხშირად წიგნები წიგნებზე ჰყვებიან, უფრო სწორად, თითქოს ერთმანეთს ესაუბრებიან. ამ მოსაზრების ფონზე კიდევ უფრო შემაშფოთა ბიბლიოთეკამ: მაშ, პერგამენტები საუკუნეთა მანძილზე ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ბიბლიოთეკა ცოცხალ, ადამიანის გონების მიერ დაუმორჩილებელ ძალთა სამყოფელად წარმოვიდგინე, მრავალი გონების მიერ გამოსხივებულ საიდუმლოთა საგანძურად, საიდუმლოთა, რომლებიც თავიანთ შემქმნელთა სიკვდილის შემდეგაც არსებობენ.

– მაგრამ მაშინ, – ვუთხარი, – რა აზრი აქვს წიგნების დამალვას, თუკი ნათელმა, გასაგებმა წიგნებმაც შეიძლება იდუმალ წიგნებამდე მიგვიყვანოს?

– საუკუნეთა გადასახედიდან არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ კონკრეტულ დროს შეიძლება რაღაც აზრი ჰქონდეს. ხომ ხედავ, როგორ აგვებნა თავგზა.

– გამოდის, ბიბლიოთეკა ჭეშმარიტების გავრცელებას კი არ ემსახურება, ჭეშმარიტების გამჟღავნების დამაბრკოლებელი საშუალებაა? – ვიკითხე გაოცებულმა.

– ყოველთვის და აუცილებლად არა, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ასეა.

მეექვსე ჟამი

სადაც ადსო თირკმელა სოკოს საძებნელად მიდის და მონასტრისკენ მომავალ მინორიტებს შეხვდება, ეს უკანასკნელნი დიდხანს ესაუბრებიან უილიამს და უბერტინუსს და ძალიან სავალალო ამბები გაირკვევა იოანე XXII-ის შესახებ

უკვე გითხარით, რომ უილიამი ზოგჯერ ყველაფერს მიაგდებდა და გაირინდებოდა ხოლმე, თითქოს მნათობნიც ჩერდებოდნენ მასთან ერთად. იმ დილითაც ასე მოხდა. გულხელდაკრეფილი იწვა თივის საწოლზე, მზერა სიცარიელისკენ მიეპყრო, ოდნავ ამოძრავებდა ტუჩებს, თითქოს ლოცულობსო, თუმცა ყოველგვარი წესისა და ღვთისმოშიშობის გარეშე.

გადავწყვიტე, ხელი არ შემეშალა მისთვის. ეზოში გავედი და შევნიშნე, რომ სინათლეს ეკლო. მზე ზენიტისკენ მიდიოდა, მშვენიერ, კამკამა დილის ჰაერს ნოტიო ბურუსი ცვლიდა. ზეგანს ჩრდილოეთიდან მომავალი მძიმე ღრუბლები ეფინებოდა და მსუბუქი ნისლით ფარავდა. შესაძლოა, მიწიდანაც ადიოდა ნესტის ორთქლი, მაგრამ იმ სიმაღლეზე ძნელი გასარჩევი იყო, მართლა ნისლი იყო თუ მიწიდან ამავალი ორთქლი. მოშორებით მდგომი შენობები უკვე ძლივსღა ჩანდა.

სევერინუსი დავინახე, მეღორეებს უყრიდა თავს, რამდენიმე ღორიც უტრიალებდა ფეხებთან. მხიარული ჩანდა. მითხრა, მთის ფერდობის გაყოლებაზე და დაბლობში თირკმელა სოკოს საძებნელად მივდივართო. მაშინ ჯერ არ ვიცნობდი ამ ნახევარკუნძულზე გავრცელებულ ქვეტყის ამ გემრიელ ნაყოფს, რომელიც, როგორც ჩანს, ბენედიქტელთა მიწებზე ხარობს და მისი სხვადასხვა ნაირსახეობა არსებობს: მაგალითად, ნურსიული[180] შავი ან იქაური მოთეთრო სურნელოვანი თირკმელა. სევერინუსმა ამიხსნა, რა იყო თირკმელა სოკო და რა გემრიელი იყო სხვადასხვაგვარად მომზადებული. ისიც მითხრა, ძალიან ძნელი საპოვნელიაო, მიწაში იმალება და ერთადერთ ცხოველს – ღორს შეუძლია მისი პოვნა მახვილი ყნოსვის წყალობითო. ეგ იყო მხოლოდ, თუ მიგნებისთანავე არ გაარიდებდი ცხოველს და მაშინვე არ ამოიღებდი სოკოს მიწიდან, ღორები თავად შეახრამუნებდნენ ნადავლს. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ბევრი დიდგვაროვანი არ თაკილობდა ამგვარ ნადირობას და როგორც კეთილშობილ მეძებრებს, ისე დაჰყვებოდნენ ღორებს, მათ კი თოხებით შეიარაღებული მსახურები მისდევდნენ. მეტიც, მახსენდება, რომ ერთხელ ერთმა ჩემმა თანამემამულე დიდგვაროვანმა, რომელმაც იცოდა, რომ იტალიას კარგად ვიცნობდი, მკითხა, რატომ მწყემსავენ მაგ ქვეყანაში ღორებს ბატონებიო. გამეცინა, მივხვდი, რომ თირკმელა სოკოს საძებნელად დარაზმული დიდებულები ენახა. რომ ავუხსენი, მიწის ქვეშ თირკმელა სოკოს – „ტარტუფს“ ეძებდნენ, რომ მერე პირი ჩაიტკბარუნონ-მეთქი, მას „დერ ტოიფელი“ მოესმა, იფიქრა, ეშმაკს ეძებდნენო და გაოგნებულმა გულმოდგინედ გადაიწერა პირჯვარი. მერე გაუგებრობა გაირკვა და ორივემ ბევრი ვიცინეთ. ასეთია კაცთ მეტყველების მაგია, ხშირად კაცთავე გადაწყვეტილებით, მსგავსი ჟღერადობის სიტყვები სრულიად განსხვავებულ საგნებს აღნიშნავენ.

სევერინუსის სამზადისმა ცნობისწადილი აღმიძრა და გადავწყვიტე, გავყოლოდი. მივხვდი, სოკოს საძებნელად იმ სამწუხარო ამბების დასავიწყებლადაც ეშურებოდა, ყველას რომ ამძიმებდა და თრგუნავდა. ჰოდა, ვიფიქრე, თუ სევერინუსს დარდების გაქარწყლებაში მივეხმარებოდი, იქნებ მეც დამვიწყებოდა, ან გამნელებოდა მაინც, საკუთარი. და ვინაიდან მხოლოდ სიმართლის თქმა მაქვს განზრახული, არც იმას დავმალავ, რომ ფარულად ერთი ვინმეს ნახვის იმედიც მეწეოდა დაბლობისაკენ. თუმცა მიზეზად ის გამოვაცხადე, რაკი დღეს ორ დელეგაციას ელიან, იქნებ ერთ-ერთი მაინც შორიდანვე დავინახო-მეთქი.

რაც უფრო დაბლა მივუყვებოდით მთის ბილიკის ხვეულებს, ბურუსი იფანტებოდა. მზე არ გამოჩენილა, ცა ღრუბლებით იყო დამძიმებული, მაგრამ საგნები აქ უკვე მკაფიოდ ჩანდა, რადგან ნისლი ზემოთ რჩებოდა. დიდ მანძილზე ვიყავით დაშვებული, როცა უკან მივიხედე და ვეღარაფერი დავინახე: შუაწელს ზემოთ მთა, მისი წვერი, ზეგანი, ციტადელი – ყველაფერი ბურუსში ჩაკარგულიყო.

მონასტრისკენ მიმავალი გზა მთებზე გადიოდა და გზიდან დროდადრო ზღვა მოჩანდა. ჩვენი მოგზაურობა მოულოდნელობებით იყო აღსავსე: ხანდახან უეცრად მთის ტაფობზე გავიდოდით, რომელიც უმშვენიერეს ყურეებს გადასცქეროდა, მცირე ხნის შემდეგ კი დაბურულ ხეობებში შევდიოდით, სადაც მთა მთას ეკვროდა და მათ ძირამდე მზის სხივიც ძნელად აღწევდა. სხვაგან არსად მინახავს, იტალიის ამ კუთხის გარდა, ზღვისა და მთების, სანაპიროსა და ალპური ხედების ასეთი საოცარი ურთიერთმონაცვლეობა. ხეობებში მოზუზუნე ქარი და ზღვის სურნელოვანი სიო ყინულოვანი კლდეებიდან მონაბერ ქროლვას ერთვოდა.

იმ დილით კი ყველაფერი ნაცრისფერი, თითქმის რძისფერი იყო და ჰორიზონტის ხაზი მაშინაც არ ჩანდა, როცა ხეობები იხსნებოდა და ვიცოდით, იქ, შორს, სანაპირო უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ მოგონებებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმ საქმისთვის, დღემდე რომ მაღელვებს. ამიტომ აღარ მოვყვები, რა გადაგვხდა „დერტოიფელის“ ძიებაში. სჯობს, გითხრათ, რომ პირველმა დავინახე მინორიტ ბერთა დელეგაცია და უმალ მონასტერს მივაშურე უილიამის გასაფრთხილებლად.

ჩემი მასწავლებელი დაელოდა, სანამ ახალმოსულები მონასტრის ტერიტორიაზე შემოვიდოდნენ. წესის თანახმად, მათ ჯერ წინამძღვარი უნდა მისალმებოდა, შემდეგ კი ბერები უნდა შეგებებოდნენ სტუმრებს. უილიამმაც მათ მიაშურა.

სადილის დრო უკვე გასული იყო, მაგრამ სტუმრებისთვის ცალკე სუფრა გაშალეს და წინამძღვარმა თავაზიანად დატოვა ისინი მარტო უილიამთან, რათა მოსულებს შეძლებოდათ წესების დაცვით აღარ შეეწუხებინათ თავი, მშიდად ეჭამათ და ებაასათ, რამეთუ, საბოლოო ჯამში, მაპატიოს ღმერთმა უგვანი შედარება, ეს ერთგვარი სამხედრო საბჭო იყო, რომელიც უმოკლეს ვადაში – მოწინააღმდეგე მხარის, ანუ ავინიონის დელეგაციის გამოჩენამდე – უნდა გამართულიყო.

რა თქმა უნდა, მოსულები მაშინვე შეხვდნენ უბერტინუსსაც. ყველა განცვიფრებით, სიხარულითა და მოწიწებით ეგებებოდა დიდი ხნის უნახავს. ჩანდა, არა მხოლოდ უხაროდათ მისი დანახვა დიდი ხნის გაუჩინარების შემდეგ, არამედ ამ მამაცი მებრძოლის სანაქებო თვისებებსაც ეთაყვანებოდნენ. მებრძოლისა, რომელიც ათწლეულების მანძილზე ეწეოდა ბრძოლის ჭაპანს.

ჯგუფის შემადგენლობაზე მოგვიანებით ვილაპარაკებ, მეორე დღეს გამართულ თავყრილობაზე როცა მოგიყვებით. თანაც მათთან დიდი დრო არ გამიტარებია, რადგან ჩემი ყურადღება მთლიანად მიიპყრო უილიამის, უბერტინუსსა და მიქაელ ჩეზენელის სამეულმა, რომელიც თავიდანვე გამოიკვეთა.

მიქაელი ერთობ მგზნებარე ფრანცისკელი (ზოგჯერ მასაც ისეთივე მანერები და გამოთქმა ჰქონდა, როგორიც უბერტინუსს მისტიკური გატაცების წუთებში) იყო, მაგრამ ამავე დროს საოცრად ხალისიანი ადამიანური ბუნება ჰქონდა, რაც რომანიელებს ახასიათებთ. კარგი სუფრის დამფასებელი და მეგობრების მოყვარული იყო; გამჭრიახი და მოუხელთებელი, წამში იქცეოდა მელასავით ფრთხილ და მოქნილ, თხუნელასავით გულჩათხრობილ არსებად, როგორც კი საქმე ძლიერთა შორის ურთიერთობას

შეეხებოდა; გულიანი სიცილი უყვარდა, უკიდურესი დაძაბულობის ატანის უნარი და მეტყველი დუმილი ჰქონდა და როცა შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ სურდა, არაჩვეულებრივად გამოსდიოდა დაბნეულობის ნიღბით თანამოსაუბრისთვის მზერის არიდება.

ადრეც ვახსენე ეს ადამიანი და რაც მაშინ გითხარით მასზე, სხვათაგან გამეგონა. ახლა კი უკეთ მესმოდა მიქაელის არაერთი წინააღმდეგობრივი საქციელი და პოლიტიკური შეხედულებების მუდმივი ცვალებადობა, რითაც უკანასკნელი წლების მანძილზე თავისივე მეგობრებსა და მიმდევრებსაც კი აკვირვებდა. მინორიტ ბერთა ორდენის მეთაური, მიქაელი, წმინდა ფრანცისკისა და მის მიმდევართა მემკვიდრე იყო: მას ისეთი წმინდა და ბრძენი წინამორბედი ჰყავდა, როგორიც იყო ბანიორეჯოელი ბონავენტურა, და ეს უკვე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მას. მიქაელს წესდების დაცვაც ევალებოდა და ამავდროულად ესოდენ ძლევამოსილი, მრავალრიცხოვანი ორდენის ქონებაზე ზრუნვაც, ეს კი აიძულებდა, სამეფო კარისა და ქალაქის მმართველთათვის დაეგდო ყური, ისინი ხომ ორდენის კეთილდღეობისა და სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდნენ: მათი შემოწირულობით, ძღვენითა თუ ნაანდერძევი ქონებით არსებობდა ორდენი; ამასთან, მიქაელს უნდა ეზრუნა იმაზეც, რომ მონანიების მოთხოვნილებას ყველაზე მგზნებარე სპირიტუალისტები ორდენისთვის არ მოეწყვიტა: ეს მისი ბრწყინვალე საძმოს მწვალებელთა გუნდებად დაშლას გამოიწვევდა. მიქაელი ერთდროულად ყველას მოსაწონი უნდა ყოფილიყო: პაპის, იმპერატორის, ღატაკი ცხოვრების წესის მიმდევარ ბერთა, წმინდა ფრანცისკის – რომელიც ზეციდან ადევნებდა თვალყურს, და ქრისტიანების – მიწაზე რომ მეთვალყურეობდნენ. როცა იოანემ ყველა სპირიტუალისტი მწვალებლად გამოაცხადა, მიქაელმა უმალ გადასცა მას ხუთი ყველაზე ურჩი პროვანსელი ბერი და მათი ცეცხლზე დაწვა დაანება პონტიფიკოსს. მაგრამ როდესაც დაინახა (როგორც ჩანს, ამაში უბერტინუსის წვლილი იყო), რომ ორდენში ბევრი თანაუგრძნობდა სახარებისეული უპოვარების მიმდევრებს, ისე გააკეთა, რომ ოთხი წლის შემდეგ პერუჯის კრებას კოცონზე დამწვართა იდეები ეღიარებინა. თანაც ეცადა, რომ ადამიანებს მიეღოთ და შეეთვისებინათ მოსაზრება, რომელიც შეიძლება, მწვალებლურიც იყო, თანაც ისე, რომ ორდენის ნება პაპის ნებას დამთხვეოდა. თუმცა, სანამ პაპს დაარწმუნებდა (ვინაიდან მისი თანხმობის გარეშე შემდგომი მოქმედება არ სურდა), მიქაელს არც იმპერატორისა და იმპერიის თეოლოგთა დახმარებაზე უთქვამს უარი. სანამ მას პირადად შევხვდებოდი, ორი წლით ადრე, ლიონის კრებაზე უბრძანა მიქაელმა თავის ბერებს, პაპი მუდამ მოკრძალებით და პატივისცემით ეხსენებინათ (ამ დროს რამდენიმე თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც პაპი მინორიტთა წინააღმდეგ გამოვიდა და „მათი ყეფა, შეცდომები და სიშმაგე“ ამხილა), ახლა კი მეგობრულად იჯდა სუფრასთან იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც სრულიად უპატივცემულოდ მოიხსენიებდნენ პაპს.

დანარჩენი უკვე გითხარით. იოანე მას ავინიონში უხმობდა, მიქაელს კი თან უნდოდა და თან არა იქ წასვლა. მეორე დღისთვის დანიშნულ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, როგორ და რა პირობებით გადადგამდა ამ ნაბიჯს. თუ წასვლას გადაწყვეტდა, ეს არც მორჩილების ნიშანი უნდა ყოფილიყო და არც გამოწვევა. არა მგონია, მიქაელი ოდესმე პირადად შეხვედროდა იოანეს, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ ნამდვილად არ ენახა, რაც იოანე პაპი გახდა; და ახლა მეგობრები ძალიან აშინებდნენ იმ სიმონიელი პონტიფიკოსით.

– გაიგე ბოლოს და ბოლოს, – ეუბნებოდა მიქაელს უილიამი, – არ უნდა ენდო მის ფიცს, ვითომ ზედმიწევნით რომ იცავს, სინამდვილეში კი ყოველ ნაბიჯზე არღვევს.

– ყველამ იცის, – თქვა უბერტინუსმა, – მისი არჩევისას რაც მოხდა...

– ჩემი აზრით, ეგ არჩევა კი არა, იძულება იყო, – ჩაურთო ერთ-ერთმა თანამესუფრემ, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგე, ჰუგო ნიუკასლელი ერქვა და ჩემი მასწავლებლის მსგავსი აქცენტი ჰქონდა. – ჯერ ერთი, კლემენტ V-ის სიკვდილის ვითარება დღემდე ბუნდოვანია. მეფემ აღარ აპატია მას, რომ ჯერ გარდაცვლილი ბონიფაციუს VIII-ის გაკიცხვას დაჰპირდა, მერე კი ყველაფერი გააკეთა, რათა თავისი წინამორბედი არ უარეყო. არავინ იცის წესიერად, როგორ მოკვდა ის კარპენტრასში. ფაქტი ისაა, რომ კარპენტრასის კონკლავს ახალი პაპი არ აურჩევია, რადგან (და სამართლიანადაც) კარდინალებმა იმაზე დაიწყეს კამათი, რომი აერჩიათ თუ ავინიონი. კარგად არ ვიცი, იმ

დღეებში რა მოხდა, ამბობენ, სასაკლაო გაიმართაო. კარდინალებს გარდაცვლილი პაპის ძმისწული დამუქრებია, მათი მსახურები მხეცურად ამოუხოცავთ, სასახლე გადაუწვავთ. ამის შემდეგ კარდინალებმა მეფეს მიმართეს, მან კი განაცხადა, არასოდეს მდომებია, პაპი რომიდან წასულიყოო, და ურჩია, მოთმინებით აღიჭურვეთ და სწორი არჩევანი გააკეთეთო… მერე ფილიპე ლამაზი მოკვდა, ისიც, ღმერთმა უწყის, როგორ…

– ან ეშმაკმა უწყის, – უბერტინუსმა პირჯვარი გადაიწერა და ყველამ მას მიბაძა.

– ან ეშმაკმა, – ჩაიცინა თანხმობის ნიშნად ჰუგომ. – ერთი სიტყვით, ახალი მეფე ადის ტახტზე, თვრამეტი თვის შემდეგ კი კვდება. რამდენიმე დღეში კვდება მისი ახალშობილი მემკვიდრეც, ტახტს მისი ძმა იკავებს…

– სწორედ ეს ფილიპე V იყო, რომელმაც, ჯერ კიდევ პუატიეს გრაფობისას, კარპენტრასიდან გაქცეული კარდინალები ისევ ერთად შეკრიბა, – თქვა მიქაელმა.

– მართლაც, – განაგრძო ჰუგომ, – მან ხელახლა მოიწვია კონკლავი ლიონის დომინიკელთა მონასტერში, თან დაიფიცა, რომ კარდინალთა უსაფრთხოებას დაიცავდა და არავის დაატუსაღებდა. თუმცა, როგორც კი კარდინალებმა საკუთარი ბედი მეფეს მიანდეს, ფილიპემ არა მხოლოდ მონასტერში გამოკეტა ისინი (მართებულადაც), არამედ თითქმის აშიმშილებდა, სანამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ. თან თითოეულს ცალ-ცალკე ჰპირდებოდა პაპის ტახტზე მისი კანდიდატურის მხარდაჭერას. როცა ფილიპე გამეფდა, ორწლიანი ტყვეობით დაღლილი კარდინალები, შეშინებულები, სამუდამოდ არ გამოგვამწყვდიონ მონასტერში მშიერ-მწყურვალებიო, ყველაფერზე დათანხმდნენ და, ღორმუცელებმა, წმინდა პეტრეს ტაძრის კათედრაზე ის სამოცდაათ წელს გადაცილებული ჯუჯა აიყვანეს…

– მართლაც რომ ჯუჯა, – გაეცინა უბერტინუსს, – მოფამფალებული, თუმცა ბევრად უფრო ჯანიანი და გაიძვერა, ვიდრე ეგონათ!

– მეწაღის შვილი, – ჩაიბურტყუნა პაპის ერთ-ერთმა ლეგატმა.

– ქრისტე დურგლის შვილი იყო! – უსაყვედურა უბერტინუსმა. – ეს არაა მთავარი. განათლებული კაცია, მონპელიეში სამართალს სწავლობდა, პარიზში – მედიცინას. ისე წინდახედულად ირჩევდა მეგობრებს, რომ, როცა საჭიროდ მიიჩნია, ეპისკოპოსობაც მიიღო და კარდინალის ქუდიც, ნეაპოლში რობერტ ბრძენის მრჩევლად ყოფნისას კი ბევრი გააოცა გამჭრიახობით. როცა ავინიონის ეპისკოპოსი გახდა, ფილიპე ლამაზს ყველაფერი სწორად ურჩია ტამპლიერების გასანადგურებლად (სწორად იმ ბნელი საქმის წარმატებისთვის). პაპობაში მოხერხებულად გადაურჩა კარდინალთა შეთქმულებას, რომლებსაც მისი მოკვლა ეწადათ… მაგრამ ამის თქმა არ მინდოდა, ისე შეუძლია, გადათქვას დაფიცებული, რომ ფიცის გატეხაში ვერც დაადანაშაულებ. პაპად რომ აერჩიათ, ამისათვის კარდინალ ორსინის პაპის ტახტის რომში გადმოტანას დაჰპირდა და ნაკურთხ სეფისკვერზე დაიფიცა, პირობას თუ არ შევასრულებ, ცხენზე ან ჯორზე აღარასოდეს ავმხედრდებიო. და იცით, რა ქნა მერე იმ მელამ? როცა ლიონში ტახტზე ავიდა (მეფის სურვილის წინააღმდეგ, რომელიც ცერემონიის ავინიონში გამართვას ითხოვდა), ლიონიდან ავინიონამდე ნავით ჩავიდა!

ბერებმა გაიცინეს. პაპი ფიცის გამტეხი იყო, თუმცა გამჭრიახობას ნამდვილად ვერ დაუკარგავდი.

– უსირცხვილო კაცია, – თქვა უილიამმა, – ჰუგოს არ უთქვამს, რომ არც კი უცდია თავისი უსინდისობის დაფარვა? შენ არ მომიყევი, უბერტინუს, რა უთხრა ორსინის ავინიონში ჩასვლის დღეს?

– რა თქმა უნდა, – თქვა უბერტინუსმა, – ორსინის უთხრა, საფრანგეთის ცა ისეთი მშვენიერია, არ მესმის, რა მესაქმება გაპარტახებულ რომში და ვინაიდან როგორც პაპს, პეტრეს მსგავსად, შეერთების უფლებაც მაქვს და დაცალკევებისაც, ამ უფლებას ვიყენებ და იქ დავრჩები, სადაც ვარ და სადაც მშვენივრად ვგრძნობ თავსო. როცა ორსინიმ სცადა, შეეხსენებინა, შენი მოვალეობა ვატიკანის ბორცვზე ცხოვრებას მოითხოვსო, პაპმა სიტყვა გააწყვეტინა და მორჩილებისკენ მოუწოდა. მაგრამ ფიცის ამბავი ამით არ დასრულებულა.

ავინიონში ნავიდან ჩამოსული პაპი თეთრ ცხენზე უნდა ამხედრებულიყო და, ტრადიციის თანახმად, კარდინალები უკან გაჰყოლოდნენ შავი ცხენებით. იოანე კი ეპისკოპოსის სასახლისკენ ფეხით გაემართა. არც მაგონდება, მას შემდეგ ოდესმე მართლა მჯდარიყოს ცხენზე. და ამ კაცისგან ელი, მიქაელ, რომ დანაპირები შეგისრულოს?

მიქაელი დიდხანს დუმდა. შემდეგ თქვა: – შემიძლია გავიგო პაპის სურვილი, ავინიონში დარჩეს და ამაზე არ ვკამათობ. მაგრამ ნურც ის შეეკამათება ქრისტეს მაგალითის ჩვენეულ განმარტებას და ნუ გვიშლის, სიღატაკეში ვიცხოვროთ.

– ნუ ხარ მიამიტი, მიქაელ, – ჩაერია უილიამი, – თქვენი და ჩვენი სურვილი მის სურვილს აყენებს ჩრდილს. გაითვალისწინე, რომ საუკუნეთა მანძილზე პაპის ტახტზე ასეთი ხარბი კაცი არასოდეს ასულა. ბაბილონელი მეძავები, რომელთა წინააღმდეგაც ერთ დროს ჩვენი უბერტინუსი ილაშქრებდა, და ის გარყვნილი პაპები, რომლებზეც შენი ქვეყნის პოეტები ლაპარაკობენ, თუნდაც ის ალიგიერი, თვინიერი კრავები იყვნენ იოანესთან შედარებით. ეგ ქურდი კაჭკაჭი! იცოდე, ავინიონში მეტი გარიგება ხდება, ვიდრე ფლორენციაში!

– კარგად უნდა იცოდე, რა ჯურის ვაჭართან გაქვს საქმე, – თქვა უბერტინუსმა. – ნამდვილი მეფე მიდასია, რასაც ეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევა და ავინიონის სალაროებში მიედინება. მის სამყოფელში რამდენჯერაც ვყოფილვარ, იქ ბანკირები და ფულის გადამცვლელები დამხვედრია, ღვთისმსახურები კი ფლორინებს ითვლიდნენ და ერთიმეორეზე აწყობდნენ სვეტებად… ნახავ, რა სასახლე აიშენა, ასეთ სიმდიდრეს ერთ დროს მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორს ან თათართა დიდ ყაენს მიაწერდნენ. ახლა ხომ გესმის, რატომ გამოსცა ამდენი ბულა სიღატაკის იდეის წინააღმდეგ. იცი, რომ ჩვენი ორდენისადმი სიძულვილით დომინიკელებს უბიძგა, სამეფო გვირგვინით, მეწამული მანტიითა და მდიდრული წაღებით შემოსილი ქრისტეს ქანდაკებები გამოეძერწათ? ავინიონში გამოუფენიათ ჯვარცმები, სადაც იესო მხოლოდ ცალი ხელითაა გაკრული ძელზე, მეორე კი ქამარზე დაკიდებულ ქისაზე უდევს რელიგიური მიზნებით ფულის გამოყენებაზე ნებართვის ნიშნად…

– ოჰ, ეგ უტიფარი! – შესძახა მიქაელმა. – ეს ხომ ნამდვილი ღვთის გმობაა!

– და კიდევ, – განაგრძო უილიამმა, – პაპის ტიარას იოანემ მესამე გვირგვინი დაუმატა, ასე არაა, უბერტინუს?

– ზუსტად ასეა. ათასწლეულის დასაწყისში პაპ ჰილდებრანდს ერთი გვირგვინი ჰქონდა, წარწერით: Corona regni de manu Dei[181], გათახსირებულმა ბონიფაციუსმა ცოტა ხნის წინ მეორე დაამატა: Diadema imperii de manu Petri[182], იოანემ კი სიმბოლო სრულყო: სამი გვირგვინი სულიერი, საერო და საეკლესიო ძალაუფლების აღსანიშნავად. სპარსელ მეფეთა სიმბოლო, წარმართული ნიშანი…

ბერთაგან ერთ-ერთი იმ დრომდე ხმის ამოუღებლად იჯდა და წინამძღვრის მორთმეული ნუგბარი კერძებით იტკბარუნებდა პირს. უყურადღებოდ ისმენდა საუბარს, დროდადრო ხან დამცინავად ჩაიქირქილებდა პონტიფიკოსის მისამართით, ხან რაღაცას ჩაიბურტყუნებდა, თანამესუფრეთა აღშფოთებაზე თანხმობის ნიშნად. ძირითადად კი იმით იყო დაკავებული, რომ უკბილო, გაუმაძღარი პირიდან ნიკაპზე ჩამოყრილ-ჩამოწუწულ საჭმელს იწმენდდა. მხოლოდ რომელიმე კერძის შესაქებად თუ ამოიღებდა ხმას. მერე გავიგე, რომ ეს კაცი მესერ იერონიმე იყო, კაფის ეპისკოპოსი, რომელიც იმ დღეს უბერტინუსმა გარდაცვლილად მოიხსენია – და უნდა გითხრათ, რომ იერონიმეს გარდაცვალების ცნობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულიყო და დიდი ხნის მკვდარი ეგონათ, არაერთხელ მსმენოდა ამაზე. სინამდვილეში კი იერონიმე ჩვენი შეხვედრიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა და ახლაც ვფიქრობ, რომ მისი სიკვდილის მიზეზი მომდევნო დღეს გამართული შეხვედრა გახდა. ისეთი გაცოფებული იყო, მეგონა, ბრაზით გასკდებოდა ეს სუსტი აღნაგობის ფიცხი კაცი.

ამ დროს საუბარში იერონიმე ჩაერთო, პირი საჭმლით გქონდა გამოტენილი: – იცით, იმ უნამუსომ დადგენილება გამოსცა: taxae sacrae poenitentiariae[183], სადაც მოწესეთა ცოდვებზე ლაპარაკობს მათგან ფულის გამოსაძალავად. თუ სასულიერო პირი ხორციელ ცოდვას ჩაიდენს მონაზონთან, ნათესავთან ან ნებისმიერ ქალთან, მხოლოდ იმ

შემთხვევაში გამართლდება, თუ სამოცდაშვიდ ლირა ოქროსა და თორმეტ სოლდოს გადაიხდის. უკუღმართი კავშირისთვის კი ორას ლირაზე მეტის გადახდა მოუწევს, მაგრამ თუ ასეთ რამეს მხოლოდ ბიჭთან ან ცხოველთან ჩაიდენს და არა ქალთან, ჯარიმა მხოლოდ ასი ლირაა. ხოლო მონაზონი, რომელიც მრავალ მამაკაცთანაა ნამყოფი, მნიშვნელობა არ აქვს, ერთდროულად, ცალ-ცალკე, მონასტერში თუ მის კედლებს გარეთ, მონასტრის წინამძღვარი ვერ გახდება, თუ ას ოცდათერთმეტი ლირა ოქრო და თხუთმეტი სოლდო არ გადაიხადა…

– კარგი, მესერ იერონიმე, – შეეწინააღმდეგა უბერტინუსი, – ხომ იცით, პაპი როგორც მიყვარს, მაგრამ ამ საკითხში უნდა დავიცვა! ეგ ჭორი ავინიონში გაავრცელეს, ასეთი დადგენილება არასოდეს მინახავს.

– არსებობს, – არ შეეპუა იერონიმე. – არც მე მინახავს, მაგრამ არსებობს.

უბერტინუსმა თავი გააქნია. დანარჩენებს ხმა არ ამოუღიათ. ჩანდა, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ხოლმე მესერ იერონიმეს სიტყვებს, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე უილიამმა სულელი უწოდა. უილიამმა საუბრის გაგრძელება სცადა: – მართალია თუ ტყუილი, ეს ჭორი ავინიონის ზნეობრივ გარემოზე მეტყველებს. როცა იოანე ტახტზე ავიდა, სამოცდაათი ათასი ოქროს ფლორინის ღირებულების საგანძურზე ლაპარაკობდნენ, ახლა კი ხმები დადის, ათ მილიონზე მეტი დააგროვაო.

– მართალია, – თქვა უბერტინუსმა. – არ იცი, მიქაელ, რა სამარცხვინო ამბებს შევესწარი ავინიონში!

– ვცადოთ, გულწრფელები ვიყოთ, – თქვა მიქაელმა. – ვიცით, რომ ჩვენებსაც მოსვლიათ ზედმეტი. გამიგია ფრანცისკელთა შესახებ, რომლებიც შეიარაღებულები ესხმოდნენ თავს დომინიკელთა მონასტრებს და ბერებს აშიშვლებდნენ, მათთვის სიღატაკის ჩასანერგად… ამის გამო ვერ გავბედე იოანესთან დაპირისპირება პროვანსში დატრიალებული ამბების დროს… მასთან შეთანხმების მიღწევა მინდა, მის სიამაყეს არ შევეხები, ოღონდ ისიც ნუ შებღალავს ჩვენს რწმენას სიღატაკისა და უბრალოებისადმი. მასთან ფულზე არ ვილაპარაკებ, მხოლოდ იმას ვთხოვ, საღმრთო წერილის ჯანსაღ განმარტებას დაეთანხმოს. ეს უნდა გავაკეთოთ ხვალ, მის ლეგატებთან შეხვედრისას. ბოლოს და ბოლოს, თეოლოგიაში განსწავლული ადამიანები არიან, ყველა იოანესავით ხარბი ხომ არ იქნება. როცა ბრძენი ხალხი საღმრთო წერილის განმარტებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, ის ვერ შეძლებს…

– ის? – შეაწყვეტინა უბერტინუსმა. – არ გცოდნია მისი სიგიჟე თეოლოგიაში. სურს, საკუთარ მუჭში მოაქციოს ცა და დედამიწა. მიწაზე რაც აქვს ჩადენილი, ხომ ვნახეთ უკვე. ზეცას რაც შეეხება… მოკლედ, ჯერ საჯაროდ არ გამოუთქვამს, მაგრამ ზუსტად ვიცი, ამაზე უკვე ესაუბრა დაახლოებულ პირებს. უგუნურ, უფრო მეტიც, უკუღმართ დებულებებს აყალიბებს, რომლებიც თვით მოძღვრების არსს შეცვლის და ჩვენს ქადაგებას ყოველგვარ ძალას დაუკარგავს!

– რა დებულებებს? – იკითხა ბევრმა.

– ბერენგარიუსს ჰკითხეთ, იმან იცის, მან მითხრა ამაზე, – უბერტინუსი ბერენგარიუს ტალონის მიუბრუნდა, რომელიც გასულ წლებში პონტიფიკოსის ერთ-ერთი ყველაზე უდრეკი მოწინააღმდეგე იყო მისსავე კარზე. ავინიონიდან ჩამოსული ტალონი მონასტერში მოსვლამდე ორი დღით ადრე შეერთებოდა დანარჩენ ფრანცისკელებს.

– ეს ბნელით მოცული და თითქმის დაუჯერებელი ამბავია, – თქვა ბერენგარიუსმა, – როგორც ჩანს, იოანეს განზრახული აქვს, ამტკიცოს, რომ მართალნი ნეტარ ხილვას მხოლოდ საშინელი სამსჯავროს შემდეგ ეღირსებიან. კარგა ხანია, „გამოცხადების“ მეექვსე თავის მეცხრე მუხლზე ფიქრობს, სადაც მეხუთე ბეჭდის გახსნაზეა ლაპარაკი: იქ ღვთის სიტყვის ერთგულებისთვის მოკლულნი საკურთხევლის წინაშე წარდგებიან და სამართალს ითხოვენ. თითოეულ მათგანს თეთრ სამოსელს უბოძებენ და კიდევ ცოტაოდენ მოთმინებას სთხოვენ… რაც, იოანეს თქმით, იმის ნიშანია, რომ ისინი იქამდე ვერ იხილავენ ღმერთს, სანამ საშინელი სამსჯავრო არ აღსრულდება.

– კი, მაგრამ ვის უთხრა ასეთი რამ? – იკითხა გაოგნებულმა მიქაელმა.

– ჯერ მხოლოდ თავის დაახლოებულ პირებს, მაგრამ ხმა გავრცელდა და ამბობენ, საჯაროდ აპირებსო ამის გამოცხადებას. შეიძლება, რამდენიმე წელი მოიცადოს კიდეც, ჩანს, ჯერ თავის თეოლოგებს ეთათბირება…

– ოჰ, ოჰ! – იერონიმემ ამოიხვნეშა ისე, რომ ღეჭვა არ შეუწყვეტია.

– მხოლოდ ეს არ გეგონოთ. ჩანს, უფრო შორს უმიზნებს, იმის მტკიცება სურს, რომ არც ჯოჯოხეთი გაიხსნება იმ დღემდე… ეშმაკებისთვისაც კი.

– უფალო იესო, შენ გვიხსენ! – შესძახა იერონიმემ. – რა ვუყოთ აბა ცოდვილებს, თუკი ვეღარ დავაშინებთ, რომ სიკვდილისთანავე ჯოჯოხეთში ამოყოფენ თავს?

– შეშლილის ხელში ვართ, – ჩაილაპარაკა უბერტინუსმა. – მაგრამ არ მესმის, რად უნდა ეს ყველაფერი…

– ინდულგენციათა მთელი მოძღვრება გაცამტვერდება, – დაიჩივლა იერონიმემ. – თვითონაც ვეღარ გაყიდის მათ. რატომ გადაიხდის ცოდვილი მღვდელი ამხელა ფულს ესოდენ შორეული სასჯელის თავიდან ასაცილებლად?

– შორეულის არა, – მტკიცედ თქვა უბერტინუსმა, – ჟამი ახლოსაა.

– ეგ შენ იცი, ძვირფასო ძმაო, მაგრამ მორწმუნეთ ეგ არ იციან. აი, რაშია საქმე! – აყვირდა იერონიმე, რომელსაც ეტყობოდა, საჭმლით თავს ვეღარ იქცევდა.

– კი, მაგრამ რა უნდა? – კვლავ გაიკვირვა მიქაელმა.

– არა მგონია, იცოდეს. – უთხრა უილიამმა, – მისი ამპარტავნების გამოვლინებაა: სურს, მართლაც თავად განაგოს ყოველივე ცაშიც და დედამიწაზეც. ამ ჭორებზე ადრეც მსმენოდა, უილიამ ოკამმა მომწერა. ვნახოთ, საბოლოოდ ვინ გამოამზეურებს ეკლესიის სათქმელს, თავად ღმრთის სამწყსოს ნებას: პაპი თუ მისი თეოლოგები, ეპისკოპოსები…

– ეჰ, მას თეოლოგთა დაყოლიებაც შეუძლია, – ნაღვლიანად თქვა მიქაელმა.

– ეგ ჯერ არავინ იცის, – უპასუხა უილიამმა. – ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ღვთაებრივ საკითხებში განსწავლულთ არ ეშინიათ, განაცხადონ, რომ პაპი მწვალებელია. მათი ხმა კი საქრისტიანოს ხმაა და პაპი მთელ საქრისტიანოს ვერ დაუპირისპირდება. შენც მოგიწევს, დაეთანხმო იმ თეოლოგებს.

ჩემი მასწავლებელი მართლაც ძალიან გამჭრიახი იყო. როგორ მოახერხა იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ მიქაელი თავად გადაწყვეტდა იმპერიის თეოლოგებსა და ხალხზე დაყრდნობას პაპის დასაგმობად? როგორ შეეძლო, წინასწარ ევარაუდა, რომ ოთხი წლის შემდეგ იოანეს დაუჯერებელი მოძღვრების საჯაროდ გამოქვეყნებას მთელი ქრისტიანული სამყაროს აჯანყება მოჰყვებოდა? თუკი ნეტარი ხილვა ესოდენ იგვიანებს, როგორ შეძლებდნენ გარდაცვლილები ცოცხალთათვის ეშუამდგომლათ? რაღა დაემართებოდა მაშინ წმინდანთა დიდებას? სწორედ მინორიტები გახდნენ პაპის პირველი მგმობელნი, უილიამ ოკამი კი – ამ დაპირისპირების ერთ-ერთი წამომწყები, მკაცრი და შეუვალი თავისი არგუმენტებით. ეს ბრძოლა სამ წელიწადს გაგრძელდა, სანამ სიკვდილის პირას მყოფმა იოანემ ნაწილობრივ არ ცნო თავისი შეცდომა. წლების შემდეგ მიამბეს, თუ როგორ წარდგა ის 1334 წლის დეკემბერში კონსისტორიუმის წინაშე, დამჭკნარ-დაჩიავებული, სიკვდილის პირას მყოფი ოთხმოცდაათი წლის ფერმკრთალი ბერიკაცი, და განაცხადა (მელამ, რომელსაც ასე საოცრად ეხერხებოდა სიტყვებით თამაში არა მხოლოდ ფიცის გასატეხად, არამედ საკუთარ ახირებათა უარსაყოფადაც): „ჩვენ ვაღიარებთ და გვწამს, რომ სხეულისგან განცალკევებული და სრულად განწმენდილი სულები იმყოფებიან ცაში, სამოთხეში, ანგელოზებთან და იესო ქრისტესთან ერთად, და ისინი ხედავენ ღმერთს მის ღვთაებრივ არსში, მკაფიოდ და პირისპირ…“ მცირე ხანს გაჩერებულა, არავინ იცის, სიბერით გაძნელებული სუნთქვის გამო თუ უკუღმართული სურვილით, უკანასკნელი სიტყვები და მათში ჩადებული დაპირისპირება განსაკუთრებულად გამოეკვეთა: „…რამდენადაც განცალკევებული სულის მდგომარეობა

და სტატუსი იძლევა ამის საშუალებას“. მეორე დილით – კვირადღე იყო – უბრძანებია, დახრილ საზურგიან სკამზე მიეწვინათ, თავის კარდინალთაგან ხელზე ამბორი მიუღია და მომკვდარა.

აჰა, კვლავ გავერთე და მოსაყოლს გადავუხვიე. ისიცაა, რომ იმ სუფრასთან გამართული საუბრის ბოლო ბევრს არაფერს იძლევა იმ ამბების გასარკვევად, რომელთა შესახებაც მოგითხრობთ. მინორიტები შეთანხმდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მეორე დღეს, შეხვედრაზე. რიგრიგობით შეაფასეს თავიანთი მოწინააღმდეგეები. შეშფოთდნენ, როცა უილიამმა ბერნარ გუის ჩამოსვლის შესახებ ამცნო მათ. კიდევ უფრო დაფიქრდნენ და აღელდნენ, როცა შეიტყვეს, რომ ავინიონის დელეგაციას მწვალებელთა რისხვა, კარდინალი ბერტრან პოჯეტოელი მეთაურობდა. ორი ინკვიზიტორი უკვე მეტისმეტი იყო და იმაზე მიუთითებდა, რომ მინორიტთა მწვალებლობაში დადანაშაულებას აპირებდნენ.

– მით უარესი, – თქვა უილიამმა, – იქით მოვეპყრობით, როგორც მწვალებლებს.

– არა, არა, – უთხრა მიქაელმა, – ფრთხილად ვიმოქმედებთ, არც ერთ შესაძლო შეთანხმებას არ უნდა შევუქმნათ საფრთხე.

– ბევრი მიფიქრია ამაზე, – თქვა უილიამმა. – მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრის მოსაწყობად პირადად გავისარჯე და შენ ეს იცი, მიქაელ, არ მჯერა, რომ ავინიონელები ამ შეხვედრიდან დადებით შედეგს ელიან და ამისთვის მოდიან აქ. იოანეს სურს, ავინიონში მარტო, დაუცველი დაგიგულოს. ხვალინდელი შეხვედრით ამას მაინც მიხვდები. უარესი იქნებოდა, ავინიონში ისე წასულიყავი, აქ არ გამოგევლო.

– ამდენი თვე იმას შეალიე, რაც უსარგებლოდ მიგაჩნია? – მწარედ ჩაილაპარაკა მიქაელმა.

– ეს მთხოვეთ, შენც და იმპერატორმაც, – უპასუხა უილიამმა. – თანაც საკუთარი მოწინააღმდეგის გაცნობა ყოველთვის სასარგებლოა.

ამ დროს შეგვატყობინეს, რომ მონასტერში მეორე დელეგაცია შემოდიოდა. მინორიტები წამოიშალნენ და პაპის ხალხის შესახვედრად გაემართნენ.

მეცხრე ჟამი

სადაც მონასტერში მოდიან პოჯეტოს კარდინალი, ბერნარ გუი და ავინიონის სხვა წარმომადგენლები, შემდეგ კი ყველა სხვადასხვა რამეს აკეთებს

დიდი ხნის ნაცნობებიცა და ადამიანებიც, რომლებსაც მხოლოდ შორიდან სმენოდათ ერთმანეთის შესახებ, თავაზიანად ესალმებოდნენ ერთმანეთს მონასტრის ეზოში. წინამძღვრის გვერდით პოჯეტოელი კარდინალი ბერტრანი იდგა, მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა, ძალაუფლებას იყო ნაჩვევი, თავი ლამის პონტიფიკოსივით ეჭირა და ყველას, განსაკუთრებით კი მინორიტებს, გულთბილად უღიმოდა, ეუბნებოდა, იმედია, ხვალინდელ შეხვედრაზე სასურველ შეთანხმებებს მივაღწევთო და ხაზგასმით იშველიებდა იოანე XXII-ის მოწოდებას მშვიდობისა და სიკეთისაკენ (ეჭვი არ იყო, საგანგებოდ ახსენებდა ამ, ფრანცისკელთათვის ძვირფას, სიტყვებს).

– ყოჩაღ, ყოჩაღ, – მითხრა კარდინალმა, როცა უილიამმა ღირსმყო და თავის გადამწერად და მოწაფედ წარმადგინა მის წინაშე. შემდეგ მკითხა, ბოლონიას თუ იცნობო, ქალაქის სილამაზე, არაჩვეულებრივი სამზარეულო და ბრწყინვალე უნივერსიტეტი მიქო და მის მოსანახულებლადაც მიმიწვია. ასე აჯობებსო, მითხრა, ვიდრე იმ შენს გერმანელებს დაუბრუნდე, ესოდენ რომ ტანჯავენ ჩვენს უფალ პაპსო. და ბეჭდიანი ხელი რომ გამომიწოდა საამბორებლად, უკვე ვიღაც სხვას უღიმოდა.

ჩემი ყურადღება უმალ მიიპყრო ადამიანმა, რომელზეც იმ დღეებში ყველაზე მეტს

ლაპარაკობდნენ: ეს ბერნარ გუი იყო, როგორც მას ფრანგები ეძახდნენ, სხვაგან კი ბერნარდუს გუიდონის ან ბერნარდუს გუიდოს სახელით იყო ცნობილი.

ბერნარი დაახლოებით სამოცდაათი წლის დომინიკელი ბერი იყო, ჩია, მაგრამ კარგი აღნაგი. გამაოცა მისმა რუხმა, ცივმა, უგამომეტყველებო თვალებმა. თუმცა შემდგომ არაერთხელ მინახავს მათში გაელვებული რაღაც უცნაური, ორაზროვანი ნაპერწკალი, და ძნელი მისახვედრი იყო, ეს წამიერი გაელვება იმაზე მიანიშნებდა, რომ ნაფიქრის დამალვა სურდა თუ პირიქით, ამით განზრახ ამზეურებდა, რომ რაღაც გაიფიქრა.

მისალმებისას სხვებივით გულითადობით არ გამოირჩეოდა, თავაზიანსაც კი გაჭირვებით უწოდებდი. უბერტინუსს, რომელსაც უკვე იცნობდა, დიდი მოწიწებით შეხვდა, მაგრამ ისეთი გამჭოლი მზერა ესროლა, რომ ჟრუანტელმა დამიარა. მიქაელ ჩეზენელს უცნაური ღიმილით, ცივად მიესალმა: „დიდი ხანია, იქ გელიან“. ამ ფრაზაში ვერც ღელვა შევნიშნე, ვერც ირონია, ვერც ბრძანება და ვერც რაიმენაირი ინტერესი. უილიამს ზრდილად, მაგრამ აშკარა არაკეთილგანწყობით შეხედა: განა ვერ დაფარა საკუთარი გრძნობა, ამაში დარწმუნებული ვარ (თუმცა, სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ კაცს საერთოდ რამე გრძნობა გააჩნდა), არამედ საგანგებოდ აგრძნობინა უილიამს თავისი მტრული განწყობა. ბერნარის ასეთ შეხვედრას უილიამმა ზედმეტად გულთბილი ღიმილი შეაგება: „დიდი ხანია, მსურდა, გამეცნო ადამიანი, რომლის სახელიც გაკვეთილი და გაფრთხილება იყო ჩემთვის არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებმაც ჩემი ცხოვრება განსაზღვრა“. ეს სიტყვები პირფერულადაც კი ჟღერდა მათთვის, ვინც არ იცოდა (ბერნარი კი მათ რიცხვს ნამდვილად არ ეკუთვნოდა), რომ უილიამის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ინკვიზიტორობისთვის თავის დანებება იყო. ამის შემყურეს ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ უილიამი გულით ისურვებდა, ბერნარი იმპერიის რომელიმე საპყრობილეში გამომწყვდეული ენახა, ბერნარს კი დიდად გაახარებდა უილიამის შემთხვევითი, უეცარი სიკვდილი. ბერნარს იმ დღეებში შეირაღებული ხელქვეითების ამალა დაჰყვებოდა და ჩემი კეთილი მასწავლებლის სიცოცხლის გამო შიშმა შემიპყრო.

ჩანდა, წინამძღვარს უკვე შეეტყობინებინა ბერნარისთვის მონასტერში მომხდარი. მართლაც, თითქოს უილიამის ნათქვამში ჩაღვრილი შხამი ვერ შეამჩნიაო, გუიმ მიუგო: – როგორც ვხვდები, წინამძღვრის თხოვნით და ჩემი მისიის შესასრულებლად, რის გამოც აქ შევიკრიბეთ, ამ დღეებში ფრიად სამწუხარო ამბების გარკვევა მომიწევს. მათში ეშმაკის სიმყრალე იგრძნობა. ამას თქვენ იმიტომ გეუბნებით, რომ ვიცი, წარსულში, როცა ჩემთვის უფრო ახლობელი იყავით, ჩემსავით, ჩემს მსგავსთა გვერდით, თქვენც გიბრძოლიათ იმ ველზე, სადაც სიკეთის ლაშქარი ბოროტებისას უპირისპირდება.

– მართლაც, – მშვიდად თქვა უილიამმა, – მაგრამ შემდეგ მე მეორე მხარეს გადავედი.

ბერნარმა მამაცურად აიტანა დარტყმა: – შეგიძლიათ, რაიმე სასარგებლო მითხრათ ამ დანაშაულებებთან დაკავშირებით?

– საუბედუროდ, არა, – მოკრძალებით უპასუხა უილიამმა. – დანაშაულებრივ საქმეებში თქვენოდენი გამოცდილება არ მაქვს.

მათი საუბარი ამით დამთავრდა. უილიამი ისევ მიქაელსა და უბერტინუსს გაესაუბრა და შემდეგ სკრიპტორიუმისკენ გაემართა. მალაქიას რაღაც წიგნების გადათვალიერების ნებართვა სთხოვა, მაგრამ ვერ გავიგონე, რა სათაურები დაასახელა. მალაქიამ უცნაურად შეხედა უილიამს, თუმცა უარი ვერ უთხრა. საინტერესოა, რომ იმ წიგნების ბიბლიოთეკაში ძებნა არ დასჭირვებიათ, ყველა მათგანი იქვე, ვენანციუსის მაგიდაზე, აღმოჩნდა. ჩემი მასწავლებელი კითხვაში გაერთო და გადავწყვიტე, აღარ შემეწუხებინა.

სამზარეულოში ჩავედი და ბერნარ გუი დავინახე. შესაძლოა, მონასტრის განლაგება აინტერესებდა და იქაურობას ეცნობოდა. მესმოდა, მზარეულებსა და მსახურებს ეკითხებოდა რაღაცეებს მათ ენაზე, რომელსაც, ავად თუ კარგად, ფლობდა (გამახსენდა, რომ ადრე ის ჩრდილოეთ იტალიაში იყო ინკვიზიტორად). როგორც მივხვდი, მისი კითხვები მოსავალს, მონასტერში სამუშაოების წარმართვას ეხებოდა. თუმცა ყველაზე უწყინარ შეკითხვაზეც კი ბერნარი გამჭოლ მზერას არ აშორებდა თანამოსაუბრეს, შემდეგ უეცრად ახალ კითხვას უსვამდა მას და ისიც ფითრდებოდა, ენა ებორკებოდა. დავასკვენი,

რომ, რაღაც თავისებური ხერხით, ბერნარი დაკითხვას აწარმოებდა და იმ ძლიერ იარაღს იყენებდა, რომელსაც ყველა ინკვიზიტორი ფლობს და მარჯვედ ხმარობს: შიშს მსხვერპლისა, რომელიც, როგორც წესი, ცდილობს, ისე უპასუხოს ინკვიზიტორს, რომ ეჭვი გაუფანტოს და სხვაზე გადაატანინოს.

საღამომდე ბევრჯერ დავინახე ბერნარი, ხან წისქვილებთან, ხან ეკლესიის ეზოში, ხან სად და ხან სად. ბერებს თითქმის არ გაჰკარებია, მხოლოდ მსახურებს და გლეხებს ესაუბრებოდა: სწორედ უილიამის მეთოდის საპირისპიროდ.

მწუხრი

სადაც ალინარდუსი თითქოს მნიშვნელოვან რამეს ამბობს და უილიამი უეჭველ შეცდომათა საშუალებით სავარაუდო ჭეშმარიტებასთან მისვლის თავისეულ მეთოდს განმარტავს

უილიამი კარგ ხასიათზე დაბრუნდა სკრიპტორიუმიდან. ვახშმის მოლოდინში ეკლესიის შიგა ეზოში სეირნობისას ალინარდუსი დავინახეთ. მისი თხოვნა მახსოვდა და ჯერ კიდევ წინა დღეს სამზარეულოდან წამოღებული ბარდა შევთავაზე. მადლობა გადამიხადა და ბარდა მუჭით ჩაიყარა უკბილო, დორბლიან პირში. – ნახე, ბიჭუნა, – მითხრა, – კიდევ ერთი გვამი იდო იქ, სადაც წიგნი მიუთითებდა... ახლა მეოთხე საყვირს ელოდე!

ვკითხე, რატომ გგონია, რომ დანაშაულებათა ამოხსნა „გამოცხადების“ წიგნშია-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა: – იოანეს წიგნში ყველაფრის ამოხსნაა! – და ბრაზმა დაუმანჭა სახე: – ვიცოდი ეს, დიდი ხანია ვამბობდი ამას... იცი, წინამძღვარს, მაშინდელ წინამძღვარს, შევთავაზე, „გამოცხადების“ რაც შეიძლება ბევრი განმარტება შეგვეგროვებინა. ბიბლიოთეკარი უნდა გავმხდარიყავი... მაგრამ მერე სხვამ მოახერხა, რომ სილოსში გაეგზავნათ, სადაც საუკეთესო ხელნაწერები იპოვა და მშვენიერი ნადავლით დაბრუნდა... ოჰ, იმან იცოდა, სად უნდა ეძებნა, ის ურჯულოთა ენაზეც ლაპარაკობდა... ჰოდა, ბიბლიოთეკა იმას ჩააბარეს და არა მე. მაგრამ მერე ღმერთმა დასაჯა და უდროოდ ჩაიყვანა წყვდიადის სამეფოში... ჰა, ჰა... – ბოროტად ჩაიქირქილა მოხუცმა, რომელიც იმწუთამდე, თავისი ჭაღარის სიმშვიდეში ჩაფლული, უმანკო ჩვილად მეჩვენებოდა...

– ვისზე ლაპარაკობთ? – ჰკითხა უილიამმა.

გაკვირვებულმა შემოგვხედა.

– ვისზე ვლაპარაკობდი? არ მახსოვს... იმდენი ხნის წინათ იყო. მაგრამ ღმერთი სჯის, ღმერთი შლის, ღმერთი მოგონებებსაც კი ბინდავს. ბიბლიოთეკას ამპარტავნობის მრავალი მაგალითი ახსოვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხოელთა ხელში ჩავარდა. ღმერთი ახლაც სჯის...

ალინარდუსს სხვა ვერაფერი ვათქმევინეთ და თავისი უწყინარი, ჯავრიანი ბოდვის ამარა დავტოვეთ. საუბარმა ძალიან დააინტერესა უილიამი: – ამ კაცის მოსმენა ნამდვილად ღირს, საკმარისია პირი გააღოს, რომ რაღაც საინტერესოს ამბობს.

– ამჯერად რა თქვა?

– ადსო, – მითხრა უილიამმა, – საიდუმლოს ამოხსნა მოცემულობიდან გამომდინარეობის მიხედვით დასკვნის გამოტანა როდია. ის არც ცალკეულ, განსაკუთრებულ მონაცემთა შეკრებაა, რომ შემდეგ მათგან ზოგადი კანონი გამოიყვანო. საიდუმლოს ამოხსნა ნიშნავს, რომ გვაქვს ერთი, ორი ან სამი, გარეგნულად ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ცალკეული მონაცემი და ვცდილობთ, წარმოვიდგინოთ, შეიძლება თუ არა ისინი ერთი, ჩვენთვის ჯერ უცნობი და, შესაძლოა, ჯერაც ჩამოუყალიბებელი ზოგადი კანონის შემთხვევები იყოს. რა თქმა უნდა, თუკი იცი (როგორც ფილოსოფოსი ამბობს), რომ ადამიანს, ცხენსა და ჯორს ნაღველი არა აქვთ და სამივე დიდხანს ცოცხლობს, შეგიძლია

სცადო, ჩამოაყალიბო პრინციპი, რომლის თანახმადაც უნაღველო ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ. მაგრამ აბა რქოსნები წარმოიდგინე და დაფიქრდი, რატომ აქვთ რქები? უცებ აღმოაჩენ, რომ ყველა რქოსან ცხოველს ზედა ყბა უკბილო აქვს. კარგი აღმოჩენა იქნებოდა, რომ არ არსებობდნენ ისეთი ურქო ცხოველებიც, რომელთაც ზედა ყბაზე კბილები არ აქვთ. მაგალითად, აქლემი. ახლა იმასაც ნახავ, რომ ყველა ცხოველს, რომლებსაც უკბილო ზედა ყბა აქვთ, ორი კუჭი აქვს. კეთილი, შეგიძლია, წარმოიდგინო, რომ კბილების ნაკლებობის გამო ცუდად ღეჭავენ და ამიტომაც საჭმლის კარგად მოსანელებლად ორი კუჭი სჭირდებათ. მაგრამ რქები? მაშინ რქების მატერიალური მიზეზის მოშველიებას ცდილობ, რომლის მიხედვითაც კბილების არქონა ცხოველში ჭარბი ძვლოვანი მასის დაგროვებას განაპირობებს და ის სხვა სახით უნდა გამოვლინდეს. მაგრამ დამაკმაყოფილებელია ასეთი ახსნა? არა, რადგან აქლემს, მაგალითად, არა აქვს ზედა კბილები, აქვს ორი კუჭი, მაგრამ ურქოა. მაშინ საბოლოო მიზეზზეც უნდა დაფიქრდე. ძვლოვანი ნივთიერება რქების სახით მხოლოდ იმ ცხოველებში იჩენს თავს, რომელთაც თავდაცვის სხვა საშუალება არ გააჩნიათ. აქლემს ძალიან სქელი კანი აქვს და რქები არ სჭირდება. მაშინ კანონი შეიძლება ასე ჟღერდეს…

– კი, მაგრამ რქები რა შუაშია? – ვეღარ მოვითმინე. – და რაში გაინტერესებთ რქოსანი ცხოველები?

– სულაც არ მაინტერესებს რქოსნები. თუმცა ლინკოლნის ეპისკოპოსმა, არისტოტელეს ერთი იდეის კვალდაკვალ, უდიდესი ყურადღება დაუთმო მათ. გულწრფელად რომ გითხრა, არ ვიცი, მის მიერ მიკვლეული მიზეზები სწორია თუ მცდარი, არც ის შემიმოწმებია ოდესმე, სად აქვს კბილები აქლემს ან რამდენი კუჭის პატრონია. ეს მაგალითი იმისთვის დამჭირდა, რომ მეთქვა: ახსნით კანონთა ძიების გზები, როცა საქმე ბუნებას ეხება, მეტისმეტად მიხვეულ-მოხვეულია. ზოგიერთი აუხსნელი ფაქტის წინაშე მრავალი ზოგადი კანონის წარმოდგენა უნდა სცადო, თანაც შენს ხელთ არსებულ ფაქტებთან მათ კავშირს თავიდან ვერ ხედავ. ანაზდად რაიმე შედეგის, შემთხვევისა და კანონის მოულოდნელი დაკავშირებით რომელიმე ერთი მსჯელობა სხვებზე დამაჯერებლად გეჩვენება. ცდილობ, ყველა მსგავს შემთხვევას მიუსადაგო, სამომავლო ვარაუდისთვის გამოიყენო ის და ხვდები, რომ გამოგიცნია. მაგრამ, სანამ ბოლომდე არ მიხვალ, ვერ გაიგებ, რომელი პრედიკატები უნდა ჩართო მსჯელობაში და რომლები უკუაგდო. სწორედ ამას ვაკეთებ მე. ერთად ვალაგებ მრავალ დაუკავშირებელ ელემენტს და ვცდილობ, ვარაუდი წარმოვიდგინო. მაგრამ მრავალი ვარაუდის წარმოდგენა მიწევს და მათ შორის ბევრი ისეთი აბსურდულია, სირცხვილით ვერც კი გაგიმხელდი. წაბლა ცხენი ხომ გახსოვს, როცა მისი ნაკვალევი დავინახე, უამრავი დამატებითი და წინააღმდეგობრივი ვარაუდი წარმოვიდგინე: ის შეიძლებოდა ყოფილიყო გაქცეული ცხენი, ან ცხენი, რომლითაც წინამძღვარი მთის კალთას დაღმა დაუყვა. შეიძლება ისეც ყოფილიყო, რომ თოვლზე ნაკვალევი წაბლას დაეტოვებინა, წინა დღით კი ბარდებში მეორე ცხენი გახლართულიყო, შავრა, და ეკლებშიც მისი ბეწვი ყოფილიყო შერჩენილი, ტოტები კი საერთოდ ადამიანებს დაემტვრიათ. არ ვიცოდი, ამათგან რომელი იყო სწორი ვარაუდი, სანამ მეკუჭნავე და მსახურები არ დავინახე, გამალებით რომ ეძებდნენ რაღაცას. მაშინ მივხვდი, რომ ერთადერთი მართებული ვარაუდი წაბლას ვერსია იყო და იმის გასაგებად, ნამდვილად სწორი იყო თუ არა ის, როგორც გახსოვს, ბერებს ვუსაყვედურე. გამარჯვებული დავრჩი, თუმცა შეიძლებოდა, დავმარცხებულიყავი კიდეც. სხვებმა ბრძენად იმიტომ ჩამთვალეს, რომ გავიმარჯვე, მაგრამ მათ ხომ არ იცოდნენ, რამდენჯერ დავმარცხებულვარ და გავბრიყვებულვარ. არც ის იცოდნენ, რომ გამარჯვებამდე რამდენიმე წამით ადრე სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ არ დავმარცხდებოდი. მონასტერში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით არაერთი შესანიშნავი ვარაუდი მაქვს, მაგრამ არც ერთი უეჭველი ფაქტი არ მიმითითებს, რომელი მათგანია საუკეთესო. ამიტომაც მირჩევნია, ახლა ვთქვა უარი გამჭრიახობით თავის გამოჩენაზე, ვიდრე ბოლოს სულელი აღმოვჩნდე. დამაცადე, ცოტაც ვიფიქრო, ხვალამდე მაინც.

მაშინ მივხვდი, როგორ მსჯელობდა ჩემი მასწავლებელი და ეს ხერხი საკმაოდ განსხვავებული მეჩვენა ფილოსოფოსის მიდგომისაგან, პირველმიზეზებზე რომ მსჯელობს ისე, რომ მისი ინტელექტი თითქმის ღვთაებრივ გონს ემსგავსება. მივხვდი, რომ, როცა კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, უილიამი მრავალ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პასუხს წარმოიდგენდა. ამან გამაკვირვა და დამაბნია.

– მაშ, – შევბედე, – ჯერ შორს ხართ ამოცანის ამოხსნისგან…

– ძალიან ახლოს ვარ, – მიპასუხა უილიამმა, – მაგრამ არ ვიცი, რომელ ამოხსნასთან.

– გამოდის, თქვენს შეკითხვებზე ერთი პასუხიც არ გაქვთ?

– ეგ რომ მქონდეს, ადსო, პარიზში თეოლოგიის მასწავლებელი ვიქნებოდი.

– პარიზში მუდამ სწორი პასუხი აქვთ?

– არასოდეს, – მიპასუხა, – მაგრამ საკუთარი შეცდომები ჭეშმარიტება ჰგონიათ.

– და თქვენ, – ჩავეძიე ბავშვური თავხედობით, – არასოდეს გეშლებათ?

– როგორ არა, ხშირად, – მიპასუხა უილიამმა, – მაგრამ ერთი შეცდომის ნაცვლად მრავალს წარმოვიდგენ ხოლმე და, ამგვარად, არც ერთი მათგანის ტყვეობაში არ ვექცევი.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ უილიამს საერთოდ არ აინტერესებდა ჭეშმარიტება, რომელიც საგანსა და გონებით მის აღქმას შორის შესაბამისობაა მხოლოდ. უილიამს უსასრულოდ ბევრი ვარაუდის წარმოდგენა ახალისებდა.

ვაღიარებ, იმწუთას ჩემი მასწავლებელისგან იმედგაცრუებულმა ისიც ვიფიქრე, კიდევ კარგი, ინკვიზიცია მოვიდა-მეთქი. მეც ჭეშმარიტების იმ წყურვილმა ამავსო, ბერნარ გუის რომ ამოძრავებდა.

ამგვარი ბრალეული განწყობით სულავსილი და იმაზე მეტად გონებაამღვრეული, ვიდრე იუდა იყო დიდი ხუთშაბათის ღამეს, უილიამს სატრაპეზოში შევყევი სავახშმოდ.

სერობა

სადაც სალვატორე სასწაულებრივ მაგიაზე ლაპარაკობს

სტუმრებისთვის საუცხოო ვახშამი გაიწყო. როგორც ჩანს, წინამძღვარი მშვენივრად იცნობდა ადამიანთა სისუსტეებსაც და პაპის კარის ზნე-ჩვეულებებსაც (მართალი გითხრათ, არც მამა მიქაელის მინორიტები დარჩენილან უკმაყოფილო). მზარეულმა გვითხრა, რადგან ღორები ახალი დაკლულია, სუფრაზე სისხლის შეჭამანდი უნდა ყოფილიყო, როგორც მონტეკასინოშია მიღებული, მაგრამ ვენანციუსის უბედური აღსასრულის გამო ღორების სისხლის გადაღვრა მოგვიწია და, სანამ ახლებს არ დავკლავთ, ამ კერძს ვეღარ მოვამზადებთო. თანაც, ვფიქრობ, იმ დღეებში ღვთის შექმნილ არსებათა ხოცვა ყველას ზარავდა. თუმცა სუფრაზე მოგვართვეს ადგილობრივ ღვინოში ჩაშუშული მტრედის ხორცი, ღორის ქონში ამოვლებული ღუმელში შემწვარი კურდღელი, წმინდა კლარას პურები, იქაური მთის ნუშით შეკაზმული ბრინჯი – თეთრი კერძი, დღესასწაულების წინ რომ ამზადებდნენ ხოლმე, ბორანჯოს კვერები, შეკაზმული ზეთისხილი, შემწვარი ყველი, თეთრი ცერცვი და იშვიათი ტკბილეული: წმინდა ბერნარდოს შაქარლამა, წმინდა ნიკოლოზის ღვეზლები, წმინდა ლუჩიას ნამცხვარი, ღვინო და ბალახებისგან დამზადებული სურნელოვანი სასმელები, ციტრუსის, კაკლის, ნუშის, ტკბილი, მჟავე თუ მწარე არომატით, რომლებმაც მუდამ პირქუში ბერნარ გუიც კი გაახალისა. ღორმუცელათა თავშეყრას უფრო ჰგავდა იქაურობა, რომ არა საღვთო საკითხავი, ყოველ ყლუპსა და ლუკმას რომ აყოლებდნენ.

ვახშამი მხიარულად დასრულდა. ზოგმა დაღლილობაც მოიმიზეზა, რომ სერობას არ დასწრებოდა, მაგრამ წინამძღვარს არ სწყენია. ყველას როდი აქვს ის პატივი და მოვალეობა, რასაც ჩვენი ორდენის წევრობა გვანიჭებს და გვაკისრებს.

სანამ ბერები სუფრიდან წამოიშლებოდნენ, სამზარეულოში შევყოვნდი. მინდოდა,

სამზარეულოს დაკეტვის სამზადისს დავკვირვებოდი. დავინახე, როგორ გაიძურწა სალვატორე ბოსტნებისკენ, ფუთა ეჭირა ხელში. დავედევნე და დავუძახე, სცადა, როგორმე თავი აერიდებინა ჩემთვის, მაგრამ დავეწიე და ჩავეკითხე, ფუთაში რა გაქვს-მეთქი. ბასილისკო მყავსო, მითხრა (ბოხჩაში რაღაც მოძრაობდა, ჩანდა, შიგ ცოცხალი არსება იჯდა).

– ბასილისკოს ნაშიერი! გველების მეფეა, ეგრეთ სავსე შხამით, რო გარეთ გადმოსდის! რას ვთქვამ, შხამობა და მყრალობა გამოდინდება და რო შეგახრჩოლებს, დაგწვობას! დაგგუდოს... ზურგში თეთრი ლაქებით აქვს, მამლისთავაა, ხან დადის და ხან ქვეწარმავალურად ხოხავს. თრითინასგან კვდება...

– თრითინა?

– უჰ! პატარა მხეცია, როგორც თაგვივით გრძელი, და ძულდეს თაგვი. და გველიც და გომბეშოც. რომ უკბინობს თრითინას, გარბის და დაღეჭოს კამა და ქინას და ბევრი ამბობან რო თვალს უშველოს და ბევრები იტყვის რო ტყუილ არსო.

რად გინდა თრითინა-მეთქი, ვკითხე. მიპასუხა, ჩემი საქმეაო. ცნობისმოყვარეობას ვერ მოვერიე, არ მოვეშვი, ამდენი მკვლელობის შემდეგ საიდუმლო აღარ არსებობს და იცოდე, უილიამს მოვახსენებ ყველაფერს-მეთქი. შემეხვეწა, არ გამცეო, ფუთა გახსნა და შავი კატა მაჩვენა. მერე ახლოს მოიწია და უხამსი ღიმილით მითხრა, აღარ მინდა, მეკუჭნავეს და შენ, ერთს ძლევამოსილების, მეორეს კი ახალგაზრდობისა და სილამაზის წყალობით, სოფლის გოგოების ალერსი გერგოთ, მე კი არაფერი, რადგან უშნო და ღატაკი ვარო. მითხრა, სასწაულმოქმედი ჯადოქრობა ვიციო, რომლითაც ნებისმიერი ქალი ჩემს მკლავებში აღმოჩნდებოდაო. შავი კატა უნდა მოკლა, თვალები დასთხარო და თვალები შავი ქათმის კვერცხებში ჩაალაგოო (ორი კვერცხიც მაჩვენა გამზადებული, შავი ქათმისააო, დაბეჯითებით მითხრა). მერე კვერცხები ცხენის ნაკელში უნდა ჩააწყო დასალპობად (ნაკელის გროვაც გაემზადებინა ბოსტნის კუთხეში, სადაც ადამიანის ფეხი არ ხვდებოდა) და თითო კვერცხიდან თითო ეშმაკი გამოიჩეკებაო, სალვატორეს სამსახურში ჩადგებიან და ყველა ამქვეყნიურ სიამეს აგემებენო. ოღონდო, მითხრა, ჯადომ რომ იმოქმედოს, კვერცხების ნაკელში ჩადებამდე იმ ქალს უნდა დააფურთხებინო ზედ, რომლის სიყვარულიც გსურსო. აი ეს კი ძალიან აფიქრებდა სალვატორეს, რადგან იმ ღამით როგორმე ქალი უნდა დაეგულებინა და ისე გაეკეთებინებინა ეს, რომ ქალს არ სცოდნოდა, რას და რისთვის აკეთებდა.

სახეზე ალმური მომედო, შიგნეული, მთელი სხეული ამეწვა და ძლივს ამოვილუღლუღე, ისევ წუხანდელ გოგოს შემოიყვან-მეთქი? დამცინავად ჩაიქირქილა, მართლა ძლიერ ჟინს შეუპყრიხარო. ვიუარე, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო გეკითხები-მეთქი. მითხრა, სოფელში უამრავი ქალია და შენ რომ მოგწონს, იმაზე ბევრად ლამაზსაც ამოვიყვანო. გავიფიქრე, მატყუებს, რომ თავი დავანებო-მეთქი. მაგრამ რა უნდა მექნა? მთელი ღამე კუდში მედია სალვატორესთვის, როცა უილიამს სულ სხვა საქმეებისთვის ვჭირდებოდი? და კვლავ მეხილა ის (თუ მართლა იმ გოგოს გულისხმობდა), ვისკენაც გრძნობა მიბიძგებდა, ვისი ხილვის წადილიც არ მასვენებდა მაშინ, როცა გონება საწინააღმდეგოს მკარნახობდა? რა თქმა უნდა, არა. ამიტომაც თავს ჩავაგონე, რომ სალვატორე სიმართლეს ამბობდა. ან საერთოდ ტყუოდა და ის ჯადო მისი ცრურწმენით დაბნელებული გონების ნაყოფი იყო და არაფერსაც არ გააკეთებდა.

სალვატორეს დავუცაცხანე, ღამით ბოდიალს, ჯობია, დაიძინო, ამაღამ მონასტრის გალავანს მშვილდოსნები უვლიანმეთქი. მიპასუხა, მონასტერს მშვილდოსნებზე უკეთ ვიცნობ და თან ასეთ ნისლში ვერავინ ვერაფერს დაინახავსო. დააყოლა, თუ გინდა, ახლა გავიქცევი და შენც ვეღარ დამინახავ, ორ ნაბიჯზეც რომ ვიქცევდე თავს შენს სანატრელ არსებასთანო. მან სხვა, გაცილებით უხამსი სიტყვები წარმოთქვა, თუმცა მისი ნათქვამის არსი სწორედ ეს იყო. გულმოსული გავეცალე, რადგანაც კდემამოსილ მორჩილს, იმ არამზადასთან კამათი არ შემშვენოდა.

უილიამს დავეწიე და, წესისამებრ, სერობას დავესწარით. ეკლესიის სიღრმეში ვიდექით, ღვთისმსახურების დასასრულს ლაბირინთის წიაღში ჩვენი მეორე (ჩემთვის კი მესამე) მოგზაურობისათვის მომზადებულები.

სერობის შემდეგ

სადაც ხელმეორედ შედიან ლაბირინთში და „აფრიკის კიდის“ ზღურბლამდე მივლენ, თუმცა შიგნით შეღწევა შეუძლებელია, რადგანაც უცნობია, რა არის ოთხის პირველი და მეშვიდე. და ბოლოს ადსოს კვლავაც შემოუტევს, თანაც ფრიად მეცნიერულად, სიყვარულის სენი

ბიბლიოთეკაში ხანგრძლივი მუშაობა მოგვიხდა. აღარ უნდა გაგვჭირვებოდა ლაბირინთში დაბრუნება, მაგრამ ლამპრის შუქზე მოძრაობა, წარწერების კითხვა, რუკაზე გასასვლელებისა და ყრუ კედლების აღნიშვნა, წარწერათა საწყისი ასოების ჩანიშვნა, მრავალგზის უკან მიბრუნება და ღიობებსა და ტიხრებს შორის ახალი გზის ძებნა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. თან მოსაწყენიც აღმოჩნდა.

ძალიან ციოდა. ქარი ჩამდგარიყო და ამიტომ სისინი, პირველ ღამეს ასეთი შთაბეჭდილება რომ მოახდინა ჩვენზე, აღარ ისმოდა, თუმცა საჰაერო ღიობებიდან ნოტიო, გამყინავი ჰაერი შემოდიოდა. შალის ხელთათმანები წამოვიცვით, წიგნების ფურცვლისას ხელები რომ არ გაგვყინოდა. მაგრამ ეს თითებგადაჭრილი ხელთათმანები იყო, ზამთარში წერის დროს რომ ხმარობენ ხოლმე – სანახევროდ შიშველი ხელები გვეთოშებოდა და დროდადრო ხელების ფშვნეტა, ცეცხლისთვის მიშვერა და გასათბობად ადგილზე ხტუნვა გვიწევდა.

ამიტომაც შეუძლებელი იყო შეუჩერებლად მუშაობა. კარადებში შესახედად ვჩერდებოდით და ახლა, როცა ახალი შუშებით შეიარაღებულ უილიამს წიგნების გადასაკითხად შეყოვნება შეეძლო, ყოველი სათაურის დანახვაზე სიხარულის შეძახილი აღმოხდებოდა ხოლმე: წიგნი ხან ნაცნობი იყო, ხან დიდი ხნის ნაძებნ-ნანატრი, ხან სულაც უცნობი და უილიამი ცნობისმოყვარეობისა და მოუთმენლობისაგან ცმუკავდა. ისე უყურებდა წიგნებს, როგორც უცხო მხარეში ნანახ ზღაპრულ ცხოველებს. სანამ ერთ ხელნაწერს ფურცლავდა, მე მეორის საძებნელად მაგზავნიდა: – ნახე ერთი, იმ კარადაში რა არის!

მეც წიგნებს ვიღებდი და დამარცვლით ვკითხულობდი: ბედას „ანგლების ისტორია“... მისივე „ტაძართა აღმართვის შესახებ“, „საომარ ბანაკებზე“, „დროთა, დროთა აღრიცხვისა და დიონისეს წრის შესახებ“, „მართლწერა“, „მარცვალთა შესახებ“, „წმინდა კუტბერტუსის ცხოვრება“, „მეტრიკა“...

– ბუნებრივია, სათაყვანებლის ყველა შრომაა აქ თავმოყრილი... აქეთ შეხედე: „რიტორიკულ შემეცნებაზე“, „რიტორიკულ გამოთქმათა განსხვავებებზე“... გრამატიკოსები არიან: პრისციანე, ჰონორატუსი, დონატუსი, მაქსიმუსი, ვიქტორინუსი, მეტრორიუსი, ევთიკუსი, სერვისუსი, ფოკა, ასპერუსი... უცნაურია, თავიდან მეგონა, აქ ინგლისელი ავტორები უნდა ყოფილიყვნენ თავმოყრილი... ცოტა ქვევით ვნახოთ...

– Hisperica... famina. რა არის?

– ჰიბერნიული პოემაა. უსმინე: Hoc spumans mundanas obvallat Pelagus oras terrestres amniosis fluctibus cudit margines.

Saxeas undosis molibus irruit avionias.

Infima bomboso vertice miscet glareas asprifero spergit spumas sulco, sonoreis frequenter quatitur flabris...[184]

აზრს ვერ ვიგებდი, მაგრამ უილიამი კითხვის დროს ისე აბრუნებდა სიტყვებს პირში, რომ მეჩვენებოდა, თითქოს აზვირთებული, აქაფებული ტალღების ხმა ჩამესმოდა.

– და ეს? ადელმუს მალმსბერიელის წიგნია, ნახეთ, რა წერია: Primitus pantorum procerum

poematorum pio potissimum paternoque presertim privilegio panegiricum poemataque passim prosatori sub polo promulgatas…[185] ყველა სიტყვა ერთი და იმავე ასოთი იწყება!

– ჩემი მშობლიური კუნძულების ყველა მცხოვრები ცოტათი შეშლილია, – თქვა უილიამმა ამაყად. – ერთი იმ კარადაში შევიხედოთ.

– ვერგილიუსი.

– აქ რა უნდა? ვერგილიუსის რა წიგნია? „გეორგიკები“?

– არა. „ამონარიდები“. არასოდეს მსმენია ამაზე.

– ეს ხომ მარონი არ არის! ეს ტულუზელი ვერგილიუსია, ორატორი, უფლის შობიდან ექვსი საუკუნის შემდეგ დაიბადა. დიდი ბრძენის სახელი გაითქვა…

– აქ წერს, რომ ხელოვნებანია პოემა, რეტორია, გრამა, ლეპორია, დიალექტა, გეომეტრია… კი, მაგრამ რა ენაზე ლაპარაკობს?

– ლათინურად. მაგრამ ეს მისი გამოგონილი ლათინურია, ეს უფრო მოსწონდა. ნახე: წერს, რომ ასტრონომია ზოდიაქოს ნიშნებს შეისწავლის, და ჩამოთვლის მათ: მონი, მანი, ტონტე, პირონი, დამეთი, პერფელეა, ბელგალიკი, მარგალეთი, ლუტამირონი, ტამინონი და რაფალუთი.

– გიჟი იყო?

– არ ვიცი, ჩვენებური არ ყოფილა. ნახე, კიდევ ამბობს, რომ ცეცხლის თორმეტი სახელწოდება არსებობს: ignis, coquihabin (quia incocta coquendi habet dictionem), ardo, calax ex calore, fragon ex fragore flammae, rusin de rubore, fumaton, ustrax de urendo, vitius quia pene mortua membra suo vivificat, siluleus, quod de silice siliat, unde et silex non recte dicitur, nisi ex qua scintilla silit. E aeneon, de Aenea deo, qui in eo habitat, sive a quo elementis flatus fertur[186].

– კი, მაგრამ ასე ხომ არავინ ლაპარაკობს!

– საბედნიეროდ. მაგრამ იყო დრო, როცა ამქვეყნიური ბოროტების დასავიწყებლად გრამატიკოსები მიკიბულ-მოკიბული საკითხებით ირთობდნენ თავს. გამიგია, იმ ხანებში ორატორებს გაბუნდუსსა და ტერენტიუსს თხუთმეტი დღე-ღამე უკამათიათ „მეს“ წოდებითი ბრუნვის შესახებ და ბოლოს საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მისულა…

– აი აქაც, უსმინეთ… – საუცხოოდ მოხატული წიგნი მეჭირა, რომლის მორთულობის მცენარეული ხვეულებიდან მაიმუნები და გველები იმზირებოდნენ. – ამ სიტყვებს უსმინეთ: კანტამენი, კოლამენი, გონგელამენი, სტემიამენი, პლაზმამენი, სონერუსი, ალბორეუსი, გაუდიფლუუსი, გლაუციკომუსი…

– ჩემი კუნძულები, – კვლავ სითბო ჩაეღვარა ხმაში უილიამს. – მკაცრად ნუ განსჯი შორეული ჰიბერნიის იმ ბერებს. იქნებ სწორედ მათი დამსახურებაა, ეს მონასტერი რომ არსებობს და წმინდა რომის იმპერიაზე ვლაპარაკობთ. იმ დროს დანარჩენი ევროპა ნანგრევებად იყო ქცეული. ერთ დღესაც ცალკეულ გალიელ მღვდელთა მიერ აღსრულებული ნათლობები ბათილად გამოცხადდა, რადგან იქ in nomine patris et filiae[187] ნათლავდნენ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რაღაც ახალ მწვალებლობას მისდევდნენ და იესო ქალად მიაჩნდათ, მათ უბრალოდ ლათინური აღარ იცოდნენ.

– სალვატორესავით?

– დაახლოებით. უკიდურესი ჩრდილოეთიდან მეკობრეები მდინარეებს მოუყვებოდნენ და რომის გასაძარცვად მოემართებოდნენ. წარმართთა ტაძრები ემხობოდა, ქრისტიანული კი ჯერ არ არსებობდა. მხოლოდ ჰიბერნიელი ბერებიღა იყვნენ დარჩენილი თავიანთ მონასტრებში, ვინც კითხულობდა და წერდა, წერდა და კითხულობდა. და ხელნაწერებს ხატავდნენ. მერე კი ამ ბერებმა ტყავის პაწია ნავებით ამ მიწებს მოაშურეს და ურჯულოთა მხარესავით მოაქციეს აქაურობა, გესმის? ბობიოში ხომ ნამყოფი ხარ, ის წმინდა კოლომბანუსის დაარსებულია, კოლომბანუსი სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო. ჰოდა, ნუ

[illegible] მოედავები, თუ ახალი ლათინური გამოიგონეს, ევროპაში ხომ ძველი აღარ ახსოვდათ. დიდი ადამიანები იყვნენ. წმინდა ბრანდანს იღბლიან კუნძულებამდე მიუღწევია, ნაპირ-ნაპირ შემოუვლია ჯოჯოხეთი და კლდეზე მიჯაჭვული იუდა უნახავს. ერთ დღეს კი რაღაც კუნძულს მისდგომია, ზედ გადასულა, „ხმელეთი“ კი ზღვის ურჩხული გამომდგარა. ცხადია, შეშლილები იყვნენ, – გაიმეორა კმაყოფილმა.

– მათი ნახატები... თვალებს არ ვუჯერებ! თან რამდენი ფერია! – ვთქვი მოხიბლულმა.

– და ეს იმ ქვეყანაში შექმნეს, ფერთა ხატოვანებით რომ ვერ დაიკვეხნის, იქ მხოლოდ ცოტა ცისფერი და ბევრი მწვანეა. მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს: რატომ მოხვდნენ ჰიბერნიელი ბერები ანგლებთან და სხვა ქვეყნის გრამატიკოსებთან ერთად. ერთი რუკას დახედე, ახლა სად ვართ?

– დასავლეთის კოშკის ოთახებში. წარწერებიც ჩავინიშნე. ბნელი ოთახიდან გამოსული შვიდკუთხა ოთახში ხვდები და იქიდან მხოლოდ კოშკის ერთადერთ ოთახშია გასასვლელი, წარწერაზე წითლად ასო H-ია აღნიშნული. მერე ოთახიდან ოთახში გადადიხარ, კოშკს უვლი და ისევ ბნელ ოთახში ბრუნდები. ასოების თანმიმდევრობაა... მართალი ხართ! HIBERNI!

– HIBERNIA, თუკი ბნელი ოთახიდან ისევ შვიდკუთხაში დაბრუნდები, რომელსაც დანარჩენი სამის მსგავსად სიტყვა „აპოკალიფსისის“ A აღნიშნავს. ამიტომაც აქ უკიდურესი ჩრდილოეთის ავტორთა შრომებთან ერთად სხვა გრამატიკოსთა და ორატორთა ნაწერებია თავმოყრილი, რადგანაც – ბიბლიოთეკის მომწყობებმა, ალბათ, ასე განსაჯეს – გრამატიკოსი, თუნდაც ტულუზელი, ჰიბერნიელ მოძმეებთან ერთად უნდა იყოს. ჩანს, ესაა კრიტერიუმი. ხედავ, უკვე რაღაცას ვხვდებით.

– აღმოსავლეთის კოშკის ოთახებში, საიდანაც შემოვედით, FONS... ეწერა. ეს რას ნიშნავს?

– კარგად ჩახედე შენს რუკას და ასოები იმ თანმიმდევრობით წაიკითხე, როგორითაც ოთახებია განლაგებული, შესასვლელიდან დაწყებული.

– FONS ADAEU...

– არა, FONS ADAE. U აღმოსავლეთის მეორე ყრუ ოთახის ასოა, კარგად მახსოვს. შეიძლება ის რომელიმე სხვა თანმიმდევრობის შემადგენლობაში შედის. და რა დაგვხვდა FONS ADAE-ში, ანუ მიწიერ სამოთხეში (თუ გახსოვს, იქ ერთ ოთახში აღმოსავლეთისკენ მიმართული საკურთხეველია)?

– უამრავი ბიბლია და ბიბლიის კომენტარი, მხოლოდ საღმრთო წერილისადმი მიძღვნილი წიგნები.

– მაშასადამე, ხედავ, ღვთის სიტყვა მიწიერ სამოთხეს აღნიშნავს, რომელიც, როგორც ამბობენ, შორს, აღმოსავლეთითაა. აქ, დასავლეთში, კი ჰიბერნიაა.

– ანუ ბიბლიოთეკის გეგმა ქვეყნის მხარეებს ასახავს?

– შესაძლებელია. წიგნები კი ქვეყნების მიხედვითაა განლაგებული, ან ავტორების დაბადების ადგილის, ან, როგორც ამ შემთხვევაშია, იმ ადგილის მიხედვით, საიდანაც უნდა იყვნენ წარმოშობით ავტორები. ბიბილიოთეკარებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ გრამატიკოსი ვერგილიუსი შეცდომით იყო დაბადებული ტულუზაში, დასავლეთის კუნძულებზე უნდა დაბადებულიყო, და ბუნების შეცდომა გამოასწორეს.

გზა განვაგრძეთ. „გამოცხადების“ დიდებული წიგნებით სავსე ოთახთა რიგი გავიარეთ. სწორედ აქ მეწვია იმ ღამეს ხილვები. ამჯერადაც შორიდანვე დავინახეთ სინათლე. უილიამმა ცხვირზე ხელი მოიჭირა, ალთან სწრაფად მივიდა, დააფურთხა და ჩააქრო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ოთახი მაინც შეუჩერებლად გავიარეთ. თუმცა მახსოვდა იქ ნანახი, მზით გაცისკროვნებული ქალისა და დრაკონის გამოსახულებებით შემკული, ბრწყინვალედ დასურათებული „გამოცხადება“. ხელახლა აღვადგინეთ ამ ოთახების თანმიმდევრობა უკანასკნელიდან დაწყებული, რომელიც წითელი საწყისი ასო Y-ით იყო აღნიშნული. უკუღმა წაკითხულმა ასოებმა სიტყვა YSPANIA მოგვცა, თუმცა უკანასკნელი A

იგივე იყო, რომლითაც HIBERNIA სრულდებოდა. უილიამმა თქვა, ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ ოთახში შერეული ხასიათის შრომები ინახებაო.

ასეა თუ ისე, YSPANIA-თი აღნიშნულ სივრცეში საუცხოოდ დასურათებული მრავალი „გამოცხადება“ ვნახეთ, რომლებიც უილიამმა ესპანურ ხელოვნებას მიაკუთვნა. ამ ბიბლიოთეკაში თავმოყრილ „გამოცხადების“ წიგნთა და მის უთვალავ განმარტებათა კოლექცია, ალბათ, უმდიდრესი იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ლიებანელი ნეტარის „გამოცხადების“ განმარტებები უზარმაზარ წიგნებად იყო შეკრული. ტექსტი მეტ-ნაკლებად მეორდებოდა, თუმცა წიგნები საოცრად იყო დაფერილ-დასურათებული და ამ ნამუშევრებში უილიამმა რამდენიმე მხატვრის ხელწერა იცნო, რომელთაც ასტურიის სამეფოს მინიატურების უდიდეს ოსტატებად მიიჩნევდა: მაგიუსის, ფაკუნდუსის და სხვათა.

ასე მივადექით სამხრეთის კოშკს, სადაც უკვე ვიყავით ნამყოფი. YSPANIA-ს ასო S-ით აღნიშნული უფანჯრო ოთახი E ასოთი აღნიშნულ ოთახს უკავშირდებოდა. მისი მომდევნო ხუთი ოთახიც გავიარეთ და უკანასკნელი, ყრუდ რომ მთავრდებოდა, წითელი L-ით იყო აღნიშნული. ბოლოდან წავიკითხეთ ასოები და მივიღეთ სიტყვა LEONES.

– ლომები… სამხრეთი… ჩვენი გეგმის მიხედვით აფრიკაში ვართ, hic sunt leones[188]. ამიტომაც ვნახეთ ამ ოთახებში ურჯულო ავტორთა ამდენი ნაწერი.

– კიდევ სხვაც არის, – გამოვძახე კარადაში თავშერგულმა, – აგერ ავიცენას „კანონი“, და ესეც, ჩემთვის უცნობ ენაზე დაწერილი მშვენიერი წიგნი…

– შეიძლება, ყურანი იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაბული არ ვიცი.

– ყურანი, ურჯულოთა ბიბლია, უკუღმართი წიგნი…

– წიგნი, რომელიც ჩვენი სიბრძნისგან განსხვავებულ სიბრძნეს შეიცავს. მაგრამ ხომ ხვდები, რატომაც მოათავსეს ის აქ, ლომებისა და ურჩხულების სამყოფელში. ამიტომაც შეგვხვდა აქ ის წიგნიც ურჩხულთა შესახებ, რომელშიც მარტორქა იყო გამოსახული. ამ ოთახებში, რომლებსაც სახელწოდება LEONES აერთიანებს, ბიბლიოთეკის მშენებლებმა ის წიგნები განათავსეს, რომლებსაც სიცრუეთა წიგნებად თვლიდნენ. იქით რა არის?

– ლათინური ტექსტებია, მაგრამ არაბულიდან თარგმნილი. აიუბ ალ-რუჰავი, „ტრაქტატი ძაღლთა ჰიდროფობიის“ შესახებ. ეს განძეულობათა წიგნია. ეს კი ალჰაზენის „სანახაობათა შესახებ“…

– ხედავ, ურჩხულებსა და სიცრუეთა შორის ისეთი მეცნიერული წიგნებიც მოუთავსებიათ, საიდანაც ქრისტიანებს უამრავი რამ აქვთ სასწავლი. ასე ფიქრობდნენ იმ დროს, ეს ბიბლიოთეკა რომ აიგო…

– მაგრამ სიცრუეთა შორის რატომ დადეს მარტორქიანი წიგნი? – ვიკითხე.

– აშკარაა, ბიბლიოთეკის მშენებლები უცნაურად სჯიდნენ. ალბათ, მიიჩნიეს, რომ შორეული ქვეყნების ბინადარ და ფანტასტიკურ ცხოველთა შესახებ წიგნი ურჯულოთა მიერ გავრცელებულ სიცრუის ნაწილი უნდა ყოფილიყო…

– განა მარტორქა სიცრუეა? ის ხომ უთვინიერესი, სიმბოლური ცხოველია, ქრისტესა და უბიწობის განსახიერება… მის დასაჭერად საკმარისია ტყეში ქალწული შეუშვა, მისი უბიწო სურნელება იზიდავს მარტორქას, თავად მიდის და კალთაში ჩაუდებს თავს ქალწულს, და ასე უვარდება ხელთ მონადირეს.

– ასე ამბობენ, ადსო. მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ეს წარმართთა ზღაპრული გამონაგონია.

– რას ამბობთ, – ვთქვი გულდაწყვეტილმა, – ისე მინდოდა, ოდესმე მეც შემხვედროდა ტყეში, აბა, სხვაგვარად ტყეში გავლა რა სასიამოვნოა?

– არავინ ამბობს, არ არსებობსო. შესაძლოა, ისეთი არაა, როგორადაც მას ამ წიგნებში აღწერენ. ერთი ვენეციელი მოგზაური ძალიან შორეულ ქვეყნებამდე ჩასულა, რუკებზე აღნიშნული fons paradisi-ს[189] საზღვრამდე, და მარტორქები უნახავს. მაგრამ ისინი

ტლანქი, უშნო და შავი ცხოველები ყოფილან, ნამდვილი მხეცები შუბლზე ამოსული რქით. ვფიქრობ, ეს ის მხეცები იყო, უძველეს მეცნიერთ რომ აღუწერიათ (ისინი ყოველთვის კი არ ცდებოდნენ), რომელთაც ღმერთმა ბევრი რამ ისეთი აჩვენა, რაც ჩვენ არ გვინახავს. და ვფიქრობ, მათი თავდაპირველი აღწერილობა ზუსტი და მართებული იყო, შემდეგ ის ხელიდან ხელში გადავიდა და ათასგვარი გამონაგონით შეიმკო. ასე იქცა მარტორქა ნატიფ, თეთრ, თვინიერ ცხოველად. ჰოდა, თუ ყური მოჰკრა, რომ რომელიმე ტყეში მარტორქა ბინადრობს, ნუ დაეშურები ქალწულთან ერთად მის საძიებლად წასვლას, რადგან შესაძლოა, ცხოველი ვენეციელი მოგზაურის მიერ ნანახს უფრო ჰგავდეს, ვიდრე ამ წიგნში აღწერილს.

– კი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ძველი ცოდნის დიდოსტატებს ღმერთმა მარტორქის ჭეშმარიტი ბუნება გაუმჟღავნა?

– მათ უბრალოდ თავად ნახეს ეს ცხოველები: იმ მხარეში დაიბადნენ, სადაც მარტორქები ცხოვრობდნენ, ან იმ დროში, როცა მარტორქები აქაც ბინადრობდნენ.

– აბა როგორღა მივენდოთ ძველ ცოდნას, ან რატომ ეძებთ მის კვალს მუდამ, თუკი მან ჩვენამდე მატყუარა წიგნების საშუალებით, უწყალოდ დამახინჯებულმა მოაღწია?

– წიგნები კვლევისთვისაა შექმნილი და არა იმისთვის, რომ მათი გვწამდეს. იმაზე კი არ უნდა იფიქრო, რას გეუბნება წიგნი, არამედ იმაზე, თუ რის თქმა სურს მას. და ეს ნათლად ჰქონდათ გააზრებული წმინდა წიგნების ძველ განმმარტებელთ. ის მარტორქა, ამ წიგნებში რომაა აღწერილი, ზნეობრივ, ალეგორიულ ან ანაგოგიურ ჭეშმარიტებას ფარავს, რომელიც ნამდვილია ისევე, როგორც რწმენა, რომ უბიწობა სათნო ნიჭია. თუმცა გასარკვევია, თავდაპირველი გამოცდილების რა მონაცემის საფუძველზე აღმოცენდა ის საწყისი ჭეშმარიტება, რომელსაც ეს დანარჩენი სამი ეყრდნობა. საწყისი მნიშვნელობა საკამათოა, თუმცა ზემნიშვნელობა ძალაში რჩება. ერთ წიგნში წერია, რომ ალმასი მხოლოდ მამალი თხის სისხლით იჭრება. ჩემმა დიდმა მოძღვარმა როჯერ ბეკონმა მითხრა, ტყუილიაო, მარტივი მიზეზის გამო: თავად უცდია და არაფერი გამოსვლია. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ნათქვამი მცდარია, ალმასსა და თხის სისხლს შორის კავშირში რამე უფრო ღრმა სიმბოლური შინაარსი რომ ყოფილიყო, ის უცვლელი, კვლავაც მნიშვნელოვანი დარჩებოდა.

– მაშ, შეიძლება, უზენაეს ჭეშმარიტებათა პირდაპირი მნიშვნელობა სიცრუეც იყოს, – ვთქვი, – თუმცა, მართლა გული მწყდება, რომ მარტორქა, როგორც ასეთი, არ არსებობს ან არ არსებობდა, და ვერც ვერასოდეს იარსებებს.

– რა უფლება გვაქვს, ზღვარი დავუდოთ ღვთაებრივ ყოვლისშემძლეობას. ღმერთი თუ ინებებს, შესაძლოა, მარტორქებმაც იარსებონ. მაგრამ დამშვიდდი, ისინი ამ წიგნებში არსებობენ, რომლებიც თუ რეალურ არსებებზე არა, შესაძლო არსებებზე მაინც მოგვითხრობენ.

– გამოდის, რომ კითხვისას რწმენა – საღვთისმეტყველო ნიჭი არ უნდა მოვიშველიოთ?

– კიდევ ორი საღვთისმეტყველო ნიჭი არსებობს: იმედი იმისა, რომ შესაძლებელი არსებობს და სიყვარული მისდამი, ვინც წრფელი გულით ირწმუნა, რომ შესაძლებელი არსებობს.

– მაგრამ რაში გჭირდებათ მარტორქა, თუკი თქვენს გონებას მისი არსებობის არ სჯერა?

– მჭირდება ისევე, როგორც ღორის სისხლით სავსე ჭურჭლამდე მითრეული ვენანციუსის სხეულისაგან თოვლზე დატოვებული კვალი დამჭირდა. წიგნებში აღწერილი მარტორქა ნაკვალევივითაა. თუ კვალი არსებობს, ისიც უნდა არსებობდეს, რამაც კვალი დატოვა.

– მაგრამ წეღან არ თქვით, ის შეიძლება ნაკვალევისგან განსხვავებული იყოსო?

– რა თქმა უნდა. საგანი ყოველთვის თავისივე ფორმის კვალს როდი ტოვებს. ნაკვალევი მხოლოდ სხეულის სიმძიმისაგან კი არ რჩება. ზოგჯერ ის შთაბეჭდილებას ასახავს, რომელიც ამა თუ იმ სხეულმა ჩვენს გონებაში დატოვა, ანუ კვალი ხანდახან იდეის ანაბეჭდია. იდეა საგანთა ნიშანია, გამოსახულება კი – იდეის ნიშანი, ანუ ნიშნის ნიშანი.

მაგრამ გამოსახულების მიხედვით, თავად სხეულს თუ ვერ წარმოვიდგენ, იმას მაინც მივხვდები, სხვა როგორ აღიქვამდა მას.

– და თქვენთვის ეს საკმარისია?

– არა, რადგან ნამდვილი მეცნიერება იდეებით, ანუ ნიშნებით, არ უნდა დაკმაყოფილდეს. მეცნიერებამ ყოველივე თავის განუმეორებელ ჭეშმარიტებაში უნდა იპოვოს. ამიტომაც მინდა, ნაკვალევის ნაკვალევიდან იმ მარტორქამდე მივიდე, რომელიც ჯაჭვის თავში დგას. ასევე ვცდილობ, ვენანციუსის მკვლელის დატოვებულ ბუნდოვან ნაკვალევს გავყვე (ის არის ნიშანი, რომელსაც მრავალ ადამიანთან შეუძლია ჩვენი მიყვანა) და მკვლელს მივაგნო. მაგრამ ასე სწრაფად და სხვა ნიშნების დაუხმარებლად ეს ადვილი არ იქნება.

– მაშ, გამოდის, რომ რასაც ვიკვლევ, სხვა რამეზე მიმანიშნებს, ის კიდევ სხვაზე და ასე, უსასრულოდ? მაშ იმ საბოლოო, ნამდვილ მიზანს ვერასოდეს დავინახავ?

– დაინახავ, ალბათ. ესაა სწორედ ჩვენი მარტორქა. ნუ ღელავ, ადრე თუ გვიან გამოჩნდება, რაგინდ შავი და უშნოც უნდა იყოს.

– მარტორქები, ლომები, არაბი ავტორები, ზოგადად შავკანიანები, – ჩავილაპარაკე, – უეჭველია, ესაა ის აფრიკა, რომელზეც ბერები ლაპარაკობდნენ.

– ნამდვილად ესაა. და თუ ასეა, ის აფრიკელი პოეტები იქნებიან აქ, რომლებზეც პაციფიკუს ტივოლელი მიგვანიშნებდა.

მართლაც, უკან დავბრუნდი და L-ით აღნიშნულ ოთახში ერთ-ერთ კარადაში ფლორუსის, ფრონტონის, აპულეუსის, მარციანუს კაპელასა და ფულგენციუსის ნაშრომები აღმოვაჩინე.

– მაშ აქაა დამალული, ბერენგარიუსის აზრით, რაღაც საიდუმლოს ახსნა, – ვუთხარი.

– თითქმის. მან „აფრიკის კიდე“ ახსენა და ამ გამოთქმამ გააგულისა ასე მალაქია. შეიძლება, „კიდე“ უკანასკნელი ოთახია. ანდა… – შეძახილი აღმოხდა: – კლონმაკნოისის[190] შვიდ ტაძარს ვფიცავ! არაფერი შეგინიშნავს?

– რა?

– უკან დავბრუნდეთ, S-ით აღნიშნულ ოთახში, საიდანაც დავიწყეთ.

პირველ უფანჯრო ოთახში დავბრუნდით, სადაც ეწერა: „Super thronos viginti quatuor“. მას ოთხი გასასვლელი ჰქონდა. პირველით Y-ით აღნიშნულ ოთახში გადიოდი, რომლის ფანჯარაც რვაკუთხედს უყურებდა. მეორე ღიობი P-ასოიან ოთახში გადიოდა, რომელიც გარე ფასადის გასწვრივ ჩამწკრივებულ YSPANIA-ს ოთახებს აგრძელებდა. კოშკის მხარეს მდებარე გასასვლელით E-თი აღნიშნულ ოთახში შეიძლებოდა მოხვედრა, საიდანაც მანამდე დავბრუნდით. შემდეგ ერთი ყრუ კედელი იყო, მის იქით კი – მეოთხე ღიობი, რომლითაც U-თი მონიშნულ მეორე უფანჯრო ოთახში ხვდებოდი. S-ით აღნიშნულ ოთახში სარკე ეკიდა და, საბედნიეროდ, ჩემგან ხელმარჯვნივ იყო, თორემ ისევ შემაშინებდა.

გეგმას რომ დავუკვირდი, შევნიშნე, რომ ეს ოთახი განსაკუთრებული იყო. დანარჩენი სამი კოშკის უფანჯრო ოთახებივით ისიც ცენტრალურ შვიდკუთხა ოთახთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ასე რომ არ ყოფილიყო, შვიდკუთხა ოთახში U-თი აღნიშნული მიმდებარე უფანჯრო ოთახიდან უნდა შესულიყავი. მაგრამ ამ უკანასკნელს, რომელიც ერთი მხრიდან T-თი აღნიშნულ ოთახში გადიოდა (შიდა რვაკუთხედზე გამავალი ერთი ფანჯრით), მეორე გასასვლელით კი S-იან ოთახს უკავშირდებოდა, დარჩენილი სამი კედელი ყრუ ჰქონდა, კარადებით დაფარული. მიმოვიხედეთ და ის შევნიშნეთ, რაც გეგმიდანაც ცხადად ჩანდა: ლოგიკის თანახმად, მკაცრ სიმეტრიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ კოშკს თავისი შვიდკუთხა ოთახი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეს ოთახი არსად ჩანდა.

– არ არის, – ვთქვი.

– შეუძლებელია. რომ არ იყოს, სხვა ოთახები უფრო დიდი იქნებოდა, ისინი კი მეტ-

ნაკლებად ისეთივეა, როგორიც დანარჩენი სამი მხარის შესაბამისი ოთახები. არის, უბრალოდ ვერ ვუდგებით.

– შესასვლელი ამოშენებულია?

– შესაძლებელია. აი, სად არის „აფრიკის კიდე“, ის ადგილი, რომელსაც აწ გარდაცვლილი ცნობისმოყვარენი უტრიალებდნენ. შესასვლელი არ ჩანს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობს. უფრო მეტიც, შესასვლელი ნამდვილად არსებობს და ვენანციუსმა მიაგნო მას, ან ადელმუსმა აღუწერა, ადელმუსს კი – ბერენგარიუსმა. მისი ჩანაწერები გადავიკითხოთ.

სამოსიდან ვენანციუსის ნაწერი ამოიღო და გადაიკითხა: „შეახე ხელი კერპის ოთხიდან პირველსა და მეშვიდეს“. უილიამმა მიმოიხედა: – რა თქმა უნდა! Idolum ხომ სარკესაც ნიშნავს! ვენანციუსი ბერძნულად ფიქრობდა, ხოლო ამ ენაზე Eidolon გამოსახულებასაც აღნიშნავს და ანარეკლსაც. სარკე კი ანარეკლის სახით გვიბრუნებს ჩვენს სახეცვლილ გამოსახულებას, იმ ღამით მოჩვენება რომ გვეგონა! მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს მაშინ ეს „სარკის ოთხიდან“? რაღაცას მიანიშნებს ზედაპირზე, რომელიც ირეკლავს? მაშინ ისეთი კუთხე უნდა მოვძებნოთ, საიდანაც იმ რაღაცის დანახვას შევძლებთ, რაც სარკეში ირეკლება და ვენანციუსის აღწერილობას შეესაბამება…

სად არ დავდექით, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენს გამოსახულებათა გარდა სარკეში მხოლოდ ლამპრის შუქით მკრთალად განათებული ოთახის ბუნდოვანი კონტურები იკვეთებოდა.

– მაშ, – განაგრძობდა უილიამი, – „სარკეზე“ კი არა, შესაძლოა, „სარკის მიღმას“ გულისხმობს… თუ ასეა, ჯერ სარკის მეორე მხარეს უნდა აღმოვჩნდეთ, რადგანაც ის უეჭველად კარია…

სარკე საშუალო ადამიანზე მაღალი იყო, მუხის სქელ ჩარჩოში იჯდა და კედელში იყო ჩადგმული. ათასნაირად ვცადეთ, ხელი კედელსა და ჩარჩოს შორის შეგვეცურებინა, ფრჩხილებითაც ვეწვალეთ, მაგრამ ამაოდ, სარკე არ იძროდა, თითქოს კედელს შეზრდოდა, ქვაში ჩაჭედილ ქვასავით.

– თუ „მიღმა“ არ არის, მაშინ, შესაძლოა, „ზევით“ იყოს, – ბუტბუტებდა ჩემი მასწავლებელი და ფეხის წვერებზე აწეული ხელს ჩარჩოს ზედა ნაპირის გასწვრივ აფათურებდა, მაგრამ მტვრის გარდა იქ ვერაფერი ნახა.

– თანაც, – ნაღვლიანად განაგრძობდა უილიამი, – იქით მხარეს ოთახი რომც იყოს, წიგნი, ჩვენ რომ ვეძებთ და რომელსაც სხვებიც ეძებდნენ, იმ ოთახში აღარ იქნება, ჯერ ვენანციუსი გაიტანდა და შემდეგ კი ბერენგარიუსმა ვინ იცის, სად წაიღო.

– იქნებ ბერენგარიუსმა წიგნი ისევ აქ დააბრუნა?

– არა, იმ საღამოს ჩვენ ვიყავით ბიბლიოთეკაში, ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ბერენგარიუსი წიგნის მოტაცებიდან მალე, იმავე ღამეს მოკვდა, აბანოში. ასე რომ არ ყოფილიყო, მას მეორე დილით ვნახავდით. მაგას მნიშვნელობა არ აქვს… ჯერჯერობით ის დავადგინეთ, სად არის „აფრიკის კიდე“ და თითქმის ყველა მონაცემი გვაქვს ბიბლიოთეკის გეგმის კარგად შესასწავლად. უნდა აღიარო, რომ ლაბირინთის მრავალ საიდუმლოს აეხადა ფარდა. უფრო სწორად, ყველა საიდუმლოს, ერთის გარდა. ვფიქრობ, ვენანციუსის ხელნაწერის ყურადღებით გადაკითხვა მეტს მომცემს, ვიდრე შემდგომი კვლევა. ხომ ნახე, ლაბირინთის საიდუმლო გარედან ამოვხსენით და არა შიგნიდან. ახლა ჩვენს დამახინჯებულ ანარეკლთა ყურებით საქმეს ვერ ვუშველით. თან ლამპარიც ინავლება. მოდი, გეგმის სრულყოფისთვის რაც გვჭირდება, ის ჩავინიშნოთ.

რამდენიმე ოთახი შემოვიარეთ და ყველა სიახლე ჩემს გეგმაზე აღვნიშნეთ. ვნახეთ ოთახები, სადაც მხოლოდ მათემატიკისა და ასტრონომიის წიგნები ინახებოდა, ზოგან ორივესთვის უცხო, არამეულ ენაზე ნაწერი შრომები დაგვხვდა, ზოგან კი – მთლად გაუგებარი, უცნობი ანბანებით ნაწერი წიგნები; შესაძლოა, ეს ტექსტები ინდოეთიდან იყო. მივხვდით, რომ ერთიმეორეში გამავალი ოთახების ორი რიგი იყო, ერთი აღენიშნათ ასოებით IUDAEA და მეორე – AEGYPTUS. დიდხანს აღარ შევაწყენ მკითხველს იმის

აღწერით, თუ როგორ აღვნუსხავდით თითოეულ აღმოჩენას, გეტყვით მხოლოდ, რომ ყოველი მითითების გეგმაზე აღნიშვნის შედეგად დავრწმუნდით, რომ ბიბლიოთეკა მართლაც დედამიწის აგებულების მიხედვით იყო ჩაფიქრებული. ჩრდილოეთით ANGLIA და GERMANI მდებარეობდა, რომლებიც დასავლეთის კედლით GALLIA-ს უერთდებოდა, შემდეგ კი უკიდურეს დასავლეთში HIBERNIA-ს ქმნიდა, სამხრეთის კედლისკენ კი – ROMA-სა (ლათინურენოვან კლასიკოსთა სამოთხე!) და YSPANIA-ს. სამხრეთით განლაგდა LEONES-ი და AEGYPTUS-ი, რომლებიც აღმოსავლეთისკენ IUDEA-სა და FONS ADAE-ს უერთდებოდა. აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთს შორის კედელს მიუყვებოდა ACAIA, უილიამის აზრით, საბერძნეთის აღსანიშნავად კარგად მორგებული სინეკდოქე[191]. მართლაც, მის ოთხ ოთახში წარმართული ანტიკური სამყაროს პოეტთა და ფილოსოფოსთა მრავალი შრომა ვიხილეთ.

ასოები სხვადასხვაგვარად და უცნაურად იკითხებოდა. ზოგჯერ ერთი მიმართულებით მივდიოდით, დროდადრო კი უკუსვლა გვიწევდა, ხანაც ოთახებს წრიულად მივუყვებოდით. როგორც ვთქვი, ზოგჯერ ერთი ასო ორი სხვადასხვა სიტყვის შემადგენლობაში შედიოდა (და ასეთ შემთხვევაში ოთახში ორივე თემას ცალ-ცალკე კარადები ეთმობოდა). თუმცა, ცხადია, ამ განლაგებას ოქროს წესი არ ედო საფუძვლად. ეს მხოლოდ მნემონიკური ხერხი იყო, ბიბლიოთეკარისთვის საჭირო წიგნის პოვნის გასაადვილებლად. თუ წიგნის ადგილმდებარეობა „მეოთხე Acaiae-თი“ განისაზღვრებოდა, ეს ნიშნავდა, რომ ხსენებული წიგნი სიტყვის საწყისი A-თი აღნიშნული პირველი ოთახიდან რიგით მეოთხე ოთახში ინახებოდა. ოთახის მისაგნებად კი, როგორც ჩანს, ბიბლიოთეკარმა ზეპირად იცოდა მასთან მიმავალი პირდაპირი თუ შემოვლითი გზა. მაგალითად, ACAIA კვადრატის ფორმაზე განლაგებული ოთხი ოთახისგან შედგებოდა, რაც ნიშნავს, რომ სიტყვის პირველი და უკანასკნელი A ერთი და იგივე იყო. ამას მალევე მივხვდით, ისევე, როგორც ტიხართა განლაგების თავისებურებას. თუ, მაგალითად, აღმოსავლეთის მხრიდან მოდიოდი, ACAIA-ს არც ერთი ოთახი არ გადიოდა მომდევნო ოთახებში: ლაბირინთი ამ ადგილას მთავრდებოდა და ჩრდილოეთის კოშკში შესაღწევად დანარჩენი სამი კოშკის გავლა იყო საჭირო. მაგრამ, ბუნებრივია, FONS-იდან შემოსულმა ბიბლიოთეკარებმა კარგად იცოდნენ, რომ, მაგალითად, ANGLIA-ში მოსახვედრად მათ ჯერ AEGYPTUS, YSPANIA, GALLIA და GERMANI უნდა გაევლოთ.

არაერთი მშვენიერი აღმოჩენით დასრულდა ბიბლიოთეკის ნაყოფიერი კვლევა. თუმცა სანამ ვიტყვი, კმაყოფილებმა გასასვლელს მივაშურეთ-მეთქი (იქ კი სხვა მოვლენები გველოდა, რაზეც მალე მოგიყვებით), უნდა გავამხილო, რომ სამხრეთის კოშკის ოთახებში ბორიალისას, რომელთაც სახელი LEONES აერთიანებდა, ჩემი მასწავლებელი არაბული წიგნებით სავსე ოთახში შეჩერდა, სადაც უამრავი საინტერესო ნაშრომი იყო ოპტიკაზე. იმ საღამოს ერთის ნაცვლად ორი ლამპარი გვქონდა და ცნობისმოყვარეობამ წამძლია, უილიამი დავტოვე და გვერდითა ოთახში გავედი. ბიბლიოთეკის აღმშენებელთა სიბრძნესა და წინდახედულებას ამ ოთახის ერთ-ერთი კედლის გასწვრივ ისეთი წიგნები მოეთავსებინა, რომელთა წაკითხვაც, ბუნებრივია, ყველასთვის ნებადართული ვერ იქნებოდა, რამეთუ ეს წიგნები სულისა და სხეულის ათასგვარ სნეულებას აღწერდა. თითქმის ყველა მათგანი ურჯულოთა დაწერილი იყო. მომცრო ზომის წიგნი მომხვდა თვალში, რომელსაც (საბედნიეროდ!) შინაარსისგან სრულიად განსხვავებული მინიატურები ამშვენებდა. ყვავილებით, პწკალებით, დაწყვილებული ცხოველებით, სამკურნალო ბალახებით დასურათებულ წიგნს „Speculum amoris“[192] ერქვა და ვინმე ბოლონიელი ბერის მაქსიმუსის ქმნილება იყო. ნაშრომი ერთიანად სხვა წიგნებიდან ამოკრეფილი ფრაზებით იყო შედგენილი და სიყვარულის სენს აღწერდა.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჩემი სნეული ცნობისწადილის გასაღვივებლად მეტი არც იყო საჭირო. სათაურმა მყის გამიღიზიანა დილანდელი აგზნების შემდეგ მიყუჩებული გონება და მასში გოგონას ხატება გააცოცხლა.

მთელი დღე ვებრძოდი და განვდევნიდი გონებიდან დილანდელ აზრებს, საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ მსგავსი რამ ჯანსაღ, გაწონასწორებულ მორჩილს არ შეშვენოდა. თანაც დღეც ისეთი დატვირთული აღმოჩნდა, რომ გამიადვილა აკვიატებასთან ბრძოლა. საღამოსკენ კი ისე დამიცხრა და მიმიყუჩდა წადილი, რომ ვირწმუნე, წარმავალ შფოთვას სამუდამოდ დავეხსენი-მეთქი. მაგრამ ეს წიგნი დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ

უფრო მეტად ვიყავი სიყვარულის სენით შეპყრობილი, ვიდრე მეგონა. მოგვიანებით გავიგე, რომ სამედიცინო წიგნების კითხვისას ადამიანი რწმუნდება, რომ სწორედ ის დაავადება აწუხებს, რომელიც წიგნშია აღწერილი. სწორედ იმ გვერდების კითხვისას (მალულად, ნაჩქარევად რომ ვფურცლავდი, იმის შიშით, უილიამს ოთახში არ შემოეხედა და არ ეკითხა, რას ვკითხულობდი ასეთი მონდომებით) ვირწმუნე, რომ შეპყრობილი ვიყავი სენით, რომლის ნიშნებიც იმდენად ხატოვნად იყო აღწერილი, რომ თან მაფიქრებდა საკუთარი დაავადება და თან მანუგეშებდა ჩემი მდგომარეობის ასეთი ცოცხალი და დაწვრილებითი აღწერა. თავს ვირწმუნებდი, ავად კი ვარ, მაგრამ რამე უჩვეულო არ უნდა მჭირდეს, რადგან ამდენს უწვალია ქვეყნად ჩემსავით-მეთქი.

გული ამიჩუყა იბნ ჰაზმის სიტყვებმა, სიყვარულს მეამბოხე სენს რომ უწოდებს და ამბობს, სიყვარულის სალბუნი თავად სიყვარულიაო; ამბობს, ამ სნეულებით შეპყრობილს განკურნება არ სურს, მის ტყვეობას თავი დააღწიოსო (და ღმერთია მოწამე, რომ ეს მართალია!). მივხვდი, რატომ აღმაგზნებდა იმ დილით ყოველივე, რასაც ჩემ გარშემო ვხედავდი. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ისაა, რომ სიყვარული თვალებიდან შედის ადამიანში, რასაც ბასილი ანკირელიც ადასტურებს, და სიყვარულის უტყუარი ნიშანია, რომ სნეული მეტისმეტად მხიარული ჩანს, თუმცა ამავე დროს განმარტოებას დაეძებს (როგორც მე იმ დილას). სიყვარულს თან ახლავს ძლიერი მოუსვენრობა და გაოგნება, რომელიც მეტყველების უნარს ართმევს ადამიანს…

შემაშინა იმის წაკითხვამ, რომ სატრფოსთან დაშორება თურმე გულწრფელი მიჯნურის დაუძლურებას იწვევს და ხშირად მისი ლოგინად ჩავარდნის მიზეზიც ხდება, ზოგჯერ კი სენი ტვინს აძაბუნებს, ადამიანი აზროვნების უნარს კარგავს და ბოდავს (როგორც ჩანს, ამ მდგომარეობამდე ჯერ არ ვიყავი მისული, რადგან ბიბლიოთეკის კვლევისას საკმაოდ კარგად ვაზროვნებდი). შეშფოთებულმა ისიც შევიტყვე, რომ გართულების შემთხვევაში დაავადება შეიძლება მომაკვდინებელი იყოს და გავიფიქრე, ღირს კი ასეთ მსხვერპლად ის სიხარული, რომელსაც გოგონაზე ფიქრი მანიჭებს-მეთქი? იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ეს გრძნობა ჩემს სულიერ სიჯანსაღეს უქმნიდა საფრთხეს: წიგნი ამაზეც გვაფრთხილებდა.

გარდა ამისა, წმინდა ჰილდეგარდას სიტყვებიდან შევიტყვე, რომ ჩემი იმდღევანდელი სევდიანი განწყობა, რომელსაც გოგონას ნახვის ტკბილ ნატვრას მივაწერდი, სახიფათოდ ჰგავს შეგრძნებას ადამიანისა, რომელმაც ზურგი აქცია სამოთხეში ყოფნით განცდილ ჰარმონიულ, სრულქმნილ მდგომარეობას და რომ ეს nigra et amara[193] ნაღველი ეშმაკის კარნახისა და გველის სისინის ნაყოფია. ამ აზრს იზიარებდნენ სიბრძნით განთქმული ურჯულონიც: თვალში მომხვდა სტრიქონები, აბუ ბაქრ-მუჰამად იბნ ზაქარია ალ-რაზის რომ მიეწერებოდა. ის ერთ-ერთ „სიზმართა წიგნში“ სასიყვარულო ნაღველს ლიქანთროპიას ადარებს, რომელიც სნეულს მგლურ ქცევასა და ჩვევებს უღვივებს. მიჯნურს თავდაპირველად გარეგნული იერი ეცვლება, მზერა უსუსტდება, თვალები ეშრიტება და ცარიელ ღრმულებად გადაექცევა, ენა ნელ-ნელა უშრება და მუწუკებით ეფარება, მერე კი მთელი სხეული უხმება და გამუდმებით ტანჯავს წყურვილი. ამ მდგომარეობაში სნეულნი მთელ დღეებს პირქვე ჩამხობილნი ატარებენ, სახესა და წვივის ძვლებზე ძაღლის ნაკბენის მსგავსი ნიშნები უჩნდებათ, ბოლოს კი ღამღამობით სასაფლაოებზე დაძრწიან.

დიდი ავიცენას სიტყვებმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჩემი მდგომარეობა მძიმე იყო. ის სიყვარულს განსაზღვრავდა, როგორც საპირისპირო სქესის ადამიანის ნაკვთებზე, მიმოხვრაზე უსასრულო ფიქრის შედეგად აღმოცენებულ სევდიან ახირებას (რა ზუსტად და მკაფიოდ გამოხატა ავიცენამ ჩემი მდგომარეობა!). თავდაპირველად ის დაავადებას არ ჰგავს, თუმცა სენად იქცევა, როდესაც დაუკმაყოფილებლობის გამო აკვიატებად გარდაიქმნება (და რატომ ვიყავი აკვიატებული აზრის ტყვეობაში მე, თუკი, შემინდოს უფალმა, სრულიად დავკმაყოფილდი? იქნებ ის, რაც წინა ღამით მოხდა, სიყვარულის დაკმაყოფილება არ ყოფილა? აბა, მაშ რა აყუჩებს ამ სენს?) და შედეგად ადამიანი განუწყვეტლივ ამოძრავებს ქუთუთოებს, არათანაბრად სუნთქავს, ხან ტირის და ხან იცინის, გული უცემს (მართლაც, გული მიცემდა და სუნთქვა მეკვროდა, იმ სტრიქონებს რომ ვკითხულობდი!). ავიცენა მანამდე გალენის მიერ ნაცად უტყუარ ხერხს აღწერდა იმის დასადგენად, თუ ვისზე იყო შეყვარებული ადამიანი: ტანჯულს მაჯაზე ხელი უნდა დაადო

და საპირისპირო სქესის მრავალი არსების სახელი ჩამოუთვალო, სანამ რომელიმე მათგანის გაგონებისას მაჯისცემა არ აუჩქარდება. ვკითხულობდი და შიში მზარავდა, ვაითუ უცებ ჩემი მასწავლებელი შემოსულიყო, ჩემი მაჯა აეღო და სისხლძარღვთა ფეთქვაში ჩემი საიდუმლო ამოეკითხა. საშინლად შემრცხვებოდა… ვაგლახ, რომ სნეულების განსაკურნავად ავიცენა საყვარლებს დაქორწინებას ურჩევდა. მართლაც რომ ურჯულო იყო, მიუხედავად თავისი განსწავლულობისა, რამეთუ ანგარიშს არ უწევდა ბენედიქტელი მორჩილის მდგომარეობას, რომელსაც, გამოდის, განკურნება არ ეწერა. უფრო სწორად, რომელსაც (საკუთარი არჩევანით თუ ნათესავთა წინდახედულებით) აღთქმული ჰქონდა, რომ არასოდეს შეეყრებოდა ეს სენი. საბედნიეროდ, ავიცენამ (თუმცა კლიუნიელ ბერთა ორდენზე ზრუნვის გამო არა) ისეთი შემთხვევაც გაითვალისწინა, როცა საყვარელთა დაკავშირება შეუძლებელია და სნეულთ ცხელ აბაზანებს ურჩევდა, როგორც განკურნების უკიდურეს საშუალებას (იქნებ ბერენგარიუსს გარდაცვლილი ადელმუსის სიყვარულისგან განკურნება სურდა? მაგრამ ნუთუ შესაძლებელია სიყვარულის სენი საკუთარი სქესის არსების გამო შეგეყაროს, განა ეს პირუტყვული ავხორცობა არაა? პირუტყვული არ იყო წუხანდელი ჩემი ავხორცობაც? არა, უმალ ვუპასუხე საკუთარ თავს, ის უტკბესი განცდა იყო, და მაშინვე მივაყოლე: ცდები, ადსო, ეს ეშმაკის შთაგონებული, ყოვლად ცხოველური ვნება იყო და თუ წუხელ პირუტყვული საქციელით შესცოდე, ახლა კი მეტად სცოდავ, რადგან ამის აღიარება არ გსურს!). თუმცა ავიცენა განკურნების სხვა საშუალებებზეც ლაპარაკობდა: მაგალითად, შეიძლებოდა ბებერ, გამოცდილ ქალთა დახმარებით სარგებლობა, რომლებსაც საყვარელი ასული უნდა ეძაგებინათ. როგორც ჩანს, ამ საქმეში დედაბრებს მამაკაცებზე მეტი გაეგებათ. იქნებ სწორედ ეს იყო ჩემთვის გამოსავალი, მაგრამ მონასტერში დედაბრები სად მეძებნა (სიმართლე ითქვას, ვერც ყმაწვილ ქალებს მოძებნიდი ადვილად). მაშ, რომელიმე ბერისთვის უნდა მეთხოვა, აუგად ეხსენებინა ჩემთან გოგონა. მაგრამ ასეთი რამ ვისთვის მეთხოვა? თანაც ბერს რა ეცოდინებოდა ქალებზე, ამისთვის ჭორიკანა ბებრუხანა იყო საჭირო. სარკინოზის უკანასკნელი რჩევა კი პირდაპირ უტიფარი იყო, რადგან უბედურ მიჯნურს მონა ქალებთან სარეცლის გაზიარებას ურჩევდა, ეს კი ბერს არ შეეფერება. მაინც თავს ვიტეხდი, როგორ უნდა განიკურნოს სიყვარულის სენისაგან ახალგაზრდა ბერი-მეთქი? ნუთუ მისთვის ხსნა არ არსებობს? იქნებ სევერინუსისთვის მიმემართა და მისი ბალახებით მემკურნალა? მართლა ვნახე ერთი ნაწყვეტი ვილანოველი არნალდუსის ნაწერებში (უილიამისგან გამეგონა მასზე, დიდად აფასებდა ამ კაცს), სადაც ის სიყვარულის დაავადების აღმოცენებას განცდათა და სითხეთა სიჭარბეს მიაწერს, ანუ, მისი აზრით, ეს სნეულება მაშინ იბადება, როცა ადამიანის ორგანიზმში ჭარბად გამომუშავდება სითხე და სითბო, რამეთუ მოჭარბებული სისხლი (რომლისგანაც სიცოცხლის გამგრძელებელი თესლი იბადება) ჭარბ თესლს, იგივე complexio venerea[194]-ს წარმოქმნის და ქალისა და მამაკაცის შერწყმის ძლიერ სურვილს ბადებს. არსებობს შეფასების უნარი, რომელიც თავის ტვინის შუა წილის უკანა მხარესაა განთავსებული (ნეტავ ეს რაღაა-მეთქი, ვიფიქრე), რომლის მიზანიც გრძნობათა მიერ აღქმულ გრძნობად საგნებში ჩადებულ არაგრძნობად წადილთა და ზრახვათა წვდომაა. და როცა სასიყვარულო ლტოლვა მეტისმეტად ძლიერდება, შეფასების ნიჭი ბრუნდება, სნეული შფოთავს და საყვარლის ზმანებით საზრდოობს ოდენ. ამ დროს სულსა და სხეულს ერთიანად ედება ალი, სიხარულს მწუხარება ენაცვლება, რამეთუ სიხარულის განცდისას მხურვალება (რომელიც სასოწარკვეთილების წუთებში სხეულის სიღრმეებში იღვრება და კანს აცივებს) სხეულის ზედაპირზე ამოდის და სახეს ალმურს უკიდებს. არნალდუსი სნეულთ ურჩევდა, განეგდოთ საყვარლის დაუფლების იმედი და რწმენა, რათა მასზე ფიქრისაგან გათავისუფლებულიყვნენ.

თუ ასეა, განვკურნებულვარ ან განკურნების გზას ვადგავარ-მეთქი, ვიფიქრე, რადგან უმცირესი, თითქმის არანაირი იმედი არ მაქვს ჩემს ფიქრთა მპყრობელის ხილვისა, რომც ვიხილო – მასთან მიახლოებისა, რომც მივუახლოვდე – მისი კვლავ დაუფლებისა, და თუნდაც დავეუფლო – მისი გვერდით ყოლისა, და არა მარტო იმიტომ, რომ ბერი ვარ, არამედ – ოჯახის წინაშე ვალდებულებათა გამო… გადავრჩი-მეთქი, ვიფიქრე, წიგნი დავხურე და ვცადე, გონება მომეკრიბა, როცა უილიამი ოთახში შემოვიდა. ერთად განვაგრძეთ სვლა ლაბირინთში, რომელიც ჩვენთვის საიდუმლო აღარ იყო და ჩემი აკვიატება წამით მიმავიწყდა.

როგორც ვნახავთ, მისი ხელახლა გახსენება სულ მცირე ხანში კვლავ მომიწევდა, თუმცა,

ვაი, რომ სულ სხვაგვარ ვითარებაში.

ღამე

სადაც სალვატორე საცოდავად უვარდება კლანჭებში ბერნარ გუის, ადსოს სანატრელ გოგონას შეიპყრობენ, როგორც კუდიანს და იმ ღამეს ყველანი წინანდელზე უფრო უბედურები და შეშფოთებულები წვებიან დასაძინებლად

სატრაპეზოში ჩავდიოდით, ხმაური რომ შემოგვესმა და სამზარეულოს მხრიდან მკრთალი სინათლე შევნიშნეთ. უილიამმა სწრაფად ჩააქრო ლამპარი. კედელ-კედელ მივუახლოვდით სამზარეულოში გასასვლელ კარს და მივხვდით, რომ ხმაური გარედან შემოდიოდა, კარი კი ღია უნდა ყოფილიყო. შემდეგ ხმები და სინათლე თანდათან დაგვშორდა და ვიღაცამ ძლიერად მიხურა კარი. გარედან არეულობის ხმა მოდიოდა, რაც რაღაც უსიამოვნოს მოასწავებდა. სწრაფად გავიარეთ საძვალე და ცარიელ ეკლესიაში ავედით, მერე სამხრეთის შესასვლელიდან გარეთ გავედით და შიგა ეზოში ანთებული ჩირაღდნები დავინახეთ.

ხალხს მივუახლოვდით. არავის შეუმჩნევია, საიდან გამოვედით. უამრავ ხალხს მოეყარა თავი: ბერებს, მომლოცველებს, მსახურებს. დავინახეთ, რომ მშვილდოსნებს მაგრად ეჭირათ საკუთარი თვალის ბროლივით გაფითრებული სალვატორე და მტირალი ქალი. გულმა რეჩხი მიყო: ჩემს ფიქრთა მპყრობელი გოგონა იყო. რომ დამინახა, მიცნო და მავედრებელი, სასოწარკვეთილი მზერა მომაპყრო. მინდოდა, გავქანებულიყავი მისკენ, გამეთავისუფლებინა, მაგრამ უილიამმა დამაკავა და ჩურჩულით ერთობ არასაალერსო სიტყვებითაც შემამკო. ყოველი მხრიდან გამორბოდნენ მონასტრის ბინადრებიცა და სტუმრებიც.

მალე წინამძღვარიც მოვიდა, მას ბერნარ გუი მოჰყვა, რომელსაც მშვილდოსანთა მეთაურმა მოკლე პატაკი ჩააბარა. აი, რა მომხდარიყო: ინკვიზიტორის ბრძანებით, მშვილდოსნები მთელი ღამის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ ტაფობს, განსაკუთრებით კი – გზას გალავნის კარიბჭიდან ეკლესიამდე, ბოსტნების მხარეს და ციტადელის ფასადს. რატომ-მეთქი, გავიფიქრე და მერე მივხვდი: ალბათ, ბერნარს მოსამსახურეთა ან მზარეულთაგან სმენოდა, რა ხდებოდა ღამღამობით ციტადელის პირველ სართულზე, თუმცა, შესაძლოა, არც იცოდა, უშუალოდ ვინ იყო ჩართული ამ ამბებში. თუკი მე გამანდო თავისი ზრახვები, ვინ იცის, ბრიყვმა სალვატორემ სამზარეულოში ან საჯინიბოში ილაპარაკა მათზე ვინმესთან, მან კი, ნაშუადღევს გამართული დაკითხვებით შეშინებულმა, ბერნარს ჩაუკაკლა ყველაფერი. ჰოდა, წკვარამ, ნისლიან ღამეში ჩასაფრებულმა მშვილდოსნებმა გამოიჭირეს კიდეც სალვატორე, სამზარეულოს კართან რომ ტრიალებდა, ქალის თანხლებით.

– ქალი ამ წმინდა ადგილას! თანაც ბერთან ერთად! – მრისხანედ მიუბრუნდა ბერნარი წინამძღვარს. – ღირსო მამაო, – განაგრძო შემდეგ, – მხოლოდ უბიწობის აღთქმას რომ არღვევდეს, ამ ადამიანის დასჯა თქვენი საქმე იქნებოდა. მაგრამ ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, ამ ორი უბადრუკის ხრიკები როგორმე ხომ არ უკავშირდება აქ მყოფ სტუმართა უსაფრთხოებას. აბა! შენ გეუბნები, ბედკრულო! – დაუყვირა ბერნარმა სალვატორეს და უბიდან ფუთა ამოაცალა, რომლის დამალვასაც ბედშავი ამაოდ ცდილობდა. – რას მალავ მანდ?

მე უკვე ვიცოდი, რაც იყო ბოხჩაში: დანა, შავი კატა, რომელიც, როგორც კი ფუთა გახსნეს, ჩხავილით ამოხტა და გაუჩინარდა, კვერცხები დამტვრეულიყო, ერთმანეთში აზელილიყო და იქ მყოფთ სისხლი, ყვითელი ნაღველი ან სხვა რამ სიბილწე ეგონათ. სალვატორე სამზარეულოში შესვლას, კატის მოკვლას და მისთვის თვალების დათხრას აპირებდა და ვინ იცის, როგორ დაეყოლიებინა გოგო, რომ თან გაჰყოლოდა. თუმცა უმალ მივხვდი, რასაც დაჰპირდებოდა. მშვილდოსნებმა გოგონა გაჩხრიკეს, თან ბოროტად ქირქილებდნენ და ბინძური, გადაკრული სიტყვებით ეღლაბუცებოდნენ. გოგოს მკვდარი,

ჯერ კიდევ გასაპუტი მამალი უპოვეს ტანსაცმელში. ბედის უკუღმართობით, ღამის წყვდიადში, რომელიც ყველა კატას ნაცრისფერს აჩენს, მამალიც კატასავით შავი ჩანდა. მე კი იმას ვფიქრობდი, რომ მეტი არც იყო საჭირო იმ საცოდავი, დამშეული არსების დასაყოლიებლად, რომელსაც წუხელ ისედაც სამზარეულოში დარჩა (ჩემთან ალერსის გამო) ძვირფასი ნადავლი – ხარის გული…

– აჰ, აჰ, – ვითომ შეწუხდა ბერნარი, – შავი კატა და შავი მამალი… კარგად ვიცნობ ამ სატანურ ხრიკებს… – დამსწრეთა შორის უილიამი დაინახა: – განა თქვენც არ იცნობთ მათ, ძმაო უილიამ? ამ სამი წლის წინ, კილკენიში, თქვენ არ იყავით ინკვიზიტორი სასამართლოზე, გოგოს ეშმაკთან საქმის დაჭერაში რომ ედებოდა ბრალი? სწორედ შავი კატის სახით არ ეცხადებოდა ეშმაკი?

მომეჩვენა, რომ ჩემი მასწავლებლის დუმილი უსასრულოდ გაგრძელდა. სახელოზე ჩავებღაუჭე, შევანჯღრიე, სასოწარკვეთილმა ვუჩურჩულე: – უთხარით, რომ მხოლოდ საჭმელად უნდოდა…

უილიამმა თავი გაითავისუფლა და თავაზიანად მიმართა ბერნარს: – არა მგონია, ჩემი ძველი გამოცდილება გჭირდებოდეთ დასკვნების გასაკეთებლად.

– არა, გაცილებით უფრო სანდო მოწმობანი არსებობს, – გაიღიმა ბერნარმა. – სულიწმიდის შვიდი ნიჭის შესახებ ტრაქტატში სტეფანე ბურბონელი გვიამბობს, რომ ფანჟოში მწვალებელთა წინააღმდეგ ქადაგების დასასრულს წმინდა დომინიკს უთქვამს რამდენიმე ქალისთვის, ახლა იმას იხილავთ, ვისაც აქამდე ემსახურებოდითო. მოულოდნელად მათ შორის ვეებერთელა, საზარელი შავი კატა ჩამხტარა, დიდი, ცეცხლოვანი თვალებით, ჭიპამდე გადმოგდებული, სისხლიანი ენით, მოკლე, აპრეხილი კუდით, ისე რომ, საითაც მიბრუნდებოდა, ცხოველი თავის ბილწ უკანალს აჩვენებდა, მყრალს, იმ ყითასავით, რომელსაც სატანის მიმდევარნი ეამბორებიან თავიანთ ბინძურ თავყრილობებზე ისევე, როგორც ტამპლიერი რაინდები. კატას ქალების გარშემო ერთი საათი უტრიალია, შემდეგ ზარის თოკს შეხტომია და ზევით აცოცებულა, თან რასაც შეხებია, თავისი აქოთებული გამონაყოფით გაუსვრია. განა კატას არ ეთაყვანებიან კათარები? მათი სახელიც ხომ, კუნძულელი ალანის აზრით, სწორედ სიტყვა catus-იდან მოდის, რამეთუ ისინი ამ ცხოველს უკანალს უკოცნიან, რადგან მას ლუციფერის განსახიერებად მიიჩნევენ? განა ამ უხამს ამბავს უილიამ ოვერნელი არ ადასტურებს თავის ნაშრომში „De legibus“[195]? განა ალბერტ დიდი კატებს ხორცშესხმულ დემონებს არ უწოდებს? განა ჩემი პატივდებული თანამოძმე – ჟაკ ფურნიე არ იხსენებს, რომ ინკვიზიტორ გოტფრიდ კარკასონელის სასიკვდილო სარეცელზე ორი შავი კატა გამოჩენილა, რომლებიც სწორედ დემონებს განასახიერებდნენ და ნეშტის შებილწვა სურდათ?

ბერებს შეძრწუნების შეძახილი აღმოხდათ. ზოგიერთმა პირჯვარი გადაიწერა.

– უფალო წინამძღვარო, უფალო წინამძღვარო, – შთაგონებული სახით განაგრძობდა ბერნარი, – შესაძლოა, თქვენმა ბრწყინვალებამ არ იცის, როგორ მოიხმარენ ცოდვილნი ამგვარ საშუალებებს! მაგრამ მე კარგად ვუწყი ეს, უფალმა დაგვიფაროს! მინახავს, წკვარამ ღამეში შავი კატების მეშვეობით რას აკეთებდნენ უკეთური დიაცნი: სხვადასხვა ცხოველს დააჭენებდნენ უსასრულო სივრცეებზე ღამის უკუნში და თან ბილწი ნდომით შეპყრობილ აჩრდილებად გარდაქმნილი საკუთარი მონების ამალა დაჰყვებოდათ… და თვით ეშმაკი ეცხადებოდა მათ (თავად მტკიცედ სჯერათ ეს) მამლის ან სხვა რამ შავი ცხოველის სახით, რომელთანაც – ოღონდ ნუ მკითხავთ, როგორ – ავხორცობას ეძლევიან. დანამდვილებით ვიცი, რომ ამისთანა მჩხიბავებმა ცოტა ხნის წინ ავინიონში რაღაც ბანგი თუ საცხი შეთითხნეს თვით უფალი პაპის ჯანმრთელობის ხელყოფის განზრახვით და საკვები მოუწამლეს მას. პაპი მხოლოდ გველის ენის ფორმის სასწაულმოქმედმა ხელსაწყომ გადაარჩინა სიკვდილს, რომელსაც ზურმუხტისა და ლალის თვლები ამკობდა და ამ ძვირფას თვლებს, ღვთით ნაბოძები ნიჭით, საკვებში შხამის გამოვლენა შეეძლო! თერთმეტი ასეთი უძვირფასესი ორკაპი საფრანგეთის მეფემ აჩუქა პაპს, მადლი ზეცას, და მხოლოდ მათ იხსნეს ჩვენი პაპი სიკვდილისაგან! თუმცა პონტიფიკოსის მტრები ამაზე არ გაჩერებულან: ყველამ იცის, რა უპოვეს სახლში ათი წლის წინ დაპატიმრებულ ბერნარ დელისიეს: შავი მაგიის წიგნების ყველაზე საშიშ

გვერდებზე მწვალებელს შენიშვნები გაეკეთებინა, ამ წიგნებში კი მითითებები იყო ცვილის ფიგურათა დასამზადებლად და მათი საშუალებით მტრის დასათრგუნად. და, წარმოიდგინეთ, მისსავე სახლში უკვე გამზადებული, საოცარი ოსტატობით ნაკეთი პაპის ფიგურებიც აღმოაჩინეს, სხეულის სასიცოცხლო ნაწილებზე მოხაზული წითელი რკალებით. ყველამ იცის, რომ თოკზე გამობმულ ასეთ ფიგურებს სარკის წინ კიდებენ, მერე მათ სასიცოცხლო ორგანოებს ქინძისთავებით ჩხვლეტენ და… მაგრამ რად შევყევი ამ სისაძაგლეთა მოყოლას? მათზე თავად პაპმა ილაპარაკა გასულ წელს, აღწერა და დაგმო ისინი ბულაში Super illius specula[196]! იმედი მაქვს, ამ წერილის ასლი გექნებათ თქვენს დიდებულ ბიბლიოთეკაში, რათა სათანადოდ იფიქროს მასზე ყოველმა…

– გვაქვს, გვაქვს, – მაშინვე დაუდასტურა მეტად შეშფოთებულმა წინამძღვარმა.

– ძალიან კარგი, – დაასკვნა ბერნარმა. – ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია: ცდუნებული ბერი, კუდიანი დედაკაცი და, საბედნიეროდ, არშემდგარი ბნელი რიტუალი. რა მიზანს ემსახურებოდა? ამასაც შევიტყობთ, ამისათვის ძილის რამდენიმე საათსაც დავთმობ. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, მირჩიოს, სად შეიძლება ამ ადამიანის მოთავსება…

– სამჭედელოს მიწისქვეშა საკნები აქვს, – თქვა წინამძღვარმა, – რომლებსაც, საბედნიეროდ, იშვიათად ვიყენებთ და წლების მანძილზე ცარიელია…

– საბედნიეროდ ან საუბედუროდ, – შენიშნა ბერნარმა და მშვილდოსანთ უბრძანა, დაკავებულები სხვადასხვა საკანში მოეთავსებინათ, მამაკაცი მაგრად მიებათ კედელში ჩამაგრებულ რაიმე რგოლზე, რათა დაკითხვისას ბერნარს დაკავებულის სახის კარგად დანახვა შეძლებოდა. გოგონაზე კი განაცხადა, მისი ვინაობა ნათელია და ამ ღამით მისი დაკითხვა აუცილებელი არააო. მას, როგორც კუდიანს, კოცონზე დაწვის წინ გამოცდა ელოდა, სხვაგვარად კუდიანი არ ალაპარაკდებოდა. ბერს კი, შესაძლოა, მოენანიებინა კიდეც (ამ სიტყვებით ერთიანად აცახცახებულ სალვატორეს მზერას არ აშორებდა, თითქოს ანიშნებდა, კიდევ ერთ შესაძლებლობას გაძლევო), თუ სიმართლეს მოჰყვებოდა და თანამზრახველებს დაასახელებდა.

დაკავებულები გაიყვანეს. სალვატორე დუმდა, ღონეგამოლეული, ციებაშეყრილს ჰგავდა, გოგონა კი ტიროდა, წიხლებს ისროდა და დასაკლავი ცხოველივით ბღაოდა. თუმცა არც ბერნარს, არც მშვილდოსანთ და არც მე არ გვესმოდა მისი გლეხური ენა. ყვიროდა, მაგრამ თითქოს მუნჯი ყოფილიყო. არსებობს სიტყვები, რომლებიც ძალით აღავსებს ადამიანს, და ისეთებიც, კიდევ უფრო მიუსაფარსა და უმწეოს რომ ხდის მას. სწორედ ასეთია უბირი ენა მდაბიოთა, რომელთაც უფალმა სიბრძნისა და ძლიერების მსოფლიო ენაზე მეტყველების უნარი არ მიამადლა.

გავიწიე, რომ გოგონას გავდევნებოდი, მაგრამ მოღუშულმა უილიამმა კიდევ ერთხელ შემაჩერა. – დადექი, ბრიყვო, – მითხრა. – მაგას ვერაფერი უშველის, ეგ გოგო დაღუპულია.

გულგახეთქილი შევცქეროდი სანახაობას, წინააღმდეგობრივი ფიქრებით გონებაამღვრეული გოგონას მივჩერებოდი. ამ დროს მხარზე ვიღაცის ხელი ვიგრძენი. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მაშინვე, შეხებით ვიცანი, რომ უბერტინუსი იყო.

– კუდიანს უყურებ, ხომ? – შემეკითხა. შეუძლებელი იყო, ჩემი თავგადასავალი სცოდნოდა. როგორც ჩანს, ადამიანურ ვნებათა ზედმიწევნით მცოდნემ და საოცრად გამჭრიახმა, შორიდან იგრძნო ჩემი დაძაბული მზერა.

– არა… – თავის არიდება ვცადე. – არ ვუყურებ… ან… შეიძლება, ვუყურებ, მაგრამ კუდიანი არაა… ვინ იცის… ხომ შეიძლება, უდანაშაულო იყოს…

– იმიტომ უყურებ, რომ ლამაზია. ხომ ლამაზია? – მკითხა მგზნებარედ და მკლავში ჩამეჭიდა. – თუ იმიტომ უმზერ, რომ ლამაზია და ამან აგაღელვა (ვიცი, რომ აღელდი, რამეთუ ცოდვა, რომელშიც ბრალს სდებენ, კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას), თუ მისი ცქერა წადილით გავსებს, ესეც კმარა მისი კუდიანობის დასტურად. გაფრთხილდი, ჩემო შვილო… სხეულის სილამაზე კანით შემოიფარგლება. მამაკაცს რომ ფოცხვერის თვალი ჰქონდეს და იმასაც ხედავდეს, რაც კანქვეშაა, ქალის დანახვაზე ძრწოლით

გააჟრჟოლებდა. მთელი ეს სინატიფე და მოხდენილობა ლორწოს, სისხლისა და ნაღველისგან შედგება. იმაზე რომ დავფიქრდეთ, ნესტოებში, ყელსა და მუცელში რაც იმალება, მხოლოდ სიბინძურე შეგვრჩება ხელში. და თუკი ლორწოს ან განავლისთვის თითის წვერის შეხებაც კი ზიზღით გვავსებს, განა შეიძლება, გულში ჩაიკრა განავლის ტომარა?

წამომაზიდა. აღარ მინდოდა ამის მოსმენა. ჩემმა მოძღვარმა მიხსნა: გაიგონა ეს სიტყვები, სწრაფად მიუახლოვდა უბერტინუსს და ჩემი მკლავი გააშვებინა.

– გეყოფა, უბერტინუს, – უთხრა. – ამ გოგოს მალე აწამებენ, შემდეგ კი კოცონზე დაწვავენ და შენ რომ ამბობ, ზუსტად ისე იქნება: განავლად, სისხლად, ლორწოდ და ნაღველად გადაიქცევა. მაგრამ ამას ჩვენნაირები ჩაიდენენ. ისინი მისი კანიდან ძალით ამოგლეჯენ იმას, რაც უფლის ნებით ამ კანით დაფარული, დაცული და დამშვენებული უნდა ყოფილიყო. ხოლო პირველად ნივთიერებაზე თუ ვილაპარაკებთ, მასზე უკეთესი არც შენ ხარ. თავი დაანებე ამ ბიჭს.

უბერტინუსი შეცბა: – ალბათ, შევცოდე, – ჩაილაპარაკა. – რა თქმა უნდა, შევცოდე. სხვა რა შეუძლია ცოდვილს?

ხალხი იშლებოდა, თან მომხდარზე ბჭობდნენ. უილიამი მცირე ხანს მიქაელსა და სხვა მინორიტებთან შეყოვნდა, რომლებსაც მისი აზრის მოსმენა სურდათ.

– ბერნარს ახლა საბაბი აქვს ხელთ, თუნდაც საორჭოფო. მონასტერში გრძნეულები დაბორიალობენ და იმავეს აკეთებენ, რაც ავინიონში ხდებოდა პაპის წინააღმდეგ. ცხადია, ეს საბუთი არ არის და მას ხვალინდელი შეხვედრის ჩასაშლელად ვერანაირად ვერ გამოიყენებენ. მაგრამ ბერნარი ამაღამ შეეცდება, იმ უბედურს რამე კიდევ დასტყუოს, რასაც, დარწმუნებული ვარ, ხვალ დილასვე არ გამოიყენებს. ამ საბუთს სამომავლოდ შეინახავს, თუკი მოლაპარაკება მისთვის არასასურველი მიმართულებით წარიმართება.

– შეუძლია, ტუსაღს რამე ისეთი ათქმევინოს, რასაც ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს? – იკითხა ჩეზენელმა მიქაელმა.

უილიამი დაეჭვებული ჩანდა. – იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ მოხდება, – უპასუხა. მივხვდი, რომ თუკი სალვატორე ბერნარს იმას ეტყოდა, რასაც ჩვენ მოგვიყვა საკუთარ თავზე და მეკუჭნავის წარსულზე, და თან უბერტინუსთან ურთიერთობასაც ახსენებდა (თუმცა ეს ურთიერთობა ასე ხანმოკლე იყო), ფრიად უხერხული ვითარება შეიქმნებოდა.

– მოვლენებს უნდა დაველოდოთ, – მშვიდად თქვა უილიამმა. – ისე, მიქაელ, ყველაფერი გადაწყვეტილია. ეს შენ ცდილობ, რამე გააკეთო.

– მინდა ვცადო, – თქვა მიქაელმა, – უფალი შემეწევა, წმინდა ფრანცისკის დახმარებით.

– ამინ, – უპასუხა ყველამ ერთხმად.

– მის იმედზე ნუ იქნები, – დამცინავად შენიშნა უილიამმა. – თუ პაპი მართალია, წმინდა ფრანცისკი, შეიძლება, თავადაც სამსჯავროს ელის სადღაც კუთხეში და ღმერთს ვერც კი ხვდება.

– წყეულიმც იყოს მწვალებელი იოანე! – მომესმა იერონიმეს ბუტბუტი, როცა ყველანი დასაძინებლად მიეშურებოდნენ. – ახლა წმინდანთა თანადგომაც თუ მოგვაკლო, რა ბედი გველის საბრალო ცოდვილთ?

პირველი ჟამი

სადაც ბერები ძმურად კამათობენ იესოს სიღარიბეზე

მონასტერში ყოფნის მეხუთე დილას უილიამმა გამაღვიძა. მაჯანჯღარებდა, ადექი, მალე დელეგაციების შეხვედრა იწყებაო. ცისკრის ზარები რეკავდნენ. წინა ღამით ნანახითა და ათასგვარი სადარდელით ჯერ კიდევ გონებააფორიაქებული ვიყავი. გარეთ გავიხედე, არაფერი ჩანდა. წუხანდელი ბურუსი რძისფერ ბლანტ ნისლად ქცეულიყო და ერთიანად დაპატრონებოდა ზეგანს.

გარეთ გამოვედი. მონასტერი სულ სხვაგვარად გადამეშალა თვალწინ: მხოლოდ ტაძარი და ციტადელი გაირჩეოდა მოშორებით, ისიც ბუნდოვნად, ჩრდილივით, დანარჩენ ნაგებობებს კი მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის მანძილიდან თუ დაინახავდი, უეცრად არაფრიდან ამოიზრდებოდა თითქოს ყოველივეს – სულიერისა თუ უსულოს – მოხაზულობა. მრუმე სივრციდან ფერფლისფერი აჩრდილებივით ამოდიოდნენ ადამიანები და გაჭირვებით თუ ამოიცნობდი მოახლოებულს.

ჩრდილოეთში დაბადებულსა და გაზრდილს ეს მოვლენა თავისთავად არ მეუცხოვებოდა. სხვა დროს და სხვა გარემოში ის ნისლიანი დილა, ალბათ, ტკბილადაც კი მომაგონებდა ჩემი ბავშვობის ადგილებს. მაგრამ ის ამინდი ზუსტად შეესაბამებოდა ჩემს იმდღევანდელ სულიერ განწყობას და გაღვიძებიდანვე აყოლილი ნაღველი ისე დამაწვა, ფეხებს ძლივს მივათრევდი დიდი დარბაზისკენ.

შენობიდან რამდენიმე ნაბიჯში ბერნარ გუი დავინახე, ვიღაცას ემშვიდობებოდა. გვერდით რომ ჩამიარა, მხოლოდ მაშინ ვიცანი, მალაქია იყო. ისე გაფაციცებული იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს შიშობდა, დანაშაულზე არავის წაესწრო.

ვერ მიცნო, ისე ჩამიარა. ცნობისწადილმა შემიღიტინა, ბერნარს ავედევნე. რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა, რომლებიც, როგორც ჩანს, მალაქიას გადაეცა მისთვის. დარბაზის ზღურბლს რომ მიადგა, მშვილდოსანთა მეთაური იხმო, რაღაც უჩურჩულა და დარბაზში შევიდა. შევყევი.

პირველად ვიყავი დარბაზში. გარედან შენობა მომცრო ზომის, მოკრძალებული აგებულების ჩანდა; როგორც ჩანს, ოდესღაც ხანძრით თითქმის განადგურებული ძველი ეკლესიის ადგილას ახლახან აეშენებინათ.

გარეთა კარი ახლებურ ყაიდაზე იყო ნაგები, მახვილკუთხა თაღით მთავრდებოდა და ერთგვარი წინკარი მოსდევდა, რომელიც, ჩანს, ძველი კარიბჭის ნანგრევებზე აეშენებინათ. პირდაპირ მეორე კარი იყო, ძველებური, ნახევარმთვარის ფორმის, მომხიბლავად ნაკვეთი თაღით. ეს ძველი, აწ უკვე არარსებული ტაძრის შესასვლელი უნდა ყოფილიყო.

თაღის საყრდენი მშვენიერი ქანდაკებები სულაც არ იყო მთავარი ტაძრის შესასვლელივით შიშის მომგვრელი. თაღის თავზე აქაც ტახტზე დაბრძანებული მაცხოვარი იყო გამოსახული, გარს თორმეტი მოციქული ერტყა, რომლებიც სხვადასხვაგვარად იდგნენ და ხელში სხვადასხვა საგანი ეჭირათ: იესოსაგან კურთხევა მიეღოთ კაცობრიობის მოსაქცევად. ქრისტეს თავზე, თორმეტ ნაწილად დაყოფილ თაღში და მის ფერხთით, ადამიანთა უწყვეტ რიგად მსოფლიოს ხალხები იყვნენ გამოსახული, რომელთაც წილად უნდა ხვდომოდათ წმინდა სიტყვის მოსმენა. სამოსით მათში ებრაელები, კაპადოკიელები, არაბები, ინდოელები, ფრიგიელები, ბიზანტიელები, სომხები, სკვითები, რომაელები ვიცანი. მაგრამ მათ შორის, თორმეტი მოციქულის თავზე, თაღივით განლაგებულ ოცდაათ ტონდოში, უცნობ სამყაროთა ბინადრებიც იყვნენ გამოსახული, ისინი, ვისაც „ფიზიოლოგი“ და სხვადასხვა მოგზაურები აგვიწერენ. ბევრი მათგანი სრულიად უცხო იყო ჩემთვის, ზოგი კი ამოვიცანი: ექვსთითა პირუტყვნი; ფავნები, ხის ქერქში მობინადრე მატლებიდან რომ იბადებიან; მეზღვაურთა მაცდური, ქერცლისკუდიანი ქალთევზები; შავკანიანი ეთიოპიელები, რომლებიც მზის სიმხურვალეს

მიწისქვეშა გამოქვაბულებში ემალებიან; კენტავრები, წელს ზევით კაცნი და წელს ქვევით სახედარნი; ვეებერთელათვალიანი ციკლოპები; ქალწულის მკერდიანი, ძუ მგლის მუცლიანი და დელფინის კუდიანი სცილა; ინდოეთის ჭაობებისა და მდინარე ეპიგმარიდუსის ნაპირების ბანჯგვლიანი ბინადარნი; ძაღლისთავა არსებანი, ყოველ სიტყვას ყეფას რომ აყოლებენ; სკიაპოდები, უსწრაფესად რომ დარბიან ცალი ფეხით, მზისგან თავის დასაცავად კი ზურგზე წვებიან და ვეებერთელა ტერფით ქოლგასავით იჩრდილავენ სხეულს; უპირო ასტომატები საბერძნეთიდან, ნესტოებით რომ სუნთქავენ და მხოლოდ ჰაერით სულდგმულობენ; წვერიანი სომეხი ქალები; პიგმეები; ეპისტიგუსები, რომელთაც ზოგი ბლემებს ეძახის, უთავოდ რომ იბადებიან, პირი მუცელზე აქვთ და თვალები – მხრებზე; წითელი ზღვის ბინადარი, თორმეტი წყრთის სიმაღლის უმახინჯესი ქალები, ქუსლებამდე თმით, ძროხის კუდითა და აქლემის ჩლიქებით; უკან ტერფებმიქცეული არსებანი: მათი კვალი იქ მიგიყვანს, საიდანაც მოდიან და არა იქ, საითაც მიდიან; თვალებაგიზგიზებული სამთავა კაცები და ცირცეს კუნძულის ურჩხულები, ადამიანის სხეულებითა და ათასგვარი ჯურის ცხოველთა კისრებით…

ეს და კიდევ უამრავი სხვა რამ იყო გამოსახული იმ კარიბჭეზე. მაგრამ ეს სანახაობა სულაც არ იყო ძრწოლის მომგვრელი, რადგან ამქვეყნიურ ბოროტებათა და საიქიოს სატანჯველთ კი არ ასახავდა, არამედ მიანიშნებდა, რომ წმინდა ქადაგებას შეცნობილი სამყაროს ყველაზე შორეულ კუთხეებამდე მიეღწია და უცნობ სამყაროსაც გადასწვდენოდა. ამიტომ ეს კარიბჭე ბრწყინვალე ეკუმენიის ნეტარი დაპირების განმასახიერებელი იყო.

ვიფიქრე, კარგი ნიშანია-მეთქი ამ დარბაზში შეხვედრის დაწყება: იქნებ სახარების სხვადასხვაგვარი გაგებით გადამტერებული ადამიანები დღეს როგორმე შეთანხმებულიყვნენ. და ერთ უბადრუკ ცოდვილად ვიგრძენი თავი, რომელიც პირად ამბებს დარდობდა მაშინ, როცა ირგვლივ მთელი საქრისტიანოსათვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა. ისეთი ამაო მომეჩვენა ჩემი კაეშანი ამ გასაოცარი თაღის ქვაში გამოსახულ სიმშვიდესთან შედარებით, რომ სისუსტისათვის პატიება ვთხოვე უფალს და უდრტვინველად გადავაბიჯე ზღურბლს.

დელეგაციების წევრები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ნახევარწრეებად. შუაში გრძელი მაგიდა იდგა, რომელსაც წინამძღვარი და კარდინალი ბერტრანი უსხდნენ.

უილიამმა, რომელსაც შენიშვნების ჩასაწერად ვახლდი, მინორიტების მხარეს დამსვა, სადაც მიქაელი იჯდა თავისიანებთან და ავინიონის კარის სხვა ფრანცისკელებთან ერთად: ეს იმიტომ, რომ შეხვედრა ფრანცისკელთა წესის მხარდამჭერთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის კამათს დამსგავსებოდა და არა – იტალიელთა და ფრანგთა დუელს, და ყველა იქ მყოფი ერთსულოვნად ყოფილიყო აღვსილი ჭეშმარიტი რწმენითა და პაპის კარისადმი ერთგულებით.

ჩეზენელ მიქაელთან ისხდნენ ბერი არნალდუს აკვიტანიელი, ნიუკასლელი ჰუგო და მამა უილიამი ოლნუიკიდან, რომლებიც პერუჯის კრებაში მონაწილეობდნენ. აქვე იყვნენ კაფას ეპისკოპოსი და ბერენგარიუს ტალონი, ბერგამოელი ბონაგრაციუსი და ავინიონის კარის სხვა მინორიტები. მეორე მხარეს ისხდნენ ლორენციუს დეკოალკონე, ავინიონის ბაკალავრი, პადუის ეპისკოპოსი და ჟან დანო, პარიზელი თეოლოგიის დოქტორი. მდუმარე ბერნარ გუის გვერდით დომინიკელი ჟან დე ბონი იჯდა, რომელსაც იტალიაში იოანე დალბენას ეძახდნენ, უილიამისგან ვიცოდი, რომ ის ადრე ინკვიზიტორი ყოფილა ნარბონში და უამრავი ბეგინი და პინცოკერი გაესამართლებინა. მაგრამ ვინაიდან სწორედ ქრისტეს უპოვარების შესახებ ერთი დებულება გამოუცხადებია მწვალებლურად, მას ბერენგარიუს ტალონი, იმავე ქალაქის მონასტრის ლექტორი, ამხედრებია და პაპთანაც უჩივლია მისთვის. პაპი იოანე მაშინ ჯერ კიდევ ნათლად არ ყოფილა გარკვეული ამ საკითხში და მის განსახილველად მოკამათენი თავის კარზე გამოუძახია, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ შეთანხმებულან. ცოტა ხნის შემდეგ კი ფრანცისკელებმა პერუჯის კრებაზე მტკიცედ გამოხატეს საკუთარი პოზიცია, რაზეც უკვე მოგახსენეთ. ავინიონელთა დელეგაციაში კიდევ ბევრნი იყვნენ, მათ შორის იყო ალბორის ეპისკოპოსიც.

სხდომა წინამძღვარმა გახსნა და საჭიროდ მიიჩნია, ბოლო ხანებში მომხდარი ამბები

შეეჯამებინა. გაიხსენა, რომ მინორიტ ბერთა ერთიანმა კრებამ, რომელიც ქრისტეს შემდეგ 1322 წელს შეიკრიბა პერუჯაში ჩეზენელი მიქაელის მეთაურობით, მტკიცედ და დამაჯერებლად დაადგინა, რომ ქრისტესა და მის მოციქულებს, სრულყოფილი ცხოვრების მაგალითის საჩვენებლად, არასოდეს ჰქონიათ არავითარი სარჩო-საბადებელი საკუთრებაში და სწორედ ეს ჭეშმარიტებაა საღი კათოლიკური რწმენის საგანი და არსი, რაც არაერთი კანონიკური წიგნითაც დასტურდებაო. ამიტომაცაა საქებარი და წმინდა ყოველივე ქონების უარყოფა და ამ ცნებას მისდევდნენ ეკლესიის პირველი დამაარსებელნიო; ამავე ჭეშმარიტებას დაუჭირა მხარი 1312 წელს ვიენის კრებამ, თავად პაპმა იოანემაც 1317 წლის დადგენილებაში, რომელიც მინორიტებს ეხება და იწყება სიტყვებით Quorundam exigit[197], ვიენის კრების გადაწყვეტილებები წმინდად, ურყევად და დასაბუთებულად გამოაცხადაო. მაგრამო, დასძინა წინამძღვარმა, მომდევნო წელს პაპმა გამოსცა დეკრეტალია „Ad conditorem canonum“, რომელსაც ბერგამოელი მამა ბონაგრაციუსი დაუპირისპირდა, რადგან ის თავისი ორდენის ინტერესების საზიანოდ მიაჩნდაო. მაშინ პაპმა ავინიონის მთავარი ტაძრის შესასვლელიდან ჩამოახსნევინა დეკრეტალია და მნიშვნელოვნად შეცვალა მისი ტექსტი, თუმცა კი არ შეარბილა, კიდევ უფრო გაამძაფრა ის. ამის შემდეგ მალევე შეიპყრეს მამა ბონაგრაციუსი, რომელმაც ერთი წელი სატუსაღოში გაატარა. პონტიფიკოსის წყრომა უკვე სრულიად ნათელი იყო და იმავე წელს გამოვიდა კიდეც ცნობილი „Cum inter nonnullos“, რომელმაც საბოლოოდ დაგმო პერუჯის კრების დადგენილებები.

აქ კარდინალმა ბერტრანმა თავაზიანად შეაწყვეტინა სიტყვა წინამძღვარს და შენიშნა: უნდა ითქვას, როგორ გაართულა საქმე და გააღიზიანა პაპი 1324-ში ლუდვიგ ბავარიელმა ზაქსენჰაუზენის დეკლარაციით, როცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიემხრო პერუჯის კრების დადგენილებებს (ისიც გაუგებარია, ოდნავი ღიმილით შენიშნა ბერტრანმა, რატომ ემხრობოდა ასე თავგამოდებით იმპერატორი უპოვარების იდეას, როცა თავად სულაც არ ცხოვრობდა ღარიბულად) და ამით პაპს დაუპირისპირდა, „inimicus pacis“[198] უწოდა მას, განხეთქილების ჩამოგდების განზრახვა დააბრალა და საბოლოო ჯამში მწვალებლად, უფრო მეტიც – ერესიარქად გამოაცხადა იგი.

– არც მთლად ასეა, – სცადა ჩარევა წინამძღვარმა.

– სწორედ ასეა, – მოუჭრა ბერტრანმა. და დასძინა, სწორედ იმპერატორის უადგილო ჩარევამ აიძულა პაპი, გამოეცა დეკრეტალია „Quia quorundam[199]“ და ბოლოს მკაცრად მოეწოდებინა მიქაელისთვის, მასთან გამოცხადებულიყოო. მიქაელმა საბოდიშო უსტარი გაუგზავნა პაპს და ავადმყოფობა მოიმიზეზა და მის სიმართლეში ეჭვი არავის შეჰპარვია, რადგან თავის სანაცვლოდ პაპთან ბერი იოანე ფიდანცა და პერუჯელი უმილუს კუსტოდიუსი გაგზავნაო. მაგრამო, განაგრძობდა კარდინალი, მოგვიანებით პერუჯელმა გველფებმა პაპს აცნობეს, მამა მიქაელი გამოჯანმრთელდა კიდეც და ლუდვიგ ბავარიელთანაც ცდილობს მოლაპარაკებასო. მოკლედ, აქამდე რაც იყო, იყო, ახლა მამა მიქაელი მშვენივრად გამოიყურება და ავინიონში მაინც ელიანო. თანაცო, დაამატა ბერტრანმა, აჯობებს, წინდაწინ დაიგეგმოს (რასაც ახლა ვაკეთებთ და როგორც ფრთხილ და გონიერ ადამიანებს შეჰფერით), რას ეტყვის მიქაელი პაპს, რამეთუ ყველას ისევ და ისევ ერთი მიზანი გვაქვს – მეტად არ გამწვავდეს ვითარება და მამაშვილური შეხვედრა შედგეს, აქამდე ხომ მხოლოდ ადამიანთა ჩარევამ გაამწვავა საქმე, იმპერატორები იქნებოდნენ თუ ვიკარიუსები, რომელთაც არაფერი ესაქმებოდათ წმინდა დედაეკლესიის საქმეებთანო.

აბონი ისევ ჩაერია და განაცხადა, თუმცა ეკლესიის კაცი გახლავართ და იმ ორდენის მონასტრის წინამძღვარი, რომელსაც ამდენი გაუკეთებია ეკლესიისთვის (ამ სიტყვებზე სხვადასხვაგვარად აჩოჩქოლდა დარბაზი, ერთი ნაწილი თანხმობის, მეორე კი – უარყოფის ნიშნად), მაინც არ მიმაჩნია, რომ იმპერატორი ამ საქმეებს მიღმა უნდა დარჩეს, მრავალ მიზეზთა გამო, რომელთაც მამა უილიამ ბასკერვილელი მოგახსენებთო. მაგრამ მართებულია, რომ კამათის პირველი ნაწილი პაპის მოციქულთა და წმინდა ფრანცისკის მიმდევართა შორის შედგეს, რომლებიც თუნდაც მხოლოდ ამ შეკრებაზე გამოცხადებით ადასტურებენ, რომ ისინიც პაპის ერთგული შვილები არიანო. ამრიგად, ვთხოვ მიქაელს ან მის ნაცვლად ვინმეს, მოახსენოს შეკრებილთ, რის თქმას აპირებს ავინიონშიო.

მიქაელმა განაცხადა, საოცრად მაღელვებს და მახარებს ის, რომ ჩვენ შორისაა

უბერტინუს კაზალელი, რომელსაც 1322-ში თავად პონტიფიკოსმა სთხოვა დაწვრილებითი და დამაჯერებელი მოხსენების მომზადება ქრისტეს უპოვარების საკითხზე და ვფიქრობ, სწორედ უბერტინუსი შეძლებს, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს, მისთვის ჩვეული და ყველასათვის კარგად ცნობილი სიბრძნითა და ღრმა რწმენით, ფრანცისკელთა ორდენის აწ უკვე ფესვგამდგარი, ურყევი დებულებებიო.

უბერტინუსი წამოდგა. ხმა ამოიღო თუ არა, მაშინვე მივხვდი, რატომ იწვევდა ასეთ საყოველთაო აღფრთოვანებას მისი ქადაგებებიცა და საერო გამოსვლებიც. მომხიბლავი ღიმილი ჰქონდა, გზნებით ლაპარაკობდა, დამაჯერებლად. დარბაზში მყოფნი მონუსხულებივით უსმენდნენ. უბერტინუსი მეცნიერულად ასაბუთებდა პერუჯის კრების დადგენილებებს. თქვა, პირველ რიგში, ქრისტეცა და მისი მოციქულებიც ორგვარად უნდა დავინახოთო: ერთი მხრივ, ისინი, როგორც ახალი აღთქმის ეკლესიის მოსიტყვენი, ფლობდნენ რაღაცას, რასაც გლახაკებს და ეკლესიის წინამძღოლებს ურიგებდნენ, როგორც „მოციქულთა საქმეების“ მეოთხე თავშია ნათქვამიო. მაგრამ, მეორე მხრივ, ქრისტე და მოციქულები ცალკეულ, ყოველივე ამქვეყნიურის უგულებელმყოფელ ადამიანებად უნდა განვიხილოთო. ფლობა ორგვარია: არსებობს საერო, ამქვეყნიური ქონება და თუ მისი წართმევა მოგინდომა ვინმემ, შეგიძლია საერო გზით დაიცვა ის, სასამართლოს მიმართო და ასე შემდეგ. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ქრისტესა და მოციქულებს ასეთი ქონება ებადათ, მწვალებლობაა. განა მათე არ ამბობს, ვინც მოსასხამის გახდას დაგიპირებს, სამოსიც მიეციო. იმავეს ამბობს ლუკაც, და ამ სიტყვებით ქრისტე ყოველივეს ფლობასა და ქონებას უარყოფს და იმავეს ავალებს მოციქულებსაც. გნებავთ, მათეს ჩახედეთ, პეტრე რომ ეუბნება მაცხოვარს, ყოველივე მივატოვეთ და შენ გამოგყევითო; მაგრამ, მეორე მხრივ, დროებითი ქონება დაშვებულია, ქრისტესა და მის მოციქულთაც ჰქონდათ რაღაც ბუნებრივი აუცილებლობით, მაგალითად, შესამოსელი, პური თუ თევზი. როგორც პავლე ამბობს ტიმოთეს მიმართ პირველ წერილში: თუ გვაქვს საკვები და სამოსი, დავჯერდეთ ამასო. ამგვარად, ეს ყოველივე ქრისტესა და მოციქულთა კუთვნილება კი არ იყო, არამედ – მოხმარების საგნები, ისე, რომ ხელშეუხებელი რჩება მათი სრული უპოვარების პრინციპი. ეს პაპმა ნიკოლოზ II-მ უკვე აღიარა დეკრეტალიაში „Exiit qui seminat[200]“.

მოპირდაპირე მხრიდან ჟან დანო წამოდგა და განაცხადა, უბერტინუსის მოსაზრებები საღი აზრისა და საღმრთო წერილის სწორი გაგების საწინააღმდეგოდ მეჩვენებაო. ისეთ საგნებზე, რაც მოხმარებით ილევა, მაგალითად პური და თევზი, მოხმარების უფლებაზე რანაირად ილაპარაკებ, მათი ხომ მხოლოდ ერთხელ და შეუქცევადად მოხმარებაა შესაძლებელიო. ყველაფერი, რითაც ერთობლივად სარგებლობდნენ პირველი ქრისტიანები (როგორც „მოციქულთა საქმეების“ მეორე და მესამე თავებიდანაც ჩანს), ისევე ჰქონდათ და იმავე საფუძველზე, როგორც გაქრისტიანებამდეო. მოციქულები მათზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგაც ფლობდნენ მიწებს იუდეველთა მხარეშიო. ამრიგად, იმ ყველაფერზე, რაც ადამიანს საარსებოდ ესაჭიროება, უპოვარი ცხოვრების აღთქმა ვერაფრით ვერ გავრცელდება და პეტრე, რომ ამბობს, ყოველივე მივატოვეო, იმას როდი გულისხმობს, ქონებაზე უარი ვთქვიო; ადამსაც ჰქონდა რაღაც უფლებაც და საკუთრებაცო. მოსამსახურე, რომელსაც შრომის საზღაურს უხდის პატრონი, არც დროებით მოიხმარს ამ საზღაურს და არც საბოლოოდ. „Exiit qui seminat“, რომელსაც ასე ხშირად იშველიებენ მინორიტები და რომლის თანახმადაც ისინი არაფერს ფლობენ, მხოლოდ იმას ხმარობენ, რაც სჭირდებათ, მხოლოდ ისეთ ქონებას უნდა გულისხმობდეს, რაც ხმარებით არც ცვდება და არც ილევა. Exiit რომ ცვეთად და ამოწურვად ქონებასაც გულისხმობდეს, სრულიად შეუძლებელ რამეს დაუჭერდა მხარს. ფაქტობრივი მოხმარება ვერ გაემიჯნება კანონიერ მფლობელობას; ყოველგვარი ადამიანური უფლება, რის საფუძველზეც ადამიანს მატერიალური ქონება გააჩნია, საერო კანონებში აისახება. ქრისტე, როგორც მოკვდავი, ჩასახვის წამიდანვე იყო მიწიერი ქონების მფლობელი, ხოლო როგორც ღმერთმა, მამისაგან ყოველივეზე ბატონობის უფლება მიიღო; ის ყველაფრის მფლობელი იყო: სამოსის, საკვებ-სანოვაგის, გადასახადების, მორწმუნეთა შესაწირავის, და ღატაკი იმიტომ კი არ იყო, რომ არაფერი ებადა, არამედ იმიტომ, რომ თავისი ქონებით არ სარგებლობდა. ოდენ იურიდიული ფლობა ქონებისა, თუკი მას მოგება არ ახლავს, არ ამდიდრებს მფლობელს; დაბოლოს, Exiit რომ ამბობდეს კიდეც რამე განსხვავებულს, რომაელ პონტიფიკოსს შეუძლია, უარყოს თავის წინამორბედთა დებულებები.

მაშინ მამა იერონიმე, კაფის ეპისკოპოსი, წამოხტა ფეხზე, რისხვისაგან წვერი უკანკალებდა, თუმცა კი ცდილობდა, მომრიგებლური ტონით ელაპარაკა, და მოჰყვა დასაბუთებას, რომელიც მე აბდაუბდად მეჩვენა. „ახლავე ვაცხადებ, რომ წინდაწინ თავი მომიდრეკია წმინდა მამის წინაშე და დაე, შემისწოროს, რასაც ახლა ვიტყვი, რამეთუ მართლა მწამს, რომ იოანე ქრისტეს გამოგზავნილია, და ამ რწმენის გამო მძიმედ ვეწამე კიდეც სარკინოზების ტყვეობაში. დიდი დოქტორის სიტყვებს გავიხსენებ, ბერების კამათზე რომ ჰყვება, რომლებიც თურმე მელქისედეკის მამის ვინაობას არკვევდნენ. წინამძღვარ კოპისთვის რომ დაუსვამთ ეს შეკითხვა, თავი გაუქნევია და უთქვამს: ვაი შენ, რამეთუ ოდენ იმას ეძიებ, რის ძებნასაც უფალი არ გიბრძანებს, და უგულებელყოფ იმას, რასაც ღმერთი გიბრძანებს. ის, რომ (და ამას ჩემი მაგალითიც ადასტურებს) ქრისტეს, ნეტარ ქალწულსა და მოციქულებს არაფერი გააჩნდათ არც ცალ-ცალკე და არც ერთად, იმაზე ცხადიც კია, რომ იესო ერთდროულად კაციც იყო და ღმერთიც. თუმცა, მგონია, ვინც პირველს უარყოფს, მეორესაც უარყოფს!

საზეიმოდ წარმოთქვა ეს, და დავინახე, როგორ აღაპყრო უილიამმა თვალები ზეცად. ვფიქრობ, არცთუ რიგიანად მოეჩვენა იერონიმეს სილოგიზმი და ვერც გავამტყუნებ, მაგრამ კიდევ უფრო უსუსურად მეჩვენა მამა იოანე დალბენას მგზნებარე და წინააღმდეგობრივი დასაბუთება, რომელმაც განაცხადა, ვინც რამეს ამტკიცებს ქრისტეს სიღატაკეზე, ამტკიცებს იმას, რაც ისედაც ხილულია (ან ისედაც უხილავი), მაშინ როცა მისი ადამიანურობისა და ღვთიურობის დასაბუთება რწმენით ხდება, ამრიგად, ეს ორი მოსაზრება თანაბრად ვერ განიხილებაო. იერონიმეს პასუხი ბევრად მახვილგონიერი იყო: – აჰ, არა, ძვირფასო ძმაო, – უთხრა მოწინააღმდეგეს, – მე მგონი, სიმართლე სრულიად საპირისპიროა, ვინაიდან ყველა სახარება ამბობს, რომ ქრისტე კაცი იყო, რომ ჭამდა და სვამდა, როგორც კაცი, და, ამავე დროს, მისი სასწაულები თვალნათლად ადასტურებენ, რომ ის ღმერთიც იყო, და ეს ყველაფერი ცხადზე უცხადესია!

– მჩხიბავები და მკითხავებიც ახდენდნენ სასწაულებს, – კმაყოფილებით უთხრა დალბენამ.

– კი, – უპასუხა იერონიმემ, – მაგრამ მაგიური ხელოვნების წყალობით. გინდა, ქრისტეს სასწაულები მაგიას გაუთანაბრო? – მოწინააღმდეგემ განაწყენებულმა ჩაიბურტყუნა რაღაც უარის ნიშნად. – დაბოლოს, – განაგრძო იერონიმემ, ჩანდა, თითქმის გამარჯვებულად გრძნობდა თავს, – პოჯეტოს კარდინალს სურს, მწვალებლობად აღიაროს ქრისტეს სიღატაკის რწმენა, მაშინ როცა ამ მოსაზრებას ეყრდნობა მთლიანად ფრანცისკელთა ორდენის წესი. და განა დარჩა ქვეყანა, მაროკოდან ინდოეთამდე, სადაც ამ ორდენის ბერებს საღმრთო წერილი არ უქადაგიათ საკუთარი სიცოცხლის ფასად?

– პეტრე ესპანელის წმინდაო სულო, – ჩაიბურტყუნა უილიამმა, – შენ დაგვიცავი.

– ნეტარო ძმაო, – დალბენამ წინ წამოდგა ნაბიჯი, – გაიხსენე შენი ძმების სისხლი, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ეს ხარკი სხვა ორდენთა მორწმუნეებსაც გადახდილი აქვთ…

– ბატონი კარდინალისადმი ჩემი კრძალვის მიუხედავად, – დაიყვირა იერონიმემ, – არც ერთი დომინიკელი არ დაღუპულა დღემდე უსჯულოთა ხელით, მაშინ როცა ჯერ კიდევ ჩემს დროს ცხრა მინორიტი აწამეს!

ახლა ალბორის დომინიკელი ეპისკოპოსი წამოფრინდა ფეხზე, აჭარხლებული.

– მე შემიძლია, დაგიმტკიცოთ, რომ სანამ მინორიტები ჩავიდოდნენ თათართა მხარეში, პაპმა ინოკენტიმ იქ სამი დომინიკელი მიავლინა!

– აჰ, ასე? – გაგულისდა იერონიმე. – მაშ მე ის ვიცი, რომ ოთხმოცი წელია, მინორიტები თათართა მხარეში არიან და უკვე ორმოცი ეკლესია აქვთ მთელ ქვეყანაში, მაშინ როცა დომინიკელებს ხუთიოდე ეკლესია აქვთ და სანაპიროს არ გასცილებიან, თანაც სულ თხუთმეტიოდე ბერი ჰყავთ! და ამით ყველაფერი ნათელია!

– არაფერიც არ არის ნათელი, – აყვირდა ალბორელი, – იმიტომ, რომ ეს მინორიტები ისე ამრავლებენ პინცოკერებს, როგორც მაწანწალა ძუკნა ყრის ლეკვებს, ყველაფერს თავად მიიწერენ, ქება-დიდებით ავსებენ წამებულთ, თან მშვენიერი, დიდებული ეკლესიები აქვთ

და ისევე ყიდულობენ და ყიდიან, როგორც ყველა სხვა ორდენის წევრები!

– არა, ჩემო ბატონო, არა, – ჩაერია იერონიმე, – თავად კი არ ყიდულობენ და ყიდიან, არამედ სამოციქულო ტახტის წარმომადგენლების საშუალებით აკეთებენ ამას, და მფლობელებიც ისინი არიან, ხოლო თავად – ოდენ მომხმარებლები!

– მართლა? – ჩაიქირქილა ალბორელმა. – მაშ, პირდაპირ არასოდეს გაგიყიდია? მსმენია მიწებზე, რომლებიც…

– თუ გამიყიდია, შევმცდარვარ, – სასწრაფოდ შეაწყვეტინა იერონიმემ, – მთელ ორდენს ნუ გასვრი იმით, რაც შესაძლოა მხოლოდ ჩემი სისუსტე იყო!

– სათაყვანო ძმებო, – ჩაერია აბონი, – ჩვენი დღევანდელი ბჭობის საგანი მინორიტთა სიღატაკე კი არ არის, არამედ ის, უპოვარი იყო თუ არა მაცხოვარი ჩვენი…

– ჰოდა, – ჩაერთო ისევ იერონიმე, – ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი ისეთი საბუთი მაქვს, ხმალივით რომ ჭრის…

– წმინდაო ფრანცისკ, დაიცავი შენი შვილები… – უიმედოდ ჩაილაპარაკა უილიამმა.

– ჩემი საბუთი ისაა, – განაგრძო იერონიმემ, – რომ აღმოსავლეთის ქრისტიანებსა და ბერძნებს, რომლებიც ჩვენზე კარგად იცნობენ წმინდა მამათა მოძღვრებას, ურყევად სწამთ ქრისტეს სიღარიბის. და თუ ის მწვალებლები და განხეთქილების შემომტანებიც კი ასე გულმოდგინედ იცავენ ასეთ ნათელ ჭეშმარიტებას, მაინცდამაინც ჩვენ გვინდა, უარვყოთ იგი და მათზე უარესი მწვალებლები და განხეთქილების შემომტანნი გამოვიდეთ? აღმოსავლეთის ქრისტიანებს რომ მოესმინათ, ჩვენში ზოგიერთი როგორ უარყოფს ამ ჭეშმარიტებას, ჩაქოლავდნენ მათ!

– რას ბრძანებ, – შეეპასუხა ალბორელი, – მაშ, დომინიკელებს რატომ არ ქოლავენ, ისინი ხომ სწორედ მათ საწინააღმდეგოს ამბობენ!

– დომინიკელებს? არასოდეს მინახავს ისინი იმ მხარეში!

სახეწამოჭარხლებულმა ალბორელმა შენიშნა, თქვენ, მამაო იერონიმე, საბერძნეთში თხუთმეტი წელი გაატარეთ, მე კი იქ გავიზარდეო. იერონიმემ უპასუხა, თქვენ კი იყავით საბერძნეთში, მაგრამ დიდებულ საეპისკოპოსო სასახლეებში ცხოვრობდით, ხოლო მე, ფრანცისკელი, თხუთმეტი კი არა, ოცდაორი წელი ვიყავი საბერძნეთში და კონსტანტინოპოლის იმპერატორის წინაშეც მიქადაგიაო. მაშინ ალბორელმა, საბუთები რომ შემოაკლდა, მინორიტებისკენ გაიწია ყვირილით (იმ სიტყვების გამეორებას ვერც გავბედავ), ცდილობდა, სწვდენოდა და წვერი დაეგლიჯა კაფის ეპისკოპოსისთვის, შენს მამაკაცობაშიც ეჭვი მეპარება, მაგ წვერით მინდა გაგამათრახოო.

მინორიტები წამოხტნენ თავიანთი ძმის დასაცავად, ავინიონელები დომინიკელს გამოესარჩლნენ და ამას ისეთი ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა (უფალო, შეიწყალე რჩეულნი შენს შვილთაგან!), რომ წინამძღვარი და კარდინალი ამაოდ ცდილობდნენ მათ დაწყნარებას. აყალმაყალსა და დავიდარაბაში მინორიტებმა და დომინიკელებმა საშინელებები უთხრეს ერთმანეთს, ისე დაეძგერნენ ერთმანეთს, როგორც ქრისტიანები და სარკინოზები. ორად ორი ადამიანი არ განძრეულა, აქეთ – უილიამი და იქით – ბერნარ გუი. უილიამი ნაღვლიანი ჩანდა, ბერნარი კი გახარებული, სიხარული თუ შეიძლება დაერქვას იმ ოდნავ შესამჩნევ ღიმილს, ბაგეზე რომ დასთამაშებდა.

– ნუთუ არ არსებობს ქრისტეს უპოვარების უკეთესი დასაბუთება? – ვკითხე ჩემს მასწავლებელს, სანამ ალბორელი კაფის ეპისკოპოსს წვერის დაგლეჯით ემუქრებოდა.

– რაც მოგესურვება, ის ამტკიცე, ჩემო ადსო, – მითხრა უილიამმა, – მაგრამ სახარებათა მიხედვით ვერასოდეს დაადგენ, ქრისტე თავის საკუთრებად თვლიდა თუ არა, ან რამდენად, სამოსს, რომელიც ეცვა და რომელსაც, ალბათ, აგდებდა კიდეც, რომ გაუცვდებოდა. და თუ სიმართლე გინდა, თომა აკვინელი უფრო მეტად შეურიგებელია ამ საკითხში, ვიდრე მინორიტები. ჩვენ ვამბობთ, რომ არაფერი გვაბადია, და თუ რამე გვაქვს, მხოლოდ მოსახმარად. ის კი ამბობდა, თუ გინდათ, თქვენს საკუთრებად ჩათვალეთ, რაც

გაბადიათ, მაგრამ თუ სხვას არ აქვს ის, რაც თქვენ გაქვთ, გევალებათ, მას მისცეთ, და ეს მოწყალება არააო. იმას არ აქვს მნიშვნელობა, ღარიბი იყო თუ არა ქრისტე, ან ღარიბი უნდა იყოს თუ არა ეკლესია. თანაც, სიღარიბე იმას არ ნიშნავს, რომ სასახლე არ გაქვს, მთავარი ისაა, იყენებ საკუთრების უფლებას თუ უარყოფ მას.

– აი თურმე, – ვთქვი, – რატომ აქცევს ამხელა ყურადღებას იმპერატორი მინორიტების მოსაზრებებს უპოვარებაზე.

– დიახ. მინორიტები პაპს ეწინააღმდეგებიან და იმპერატორის წისქვილზე ასხამენ წყალს. მაგრამ, მარსილიუსის აზრით, და მეც ვეთანხმები, ეს ორმაგი თამაშია. ვისურვებდით, იმპერიის თამაში ჩვენსას ემთხვეოდეს და ამქვეყნიური მთავრობის ჩვენეულ იდეას ემსახურებოდეს.

– ამას იტყვით, თქვენი სიტყვის ჯერი რომ დადგება?

– ამას თუ ვიტყვი, ჩემს მისიას აღვასრულებ: მე ხომ იმპერიის თეოლოგების მოსაზრებათა გამოსათქმელად და ავინიონში მეორე ასეთი შეხვედრის ხელშესაწყობად ვარ აქ მოწვეული. მაგრამ ამით ხელსაც შევუშლი ამ მისიას: არა მგონია, იოანემ მოისურვოს, რომ იქ ამის სათქმელად ჩავიდე.

– მაშინ, რა უნდა ქნათ?

– მაშინ ის, რომ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს შორის გავეჩხირე, როგორც სახედარი, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, რომელი ტომრიდან შეჭამოს თივა. საქმე ისაა, რომ ამ ყველაფრისთვის დრო არ მომწიფებულა. მარსილიუსი რაღაც შეუძლებელ გარდაქმნაზე ბოდავს, ლუდვიგი კი არაფრით სჯობია თავის წინამორბედთ, თუმცა ჯერჯერობით ის ერთადერთი დამცავი კედელია ისეთი უბადრუკისაგან, როგორიც იოანეა. ალბათ, მომიწევს ლაპარაკი, თუ ამათ იქამდე ერთმანეთი არ დახოცეს. ყოველ შემთხვევაში, ჩაწერე, ადსო, რომ კვალი მაინც დარჩეს იმისა, რაც დღეს აქ ხდება.

– მიქაელი?

– ვშიშობ, მხოლოდ დროს ფლანგავს. კარდინალმა იცის, რომ პაპი გამოსავალს სულაც არ ეძებს, ბერნარ გუიმ იცის, რომ შეხვედრა უნდა ჩაშალოს; მიქაელმა კი იცის, რომ წავა ავინიონში, რადგან არ სურს, რომ ორდენმა საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი პაპთან. და სიცოცხლეს ჩაიგდებს საფრთხეში.

სანამ ვლაპარაკობდით – ძლივს გვესმოდა ერთმანეთის ხმა – ვითარება უაღრესად დაიძაბა. ბერნარ გუიმ მშვილდოსნები იხმო გასაშველებლად. ისინი მოჩხუბრებს შორის ჩადგნენ და ცდილობდნენ, ცემა-ტყეპა აერიდებინათ თავიდან. მაგრამ მოქიშპენი ერთმანეთს აქეთ-იქიდან უტევდნენ და ილანძღებოდნენ. იქ გაგონილი ლანძღვა-გინებიდან რამდენიმეს გავიხსენებ, მაგრამ ამიერიდან ვეღარასოდეს გავიმეორებ მათ. მოჩხუბრები რიგრიგობით კი არ ილანძღებოდნენ, როგორც ჩემს მშობლიურ მხარეში ხდება ხოლმე, არამედ ერთდროულად ყაყანებდნენ, სამხრეთელებს რომ სჩვევიათ, ისე.

– სახარებაში წერია, რომ ქრისტეს ქისა ჰქონდა!

– ენა ჩაიგდე! რა ტვინი წაიღე ამ შენი ქისით! ლამის ჯვარცმასაც ქისა მიახატოთ! იმაზე რაღას იტყვი, რომ ჩვენი მაცხოვარი იერუსალიმში ყოფნისას ყოველ საღამოს ბეთანიაში ბრუნდებოდა?

– მერე, თუ მაცხოვარს ბეთანიაში ერჩივნა ღამის გათევა, შენ ვიღა ხარ, რომ მისი გადაწყვეტილება განსაჯო?

– არა, ბებერო თხაო, მაცხოვარი იმიტომ ბრუნდებოდა ბეთანიაში, რომ იერუსალიმში ღამის გასათევი ფული არ ჰქონდა!

– ბონაგრაციუს, შე მართლა ბებერო თხაო! კი, მაგრამ რას ჭამდა იერუსალიმში მაცხოვარი?

– რის თქმა გინდა, რომ ცხენი, რომელსაც პატრონი ქერს უყრის საარსებოდ, იმ ქერის

მეპატრონე და მფლობელია?

– აი, ხედავთ? ქრისტე ცხენს შეადარა!..

– არა, ეს შენ ადრი ქრისტეს შენს მწვალებელ მღვდლებს, შე უკანალის ხვრელო!

– აჰ, ასე? რამდენჯერ დაუცავს წმინდა საყდარს პროცესებზე თქვენი ქონება?

– ეკლესიის ქონება, ჩვენი კი არა! ჩვენ მხოლოდ მოვიხმარდით მას!

– კი, როგორ არა, მუცლის გასაძღობად მოიხმარდით, ოქროსქანდაკებებიანი მდიდრული ეკლესიების ასაშენებლად, ფარისევლებო, ეშმაკის ვასალებო, გამყიდველებო, გარყვნილებო! კარგად უწყით, რომ სრულყოფილება სიყვარულს ეფუძნება და არა სიღარიბეს!

– ეს იმ მუცელღორა თომამ მოგახსენათ!

– საკუთარ თავს შეხედე, ღვთისმგმობელო! შენ რომ ღორმუცელას უწოდებ, რომის წმინდა ეკლესიის წმინდანია!

– ჩემი ფეხების წმინდანია, ფრანცისკელთა გასაჯავრებლად იოანეს მიერ წმინდანად შერაცხული! თქვენს პაპს წმინდანად შერაცხვის უფლება არ აქვს, რადგან თავადაა მწვალებელი, მეტიც, უსჯულო!

– უკვე გვსმენია ეს ყველაფერი! იმ მასხარა ბავარიელის სიტყვებია, ზაქსენჰაუზენში რომ ჩამოარაკრაკა თქვენი უბერტინუსის მომზადებული გამოსვლა.

– რას ამბობ, შე ღორო, ბაბილონელი მეძავის გაგდებულო! კარგად იცი, რომ იმ წელს უბერტინუსი იმპერატორთან არ ყოფილა, სწორედ ავინიონში იყო კარდინალ ორსინის სამსახურში, და პაპი მას არაგონაში აგზავნიდა დესპანად!

– ვიცი, ვიცი, რომ სიღატაკის აღთქმას კარდინალის სასადილოში ასრულებდა, ისევე, როგორც ახლა ასრულებს ნახევარკუნძულის ყველაზე მდიდარ მონასტერში. უბერტინუს, შენ თუ იქ არ იყავი, მაშ ვინ ურჩია ლუდვიგს შენი ნაშრომების გამოყენება?

– ჩემი ბრალია, ლუდვიგი თუ ჩემს ნაშრომებს კითხულობს? ცხადია, შენსას ვერ წაიკითხავს, შე უწიგნურო!

– მე ვარ უწიგნური? უწიგნური თქვენი ფრანცისკი იყო, ბატებს რომ ელაპარაკებოდა!

– მკრეხელობ!

– ეს შენ მკრეხელობ, ავხორცო ფრატიჩელო!

– ავხორცობა არასოდეს ჩამიდენია, კარგად იცი!

– დიახაც რომ სჩადიოდი შენს ფრატიჩელებთან ერთად, მონტეფალკოელ კლარასთან რომ კოტრიალობდი!

– ღმერთმა შეგაჩვენოს! მე მაშინ ინკვიზიტორი ვიყავი, კლარა კი უკვე წმინდა სურნელს აფრქვევდა!

– კლარა წმინდა სურნელს აფრქვევდა, სამაგიეროდ შენ ეძებდი სხვა სუნს, მონაზვნებს ცისკრის ლოცვას რომ უკითხავდი!

– მიდი, განაგრძე, ისე მოგეწევა ღვთის რისხვა, როგორც შენს პატრონს, ის ორი ერეტიკოსი რომ შეიფარა, ოსტგოთელი ეკჰარტი და ინგლისელი ნეკრომანტი, ბრანუცერტონს რომ ეძახით!

– ღირსო ძმებო, ღირსო ძმებო! – გაჰყვიროდნენ წინამძღვარი და ბერტრანი.

მესამე ჟამი

სადაც სევერინუსი უილიამს ერთი უცნაური წიგნის ამბავს გაუმხელს, უილიამი კი დელეგაციის წევრებს ამქვეყნიური მთავრობის ერთ ფრიად უცნაურ მოსაზრებას გააცნობს

აყალმაყალი არ ჩამცხრალიყო, როცა ყმაწვილ ბერთაგან ერთ-ერთი, კართან რომ დაეყენებინათ საგუშაგოდ, დარბაზში შემოვიდა, უილიამთან მიირბინა და უჩურჩულა, სევერინუსს სურს, სასწრაფოდ დაგელაპარაკოსო. დარბაზიდან გამოვედით, შესასვლელთან ბერები შეყრილიყვნენ, ჩოჩქოლებდნენ, აყურადებდნენ, ცნობისწადილაღძრულნი ცდილობდნენ, დარბაზიდან გამოსულ ღრიანცელში გაერკვიათ, რა ხდებოდა შიგნით. კართან ახლოს აიმარუს ალექსანდრიელი დავინახე, ჩვეული ქირქილით შეგვხვდა, თითქოს დასცინოდა და თან იბრალებდა სამყაროს სიბრიყვის გამო.

– ცხადია, მას შემდეგ, რაც მაწანწალა მათხოვართა ორდენები შეიქმნა, ქრისტიანობა უფრო ამაღლდა, – ჩაილაპარაკა.

უილიამმა უხეშად გასწია ხელით, გზა გაითავისუფლა და სევერინუსს მიაშურა, რომელიც იქვე, კუთხეში, გველოდა. აფორიაქებული ჩანდა, თითქოს რაღაცის თქმას ეშურებოდა, განცალკევებულ ადგილს ეძებდა იმ ალიაქოთში. გარეთ გვინდოდა გასვლა, მაგრამ დიდი დარბაზის ზღურბლზე ჩეზენელი მიქაელი გამოჩნდა, უილიამს ანიშნებდა, შემობრუნდი, ჩხუბი მინელდა, კრება უნდა გავაგრძელოთო.

უილიამს კვლავაც ვერ გადაეწყვიტა, თივის რომელი ტომრისკენ გაეწია. სევერინუსი დააჩქარა, დროზე მითხარიო, და ბალახთა მცოდნემაც სცადა, ჩუმად ელაპარაკა, სხვებს რომ არ გაეგოთ.

– ბერენგარიუსი ნამდვილად იყო ლაზარეთში, სანამ აბანოში შევიდოდა, – უთხრა.

– რა იცი?

ბერები ცდილობდნენ, ახლოს მოსულიყვნენ, რომ ყური მოეკრათ ჩვენი საუბრისთვის. სევერინუსმა ხმას დაუწია, თან აქეთ-იქით იყურებოდა.

– შენ ხომ მითხარი, იმ კაცს... თან რაღაც უნდა ჰქონოდაო... ჰოდა, რაღაც ვიპოვე ჩემს ლაბორატორიაში... სხვა წიგნებში შერეული... ერთი უცნაური წიგნი...

– ჰო, ეგ უნდა იყოს, – უილიამი კმაყოფილი ჩანდა. – ახლავე მომიტანე.

– არ შემიძლია, – უთხრა სევერინუსმა, – მერე აგიხსნი. აღმოვაჩინე... მგონი, რაღაც საინტერესო აღმოვაჩინე... უნდა წამომყვე, წიგნი უნდა გაჩვენო... ფრთხილად... – სევერინუსი დადუმდა. აჩრდილივით უჩუმრად საიდანღაც ხორხე გაჩნდა გვერდით. ხელები წინ გაეშვირა, თითქოს, იმ ადგილს მიუჩვეველი, ცდილობდა გაერკვია, საით წასულიყო. ჩვეულებრივი ადამიანი ვერ გაიგებდა სევერინუსის ჩურჩულს, მაგრამ კარგად ვიცოდით, ხორხეს, როგორც ყველა უსინათლოს, საოცარი, განსაკუთრებული სმენა ჰქონდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ხორხემ ვერ გაიგო ჩვენი ლაპარაკი. საპირისპირო მხარეს გაეშურა, ერთ-ერთ ბერს მიადგა, რაღაც ჰკითხა. მან მზრუნველად ჩაჰკიდა ხელი და გარეთ გაიყვანა. ამ დროს ისევ გამოჩნდა მიქაელი, უილიამს ანიშნებდა, შემოდიო, მაშინ უილიამმა გადაწყვიტა: – გთხოვ, – უთხრა სევერინუსს, – ლაბორატორიაში დაბრუნდი, შიგნიდან ჩაიკეტე და დამელოდე. შენ კი, – მომიბრუნდა მე, – ხორხეს გაჰყევი. ყურიც რომ მოეკრა ჩვენთვის, არა მგონია, ლაზარეთში წააყვანინოს თავი. მოკლედ, გაიგე, საით წავა.

დარბაზისკენ შეტრიალდა და თვალი მოჰკრა (მეც დავინახე) აიმარუსს, რომელიც ცდილობდა, თავმოყრილთა შორის გზა გაეკვალა და ხორხეს გაჰყოლოდა. მაშინ კი

გაუფრთხილებლად მოიქცა უილიამი: ნართექსის[201] ერთი ბოლოდან მეორეში სევერინუსს ხმამაღლა გასძახა: – გთხოვ... იცოდე, არავის დაანებო, რომ ის ფურცლები... იქ დაბრუნდეს, საიდანაც გამოიტანეს!

ხორხეს ადევნებულმა შევნიშნე, მეკუჭნავე ატუზულიყო გარე შესასვლელის სვეტთან. გაიგონა უილიამის სიტყვები, შიშისაგან სახე შეეცვალა, ხან მას გახედავდა, ხან სევერინუსს. მერე სევერინუსს აედევნა. ვშიშობდი, ხორხე არ დამეკარგა, უკვე უჩინარდებოდა ნისლში. სევერინუსი და მეკუჭნავე კი მის საპირისპირო მხარეს მიდიოდნენ და მათ სხეულებს ძლივსღა ვარჩევდი ბურუსში. სწრაფად გავიაზრე, რა უნდა გამეკეთებინა: უილიამმა კი მიბრძანა, უსინათლოს გავყოლოდი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მენახა, ლაზარეთისკენ წავიდოდა თუ არა. ის კი სხვა მხარეს მიდიოდა, თავის გამყოლთან ერთად, შიგა ეზო გაიარა, ესე იგი ან ტაძრისკენ მიდიოდა, ან ციტადელისკენ. უეჭველი იყო, მეკუჭნავე ბალახთა მცოდნეს გაჰყვებოდა და უილიამს ის ადარდებდა, ლაბორატორიაში რა მოხდებოდა. ამიტომაც მათ ავედევნე, თან ვფიქრობდი, ნეტავ აიმარუსი სად გაქრა-მეთქი; თუმცა ის გარეთ არც გამოსულა, მას ხომ სულ სხვა განზრახვა ჰქონდა.

ვცდილობდი, მეკუჭნავე არ დამეკარგა თვალთახედვის არიდან, ის აშკარად მიხვდა, რომ ვიღაც აედევნა და ნაბიჯი შეანელა. ვერაფრით გაარჩევდა, უკან ადევნებული ჩრდილი ვისი იყო, ისევე, როგორც ვერც მე ვიქნებოდი დარწმუნებული, რომ ჩრდილი, რომელსაც ფეხდაფეხ მივყვებოდი, რემიგუსი იყო, თუმცა არც ერთს ეჭვი არ გვეპარებოდა ამაში.

ერთგვარად ვაიძულებდი, ჩემთვისაც ედევნებინა თვალყური და ამით ხელს ვუშლიდი, ფეხდაფეხ მიჰყოლოდა სევერინუსს. როცა ნისლში ლაზარეთის შენობა გამოიკვეთა, მისი კარი უკვე დახურული იყო. და მადლი უფალს, სევერინუსი უკვე შიგნით იყო. მეკუჭნავე კიდევ ერთხელ შემოტრიალდა. ხესავით გავშეშდი ბაღში. წამით შეყოვნდა და მერე სამზარეულოს მიაშურა. ვიფიქრე, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე, სევერინუსი გონიერი კაცი იყო, თავად მიხედავდა საკუთარ თავს და არავის გაუღებდა კარს. საქმე აღარაფერი მქონდა და რაც მთავარია, ცნობისმოყვარეობა მკლავდა, გამეგო, რა ხდებოდა დიდ დარბაზში. უკან დაბრუნება გადავწყვიტე. ალბათ, შევცდი, უნდა დავრჩენილიყავი და მეყარაულა, იქნებ უამრავი უბედურება აგვეცდინა თავიდან, მაგრამ ეს ახლა ვიცი, მაშინ რას ვიფიქრებდი.

უკანა გზაზე ბენციუსს შევეჩეხე, თანამზრახველურად იღიმებოდა: – სევერინუსმა რაღაც იპოვა, ბერენგარიუსის დატოვებული, არა?

– შენ რა იცი? – უხეშად ვუპასუხე, როგორც საკუთარ თანატოლს, ალბათ, გაბრაზებული, იმიტომაც არ მოვერიდე, რომ ყმაწვილურ სახეზე ლამის ბიჭური ანცობა ეწერა.

– ბრიყვი კი არ ვარ, – მიპასუხა ბენციუსმა, – სევერინუსი უილიამთან მიიჩქარის რაღაცის სათქმელად, მერე შენ უკან მიჰყვები, რომ არავინ აედევნოს...

– შენ კი ზედმეტად გვითვალთვალებ ჩვენც და სევერინუსსაც, – გავღიზიადი.

– მე? გითვალთვალებთ, აბა რა. ორი დღეა, თვალს არ ვაშორებ აბანოსა და ლაზარეთს. რომ შემძლებოდა, შიგნითაც შევიდოდი. რას არ მივცემდი, ოღონდ კი გამეგო, რა ნახა ბერენგარიუსმა ბიბლიოთეკაში.

– ზედმეტად იჩხრიკები იმაში, რაც შენი საქმე არ არის!

– მე მოსწავლე ვარ და უფლება მაქვს, ვიცოდე. ქვეყნის დასალიერიდან ჩამოვედი აქ ბიბლიოთეკის გასაცნობად, ის კი დახშულია, თითქოს რაღაც ბოროტებას ფარავდეს, და მე...

– გამატარე, – ვუთხარი უხეშად.

– გაგატარებ, მაინც უკვე მითხარი, რაც მაინტერესებდა.

– მე?

– ხანდახან დუმილიც ბევრს ამბობს.

– გირჩევ, ლაზარეთში შესვლას ნუ ეცდები, – ვუპასუხე.

– არ შევალ, დამშვიდდი. მაგრამ გარედან ყურებას ვერავინ დამიშლის.

ყური აღარ დავუგდე და დარბაზში შევედი. ვიფიქრე, რომ ბენციუსი უბრალოდ ერთი ცნობისმოყვარე ვინმე იყო და დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა. უილიამს მივუჯექი და მოკლედ მოვუყევი, რაც მოხდა. კმაყოფილმა დამიქნია თავი, მერე მანიშნა, გაჩუმდიო. არეულობა ნელ-ნელა ცხრებოდა. მოწინააღმდეგე მხარეები მშვიდობის ნიშნად ერთმანეთს ეამბორებოდნენ. ალბორელი რწმენას უქებდა მინორიტებს, იერონიმე კი მქადაგებელთ ასხამდა ხოტბას, ყველანი იმედს გამოხატავდნენ, რომ ოდესმე ეკლესიას აღარ აამღვრევდა შინა ბრძოლები. ერთმანეთს გამძლეობასა და ძალას უქებდნენ, სამართლიანობისა და სიფრთხილისაკენ მოუწოდებდნენ. არასოდეს მენახა ამდენი ადამიანი ასე გულწრფელად გაერთიანებული, უზენაეს ღვთისმეტყველურ ნიჭთა მადიდებელი.

პოჯეტოელმა ბერტრანმა უილიამი იხმო დამსწრეთათვის იმპერიის თეოლოგთა მოსაზრებების გასაცნობად. უილიამი უხალისოდ წამოდგა: ერთი მხრივ, გრძნობდა, რომ შეხვედრას არანაირი აზრი არ ჰქონდა, მეორე მხრივ კი ერთი სული ჰქონდა, იქაურობას მოშორებოდა. იდუმალი წიგნი ახლა ბევრად მეტად ადარდებდა, ვიდრე ამ შეხვედრის ბედი. მაგრამ ცხადი იყო, საკუთარ ვალდებულებას ვერსად გაექცეოდა.

მოკლედ, ოხვრითა და ხვნეშით შეუდგა ლაპარაკს, ბევრად მეტად, ვიდრე ოდესმე, ალბათ, სურდა ეგრძნობინებინა, რომ სულაც არ იყო დარწმუნებული საკუთარ სიტყვებში. დასაწყისისთვის განაცხადა, შესანიშნავად მესმის აქამდე გამოსულთა მოსაზრებები და ის, რასაც აქ იმპერიის თეოლოგთა „მოძღვრებას“ უწოდებენ, მხოლოდ ცალკეული მოსაზრებებია და არანაირად არ მინდა, სარწმუნობის ჭეშმარიტებად გამოვაცხადო ისინიო.

თქვა, ღმერთი იმდენად კეთილია, რომ თავისი სამწყსო ყოველგვარი გარჩევის გარეშე შექმნა და ყველას თანაბრად მიუჩინა მასში ადგილი „შესაქმის“ გვერდებზევე, სადაც ჯერ არც მეფეა ნახსენები და არც სამღვდელოებაო. და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ უფალმა ადამსა და მის შთამომავალთ ყოველივე ამქვეყნიურის მფლობელობა იმ პირობით უბოძა, რომ ისინი ღვთიურ კანონებს დაემორჩილებოდნენ, ალბათ, თავად ღმერთი მიიჩნევდა, რომ მიწიერ ამბებში ხალხი უნდა იყოს კანონმდებელიც და კანონის ნამდვილი პირველმიზეზიცო. კარგი იქნებოდა, ხალხი აცნობიერებდეს ამას, მაგრამ ვინაიდან მოქალაქედ უნდა ჩაითვალოს ყრმაც, ხეიბარიც, ავაზაკიცა და ქალიც, ალბათ, შესაძლებელია გონივრულად შეთანხმება „ხალხის“ იმგვარ განმარტებაზე, რომელიც მოქალაქეთა საუკეთესო ნაწილს გულისხმობს, თუმცა ახლა საჭიროდ არ მიმაჩნია განვაცხადო, მე ვის მოვიაზრებ ამ ნაწილშიო.

წამოახველა, ბოდიში მოუხადა დამსწრეთ, საშინელი ნესტიაო, მერე კი განაცხადა, საკუთარი ნების გამოხატვას ხალხი, ალბათ, რაღაც არჩევითი კრების საშუალებით შეძლებდაო. მე აზრიანად და გონივრულად მეჩვენება, სწორედ ასეთი საკრებულოს უფლება ყოფილიყო კანონების განმარტება, მათი ცვლილება ან გაუქმებაო. ვინაიდან, თუ კანონებს ერთი ადამიანი ქმნის, მისმა უვიცობამ ან ბოროტებამ შეიძლება საზოგადოება დააზარალოსო. მერე დაამატა, ზედმეტია იმის გახსენება, რამდენი ასეთი შემთხვევა ყოფილა ბოლო ხანებშიო. შევნიშნე, რომ ბევრი ფრიად დაეჭვებული უსმენდა უილიამს, ამ ბოლო განცხადებას კი უკლებლივ ყველა დაეთანხმა. ცხადია, ყოველი იქ მყოფი სხვადასხვა ადამიანს მოიაზრებდა ამ სიტყვებში და სწორედ ის მიაჩნდა ბოროტების საწყისად, ვისაც თავად წარმოიდგენდა.

მოკლედო, განაგრძო უილიამმა, თუ ერთი კაცი უხეირო კანონებს წერს, არ ჯობია, ბევრმა იმუშაოს მათ შექმნაზეო? ცხადიაო, ხაზი გაუსვა, მიწიერ კანონებს ვგულისხმობ, რომლებიც სამოქალაქო საქმეთა უკეთ წარმართვას ეხებაო. უფალმა ადამს სიკეთისა და ბოროტების ხის ნაყოფის გასინჯვა აუკრძალა, და ეს ღვთიური განკარგულება იყო; მაგრამ შემდეგ უფლება მისცა, უფრო მეტიც, წააქეზა ის, სახელი დაერქმია ყოველივესთვის, და ამაში არანაირად არ შეუზღუდავს თავისი მიწიერი შთამომავალიო. მართალია, ზოგიერთები

დღეს ამბობენ, რომ nomina sunt consequentia rerum[202], მაგრამ შესაქმე ამაზე საკმაოდ მკაფიოდ ამბობს: ღმერთმა კაცს მიჰგვარა ცხოველი ყოველივე, რათა ენახა, რას უწოდებდა მათ ადამიანი, და რაც უნდა დაერქმია ადამიანს თითოეული ცოცხალი არსებისათვის, სწორედ ის იქნებოდა მისი სახელი. მართალია, პირველი ადამიანი იმდენად გონიერი აღმოჩნდა, რომ თავის ედემურ ენაზე ყოველივეს, სულიერსა თუ უსულოს, ცხოველსა თუ მცენარეს თავისი ბუნების შესაფერისი სახელი შეურჩია, მაგრამ ის ხომ არავის შეუზღუდავს, ის დაარქვა ყოველივეს, რაც საკუთარმა წარმოსახვამ უკარნახაო. ახლა უკვე ცნობილია, რომ ადამიანები სხვადასხვა სიტყვებით გამოხატავენ ერთსა და იმავე ცნებებს, ერთნაირი კი მხოლოდ ცნებებია, საგანთა ნიშნები. ხომ უდავოა, რომ სიტყვა nomen-ის ძირი nomos-ია, ანუ კანონი, რამეთუ nomina[203] სწორედ ადამიანთა მიერ, ad placitum, ანუ თავისუფალი და ერთობლივი ნებით იქმნებაო.

დამსწრეთაგან ვერავინ გაბედა, შეწინააღმდეგებოდა ამ მეცნიერულ განმარტებას. უილიამმაც განაგრძო: ამრიგად, კარგად ჩანს, რომ ამქვეყნიურ, ანუ სამეფოთა და ქალაქთა, კანონებს კავშირი არ აქვს ღვთიური სიტყვის დაცვასა და აღსრულებასთან, ეს ეკლესიის შეუვალი უფლებაა და ვაი ურწმუნოთ, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი, უზენაესი ზემდგომი ორგანო, რომელიც მათ ღვთის სიტყვას განუმარტავდაო (და ყველამ ერთხმად შეიბრალა უსჯულონი). მაგრამ ამის გამო ხომ ვერ ვიტყვით, რომ ურწმუნონი კანონებს არ გამოსცემენ? მათ ქალაქებსა და სამეფოებსაც ხომ მართავენ მთავრობები, მეფეები, იმპერატორები, სულთნები თუ ხალიფები? განა შეგვიძლია უარვყოთ, რომ რომის წარმართ იმპერატორთაგან არაერთს უმართავს ბრძნულად ქვეყანა? თუნდაც ტრაიანე გავიხსენოთ. განა ვინ უბოძა უსჯულოთა და წარმართთ კანონმდებლობისა და პოლიტიკურ ერთობად ცხოვრების ეს ბუნებრივი უნარი? იმ მატყუარა ღვთაებებმა ხომ არა, რომლებიც, უეჭველად არ არსებობენ (ან საეჭვოა, არსებობდნენ – ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს ეს)? ცხადია, არა. სხვა ვერავინ მიანიჭებდა მათ ამ უნარს, თუ არა ღმერთი ისრაელისა, მამა ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტესი... ეს ხომ ღვთის სიკეთის გასაოცარი დასტურია, იმისა, რომ ღმერთმა პოლიტიკურ საქმეთა განსჯის უნარი მათაც უბოძა, ვინც რომის პონტიფიკოსის უზენაესობასა და ქრისტიანული სამყაროს წმინდა, ტკბილსა და ძრწოლის მომგვრელ საიდუმლოთ არ აღიარებს! განა არსებობს ამაზე მშვენიერი დასტური იმისა, რომ წუთისოფლის მართვასა და საერო იურისდიქციას საერთო არაფერი აქვს ეკლესიასთან და ქრისტეს კანონთან, რომ ისიც ღმერთის ნაკარნახევია ეკლესიის ყოველგვარი თანხმობის გარეშე? უფრო მეტიც: რომ საერო კანონი ჩვენი წმინდა რელიგიის შექმნამდე არსებობდა?

ისევ ჩაახველა, თუმცა ახლა უკვე სხვებიც ცქმუტავდნენ ადგილზე და ყელის ჩაწმენდას ცდილობდნენ. დავინახე, როგორ დაისველა ენით ტუჩები კარდინალმა და მოუსვენრად, მაგრამ თავაზიანად ანიშნა უილიამს, საქმეზე გადადიო. უილიამმაც შეაჯამა სათქმელი და მისი სიტყვები იქ მყოფთ წეღანდელი მსჯელობის ფრიად უსიამოვნო დასკვნად მოეჩვენათ. თუმცა მისთვის წინააღმდეგობა მათაც კი არ გაუწევიათ, ვინც კატეგორიულად არ ეთანხმებოდა. უილიამმა განაცხადა, ვგონებ, ჩემს დასკვნებს თავად ქრისტეს მაგალითი ადასტურებს, ის ხომ მმართველად კი არ მოვიდა ამქვეყნად, არამედ – ქვეშევრდომად, და იმ წესებს ემორჩილებოდა, რომლებიც იმ გარემოში იყო დაწესებული – კეისრის კანონებსო. მას არც მოციქულები შეურჩევია მმართველ-გამგებელთა შორის, და ვფიქრობ, ეს იმიტომ, რომ მოციქულთა მიმდევრებიც თავისუფალი ყოფილიყვნენ ყოველგვარი ამქვეყნიური ძალაუფლებისა და მისი თანამდევი ზეგავლენისგანო. პონტიფიკოსზე, ეპისკოპოსებსა და მღვდლებზე რომ საერო მთავართა ძალაუფლება არ ვრცელდებოდეს, ის მთლიანად დაძაბუნდებოდა და ამით შეირყეოდა წყობა, რომელიც, როგორც წეღან დაგისაბუთეთ, ღვთის მიერაა დადგენილიო. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ უაღრესად ფაქიზი შემთხვევები, – დასძინა ბოლოს, – როგორიც მწვალებელთა საქმეებია. მწვალებლობის გამოვლენა მხოლოდ ეკლესიას ხელეწიფება, როგორც ჭეშმარიტების მპყრობელს, თუმცა შემდგომი მოქმედება საერო ხელის საქმეა. თუ ეკლესია ერეტიკოსს ამხელს, უნდა აცნობოს ეს საერო ხელისუფალს, რომელმაც უნდა იცოდეს, რა ხდება მის სამეფოში. მაგრამ როგორ დასაჯოს მეფემ ერეტიკოსი? იმ ჭეშმარიტების სახელით, რომელიც ეკლესიის ხელშია? მთავარმა ერეტიკოსი მაშინ უნდა დასაჯოს, თუ მისი მოქმედება ხელს უშლის და ზიანს აყენებს საზოგადოებას, მაგალითად, მაშინ, თუ მწვალებელი თავისი რწმენის გავრცელებისთვის განსხვავებული აზრის მქონეს კლავს და ავიწროებს. მეფის ძალაუფლება აქ მთავრდება, რადგან ამქვეყნად სასჯელის

შიშით ვერავის აიძულებ, სახარებას მისდიოს. განა ჩვენი თავისუფალი ნებით ჩადენილი საქციელის გამო არ ვაგებთ პასუხს იმქვეყნად? ეკლესიამ უნდა გააფრთხილოს ერეტიკოსი, რომ ის მორწმუნეთა ერთობას ემიჯნება, მაგრამ ვერც განიკითხავს მას ამქვეყნად, ვერც რამეს აიძულებს. ქრისტეს რომ ნდომებოდა, მის მოციქულთ იძულება შეძლებოდათ, ისეთ მკაცრ წესებს დაადგენდა, როგორიც მოსემ დაადგინა. მაგრამ თუ იესომ ეს არ გააკეთა, ესე იგი, არ ინება. თუ ვინმეს სურს, გვაფიქრებინოს, უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწროო, არ დავეთანხმები, სამი წელი იქადაგა იესომ, რა ვერ მოასწრო? მართებულია, ვირწმუნოთ, რომ ეს არ იყო მაცხოვრის ნება. იესოს რომ ნდომებოდა, მაშინ პაპი საკუთარ ნებას მეფეებსაც მოახვევდა თავს და ქრისტიანობა თავისუფლების კანონი კი არა, გაუსაძლისი მონობა იქნებოდა.

– ყველაფერი ეს, – დაამატა უილიამმა ხალისიანად, – ეკლესიის უზენაესი მეთაურის მისიას კი არ აკნინებს, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის: რამეთუ ღვთის მსახურთა მსახური იმისთვისაა ამქვეყნად, რომ ემსახუროს, და არა იმისთვის, რომ მას ემსახურონ. დაბოლოს, გაუგებარია, თუ პაპი მთელ იმპერიას უნდა განაგებდეს, მაშინ მთელი სამყარო რატომ არ უნდა ემორჩილებოდეს მას? როგორც ვიცით, პაპის მოსაზრებების გაზიარება ღვთიურ ამბებზე საფრანგეთისა და ინგლისის მეფეთა ქვეშევრდომებს ერთნაირად ევალებათ, მაგრამ მაშინ ეს ჩინეთისა და უსჯულოთა ქვეყნების სულთნებსაც უნდა ეხებოდეს, ისინი კი ურჯულოებად სწორედ იმიტომ იწოდებიან, რომ ქრისტიანული რჯულისა არ სწამთ. ამრიგად, თუ პაპი ჩათვლის, რომ მას, როგორც პაპს, საერო ძალაუფლებაც აქვს – მხოლოდ იმპერიის ფარგლებში – ამით საერო ძალაუფლება სულიერს გაუიგივდებოდა და ეს დაბადებდა ეჭვს, რომ პაპის სულიერი ძალაუფლება არა მხოლოდ სარკინოზებსა და თათრებზე არ ვრცელდება, არამედ არც ფრანგებსა და ინგლისელებზე, ეს კი საოცარი მკრეხელობა იქნებოდა. აი, რატომ მგონია მართებული, შეგახსენოთ, რომ ავინიონის ეკლესია მთელ კაცობრიობას შეურაცხყოფდა, თუკი გამოაცხადებდა, რომ მის უფლებებში შედის რომის იმპერატორად არჩეულის დადგენილებათა მოწონება თუ გაკიცხვა. პაპს იმპერიაზე ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც სხვა სამეფოებზე, და რამეთუ პაპის მოწონება-არმოწონებას არც საფრანგეთის მეფე დაგიდევს და არც სულთანი, არ მესმის, რატომ უნდა იყოს მასზე დამოკიდებული გერმანელთა და იტალიელთა იმპერატორი. ეს ღვთის განკარგული არაა, ვინაიდან ამაზე წმინდა წიგნები არაფერს ამბობენ, და არც საერო კანონებითაა დადგენილი, იმ მიზეზთა გამო, რომლებიც უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება უპოვარებაზე კამათს, – თქვა ბოლოს უილიამმა, – ჩემი მოკრძალებული მოსაზრება ამ საკითხზე, რომელიც პადუელი მარსილიუსისა და ჯანდუნოელი იოანეს აზრს ემთხვევა, ასე შემიძლია გამოვხატო: თუ ფრანცისკელებს სიღატაკეში სურთ ცხოვრება, პაპი არ და ვერ შეეწინააღმდეგება მათ ასეთ ღირსეულ ნებას. ცხადია, თუკი ქრისტეს უპოვარება დასაბუთდება, ეს არა მხოლოდ მინორიტებს დაეხმარება, არამედ გაამყარებს მოსაზრებას, რომ მაცხოვარი არანაირ ამქვეყნიურ ძალაუფლებას არ ეძებდა. მაგრამ ამ დილით ფრიად ბრძენ ადამიანთაგან მოვისმინე, რომ ქრისტეს სიღატაკის დადასტურება შეუძლებელი ყოფილა, მე კი, მართალი გითხრათ, უფრო მართებულად მეჩვენება, ამოვატრიალოთ ეს მტკიცება და ასე ჩამოვაყალიბოთ: რადგან ვერავინ დაამტკიცებს, რომ ქრისტე ოდესმე ესწრაფოდა ამქვეყნიურ ძალაუფლებას თავისთვის ან თავის მიმდევართათვის, მისი გულგრილობა წუთისოფლის ვნებათა მიმართ საკმარისად მეჩვენება, რათა მივიჩნიოთ (და არა მგონია, ვცოდავდეთ), რომ ქრისტე მაინც უპოვარებას ამჯობინებდა.

უილიამი მშვიდად ლაპარაკობდა, ისე ფრთხილად, თითქმის ყოყმანით წარმოაჩინა თავისი მოსაზრებები, რომლებშიც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დამსწრეები ვეღარც კი შეწინააღმდეგნენ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ეთანხმებოდა. ავინიონელები იჭმუხნებოდნენ და იბღვირებოდნენ, ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ, წინამძღვარიც ფრიად უკმაყოფილო და აფორიაქებული ჩანდა უილიამის სიტყვებით, თითქოს ფიქრობდა, რომ არ იყო საჭირო მისი ორდენისა და იმპერიის ურთიერთობებზე ასე ლაპარაკი. მინორიტებს რაც შეეხება, ჩეზენელი მიქაელი შეცბუნებული ჩანდა, იერონიმე – გაოგნებული, უბერტინუსი – შეფიქრიანებული.

პოჯეტოს მარად მოღიმარმა, უდარდელმა კარდინალმა დაარღვია დუმილი და უილიამს ჰკითხა, წახვიდოდით თუ არა ავინიონში, ყოველივე ეს მისი უწმინდესობა პაპისთვის რომ

მოგეხსენებინათო. უილიამმა ჰკითხა, თქვენ როგორ ფიქრობთო, მან კი უპასუხა, პაპს უსაზღვროდ უყვარს თავისი შვილები, არაერთი სადავო შეხედულება მოუსმენია თავისი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ეს მოსაზრებები უეჭველად დიდად ატკენდა გულსო.

ბერნარ გუი ჩაერია, რომელსაც იქამდე ხმა არ ამოუღია: – მოხარული ვიქნებოდი, ძმა უილიამს, რომელიც ეგზომ ოსტატურად და მჭევრმეტყველურად აყალიბებს თავის მოსაზრებებს, პაპის აზრი გაეგო მათზე…

– დამარწმუნეთ, უფალო ბერნარ, – უთხრა უილიამმა, – არ წამოვალ. – მერე კარდინალს მოუბოდიშა: – იცით, მკერდში საშინელი ჭვლების გამო იძულებული ვარ, უარი ვთქვა წლის ამ დროს ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობაზე…

– მაშ, რატომ ილაპარაკეთ ამდენი? – ჰკითხა კარდინალმა.

– სიმართლის დასასაბუთებლად, – უპასუხა უილიამმა, – ჭეშმარიტება გაგვათავისუფლებს.

– არა, არა! – თავი ვეღარ შეიკავა იოანე დალბენელმა. – ეს განმათავისუფლებელი ჭეშმარიტება კი არაა, არამედ – ზღვარს გადასული თავისუფლება, რომელიც ჭეშმარიტებად ასაღებს თავს!

– ესეც შესაძლებელია, – მორჩილად დაუკრა კვერი უილიამმა.

ვიფიქრე, ახლა წეღანდელზე უფრო ბობოქარი ლანძღვა-გინების ქარიშხალი ამოვარდება-მეთქი, მაგრამ არაფერი მომხდარა. სანამ დალბენელი ლაპარაკობდა, მშვილდოსანთა მეთაური შემოვიდა დარბაზში და ბერნარს რაღაც უჩურჩულა. ის ფეხზე წამოდგა და ხელის აწევით გააჩუმა დარბაზი.

– ძმებო, – თქვა, – ამ სასარგებლო კამათს, ალბათ, კვლავ განვაგრძობთ, მაგრამ უაღრესად სერიოზული მიზეზი გვაიძულებს, შევაჩეროთ მუშაობა, წინამძღვრის ნებართვით. ვფიქრობ, უნებლიეთ დავაკმაყოფილე წინამძღვრის სურვილი, რომელიც გასულ დღეებში მომხდარი მკვლელობების ჩამდენს ეძებდა. დამნაშავე ჩემს ხელთაა. მაგრამ ვაი, რომ გვიან შეიპყრეს, კიდევ… რაღაც მოხდა იქ… – და გასასვლელისკენ გაიშვირა ხელი. მერე სწრაფად გადაჭრა დარბაზი და გავიდა, სხვებიც მიჰყვნენ, პირველ რიგში – უილიამი და მეც მასთან ერთად.

მასწავლებელმა შემომხედა: – მგონი, სევერინუსს რაღაც შეემთხვა.

მეექვსე ჟამი

სადაც სევერინუსს მოკლულს ნახულობენ, მისი წიგნი კი აღარსად ჩანს

შეშფოთებულებმა სწრაფი ნაბიჯით გადავჭერით ეზო. მშვილდოსანთა მეთაური ლაზარეთისკენ მიგვიძღოდა. მრუმე, ნაცრისფერ ნისლში ჩრდილები ირეოდნენ, ბერები და სოფლის მცხოვრებლები ფუთფუთებდნენ სევერინუსის ოთახის შესასვლელთან, მშვილდოსნები კარს იცავდნენ, შიგნით არავის უშვებდნენ.

– მე დავაგზავნე ჩემი ხალხი, რათა მოეძებნათ ის, ვინც ბევრ საიდუმლოს ახდიდა ფარდას, – განაცხადა ბერნარმა.

– ბალახთა მცოდნეს გულისხმობთ? – განცვიფრდა წინამძღვარი.

– არა, ახლავე ნახავთ, – ბერნარმა ხალხი გაარღვია, რათა ლაბორატორიაში შესულიყო.

სევერინუსის ოთახში საწყალობელი სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ. ბედკრული ბალახთა მცოდნე სისხლის გუბეში ეგდო, თავი შუაზე ჰქონდა გადაჩეხილი. თაროები და კარადები დარბეული იყო, თითქოს ქარიშხალს თავდაყირა დაეყენებინა ყოველივე:

შუშების, ბოთლების, ქილების ნამსხვრევები და წიგნების ნაფლეთები ერთმანეთში იყო არეული. მიცვალებულის გვერდით ლამაზად მოვარაყებული ლითონის სფერო ეგდო, ადამიანის თავზე ორჯერ დიდი მაინც იქნებოდა, ოქროს სალტე ჰქონდა შემორტყმული ჯვარივით და მოკლე, მოჩუქურთმებულ სამფეხაზე იყო დამაგრებული. არაერთხელ დამენახა, შესასვლელის მარცხნივ იდგა ხოლმე, მაგიდაზე.

ოთახის მეორე ბოლოში მშვილდოსნებს მეკუჭნავე გაეკავებინათ, ფართხალებდა, უბრალო ვარო, ყვიროდა. წინამძღვრის დანახვაზე ყვირილს უმატა. – ბატონო, ღრიალებდა, – გარემოება ჩემს წინააღმდეგაა, მაგრამ დამიჯერეთ, სევერინუსი მკვდარი დამხვდა და ესენი მაშინ დამადგნენ თავს, გაოგნებული რომ დავჩერებოდი ამ საშინელებას!

მშვილდოსანთა უფროსმა ბერნარისგან ნებართვა აიღო და დამსწრეთ მოახსენა ნანახი. მეკუჭნავის დაპატიმრების ბრძანება ჰქონოდათ და ორ საათზე მეტი უძებნიათ ის მთელ მონასტერში. გავიფიქრე, მაშასადამე, ბერნარს დარბაზში შესვლამდე გაუცია ბრძანება-მეთქი. მცველები მონასტერს არ იცნობდნენ და დიდხანს უაზროდ უძებნიათ რემიგუსი, ის კი დარბაზის შესასვლელში იდგა სხვებთან ერთად და არ იცოდა, რა ელოდა. ჩანს, ნისლმაც შეაფერხა ძებნა. მოკლედ, როგორც მშვილდოსანთა მეთაურის მონაყოლიდან მივხვდი, მე რომ დამცილდა, რემიგუსი სამზარეულოსკენ წასულა, გზაში ვიღაცას დაუნახავს და მშვილდოსნები გაუფრთხილებია, მაგრამ ციტადელთან მისულებს რემიგუსი აღარ დახვედრიათ, ამწამს გავიდაო, უთქვამთ, ხორხე ირწმუნებოდა თურმე, ახლა დავშორდიო. მშვილდოსნები ბოსტნებისკენ გაქცეულან, მხცოვანი ალინარდუსი შეჩეხებიათ ნისლში, უთქვამს, ახლა ვნახე მეკუჭნავე, ლაზარეთში შევიდაო. მშვილდოსნებს კარი ღია დახვედრიათ, სევერინუსი უსულოდ ეგდო თურმე, მეკუჭნავე კი გიჟივით ქექავდა თაროებს, რაც ხელში მოხვდებოდა, ძირს ისროდა, გამალებული ეძებდა რაღაცას. ადვილი მისახვედრი იყო, რაც მოხდაო, განაცხადა ბოლოს მშვილდოსანთა უფროსმა, რემიგუსმა ბალახთა მცოდნე მოკლა და იმ დროს შევუსწარით, როცა გააფთრებული ეძებდა იმას, რის გამოც მკვლელობა ჩაიდინაო.

ერთ-ერთმა მცველმა მკვლელობის იარაღი აიღო და ბერნარს მიაწოდა. სპილენძისა და ვერცხლის რკალებით მოხდენილად შეკრულ სფეროს გარს ბრინჯაოს მსხვილი რგოლები ერტყა და ღერძით იყო დამაგრებული სამფეხა სადგამზე. მკვლელს სწორედ ღერძით ჩაებღუჯა სფერო და ისე ჩაერტყა თავში მსხვერპლისთვის. დარტყმისგან სფერო ერთ მხარეს ჩაღუნული იყო. მის დაბრეცილ რკალებში სისხლის კოლტები, თმები და ტვინის ნაფლეთები გაჩხერილიყო. ეჭვი არ რჩებოდა, სწორედ ეს იყო მკვლელობის იარაღი.

უილიამი გვამზე დაიხარა, დაადასტურა, რომ სევერინუსი მკვდარი იყო. უბედურს საშინლად გადმოკარკლოდა სისხლიანი თვალები. მაშინ ვიფიქრე, ნეტავ მსხვერპლის თვალებში მკვლელის ანარეკლის – უკანასკნელად დანახული გამოსახულების – დანახვა თუ შეიძლება-მეთქი. უილიამი მიცვალებულს თითებს უთვალიერებდა, როგორც ჩანს, შავ ლაქებს ეძებდა, თუმცა ამ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი სრულიად ნათელი იყო. სევერინუსს თავისი ტყავის ხელთათმანები ეცვა, რომლებსაც შხამიან, საშიშ მცენარეებსა და მწერებზე დაკვირვებისას იცვამდა ხოლმე.

ბერნარ გუიმ მეკუჭნავეს მიმართა: – ვარაჯინელო რემიგუს... ასე არ გქვია? ჩემი კაცები იმიტომ გეძებდნენ, რომ სხვა დანაშაულში იყავი ეჭვმიტანილი. ახლა ვხვდები, რომ მართალი ვყოფილვარ, მაგრამ გვიანია, და მწარედ ვნანობ. – ბატონო ჩემო, – მიუბრუნდა მერე წინამძღვარს, – ლამის საკუთარი თავი დავადანაშაულო ამ მკვლელობაში. დილიდანვე ვიცოდი, რომ მართლმსაჯულებისთვის უნდა გადამეცა ეს კაცი. წუხელ იმ მეორე უბადრუკის აღიარებით შევიტყვე ეს, მაგრამ თავადაც ნახეთ, დილით სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული, ჩემმა კაცებმა კი ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ...

ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ყველას გაეგო (ამასობაში ოთახი ხალხით გაჭედილიყო. ყველა მხრიდან ეჩხირებოდნენ ცნობისმოყვარენი, იქაურობას ათვალიერებდნენ, მოკლულს დასჩერებოდნენ, ჩურჩულებდნენ, ვარაუდებს გამოთქვამდნენ). ხალხში მალაქია შევნიშნე, შეჭმუხნილი აკვირდებოდა იქაურობას. მეკუჭნავემაც მოჰკრა მას თვალი, როცა გასასვლელისკენ მიათრევდნენ. ხელიდან გაუსხლტა მცველებს და

მალაქიას დაეტაკა, სამოსში ჩაებღაუჭა და სახე ახლოს მიუტანა. რაღაცას ეუბნებოდა ნაჩქარევად, მაგრამ მშვილდოსნებმა კვლავ შეიპყრეს და კარისკენ წაათრიეს. სანამ გაიყვანდნენ, რემიგუსი მოტრიალდა და სასოწარკვეთილმა მიაყვირა მალაქიას: – დაიფიცე და მეც დავიფიცებ!

მალაქიას მაშინვე არ უპასუხია, თითქოს უცებ სათქმელი ვერ მოიფიქრა. როცა მეკუჭნავე ძიძგილაობით გადაათრიეს ოთახის ზღურბლზე, ჩაილაპარაკა: – შენ წინააღმდეგ არ ვიმოქმედებ.

უილიამმა გამომხედა. თვალებით ვეკითხებოდით ერთმანეთს, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვებიო. ბერნარსაც არ გამოპარვია მომხდარი, მაგრამ სულაც არ გაკვირვებია, გაუღიმა კიდეც მალაქიას იდუმალი თანამზრახველობის ნიშნად და თითქოს ნათქვამიც მოუწონა. მერე გამოაცხადა, სადილის შემდეგ დიდ დარბაზში ამ საქმის პირველი საჯარო განხილვა შედგებაო. ოთახიდან გამოსულმა ბრძანა, დილეგში ჩაეგდოთ მეკუჭნავე, ისე, რომ სალვატორეს არ გამოლაპარაკებოდა.

ზურგს უკან ბენციუსის ჩურჩული მოგვესმა: – მე თქვენ შემოგყევით ფეხდაფეხ, ოთახში ჯერ არავინ იყო, და არც მალაქია ყოფილა აქ.

– მერე შემოვიდა, ალბათ, – უთხრა უილიამმა.

– არა, – ირწმუნებოდა ბენციუსი, – კართან ვიდექი, ყველას ვხედავდი, ვინც შემოდიოდა. გეუბნებით, მალაქია ოთახში იყო… იქამდე.

– სადამდე იქამდე?

– სანამ მეკუჭნავე შევიდოდა ოთახში. ვერ დავიფიცებ, მაგრამ, მგონი, იმ ფარდის უკნიდან გამოვიდა, როცა ოთახი ხალხით აივსო, – განიერ ფარდაზე გვანიშნა, საწოლს რომ ფარავდა, რომელზეც სევერინუსი ავადმყოფებს აწვენდა ხოლმე.

– გინდა დამარწმუნო, რომ სევერინუსი მან მოკლა და როცა ოთახში მეკუჭნავე შევიდა, იქ იყო დამალული?

– თუ თავად არ მოკლა, დაინახა მაინც, რა მოხდა. აბა, რატომ ეტყოდა მეკუჭნავე, არაფერი დამიშავო და არც მე დაგიშავებო?

– შესაძლებელია, – თქვა უილიამმა. – ყოველ შემთხვევაში, წიგნი ახლაც აქ უნდა იყოს, არც მეკუჭნავეს და არც მალაქიას არაფერი გაუტანიათ აქედან. – დასამალი არაფერი იყო, უილიამს ვუთხარი, რომ ბენციუსმა უკვე იცოდა წიგნზე, თანაც ახლა დახმარება გვჭირდებოდა. უილიამი წინამძღვარს მიუახლოვდა, ნაღვლიანად რომ დაჰყურებდა გვამს და სთხოვა, ოთახის დაცლა ებრძანებინა იქ მყოფთათვის: უკეთ უნდა დავათვალიეროთ აქაურობაო. წინამძღვარი ასეც მოიქცა. ოთახიდან რომ გადიოდა, უიმედოდ გამოხედა უილიამს, თითქოს ამუნათებდა, ყოველთვის ყველგან აგვიანებო. მალაქიამ რა არ მოიმიზეზა, რომ ოთახიდან არ გასულიყო, თუმცა ვერაფრით დაასაბუთა, რატომ უნდოდა დარჩენა. უილიამმა თავაზიანად, მაგრამ მკაცრად შეახსენა, ეს ბიბლიოთეკა არ არის და თქვენ აქ არანაირი უფლება არ გაქვთო. ალბათ, ერთგვარად შურიც იძია მაშინდელზე, მალაქიამ ვენანციუსის მაგიდის დათვალიერება რომ არ დაანება.

ოთახში სამნი დავრჩით. უილიამმა ერთ-ერთი მაგიდა შუშის ნამსხვრევებისა და ქაღალდებისაგან გაათავისუფლა და მთხოვა, სათითაოდ მიმეწოდებინა სევერინუსის წიგნები. ბიბლიოთეკა პატარა იყო, ლაბირინთისას ნამდვილად ვერ შევადარებდით, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის წიგნი იყო, ადრე მწყობრად რომ ელაგა თაროებზე, ახლა კი მეკუჭნავეს იატაკზე გადმოეყარა და სხვა საგნებში აერ-დაერია. ზოგიერთი დახეულიც იყო, თითქოს რემიგუსი წიგნს კი არა, რაღაც ისეთს ეძებდა, რაც წიგნში იდო. წიგნები ყდებიდან უმოწყალოდ იყო ამოგლეჯილი. ადვილი საქმე არ იყო მათი აკრეფა, შინაარსის გარკვევა და მაგიდაზე დალაგება. თან ცოტა დრო გვქონდა, მალე ბერები უნდა შემოსულიყვნენ, სევერინუსის სხეული მოეწესრიგებინათ და დასაკრძალავად მოემზადებინათ. კარგად უნდა დაგვეჩხრიკა იქაურობა, მაგიდების ქვეშ

ან თაროების უკან ხომ არაფერი იყო გადავარდნილი. უილიამმა არ ისურვა წიგნების დახარისხებაში ბენციუსის დახმარება და კართან დააყენა დარაჯად. წინამძღვრის განკარგულების მიუხედავად, ბევრი ლამობდა შემოსვლას: ახალი ამბით თავზარდაცემული სოფლის მცხოვრებლები თუ ბერები, გარდაცვლილ ძმას რომ ტიროდნენ, მორჩილები, თეთრი ტილოებითა და წყლიანი ჯამებით, მიცვალებულის დასაბანად და გასაპატიოსნებლად რომ ითხოვდნენ ოთახში შეშვებას…

მოკლედ, სწრაფად უნდა გვემოქმედა. თავიდან წიგნებს ვიღებდი, უილიამს ვაწვდიდი, ის ათვალიერებდა და მაგიდაზე აწყობდა. მერე ავჩქარდით, მაგიდა გრძელი იყო და ორივეს შეგვეძლო წიგნების შემოწმება: წიგნს ავიღებდი, თუ დაშლილი იყო, თავს მოვუყრიდი, სათაურს წავიკითხავდი და მაგიდაზე ვდებდი. ბევრი მათგანი ფურცლებად იყო დაშლილი.

– „De plantis libri tres“[204], ჯანდაბა, ეს არაა, – ამბობდა უილიამი და მაგიდაზე დააგდებდა წიგნს.

– „Thesaurus herbarum“[205], – ვეუბნებოდი, ის კი მომაძახებდა: – შემდეგი, ბერძნულ წიგნს ვეძებთ!

– ეს? – ვკითხე და უცხო ენაზე ნაწერი წიგნი გავუწოდე.

– ეგ არაბულია, ბრიყვო! მართალი იყო ბეკონი, რომ ამბობდა, სწავლულის პირველი მოვალეობა ენების შესწავლააო!

– კი, მაგრამ არაბული ხომ არც თქვენ იცით! – არ დავუთმე, რაზეც უილიამმა მიპასუხა: – არა, მაგრამ არაბულ ნაწერს მაინც ვცნობ! – გავწითლდი, მესმოდა, როგორ ხითხითებდა ბენციუსი ჩემს ზურგს უკან.

წიგნი უამრავი იყო, და კიდევ უფრო მეტი – ჩანაწერი, ცის თაღის ნახაზებიანი გრაგნილები, უცნაურ მცენარეთა კატალოგები. კარგა ხანს ვეძებეთ, ყველაფერი გადავქექეთ, უილიამმა გვამიც კი წამოსწია, მის ქვეშ ხომ არ არის რამეო, სამოსიც გაუჩხრიკა. ამაოდ.

– სადღაც აქ უნდა იყოს, – თქვა უილიამმა, – სევერინუსი აქ ინახავდა წიგნს. მეკუჭნავეს არაფერი გაუტანია.

– სამოსში ხომ არ ექნებოდა დამალული? – ვკითხე.

– არა, ის წიგნი, იმ დღეს რომ ვნახეთ, დიდი იყო, შევნიშნავდით.

– როგორი ყდა ჰქონდა? – შევეკითხე.

– არ ვიცი, გადაშლილი იდო, თანაც სულ რამდენიმე წამით მოვკარი თვალი. მხოლოდ ის დავინახე, რომ ბერძნული იყო. მაშ ასე: მეკუჭნავეს არ გაუტანია, მგონი, არც მალაქიას…

– არა, – დაუდასტურა ბენციუსმა, – მეკუჭნავე რომ ყელში სწვდა, ჩანდა, სამოსში არაფერი ედო.

– კარგი. უფრო სწორად, ცუდი. თუ წიგნი აქ არაა, ცხადია, კიდევ ვიღაც იყო შემოსული, მალაქიასა და მეკუჭნავის გარდა.

– ანუ ვიღაც მესამე, ვინც სევერინუსი მოკლა?

– ძალიან ბევრი ხალხია, – ჩაილაპარაკა უილიამმა.

– ისე, – ვთქვი, – ვინ იცოდა კიდევ, რომ წიგნი აქ იყო?

– მაგალითად, ხორხემ, იქნებ გაიგო ჩვენი საუბარი.

– ჰო, – ვუთხარი, – მაგრამ ხორხე სევერინუსს ვერ მოკლავდა, თან ასე საშინლად: ბალახთა მცოდნე ღონიერი, ჩასხმული კაცი იყო…

– ცხადია, ვერ მოერეოდა. თანაც, შენ არ დაინახე, ციტადელისკენ რომ მიდიოდა? მშვილდოსნებმა კი სამზარეულოში ნახეს ცოტათი ადრე, ვიდრე მეკუჭნავეს იპოვიდნენ. ვერ მოასწრებდა აქ მოსვლას და მერე სამზარეულოში მიბრუნებას. ისიც გაითვალისწინე, რომ რაც უნდა გაჩვეული იყოს აქაურობას, კედელ-კედელ დადის, ბაღს ასე უცებ ვერ გადაირბენდა…

– დამაცადეთ, მოვიფიქრო, – ვთქვი. უილიამს ვეპაექრებოდი. – გამოდის, ხორხე ვერ იქნება მკვლელი. ალინარდუსიც იქვე იყო ახლო-მახლო, მაგრამ ისიც ძლივს დგას ფეხზე, სევერინუსს ვერ მოერეოდა. მეკუჭნავე აქ იყო, მაგრამ სამზარეულოდან გამოსულს მშვილდოსნები ლამის ფეხდაფეხ მიჰყვნენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ მოკლე დროში სევერინუსი ეიძულებინა, კარი გაეღო, შებრძოლებოდა, მოეკლა და თან ასე თავდაყირა დაეყენებინა აქაურობა. მალაქიას კი, შესაძლოა, ყველასთვის დაესწრო: ხორხემ თქვენი საუბარი მოისმინა დარბაზის შესასვლელთან, სკრიპტორიუმში ავიდა და მალაქიას შეატყობინა, ბიბლიოთეკის ერთ-ერთი წიგნი სევერინუსს აქვსო. მალაქია აქეთ გამოეშურა, დაარწმუნა სევერინუსი, კარი გაეღო და მოკლა, ღმერთმა უწყის, რატომ. მაგრამ თუ წიგნს ეძებდა, დიდი ქექვა-ჩხრეკის გარეშეც უნდა ეცნო ის, თავად არაა ბიბლიოთეკარი? აბა, ვიღა რჩება?

– ბენციუსი, – თქვა უილიამმა.

ბენციუსმა თავი გააქნია: – არა, ძმაო უილიამ, ხომ იცით, მე მხოლოდ ცნობისმოყვარეობა მკლავდა. აქ რომ შემოვსულიყავი და წიგნი გამეტანა, ახლა აქ კი არ ვიქნებოდი თქვენთან ერთად, სანატრელი ნადავლის თვალიერებაში ვიქნებოდი…

– თითქმის დამაჯერებელია, – გაიღიმა უილიამმა. – მაგრამ არც შენ იცი, როგორია ის წიგნი. შესაძლოა, ბალახთა მცოდნე შენ მოკალი და ახლა ცდილობ, როგორმე წიგნი იპოვო.

ბენციუსი საშინლად გაწითლდა. – მე მკვლელი არა ვარ! – შეეპასუხა.

– მკვლელი არავინაა, სანამ პირველად არ მოკლავს, – ფილოსოფიურად განაცხადა უილიამმა. – ასეა თუ ისე, წიგნი არსად ჩანს, და ესეც ადასტურებს, რომ აქ არ დაგიტოვებია. თუმცა, წიგნის აღება რომ მოგესწრო, წეღანვე, არეულობაში გაიძურწებოდი აქედან.

მერე გვამს მიუბრუნდა, თითქოს მხოლოდ ახლა გააცნობიერაო მეგობრის სიკვდილი. – საბრალო სევერინუს, – ჩაილაპარაკა, შენზეც მქონდა ეჭვი, შენს შხამებზე, შენ კი, როგორც ჩანს, თავად გეშინოდა შხამით სიკვდილის, ასე რომ არა, მაგ ხელთათმანებს არ ჩაიცვამდი. მიწიდან ელოდი ხიფათს და ზეციდან კი დაგატყდა თავს. – მერე მკვლელობის იარაღი აიღო და ყურადღებით დააკვირდა. – ვინ იცის, რატომ გამოიყენეს სწორედ ეს სფერო…

– იქვე იყო, ალბათ.

– შესაძლოა. თუმცა აქვე სხვაც ბევრი რამ იყო: ჭურჭელი, მებაღის ხელსაწყოები… ეს სფერო კი შესანიშნავი ნიმუშია ლითონის დამუშავების ოსტატობისა და ასტრონომიული მეცნიერებისა. ერთიანად დაბრეცილია… ღმერთო მაღალო! – შეჰყვირა.

– რა მოხდა?

– „და იწყლა მესამედი მზისაი და მესამედი მთოვარისაი და მესამედი ვარსკულავთაი…“ – გამოთქმით წარმოთქვა.

შესანიშნავად ვიცნობდი იოანე მოციქულის ტექსტს. – მეოთხე საყვირი! – შევძახე.

– დიახ. ჯერ სეტყვა, მერე სისხლი, მერე წყალი და ახლა ვარსკვლავები… თუ ასეა, ყოველივეს თავიდან უნდა გადავხედოთ, მკვლელი შემთხვევით კი არა, გარკვეული გეგმის მიხედვით მოქმედებს… კი, მაგრამ ნუთუ შესაძლებელია არსებობდეს ისეთი მზაკვარი გონება, რომელიც „გამოცხადების“ მიხედვით დაგეგმავს მკვლელობებს?

– მეხუთე საყვირით რაღა მოხდება? – ვიკითხე დაზაფრულმა და გახსენება ვცადე: – „და ვიხილე ვარსკულავი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქუეყანად, და მიეცა მას კლიტე ჯურღმულისა მის უფსკრულისაი...“ სადმე ჩაახრჩობენ ვინმეს?

– მეხუთე საყვირი ბევრ სხვა რამესაც გვაუწყებს. – მითხრა უილიამმა. – „...და აღხდა კუამლი ჯურღმულისა მისგან, ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისაი. და კუამლისა მისგან გამოვიდეს მკალნი ქუეყანად. და მიეცა მათ ხელმწიფებაი ღრიაკალთა ქუეყანისათა... და მსგავსებაი იგი მკალთაი ესევითარი იყო: მსგავს იყვნეს ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად. და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გვირგვინნი ოქროისანი... და კბილნი მათნი ვითარცა ლომთანი იყვნეს...“ ჩვენს მკვლელს უამრავი საშუალება აქვს წიგნის სიტყვების გასაცხადებლად... მაგრამ შევეშვათ წარმოსახვას, ის გავიხსენოთ, რა გვითხრა სევერინუსმა, როცა წიგნის ამბავი გაგვიმხილა...

– თქვენ სთხოვეთ, ეჩვენებინა და გითხრათ, არ შემიძლიაო...

– ჰო, და მერე შეგვაწყვეტინეს კიდეც ლაპარაკი. რატომ არ შეეძლო? წიგნი ხომ დამაგრებული არ არის. ან ხელთათმანები რატომ ჩაიცვა? რამე კავშირი აქვს წიგნის ყდას იმ შხამთან, რომელმაც ბერენგარიუსი და ვენანციუსი მოკლა? იდუმალი შხამი, შხამიანი ნაკბენი...

– გველი! – შევძახე.

– იქნებ თევზი, რომელმაც იონა გადაყლაპა? არა, ეს ყველაფერი წარმოსახვაა. შხამი, როგორც ვნახეთ, პირში უნდა მოხვდეს. თანაც სევერინუსს არ უთქვამს, წიგნს გარეთ ვერ გამოვიტანო. მითხრა, მირჩევნია, ჩემს ოთახში ნახოო. და ხელთათმანები ჩაიცვა... ახლა ის მაინც ვიცით, რომ იმ წიგნს ხელთათმანებით უნდა შეეხო. ეს შენც გაითვალისწინე, ბენციუს, რადგან ასე ლამობ მის ხელში ჩაგდებას. ახლა კი ერთ რამეს გთხოვ, სკრიპტორიუმში დაბრუნდი და მალაქიას თვალი არ მოაშორო.

– ახლავე! – უპასუხა ბენციუსმა და გაიქცა, დავალებით ფრიად კმაყოფილი ჩანდა.

კართან მოჩოჩქოლე ბერებს დიდხანს ვეღარ შევაჩერებდით, ოთახი ისევ ხალხით გაივსო. სადილი დასრულებულიყო და ბერნარი, ალბათ, უკვე დიდ დარბაზში იხმობდა თავის ამალას.

– აქ აღარაფერი გვესაქმება, – ჩაილაპარაკა უილიამმა.

ერთმა აზრმა გამიელვა.

– იქნებ მკვლელმა ფანჯრიდან გადააგდო წიგნი, ლაზარეთის უკანა კედელთან, რომ მერე აეღო?

უილიამმა ეჭვით ახედა სარკმლებს, მყარად ჩანდა ჩარაზული. – ვნახოთ, – მითხრა.

ნაგებობის უკანა მხარე დავათვალიერეთ, რომელიც თითქმის ებჯინებოდა გალავნის კედელს, მათ შორის ვიწრო გასასვლელიღა რჩებოდა. უილიამმა ფრთხილად გაიარა, წინა დღეების თოვლი ხელუხლებლად იდო ამ ადგილზე. თოვლის გაყინულ ზედაპირზე მსუბუქ, მაგრამ აშკარა კვალს ვტოვებდით. ვინმეს რომ გაევლო ჩვენამდე, თოვლი აუცილებლად მიგვანიშნებდა ამაზე. არაფერი ჩანდა.

გაქარწყლდა ჩემი უსუსური ვარაუდი. ბაღში რომ გავიარეთ, უილიამს ვკითხე, ბენციუსს მართლა ენდობით-მეთქი? – ბოლომდე არა, – მიპასუხა, – მაგრამ მისთვის ახალი არაფერი გვითქვამს, წიგნით კი დავაშინეთ; თანაც ახლა მალაქიას უნდა ადევნოს თვალყური, ამით კი ერთგვარად მალაქიასაც (რომელიც, უდავოა, თვითონაც ეძებს წიგნს) ვაიძულებთ, ბენციუსზე ეჭიროს თვალი.

– მეკუჭნავეს რაღა უნდოდა?

– მალე გავიგებთ. ცხადია, რაღაცას ეძებდა, თანაც ჩქარობდა, ვფიქრობ, რაღაცის თავიდან ასაცილებლად, რაც შიშის ზარს სცემდა. მალაქიამ იცის ეს, სხვაგვარად ვერ ავხსნით სასოწარკვეთილი რემიგუსის წეღანდელ სიტყვებს...

– წიგნი გამქრალია.

– ესაა ყველაზე უცნაური, – მითხრა უილიამმა, დარბაზს რომ მივუახლოვდით. – თუ იქ იყო, და სევერინუსმა ხომ გვითხრა, რომ იქ იყო, ან გაიტანეს, ან ახლაც იქაა.

– და რადგან არაა, ვიღაცამ გაიტანა, – დავასკვენი.

– ჰო, მაგრამ შეიძლება, მსჯელობა სხვა, უფრო მცირე წანამძღვრითაც დაიწყო. ვინაიდან ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ წიგნს ვერავინ გამოიტანდა…

– ესე იგი, ისევ იქ უნდა იყოს. მაგრამ რომ არ არის?!

– მოიცადე. არ არისო, ვამბობთ, რადგან ვერ ვიპოვეთ. მაგრამ იქნებ იმიტომ ვერ ვიპოვეთ, რომ იქ არ ვეძებეთ, სადაც საჭირო იყო.

– კი, მაგრამ ხომ ყველგან ვნახეთ!

– ვნახეთ, მაგრამ ვერ დავინახეთ. ან დავინახეთ, მაგრამ ვერ ვიცანით… ადსო, როგორ აღწერა სევერინუსმა ის წიგნი, რა სიტყვები იხმარა?

– ასე თქვა, უცხო წიგნი ვნახეო, ჩემი არ იყოო, ბერძნულიაო…

– არა! გამახსენდა. ასე თქვა, უცნაური წიგნიო. სევერინუსი განსწავლული კაცი იყო და ბერძნული მისთვის უცნაური არ იყო, რომც არ სცოდნოდა ენა, ანბანს მაინც იცნობდა. განსწავლული ადამიანი უცნაურს არაბულ წიგნზეც არ იტყოდა, არაბული რომც არ იცოდეს… – გაჩერდა. – არაბულ წიგნს რაღა ესაქმებოდა სევერინუსის ლაბორატორიაში?

– აბა, არაბულ წიგნზე რატომ იტყოდა, უცნაურიო?

– საქმეც ესაა. უცნაური თუ უწოდა, იმიტომ რომ უჩვეულო იერი ჰქონდა, მისთვის უჩვეულო მაინც, ის ხომ ბალახთა მცოდნე იყო და არა ბიბლიოთეკარი…. ბიბლიოთეკებში ხშირად შეხვდები ერთ ყდაში ჩასმულ რამდენიმე ძველ ხელნაწერს, სხვადასხვა ენებზე დაწერილ უცნაურ ტექტებს ხანდახან ერთად კინძავენ, ბერძნულს, არამეულს…

– და არაბულს! – დავიყვირე, აღმოჩენით გაოგნებულმა.

უილიამმა ქეჩოთი გამომათრია ნართექსიდან: – ბრიყვო, რეგვენო, ხეპრე! მხოლოდ პირველ გვერდებს ჩახედე, არა?

– კი, მაგრამ, მოძღვარო, – გულამომჯდარი ვიმართლებდი თავს, – თქვენც ხომ შეხედეთ წიგნს? მე მხოლოდ გაჩვენეთ, თქვენ არ მითხარით, არაბულია და არა ბერძნულიო?!

– მართალია, ადსო, მართალი, მე ვარ რეგვენი, მიდი, გაიქეცი!

ლაბორატორიაში დავბრუნდით, ძლივს შევედით ოთახში, მორჩილებს უკვე გამოჰქონდათ გვამი. უილიამი მაგიდას დაეძგერა, სათითაოდ არჩევდა წიგნებს, იატაკზე ყრიდა, იქ მყოფნი გაშტერებული მისჩერებოდნენ. ორ-ორჯერ შლიდა თითოეულ წიგნს. მაგრამ ვაი, რომ არაბული ხელნაწერი აღარსად იყო. თვალწინ მედგა ძველი, გაცვეთილი ყდა, მსუბუქი ლითონის სალტეებით შეკრული.

– ვინ შემოვიდა და ვინ გავიდა აქედან? – მიუბრუნდა უილიამი ერთ-ერთ ბერს. იმან მხრები აიჩეჩა, ცხადი იყო, რომ ყველა შევიდა და გავიდა, თანაც არავინ.

ვცადეთ, სხვადასხვა ვარაუდებისთვის გადაგვეხედა. მალაქია? რატომაც არა. იცოდა, რაც უნდოდა, ალბათ, თვალყურსაც გვადევნებდა. დაგვინახა, რომ გამოსულებს ხელში არაფერი გვეჭირა და მიზნის მიღწევაში დარწმუნებული უკან დაბრუნდა. ბენციუსი? გამახსენდა, როგორ ჩაეცინა, უილიამმა რომ დამტუქსა არაბულ ტექსტზე. მაშინ ვიფიქრე, ჩემმა უვიცობამ გაახალისა-მეთქი, მაგრამ, ალბათ, უილიამის გულუბრყვილობაზე უფრო ეცინებოდა, მან ხომ კარგად იცოდა, რამდენნაირად შეიძლება იყოს აკინძული უძველესი ხელნაწერი. ალბათ, ბენციუსმა იმწუთას სწორედ ის იფიქრა, რაც ჩვენ ვერ მოვიფიქრეთ, თუმცა გვმართებდა მიხვედრა: რომ სევერინუსმა არაბული არ იცოდა. რატომ შეინახავდა

თავის ბიბლიოთეკაში წიგნს, რომელსაც ვერ წაიკითხავდა? ან იქნებ კიდევ იყო ვინმე სხვა?

უილიამი საშინლად იყო დათრგუნული. ვცდილობდი, დამემშვიდებინა, ვეუბნებოდი, სამი დღე ბერძნულ წიგნს ეძებდით და რას წარმოიდგენდით, რომ არაბულ წიგნებსაც უნდა დაკვირვებოდით-მეთქი. ამბობდა, შეცდომა ადამიანურია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სხვებზე მეტ შეცდომებს უშვებენ, მათ კი ბრიყვები ჰქვიათ და მეც სწორედ ერთი მათგანი ვარო. იმეორებდა, ნეტა რა აზრი ჰქონდა პარიზსა და ოქსფორდში სწავლას, თუ იმას ვერ მივხვდებოდი, რომ ხელნაწერებს ხანდახან ერთად კინძავენ, ეს ხომ მორჩილებმაც იციან, ცხადია, არა შენნაირმა ჩერჩეტებმაო. ასეთი ორი რეგვენი, ჩვენ რომ ვართ, საცირკო წარმოდგენებში უნდა გამოდიოდეს, საიდუმლო საქმეებს კი არ უნდა იძიებდესო. მით უფრო, როცა ჩვენზე გამჭრიახ ადამიანებთან გვაქვს საქმეო.

– რაღა აზრი აქვს წუწუნს, – დაასკვნა ბოლოს. – თუ წიგნი მალაქიამ აიღო, უკვე დააბრუნებდა ბიბლიოთეკაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვნახავთ მას, თუ „აფრიკის კიდეში“ შევაღწევთ. ხოლო თუ ბენციუსმა აიღო, კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან მივხვდები და უკან მოვბრუნდები, ამიტომაც იჩქარა ასე. ამ შემთხვევაში ერთადერთი ადგილი მეგულება, სადაც შეიძლება წიგნი იყოს დამალული და სადაც მალევე არ მოვიკითხავთ – ბენციუსის სენაკი. ახლა დარბაზში დავბრუნდეთ, იქნებ მეკუჭნავემ რამე საინტერესო თქვას დაკითხვაზე. ჯერ კარგად ვერ ვხვდები ბერნარის გეგმას, სევერინუსის სიკვდილამდე უკვე ეძებდა მეკუჭნავეს, სხვა რაღაცის გამო.

დარბაზში დავბრუნდით. თუმცა აჯობებდა, ბენციუსის სენაკი გაგვეჩხრიკა, რადგან, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ჩვენს ყმაწვილ მეგობარს სულაც არ ჰგონებია უილიამი ასეთი გამჭრიახი: არ უფიქრია, მალევე მიხვდება შეცდომას და სასწრაფოდ მიბრუნდება ლაბორატორიაშიო; ასე რომ, ბენციუსს მართლაც იქ დაემალა წიგნი, სადაც, მისი აზრით, არავინ მოძებნიდა: თავის სენაკში.

მაგრამ ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. ამასობაში იმდენად შემაშფოთებელი ამბები მოხდა, რომ სულ მიგვავიწყდა იდუმალი წიგნი. თუმცა მხოლოდ დროებით: უბრალოდ, სხვა სასწრაფო საქმეები გამოგვიჩნდა, რომლებიც იმ მისიას უკავშირდებოდა, რის გამოც უილიამი მონასტერში იყო მივლენილი.

მეცხრე ჟამი

სადაც აღსრულდება სამართალი და იქმნება უცნაური შთაბეჭდილება, რომ ყველა ცდება

ბერნარ გუი მთავარი დარბაზის ვეებერთელა, კაკლის ხის მაგიდასთან, შუაში იჯდა. გვერდით დომინიკელი ბერი ეჯდა, აღმწერის მოვალეობას ასრულებდა, პაპის დელეგაციის ორი წევრი კი მეორე მხარეს მოესვა, მსაჯულებად. მეკუჭნავე მაგიდის წინ დააყენეს, მშვილდოსნებს შორის.

წინამძღვარმა უილიამს გადაუჩურჩულა: – არ ვიცი, კანონიერია თუ არა ეს პროცედურა. 1215 წლის ლატერანის კრების XXXVII მუხლით დაუშვებელია, მსაჯულები ბრალდებულის საცხოვრებელი ადგილიდან ორი დღის ფეხით სავალზე შორს ცხოვრობდნენ. აქ, ალბათ, სხვა მდგომარეობაა, თავად მოსამართლეა შორიდან მოსული, მაგრამ...

– ინკვიზიციას არანაირი იურისდიქცია არ ეხება, – უპასუხა უილიამმა, – და არც სამართლის რიგით ნორმებს იცავს. ის განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს და არც ადვოკატებისთვის ყურისგდება ევალება.

მეკუჭნავეს შევხედე. საცოდავი სანახავი იყო. შეშინებული ცხოველივით აცეცებდა თვალებს, თითქოს რაღაც შემზარავი რიტუალის ნიშნებს ცნობდა იმაში, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. ახლა ვიცი, ორი რამის ეშინოდა: ერთი, რომ შემზარავ დანაშაულზე დაიჭირეს

(ყოველ შემთხვევაში, გარემოება მის წინააღმდეგ მიუთითებდა) და მეორე – რომ მისი საქმეებიც არ გამოაშკარავებულიყო (რაც ბერნარმა გამოძიება, ჭორებისა და მითქმა-მოთქმის შეგროვება დაიწყო). სალვატორეს შეპყრობამ კი კიდევ უფრო ააფორიაქა მეკუჭნავე.

უბედურ რემიგუსს ისედაც გული უსკდებოდა, ბერნარ გუიმ კი შესანიშნავად იცოდა, კიდევ უფრო როგორ დაეზაფრა მსხვერპლი: დიდხანს არ იღებდა ხმას, ყველა ელოდა, რომ დაკითხვას დაიწყებდა, ის კი თითქოს რაღაც ფურცლებს აწესრიგებდა მაგიდაზე, ისე, სხვათა შორის და თან ბრალდებულს არ აშორებდა თვალს. ამ მზერაში უამრავი რამ იდო: ერთგვარი ყალბი თანაგრძნობა (თითქოს ეუბნებოდა: ნუ გეშინია, ძმურ სამსჯავროზე ხარ, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე სურს შენთვისო), სისხლის გამყინავი ირონია (თითქოს ამბობდა, ჯერ არ იცი, რა არის სიკეთე შენთვის და მალე შეიტყობო) და სისასტიკე (თითქოს ეუბნებოდა: მე ვარ აქ შენი მსაჯული და ჩემი საკუთრება ხარო). მეკუჭნავემ ეს ყველაფერი ისედაც იცოდა, მაგრამ მსაჯულის დუმილი და დაყოვნება უფრო მძაფრად ახსენებდა ყოველივეს, რათა ნელ-ნელა შეეგრძნო შიშის გემო, კიდევ უფრო დამცირებულად ეგრძნო თავი, შფოთვა სასოწარკვეთაში გადაზრდოდა, უმწეო მსხვერპლად, ცვილის უნიათო თოჯინად ქცეულიყო მსაჯულის ხელში.

როგორც იქნა, ბერნარმა დუმილი დაარღვია. რამდენიმე სარიტუალო ფრაზა წარმოთქვა, მოსამართლეებს აცნობა, ორ შემზარავ დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკითხვა იწყებაო. პირველი დანაშაული, მკვლელობა, სრულიად აშკარაა, თუმცა ნაკლებ შემაძრწუნებელი; მეორე კი მწვალებლობაა. მწვალებლობაში ეჭვმიტანილი მკვლელიც აღმოჩნდაო.

მეკუჭნავემ სახეზე ხელები აიფარა. ძლივს ამოძრავებდა ხუნდებდადებულ მტევნებს. ბერნარმა დაკითხვა დაიწყო.

– ვინ ხარ? – ჰკითხა.

– ვარაჯინელი რემიგუსი. როგორც ვიცი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინ დავიბადე და ჯერ კიდევ ყრმა, ვარაჯინეს მინორიტ ბერთა მონასტერში შევედი.

– როგორ მოხვდი წმინდა ბენედიქტეს ორდენში?

– მრავალი წლის წინ, როცა პონტიფიკოსმა გამოსცა ბულა Sancta Romana[206], ვშიშობდი, ფრატიჩელების მწვალებლობაში არ გავსვრილიყავ… თუმცა არასოდეს გამიზიარებია მათი შეხედულებები… ვიფიქრე, ჩემს ცოდვილ სულს არგებდა, ცდუნებით აღსავსე გარემოს გავრიდებოდი და ვეცადე, ამ მონასტერში მოვხვედრილიყავი, სადაც რვა წელზე მეტია, მეკუჭნავედ ვმსახურობ.

– მწვალებლობის ცოდვას გაერიდე, – გაიმეორა ბერნარმა, – ანუ გაერიდე მათ თვალსაც, ვისაც შეეძლო, აღმოეჩინა და აღმოეფხვრა ბოროტი თესლი. კეთილმა კლიუნიელმა ბერებმა კი იფიქრეს, რომ სიყვარულის ნიშანი იყო შენი და შენნაირების შეფარება. სამოსის გამოცვლა როდი კმარა მწვალებლური ხრწნის მორევიდან სულის დასახსნელად. ამისთვის შევიკრიბეთ, რომ გავარკვიოთ, რა დუღს შენი მოუნანიებელი სულის წიაღში და ამ წმინდა ადგილზე მოსვლამდე რა ჩაგიდენია.

– ჩემი სული უმანკოა და არ ვიცი, რას გულისხმობთ მწვალებლურ ხრწნაში, – ფრთხილად შეეპასუხა მეკუჭნავე.

– ხედავთ? – შეჰყვირა ბერნარმა და მსაჯულებს მიუბრუნდა. – ყველანი ასე არიან! ისე წარდგებიან სამსჯავროზე, თითქოს სინდისი სუფთა ჰქონდეთ, სულს არაფერი უმძიმებდეთ. არ იციან, რომ სწორედ ესაა მათი ბრალეულობის ცხადი ნიშანი, რამეთუ მართალი კაცი აფორიაქებულია სამსჯავროს წინაშე. აბა ჰკითხეთ, თუ იცის, რატომ შევიპყარით. იცი ეს, რემიგუს?

– ბატონო ჩემო, – უპასუხა მეკუჭნავემ, – მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენგან შევიტყობდი ამას.

გამიკვირდა. მეჩვენა, რომ მეკუჭნავე ამ რიტუალურ შეკითხვებს რიტუალურადვე პასუხობდა, თითქოს კარგად იცნობდა დაკითხვის ხრიკებსაც, თითქოს დიდი ხნის წინ

გაეწვრთნათ ამგვარი სამსჯავროს წინაშე პასუხსაგებად.

– აი, – შეჰყვირა ბერნარმა, – ნამდვილი, მოუნანიებელი ერეტიკოსის პასუხი! მელასავით დაძვრებიან და ძნელია მათი გამოჭერა, რადგან ცრუობენ, ცდილობენ, თავი აარიდონ დამსახურებულ სასჯელს. მიკიბ-მოკიბულად პასუხობენ შეკითხვებს, რომ როგორმე გააცურონ ინკვიზიტორი, რომელსაც ისედაც მძიმე ხვედრი აქვს: ამისთანა საძაგელ არსებებთან ურთიერთობა. ამრიგად, ძმაო რემიგუს, საქმე არასოდეს გქონია ეგრეთ წოდებულ ფრატიჩელებთან, ანუ ღატაკი ცხოვრებით მცხოვრებ მამებთან, იგივე ბეგინებთან?

– მე მინორიტებთან ვცხოვრობდი იმ წლებში, სიღატაკეზე კამათი რომ მიმდინარეობდა, მაგრამ ბეგინთა სექტის წევრი არასოდეს ვყოფილვარ.

– ხედავთ? – მრისხანებდა ბერნარი. – ბეგინებთან კავშირს უარყოფს, ვინაიდან ბეგინები, თავად ფრატიჩელთა მსგავსად მწვალებელნი, ფრატიჩელებს ფრანცისკელთა ორდენის გამხმარ ტოტად მიიჩნევენ და მათზე წმინდად და სრულქმნილად მიაჩნიათ თავი. მაგრამ ბეგინები და ფრატიჩელები ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს. უარყოფ, რემიგუს, რომ არაერთხელ დაგინახეს ეკლესიაში კედელს მიჩერებული, გაქვავებული ან მიწაზე გართხმული, იმის ნაცვლად, რომ მუხლმოყრილსა და ხელაპყრობილს გელოცა სხვებივით?

– წმინდა ბენედიქტეს ორდენშიც განერთხმიან მიწაზე, როცა საჭიროა…

– ის არ მიკითხავს, რას აკეთებდი, როცა საჭირო იყო. მე იმას ვარკვევ, უადგილოდ რა გიკეთებია! მაშ, არ უარყოფ, რომ ყოფილხარ ასეთ მდგომარეობაში, რაც ბეგინებს ახასიათებს? მაგრამ შენ ამბობ, ბეგინი არ ვარო… მაშ მითხარი: რისა გწამს?

– ბატონო ჩემო, მწამს ყოველივე, რისაც კარგ ქრისტიანს სწამს…

– რა ქველი პასუხია! და რისა სწამს კარგ ქრისტიანს?

– იმის, რასაც წმინდა ეკლესია ასწავლის.

– და რომელი წმინდა ეკლესია? ის, რომელსაც ისინი თვლიან წმინდად, ვისაც თავი სრულყოფილად მიაჩნია, ყალბ მოციქულებს, ერეტიკოს ფრატიჩელებს, თუ ის ეკლესია, რომელსაც ისინი ბაბილონელ მეძავს ადრიან და რომლისაც ჩვენ გვწამს?

– ბატონო ჩემო, – მეკუჭნავე მთლად წახდა შიშისგან, – თქვენ მითხარით, რომელი მიგაჩნიათ წმინდა ეკლესიად…

– მე მიმაჩნია, რომ ეს რომის ეკლესიაა, ერთადერთი, წმინდა და სამოციქულო, რომელსაც პაპი და მისი ეპისკოპოსები უძღვებიან.

– მეც ასე მწამს, – უპასუხა მეკუჭნავემ.

– განსაცვიფრებელი გამჭრიახობაა! – შეჰყვირა ინკვიზიტორმა. – გონებამახვილური სიტყვათა თამაში! ხომ გაიგონეთ, ამბობს, რომ იგივე სწამს, რაც მე და თავს არიდებს, გვითხრას, თავად რისა სწამს! კარგად ვიცნობთ ამ ოსტატურ მლიქვნელობას! თავიდან დავიწყოთ. გწამს თუ არა, რომ წმინდა საიდუმლოებანი უფლის დადგენილია, ჭეშმარიტი სინანულისთვის საჭიროა, ღვთის მსახურის წინაშე მოინანიო, რომ რომის ეკლესიას აქვს უფლებამოსილება, მიწაზე განსაჯოს და გადაწყვიტოს ის, რაც ზეცაში განისჯება და გადაწყდება?

– არ უნდა მწამდეს?

– არ მიკითხავს, რისა უნდა გწამდეს, გეკითხები, რისა გწამს-მეთქი!

– მე ყველაფერი მწამს, რასაც თქვენ და სხვა კეთილი მოძღვრები მიბრძანებთ. – მეკუჭნავე კანკალებდა.

– აჰ! მაგრამ ეს კეთილი მოძღვრები შენი სექტის მმართველები ხომ არ არიან? მათ

გულისხმობ კეთილ მოძღვრებში? ამ გადაგვარებულ ცრუპენტელებს, საკუთარ თავს მოციქულთა შთამომავლებად რომ ასაღებენ? ირწმუნები, რომ თუ მე იგივე მწამს, რაც მათ, მაშინ მენდობი, თუ არა და მხოლოდ მათი გჯერა!

– ეს არ მითქვამს, ბატონო, – აბლუკუნდა მეკუჭნავე. – თქვენ გინდათ, ეს მათქმევინოთ. მე თქვენი მჯერა, თუკი თქვენ იმას მასწავლით, რაც კეთილია.

– თავხედო! – ბერნარმა მუშტი დაარტყა მაგიდას. – ბრმად იმეორებ იმას, რასაც შენი სექტა გასწავლის. მეუბნები, რომ დამიჯერებ, თუ იმასვე გიქადაგებ, რასაც შენი სექტა. ასე პასუხობდნენ ცრუ მოციქულნი, ამასვე მპასუხობ შენც, ალბათ, უნებურად მოგდის ბაგეზე სიტყვები, რომლებიც ოდესღაც ინკვიზიტორთა მოსატყუებლად გასწავლეს. თავად სდებ ბრალს საკუთარ თავს და ალბათ, მეც გავებმებოდი შენს მახეში, ინკვიზიტორობის ხანგრძლივი გამოცდილება რომ არ მქონდეს... მაგრამ... მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ, უკუღმართო კაცო. გერარდუს სეგალელზე გსმენია ოდესმე?

– გამიგია, – მეკუჭნავე გაფითრდა, თუღა შეეძლო გაფითრება განადგურებულს.

– ნოვარელ მამა დოლჩინოზე გაგიგია?

– გამიგია.

– გინახავს ოდესმე პირადად, გისაუბრია მასთან?

მეკუჭნავე ერთხანს დუმდა, ალბათ, ფიქრობდა, უღირდა თუ არა სიმართლის თქმა, თუნდაც ნაწილობრივ. ბოლოს ამოილუღლუღა: – მინახავს და მისაუბრია კიდეც მასთან.

– ხმამაღლა! – დაიყვირა ბერნარმა. – როგორც იქნა, სიმართლე მოვისმინე შენი პირიდან! როდის ესაუბრე?

– ბატონო, – თქვა მეკუჭნავემ, – მე ნოვარის მხარეში ვიყავი ბერად, როცა დოლჩინოს ხალხი შეიკრიბა და ჩემს მონასტერშიც გამოიარეს. თავიდან არც ვიცოდით, ვინ იყვნენ.

– ტყუი! რა უნდოდა ვარაჯინელ ფრანცისკელ ბერს ნოვარის მონასტერში? მონასტერში კი არ იყავი, სწორედ იმ ფრატიჩელების ხროვაში იყავი, იმ მხარეში რომ დაძრწოდნენ და მათხოვრობდნენ. მერე კი დოლჩინოს ხალხს შეუერთდი!

– როგორ ამტკიცებთ ამას, ბატონო? – მეკუჭნავე ერთიანად ცახცახებდა.

– გეტყვი, როგორც ვამტკიცებ, უფრო მეტიც, მევალება, დავამტკიცო, – და ბრძანა, სალვატორე შემოეყვანათ.

ის უბედური, ჩანდა, ბევრად უფრო მკაცრად დაეკითხათ ღამით. გული მომიკლა მისმა დანახვამ. უკვე გითხარით, სალვატორეს სახე ისედაც შემზარავი იყო, მაგრამ იმ დილას მთლად პირუტყვს დამსგავსებოდა. ნაცემი არ ჩანდა, მაგრამ ხუნდებდადებულს, სხეული თითქოს დაშლოდა, კიდურებდაგლეჯილივით ძლივს მოჩანჩალებდა. თოკზე გამობმული მაიმუნივით მოათრევდნენ მშვილდოსნები. აშკარად ჩანდა, როგორც დაეკითხათ.

– აწამა ბერნარმა... – გადავუჩურჩულე უილიამს.

– არაფერიც, – მიპასუხა, – ინკვიზიტორი არასოდეს აწამებს. მსჯავრდებულის სხეულზე ზრუნვა საეროთა საქმეა.

– ეს ხომ იგივეა! – ვუთხარი.

– არა. ინკვიზიტორისთვის ასე არაა, მას ხელი სუფთა აქვს. არც ბრალდებულისთვისაა ასე, რამეთუ ინკვიზიტორში უეცრად მოვლენილ შველას ხედავს, ტანჯვის მალამოს პოვებს და გულს გადაუშლის.

მოძღვარს შევხედე დაბნეულმა: – ხუმრობთ?

– როგორ გგონია, სახუმაროა ეს? – მიპასუხა უილიამმა.

ბერნარი სალვატორეს მიუბრუნდა. ჩემს კალამს არ ძალუძს, აღწეროს ან გაიმეორეოს ის ნაჩორკნი, ბაბილონური ენა, რომელზეც ეს ნახევრად ადამიანი, ახლა მთლად ბაბუინად ქცეული არსება მეტყველებდა. დამსწრეთ ძლივს ესმოდათ, რას ამბობდა სალვატორე, ბერნარი ეხმარებოდა, ისე უსვამდა კითხვებს, რომ უბედურს მხოლოდ „კი“ ან „არა“ ეპასუხა, და ტყუილი ვერაფრით მოეხერხებინა. მკითხველი თავად წარმოიდგენს, რას იტყოდა სალვატორე. მოჰყვა – უფრო სწორად, აღიარა, რაც წუხელ მოეყოლა ინკვიზიტორისთვის – ფრატიჩელებთან, პასტორელებთან და თვითმარქვია მოციქულებთან ერთად ხეტიალის ამბავი, როგორ შეხვედროდა რემიგუსს დოლჩინოს ხალხთან ერთად, მასთან ერთად დაეღწია თავი რებელოს მთაზე მომხდარი სასაკლაოსთვის, და ბოლოს, უამრავი ხიფათის შემდეგ, კაზალეს მონასტრისთვის შეეფარებინა თავი. მწვალებელმა დოლჩინომ, როცა მიხვდა, რომ მალე შეიპყრობდნენ, რემიგუსს რაღაც წერილები მიაბარაო, არ ვიცი, ვისთვის ან სად გადასაცემიო. რემიგუსი სულ თან ატარებდა იმ წერილებს, ვერ გაებედა მათი დანიშნულების ადგილზე მიტანაო. აქ მოსვლის შემდეგაც შიშის ზარს სცემდა მათი შენახვა, ვერც განადგურება გაებედა, ამიტომ ბიბლიოთეკარს მიაბარა ისინი, დიახ, სწორედ მალაქიასო, რომ ციტადელში შეენახა სადმეო.

მეკუჭნავე სიძულვილით უყურებდა სალვატორეს, ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და აყვირდა: – გველო! ბინძურო მაიმუნო, მამობა, ძმობა, მფარველობა გაგიწიე, ასე მიხდი?

სალვატორემ გახედა თავის მფარველს, რომელსაც ახლა თავად სჭირდებოდა მფარველობა და ძლივს ამოილუღლუღა: – უფალო რემიგუს, ნეტავ რომ შემეძლოს შენი იყავი. და მწყალობდი. თუმცა ხომ იცნობდე ამათ ჯურს. აქა ასეა, ვის ცხენი არ ყავდეს, ფეხით ითოხარიკოს.

– შტერო! – ისევ დაუყვირა რემიგუსმა. – რა გგონია, თავს უშველი მაგით? ვერ ხვდები, რომ შენც სულს ამოგხდიან? თქვი, რომ გაწამეს, რომ ძალით გათქმევინეს, რომ მოიგონე ყოველივე!

– რა ვიცი მე ბატონო რა ქვიათ ამათ… პატერინუსებიო, გაცუსები, ლეონისტები, არნალდუსები, სპერონელები, დაცვეთილები… მე ნასწავლი კაცი არ ვიყო, შევცოდდი უბოროტოდ და აღმატებულესობა ბერნარმა იცოდეს ეს, ჰოდა ვიმედებ მის შეწყალებას სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა…

– იმდენად ვიქნებით მიმტევებელნი, რამდენადაც ამას ჩვენი მოვალეობა დაგვანებებს, – განაცხადა ინკვიზიტორმა, – მამური სიყვარულით განვსჯით, რამდენად კეთილი ნებით გაგვიხსენი სული. წადი, დაბრუნდი შენს საკანში, იფიქრე, შენდობა სთხოვე უფალს. ახლა სულ სხვა საკითხი უნდა განვიხილოთ. ამრიგად, რემიგუს, შენ დოლჩინოს წერილები გქონდა თან და შენი ძმისათვის მიგიბარებია, აქ, ბიბლიოთეკაში…

– ტყუილია, ტყუილი! – იღრიალა მეკუჭნავემ, თითქოს მის სიტყვებს რამე ძალა ჰქონოდა. ბერნარმა, ცხადია, შეაწყვეტინა: – შენგან კი არ ველით ამის დასტურს, არამედ ჰილდესჰაიმელი მალაქიასგან!

ბიბლიოთეკარის დასაძახებლად გაგზავნა კაცი. მალაქია დარბაზში არ იყო. ვიცოდი, რომ სკრიპტორიუმში ან ლაზარეთის მიდამოებში იქნებოდა ბენციუსისა და იდუმალი წიგნის ძებნაში. დარბაზში რომ გამოჩნდა, მალაქია შეშფოთებული ჩანდა, ცდილობდა, თვალებში არავისთვის შეეხედა. უილიამმა უკმაყოფილოდ ჩაიბუტბუტა: – ახლა ბენციუსი იმას იზამს, რაც მოეპრიანება. თუმცა ცდებოდა: იმავ წამს კართან შეჩოჩქოლებულ, ცნობისწადილით ანთებულ ბერებს შორის ბენციუსის სახეს მოვკარი თვალი. უილიამს ვანიშნე. ალბათ, დარბაზში მომხდარს დაეძლია წიგნისადმი მისი ცნობისწადილი. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ბენციუსს უკვე დაედო თავისი უწმინდური გარიგება.

მალაქია მსაჯულთა წინაშე წარდგა ისე, რომ ერთხელაც არ შეუხედავს სახეში მეკუჭნავისთვის.

– მალაქია, – მიმართა ბერნარმა, – ამ დილით, სალვატორეს წუხანდელი აღსარების შემდეგ, გკითხეთ, მონასტერში მოსვლისას ბრალდებულმა მართლა მოგაბარათ თუ არა რამე შესანახად…

– მალაქია! – დაიბღავლა რემიგუსმა. – ხომ შემომფიცე, რომ ჩემ წინააღმდეგ არაფერს იზამდი!

მალაქია ოდნავ მიბრუნდა ბრალდებულისკენ, რომელიც ზურგს უკან ედგა, და ჩუმად, ისე, რომ ძლივს მესმოდა, უთხრა: – ფიცი არ გამიტეხია. თუ რამე შემეძლო შენ წინააღმდეგ, უკვე მქონდა გაკეთებული. ამ დილით, სანამ სევერინუსს მოკლავდი, ის წერილები უკვე ბატონი ბერნარის ხელთ იყო…

– მაგრამ შენ ხომ იცი, უნდა იცოდე, რომ სევერინუსი მე არ მომიკლავს! იცი, რადგან შენ უკვე იქ იყავი!

– მე? – გაიოცა მალაქიამ. – მე მას შემდეგ შევედი ოთახში, შენ რომ წაგასწრეს.

– როცა არ უნდა ყოფილიყო, – ჩაერთო ბერნარი, – რას ეძებდი სევერინუსთან, რემიგუს?

მეკუჭნავე აირია, უილიამისკენ მოტრიალდა, მერე მალაქიას შეხედა, მერე ისევ ბერნარს: – მე… მე ამ დილას ყური მოვკარი, მამა უილიამი სევერინუსს რომ ეუბნებოდა რაღაც ნაწერებზე, გაუფრთხილდიო… სალვატორეს შეპყრობის მერე შიშმა ამიტანა, იმ წერილებს ხომ არ გულისხმობდა-მეთქი…

– მაშ, რაღაც გცოდნია იმ წერილებზე! – გამარჯვებულმა დასჭექა ბერნარმა. მეკუჭნავე ხაფანგში იყო გაბმული. ორ საფრთხეს შორის გახლართულიყო, აღარ იცოდა, მწვალებლობის ბრალდებისგან ეცადა თავის დაღწევა თუ მკვლელობის ეჭვი გაეფანტა. ალბათ, ინსტინქტურად მეორე ბრალდება უფრო აშინებდა, რადგან ახლა უკვე დაუფიქრებლად, გუმანით მოქმედებდა: – მერე გეტყვით წერილებზე… დაგისაბუთებთ… მოგიყვებით, როგორ აღმოჩნდა ისინი ჩემს ხელთ… მაგრამ მაცადეთ, აგიხსნათ, ამ დილას რა მოხდა. როცა ბერნარმა სალვატორე შეიპყრო, მეგონა, რომ იმ წერილებს მოიკითხავდნენ. მრავალი წელია, მათზე ფიქრიც კი მტანჯავს… ჰოდა, უილიამისა და სევერინუსის საუბარს რომ მოვკარი ყური… რაღაც ნაწერებზე ლაპარაკობდნენ… არ ვიცი… შიშმა ამიტანა, ვიფიქრე, მალაქიამ თავიდან მოსაშორებლად ისინი, ალბათ, სევერინუსს გადასცა-მეთქი. მათი განადგურება მინდოდა და სევერინუსის ოთახს მივაშურე. კარი ღია იყო, შევედი და სევერინუსი მკვდარი დამხვდა… იქაურობა გადავატრიალე, წერილებს ვეძებდი… შიში მამოძრავებდა…

უილიამმა ჩამჩურჩულა: – საბრალო რეგვენი, ერთი საფრთხით თავზარდაცემული უარეს საფრთხეში შევარდა საკუთარი ნებით…

– დავუშვათ, შენ თითქმის – ვიმეორებ, თითქმის – სიმართლეს ამბობ, – განაგრძობდა ბერნარი, – ფიქრობდი, რომ წერილები სევერინუსს ჰქონდა და მათ მოძებნას ეშურებოდი. რატომ იფიქრე, რომ მას ექნებოდა? ან სხვა ძმები რატომ დახოცე იქამდე? რა გეგონა, ის წერილები ხელდან ხელში გადადიოდა? რა ხდება, ამ მონასტერში რატომ ილტვიან ასე კოცონზე დამწვარ მწვალებელთა ნაწილებთან საზიარებლად?

დავინახე, როგორ წამოენთო სახე წინამძღვარს. ერეტიკოსთა რელიკვიების შენახვის ბრალდება საშინელი შეურაცხყოფა იყო. ბერნარი საოცარი ოსტატობით ურევდა დანაშაულს მწავალებლობაში და ორივეს ერთად მონასტრის ცხოვრებას უკავშირებდა. მეკუჭნავე განწირული აყვირდა, იფიცებოდა, მკვლელობებთან კავშირი არ მაქვსო. ბერნარმა დააშოშმინა: ახლა ამ საკითხს არ განვიხილავთ, შენ მწვალებლობის საქმეზე გკითხავენ და ნუ ეცდები (აქ ხმა გაუმკაცრდა), ყურადღება გაგვიფანტო სევერინუსზე ლაპარაკით და მალაქიას ბრალდებით, წერილებს დავუბრუნდეთო.

– ჰილდესჰაიმელო მალაქია, – მიუბრუნდა ინკვიზიტორი მოწმეს, – თქვენ აქ ბრალდებულის როლში არ იმყოფებით. ამ დილით ჩემს შეკითხვებს გულწრფელად უპასუხეთ. ახლა აქ გაიმეორეთ ყოველივე, ნურაფრის გეშინიათ.

– ვიმეორებ, რაც ამ დილას ვთქვი, – დაიწყო მალაქიამ, – რემიგუსი ახალმოსული იყო მონასტერში, სამზარეულო რომ ჩააბარეს. ჩვენი მოვალეობების გამო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს… ბიბლიოთეკის მმართველი ვარ და ციტადელს ღამით მე ვკეტავ, მაშასადამე, სამზარეულოსაც… არ დაგიმალავთ, მალე დავუმეგობრდი რემიგუსს,

მის მიმართ არანაირი ეჭვის საბაბი არ მქონია. ერთხელ გამანდო, რაღაც საიდუმლო საბუთები მაქვს თან, აღსარების დროს გადმომცეს და უცხოს ხელში არ უნდა ჩავარდეს, მაგრამ მათი შენახვაც არ მინდაო. ვინაიდან მთელ მონასტერში ყველაზე დაცულ ადგილს მე ვმეთვალყურეობდი, მთხოვა, ცნობისმოყვარე თვალთაგან დამეფარა ის წერილები. მეც დავეთანხმე, არც მიფიქრია, რომ ნაწერები მწვალებლური იქნებოდა, წაუკითხავად დავაბინავე ისინი ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ყველაზე მიუწვდომელ კუთხეში და იმის მერე აღარც გამხსენებია, სანამ ამ დილას ინკვიზიტორმა არ მკითხა მათზე. მოვძებნე და ჩაგაბარეთ…

წინამძღვარი წამოდგა, წარბშეჭმუხნილი: – რატომ არ მითხარი ეს ამბავი? ბიბლიოთეკა ბერების პირადი ნივთების შესანახი ადგილი როდია! – წინამძღვრის სათქმელი აშკარა იყო: მონასტერს ამ საქმესთან შეხება არ ჰქონდა.

– ბატონო, – დაიბნა მალაქია, – უმნიშვნელოდ მივიჩნიე ეს ამბავი. უნებლიეთ შევცოდე.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – თავაზიანად ჩამოართვა სიტყვა ბერნარმა, – ეჭვი არავის გვეპარება, რომ ბიბლიოთეკარს კეთილი ზრახვა ამოძრავებდა, მისი გულწრფელობა, ჩვენთვის გაწეული დახმარებაც ამის დასტურია. ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, მიუტეოს მალაქიას ეს გაუფრთხილებლობა. ჩვენ გვჯერა მისი. და ახლა გთხოვთ, დაიფიცოთ, რომ ის, რასაც ახლა გიჩვენებთ, სწორედ ვარაჯინელი რემიგუსის მიერ მრავალი წლის წინ მობარებული საბუთებია. – და ორი პერგამენტი აიღო მაგიდიდან. მალაქიამ შეხედა ნაწერებს და მტკიცედ თქვა: – ვფიცავ ყოვლისშემძლე მამას, ყოვლადწმინდა ქალწულსა და წმინდანთა დასს, რომ სწორედ ისაა.

– საკმარისია, – უთხრა ბერნარმა, – თავისუფალი ხართ.

სანამ მალაქია თავჩაქინდრული დატოვებდა დარბაზს, შესასვლელთან შექუჩებულ ცნობისმოყვარეთაგან ვიღაცამ მიაყვირა: – შენ წერილებს უნახავდი, ის კი სამზარეულოში მორჩილთა ქორფა უკანალებზე გათათუნებინებდა ხელს! – დარბაზში სიცილი გაისმა, მალაქიამ მუჯლუგუნებით გაიკვალა გზა გასასვლელისკენ და სწრაფად გავიდა. ეს სიტყვები შეცვლილი, დაწვრილებული ხმით წამოიძახეს, თუმცა დავიფიცებდი, რომ აიმარუსი იყო. წინამძღვარი ბრაზისგან წამოჭარხლდა, აყვირდა, სიჩუმისკენ მოუწოდა დამსწრეთ და სასჯელით დაემუქრა, ბერებს კი უბრძანა, დარბაზი დაეცალათ. ბერნარი ქვეშ-ქვეშად იღიმებოდა. დარბაზის მეორე ბოლოში კარდინალი ბერტრანი ჟან დ’ანოსკენ გადაიხარა და რაღაც ჩასჩურჩულა, მან პირზე ხელი აიფარა, ვითომ ხველა აუტყდა. უილიამმა ჩამიჩურჩულა: – მეკუჭნავე მარტო საკუთარი სიამოვნებისთვის კი არ სჩადიოდა ხორციელ ცოდვას, ცდილობდა, სხვაც მოეთაფლა. მაგრამ ბერნარს ეს ამბავი მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ის აბონს აყენებს ჩრდილს, იმპერიის შუამავალს…

ვერ დაამთავრა, რადგან ბერნარი უეცრად სწორედ მას მოუბრუნდა: – მსურს, თქვენგან მოვისმინო, ძმაო უილიამ, რა ნაწერებზე ელაპარაკებოდით ამ დილით სევერინუსს, როცა თქვენი საუბარი მეკუჭნავემ მოისმინა და მცდარად გაიგო.

უილიამმა თვალი თვალში გაუყარა: – სწორედ რომ მცდარად გაიგო. ძაღლთა ჰიდროფობიის ტრაქტატზე ვსაუბრობდით, რომელიც აიუბ ალ რუჰავის კალამს ეკუთვნის, საოცარ წიგნზე, რომელიც უეჭველად გეცოდინებათ, და რომელიც უდავოდ არაერთხელ გამოგდგომიათ… აიუბი ამბობს, ცოფი ოცდახუთი უეჭველი ნიშნით ამოიცნობაო…

ბერნარმა, რომელიც domini canes[207] ორდენს ეკუთვნოდა, ჩანს, ამჯობინა, თავიდან აერიდებინა ახალი შეტაკება და იქვე მოუჭრა ნაჩქარევად: – მაშ, სრულიად სხვა საკითხზე ყოფილა საუბარი. – და დაკითხვა განაგრძო: – ისევ შენ მოგმართავთ, მინორიტო ძმაო რემიგუს, წყლის მოშიშ ძაღლზე ბევრად უფრო საშიშო. ძმა უილიამს რომ ამ დღეებში მწვალებელთა დრუნჩზე მოდენილი დუჟისთვის მეტი ყურადღება მიექცია, ვიდრე ძაღლებისთვის, ალბათ, თავადაც აღმოაჩენდა მონასტერში ჩაბუდებულ გველს. წერილებს დავუბრუნდეთ. ახლა ვიცით, რომ შენ გადამალე ისინი, როგორც შხამიანი ნივთი, და რომ მოკალი კიდეც… – ხელის აწევით დაადუმა მეკუჭნავე, რომელიც ცდილობდა, შეწინააღმდეგებოდა. – მკვლელობაზე შემდეგ ვისაუბრებთ… რომ მოკალი კიდეც-მეთქი, რათა ეს წერილები მე არ ჩამვარდნოდა ხელთ. ამრიგად, აღიარებ, რომ ეს

ფურცლები შენი საკუთრებაა?

მეკუჭნავემ არ უპასუხა, მაგრამ მისი დუმილი სიტყვებზე მეტს ნიშნავდა. ბერნარმა განაგრძო: – რა არის ეს? მწვალებელი დოლჩინოს მიერ შეპყრობამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერილი ორი გვერდი, რომლებიც თავისი მიმდევრისთვის ჩაუბარებია, რათა იტალიაში მიმოფანტული სექტის წევრებისთვის გადაეცა. შემიძლია, წაგიკითხოთ, რაც აქ წერია, დოლჩინოს მსგავსად მეც თვალებში ჩავხედო გარდაუვალ აღსასრულს და – ის სწორედ ასე მიმართავს თავის თანამოძმეთ – ოდენ დემონის მქონდეს იმედი! დოლჩინო აიმედებს თავის მიმდევართ, ახლოაო ეკლესიისა და იმპერატორ ფრიდრიხის სამეფოს აღსასრული, თუმცა კი თარიღები, რომელთაც ასახელებს, მის წინა წერილებში გაცხადებულთ არ ემთხვევა: ის ხომ 1305 წლისათვის ვარაუდობდა ამ აღსასრულს. ამაშიც ტყუოდა მწვალებელი, რამეთუ ოც წელზე მეტი გავიდა იმ ამბებიდან და მის უგვან წინასწარმეტყველებათაგან არც ერთი არ გამართლებულა. მაგრამ ჩვენ მის სასაცილო ამპარტავნობას კი არ განვიხილავთ, არამედ იმას, რომ რემიგუსი იყო მისი მხარდამჭერი. კვლავაც გაბედავ, მწვალებელო, მოუნანიებელო ბერო, უარყო, რომ თვითმარქვია მოციქულთა სექტასთან იყავი შეკრული ბინძურ საქმეებში? რომ მათთან ერთად დაგმე უფალი?

მეკუჭნავე ვეღარაფერს უარყოფდა. – ბატონო, – თქვა, – ჩემი ახალგაზრდობა სავსეა სასტიკი შეცდომებით. როცა დოლჩინოს ქადაგება მოვისმინე, სიღატაკის მქადაგებელი ბერების მიერ შეცდენილმა, ვირწმუნე მისი სიტყვები და მის ხროვას შევუერთდი. მართალია, მათთან ერთად ვიყავი ბრეშასა და ბერგამოს მხარეში, კომოში, ვალსეზიაში, მათთან ერთად ვაფარებდი თავს პარეტე კალვას და რასას ხეობას, ბოლოს კი რებელოს მთას. მაგრამ არანაირ უმსგავსობაში არ მიმიღია მონაწილეობა. როცა ისინი ძარცვავდნენ და და ძალადობდნენ, მე გულის სიღრმეში ჯერ კიდევ მოკრძალებული, თვინიერი ფრაცისკელი ბერი ვიყავი, და სწორედ რებელოს მთაზე ვუთხარი დოლჩინოს, რომ ვეღარ დავრჩებოდი მასთან. მან ნება მომცა, წავსულიყავი, ლაჩრები არ მჭირდება გვერდითო, მითხრა, ოღონდ მთხოვა, ეს წერილები ბოლონიაში ჩამეტანა…

– ვისთან? – ჰკითხა კარდინალმა ბერტრანმა.

– მისი სექტის წევრებთან, ზოგიერთის სახელი მახსოვს და მოგახსენებთ კიდეც, ბატონო, – რემიგუსმა ჩამოთვალა სახელები, რომელთაგან, როგორც ჩანდა, კარდინალი არაერთს იცნობდა: კმაყოფილმა ჩაიღიმა და ბერნარს რაღაც ანიშნა.

– ძალიან კარგი, – თქვა ინკვიზიტორმა და სახელები ჩაიწერა. მერე რემიგუსს მიუბრუნდა: – ახლა რატომ გათქვი შენი მეგობრები?

– ჩემი მეგობრები არ არიან, ბატონო. ამას ისიც მოწმობს, რომ მათთვის არ გადამიცია წერილები. მეტიც, ახლა გაგიმხელთ იმას, რის დავიწყებასაც ამდენი წელი ვცდილობდი: ის ადგილები რომ უსაფრთხოდ დამეტოვებინა და დაბლობში დადარაჯებული ვერჩელის ეპისკოპოსის ჯარს არ ჩავვარდნოდი ხელთ, მათთან შემოვლით მოვახერხე დაკავშირება და ვასწავლე მისადგომები, საიდანაც ადვილად აიღებდნენ დოლჩინოს სიმაგრეს. ასე რომ, ეკლესიის მაშინდელ წარმატებაში დიდი წვლილი მაქვს…

– ძალიან საინტერესოა. ესე იგი, არა მარტო მწვალებელი ყოფილხარ, არამედ მუხთალიც და გამყიდველიც. ეს სულაც არ ამსუბუქებს შენს მდგომარეობას. როგორც დღეს სცადე, თავის გადასარჩენად მალაქიასთვის დაგედო ბრალი, რომელიც დაგეხმარა, მაშინაც საკუთარი ტყავის გადასარჩენად მეგობრები გაყიდე, სამსჯავროს გადაეცი შენი ამფსონები. თუმცა მათ სხეულებს უღალატე ოდენ, მათი მოძღვრების კი მუდამ ერთგული დარჩი, სიწმინდესავით შეინახე ეს წერილები, იმ იმედით, რომ ოდესმე, როცა საფრთხე გადაივლიდა, დანიშნულების ადგილზე მიიტანდი, რათა კვლავ დაბრუნებულიყავი თვითმარქვია მოციქულთა რიგებში.

– არა, ბატონო, არა, – იმეორებდა მეკუჭნავე, ოფლში გაღვრილი, ხელებაკანკალებული, – გეფიცებით…

– ფიცი! – არ დააცალა ბერნარმა. – აი, ბოროტების კიდევ ერთი მტკიცებულება! გინდა, დაიფიცო, რადგან კარგად ვიცი, ერეტიკოსი ვალდენსები ნებისმიერი ხრიკისთვის,

სიკვდილისთვისაც კი არიან მზად, ოღონდ კი არ დაიფიცონ! და როცა შიში ამოქმედებთ, რაღაცას ბურტყუნებენ, ვითომ იფიცებენ! მაგრამ კარგად ვიცი, რომ შენ ლიონელ ღატაკთა სექტას არ ეკუთვნი, წყეულო მელავ, და ცდილობ, დამარწმუნო, რომ ის არა ხარ, ვინც არა ხარ, რათა მე არ ვთქვა, რომ ის ხარ, ვინც ხარ! მაშ, იფიცებ? იფიცებ, რომ თავი გადაირჩინო, მაგრამ იცოდე, ერთი ფიცი არ მეყოფა! მეორეს, მესამეს, მეასეს მოგთხოვ! რამდენსაც ვისურვებ! კარგად ვიცი, რომ თქვენ, ყალბი მოციქულები, ფულს უხდით მათ, ვინც ტყუილზე დაიფიცებს, ოღონდ სექტა არ გათქვას. ამრიგად, ყოველი ფიცი შენი დანაშაულის კიდევ ერთი მტკიცებულება იქნება!

– მაშ, რა უნდა ვქნა? – დაიბღავლა მეკუჭნავემ და მუხლებზე დაეცა.

– ბეგინივით მიწაზე გართხმა არ გიშველის! არაფერიც არ უნდა ქნა. ახლა მხოლოდ მე ვიცი, რა უნდა ქნა, – ბერნარს შემზარავმა ღიმილმა გადაუარა სახეზე. – შენ მხოლოდ აღსარება გმართებს. შეჩვენდები და დაისჯები, თუ აღიარებ, და შეჩვენდები და დაისჯები, თუ არ აღიარებ, რამეთუ დაისჯები, როგორც ტყუილზე დამფიცებელი. მაშ აღიარე, თუნდაც იმისთვის, რომ მალე დასრულდეს ეს მტკივნეული დაკითხვა, რომელიც აგრერიგად გვიშფოთებს სინდისს, გონებას, გულს და გვირღვევს სიმშვიდეს!

– რა უნდა ვაღიარო?

– ორმაგი ცოდვა. რომ დოლჩინოს სექტის წევრი იყავი, რომ მათ მწვალებლურ მოსაზრებებს, მათ წესებს იზიარებდი, საერო პირებს, სამღვდელოებას შეურაცხყოფდი, რომ ახლაც თავხედურად იზიარებ მათ სიცრუეს, დაპირებებს, ახლაც, როცა მწვალებელი მკვდარია, მისი სექტა კი – დაშლილი, თუმცა ჯერ მთლად არ განადგურებულა. აღიარე, რომ ბინძური სექტის უწმინდური საქმეებით გარყვენი სული შენი, რომ ბრალი მიგიძღვის ღვთისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ მოქმედებაში ამ მონასტერში. ჯერ კიდევ არ ვიცი ბოლომდე, რატომ სჩადიოდი ამას, თუმცა ჯობია, ალბათ, არც აეხადოს ფარდა ამ საქმეს, თუკი ნათლად დავამტკიცებთ (და სწორედ ამას ვცდილობთ), რომ პაპისა და მის განკარგულებათა წინააღმდეგ მიმართული სიღატაკის მწვალებლური მოძღვრება მხოლოდ დანაშაულამდე მიიყვანს ადამიანს. ეს უნდა შეიგნონ მორწმუნეთ. ჩემთვის ეს იკმარებს. აღიარე.

ახლა უკვე ცხადი იყო, რა ეწადა ბერნარს. სულ არ აინტერესებდა, ვინ ჩაიდინა მკვლელობები მონასტერში, მხოლოდ იმის დამტკიცება სურდა, რომ რემიგუსი იზიარებდა იმპერატორის თეოლოგთა მიერ გაკიცხულ მოძღვრებას. თუ დაასაბუთებდა მეკუჭნავის კავშირს პერუჯის კრების დადგენილებებსა და ფრატიჩელებისა და დოლჩინოს საქმიანობასთან, დაამტკიცებდა, რომ მონასტერში ერთი ადამიანი იყო მწვალებელიცა და ამავდროულად უამრავი დანაშაულის ჩამდენი. ამით ბერნარი სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდა თავის მოწინააღმდეგეთ. უილიამს შევხედე და მივხვდი, რომ ისიც ამაზე ფიქრობდა, ის წინასწარ მიმხვდარიყო ყველაფერს, თუმცა სრულიად უძლური იყო. წინამძღვარი მოქუფრული იჯდა, ახლა კი ხვდებოდა, რომ ხაფანგში გაებათ და მისი სახელიც შეელახათ: ცდილობდნენ, მისი მონასტერი შეერაცხათ ბუდედ საუკუნის ყოველგვარი ბოროტებისა. მეკუჭნავეს ვეღარ გაეგო, რომელი ბრალდებისგან ეცადა თავის დაღწევა, ყოველგვარი განსჯის უნარი წართმეოდა და გულისშემძვრელად ბღაოდა. თითქოს მისი სული ყვიროდა სასოწარკვეთილი, თითქოს ამ ბღავილში ანთხევდა რემიგუსი წლობით დაგუბებულ სინანულს, თითქოს ეჭვში, იმედსა და იმედგაცრუებაში, სიმუხთლესა და ღალატში გატარებული ცხოვრების ბოლოს, გარდაუვალი აღსასრულის წინაშე გადაეწყვიტა, საკუთარი ყრმობის რწმენას მიბრუნებოდა, ჭეშმარიტი იყო ის თუ მცდარი, თითქოს ოდენ იმის დამტკიცებას ლამობდა, რომ კიდევ შეეძლო, რამე ერწმუნა.

– მართალია, – ბღაოდა, – დოლჩინოსთან ვიყავი და მასთან ერთად ვცოდავდი, ალბათ, შეშლილი ვარ, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს სიყვარული თავისუფლების წყურვილსა და ეპისკოპოსთა სიძულვილში ამერია, მართალია, შევცოდე, მაგრამ ვფიცავ, უმწიკვლო ვარ იმაში, რაც მონასტერში მოხდა!

– რაღაცას მივაღწიეთ, – თქვა ბერნარმა. – ამრიგად, აღიარებ, რომ დოლჩინოსთან, ალქაჯ მარგარიტასა და მათ ძმებთან ერთად ცოდავდი, აღიარებ, რომ მათთან იყავი,

როცა ტრივეროს სიახლოვეს მორწმუნეები ჩამოახრჩვეს, მათ შორის ათი წლის ყრმა? როცა საკუთარი ცოლებისა და მშობლების თვალწინ გამოასალმეს სიცოცხლეს ყველა, ვინც იმ ძაღლებს თავი არ მოუდრიკა? საკუთარი ამპარტავნობითა და მრისხანებით დაბრმავებულებს გეგონათ, ვინც თქვენს ერთობას არ ეკუთვნოდა, ყველა წაწყმდებოდა?

– დიახ, დიახ, ამის მწამდა, ამას ვაკეთებდი!

– იქ იყავი, როცა მორწმუნეებს ციხეში ალპობდნენ მშიერ-მწყურვალთ, როცა ორსულ ქალს ხელები მოკვეთეს, და ასე, კიდურებჩამოთლილმა, მარტომ იმშობიარა, მისი პირმშო კი დაბადებისთანავე უნათლავი მოკვდა? მათთან იყავი მაშინაც, როცა მოსოს, ტრივეროს, კოსილასა და ფლეკიას სოფლები ცეცხლის ალში გაახვიეს, მუსრი გაავლეს კრეპაკორიოს, მორტილიანოსა და კვორინოს მხარის უამრავ დასახლებას, როცა ტრივეროს ტაძარი გადაწვეს, სიწმინდეები შეურაცხყვეს, საკურთხეველი დაარბიეს, ღვთისმშობლის ქანდაკებას მკლავი მოატეხეს, საცავები გაძარცვეს, ბარძიმები, ავეჯი, წიგნები გაიტაცეს, სამრეკლო დაანგრიეს, ზარები დაამტვრიეს, ეპისკოპოსისა და მღვდლების ნივთები მიითვისეს?

– კი, კი, იქ ვიყავი. არავინ იცოდა, რას იქმოდა. დასჯა გვეწადა, ზეცით მოვლენილი იმპერატორისა და წმინდა პაპის სახელით ფილადელფიის ანგელოზის ქვეყნად მოსვლა უნდა დაგვეჩქარებინა, რათა ყოველ ადამიანზე გადმოსულიყო სულიწმიდის მადლი და ეკლესია განახლებულიყო, რათა გარყვნილთა განადგურების შემდეგ ოდენ სრულქმნილთ ემეფათ ქვეყნად!

მეკუჭნავე შეპყრობილს ჰგავდა, უცნაურად ანთებულიყო, თითქოს ერთბაშად გამსკდარიყო დუმილისა და თვალთმაქცობის ჯებირი და სიტყვებისა და მოგონებების ნიაღვრად მოდიოდა მისი წარსული. თითქოს ყველაფერს ხელახლა განიცდიდა, ისევე მძაფრად, როგორც ოდესღაც.

– მაშ, – აქეზებდა ბერნარი, – აღიარებ, რომ მარტვილად შერაცხეთ გერარდუს სეგალელი, რომ უარყავით რომის ეკლესიის ძალაუფლება, ამტკიცებდით, რომ წმინდა სილვესტრის დროიდან მოყოლებული ეკლესიის ყოველი მსახური მლიქვნელი და მაცდური იყო, მორონელი პეტრეს გარდა, რომ მოსაკრებელი ხალხს მხოლოდ თქვენთვის უნდა ეხადა, როგორც ქრისტეს ერთადერთი ჭეშმარიტი მოციქულებისთვის, რომ სოფელ-სოფელ დადიოდით და ხალხს აცდუნებდით, ყვიროდით, „ინანქმედებდეთო“, მონანიედ, სრულყოფილი ცხოვრების მიმდევრებად აჩვენებდით თავს, სინამდვილეში კი, სიბილწისა და მრუშების მორევში ჩაფლულნი ყოველგვარ სიბინძურეს სჩადიოდით და ათასგვარად აკნინებდით საკუთარსა და სხვის სხეულს? აღიარე!

– დიახ, ვაღიარებ იმ ჭეშმარიტ რწმენას, ყოველივეს, რისაც მაშინ წრფელი გულით მწამდა, ვაღიარებ, რომ დავუტევეთ სამოსი და უარვყავით ქონება, მაშინ როცა თქვენ, ძაღლთა ჯური, კბილებით ებღაუჭებოდით მას. აღარავისგან აგვიღია ფული, აღარასოდეს გავკარებივართ მას, მოწყალებას ვთხოულობდით და ამით ვცხოვრობდით, ხვალინდელი დღისთვისაც არაფერს ვინახავდით, როცა გვიმასპინძლებდნენ, რასაც არ შევჭამდით, ხელუხლებლად ვტოვებდით ხოლმე…

– და წვავდით და ძარცვავდით, რათა კეთილ ქრისტიანთა ქონებას დაპატრონებოდით!

– და ვწვავდით და ვძარცვავდით, რამეთუ სიღატაკე ავირჩიეთ უზენაეს კანონად და უფლება გვქონდა, სხვათა უკანონო ქონება შეგვემუსრა, გვინდოდა, შეგვემუსრა სიხარბე, რომელსაც ერთიანად ჩაეყლაპა სამრევლოები, მაგრამ არასოდეს გაგვიძარცვავს, რათა მიგვესაკუთრებინა, არც მოგვიკლავს, რათა გაგვეძარცვა, ვკლავდით, რათა დაგვესაჯა, რათა სისხლით გაგვეწმინდა უწმინდურნი. გერარდუს სეგალელი კი ღვთიური თესლი იყო, planta Dei pullulans in radice fidei[208], წესებს პირდაპირ უფალი გვკარნახობდა და არა თქვენ, წყეული ძაღლები, ცრუ მქადაგებლები, საკმევლის სურნელის დაფრქვევის ნაცვლად გოგირდის სუნად აქოთებულები, მუხთალი, ბილწი სალახანები, ყვავ-ყორნები, ავინიონელი მეძავის მონები! მთელი გულით გვწამდა და ამ რწმენითვე იყო გამსჭვალული ჩვენი სხეულებიც, ჩვენ ვიყავით ლახვარი უფლისა, თქვენს შესამუსრად უმანკოთაც ვხოცავდით. თქვენი სიხარბითა და გაუმაძღრობით გაჩაღებული ომი უნდა

ჩაგვექრო და რას იზამ, სამართლისა და ბედნიერების დასამყარებლად სისხლიც იღვრება. სწორედ რომ ღირდა კარნასკოს წყლის მეწამულად შეღებვა, იმ დღეს სტაველოში, ის ხომ ჩვენი სისხლიც იყო. თავს არ ვზოგავდით, რადგან დრო ცოტა იყო, მოვლენები უნდა დაგვეჩქარებინა...

ერთიანად კანკალებდა, ხელებს მთელი ძალით ისვამდა სამოსზე, თითქოს იმ წარმოსახვით სისხლს იმშრალებდა.

– ღორმუცელა ისევ წმინდად იქცა, – ჩამიჩურჩულა უილიამმა.

– ესაა სიწმინდე? – გაოგნებულმა ვკითხე.

– სხვაგვარიც არსებობს, – მითხრა უილიამმა, – თუმცა რანაირიც უნდა იყოს, ყოველთვის მაშინებს.

– რა გაფრთხობთ სიწმინდეში ყველაზე მეტად? – ვკითხე.

– სულსწრაფობა, – მიპასუხა უილიამმა.

– კმარა, კმარა, – ამბობდა ბერნარი, – ჩვენ აღსარება გთხოვეთ და არა სისხლისღვრისკენ მოწოდება. გასაგებია, არა მხოლოდ ადრე იყავი მწვალებელი, არამედ ახლაც ხარ. არა მხოლოდ ადრე იყავი მკვლელი, ახლაც მოკალი. მაშ, ის გვითხარი, როგორ და რისთვის დახოცე შენი ძმები აქ, მონასტერში.

მეკუჭნავე გაქვავდა. აღარ ცახცახებდა. ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს სიზმრიდან გამოფხიზლებულიყო.

– არა, – თქვა, – მონასტერში მომხდარში ხელი არ მირევია. ყველაფერი ვაღიარე, მაგრამ იმის აღიარებას ნუ მომთხოვთ, რაც არ ჩამიდენია...

– კი, მაგრამ დარჩა რამე, რასაც არ ჩაიდენდი? ახლა გინდა, უმანკოდ მოგვაჩვენო თავი? ოჰ, უდრტვინველო კრავო! ხომ ყველამ მოისმინეთ, ამდენი წელი სისხლით ჰქონია ხელები გაპოხილი და ახლა უმანკოა! იქნებ შევცდით და ვარაჯინელი რემიგუსი ღირსების მაგალითია, ეკლესიის ერთგული შვილი, ქრისტეს მტრების მტერი, დამცველი წესრიგისა, რომელიც ეკლესიის მზრუნველმა ხელმა დაამყარა სოფლებსა და ქალაქებში, მშვიდობის მებაირაღე, ეკლესიის განძის მოდარაჯე. უბიწოა, არაფერი ჩაუდენია, მოდი, გულში ჩაგიკრა, ძმაო რემიგუს, განუგეშო და დაგიცვა მზაკვართაგან, შენ წინააღმდეგ რომ ამხედრებულან!

რემიგუსი გაოგნებული მისჩერებოდა, თითქოს დაიჯერა, რომ მიუტევეს. ბერნარმა უეცრად ტონი იცვალა და მშვილდოსანთა მეთაურს უბრძანა: – მიმძიმს, მივმართო საშუალებებს, რომელთაც გამოც ეკლესია მუდამ კიცხავს საეროთ. მაგრამ კანონი ჩემს განცდებზე მაღლა დგას და განაგებს მათ. ჰკითხეთ წინამძღვარს, სად შეიძლება მომზადდეს ადგილი წამებისათვის. ბრალდებული სამ დღეს საკანში დატოვეთ, ხელებსა და ფეხებზე ხუნდები დაადეთ. შემდეგ კი წამების იარაღები აჩვენეთ. მხოლოდ აჩვენეთ. მეოთხე დღეს კი დავიწყოთ. ცრუ მოციქულები ჩქარობდნენ, ღვთიურ სამართალს კი საუკუნეები აქვს ხელთ, არსად ეჩქარება. ნელა ვიმოქმედებთ. შეგახსენებთ იმას, რაც არაერთხელ თქმულა: ერიდეთ დასახიჩრებას, არ შემოგაკვდეთ ბრალდებული. ცოდვილზე ზრუნვა სწორედ ის არის, ნელა გაიგოს სიკვდილის გემო, ელოდოს მას: სიკვდილი მაშინ უნდა ეწვიოს, როცა სრული, ნებაყოფლობითი, განმწმენდი სინანული ჩადგება ცოდვილის სულში.

მშვილდოსნებმა სცადეს, წამოეყენებინათ მეკუჭნავე. ის გაუძალიანდა, ადგილიდან არ იძვროდა, ანიშნებდა, რომ რაღაცის თქმა სურდა. მთვრალივით ბოდიალობდა, სიტყვები ძლივს ამოსდიოდა პირიდან, გულისამრევი სანახავი იყო. ნელ-ნელა, გაჭირვებით დაიბრუნა წეღანდელი ველური ძალა.

– არა, ბატონო. წამება არ მინდა. მე ერთი სულმოკლე კაცი ვარ. მაშინ ვუღალატე რწმენას და ამ მონასტრის კედლებშიც თერთმეტი წლის მანძილზე უარვყოფდი საკუთარ მრწამსს, მოსაკრებელს ვგლეჯდი გლეხებს წინამძღვრის გასამდიდრებლად, გულმოდგინედ

ვმონაწილეობდი ანტიქრისტეს ხომალდის მართვაში. მშვენივრად ვგრძნობდი თავს, ნაყროვანებასა და ათას სხვა ნეტარებაში ჩაფლულს მიმავიწყდა კიდეც საკუთარი წარსული. მუხთალი ვარ, დღეს ჩემი ბოლონიელი ძმები გავყიდე, მაშინ კი – დოლჩინო. ჯვაროსნის სამოსში გადაცმული, ლაჩრულად ვუყურებდი დოლჩინოსა და მარგარიტას შეპყრობას. იქ ვიყავი, როცა დიდ შაბათს ბუგელოს ციხესიმაგრეში დაამწყვდიეს საცოდავები, მერე სამ თვეს ვერჩელის შემოგარენში ვიტრიალე, სანამ პაპმა კლემენტმა მათი დასჯა არ ბრძანა. ვუყურებდი, როგორ აკუწეს მარგარიტა დოლჩინოს თვალწინ, განწირული ყვიროდა საბრალო, სანამ ყელს გამოჭრიდნენ… მის სხეულს ოდესღაც მეც შევხებივარ… და როცა მისი ნაწამები სხეული ცეცხლს მისცეს, დოლჩინოს მიადგნენ, ცხვირი და საზარდული გავარვარებული შანთებით მოაგლიჯეს. ტყუილია, რომ ამბობდნენ, არც კი დაუგმინიაო. დოლჩინო მაღალი, ჩასხმული კაცი იყო, გაბურძგნილი, გრძელი წვერი და წითელი თმა ჰქონდა, მშვენიერი იყო, ძლიერი… განიერფარფლიანი, ბუმბულიანი ქუდი ეხურა, ქამარზე გრძელი ხმალი ეკიდა, წინ რომ მიგვიძღოდა ხოლმე, მის დანახვაზე მამაკაცებს შიშის ჟრუანტელი უვლიდათ, ქალები კი აღფრთოვანებული კიოდნენ… რომ აწამებდნენ, ტკივილისგან ისიც ღრიალებდა, ქალივით, დასაკლავ ხბოსავით ბღაოდა. სისხლი მოჩქეფდა ჭრილობებიდან, ნელ-ნელა ჯიჯგნიდნენ, რათა ყველასთვის ეჩვენებინათ, რამდენ ხანს უძალიანდება სიკვდილს ეშმაკის მოციქული. იხვეწებოდა, მომკალით, მოათავეთო, მაგრამ ძალიან დიდხანს კვდებოდა უბედური. კოცონზე რომ აიყვანეს, გასისხლიანებულ ხორცის გროვად იყო გადაქცეული. უკან მივყვებოდი და გულში ვხარობდი, რომ გადავურჩი იმ განსაცდელს, ვამაყობდი საკუთარი გამჭრიახობით. ის მაწანწალა სალვატორეც ჩემთან იყო მაშინ, მეუბნებოდა: – ეს რა კარგად ვიქენით, ძმაო რემიგუს, რომ თადარიგი დავიჭირავეთ, წამებაზე უცუდესი არაფერია ამქვეყანას! ათას მრწამსს უარვყოფდი იმ დღეს. რამდენი წელი გავიდა, მაგრამ არ მავიწყდება, რა ლაჩარი ვიყავი მაშინ და თან რა ბედნიერი საკუთარი სილაჩრით. თუმცა მუდამ მქონდა იმედი, რომ ოდესმე მოვერეოდი სიმხდალეს. დღეს შენ მიბოძე ეს ძალა, უფალო ბერნარ, იგივე ხარ ჩემთვის, რაც წარმართი იმპერატორი – წამებულთაგან ყველაზე ლაჩრისათვის. მაიძულე, საკუთარი რწმენა მეღიარებინა, თუმცა კი სხეული უარყოფდა მას. მაგრამ მეტისმეტ გამბედაობას ნუ მომთხოვ, იმაზე მეტს ნუ მოელი ჩემგან, ვიდრე ჩემს მოკვდავ, ფუტურო სხეულს ძალუძს. წამებას ვერ გავუძლებ. ყველაფერს გეტყვი, მირჩევნია, ახლავე გამიყვანო კოცონზე, სანამ ცეცხლის ალი მომწვდება, ვიცი, კვამლი გამგუდავს. დოლჩინოსავით წამებას ვერ ავიტან. შენ ხომ გვამი გჭირდება, ჰოდა, სხვა გვამთა ბრალსაც მე ავიღებ საკუთარ თავზე. გვამად კი მალე ვიქცევი, ეს გარდაუვალია. აჰა, გაძლევ, რასაც მთხოვ: მე მოვკალი ოტრანტოელი ყმაწვილი ადელმუსი, იმის გამო, რომ ასე ეხერხებოდა ჩემნაირ ურჩხულებთან, ჩასუქებულ, ბრიყვ ბებრებთან კეკლუცობა. მე მოვკალი სალვემეკელი ვენანციუსი, რადგან მეტისმეტად განსწავლული იყო და ისეთ წიგნებს კითხულობდა, რომელთაც მე თავსა და ბოლოს ვერ ვუგებდი. მე მოვკალი ბერენგარიუს არუნდელელი ბიბლიოთეკისადმი სიძულვილით ანთებულმა, მე, რომელიც თეოლოგიაში გაქსუებულ მღვდლებს ვაჯობებდი. მე მოვკალი სანტემერანოელი სევერინუსი… რატომ? იმიტომ, რომ მცენარეებს ჩაჰკირკიტებდა, მე კი რებელოს მთაზე ისე ვჭამდი ბალახბულახს, მათ თვისებებს არას დაგიდევდით. სიმართლე გითხრათ, სხვასაც ბევრს მოვკლავდი, ჩვენი წინამძღვრის ჩათვლით: პაპის მომხრეა თუ იმპერიის, მუდამ ჩემი მტრის მხარესაა და მუდამ მძულდა, მაშინაც, როცა მაჭმევდა, მასმევდა და მას ვემსახურებოდი. გეყოფა? აჰ, არა, შენ გინდა იცოდე, როგორ დავხოცე ჩვენი ძმები… როგორ?.. მოიცა… ჯოჯოხეთური ძალები მოვიხმე, სალვატორესგან ნასწავლი ხრიკებით ქვესკნელის ლეგიონები დავიხმარე. მოსაკლავად დარტყმა სულაც არაა საჭირო, ამას ეშმაკი იზამს შენს ნაცვლად, თუკი მისი დამორჩილება შეგიძლია.

თანამზრახველივით უყურებდა და უცინოდა გარშემომყოფთ. ეს უკვე შეშლილის სიცილი იყო, თუმცა – უილიამმა შენიშნა – ამ შეშლილს არ დავიწყნია, დასმენისთვის დაესაჯა სალვატორე და თან ჩაეყოლიებინა უფსკრულში.

– შენ როგორ დაიმორჩილებდი ეშმაკს? – წამოიწყო ბერნარმა, რომელიც ისე ისმენდა ამ ბოდვას, როგორც ნამდვილ აღიარებას.

– კარგად იცი, დემონს ვერ შეეკვრები, თუ მისი სამოსი არ გადაიცვი! კარგად იცი ეს, მოციქულთა სისხლისმსმელო! შავი კატა გჭირდება, ასე არ არის? ერთი თეთრი ბეწვიც

რომ არ ერიოს (თავად იცი, როგორიც). ფეხებს დაუბამ, შუაღამით გზაჯვარედინზე გაიყვან და ეშმაკს მოიხმობ: – ო, დიდო ლუციფერო, ჯოჯოხეთის მეუფეო, ხელჩაკიდებულს, ამ ცხოველივით თვინიერს შეგიძღვები მტრის სხეულში… და თუ სიკვდილის კარს გაუღებ ჩემს მოსისხლეს, ცისკარზე მსხვერპლად მოგართმევ კატას… იმოქმედე ჩემი კარნახით, მაგიის ძალით, მე რომ მიპყრია ხელთ წმინდა კვიპრიანეს საიდუმლო წიგნის თანახმად, ჯოჯოხეთის ლეგიონების წინამძღოლთა სახელით: ადრამელქისა, ალასტორისა, აზაზელისა, რომელთაც ახლა თავიანთ ძმებთან ერთად მოვიხმობ… – ტუჩები აუკანკალდა, თვალები გადმოეკარკლა და ლოცვა დაიწყო, უფრო სწორად, თითქოს ლოცულობდა, და ჯოჯოხეთის განმგებელთ იხმობდა: – აბიგორ, შემიყვანე ჩვენ განსაცდელსა… ამონ, რომელი ხარ ქვესკნელსა შინა… სამაელ, მიხსენ ჩვენ კეთილისაგან… ბელიალ ელეისონ… ფოკალორ, შემიყვანე გარყვნასა შინა… ჰაბორუმ, უფალო წყეულო… ზებოს, სარეცელს გაგვიგებდე… ლეონარდუს, დამანთხევდე თესლს შენსას წასაბილწად…

– კმარა, კმარა, – ღრიალებდნენ დარბაზში მსხდომნი და პირჯვარს იწერდნენ, – უფალო, მოგვიტევე!

მეკუჭნავე დადუმდა. ეშმაკთა სახელები ჩამოთვალა და პირქვე დაემხო. სახე მონჯღრეოდა, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა, ხუნდებდადებული ხელები დაკრუნჩხვოდა. უილიამმა შემატყო, დაზაფრული ვიყავი სანახაობით და თავზე ხელი დამადო, კეფაზე მომიჭირა: – დაიმახსოვრე, – მითხრა, – წამებით ან წამების შიშით ადამიანი მარტო იმას კი არ აღიარებს, რაც ჩაიდინა, არამედ იმასაც, რის გაკეთებაც ეწადა, მაგრამ თავადაც არ იცოდა. რემიგუსი ახლა სიკვდილს ნატრობს მთელი გულით.

მშვილდოსნებმა დარბაზიდან გაათრიეს მეკუჭნავე, რომელიც ჯერ კიდევ იკრუნჩხებოდა. ბერნარმა თავის ფურცლებს მოუყარა თავი და შეშფოთებულ დამსწრეთ გადახედა.

– დაკითხვა დამთავრებულია. ბრალდებულს ავინიონში გადაიყვანენ, სადაც სამსჯავრო შედგება, რათა საბოლოოდ იზეიმოს ჭეშმარიტებამ და სამართალმა. მწყემსებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, აწ სამართლის ხელმა იმოქმედოს. ძაღლები მოაშორებენ ფარას სნეულ ცხვარს და ცეცხლით განწმენდენ მას. ამ წაწყმედილი სულის საქმე დასრულებულია. დაე, მშვიდად იცხოვროს მონასტერმა. თუმცა სამყარომ… – ამ სიტყვებზე ხმას აუწია და მსაჯულთ მიუბრუნდა, – თუმცა სამყარომ კვლავაც უნდა პოვოს მშვიდობა, ქვეყანას მწვალებლობა ძიძგნის, რომელიც იმპერატორის დარბაზებშიც კი დაბუდებულა! დაე, ახსოვდეთ ჩემს ძმებს: დოლჩინოს უკუღმართი მიმდევრები un cingulum diaboli[209] შეკრულან პერუჯის კრების პატივცემულ მოძღვრებთან. ნუ დაივიწყებთ, იმ უბედურის წეღანდელი ბოდვა, მართლმსაჯულების მსახვრალ ხელს რომ გადავეცით, უფლის წინაშე არაფრით განსხვავდება შეჩვენებულ ბავარიელ გერმანელთან ერთად მოტრაპეზე მწვალებელთა მონაროშისგან. მწვალებლური ტურტლი უამრავის პირიდან იღვრება და ბევრი დღემდე დაუსჯელია, მეტიც – პატივსა და ფუფუნებაში ცხოვრობს. სასტიკია ვნებანი და მძიმე – განსაცდელი მისი, ვინც ჩემსავით, ცოდვილივით, აირჩია უფალმა მწვალებლობის სისინა გველის ბუდიდან ამოსათრევად. ეს წმინდა საქმე გვასწავლის, რომ მწვალებელი მხოლოდ ის არ არის, ვინც მწვალებლობას აშკარად ავლენს. მწვალებელნი ხუთი უტყუარი ნიშნით იცნობიან: მწვალებელია ყველა, ვინც მწვალებელს სატუსაღოში აკითხავს ღამღამობით; ის, ვინც მათთან მეგობრობს და მათ შეპყრობას დარდობს (ძნელია, კარგად იცნობდე მწვალებელს და არაფერი იცოდე მის საქმიანობაზე); ვინც თვლის, რომ მწვალებელი უსამართლოდ დასაჯეს, მაშინაც, როცა ბრალი დამტკიცებულია; ვინც მწვალებელთა მტერსა და მდევნელს ცუდი თვალით უყურებს და განსჯის (ეს შეიძლება თვალებში, სახის გამომეტყველებაში ამოვიკითხოთ, თუმცა კი მზაკვარი ოსტატურად ცდილობს, თავი მოაჩვენოს, ვითომ სძულს ის, ვისთვისაც გული ეწვის და უყვარს ის, ვის უბედურებასაც გულით ნატრობს); და ბოლო, მეხუთე ნიშანი: მწვალებელია ყველა, ვინც კოცონზე დამწვარ მწვალებელთა ძვლებს აგროვებს და თაყვანს სცემს მათ… თუმცა მე უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ კიდევ ერთ, მეექვსე ნიშანს: მწვალებელთა თანამზრახველებად მივიჩნევ ავტორებს, რომელთა შრომებშიც (თუნდაც ისინი ღიად არ შეურაცხყოფდნენ სარწმუნოებას) მწვალებლებმა ის საფუძველი პოვეს, რომელზეც შემდგომ უკუღმართად დაამყარეს თავიანთი მოძღვრება.

ამას ამბობდა და უბერტინუსს უყურებდა. ფრანცისკელთა დელეგაციამ კარგად გაიგო, რაზეც მიანიშნებდა ბერნარი. შეხვედრა უკვე ჩაშლილი იყო, ვეღარავინ გაბედავდა

დილანდელი კამათის განახლებას, ცხადი იყო, ახლა რაც უნდა თქმულიყო, ყველაფერში მომხდარი ამბავი გაიჟღერებდა და აირეკლებოდა. თუ პაპს ბერნარი შერიგების დასაბრკოლებლად გამოეგზავნა, მიზანი მიღწეული იყო.

მწუხრი

სადაც უბერტინუსს გააპარებენ, ბენციუსი უეცრად გამოსწორდება, უილიამი კი ავხორცობის ნაირგვარ გამოვლინებაზე დაფიქრდება, რომლებსაც იმ დღეს გადაეყარა

დიდი დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა. მიქაელი მოგვიახლოვდა, მალე უბერტინუსიც შემოგვიერთდა. ყველანი გარეთ გამოვედით და ეზოში შევჩერდით. შებინდებულიყო და ნისლი კიდევ უფრო ჩასქელებულიყო.

– ბერნარმა დაგვამარცხა, – თქვა უილიამმა. – ნუ მკითხავთ, დოლჩინოს ის რეგვენი მიმდევარი მართლა დამნაშავეა თუ არა. თუ რამე კიდევ მესმის ამქვეყნად, ეჭვი არ მეპარება, რომ ის არაფერ შუაშია. მაგრამ ჩვენთვის არაფერი შეცვლილა: იოანე ავინიონში გიხმობს, თანაც მარტო. დღეს უსაფრთხოებას არავინ დაგვპირებია, ჩვენ კი ამის იმედი გვქონდა. პირიქით, კარგად ვნახეთ, როგორ შეიძლება, საკუთარი სიტყვა პირალესილი მოგიბრუნდეს უკან. თუ დამიჯერებ, არ უნდა წახვიდე ავინიონში.

მიქაელმა თავი გააქნია: – სწორედ რომ წავალ. განხეთქილებას უნდა ვერიდოთ. შენ, უილიამ, დღეს ფრიად ნათლად გამოხატე სათქმელი, ყველა მიახვედრე, რა გინდა. მე კი სხვა რამ მსურს. კარგად ვხვდები, პერუჯის კრების დადგენილებები იმპერიის თეოლოგებმა სხვაგვარად გამოიყენეთ და არა ისე, როგორც ჩვენ გვესმის ისინი. მე მინდა, პაპმა ფრანცისკელთა ორდენის სიღატაკის კონცეფცია აღიაროს. მან უნდა გაიგოს, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ორდენის მწვალებლური განშტოებების ამოშანთვას. მე სახალხო კრების იდეა და ადამიანთა უფლებები არ მაფიქრებს, ხელი უნდა შევუშალო ორდენის დაქუცმაცებას. წავალ ავინიონში და, თუ საჭირო გახდა, დავემორჩილები კიდეც იოანეს, ყველაფერს დავუთმობ, გარდა სიღატაკის პრინციპისა.

უბერტინუსი ჩაერია: – იცი, რომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ?

– დაე, ასე იყოს, – უპასუხა მიქაელმა, – ჯობია, ხორცი იყოს საფრთხეში, ვიდრე სული.

მართლაც ჩაიგდო თავი საფრთხეში და თუ იოანე მართალი იყო (რაც არა მგონია), სულიც დაკარგა. როგორც უკვე ყველამ იცის, მიქაელი მართლა ეახლა პაპს ჩვენი ამბებიდან ერთი კვირის შემდეგ. ოთხი თვე დაყო მასთან, სანამ აპრილის თვეში იოანემ კონსისტორიუმი არ მოიწვია და მიქაელი შეშლილ, ლაჩარ, ჯიუტ დესპოტად, მწვალებლად, ეკლესიის უბეში შემძვრალ გველად არ შერაცხა. ახლა იმასაც კი ვფიქრობ, რომ იოანე თავისებურად მართალიც იყო, ვინაიდან იმ დროის მანძილზე მიქაელი ჩემი მოძღვრის მეგობარს, მეორე უილიამს – ოკამს – დამეგობრებოდა და მისი შეხედულებები გაეზიარებინა, რომლებიც, არსებითად, ემთხვეოდა მარსილიუსით შთაგონებული ჩემი მოძღვრის თეზისებს, იმ დღეს საჯაროდ რომ ჩამოაყალიბა კრებაზე. უფრო მეტიც, ოკამის იდეები კიდევ უფრო რადიკალური იყო. ურჩებს საშინლად სდევნიდნენ და ავიწროებდნენ, მალე მათ ავინიონში აღარ დაედგომებოდათ და მაისის ბოლოს მიქაელი, უილიამ ოკამი, ბერგამოელი ბონაგრაციუსი, ასკოლელი ფრანცისკი და ტალჰაიმელი ჰენრი გაიქცნენ. ნიცამდე, ტულონსა და მარსელამდე სდიეს პაპის მდევრებმა, ეგმორტში კარდინალი პიერ არაბლელი დაეწიათ, მაგრამ ამაოდ სცადა მათი მობრუნება, ვერ მოერია მათ სიძულვილს, მათ უნდობლობას პაპისადმი. ივნისში პიზაში ჩასულებს ზარ-ზეიმით შეეგებნენ იმპერატორის მომხრეები. მოგვიანებით მიქაელმა საჯაროდ გაკიცხა და ამხილა იოანე, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. იმპერატორის ზეგავლენა შესუსტებულიყო, იოანე ავინიონიდან გეგმავდა, მინორიტებისთვის ახალი გამგებელი დაენიშნა და საბოლოო გამარჯვებისთვის მიეღწია. უკეთესი იქნებოდა, იმ დღეს მიქაელს პაპთან წასვლა არ გადაეწყვიტა: მინორიტებს იქვე გაუწევდა წინააღმდეგობას, იმდენ დროს

უქმად არ დაკარგავდა მტრის გარემოცვაში და მისი პოზიციაც არ შესუსტდებოდა. არც ახლა ვიცი, რომელი იყო მათში მართალი – მაგრამ, ალბათ, ასე ინება უზენაესმა – წლები ხომ ყველაზე მხურვალე ვნების ცეცხლსაც აქრობს და მასთან ერთად ისიც ინავლება, რაც ოდესღაც ჭეშმარიტების მოგიზგიზე ნათელი გვეგონა.

თუმცა დროს ფუჭად ვკარგავ ამ ნაღვლიანი გადახვევებით. უნდა მოგახსენოთ, რით დამთავრდა ის საუბარი. მიქაელმა წასვლა გადაწყვიტა და აზრი ვეღარ შეაცვლევინეს. ოღონდ ახლა სხვა რამ იყო სადარდებელი: უბერტინუსიც საფრთხეში იყო. ამას ადასტურებდა ბერნარის მუქარიანი სიტყვები, აშკარა იყო პაპის სიძულვილიც მისდამი. მიქაელს ავტორიტეტი ჰქონდა და მას, ასე თუ ისე, ანგარიშს გაუწევდნენ, უბერტინუსი კი სრულიად მარტო დარჩენილიყო.

– იოანეს მიქაელი თავის კარზე უნდა, უბერტინუსი კი – ჯოჯოხეთში. თუ ბერნარს ოდნავ მაინც ვიცნობ, ხვალამდე – ნისლიც ხელს უწყობთ – მოკლავენ უბერტინუსს. ამ მონასტერს კიდევ ერთი მკვლელობა არ გააკვირვებს, და თუ ვინმე მაინც იკითხავს, ვინ ჩაიდინა დანაშაული, რემიგუსის ძმობილ დემონებს დააბრალებენ ყველაფერს, ან დოლჩინოს რომელიმე მიმდევარს, ამ კედლებში რომ დაეხეტება...

უბერტინუსი შეშფოთებული ჩანდა: – აბა, რა ვქნათ?

– წადი, – უპასუხა უილიამმა, – წინამძღვარს დაელაპარაკე, ცხენი და სანოვაგე სთხოვე და რომელიმე შორეული მონასტრის წინამძღვართან წერილი დააწერინე. ისარგებლე ნისლით, ახლავე გაემგზავრე.

– მშვილდოსნები რომ დარაჯობენ გასასვლელებს?

– მონასტერს სხვა გასასვლელებიც აქვს, წინამძღვარმა ყველა იცის. მსახური დაგახვედრონ ქვედა კალთასთან ცხენით, მთავარია, გალავნიდან გახვიდე და ტყეს შეაფარო თავი. აჩქარდი, სანამ ბერნარი კვლავ აუტანია გამარჯვების ჟინს. მე საქმეს უნდა მივხედო, ორი რამ მქონდა გასაკეთებელი, პირველი არ გამომივიდა, მეორე მაინც მინდა დავასრულო. ერთ წიგნს და ერთ ადამიანს დავეძებ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, მალე შორს იქნები აქედან. აბა, მშვიდობით. – და ხელები გაშალა.

გულაჩუყებული უბერტინუსი მაგრად ჩაეხუტა: – მშვიდობით, უილიამ, თავხედო ინგლისელო, შეშლილი ხარ, თუმცა დიდი გული გაქვს. როგორ გგონია, კიდევ შევხვდებით?

– შევხვდებით, – დაამშვიდა უილიამმა, – ღმერთი ინებებს.

თუმცა ღმერთმა აღარ ინება მათი შეხვედრა. როგორც გითხარით, უბერტინუსი იდუმალ ვითარებაში მოკლეს ორი წლის შემდეგ. მძიმე, თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება ერგო ამ მებრძოლ, გულმხურვალე კაცს. ვფიქრობ, წმინდანი არ ყოფილა და უფალმა სწორედ იმისთვის დასაჯა, რომ წმინდანად მიაჩნდა თავი. და ახლა, მხცოვანი და უფალს მინდობილი, სულ უფრო ნაკლებად ვაფასებ შეცნობის წადილით აგზნებულ გონებას, შექმნის სურვილით აღტყინებულ ნებას და ხსნის ჭეშმარიტ გზად ოდენ რწმენას ვაღიარებ, რომელსაც უსასრულოდ ძალუძს დათმენა ჩხრეკის, ეჭვის, კითხვების გარეშე. და უეჭველია, უბერტინუსს ღრმად სწამდა ჩვენი ჯვარცმული მაცხოვრის დაღვრილი სისხლისა და ტანჯვისა.

ალბათ, ამას ვფიქრობდი მაშინაც და იმ საოცარ მოხუცს ეს არ გამოჰპარვია, ან წინასწარ იგრძნო, რომ ოდესმე ვიფიქრებდი ამაზე. ტკბილად გამიღიმა და მომეხვია, აღარსად იყო ის მწველი ცეცხლი, პირველ შეხვედრაზე რომ ვიგრძენი მისგან, ისე ჩამიხუტა, როგორც ბაბუამ – შვილიშვილი. მეც თბილად მოვეხვიე. მერე მიქაელთან ერთად წინამძღვრის საძებნელად წავიდა.

– ახლა? – ვკითხე უილიამს.

– ახლა მკვლელობებს მივუბრუნდეთ.

– მოძღვარო, – ვუთხარი, – დღეს ქრისტიანული სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი რამ

მოხდა, ჩვენი მისიაც ჩაიშალა. თქვენ კი თითქოს ამ საიდუმლოს ამოხსნა უფრო გაღელვებთ, ვიდრე პაპისა და იმპერატორის შეტაკება.

– შეშლილები და ბალღები ყოველთვის მართალს ამბობენ, ადსო. ალბათ, ჩემი მეგობარი მარსილიუსი იმპერატორის მრჩევლად მჯობია, მაგრამ ინკვიზიტორად მე ვჯობივარ. მომიტევოს უფალმა და თვით ბერნარ გუიც ვერ შემედრება. ბერნარს დამნაშავეთა გამოვლენა არ აინტერესებს, ბრალდებულთა კოცონზე აყვანას ეშურება, მე კი ჩახლართული საქმის ამოხსნა მანიჭებს სიამოვნებას. ალბათ, იმიტომ, რომ ფილოსოფოსი ვარ და როგორც კი სამყაროში გარკვეულ წესრიგს დავინახავ, მისი ამოხსნა მწადია, ან მოვლენათა და საგანთა შორის მცირე კავშირების დანახვა მაინც. ალბათ, კიდევაა ერთი მიზეზი: ამ ყველაფერში ლუდვიგისა და იოანეს ქიშპობაზე მნიშვნელოვანი სხვა რამეა.

– კი, მაგრამ ეს ხომ უღირს ბერთა ქურდობისა და შურისძიების ამბავია! – აღმომხდა.

– აკრძალული წიგნის გამო, ადსო, აკრძალული წიგნის გამო, – დააზუსტა უილიამმა.

ბერები უკვე სავახშმოდ ეშურებოდნენ. ვახშმის დროს მიქაელ ჩეზენელი მოგვიჯდა და გვამცნო, უბერტინუსი უკვე გაემგზავრაო. უილიამმა შვებით ამოისუნთქა.

ვახშამი რომ დამთავრდა, თვალი ავარიდეთ წინამძღვარს, რომელიც ბერნარს ელაპარაკებოდა. ბენციუსს მოვკარით თვალი, ცალყბად მოგვესალმა და სცადა, კარისკენ გაეკვალა გზა. უილიამი დაეწია და სამზარეულოს კუთხეში გაიყვანა.

– ბენციუს, – ჰკითხა, – სადაა წიგნი?

– რომელი წიგნი?

– ბენციუს, ბრიყვი არც მე ვარ და არც შენ. იმ წიგნზე გელაპარაკები, ამ დილას სევერინუსის ოთახში რომ ვეძებდით. მე ვერ ვიცანი, შენ კი მშვენივრად მიხვდი, რომელიც იყო და დაისაკუთრე კიდეც...

– რატომ გგონიათ ასე?

– შენც ასე გგონია. სადაა-მეთქი?

– ვერ გეტყვით.

– ბენციუს, თუ არ მეტყვი, ყველაფერს წინამძღვარს მოვახსენებ.

– ვერ ვიტყვი, სწორედ წინამძღვრის ბრძანებით, – ტონი იცვალა ბენციუსმა. – მას შემდეგ, რაც თქვენ დაგშორდით, რაღაც მოხდა, რაც ჯერ არ იცით. ბერენგარიუსის სიკვდილის შემდეგ ბიბლიოთეკარს დამხმარე აღარ ჰყავდა, ჰოდა დღეს მალაქიამ მისი ადგილი მე შემომთავაზა. ნახევარი საათის წინ წინამძღვარმაც მისცა თანხმობა და ხვალ დილიდან, ვიმედოვნებ, ბიბლიოთეკის საიდუმლოთ მე მომანდობენ. მართალია, მე ავიღე წიგნი ამ დილას, ჩემს სენაკში, თივაში დავმალე ისე, რომ არც გადამიშლია, რადგან ვიცოდი, მალაქია თვალყურს მადევნებდა. მერე კი მალაქიამ თანაშემწედ დამასახელა. მეც ავდექი და ისე მოვიქეცი, როგორც ბიბლიოთეკარის თანაშემწეს შეშვენოდა: წიგნი მალაქიას ჩავაბარე.

თავი ვეღარ შევიკავე, გაცოფებულმა: – კი, მაგრამ, ბენციუს, გუშინ არ ამბობდი, ცნობისმოყვარეობა მკლავსო, ბიბლიოთეკა საიდუმლოს არ უნდა მალავდესო, სწავლულის მოვალეობა შეცნობაოო?

ბენციუსი გაწითლდა, უილიამმა შემაჩერა: – ადსო, ახლა ბენციუსი სხვა ბანაკშია. ახლა თავადაა იმ საიდუმლოთა მოდარაჯე, რომელთა გახსნასაც ლამობდა. ახლა უამრავი დრო ექნება მათში საკირკიტოდ.

– კი, მაგრამ სხვები? – ვერ ვითმენდი. – ბენციუსი ხომ ყველა სწავლულის სახელით ლაპარაკობდა!

– ეგ გუშინ იყო, – მითხრა უილიამმა, ხელი მომკიდა და მაიძულა, გავყოლოდი. ბენციუსი არ განძრეულა.

– ბენციუსი, – მითხრა შემდეგ უილიამმა, – საშინელი ცდუნების მსხვერპლია და ეს ცდუნება სრულიად განსხვავდება ბერენგარიუსისა და მეკუჭნავის ცდუნებათაგან. როგორც ბევრ სწავლულს, მასაც შეცნობის ვნება აწვალებს. თავისთვის, მხოლოდ სათავისოდ შეცნობის ლტოლვა. და ვინაიდან ხელი არ მიუწვდებოდა ამ ცოდნის დიდ ნაწილზე, ლამობდა, დაპატრონებოდა მას. ახლა მიზანს მიაღწია. მალაქია კარგად იცნობს მას და საუკეთესო საშუალება გამოიყენა წიგნის ხელში ჩასაგდებად და ბენციუსის დასადუმებლად. ბენციუსის ვნება როჯერ ბეკონის შეცნობის წყურვილს არ ჰგავს, რომელიც ცოდნას ცოდნისთვის კი არ ელტვოდა, სურდა, მეცნიერება ღვთის სამწყსოს ბედნიერების სამსახურში ჩაეყენებინა. ბენციუსს მხოლოდ დაუოკებელი ცნობისწადილი, ინტელექტუალური ამპარტავნობა არ ასვენებს, ეს კი ყველა შემთხვევაში საკუთარი ვნების დაკმაყოფილების წადილია, მწველი ცეცხლი, რომელიც ბერს ან რწმენის, ან მწვალებლობის ჯარისკაცად აქცევს, და სხვა ვნებათაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასში ხორციელი ნდომა არ ურევია. ბერნარ გუისაც ვნება არ ასვენებს, სამართლიანობის ვნება, რომელიც ძალაუფლების ვნებასთან გაიგივებულა. ჩვენი წმინდა და აწ უკვე არარომაელი პონტიფიკოსი კი სიმდიდრის ვნებას შეუპყრია. ის, რაც მეკუჭნავეს სიყმაწვილეში არ ასვენებდა, სარწმუნოების, გარდაქმნისა და სინანულის ვნება იყო. ვნებაა ბენციუსის ლტოლვაც წიგნებისადმი. როგორც ყველა ვნება, როგორც ონანის ცოდვა, თესლს მიწაზე რომ ანთხევდა, ეს განყენებული, უსულო ვნებაა და სიყვარულთან საერთო არაფერი აქვს, ხორციელ სიყვარულთანაც კი.…

– ვიცი, – ამოვილუღლუღე. უილიამმა არ შეიმჩნია, რომ გაიგო, და განაგრძო: – ვისაც მართლა უყვარს, საყვარლისთვის კეთილი უნდა.

– იქნებ ბენციუსს კეთილი უნდა თავისი წიგნებისთვის (ახლა ხომ დაეპატრონა მათ) და ფიქრობს, რომ მათთვის სიკეთე ხარბი თვალისგან დაცვაა? – ვკითხე.

– წიგნის სიკეთე ისაა, რომ წაიკითხონ. წიგნი ნიშნებითაა შექმნილი, რომლებიც სხვა ნიშნებზე ლაპარაკობენ, ისინი კი – საგნებზე. მკითხველის გარეშე წიგნის ნიშნები უტყვია და წიგნიც მუნჯია. ეს ბიბლიოთეკა, ალბათ, მასში დაცული წიგნების გადასარჩენად შეიქმნა, ახლა კი მათ დასამარხად ცოცხლობს. ამიტომ ღვივის მასში უსჯულობა. მეკუჭნავემ ღალატი აღიარა. იგივე გააკეთა ბენციუსმაც: გვიღალატა. რა საშინელი დღეა, ადსო, სისხლითა და მარცხით აღსავსე. დღეისთვის კმარა, წავიდეთ, სერობის ლოცვა მოვისმინოთ და დავიძინოთ.

სამზარეულოდან გამოსვლისთანავე აიმარუსი შეგვხვდა. გვკითხა, მართალია, რომ ამბობენ, მალაქიამ ბენციუსი თანაშემწედ აიყვანაო? რას ვიზამდით, დავუდასტურეთ.

– ამ მალაქიამ რამდენი კარგი რამ გააკეთა დღეს, – ჩვეული ზიზღითა და დაცინვით ჩაიქირქილა აიმარუსმა. – სამართალი რომ არსებობდეს, ეშმაკი წააცუნცულებდა ამაღამ.

სერობა

სადაც მოისმენენ ქადაგებას ანტიქრისტეს მოსვლაზე და ადსო საკუთარი სახელების ძალას აღმოაჩენს

მწუხრის ლოცვამ მშფოთვარედ ჩაიარა. მეკუჭნავის დაკითხვა არ დამთავრებულიყო, ცნობისმოყვარე მორჩილები მოძღვარს გამოჰპარვოდნენ და სარკმლებიდან, ჭუჭრუტანებიდან ცდილობდნენ, დაენახათ, რა ხდებოდა დიდ დარბაზში. სერობის ლოცვაზე სევერინუსის სულისთვის უნდა ელოცათ. ფიქრობდნენ, რომ წინამძღვარი საძმოს მიმართავდა და ყველას აინტერესებდა, რას იტყოდა. თუმცა წმინდა გრიგოლის ქადაგების წაკითხვის შემდეგ, ლოცვისა და სამი ფსალმუნის დასასრულს, წინამძღვარი

მხოლოდ იმის სათქმელად ავიდა კათედრაზე, რომ იმ საღამოს არ იქადაგებდა. ისეთი განსაცდელი დაატყდა მონასტერს თავს, რომ მეც მიჭირს თქვენი დამუნათება, საჭიროა, თითოეულმა საკუთარ სინდისს ჩახედოსო, მიმართა ძმებს. მაგრამ ვინაიდან წესია, ვინმემ რამე თქვას, ყველაზე მხცოვანს დავუთმოთ სიტყვა, ვინც ყველაზე ახლოა სიკვდილთან და ყველაზე ნაკლებ აშფოთებს მიწიერი ვნებანი, რომელთაც ამდენი ბოროტება დაგვატეხეს თავსო. ასაკის მიხედვით სიტყვა გროტაფერატელ ალინარდუსს ეკუთვნოდა, მაგრამ ყველამ იცოდა, როგორ შერყეოდა ჯანმრთელობა სათაყვანებელ ძმას. ალინარდუსს ასაკით ხორხე მოსდევდა და სწორედ მას სთხოვა წინამძღვარმა გამოსვლა.

იმ მხარეს, სადაც ჩვეულებრივ აიმარუსი და სხვა იტალიელები ისხდნენ ხოლმე, ჩოჩქოლი ატყდა. გავიფიქრე, წინამძღვარი ალინარდუსს არც დაეკითხა, ისე მიანდო სერობის ქადაგება ხორხეს-მეთქი. უილიამმა ჩამჩურჩულა, წინამძღვარმა სიფრთხილე გამოიჩინა, ამ საღამოს ქადაგებას თავი რომ აარიდაო. მართლაც, რაც უნდა ეთქვა იმ დღეს წინამძღვარს, ბერნარი და სხვა ავინიონელები ისე შეატრიალებდნენ მის სიტყვებს, როგორც მოისურვებდნენ. მხცოვანი ხორხე კი, ალბათ, მისთვის ჩვეულ მისტიკურ წინასწარმეტყველებაში გაერთობოდა და ავინიონელები მას დიდ ყურადღებას არ მიაქცევდნენ. – თუმცა, არა მგონია, – დაამატა უილიამმა, – ხორხე ისე დათანხმებოდა, რომ კარგად არ ჰქონოდა გათვლილი, რა უნდა. მით უმეტეს, თავად არ ითხოვდა სიტყვას, თუ ზუსტად არ იცის, რის თქმას აპირებს.

ხორხე კათედრაზე ავიდა. ტაძარს მკრთალად ანათებდა ერთადერთი სამფეხა ჩირაღდანი, სინათლე სახეზე ეცემოდა მოხუცს და კიდევ უფრო კვეთდა მის თვალებში ჩაგუბებულ წყვდიადს. შავი ხვრელებივით უჩანდა თავალები.

– ტკბილო ძმებო, – დაიწყო მან, – და თქვენც, ძვირფასო სტუმრებო, თუ ინებებთ უბადრუკი ბებრის მოსმენას... იცით, რომ ჩვენს მონასტერს თავს დამტყდარი ოთხი სიკვდილი – რომ არ ვთქვათ მკვლელობა, უძველესი თუ ახალი, ცოდვათა შორის ყველაზე საშინელი – ბუნების ნებით არ მომხდარა, ბუნებისა, რომელიც აკვნიდან სამარემდე განაგებს ჩვენს ყოფას საწუთროში. ალბათ, ყოველი თქვენგანი ფიქრობს, რომ ოდენ ტკივილით შეგძრათ მომხდარმა, სული თქვენი კი უშფოთველია, რამეთუ დამნაშავე ერთია მხოლოდ. ალბათ, გგონიათ, რომ უმწიკვლონი ხართ და როცა მკვლელი დაისჯება, ტკივილი დარჩება დაკარგულთა გამო, მაგრამ პასუხს აღარავინ აგებს უფლის სამსჯავროზე. შეშლილებო! – საშინელი ყვირილი აღმოხდა ხორხეს. – შეშლილო ლაჩრებო! მკვლელი თავის ტვირთს მარად ატარებს უფლის წინაშე, მაგრამ ის ხომ ოდენ შემსრულებელი იყო ღვთის განგებისა. ვიღაცას უნდა გაეყიდა იესო, რათა ხსნის საიდუმლო აღსრულებულიყო. და მაინც უფალმა შეაჩვენა და დაწყევლა მოღალატე. ასევეა ახლაც, ვიღაცამ შესცოდა, მოკლა, ბზარი შეაპარა მონასტერს, მაგრამ მე გეტყვით, რომ ეს უზენაესი თანხმობის გარეშე არ მომხდარა, შესაძლოა, უფლის ნებაც იყო, ჩვენი ამპარტავნობის დასათრგუნავად!

ისე გადმოხედა მოქუფრულ საძმოს, თითქოს მსმენელთა გრძნობების ამოკითხვა შეეძლო, თუმცა მხოლოდ დუმილს თუ დაუგდებდა ყურს.

– ამ მონასტერში, – განაგრძო მან, – დიდი ხანია, ამპარტავნობის ასპიტი სისინებს. ვიკითხოთ, როგორი ამპარტავნობის? ნუთუ ძალაუფლების ამპარტავნობისა სამყაროსაგან მოწყვეტილ მონასტერში? ცხადია, არა. მაშ, სიმდიდრისა? ძმანო, ამ მონასტრის შექმნის დღიდან, ბევრად ადრე, სანამ ქვეყანა ქონებასა და უპოვარებაზე აყაყანდებოდა, ჩვენ ყველაფერი გვქონდა და თან – არაფერი, ერთადერთი და ჭეშმარიტი სიმდიდრე გვებადა – ღვთის კანონთა მორჩილება, ლოცვა და შრომა. თუმცა ამ მონასტრის, მთელი ჩვენი ორდენის შრომა, არსებითად, სწავლა და ცოდნის დაცვაა. დაცვა-მეთქი, გითხარით და არა კვლევა, რადგან ცოდნა, თავისი ღვთიურობის გამო წინასწარ დადგენილი და იმთავითვე სრულქმნილია საღმრთო წერილით. დაცვა-მეთქი, გითხარით, და არა კვლევა, რადგან ცოდნა, თავისი ადამიანურობის გამო, საუკუნეთა მანძილზე ერთხელ უკვე გაიზარდა და სრულიქმნა, წინასწარმეტყველთა სიტყვიდან დაწყებული ეკლესიის მამათა განმარტებებით დაგვირგვინებული. მისთვის აწ უკვე უცხოა განვითარება, ეპოქათა მონაცვლეობა, მას შევსება კი აღარ სჭირდება, არამედ – თაყვანისცემა და მარადიული გამეორება. კაცობრიობის ისტორია სამყაროს შექმნის დღიდან უწყვეტია და მონანიების გავლით მივა გამარჯვებული ქრისტეს მოსვლამდე,

ნათლით მოსილი, მკვდართა და ცოცხალთ განსასჯელად რომ მოგვევლინება. ცოდნის გზა კი სხვაგვარია, ღვთიური იქნება ის თუ ადამიანური, ცოდნა უცვლელია, უდრეკი, როგორც სალი კლდე, ძალგვიძს, მოწიწებით მივუგდოთ ყური, მივყვეთ მის ბილიკებს, შევიცნოთ იგი, მაგრამ მასზე ვერ ვიმოქმედებთ. მე ვარ ის, ვინც არის, – თქვა ებრაელთა ღმერთმა. მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, ბრძანა მაცხოვარმა და ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა აღფრთოვანებით, მოკრძალებით გამეორება ამ ორი ჭეშმარიტებისა. ყველაფერი, რაც შემდეგ თქმულა, წინასწარმეტყველთა, ევანგელისტთა, მამათა და მოძღვართა მიერაა დამატებული ამ ორი დებულების განსამარტავად. ზოგჯერ წარმართთაც კი გამოუთქვამთ ამაზე მოსაზრება, უსჯულოთ, რომლებიც ამ ორ ჭეშმარიტებას არ აღიარებდნენ, და მათი მოსაზრებაც შეუთვისებია ქრისტიანულ ტრადიციას. მაგრამ სათქმელი აღარაფერია. უნდა ვიფიქროთ ამაზე, რუდუნებით მოვუაროთ, შევინახოთ, რაც უკვე თქმულა: მუდამ ეს იყო და კვლავაც ეს იქნება ჩვენი მონასტრისა და მისი ბრწყინვალე ბიბლიოთეკის მოვალეობა. ოდესღაც აღმოსავლელ ხალიფას ცეცხლისთვის მიუცია ერთ-ერთი დიდი, ამპარტავნობით სნეული ქალაქის ვეებერთელა ბიბლიოთეკა, და როცა წიგნები იწვოდა თურმე, ხალიფა ყვიროდა, უნდა განადგურდეს ბიბლიოთეკა, რადგან ეს წიგნები, თუ ყურანში ნათქვამს იმეორებენ მხოლოდ, სრულიად უსარგებლოა, თუ მას ეწინააღმდეგებიან – საშიშიო. ეკლესიის დამფუძნებელნი, და ჩვენც მათთან ერთად, სხვაგვარად განვსჯით: გვმართებს დაცვა ყოველივესი, რაც განმარტავს და განადიდებს წმინდა საკითხავს; ხოლო ის, რაც ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება, კი არ უნდა გავანადგუროთ, უნდა შევინახოთ, რამეთუ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მარად და მარად მის უგულებელყოფას. უგულებელყოფა კი მისი საქმეა, ვისაც უფალმა ამის ძალა და უფლება მისცა. ეს იყო ჩვენი ორდენის ვალი საუკუნეთა მანძილზე, ესაა ჩვენი მონასტრის ტვირთი დღეს: ვამაყობთ ჭეშმარიტებით, რომელსაც ვღაღადებთ, ჭეშმარიტების მტერს კი მდაბლად ვდარაჯობთ და ვცდილობთ, არ გაგვსვაროს. ძმანო, როგორია ამპარტავნობის ცოდვა, რომელმაც შეიძლება მეცნიერი ბერი აცდუნოს? სწავლულს, შეიძლება, თავისი მოვალეობა დაცვა კი არა, კვლევა-ძიება ეგონოს, ჩხრეკა იმისა, რაც კაცთა საქმე არ არის. ბოლო ყურადსაღები სიახლე ხომ უკვე გაცხადებულია უკანასკნელი ანგელოზის სიტყვებში „გამოცხადების“ დასასრულს: „ვწამებ მე ყოვლისა მიმართ, რომელსა ესმოდიან სიტყუანი წინასწარმეტყუელებისა ამის წიგნისანი: უკუეთუ ვინ შესძინოს ამათ ზედა, შესძინენ ღმერთმან მის ზედა წყლულებანი იგი, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა. და უკუეთუ ვინ მოაკლოს სიტყუათა წიგნისა ამის წინასწარმეტყუელებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი ძელისა მისგან ცხორებისა და ქალაქისა მისგან წმიდისა, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა...“ თავგზააბნეულო ძმანო, განა ეს სიტყვები სწორედ ჩვენს მონასტერში მომხდარს არ აღწერს? ამ კედლებში მომხდარი კი განა ჩვენი საუკუნის სენს არ ასახავს? საუკუნისა, რომელიც სიტყვითა და საქმით ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში, ამპარტავან უნივერსიტეტებსა თუ ეკლესიებში გამალებით ცდილობს, ახალი გასაღები მოარგოს ჭეშმარიტების სიტყვებს და ამით ხელყოფს საღმრთო წერილის არსს, რომელიც თავისთავად სრულყოფილია და რომელსაც მხოლოდ გულმოდგინე დაცვა სჭირდება და არა უაზროდ, უთავბოლოდ გაზვიადება? სწორედ ესაა ამ კედლებში დაბუდებული მოსისინე ამპარტავნობა, და მივმართავ ყველას, ვინც წიგნთათვის კლიტის ასაყრელად ხელს აფათურებს: ამ ცოდვის გამო დაგვსაჯა უფალმა და კვლავაც დაგვსჯის, თუ ეს ცოდვა არ დავთრგუნეთ, რამეთუ უფალს არ გაუჭირდება, ჩვენი სისუსტისთვის გვაზღვევინოს.

– გაიგე, ადსო? – მიჩურჩულა უილიამმა. – ბებერმა ბევრად მეტი იცის, ვიდრე ამბობს. გასვრილი აქვს თუ არა ხელი თავად, ყველაფერი იცის და აფრთხილებს ცნობისმოყვარეთ, რომ სანამ ბიბლიოთეკას თავს არ დაანებებენ, მონასტერს სიმშვიდე არ ეღირსება.

ხორხე კარგა ხანს დუმდა. შემდეგ განაგრძო.

– ამპარტავანი ოდენ ხატი, შიკრიკი, მედროშეა ამპარტავნობისა, მაგრამ ვინაა ამ ცოდვის სიმბოლო? ვინ წრიალებს ამ კედლებში, რათა ჟამთა მოახლოება გვამცნოს და თან დაგვამშვიდოს: აღსასრული ახლოა და სამყაროს დიადი ციკლი მალე დასრულდება, ამიტომ სატანჯველი გაუსაძლისი, მაგრამ ხანმოკლე იქნებაო? ოჰ, მშვენივრად გესმით, ვინცაა, მაგრამ უფრთხით მისი სახელის წარმოთქმას, რამეთუ ის თქვენი სახელიცაა! მე კი არ შევუშინდები და ხმამაღლა გეტყვით, დაე, გულმუცელი ამოგიბრუნდეთ ძრწოლისგან,

კბილი კბილზე გცემდეთ ისე, რომ ენა მოგაწყვიტოთ, სისხლი გაგეყინოთ ძარღვებში და თვალთ დაგიბნელდეთ... ის ანტიქრისტეა!

კვლავ დადუმდა. მსმენელები მიცვალებულებს ჰგავდნენ. ტაძარში ერთადერთი რამ მოძრაობდა, ჩირაღდნის ალი, და მისი ჩრდილიც თითქოს შენელებულიყო. ვეებერთელა სივრცეში მხოლოდ ხორხეს მძიმე სუნთქვა ისმოდა. მოხუცი კარგა ხანს დუმდა, მერე შუბლზე ოფლი მოიწმინდა და განაგრძო: – ალბათ, მკითხავთ, ჯერ ხომ არ მოსულა, სად ხედავ მისი მოსვლის ნიშნებსო. ვაი, უმეცარნო! ამ ნიშნებს ხომ გამუდმებით ვაწყდებით სამყაროს დიდი ამფითეატრისა და ამ მონასტრის ყოველ კუთხე-კუნჭულში, რომელიც ამავე სამყაროს ასახავს შეკუმშულად. მისი მოსვლის ნიშანია ჩვენს თავს დატეხილი კატასტროფები... წერილ არს, რომ ჟამთა მიწურულს გადამთიელი მეფე ავა დასავლეთის ტახტზე, მომტანი სიცრუისა, ურწმუნოებისა, მკვლელი და ცბიერი, მომხვეჭელი, ფლიდი, მზაკვარი, მორწმუნეთა მოძულე და მათი მდევნელი. ისიც ნათქვამია, მისი მმართველობის ჟამს ვერცხლს აღარად ჩააგდებენ და მხოლოდ ოქროზე ივაჭრებენო! ვიცი, მისმენთ და ერთი სული გაქვთ, გამოიცნოთ, ვის ვგულისხმობ, პაპს, იმპერატორს, საფრანგეთის ხელმწიფესა თუ კიდევ სხვა ვინმეს, რათა გული დაიმშვიდოთ: ის ხომ ჩემი მტერია, მაშ, მე კეთილის მხარეს ვარო! მაგრამ არც ისე გულუბრყვილო ვარ, ვინმე ერთი დავასახელო. ანტიქრისტე ყველასთვის მოვა, ყველაში და ყველაფერში გაცხადდება: ქალაქების დამარბეველ მაწანწალათა ხროვებში, ბუნების მოულოდნელ ნიშნებში, ცაზე უცაბედად გადასალტულ ცისარტყელაში, ჯოჯოხეთის საყვირებსა და ცეცხლის ენებში. სამყარო გმინვით აივსება, ზღვა ადუღდება. წერილ არს, რომ დიაცთა და პირუტყვთა საშოდან ურჩხულები გამოიწლაწნებიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ გულებში გესლი და სიძულვილი ჩაისახება. აქეთ-იქით კი ნუ აცეცებთ თვალებს, იმ ცხოველებს გაუსწორეთ მზერა, პერგამენტიდან რომ გნუსხავენ და გაჯადოებენ! წერილ არს, რომ ყმაწვილქალები განაყოფიერებისთანავე მოლაპარაკე ყრმებს შობენ, რომლებიც ჟამთა მომწიფებას გვამცნობენ და საკუთარ სიკვდილს მოითხოვენ. ხეობებსა და სოფლებში კი ნუ ეძებთ მათ: მეტისმეტად განსწავლული ყრმანი ამ კედლებში გაჟუჟეს უკვე! ისინიც, წინასწარმეტყველებაში აღწერილებივით, ზრდასრულებს ჰგავდნენ, წინასწარმეტყველებათა ოთხკიდურა ნაშიერნი, დედის მუცლიდან მაგიურად მღაღადებელი ჩანასახები. წერილ არს ყოველივე! ისიც, რომ დიდი ჩოჩქოლი და ფორიაქი ატყდება ადამიანებს, ერებსა და ეკლესიებს შორის, მოგვევლინებიან მუხთალი, უკუღმართი, ხარბი, ბინძური, ავხორცი და გაუმაძღარი მწყემსნი, მოლაყბენი, მკვეხარანი, ამპარტავანნი, მსუნაგნი, თავხედნი, მრუშნი და ფუჭი დიდების მაძიებელნი, სახარების მტრები, მოძალადენი, ჭეშმარიტი სიტყვის უარმყოფელნი, ისინი, ვინც სიყვარულის გზა შეიძულა და მონანიებაზე უარი თქვა. ხალხთა შორის დაიბუდებს უნდობლობა, სიძულვილი, სიმუხთლე, უგულობა, შური, გულგრილობა, ქურდობა, ლოთობა, უხამსობა, გარყვნილება და ათასი სხვა ცოდვა. გაითელება კდემა, თავმდაბლობა, სიმშვიდე, მოკრძალება, თანაგრძნობა, ტირილის ნიჭი... თქვით, აღიარეთ, აქაურებო და შორით მოსულებო, განა ყოველივე ეს თქვენ არ გეხებათ?

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა. მერე რაღაც შრიალი გაისმა. კარდინალი ბერტრანი იყო, იშმუშნებოდა, ადგილზე ვერ ისვენებდა. ვიფიქრე, ხორხე შესანიშნავად ქადაგებს, თავის ძმებთან ერთად სტუმრებსაც ამათრახებს-მეთქი. რას არ მივცემდი, რომ მცოდნოდა, რა უტრიალებდა ახლა თავში ბერნარს ან სხვა ავინიონელებს.

– და მაშინ, ანუ მალე, – დასჭექა ხორხემ, – პოვებს თავის ბინძურ სავანეს ანტიქრისტე, ჩვენი მაცხოვრის მიმბაძველი მანჭია მაიმუნი. და მაშინ, ანუ მალე, დაემხობა სამეფო ყოველი, იფეთქებს შიმშილი, სიდუხჭირე და დადგება გაუსაძლისად მკაცრი ზამთარი. და იმ დროის (და ეს დრო უკვე დადგა) შვილთა ქონებას აღარავინ მოუვლის, აღარავინ დააბინავებს სარჩო-საბადებელს, დაიჯიჯგნება და გაცამტვერდება ვაჭართა ხელში ქონება ყოველთა. ნეტარ იქნებიან ისინი, ვინც იმ დროს ვერ მოესწრება, და ისინიც, ვინც გადარჩება! და მაშინ მოვა ცოდვის ნაშიერი, გამარჯვებული და გაბღენძილი მტერი, კაცობრიობის შესაცდენად და მართალთა დასაჩოქებლად. ყოველი მხრით გავრცელდება ხრწნა და სასოწარკვეთა, ანტიქრისტე ცეცხლითა და მახვილით დაეპატრონება დასავლეთს, გზებს მოშლის და მრისხანების ალში გახვევს ყოველივეს: ღვთისგმობა იქნება ძალა მისი, საცდური – მკლავი მისი, მარჯვენა – მსახვრალი, მარცხენა – წყვდიადის მომტანი. აი, ნიშნები მის ამოსაცნობად: თავი – გიზგიზა ცეცხლის ბურთი,

მარჯვენა თვალი – სისხლის კოშტი, მარცხენა – კატის მწვანე თვალი, გუგები – მოელვარე, ქუთუთოები – თეთრი… ლაშებგადმოყრილი, თეძოწვრილი და მსხვილფეხა, წაგრძელებული, ბრტყელი ცერა თითებით!

– მგონი, საკუთარი თავი აღწერა, – ჩაიცინა უილიამმა ოდნავ გასაგონად. ძალიან გამახალისა ამ საშინელმა მკრეხელობამ: შიშისგან თავზარდაცემულს თმა ლამის ყალყზე მედგა, ამ სიტყვებზე კი ძლივს შევიკავე სიცილი, ლოყებდაბერილი ავფხუკუნდი. სამარისებულ სიჩუმეში ყველამ გაიგონა ჩემი ხმა, მაგრამ ბერებს, ალბათ, ხველა, ტირილი ან გმინვა თუ ეგონათ – ყველა ერთნაირად იყო დაზაფრული.

– დადგება ჟამი განკითხვისა, – განაგრძობდა ხორხე, – შვილი მშობელზე აღმართავს ხელს, ცოლი ქმარს დაუგებს მახეს, ქმარი ცოლს უჩივლებს სასამართლოში, პატრონი ფეხქვეშ გათელავს ყმას და მსახური ბატონს აუმხედრდება, ასაკს აღარად ჩააგდებენ, ყრმანი მმართველობას მოიწადინებენ, შრომა დასაცინი გახდება, განადიდებენ აღვირახსნილობას, ხრწნას, უკუღმართობას. ყოველივე ამას კი მოჰყვება გაუპატიურება, სიბილწე, ღვთისგმობა, მკითხაობა და ჯადოსნობა, ბუნების საწინააღმდეგო ათასგვარი ცოდვა, აზვირთდება ბოროტება და ძალადობა, ზეცაში მფრინავი სხეულები გამოჩნდება, კეთილ ქრისტიანთა შორის გამრავლდებიან ცრუ წინასწარმეტყველნი, თვითმარქვია მოციქულნი, მოძალადენი, ჯადოქარნი, ავხორცნი, ძუნწნი, ფიცის გამტეხნი, ცრუპენტელანი. მწყემსი მგლად იქცევა, მთავართ შეწყალების უნარი დაუჩლუნგდებათ და მართალნი უსამართლობას მიემხრობიან. გრიგალი და მიწისძვრები შეარყევს სამყაროს, დაძაბუნდება ყველა აღმსარებლობა, ნათესებს მატლი გაუჩნდება, ზღვის წყალი შავად შეიმღვრევა, უცნაური რამეები მოხდება მთვარეზე, ვარსკვლავები ადგილს იცვლიან და ახალი მნათობები იმრავლებენ ცის კაბადონზე, ზაფხულში მოთოვს და პაპანაქება იქნება ზამთარში. მოვა ჟამი აღსასრულისა და ჟამთა აღსასრული… პირველ დღეს, მესამე ჟამის ლოცვისას, ცა დაიჭექებს, მეწამული ღრუბელი წამოვა ჩრდილოეთიდან და სისხლის წვიმა გადმოსკდება დედამიწაზე. მეორე დღეს დედამიწა მოსწყდება ადგილს და ვეებერთელა კვამლის ქულები და ცეცხლის ალები გაარღვევს ცათა კარიბჭეს. მესამე დღეს მიწისქვეშეთი აგრუხუნდება, ცის თაღი ოთხივე მხარეს გახსნის პირს და კვამლის სვეტებით აივსება ჰაერი, მეცხრე ჟამის გასრულებამდე კი გოგირდის სიმყრალე გაგუდავს სამყაროს. მეოთხე დღეს, გამთენიისას, მიწა აგუგუნდება, ქვესკნელი ხახას დააფჩენს და ჩანთქავს ყოველივეს. მეხუთე დღეს, მეექვსე ჟამზე, მოწყდება ბორბალი მზისა და ჩამოწვება წყვდიადი ქვეყნად, საღამომდე კი სამუდამოდ ჩაქრება მთვარე და ვარსკვლავები. მეექვსე დღის მეოთხე საათს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადასკდება ცის თაღი და ანგელოზები ნაპრალიდან მიწას გადმოხედავენ, მიწაზე მყოფნი კი ციდან მომზირალ ანგელოზთ იხილავენ. მაშინ ეცდებიან ადამის შვილნი, მთას შეაფარონ თავი, ოღონდ თვალი არ გაუსწორონ ციდან მზირალ მართალ ანგელოზთ. და მეშვიდე დღეს მოვა ქრისტე, მოსილი ნათლით მამისა თვისისა და შედგება სამსჯავრო მართალთა და მათი აღმასვლა სხეულთა და სულთა მარადიულ სასუფეველში. მაგრამ დღეს თქვენ ამაზე არ იფიქრებთ, ამპარტავანო ძმანო! ცოდვილნი ვერ ეღირსებიან მერვე დღის აისს, როცა აღმოსავლეთიდან გაისმება ტკბილი ხმა და ცაზე გამოჩნდება ანგელოზი, განმგებელი ყოველთა ანგელოზთა. ანგელოზთა დასი ღრუბლის ეტლებით ინავარდებს ზეცაში და დაიხსნის მორწმუნე რჩეულთ. დასრულდება ნგრევა წუთისოფლისა და დამყარდება ბედნიერება! მაგრამ ამჟამად კმაყოფილება შორსაა ჩვენგან! დავფიქრდეთ ღმერთის სიტყვებზე, უღირსთ რომ მიმართავს: განვედით, წყეულნო, გდაგავდეთ მარადიული ცეცხლი, ეშმაკისა და მის მსახურთა აგიგიზგიზებული! დაიმსახურეთ იგი და აჰა, იგემეთ! განვედით ჩემგან და გადაეშვით წყვდიადსა და უქრობელ ალში! მე გიბოძეთ სახე, თქვენ კი მაგალითად სხვა აირჩიეთ, სხვა ბატონს დაუჩოქეთ! მაშ, იცხოვრეთ მასთან, სისინა გველთან, მარადიულ ბნელეთსა და კბილთა ღრჭიალში! წმინდა სიტყვის მოსასმენად ნაბოძები ყური წარმართთ დაუგდეთ! პოეტთა სიყალბე და მასხარათა გამოცანები იმეორეთ ღვთის სადიდებლად ნაბოძები ბაგით! მოგეცით თვალნი დასანახავად ჩემი სინათლისა, თქვენ კი წკვარამს ჩასჩერებიხართ! ადამიანთა მსაჯული ვარ, მაგრამ სამართლიანი და მივაგებ ოდენ დამსახურების მიხედვით. მინდა, შეგიწყალოთ, მაგრამ თქვენი ბინძური ჭურჭლის საფერი ზეთი ვერ მიპოვია. მინდა, გული მოვილბო, მაგრამ თქვენი სულის ლამპარი ჭვარტლით გაგლესილა. მომშორდით… ასე იტყვის უფალი. და ისინი… ალბათ, ჩვენც მარადიულ სატანჯველს შევუდგებით. სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა.

– ამინ, – ერთხმად უპასუხეს ბერებმა.

ბერები გამწკრივდნენ, უხმოდ გამოვიდნენ ეკლესიიდან და საკნებს მიაშურეს. მინორიტებიცა და პაპის ხალხიც უსიტყვოდ დაიშალნენ და მოსასვენებლად წავიდნენ. გული მქონდა დამძიმებული.

– დავიძინოთ, ადსო, – მითხრა უილიამმა, როცა მომლოცველთა ოთახებისკენ ავდიოდით. – ამაღამ არ ღირს ბოდიალი. ბერნარ გუის, შეიძლება, სამყაროს აღსასრულის დაჩქარება მოუნდეს და ჩვენგან დაიწყოს. ვეცადოთ, ხვალ ცისკრის ლოცვას დავესწროთ: ლოცვა მორჩება თუ არა, მიქაელი მინორიტებთან ერთად გაემგზავრება.

– ბერნარიც წავა თავის ტუსაღებიანად? – ენა ძლივს მოვატრიალე.

– აქ აღარაფერი ესაქმება. უდავოა, ურჩევნია, მიქაელს ჩაასწროს ავინიონში, მაგრამ ისე, რომ მისი ჩასვლა მეკუჭნავის – მწვალებელი, მკვლელი მინორიტის – სამსჯავროს დაემთხვეს. კოცონი, რომელზეც მეკუჭნავეს დაწვავენ, ჩირაღდანივით გააცისკროვნებს მიქაელის პირველ შეხვედრას პაპთან.

– სალვატორეს რა ბედი ეწევა? და გოგოს...

– სალვატორეს მეკუჭნავეს მიაყოლებენ, მოწმედ უნდა წარადგინონ სასამართლოზე. შეიძლება, ამ სამსახურის სანაცვლოდ ბერნარმა მას სიცოცხლეც აჩუქოს. შეიძლება, ჯერ გააპაროს და მერე მოაკვლევინოს. შეიძლება, მართლა გაუშვას, რადგან სალვატორესნაირი ბერნარისნაირს არაფერში არ სჭირდება. ისიც შესაძლებელია, ლანგედოკის ტყეს შეაფაროს თავი და ავაზაკობაში გალიოს სიცოცხლე.

– გოგონა?

– გითხარი უკვე, მაგას აღარაფერი უშველის-მეთქი. თუმცა გოგონას, ალბათ, მალევე მოიშორებენ, გზად, კათართა რომელიმე სოფელში, ზღვის სანაპიროზე. ყური მოვკარი, ბერნარი თავის მეგობარს, ჟაკ ფურნიეს უნდა შეხვდეს თურმე (გახსოვდეს ეს სახელი. ჯერჯერობით ალბიგოელ მწვალებლებს ხრუკავს ცეცხლზე, მაგრამ მაღლა უმიზნებს) და ერთი კარგი ჯადოქრის კოცონზე აყვანა არც ერთს არ აწყენდა...

– კი, მაგრამ ვერაფრით ვუშველით? – შევყვირე. – წინამძღვარი ვერ ჩაერევა?

– ვისთვის? მეკუჭნავისთვის? იმ აღსარების შემდეგ? თუ უდღეური სალვატორესთვის? თუ შენ გოგონა გადარდებს?

– იქნებ ასეცაა! – წამოვენთე. – სამთაგან ხომ მხოლოდ ისაა მართლა უბრალო, თქვენ ხომ იცით, რომ ჯადოქარი არ არის...

– როგორ გგონია, წინამძღვარი მომხდარის შემდეგ ერთი ალქაჯის გამო სასწორზე შეაგდებს იმ მცირეოდენ ღირსებას, რაც კიდევ შერჩენია?

– კი, მაგრამ მან ხომ გააპარა უბერტინუსი!

– რას მიედ-მოედები! უბერტინუსი ბრალდებული არ არის, მერე – ამ მონასტრის ბერია და თანაც მნიშვნელოვანი ფიგურაა, ბერნარი მას მხოლოდ ზურგიდან თუ მიაყენებს დარტყმას.

– ესე იგი, მეკუჭნავე მართალს ამბობდა, სხვის მაგივრადაც ღარიბს აზღვევინებენო! ღარიბი არა მარტო საკუთარ ბატონს მიაგებს ხარკს, არამედ უბერტინუსისა და მიქაელისნაირთა მაგივრადაც ზღავს: მათ ნაცვლად, ვინც ჯანყისაკენ უბიძგებს ღატაკთ! – სასოწარკვეთილი ვიყავი, აღარც ვფიქრობდი, რომ ის, ვისი ბედიც მე მადარდებდა, უბერტინუსის ქადაგებით თავგზაარეული ფრატიჩელი ბერი კი არა, ერთი გლეხის გოგო იყო და სრულიად უდანაშაულოდ სჯიდნენ, თანაც იმისთვის, რისაც არაფერი გაეგებოდა.

– ასეა, – ნაღვლიანად მიპასუხა უილიამმა, – თუ მაინცდამაინც სიმართლის მარცვალი გინდა იპოვო, გეტყვი, რომ მოვა დრო, როცა მსხვილტანიანი ძაღლები – პაპი და

იმპერატორი – ერთმანეთში დასაზავებლად გოშიებს გათელავენ, რომლებიც ოდესღაც ერთგულად უქიცინებდნენ კუდებს. მიქაელსა და უბერტინუსს იგივე ელით, რაც ახლა შენს გოგონას.

ახლა ვიცი, რომ მაშინ უილიამი წინასწარმეტყველებდა, უფრო სწორად, სილოგიზმებს იგონებდა ბუნების ფილოსოფიის პრინციპებზე დაყრდნობით. მაგრამ მაშინ ვერც მისი წინასწარმეტყველება მანუგეშებდა და ვერც მისი სილოგიზმები. ცხადი იყო, რომ გოგონას დაწვავდნენ და დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, მეჩვენებოდა, რომ კოცონზე ჩემთან ჩადენილი ცოდვის გამო აჰყავდათ.

ტირილი ამივარდა და ჩემს სენაკს მივაშურე. მთელი ღამე თივას ვგლეჯდი კბილებით, უძლურებისგან ვყმუოდი და ისიც კი არ ძალმიძდა – სწორედ ასე იქმოდნენ რაინდნი წიგნებში, მელქელ მეგობრებთან ერთად რომ ვკითხულობდი ხოლმე ოდესღაც – სატრფოს სახელი ამომეგმინა გამწარებულს.

არ ვიცოდი და ვერც ვერასოდეს გავიგე, რა ერქვა ჩემს ერთადერთ მიწიერ სიყვარულს.

დღე მეექვსე

ცისკრისა

სადაც მთავარნი აღზევდებიან, მალაქია კი მიწას განერთხმის

ცისკრის ლოცვაზე ჩავედით. ღამე ილეოდა, მალე ინათებდა, გარემო კი ისევ სქელ ნისლში ჩაძირულიყო. ნესტი ძვლებამდე აღწევდა, ღამენათევებს კიდევ უფრო გვჯაბნიდა სუსხი. შვებით ამოვისუნთქე, როცა ტაძარს შევაფარეთ თავი, თუმცა შიგნითაც ძალიან ციოდა. წმინდა სახებათა წინაშე მუხლმოყრილს ლოცვა და გარშემომყოფთა სხეულების სითბო მამხნევებდა.

ფსალმუნების კითხვა ახალი დაწყებული იყო, როცა უილიამმა ცარიელ ადგილზე მიმანიშნა გუნდში. ჩვენ პირდაპირ, ხორხესა და ტივოლელ პაციფიკუსს შორის, მალაქიას ადგილი ცარიელი იყო. სხვებმაც შენიშნეს მალაქიას არყოფნა. წინამძღვარი შეშფოთებული ჩანდა, ახლა უკვე კარგად იცოდა აბონმა, ეს კარგს არ მოასწავებდა. შფოთავდა მხცოვანი ხორხეც, მის თვალებდაშრეტილ სახეზე ისედაც ძნელი იყო განცდის ამოკითხვა, ახლა კი ჩრდილში იჯდა და სახე თითქმის არ უჩანდა, მაგრამ მოუსვენრობას ვერ მალავდა მისი ხელები: დროდადრო იმედით მოსინჯავდა ხოლმე ცარიელ ადგილს, თან თითქოს შიშობდა, რომ ვისაც ელოდა, აღარასოდეს გამოჩნდებოდა.

– სად უნდა იყოს ბიბლიოთეკარი? – ვუჩურჩულე უილიამს.

– მალაქია, – მიპასუხა უილიამმა, – ახლა უკვე ერთადერთია, ვისაც წიგნზე ხელი მიუწვდება. თუ თავად არაა დამნაშავე, შეიძლება არც იცის, რა ხიფათი მოაქვს იმ წიგნს...

ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. უნდა დაგვეცადა. წინამძღვარი თვალს არ აშორებდა მალაქიას ადგილს, ხორხეც დროდადრო მოუსვენრად აფათურებდა ხელს სკამზე.

ლოცვის დასასრულს წინამძღვარმა შეახსენა ბერებსა და მორჩილთ, დიდი საშობაო წირვისათვის მოსამზადებლად ქებანის ლოცვამდე გუნდმა საშობაო საგალობლებში უნდა ივარჯიშოსო. რწმენით გულანთებულ ადამიანთა უგრძესი მწკრივი ლარივით გაჭიმულიყო ტაძარში, მომართული, ხმაშეწყობილი, ათწლეულების მანძილზე გალობაში ერთსულად

შეკრული.

წინამძღვარმა ანიშნა, „Sederunt“ დაიწყეთო: Sederunt principes

et adversus me

loquebantur, iniqui.

Persecuti sunt me.

Adjuva me, Domine,

Deus meus salvum me

fac propter magnam misericordiam tuam.[210]

ვიფიქრე, ნეტავ წინამძღვარმა ეს საგალობელი საგანგებოდ ხომ არ შეარჩია დღეისთვის, ვინაიდან მთავართა მოციქულნი აქ არიან-მეთქი? იქნებ უნდოდა, მათთვის შეეხსენებინა, რომ საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ორდენი მუდამ მედგრად ეწინააღმდეგებოდა ძლიერთა ამა სოფლისათა, ქვეყნიერების ჭეშმარიტი განმგებლის, ღმერთის წყალობითა და მფარველობით. საოცარი ძალა შთაგვბერა საგალობლის პირველივე ბგერებმა.

გუნდმა ნელა, საზეიმოდ წამოიწყო პირველი მარცვალი Se. ათეულობით ხმისგან შემდგარმა მოგუდულმა ბგერამ ერთიანად აავსო ტაძრის სივრცე. მიწის წიაღიდან ამოზრდილ ხმას ჰგავდა, რომელსაც ნელ-ნელა სხვა ხმები შეუერთდა, ათასგვარი ტემბრი და ტონალობა აჰყვა და ისე ჩაექსოვა, რომ გუგუნი, მიწისძვრის წინ დედამიწის გრგვინვის მსგავსი, არ შენელებულა, სანამ თორმეტჯერ არ გამეორდა ღვთისმშობლის სადიდებელი. საგალობლის პირველი მარცვლის ის უცვლელი ჟღერა – მარადიულობის ალეგორია – თითქოს აიმედებდა, ამხნევებდა, შიშისაგან ათავისუფლებდა ხმებს, ნელ-ნელა რომ ერწყმოდა გუნდს. მორჩილთა წვრილი ხმები ისე კრთოდა და ელავდა იმ უწყვეტ გუგუნში, როგორც კლდოვანი მთების ალესილი შვერილები, წაწვეტებული, ზეცისკენ ატყორცნილი, თვალუწვდენელ სიმაღლეზე ასროლილი სალი ქიმები. ნეტარებით ავსილი გული ხან ყელში მებჯინებოდა, ხან თითქოს ქვესკნელში ვარდებოდა და კლიმაქტუსის, პორექტუსის, ტორკულუსისა და სალუკუსის[211] იმ სულისშემძვრელი თამაშით აცახცახებულს თითქოს რაღაც ჩამჩურჩულებდა, რომ სული (სულები მგალობელთა და ჩემიც, განაბული) მოზღვავებულ გრძნობას ვეღარ იტევდა და, გრძნობითვე დაკოდილი, საკუთარი წიაღიდან ამოხეთქილი ბგერით იღვრებოდა სიხარულად, ტკივილად, ქებად, სიყვარულად. მიწისქვეშეთის გუგუნიც მატულობდა, თითქოს იმის ნიშნად, რომ მტერი, ღმრთის სამწყსოს მდევნელი მთავარი, უკან დახევას არ აპირებდა. ბოლოს თითქოს რაღაც ძალამ, ალბათ, ალილუიას სიხალასემ, გაიმარჯვა იმ გაბმულ, მდრტვინავ ბგერაზე და გალობა დიდებულ, სრულქმნილ აკორდად, აღმდგარ ნევმად ჩამოიღვარა.

მინელდა თუ არა დასხდენ, დიადი, ანგელოზური სიმშვიდით გაისმა მთავარნი. აღარ მაფიქრებდა, ვინ იყვნენ ისინი, ჩემთვის ძვირის მთქმელნი: სრულიად გაცრეცილიყო, გამქრალიყო ძრწოლისმომგვრელი აჩრდილი, ცოტა ხნის წინ მუქარით რომ წამომდგომოდა თავზე.

მაშინ ვირწმუნე, რომ სხვა აჩრდილებიც მიმოფანტულიყვნენ, რადგან, როცა გამოვერკვიე, დავინახე, ბიბლიოთეკარი თავის ადგილას იჯდა, თითქოს მსახურების დაწყებიდანვე იქ ყოფილიყო. უილიამს გავხედე, თვალებში შვებისმაგვარი შევნიშნე რაღაც, იგივე წავიკითხე წინამძღვრის მზერაშიც. ხორხემ კიდევ ერთხელ მოსინჯა ბიბლიოთეკარის ადგილი და როცა სკამი დაკავებული დახვდა, სასწრაფოდ უკან წაიღო ხელი. თუმცა მის განცდებზე ვერაფერს გეტყვით.

გუნდი საზეიმოდ იწყებდა მაცხოვნეს. ნათელი, მკაფიო, გაშლილი ა ხალისით მოეფინა ტაძარს, აღარც ე ისმოდა წეღანდელივით ქუფრიანად, თითქოს წმინდა ძალით ყოფილიყო ავსილი და ნასულდგმულები. ბერები და მორჩილნი გალობდნენ, წესისამებრ წელში გამართულნი, ყელმოღერებულნი, წიგნი მაღლა, მკერდის გასწვრივ ეჭირათ, რომ მოხრა არ დასჭირვებოდათ კითხვისას: მოხრილ ადამიანს ხომ ხმა მთელი ძალით არ ამოსდის მკერდიდან. უკვე ცისკრის საყვირების ხმა ისმოდა, თუმცა ჯერ კიდევ ბნელოდა და მგალობელთაგან ბევრი ძილს ვერ უმკლავდებოდა, ზოგიერთი, გუნდის იმედით, თვლემდა კიდეც, აქა-იქ თავებს აკანტურებდნენ, ძილმორეულები. მაგრამ მეფხიზლეთ არაფერი ეპარებოდათ, მყის მიანათებდნენ ხოლმე მთვლემარეთ სახეში ჩირაღდანს, რათა გამოეფხიზლებინათ, სულითა და ხორცით.

ჰოდა, სწორედ მეფხიზლეთაგან ერთ-ერთმა შენიშნა, რომ მალაქიას სხეული რაღაც უცნაურად ქანაობდა ადგილზე, თითქოს საღათას ქიმერულ ნისლში ჩაძირულიყო. მთელი ღამის უძინარი იქნებოდა. მეფხიზლემ პირდაპირ სახეში მიანათა ჩირაღდანი. ბიბლიოთეკარი არ განძრეულა. მაშინ ხელით სცადეს, შეეღვიძებინათ. მალაქიას სხეული მძიმედ, მოწყვეტით გადმოქანდა სკამიდან და მეფხიზლემ ძლივს შეაკავა, რომ მიწაზე არ

დანარცხებულიყო.

გალობა შენელდა, ხმები მიწყდა, ტაძარში ჩოჩქოლი ატყდა. უილიამი ადგილს მოსწყდა და მალაქიასკენ გაქანდა. ტივოლელმა პაციფიკუსმა და ერთ-ერთმა მეფხიზლემ ტაძრის ფილაქანზე დააწვინეს ბიბლიოთეკარის უსულო სხეული.

წინამძღვარიც მოვარდა, შეძრწუნებული. სანთლის შუქი უნათებდა სახეს გარდაცვლილს. თავად სიკვდილის გამოსახულებად ქცეულიყო უბედური: ცხვირი თითქოს კიდევ უფრო წაწვეტებოდა, თვალები და საფეთქლები მთლად ჩასცვენოდა, თეთრი ყურები, გაფშეკილი ბიბილოები და სახის კანი გაქვავებოდა და გაშრობოდა, მოყვითალო ლოყები შავი ლაქებით დაფარვოდა. თვალები ღია ჰქონდა, ოდნავ შეღებული პირით მძიმედ სუნთქავდა და რაღაცის თქმას ცდილობდა. უილიამმა სამოსით ჩაბღუჯა და წამოსწია. ბიბლიოთეკარს კბილებს შუა გაშავებული ენა უჩანდა. უილიამმა მხრები დაუჭირა, ხელით შეუმშრალა ოფლით დაცვარული შუბლი. მალაქიამ შეხება იგრძნო, წინ იყურებოდა, მაგრამ ჩანდა, ვერაფერს ხედავდა, ვერავის ცნობდა. აკანკალებული ხელებით ჩაებღაუჭა უილიამს, სახე ახლოს მიუტანა და ხრინწიანი ხმით ამოილუღლუღა: ვიცოდი... მითხრა... მართლა... ათასი მორიელის ძალა ჰქონდა...

– ვინ გითხრა? – ჩაეკითხა უილიამი. – ვინ?

მალაქია ცდილობდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ შეძლო. საშინლად ააკანკალა და თავი უკან გადაუვარდა. მკვდარი იყო.

უილიამი წამოდგა. წინამძღვარს შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მის ზურგს უკან ბერნარ გუის მოკრა თვალი.

– უფალო ბერნარ, – ჰკითხა უილიამმა, – ეს ვინღა მოკლა, თქვენ ხომ ასე მარჯვედ შეიპყარით მკვლელები?

– მე ნუ მეკითხებით, – უპასუხა ბერნარმა, – სამართლის დამკვიდრებას და ამ მონასტერში ჩაბუდებული ყოველგვარი ბოროტების აღმოფხვრას არ დაგპირებივართ. თუმცა, სიამოვნებით კი ვიზამდი, რომ შემძლებოდა, – უილიამს შეხედა. – დანარჩენი წინამძღვრის მკაცრი ხელისთვის (ან მეტისმეტი მიმტევებლობისთვის) მიმინდვია.

ამ სიტყვებზე წინამძღვარი გაფითრდა, გუი კი გატრიალდა და წავიდა.

ამ დროს უცნაური სლუკუნი შემოგვესმა: ხორხე იყო, მუხლი მოეყარა, ერთ-ერთ ბერს ეყრდნობოდა, ალბათ, მან აღუწერა უსინათლოს ტაძარში მომხდარი.

– არასოდეს დამთავრდება... – გაბზარული ხმით მოთქვამდა ხორხე, – ოჰ, ზეციერო, მოგვიტევე ყოველივე.

უილიამი გვამისკენ დაიხარა, მაჯებზე მოჰკიდა ხელი და სინათლისკენ გასწია მიცვალებულის ხელის მტევნები. ბიბლიოთეკარს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითების ბალიშები გაშავებული ჰქონდა.

ქებანი

სადაც ახალ მეკუჭნავეს აირჩევენ, ახალ ბიბლიოთეკარს კი არა

უკვე ქებანის დრო მოსულიყო? ადრე იყო თუ გვიანი? იმ წუთიდან დროის შეგრძნება დავკარგე. არ ვიცი, რამდენ საათს ესვენა მალაქია ტაძარში. კატაფალკზე დაესვენებინათ და ბერები მარაოსებურად შემომწკრივებულიყვნენ გარშემო. წინამძღვარი შემდეგი მსახურებისთვის განკარგულებებს იძლეოდა. გავიგე, როგორ იხმო ბენციუსი და მორიმონდოელი ნიკოლოზი: ერთ დღე-ღამეში მონასტერი მეკუჭნავისა და ბიბლიოთეკარის გარეშე დარჩაო, უთხრა. – შენ, – მიმართა მერე ნიკოლოზს, – რემიგუსის

მოვალეობას შეასრულებ. ყველას იცნობ მონასტერში, ყველას საქმე იცი, ვინმე დაიხმარე, სასწრაფოდ უნდა მიხედოთ სამზარეულოსა და სატრაპეზოს. მსახურებიდან გათავისუფლებ, საქმეს მიხედე. – მერე ბენციუსს მიუბრუნდა: – სწორედ წუხელ დაგასახელა მალაქიამ თავის თანაშემწედ. წადი, სკრიპტორიუმი გააღე და თვალყური ადევნე, არავინ ავიდეს მარტო ბიბლიოთეკაში. ბენციუსმა მოკრძალებით შეაპარა, ჯერ არ გაუცნიათ ჩემთვის ბიბლიოთეკის საიდუმლონიო. წინამძღვარმა მკაცრად შეხედა: – მაგას არც არავინ დაგპირებია. შენ იმაზე იზრუნე, საქმე არ შეფერხდეს და მუშაობა გაგრძელდეს გარდაცვლილ ძმებზე ლოცვით და მათზე ლოცვით, ვინც მომავალში მოკვდება. დაე თითოეულმა იმ წიგნზე იმუშაოს, რომელიც უკვე გამოტანილი აქვს. ვისაც უნდა, შეუძლია, კატალოგს ჩახედოს, მაგრამ მეტი არაფერი. მწუხრის ლოცვიდან გათავისუფლებ, ყველაფერი უნდა დაკეტო.

– მერე გარეთ როგორ გამოვალ? – ჰკითხა ბენციუსმა.

– მართალი ხარ, მე დავკეტავ ყველაფერს ვახშმის შემდეგ. წადი.

ბერები ტაძრიდან გამოვიდნენ. წინამძღვარიც მათ გამოჰყვა და თვალი აარიდა უილიამს, რომელსაც სურდა, გამოლაპარაკებოდა. ტაძარში დარჩნენ ალინარდუსი, ტივოლელი პაციფიკუსი, ალექსანდრიელი აიმარუსი და სანტალბანოელი პეტრე.

– უფალს მადლი ვუთხრათ, – ჩაიქირქილა აიმარუსმა. – გერმანელის სიკვდილის შემდეგ, შესაძლოა, კიდევ უფრო ბარბაროსი ბიბლიოთეკარი დაგვინიშნონ.

– როგორ გგონიათ, ვის დანიშნავენ მის ადგილას? – იკითხა უილიამმა.

პეტრემ უცნაურად გაიღიმა: – ბოლო დღეებში მომხდარის შემდეგ საკითხავი ბიბლიოთეკარი კი აღარაა, წინამძღვარია…

– გაჩუმდი, – უთხრა პაციფიკუსმა. ალინარდუსმა დაამატა: – ისევ უსამართლობას ჩაიდენენ, როგორც ჩემს დროს. უნდა შევაჩეროთ.

– ვინ? – ჰკითხა უილიამმა. პაციფიკუსმა ხელკავი გამოსდო და გასასვლელისკენ გაიყვანა.

– ხომ იცი, ალინარდუსი… ძალიან გვიყვარს… ძველი ტრადიციის, მონასტრის საუკეთესო წლების განსახიერებაა ჩვენთვის, მაგრამ ხანდახან ისე ლაპარაკობს, ვერც კი ხვდება, რას ამბობს. ყველას გვაშფოთებს ახალი ბიბლიოთეკარის ამბავი. ღირსეული უნდა იყოს, ბრძენი, მომწიფებული… ამაშია საქმე.

– ბერძნული უნდა იცოდეს? – ჰკითხა უილიამმა.

– და არაბულიც. ასე მოითხოვს ტრადიცია. ამასვე ითხოვს მისი მოვალეობა. მაგრამ ჩვენ შორის მრავალია ასეთი: პეტრე, აიმარუსი, გავკადნიერდები და გეტყვი, მეც…

– ბენციუსმაც იცის ბერძნული.

– ბენციუსი მეტისმეტად ახალგაზრდაა. არ ვიცი, რატომ აირჩია მალაქიამ გუშინ თანაშემწედ, მაგრამ…

– ადელმუსმა იცოდა ბერძნული?

– მგონი, არა. უფრო სწორად, არა.

– მაგრამ ვენანციუსმა და ბერენგარიუსმა იცოდნენ. კარგი, გასაგებია, გმადლობ.

გამოვედით და სამზარეულოს მივაშურეთ.

– რატომ კითხულობდით, ვინ იცის ბერძნულიო? – ვკითხე გზად.

– იმიტომ, რომ ვინც თითებგაშავებული მოკვდა, ყველამ იცოდა ბერძნული. მაშასადამე, შემდეგ გვამს მალე უნდა ველოდეთ და მათგან, ვინც ბერძნული იცის. მეც მათ რიცხვში ვარ. შენ კი გადარჩი.

– მალაქიას უკანასკნელ სიტყვებზე რას იტყვით?

– ხომ გაიგონე, მორიელებიო. სხვათა შორის, მეხუთე საყვირი იუწყება კალიების გამოჩენას, რომლებიც მორიელისებრი ნესტრით დაგესლავენ ადამიანებს, ხომ გახსოვს. მალაქია ცდილობდა, ეთქვა ჩვენთვის, რომ ვიღაცამ წინასწარ ამცნო ამის შესახებ.

– მეექვსე საყვირი, – ვუთხარი, – ლომისთავა ცხენების მოსვლას იუწყება, გოგირდის ოხშივრიან ალს რომ აფრქვევენ პირიდან, მათ მხედართ კი ცეცხლის, სუმბულისა და გოგირდისფერი ჯავშანი მოსავთ.

– მეტისმეტად ბევრი რამ ჩამოთვალე. თუმცა შემდეგი დანაშაული, შეიძლება, თავლაში მოხდეს. ყურადღებით უნდა ვიყოთ და მეშვიდე საყვირისთვის მოვემზადოთ. მაშასადამე, კიდევ ორი მოკვდება. ვინ შეიძლება იყოს შემდეგი? თუ ყველაფრის მიზეზი „აფრიკის კიდის“ საიდუმლოა, მსხვერპლიც ის იქნება, ვინც მასზე რამე იცის. ასეთი კი, ჩემი აზრით, მხოლოდ წინამძღვარია. თუ რამეში არ ვცდები. ხომ გაიგონე, წეღან ბერები აბონის წინააღმდეგ შეთქმულებაზე ლაპარაკობდნენ, თუმცა ალინარდუსი ერთ ადამიანს არ გულისხმობდა, „ჩაიდენენო“, ასე თქვა...

– წინამძღვარი უნდა გავაფრთხილოთ, – წამოვიძახე.

– რა ვუთხრათ? რომ მოკლავენ? რით დავასაბუთო? მე ისე ვმსჯელობ, თითქოს მკვლელი ჩემსავით ფიქრობდეს. ასე რომ არ იყოს? და, რაც მთავარია, საერთოდ რომ არ არსებობდეს მკვლელი?

– როგორ?

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ, როგორც წეღან გითხარი, მოვლენათა ყოველგვარი წყობა უნდა წარმოვიდგინოთ, და ყოველგვარი უწესრიგობაც.

პირველი ჟამი

სადაც, სანამ საგანძურს ათვალიერებენ, ნიკოლოზი უამრავ რამეს მოჰყვება

მორიმონდოელი ნიკოლოზი – ახალი მეკუჭნავე – მზარეულებს განკარგულებებს აძლევდა, ისინიც რაღაცას უხსნიდნენ მას, სამზარეულოს აცნობდნენ. უილიამმა სცადა, გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ნიკოლოზმა გვთხოვა, დამელოდეთო. ცოტა ხანში საგანძურში უნდა ჩავიდე, ოქრო-ვერცხლის გაპრიალებას ვადევნო თვალყური – ახლა ესეც მე მევალება – ჰოდა, წამომყევით და იქ ვისაუბროთო.

მართლაც, მალე გვანიშნა, გავყოლოდით. ტაძარში შევედით და მთავარ საკურთხეველს შემოვუარეთ (ამ დროს ბერები ეკლესიის შუაში ასვენებდნენ მალაქიას კუბოს, რათა ღამე გაეთიათ მიცვალებულისთვის). კიბე ჩავიარეთ და დაბალჭერიან დარბაზში აღმოვჩნდით. დაბალი თაღები გაუთლელი ქვის ბოძებს ეყრდნობოდა. ეს იყო საგანძური, სადაც მონასტრის ძვირფასეულობა ინახებოდა. ამ ადგილს წინამძღვარი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და მეტისმეტად საპატიო სტუმრებისთვის აღებდა მას.

დარბაზი სკივრებით იყო სავსე, სკივრებიდან კი ჩირაღდნების შუქზე (ნიკოლოზის დამხმარეები გვინათებდნენ დარბაზს) თვალწარმტაცი სილამაზის ათასგვარი ძვირფასეულობა ელავდა: მოოქროვილი სამოსები, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს გვირგვინები, სხვადასხვა ლითონისაგან ნაჭედი, სახარებისეული სიუჟეტებით დამშვენებული ბარძიმები, მინანქრისა და სპილოს ძვლის ნაკეთობები. აღელვებისაგან სუნთქვაშეკრულმა ნიკოლოზმა სათუთად გვიჩვენა მინანქრის-ყდიანი სახარება, უნატიფეს ოქროს ტიხრებში გასაოცარი სიფაქიზით იყო ჩასმული ძვირფასი თვლები. ფირუზით

მოოჭვილ ოქროს ჩარჩოში ჭედური ვერცხლით ნატიფად იყო გამოსახული აღდგომის სცენა. თვალისმომჭრელ, ოქროთი და მომხიბლავი, ჭრელი ონიქსით ნაკეთ ჯვარზე ცამეტი ალმასი იჯდა. ნამუშევრის წინა მხარე გიშრითა და ლალის თვლებით მოერთო ოსტატს. იქვე ვნახეთ სპილოს ძვლისაგან ნაკეთი კარედი, რომელზეც ქრისტეს ცხოვრების ხუთი სცენა იყო გამოსახული. შუაგულში ავტორს მისტიკური კრავის გამოსახულება ჩაესვა, მოოქროვილ ვერცხლის ტიხრებში ფერადი შუშები იჯდა. სპილოს ძვლის ცვილისებრი სითეთრის ფონზე ნაირფერად ბრჭყვიალებდა კრავის გამოსახულება.

საგანძურს რომ გვათვალიერებინებდა, ნიკოლოზს სიამაყით უბრწყინავდა თვალები. უილიამმა აღფრთოვანება ვერ დამალა ნანახით. მერე უცებ ჰკითხა ნიკოლოზს, რანაირი კაცი იყო ბიბლიოთეკარიო.

– უცნაური კითხვაა, – უპასუხა ნიკოლოზმა, – თავადაც ხომ იცნობდი.

– კი, მაგრამ კარგად არა. ვერ ვიგებდი, რას ფიქრობდა, თავში რა უტრიალებდა… – მერე წამით შეყოვნდა, თითქოს ეუხერხულებოდა ახლად გარდაცვლილზე ამის თქმა, მაგრამ მაინც თქვა: – ან საერთოდ თუ ფიქრობდა რამეს.

ნიკოლოზმა თითი ნერწყვით დაისველა, ბროლის დაბურულ ზედაპირს გადაუსვა გასაპრიალებლად და ღიმილით უპასუხა ისე, რომ არც შეუხედავს უილიამისთვის: – რა კითხვა უნდა… მართალია, ბევრს მალაქია ფიქრიანი და გულჩახვეული ეგონა, მაგრამ სინამდვილეში ერთი უბრალო კაცი იყო. ალინარდუსი თვლის, რომ სულელი იყო.

– ალინარდუსს ვიღაცის ძველი ბოღმა აქვს, რადგან ბიბლიოთეკარის ადგილი მას არ არგუნეს.

– ჰო, ეგ მეც მსმენია, მაგრამ ძალიან ძველი ამბავია, ორმოცდაათი წლის წინანდელი მაინც. მე რომ აქ მოვედი, ბობიოელი რობერტუსი იყო ბიბლიოთეკარი, და უხუცესი ბერები რაღაცას ჩურჩულებდნენ ალინარდუსის მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე. მაშინ არ ჩავძიებივარ ამ ამბავს, მერიდებოდა უხუცესების, არ მინდოდა, ჭორებისთვის დამეგდო ყური. ერთხელაც რობერტუსის თანაშემწე გარდაიცვალა და მის ადგილზე მალაქია დაასახელეს, მთლად ყმაწვილი იყო მაშინ. ბევრი ჩიოდა, არანაირი ღვაწლი არ მიუძღვის, ბერძნულისა და არაბულის ცოდნასაც ტყუილად იჩემებს, ერთი მიმბაძველი მაიმუნია და მეტი არაფერიო. გადაწერა მართლაც ემარჯვებოდა, ლამაზად წერდა და ოსტატურად იწერდა ბერძნულ და არაბულ ხელნაწერებს. ამბობდნენ, არც კი ესმის, რას იწერს, ბიბლიოთეკარი ბევრად უფრო განსწავლული უნდა იყოსო. ალინარდუსი მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, სასტიკად შეებრძოლა მალაქიას დანიშვნას. ისიც თქვა, მალაქია იმისთვის დანიშნეს, რომ ჩემი მტრის წისქვილზე დაასხან წყალიო. მაგრამ ვერ მივხვდი, ვის გულისხმობდა. სულ ესაა. მუდამ ჩურჩულებდნენ მონასტერში, მალაქია ავი ძაღლივით სდარაჯობს ბიბლიოთეკას, თუმცა არც კი ესმის, რას იცავსო. ბერენგარიუსზეც ბევრს ჭორაობდნენ, როცა მალაქიამ თანაშემწედ აიყვანა. ამბობდნენ, თავის მასწავლებელზე მეტი არც მას უყრია თავში, ერთი ინტრიგანია და მეტი არაფერიო. იმასაც ამბობდნენ… თუმცა ამ ჭორებს თავადაც გაიგებდი… რომ უცნაური ურთიერთობა ჰქონდათ მას და მალაქიას… ძველი ამბავია… ისიც ხომ იცი, ბერენგარიუსსა და ადელმუსზე რასაც ჰყვებოდნენ. ყმაწვილი გადამწერები ამბობდნენ, მალაქიას საშინელი ეჭვიანობა ტანჯავდაო… მალაქიასა და ხორხეს ურთიერთობაზეც ჭორაობდნენ… ოღონდ სხვანაირად… ხორხეს ღირსებაში ეჭვი არასოდეს არავის შეუტანია! მალაქია, როგორც ბიბლიოთეკარი, იძულებული იყო, თავის პირად მოძღვრად აბონი აერჩია, სხვა ყველა კი ხორხეს აბარებს აღსარებას (ან ალინარდუსს, მაგრამ ბებერი უკვე თითქმის გამოშტერდა)… ჰოდა, ამბობდნენ, რომ მალაქია მაინც ხშირად ესაუბრებოდაო ხორხეს, წინამძღვარი კი განაგებდა მის სულს, მაგრამ მის სხეულს, თითოეულ მოძრაობას, მის სამუშაოს ხორხე მართავდაო. თავადაც ხომ გინახავს, როცა ბერებს წიგნებთან დაკავშირებით რჩევა სჭირდებოდათ, მალაქიას არც არაფერს ეკითხებოდნენ, ყველა ხორხეს მიმართავდა. მალაქია კატალოგს სდარაჯობდა და ბიბლიოთეკაში ადიოდა წიგნების ასატან-ჩამოსატანად, ხორხემ კი თითოეული სათაურის მნიშვნელობა იცოდა…

– საიდან იცოდა ხორხემ ამდენი რამ ბიბლიოთეკაზე?

– ალინარდუსის შემდეგ ის ყველაზე მხცოვანია, და ყრმობიდან აქაა. ახლა ხორხე

ოთხმოცს იქნება გადაცილებული, ამბობენ, ორმოც წელზე მეტია, ბრმაოო…

– როგორ მოასწრო ასე განსწავლა დაბრმავებამდე?

– უჰ… მასზე იმდენ რამეს ჰყვებიან… ამბობენ, ბავშობიდანვე ღვთიური ნიჭით იყო დაჯილდოებული, ჯერ კიდევ კასტილიაში უწვერული ყრმა კითხულობდა ბერძენ და არაბ მეცნიერთა ნაშრომებსო. დაბრმავების მერეც კატალოგიდან ვინმეს დახმარებით არჩევს წიგნს, ჩამოატანინებს, მერე რომელიმე მორჩილს დაისვამს და საათობით აკითხებს ხმამაღლა. წაკითხულის ყოველი სიტყვა ახსოვს, ალინარდუსივით გამოთაყვანებული როდია. კი, მაგრამ რატომ მეკითხები ამას?

– ახლა, როცა მალაქიაც მკვდარია და ბერენგარიუსიც, ვინ იცის ბიბლიოთეკის საიდუმლო?

– წინამძღვარმა, და ახლა ბენციუსს უნდა გადასცეს ის, თუკი ისურვა…

– თუკი ისურვა?

– ჰო, რადგან ბენციუსი ყმაწვილია, თანაშემწედ ჯერ კიდევ მალაქიას სიცოცხლეში დაასახელეს, მაგრამ ბიბლიოთეკარსა და მის თანაშემწეს შორის დიდი განსხვავებაა. ტრადიციის თანახმად, ბიბლიოთეკარი მონასტრის წინამძღვარი ხდება…

– აჰ, გასაგებია. ამიტომ ელტვის ამდენი ბიბლიოთეკარის ადგილს. აბონიც იყო ბიბლიოთეკარი?

– არა, აბონი არა. ის ჩემს მოსვლამდე დაინიშნა წინამძღვარად. უკვე ოცდაათი წელი იქნება. იქამდე რიმინელი პავლე უძღვებოდა მონასტერს, ცნობისმოყვარე კაცი, რომელზეც ფრიად უცნაურ ამბებს ჰყვებიან: ამბობენ, ხარბი მკითხველი იყოო, ზეპირად იცოდა თურმე მთელი ბიბლიოთეკა, მაგრამ ერთი უცნაური ნაკლი ჰქონია, ვერ წერდა თურმე, abbas agraphicus[212]-ს ეძახდნენ ამის გამო. ძალიან ახალგაზრდა გამხდარა წინამძღვარი, ამბობენ, კლიუნიელი ალგირდასის რჩეული იყოო… თუმცა ესეც ბერების ძველი ჭორებია. მოკლედ, პავლე წინამძღვარი რომ გახდა, ბიბლიოთეკაში მისი ადგილი ბობიოელმა რობერტუსმა დაიკავა, მაგრამ ის მძიმედ იყო ავად, რაღაც სენი ჭამდა, ყველამ იცოდა, რომ მონასტერს ვერ უპატრონებდა, და როცა რიმინელი პავლე გაუჩინარდა…

– გარდაიცვალა?

– არა, გაუჩინარდა. არ ვიცი, როგორ. სადღაც გაემგზავრა და აღარ დაბრუნებულა, ალბათ, გზაში მძარცველებმა თუ მოკლეს. მოკლედ, პავლეს დაკარგვის შემდეგ რობერტუსი ვერ დაიკავებდა მის ადგილს და ფრიად უცნაური ამბები მოხდა. აბონი – ასე ამბობენ – აქაური მთავრის შვილი ყოფილა, ფოსანოვას მონასტერში გაეზარდათ ბერებს. ჰყვებოდნენ, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილი იქ წმინდა თომას უვლიდა თურმე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, იმ დიდი წმინდანის სხეულის კოშკიდან ჩამოსვენებაც მას უტვირთია, კიბეებზე ვერაფრით ვერ ჩამოჰქონდათ თურმე. ესაა მთელი მისი ღირსებაო, ბუტბუტებდნენ მონასტერში ბოროტი ხმები… მოკლედ, წინამძღვრად აბონი დანიშნეს, თუმცა ის ბიბლიოთეკარი არ ყოფილა. ამბობდნენ, ბიბლიოთეკის საიდუმლონი ვიღაცამ გაუზიარაო, ვფიქრობ, რობერტუსმა.

– რობერტუსი რატომღა აირჩიეს?

– არ ვიცი. არასოდეს ჩავძიებივარ ამ ამბავს. ასე მერჩივნა. ჩვენი მონასტრები წმინდა ადგილებია, მაგრამ მონასტრული ღირსების ირგვლივ ხშირად იხლართება ხოლმე შემზარავი ამბები. მე ჩემი შუშები და ზარდახშები მაინტერესებდა, არ მინდოდა იმ ამბებში გარევა. ახლა ხომ გესმის, მართლა არ ვიცი, უნდა თუ არა წინამძღვარს, ბენციუსი ბიბლიოთეკის საიდუმლოებათ აზიაროს, ანუ თავისი ადგილისთვის მოამზადოს. ერთი უთავბოლო, უწვერული ბიჭია, ბარბაროსი და უწიგნური, უკიდურესი ჩრდილოეთიდან, რა უნდა იცოდეს მაგან აქაურობის, წარმოდგენაც არ აქვს მონასტრის კავშირებზე ადგილობრივ საერო მმართველებთან…

– კი, მაგრამ არც მალაქია იყო იტალიელი, არც ბერენგარიუსი, არადა მათაც ხომ ებარათ ბიბლიოთეკა.

– კიდევ არის ერთი ბინდით მოცული ამბავი: ბერები ჩურჩულებენ, რომ ნახევარი საუკუნე იქნება, რაც მონასტერმა საკუთარი ტრადიციები მიივიწყა... ამიტომაც ორმოცდაათი თუ მეტი წლის წინ ალინარდუსი ელტვოდა ბიბლიოთეკარის ადგილს. ბიბლიოთეკარი მუდამ იტალიელი იყო, ამ მიწას გონიერი ხალხი არ აკლია... თავადაც იცი... – და აქ ნიკოლოზი შეყოვნდა, თითქოს არ უნდოდა, ეთქვა, რის თქმასაც აპირებდა: – იცი, მალაქია და ბერენგარიუსი, ალბათ, სწორედ იმიტომ დაიღუპნენ, რომ წინამძღვარნი არ გამხდარიყვნენ.

შეირხა, ხელი აიქნია, თითქოს უკეთური აზრები განდევნაო და პირჯვარი გადაიწერა.

– რას ვროშავ? იცი, ამ მხარეში მრავალი წელია, სამარცხვინო ამბები ხდება, მონასტრებშიც, პაპის კარზე, ეკლესიებში... ძალაუფლებისათვის ბრძოლა, მწვალებლობაში ბრალდება სხვისი შემოსავლის დასაპატრონებლად... რა ცუდია, ადამიანთა მიმართ ნდობას ვკარგავ, ყველგან შეთქმულებასა და ორპირობას ვხედავ. და ეს მონასტერიც აგრერიგად დაეცა, გველების ბუდედ გადაიქცა, გველებისა, რომელთაც ბნელი მაგიის ძალით წმინდა ნაწილთა საყუდელში დაუდვიათ ბინა. შეხედე, როგორია ამ მონასტრის წარსული!

და ირგვლივ მიმოფენილ ძვირფასეულობაზე მიუთითა, მერე კი გვანიშნა, გავყოლოდით, ჯვარცმებს და სხვა განძეულს გვერდი აუარა და იმ საგანძურთან მიგვიყვანა, რომელიც ამ მონასტრის მთავარ ღირსებას წარმოადგენდა.

– შეხედეთ, – ამბობდა აღტყინებული, – ეს იმ შუბის წვერია, მაცხოვარს რომ გულმკერდი გაუგმირა! – ბროლისხუფიან ოქროს ზარდახშაში ალისფერ ბალიშზე ჟანგით შეჭმული, მაგრამ ზეთითა და ცვილით საგულდაგულოდ გაპრიალებული სამკუთხა რკინის ნაჭერი ესვენა. ეს კიდევ არაფერი: ამეთვისტოებით მოოჭვილ ვერცხლის ყუთში, რომელსაც წინა მხარე გამჭვირვალე ჰქონდა, ჯვარცმის ხის ნაწილი ესვენა. სიწმინდე მონასტერში თავად დედოფალ ელენეს, იმპერატორ კონსტანტინეს დედას, ჩამოეტანა მას შემდეგ, რაც წმინდა ადგილები მოელოცა და გოლგოთას მთასა და წმინდა საფლავზე ტაძრის აშენება ებრძანებინა.

ნიკოლოზმა სხვაც ბევრი რამ გვაჩვენა. ვერც კი ჩამოვთვლი, იმდენი რამ იყო უიშვიათესი და უძვირფასესი: მთლიანი აკვამარინისგან გამოთლილ ზარდახშაში ჯვარცმული ქრისტეს სამსჭვალი იდო; ვარდის პაწაწინა, გამხმარი კოკრებით ნაკეთ სადგამზე, პატარა შუშის ჭურჭელში, ეკლის გვირგვინის ნაწილი ესვენა; აქეთ, ასევე გამხმარი ყვავილებით მორთულ ზარდახშაში, საიდუმლო სერობის სუფრის გაყვითლებული ნაწილი ინახებოდა. იქვე იყო მათე მოციქულის ქისა, ვერცხლის ძაფით ნაქსოვი; დროისგან შეჭმულ, იისფერი ბაფთით შეკრულ, ოქროთი დაბეჭდილ ცილინდრში წმინდა ანას მკლავის ძვალი ინახებოდა. იქვე მარგალიტებით მოოჭვილ მეწამულ ბალიშზე, მინის ზარხუფის ქვეშ, საოცრებათა შორის საოცრება – ბეთლემის ბაგის ხის ნაწილი ესვენა. იქვე ვიხილე იოანე მახარებლის წითელი ტუნიკის ნაწილი, ორი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც პეტრე მოციქულს ედო ფეხებზე რომში, წმინდა ადალბერტის თავის ქალა, წმინდა სტეფანეს ხმალი, წმინდა მარგარიტას წვივის ძვალი, წმინდა ვიტალეს თითი, წმინდა სოფიას ნეკნი, წმინდა ეობანეს ნიკაპი, წმინდა ოქროპირის ბეჭის ძვლის ნატეხი, წმინდა იოსების ქორწინების ბეჭედი, ნათლისმცემლის კბილი, მოსეს კვერთხი, ღვთისმშობლის საქორწინო სამოსის ნატიფად მოქარგული არშია.

უამრავი რამ იყო საგანძურში. ბევრი ნივთი სიწმინდეს არ წარმოადგენდა, მაგრამ უცნობი ქვეყნების საოცრებების, უცნაური ცხოველების არსებობის დასტურად ინახებოდა: მოგზაურ ბერებს, რომელთაც ქვეყნიერების უშორეს ადგილებამდე მიეღწიათ, მონასტერში ჩამოეტანათ ბასილისკოსა და ჰიდრის ფიტულები, მარტორქის რქა, კვერცხი, რომელიც ერთ განდეგილ ბერს მეორე კვერცხში ეპოვა... მანანა, რომელმაც ებრაელები შიმშილისაგან იხსნა უდაბნოში, ვეშაპის კბილი, ქოქოსის კაკალი, წარღვნამდელი ცხოველის ბეჭის ძვალი, სპილოს ეშვი, დელფინის ნეკნი. უამრავი ისეთი რამ იყო, რაც ვერ ვიცანი. უძველესი ჭურჭლები ზოგჯერ მათში ჩასვენებულ ნივთებზე ბევრად ძვირფასიც იყო

(ჩაშავებულ ვერცხლის ზარდახშებს აშკარად ეტყობოდა სიძველე). უამრავი იყო ძვლის, ქსოვილის, ხის, ლითონის, შუშის ნაწილი, მუქი ფხვნილებით სავსე ფიალა. ერთ-ერთში სოდომის ფერფლი ინახებოდა, მეორეში – იერიქონის გალავნის ნაფხვენი. რას არ გაიღებდა იმპერატორი, რომ ამ ნივთებს, მათგან თუნდაც ყველაზე უმნიშვნელოს, დაპატრონებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენს მასპინძელ მონასტერს ეკუთვნოდა.

გაოგნებული ვაცეცებდი თვალებს. ნიკოლოზი აღარ გვათვალიერებინებდა საგანძურს, თავისი საქმით იყო გართული. თითოეულ რელიკვიას წარწერა ჰქონდა და მეც თავგზააბნეული დავბოდიალობდი ამ ფასდაუდებელი განძის საცავში, ვცდილობდი, მხლებელთა ჩირაღდნების შუქით მესარგებლა და სინათლეში შემევლო თვალი ნივთებისთვის, თუმცა მხლებლები საცავის ბოლოსკენ მიიწევდნენ და ბევრ რამეს ჩრდილში ძლივს ვარჩევდი. მაჯადოებდა ის გაყვითლებული ხრტილები, ერთდროულად მისტიკურიცა და გულისამრევიც, გამჭვირვალეცა და იდუმალიც, უხსოვარი დროის სამოსის გახუნებული, გაცვეთილი, დაძენძილი ქსოვილი. დროისაგან შეჭმულ, გაფხვიერებულ სიწმინდეებს ზოგჯერ ძლივს ვარჩევდი ქსოვილისგან, რომელზეც ისინი ესვენა. მონუსხულივით დავყურებდი ცხოველური (და რაციონალური) სიცოცხლის წმინდა ნაშთებს, რომლებიც ახლა ბროლისა და ლითონის ჭურჭლებში გამოემწყვდიათ, ჭურჭლებში, რომლებიც შემცირებული სახით იმეორებდა ქვის ტაძართა დიად აღნაგობას, მათ კოშკებს, ქიმებს, ქონგურებს. ახლა ეს ნაშთებიც თითქოს მინერალურ ნივთიერებად ქცეულიყო. მაშ, წმინდანთა დამარხული სხეულებიც ასე ელიან ხორცით აღდგომას? ნუთუ ამ ნასხლეტებიდან აღდგებოდა ის სიცოცხლე, რომელიც ღვთიური ცეცხლით დაიბრუნებდა თავის ბუნებრივ მგრძობელობას და აღიქვამდა, როგორც პიპერნუსი წერდა, minimas differentias odorum[213]?..

უილიამმა გამომაფხიზლა ფიქრებიდან, მხარზე ხელი დამადო: – მე წავედი, – მითხრა. სკრიპტორიუმში ავალ, რაღაც უნდა ვნახო…

– კი, მაგრამ წიგნებს ხომ ვერ გამოიტანთ, ბენციუსს ნაბრძანები აქვს…

– ისევ ის წიგნები მინდა ვნახო, იმ დღეს რომ ვკითხულობდი. ჯერ კიდევ სკრიპტორიუმში, ვენანციუსის მაგიდაზე აწყვია. შენ თუ გინდა, აქ დარჩი. ეს საგანძური საუცხოოდ წარმოაჩენს, რა ფასიც ჰქონდა უპოვარებაზე ამ დღეებში მოსმენილ კამათს. ახლა ხომ იცი, რისთვის ძიძგნიან ერთმანეთს შენი ორდენის ძმები, როცა მონასტრის ღირსებაზე ლაპარაკობენ.

– კი, მაგრამ გჯერათ ნიკოლოზის? აქ მომხდარი დანაშაულებანი თანამდებობისთვის ბრძოლის გამო მოხდა?

– უკვე გითხარი, ჯერ არ მინდა ვარაუდების ხმამაღლა გამოთქმა. ნიკოლოზმა ბევრი რამ თქვა და მის ნათქვამში რაღაც-რაღაცეები საინტერესოდ მეჩვენება. მაგრამ ახლა სხვა კვალს უნდა მივდიო. ან, შესაძლოა, იმავეს, მაგრამ სხვა მხრიდან. შენ კი მეტისმეტად ნუ მოინუსხები ამ ზარდახშებით. წმინდა ჯვრის ნაწილები სხვა მონასტრებშიც მრავლად მინახავს და ყველა რომ ნამდვილი იყოს, ჩვენი მაცხოვრის ჯვარზე გასაკვრელად ორი ძელი კი არ ეყოფოდათ, მთელი ტყე უნდა გაეჩეხათ.

– მოძღვარო! – შევძრწუნდი.

– ასეა, ადსო. ამაზე მდიდრული საგანძურებიც არსებობს. კარგა ხნის წინ ერთ გერმანულ ტაძარში თორმეტი წლის იოანე ნათლისმცემლის თავის ქალა ვნახე.

– მართლა? – აღვფრთოვანდი. მერე უცებ ეჭვი შემეპარა: – კი, მაგრამ ნათლისმცემელი ხომ უფრო დიდი იყო, რომ მოკლეს!

– სხვა საგანძურებშიც ინახება მისი თავის ქალები. – სერიოზულად მითხრა უილიამმა. ვერასოდეს ვხვდებოდი, როდის ხუმრობდა. ჩემს მხარეში ადამიანები ხუმრობას ხმამაღალ სიცილს დააყოლებენ ხოლმე, რათა გარშემომყოფნი მიახვედრონ, რომ ხუმრობენ. უილიამი კი მხოლოდ მაშინ იცინოდა, როცა სერიოზულ რამეს ამბობდა. სამაგიეროდ, სავსებით სერიოზული იყო, როცა, ალბათ, ხუმრობდა.

მესამე ჟამი

სადაც ადსო Dies irae[214]-ს უსმენს

და საოცარი რამ ეზმანება

უილიამი დაემშვიდობა ნიკოლოზს და სკრიპტორიუმში ავიდა. მეც მოვრჩი იქაურობის თვალიერებას და გადავწყვიტე, ტაძარში შევსულიყავი და მალაქიას სულისთვის მელოცა. არ მიყვარდა ბიბლიოთეკარი, მუდამ მეშინოდა მისი და არ დავმალავ, თავიდან სწორედ მას ვაბრალებდი მონასტერში მომხდარ მკვლელობებს. ახლა კი ვხვდებოდი, რომ ისიც ერთი საბრალო ცოდვილი იყო, დაუოკებელ ვნებათაგან ტანჯული, თიხის თხელკედლიანი ლარნაკი რკინის თუნგებს შორის. გულჩათხრობილიც იმიტომ იყო, ალბათ, რომ ბევრ რამეში ვერ გარკვეულიყო, მდუმარე და უთქმელი კი იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა. სინდისი მქენჯნიდა, მასზე რომ ვფიქრობდი და იმედი მქონდა, მისი სულის ხსნისთვის ლოცვა დანაშაულის გრძნობას გამინელებდა.

ეკლესია მკრთალი შუქით იყო განათებული, შუაგულში მიცვალებული დაესვენებინათ. ტაძარში ერთგვაროვანი დუდუნი გამეფებულიყო: ბერები რიგრიგობით კითხულობდნენ სულის მოსახსენებელ ლოცვებს.

მელქის მონასტერში არაერთხელ შევსწრებივარ ბერის გარდაცვალებას. ხალისიანი ვითარება იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სიმშვიდის, უდრტვინველობის, სამართლიანობის შეგრძნებით მავსებდა. ბერები მომაკვდავის სენაკში მორიგეობდნენ ხოლმე, ამხნევებდნენ მიმავალს და თითოეული იმას ფიქრობდა, თუ რაოდენ ნეტარი იყო მომაკვდავი, რამეთუ ღირსეულად გავლილ ცხოვრებას ღირსეულად აგვირგვინებდა და მალე ანგელოზთა გუნდს შეუერთდებოდა მარადიულ ნეტარებაში. ამ სიმშვიდის, ამ წმინდა შურის საცხებელი მომაკვდავსაც ედებოდა და მშვიდად, უდრტვინველად მიიცვლებოდა. რაოდენ განსხვავებული იყო სიკვდილი ამ მონასტერში! ბოლოს და ბოლოს ვიხილე, როგორ კვდება აფრიკის კიდის ეშმაკეულ მორიელთა მსხვერპლი: განა სწორედ ასე არ დაიღუპნენ ვენანციუსი და ბერენგარიუსი, წყალში რომ ეძებდნენ ხსნას? მალაქიას სიკვდილით დამანჭული სახეც ვიხილე…

ტაძრის კუთხეში მივიყუჟე. გალობამ სითბო ჩამიღვარა სხეულში და უხმოდ, ოდენ ტუჩების მოძრაობით ავყევი მგალობელ ძმათა გუნდს. ისე ვიმეორებდი სიტყვებს, მათ შინაარსს ვერც კი ვხვდებოდი, თავს ვაკანტურებდი და თვალები მეხუჭებოდა. კარგა ხანს ვიყავი ასე, ვფიქრობ, რამდენჯერმე ჩამეძინა და გამომეღვიძა. მერე გუნდმა დღე განკითხვისა წამოიწყო… ფსალმუნებმა ნარკოტიკივით გამაბრუა და ძილს ვეღარ გავუმკლავდი. იქნებ არც კი ჩამძინებია და გათანგული მივეცი რაღაც უცნაურ, მხურვალე აგზნებას, სიცივისგან მოკუნტული, საშვილოსნოში ორად მოკეცილი ჩანასახივით. სული რაღაც არაამქვეყნიურ ბინდში გაეხვია და ხილვა მეწვია. თუ სიზმარი იყო, არ ვიცი.

ვიწრო კიბით დაბალ გვირაბში ჩავდიოდი, საგანძურის შესასვლელს ჰგავდა, მაგრამ სულ დაღმა მივდიოდი, ბოლოს გვირაბი გაფართოვდა და ციტადელის სამზარეულოში აღმოვჩნდი… უეჭველად სამზარეულო იყო, თუმცა ღუმლების გვერდით გრდემლები და საბერვლებიც დავინახე, თითქოს ნიკოლოზის მჭედლებიც იქ მუშაობდნენ. ყველაფერი წითლად ვარვარებდა: ბუხრები, ქურები, ქვაბ-ჭურჭლეული. ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა, მათში მოთუხთუხე სითხის ზედაპირზე ვეებერთელა ბუშტები გროვდებოდა და ყრუ ბუყბუყით სკდებოდა. მზარეულები გავარვარებულ შამფურებს იქნევდნენ, მორჩილები კი ხტებოდნენ და ჰაერშივე იჭერდნენ იმ შაფურებიდან გასროლილ ქათამ-ინდაურს. მჭედლები მთელი ძალით ურტყამდნენ ჩაქუჩებს, გამაყრუებელი ხმაური იდგა გარშემო, გრდემლებიდან ასხლეტილი ნაპერწკლები ღუმლებიდან გადმოფრქვეული კვამლის ცხელ ოხშივარს უერთდებოდა.

ვერ ვხვდებოდი, ჯოჯოხეთში ვიყავი თუ სალვატორეს მიერ წარმოდგენილ, კერძებით მოთუხთუხე, ძეხვეულით მოთახთახე სამოთხეში. დიდხანს არ დამცალდა ამაზე ფიქრი,

რადგან დარბაზში ქონდრისკაცები შემოცვივდნენ, ქვაბის ფორმის ვეება თავები ჰქონდათ, შემომეხვივნენ, სატრაპეზოსკენ მიბიძგეს და იქ შესვლა მაიძულეს.

სატრაპეზო საზეიმოდ იყო მორთული. კედლებზე ფარდაგები და ალმები ჩამოეშვათ, მაგრამ მათი მოხატულობა მორწმუნეთ მოკრძალებასა და მთავართა წინაშე მორჩილებას ნამდვილად ვერ შეახსენებდა. ფარდაგები ადელმუსის მინიატურებით შთაგონებულს უფრო ჰგავდა, თუმცა მათზე ნაკლებად შიშის მომგვრელი და ბევრად უფრო სასაცილო იყო: ნატვრის ხის გარშემო ბოცვრები ცეკვავდნენ, თევზები მდინარიდან პირდაპირ ტაფებზე ხტებოდნენ, ტაფები კი ეპისკოპოსებად და მზარეულებად გადაცმულ მაიმუნებს მოემარჯვებინათ, ოხშივარადენილი ქვაბების გარშემო ვეებერთელამუცლიანი ურჩხულები როკავდნენ.

სუფრის თავში წინამძღვარი იდგა, დაქარგულ, მეწამულისფერ საზეიმო სამოსში გამოწყობილი და კვერთხივით ეპყრა ხელში ჩანგალი. მის გვერდით ხორხე ვეებერთელა სასმისით ღვინოს მიირთმევდა. მეკუჭნავეს კი ბერნარ გუის ტანსაცმელი ეცვა, მორიელის ფორმის წიგნი გადაეშალა და წმინდანთა ცხოვრებისა და სახარების ნაწყვეტებს კითხულობდა: იესოზე, რომელიც მოციქულს ეოხუნჯებოდა, შენ ხარ ქვა და ვაკეზე გაგორებულ ამ ურცხვ ქვაზე უნდა დავაფუძნო ჩემი ეკლესიაო; წმინდა იერონიმეზე, რომელიც ბიბლიას განმარტავდა და ამბობდა, ღმერთს იერუსალიმის უკანალის გაშიშვლება ეწადაო. მეკუჭნავის ყოველ სიტყვაზე ხორხე გულიანად იცინოდა, მუშტს ურტყამდა მაგიდას და გაიძახოდა, შემდეგი წინამძღვარი შენ იქნები, უფლის შიგნეულს ვფიცავო! სწორედ ასე ამბობდა, მომიტევოს უფალმა.

წინამძღვრის საზეიმო ნიშანზე დარბაზში მდიდრულად ჩაცმული, თვალისმომჭრელი სილამაზის ქალწულები შემოვიდნენ გამწკრივებულნი. წამით მათში დედაჩემსაც მოვკარი თვალი, თუმცა მერე მივხვდი, რომ ვცდებოდი: გოგონა იყო, თავზარდამცემი, როგორც საბრძოლოდ დაწყობილი ლაშქარი. თავზე ორმწკრივი მარგალიტების გვირგვინი ეხურა, გვირგვინიდან სახეზეც და მკერდზეც მარგალიტის მძივები ეშვებოდა, თითოეულ მძივზე კი ქლიავისოდენა ალმასი კონწიალობდა. ყურებზეც ცისფერი მარგალიტები ულივლივებდა, მათ შორის გაბმული ნატიფი მძივი კი ლიბანის გოდოლივით თეთრსა და ყირმიზ, მოღერებულ ყელს ევლებოდა და ნიკაპქვეშ იკვრებოდა. გოგონას მეწამული მოსასხამი ამშვენებდა და ხელთ სევერინუსისთვის ოდესღაც მოპარული (მერე შევიტყვე) სამსალით სავსე, ალმასებით მოოჭვილი ოქროს თასი ეპყრა. და ამ ასულს, აისივით მშვენიერსა და თვალწარმტაცს, სხვები მოსდევდნენ: ერთს მინდვრის ყვავილებით დაპენტილ, ოქრომკედით ნაქარგ მუქ კაბაზე თეთრი მოსასხამი მოესხა, მეორეს ყვითელი მანტია მოეხურა ღია ვარდისფერ კაბაზე, რომლის მწვანე ფოთლებით დაქარგულ კალთებს ლაბირინთივით ჩახლართული მუქი ფერის ორი არშია დაჰყვებოდა. მესამეს პაწაწინა წითელი ცხოველებით მოქარგულ ზურმუხტისფერ კაბაზე ალისფერი მოსასხამი მოეხურა და ხელში დაქარგული ქათქათა ოლარი ეჭირა. სხვების სამოსელი არ მახსოვს, რადგან ვცდილობდი, ამომეცნო ქალწულთა ვინაობა, უკან რომ მოჰყვებოდნენ გოგონას, ასე რომ ჰგავდა ახლა ქალწულ მარიამს... და ისე ზუსტად მივხვდი თითოეულის ვინაობას, თითქოს ხელში სჭეროდეთ წარწერა თავიანთი სახელებით. ესენი იყვნენ რუთი, სარა, სუსანა და საღმრთო წერილის სხვა ქალები.

ამ დროს წინამძღვარმა დასჭექა: „Traete, filii de la puta!“[215] და სატრაპეზოში მდიდრულად გამოწყობილი წმინდანების მეორე მწკრივი შემოვიდა. მაშინვე ვიცანი თითოეული მათგანი. შუაში, ტახტზე, უფალი იჯდა, რომელიც ჩვენი ღმერთი, მაგრამ ამავე დროს ადამიც იყო, მეწამულ მანტიას მხრებზე ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მსხვილი ჯაჭვი უმაგრებდა. თავზე ისეთივე გვირგვინი ედგა, როგორიც გოგონას, ხელთ კი ღორის სისხლით სავსე თასი ეპყრა. მაშინვე ვიცანი წმინდანებიც, გარს რომ შემორტყმოდნენ: მათზე ცალკე მოგითხრობთ. საფრანგეთის მეფის წითელ-მწვანე სამოსში გამოწყობილ მშვილდოსნებს ზურმუხტის ფარები ეპყრათ, რომლებზეც ქრისტე იყო გამოსახული. გუნდის წინამძღოლმა წინამძღვარს მიაშურა, თასი მიართვა და უთხრა: „Sao ko kelle terre per kelle fini ke ki kontene, trenta anni le possette parte sancti Benedicti“[216], წინამძღვარმა კი უპასუხა: „Age primum et septimum de quatuor“[217]. მაშინ ყველამ ერთხმად დააგუგუნა: „In finibus Africae, amen“[218]. და დასხდნენ ნადიმად.

ასე დაიშალა ქალწულთა და წმინდანთა მწკრივები. წინამძღვრის ნიშანზე სოლომონმა

სუფრის გაშლა ბრძანა, იაკობმა და ანდრიამ თივა მოიტანეს, ადამი შუაში მოთავსდა, ევა ფოთოლზე წამოწვა, კაენმა სახნისი შემოათრია, აბელი სათლით შემოვიდა წაბლას მოსაწველად, ნოე საზეიმოდ შემობრძანდა კიდობნით, თან ნიჩბებს უსვამდა, აბრაამი ხის ქვეშ დაჯდა, ისააკი ტაძრის ოქროს საკურთხეველზე წამოწვა, მოსემ ქვაზე მოიკალათა, დანიელი მალაქიას მკლავებზე გადაესვენა, ტობია სარეცელზე წამოწვა, იოსები კასრზე შემოხტა, ბენიამინი კი ტომარაზე მიწვა. აქ ხილვა გამკრთალდა, მაგრამ ვხედავდი დავითს გორაკზე, იოანეს – მიწაზე, ფარაონს – ქვიშაზე (ცხადია, ვიფიქრე, რატომ-მეთქი?), ლაზარეს – მაგიდასთან, იესოს – ჭის კიდეზე, ზაქეს – ხის ტოტზე, მათეს – სკამზე, რახაბს – ფუჩეჩზე, რუთს – თივაზე, თეკლას – ფანჯრის რაფაზე (შუშის გარედან ადელმუსის სახე მოჩანდა, შეშფოთებული აფრთხილებდა, კლდეზე არ გადავარდეო), სუსანას – ბაღში, იუდას – სასაფლაოზე, პეტრეს – კათედრაზე, იაკობს – ბადეზე, ელიას – უნაგირზე, რაქელს – ფუთაზე. პავლე მოციქულს ხმალი დაედო და ესავს უსმენდა, რომელიც რაღაცას ბურტყუნებდა, იობი ნეხვში ჩაფლულიყო და მოთქვამდა, მის საშველად კი რებეკა ჩვრებით ისწრაფოდა, ივდითი – ზეწრით, აგარი – სუდარით, მორჩილები ოხშივარადენილ ვეებერთელა ქვაბს მოათრევდნენ, რომელშიც სალვემეკელი ვენანციუსი ხტოდა, ცმუკავდა და ღორის სისხლის შეჭამანდს ურიგებდა გარშემომყოფთ.

სატრაპეზოში ნელ-ნელა მატულობდა ხალხი, თქვლეფით ჭამდნენ, იონას გოგრები შემოჰქონდა სუფრაზე, ესაიას – ბურღულეული, ეზეკიელს – კენკრა, ზაქეს – შავი ლეღვის ყვავილი, ადამს – ლიმონი, დანიელს – ბარდა, ფარაონს – წიწაკა, კაენს – წაბლი, ევას – ინდისხურმა, რაქელს – ვაშლი, ანანიას – ალმასისოდენა ქლიავები, ლიას – ხახვი, აარონს – ზეთისხილი, იოსებს – კვერცხი, ნოეს – ყურძენი, სიმონს – ატმის კურკები, იესო კი „დღე განკითხვისას“ გალობდა და თან საფრანგეთის მეფის ერთ-ერთი მშვილდოსნის შუბის წვერიდან ჩამოხსნილ ღრუბელს ძმარს ადენდა და ხალისით აპკურებდა სუფრაზე დახვავებულ სანოვაგეს.

– შვილნო ჩემნო, ჩემო კრავებო, – ხმა ამოიღო შეზარხოშებულმა წინამძღვარმა, – ასე მათხოვრებივით ჩამოფხრეწილები ხომ ვერ ივახშმებთ, მოდით, აქ მოდით. – და უთავაზა პირველსა და მეშვიდეს ოთხთაგან, რომლებიც მოჩვენებებივით დაიმანჭნენ, სარკეს მიენარცხნენ და ჩაამსხვრიეს. ჩამსხვრეული სარკიდან ბრჭყვიალა ქვებით მოოჭვილი ფერად-ფერადი სამოსელი გადმოცვივდა ლაბირინთის იატაკზე. ნახმარი, გაცვეთილი ტანსაცმლით აივსო იქაურობა. ზაქემ თეთრი სამოსი აირჩია, აბრაამმა – ბეღურისფერი, ლოთმა – გოგირდისფერი, იონამ – ცისფერი, თეკლამ – ალისფერი, დანიელმა – ლომის ფაფრისფერი, იოანემ – შროშანისფერი, ადამმა – ბეწვისა, იუდამ ვერცხლის ფულისფერი, რახაბმა – მეწამული, ევამ – სიკეთისა და ბოროტების ხის ფერი. ზოგი მკვეთრ ფერებს ეძალებოდა, ზოგი – მქრქალს, ზოგი – ხავსისფერსა და ზოგიც – ზღვისფერს, ზოგი მწვანესა და ზოგიც – სადაფისფერს, ჟანგისფერს, ყორნისფერს, სუმბულისფერს, ცეცხლისფერსა თუ გოგირდისფერს. იესო კი მტრედისფერ სამოსში იბღინძებოდა და იუდას დასცინოდა, ხუმრობა არ იციო.

ამ დროს ხორხემ საკითხავი შუშები მოიხსნა და კოცონი დაანთო. შეშა სარას მოეზიდა, იაფეტს შეეგროვებინა, ისააკს გადმოეტვირთა, იოსებს დაეჩეხა და სანამ იაკობი ჭას ხსნიდა და დანიელი ტბის პირას ჩამოჯდებოდა, მსახურებმა წყალი მოიტანეს, ნოემ – ღვინო, აგარმა – ტიკი, აბრაამმა კი ხბო მოიყვანა. რახაბმა ხბო ხეზე მიაბა, იესომ თოკი მიაწოდა, ელიამ კი ფეხები შეუკრა. მერე აბესალომმა ხბო თავქვე დაკიდა, პეტრემ ხმალი გაუწოდა, კაენმა კი ყელი გამოსჭრა. ჰეროდემ მისი სისხლი თასებში ჩამოასხა, სემმა მუცელი გამოფატრა და შიგანი და ნაწლავები გადმოაყრევინა, იაკობმა ზეთი მოასხა, მოლესადონმა მარილი მოაყარა, ანტიოქემ ცეცხლზე შეაგდო, რებეკამ შებრაწა, ევამ კი პირველმა გაუსინჯა გემო და ბოროტების თესლი ჩაეღვარა. ადამი გაიძახოდა, არაფერიაო და ბეჭებზე ხელს ურტყამდა სევერინუსს, რომელიც იჩემებდა, სუნელები დაამატეთო. ბოლოს იესომ პური გატეხა და თევზიც ჩამოარიგა, იაკობი კი ბრაზობდა, ესავმა მთელი ბარდა შემიჭამაო. ისააკი ღუმელში შებრაწულ ციკანს შეექცეოდა ხარბად, იონა – მოხარშულ ვეშაპს, იესომ კი ორმოცი დღე-ღამე იშიმშილა.

ათასი ჯურის ადამიანი შედი-გამოდიოდა, იშვიათი ნადავლ-ნანადირევი მოჰქონდათ, სარჩო-სანოვაგის უდიდეს წილს ბენიამინი ისაკუთრებდა, საუკეთესოს – მარიამი, მართა კი წუწუნებდა, თეფშებს სულ მე ვრეცხავო. მერე ხბო აქნეს, ერთი ბეწო ხბო წამში

ვეებერთელა ცხოველად გადაქცეულიყო, იოანეს თავი შეხვდა, აბესალომს – ბეჭი, აარონს – ენა, სამსონს – ყბა, პეტრეს – ყური, ოლოფერნს – თავი, ლიას – გავა, საულს – კისერი, იონას – ფაშვი, ტობიას – ნაღველი, ევას – ნეკნი, მარიამს – ჯიქანი, ელისაბედს – საშვილოსნო, მოსეს – კუდი, ლოთს – კანჭი, ეზეკიელს კი – ძვლები. იესო ვირის ხორცს შეექცეოდა, წმინდა ფრანცისკი მგელს მიირთმევდა, აბელი – ცხვარს, ევა – ხვლიკს, ნათლისმცემელი – მკალს, ფარაონი – რვაფეხას (ცხადია, ვიფიქრე, ნეტავ რატომ-მეთქი), დავითი კოღო-ბუზებს ახრამუნებდა და თან ფერშავ, ხორცუხვ გოგოზე იწევდა, სამსონი ლომს ჩაფრენოდა კბილებით ბარკალში, თეკლა კივილით გარბოდა და უკან შავი ბანჯგვლიანი ობობა მისდევდა.

ყველანი შეზარხოშებულები ჩანდნენ. ზოგი ძირს დაღვრილ ღვინოზე დასრიალებულიყო და იატაკზე ეგდო, ზოგიც ქვაბში ჩაყირავებულიყო და გადაჯვარედინებული ფეხები ზევით აეშვირა. იესოს თითები გაშავებოდა, წიგნებს ფურცელ-ფურცელ ფხრეწდა, მიირთვითო, ეპატიჟებოდა მონადიმეთ, ეს სიმფოსიუსის იგავებია, მათ შორისაა თევზის იგავიც, ძისა ღვთისა, თქვენი მხსნელისაო.

სხვადასხვაგვარ ღვინოს ეძალებოდნენ: იესო – ქიშმიშისას, იოანე – მარსიკულს, ფარაონი – სორენტულს (ნეტა რატომ?), მოსე – კადისურს, ისააკი – კრეტულს, აარონი – ადროსას, ზაქე – კენკრისას, თეკლა – ცეცხლოვანს, იოანე – ალბანოსას, აბელი – კამპანურს, მარიამი – სინურს, რაქელი – ფლორენციულს.

ადამი თავდაყირა იდგა და ნეკნიდან ბუყბუყით გადმოსდიოდა ღვინო, ნოე ძილში წყევლიდა ქამს, ოლოფერნი უდრტვინველად ხვრინავდა, იონას ღრმად ეძინა, პეტრე მამლის ყივილამდე ფხიზლობდა. იესოს ძილში ყური მოეკრა, ბერნარ გუი და ბერტრან პოჯეტოელი გოგონას დაწვას უპირებენო, გამოფხიზლებულიყო და მოთქვამდა: მამაო, თუ ძალგიძს, გთხოვ, მე შემასვა ეს თასიო! ზოგი უშნოდ ასხამდა ღვინოს, ზოგი კი ლამაზად სვამდა, ზოგი სიცილით კვდებოდა, ზოგიც მომაკვდავი იცინოდა. ვინ სასმისებს დაატარებდა და ვინ სხვისი სასმისით სვამდა. სუსანა გაჰკიოდა, ჩემს ყირმიზ სხეულს მეკუჭნავესა და სალვატორეს ერთი უბადრუკი ხარის გულის სანაცვლოდ არ მივცემ საჯიჯგნადო. პილატე დასჯილი სულივით დაბორიალობდა სატრაპეზოში, წყალს ითხოვდა, ხელები დამაბანინეთო და დოლჩინო, თავზე ბუმბულიანი ქუდით, წყლიან თასს აწვდიდა. მერე კი მოსასხამს იხსნიდა და იქ მყოფთ გამოფატრული მუცლიდან გადმოყრილ სისხლიან შიგნეულს უჩვენებდა. კაენი დასცინოდა და მშვენიერ ტრენტოელ მარგარიტას ეხვეოდა. ამის შემხედვარე დოლჩინო ტიროდა, ბერნარ გუის მხარზე თავს ადებდა და ანგელოზებრივ პაპს იხმობდა, უბერტინუსი კი სიცოცხლის ხით ანუგეშებდა სასოწარკვეთილს, ჩეზენელი მიქაელი – ოქროს ბოხჩით, ორივე მარიამი – ნელსაცხებლებით, ადამი კი ურჩევდა, ეს ვაშლი ჩაკბიჩე, ახალი მოწყვეტილიაო.

და მაშინ განიხვნა თაღები ციტადელისა და როჯერ ბეკონი დაეშვა ციდან კაცის მიერ მართული მფრინავი მანქანით. დავითმა ქნარზე დაუკრა, სალომემ შვიდი საბურვლით იცეკვა. ცეკვისას რიგრიგობით იხსნიდა მათ, თითოეული საბურველი იატაკზე საყვირის ხმის თანხლებით ეცემოდა და რიგრიგობით იხსნებოდა შვიდი კლიტე, სანამ არ დარჩა ქალი, მზით შემოსილი. ყველა ამბობდა, არავის უნახავს ესოდენ მხიარული მონასტერიო. ბერენგარიუსი სამოსლის კალთას უწევდა ყველას, ქალსა თუ კაცს, და საჯდომზე კოცნიდა. როკავდნენ: იესო მოძღვრის ტანსაცმელში, იოანე – მცველის, პეტრე – მებადურის, ნებროთი – მონადირის, იუდა – გამყიდველის, ადამი – მებაღის, ევა – მრთველის, კაენი – ავაზაკის, აბელი – მწყემსის, იაკობი – მსრბოლელის, ზაქარია – მღვდელმსახურის, დავითი – მეფის, იუბალი – ქნარზე დამკვრელის, იოაკიმი – მეთევზის, ანტიოქე – მზარეულის, რებეკა – მერწყულის, მოლესადონი – ბრიყვის, მართა – მოახლის, ჰეროდე – შეშლილის, ტობია – მკურნალის, იოსები – დურგლის, ნოე – ლოთის, ისააკი – გლეხის, იობი – სევდიანი კაცის, დანიელი – მოსამართლის, თამარი – მეძავის, მარიამი კი – ქალბატონის, რომელიც მსახურთ უბრძანებდა, ღვინო დაამატეთ, ჩემი უგუნური ძე უარს ამბობს, წყალი ღვინოდ აქციოსო.

აქეთ წინამძღვარი აბუზღუნდა, რა არის, ამისთანა დიდებული ზეიმი მოვაწყვე და არავის არაფერი უჩუქებია ჩემთვისო. ამ სიტყვებზე სტუმრები წამოიშალნენ და დარბაზი ძღვენით გაივსო: შემოჰყავდათ ხარი და ცხვარი, ლომი და აქლემი, ირმები, ხბორები, ჯორები, ვიღაცამ წმინდა ეობანეს ნიკაპის ძვალი მიართვა, ვიღაცამ – წმინდა მორიმონდას

კუდუსუნი. რა არ მოჰქონდათ: წმინდა არუნდალინას საშვილოსნო, წმინდა ბურგოზინას კინკრიხო (თორმეტი წლის ბავშვის ნაჩორკნ თასს რომ ჰგავდა) თუ სოლომონის ხუთკუთხედის ასლი. წინამძღვარი ახლა უწინდელზე მეტად გაგულისდა, ამ საჩუქრებით, გინდათ, ყურადღება გამიფანტოთ და საგანძური გამიძარცვოთო! განა სწორედ ამ საგანძურიდან არ გაიტაცეს უძვირფასესი წიგნი, რომელიც მორიელებსა და შვიდ საყვირზე მოგვითხრობსო? საფრანგეთის მეფის მშვილდოსნებს უხმო განრისხებულმა და ეჭვმიტანილთა დაჩხრეკა ბრძანა. აგარს ჭრელი ფარდაგი უპოვეს გადამალული, რაქელს – ოქროს გასაღები, თეკლას ვერცხლისჩარჩოიანი სარკე ჩაემალა ძუძუებში, ბენიამინს ვერცხლის სურა დაეიღლიავებინა, ივდითს აბრეშუმის გადასაფარებული დაემალა კალთაში, ლონგინოზს – ვერცხლის მახვილი, აბიმელექს კი სხვისი ცოლი აღმოაჩნდა მკლავებში. მაგრამ საშინელება მაშინ დატრიალდა, როცა გოგონას – კუნაპეტი შავი კატასავით შიშის მომგვრელსა და მშვენიერს – შავი მამალი უპოვეს კალთის ქვეშ. ალქაჯად და თვითმარქვია მოციქულად შერაცხეს, კუდიანის დასჯისაკენ მოუწოდეს იქ მყოფთ. მაშინ ნათლისმცემელმა თავი მოჰკვეთა მას, აბელმა ყელი გამოსჭრა, ადამმა გააძევა, ნაბუქოდონოსორმა ზოდიაქოს ნიშნები ამოაშანთა ძუძუებზე, ელიამ ცეცხლოვანი ეტლით გაიტაცა, ნოემ წყალში ჩააგდო, ლოთმა მარილის ქანდაკებად აქცია, სუსანამ ავხორცობა დააბრალა, იოსებმა სხვა ქალთან უღალატა, ანანიამ ღუმელში შეაგდო, სამსონმა მიაჯაჭვა, პავლემ აკუწა, პეტრემ თავდაყირა აცვა ჯვარს, სტეფანემ ჩაქოლა, ლორენცომ კოცონზე დაწვა, ბართლომემ გაატყავა, იუდამ გასცა, მეკუჭნავემ კოცონზე დაწვა. პეტრე კი ჯიუტად ყველაფერს უარყოფდა. მერე ყველა ერთად დაესია გოგონას საბრალო, უმწეო სხეულს, ათას სიბინძურეს ესროდნენ, სახეზე აშარდავდნენ, ძუძუებზე არწყევდნენ, თმებს აგლეჯდნენ, ანთებულ ჩირაღდნებს ურტყამდნენ დუნდულებზე. გოგონას სხეული, ოდესღაც მშვენიერი და ტკბილი, ახლა დაგლეჯილი, ნაკუწებად ქცეული, საგანძურის ბროლისა და ოქროს ჯამ-ჭურჭელში იყო ჩამორიგებული რელიკვიებად. უფრო სწორად, გოგონას სხეული კი არ იყო დაშლილ-დანაწილებული საგანძურში, არამედ თითქოს თავად საგანძურის ნაწილაკები, ქარბორბალად დატრიალებული, შეერთებულიყვნენ და გაემთლიანებინათ გოგონას სხეული. მერე კი ეს სხეული, აწ უკვე მინერალურ სუბსტანციად ქცეული, ხელახლა იმსხვრეოდა, იშლებოდა და იფანტებოდა ასწლეულობით დაგროვილ-დალექილი უგუნური მწვალებლობის წმინდა მტვერივით. თითქოს რაღაც ერთიანი, ვეებერთელა სხეული ნაწილებად დაშლილიყო ათასწლეულთა მანძილზე და ამ ნაწილებს აევსოთ საგანძური, რომელიც ასე ჰგავდა მიცვალებულ მამათა საძვალეს და მისგან ოდენ ბრწყინვალებით განსხვავდებოდა. თავად ადამიანის სხეული – სამყაროს უმაღლესი ქმნილება – ერთმანეთთან დაუკავშირებელ, შემთხვევით ნაწილებად დაშლილ-დანაწევრებულიყო და ამგვარად საკუთარი თავის საწინააღმდეგო გამოსახულებად ქცეულიყო: იდეალური ფორმა მიწიერამდე დამდაბლებულიყო და, მტვრისა და ნასხლეტებისაგან შემდგარი, ოდენ სიკვდილსა და ნგრევაზე მიანიშნებდა…

ვეღარ ვხედავდი ნადიმის მონაწილეთ, ვეღარც მათ მორთმეულ ძღვენს. სტუმრებს თითქოს საგანძურში მოეყარათ თავი და მუმიებად, საკუთარ მტვრად, საკუთარივე თავის გამჭვირვალე სინეკდოქედ ქცეულიყო თითოეული მათგანი: რაქელი – ძვლად, დანიელი – კბილად, სამსონი – ყბად, იესო – მეწამული სამოსის ნაფლეთად. ზეიმი თითქოს ჯერ გოგონას სამსჯავროდ ქცეულიყო, შემდეგ კი ერთგვარ მსოფლიო სასაკლაოში გადაზრდილიყო და მისი სავალალო დასასრული ახლა თვალწინ მედგა. სხეულები (რას ვროშავ? მთელი მთავრისქვეშეთი, იმ დამშეულ, გავეშებულ მონადიმეთა ერთიან, მიწიერ სხეულში აზელილი) ერთ დიდ გვამად ქცეულიყვნენ და ეს დასერილი, ნაჯიჯგნი ტანი, როგორც დოლჩინოს ნაწამები სხეული, ბინძურ და ბრჭყვიალა განძად გარდაქმნილიყო და ისე ამზეურებდა საკუთარ უწმინდურ ზედაპირს, როგორც კაუჭებზე ჩამოცმული, ახლად გამძვრალი საქონლის ტყავი, ზედ რომ შერჩენია ცხოველის ხორცის ნაფლეთები და სახის ნაკვთების კვალიც ჯერ არ წაშლია. ეს ცინცხლად აგლეჯილი ტყავი, ნაოჭებით, ნაკეცებით, იარებით, ბალნით, ჩაზნექილ-ამოზნექილი, ცარიელი მკერდითა და სარცხვინელით, დამასკური ფარდაგივით გაფენილიყო და ცხოველის ყოველი ნაკვთი და ფორმა შეენარჩუნებინა: ჩავარდნილი ჯიქანი, ფრჩხილები, ჩლიქები, წამწამები, თვალის ფოსოების სისველე, ბაგეების რბილობი, ხერხემლისა და ძვლების ფორმები. თითქოს ყოველივე მტვრად ქცეულიყო, მაგრამ საკუთარი ფორმა და ურთიერთგანლაგება ყველაფერს შეენარჩუნებინა: ფეხების ადგილას ცარიელი ტყავი ახალგახდილ წინდასავით მოფლაშულიყო, თუმცა მაინც ინარჩუნებდა ფეხის ფორმას. ამ ტყავიდან

ამოცლილი ხორცი კი თითქოს გვერდით დაესვენებინათ, როგორც ვენებისა და ნაწლავების მოლურჯო ხლართებით მოქარგული ალისფერი საზეიმო შესამოსელი, მკვრივი, ლალისფერი, ლორწოვანი გულით, მძივივით აცმული სადაფისებრი კბილებით, რომელზეც მოვარდისფრო-მოცისფრო ენა გულსაკიდივით კონწიალობდა. თითები სანთლებივით ჩამწკრივებულიყო გვერდებზე, გადაშლილი ფაშვი კი ჭიპად იკვრებოდა… ყველა მხრიდან მიღრენდა, ჩამსისინებდა, სიკვდილისკენ მიბიძგებდა ეს ვეებერთელა სხეული, თასებში, ზარდახშებში, სკივრებში დანაწევრებულ-ჩამორიგებული და მაინც ერთიანი იმ ყოვლისმომცველი, აუხსნელი მთლიანობით. ეს იგივე სხეული იყო, ნადიმზე რომ უხამსად თქვლეფდა და იმანჭებოდა, ახლა კი თავისი ბრმა და ყრუ აღსასრულის ხელშეუხებლობით მარადიულობაში გაქვავებული მევლინებოდა. უბერტინუსი მკლავში მებღაუჭებოდა ისეთი ძალით, რომ მისი ფრჩხილები ხორცში მესობოდა, და ჩამჩურჩულებდა: – ხედავ, ეს იგივე არსებაა, წეღან რომ უგუნურად ზეიმობდა და განხცრომას ეძლეოდა, ახლა აქაა, დასჯილი და თან დაჯილდოებული, ვნებათა და ცდუნებათაგან დახსნილი, მარადიულობით გაქვავებული და მარადიულ სიცივეში დაბრუნებული, რომელიც მას განწმენდს, შეინახავს და სამუდამოდ გადაარჩენს გახრწნას ხრწნისავე გზით, რამეთუ მტვრად ვეღარ იქცევა ის, რაც უკვე მტვერია და მინერალური ნივთიერება, mors est quies viatoris, finis est omnis laboris[219]…

უეცრად საგანძურში სალვატორე შემოვარდა, ეშმაკივით ცეცხლის ოხშივარს აფრქვევდა პირიდან. დაიღრიალა: – ბრიყვო! ვერ ხედავ, რომ ეს იობის წიგნის ვეებერთელა ცხოველია?! რისა გეშინია, ბატონო ჩემო? აგე, ყველის კერძი! – ამ სიტყვებზე საგანძური მოწითალო შუქმა გაანათა და კვლავ სამზარეულოში აღმოვჩნდით. უფრო სწორად, რაღაც უზარმაზარ, ლორწოვან, სლიკინაკედლებიან ფაშვში ვიყავით თითქოს, მის შუაგულში კი ათასკიდურიანი ყორნისფერი ცხოველი მოკუნტულიყო, ვეებერთელა ბადეზე მიჯაჭვული აფათურებდა საცეცებს, რათა გარშემომყოფთ მისწვდომოდა და, ვინც კი ხელთ მოხვდებოდა, ისე ხარბად ჭყლეტდა და სრესდა, მოწყურებული გლეხი რომ გაჭყლეტს ყურძნის მტევანს, რათა წვენი გამოადინოს. ძვლებს უმსხვრევდა მსხვერპლს, თავს უჭეჭყავდა, მერე გადასანსლავდა და გოგირდივით მყრალ, მხურვალე ოხშივარს ამოაბოყინებდა. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, არათუ არ მაშინებდა ეს სანახაობა, შინაურადაც კი მეჩვენებოდა ის „კეთილი ეშმაკი“ (სწორედ ასე გავიფიქრე) – ეს ხომ სალვატორე იყო – და ახლა, როცა მის მოკვდავ სხეულზე, მის წადილსა და ვნებებზე ყველაფერი ვიცოდი, აღარ მეშინოდა. ის უცნაური შუქიც უკვე კეთილად და ნაცნობად მეჩვენებოდა და მასში ხელახლა დავინახე წეღანდელი ნადიმის მონაწილენი, თავიანთ სახეს დაბრუნებულნი, მომღერალნი, და მივხვდი, რომ თავიდან იწყებოდა ყოველივე. ვიხილე გოგონაც, ხელუხლებელი და მშვენიერი, მეუბნებოდა, არაფერია, ნახავ, უწინდელზე უფრო ლამაზი ვიქნები, სულ ერთი წამით ამიშვი კოცონზე და მერე აქ, შიგნით, შევხვდებითო! მერე კი, ღმერთო, მომიტევე, თავისი საშო მიჩვენა, მასში ჩავიკარგე და ულამაზეს გამოქვაბულში აღმოვჩნდი, რომელიც ოქროს ხანის დიდებულ ხეობას ჰგავდა, ნაკადულებით, ყვავილებითა და ყველის თავებით დახუნძლული ხეებით სავსეს. ყველანი მადლობას უხდიდნენ წინამძღვარს დიდებული ზეიმისთვის, მუჯლუგუნებით სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდნენ, კმაყოფილების ნიშნად პანღურებს სთავაზობდნენ, ტანისამოსს აგლეჯდნენ, ძირს აგორავებდნენ და ურტყამდნენ, ის კი იცინოდა და იხვეწებოდა, აღარ შემიღიტინოთო. ნესტოებიდან გოგორდის ოხშივარის მფრქვეველ ცხენებზე ამხედრებულები შემოვიდნენ სიღატაკის მქადაგებელი ბერები, წელზე ოქროთი სავსე აბგები ეკიდათ და ოქროთი მგლებს კრავებად აქცევდნენ, კრავებს – მგლებად და იმპერატორებად აკურთხებდნენ მათ საერო კრების სახელით, რომელიც ღმერთის ყოვლისშემძლეობას განადიდებდა. „Ut cachinnis dissolvatur, torqueatur rictibus!“[220] – ყვიროდა იესო და ეკლის გვირგვინს იქნევდა. პაპი იოანეც შემოვიდა, აურზაურისთვის საყვედურობდა იქ მყოფთ, ვიშვიშებდა, არ ვიცი, არ ვიცი, ასე სადამდე მივალთო! ყველა თავს არიდებდა პაპს, ბოლოს კი დაირაზმნენ და წინამძღვრის მეთაურობით დარბაზიდან გავიდნენ, ღორები წაასხეს ტყეში თირკმელა სოკოს საძებნელად. მეც მინდოდა, გავყოლოდი, მაგრამ კუთხეში უილიამს მოვკარი თვალი, ლაბირინთიდან გამოდიოდა, ხელში მაგნიტი ეჭირა, რომელიც ძალუმად ექაჩებოდა ჩრდილოეთისკენ.

– არ დამტოვოთ, მოძღვარო, – დავიყვირე, – მეც მინდა ვნახო, რა არის „აფრიკის კიდეში“!

– უკვე ნახე! – შორიდან მომაძახა უილიამმა. გამომეღვიძა. ტაძარში სამგლოვიარო გალობის უკანასკნელი სიტყვები ჟღერდა: Lacrimosa dies illa

qua resurget ex favilla

iudicandus homo reus:

huic ergo parce deus!

Pie Iesu domine

dona eis requiem.[221]

მივხვდი, რომ ჩემმა ხილვამ სიზმარივით წამში ჩაიქროლა, სანამ გუნდი „დღე განკითხვისას“ იგალობებდა.

მესამე ჟამის შემდეგ

სადაც უილიამი ადსოს თავის სიზმარს უხსნის

გაბრუებული გამოვედი ტაძრის მთავარი კარიდან. ეზოში ხალხი მოგროვებულიყო: ფრანცისკელები იყვნენ, მიემგზავრებოდნენ. უილიამიც იქ იყო, ემშვიდობებოდა მიმავალთ.

მეც შევუერთდი ბერების ძმურ ხვევნა-კოცნას. უილიამს ვკითხე, დანარჩენები როდისღა წავლენ, ტუსაღებთან ერთად-მეთქი? მიპასუხა, ნახევარი საათი იქნება, რაც გაემგზავრნენ, სანამ ჩვენ საგანძურში ვიყავითო. თუ სანამ მე მეძინა-მეთქი, შევუსწორე გონებაში.

უილიამის სიტყვების გაგონებაზე თვალთ დამიბნელდა, მაგრამ მალევე მოვეგე გონს. ასე ჯობდა. ვერ ავიტანდი, მეცქირა, როგორ მიათრევდნენ სამუდამოდ მონასტრიდან საბრალო ტუსაღებს (უბედურ მეკუჭნავეს, სალვატორესა და... გოგონას). თანაც იმდენად ვიყავი აფორიაქებული საკუთარი სიზმრით, რომ გრძნობებიც თითქოს გამყინვოდა და გამნელებოდა.

მინორიტების მწკრივი გალავნისკენ დაიძრა. მე და უილიამი ტაძართან დავრჩით. დანაღვლიანებულები ვიყავით, თუმცა კი სხვადასხვა მიზეზით. გადავწყვიტე, მოძღვრისთვის მომეთხრო ჩემი სიზმარი. საოცრად ნათლად მახსოვდა ის უაზრო, გაუგებარი ზმანება, თვალწინ მედგა სიზმრად ნანახი თითოეული გამოსახულება, მოძრაობა, მკაფიოდ ჩამესმოდა თითოეული სიტყვა. წვრილად მოვუყევი, არაფერი გამომიტოვებია: ვიცოდი, სიზმარი ხშირად იდუმალი გზავნილია, რომელშიც სწავლულთ წინასწარმეტყველებათა ამოკითხვა ძალუძთ.

უილიამმა უხმოდ მომისმინა. მერე მკითხა: – ხვდები, რა დაგესიზმრა?

– ის, რაც მოგიყევით... – ამოვილუღლუღე.

– ჰო, ცხადია. მაგრამ იცი, რომ, რაც ახლა მომიყევი, იმის დიდი ნაწილი უკვე დაწერილია? ამ დღეებში ნანახი, მოსმენილი და განცდილი იმაში ჩააქსოვე, რაც უკვე იცოდი: შენი სიზმრის შინაარსი უკვე სადღაც წაგიკითხავს, ან ბავშვობაში მოუყოლიათ შენთვის, სკოლაში ან მონასტერში. ეგ ხომ „კვიპრიანეს ნადიმია“.[222]

წამით შევყოყმანდი. მერე გამახსენდა. მართალი იყო! სათაური აღარ მახსოვდა, მაგრამ არ არსებობდა არც მოწიფული ბერი და არც უწვერული მორჩილი, გულიანად რომ არ ეცინოს ამ თხზულებაზე, რომელიც ტრადიციული სააღდგომო ioca monachorum-ის[223] ნაწილი იყო! ეს იყო სიზმრების კრებული, ნაწილი პროზად მოთხრობილი, ნაწილი კი – გალექსილი. მკაცრი აღმზრდელები სასტიკად უკრძალავდნენ მორჩილებს ამ წიგნს, მაგრამ მონასტრებში მალულად გადადიოდა ის ხელიდან ხელში, ხშირად კი ზეპირადაც ვრცელდებოდა, ათასგვარად შეცვლილი და შემოკლებული. ზოგიერთი ფარულად იწერდა ამ თხზულებას, რადგან მიაჩნდა, რომ მხიარულ საფარქვეშ ეს ტექსტი იდუმალ მორალურ სწავლებებს შეიცავდა. ზოგიერთიც იმიტომ უწყობდა ხელს მის გავრცელებას, რომ – ასე მიაჩნდა – თამაშით ყმაწვილთ უფრო ადვილად დაეხსომებინათ საღმრთო ისტორია. ამ თხზულების ერთი ვერსია გალექსილიც იყო პაპ იოანე VIII-თვის, ამგვარი მიძღვნით: „Ludere me libuit, ludentem, papa Johannes, accipe. Ridere, si placet, ipse

potes“[224]. იმასაც ამბობდნენ, შარლ მელოტმა დაადგმევინა კიდეც ამ ნაწარმოების გარითმული ვერსია, საპატიო სტუმრები რომ გაემხიარულებინა ვახშამზეო: Ridens cadit Gaudericus

Zacharias admiratur,

supinus in lectulum

docet Anastasius…[225]

რამდენჯერ დავუმუნათებივარ მოძღვრებს ჩემს ამხანაგებთან ერთად ამ ნაწარმოებიდან ნაწყვეტების გამეორების გამო. ერთი მოხუცი მელქელი ბერიც გამახსენდა, ირწმუნებოდა, ნიჭით ესოდენ შემკული კაცი, როგორიც კვიპრიანე იყო, ასეთ მდარე ქმნილებას, საღმრთო წერილის ამგვარ მკრეხელურ დაცინვას ვერ დაწერდა, რომელიც მასხარასა და მწვალებელს უფრო შეშვენის, ვიდრე წმინდა წამებულსო… მრავალი წლის მივიწყებული მქონდა ის ბავშვური თამაშები. რანაირად მოხდა, რომ იმ დღეს ნადიმი ასე ცოცხლად წარმომიდგა სიზმარში? მუდამ მწამდა, რომ სიზმარი ან ღვთის მოცემული ნიშანია, ან დაბინდული გონების ღამეული ბოდვა, რომელიც რაღაცნაირად უკავშირდება დღისით თავს გადამხდარს. ახლა კი ვხვდებოდი, რომ შეიძლება, წიგნიც დაესიზმროს ადამიანს. და ასევე შესაძლებელია, სიზმარი ოდენ სიზმარი იყოს და მეტი არაფერი, ყოველგვარი კავშირებისა და მინიშნებების გარეშე.

– მინდა, არტემიდორუსის უნარი მქონდეს და სწორად ავხსნა შენი სიზმარი, – მითხრა უილიამმა, – მაგრამ ვფიქრობ, არტემიდორუსის ნიჭის გარეშეც ადვილი მისახვედრია, რაც მოხდა. ამ დღეებში, ჩემო საბრალო ბიჭო, სრულიად უჩვეულო ამბები გადაგხდა თავს. ამ დილით შენს მიძინებულ გონებაში კომედიამაც გაიელვა, რომელშიც, თუმცა სხვაგვარად, მაგრამ სამყარო თავდაყირა იდგა. ყველაფერ ამას ახალი შთაბეჭდილებები, შიში და შფოთვა დაერთო. ჰოდა, ადელმუსის მარგინალიებიდან ნადიმში ამოჰყავი თავი, სადაც ყველაფერი თავდაყირა დგას, მაგრამ ამავე დროს – სწორედ ისე, როგორც ნადიმშია – თითოეული იმას აკეთებს, რაც მართლა გაუკეთებია ცხოვრებაში. დაბოლოს, ძილშივე სცადე, გაგერკვია, რომელია მცდარი სამყარო, ან რას ნიშნავს თავდაყირა სვლა. შენს სიზმარში არეული იყო, რა არის ზევით და რა – ქვევით, სადაა სიკვდილი და სად – სიცოცხლე. მან საძირკველი შეურყია ყოველივეს, რაც შენთვის აქამდე უსწავლებიათ.

– მე არა, – ღირსეულად დავუკარი კვერი, – ჩემმა სიზმარმა. მაშ, სიზმარი ღვთიური ხილვა კი არა, ეშმაკისეული ბოდვაა და ჭეშმარიტების მარცვალსაც არ შეიცავს!

– არ ვიცი, ადსო, – მიპასუხა უილიამმა. – ისედაც იმდენი ჭეშმარიტება დაგვიგროვდა გარშემო, ახლა ვინმე რომ გამომეცხადოს და ჩვენი სიზმრებიდანაც ჭეშმარიტების ამოკრება მოიწადინოს, მართლა ვირწმუნებ, რომ ანტიქრისტეს მოსვლა მოახლოებულა. და მაინც, რაც უფრო მეტს ვფიქრობ შენს მონათხრობზე, მით უფრო მამხილებლად მეჩვენება ის, შენთვის კი არა, ჩემთვის. მაპატიე, რომ შენს სიზმარსაც დავეპატრონე ჩემი ვარაუდების გასავრცობად, ვიცი, სიმუხთლეა, არ მმართებს ამის გაკეთება… მაგრამ, მგონი, შენი მიძინებული სული მეტს მიხვდა, ვიდრე მე ამ ექვს უძილო ღამეში…

– მართლა?

– შენი სიზმარი გამაფრთხილებელია, რადგან ჩემს ერთ-ერთ ვარაუდს ემთხვევა. გმადლობ.

– კი, მაგრამ უაზროა, აბდაუბდა, როგორც ყველა სიზმარი!

– მას სხვა აზრი აქვს, როგორც ყველა სიზმარს: ალეგორიულად და ანაგოგიურად უნდა ახსნა…

– როგორც საღმრთო წერილი?

– სიზმარიც წერილია. წერილთაგან კი ბევრი მხოლოდ სიზმარია.

სადაც ბიბლიოთეკართა ამბავს გაიხსენებენ და იდუმალ წიგნზეც ახალ რამეებს შევიტყობთ

უილიამმა კვლავ სკრიპტორიუმში დაბრუნება მოისურვა. ბენციუსს კატალოგის დათვალიერების ნებართვა სთხოვა და სწრაფად გადაფურცლა. – აქ უნდა იყოს, – ამბობდა, – ერთი საათის წინ მოვკარი თვალი… უცებ შეჩერდა და ერთ-ერთ სათაურზე მიმითითა: – აი, წაიკითხე. ნაწერს დავხედე: I. ar. de dictis cujusdam stulti II. syr. libellus alchemicus aegypt.

III. Expositio Magistri Alcofribae de cena beati Cypriani Cartaginensis Episcopi IV. Liber acephalus de stupris virginum et meretricum amoribus – რაზეა? – ვკითხე.

– ესაა ჩვენი წიგნი, – ჩამიჩურჩულა უილიამმა. – ამიტომ გითხარი, შენმა სიზმარმა რაღაც მიკარნახა-მეთქი. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ესაა. მართლაც… – სწრაფად ათვალიერებდა წინა და მომდევნო გვერდებს, – მართლაც, აი წიგნები, რომლებზეც ვფიქრობდი, ყველა ერთადაა. თუმცა ამის შესამოწმებლად არ ამოვსულვარ აქ. მისმინე, დაფა თან გაქვს? ძალიან კარგი, რაღაც უნდა გამოვთვალოთ, ეცადე, კარგად გაიხსენო, რა თქვა იმ დღეს ალინარდუსმა და ისიც, რაც ამ დილით ნიკოლოზისგან მოვისმინეთ. ნიკოლოზმა ხომ გვითხრა, დაახლოებით ოცდაათი წლის წინ მოვედი მონასტერში და აბონი უკვე წინამძღვარი იყოო. იქამდე რიმინელი პავლე ყოფილა წინამძღვარი, ხომ ასეა? დავუშვათ, ეს ცვლილება დაახლოებით 1290 წელს მოხდა, ერთი-ორ წელს მნიშვნელობა არ აქვს. მერე ნიკოლოზმა ისიც თქვა, მე რომ მოვედი, ბობიოელი რობერტუსი უკვე ბიბლიოთეკარი იყოო. ხომ ასეა? რობერტუსის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი მალაქიას დაუკავებია, დაახლოებით ამ საუკუნის დასაწყისში. ჩაინიშნე. მაგრამ სანამ ნიკოლოზი მონასტერში მოვიდოდა, რამდენი ხანი იყო რიმინელი პავლე ბიბლიოთეკარი? ან როდიდან? ეს არავის უთქვამს ჩვენთვის. მონასტრის ჟურნალში შეგვიძლია ვნახოთ, მაგრამ ჟურნალები უდავოდ წინამძღვართან ინახება და ჯერ არ მინდა, ვთხოვო. დავუშვათ, პავლე ბიბლიოთეკარად დაახლოებით სამოცი წლის წინ დანიშნეს, ჩაიწერე. რატომ ვერ მოუნელებია ალინარდუსს, ორმოცდაათი წლის წინ ბიბლიოთეკარის ადგილი მე ეკუთვნოდა და სხვას არგუნესო? სხვაში ვის გულისხმობს, პავლე რიმინელს?

– ან ბობიოელ რობერტუსს! – ვუთხარი.

– ასე გამოდის. მაგრამ ახლა ამ კატალოგს ჩახედე: ხომ იცი, რომ სათაურები წიგნების შეძენის დროის მიხედვითაა მასში შეტანილი. ვინ წერს კატალოგში? ბიბლიოთეკარი. ამრიგად, ამ გვერდებზე ხელწერის ცვლილების მიხედვით შეგვიძლია ბიბლიოთეკართა მიმდევრობა დავადგინოთ. ბოლოდან მივყვეთ: უკანასკნელი ჩანაწერი მალაქიასია და მის ხელწერას სულ რამდენიმე გვერდი უჭირავს: მონასტერს ბევრი წიგნი არ შეუძენია ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე. მას მოცახცახე ხელით ნაწერი მოსდევს: რობერტუს ბობიოელის ხელწერა. აქაც რამდენიმე გვერდია: რობერტუსი ავადმყოფი იყო და, როგორც ჩანს, დიდხანს არ ყოფილა ბიბლიოთეკარი. მის წინ კი, თავად ხედავ: უამრავი გვერდია ჩაწიკწიკებული გამართული, კოხტა ხელწერით. რამდენი წიგნი შემოსულა იმ წლებში ბიბლიოთეკაში! მათ შორისაა ის წიგნებიც, წეღან რომ ვათვალიერებდით. ბევრი უმუშავია რიმინელ პავლეს! ძალიან ბევრი, თანაც, ნიკოლოზმა როგორც გვითხრა, სრულიად ახალგაზრდა გამხდარა წინამძღვარი. მაგრამ, დავუშვათ, მას, ხარბ მკითხველს, რამდენიმე წელიწადში ასე გაუმდიდრებია ბიბლიოთეკა… განა არ გვითხრეს, Abbas agraphicus-ს იმ უცნაური ნაკლის გამო ეძახდნენ, რომ წერა არ იცოდაო? მაშ, ვინ წერდა კატალოგში? ერთადერთი, ვინც შეიძლებოდა ყოფილიყო, მისი თანაშემწეა. და თუ პავლეს შემდეგ ის გახდა ბიბლიოთეკარი, ცხადია, კვლავაც ის განაგრძობდა წიგნების აღრიცხვას. მაშინ გასაგებია, რატომაა ამდენი გვერდი ერთი ხელწერით ნაწერი. მაშ, პავლესა და რობერტუსს შორის კიდევ უნდა ყოფილიყო ერთი ბიბლიოთეკარი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინ არჩეული, და ალინარდუსის იდუმალი მეტოქეც სწორედ ის გამოდის: როგორც ჩანს, ალინარდუსი იმედოვნებდა, რომ პავლეს შემდეგ მას აირჩევდნენ, როგორც ყველაზე უხუცესს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. უცნობი ბიბლიოთეკარის გაუჩინარების შემდეგ კი, კვლავაც ყველასათვის მოულოდნელად, ბიბლიოთეკა მალაქიასათვის მიუნდვიათ.

– კი, მაგრამ რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ სწორედ ესაა სწორი მიმდევრობა? თუნდაც დავუშვათ, რომ ეს ხელწერა უსახელო ბიბლიოთეკარისაა, განა არ შეიძლება, პავლეს ეკუთვნოდეს წინა გვერდებზე ჩაწერილი სათაურები?

– შეუძლებელია, რადგან ამ გვერდებზე ისეთი ბულები და დეკრეტალიებია ჩაწერილი, რომელთა შექმნის თარიღები საყოველთაოდაა ცნობილი. მაგალითად, ბონიფაციუს VII-ის Firma Cautela 1296 წელს გამოვიდა და ცხადია, ამაზე ადრე ვერ მოხვდებოდა ბიბლიოთეკაში. ისიც დარწმუნებით ვიცით, რომ გამოსვლიდან მალევე შემოიტანდნენ მას მონასტერში. კატალოგში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იწერებოდა, ეს თხზულებები ერთგვარი საფლავის ქვებივითაა ჩაჭედილი თარიღების მიმანიშნებლად. ამრიგად, თუ ვივარაუდებ, რომ რიმინელი პავლე 1265 წელს გახდა ბიბლიოთეკარი და 1275 წელს – წინამძღვარი, თანაც ვხედავ, რომ მისი ხელწერა (ან ვინმე სხვისი, ვინც რობერტუს ბობიოელი არაა) 1265 წლიდან 1285 წლამდე მხვდება, ათწლიანი სხვაობა გამომდის.

მართლა საოცრად მიხვედრილი იყო ჩემი მოძღვარი.

– კი, მაგრამ ეს აღმოჩენა რას გეუბნებათ? – შევეკითხე.

– არაფერს ისეთს, – მითხრა. – ეს მხოლოდ წანამძღვარია.

მერე წამოდგა და ბენციუსს მიაშურა. ის თავის ადგილას იჯდა, თუმცა ჩანდა, დაძაბული იყო. ბენციუსი ისევ თავის მაგიდასთან მუშაობდა, ვერ გაებედა მალაქიას ადგილის დაკავება კატალოგის გვერდით. უილიამი ვითომ სხვათა შორის მიადგა. ვერაფრით ვივიწყებდით წინა ღამით მომხდარ უსიამოვნო ამბავს.

– ახლა მნიშვნელოვანი და ძლიერი ხარ, უფალო ბიბლიოთეკარო, თუმცა, იმედია, ერთ რამეს არ დამიმალავ. იმ დილას, როცა ბერებმა აქ უცნაურ გამოცანებზე იკამათეს და ბერენგარიუსმა პირველად ახსენა „აფრიკის კიდე“, ვინმეს „კვიპრიანეს ნადიმი“ ხომ არ უხსენებია?

– კი, – უპასუხა ბენციუსმა, – არ მითქვამს? სანამ სიმფოსიუსის ენიგმებზე დაიწყებდნენ საუბარს, ბერენგარიუსმა სწორედ „ნადიმი“ ახსენა და მალაქია განრისხდა, ბილწი წიგნიაო. შეახსენა, წინამძღვარმა მისი წაკითხვა ყველას აუკრძალაო…

– წინამძღვარმა, არა? – ჩაილაპარაკა უილიამმა. – ძალზე საინტერესოა. გმადლობ, ბენციუს.

– მოიცადეთ, – გააჩერა ბენციუსმა, – მინდა, დაგელაპარაკოთ. – გვანიშნა, გავყოლოდით და სკრიპტორიუმიდან გავიდა, რათა სხვებს არ გაეგოთ მისი ნათქვამი. სამზარეულოში ჩამავალი კიბის თავში შეჩერდა, ბაგე უკანკალებდა.

– მეშინია, უილიამ, – დაიწყო, – მალაქიაც მოკლეს. მე ახლა მეტისმეტად ბევრი ვიცი. თანაც იტალიელების ჯგუფს არ ვუყვარვარ. აღარ უნდათ უცხოელი ბიბლიოთეკარი… ვფიქრობ, სხვებიც სწორედ ამიტომ დახოცეს… არასოდეს მომიყოლია თქვენთვის, როგორ სძულდა ალინარდუსს მალაქია, რა ბოღმას ატარებდა გულში…

– ვინ წაართვა მას ადგილი მრავალი წლის წინ?

– ეს არ ვიცი, ყოველთვის რაღაც ბუნდოვნად ახსენებს ამ ამბავს. თანაც დიდი ხანი გავიდა. ახლა უკვე ყველა მკვდარია, ალბათ. მაგრამ ალინარდუსის მომხრე იტალიელთა ჯგუფი ხშირად ლაპარაკობს… ლაპარაკობდა… მალაქიაზე, როგორც წინამძღვართან შეთანხმებით ვიღაცის მიერ დასმულ თოჯინაზე… და მე ისე, რომ ვერც ვხვდებოდი ამას, ორ დაჯგუფებას დავუპირისპირდი… მხოლოდ ამ დილით მივხვდი ამას… იტალია მუხთალთა ქვეყანაა. აქ პაპებს წამლავენ. მე ვიღა ვარ, ერთი უბადრუკი ბიჭი… გუშინ ვერ მივხვდი ამას, მეგონა, ყველაფერი იმ წიგნის გამო ხდებოდა, მაგრამ ახლა ასე აღარ მგონია. წიგნი მხოლოდ საბაბი იყო: თავადაც ხომ ნახეთ, წიგნი ნაპოვნია, მაგრამ მალაქია მაინც მოკვდა… მე უნდა… მინდა… გაქცევა მინდა. რას მირჩევთ?

– გირჩევ, დამშვიდდე. ახლა მთხოვ რჩევას, არა? გუშინ ისე იქცეოდი, თითქოს სამყაროს

შენ განაგებდი. რეგვენო, გუშინ რომ დამხმარებოდი, ამ უკანასკნელ მკვლელობას თავიდან ავიცილებდით. შენ გადაეცი მალაქიას წიგნი, სწორედ წიგნმა მოკლა ბიბლიოთეკარი. ერთი რამ მაინც მითხარი. ის წიგნი ხელში გეჭირა? შეეხე, წაიკითხე? მაშ შენ როგორ გადარჩი?

– არ ვიცი. გეფიცებით, არ შევხებივარ, უფრო სწორად, შევეხე, რომ ლაბორატორიიდან გამომეტანა, არც გადამიშლია, ტუნიკაში შევინახე და მერე ჩემს სენაკში, ლეიბის ქვეშ დავმალე. ვიცოდი, მალაქია მითვალთვალებდა და მაშინვე სკრიპტორიუმში დავბრუნდი. მერე კი, როცა მალაქიამ თანაშემწეობა შემომთავაზა, ჩემს სენაკში წავიყვანე და წიგნი გადავეცი. სულ ესაა.

– არ მჯერა, რომ არც კი გადაგიშლია.

– კი, გადავშალე, სანამ დავმალავდი, რათა დავრწმუნებულიყავ, რომ ნამდვილად ის იყო, რასაც თქვენ ეძებდით. არაბული ხელნაწერით იწყებოდა, მერე სხვა მოსდევდა, ვგონებ, ასირიული, მერე ლათინური ტექსტი იყო, ბოლოს კი – ბერძნული…

კატალოგში ნანახი სათაურები გამახსენდა. პირველ ორს აღნიშვნები ჰქონდა: არაბ. და სირ. ის იყო! უილიამი განაგრძობდა: – მაშ, შეეხე, მაგრამ არ მომკვდარხარ. მაშ, მისი შეხება არ ყოფილა მომაკვდინებელი. ბერძნულ ტექსტზე რას მეტყვი? გადახედე?

– სულ ერთი წამით. მაგრამ კმაროდა, რომ მივმხვდარიყავი: ტექსტი უსათაურო იყო. მეტიც, ისე იწყებოდა, თითქოს ნაწილი აკლიაო…

– Liber acephalus[226]… – ჩაიბუტბუტა უილიამმა.

– პირველი გვერდის წაკითხვა ვცადე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბერძნული ძალიან ცუდად ვიცი, დიდი დრო დამჭირდებოდა. და მერე ერთმა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება, სწორედ ბერძნულ ტექსტთან დაკავშირებით. ბოლომდე არ გადამიფურცლავს, რადგან ვერ შევძელი: ფურცლები თითქოს დანესტიანებული იყო, არ შორდებოდა ერთმანეთს ადვილად, რადგან თავად პერგამენტი იყო უცნაური, ჩვეულებრივზე უფრო რბილი, და პირველი გვერდი რაღაც უცნაურად იყო შეჭმული, ლამის ხელში იშლებოდა…

– უცნაური: ამ სიტყვას ხმარობდა სევერინუსიც, – თქვა უილიამმა.

– პერგამენტი პერგამენტს არ ჰგავდა… ქსოვილს ჰგავდა, მაგრამ ძალიან თხელს… – განაგრძობდა ბენციუსი.

– სელის ქაღალდი, ანუ სელის პერგამენტი, – თქვა უილიამმა, – აქამდე არასოდეს გინახავს?

– გამიგია, მაგრამ ნახვით არ მინახავს. ამბობენ, ძალიან ძვირფასი და ძალიან ფაქიზია, ამიტომაც იშვიათად ხმარობენო. არაბები ამზადებენ, არა?

– მათ გამოიგონეს. მაგრამ აქ, იტალიაშიც, ამზადებენ, ფაბრიანოში. და ასევე… რა თქმა უნდა, ცხადია! – უილიამს თვალები უბრწყინავდა. – რა საოცარი და საინტერესო აღმოჩენაა, ყოჩაღ, ბენციუს, გმადლობ! ჰო, ვგონებ, ამ ბიბლიოთეკაში სელის ქაღალდი იშვიათია, რადგან ბოლო ხანებში წიგნები იშვიათად შემოდის. თანაც ბევრს მიაჩნია, რომ სელი მეტისმეტად ფაქიზია და პერგამენტივით საუკუნეებს ვერ გაუძლებს. აქ ხომ არაფრად სჭირდებათ ის, რაც გამძლეობით ბრინჯაოს ჩამოუვარდება… მაშ, სელის პერგამენტი… კარგი, ბენციუს, მშვიდობით. და დამშვიდდი, საფრთხე არ გემუქრება.

– მართლა, უილიამ? დარწმუნებული ხართ?

– დარწმუნებული ვარ. თუ შენი ადგილი გეცოდინება. ისედაც ბევრი მიქარე.

ბენციუსი შედარებით დამშვიდებული დავტოვეთ და სკრიპტორიუმიდან გამოვედით.

– ბრიყვი! – კბილებში გამოსცრა უილიამმა, როცა გარეთ გავდიოდით. – ყველაფერი გარკვეული გვექნებოდა, ეს რომ არ გამოჩხერილიყო გუშინ…

სატრაპეზოში წინამძღვარი დაგვხვდა. უილიამმა მიაშურა, სალაპარაკო მაქვსო. წინამძღვარს სხვა გზა აღარ ჰქონდა, დათანხმდა: ცოტა ხანში ჩემს სენაკში დაგელოდებითო.

მეცხრე ჟამი

სადაც წინამძღვარი უილიამის მოსმენას არ ისურვებს, ძვირფას ქვათა მეტყველებაზე გვიყვება და აშკარაა, რომ იმ უსიამოვნო ამბებში ქექვა აღარ სურს

წინამძღვრის ბინა კაპიტოლიუმის თავზე იყო. აბონი დარბაზში დაგვხვდა. ქარიანი დღე იყო და კამკამა ჰაერში დარბაზის ფანჯრიდან ტაძრის სახურავს მიღმა ციტადელის კონტურები მოჩანდა.

წინამძღვარი ფანჯარასთან იდგა და აღფრთოვანებით გაჰყურებდა ციტადელს. რომ დაგვინახა, საზეიმოდ გაიშვირა ხელი მისკენ.

– შთამბეჭდავი ქმნილებაა, – თქვა. – მის პროპორციებში ის უზენაესი წესი მეორდება, რომლითაც ოდესღაც ნოეს კიდობანი აიგო. სამ სართულადაა ნაგები, რამეთუ სამი სამების რიცხვია, აბრაამსაც სამი ანგელოზი გამოეცხადა, სამი დღე დაყო იონამ ვეებერთელა თევზის ფაშვში, სამი დღე გაატარეს სამარეში იესომ და ლაზარემ, სამჯერ შეჰღაღადა იესომ მამას, ამაცილე სამსალით სავსე თასიო და სამჯერ განმარტოვდა მოციქულებთან სალოცავად. სამჯერ უარყო პეტრემ მაცხოვარი და სამჯერ გამოეცხადა იესო ოჯახის წევრებს აღდგომის შემდეგ. სამია ღვთიური ნიჭი, სამია წმინდა ენა, სამია სულის ნაწილი, სამგვარნი არიან გონიერი ქმნილებანი: ანგელოზნი, კაცნი და დემონნი, სამი რამ ახასიათებს ბგერას: vox, flatus, pulsus[227], სამია ხანა კაცობრიობის ისტორიისა: სჯულის კანონამდე, ეპოქა სჯულის კანონისა და მის შემდეგ.

– მისტიკურ შეხამებათა გასაოცარი თანწყობაა, – დაეთანხმა უილიამი.

– თავად კვადრატულ ფორმაშიც, – განაგრძობდა წინამძღვარი – არაერთი სულიერი სწავლებაა ჩადებული: ოთხია ქვეყნის მხარე, ოთხია წელიწადის დრო, ოთხია სტიქია, არის ცხელი, ცივი, სველი და მშრალი, არის შობა, ზრდა, სიმწიფე და სიბერე, ოთხგვარნი არიან ცოცხალი არსებანი: ცისა, მიწისა, წყლისა და ჰაერისა, ოთხი ფერისაგან შედგება ცისარტყელა და ოთხ წელიწადში ერთხელაა ნაკიანი წელი.

– აჰ, ნამდვილად, – აჰყვა უილიამი, – სამი და ოთხი შვიდია, რიცხვთაგან, ალბათ, ყველაზე მისტიკური, სამჯერ ოთხი კი – თორმეტი: მოციქულთა რაოდენობა, თორმეტჯერ თორმეტი კი ას ორმოცდაოთხია – რჩეულთა რიცხვი. – უილიამმა რიცხვთა სამყაროს იმდენად განსაცვიფრებელი ცოდნა გამოავლინა, რომ გაოგნებული წინამძღვარი ვეღარაფერს დაამატებდა და უილიამმაც დრო იხელთა, რომ საქმეზე გადასულიყო.

– ბოლოდროინდელ ამბებზე უნდა გელაპარაკოთ, – უთხრა, – ბევრი ვიფიქრე ამაზე.

წინამძღვარმა ზურგი აქცია ფანჯარას და მკაცრი სახით შეხედა უილიამს: – ვგონებ, ზედმეტიც. არ დაგიმალავთ, ძმაო უილიამ, თქვენგან მეტს ველოდი. თითქმის ექვსი დღეა, აქ ხართ და ადელმუსის გარდა, კიდევ ოთხი ბერი დაიღუპა. ორიც ინკვიზიციამ შეიპყრო. სამართალი ითხოვდა ამას, უდავოა, მაგრამ თავიდან ავირიდებდით ამ სირცხვილს, ინკვიზიტორი რომ იძულებული არ გამხდარიყო, მომხდარი მკვლელობები გამოეძიებინა. დაბოლოს… შეხვედრაც, სადაც შუამავლის როლი მეკისრა, სწორედ ამ უმსგავსობათა გამო, საწყალობელი შედეგებით დასრულდა… დამეთანხმებით, ალბათ, სხვაგვარი იმედები მქონდა, როცა ადელმუსის სიკვდილის გამოძიება გთხოვეთ…

უილიამი უხერხულად დადუმდა. ცხადი იყო, წინამძღვარი მართალს ამბობდა. ამ მონათხრობის დასაწყისშივე გითხარით, რაოდენ უყვარდა ჩემს მოძღვარს გარშემომყოფთა გაოცება თავისი მიხვედრილობითა და სისხარტით. ახლა მისი სიამაყე

შელახული იყო: საყვედურობდნენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მოვალეობას სათანადოდ ვერ გაართვა თავი.

– მართალია, – აღიარა, – ვერ გავამართლე თქვენი მოლოდინი, მაგრამ გეტყვით, რატომ, თქვენო ბრწყინვალებავ. ეს მკვლელობები არც ბერთა შორის უთანხმოების გამო მომხდარა და არც შურისძიების შედეგად. მათი ნამდვილი მიზეზი მონასტრის უძველეს ისტორიაშია ფესვგადგმული.

წინამძღვარს შფოთვა დაეტყო.

– რას გულისხმობთ? მეც მესმის, რომ საიდუმლოს გასაღები მეკუჭნავეს არ უკავშირდება. მისი უბადრუკი ამბავი შემთხვევით ჩაეხლართა რაღაც სხვა, უფრო მნიშვნელოვანს. რაღაცას, რაც მე იქნებ ვიცი კიდეც, მაგრამ ვერ გავამხელ... და იმედი მქონდა, თქვენ ამოხსნიდით ამ საიდუმლოს, თქვენ მომიყვებოდით მასზე...

– თქვენი ბრწყინვალება აღსარებაში მოსმენილს გულისხმობს... – წინამძღვარმა მზერა აარიდა უილიამს, მან კი განაგრძო: – თუ თქვენს უმაღლესობას სურს, გაიგოს, ვიცი თუ არა ადელმუსსა და ბერენგარიუსს, ბერენგარიუსსა და მალაქიას უწმინდურ კავშირზე... რა გითხრათ, ეს ხომ ყველამ იცის მონასტერში...

წინამძღვარი საშინლად გაწითლდა: – არა მგონია, მართებული იყოს ამ საკითხზე საუბარი ამ ყმაწვილის თანდასწრებით. არც გადამწერი გჭირდებათ ახლა. დაგვტოვე, ყმაწვილო, – მიბრძანა.

საშინლად დამცირებული გავედი ოთახიდან. თუმცა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა კარი შეღებული დავტოვე და გარედან ავეკარი, რომ მომესმინა მათი საუბარი.

უილიამმა განაგრძო: – და მაინც ეს უკუღმართი კავშირები არაფერ შუაშია მომხდარ უბედურებებთან. გასაღები სულ სხვაგანაა და მეგონა, თქვენ ეს კარგად იცოდით. ერთი წიგნის დაუფლების მცდელობას უკავშირდება ყოველივე. „აფრიკის კიდიდან“ გატაცებული წიგნი მალაქიამ უკვე დააბრუნა ბიბლიოთეკაში, თუმცა – თავადაც ნახეთ – მკვლელობები არ შეწყვეტილა.

ამ სიტყვებს ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. მერე წინამძღვარმა განაგრძო ლაპარაკი. ხმა უკანკალებდა, შემდრკალი ჩანდა, თითქოს ისეთი რამ მოისმინა, რასაც არ ელოდა. – შეუძლებელია... თქვენ... თქვენ რა იცით „აფრიკის კიდეზე“? ჩემი მითითება დაარღვიეთ და ბიბლიოთეკაში შეხვედით?

უილიამს სხვა გზა არ ჰქონდა, სიმართლე უნდა ეღიარებინა. იცოდა, წინამძღვარს განარისხებდა. თან, ჩანდა, ტყუილის თქმაც არ უნდოდა. ამიტომ ამჯობინა, კითხვაზე კითხვითვე ეპასუხა: – განა თქვენმა უმაღლესობამ არ მითხრა ჩვენს პირველ შეხვედრაზე, თქვენნაირ კაცს, რომელმაც წაბლა უნახავად ასე ზუსტად აღწერა, არ გაუჭირდება, ისეთი ადგილებიც წარმოიდგინოს, რომლებიც არ უნახავსო?

– კარგი, – უკან დაიხია წინამძღვარმა. – მაგრამ მაგას რატომ ფიქრობთ?

– როგორც მიხვდებით, ამის მოსაყოლად დიდი დრო დამჭირდება. რამდენიმე დანაშაული მოხდა, რათა არ გამჟღავნებულიყო რაღაც, რის გამჟღავნებაც არ შეიძლებოდა. ახლა ყველა, ვინც რამე იცოდა ბიბლიოთეკის საიდუმლოებებზე, მართებდა თუ არა ამის ცოდნა, მკვდარია. მხოლოდ ერთი ადამიანი რჩება, თქვენ.

– გინდათ, თქვათ... მანიშნებთ, რომ... – წინამძღვარს ძარღვები დაებერა ყელზე.

– სწორად გამიგეთ, – უთხრა უილიამმა (თუმცა, ალბათ, სწორედ რომ რაღაცას ანიშნებდა), – მე ვამბობ, რომ არის ვიღაც, ვინც რაღაც იცის და არ უნდა, ეს რაღაც სხვამაც იცოდეს. თქვენღა დარჩით და შეიძლება, თქვენ იყოთ შემდეგი მსხვერპლი. თუ ეს არ გსურთ, უნდა მითხრათ, რა იცით იმ აკრძალულ წიგნზე და, განსაკუთრებით, ვინაა მონასტერში, ვინც ბიბლიოთეკაზე იმდენივე იცის, რამდენიც თქვენ, შეიძლება თქვენზე მეტიც.

– ცივა აქ, – თქვა წინამძღვარმა, – გავიდეთ.

სწრაფად მოვშორდი კარს და ქვევიდან ამომავალი კიბის თავში დავდექი. წინამძღვარმა დამინახა და გამიღიმა.

– რამდენ შემაშფოთებელ ამბავს მოისმენდა ეს ბიჭუნა ამ დღეებში! გამხნევდი, ბიჭუნავ, ნუ შეშინდები. მგონი, იმაზე მეტი წარმოვიდგინეთ, ვიდრე სინამდვილეში მოხდა...

წინამძღვარმა ხელი ასწია. მის არათითზე წამოცმულ ბრწყინვალე ბეჭედს მზის სხივი დაეცა და თვალისმომჭრელად ააელვარა ძვირფასი ქვები.

– ხომ ცნობ? – მითხრა. – ეს ბეჭედი ჩემი ძლევამოსილების ნიშანიცაა და ამავდროულად – ჩემი ჯვარიც. ეს სამკაული როდია, ეს ბეჭედი განასახიერებს ბრწყინვალე თაიგულს ღვთის სიტყვისა, რომლის სადარაჯოზეც ვდგავარ. – ნაზად მოეფერა ადამიანური და ბუნებრივი ხელოვნების იმ გასაოცარ შედევრში ჩაჭედილ ძვირფას ქვებს. – აი, ამეთვისტო – სარკე თავმდაბლობისა, რომელიც წმინდა მათეს უმანკოებასა და სათნოებას გვახსენებს; ქალცედონი, სიყვარულის ნიშანი, წმინდა იოსებისა და წმინდა იაკობის მიტევების სიმბოლო; იასპი, განმასახიერებელი წმინდა პეტრეს რწმენისა; სარდონიქსი, წამების ნიშანი, წმინდა ბართლომეს მოსაგონარი; საფირონი, იმედისა და ჭვრეტის ხატი, წმინდა ანდრიასა და წმინდა პავლეს ქვა; ბერილი – მოძღვრება, მეცნიერება და სულგრძელობა, წმინდა თომას თვისებები... რაოდენ დიადია ქვათა მეტყველება – განაგრძო მისტიკური ხილვით გატაცებულმა, – რომელიც ოსტატთ უკვდავუყვიათ აარონის სიტყვებისა და მოციქულის წიგნში ციური იერუსალიმის აღწერილობის მიხედვით. განა სიონის კედლებს იგივე სამკაული არ ამშვენებდა, რაც მოსეს პექტორალს? განსხვავება ისაა, რომ „გამოსვლაში“ ნახსენები კარბორუნდი, გიშერი და ონიქსი „გამოცხადებაში“ ქალცედონით, სარდონიქსით, ქრიზოპასითა და ჰიაცინტითაა ჩანაცვლებული.

უილიამს რაღაც სურდა ეთქვა, მაგრამ წინამძღვარმა ხელის აწევით გააჩუმა და განაგრძო: მახსოვს, ერთ სალიტანიო ლოცვათა კრებულში თითოეული ქვა ღვთისმშობლის სადიდებლად იყო აღწერილი და გარითმული. მისი საქორწინო ბეჭედი სიმბოლურ პოემად იწოდება, რომელშიც ბრწყინავდა ქვის ენაში გამჟღავნებული უზენაესი ჭეშმარიტებანი. მაგრამ ბეჭედში სხვა ქვებიც იყო ჩაჭედილი, არანაკლებ მრავლისმეტყველნი: ბროლი, რომელიც სულისა და სხეულის უმანკოებაზე მიუთითებს, ლიგურიო, რომელიც ქარვას ჰგავს და გამძლეობის სიმბოლოა, მაგნიტური ქვა, რომელიც რკინას იზიდავს, როგორც ქალწული – მონანიეთა სულებს, და მისივე სიკეთის მანიშნებელია. როგორც ხედავთ, სწორედ ეს ქვები ამშვენებს, თუმცა კი მოკრძალებულად, ჩემს ბეჭედსაც.

წინამძღვარი ხელს ამოძრავებდა, მზის სხივები ეცემოდა ბეჭედს და ქვათა ელვარება თვალს მჭრიდა. თითქოს საგანგებოდ, ჩემს გასაოცებლად აკეთებდა ამას. – საოცარი მეტყველებაა ამ ქვებში, – განაგრძობდა, – წმინდა მამათათვის ქვები კიდევ მრავალ რამეს აღნიშნავდა. პაპი ინოკენტი III ლალს სიმშვიდის, მოთმინებისა და წყალობის სიმბოლოს უწოდებდა, წმინდა ბრუნონი კი ამბობდა, აკვამარინის კამკამა ციაგში თეოლოგიური მეცნიერების შუქი ანათებსო. ფირუზი სიხარულის ნიშანია, სარდონიქსი – სერაფიმთა, ტოპაზი კი – ქერუბიმთა, იასპი ტახტის სიმბოლოა, ქრიზოლითი – მეფეთა, საფირონი – ღვთიურ ნიჭთა, ონიქსი – ძალისა, ბერილი – სამთავროთა, ლალი – მთავარანგელოზთა და ზურმუხტი – ანგელოზთა. მრავალსახოვანია ქვათა მეტყველება, თითოეული მათგანი შეიძლება რამდენიმე ნიჭსაც გამოხატავდეს, იმის მიხედვით, სად ვხედავთ მას და როგორ აღვიქვამთ. და ვინ წყვეტს, რომელია მართებული მნიშვნელობა, რომელია სწორი შინაარსი? შენ ეს იცი, ბიჭუნავ, რადგან ნასწავლი გაქვს: ამას წინამძღოლი წყვეტს, ის განმმარტებელი, რომელიც ყველაზე ავტორიტეტული და ძლიერია, სიწმინდითა და ცოდნით გამორჩეული. ასე რომ არ იყოს, როგორ ავხსნიდით ათასგვარ ნიშანს, რომელსაც სამყარო ყოველი ფეხის ნაბიჯზე ახვედრებს ჩვენს ცოდვილ თვალთ, როგორ დავაღწევდით თავს ეშმაკის ხაფანგებს? საოცარია, რაოდენ მიუწვდომელი და უხილავია ძვირფას ქვათა მეტყველება ეშმაკისთვის. უწმინდური მხეცი ამ მეტყველებაში შეიგრძნობს საფრთხეს, რომელიც ცოდნის სიღრმისა და შინაარსის მიხედვით იცვლება. ბოროტი ცდილობს მის დაუფლებას, რადგან ქვათა ბრწყინვალებაში

იმ საოცრებათა შუქს ცნობს, რომელთაც თავადაც ფლობდა დაცემამდე.

წინამძღვარმა ბეჭდიანი ხელი გამომიწოდა საკოცნელად და მეც მუხლი მოვიყარე. თავზე მომეფერა. – მაშასადამე, ბიჭუნავ, დაივიწყე ყოველივე, რაც მონასტერში მოისმინე ამ დღეებში და რაც უეჭველად იცი, რომ მცდარია. შენ უდიადესი, უკეთილშობილესი ორდენის წევრი ხარ და ამ ორდენს მე ვხელმძღვანელობ, ასე რომ ჩემი ქვეშევრდომი ხარ და გიბრძანებ, დაივიწყო ყოველივე. დაე შენს ბაგეს სამუდამოდ დაედოს კლიტე. შემომფიცე.

აღელვებული, აფორიაქებული, ბუნებრივია, დაფიცებას ვაპირებდი და მაშინ შენც, ჩემო კარგო მკითხველო, ვერასოდეს წაიკითხავდი ამ მონათხრობს. მაგრამ ამ დროს უილიამი ჩაერია საუბარში, ვფიქრობ, განგებ კი არა (რათა დაფიცება არ ეცლია ჩემთვის), არამედ – ინსტინქტურად. თითქოს გაღიზიანდა და უნდოდა, როგორმე წინამძღვრისათვის ლაპარაკი შეეწყვეტინებინა და გაეფანტა ის ჯადოსმაგვარი ზემოქმედება, რომელშიც ვიყავი გახვეული...

– ბიჭი რა შუაშია? მე შეგეკითხეთ, მე გაგაფრთხილეთ, რომ საფრთხე გემუქრებათ, მე გთხოვეთ, დაგესახელებინათ ადამიანი... იქნებ გინდათ, მეც ვემთხვიო თქვენს ბეჭედს და შემოგფიცოთ, რომ დავივიწყებ ყოველივეს, ნანახსა და მოსმენილს?

– ეჰ, თქვენ... – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა წინამძღვარმა, – სულაც არ ველი უპოვარი, კარდაკარ მოსიარულე ბერისაგან, ჩვენი ტრადიციების მშვენიერებას ჩასწვდეს ან რწმენის საიდუმლო კრძალვით დაიცვას... დიახ, რწმენისა, სიყვარულისა, ღირსების გრძნობისა... დადოს დუმილის ფიცი, რასაც ჩვენი სიდიადე ემყარება... თქვენ უცნაური, დაუჯერებელი ამბავი მიამბეთ იდუმალ წიგნზე, რომლის გამოც მკვლელობები მოხდა... წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცამ იცის ის, რის ცოდნაც მხოლოდ მე მმართებს... დაუსაბუთებელი, უაზრო ბოდვაა... რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ ამაზე, მაინც არავინ დაგიჯერებთ. ეს ყველაფერი თქვენი ფანტაზიის ნაყოფია და აქედან მართალიც რომ იყოს რამე, ახლა მაინც მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე. მე მივხედავ ამ საქმეს და მერწმუნეთ, ძალმიძს ამის გაკეთება. თავიდანვე შევცდი, როცა უცხო მოვიხმე, რაოდენ ბრძენიც უნდა ყოფილიყო, იმის გამოსაძიებლად, რაც მხოლოდ ჩემი მოვალეობა იყო. მაგრამ სწორად მიხვდით, თავიდან მეგონა, უმანკოების ფიცის დარღვევის გამო მოხდა ყველაფერი და მინდოდა, ვიღაცას ხმამაღლა ეთქვა ის, რაც აღსარების საიდუმლოში მქონდა მოსმენილი. ჰოდა, კეთილი, ხომ მოვისმინე. გმადლობთ ყველაფრისთვის, რაც გააკეთეთ. დელეგაციათა შეხვედრაც დასრულდა, თქვენი მისია აქ დამთავრებულია. წარმომიდგენია, რა მოუთმენლად ელიან თქვენს დაბრუნებას იმპერატორის კარზე, ძნელია, დიდი ხნით შეელიო თქვენნაირ ადამიანს. უფლებას გაძლევთ, გაემგზავროთ მონასტრიდან. არ მინდა, მზის ჩასვლის შემდეგ მოგიწიოთ მგზავრობა, საშიშია გზები. ხვალ დილაუთენია გაემგზავრებით. მადლობას ნუ გადამიხდით, უზომო სიხარული იყო ჩემთვის თქვენი მასპინძლობა. ახლა კი შეგიძლიათ, თქვენს სენაკში დაბრუნდეთ შეგირდთან ერთად და ბარგი მოამზადოთ. ცხადია, გამოძიების გაგრძელება საჭირო აღარაა. ნუღა შეაშფოთებთ ბერებს. შეგიძლიათ, წახვიდეთ.

ეს გამომშვიდობება კი არა, გაძევება იყო. უილიამი გამოეთხოვა და კიბეზე ჩავედით.

– ეს რას ნიშნავდა? – ვკითხე. აღარაფერი მესმოდა.

– აბა, დაფიქრდი. აქამდე ხომ უნდა გესწავლა, როგორ ხდება ვარაუდის გამოთქმა.

– თუ ასეა, მაშინ ახლა ორ ვარაუდს გამოვთქვამ, ერთიმეორის საწინააღმდეგოს და ორივეს – დაუჯერებელს. მაშასადამე... – ნერწყვი გადავყლაპე: მეუხერხულებოდა მოძღვართან. – პირველი: წინამძღვარმა ყველაფერი იცოდა და იმედი ჰქონდა, რომ თქვენ ვერაფერს აღმოაჩენდით. თავიდან კი გთხოვათ გამოძიება, ადელმუსის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ნელ-ნელა მიხვდა, რომ საქმე ბევრად უფრო რთულად იყო, რომ ნაწილობრივ თავადაცაა ჩათრეული, და ახლა აღარ უნდა, სააშკარაოზე გამოიტანოთ სიმართლე. მეორე ვარაუდი კი ისაა, რომ წინამძღვარს ეჭვიც არაფერზე ჰქონია (თუმცა, არც ვიცი, რაზე, რადგან აღარ მესმის, ახლა რა გაქვთ გონებაში). მაშინ, ალბათ, ფიქრობდა, რომ ყოველივე... სოდომელი ბერების უთანხმოების გამო მოხდა... ახლა კი რაღაც შემაძრწუნებელზე აუხილეთ თვალი და დანაშაულებათა ჩამდენის

ვინაობასაც ზუსტად მიხვდა. და თუ ასეა, უკვე სურს, თავად მოაგვაროს საქმე და თქვენს ჩამოშორებას ცდილობს, რათა მონასტრის ღირსება გადაარჩინოს.

– მშვენიერია. ნელ-ნელა სწავლობ აზროვნებას. უკვე ხედავ, რომ ორივე შემთხვევაში წინამძღვარს თავისი მონასტრის სახელისა და ღირსების შენარჩუნება ადარდებს. მკვლელია თავად თუ მორიგი მსხვერპლი, არ სურს, ამ მთების კალთებს გასცდეს მისი წმინდა საძმოს პატივამყრელი ცნობები. ბერების დახოცვა არ ადარდებს, ოღონდ კი მონასტრის სახელი არ შეიბღალოს. ოჰ… – უილიამი წამოენთო ამ სიტყვებზე, – ეს თავადის ნაბიჭვარი, გაფხორილი ინდაური, რომელმაც მხოლოდ იმით გაითქვა სახელი, რომ აკვინელის მოსამსახურე იყო… ეგ გაბერილი ტიკი ეგა, რომელსაც სატრაბახო მხოლოდ ისა აქვს, რომ მჯიღისხელა ბეჭედი წამოუცვამს თითზე! ამპარტავანი! ყველანი ამპარტავნები ხართ, კლიუნიელებო, მთავრებზე უარესები, თავადებზე გარყვნილები!

– მოძღვარო… – შევბედე შემცბარმა, საყვედურით.

– ხმა გაიკმინდე, შენც მაგ ჯურისა ხარ. თქვენ უბრალოების არაფერი გცხიათ. არც თქვენი მშობლები არიან უბრალონი. გლეხს, შეიძლება, კიდეც უმასპინძლოთ, მაგრამ – ეს გუშინ კარგად დავინახე – მეორე წამში მზად ხართ, მტარვალთ მისცეთ ხელში საჯიჯგნად. თქვენიანს არა, თქვენიანს ხელს აფარებთ! აბონი მზადაა, საგანძურში ჩუმად გული გაუგმიროს ნებისმიერ უბადრუკს და მისი ნაწილები ყალბ რელიკვიებად ჩამოამწკრივოს კრიპტაში, ოღონდ კი მონასტრის ღირსება შეინარჩუნოს… მაწანწალა და უქონელ, საიდანღაც გამომტყვრალ ფრანსიცკელ ბერს დაანებებს ამ წმინდა კედლებში დაბუდებული გველების ბუნაგის გამომზეურებას? არა, ამას წინამძღვარი ვერაფრის დიდებით ვერ დაუშვებს. გმადლობთ, ძმაო უილიამ… იმპერატორს სჭირდებით… ნახეთ, რა მშვენიერი ბეჭედი მაქვს… კარგად ბრძანდებოდეთ! ადსო, ახლა უკვე მხოლოდ წინამძღვარს კი არ ვუპირისპირდები, არამედ მთელ ამ ამბავს. ფეხსაც არ გავდგამ ამ გალავნიდან, სანამ ყველაფერს არ გავიგებ. მაშ, უნდა, რომ ხვალ წავიდე? კარგი, მასპინძელი თავადაა. მაგრამ მაშინ ხვალამდე უნდა გავიგო ყველაფერი. ხვალამდე.

– უნდა გაიგოთ? კი, მაგრამ ვინ გაიძულებთ?

– ცოდნას არავინ გვაიძულებს, ადსო. ცოდნა უბრალოდ საჭიროა და მორჩა. თუნდაც რაღაც სწორად ვერ გავიგოთ.

ჯერ კიდევ დაბნეული და დამცირებული ვიყავი უილიამის სიტყვებით, რაც ჩემს ორდენზე და მის ბერებზე თქვა. და მესამე ვარაუდი შევბედე, წინამძღვრის ნაწილობრივ გასამართლებლად. აზრის დიდოსტატი მეგონა საკუთარი თავი.

– მოძღვარო, მესამე შესაძლებლობაც არსებობს, რაც არ გაგითვალისწინებიათ. ნიკოლოზის ამდილანდელმა სიტყვებმა და ეკლესიაში მოსმენილმა მითქმა-მოთქმამაც დადასტურა, რაც ჩვენც შევნიშნეთ ამ დღეებში: იტალიელი ბერების ჯგუფი უკმაყოფილოა იმით, რომ ბიბლიოთეკარები უცხოელები არიან და ტრადიციის უპატივცემულობას საყვედურობენ წინამძღვარს. იტალიელები, როგორც მივხვდი, მოხუც ალინარდუსს არიან ამოფარებული და მას უბიძგებენ წინ მედროშესავით, რათა მისი პირით მოითხოვონ მონასტრის ხელისუფლების შეცვლა. ამას კარგად მივხვდი, ჩემს მონასტერშიც ხშირად მსმენია მსგავსი ამბები ბავშვობაში, იქაც იყო ხოლმე კამათი, უთანხმოება, გადაკრული მინიშნებები, შეთქმულებები. და თუ ასეა… იქნებ წინამძღვარი შიშობს, რომ თქვენი გამოძიება მტერს მის საწინააღმდეგო იარაღს ჩაუგდებს ხელთ, და სურს, ფრთხილად იმოქმედოს…

– შესაძლებელია. მაგრამ მაინც გაყეყილი ტიკია, და იმდენს იზამს, თავს მოაკვლევინებს.

– კი, მაგრამ ჩემს მოსაზრებებზე რას ფიქრობთ?

– მოგვიანებით გეტყვი.

ეზოში ვიდექით. ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა. ბნელდებოდა, თუმცა კი ახალი გამოსული იყო მეცხრე ჟამი. უეჭველი იყო, მწუხრის ლოცვაზე წინამძღვარი აცნობებდა ბერებს, რომ უილიამს აღარც ყველგან შესვლის უფლება ჰქონდა და აღარც შეკითხვების

დასმისა.

– გვიანაა, – თქვა უილიამმა, – და ცოტა დრო გვაქვს. უნდა დავმშვიდდეთ და ისე მოვიქცეთ, თითქოს უსასრულოდ ბევრი დრო გვქონდეს. ერთი საკითხი მაქვს მოსაგვარებელი, როგორ შევაღწიო „აფრიკის კიდეში“, რადგან სწორედ მასშია საბოლოო პასუხი. და კიდევ: ერთი ადამიანი უნდა გადავარჩინოთ, თუმცა ჯერ არ გადამიწყვეტია, რომელი. თავლებიდანაც რაღაცას უნდა ველოდეთ, თვალი გეჭიროს, ნახე, რა ჩოჩქოლია...

მართლაც, ეკლესიასა და ციტადელს შორის ხალხი ირეოდა. დავინახეთ, ერთ-ერთი მორჩილი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ წინამძღვრის ბინიდან გამოვიდა, ახლა ციტადელისკენ გარბოდა. ციტადელიდან ნიკოლოზი გამოვიდა და საძილე ოთახებისკენ გაეშურა. ერთ კუთხეში პაციფიკუსი, აიმარუსი და პეტრე შეჯგუფებულიყვნენ და რაღაცას გამალებით უხსნიდნენ ალინარდუსს, თითქოს ცდილობდნენ, რაღაცაში დაერწმუნებინათ.

ცოტა ხანში დაცხრნენ, თითქოს რაღაცაზე მოილაპარაკესო. ალინარდუსი, ჩანდა, ყოყმანობდა, მაგრამ აიმარუსი მხარში ამოუდგა და წინამძღვრის ბინისაკენ წაიყვანა. ის-ის იყო, შიგნით უნდა შესულიყვნენ, რომ საძილე ოთახების მხრიდან ნიკოლოზი გამოვიდა: ხორხე მიჰყავდა იმავე მიმართულებით. ალინარდუსისა და აიმარუსის დანახვაზე ნიკოლოზმა რაღაც ჩასჩურჩულა ხორხეს, მან თავი გაიქნია, თუმცა არ გაჩერებულან.

– წინამძღვარი აკონტროლებს ვითარებას... – უიმედოდ ჩაილაპარაკა უილიამმა. ციტადელიდან სხვა ბერებიც გამოეფინენ, რომლებიც ახლა წესით სკრიპტორიუმში უნდა ყოფილიყვნენ. მათ ბენციუსიც გამოჰყვა, დაგვინახა და შეშფოთებული გამოექანა ჩვენკენ.

– რაღაც ჩოჩქოლია სკრიპტორიუმში, – გვითხრა, – არავინ მუშაობს, ყველა ერთმანეთს ეჩურჩულება... რა ხდება?

– ის ხდება, რომ ვისზეც დილამდე ეჭვი ჰქონდათ, ყველა მკვდარია. გუშინდლამდე ბერენგარიუსს უყურებდნენ ეჭვით – ბრიყვს, უნებისყოფოს, გაიძვერას, მერე – მეკუჭნავეს, მწვალებლობაში ეჭვმიტანილს, ბოლოს – მალაქიას, ყველასთვის საძულველს... ახლა აღარ იციან, რა იფიქრონ, სასწრაფოდ უნდა მოძებნონ მტერი, განტევების ვაცი. თითოეული ვიღაცაზე ეჭვობს, ზოგს ეშინია, შენსავით, ზოგი კი ცდილობს, თავად შეაშინოს სხვები. ყველანი მეტისმეტად აგზნებულები ხართ. ადსო, დროდადრო თავლებს უყურე. მე ცოტას დავისვენებ.

უნდა გამკვირვებოდა: დასვენება მოინდომა, როცა სულ რამდენიმე საათი დარჩენოდა სამოქმედოდ. არ ჩანდა ბრძნული გადაწყვეტილება, მაგრამ უკვე ვიცნობდი ჩემს მასწავლებელს: რაც უფრო უდრტვინველად განისვენებდა მისი სხეული, მით უფრო დაუღალავად მუშაობდა მისი გონება.

მწუხრსა და სერობას შორის

სადაც უილიამი გაბრუებულია, მე კი მოკლედ მოგითხრობთ, რა მოხდა ამასობაში

ძალიან მიჭირს იმის მოყოლა, რაც ამის შემდეგ, მწუხრიდან სერობამდე მოხდა.

უილიამი თავის სენაკში იყო. მე თავლებს ვადევნებდი თვალყურს, თუმცა უჩვეულო არაფერი შემინიშნავს. მეჯინიბეები ცხენებს აბინავებდნენ. ცხოველები შფოთავდნენ ძლიერი ქარის გამო, თუმცა სხვა მხრივ ირგვლივ სიმშვიდე იყო.

ტაძარში შევედი. ბერებს თავიანთი ადგილები დაეკავებინათ. წინამძღვარმა შენიშნა, რომ ხორხე არ ჩანდა. ბენციუსს უხმო, უნდოდა, ხორხეს მოძებნა დაევალებინა. არც ბენციუსი აღმოჩნდა ტაძარში. ვიღაცამ შენიშნა, ალბათ, სკრიპტორიუმს კეტავსო. წინამძღვარი გაღიზიანდა, ბენციუსს არაფრის დაკეტვა არ ევალება, რადგან წესები არ იცისო. მაშინ

აიმარუს ალექსანდრიელი წამოდგა ფეხზე: – მამაო, თუ ნებას მომცემთ, მე დავუძახებ...

– შენთვის არავის არაფერი უთხოვია, – უხეშად უპასუხა წინამძღვარმა და აიმარუსიც თავის ადგილს დაუბრუნდა, თუმცა დაჯდომამდე უცნაურად გახედა ტივოლელ პაციფიკუსს. წინამძღვარმა ნიკოლოზი იხმო. არც ის აღმოჩნდა ტაძარში. შეახსენეს, ვახშმის თადარიგშიაო. წინამძღვარი აშკარად გაღიზიანდა, თუმცა არ უნდოდა, სხვებს დაენახათ, რომ აფორიაქებული იყო.

– ხორხე მჭირდება, – აყვირდა, – მოძებნეთ! შენ წადი! – უბრძანა მორჩილთა მოძღვარს.

ვიღაცამ უთხრა, არც ალინარდუსია ადგილზეო. – ვიცი, – შეეპასუხა წინამძღვარი, – ავადაა. ალბანოელ პეტრესთან ახლოს ვიდექი და გავიგონე, ნოლელ გუნციუსს როგორ გადაულაპარაკა ცენტრალური იტალიის დიალექტზე, რომელიც უკვე საკმაოდ კარგად მესმოდა: – ავად იქნება, აბა რა. დღეს, დაკითხვის შემდეგ, თავზარდაცემული იყო საცოდავი ბებერი. ავინიონელი მეძავივით იქცევა აბონი!

მორჩილებიც დამფრთხალნი ჩანდნენ, ბავშვური გუმანით გრძნობდნენ ეკლესიაში დასადგურებულ დაძაბულობას. მეც იმავეს ვგრძნობდი. უხერხული დუმილი დიდხანს გაგრძელდა. წინამძღვარმა ფსალმუნების წაკითხვა ბრძანა. დაუფიქრებლად დაასახელა სამი ფსალმუნი, რომლებიც მწუხრის ლოცვაში არ შედიოდა. ბერებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ხმადაბლა ადუდუნდნენ. ამასობაში მორჩილთა მოძღვარიც დაბრუნდა, უკან ბენციუსი მოსდევდა, რომელიც თავჩაქინდრული დაჯდა თავის ადგილზე. წინამძღვარმა ბრძანა, ლოცვა დაეწყოთ.

სანამ ბერები სავახშმოდ გავიდოდნენ, უილიამის დასაძახებლად წავედი. თავის საწოლზე იწვა ჩაცმული, გაუნძრევლად. მითხრა, არ მეგონა, ასე გვიანი თუ იყოო. მოკლედ მოვუყევი, რაც მოხდა. თავი გააქნია.

სატრაპეზოს კართან ნიკოლოზი დავინახეთ. უილიამმა ჰკითხა, წეღან, ხორხეს რომ გაჰყევი, მოხუცი მაშინვე შევიდა წინამძღვართანო? ნიკოლოზმა უპასუხა, ცოტა ლოდინი მოუხდა, რადგან შიგნით ალინარდუსი და აიმარუს ალექსანდრიელი იყვნენო. მარტო შევიდა, მე გარეთ ველოდებოდიო. მერე ისევ ტაძრამდე მივაცილე, მწუხრის ლოცვას ერთი საათი აკლდა და ეკლესია ცარიელი იყოო.

მეკუჭნავეს რომ ველაპარაკებოდით, წინამძღვარმა დაგვინახა. – ძმაო უილიამ, – დაუძახა, – ისევ გამოძიებას აწარმოებთ? – და გვანიშნა, წესისამებრ, მაგიდას მივსხდომოდით. წმინდათაწმინდაა ბენედიქტელთათვის სტუმართმოყვარეობა.

ვახშამმა ჩვეულებრივზე უხმოდ და ნაღვლიანად ჩაიარა. წინამძღვარი უმადოდ მიირთმევდა, ჩანდა, უსიამოვნო ფიქრები არ ასვენებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და აფორიაქებულმა შეახსენა ბერებს, სერობის ლოცვაზე წადითო.

ალინარდუსი და ხორხე კვლავაც არ ჩანდნენ. ბერები თავებს აქნევდნენ, ჩურჩულით ანიშნებდნენ ერთმანეთს უსინათლოს ცარიელ ადგილზე. ლოცვის დასრულების შემდეგ წინამძღვარმა მოუწოდა ბერებს, საგანგებო ლოცვა წავიკითხოთ ბურგოსელი ხორხეს ჯანმრთელობისთვისო. გაუგებარი იყო, სხეულის სიმრთელეს გულისხმობდა აბონი თუ მარადიულ ჯანმრთელობას. ყველამ იგრძნო, რომ მალე საძმოს ახალი უბედურება დაატყდებოდა თავს. ლოცვის შემდეგ წინამძღვარი უცნაურად აჩქარდა, ბერებს უბრძანა, მოსასვენებლებლად წადით და არავინ გამოვიდეს თავისი ოთახიდანო. გაიმეორა, არავინო. მორჩილები პირველები გავიდნენ ტაძრიდან, შეშინებულები, თავდახრილები, უხმოდ მიდიოდნენ, სახეები სამოსში ჩაემალათ და ცდილობდნენ, ბავშვური ღიმილი დაეფარათ, გასასვლელში იდაყვებს ჰკრავდნენ, ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, როგორც ყოველთვის (მორჩილი ხომ ყრმაა და დიდად არ დაგიდევთ მოძღვრის ბურტყუნსა და ჩაგონებას, რომელიც მუდამ უშლის ანცობასა და გართობას).

როცა უფროსები გამოვიდნენ, გამოვყევი და ავედევნე ჯგუფს, რომელსაც უკვე „იტალიელებს“ ვეძახდი. პაციფიკუსი აიმარუსს ებუტბუტებოდა: – გჯერა, რომ აბონმა მართლა არ იცის, სადაა ხორხე? აიმარუსმა უპასუხა: – შეიძლება იცის, და ისიც იცის, ალბათ, რომ აღარასოდეს დაბრუნდება იქიდან. ალბათ, ბებერმა მეტისმეტი მოინდომა

და აბონს აღარ უნდა…

მე და უილიამმა თავი მოვაჩვენეთ, ვითომ მომლოცველთა მოსასვენებლისკენ მივდიოდით და დავინახეთ, როგორ შებრუნდა წინამძღვარი ციტადელში სატრაპეზოს კარიდან. კარი ჯერ კიდევ ღია იყო. უილიამმა მითხრა, ცოტა ხანს კიდევ შევიცადოთო და როცა იქაურობა დაცარიელდა, მანიშნა, მომყევიო. სწრაფად გადავჭერით ცარიელი ეზო და ტაძარში შევედით.

სერობის შემდეგ

სადაც უილიამი თითქმის შემთხვევით ამოხსნის „აფრიკის კიდეში“ შეღწევის საიდუმლოს

შესასვლელში სვეტებს ამოვეფარეთ. მკვლელებივით ჩასაფრებულები ვუთვალთვალებდით თავისქალებიან კაპელას.

– აბონი ციტადელის დასაკეტად შევიდა, – მითხრა უილიამმა. – როცა შიგნიდან გადარაზავს კარს, საძვალედან უნდა გამოვიდეს, სხვა გზა არა აქვს.

– მერე?

– მერე ვნახოთ, რას იზამს.

ვერ გავიგეთ, რას იზამდა. ერთი საათი ველოდეთ და არავინ გამოჩენილა. „აფრიკის კიდეში“ შევიდა, ალბათ, – ვუთხარი უილიამს. შეიძლება, – მიპასუხა მასწავლებელმა. ახალი ვარაუდი გამოვაცხვე: – ალბათ, ისევ სატრაპეზოდან გამოვიდა და ხორხეს საძებრადაა წასული. უილიამმა გამომხედა: – ეგეც შესაძლებელია. – ხორხე იქნებ უკვე მკვდარიცაა, – არ ვეშვებოდი, – ან იქნებ ციტადელშია და ახლა წინამძღვარს კლავს. იქნებ ორივენი სულ სხვაგან არიან და ვიღაც სხვა ელით ჩასაფრებული. რა უნდოდათ იტალიელებს? რატომ იყო ბენციუსი ასეთი შეშინებული? ან იქნებ თავს გვაჩვენებდა, რომ მოვეტყუებინეთ? რატომ შეყოვნდა სკრიპტორიუმში მწუხრის ლოცვაზე, თუ არც დაკეტვა შეეძლო და ვერც ციტადელიდან გამოვიდოდა? ლაბირინთში უნდოდა შესვლა?

– ყველაფერი შესაძლებელია, – მითხრა უილიამმა. – მაგრამ უეჭველი მხოლოდ ერთი რამ იყო, არის და იქნება… ღმერთი მოწყალეა და ბოლოს მოგვივლენს ჭეშმარიტების ნათელს.

– რა არის უეჭველი? – ვკითხე იმედმოცემულმა.

– ის, რომ ბასკერვილელმა მამა უილიამმა, რომელსაც ახლა მართლა ფიქრობს, რომ ყველაფერს მიხვდა, არ იცის, როგორ შეაღწიოს „აფრიკის კიდეში“. თავლებისკენ, ადსო, თავლებისკენ.

– წინამძღვარმა რომ დაგვინახოს?

– ვითომ მოჩვენებები ვართ.

არც ისე ადვილი ჩანდა ეს საქმე, მაგრამ ხმა არ ამომიღია. უილიამი ღელვას ვერ მალავდა. ჩრდილოეთის კარიდან გავედით და სასაფლაო გავიარეთ. ქარი ძლიერად უბერავდა და ღმერთს შევთხოვე, აქეთ არ გადაგვეყარონ-მეთქი აჩრდილები, იმ ღამით მონასტერს ნამდვილად არაფერში სჭირდებოდა ორი ზედმეტი ცოდვილი სული. თავლებს მივადექით. სტიქია ბობოქრობდა და ცხენები შფოთავდნენ. მთავარ კარზე ადამიანის მკერდის სიმაღლეზე ლითონის ბადე იყო ჩასმული. შიგნით შევიხედეთ. სიბნელეში ცხენების კონტურები მოჩანდა, წაბლა ვიცანი, მარცხნივ, პირველივე. მის გაყოლებაზე მესამე ცხენმა თავი წამოსწია, ჩვენი სიახლოვე იგრძნო და დაიფრუტუნა. გამეცინა. – tertius equi (ცხენის მესამე), – ჩავილაპარაკე.

– რაო? – მკითხა უილიამმა.

– არაფერი. უბედური სალვატორე გამახსენდა. ვინ იცის, რას ჩმახავდა იმ ცხენზე და თავისი დამტვრეული ლათინურით ცხენის მესამეს ეძახდა, ანუ „უ“ გამოდის.

– „უ“? – უყურადღებოდ გაიმეორა უილიამმა, არც მისმენდა, რას ვამბობდი.

– ჰო, ლათინურად ხომ tertius equi მესამე ცხენს კი არა, ცხენის მესამეს ნიშნავს, ან სიტყვა ცხენის მესამე ასოს, ანუ „უ“-ს. სისულელეა, არაფერი…

უილიამმა გამომხედა. სიბნელეში დავინახე, როგორ უკიაფებდა თვალები. – ღმერთმა დაგლოცოს, ადსო! – შესძახა. – რა თქმა უნდა, suppositio materialis[228], de dicto[229] უნდა იფიქრო და არა de re[230]… რა რეგვენი ვარ! – და შუბლში იკრა გაშლილი ხელი. საშინელი ტყაპუნი გაისმა და მგონი, ეტკინა კიდეც. – ჩემო ბიჭუნავ, დღეს მეორედ ღაღადებს შენი ბაგეებით ჭეშმარიტება, ჯერ სიზმარში და ახლა – სიფხიზლეში! გაიქეცი საკანში, სანათური მოიტანე, ორივე წამოიღე, მაშინ რომ გადავმალეთ. ოღონდ არავინ დაგინახოს, და სასწრაფოდ ეკლესიაში მოდი, იქ დაგხვდები. ნურაფერს მკითხავ, ჩქარა!

უხმოდ გავიქეცი. სანათურები თივის საგების ქვეშ მქონდა დამალული, ზეთით იყო სავსე, წინასწარ მქონდა მომზადებული. კაჟი მქონდა სამოსში. გულზე მივიხუტე ძვირფასი ნივთები და ეკლესიისკენ მოვკურცხლე.

უილიამი სამფეხასთან იდგა და ვენანციუსის შენიშვნებიან პერგამენტს ჩასჩერებოდა.

– ადსო, – მითხრა, – პირველი და მეშვიდე ოთხიდან ოთხიდან პირველს და მეშვიდეს კი არ ნიშნავს, არამედ სიტყვა ოთხი-ს, quatuor-ის, პირველ და მეშვიდე ასოებს!

უცებ ვერ მივხვდი, მერე გამინათდა გონება: Super thronos viginti quatuor! სარკის თავზე ამოტვიფრული წარწერა!

– წავიდეთ! – მითხრა უილიამმა, – ალბათ, ჯერ კიდევ შესაძლებელია ერთი სიცოცხლის გადარჩენა!

– ვისი? – ვკითხე. უილიამს უკვე თავის ქალაში შეეყო თითები და საძვალის გაღებას ცდილობდა.

– ვიღაცის, ვინც გადარჩენას არ იმსახურებს, – მითხრა. უკვე მიწისქვეშეთში ვიყავით, ანთებული სანათურები გვეჭირა და სამზარეულოსკენ მივდიოდით.

ადრეც გითხარით, ამ ადგილას ხის კარი იყო, რომელიც სამზარეულოში ბუხრის უკან, ხვეული კიბის ძირში, გადიოდა. კიბე სკრიპტორიუმში ადიოდა. როგორც კი კარს მივაწექით, მარცხნივ, კედლიდან, ყრუ ხმა მოგვესმა. ძვლებისა და თავის ქალების მწკრივის ბოლოს, უკანასკნელ ნიშასთან, კედელი ყრუ იყო, დიდი, ოთხკუთხა ქვებით ნაშენი. შუაში, ერთ-ერთ ქვაზე, მონოგრამები იყო ამოტვიფრული. ქვის ზედაპირი გაცვეთილი იყო, ოდნავ ემჩნეოდა ასოები. ხმა სწორედ ამ ქვის უკნიდან მოდიოდა. ან, შეიძლება, ზემოდან.

პირველ ღამეს რომ მომხდარიყო ამგვარი რამ, მაშინვე გარდაცვლილ ბერთა სულები გამახსენდებოდა. მაგრამ ახლა ცოცხალი ბერების უფრო მეშინოდა. – ვინ იქნება? – ვკითხე უილიამს.

უილიამმა კარი შეაღო და სამზარეულოში შევიდა. ხმა იმ კედლიდანაც ისმოდა, რომელიც ხვეულ კიბეს მიუყვებოდა, ან, სავარაუდოდ, სამზარეულოს შიგა კედელსა და ციტადელის გარე, სამხრეთის კოშკის კედელს შორის სივრციდან (რომელიც საკმაოდ განიერი უნდა ყოფილიყო). თითქოს ვიღაც იყო კედელში გამომწყვდეული.

– აქ ვიღაცაა ჩაკეტილი, – თქვა უილიამმა. – სულ ვფიქრობდი, რომ ამ ციტადელში, სადაც ამდენი გასასვლელ-გამოსასვლელია, მეორე გზაც უნდა ყოფილიყო „აფრიკის კიდისკენ“. ალბათ, ასეც არის. საძვალეში, სანამ სამზარეულოში გამოხვალ, კედლის ნაწილი იხსნება და, ალბათ, ამ კიბის პარალელური მეორე კიბე ადის ზევით. კიბე კედელშია ჩამალული და პირდაპირ დახურულ ოთახში ადის.

– კი, მაგრამ ახლა ვინაა შიგნით?

– მეორე ადამიანი. პირველი უკვე „აფრიკის კიდეშია“. მეორემ სცადა, დასწეოდა, მაგრამ იმან, ვინც ზევითაა, როგორც ჩანს, კედლიდან ორივე გამოსასვლელი გადაუკეტა. ასე რომ, მდევარი ხაფანგში აღმოჩნდა. ჰოდა, ალბათ, ასე იმიტომ ბორგავს, რომ ჰაერი აღარ ჰყოფნის.

– კი, მაგრამ ვინ იქნება? გადავარჩინოთ!

– ვინაა, ამას მალე ვნახავთ. გადასარჩენად კი ზევიდან უნდა გაიხსნას საკეტი, რადგან აქედან არ ვიცით, როგორ ისხნება. ჩქარა ავიდეთ.

ასეც მოვიქეცით, სკრიპტორიუმში ავედით, იქიდან კი – ლაბირინთში. მალე მივადექით სამხრეთის კოშკს. გზაში ორჯერ შევჩერდი, ქარი საშინლად უბერავდა ღრიჭოებიდან, ოთახებში დასისინებდა და მაგიდებზე მიმობნეულ ფურცლებს აფრიალებდა. სანათურს ხელს ვაფარებდი, რომ ქარს პატრუქი არ ჩაექრო.

მალე მივადექით სარკიან ოთახს, საკუთარ დაბრეცილ გამოსახულებას აღარ შევუშინებივარ. სანათურები ავწიეთ და ჩარჩოს ზევით ამოტვიფრული წარწერა გავანათეთ, super thronus viginti quatuor... საიდუმლო უკვე ამოხსნილი იყო, სიტყვა quatuor შვიდი ასოსგან შედგება, „ქ“-სა და „რ“-ზე უნდა დაგვეჭირა ხელი. აგზნებული ვიყავი, ვერ ვითმენდი, მინდოდა, მე გამეღო კარი. სანათური ოთახის შუაგულში, მაგიდაზე, დავდე და ნაჩქარევად, აღელვებით დავაწექი ასოებს. ქარმა დაუბერა და ცეცხლი ერთ-ერთი წიგნს მოედო, რომელიც მაგიდაზე იდო.

– ფრთხილად, სულელო! – დამიყვირა უილიამმა და სულის შებერვით ჩააქრო სანათური. – გინდა, ცეცხლი მოსდო ბიბლიოთეკას?

მოვუბოდიშე და ჭრაქის ანთება ვცადე. – არ გინდა, – მითხრა უილიამმა, – ერთიც გვეყოფა. აიღე და მომინათე, წარწერა მაღალზეა, შენ ვერ მისწვდები. ჩქარა.

– შიგნით რომ შეიარაღებული დაგვხვდეს ვინმე? – ვუთხარი შეშფოთებულმა, სანამ უილიამი ფეხის წვერებზე აწეული ეხებოდა „გამოცხადების“ სიტყვების საბედისწერო ასოებს.

– მომინათე, თუ ეშმაკი გწამს, ნუ გეშინია, ღმერთი ჩვენთანაა! – ფრიად უცნაური რამ მითხრა მოძღვარმა. უილიამს „ქ“-ზე ედო ხელი, მე უკან ვიდექი და უკეთ ვხედავდი, რას აკეთებდა. უკვე გითხარით, შორიდან ასოები ქვაზე ამოტვიფრულს ჰგავდა, თუმცა, როგორც ჩანს, თითოეული ასო განცალკევებით იჯდა ლითონის ჩარჩოში და რთული მექანიზმი მათ უკან იყო ჩაშენებული. დაწოლაზე „ქ“ ჩხაკუნით გამოხტა წინ, იგივე მოხდა, როცა უილიამი „რ“-ს შეეხო: სარკის მთელი ჩარჩო შეხტა და შუშის ზედაპირი გარეთ გამოვარდა. სარკე კარი იყო, კედელზე მარცხენა კიდით მიმაგრებული. უილიამმა ხელი შეყო ღიობში და კარი იმდენზე გამოსწია, რომ შეტეულიყო, მეც უკან მივყევი, სანათური თავს ზევით მეჭირა.

სერობის ლოცვიდან ორი საათის შემდეგ, მეექვსე დღის მიწურულს, ღამით, რომელიც მალე მეშვიდე დღედ დაგვათენდებოდა, „აფრიკის კიდეში“ ვიყავით.

დღე მეშვიდე

ღამე

სადაც იმდენ უჩვეულო და ღირსშესანიშნავ ამბავს აეხდება ფარდა, მათი შეჯამება რომ მოვინდომოთ, ეს თავი და მისი ქვესათაური ლამის ერთი სიგრძისა გამოვიდოდა. ეს კი ჩვეულებას ეწინააღმდეგება

უფანჯრო ოთახში აღმოვჩნდით, რომელიც ფორმით დანარჩენ შვიდკუთხა ოთახებს ჰგავდა. ჩახუთულ ჰაერში ნესტიანი წიგნებისა და შმორის სუნი იდგა. სანათური მაღლა მეჭირა და რომ შევედით, ჯერ ოთახის ჭერი განათდა. მერე შუქმა მკრთალად გაანათა კედლებზე ჩაყოლებული თაროები. ბოლოს ოთახის შუაგულში ქაღალდებით სავსე მაგიდა დავინახეთ. მაგიდასთან უძრავად იჯდა კაცი, თითქოს ჩვენ გველოდა ბნელში, მოთმინებით (თუ ცოცხალი იყო). სანამ სახეზე მივანათებდი, უილიამი გამოელაპარაკა.

– ღამე მშვიდობისა, ღირსო ხორხე, გველოდი?

სანათურის სინათლე ახლა პირდაპირ სახეზე ეცემოდა მოხუცს. ისე გვიყურებდა, თითქოს გვხედავდა.

– შენ ხარ, უილიამ ბასკერვილელო? საღამოს გელოდი, მწუხრის ლოცვამდე, მას მერე, რაც აქ ამოვედი და ჩავიკეტე. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი.

– წინამძღვარია? – ჰკითხა უილიამმა. – ის აბრახუნებს საიდუმლო კიბიდან?

ხორხე წამით შეყოვნდა. მერე განაგრძო: – კიდევ ცოცხალია? მეგონა, გამოიხრჩო უჰაეროდ.

– სანამ საუბარს დავიწყებთ, მინდა, გადავარჩინო, – უთხრა უილიამმა. – ხომ შეგიძლია, გაუღო აქედან.

– არა, – ხორხე დაღლილი ჩანდა. – ვეღარ გავუღებ. მექანიზმი ქვევიდან იღება, ქვას რომ დააწვები, საკეტი იხსნება და კარს აღებს იქ, იმ კარადის უკან, – ზურგს უკან გვანიშნა. – შეგიძლია, ნახო, კარადის გვერდით ბორბალია, ზედ სიმძიმეები ჰკიდია. აქედან იმართება მექანიზმი. ბორბლის ტრიალი რომ გავიგე, მივხვდი, აბონი შიგნით იყო და თოკი გადავჭერი. ახლა გასასვლელი ორივე მხრიდან დახშულია და ვეღარაფერი შეაკოწიწებს იმ მოწყობილობას. წინამძღვარი მკვდარია.

– რატომ მოკალი?

– დღეს მიხმო და მითხრა, რომ შენი წყალობით ყველაფერი გამოარკვია. თუმცა არ იცოდა, მაინც რის დაცვას ვცდილობდი, ბოლომდე ვერ მიხვდა, რა იყო ბიბლიოთეკის განძი, ამ ბიბლიოთეკის მოვალეობა. მთხოვა, ამეხსნა, რაც თავად ვერ გაეგო. „აფრიკის კიდის“ გაღება დამავალა. იტალიელებს მოუთხოვიათ, ფარდა ამეხადა ჩემ და ჩემს წინამორბედთა მიერ შექმნილი (მათ ასე უთქვამთ) საიდუმლოსთვის. ცნობისწადილმა მოსვენება დაუკარგა ყველას...

– ჰოდა, შენც დაჰპირდი, რომ აქ ამოხვიდოდი და საკუთარი ნებით დაასრულებდი სიცოცხლეს, როგორც სხვებისას მოუღე ბოლო: მონასტრის ღირსებაც გადარჩებოდა და ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, არა? თან უთხარი, რომ მოგვიანებით მოსულიყო და შეემოწმებინა. სინამდვილეში კი მოსაკლავად სდარაჯობდი. კი, მაგრამ არ გიფიქრია, რომ სარკიდან შემოვიდოდა?

– არა, წინამძღვარი ტანდაბალია, დაუხმარებლად ვერაფრით მისწვდებოდა წარწერას. ამიტომ ვასწავლე გზა, რომელიც ახლა მხოლოდ მეღა ვიცოდი. საიდუმლო კიბიდან ყველაზე მოსახერხებელი იყო უსინათლოდ აქ ამოსვლა. საკმარისია, კაპელასთან მიხვიდე და მერე საძვალეს მიჰყვე ბოლომდე.

– და შემოიტყუე. იცოდი, რომ მოკლავდი.

– ვეღარც მას ვენდობოდი. დამფრთხალი იყო. აბონმა თავის დროზე მარტო იმით გაითქვა სახელი, რომ ფოსანოვაში დახვეულ კიბეზე მარტომ ჩამოასვენა მიცვალებულის

[illegible] უზარმაზარი სხეული. დაუმსახურებელი იყო მისი დიდება. ჰოდა, ახლა იმიტომ მოკვდა, რომ საკუთარი სხეულიც კი ვერ აიტანა კიბეზე.

– ორმოცი წელი იყენებდი მას. როცა მიხვდი, რომ ბრმავდებოდი და ვეღარ უმეთვალყურებდი ბიბლიოთეკას, ყველაფერი კარგად გათვალე. წინამძღვრად ისეთი კაცი აარჩევინე, ვისაც ენდობოდი, ბიბლიოთეკარად კი ჯერ რობერტუს ბობიოელი დააყენებინე, რომელსაც ისე გაწვრთნიდი, როგორც მოგეპრიანებოდა, შემდეგ კი მალაქია, რომელიც შენთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდა. ორმოცი წელი განაგებდი ამ მონასტერს. ამას მიხვდა იტალიელების ჯგუფი, ამას იმეორებდა ალინარდუსიც, მაგრამ ყური არავინ ათხოვა, რადგან ყველა უკვე გამოჩერჩეტებულად თვლიდა, არა? ახლა კი მე მელოდებოდი. სარკიდან შემოსასვლელს ვერაფერს მოუხერხებდი, რადგან მექანიზმი კედელშია დატანებული. რატომ მელოდი, ან რა იცოდი, რომ მოვიდოდი? – უილიამის ხმაში იგრძნობოდა, რომ შესანიშნავად იცოდა პასუხი და მხოლოდ იმიტომ ეკითხებოდა, რომ საკუთარი გამჭრიახობის დასტური მიეღო ხორხესგან.

– პირველ დღესვე მივხვდი, რომ შენ ამოხსნიდი ამ საიდუმლოს. შენი ხმით მივხვდი ამას, იმით, თუ როგორ მაიძულე, იმაზე მეკამათა, რაზეც ხმის ამოღება არ მსურდა. სხვებს ბევრად სჯობდი, ეჭვი არ იყო, მიაღწევდი საწადელს. იცი, რომ საკმარისია, საკუთარ გონებაში გააცოცხლო სხვის აზრთა მდინარება. მომდევნო დღეებშიც მესმოდა, რას ეკითხებოდი ბერებს: ზუსტად იმას, რაც უნდა გეკითხა. ბიბლიოთეკაზე არასოდეს არაფერი გიკითხავს, თითქოს უკვე იცოდი მისი ყველა საიდუმლო. ერთხელ, ღამით, სენაკში მოგაკითხე და არ დამხვდი. უეჭველია, იმ ღამეს აქ იყავი. იმასაც მოვკარი ყური, მოსამსახურე ამბობდა, ორი სანათური დაიკარგა სამზარეულოდანო. და ბოლოს, იმ დღეს სევერინუსი ნართექსში რაღაც წიგნზე რომ გელაპარაკებოდა, მივხვდი, რომ სწორ კვალს ადექი.

– მაგრამ მაინც მოახერხე და წამართვი წიგნი. მალაქიას მიადექი, რომელიც ვერაფერს ხვდებოდა. ისედაც ბრიყვს, ეჭვიანობამ მთლად დაუბინდა გონება, შიშით იყო შეპყრობილი, ადელმუსმა თავისი სათაყვანებელი ბერენგარიუსი წაართვა და ბერენგარიუსმაც ახალგაზრდა სხეულში გაცვალა. ვერ გაეგო, ვენანციუსი რა შუაში იყო მთელ ამ ამბავში, შენ კი მთლად აურიე ტვინი, უთხარი, ბერენგარიუსს სევერინუსთან სასიყვარულო კავშირი აქვს და ამის სანაცვლოდ „აფრიკის კიდიდან“ წიგნი მისცაო. ზუსტად არ ვიცი, რა უთხარი, მაგრამ მალაქიამ, ეჭვიანობით გაგიჟებულმა, სევერინუსი მოკლა. შენ მიერ აღწერილი წიგნის მოძებნა კი ვეღარ მოასწრო, წინამძღვარმა შეუშალა ხელი. ასეა?

– დაახლოებით.

– თუმცა არ გინდოდა მალაქიას სიკვდილი. იმას, ალბათ, ნანახიც არ ჰქონდა „აფრიკის კიდის“ წიგნები, შენ გენდობოდა, შენს ბრძანებებს ემორჩილებოდა. მისი მოვალეობა საღამოობით დამბანგავი ბალახბულახის აქ ამოტანა იყო ცნობისმოყვარეთა დასაშინებლად. ბალახებით კი სევერინუსი ამარაგებდა. ამიტომაც შეუშვა იმ ღამეს სევერინუსმა მალაქია თავის სამუშაო ოთახში, როგორც ყოველთვის, ბალახები უნდა წამოეღო, რომლებსაც სევერინუსი ყოველდღე ამზადებდა წინამძღვრის ბრძანებით. გამოვიცანი?

– გამოიცანი. არ მინდოდა მალაქიას სიკვდილი. წიგნის მოძებნა დავავალე, ვუთხარი, რომ რადაც უნდა დასჯდომოდა, წიგნი გადაუშლელად უნდა დაებრუნებინა თავის ადგილას. დავაშინე, იმ წიგნს ათასი ღრიანკალის ძალა აქვს-მეთქი, მაგრამ უგუნურმა ერთადერთხელ გამოიჩინა ურჩობა. არ მინდოდა მისი სიკვდილი, ყურმოჭრილი შემსრულებელი იყო მალაქია. იმას ნუ მიმეორებ, რა იცი. ვიცი, რომ იცი. შენი ამპარტავნობა არაფერში მჭირდება, შენთვის დაიტოვე. ამ დილას მესმოდა, ბენციუსს რომ ეკითხებოდი „კვიპრიანეს ნადიმზე“. ძალიან ახლოს იყავი ჭეშმარიტებასთან. არ ვიცი, როგორ ამოხსენი სარკის საიდუმლო, მაგრამ როცა წინამძღვარმა მითხრა, რომ „აფრიკის კიდე“ გიხსენებია მასთან, დავრწმუნდი, რომ შიგნითაც მალე შემოაღწევდი. ამიტომ გელოდი. ახლა რაღა გინდა?

– მინდა, – დაიწყო უილიამმა, – იმ წიგნის უკანასკნელი ხელნაწერი ვიხილო, რომელშიც არაბულ და სირიულ ტექსტებთან ერთად „კვიპრიანეს ნადიმის“ ასლია აკინძული. ის ბერძნული ხელნაწერი მინდა ვნახო, რომელიც, ალბათ, ვინმე არაბის ან ესპანელის გადაწერილია და მაშინ ჩაგივარდა ხელთ, როცა ჯერ კიდევ რიმინელი პავლეს თანაშემწე იყავი და შენს სამშობლოში გაგგზავნეს ლეონისა და კასტილიის „გამოცხადების“ საუკეთესო ხელნაწერთა შესაგროვებლად. ნადავლი, რომელმაც სახელი და დიდება მოგიხვეჭა ამ მონასტერში და ბიბლიოთეკარის ადგილიც გარგუნა, თუმცა ის შენზე ათი წლით უფროს ალინარდუსს ეკუთვნოდა. ბერძნული წიგნი მინდა ვიხილო, უიშვიათეს სელის ქაღალდზე დაწერილი, რომელიც სწორედ სილოსში, ბურგოსის ახლოს – შენს სამშობლოში იწარმოებოდა. ის წიგნი, რომელიც წაკითხვისთანავე გადამალე, რომ სხვასაც არ წაეკითხა, საგულდაგულოდ სდარაჯობდი, არ გაანადგურე, რადგან შენნაირი კაცი წიგნს არ ანადგურებს, მხოლოდ სდარაჯობს და ცდილობს, არავის წააკითხოს. მინდა, არისტოტელეს „პოეტიკის“ მეორე წიგნი ვნახო, რომელიც ყველას დაკარგულად ან საერთოდ არდაწერილად მიაჩნია, და რომლის, ალბათ, ერთადერთი ასლი ახლა შენს ხელთაა.

– რა არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკარი იქნებოდი, უილიამ, – ხორხეს ხმაში აღფთოვანებაც იგრძნობოდა და სინანულიც. – ახლა ყველაფერი იცი. მომიახლოვდი, მგონი, მანდ სკამი უნდა იდგეს, დაჯექი. აჰა, შენი ჯილდო.

უილიამი დაჯდა. სანათური მივაწოდე. უილიამმა მაგიდაზე დადო და შუქმა ქვევიდან გაუნათა ხორხეს სახე. მოხუცმა გადაშლილი წიგნი აიღო და უილიამს მიაწოდა. ყდა ვიცანი, ის წიგნი იყო, სევერინუსის ოთახში რომ გადავშალე და არაბული ხელნაწერი მეგონა.

– გადაფურცლე, წაიკითხე, უილიამ, შენ გაიმარჯვე. – უთხრა ხორხემ.

უილიამმა წიგნს დახედა, მაგრამ არ შეხებია. სამოსიდან ხელთათმანები ამოიღო, თავისი კი არა, თითის წვერები რომ ჰქონდა გადაჭრილი, არამედ ის ხელთათმანები, სევერინუსს რომ ეცვა, როცა მკვდარი ვიპოვეთ. ნელა გადაშალა გაცვეთილი ყდა. მივუახლოვდი და მის მხართან დავიხარე. ხორხეს მახვილ ყურს არ გამოპარვია ხმაური. – შენც აქ ხარ, ბიჭუნავ? – მითხრა. – შენც განახვებ... მერე.

უილიამმა სწრაფად გადაათვალიერა პირველი გვერდები. – არაბული ხელნაწერია, – უთხრა ხორხეს, – ვიღაც სულელთა გამონათქვამებზე, როგორც კატალოგშია მითითებული. რა არის?

– ოჰ, ურწმუნოთა ბრიყვული მონაჩმახია იმაზე, რომ სულელები მახვილგონიერებით ხშირად მღვდელმთავართაც კი აოცებენ და აღაფრთოვანებენ თავიანთ ხალიფებს...

– მეორე სირიული ხელნაწერია. კატალოგის მიხედვით, ალქიმიის ეგვიპტური წიგნის თარგმანია. აქ რატომაა აკინძული?

– ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ეგვიპტური ნაშრომია, მომდევნო ნაწარმოების მსგავსი, მაგრამ ნაკლებად საშიში. აფრიკელი ალქიმიკოსის ბოდვას არავინ დაუგდებს ყურს. სამყაროს შექმნას ღმერთის სიცილის ნაყოფად აცხადებს... – თავი ასწია და სიტყვასიტყვით გაიმეორა ორმოცი წლის წინ წაკითხული. გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა ხორხეს, ზეპირად ახსოვდა ყველაფერი, რაც მხედველობის დაკარგვამდე წაეკითხა: – „და რაწამს გაიცინა ღმერთმა, იშვა სამყაროს განმგებელი შვიდი ღვთაება. ღმერთის ხარხარზე იქმნა სინათლე, მის მეორე გაცინებაზე – წყალი, მისი სიცილის მეშვიდე დღეს კი იქმნა სული...“ სიგიჟეა. მომდევნო ხელნაწერიც ერთ-ერთის დაწერილია იმ უგუნურთაგან, „ნადიმის“ კომენტარებს რომ დრო დაახარჯეს... მაგრამ შენ ეს არ გაინტერესებს.

მართლაც, უილიამი სწრაფად ფურცლავდა წიგნს და ახლა უკვე ბერძნულ ტექსტს ჩასცქეროდა. მაშინვე დავინახე, რომ ამ ნაწილში ფურცლები სხვაგვარი, უფრო რბილი იყო, პირველი გვერდი ერთიანად დაფლეთილი, დალაქავებული, ნესტით შეჭმული ჩანდა. უილიამმა ხარბად წაიკითხა პირველი სტრიქონები. ჯერ ბერძნულად კითხულობდა და სწრაფადვე თარგმნიდა ლათინურად, მერე კი პირდაპირ ლათინურად განაგრძო, უნდოდა, მეც გამეგო, რას ამბობდა საბედისწერო წიგნი.

პირველ წიგნში ტრაგედიასა და იმაზე ვილაპარაკეთ, თუ როგორ განწმენდს იგი ვნებათაგან შიშისა და გულმოწყალების აღძვრით. დაპირებისამებრ, ახლა კომედიაზე (და მასთან – სატირასა და მიბაძვაზე) და იმაზე ვისაუბრებთ, თუ როგორ განწმენდს იგი ვნებათ სიცილით მიღებული სიამოვნებით. თუ რაოდენ ღირსია ყურადღებისა სიცილის ვნება, ამაზე უკვე ვისაუბრეთ წიგნში სულის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ ოდენ ადამიანს – ერთადერთს ცხოველთა შორის – ძალუძს სიცილი. ამრიგად, განვსაზღვრავთ, რაგვარ ქმედებათა მიბაძვაა კომედია და განვიხილავთ, რა საშუალებებით გამოიწვევს იგი სიცილს: ეს საშუალებებია მოძრაობა და მეტყველება. ვაჩვენებთ, რომ მოქმედებაში სასაცილო მაშინ იბადება, როცა მშვენიერება სიმახინჯეს ემსგავსება და პირიქით; სიცილი იბადება მოულოდნელი ტყუილით, გაოცებით, შეუძლებლის შეძლებითა და ბუნების კანონთა დარღვევით, ფუჭისა და უაზროს აღზევებით, მოქმედ გმირთა დაკნინებით, მასხარაობით, მდაბიური პანტომიმით, სიმახინჯის, სიმდაბლისა და უღირსობის წარმოჩენით. ვაჩვენებთ ასევე, თუ როგორ იბადება სიცილი მეტყველებაში ორაზროვნებით, მსგავსი სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებით და პირიქით – მსგავს ცნებათა აღსანიშნავად განსხვავებული სიტყვების ხმარებით, ყბედობითა და გამეორებით, სიტყვათა თამაშით, კნინობითი ფორმებით, არასწორი გამოთქმებითა და დამახინჯებებით…

უილიამი ბორძიკით თარგმნიდა, სათანადო სიტყვებს ეძებდა, დროდადრო ჩერდებოდა. კითხვისას ეღიმებოდა, თითქოს სწორედ იმას კითხულობდა, რასაც ელოდაო. ხმამაღლა წაიკითხა პირველი გვერდი, მერე გაჩერდა, თითქოს მეტი აღარ აინტერესებდა, და წიგნის ფურცვლა დაიწყო. მაგრამ ზედა ნაწილში ფურცლები ერთმანეთს შეწებებოდა. ასეა ხოლმე, ნესტისა და სიძველისაგან ქაღალდი წებოვანდება და ფურცლები ერთმანეთს ეკვრის. ხორხე მიხვდა, რომ უილიამი აღარ ფურცლავდა და წააქეზა: – მიდი, წაიკითხე, გადაშალე. შენია, დაიმსახურე.

უილიამმა გაიცინა, ფრიად გამხიარულებული ჩანდა.

– მაშ, არც ისეთი გონებამახვილი გგონებივარ, ხორხე. შენ ვერ მხედავ, მაგრამ ხელთათმანები მიკეთია. ჰოდა, თუ თითები არ გავითავისუფლე, ფურცლებს ვერ დავაშორებ ერთმანეთს. შიშველი ხელებით უნდა განვაგრძო, თან დროდადრო ნერწყვით დავისველო თითი, როგორც ამ დილას – სკრიპტორიუმში, როცა უეცრად მივხვდი ამ წიგნის საიდუმლოს. უნდა ვფურცლო, სანამ შხამის სასიკვდილო დოზას არ მივიღებ, იმ საწამლავის, მრავალი წლის წინ რომ მოიპარე სევერინუსის ოთახიდან. ალბათ, მაშინ უკვე გადარდებდა ეს წიგნი, რადგან ყური გქონდა მოკრული, სკრიპტორიუმში ვიღაც-ვიღაცეებს აინტერესებდათ ეს ხელნაწერი ან „აფრიკის კიდე“, ან ორივე ერთად. ალბათ, დიდხანს ინახავდი საწამლავიან შუშას, რომ საფრთხის მოახლოების შემთხვევაში გეხმარა. და ეს საფრთხე რამდენიმე დღის წინ იგრძენი, როცა ვენანციუსი მეტისმეტად მიუახლოვდა ამ წიგნის თემას, ბერენგარიუსი კი დაუფიქრებლობით, ამპარტავნობით თუ ადელმუსისთვის თავის მოსაწონებლად იმაზე ნაკლებ სანდო აღმოჩნდა, ვიდრე გეგონა. და მაშინ მოაწყვე ეს ხაფანგი. დაასწარი კიდეც, ვენანციუსი სწორედ რამდენიმე დღის შემდეგ ამოვიდა აქ და წიგნი მოიპარა. ხარბად, გაუმაძღრად ფურცლავდა და მალევე გახდა შეუძლოდ, სამზარეულოს მიაშურა წყლის დასალევად, მაგრამ იქვე მოკვდა. ვცდები?

– მიდი, განაგრძე.

– დანარჩენი ადვილი მისახვედრია. ბერენგარიუსმა ვენანციუსის სხეული სამზარეულოში იპოვა, შეეშინდა, რომ გამოიძიებდნენ ამ საქმეს, რადგან ვენანციუსი ადელმუსის წყალობით აღმოჩნდა ღამით ციტადელში, ადელმუსს კი ბერენგარიუსმა გაუმხილა საიდუმლო. ჰოდა, ბერენგარიუსმა სისხლით სავსე კასრში ჩააყუდა გარდაცვლილი, რათა ყველას ეფიქრა, რომ დაიხრჩო.

– შენ რა იცი, რომ სწორედ ასე მოხდა?

– ეს შენც იცი, მახსოვს შენი რეაქცია, როცა ბერენგარიუსის სენაკში სისხლით მოსვრილი ჩვარი იპოვეს. იმ ჩვრით უგუნურმა ხელები გაიმშრალა მას შემდეგ, რაც სისხლში ჩააყუდა მკვდარი. გვამი რომ იპოვეს, ბერენგარიუსი არსად ჩანდა, ცხადია, ამ წიგნთან ერთად იყო

სადღაც დამალული, ახლა უკვე მასაც აღძვროდა ცნობისმოყვარეობა. მაშინ შეგეშინდა, რომ მალე ბერენგარიუსსაც მკვდარს იპოვიდნენ, ოღონდ გასისხლიანებულს კი არა, მოწამლულს. მერე რაც მოხდა, გასაგებია. სევერინუსმა იპოვა წიგნი, რადგან ბერენგარიუსმა ლაზარეთს შეაფარა თავი წიგნის მშვიდად წასაკითხად. მალაქიამ სევერინუსი მოკლა შენი მითითებით, თავად კი აქ მოკვდა, რადგან მასაც წასძლია ცნობისწადილმა აკრძალული წიგნისადმი, რომელმაც ის მკვლელად აქცია. აჰა, ახლა ყველა მკვლელობა გახსნილია… ბრიყვი!..

– ვინ?

– მე. ალინარდუსის ერთი სიტყვის გამო დავიჯერე, რომ დანაშაულებათა ჯაჭვი „გამოცხადების“ შვიდი საყვირის მიხედვით იყო ჩაფიქრებული: მეგონა, ადელმუსს სეტყვა მოევლინა, მას კი თავი მოუკლავს, ვენანციუსი სისხლში დაიხრჩო-მეთქი, ეს კი მხოლოდ ბერენგარიუსის ოინი აღმოჩნდა, შემდეგიც – სევერინუსი, თითქოს შემთხვევით არ განუგმირავს ცარგვალის მესამე ნაწილს, მაგრამ ახლა ვხვდები, მალაქიამ უბრალოდ ის ჩაარტყა თავში ბალახთა მცოდნეს, რაც ხელში მოხვდა, და სფერო იქვე იდგა. ბოლოს კი – ღრიანკალის შხამი – მალაქიას… რატომ უთხარი, წიგნს ათასი ღრიანკალის ძალა აქვსო?

– შენ გამო. ალინარდუსმა მეც გამიმხილა თავისი მოსაზრება. მერე ყური მოვკარი, ვიღაც ამბობდა, შენც სარწმუნოდ მოგჩვენებია ის… ჰოდა, დავიჯერე, რომ ღვთიური გეგმით ხდებოდა ეს მკვლელობები, რომ მე მათში ბრალი არ მიმიძღოდა. მალაქიას განვუცხადე, რომ, თუ ვერც ის დაძლევდა ცნობისწადილს, ისიც ღვთიური ნებით განიგმირებოდა, და ასეც მოხდა.

– მაშ ასეა… მცდარი გეგმა წარმოვიდგინე მკვლელის ქმედებათა ამოსახსნელად და სინამდვილეში თავად დამნაშავე მორგებია ჩემს გეგმას. სწორედ ამ მცდარმა კვალმა მომიყვანა შენამდე. ჩვენს დროში ყველას იოანეს წიგნი აჰკვიატებია, თუმცა მეჩვენებოდა, რომ შენ განსაკუთრებულად იყავი მისით შეპყრობილი, მაგრამ ეს ანტიქრისტეზე შენმა მონაჩმახმა კი არ მაფიქრებინა, არამედ იმან, რომ სწორედ შენს მხარეშია შექმნილი „გამოცხადების“ საუკეთესო ნიმუშები. ვიღაცამ მითხრა, რომ ამ ბიბლიოთეკაში დაცული „გამოცხადებებიდან“ თორმეტი უმშვენიერესი ნიმუში სწორედ შენ ჩამოგიტანია. მერე ერთხელ ალინარდუსის ბოდვაც მოვისმინე, რაღაცას ამბობდა, ჩემი იდუმალი მტერი სილოსში იყო წიგნების მოსაძიებლადო. იმას მივაქციე ყურადღება, თქვა, უდროოდ შეუერთდა წყვდიადსო. მაშინ ვიფიქრე, რომ უდროო სიკვდილს გულისხმობდა, ახლა კი ვხვდები, შენს სიბრმავეზე მიანიშნებდა. სილოსი ბურგოსთან ახლოსაა და ამ დილით კატალოგში შევნიშნე, რომ ესპანური წარმოშობის ყველა „გამოცხადება“ ბიბლიოთეკაში იმ წლებშია შემოსული, როცა შენ უნდა ჩაგენაცვლებინა რიმინელი პავლე. მათ შორის იყო ეს წიგნიც. მაგრამ ჩემს ვარაუდში ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, სანამ არ გავიგე, რომ მოპარული წიგნი სელის ქაღალდზე ყოფილა დაწერილი. მაშინ გამახსენდა სილოსი და დავრწმუნდი კიდეც, რომ მართალი ვიყავი. ბუნებრივია, ნელ-ნელა, რაც უფრო იკვეთებოდა საიდუმლო წიგნის ვარაუდი, აპოკალიფსური გეგმის ვერსია სუსტდებოდა, თუმცა ვერ ვხვდებოდი, რანაირად მოდიოდა შენთან ორივე კვალი – წიგნისაც და შვიდი საყვირისაც, ვერ ვხვდებოდი, რატომ მოხდა, რომ წიგნის ამბავს საბოლოოდ მაშინ მივხვდი, როცა „გამოცხადების“ საყვირებმა დამაფიქრა შენზე, შენს სიტყვებზე სიცილის შესახებ. დღეს, როცა უკვე საბოლოოდ მქონდა უკუგდებული აპოკალიფსური გეგმის ვერსია, მაინც მივაშურე თავლებს, სადაც მეექვსე საყვირს ველოდი, და სწორედ იქ, სრულიად შემთხვევით, ადსომ „აფრიკის კიდის“ გასაღები მიკარნახა.

– არ მესმის, – უთხრა ხორხემ, – ცდილობ, ამაყად მიჩვენო, როგორ მოხვედი ჩემამდე საკუთარი გონების კარნახით და თან მიხსნი, რომ მცდარ აზრს მიჰყვებოდი. რის თქმა გსურს?

– შენთვის – არაფრის. გაოგნებული ვარ. სულ ესაა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. ახლა ხომ აქ ვარ.

– ღმერთმა ჩაჰბერა შვიდ საყვირს. და შენ, თუნდაც შეცდომით, მაგრამ მაინც ჩაგესმა მათი გაბნეული ექო.

– ეს ხომ უკვე თქვი გუშინდელ ქადაგებაზე. ცდილობ, ღვთიურ გეგმას მიაწერო ყოველივე, რათა საკუთარ თავსაც არ გაუმხილო, რომ მკვლელი ხარ.

– მე არავინ მომიკლავს. საკუთარმა ბედისწერამ, საკუთარმა ცოდვებმა მიიყვანა თითოეული მათგანი აღსასრულამდე. მე მხოლოდ საშუალება ვიყავი განგების ხელში.

– გუშინ თქვი, იუდაც მხოლოდ საშუალება იყოო. მაგრამ ის ხომ მაინც შეჩვენებულია.

– ვაცნობიერებ, რომ შესაძლოა, მეც შემაჩვენოს უფალმა. თუმცა იმედია, უფალი მომიტევებს, რამეთუ იცის, მის სადიდებლად ვმოქმედებდი. ჩემი მოვალეობა ბიბლიოთეკის დაცვა იყო.

– რამდენიმე წუთის წინ მზად იყავი, მეც მოგეკალი და ეს ბიჭიც…

– შენ სხვებზე გამჭრიახი ხარ, და არა უკეთესი.

– ახლა რა მოხდება? ახლა, როცა გამოვააშკარავე შენი ვერაგობა?

– ვნახავთ, – უპასუხა ხორხემ, – მე მაინცდამაინც შენი სიკვდილი კი არ მჭირდება. ალბათ, შევძლებ, დაგარწმუნო. მაგრამ ჯერ ის მითხარი, იმას როგორ მიხვდი, რომ საიდუმლო ხელნაწერი არისტოტელეს მეორე წიგნი იყო?

– სიცილის წინააღმდეგ შენი გაუთავებელი ბრძოლით ამას ნამდვილად ვერ მივხვდებოდი. არც ის მცირედი ცნობები მეყოფოდა, რაც ბერებთან შენი საუბრებიდან შევიტყვე. ვენანციუსის შენიშვნები დამეხმარა. თავიდან არ მესმოდა მათი მნიშვნელობა, მაგრამ მათში რაღაც მინიშნებები იყო ვაკეზე დაგორებულ უსირცხვილო ქვაზე, მიწისქვეშეთიდან ახმაურებულ ჭრიჭინებზე, გაბღენძილ, თივით გატენილ ტომრებზე. უკვე წაკითხული მქონდა რაღაც ამგვარი: ამ დღეებში გადავამოწმე. ეს მაგალითები არისტოტელეს „პოეტიკის“ პირველ წიგნშიც გვხვდება და „რიტორიკაშიც“. მერე გამახსენდა, რომ ისიდორე სევილიელი კომედიას განმარტავს, როგორც ამბავს, რომელიც stupra virginum et amores meretricum…[231] ჰყვება. ნელ-ნელა დაიწმინდა და გამოიკვეთა ჩემს გონებაში, რაზე უნდა ყოფილიყო ეს მეორე წიგნი. ახლა შემიძლია, თითქმის მთლიანად მოგიყვე, ისე, რომ წაკითხვაც აღარ მჭირდება და არც თავს ჩავიგდებ საფრთხეში. კომედია komai-ში დაიბადა – სოფლებში, სადაც გლეხები სადღესასწაულო ნადიმის შემდეგ გასართობ სანახაობებს აწყობდნენ. კომედია ცნობილ, ძლიერ ადამიანებზე კი არ გვიყვება, არამედ პაწია, მშიშარა, სასაცილო, უბოროტო არსებებზე, და კომედიის გმირები არ კვდებიან. სიცილს კი ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანების მანკიერებათა და სისუსტეთა ჩვენება იწვევს. ამ წიგნში არისტოტელე კეთილ ძალად მიიჩნევს სიცილის უნარს, რომელსაც შემეცნებითი ღირებულებაც აქვს. გონებამახვილური გამოცანებით, მოულოდნელი და სხარტი მეტაფორებით გვეუბნება სათქმელს, საგნებს სინამდვილისაგან სრულიად განსხვავებულად აღწერს, თითქოს ტყუილით გვაიძულებს სიმართლის დანახვას, გვათქმევინებს, აი, თურმე რა ყოფილა, მე კი არ ვიცოდიო. აქ ჭეშმარიტება ადამიანებისა და სამყაროს დამახინჯებული აღწერით მიიღწევა და არა იმ საშუალებებით, რასაც ჰეროიკულ პოემებში, ტრაგედიებში, წმინდანთა ცხოვრებაში ვართ ნაჩვევი. ასეა?

– თითქმის. სხვა წიგნებიდან მიხვდი ამდენს?

– ბევრ მათგანზე ვენანციუსი მუშაობდა. ვფიქრობ, ვენანციუსი დიდხანს ეძებდა ამ წიგნს. ალბათ, კატალოგში ამოიკითხა მითითებები და მიხვდა, რომ ეს ის ხელნაწერი იყო, რომელსაც ეძებდა. მაგრამ არ იცოდა, როგორ შეეღწია „აფრიკის კიდეში“. და, როცა ბერენგარიუსისა და ადელმუსის საუბარს მოჰკრა ყური, ისე ხარბად გაეკიდა ამ კვალს, როგორც დაგეშილი მწევარი – კურდღლისას.

– ასეა. მაშინვე მივხვდი ამას. და იმასაც მივხვდი, რომ დადგა დრო, კბილებით დამეცვა ბიბლიოთეკა…

– და წიგნი მოწამლე… გაწვალდებოდი სიბნელეში…

– ჩემს ხელებს უკვე მეტის დანახვა ძალუძთ, ვიდრე შენს თვალებს. სევერინუსს ფუნჯიც კი

მოვპარე. მეც ხელთათმანებით ვმუშაობდი. კარგი აზრი იყო, არა? დიდი ხანი დაგჭირდა ამოსახსნელად…

– ჰო, მე უფრო ჩახლართულ ამბავს ველოდი. შხამიან სადგისს ან რაღაც ამგვარს. უნდა ვაღიარო, რომ საუკეთესო გამოსავალი ნახე – მსხვერპლი თავად იწამლავდა თავს, თან, რაც უფრო მეტს წაიკითხავდა, მით მეტ შხამს იღებდა…

ჟრუანტელმა დამიარა, როცა მივხვდი, რომ უილიამი და ხორხე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებულები, ხოტბას ასხამდნენ ერთმანეთს, თითქოს მხოლოდ ერთიმეორის აღფრთოვანება სურდათ. გონებაში შემაძრწუნებელმა აზრმა გამიელვა, რომ ადელმუსის საცდუნებლად გამიზნული ბერენგარიუსის მცდელობები, ან ის უბრალო, ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, რითაც გოგონამ ჩემი ვნება და წადილი აღძრა, არაფერი იყო ადამიანის მოხიბლვის, მისი მოჯადოებისა და დაუფლების ამ საოცარ სანახაობასთან, რაც ახლა თვალწინ მედგა. შვიდი დღის მანძილზე იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ეს ვნება, თითოეული მხარე იდუმალ ნიშნებს აძლევდა მეორეს და იდუმალად ელტვოდა აღფრთოვანებას და აღიარებას მეტოქისაგან, რომლისაც ეშინოდა და რომელიც სძულდა.

– ახლა მითხარი, – უთხრა უილიამმა, – რატომ? რატომ იცავდი ამ წიგნს სხვებზე მეტად? ნეკრომანტიულ ტრაქტატებსაც ხომ თავგამოდებით სდარაჯობდი, წიგნებს, რომლებიც ღვთის გმობითაა სავსე, მაგრამ მათ დასაცავად დანაშაული არ ჩაგიდენია, ძმები არ დაგიხოცია და წასაწყმედად არ გაგიწირავს საკუთარი თავი. უამრავი სხვა წიგნია, სადაც ხოტბა ესხმის სიცილს. რატომ შეგაშინა ამ წიგნმა ასე?

– იმიტომ, რომ ის ფილოსოფოსის დაწერილია. ამ კაცის თითოეულმა წიგნმა ნაცარტუტად აქცია დიდი ნაწილი ცოდნისა, რაც ქრისტიანობას საუკუნეთა მანძილზე დაუგროვებია. სიტყვის ძალაზე რაც უნდა გვცოდნოდა, მამებმა უკვე თქვეს, მაგრამ საკმარისი იყო, ბოეთიუსს განემარტა ფილოსოფოსი, რომ სიტყვის ღვთიური საიდუმლო კატეგორიებსა და სილოგიზმებზე დაფუძნებულ ადამიანურ პაროდიად ქცეულიყო. კოსმოსის აგებულებაზე რაც უნდა გვცოდნოდა, „შესაქმეშია“ ნათქვამი, მაგრამ როგორც კი არისტოტელეს ნაშრომები აღმოაჩინეს ფიზიკაზე, ერთიანად შეიცვალა შეხედულება სამყაროს წარმოშობაზე, ის ყრუ და ლორწოვან მატერიას დაუკავშირეს და სრულიად დააკნინეს; ამ წიგნების წყალობით იყო, რომ არაბმა ავეროესმა ლამის დაარწმუნა კაცობრიობა სამყაროს მარადიულობაში. ყველაფერი ვიცოდით საღმრთო სახელების შესახებ, აბონის მიერ დამარხულმა დომინიკელმა კი – არისტოტელეს მიერ ცდუნებულმა და გონებაარეულმა – ისინი ადამიანური გონების ამპარტავნული ბილიკების კვალდაკვალ შეცვალა. ამრიგად, კოსმოსი, რომელიც, არეოპაგელის აზრით, სამაგალითო პირველმიზეზის სინათლის ღვარად იშლებოდა თითოეულის წინაშე, ვისაც კი ზევით ახედვა ძალუძდა, მიწიერ ნიშანთა გროვად გადაიქცა, რომელშიც იქექებიან, როცა სურთ, რაღაც აბსტრაქტულ, ბუნდოვან ძალას სახელი მოუძებნონ. ადრე ცას ავყურებდით და ამრეზით დავცქეროდით ბინძურ მატერიას, ახლა კი მიწას დავცქერით და ზეციურის იმის მიხედვით გვწამს, რასაც მიწაზე ვხედავთ. ფილოსოფოსის თითოეულმა სიტყვამ, რომელზეც ახლა წმინდანები და პაპებიც კი იფიცებენ, თავდაყირა დააყენა შეხედულება სამყაროზე. მაგრამ მან ღმერთის სახების ამოყირავება მაინც ვერ შეძლო. ეს წიგნი რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, უკანასკნელი ზღუდეც ჩამოიშლება.

– კი, მაგრამ ასე რით შეგაშინა ამ სიტყვებმა? ამ წიგნის განადგურებით სიცილს ხომ ვერ მოსპობ.

– ვერა, ცხადია. სიცილი სისუსტეა, სიმახინჯე, უმწეობა ჩვენი ხორცისა. შვებაა გლეხისთვის, სილაღე – ღვინის მსმელთათვის. ბრძენმა ეკლესიამაც კი დაუშვა დღესასწაულები, კარნავალები, გასართობი თავყრილობები გონების განსატვირთავად, სხვაგვარ წადილთა და ვნებათა მოსათოკად… მაგრამ ასეთი სიცილი მდაბიური რამაა, თავდაცვის საშუალება ხალხისთვის, სიწმინდეაყრილი საიდუმლო – მდაბიოთათვის. ამას ხომ მოციქულიც ამბობდა: ვნებით დაფერფლვას ქორწინება სჯობსო. ღვთის განგების წინაშე ამხედრებას ისა სჯობს, თქვენს ბინძურ წყობას დასცინოთ, იმასხარაოთ და ილაზღანდაროთ ღრეობის შემდეგ, დოქებსა და ტიკებს რომ გამოწრუპავთო. აირჩიეთ რეგვენთა მეფე, ითამაშეთ ვირებისა და ღორების წირვა-ლოცვა, გაერთეთ თქვენი

სატურნალიებით… მაგრამ აქ, აქ… – ხორხე მაგიდისკენ იშვერდა თითს, წიგნისკენ, რომელიც უილიამს ედო გადაშლილი, – აქ სიცილის ფუნქცია თავდაყირაა დაყენებული, სიცილი ხელოვნებამდეა აღზევებული და მისთვის სწავლულთა სამყაროს კარია გახსნილი, აქ ფილოსოფიის, გაუკუღმართებული თეოლოგიის საგნად ქცეულა სიცილი… გუშინ შენი თვალით ნახე, როგორ ადვილად ეშვებიან მდაბიონი ყველაზე ბინძური მწვალებლობის მორევში, რამეთუ არ იციან არც ღვთიური და არც ბუნების კანონები. ეკლესია აიტანს მწვალებლობას მდაბიოთაგან, რომლებიც თავად სწირავენ საკუთარ თავს, საკუთარი უვიცობით დაღუპულნი. დოლჩინოსა და მისთანათა უმეცრება ღვთიურ წესრიგს საძირკველს ვერ შეურყევს. ვინც ძალადობას იქადაგებს, ძალადობითვე განიგმირება, მაგრამ კვალს ვერ დატოვებს, ისევე გაქრება, როგორც სოფლის დღეობა და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ცოტა ხნით თავდაყირა იდგა თუ არა სამყარო. მნიშვნელოვანი ისაა, ერთჯერადი ქმედება წესად არ იქცეს, მდაბიური გამონათქვამი ლათინურად არ ითარგმნოს. სიცილი მდაბიოს ეშმაკის შიშისაგან ათავისუფლებს, რამეთუ ბრიყვთა დღეობაზე ეშმაკიც უბადრუკად, ბრიყვად, ანუ მართვადად, წარმოჩინდება. მაგრამ ამ წიგნმა, შესაძლოა, მკითხველს ჩააგონოს, რომ ეშმაკის შიშისაგან გათავისუფლება ცოდნაა. როცა ხარხარებს და ღვინოს ისხამს პირში, მდაბიოს თავი ბატონი ჰგონია, რადგან ბატონმსახურობა ყირაზე დაუყენებია, ამ წიგნს კი შეუძლია, სწავლულთ უკარნახოს ხრიკები სამყაროს ყირამალა ამოტრიალების დასაკანონებლად. და მაშინ ინტელექტის ქმედებად გადაიქცევა ის, რაც მდაბიოს გაუაზრებელ საქციელში, საბედნიეროდ, მხოლოდ ფაშვის კარნახია. ის, რომ სიცილი ადამიანის თვისებაა, სწორედ ჩვენი, ცოდვილთა, შეზღუდულობის ნიშანია. მაგრამ ამ წიგნიდან რამდენი გარყვნილი გონება, როგორიც შენია, ამოიღებდა საპირისპირო სილოგიზმს, რომლის მიხედვითაც სიცილი ადამიანის მიზანია! სიცილი მდაბიოს წამიერად ათავისუფლებს შიშისგან. მაგრამ კანონის ძალა ხომ შიშს ეფუძნება, რომლის ნამდვილი სახელი ღვთის შიშია. ამ წიგნიდან კი შეიძლება ლუციფერის ნაპერწკალი გავარდეს და მთელი სამყარო ახალ ცეცხლში გაახვიოს: სიცილი წარმოჩნდეს, როგორც ახალი ხელოვნება შიშის დასაძლევად, რომელიც პრომეთესთვისაც კი უცხო იყო! როცა იცინის, მდაბიოს სიკვდილი არ აშინებს, მაგრამ მალევე, სიცილის შეწყვეტისთანავე, ლიტურგია მას კვლავ შეახსენებს და აიძულებს სიკვდილის შიშს, ღვთიური ნების თანახმად. ამ წიგნიდან კი შეიძლება, შიშის დაძლევის გზით სიკვდილის დამარცხების ახალი და დამანგრეველი წადილი იშვას. და რაღა ვიქნებით ჩვენ, ცოდვილი არსებანი, შიშის გარეშე? შიში ხომ ღვთის საჩუქართაგან უკეთილშობილესი, ყველაზე დიდი სიყვარულის დამადასტურებელი ძღვენია. საუკუნეთა მანძილზე სწავლულნი და წმინდა მამანი რუდუნებით ავრცელებდნენ წმინდა ცოდნის სურნელოვან ნელსაცხებელს, რათა ამაღლებულზე ფიქრით დაეოკებინათ უბადრუკობა, ცდუნება სიმდაბლისა. ეს წიგნი კი ამართლებს კომედიას, სატირასა და მიბაძვას, როგორც სასწაულმოქმედ სალბუნს, მანკიერებათა და სისუსტეთა წარმოჩენით ვნებათაგან განმწმენდელს. ამ წიგნს შეუძლია, თვითმარქვია სწავლულთ უბიძგოს, ეშმაკის დარად ყირაზე დააყენონ ყოველივე და დაბლის აღიარებით მაღლის დათრგუნვა სცადონ. ეს წიგნი შობდა აზრს, რომ ადამიანმა, შეიძლება, მიწაზევე ისურვოს (ამას არ ამტკიცებდა ის შენი ბეკონი, ბუნებრივ მაგიაზე რომ ლაპარაკობდა?) საოცრებათა ქვეყნის სიმდიდრე. მაგრამ სწორედ ეს არ უნდა გვინდოდეს და არ უნდა გვქონდეს. გაიხსენე, ბერები როგორ ურცხვობენ „კვიპრიანეს ნადიმში“, იმ მკრეხელურ პაროდიაში! რა ეშმაკისეული დამახინჯებაა საღმრთო წერილისა! აკეთებენ იმას, რაც იმთავითვე იციან, რომ დაუშვებელია. მაგრამ თუ არისტოტელეს სიტყვა ზღვარგადასული წარმოსახვის თამაშებს გაამართლებდა, მაშინ ის, რაც კიდეში იყო, შუაგულში აღმოჩნდება, გულისგულისა კი კვალიც წაიშლება. ღვთის სამწყსო უცნობი მიწის ქვესკნელიდან ამონთხეული ურჩხულების ხროვად იქცევა და ქრისტიანთა იმპერიის გულად ნაცნობი მიწის კიდე მოგვევლინება, არიმასპები პეტრეს ტახტს, უწმინდურები კი მონასტრებს დაეპატრონებიან და ფაშვგაბერილი, თავგასიებული ჯუჯები ბიბლიოთეკის კარს უდარაჯებენ! მსახურნი უკარნახებენ წესებს მთავართ და ჩვენც (და მაშ, შენც) ამ კანონებს დავემორჩილებით. ხომ თქვა ბერძენმა ფილოსოფოსმა (რომელსაც შენი არისტოტელე ამ წიგნში ახსენებს, ურცხვად, როგორც თანამზრახველს), ნამდვილი მტერი სიცილით უნდა განაიარაღო, მის სიცილს კი სერიოზულად უნდა დაუხვდეო. ჩვენმა კეთილგონიერმა მამებმა გააკეთეს არჩევანი: სიცილი მდაბიოთა საქმეა, მდაბიოთა ნება უნდა მოითოკოს, სიმკაცრით დაითრგუნოს. მდაბიოთ არ გააჩნიათ იარაღი, რომლითაც ისე ალესავდნენ სიცილს, რომ სერიოზულობას დაუპირისპირონ იგი, მწყემსების წინააღმდეგ მიმართონ, მწყემსებისა,

რომლებიც მდაბიოთ მარადიული ცხოვრებისკენ უკვალავენ გზას, ფაშვისა და სარცხვინელის ბინძურ საცდურთა საპირისპიროდ. მაგრამ ვინმემ რომ ოდესმე არისტოტელეს სიტყვები მოიმარჯვოს, ფილოსოფოსის ენით ისაუბროს და სიცილის ხელოვნება ბასრ იარაღად გადააქციოს, ჩაგონების რიტორიკა დაცინვის რიტორიკით ჩაანაცვლოს, მაშინ ხსნის მოლოდინს, მოთმინებას, ნუგეშსა და შენებას სულსწრაფობა, ნგრევა, წმინდა და სათაყვანო სახებათა დამდაბლება ჩაანაცვლებს და, ჰოი, იმ დღეს შენც, უილიამ და მთელი შენი ცოდნაც თავდაყირა დადგება!

– რატომ? მე ვიბრძოლებდი. სხვის გონებას ჩემსას დავუპირისპირებდი. და ნამდვილად უკეთესი სამყარო იქნებოდა, ვიდრე ესაა, სადაც ბერნარ გუის ცეცხლი და მახვილი თრგუნავს დოლჩინოს ცეცხლსა და მახვილს.

– მაშინ შენც ჩართული იქნებოდი დემონის ფერხულში. არმაგედონის ველის მეორე მხარეს იბრძოლებდი, იმ ველისა, სადაც საბოლოო შეტაკება უნდა მოხდეს. მაგრამ იმ დღისთვის ეკლესიას საბოლოოდ უნდა ჰქონდეს დადგენილი ბრძოლის წესები. ჩვენ მკრეხელობა არ გვაშინებს, რადგან ღვთის გმობაშიც ვცნობთ იაჰვეს გაბნეულ რისხვას, რომელიც შეაჩვენებს აჯანყებულ ანგელოზებს. არ გვაშინებს ძალადობა მათი, ვინც მწყემსებს ხოცავს რაღაც გამოგონილი განახლების სახელით, რადგან ეს იმ მთავართა ძალადობაა, რომელთაც ისრაელის ხალხის დამხობა სცადეს. არ გვაშინებს დონატისტების სისასტიკე, წინადაცვეთილთა თვითმკვლელური გონებააშლილობა, ბოგომილთა ავხორცობა, ალბიგოელთა ამპარტავნული სიწმინდე, ფლაგელანტების სისხლისმსმელობა, თავისუფალი სულის ძმათა ბოროტების მორევი: კარგად ვიცნობთ მათაც და ვიცით, მათი ცოდვა იმავე ფესვზეა აღმოცენებული, რომელზეც ჩვენი სიწმინდე. მათი არ გვეშინია და, რაც მთავარია, ვიცით, როგორ ვებრძოლოთ მათ, უფრო სწორად, როგორ დავანებოთ, თავად გაინადგურონ თავი, ზენიტამდე აიყვანონ სიკვდილის წყურვილი, რომელიც მათივე ნადირის[232] სიღრმეში იბადება. მეტსაც გეტყვი, მათი არსებობა აუცილებელია ჩვენთვის, უფრო მყარად გვიმკვიდრებს ადგილს ღვთიურ გეგმაში: მათი ცოდვა აღაზევებს ჩვენს სიწმინდეს, მათი ღვთისგმობა ამხნევებს და ძალას მატებს ჩვენს ლოცვას, მათი ზღვარგადასული მონანიება ზომიერებას ჰკარნახობს მსხვერპლის გაღების ჩვენს წყურვილს, მათი ურწმუნობა განაბრწყინებს ჩვენს რწმენას: წყვდიადის მბრძანებლის დარად, რომლის არსებობამ, რომლის ჯანყმა და სასოწარკვეთამ ერთიასად გააცისკროვნა უფლის დიდება, საწყისი და ბოლო ყოველგვარი ნეტარებისა. მაგრამ თუ ოდესმე სიცილს – მდაბიოთა ღრეჭას – სწავლულთა უნარად შერაცხენ და ის სამუდამოდ აღიბეჭდება წიგნის წარუშლელ მეხსიერებაში, თუ დაცინვას ხელოვნებად, კეთილ საწყისად, თავისუფლების გამოხატულებად ჩათვლიან და არა მდაბიურ მასხარაობად, თუ ოდესმე ვინმე იტყვის: „მე დავცინი ინკარნაციას...“ და მას მოუსმენენ, მაშინ ვეღარაფრით შევაჩერებთ მკრეხელობის ნიაღვარს, რამეთუ იგი ხორცში ჩაბუდებულ ბნელ ძალებს მოუყრის თავს და ბოყინი და უკანალიდან გადმომსკდარი უწმინდური ჰაერი სულს შეგვიხუთავს... და სულს თავისუფლად სუნთქვის უფლებას წაართმევს!

– ლიკურგუსმა ძეგლი აუგო სიცილს!

– ქლორიციუსის წიგნში გაქვს ეგ ამოკითხული, მწვალებლობაში ბრალდებულ მასხარებს რომ იცავდა, სწორედ იქ წერია, ავადმყოფი იმ ექიმმა განკურნა, რომელმაც ის გააცინაო. კი, მაგრამ რა საჭირო იყო სნეულის განკურნება, თუკი, ღვთის ნებით, აღსასრულს მიახლოებოდა მისი სიცოცხლე?

– არა მგონია, სნეულებისაგან განეკურნა. მხოლოდ ასწავლა, როგორ ეცინა საკუთარ სენზე.

– ბოროტებას განწმენდა კი არა, განადგურება სჭირდება.

– სნეულის სხეულთან ერთად, არა?

– თუ საჭიროა.

– შენ ეშმაკი ხარ, – უთხრა ამაზე უილიამმა.

ხორხემ თითქოს ვერ გაიგო. ბრმა რომ არ ყოფილიყო, ვიტყოდი, გაოცებული მიაშტერდა-მეთქი თანამოსაუბრეს.

– მე? – ჰკითხა.

– ჰო. მოგატყუეს. ეშმაკი ხორცის მბრძანებელი სულაც არაა. ეშმაკი ამპარტავანი, თავხედი სულია, რწმენა, რომელსაც ღიმილი არ შეუძლია, ჭეშმარიტება, რომელსაც ეჭვი არასოდეს შერევია. ეშმაკი იბღვირება, რადგან კარგად იცის, საით მიდის, და იქვე ბრუნდება, საიდანაც მოვიდა. შენ ეშმაკი ხარ და ეშმაკივით წყვდიადში ცხოვრობ. თუ ჩემი დარწმუნება გსურდა, ვერ მოახერხე. მძულხარ, ხორხე, და რომ შემეძლოს, ქვევით ჩაგათრევდი, ტაძრის წინ გაგაშიშვლებდი, უკანალში ბუმბულებს გაგირჭობდი და სახეს მასხარასავით მოგიხატავდი, რომ მთელ მონასტერს შენზე ეხარხარა და აღარავის შეშინებოდა შენი. სიამოვნებით ამოგავლებდი თაფლში, მერე ბუმბულებში ამოგგანგლავდი, თოკზე გამობმულს სოფელ-სოფელ გატარებდი დღეობებზე და ყველას ვეტყოდი, ეს ვაჟბატონი ჭეშმარიტებას გიქადაგებდათ, გარწმუნებდათ, ჭეშმარიტებას სიკვდილის გემო აქვსო, თქვენ კი მისი სიტყვების კი არა, მისი დაბღვერილი სახის გჯეროდათ-მეთქი. ვეტყვი, რომ ქვეყნიერება თავბრუდამხვევად ათასგვარი და ათასფერია და ღმერთი უფლებას აძლევს ადამიანებს, ისეთი სამყაროც წარმოიდგინონ, სადაც შენნაირი ვითომ ჭეშმარიტების მქადაგებელი ერთი გაფხორილი კაჭკაჭია, რომელიც მრავალი წლის წინ გაგონილ სიტყვებს იმეორებს.

– შენ ეშმაკზე უარესი ხარ, მინორიტო, – უთხრა მაშინ ხორხემ. – მასხარა ხარ, როგორც ის წმინდანი, რომელმაც თქვენ გშვათ. ისეთივე ხარ, როგორიც ის შენი ფრანცისკი, რომელმაც de toto corpore fecerat linguam[233], რომელიც ჯამბაზივით ტაკიმასხარაობდა ხალხის გასართობად, რომელიც ძუნწს, დასაცინად, ოქროს ფულს უტენიდა მუჭში, მონაზონ დედათა უმანკოებას შეურაცხყოფდა, ქადაგების ნაცვლად, მოწყალება მოიღეთო, გაიძახოდა, ფრანგულად მათხოვრობდა, მაწანწალად გადაცმული თავგზას ურევდა ღორმუცელა ბერებს, ტიტლიკანა კოტრიალობდა თოვლში, შობის სასწაულს სოფლის სანახაობად გადააქცევდა, ბეთლემის კრავს დასცინოდა და ცხვარივით ბღაოდა… შესანიშნავი სწავლება იყო… მინორიტი არ იყო ის ფლორენციელი ღმერთმაგიშველოს?

– დიახ, – გაიღიმა უილიამმა. – მქადაგებელთა მონასტერში რომ მივიდა, განაცხადა, საჭმელს პირს არ დავაკარებ, სანამ მამა იოანეს ტუნიკის ნაწილს არ მიბოძებთ, რომ რელიკვიად შევინახოო. როცა მიართვეს, უკანალში ამოისვა ის ნაფხრეწი და ნეხვის გროვაში მოისროლა. მერე არშინით მისწვდა, ნეხვში აწობდა და თან ყვიროდა: მიშველეთ, ძმებო, ნეხვში დამეკარგა წმინდანის ნაწილიო!

– ძალიან გახალისებს ეს ამბავი, როგორც ვხედავ. იქნებ ისიც გინდა მომიყვე, მინორიტი ძმა, პაოლო მილემოსკე, ყინულზე რომ გაიშოტა და გლეხები ეკითხებოდნენ, მამაო, ქვეშ რამეს არ დაიგებდითო, პასუხობდა თურმე, კი, როგორ არა, შენს ცოლსო… ასე ეძებდით თქვენ ჭეშმარიტებას.

– ასე ასწავლიდა ფრანცისკი ხალხს, სხვა მხრიდანაც დაენახათ საგნები და მოვლენები.

– მაგრამ ხომ გასწავლეთ ჭკუა. გუშინ თავად იხილე შენი ძმები, ჩვენს რიგებში ჩადგნენ, გაუარათ მდაბიურად ლაპარაკის სურვილმა. მდაბიოთ ლაპარაკი არ მართებთ. ეს წიგნი სწორედ იმ აზრს გაავრცელებდა, რომ მდაბიოთა ენაზეც შეიძლება სიბრძნის თქმა. ამის დაშვება არ შეიძლებოდა, სწორედ ამაზე ვზრუნავდი. შენ ეშმაკი მიწოდე. ცდები. მე ღვთის ხელი ვარ.

– ღვთის ხელი ქმნის, კი არ ჩქმალავს.

– არის ზღვარი, რომლის გადალახვა დაუშვებელია. ღვთის ნებით აწერია ზოგიერთ წიგნს: hic sunt leones[234].

– ურჩხულებიც ღმერთის შექმნილია. შენც კი მისი ქმნილება ხარ. ღმერთს სურს, ყველაფერზე ვილაპარაკოთ.

ხორხემ აკანკალებული ხელი გამოიწოდა და წიგნი თავისკენ გააჩოჩა. თუმცა არ შეუტრიალებია. – მაშინ რატომ, – თქვა, – რატომ ითვლებოდა ეს წიგნი დაკარგულად მრავალი საუკუნე, რატომ ინება ღმერთმა, რომ მხოლოდ ერთი ასლი გადარჩენილიყო მისი, დედანი კი, ვინ იცის, სადაა. რატომ ინება, რომ ეს ასლი მრავალი საუკუნე ყოფილიყო ურწმუნოთა ხელში, რომლებმაც ბერძნული არ იცოდნენ, და შემდეგ – კვლავ მრავალი საუკუნის მანძილზე – უძველეს ბიბლიოთეკაში ყოფილიყო გამოკეტილი და მე, დიახ, მე, და არა შენ, აღმომეჩინა ის განგების ნებით? რატომ ჩამივარდა ხელში სწორედ მე და რატომ ვდარაჯობდი მას ამდენი წელი? ვიცი, რატომაც, ისე ნათლად ვხედავ ამას, თითქოს ალმასის ასოებით დაწერილს ვუმზერდე ჩემი დაშრეტილი თვალებით, რომლებსაც იმის დანახვაც ძალუძთ, რაც შენთვის უხილავია. დიახ, ვიცი, რომ ასეთი იყო ნება ღვთისა და მე მისი კარნახით ვმოქმედებდი. სახლითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ღამე

სადაც მსოფლიო ხანძარი მოხდება და მეტისმეტი ზნეობრიობის გამო ჯოჯოხეთის ძალები გაიმარჯვებენ

მოხუცი დადუმდა. გაშლილი ხელები წიგნზე ედო, თითქოს ეფერებოდა, თითქოს ცდილობდა, გაესწორებინა ფურცლები, რომ უკეთ წაეკითხა. თან თითქოს ებღაუჭებოდა წიგნს, რომ ვინმეს არ წაერთმია.

– კი, მაგრამ ყველაფერი ეს სრულიად უშედეგო აღმოჩნდა, – უთხრა უილიამმა. – ყველაფერი დამთავრდა. შენც მოგაგენი და წიგნსაც. ამდენი ადამიანი კი უაზროდ დაიღუპა.

– უაზროდ არა, – შეეპასუხა ხორხე. – შესაძლოა, მეტი მოკვდა, ვიდრე საჭირო იყო. და თუ გჭირდებოდა დასტური, რომ ეს წიგნი შეჩვენებულია, მიიღე კიდეც. მაგრამ ამაოდ არავინ მომკვდარა. და სწორედ იმისთვის, რომ მათი აღსასრული ფუჭი არ იყოს, კიდევ ერთი სიკვდილია საჭირო.

ეს თქვა და გაძვალტყავებული თითებით ხელნაწერის ნაზი, დარბილებული ფურცლების ფხრეწა დაიწყო. ფურცლებს გლეჯდა, ნაფლეთებს პირში იტენიდა და ისე ნელა, ბეჯითად ღეჭავდა, როგორც სეფისკვერს, თითქოს სურდა და სწამდა, რომ ეს საზრდო იქცეოდა ხორცად მისი ხორცისა.

უილიამი გაოგნებული მიშტერებოდა, თითქოს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. მერე უცებ გამოფხიზლდა და სცადა, ხორხეს მისწვდომოდა ყვირილით: – რას სჩადი? – ხორხემ გაიღიმა და უკბილო, გალეული ღრძილები გამოუჩნდა. გალურჯებული ბაგეებიდან მოყვითალო დუჟი გადმოსდიოდა და გაქუცულ, თეთრ წვერზე ჩამოსდიოდა.

– არ ელოდი მეშვიდე საყვირს? ასე არაა? ჰოდა, კარგად უსმინე ახლა, რას ამბობს: „დაჰბეჭდე, რაი-ეგე თქუეს შვიდთა მათ ქუხილთა, და ნუ დასწერ. აღიღე და შეჭამე წიგნი ესე, და დაამწაროს მუცელი შენი, არამედ პირსა შენსა ტკბილ იყოს ვითარცა თაფლი“. ხედავ? ჰოდა, ახლა სამარადისოდ დავახშობ იმას, რაც არ უნდა თქმულიყო, თავად ვიქცევი მის სამარედ.

ახარხარდა. დიახ, თავად ხორხე. პირველად ვხედავდი მის სიცილს... ყელით იცინოდა, ისე, რომ ბაგეზე ხალისი არ გამოხატვია, თითქოს გოდებდა: – არ ელოდი, უილიამ, ასეთ ბოლოს, არა? უფლის ნებით კიდევ ერთხელ იმარჯვებს ეს ბებერი, ასე არაა? – უილიამმა სცადა, წიგნი გამოეტაცა ხელიდან, მაგრამ უსინათლომ დაასწრო და უკან გაიწია, თან ერთი ხელით მთელი ძალით ებღაუჭებოდა წიგნს, მეორეთი კი ფურცლებს გლეჯდა და

პირში იტენიდა.

მათ შორის მაგიდა იდგა, უილიამი ვეღარ მისწვდა ხორხეს და სცადა, მაგიდისთვის შემოევლო. მაგრამ სიჩქარეში სკამი გადააყირავა და მის ფეხებში სამოსი გაეხლართა. ხორხემ იგრძნო, რაც ხდებოდა, ისევ გადაიხარხარა, ამჯერად უფრო ძლიერად, მერე საოცარი სისწრაფით გაიწოდა მარჯვენა ხელი, მაგიდაზე მოაფათურა და სანათური მოძებნა, ალბათ, სითბოთი მიაგნო, და ალს ხელისგული დააფარა. სინათლე ჩაქრა. ოთახში წყვდიადი ჩამოწვა და უკანასკნელად მოგვესმა ხორხეს სიცილი, თან ყვიროდა: ახლა მიპოვეთ, ახლა ხომ მე უკეთ ვხედავ! მერე დადუმდა და იმ თავისი უხმაურო ნაბიჯებით გაუჩინარდა, რის წყალობითაც მუდამ მოულოდნელი იყო ხოლმე მისი გამოჩენა. დროდადრო ბნელში ოთახის სხვადასხვა მხრიდან გვესმოდა დახეული ფურცლების ხმა.

– ადსო! – დაიყვირა უილიამმა, – კართან იდექი, არ გავიდეს!

მაგრამ უკვე გვიან იყო, კართან აღარ ვიდექი. ერთი სული მქონდა, ხორხეს ვწვდომოდი და როგორც კი სანათური ჩაქრა, წინ გავვარდი, რომ მეორე მხრიდან შემომევლო მაგიდისთვის. და გვიან მივხვდი, რომ ამასობაში ხორხე კარისკენ გაძვრა, საოცარი სისწრაფით მოძრაობდა ბებერი სიბნელეში. ფხრეწის ხმა ზურგს უკან მოგვესმა, თანაც შორიდან, მომდევნო ოთახიდან. მას საკეტის ჩხაკუნი და ლითონის ღრჭიალიც მოჰყვა.

– სარკე! – იყვირა უილიამმა. – ცდილობს, შიგნით გამოგვკეტოს! – ხმას მივყევით და გასასვლელისკენ გავცვივდით. მე სკამს წამოვკარი ფეხი და წავიქეცი, მაგრამ ტკივილის დრო არ იყო, ვხვდებოდი, რომ რამდენიმე წამში ხორხე ოთახში ჩაგვკეტავდა და ვეღარასოდეს გამოვაღწევდით იქიდან. ბნელში ვერაფრით გავაღებდით კარს და არც ვიცოდით, შიგნიდან როგორ იღებოდა სარკე.

უილიამიც არანაკლებ სასოწარკვეთილი იყო. სიბნელეში ერთად დავეძგერეთ სარკეს, რომელიც ნელ-ნელა იკეტებოდა. ძლივს მივუსწარით: კარი შეჩერდა და შემდეგ ნელა დაგვემორჩილა, ისევ გაიღო. ხორხე, ალბათ, უკვე შორს იყო, კარგად იცოდა, ვერ გაგვიმკლავდებოდა. დაწყევლილი ოთახიდან გამოვაღწიეთ, მაგრამ არ ვიცოდით, სად გვეძებნა ხორხე. გარშემო სრული წყვდიადი იდგა. უცებ გამახსენდა: – მოძღვარო, კაჟი თან მაქვს!

– რაღას უცდი, – ყვიროდა უილიამი, – სანათური მოძებნე, ჩქარა! – კისრისტეხით გავიქეცი, „აფრიკის კიდეში“ შევბრუნდი და ხელის ცეცებით მოვძებნე სანათური. ღვთის წყალობით, მალევე ვიპოვე, სამოსში კაჟი მოვქექე. ხელები მიკანკალებდა და რამდენჯერმე ჩამიქრა ნაპერწკალი, უილიამი კი კართან იდგა და მაჩქარებდა: – დროზე, დროზე! – როგორც იქნა, მოვუკიდე პატრუქს.

– ჩქარა, – კიდევ დამიძახა უილიამმა, – თორემ ბებერი სულ შეჭამს არისტოტელეს!

– და მოკვდება! – გულამომჯდარი წამოვეწიე უილიამს.

– მაგის სიკვდილი სულ არ მადარდებს, მაგ წყეულის! – გაცოფებული ყვიროდა უილიამი, გადარეულივით აცეცებდა თვალებს და აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო. – რაც შეჭამა, ისიც ეყოფა, მაგას აღარაფერი ეშველება, მე წიგნი მინდა გადავარჩინო!

მერე უცებ გაჩერდა, სცადა, დამშვიდებულიყო. – მოიცა. ასე სულ ვერ ვიპოვით. ჩუმად, ერთი წუთით გავჩერდეთ. – გავშეშდით. სიჩუმეში არც ისე შორიდან მოგვესმა, როგორ დაეჯახა კარადას და გადმოყრილი წიგნების ხმაც გაისმა ბნელში. – იქით! – შევძახეთ ერთდროულად.

იქით გავიქეცით, საიდანაც ხმა მოგვესმა, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ უნდა გავჩერებულიყავით. იმ ღამეს ბიბლიოთეკაში ისევე უბერავდა ქარი, როგორც გარეთ, ისევ ჩაგვიქრობდა ძლივს ანთებულ სინათლეს. ვერ ვირბენდით, ამიტომ უნდა გვეცადა, ხორხეც როგორმე შეგვეჩერებინა. უილიამმა კი, პირიქით, დაუყვირა: – დაგინახეთ, ბებერო! ახლა სინათლეც გვაქვს! – და სწორადაც მოიქცა, რადგან, როგორც ჩანს, ხორხე შეშინდა, ნაბიჯს უმატა და სიჩქარეში გუმანმაც უღალატა. მალე ისევ მოგვესმა ხმაური და

YSPANIA-ში ხორხეს გადავაწყდით, ძირს ეგდო და ზედ თაროდან გადმოყრილი წიგნები დახვავებოდა. წიგნს კვლავ ჯიუტად ებღაუჭებოდა, წამოდგომას ცდილობდა და თან ამოგლეჯილ ფურცლებს იტენიდა პირში. ცდილობდა, რაც შეიძლება, სწრაფად ჩაენთქა თავისი მსხვერპლი.

თავზე რომ დავადექით, ნახევრად წამომდგარიყო. იგრძნო ჩვენი სიახლოვე, მოტრიალდა და ნელა დაიხია უკან. სანათურის შუქი სახეს წითლად უნათებდა. შემზარავი სანახავი იყო: ნაკვთები თითქოს კიდევ უფრო გამოკვეთოდა, ავის მომასწავებელი ოფლის ღვარი ჩამოსდიოდა შუბლზე და ჩავარდნილ ღაწვებზე, თეთრ თვალებში სისხლი ჩაქცეოდა, პირიდან კი ქაფივით გადმოსდიოდა დაღეჭილი პერგამენტი, დამშეულ ნადირს ჰგავდა, საკვები რომ აღარ ჩასდის კუჭში და პირიდან ანთხევს საჭმლის მოუნელებელ მასას. ქოშინებდა სახეშეშლილი, ალბათ, საწამლავი უკვე მიედინებოდა მის ძარღვებში. შეუვალი, სათაყვანებელი უხუცესი ბერი გულისამრევი, გროტესკული და, ალბათ, სასაცილოც იყო, მაგრამ ახლა ჩვენც გააფთრებულები ვიყავით მხეცზე დაგეშილი მონადირე ძაღლებივით.

ახლა უკვე შეგვეძლო, მშვიდად მივახლოებოდით, მაგრამ გადარეულებივით დავეტაკეთ. ბებერმა გაიბრძოლა და გულზე მიიკრა წიგნი. მარცხენა ხელით ვიჭერდი, მარჯვენათი კი ვცდილობდი, მაღლა მჭეროდა სანათური. ხორხემ სახესთან სითბო იგრძნო, დამხრჩვალივით ამოიხროტინა, წიგნის ნაფლეთები გამოაფურთხა, მერე მარჯვენა ხელი გაუშვა წიგნს, ელვის სისწრაფით გამომტაცა სანათური და ისროლა...

სანათური ძირს დახვავებულ, გადაშლილ წიგნებს დაეცა, ზეთი გადმოიღვარა და ცეცხლი წამში მოეკიდა უთხელეს პერგამენტს. წიგნების გროვა ფიჩხივით, თვალის დახამხამებაში აალდა. წამში მოხდა ყველაფერი. ისეთი კვამლი ავარდა წიგნებს, თითქოს ეს ათასწლოვანი წიგნები საუკუნეთა მანძილზე ხარბად ელოდნენ მსოფლიო ხანძარს და ახლა ხარობდნენ, წყურვილდაოკებულნი. უილიამმა ცეცხლის დანახვაზე ხელი გაუშვა ხორხეს და ბებერმაც, იგრძნო თუ არა, რომ ხელი გაუშვეს, უკან დაიხია. უილიამი წამით შეყოყმანდა, ვერ გადაეწყვიტა, ხორხე არ გაეშვა თუ ცეცხლის ჩაქრობა ეცადა. ერთი წიგნი, რომელიც ყველაზე ძველი ჩანდა, წამში დაიფერფლა, ცეცხლის გრძელი ენები ჰაერში აიჭრა და ქარმა, წეღან მბჟუტავ პატრუქს რომ მიქრობდა, ალი კიდევ უფრო გააძლიერა.

— ჩააქრე ცეცხლი, ჩქარა! — მიყვირა უილიამმა, — ყველაფერი დაიწვება!

ცეცხლისკენ გავექანე, მაგრამ შევჩერდი, არ ვიცოდი, რა მექნა. უილიამმაც მომაშურა დასახმარებლად. აქეთ-იქით ვიყურებოდით, ვეძებდით, რით ჩაგვექრო ალი, სასოწარკვეთილმა სამოსი გავიძრე და ცეცხლს დავაფარე, მაგრამ ალი უკვე ძალიან ძლიერი იყო, წამში ჩაყლაპა ჩემი სამოსი. ხელები დამეწვა, უკან დავიხიე, უილიამს გავხედე და დავინახე, ხორხე უახლოვდებოდა ცეცხლს. მხურვალება ისეთი ძლიერი იყო, ხორხე მშვენივრად მიხვდა, სად ენთო კოცონი, ხელი გაიწოდა და ცეცხლში ჩააგდო არისტოტელე.

უილიამმა სასოწარკვეთით შეჰყვირა და ძლიერად ჰკრა ხელი ბებერს, რომელიც კარადას დაეჯახა, თავი ძგიდეს მიარტყა და ძირს დაეცა. მაგრამ უილიამს მისთვის არც შეუხედავს, საშინელი მკრეხელობა აღმოხდა პირიდან და წიგნებს მიუბრუნდა. ძალიან გვიანი იყო. არისტოტელე, უფრო სწორად ის, რაც ხორხეს პირს გადაურჩა, უკვე იწვოდა.

ცეცხლი კარადასაც მოსდებოდა და წიგნები ალში იგრიხებოდა. ახლა უკვე ორი კოცონი ენთო ოთახში.

უილიამი მიხვდა, რომ ცარიელი ხელებით ვეღარ გავუმკლავდებოდით ცეცხლს და გადაწყვიტა, წიგნები ეხმარა ცეცხლის ჩასაქრობად. სქელყდიან წიგნს დასწვდა, რომელიც სხვებზე მყარი და გამძლე ჩანდა, და სცადა, წიგნით შებრძოლებოდა გამძვინვარებულ სტიქიას. მაგრამ დარტყმით უფრო აძლიერებდა ნაპერწკლებს, ცდილობდა, ფეხებით გაეფანტა ცეცხლი, მაგრამ უარესი შედეგი მიიღო: ოთახში ღამურებივით დატრიალდა აალებული პერგამენტის ნაფლეთები, ქარი კი აქეთ-იქით აფრიალებდა ალმოდებულ ქაღალდებს და ცეცხლის ახალ კერებს ქმნიდა.

ალბათ, ბედისწერა იყო ისიც, რომ ის დარბაზი ლაბირინთის ერთ-ერთი ყველაზე უწესრიგო ოთახი იყო. კარადები პერგამენტის ხვეულებით იყო სავსე, თაროებზე ძველთაძველი, დაფურცლული, ყდებიდან ნახევრად ამოცვენილი წიგნები ეყარა, მაგიდაზე კი ახალი ხელნაწერები იყო დახვავებული, რომლებიც, ჩანს, მალაქიას ბოლო დღეებში ამოეტანა სკრიპტორიუმიდან და დაბინავება ვერ მოესწრო. მოკლედ, ხორხე რომ მაგიდას დაეჯახა და წიგნები ძირს გადმოყარა, ოთახი პერგამენტებით აივსო, რომლებიც თითქოს ერთ ნაპერწკალს ელოდნენ, რომ გაცოფებულ სტიქიად ქცეულიყვნენ.

დარბაზი თვალის დახამხამებაში გაეხვა ცეცხლში, აგიზგიზებულ მაყვლოვანს ჰგავდა იქაურობა, კარადებსაც მოსდებოდა ალი, ყველაფერი იწვოდა და ჭრიალებდა. მივხვდი, რომ მთელი ლაბირინთი მსხვერპლშეწირვის რიტუალისთვის გამზადებული ერთი უზარმაზარი კოცონი იყო, საგულდაგულოდ მოწყობილი და მომზადებული, რომელიც მხოლოდ ნაპერწკალს ელოდა…

– წყალი! წყალი გვჭირდება! – ყვიროდა უილიამი. მერე თავადვე ჩაილაპარაკა: – მაგრამ სადაა წყალი ამ ჯოჯოხეთში?

– სამზარეულოში იქნება, ქვევით, სამზარეულოში! – დავიყვირე.

უილიამი შეყოყმანდა, მხურვალებისგან სახე აწითლებოდა. – სანამ ჩავალთ და ამოვალთ… ჯანდაბას! – დაიყვირა უცებ. – ამ ოთახს მაინც აღარაფერი ეშველება. ახლავე ჩავიდეთ, მე წყალს მოვძებნი, შენ კი ხალხს შეატყობინე, ბევრი ხალხია საჭირო!

კიბისკენ გასასვლელი მოვძებნეთ. ცეცხლი სხვა ოთახებსაც ანათებდა, თუმცა სინათლე ნელ-ნელა კლებულობდა და ბოლო ოთახები თითქმის ხელის ცეცებით გავიარეთ. მთვარის შუქი ანათებდა სკრიპტორიუმს, იქიდან სატრაპეზოში ჩავედით. უილიამი სამზარეულოსკენ გაექანა, მე კი კარის საკეტს დავეჯაჯგურე. კარგა ხანს ვიწვალე, ღელვისაგან ხელები აღარ მემორჩილებოდა. ტაფობზე გამოვვარდი და სენაკებისკენ გავიქეცი, მაგრამ გზაში მივხვდი, რომ ბერების სათითაოდ გაღვიძების დრო არ იყო, ტაძრისკენ მოვტრიალდი და სამრეკლოს მივაშურე. გულამოვარდნილმა ავირბინე კიბე, ყველა თოკს ერთად ჩავებღაუჭე და გიჟივით ჩამოვკარი ზარებს. მთელი ძალით ვექაჩებოდი, დიდი ზარი თან მიმათრევდა, წინასწორობას ძლივს ვინარჩუნებდი. ხელის მტევნები ზევიდან დამწვარი მქონდა, ახლა კი თოკებმა ხელისგულებიც გადამიყვლიფა ხახუნით, იქამდე ვრეკდი ზარებს, სანამ ხელებიდან სისხლი არ წამომივიდა.

ცოტა ხანში მთელი მონასტერი ფეხზე იდგა. გარეთ გამოვვარდი, ბერები სენაკებიდან გამორბოდნენ, შორიდან მსახურების ხმებიც ისმოდა, ყველა გარეთ გამოფენილიყო. ვერც კი ვლაპარაკობდი, სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი, მხოლოდ ჩემი მშობლიური ენის სიტყვები მადგებოდა ენაზე. გასისხლიანებულ ხელს სასოწარკვეთილი ვიშვერდი ციტადელის სამხრეთი ფრთის ფანჯრებისკენ, რომლებიდანაც ახლა უკვე კაშკაშა ალი გამოდიოდა. სინათლის მიხედვით მივხვდი, სანამ მე ტაძარში შევვარდი, ზარებს ჩამოვკარი და გარეთ გამოვედი, ხანძარი ბიბლიოთეკის სხვა ოთახებსაც მოსდებოდა. „აფრიკის კიდის“ ყველა ფანჯარა და ციტადელის მთელი ფასადი, აღმოსავლეთის კოშკამდე, ცეცხლის ალში იყო გახვეული.

– წყალი! წყალი მიაშველეთ! – ვყვიროდი. თავიდან ვერავინ მიხვდა, რას ვეუბნებოდი. ბერები ისე იყვნენ დარწმუნებული, რომ ბიბლიოთეკა წმინდა და შეუვალი ადგილი იყო, ვერ წარმოედგინათ, რომ მას შეიძლებოდა ისევე დამუქრებოდა მდაბიური საფრთხე, როგორც გლეხის ფიცრულს. შეძრწუნებული ბერები ცეცხლმოდებულ ფანჯრებს შესცქეროდნენ, პირჯვარს იწერდნენ და რაღაცას ბუტბუტებდნენ, მივხვდი, რაღაცის გამოჩენას ელოდნენ. სამოსზე ვებღაუჭებოდი, ვემუდარებოდი, დაეჯერებინათ ჩემთვის, მაგრამ გაშტერებულები იდგნენ, სანამ ვიღაცამ ადამიანურ ენაზე არ თარგმნა ჩემი მუდარა.

მორიმონდოელი ნიკოლოზი იყო. გაიმეორა: – ბიბლიოთეკა იწვის!

– ჰო, – აღმომხდა და უგონოდ დავეცი მიწაზე.

ნიკოლოზი მარჯვედ დატრიალდა. მსახურებს უბრძანებდა, რა გაეკეთებინათ, ბერებს ურჩევდა, როგორ მოქცეულიყვნენ, ვიღაცას ციტადელის კარის გაღება დაავალა, სხვები სათლებისა და ჭურჭლის მოსატანად გაგზავნა, ყვიროდა, რასაც კი იპოვით, მოიტანეთო, გალავნის გადაღმა წყაროზე აგზავნიდა ხალხს. მცველებს უბრძანა, ვირებითა და ჯორებით მოეზიდათ წყალი… ეს მითითებები რომ ისეთ კაცს გაეცა, ვისიც ეშინოდათ, მაშინვე დაემორჩილებოდა ყველა, მაგრამ მსახურები რემიგუსის ბრძანებებს იყვნენ ნაჩვევი, გადამწერები – მალაქიასას, ყველა ერთად კი – წინამძღვრისას. მათგან კი, ვაი, რომ აღარც ერთი არ იყო ადგილზე. ბერები თვალებს აცეცებდნენ, ამოდ დაეძებდნენ წინამძღვარს და მხოლოდ მე ვიცოდი, რომ აბონი მკვდარი იყო, ან სწორედ იმწამს კვდებოდა, კედლის უჰაერო წიაღში გამომწყვდეული, რომელიც ახლა ღუმლად, ფალარიდეს ხარად[235] ქცეულიყო.

ნიკოლოზი მსახურების დამორჩილებას ცდილობდა, მაგრამ ბერები საწინააღმდეგოს ეუბნებოდნენ მათ, ძალიან შეშინებულები იყვნენ, ზოგი ბოლომდე ვერც გამოფხიზლებულიყო. მე გონს მოვედი და, როგორც იქნა, ლაპარაკის უნარი დამიბრუნდა. ვცდილობდი, რაღაც მეთქვა გარშემომყოფთათვის, მაგრამ თითქმის ტიტველი ვიყავი, ჩემი სამოსელი ცეცხლმა ჩაყლაპა, ასე რომ დედიშობილა, ხელებდასისხლიანებული, სახეგამურული და სიცივისგან გალურჯებული ბიჭი ნდობით არ განაწყობდა ბერებს.

ამასაობაში ვიღაცამ სამზარეულო გააღო. ნიკოლოზმა მოახერხა და რამდენიმე ბერი და მსახური წაათრია ციტადელისკენ, ვიღაცამ მოიფიქრა და ჩირაღდნებიც მოიტანა. სამზარეულო თავდაყირა დაგვხვდა: მივხვდი, უილიამი ჭურჭელს ეძებდა წყლისთვის.

სწორედ ამ დროს დავინახე უილიამი სატრაპეზოს კარში, სახე გატრუსვოდა, დამწვარ სამოსზე კვამლი ასდიოდა, წიგნები დაეიღლიავებინა და უცებ საშინლად შემეცოდა, უძლურების ალეგორიას ჰგავდა საბრალო. მივხვდი, ქვაბებით ეზიდა წყალი სამზარეულოდან ბიბლიოთეკაში ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაეხერხებინა. წმინდა ავგუსტინეს ამბავი გამახსენდა, ბიჭუნა რომ უნახავს, რომელიც ზღვის დაშრობას კოვზით ცდილობდა: ბიჭუნა ანგელოზი იყო და ასე ეთამაშებოდა წმინდანს, რომელსაც ღვთიური ბუნების საიდუმლოებებში შეღწევა ეწადა. უილიამი არაქათგამოცლილი ჩამოჯდა კარის ზღურბლზე და სწორედ იმ ანგელოზივით გამომელაპარაკა: – შეუძლებელია. ვერაფერს გავაწყობთ. მთელი მონასტრის ბერები უძლურები არიან. ბიბლიოთეკა დაღუპულია. – მაგრამ, ანგელოზისგან განსხვავებით, უილიამი ტიროდა.

ჩავეხუტე. უილიამმა ერთ-ერთ მაგიდას გადასაფარებელი გადააძრო და ტიტველ სხეულზე შემომახვია. დამარცხებულები შევყურებდით იმას, რაც ჩვენ ირგვლივ ხდებოდა.

ბერები აქეთ-იქით დარბოდნენ, ზოგიერთი ხელცარიელიც არბოდა კიბეზე, ცნობისმოყვარეობის გამო, მერე კი ჭურჭლის საძებრად ჩამორბოდა დახვეულ კიბეზე. უფრო გონიერნი თავიდანვე ჭურჭელს ეძებდნენ, მაგრამ სამზარეულოში წყალი აღარ იყო. ცოტა ხანში სამზარეულო ჯორებით აივსო, რომელთაც წყლით სავსე ტიკები ჰქონდათ წამოკიდებული. ბერები ტვირთავდნენ და ზევით ეზიდებოდნენ წყალს, მაგრამ მსახურებმა სკრიპტორიუმში ასასვლელი გზა არ იცოდნენ. გადამწერები უხსნიდნენ, მაგრამ ამსვლელ-ჩამომსვლელნი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ჭურჭელი იმსხვრეოდა, წყალი იღვრებოდა. მეც ავყევი კიბეზე ამავალ ნაკადს და სკრიპტორიუმში აღმოვჩნდი. ბიბლიოთეკაში ასასვლელიდან მძიმე კვამლი ჩამოდიოდა, ისინი, ვისაც აღმოსავლეთის კოშკამდე გასვლა ეცადა, უკან ბრუნდებოდნენ თვალებჩაწითლებულები, ახველებდნენ, ამბობდნენ, შეუძლებელია იმ ჯოჯოხეთში შესვლაო.

ბენციუსი დავინახე. აღელვებული, ვეებერთელა ჭურჭლით ხელში ცდილობდა ზევით ასვლას. უკან დაბრუნებულების სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, სასოწარკვეთილი აყვირდა: – ჯოჯოხეთი გიყოფთ პირს, ლაჩრებო! – მერე შემობრუნდა, თითქოს გამხნევებას ელოდა ვიღაცისგან და მე დამინახა. – ადსო, – დამიძახა, – ბიბლიოთეკა… ბიბლიოთეკა… – ჩემს პასუხს აღარ დალოდებია, კიბეს მიაშურა და კვამლში შევარდა. ამის მერე აღარც მინახავს.

საშინელი ღრჭიალი მოისმა ზევიდან. სკრიპტორიუმის დახეთქილი თაღებიდან

თაბაშირის ნამტვრევები ცვიოდა. მერე თაღის ვეებერთელა, ყვავილის ფორმის ნაწილი მოსკდა და ჩემ წინ დაეხეთქა. მივხვდი, ლაბირინთის იატაკი ინგრეოდა.

ქვედა სართულზე ჩავირბინე და გარეთ გავვარდი. მსახურებს გარედანაც მიეყუდებინათ კიბეები, რომ ფანჯრებიდან შესულიყვნენ ციტადელში, მაგრამ ყველაზე გრძელი კიბეც ძლივს სწვდებოდა სკრიპტორიუმს და თან ფანჯრები გარედან არ იღებოდა. ხალხი გააგზავნეს შიგნიდან გასაღებად, მაგრამ ციტადელში შესვლას ვეღარავინ ბედავდა. მე მესამე სართულის ფანჯრებს შევცქეროდი: მთელი ბიბლიოთეკა ერთ აგიზგიზებულ კოცონად ქცეულიყო და ცეცხლი უკვე თავისუფლად დათარეშობდა ოთახიდან ოთახში, ათასობით წიგნს მოსდებოდა. ყველა ფანჯარაში ცეცხლი მოჩანდა, სახურავიდან კი კვამლის ვეებერეთელა ღრუბელი ამოდიოდა. სახურავის ძელებზეც გადასულიყო ცეცხლი. ციტადელი, რომელიც ასეთი მყარი და შეუვალი ჩანდა, უეცრად დაძაბუნებულიყო, კედლები დაბზარვოდა, გაფხვიერებოდა და შიგნიდან გამოჭმოდა და ცეცხლის ალები ყველაფერს წვდებოდა, სადაც კი ხის თუნდაც მცირე ნაჭერი იყო.

უცებ, თითქოს რაღაც ძალა მოაწვაო შიგნიდან, ფანჯრები დასკდა და ცეცხლის ენები გარეთ გამოვარდა. თვალისმომჭრელი ნაპერწკლები გადმოიფანტა ღამეში. ქარი უკვე ჩამდგარიყო. ესეც ბედისწერა იყო, ალბათ: ძლიერ ქარს იქნებ ჩაექრო ნაპერწკლები, ნიავი კი ჰაერში დააფრიალებდა და კიდევ უფრო აღვივებდა მათ. მონასტრის ეზოში ნელა დაფრიალებდნენ პერგამენტის ალმოდებული ნაფლეთები, თითქოს თავისით, რაღაც შინაგანი ძალით დაფრინავდნენ. ამ დროს საშინელი ჭახანი გაისმა: ბიბლიოთეკის იატაკი ჩავარდა და ახლა სკრიპტორიუმის ფანჯრებიდან გამოვარდა ცეცხლი. სკრიპტორიუმიც სავსე იყო წიგნებით, კარადებითა და ქაღალდებით. თვალის დახამხამებაში მოედო ცეცხლი იქაურობას. გადამწერები სასოწარკვეთილები ღრიალებდნენ, თავში იცემდნენ ხელებს, ზოგიერთი გმირულად ცდილობდა სკრიპტორიუმში შეღწევას და საყვარელი ხელნაწერების გადარჩენას, მაგრამ ამაოდ. სამზარეულოსა და სატრაპეზოში დაბნეული სულებივით ირეოდნენ ადამიანები, უაზროდ აწყდებოდნენ აქეთ-იქით, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და გარეთ გამოსვლას აღარ აცლიდნენ. ჯორებმაც, ცეცხლის სიახლოვე რომ იგრძნეს, გასასვლელებს მიაშურეს, გაგიჟებულები ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით, წყალი იღვრებოდა, ადამიანები ფეხებში ებლანდებოდნენ ერთმანეთს, ძირს ეცემოდნენ. სულმოკლე ლაჩართა ხროვად ქცეულიყო იქაურობა, უმწეო იყო ყველა, რეგვენიც, ბრძენიცა და მორწმუნეც, უხელმძღვანელოდ, უმეთაუროდ დარჩენილები დანებებოდნენ ბედისწერას და ხელი აეღოთ ბიბლიოთეკის გადარჩენის სასოწარკვეთილ მცდელობაზე.

ეზოში საშინელი აურზაური იდგა. ეს ჯერ ტრაგედიის დასაწყისი იყო მხოლოდ. ციტადელის ფანჯრებიდან და სახურავიდან ამოვარდნილი ცეცხლის ალები, ქარით გაღვივებული და აგიზგიზებული, უკვე ეკლესიის სახურავს სწვდებოდა. ყველამ იცის, რამდენი ბრწყინვალე ტაძარი გამხდარა ცეცხლის მსხვერპლი: რამეთუ ღვთის სახლი მშვენიერი და დაცული ჩანს, ქვით ნაგები და მყარი, ციური იერუსალიმი, მაგრამ კედლებიცა და თაღებიც სუსტსა და მშვენიერ ხის ნაკეთობას ეყრდნობა. ქვით ნაგები ტაძარი ხშირად უმშვენიერეს ტყის ტევრს მოგვაგონებს, ზევით ატყორცნილი სვეტებით, თაღებთან დიდებული მუხებივით რომ იტოტებიან. მაგრამ ტაძარს სხეული მართლა მუხისა აქვს, და შიგნიდანაც მთლიანად ხითაა მოწყობილ-მოკაზმული. ხეშია ნაკვეთი საკურთხეველი, მგალობელთა ნიშები, მოხატული დაფები, მერხები, სააღმსარებლოები, შანდლები. ასეთი იყო ამ მონასტრის ეკლესიაც, რომლის შესასვლელმა კარმაც სრულიად მომაჯადოვა მონასტერში ყოფნის პირველსავე დღეს. ხის კარს თვალის დახამხამებაში მოედო ცეცხლი. ბერებიცა და ხალხიც მაშინ მიხვდნენ, რომ ახლა მთელი მონასტრის სიცოცხლე საფრთხის წინაშე იდგა და კიდევ უფრო აფუცხუნდნენ, თავგანწირულები იბრძოდნენ სტიქიის დასათრგუნად.

ცხადია, ეკლესია ბიბლიოთეკაზე ადვილი მისადგომი და უფრო ადვილად დასაცავიც იყო. ბიბლიოთეკა თავისივე მიუდგომლობამ გაწირა, საიდუმლომ, რომელიც მას იცავდა. საკუთარმა სიძუნწემ და უკარებობამ. ტაძარი კი, რომლის კარიც ყველასთვის ღია იყო სალოცავად, ასევე ღია იყო ყველასთვის, ვინც მის გადარჩენას ლამობდა. მაგრამ გარშემო წყალი აღარსად იყო, წყაროც ძალიან ნელა ავსებდა ჭურჭელს. ყველას უნდოდა ეკლესიაში ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ აღარ იცოდნენ, როგორ. ცეცხლი ზედა ნაწილში

მოსდებოდა კარს და ძნელი მისაწვდომი იყო, ცეცხლს ვერც მიწით შეებრძოლებოდნენ და ვერც ჩვრებით. ხოლო როცა ცეცხლი ქვევით წამოვიდა, ქვიშისა და მიწის მიყრაც ამაო იყო, ჭერი იშლებოდა და ცეცხლთან მებრძოლთაც ქვეშ იყოლებდა.

დამწვარი ავლადიდების გამო სინანულით მოთქმას ახლა დამწვარი, ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ტკივილიანი გოდება უერთდებოდა.

ქარმა კვლავ იმატა და ცეცხლიც უფრო სწრაფად გადაჰქონდა. ეკლესიიდან ალი თავლებსა და ბაგებს მოედო. გადარეულმა ცხოველებმა აიწყვიტეს, სადგომების კარი გამოარღვიეს და შეშინებულები უთავბოლოდ დარბოდნენ ტაფობზე. ყურთასმენა მიჰქონდა ჭიხვინს, ყროყინს, ღმუილს, კიკინსა და ღმუილს. ფაფარაალებული, შეშლილი ცხენები ჯოჯოხეთის ბინადრებივით დაქროდნენ სიბნელეში. მოხუცი ალინარდუსი დავინახე, აქეთ-იქით აწყდებოდა სასოწარკვეთილი, ვერ გაეგო, რა ხდებოდა ირგვლივ. ამ დროს ალმოდებული წაბლა დაეჯახა, წააქცია, გადაუარა და მტვერში გაათრია მოხუცის სხეული, საწყალობელი, უბადრუკი ხორცის გროვა. არც დრო მქონდა და აღარც უნარი მისაშველებლად ან უბედურის დასატირებლად, ამგვარს უამრავს ვხედავდი გარშემო.

ალმოდებულ ცხენებს იქამდეც მიეტანათ ცეცხლი, სადაც თავისით ვერ მისწვდებოდა: უკვე სახელოსნოებიც და მორჩილთა საძილე ოთახებიც იწვოდა. ტაფობზე უაზროდ დარბოდნენ ადამიანები, აღარ იცოდნენ, სად შეეფარებინათ თავი. სახეგასისხლიანებული, ტანისამოსშემოგლეჯილი ნიკოლოზი, დამარცხებული და ბედს შეგუებული, მუხლმოყრილი შეჰღაღადებდა ზეცას, რად მოგვივლინე ღვთის კრულვაო. ტივოლელი პაციფიკუსი გაგიჟებული ჯორის დაჭერას ცდილობდა ტაფობზე. ხელი რომ ჩაავლო ცხოველს, ამ დროს დამინახა და მომაყვირა, თავს უშველე, გაერიდე არმაგედონის ამ მზაკვრულ გამოცხადებასო.

უილიამს ვეძებდი თვალებით, შემეშინდა, ვაითუ ნანგრევებში მოჰყვა-მეთქი. ბოლოს მონასტრის ეზოში დავინახე: თავისი სამგზავრო აბგა ეჭირა ხელში. ცეცხლი უკვე მომლოცველთა საძილე ოთახებსაც მოსდებოდა და უილიამი, როგორც ჩანს, თავის სენაკში ასულიყო, რომ უძვირფასესი ნივთები მაინც გადაერჩინა. ჩემი აბგაც წამოეღო, გამოვართვი და მოვქექე, სამოსი მეგულებოდა შიგ, თითქმის ტიტველი ვიყავი. ვიდექით და უძრავად შევყურებდით, რა ხდებოდა ირგვლივ.

მონასტერი განწირული იყო. თითქმის ყველა ნაგებობა ცეცხლში იყო გახვეული და ალი მალე მიაღწევდა იქაც, სადაც ჯერ არ მისწვდომოდა. ახლა უკვე ყველაფერი, ბუნების სტიქიაცა და დაბნეული, არეული ადამიანებიც, ცეცხლის გავრცელებას უწყობდა ხელს. ის ადგილები თუ გადარჩებოდა მხოლოდ, სადაც შენობები არ იდგა: ბოსტანი და შიგა ეზოს წინ მდებარე ბაღი... ნაგებობების გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. ამას თუ აღიარებდი, ისღა დაგრჩენოდა, თავის გადარჩენაზე გეზრუნა, გაშლილ ადგილას დამდგარიყავი და გეყურებინა იმისათვის, რაც ირგვლივ ხდებოდა.

ეკლესია ნელა იწვოდა. ასეა, უზარმაზარ ნაგებობებს უცებ აეკიდებათ ხოლმე ალი ხის ნაწილებზე და მერე უსაშველოდ დიდხანს, ხანდახან რამდენიმე დღის მანძილზეც გრძელდება მათი აგონია. ბიბლიოთეკა კი სხვაგვარად, ელვის სისწრაფით იწვოდა. მასში საწვავი ბევრად მეტი იყო, ცეცხლს მთლიანად ჩაეყლაპა სკრიპტორიუმიცა და სამზარეულოც. მესამე სართული კი – ათასწლოვანი ლაბირინთით – თითქმის მთლიანად იყო განადგურებული.

– ეს ქრისტიანობის უდიდესი ბიბლიოთეკა იყო, – თქვა უილიამმა. – ახლა მართლა ახლოა ანტიქრისტე, რადგან ვეღარავითარი ცოდნა ვეღარ დააბრკოლებს. ვნახეთ კიდეც მისი სახე ამ ღამით.

– ვისი სახე? – ვკითხე გაოგნებულმა.

– ხორხესი-მეთქი. ცოდნის სიძულვილით დამახინჯებულ იმ სახეში პირველად დავინახე ანტიქრისტე, რომელიც იუდას ტომიდან კი არაა, როგორც მისი წინასწარმეტყველნი ამტკიცებენ, ან რომელიმე შორეული ქვეყნიდან. ანტიქრისტე სიყვარულიდანაც შეიძლება იშვას, ღმერთის ან ჭეშმარიტების ავადმყოფური სიყვარულიდან, ისევე, როგორც

წმინდანი შეიძლება მწვალებლად იქცეს და ნათელმხილველი – სატანის მსახურად. წინასწარმეტყველების გეშინოდეს, ადსო, და მათი, ვინც მზადაა, ჭეშმარიტებისთვის მოკვდეს. ისინი, როგორც წესი, უამრავ სიცოცხლეს წაიყოლებენ ხოლმე თან. უფრო მეტიც, ხშირად წინაც წაიმძღვარებენ სხვებს, ან საერთოდ საკუთარის ნაცვლად სხვის სიცოცხლეს სწირავენ. ხორხეს ქმედება ეშმაკეული იყო, რადგან ისე ავხორცად ეტრფოდა ჭეშმარიტებას, რომ ყველაფრისთვის მზად იყო სიცრუის დასათრგუნად. ხორხეს იმიტომ სცემდა თავზარს არისტოტელეს მეორე წიგნი, რომ ის, ალბათ, მართლა გვასწავლიდა, ყოველგვარი ჭეშმარიტებისთვის სახე გვეცვალა, ოღონდ კი საკუთარი აჩრდილის მონებად არ ვქცეულიყავით. ვისაც ადამიანი უყვარს, მისი მოვალეობა, ალბათ, სწორედ ისაა, რომ ჭეშმარიტებაზე გააცინოს, თავად ჭეშმარიტება გააცინოს, რადგან ერთადერთი ჭეშმარიტება ისაა, ისწავლო, როგორ გათავისუფლდე ჭეშმარიტების ავადმყოფური სიყვარულისაგან.

– კი, მაგრამ, მოძღვარო, – შევბედე გულმოკლულმა, – ახლა იმიტომ ლაპარაკობთ ასე, რომ სულის სიღრმეში ხართ დაკოდილი. მაგრამ ხომ არის ერთი ჭეშმარიტება, ის, რაც ამ ღამით აღმოაჩინეთ, გასული დღეების ნიშანთა კვალდაკვალ. ხორხემ გაიმარჯვა, მაგრამ თქვენ დაამარცხეთ ის, რადგან ფარდა ახადეთ მის ჩანაფიქრს…

– არავითარი ჩანაფიქრი არ ყოფილა, – მითხრა უილიამმა, – და შეცდომის წყალობით გავიგე, რაც გავიგე.

აშკარად წინააღმდეგობრივი იყო მისი სიტყვები და ვერ მივხვდი, უილიამმა საგანგებოდ გამოთქვა ასე აზრი, თუ არა.

– კი, მაგრამ ხომ სწორად მიხვდით, რომ თოვლში ნაკვალევი წაბლაზე მიანიშნებდა, – ვუთხარი, – ხომ მართალია, რომ ადელმუსმა თავი მოიკლა, ხომ მართალი იყო, რომ ვენანციუსიც თავისით არ ჩამხრჩვალა ღორის სისხლში, ლაბირინთიც სწორედ ისე იყო აგებული, როგორც თქვენ წარმოიდგინეთ, გამოიცანით, რომ „აფრიკის კიდეში“ შესასვლელად სიტყვა quatuor-ზე შეხება იყო საჭირო, მართალი იყო, რომ იდუმალი წიგნი არისტოტელეს კალამს ეკუთვნოდა… შემიძლია, კიდევ განვაგრძო და ჩამოვთვალო, რამდენი რამ აღმოჩნდა მართალი იქიდან, რაც თქვენ გამოარკვიეთ საკუთარი განსწავლულობის წყალობით…

– ნიშანთა სისწორეში ეჭვი არასოდეს შემპარვია, ადსო, ეს ერთადერთი რამაა, რაც ადამიანს გააჩნია სამყაროში გზის გასაგნებად. მუდამ მწამდა ნიშანთა შორის არსებული კავშირების. ხორხემდე აპოკალიფსურმა სქემამ მიმიყვანა, რომელიც მკვლელობათა სათავე მეგონა, ის კი სრულიად შემთხვევითი აღმოჩნდა. მკვლელის ძებნაში მივადექი ხორხეს, მკვლელი კი რამდენიმე ყოფილა. ან სულაც არავინ. ხორხემდე გახრწნილი, გამჭრიახი გონების კვალდაკვალ მივედი და აღმოჩნდა, რომ არავითარი გეგმა არ არსებულა, თავად ხორხეც კი ჩამოშორებია თავის პირვანდელ გეგმას და შემდეგ შემთხვევითობათა ჯაჭვი იყო ყოველივე: მიზეზთა, თანამიზეზთა და ურთიერთსაწინააღმდეგო მიზეზთა რიგი, თავისთავად მომხდარი მოვლენები, რომლებიც ყოველგვარი წინასწარი გათვლის გარეშე უკავშირდებოდა ერთმანეთს. კი, მაგრამ სადღაა ჩემი ნაქები სიბრძნე? ვჯიუტობდი, მეგონა, რომ რაღაც მოჩვენებით წესრიგს მივდევდი, თუმცა კარგად უნდა მცოდნოდა, რომ სამყაროში არავითარი წესრიგი არ არსებობს.

– დიახ, მაგრამ მცდარი წესრიგის წარმოდგენით ხომ აღმოაჩინეთ რაღაც…

– მშვენიერი სიტყვაა, ადსო, გმადლობ. წესრიგი, რომელსაც ჩვენი გონება წარმოიდგენს, ბადეს ჰგავს თუ კიბეს, რომელიც რაღაცის მისაღწევად იქსოვება თუ იკვრება. მაგრამ ბოლოს კიბე უნდა გადააგდო, რადგან აღმოაჩენ, რომ, თუმცა კი გამოგადგა, უაზრო ყოფილა. Er muoz gelîchesame die Leiter abewerfen, sô Er an ir ufgestigen ist…[236] სწორია?

– ჩემს ენაზე ასეა. ვინ თქვა?

– ერთმა მისტიკოსმა შენი ქვეყნიდან. სადღაც უწერია, აღარ მახსოვს. და არცაა საჭირო, ვინმემ ოდესმე მიაგნოს იმ ხელნაწერს. ერთადერთი გამოსადეგი ჭეშმარიტება სწორედ ის ხელსაწყოებია, რომლებიც უნდა გადაყარო.

– რატომ იდანაშაულებთ თავს. რაც შეგეძლოთ, ყველაფერი გააკეთეთ.

– კი, ყველაფერი, რაც ადამიანს შეუძლია. ეს კი არ კმარა. ძნელია, მიიღო აზრი, რომ სამყაროში წესრიგი ვერ იარსებებს, რადგან ეს შეურაცხყოფდა ღმერთის თავისუფალ ნებას და მის ყოვლისშემძლეობას. ამრიგად, ღმერთის თავისუფლება ჩვენი სასჯელია, ან ჩვენი ამპარტავნობის სასჯელი მაინც.

ჩემს სიცოცხლეში პირველი და უკანასკნელი თეოლოგიური დასკვნა ამოვღერღე: – კი, მაგრამ როგორ შეიძლება, არსებობდეს რაღაც აუცილებელი, რომელიც მთლიანად შემთხვევითობებით იქნება ნაქსოვი? მაშ რა განსხვავებაა ღმერთსა და პირველსაწყის ქაოსს შორის? ღმერთის აბსოლუტური ყოვლისშემძლეობისა გწამდეს და თან მიგაჩნდეს, რომ ის არაფერზეა დამოკიდებული, საკუთარ გადაწყვეტილებებზეც კი, იმის მტკიცებას არ ნიშნავს, რომ ღმერთი არ არსებობს?

უილიამმა გამომხედა, გრძნობის ნატამალიც კი ვერ შევნიშნე მის ნაკვთებში, და მითხრა: – როგორღა უნდა გაუზიაროს სწავლულმა სხვებს თავისი ცოდნა, შენს კითხვაზე თუ დადებითად უპასუხა?

ვერ მივხვდი, რა თქვა და ჩავეკითხე: – იმას გულისხმობთ, რომ თავად ჭეშმარიტების კრიტერიუმის გარეშე გასაზიარებელი ცოდნაც აღარ იარსებებდა? თუ იმას, რომ ვეღარ შეძლებდით საკუთარი ცოდნის გაზიარებას, რადგან სხვები არ დაგანებებდნენ ამას?

ამ დროს საძილე ოთახების ერთი მხარე ჩამოინგრა და ცეცხლის, კვამლისა და ნაპერწკლების ვეებერთელა ღრუბელი აიჭრა ცაში. შეშინებული თხები და ცხვრები, რომლებიც იქამდე თავგზააბნეულები დარბოდნენ ეზოში, ჩვენკენ გამოექანენ და შემზარავი ბღავილითა და კიკინით გაგვიშლიგინეს გვერდით. მეორე მხრიდან მსახურების ჯგრო დაგვეტაკა, სასოწარკვეთილები გამორბოდნენ, ღრიალებდნენ, წაქცეულებს თავზე უვლიდნენ, ძლივს გადავურჩით ფეხქვეშ გათელვას.

– დიდი არეულობა იწყება, – თქვა უილიამმა. – Non in commotione, non in commotione Dominus[237].

ბოლო ფურცელი

სამ დღე-ღამეს იწვოდა მონასტერი. მისი გადარჩენის ყოველი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. როცა, ჩვენი იქ ყოფნის მეშვიდე დილას, ყველა დარწმუნდა, რომ მონასტერს ვეღარაფერი უშველიდა, როცა შენობების გარე კედლებიც ჩამოიქცა და ტაძარიც მიწასთან გასწორდა, თითქოს საკუთარ თავში ჩაიხვა და თავადვე შთანთქა საკუთარი თავიო, აღარავის შერჩენოდა სურვილი, ღვთის სასჯელს შეწინააღმდეგებოდა. მალე შეწყდა წყლიანი სათლებით სირბილი, აღარავინ ებრძოდა ცეცხლს. ყველაზე ბოლოს კაპიტოლიუმის დარბაზი და წინამძღვრის მედიდური ბინა დაიფერფლა. მსახურებს უკვე გაეზიდათ სათავსოებიდან, რის გამოტანაც შეიძლებოდა და ახლა მთელ ფერდობზე დასდევდნენ დაფანტულ საქონელს: ცეცხლით შეშინებული ცხოველები ღამით გალავნიდან გაქცეულიყვნენ და მონასტრის გარშემო ტყეებში მიმოფანტულიყვნენ.

ვხედავდი, როგორ ფათურობდნენ გლეხები ტაძრის ნანგრევებში, ალბათ, საგანძურში თუ ცდილობდნენ შეღწევას ძვირფასეულობის დასატაცებლად. არ ვიცი, განადგურებული იყო თუ არა საგანძური, ან მოახერხა თუ არა ვინმემ იქიდან რამის გამოტანა, ვფიქრობ, ხანძარს განძზე მონადირეთაგანაც ბევრი შეეწირა.

სოფლიდან ამოდიოდა ხალხი, ზოგი – დასახმარებლად, ზოგიც – საშოვარზე. გავარვარებულ ნანგრევებში ეყარნენ გარდაცვლილები. სამი დღის შემდეგ, როცა დაშავებულებსაც უპატრონეს და მკვდრებიც დამარხეს, ბერებმა და მსახურებმა საკუთარ ნივთებს მოუყარეს თავი და შეჩვენებული ადგილივით დაცარიელდა ჯერ კიდევ

მხრჩოლავი ტაფობი. არავინ იცის, ვინ საით წავიდა.

ჩვენც გავშორდით იქაურობას. ტყეში ორ ცხენს გადავაწყდით. ახლა ისინიც res nullius[238] იყვნენ, შეგვეძლო, დაგვესაკუთრებინა. აღმოსავლეთისკენ დავადექით გზას. ბობიოში ცუდი ამბები დაგვხვდა: რომში ჩასული იმპერატორი ხალხს ტახტზე აეყვანა, ასე რომ ახლა უკვე შეუძლებელი იყო იოანესთან შერიგება, და მასაც ანტიპაპი, ნიკოლოზ მეხუთე აერჩია. მარსილიუსი რომის სულიერ ვიკარიუსად დაუნიშნავთ, მაგრამ მის გამო თუ მისი სისუსტის შედეგად ფრიად სამწუხარო ამბები ხდებოდა ქალაქში. აწამებდნენ პაპის ერთგულ მღვდელმსახურთ, რომლებიც უარს აცხადებდნენ ღვთისმსახურებაზე. ავგუსტინელთა ერთი წინამძღვარი კაპიტოლიუმის ბორცვზე ლომების გალიაში შეუგდიათ. მარსილიუსს და იოანე ჯანდუნელს იოანე მწვალებლად გამოუცხადებიათ და ლუდვიგს მისთვის სიკვდილი მიუსჯია. მაგრამ იმპერატორი ქვეყანას ვერ მართავდა, სახელმწიფო ხაზინასაც უწყალოდ ძარცვავდა და სასტიკად გადაიმტერა ადგილობრივი მთავრები. გზადაგზა ვიგებდით ამ ამბებს და არ ვჩქარობდით რომში ჩასვლას. მაშინ მივხვდი, უილიამს არ უნდოდა, ისეთი მოვლენების მომსწრე გამხდარიყო, რომლებიც იმედებს გაუცრუებდა.

პომპოზაში შევიტყვეთ, რომ რომი აჯანყებია ლუდვიგს. იმპერატორი პიზისკენ გაქცეულა, ხოლო პაპის ქალაქი კვლავ ზარ-ზეიმით დაუკავებიათ იოანეს მომხრეებს.

ამასობაში ჩეზენელი მიქაელიც მიხვდა, რომ ავინიონში მისი ყოფნა შედეგს არ მოიტანდა და მის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. ავინიონიდან გაქცეულა და პიზაში შეერთებია ლუდვიგის ხალხს. კასტრუჩო, ლუკასა და პისტოიის მთავარი, ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, ასე რომ იმპერატორს ახლა მისი მხარდაჭერის იმედიც ვეღარ ექნებოდა.

მოკლედ, უკვე წინასწარ ვხვდებოდით, რაც მოხდებოდა, გასაგები იყო, რომ ბავარიელი მიუნხენში დაბრუნდებოდა, ამიტომ სვლას ვუმატეთ და გადავწყვიტეთ, მისთვის ჩაგვესწრო. თან უილიამი გრძნობდა, რომ იტალია უსაფრთხო აღარ იყო მისთვის. მომდევნო წლებში ლუდვიგი მთავარ გიბელინთა კავშირის დაშლასაც მოესწრო, ჩვენი ამბებიდან ერთი წლის შემდეგ კი ანტიპაპი ნიკოლოზი კისერზე თოკგამობმული ჩაბარდა იოანეს.

ბავარიაში ტირილით გამოვემშვიდობე ჩემს ძვირფას მასწავლებელს. სხვა გზა არ მქონდა, მისი მომავალი გაურკვეველი იყო, ჩემმა ოჯახმა კი გადაწყვიტა, მელქში დავებრუნებინე. იმ ტრაგიკული ღამის შემდეგ, როცა უილიამმა თავისი გულისტკივილი გამანდო მონასტრის ნანგრევების წინ, მომხდარზე აღარც გვისაუბრია, თითქოს უხმოდ შევთანხმებულიყავით, გზაში კრინტიც აღარ დაგვიძრავს იმაზე, რაც თავს გადაგვხდა.

მასწავლებელმა არაერთი სასარგებლო რჩევა მომცა ჩემს მომავალ განათლებასთან დაკავშირებით და, რადგან ახლა თავისი საკითხავი შუშები კვლავ თან ჰქონდა, ნიკოლოზის დამზადებულები მე მაჩუქა. მითხრა, ჯერ კი ყმაწვილი ხარ, მაგრამ ოდესმე დაგჭირდებაო (და მართლაც, ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, სწორედ ის შუშები მიკეთია). მერე ალერსიანად, მამასავით მომეხვია და გამომემშვიდობა.

იმის მერე აღარც მინახავს ჩემი მასწავლებელი. მრავალი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ ჩვენი საუკუნის შუა წლებში ევროპაში დიდი ჭირიანობის დროს გარდაცვლილიყო. მუდამ ვლოცულობ მისი სულისთვის და უფალს შევთხოვ, მიუტევოს სიამაყის ცოდვა, რომელსაც ინტელექტუალური ამპარტავნობის გამო ვერ უმკლავდებოდა.

უკვე მოწიფული კაცი ვიყავი, როცა მრავალი წლის შემდეგ იტალიაში გავემგზავრე ჩემი წინამძღვრის დავალებით. ცდუნებას ვერ გავუძელი და უკან დაბრუნებისას გზიდან გადავუხვიე, რომ ნაცნობი ადგილები მენახა.

დიადი და შთამბეჭდავი ნაგებობებისგან, იმ ადგილს რომ ამკობდნენ, ნანგრევებიღა დარჩენილიყო, ისევე, როგორც წარმართული ეპოქის ბრწყინვალე ძეგლებისა რომში. ხავსი მოჰკიდებოდა ჩამონგრეულ სვეტებს, დამტვრეულ ძელებს, ყველაფერს, რაც დროს გადარჩენოდა. სარეველა მოსდებოდა არემარეს, ბოსტნისა და ბაღის კვალიც აღარ ჩანდა, სასაფლაო კი ვიცანი, რამდენიმე საფლავი ჯერ კიდევ მოჩანდა ბალახში. მთელ

ფერდობზე სიცოცხლის ერთადერთი ნიშანი მტაცებელი ფრინველები იყვნენ, ტაფობს დასტრიალებდნენ და ნანგრევებზე მცოცავ ქვეწარმავლებზე ნადირობდნენ. იქ, სადაც ოდესღაც ტაძრის შესასვლელი იყო, კარის ნაშთები შევნიშნე. ობისგან შეჭმული საყრდენი ძელის ნაწილი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ხვიარებით დაფარულ, გაცრეცილ ხეზე ტახტზე მჯდომი ქრისტეს მარცხენა თვალი და ლომის სახის ნაწილი გავარჩიე.

ციტადელი, თითქოს დროს გაჯიუტებოდა, ჯერ კიდევ იდგა, მხოლოდ სამხრეთის კედელი ჩანგრეულიყო მთლიანად. კლდეზე გამავალი კოშკები თითქმის ხელუხლებელი იყო. ჩაშავებული ფანჯრები დათხრილი თვალებივით მოჩანდა კედლებზე, ფანჯრებიდან გადმოხლართული ხვიარა მცენარეები კი ლორწოვან ცრემლებს ჰგავდა. ციტადელის შიგნით ადამიანის ნახელავი, მიწასთან გასწორებული, ბუნების ქმნილებას შერწყმოდა: სამზარეულოდან ზეცა მოჩანდა, რადგან ზედა სართულები აღარ არსებობდა, დაცემული ანგელოზებივით ჩაქცეულიყო. სადაც სარეველას სიმწვანე ვერ მორეოდა, ათეულობით წლის წინანდელი ხანძრით გამურული კედლები კვლავ შავად მოჩანდა.

ნანგრევებში პერგამენტის ნარჩენები ვიპოვე, სკრიპტორიუმიდან და ბიბლიოთეკიდან ჩამოცვენილი ფურცლები მიწაში იყო დამარხული, განძივით. სათითაოდ ვკრეფდი და ვაგროვებდი ფურცლებს, თითქოს იმედი მქონოდა, რომ ერთიან წიგნს შევკრავდი მათგან. ერთ-ერთ კოშკში გაშიშვლებული და თითქმის ხელუხლებელი, სკრიპტორიუმში ამავალი დახვეული კიბე დავინახე. კიბე, თუმცა კი ზევით ალაგ-ალაგ ჩამონგრეული, ბიბლიოთეკამდეც ადიოდა, მაგრამ ბიბლიოთეკისგან მხოლოდ გვირაბივით ვიწრო გასასვლელი დარჩენილიყო, რომელიც გარე კედელს უვლიდა და შიგნით სიცარიელეს ჩაჰყურებდა.

კედლის ერთ მხარეს სასწაულებრივად გადარჩენილი კარადა იდგა, არ ვიცი, როგორ გადაურჩა ცეცხლს, ერთიანად შეეჭამა დროსა და მწერებს. შიგნით კიდევ იყო რამდენიმე ფურცელი. ზოგიერთიც ქვევით, ნანგრევებში, ვიპოვე. სასოწარკვეთილი ვიქექებოდი მთელი დღე ნანგრევებში, თითქოს რაღაცის შეკოწიწება მინდოდა ბიბლიოთეკის იმ ნარჩენებიდან. პერგამენტები ერთიანად გახუნებულიყო, თუმცა აქა-იქ კიდევ მოჩანდა ნახატები და ზოგან – სიტყვებიც. ზოგიერთ ფურცელზე მთელი წინადადების ამოკითხვაც კი იყო შესაძლებელი. ლითონის სალტეებით შეკრული, მშვენივრად შენახული ყდებიც შემხვდა… ეტრატები გარედან ხელუხლებელს ჰგავდა, მაგრამ შიგნიდან გამოჭმული იყო, თუმცა ცალკეული ფურცლები შენახულიყო კიდეც, აქა-იქ სათაურს ან შენიშვნას მოჰკრავდი თვალს…

რაც კი ვიპოვე, ყველაფერი მოვაგროვე. ორი სამგზავრო აბგა გავავსე, ბევრი საჭირო ნივთი გადავაგდე, რომ ის იდუმალი განძი თან წამომეღო.

უკანა გზაზე და შემდეგაც – მელქში – უამრავი დრო გავატარე ბიბლიოთეკის ნარჩენების კითხვაში. ხანდახან ერთი სიტყვით, რამე მინიშნებით, ვცნობდი კიდეც, რომელი წიგნიდან იყო ესა თუ ის ფურცელი. და როცა შემდეგ იმ წიგნების სხვა ასლებს ვხვდებოდი, ისეთი სიყვარულითა და რუდუნებით ჩავკირკიტებდი მათ, თითქოს განგებას ნიშანი მოეცა ჩემთვის, თითქოს შემთხვევითი არ იყო, რომ განადგურებული წიგნი რაღაცით ამოვიცანი და შემდეგ მისი სხვა ასლი ჩამივარდა ხელთ. ამას ისე ვიღებდი, როგორც მკაფიო ნიშანს ზეციდან, რომელიც მეუბნებოდა: tolle et lege[239]. მოთმინებითა და განადგურებული წიგნების აღდგენაზე მრავალწლიანი მუშაობით ერთგვარი პატარა ბიბლიოთეკა შევქმენი, ნიშანი იმ დიადი წიგნსაცავისა: ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა ნაწყვეტების, ამონარიდების, დაუმთავრებელი წინადადებების, ხელნაწერების ნაგლეჯებისგან.

რაც უფრო ხშირად ვკითხულობ ამ წიგნების ჩამონათვალს, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ის შემთხვევითობის ნაყოფია და მასში არავითარი ფარული აზრი არაა ჩადებული. მაგრამ ეს არასრული გვერდები იმ დღიდან თან მდევს, ვიცი, დარჩენილი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიმყვება და ხშირად ისე ჩავცქერი მათ, როგორც მისანთა წიგნს. ხანდახან მგონია, რომ ის, რასაც ახლა შენ კითხულობ, უცნობო მკითხველო, ცენტონია, სახოვანი თხზულება, უსაშველოდ გრძელი აკროსტიქი, რომელიც მხოლოდ იმ დაშლილი წიგნების ნაკარნახევს იმეორებს და არც კი ვიცი, მე მოგითხრეთ ეს ამბავი თუ ის ფურცლები მეტყველებდნენ ჩემი ბაგეებით. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, რაც უფრო ხშირად ვფიქრობ ამ ნაკუწებისგან შეკოწიწებულ ამბავზე, უფრო ვეღარ ვიგებ, მართლა

იყო თუ არა ამ ამბავში რაღაც ისეთი, რაც სცილდებოდა აღწერილი მოვლენებისა და მათი დამაკავშირებელი დროის ბუნებრივ სვლას. უკიდურესად მძიმეა მხცოვანი, აღსასრულს მიახლოებული ბერისათვის, არ იცოდეს, არის თუ არა მის ნაწერში ფარული შინაარსი, ერთი, ერთზე მეტი, მრავალი თუ არანაირი.

ალბათ, ამის დანახვაში იმ დიდი წყვდიადის ჩრდილი თუ მიშლის ხელს, ჭაღარა სამყაროს რომ წამოსდგომია თავს.

Est ubi gloria nunc Babylonia?[240] სადღაა ახლა ისეთი თოვლი, ოდესღაც რომ იყო? დედამიწა მაკაბრთა დარად როკავს და დროდადრო მეჩვენება, რომ დუნაის შეშლილებით დატვირთული გემები სერავენ, რომლებიც, ღმერთმა უწყის, საით მიდიან. დუმილიღა დამრჩენია. O quam salubre, quam iucundum et suave est[241], იჯდე მარტოდმარტო et tacere et loqui cum Deo![242] მალე დავბრუნდები იქ, საიდანაც მოვედი და აღარც მჯერა, რომ არსებობს ღმერთი დიდებისა, რომელზეც ჩემი ორდენის ბერები მიყვებოდნენ, ან – ღმერთი სიხარულისა, რომლისაც მაშინდელ მინორიტებს სწამდათ, ან თუნდაც მოწყალებისა. Gott ist ein lautes Nichts, ihn rührt kein Nun noch Hier…[243] მალე შევერწყმები ყოვლისმომცველ სიცარიელეს, თვალუწვდენელსა და უკიდეგანოს, სადაც ნეტარებით ფეთქავს ჭეშმარიტად წმინდა გული. უტყვად, მარადიული კავშირით შევუერთდები ღვთიურ წყვდიადს, ჩავინთქმები მასში და წაიშლება ყოველგვარი მსგავსება და განსხვავება. უსასრულო უფსკრულს შერთულს, სულს საკუთარი თავი გამოეცლება და მასთან ერთად დაიკარგება მსგავსი, სხვაგვარი თუ უბრალოდ სხვა. და აღმოვჩნდები პირველსაწყის, მდუმარე წიაღში, სადაც ყველაფერი თანასწორია და არავის აქვს საკუთარი ადგილი. ჩავიკარგები მარადიულ, ღვთიურ დუმილში, სადაც არავინ სახლობს, სადაც არ არსებობს არც ქმნილება, არც სახება არანაირი.

სკრიპტორიუმში ცივა, ცერა თითი მტკივა. არ ვიცი, ვისთვის, არ ვიცი, რატომ ვტოვებ ამ ხელნაწერს: Stat rosa pristina nomine, nomina nuda tenemus[244].

ბოლოთქმა „ვარდის სახელისათვის“ 1983

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ალფაბეტის“ 49-ე ნომერში, 1983 წლის ივნისში

Rosa que al prado, encarnada, te ostentas presuntuosa

de grana y carmín bañada:

campa lozana y gustosa.

pero no, que siendo hermosa

también serás desdichada.

Juana Inés De La Cruz[245]

სათაური და მისი მნიშვნელობა

„ვარდის სახელის“ გამოსვლის შემდეგ უამრავი წერილი მომდის მკითხველებისგან. მეკითხებიან, რას ნიშნავს ფინალური ლათინური ჰეგზამეტრი და რატომ დავარქვი რომანს სახელი ამ ჰეგზამეტრის მიხედვით. ვპასუხობ, რომ ესაა სტრიქონები ბერნარ მორლელის „De contemptu mundi“[246]-დან. ბერნარი XII საუკუნის ბენედიქტელია, რომელიც წერდა თემაზე ubi sunt[247] (რომელსაც უკავშირდება შემდეგ ვიიონის mais où

sont les neiges d’antan[248]), მაგრამ ის ჩვეულებრივ თემას (ძველი დროის დიდი გმირები, ბრწყინვალე ქალაქები, მეფეთა მშვენიერი ასულები – ყველაფერი არარაში ქრება) ამატებდა აზრს, რომ ყოველივე ქრება და რჩება მხოლოდ სახელი. მახსოვს, რომ აბელარი ფრაზას nulla rosa est იმის საჩვენებლად იყენებდა, თუ როგორ შეიძლება ენაში აისახოს აღარარსებულიც და არარსებულიც. დანარჩენი კი დაე მკითხველმა თავად წარმოიდგინოს.

ავტორი არ უნდა გვაწვდიდეს თავისი ნაწარმოების ინტერპრეტაციას, თორემ ის რომანი აღარ იქნება: რომანი ხომ თავადაა ვარიანტებისა და ინტერპრეტაციების წყარო. თუმცა ამ ღირსეული მიზნის მიღწევის გზაზე ერთ-ერთი და მთავარი დაბრკოლება სწორედ ის ფაქტია, რომ რომანს სათაური უნდა ჰქონდეს.

სათაური, სამწუხაროდ, თავისთავადაა ნაწარმოების ინტერპრეტაციის გასაღები. შეუძლებელია, თავი დააღწიო განწყობას, რომელსაც ქმნის „წითელი და შავი“ ან „ომი და მშვიდობა“. ვფიქრობ, ყველაზე მეტად მკითხველს ის ავტორი სცემს პატივს, რომელიც რომანის სახელწოდებად მთავარი გმირის სახელსა და გვარს აირჩევს. ასეთებია, მაგალითად, „დევიდ კოპერფილდი“ ან „რობინზონ კრუზო“. თუმცა ავტორს მკითხველის გონებაზე ზემოქმედება საკუთარი სახელითაც კი შეუძლია. „მამა გორიო“, მაგალითად, მკითხველის ყურადღებას ძალაუნებურად მოხუცი მღვდლის პერსონაჟს მიაპყრობს, თუმცა რომანი მხოლოდ გორიოს ამბავს არ მოგვითხრობს: ის რასტინიაკის, ვოტრენის, კოლინის თავგადასავალიცაა. ან იქნებ აჯობებს, დიუმასავით წესიერად უწესოდ მოვიქცეთ და „სამი მუშკეტერი“ დავარქვათ ამბავს, რომლის მთავარი გმირი მეოთხე მუშკეტერია. მაგრამ ეს იშვიათი ფუფუნებაა. თუმცა, შესაძლოა, ავტორს ხანდახან თავისდა უნებურადაც გამოუვიდეს ასე.

ჩემს რომანს თავიდან სხვა, დროებითი სახელი ჰქონდა: „სისხლიანი მონასტერი“. ის უკუვაგდე, რადგან მკითხველის ყურადღებას იმთავითვე რომანის დეტექტიურ შინაარსს მიაჯაჭვავდა. ამას შეიძლებოდა მძაფრსიუჟეტიანი წიგნის მკითხველი დაებნია, წიგნი ეყიდა და იმედი გასცრუებოდა. ვოცნებობდი, რომანისთვის „მელქელი ადსო“ დამერქმია. ნეიტრალური სათაური იქნებოდა: ადსო ხომ მხოლოდ მთხრობელია. მაგრამ იტალიელ გამომცემლებს არ უყვართ საკუთარი სახელები, „ფერმო და ლუჩიასაც“[249] კი სხვა სახელი მოუძებნეს. საერთოდ, იტალიაში ბევრი არაა წიგნი, რომელსაც ადამიანის სახელი ჰქვია. გვყავს ლემონიო ბორეო, რუბე ან მეტელო, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი კუზინა ბეტი, ბარი ლინდონი, არმანსი და ტომ ჯონსია მსოფლიო ლიტერატურაში.

რომანის საბოლოო სახელწოდება – „ვარდის სახელი“ – თითქმის შემთხვევით მომივიდა აზრად და მომეწონა, რადგან ვარდი მნიშვნელობებით საოცრად დატვირთული სიმბოლური ფიგურაა: „მისტიკური ვარდი, და ვარდს სიცოცხლის ხანგრძლივობაც ვარდის ხვდა წილად“[250], ვარდების ომი, „ვარდი ვარდია, ვარდია, ვარდია“[251], ვარდჯვრიანები[252], „ვარდს რომ ვარდი აღარ უწოდო“[253], „ვარდი ქორფა და სურნელოვანი“[254]. ეს სიმბოლო, ბუნებრივია, აბნევს მკითხველს და ასეც უნდა იყოს, მკითხველი ვერ ირჩევს რომელიმე ერთ მნიშვნელობას და, თუნდაც ჩასწვდეს ფინალური სტრიქონების არსს, წიგნი უკვე დამთავრებული აქვს, კითხვისას კი, ვინ იცის, რამდენი რამ წარმოიდგინა. სათაურმა აზრები კი არ უნდა დაულაგოს მკითხველს, პირიქით, თავგზა უნდა აუბნიოს.

რომანის ავტორს ყველაზე მეტად ის ახარებს, როცა მკითხველში თავისი ნაწარმოების იმგვარ ინტერპრეტაციას აღმოაჩენს, რომელზეც მას სულ არ უფიქრია და რომელიც პირველად სწორედ მკითხველმა უკარნახა. თეორიული ნაშრომების წერისას ჩემი დამოკიდებულება რეცენზენტების მიმართ ამგვარი იყო: „მიხვდნენ თუ არა, რის თქმა მსურდა?“ რომანი კი სულ სხვა რამაა. უნდა ვთქვა, რომ ხანდახან ავტორი თავისი ნაწარმოების ფრიად უჩვეულო, თავისთვის მიუღებელ ინტერპრეტაციასაც ეჩეხება, მაგრამ დუმილი მართებს: დაე სხვებმა მოიმარჯვონ ტექსტი და უგულებელყონ ასეთი ინტერპრეტაციები. არსებითად, ნებისმიერმა ინტერპრეტაციამ შეიძლება დაანახვოს ავტორს რაღაც ისეთი მნიშვნელობა, რომელზეც მას არ უფიქრია. კი, მაგრამ რას ნიშნავს, არ უფიქრია?

ფრანგმა მკვლევარმა, მირეი კალგრუბერმა, ყურადღება გაამახვილა ფარულ პარაგრამებზე, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებს სიტყვა „უბრალოს“ ორ მნიშვნელობას: „ღატაკს“ და „სამკურნალო ბალახებს“. მან მიიჩნია, რომ ამ სიტყვით მე მწვალებლობის სარეველას ვგულისხმობდი. შემიძლია ვუპასუხო, რომ სიტყვა უბრალოს ორივე მნიშვნელობა იმ ეპოქის ლიტერატურას უკავშირდება, ისევე, როგორც თავად სარეველა. მეორე მხრივ, კარგად ვიცნობდი გრეიმასის მაგალითს ორმაგ იზოტოპიაზე, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა ბალახთა მცოდნეს უბრალოთა მეგობარს ვუწოდებთ. ვიცოდი თუ არა, რომ პარაგრამებით ვთამაშობდი? ამის თქმას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ტექსტი დაწერილია და თავად შობს მრავალნაირ მნიშვნელობას.

რომანის რეცენზიების კითხვისას სიამოვნების ჟრუანტელი მივლიდა, როცა რომელიმე კრიტიკოსი (პირველები ჯინევრა ბომპიანი და ლარს გუსტავსონი იყვნენ) უილიამის მიერ ინკვიზიციის პროცესის დასასრულს წარმოთქმულ სიტყვებს მოიხმობდა: „რა გაფრთხობთ სიწმინდეში ყველაზე მეტად?“ – ეკითხება ადსო და უილიამი პასუხობს: „სულსწრაფობა“. ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს ეს ორი პწკარი. თუმცა ერთხელ ერთმა მკითხველმა მიმანიშნა, რომ მომდევნო გვერდზე ბერნარ გუი, როცა მეკუჭნავეს წამებით ემუქრება, ამბობს: „ცრუ მოციქულები ჩქარობდნენ, ღვთიურ სამართალს კი საუკუნეები აქვს ხელთ, არსად ეჩქარება“. მკითხველი სავსებით მართებულად მეკითხებოდა, რა კავშირის დამყარება მსურდა უილიამის მიერ ნახსენებ სულსწრაფობასა (რომელიც მას ასე აშინებდა) და ბერნარის მიერ ხოტბაშესხმულ სიდინჯეს შორის. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა. ადსოსა და უილიამის საუბარი ხელნაწერის თავდაპირველ ვარიანტში არ იყო. ეს სიტყვები მუშაობის პროცესში დავამატე. ტექსტის ჰარმონიულობა მთხოვდა, რაღაც ჩამემატებინა, ვიდრე კვლავ ბერნარს გადავცემდი სიტყვას. და როცა უილიამს სულსწრაფობას ვაძაგებინებდი (და სრულიად დარწმუნებით, ამიტომაც მომეწონა შემდეგ ასე ძალიან ეს ორი პწკარი), სულ დამავიწყდა, რომ მალევე ბერნარიც ლაპარაკობდა ამაზე. თუ ბერნარის სიტყვებს უილიამის ნათქვამისაგან გამიჯნულად წაიკითხავთ, ის უბრალოდ მოსამართლის ჩვეულებრივი სიტყვებია, ისეთივე სტერეოტიპული გამონათქვამია, როგორიც, მაგალითად, „სამართალი ყველასთვის ერთია“. მაგრამ ვაი, რომ თუ უილიამისა და ბერნარის მიერ ნახსენებ სულსწრაფობას ერთმანეთს დავუპირისპირებთ, სრულიად სამართლიანად იბადება აზრი, რომ ამ დაპირისპირებაში განსაკუთრებული შინაარსია ჩადებული. და მკითხველი მართალია, როცა უჩნდება კითხვა, ერთსა და იმავეს გულისხმობს ეს ორი ადამიანი თუ უილიამისა და ბერნარის სიძულვილი სულსწრაფობისადმი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან? როგორც ვთქვი, ტექსტი დაწერილია და თავად შობს მრავალნაირ მნიშვნელობას. მინდოდა ეს თუ არა, შეკითხვა დასმულია, ორაზროვანი პროვოკაცია არსებობს და მეც კი მიჭირს ამ წინააღმდეგობის ინტერპრეტირება, თუმცა მესმის, რომ ამაში რაღაც აზრი დევს (და, შესაძლოა, არაერთი).

ავტორი უნდა მოკვდეს ნაწარმოების დასრულების შემდეგ. ტექსტის სვლა რომ არ დააბრკოლოს.

პროცესის აღწერა

ინტერპრეტაცია ავტორის საქმე არ არის. მაგრამ მას შეუძლია, მოჰყვეს, რატომ და როგორ დაწერა. პოეტიკაზე შექმნილი ნაშრომები ყოველთვის ვერ დაგვეხმარება იმ ნაწარმოების გაგებაში, რომელსაც ისინი ეძღვნება, მაგრამ გვეხმარება, გავიგოთ, როგორ გადაიჭრება ის ტექნიკური პრობლემა, რასაც ნაწარმოების შექმნა ჰქვია.

ედგარ ალან პო თავის „თხზვის ფილოსოფიაში“ ჰყვება, როგორ დაწერა „ყორანი“. იმას კი არ გვეუბნება, როგორ უნდა წავიკითხოთ ნაწარმოები, არამედ გვიხსნის, რა საკითხები ჰქონდა გადასაჭრელი პოეტური ეფექტის მისაღწევად. ჩემთვის პოეტური ეფექტი არის ტექსტის უნარი, რაც შეიძლება ბევრნაირი ინტერპრეტაცია შვას ისე, რომ ბოლომდე არასოდეს ამოიწუროს.

ვინც წერს (ხატავს, აქანდაკებს ან მუსიკას თხზავს), ყოველთვის იცის, რას აკეთებს და რა უჯდება ეს შრომა. იცის, რომ ამოცანა აქვს გადასაჭრელი. შეიძლება, ბუნდოვანი იმპულსით, აკვიატებით, უბრალო ახირებით ან სურვილით დაიწყოს, მაგრამ პრობლემა შრომით, მასალაზე მუშაობით იჭრება: ყოველი მასალა თავის ბუნებრივ კანონებს ავლენს, მაგრამ ამავე დროს იმ კულტურის ნიშნებს ატარებს, რომლითაცაა დამუხტული (ინტერტექსტუალურობის ეფექტი).

ავტორი, რომელიც ამბობს, შთაგონებით, დაუფიქრებლად ვმუშაობო, ტყუის: Genius is twenty per cent inspiration and eighty per cent perspiration[255].

აღარ მახსოვს, რომელ ცნობილ ლექსზე წერდა ლამარტინი, ტყეში ქარიშხლიან ღამეში ერთი ამოსუნთქვით დავწერეო. რომ გარდაიცვალა, ამ ნაწარმოების ხელნაწერები ნახეს: უამრავგან ჩასწორებული, ნაირ-ნაირი ვარიანტები. ეს ლამის ყველაზე „დამუშავებული“ ლექსი აღმოჩნდა მთელ ფრანგულ ლიტერატურაში.

როდესაც მწერალი (ან, ზოგადად, ხელოვანი) ამბობს, რომ შექმნის პროცესის წესებზე დაუფიქრებლად მუშაობს, მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ მუშაობისას ვერ აცნობიერებს, რომ წესები იცის. ბავშვი შესანიშნავად ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე, მაგრამ ვერაფრით ახსნის გრამატიკულ წესებს. მხოლოდ ლინგვისტმა როდი იცის კარგად გრამატიკა: ის ბავშვმაც მშვენივრად იცის, უბრალოდ არ იცის, რომ იცის. მხოლოდ ლინგვისტმა იცის, რატომ და როგორ იცის ბავშვმა საკუთარი ენა.

იმის მოყოლა, თუ როგორ წერდი, არ ნიშნავს, რომ კარგად დაწერე. პო ამბობდა, ერთია ნაწარმოების შედეგი და მეორეა პროცესის ცოდნაო. როცა კანდინსკი ან კლეე გვიყვებიან, როგორ ხატავენ, იმაზე არაფერს ამბობენ, რომელი უკეთ ხატავს. მიქელანჯელო ამბობს, მოქანდაკის ოსტატობა ის არის, ზედმეტი შემოაცალოს სხეულს, რომელიც უკვე არსებობს მარმარილოშიო, მაგრამ ის კი არასოდეს უთქვამს, ვატიკანის „პიეტა“ სჯობია თუ რონდანინისა.

თავად შექმნის პროცესის შესახებ ყველაზე ბრწყინვალე ნაშრომები ხშირად მხატვრული თვალსაზრისით სრულიად რიგით ავტორებს ეკუთვნის, ანუ ისეთებს, რომელთა შემოქმედება განსაკუთრებული სულაც არაა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ღრმად სწვდებოდნენ და აანალიზებდნენ საკუთრივ ქმნის პროცესს. ასეთები არიან, მაგალითად, ვაზარი, ჰორაციო გრინაფი, აარონ კოპლენდი.

რა თქმა უნდა, შუა საუკუნეები

რომანი იმიტომ დავწერე, რომ რომანის დაწერა მინდოდა. მგონი, საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ დაჯდე და წერა დაიწყო. ადამიანი ბუნებით მთხრობელი არსებაა. 1978-ის მარტში დავიწყე წერა და ჯერ ჩამოყალიბებულიც არ მქონდა ნაწარმოების მონახაზი. მინდოდა, ბერი მომეწამლა. ვფიქრობ, რომანი ამგვარი იდეიდან იბადება, დანარჩენი კი რბილობია, ხორცი, რომელიც გზადაგზა ესხმება მას.

იდეა ბევრად უფრო ადრინდელი იყო. წერა დაწყებული მქონდა, როცა 1975 წლით დათარიღებული რვეული ვიპოვე, რომელშიც რომელიღაც მონასტრის ბერების სახელები მქონდა ჩამოწერილი. თავიდან ორფილას ტრაქტატის კითხვა დავიწყე „საწამლავების შესახებ“[256], რომელიც ოცი წლით ადრე სენის სანაპიროზე ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში მხოლოდ ჰიუსმანსის (Là Bas [257]) სიყვარულის გამო მქონდა ნაყიდი. მაგრამ მასში აღწერილი შხამებიდან არც ერთი არ მაკმაყოფილებდა და ამიტომ ერთ ჩემს ბიოლოგ მეგობარს დავეკითხე იმ იმედით, რომ გარკვეული თვისებების მქონე რომელიმე საწამლავს მიკარნახებდა (მაგალითად, მჭირდებოდა ისეთი შხამი, რომელიც შეხებისას კანით შეიწოვება). მაშინვე გავანადგურე წერილი, რომელშიც მპასუხობდა, საშენო საწამლავი არ მეგულებაო. ასეთი დოკუმენტები განსხვავებულ კონტექსტში თუ წაიკითხა ვინმემ, შეიძლება ყულფშიც გაგაყოფინონ თავი.

თავიდან ჩემს ბერებს თანამედროვე მონასტერში უნდა ეცხოვრათ (წარმომედგინა ბერი, რომელიც „მანიფესტს“[258] კითხულობს), მაგრამ ვინაიდან მონასტრები ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მოგონებებით სულდგმულობენ, ჩემს ძველ ნაწერებს მივუბრუნდი, მაშინდელს, როცა შუა საუკუნეებს ვიკვლევდი (1956-ში გამოქვეყნებულ წიგნს შუა საუკუნეების ესთეტიკაზე, 1969-ში დაბეჭდილ ასგვერდიან ნაშრომს ამავე თემაზე, სხვადასხვა ესეებს, წერილებს. 1962 წელს ხელახლა ჩავუღრმავდი მედიევისტურ ტრადიციას ჯოისთან დაკავშირებული კვლევის გამო და 1972-ში სქელტანიანი ნაშრომიც გამოვაქვეყნე „გამოცხადებასა“ და მინიატურებზე, რომლებითაც ბეატუს ლიებანელის კომენტარები იყო გაფორმებული: მოკლედ, შუა საუკუნეებისთვის თავი არასოდეს მიმინებია). დიდძალი მასალა მქონდა (შენიშვნები, ფოტოასლები, რვეულები), 1952 წლიდან ნაგროვები ათასნაირი მიზნით, ან ხშირად – კონკრეტული მიზნის გარეშეც: ურჩხულთა ისტორიისთვის, შუა საუკუნეების ენციკლოპედიების ანალიზისთვის ან სიის თეორიისთვის... მერე ვიფიქრე, რადგან შუა საუკუნეები ჩემი წარმოსახვის ყოველდღიური საზრდო იყო, ღირდა, რომანის სიუჟეტი შუა საუკუნეებში გამეშალა. ერთხელ ერთ ინტერვიუშიც ვთქვი, აწმყოს მხოლოდ ტელეეკრანიდან ვიცნობ, შუა საუკუნეებთან კი უშუალო ურთიერთობა მაქვს-მეთქი. სოფელში, კოცონს რომ ვანთებდით ხოლმე მინდორში, ჩემი ცოლი მსაყვედურობდა, რატომ არ უყურებ ნაპერწკლებს, ჰაერში რომ დაფრიალებენ და ცეცხლოვან კვალს ტოვებენ სიბნელეშიო. როცა ის თავი წაიკითხა, სადაც ხანძარია აღწერილი, მითხრა: ესე იგი, უყურებდი ნაპერწკლებს! მე ვუპასუხე, არა, მაგრამ ზუსტად ვიცი, შუა საუკუნეების ბერი მათ როგორ დაინახავდა-მეთქი.

ათი წლის წინ გამოვაქვეყნე კვლევა ბეატუს ლიებანელის კომენტარებზე „გამოცხადების“ შესახებ. გამოცემას წინათქმად ერთვის წერილი გამომცემლის – ფრანკო მარია რიჩისადმი, სადაც ვაღიარებდი: „ასეა თუ ისე, ჩემი კვლევები გრიფონებითა და მარტორქებით დასახლებულ სიმბოლოების უღრან ტყეებში დაიწყო, ტაძრების წვეტებსა და კვადრატულ ფორმებს Summulae[259]-თა ოთხმარცვლიან სტროფებში ჩადებულ ფარულ ეგზეგეტიკურ მნიშვნელობას ვადარებდი, ვიკო დელი სტრამისა[260] და ბერნარდელთა ბაზილიკების ნავებს შორის დავბოდიალობდი, განსწავლულ და მედიდურ კლიუნიელ ბერებს ვებაასებოდი. ჩასუქებული და რაციონალისტი აკვინელი კი ალმაცერად მიყურებდა. მაჯადოებდა ჰონორიუს ავგუსტოდუნელის[261] მომნუსხავი აღწერილობანი, სადაც ერთდროულად განმარტებული იყო, Quare in pueritia coitus non contingat[262] და ისიც, როგორ უნდა მიაღწიო დაკარგულ კუნძულამდე, ან როგორ უნდა დაიჭირო ბასილისკო სარკის ნატეხითა და „ბესტიარიუმის“[263] ურყევი რწმენით შეიარაღებულმა.

ეს სიყვარული და გატაცება სამუდამოდ შემომრჩა, თუმცა კი შემდგომ, მორალური თუ მატერიალური მიზეზების გამო (მედიევალისტის ხელობა საკმაოდ ძვირი ჯდება, უნდა გქონდეს საშუალება, შორეულ ბიბლიოთეკებს ეწვიო, ადგილზე იმუშაო, ფირზე აღბეჭდო უიშვიათესი ხელნაწერები), სხვა გზას გავყევი. ამრიგად, შუა საუკუნეები პროფესიად ვერ გავიხადე, მაგრამ საყვარელ გასართობად კი დამრჩა. შუა საუკუნეები ჩემი ჰობია, მარადიული საცდური, ყველაფერში ვხედავ მას, ნათლად, მკაფიოდ, ყოველდღიურობაშიც კი, რომელსაც შუა საუკუნეებისა არაფერი სცხია.

დამეხმარა ოტიონის[264] მონასტერში მალულად გატარებული შვებულება, სადაც აბატი გრივო დღეს ეშმაკთან გამკლავებაზე სახელმძღვანელოებს წერს – გოგირდით ყდაგაჟღენთილ წიგნებს; მუასაკისა[265] და კონკის მონასტრებში[266] სტუმრობა, სადაც გამოსახული არიან „გამოცხადების“ შთამბეჭდავი უხუცესები, ან ეშმაკები, შეჩვენებულ სულებს ოხშივარადენილ ქვაბებში რომ ათუხთუხებენ; მარად თან მდევდა ღირსი ბედას შთამბეჭდავი ნაწერები, ოკამის რაციონალური და გამამხნევებელი რჩევები, თუ როგორ ჩავწვდეთ ნიშანთა საიდუმლოს: ნაშრომები, რომლებიც მაშინაა დაწერილი, როცა სოსიური ჯერ კიდევ შორეული და ბუნდოვანი მომავალი იყო. განუყრელად ჩემთან იყო Peregrinatio Sancti Brandani[267], კელის[268] ნაშრომით აღვიქვამდი სამყაროს, კელტური კენინგებით[269] შთაგონებული ვფიქრობდი ბორხესზე და ძალაუფლების მიერ მასების კონტროლს აბატ სუგერიუსის დღიურების შუქზე ვაფასებდი...“

ნიღაბი

მართალი გითხრათ, უბრალოდ მსურდა, შუა საუკუნეებზე დამეწერა. მინდოდა, მაშინდელი ჟამთააღმწერლის პირით მომეყოლა შუა საუკუნეებში მომხდარი ამბავი. დამწყები პროზაიკოსი გახლდით და იქამდე მწერლებს მხოლოდ ბარიკადის მეორე მხრიდან ვიცნობდი. მრცხვენოდა დაწყება. ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თეატრმცოდნე, რომელსაც მოულოდნელად რამპის შუქები მიანათეს და ახლა მას მისჩერებია მაყურებელი, რომელთან ერთადაც ცოტა ხნის წინ პარტერში იჯდა.

განა შეიძლება, თქვა, „ნოემბრის მიწურულის ლამაზი დილა იყო“ და მაშინვე სნუპივით არ იგრძნო თავი? ჰო, მაგრამ თუ მართლა სნუპის ვათქმევინებდი ამ სიტყვებს? „ნოემბრის მიწურულის ლამაზი დილა იყო“ – ეს რომ ისეთ ვინმეს ეთქვა, ვისაც ამის უფლება ექნებოდა, რადგან მის ეპოქაში ასე წერდნენ? ნიღაბი, აი, რა მჭირდებოდა.

შუა საუკუნეების ჟამთააღმწერელთა წიგნებს დავეწაფე, რომ მათი რიტმი, მათი გზნება გადმომდებოდა. ისინი ილაპარაკებდნენ ჩემ ნაცვლად: ჩემზე ეჭვს ვეღარავინ მიიტანდა. ეჭვს კი დავაღწევდი თავს, მაგრამ ინტერტექსტუალურობის ექოს ვერსად გავექცეოდი. ასე აღმოვაჩინე ის, რაც მწერლებმა კარგად იციან (და არაერთხელ უთქვამთ კიდეც ჩვენთვის): წიგნები სხვა წიგნებზე საუბრობენ და ყოველი ამბავი უკვე მოყოლილ ამბავს გვიყვება. ეს იცოდნენ ჰომეროსმა და არიოსტომ, რაბლესა და სერვანტესზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომ ჩემი რომანის ერთადერთი შესაძლო დასაწყისი უცნობი ხელნაწერის პოვნა იყო. თავის მხრივ, ეს ხელნაწერიც საიდანღაც უნდა ყოფილიყო გადაწერილი (ბუნებრივია). ამრიგად, სასწრაფოდ დავწერე შესავალი და ტექსტის ძირითადი, ჩემეული, თხრობა მეოთხე შრეში მოვაქციე, სამი თხრობის მიღმა: მე მოგითხრობთ ვალეს მონაყოლს, რომელმაც ჩაიწერა მაბიიონის მონათხრობი ადსოს მოყოლილი ამბავი...

ახლა აღარაფრის მეშინოდა. ამის შემდეგ ერთი წელი არ მიმუშავია. გავჩერდი, რადგან კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე, რაც ისედაც ვიცოდი (ყველამ იცის), მაგრამ მუშაობაში უკეთ გავაცნობიერე: აღმოვაჩინე, რომ რომანს საწყის ეტაპზე სიტყვებთან საერთო არაფერი აქვს. რომანის წერა კოსმოლოგიური მოვლენაა, როგორც „შესაქმეში“ მოთხრობილი ამბავი (როგორც ვუდი ალენი იტყოდა, ვინმეს ან რამეს ხომ უნდა მიბაძო).

რომანი, როგორც კოსმოლოგიური მოვლენა

იმას ვგულისხმობ, რომ, პირველ რიგში, სამყარო უნდა შექმნა, და რაც შეიძლება, კარგად უნდა მოაწყო იგი, წვრილმანებიც კი გაითვალისწინო. მდინარეს რომ ვქმნიდე, მისი ნაპირებისა და მარცხენა ნაპირზე მდგარი მეთევზის აღწერა რომ მსურდეს, თანაც რომ მინდოდეს, ეს მეთევზე ჩხუბისთავი და არაერთხელ ნასამართლევი იყოს, წერას იმით დავიწყებდი, რომ სიტყვებად გარდავქმნიდი იმას, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს ამგვარ ვითარებაში. რას აკეთებს მეთევზე? თევზაობს (და ასეთ დროს ბევრნაირი მოქმედება შეიძლება აღწერო). მერე რა ხდება? ანკესს ან წამოეგება თევზი, ან არა. თუ წამოეგება, მეთევზე კმაყოფილი წავა სახლში. დასასრული. თუ ვერაფერი დაიჭირა, რადგან ბრაზიანი ხასიათი აქვს, ალბათ, გაბრაზდება. შეიძლება, ანკესიც დაამტვრიოს. ბევრი არაფერი, მაგრამ მონახაზი უკვე არსებობს. ინდური ანდაზა ამბობს: დაჯექი მდინარის პირას და დაიცადე: წყალი მალე ჩამოატარებს შენი მტრის გვამსო. და მართლა რომ ჩამოატაროს წყალმა გვამი? მდინარის ინტერტექსტუალური გარემო ხომ იტევს ამ შესაძლებლობას! ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩემს მეთევზეს მთლად სუფთა წარსული არ აქვს. გარისკავს და შარში გაეხვევა? რას მოიმოქმედებს? გაეცლება იქაურობას, ვითომ გვამი არც დაუნახავს? შეშფოთდება, რადგან გვამი სწორედ იმ კაცისაა, რომელიც მას ასე სძულდა? თუ, რადგან ბრაზიანია, გაცეცხლდება, რადგან თავად ვერ იძია შური? ხედავთ,

საკმარისი იყო, სულ მცირედით შეგვევსო ჩვენი სამყარო და უკვე რაღაც ამბის დასაწყისი გამოვიდა. ეს უკვე გარკვეული სტილის მანიშნებელიცაა, რადგან მეთევზე, რომელიც მდინარის პირას დგას და თევზაობს, უკვე მკარნახობს თხრობის ნელ, მდორე ტემპს, რომელიც ლოდინს, მოთმინებას მიჰყვება, მაგრამ, ამავე დროს, მეთევზის ბრაზიანი ხასიათის გამოვლენის საშუალებასაც მაძლევს. სამყაროს შექმნაა პრობლემა, თორემ სიტყვები მერე თავისთავად მოვა. Rem tene, verba sequentur[270]. ვგონებ, პოეზიაში სწორედ ამის საპირისპიროდაა საქმე: verba tene, res sequentur[271].

რომანზე მუშაობის პირველი წელი სამყაროს შექმნას მოვანდომე. ხელთ მქონდა უგრძესი სიები იმ წიგნებისა, რომლებიც შეიძლებოდა შუა საუკუნეების ბიბლიოთეკაში ყოფილიყო. სათაურების ჩამონათვალი, პირადი ცნობები პერსონაჟებზე, რომელთაგან ბევრი შემდეგ არც კი მოხვდა რომანში. ანუ უნდა მცოდნოდა, ვინ იყვნენ სხვა ბერებიც, ისინი, რომლებიც წიგნში არ ჩანან. არ იყო აუცილებელი, მკითხველს სცნობოდა ისინი, მაგრამ მე უნდა მცოდნოდა მათ შესახებ. ვინ თქვა, თხრობის პროცესი ცნობების სიმრავლით სახელმწიფო სამსახურებს არ უნდა ჩამორჩებოდესო? მე რომ მკითხოთ, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურსაც კი უნდა აჯობოს. ბოლო არ ჰქონდა არქიტექტურულ ძიებებს, არქიტექტურის ენციკლოპედიის ნახაზებსა და ფოტოებში ვიყავი ჩაფლული, რომ მონასტრის გეგმა შემექმნა, დამედგინა დაშორებები შენობებს შორის, ისიც კი ზუსტად უნდა განმესაზღვრა, რამდენსაფეხურიანი იქნებოდა ხვეული კიბე. მარკო ფერერიმ ერთხელ მითხრა, შენი დიალოგები კინემატოგრაფიულია, რადგან ზუსტად კინოსთვის შესაფერისი ხანგრძლივობა აქვთო. ცხადია: როცა სატრაპეზოდან გამოსულ ორ პერსონაჟს გზაში ვალაპარაკებდი, დიალოგის წერისას მონასტრის გეგმა მედო წინ, როცა შიგა ეზოს გადაჭრიდნენ და დანიშნულების ადგილამდე მივიდოდნენ, საუბარს ვამთავრებდი.

იმისათვის, რომ თავისუფლად გამოიგონო, წესებს უნდა მისდიო. პოეზიაში შეზღუდვა შეიძლება იყოს ტერფი, სტროფი, რითმა, ის, რასაც თანამედროვენი ყურით სუნთქვას უწოდებენ... პროზაში კი შეზღუდვებს ის სამყარო ადგენს, რომელშიც სიუჟეტი ვითარდება. და ამას არაფერი აქვს საერთო რეალიზმთან (თუმცა ეს მიდგომა რეალიზმსაც კი ხსნის). შეიძლება, სრულიად არარეალური სამყარო შექმნა, რომელშიც ვირები დაფრინავენ და მკვდარი მეფის ასული კოცნით ცოცხლდება; მაგრამ საჭიროა, ეს სამყარო, არარეალური და თან სრულიად შესაძლებელი, თავიდანვე დადგენილი წესების მიხედვით არსებობდეს (უნდა იცოდე, რომ ეს ის სამყაროა, სადაც მკვდარი მეფის ასულს მხოლოდ უფლისწულის – ან თუნდაც ჯადოქრის – კოცნა გააცოცხლებს; უნდა იცოდე, მეფის ასულის კოცნა მხოლოდ გომბეშოს აქცევს უფლისწულად თუ, ვთქვათ, ხვლიკსაც).

ჩემი სამყაროს ნაწილი ისტორიაც იყო. აი, რატომ მივეძალე შუა საუკუნეების ქრონიკებს და მათი კითხვისას მივხვდი, რომ რომანში ისეთი რამეებიც უნდა შესულიყო, რაც თავიდან არც კი გაჰკარებია ჩემს წარმოსახვას: ბრძოლა უპოვარების წინააღმდეგ ან ინკვიზიცია ფრატიჩელების წინააღმდეგ.

მაგალითად: რატომ არიან ჩემს წიგნში მეთოთხმეტე საუკუნის ფრატიჩელები? თუ შუა საუკუნეებზე ვწერდი, ამბავი XIII ან XII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, რადგან მათ უფრო კარგად ვიცნობდი, ვიდრე მეთოთხმეტე საუკუნეს. მაგრამ მჭირდებოდა გამომძიებელი, შეძლებისდაგვარად ინგლისელი (ინტერტექსტუალური ციტირება), რომელსაც დაკვირვებისა და ნიშანთა და მინიშნებათა ინტერპრეტირების განსაკუთრებული უნარი ექნებოდა. ეს თვისებები როჯერ ბეკონის შემდეგ მხოლოდ ფრანცისკელთა გარემოში მოიძებნებოდა. გარდა ამისა, ნიშნების შესახებ თეორიას მხოლოდ ოკამელებთან ვხვდებით. უფრო სწორად, ის უფრო ადრეც არსებობდა, მაგრამ მაშინ ნიშანთა ახსნა ან სუფთად სიმბოლურად ხდებოდა, ან ეს იყო ნიშნებში იდეებისა და უნივერსალიების ამოკითხვის მცდელობა. კონკრეტული საგნების შესაცნობად ნიშნებს მხოლოდ ბეკონიდან ოკამამდე პერიოდში მიმართავდნენ. ამრიგად, ჩემი რომანისთვის მეთოთხმეტე საუკუნე უნდა ამერჩია და მაღიზიანებდა ეს, რადგან მიჭირდა ამ პერიოდზე წერა. ამან მაიძულა, კითხვა, კვლევა გამეგრძელებინა და ასე აღმოვაჩინე, რომ მეთოთხმეტე საუკუნის ფრანცისკელი, თუნდაც ინგლისელი, თავს ვერ აარიდებდა უპოვარებაზე კამათს, მით უფრო, თუ ოკამის მიმდევარი, მეგობარი ან ნაცნობი იქნებოდა (რომ დავაზუსტო: თავიდან მინდოდა, გამომძიებელი თავად ოკამი ყოფილიყო, მაგრამ

შემდეგ უკუვაგდე ეს განზრახვა, რადგან Venerabilis Inceptor[272] ადამიანურად დიდად არ მესიმპათიურება).

კი, მაგრამ რატომ ხდება მოქმედება 1327 წლის ნოემბრის მიწურულს? იმიტომ, რომ დეკემბერში ჩეზენელი მიქაელი უკვე ავინიონში იყო (ამას ვგულისხმობდი, რომ ვამბობდი, საკუთარი სამყარო უნდა მოაწყო-მეთქი ისტორიულ რომანში: ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, კიბის საფეხურების რაოდენობა, ავტორის სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ ზოგი, მაგალითად ისეთი, როგორიცაა მიქაელის მოგზაურობები, რეალურ სამყაროზეა დამოკიდებული და სათავგადასავლო რომანებში ეს მოვლენები თხრობის შესაძლო სამყაროს ემთხვევა).

მაგრამ ნოემბერი ძალიან ადრე იყო. მე ხომ ღორის დაკვლაც მჭირდებოდა. რატომ? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მის სისხლში უნდა ჩამეყირავებინა მოკლულის გვამი. რაში მჭირდებოდა ეს? იმაში, რომ „გამოცხადების“ მეორე საყვირი ამბობს, რომ... „გამოცხადებას“ ხომ ვერ შევცვლიდი? ის სამყაროს ნაწილია. ღორებს კი მხოლოდ ზამთარში კლავენ (ეს ამბავი საგანგებოდ დავაზუსტე) და ნოემბერი, შეიძლება, მეტისმეტად ადრე ყოფილიყო. ამ პრობლემას გადავჭრიდი, თუ მონასტერი სადმე ჩრდილოეთში იქნებოდა, სადაც ნოემბერში უკვე თოვლი დევს. ეს რომ არა, ჩემი ამბავი, შეიძლებოდა, დაბლობშიც მომხდარიყო, პომპოზაში ან კონკში.

ეს შექმნილი სამყაროა, რომელიც მიგვითითებს, როგორ უნდა გაგრძელდეს ამბავი. ყველა მეკითხება, რატომ გვაგონებს ჩემი ხორხეს სახელი ბორხესს, და რატომაა ბორხესი ასეთი ბოროტი. მე რა ვიცი, მინდოდა, ბიბლიოთეკის გუშაგი უსინათლო ყოფილიყო (მომწონდა ეს იდეა). ბიბლიოთეკა და ბრმა კი თავისთავად ბორხესზე გაფიქრებინებს. თანაც ვალს გადახდა უნდა. გარდა ამისა, სწორედ ესპანური მინიატურებისა და კომენტარების წყალობით მოახდინა „გამოცხადებამ“ ზეგავლენა მთელ შუა საუკუნეებზე. მაგრამ, როცა გადავწყვიტე, ხორხე ბიბლიოთეკარი ყოფილიყო, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მკვლელი ის იქნებოდა. ასე ვთქვათ, თვითონ გააკეთა ყველაფერი. არავინ იფიქროს, რომ ეს ერთგვარი „იდეალისტური“ პოზიციაა, როცა ავტორი მიიჩნევს, რომ პერსონაჟებს საკუთარი ცხოვრება აქვთ და ავტორს – თითქოს ტრანსში მყოფს – თავად კარნახობენ, რა დაწეროს. ამ სისულელეებს სკოლის გამოცდაზე თუ დაწერს ვინმე. საქმე ის არის, რომ პერსონაჟები იძულებული არიან, იმ სამყაროს კანონებით იმოქმედონ, რომელშიც ცხოვრობენ. ანუ მწერალი საკუთარი წინაპირობების ტუსაღია.

საინტერესო იყო ლაბირინთის საკითხიც. ყველა ლაბირინთი, რომელზეც კი მსმენოდა (ხელთ მქონდა სანტარკანჯელის შესანიშნავი ნაშრომი), გადაუხურავი იყო. ბევრი მათგანი ურთულესი აგებულების იყო, ხლართებით სავსე, მაგრამ მე დახურული ლაბირინთი მჭირდებოდა (სად გინახავთ ბიბლიოთეკა ღია ცის ქვეშ?) და თუ ლაბირინთი მეტისმეტად რთული აგებულების იქნებოდა, ბევრი კორიდორითა და შიგა დარბაზით, მასში საკმარისად არ იმოძრავებდა ჰაერი. ჰაერის მოძრაობა კი აუცილებელი იყო ცეცხლის გასაძლიერებლად (ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ბოლოს ციტადელი უნდა დამწვარიყო, თუმცა ეს გადაწყვეტილებაც კოსმოლოგიურ-ისტორიული მოსაზრებებით იყო განპირობებული: შუა საუკუნეებში ტაძრები და მონასტრები ფიჩხივით იწვოდა და იმდროინდელი ამბავი ხანძრის გარეშე იგივეა, რაც ომზე გადაღებული ფილმი – ალმოდებული თვითმფრინავის გარეშე, წყნარ ოკეანეში რომ ვარდება). ორი-სამი თვე ვიმუშავე იმისათვის, რომ შესაფერისი ლაბირინთი მომეგონებინა. ბოლოს კი იძულებული გავხდი, კედლებში ნაპრალები დამემატებინა, რათა ლაბირინთში ჰაერს ემოძრავა.

ვინ ჰყვება

ბევრი პრობლემა მქონდა. დახურული ადგილი, კონცენტრირებული სამყარო მჭირდებოდა. იმისთვის, რომ კიდევ უკეთ შემომესაზღვრა იგი, ადგილის ერთეულების

გარდა, დროის ერთეულებიც უნდა შემომეტანა (რადგან გაურკვეველი იყო, როგორ განვითარდებოდა მოქმედება). ასე მივიღე ბენედიქტელთა მონასტერი, რომლის ცხოვრებაც კანონიკურ ჟამთა ათვლაზეა აწყობილი (ალბათ, ქვეცნობიერად „ულისეს“ მოდელს მივყვებოდი, რომლის სტრუქტურა ასე მყარად უკავშირდება დღის საათებს. თუმცა არა მხოლოდ „ულისეზე“ ვფიქრობდი, არამედ „ჯადოსნურ მთაზეც“, როცა რომანისთვის კლდოვანი, ერთგვარად სანატორიუმის ტიპის ადგილი შევარჩიე, სადაც დიალოგები უნდა წარმართულიყო).

დიალოგები ბევრი პრობლემის წინაშე მაყენებდა, მაგრამ ისინი მოგვიანებით, წერისას, გადავჭერი. არის თემა, რომელსაც პროზის თეორიაზე ნაშრომებში დიდი ადგილი არ ეთმობა, ესაა turn ancillaries, ანუ ხერხები, რომლებსაც მთხრობელი იყენებს პერსონაჟების დიალოგებში. დააკვირდით, რა სხვაობაა ამ ხუთ დიალოგს შორის: 1. – როგორ ხარ?

– არა მიშავს, შენ?

2. – როგორ ხარ? – თქვა ჯოვანიმ.

– არა მიშავს, შენ? – თქვა პიერომ.

3. – როგორ, – თქვა ჯოვანიმ, – როგორ ხარ?

პიერომაც მაშინვე: – არა მიშავს, შენ?

4. – როგორ ხარ? – დაინტერესდა ჯოვანი.

– არა მიშავს, შენ? – გაუცინა პიერომ.

5. ჯოვანიმ ჰკითხა: – როგორ ხარ?

– არა მიშავს, – უპასუხა პიერომ ჩამქრალი ხმით.

და მერე უგერგილოდ გაუღიმა: – შენ?

ბოლო სამი დიალოგი მაგალითია იმისა, რასაც რემარკას, ანუ ავტორისეულ ჩარევას, ვუწოდებთ: ავტორი საკუთარი კომენტარით ერევა და მოსაუბრეთა სიტყვების შესაძლო შინაარსს გვკარნახობს. მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ამას არ ცდილობს პირველ ორ შემთხვევაშიც, რომლებიც ერთი შეხედვით ნეიტრალურია? მართლა უფრო თავისუფალია მკითხველი პირველ ორ ვარიანტში, როცა ისე შეიძლება განიცადოს გარკვეული ემოციური ზეწოლა, რომ ვერც გააცნობიეროს ეს (გავიხსენოთ ჰემინგუეის დიალოგის მოჩვენებითი ნეიტრალურობა!)? თუ უფრო თავისუფალი ის სწორედ დანარჩენ სამ შემთხვევაშია, როცა ის მაინც იცის, რა უნდა ავტორს?

ეს სტილის, იდეოლოგიის, „პოეზიის“ საკითხია. ეს ავტორის არჩევანია, როგორც შინაგანი რითმის, ასონანტურობის ან პარაგრამის არჩევა. გარკვეული თანმიმდევრულობის მიგნებაა საჭირო. მე, ალბათ, გაადვილებული მქონდა საქმე, რადგან რომანში ყველა დიალოგი ადსოს მონათხრობია და სრულიად ნათელია, რომ ადსო მკითხველს თავის მოსაზრებას ახვევს თავს.

დიალოგები კიდევ ერთი პრობლემის წინაშე მაყენებდა. რამდენად შუასაუკუნეობრივი შეიძლებოდა ყოფილიყო ისინი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვე წერისას ვხვდებოდი, რომ წიგნი ბუფონური მელოდრამის სტრუქტურას იძენდა, გრძელი რეჩიტატივებით, ვრცელი არიებით. არიები (მაგალითად, ეკლესიის კარის აღწერა) შუა საუკუნეების დიდ რიტორიკას ეხმიანებოდა და მისი უამრავი მოდელი მქონდა. მაგრამ დიალოგები? გარკვეულ მომენტში შემეშინდა კიდეც, რომ ჩემი დიალოგები აგატა კრისტისას წაგავდა, ხოლო არიები სუგერიუსის ან წმინდა ბერნარდისა იყო. შუა საუკუნეების რომანები, რაინდული ეპოპეები გადავიკითხე და შევნიშნე, რომ, გარკვეული გადახვევებით, მაგრამ ზოგადად მივყვებოდი და ვიცავდი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ნარატიულ და პოეტურ სტილს. მაგრამ ამ საკითხმა ბევრი მაწვალა და დარწმუნებული არ ვარ, რომ არიისა და რეჩიტატივის მონაცვლეობის პრობლემა საბოლოოდ გადავჭერი.

კიდევ ერთი პრობლემა: თხრობა თხრობაში, ანუ ნარატიული შრეები. ვიცოდი, რომ სხვისი

სიტყვებით ვყვებოდი (მე) ამბავს და წინათქმაშივე გავაფრთხილე მკითხველი, რომ ამ სხვის სიტყვებს მინიმუმ ორი სხვა მთხრობელის ფილტრი ჰქონდა გავლილი, მაბიიონისა და აბატ ვალესი, თუნდაც ამ ორს მხოლოდ ფილოლოგიური სამუშაო ჩაეტარებინა და ტექსტი არ შეეცვალა (თუმცა ვინ დაიჯერებს ამას?). მაგრამ პრობლემა ადსოს პირველ პირში მონათხრობშიც არსებობდა. ადსო ოთხმოცი წლისა ჰყვება იმას, რაც თვრამეტისამ იხილა. ვინაა მთხრობელი, თვრამეტი წლის ადსო თუ ოთხმოცისა? ცხადია, ორივე, და ეს შემთხვევითი არაა. ხრიკი სწორედ ის იყო, რომ მუდმივად მელაპარაკებინა მოხუცი ადსო, რომელიც განსჯის იმას, რაც (როგორც მას ახსოვს) ყმაწვილ ადსოს უნახავს და გაუგონია. მაგონდებოდა სერენუს ცაიტბლომი „დოქტორ ფაუსტუსიდან“ (თუმცა წიგნი ხელახლა აღარ გადამიკითხავს, შორეული მოგონებაც მყოფნიდა). მთხრობელის ამ ორმაგმა თამაშმა საოცრად მომხიბლა და მიმიზიდა. კვლავ გავიხსენებ, რასაც წეღან ნიღაბზე საუბრისას ვამბობდი: ადსოს გაორმაგებით ჩემს (როგორც რეალურ პიროვნებას ან როგორც ავტორს), მთხრობელ „მე“-სა და პერსონაჟებს (ამ პერსონაჟებში თავად მთხრობელ პერსონაჟსაც ვგულისხმობ) შორის არსებულ დისტანციას ვაორმაგებდი და ასე უფრო დაცულად ვგრძნობდი თავს. ეს შეგრძნება ბავშვობას მაგონებდა (ისევე ხორციელად, ისევე ცოცხლად, როგორც ცაცხვის ნაყენში ჩამბალი „მადლენის“ არომატს ძალუძს მოგონებათა გაღვიძება[273]), როცა, საბანში გახვეულს, თავი წყალქვეშა ნავში წარმომედგინა ხოლმე და ჩემს დას – თავის საწოლში ჩათბუნებულს – მეორე წყალქვეშა ნავში ვუგზავნიდი სადუმლო შეტყობინებებს და ასე, გარე სამყაროს სრულიად მოწყვეტილები, სრულიად თავისუფლები, წარმოსახვით უსასრულოდ ვმოგზაურობდით ჩვენსავე გამოგონილ წყალქვეშა სამყაროში.

ადსო ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. იმთავითვე მინდოდა, მთელი ამბავი (საიდუმლოებებით, პოლიტიკური თუ თეოლოგიური მოვლენებით, ორაზროვნებითა და ბუნდოვანებით) ვიღაც ისეთის პირით მომეყოლა, ვინც თავად გამოიარა და ყრმისათვის დამახასიათებელი ფოტოგრაფიული სიზუსტით აღიბეჭდა მეხსიერებაში ყოველივე, მაგრამ ბევრი რამის არსს ვერ მიხვდა (და მხცოვანიც ვერ ჩასწვდება მათ ბოლომდე. ამიტომაც ბოლოს ღვთიურ არარას შეაფარებს თავს, ეს კი ის არ იყო, რასაც მასწავლებელი მისთვის ისურვებდა). მსურდა, მკითხველისთვის იმ ადამიანის პირით გამეგებინებინა სათქმელი, რომელსაც თავად ვერაფერი გაუგია.

რომანის შესახებ კრიტიკულ წერილებს რომ ვკითხულობ, ვხვდები, რომ ამ ასპექტმა განათლებულ მკითხველზე ყველაზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა. ყოველ შემთხვევაში, ეს ასპექტი არავის, ან თითქმის არავის, არ გამოუკვეთია. მაგრამ იქნებ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რომანი არა მხოლოდ განათლებულმა მკითხველმა წაიკითხა. მკითხველთაგან ბევრი მთხრობელის გულუბრყვილობასთან აიგივებდა თავს და მშვიდად იყო მაშინაც, როცა ყველაფერი არ ესმოდა. მათ ერთგვარად სექსის, უცნობი ენების, ჩახლართული აზრის, პოლიტიკური ცხოვრების იდუმალებათა შიში დავუბრუნე... ამ ყველაფერს ახლა, après coup[274] ვხვდები, მაგრამ მაშინ, ალბათ, ადსო ავავსე ჩემი სიყრმისეული ფობიებით, სიყვარულის წინაშე მისი ძრწოლით აღსავსე გულისფეთქვაც ჩემი იყო (თუმცა აქაც შუამავალი პირი იდგა: ადსო ხომ თავის სასიყვარულო განცდებს მხოლოდ იმ სიტყვებით გამოხატავს, რომლებითაც ეკლესიის სწავლულნი საუბრობდნენ სიყვარულზე). ხელოვნება პირადი განცდებისგან გაქცევაა. ეს მასწავლეს ჯოისმაც და ელიოტმაც.

გრძნობის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულესი აღმოჩნდა. ალან ლილელის „ბუნების დატირების“ ყაიდაზე შთამბეჭდავი ლოცვა შევთხზე, რომელიც უილიამისთვის მინდოდა წარმომეთქმევინებინა გრძნობათა მოძალების დროს. მერე მივხვდი, რომ ორივეს დაგვძლევდა გრძნობა – მე, როგორც ავტორს და მას, როგორც პერსონაჟს. ჩემთვის, როგორც ავტორისთვის, ეს პოეტიკის თვალსაზრისით არ იყო მართებული, მისთვის კი, როგორც პერსონაჟისთვის, დაუშვებელი იყო. უილიამი ყველასაგან განსხვავდებოდა, გონებით აკონტროლებდა, თოკავდა გრძნობებს. ასე რომ, რომანში აღარ შევიტანე ის გვერდი. ერთმა მეგობარმა, წიგნი რომ წაიკითხა, მითხრა: „ერთადერთი პრეტენზია მაქვს: უილიამის მოქმედებებში სიყვარული არასოდეს ჩანს“. ეს სიტყვები სხვა მეგობარს ვუთხარი და მან მიპასუხა: „მართალია, ასეთია მისი სიყვარული“. ალბათ, მართალია. და დაე ასე იყოს.

პრეტერიქცია

ადსო კიდევ ერთი პრობლემის გადაწყვეტაში დამეხმარა. შემეძლო, ისეთი შუასაუკუნეობრივი გარემო შემერჩია რომანისთვის, სადაც ყველამ იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი. მაგალითად, თუ თანამედროვე რომანში პერსონაჟი იტყვის, რომ ვატიკანი არ ეთანხმება მის განქორწინებას, საჭირო არაა, განიმარტოს, რა არის ვატიკანი და რატომ არ ეთანხმება განქორწინებას. მაგრამ ისტორიულ რომანში ეს შეუძლებელია, რადგან მასში თხრობას ეს ფუნქციაც აქვს: განგვიმარტოს ჩვენ, თანამედროვეთ, რა მოხდა და რითაა მნიშვნელოვანი ჩვენთვის ის, რაც მოხდა.

ასეთ შემთხვევაში სალგარიზმის[275] საფრთხე არსებობს. სალგარის პერსონაჟები მტერს გაურბიან და ტყეს აფარებენ თავს. დევნილი ტყეში ბაობაბის ფესვს წამოჰკრავს ფეხს: აქ ავტორი წყვეტს თხრობას და ბოტანიკის გაკვეთილს გვიტარებს ბაობაბის შესახებ. ახლა ამას სითბოთი და სიყვარულით ვუყურებთ, ისევე, როგორც საყვარელი ადამიანის მავნე ჩვევებს, მაგრამ ეს დაუშვებელია.

ასობით გვერდი ხელახლა დავწერე, რომ ამგვარი რამ ამეცილებინა თავიდან, თუმცა ვერ გეტყვით, ვერ ვიხსენებ, როგორ ვუმკლავდებოდი ამ პრობლემას. მხოლოდ ორი წლის შემდეგ მივხვდი ამას, როცა მოვინდომე, ამეხსნა, რატომ კითხულობდნენ ამ წიგნს ის ადამიანებიც, რომლებსაც, წესით, არ უნდა ჰყვარებოდათ ასეთი „რთული“ წიგნები. ადსოს თხრობის სტილი ფიქრის იმგვარ სტილს ეფუძნება, რომელსაც პრეტერიქციას უწოდებენ. ალბათ, გახსოვთ ამ ხერხის ბრწყინვალე ნიმუში: როცა არ გვინდა, ვთქვათ ის, რაც ყველამ კარგად იცის, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ამ რაღაცაზე გვსურს საუბარი, ვამბობთ: „Cesare taccio, che per ogni piaggia…“[276]. ადსოც ასე მიანიშნებს ადამიანებსა და მოვლენებზე, რომლებიც თითქოს ყველასთვის კარგადაა ცნობილი და თან გვიყვება მათზე. რაც შეეხება ადამიანებსა და მოვლენებს, რომლებიც, წესით, არ უნდა სცოდნოდა გერმანელ ბერს მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს (რადგან ეს ამბები იტალიაში მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში ხდებოდა), ადსო მათ დაწვრილებით აღწერს, რადგან ასეთი იყო შუა საუკუნეების მემატიანის სტილი: ენციკლოპედიური ცნობების მოცემა ყველაფერზე, რაც კი თხრობაში ნახსენები იქნებოდა. ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ ერთმა მეგობარმა (არა იმან, წეღან რომ ვახსენე) მითხრა, შთაბეჭდილება მოახდინა თხრობის ჟურნალისტურმა მანერამ, რომელიც „ესპრესოს“[277] სტატიას უფრო შეეფერება, ვიდრე რომანსო. მგონი, სწორედ ასე თქვა. თავიდან ცოტა მეწყინა, მაგრამ მერე მივხვდი, რასაც გულისხმობდა (თუმცა თავადაც ვერ აცნობიერებდა ამას ბოლომდე): ასე მოგვითხრობენ შუა საუკუნეების მემატიანენი. მართლაც, დღეს ხომ ქრონიკა სწორედ იმიტომ არსებობს, რომ მაშინ წერდნენ ძალიან ბევრს ჟამთაღმწერელნი.

სუნთქვა

ვრცელი განმარტებები სხვა მიზეზითაც საჭირო იყო. ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ გამომცემლობაში მეგობრებმა მირჩიეს, შემემოკლებინა პირველი ასი გვერდი, რომლებიც მკითხველისთვის ძალიან მძიმე და დატვირთული იყო. მაშინვე უარვყავი ეს აზრი, რადგან მიმაჩნდა, რომ ვინც მონასტერში შესვლასა და იქ შვიდი დღის გატარებას მოისურვებდა, მისი რიტმიც უნდა მიეღო. თუ ამას ვერ მოახერხებდა, წიგნს ბოლომდე ვერასოდეს წაიკითხავდა. ამრიგად, პირველ ას გვერდს ერთგვარი განმწმენდი ფუნქცია ჰქონდა, და ვისაც არ მოეწონებოდა – ეს მისი ნება იყო – მთის ძირში დარჩებოდა.

რომანში შესვლა მთაში ლაშქრობას ჰგავს: უნდა ისწავლო სუნთქვა, ააწყო ნაბიჯი, თორემ შორს ვერ წახვალ. იგივე ხდება პოეზიაში. წარმოიდგინეთ, რა აუტანელი მოსასმენია

ლექსი, როცა მსახიობი, „თამაშით“ გართული, სტროფის საზომს არ იცავს და ისეთ რეჩიტატიულ გადასვლებს აკეთებს, თითქოს პროზას კითხულობდეს: შინაარსს მისდევს და არა რიტმს. იმისთვის, რომ თერთმეტმარცვლიანი ტერცინით დაწერილი ლექსი წაიკითხო, ის სიმღერისებური რიტმი უნდა შეითვისო, რომელიც პოეტმა გამოიყენა. ჯობია, დანტე ისე წაიკითხო, როგორც საბავშვო ლექსები, ვიდრე, რადაც უნდა დაგიჯდეს, შინაარსს მისდიო.

პროზის თავისებურება ცალკეული წინადადებებით კი არ გამოიხატება, არამედ უფრო ვრცელი მონაკვეთებით, მოვლენათა მონაცვლეობით. არის რომანები, რომელთაც შვლის სისხარტე აქვთ და ისეთებიც, რომლებიც ვეშაპივით ან სპილოსავით ნელა სუნთქავენ. ჰარმონია ჩასუნთქვის ხანგრძლივობით კი არ იქმნება, არამედ მისი რეგულარულობით. ეს იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ თუ (თუმცა ეს ხშირად არ უნდა მოხდეს) სუნთქვა შეწყდა და თავი (ან თხრობის გარკვეული ეტაპი) უეცრად დამთავრდა ისე, რომ ჰაერი ბოლომდე ამოსუნთქული არ არის, შეიძლება ამას დიდი ნარატიული დატვირთვა ჰქონდეს: გარდატეხის წერტილი, კვანძის გახსნა იყოს. დიდ ავტორებს ასე სჩვევიათ: „უპასუხა ბედკრულმა“. წერტილი. აბზაცი. ამ სიტყვებს ის რიტმი არ აქვს, რაც „მშვიდობით, მთებო“-ს[278], მაგრამ მათი წაკითხვისას ისეთი შეგრძნება იბადება, თითქოს ლომბარდიის მშვენიერი ცა სისხლით იღებებოდეს. დიდი რომანი ისაა, რომლის ავტორმა ზუსტად იცის, სად ააჩქაროს, სად დაამუხრუჭოს, როგორ იხმაროს ეს საშუალება რომანის უცვლელი რიტმის ფარგლებში. მუსიკაში შესაძლებელია „მოპარვა“, მაგრამ ბევრსაც ვერ მოიპარავ. არიან ცუდი შემსრულებლები, რომელთაც ჰგონიათ, რომ შოპენის კარგად შესასრულებლად მარტო ქურდობაში გაწაფვა კმარა. მე იმას კი არ გიყვებით, როგორ გადავჭერი ჩემი პრობლემები, არამედ იმას, თუ როგორ წამოვჭერი ისინი. რომ მეთქვა, თითოეული მათგანი გაცნობიერებული მქონდა-მეთქი, მოგატყუებდით. არსებობს რაღაც განსაკუთრებული გუმანი, რომელიც შექმნის პროცესში იმ რიტმსაც მიჰყვება, თითები რომ გამოსცემენ საბეჭდი მანქანის კლავიშებთან შეხებით.

მინდა მოვიყვანო იმის მაგალითი, თუ როგორ ჰგავს წერა თითებით ფიქრს. ცხადია, რომ სასიყვარულო სცენა სამზარეულოში მთლიანად რელიგიური ტექსტებიდან აღებული ციტატებითაა აგებული: „ქებათა ქებიდან“, წმინდა ბერნარდის, ჟან ფეკამპელის[279] თუ ბინგენელი წმინდა ჰილდეგარდას[280] ნაწერებიდან. ამას ყველა მიხვდება, თუნდაც შუასაუკუნეობრივ მისტიკას არ იცნობდეს, თუ ცოტაოდენი სმენა მაინც აქვს. მაგრამ ახლა რომ მკითხონ, ვისი ციტატებია, ან სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე, ვეღარ ვუპასუხებ.

სხვადასხვა ტექსტიდან ათეულობით ამონაწერი მქონდა მომზადებული, ხშირად – მთელი გვერდებიც, უამრავი ასლი, ამონარიდი, იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე გამოვიყენე. მაგრამ ის სცენა ხელის ერთი მოსმით დავწერე (მერე ცოტა გავაშალაშინე, ლაქით დავფარე, რომ ნაკერები არ დამჩნეოდა). წერისას უამრავი ტექსტი მედო წინ, ხან ერთს ჩავკრავდი თვალს, ხან მეორეს, გადავიწერდი რაღაც ნაწილს, მერე მაშინვე მეორეს მივაბამდი და ასე. ეს თავი, მისი პირველი ვარიანტი, ყველაზე სწრაფად დავწერე. შემდეგ გავაცნობიერე, რომ ვცდილობდი, თითებით მივყოლოდი სასიყვარულო აქტის რიტმს, დრო არ მქონდა, რომ გავჩერებულიყავი და სათანადო ციტატა მერჩია. და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასე შერჩეულ ციტატაში რიტმი ნამდვილად სწორი იქნებოდა. თვალითვე უკუვაგდებდი ისეთ ნაწილებს, რომლებიც თითების რიტმს შეანელებდა. ვერ ვიტყვი, რომ სასიყვარულო სცენის აღწერა იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენიც – თავად სასიყვარულო აქტი (თუმცა ზოგჯერ სქესობრივი აქტი დიდხანსაც გრძელდება), მაგრამ ძალიან ვეცადე, შემემოკლებინა განსხვავება აქტის ხანგრძლივობასა და მისი აღწერის ხანგრძლივობას შორის. წერის ბარტისეულ კონცეფციას კი არ ვგულისხმობ, არამედ საბეჭდ მანქანაზე წერის პროცესს, წერას, როგორც ფიზიკურ მოქმედებას. სხეულის რიტმს ვგულისხმობ და არა გრძნობებისას. გრძნობა, უკვე დაწმენდილი, წინ უძღოდა წერას მაშინ, როცა გადავწყვიტე, მისტიკური ექსტაზი ეროტიკული ექსტაზისათვის მიმემსგავსებინა, მაშინ, როცა წავიკითხე და შევარჩიე ტექსტები, რომელთაც ამ სცენის დასაწერად გამოვიყენებდი. ამის შემდეგ არავითარი ემოცია აღარ მქონია, ეს ადსოს სასიყვარულო აქტი იყო და არა ჩემი, მე მხოლოდ მისი შეგრძნებები უნდა გარდამექმნა თვალებისა და თითების თამაშად, თითქოს დოლზე დაკვრით მინდოდა სასიყვარულო ამბის მოყოლა.

მკითხველის შექმნა

რიტმი, სუნთქვა, განწმენდა… ვისთვის, ჩემთვის? არა, რა თქმა უნდა, მკითხველისთვის. წერისას ავტორი მკითხველზე ფიქრობს ისევე, როგორც მხატვარი – მაყურებელზე: ფუნჯის ყოველი მოსმის შემდეგ ორიოდე ნაბიჯით უკან იხევს და შედეგს აკვირდება: ისე უყურებს ნახატს, როგორც უცხო თვალი შეხედავდა მას საგამოფენო დარბაზის კედელზე. დასრულებული ნაშრომი, ტექსტი მკითხველს ესაუბრება და ამ დიალოგში ავტორი არ მონაწილეობს. შექმნის პროცესში კი დიალოგი ორმაგია: ერთია დიალოგი მოცემულ ტექსტსა და მასზე ადრე დაწერილ ყველა სხვა ტექსტს შორის (წიგნები მხოლოდ უკვე დაწერილი წიგნების შესახებ იწერება) და მეორე – დიალოგი ავტორსა და მისთვის სასურველ მკითხველს შორის. ამ თეორიას მე სხვა ნაშრომებშიც ვავითარებდი, როგორიცაა „მკითხველის შესახებ“[281], ან კიდევ უფრო ადრინდელი – „ღია ნაშრომი“[282], და ეს აზრი მე არ გამომითქვამს პირველად.

შეიძლება ავტორი წერისას გარკვეული ტიპის, წარმოსახვით მკითხველზე ფიქრობდეს, როგორც, მაგალითად, თანამედროვე რომანის ფუძემდებლები: რიჩარდსონი, ფილდინგი, დეფო, რომლებიც ვაჭრებისა და მათი ცოლებისთვის წერდნენ. თუმცა მკითხველისთვის წერს ჯოისიც, რომელიც იდეალური უძილობით შეპყრობილი იდეალური მკითხველითაა შთაგონებული. ორივე შემთხვევაში – მნიშვნელობა არ აქვს, იქვე, ახლოს მყოფ, საფულემომარჯვებულ მკითხველზე ფიქრობს ავტორი თუ მომავალ მკითხველზე – წერა ნიშნავს, ტექსტის საშუალებით შექმნა მკითხველის საკუთარი მოდელი.

რას ნიშნავს, იფიქრო მკითხველზე, რომელსაც შეუძლია, გადალახოს პირველი ასი გვერდის „განმწმენდი“ ზღურბლი? სწორედ ამას: დაწერო ასი გვერდი იმ მიზნით, რომ შექმნა მკითხველი, რომელიც მომდევნო გვერდებს წაიკითხავს.

არსებობს თუ არა მწერალი, რომელიც მხოლოდ მომავალი მკითხველისთვის წერს? არა, თუნდაც თავად დაჟინებით ამტკიცებდეს ამას. მწერალი ნოსტრადამუსი არ არის, ვერაფრით წარმოიდგენს მომავალ თაობებს იმის მიხედვით, რაც თანამედროვეთა შესახებ იცის. არის ავტორი, რომელიც მკითხველთა ვიწრო წრისთვის წერს? კი, თუ ავტორი იმას გულისხმობს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მკითხველის მოდელთან ბევრი ვერ გაიგივდება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მწერალი იმ იმედით წერს (და ეს იმედი საკმაოდ ნათელია), რომ სწორედ მისი წიგნი შექმნის ბევრ ისეთ სასურველ მკითხველს, რომელსაც ის ასე გულმოდგინედ ეძებს და ამხნევებს თავისი ტექსტით.

განსხვავება შეიძლება იყოს ტექსტებს შორის, რომელთაგან ერთს უნდა, ახალი მკითხველი შექმნას, მეორეს კი – უკვე არსებული მკითხველის მოთხოვნებს უპასუხოს. მეორე შემთხვევაში ტექსტი სერიული პროდუქციის წარმატებული ფორმულის მიხედვითაა აგებული: ავტორი ბაზრის ერთგვარ კვლევას ატარებს და მას ერგება. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მას ყველაფერი გათვლილი აქვს: ასეთი ავტორის სხვადასხვა რომანებს თუ გავაანალიზებთ, შევამჩნევთ, რომ ისინი, სახელების, ადგილების, სახეების ცვლილებით, ერთსა და იმავე ამბავს გვიყვება, იმას, რასაც მკითხველი წინასწარვე ითხოვდა.

მაგრამ როცა მწერალი სიახლეს გეგმავს და განსხვავებული მკითხველის შექმნას აპირებს, სურს, ბაზრის ანალიტიკოსი კი არ იყოს, რომელიც წინასწარ ცნობილი მოთხოვნების ჩამონათვალს ადგენს, არამედ – იყოს ფილოსოფოსი, რომელიც ინტუიციით გრძნობს Zeitgeist[283]-ს. სურს, თავის მკითხველს ის გაუმხილოს, რაც მკითხველს უნდა უნდოდეს, თუმცა თავადაც არ იცის ეს. ასეთ ავტორს სურს, საკუთარი თავი აღმოაჩენინოს მკითხველს.

მანძონის იმის გაკეთება რომ ნდომებოდა, რასაც მკითხველი სთხოვდა, ფორმულა გამზადებული ჰქონდა: შუა საუკუნეების ისტორიული რომანი, ცნობილი პერსონაჟებით,

როგორც ბერძნულ ტრაგედიაშია: მეფეები და მათი ასულები („ადელქისში“[284] ასეც იქცევა), დიადი, ამაღლებული გრძნობები, საომარი ამბები, იტალიის დიდება, ეპოქა, როცა იტალია ძლიერთა ქვეყანა იყო. განა სწორედ ასე არ იქცეოდა უამრავი, მეტ-ნაკლებად უნიჭო მწერალი მანძონიმდე, მის დროს და მის შემდეგაც? მათ რიგებშია დ'აძელიოს ნაჩორკნი რომანები, გულმხურვალე და ენამჭევრი გუერაცი, კანტუ, რომლის წაკითხვაც სრულიად შეუძლებელია...

მანძონი კი რას აკეთებს? მეჩვიდმეტე საუკუნეს ირჩევს, ფეოდალურ ეპოქას, სულმოკლე პერსონაჟებს, მისი რომანის ერთადერთი ხმალმომარჯვებული პერსონაჟი ლაჩარი და არამზადაა, არსადაა ომი და შერკინება. უფრო მეტიც, მანძონის ჰყოფნის გამბედაობა, რომანი იმ ეპოქის დოკუმენტებით, grida[285]-თი დაამძიმოს... და მოსწონთ, ის ყველას მოსწონს, განათლებულსა თუ უბირს, დიდსა თუ პატარას, პინცოკერებსა თუ ეკლესიის მოძულეთ. იმიტომ, რომ მანძონიმ იგრძნო, რომ მისი დროის მკითხველს სწორედ ეს უნდოდა, თუმცა თავადაც არ იცოდა ეს, თუმცა არ ითხოვდა ამას, არც კი იცოდა, რომ ეს იჭმებოდა. და მანძონი დაუღალავად მუშაობს, ჯაგრისით, ქლიბით, ხერხითა და ჩაქუჩით, აშალაშინებს, რეცხავს[286], რათა საამო გემო მისცეს თავის პროდუქციას, აიძულოს ემპირიული მკითხველი, ისეთი მკითხველი გახდეს, რომელზეც ის ოცნებობდა.

მანძონი იმისთვის კი არ წერდა, რომ მკითხველს ისეთი მოსწონებოდა, როგორიც იყო, არამედ იმისთვის, რომ შეექმნა მკითხველი, რომელსაც აუცილებლად მოეწონებოდა მისი რომანი. და ვაი, თუ არ მოეწონებოდა! ის მშვიდად ლაპარაკობს თავის ოცდახუთიოდე მკითხველზე, ვითომ სულ არ აღელვებს ეს საკითხი. მაგრამ სინამდვილეში ოცდახუთი კი არა, ოცდახუთი მილიონი სურს.

მე მკითხველის რა მოდელზე ვფიქრობდი, როცა ვწერდი? ცხადია, თანამზრახველზე, რომელიც თამაშში ამყვებოდა. მინდოდა, თავი მთლიანად შუა საუკუნეების ადამიანად მეგრძნო, იმ დროში მეცხოვრა, თითქოს ის მართლა ჩემი ეპოქა ყოფილიყო. მაგრამ ამავე დროს მთელი სულითა და გულით მინდოდა, გამოკვეთილიყო მკითხველის ფიგურა, რომელიც გადალახავდა საწყის ბარიერს და ჩემი მსხვერპლი, ანუ ტექსტის მსხვერპლი, გახდებოდა, დარწმუნებული იქნებოდა, რომ მხოლოდ ის უნდოდა, რასაც ჩემი ტექსტი სთავაზობდა და სხვა არაფერი. ტექსტის მიზანია, გარდაქმნის საშუალებად იქცეს თავისი მკითხველისთვის. მაშ, სექსს, კრიმინალურ ისტორიებს, დაძაბულ სიუჟეტს ეძებ, სადაც ბოლოს დამნაშავეს მიაგნებენ, არა? გეთაკილება, დასჯერდე მიცვალებულებისა და მონასტრის ბინადართა მიერ შეთითხნილ საეკლესიო სალაფავს? მე ლათინურით არ მოგეშვები, ქალებს მოგანატრებ, თეოლოგიის მორევში ჩაგახრჩობ და სისხლის გუბეებს დაგიყენებ ირგვლივ, როგორც გრან-გინიოლში[287], ისე, რომ ბოლოს აყვირდები: „ეს რა უბედურებაა, აღარ მინდაო!“ მაგრამ ამ დროს უკვე ჩემი უნდა იყო, აკანკალებული ღმერთის უსასრულო ყოვლისშემძლეობისაგან, რომლის წინაშეც ამაოა სამყაროს წესრიგი. და, თუ გონიერი ხარ, მიხვდები, როგორ შეგიტყუე ხაფანგში. ხომ ყოველ ნაბიჯზე გაფრთხილებდი, გიმეორებდი, რომ წაწყმედის გზაზე დაგაყენებდი! მაგრამ ეშმაკთან გარიგების ხიბლი სწორედ ის არის, რომ იმთავითვე კარგად იცი, ვისთან გაქვს საქმე და მაინც უწერ ხელს გარიგებაზე. ასეა, აბა ჯოჯოხეთს მუქთად ვინ მოგცემს?

და რადგან მინდოდა, სასიამოვნოდ წარმომეჩინა ერთადერთი რამ, რაც მართლა გვაძრწუნებს – მეტაფიზიკური შიში, სხვა არჩევანი არ მქონდა: სიუჟეტის შესაძლო მოდელებიდან ყველაზე მეტაფიზიკური და ფილოსოფიური – დეტექტიური უნდა ამერჩია.

დეტექტივის მეტაფიზიკა

შემთხვევითი არ არის, რომ წიგნი დეტექტივივით იწყება (და ბოლომდე აცურებს გულუბრყვილო მკითხველს, რომელიც, შეიძლება, ვერც კი მიხვდეს, რომ ესაა დეტექტივი, სადაც ბევრი რამ ბოლომდე არ მჟღავნდება და სადაც თავად გამომძიებელიც მარცხდება). ვფიქრობ, ხალხს დეტექტივები მხოლოდ გვამების სიმრავლის გამო კი არ

უყვარს, ან იმიტომ, რომ მათში საბოლოოდ წესრიგი (ინტელექტუალური, სოციალური, სამართლებრივი თუ მორალური) იმარჯვებს უწესრიგობაზე; საქმე ის არის, რომ დეტექტიური რომანის სიუჟეტი მიხვედრაზე, ამოცნობაზეა აგებული. თუმცა მიხვედრაა ექიმის დიაგნოზიც, მეცნიერული კვლევაც ან მეტაფიზიკური ძიებაც. კაცმა რომ თქვას, ფილოსოფიისა (ასევე ფსიქოანალიზის) და დეტექტიური რომანის მთავარი საკითხი ერთი და იგივეა: ვინაა დამნაშავე? და ამის გასაგებად (ან იმისთვის, რომ გეგონოს, გავიგეო) საჭიროა, ივარაუდო, რომ ყველაფერში, რაც ხდება, არის ლოგიკა, ის ლოგიკა, რომელიც მასში დამნაშავემ ჩადო. ყველა დეტექტიური რომანის სიუჟეტი რაღაც ისეთს გვიყვება, რაც მუდამ ჩვენ გვერდით არსებობდა (ფსევდოჰაიდეგერული მინიშნება). ამრიგად, ნათელია, რატომ იტოტება უამრავ საკითხად ჩემი მთავარი საკითხი (ვინაა მკვლელი?). ამ განშტოებებიდან თითოეული თავის მხრივაც ვარაუდს შეიცავს და ყოველი მათგანი ვარაუდის, როგორც ასეთის, სტრუქტურას უკავშირდება.

ვარაუდის აბსტრაქტული მოდელია ლაბირინთი. ლაბირინთი სამგვარი არსებობს. ერთი ბერძნულია, თეზევსის. მასში დაკარგვა შეუძლებელია: შედიხარ, ცენტრს მიაღწევ, შემდეგ კი გამოდიხარ. ამიტომაა ცენტრში მინოტავრი, სხვაგვარად ამბავი ყოველგვარ გემოს დაკარგავდა და უბრალო გასეირნება გამოვიდოდა. შიში (თუ ის ჩნდება) გაურკვევლობას უკავშირდება: არ იცი, სად აღმოჩნდები და რას იზამს მინოტავრი. მაგრამ, თუ კლასიკურ ლაბირინთს აკეთებ, ხელში არიადნეს ძაფი მოგეცემა. კლასიკური ლაბირინთი, არსებითად, საკუთარი თავის არიადნეს ძაფია.

არის კიდევ მანერისტული ლაბირინთი: თუ დავაკვირდებით, ის ფესვებიან, დატოტვილ ხეს ჰგავს, რომელიც უამრავ ჩიხს ქმნის. გამოსასვლელი ერთია, მაგრამ შეიძლება შეცდე. არიადნეს ძაფი გჭირდება, რომ არ დაიკარგო. ეს ლაბირინთი trial-and-error process[288]-ის მოდელია.

დაბოლოს, არის ბადე, ქსელი, ანუ ის, რასაც დელეზი და გვატარი რიზომას უწოდებდნენ. რიზომა იმგვარადაა ნაქსოვი, რომ მასში ნებისმიერი გზა შეიძლება ნებისმიერ სხვა გზას უკავშირდებოდეს. რიზომას არ აქვს ცენტრი, არ აქვს კიდე, არ აქვს გამოსასვლელი, რადგან პოტენციურად უსასრულოა. ვარაუდის სივრცე რიზომის სივრცეა. ჩემი ბიბლიოთეკის ლაბირინთი ჯერ კიდევ მანერისტული ლაბირინთია, მაგრამ სამყარო, რომელშიც უილიამი ცხოვრობს (მიხვდება, რომ ცხოვრობს) უკვე რიზომის ყაიდაზეა მოწყობილი, უფრო სწორად, მოწყობადი, თუმცა ჯერ ბოლომდე ჩამოუყალიბებელია.

ერთმა ჩვიდმეტი წლის ბიჭმა მითხრა, თეოლოგიური დისკუსიებისა ვერაფერი გავიგე, მაგრამ ისე აღვიქვამდი მათ, როგორც სივრცული ლაბირინთის გაგრძელებებსო (როგორც მუსიკა ჰიჩკოკის ფილმში). ვფიქრობ, რაღაც ამდაგვარი მოხდა: გულუბრყვილო მკითხველმაც იგრძნო, რომ ლაბირინთებთან ჰქონდა საქმე, თანაც არა სივრცულ ლაბირინთებთან. შეიძლება ითქვას (უცნაურია, მაგრამ ასეა), რომ ყველაზე გულუბრყვილო ინტერპრეტაციები აღმოჩნდა სწორედ ყველაზე „სტრუქტურული“. გულუბრყვილო მკითხველი პირდაპირ მიხვდა, შინაარსის ზეგავლენის გარეშე, რომ შეუძლებელია, წიგნში მხოლოდ ერთი ამბავი იყოს.

ხალისი

მინდოდა, ტექსტი სახალისო ყოფილიყო მკითხველისათვის. იმდენად მაინც, რამდენადაც ჩემთვის იყო სახალისო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ერთი შეხედვით უპირისპირდება კიდეც იმ „სერიოზულ“ მოსაზრებებს, რაც ზოგადად გვაქვს ხოლმე რომანზე.

გართობა პრობლემების თავიდან აცილებას როდი ნიშნავს. „რობინზონ კრუზო“ ართობს თავის ტიპურ მკითხველს, როცა დაწვრილებით აღუწერს ყოველდღიურ საქმიანობას მოხერხებული homo oeconomicus-ისა[289], რომელიც საკმაოდ ჰგავს მას. მაგრამ

რობინზონის ორეული არა მარტო ერთობა რობინზონის ამბებში საკუთარი თავის ამოცნობით, ამასობაში ბევრ რამეს იგებს, იცვლება, სხვა ადამიანი ხდება. ამრიგად, გართობით სწავლობს კიდეც. სხვადასხვა ტექსტში თხრობის პოეტიკა იმის მიხედვითაა განსხვავებული, თუ რის შესახებ იგებს ადამიანი ახალს: სამყარო იქნება ეს თუ ენა; მაგრამ არსი არ იცვლება. „ფინეგანის ქელეხის“ იდეალური მკითხველი საბოლოო ჯამში ისევე უნდა ერთობოდეს, როგორც კაროლინა ინვერნიციოს[290] რომანების მკითხველი. ზუსტად ისევე. ოღონდ სხვაგვარად.

უნდა ვთქვათ, რომ გართობის კონცეფცია ისტორიულია. რომანის, როგორც ჟანრის, არსებობის თითოეულ ეტაპზე საკუთარი თავისა და სხვების გართობის ბევრნაირი გზა გამოიყენებოდა. უდავოა, რომ თანამედროვე რომანი ცდილობს, ნაკლებად გაართოს მკითხველი სიუჟეტით და სხვაგვარად გაახალისოს ის. მე, არისტოტელეს პოეტიკის დიდ თაყვანისმცემელს, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, რომანში სიუჟეტიც სახალისო უნდა იყოს. ყველაზე მეტად – სწორედ სიუჟეტი.

უეჭველია, რომ, თუ რომანი სახალისოა, მკითხველის მოწონებას იმსახურებს. ოდესღაც მკითხველის მოწონება უარყოფით ნიშნად ითვლებოდა: თუ რომანი მოწონებას იმსახურებდა, ესე იგი ის ახალს არაფერს ამბობდა და იმას აწვდიდა მკითხველს, რასაც ის უკვე ელოდა.

საქმე ის არის, რომ „თუ რომანი იმას აძლევს მკითხველს, რასაც ის ითხოვს, მაშინ მოწონებას იმსახურებს“ სულაც არ ნიშნავს, რომ „თუ რომანი მოწონებას იმსახურებს, ე. ი. იმას აძლევს მკითხველს, რასაც ის ითხოვს“.

მეორე განცხადება ყოველთვის ჭეშმარიტი როდია. საკმარისია, დეფო და ბალზაკი გავიხსენოთ, „თუნუქის დოლსა“ და „მარტოობის ას წელიწადზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ.

ზოგიერთები, ალბათ, მეტყვიან, რომ ტოლობას „მოწონება = უხარისხობა“ ჩვენი, „ჯგუფ 63“-ის[291] წევრების, საკამათო პოზიციებიც უმყარებდა საფუძველს. არა მხოლოდ 1963-ში, უფრო ადრეც, წარმატებული რომანი კონიუნქტურულ რომანთან იყო გაიგივებული, კონიუნქტურული რომანი კი – სიუჟეტურ რომანთან, ჩვენ კი ექსპერიმენტული, სკანდალური რომანები მოგვწონდა, რომლებიც მასობრივი მკითხველისთვის მიუღებელი იყო. ასე იყო და მაშინ ამ ყველაფერს აზრი ჰქონდა, სწორედ ეს აღაშფოთებდა ასე ძალიან „წესიერ“ ლიტერატორებს და კრიტიკოსებიც დღემდე არ გვპატიობენ ამას. და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენ სწორედ ამ შედეგის გამოწვევა გვსურდა და ვებრძოდით ტრადიციულ, კონიუნქტურულ რომანებს, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის პრობლემატიკას არ გასცილებიან და არანაირი სიახლე არ მიუღიათ. მაშინ გარდაუვალი იყო დაჯგუფებების შექმნა და ასევე გარდაუვალი იყო, რომ ამ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირების გამო ხშირად ყველას, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულებსაც, ერთ ჯგუფში აქცევდნენ ხოლმე.

მახსოვს, ჩვენი მთავარი მტრები ლამპედუზა, ბასანი და კასოლა იყვნენ, თუმცა ახლა ჩემთვის ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ლამპედუზამ მშვენიერი რომანი დაწერა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საუკუნის წინანდელი ამბები აღწერა, და ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით იმ აზრს, რომ მისი რომანით ახალი ეპოქა იწყებოდა იტალიურ ლიტერატურაში: ახალი კი არ იწყებოდა, საზეიმოდ იხურებოდა წინა ეპოქა. კასოლაზე აზრი არ შემიცვლია. ბასანიზე კი ახლა კარგად დავფიქრდებოდი, უფრო მეტიც, 1963 წელს რომ დამაბრუნა, ალბათ, მეგზურადაც ავირჩევდი მას. მაგრამ ახლა სულ სხვა საკითხზე მსურს საუბარი.

საქმე ისაა, რომ აღარავის ახსოვს ის, რაც 1965 წელს მოხდა, როცა ჯგუფი პალერმოში შეიკრიბა, კვლავ ექსპერიმენტულ რომანზე მსჯელობის მიზნით (იმ შეკრების მასალა ახლაც ინახება „ფელტრინელის“ კატალოგში, სათაურით „ექსპერიმენტული რომანი“. დათარიღებულია 1965 წლით, თუმცა ყდაზე აღნიშნულია, რომ დაიბეჭდა 1966-ში).

იმ დებატებში ბევრი რამ იყო საინტერესო. პირველ რიგში, რენატო ბარილის შესავალი სიტყვა, რომელიც მაშინ უკვე იყო Nouveau Roman-ის[292] ექსპერიმენტების თეორეტიკოსი. მაშინ ის რობ-გრიიეს ახალ პერიოდზე, გრასზე და პინჩონზე მუშაობდა (არ

უნდა დაგვავიწყდეს, რომ პინჩონს ახლა კი ასახელებენ პოსტმოდერნის ფუძემდებელთა შორის, მაგრამ მაშინ ეს სიტყვა არც კი არსებობდა, ყოველ შემთხვევაში – იტალიაში. ჯონ ბართი ამერიკაში სწორედ იმ წლებში ახსენებდა პირველად ამ კონცეფციას). ბარილი ვერნის მოტრფიალე რუსელს ახსენებდა, ამბობდა, ამ კუთხით ხელახლა აღმოვაჩინე ეს ავტორიო. ბორხესი არ უხსენებია, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ბორხესის შემოქმედება ახლებურად შეფასებული; ეს გვიან მოხდა. მაინც რას ამბობდა ბარილი? იმას, რომ აქამდე მნიშვნელოვანი იყო სიუჟეტის არარსებობა, მთავარი იყო არა მოქმედება, შინაარსი, არამედ თავად თხრობა, ტექსტი. ახლა კი ახალი ხანა იწყებოდა პროზაში, სიუჟეტის სხვაგვარი ხედვით, თუმცა კი ეს სხვაგვარი სიუჟეტი იქნებოდა.

მე მაშინ ვილაპარაკე ბარუკელოსა და გრიფის საინტერესო კინოკოლაჟზე „ბუნდოვანი გამოძიება“, რომელიც წინა საღამოს გვიჩვენეს. ეს იყო კომერციული კინოს ფრაგმენტებით, სტანდარტული სიტუაციებით, ტოპოსებით აგებული ამბავი. აღვნიშნე, რომ მაყურებელს ყველაზე მეტად სწორედ ის ეპიზოდები მოეწონა, რომლებიც რამდენიმე წლის წინ სკანდალურად მოეჩვენებოდა. ანუ ისინი, სადაც ტრადიციული მოქმედების დრო და ლოგიკა სრულიად დარღვეული იყო და მაყურებლის მოლოდინი არანაირად არ იყო გათვალისწინებული. ავანგარდი ტრადიცია ხდებოდა, ის, რაც რამდენიმე წლის წინ უხეშად გვეჩვენებოდა, ახლა საამოდ ელამუნებოდა ყურს (თუ თვალს). და აქედან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: ექსპერიმენტული პროზის (თუ ნებისმიერი სხვა ხელოვნების) მთავარი პრინციპი აღარ იყო შინაარსის, სათქმელის მიუღებლობა: „მიუღებელი“ უკვე კოდიფიცირებული იყო, როგორც სასიამოვნო. ხელოვნება კვლავ, ახალი ფორმით, უბრუნდებოდა მისაღებსა და სასიამოვნოს. მაშინ აღვნიშნე, რომ თუ მარინეტის ფუტურისტული საღამოების ხანაში აუცილებელი იყო, მაყურებელს სტვენა აეტეხა, „ახლა ფუჭი და სულელურია მათი პოზიცია, ვინც ექსპერიმენტს არშემდგარად მიიჩნევს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მიღებულია, როგორც ჩვეულებრივი: ეს ისტორიული ავანგარდის აქსიოლოგიური სქემის გამეორებაა და თუ მას მისდევს, ავანგარდის კრიტიკოსი მხოლოდ მარინეტის დაგვიანებული მიმდევარი გამოდის და მეტი არაფერი. გავიხსენოთ, რომ მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ მომენტში გახდა ნაწარმოების სკანდალურობა მისი ხარისხის, ღირებულების მაჩვენებელი... ვფიქრობ, უარი უნდა ვთქვათ იმ arrière pensée[293]-ზე, რომელიც გაუთავებლად დომინირებს ჩვენს დისკუსიებში და რომლის თანახმადაც გარეგანი სკანდალი ნამუშევრის ფასეულობის უტყუარი დამადასტურებელია. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს წესრიგსა და უწესრიგობას, კონსუმერისტულ და პროვოკაციულ ხელოვნებას შორის დაპირისპირება, მაგრამ, ვფიქრობ, ის ახლებურად უნდა იყოს დანახული, ანუ მიმაჩნია, რომ ერთი შეხედვით „ადვილად ასათვისებელ“ ნაწარმოებებშიც შესაძლებელია გარდატეხის, პროტესტის ელემენტების პოვნა. პროვოკატორული ნაწარმოები კი, რომელიც მოულოდნელობისგან შეახტუნებს მკითხველს, სინამდვილეში ხშირად არაფერსაც არ აპროტესტებს... ამ ბოლო დროს ბევრი შემხვდა ისეთი, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა წიგნს იმის გამო, რომ მეტისმეტად მოეწონა...“ და ასე შემდეგ.

1965. ამ დროს იქმნებოდა პოპ-არტი და ინგრეოდა ტრადიციული განსხვავებები ექსპერიმენტულ (არასახვით) და მასობრივ (თხრობით და სახვით) ხელოვნებას შორის. ეს იყო დრო, როცა პუსერი „ბითლზზე“ ლაპარაკისას მეუბნებოდა, „ისინი ჩვენს საქმეს აკეთებენო“, მაგრამ ვერ ამჩნევდა, რომ თავადაც მათ საქმეს აკეთებდა (კეტი ბერბერიანი დაგვჭირდა იმის დასანახავად, რომ „ბითლზი“, პერსელთან მიბრუნებული, მონტევერდისა და სატისთან ერთად შეიძლება შესრულდეს სცენაზე).

პოსტმოდერნი, ირონია, სიამოვნება

1965 წლიდან დღემდე საბოლოოდ გამოიკვეთა ორი მოსაზრება: რომ შეიძლება სიუჟეტის განვითარება სხვა სიუჟეტების ციტირებით, და რომ ეს სიუჟეტი შეიძლება ნაკლებად კონფორმისტული იყოს, ვიდრე თავად ციტირებული სიუჟეტები (გამომცემლობა „ბომპიანის“ ერთ ალმანახს, რომელიც, თუ არ ვცდები, 1972 წელს

გამოვიდა, „სიუჟეტის რევანში“ ერქვა, თუმცა ეს რევანში ძირითადად პონსონ დიუ ტერაილისა და ეჟენ სიუს ირონიული და ამავე დროს აღფრთოვანებანარევი ახლებური გააზრებითა და დიუმას რომანების ყველაზე ღირსშესანიშნავი ეპიზოდებით სრულიად უირონიო აღტაცებით გამოიხატებოდა). იყო კი შესაძლებელი არაკონფორმისტული, საკმარისად პრობლემური და ამავდროულად სახალისო რომანის შექმნა?

ამ რთული ნაერთის ხელახლა აღმოჩენა, სიუჟეტისა და გართობის ელემენტის გაერთიანება მოგვიანებით პოსტმოდერნიზმის ამერიკელმა თეორეტიკოსებმა შეძლეს.

საუბედუროდ, „პოსტმოდერნი“ მეტისმეტად tout faire[294] გამოსადეგი ტერმინია. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ მას ყველაფერს უსადაგებენ: საკმარისია, ადამიანს მოსწონდეს ის, რაზეც ლაპარაკობს. მეორე მხრივ, მუდმივად ცდილობენ, დროში უკან დასწიონ პოსტმოდერნი: ჯერ ბოლო ოც წელიწადში მოღვაწე მწერლებსა და ხელოვანებს არგებდნენ ხოლმე ამ ცნებას, შემდეგ პოსტმოდერნმა საუკუნის დასაწყისამდე გადაიწია, და ასე, გაუთავებელი უკუსვლით, პოსტმოდერნი მალე ჰომეროსამდე მიაღწევს.

და მაინც მწამს, რომ პოსტმოდერნი ერთგვარად სულის განწყობაა და მისი ქრონოლოგიურად შემოსაზღვრა შეუძლებელია. უკეთ რომ ვთქვათ, ის არის Kunstwollen[295], მუშაობის მანერა. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ეპოქას თავისი პოსტმოდერნი აქვს ისევე, როგორც – საკუთარი მანერიზმი (იმასაც კი ვფიქრობ, პოსტმოდერნი მანერიზმის, როგორც მეტაისტორიული კატეგორიის, თანამედროვე სახელი ხომ არაა-მეთქი). ვფიქრობ, ყველა ეპოქაში დგება კრიზისი, როგორსაც ნიცშე აღწერს თავისი „უდროო აზრებიდან“[296] მეორეში, როცა ისტორიული კვლევების უარყოფით ეფექტზე ლაპარაკობს. წარსული განაპირობებს ჩვენს ყოფას, არ გვეშვება, გვაშანტაჟებს. ისტორიული ავანგარდი (ავანგარდში აქაც მეტაისტორიულ კატეგორიას ვგულისხმობ) ანგარიშს უსწორებს წარსულს. უაღრესად ფუტურისტული მოწოდება „ძირს მთვარის სინათლე!“ ყოველი ავანგარდის ტიპური პროგრამაა, საკმარისია, შესაბამისი სიტყვათა შეთანხმება ჩასვა „მთვარის სინათლის“ ადგილას. ავანგარდი ანადგურებს წარსულს, ამახინჯებს მას: Demoiselles d’Avignon[297] ავანგარდის ტიპური გამოხატულებაა. შემდეგ ავანგარდი უფრო შორს მიდის: ჯერ ანადგურებს გამოსახულებას, შლის მას, მიდის აბსტრაქციამდე, უფორმობამდე, სუფთა ტილომდე, დაჭრილ ტილომდე, დამწვარ ტილომდე; არქიტექტურაში მინიმალიზმი ეზოს ღობის განზომილებამდე დადის, შენობა უბრალო კოლოფია, წმინდა პარალელეპიპედი; ლიტერატურაში დისკურსი სრულიად ინგრევა და ბეროუზის კოლაჟებამდე, სუფთა ფურცლის დუმილამდე მიდის; მუსიკაში ხდება გადასვლა ატონალურობიდან ხმაურზე და ბოლოს – აბსოლუტურ სიჩუმეზე (ამ თვალსაზრისით ქეიჯის[298] ადრეული პერიოდი მოდერნია).

მაგრამ დგება დრო, როცა ავანგარდი (მოდერნი) უფრო შორს ვეღარ წავა, რადგან უკვე შექმნილია მეტაენა, რომელიც შეუძლებელ ტექსტებს გვიყვება (კონცეპტუალური ხელოვნება). მოდერნზე პოსტმოდერნისტული პასუხი წარსულის აღიარებაა, რადგან მისი განადგურება შეუძლებელია. ვინაიდან წარსულის განადგურებას დუმილი მოჰყვება, ის ახლებურად უნდა გავიაზროთ: ირონიით და არა გულუბრყვილოდ, უმანკოდ. პოსტმოდერნისტულ მანერას ისე ვუყურებ, როგორც შეყვარებული კაცის საქციელს, რომელსაც უაღრესად განათლებული ქალი უყვარს და იცის, ვერ ეტყვის „თავდავიწყებით მიყვარხარო“, რადგან იცის, რომ ქალმა იცის (და ქალმაც იცის, რომ კაცმაც იცის): ეს სიტყვები ლიალას[299] დაწერილია. თუმცა გამოსავალი მაინც არსებობს. შეუძლია, უთხრას: „როგორც ლიალა იტყოდა, თავდავიწყებით მიყვარხარ“. ასე ყალბ უმანკოებასაც თავიდან აიცილებს და თან ნათლად გამოხატავს, რომ აღარ შეიძლება მიამიტურად ლაპარაკი, მაგრამ, ამავე დროს, იმას ეტყვის საყვარელ ქალს, რის თქმაც სურდა. ეტყვის, რომ უყვარს ის: უყვარს დაკარგული უმანკოების ხანაში. ქალმა იცის, რომ სიყვარულში გამოუტყდნენ, აჰყვება თუ არა, ეს სხვა საქმეა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსაუბრეთაგან არც ერთი არ იგრძნობს თავს მიამიტად, ორივე კარგად აცნობიერებს, რომ ეს სიტყვები უკვე ათასჯერაა ნათქვამი და მოსმენილი და ამას ვერაფერს მოუხერხებ; ორივენი საკუთარი ნებით, სიამოვნებით აჰყვებიან ირონიულ თამაშს… მაგრამ, ამავე დროს, შეძლებენ, სიყვარულზე ილაპარაკონ.

ირონია, მეტალინგვისტური თამაში, სათქმელი კვადრატშია აყვანილი. ამრიგად, თუ მოდერნში, როცა თამაში არ გესმის, უარყოფ მას, პოსტმოდერნში შეიძლება, თამაში არ

გესმოდეს და სერიოზულად იღებდე ყველაფერს. სწორედ ესაა ირონიის ხარისხი (და საფრთხე). ყოველთვის არის ვიღაც, ვინც ირონიულ დისკურსს სერიოზულად მიიღებს. ვფიქრობ, პიკასოს, ხუან გრისისა და ბრაკის კოლაჟები მოდერნისტული იყო: ამიტომ ვერ აღიქვამდა მათ ჩვეულებრივი ხალხი. ხოლო მაქს ერნსტის კოლაჟები, რომლებსაც ხელოვანი მეცხრამეტე საუკუნის გრავიურების ნაჭრებით აწყობდა, პოსტმოდერნული იყო: მათი წაკითხვა შესაძლებელია ისე, თითქოს ისინი ფანტასტიკური ამბავი ან სიზმარი იყოს, და მაყურებელი ვერც ამჩნევს, რომ ესაა მონათხრობი გრავიურების შესახებ ან თავად კოლაჟის ამბავი. თუ პოსტმოდერნი ესაა, მაშინ გასაგებია, რატომ იყვნენ სტერნი და რაბლე პოსტმოდერნისტები, რატომაა პოსტმოდერნისტი ბორხესი, როგორ შეიძლება, ერთ შემოქმედში თანაცხოვრებდეს ან მცირე დაშორებით მისდევდეს ერთმანეთს, ან ენაცვლებოდეს მოდერნისა და პოსტმოდერნის ელემენტები. ჯოისს დავაკვირდეთ. „პორტრეტი“ მოდერნისტული მცდელობაა. „დუბლინელები“, თუმცა უფრო ადრეა დაწერილი, უფრო მოდერნისტულია, ვიდრე „პორტრეტი“. „ულისე“ ზღვარზეა. „ფინეგანის ქელეხი“ კი უკვე პოსტმოდერნია. ყოველ შემთხვევაში, მასში იწყება პოსტმოდერნული დისკურსი: მის გასაგებად უკვე ნათქვამის უარყოფა კი არაა საჭირო, არამედ მისი ხელახლა ირონიულად გააზრება.

პოსტმოდერნზე თითქმის ყველაფერი დასაწყისშივე ითქვა (ისეთი ესეებით დაწყებული, როგორიცაა ჯონ ბართის „ამოწურვის ლიტერატურა“[300], რომელიც 1967 წელსაა დაწერილი. ის ახლახან გამოქვეყნდა ჟურნალ „კალიბანოს“ მე-7 ნომერში, რომელიც ამერიკულ პოსტმოდერნიზმს მიეძღვნა). ვერ გეტყვით, რომ სრულად ვეთანხმები პოსტმოდერნის თეორეტიკოსებს (ბართის ჩათვლით), როცა მწერალთა და ხელოვანთაგან ზოგიერთს პოსტმოდერნისტად მიიჩნევენ და ზოგიერთს – ჯერ კიდევ არა. მაგრამ მაინტერესებს თეორემა, რომელსაც ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსები იღებენ საბოლოოდ: „ჩემი იდეალური პოსტმოდერნისტი მწერალი არც ბაძავს და არც უარყოფს თავის მეცხრამეტე საუკუნის მშობლებს, არც თავის მეთვრამეტე საუკუნის ბებია-ბაბუებს. მან მოინელა მოდერნიზმი და ტვირთად აღარ აწევს იგი. […] ამ მწერალს, ალბათ, იმედი არ უნდა ჰქონდეს, შეძრას ჯეიმს მიჩენერისა და ირვინგ უოლესის თაყვანისმცემლები, მასმედიით ლობოტომიზებულ უწიგნურებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ის უნდა იმედოვნებდეს, მკითხველთა უფრო ფართო წრე გაახალისოს, ხანდახან მაინც, და არა მხოლოდ ისინი, ვისაც თომას მანი „პირველ ქრისტიანებს“, ხელოვნების მსახურებს უწოდებდა. […] იდეალური პოსტმოდერნისტული რომანი უნდა ძლევდეს დაპირისპირებას რეალიზმსა და ირეალიზმს, ფორმალიზმსა და „კონტენუტიზმს“[301], წმინდა ლიტერატურასა და პოლიტიკურად და სოციალურად დატვირთულ ლიტერატურას, ელიტარულ და მასობრივ ლიტერატურას შორის. […] ყველაზე მეტად კარგ ჯაზთან ან კლასიკურ მუსიკასთან ანალოგია მომწონს: მრავალჯერ მოსმენისა და ნოტების კარგად გაანალიზების შემდეგ უამრავ ისეთ რამეს აღმოაჩენ, რაც თავიდან არ შეგინიშნავს, მაგრამ სწორედ პირველმა მოსმენამ უნდა დაგიპყროს, რომ მეორედ მოსმენის სურვილი გაგიჩნდეს, და ეს ეხება როგორც სპეციალისტებს, ისე არასპეციალისტებს“.

ბართი 1980-ში კვლავ მიუბრუნდა ამ თემას, მაგრამ ამჯერად სათაურით „სისავსის ლიტერატურა“. რა თქმა უნდა, ამ თემას შეიძლება პარადოქსების განსაკუთრებული სიყვარულის გამოც მიუბრუნდე, ლესლი ფიდლერის მსგავსად. „კალიბანომ“ მისი 1981 წელს დაწერილი ესე დაბეჭდა, ხოლო სულ ახლახან ჟურნალმა „ლინეა დ’ომბრამ“ („ჩრდილის ხაზი“) გამოაქვეყნა მისი დებატები სხვა ამერიკელ ავტორებთან. ფიდლერი აშკარად გამომწვევია, ხოტბას ასხამს „უკანასკნელ მოჰიკანს“, სათავგადასავლო პროზას, გოთიკურ რომანებს – ნაგავს, რომელიც ეზიზღებათ კრიტიკოსებს, მაგრამ რომლებმაც მითები შექმნეს და არაერთი თაობის წარმოსახვა დაიპყრეს. კითხულობს, ნეტავ შეიქმნება კიდევ ოდესმე რამე „ბიძია თომას ქოხის“ მსგავსი, რომელსაც ერთნაირი გზნებით წაიკითხავენ სამზარეულოებში, მისაღებ ოთახებსა და საბავშვო საძინებლებშიო? შექსპირს იმათ რიგებში მოიხსენიებს, ვისაც მკითხველის გართობა ეხერხებოდა და „ქარწაღებულნის“ გვერდით აყენებს მას. ყველამ კარგად ვიცით, ფიდლერი მეტისმეტად დახვეწილი კრიტიკოსია საიმისოდ, რომ დავუჯეროთ. მას უბრალოდ სურს, დაამსხვრიოს ბარიერი, რომელიც ხელოვნებასა და სიამოვნებას შორის აღიმართა; ინტუიციით გრძნობს, რომ დღეს ფართო მკითხველის დაპყრობა, მის ოცნებებში შეღწევა სწორედ ავანგარდისტობას ნიშნავს; თან უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ მკითხველთა ოცნებებში დამკვიდრება მათ დამშვიდებას სულაც არ ნიშნავს: პირიქით, ეს შეიძლება

ნიშნავდეს, ააფორიაქო, შეაშფოთო მკითხველი, აკვიატების მსხვერპლად აქციო იგი.

ისტორიული რომანი

ორი წელია, ვცდილობ, არ ვუპასუხო უაზრო შეკითხვებს. მაგალითად ასეთს: „შენი რომანი ღია ნაწარმოებია[302] თუ არა?“ მე რა ვიცი, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ თქვენი საქმეა. ან: „შენი პერსონაჟებიდან რომელთან აიგივებ თავს?“ ღმერთო ჩემო, ვისთან უნდა აიგივებდეს თავს ავტორი? ზმნიზედებთან, ცხადია.

უაზრო შეკითხვებიდან ყველაზე უაზრო ისაა, როცა მეკითხებიან, წარსულზე თხრობა მიანიშნებს თუ არა ავტორის სურვილს, აწმყოს გაექცეს. „ასეა?“ – მეკითხებიან. შეიძლება-მეთქი, ვპასუხობ. მანძონიმ, ალბათ, იმიტომ აირჩია მეჩვიდმეტე საუკუნე, რომ საკუთარი მეცხრამეტე არ აინტერესებდა. ჯუსტი „წმინდა ამბროსიში“ თავისი დროის ამბავს მოუთხრობს ავსტრიელებს, ბერშე „პონტიდის ფიცში“ შორეული დროის არაკებს გვიყვება. „სიყვარულის ისტორია“ თანამედროვე ამბავია, ხოლო „პარმის სავანე“ თხრობამდე ოცდახუთი წლით ადრე მომხდარს აგვიწერს... ზედმეტია იმის თქმა, რომ ყველაფერი, რაც თანამედროვე ევროპას ახლა ახასიათებს, შუა საუკუნეებშია ჩასახული: სამოქალაქო დემოკრატია, საბანკო ეკონომიკა, ნაციონალური მონარქიები, დამოუკიდებელი ქალაქები, ახალი ტექნოლოგიები, ღარიბთა აჯანყებები. შუა საუკუნეები ჩვენი ბავშვობაა, რომელსაც ანამნეზისთვის ხშირად უნდა მივუბრუნდეთ. მაგრამ შუა საუკუნეებზე ლაპარაკი „ექსკალიბურის“ სტილშიც შეიძლება. მაშასადამე, პრობლემა სხვა რამეა და შეუძლებელია მისთვის თავის არიდება. რას ნიშნავს, დაწერო ისტორიული რომანი? ვფიქრობ, წარსულზე წერის სამი ხერხი არსებობს. ერთი არის romance, ბრეტონული ციკლიდან ტოლკიენის რომანებამდე, და მასში თავსდება გოთიკური რომანიც (Gothic Novel), თუმცა მას novel ჰქვია და არა romance. წარსული აქ სცენის დეკორაციაა, საბაბი, ზღაპრული კონსტრუქცია, წარმოსახვის თავისუფლებისთვის აუცილებელი გარემო. ამრიგად, აღარაა სავალდებულო, რომ romance წარსულში იყოს გაშლილი, საკმარისია, მოქმედება აქ და ახლა არ ვითარდებოდეს და რომ ის ალეგორიულადაც არ მიგვანიშნებდეს ცნებებზე აქ და ახლა. ფანტასტიკური ლიტერატურის დიდი ნაწილი სწორედ romance-ა. ესაა ისტორია, რომელიც სადღაც სხვაგან ხდება.

არის კიდევ ე. წ. მანტიისა და დაშნის რომანები, როგორიცაა დიუმას თხზულებები. მანტიისა და დაშნის რომანი „რეალურ“, ნაცნობ წარსულს ირჩევს და იმისთვის, რომ ის გვეცნოს, პერსონაჟებად ისტორიულ პირებს (რიშელიეს, მაზარინის) იყენებს და მათ გამოგონილ მოქმედებებს მიაწერს (მილედისთან შეხვედრა, ვინმე ბონასიესთან ურთიერთობა). თუმცა ეს ამბები არანაირად არ ეწინააღმდეგება ენციკლოპედიის ცნობებს. ცხადია, იმისათვის, რომ რეალობის შთაბეჭდილება გაძლიერდეს, ისტორიული პერსონაჟები იმასაც აკეთებენ, რაც მართლა უკეთებიათ (ლა-როშელის ალყა, ანა ავსტრიელთან ინტიმური ურთიერთობა, ფრონდასთან საქმის დაჭერა). ამ („ნამდვილ“) სურათში გამოგონილი პერსონაჟებიც არიან, რომელთა გრძნობები და განცდები, შეიძლება, სხვა ეპოქის პერსონაჟებსაც მიეკუთვნოს. მაგალითად, დ’არტანიანს დედოფლის სამკაული XV ან XVIII საუკუნეშიც შეეძლო დაებრუნებინა: იმისთვის, რომ დ’არტანიანის მსგავსი იყო, სულაც არ არის აუცილებელი, მეჩვიდმეტე საუკუნეში იცხოვრო.

ისტორიულ რომანში კი აუცილებელი არ არის, ისტორიული პირები გამოვიდნენ სცენაზე. გავიხსენოთ „დანიშნულნი“. მისი ყველაზე ცნობილი გმირია კარდინალი ფედერიგო, რომელსაც მანძონიმდე ცოტა თუ იცნობდა (ბორომეოთა გვარის სულ სხვა წარმომადგენელი იყო ცნობილი, წმინდა კარლო ბორომეო). მაგრამ შეუძლებელია, ის ყველაფერი, რასაც რენცო, ლუჩია და მამა ქრისტოფორო აკეთებენ, სწორედ ლომბარდიაში და სწორედ მეჩვიდმეტე საუკუნეში არ მომხდარიყო. პერსონაჟთა

მოქმედებები აქ ისტორიის უკეთ გაგებას ემსახურება, იმის გაგებას, რა მოხდა სინამდვილეში. გამოგონილი ამბები და პერსონაჟები იმდენ რამეს გვეუბნებიან იმ ეპოქის იტალიაზე, რამდენსაც ისტორიის ვერც ერთი წიგნი ვერ გვეტყვის.

ამ თვალსაზრისით ნამდვილად მინდოდა, ისტორიული რომანი დამეწერა. და არა იმიტომ, რომ უბერტინუსი ან მიქაელი მართლა არსებობდნენ და ჩემს რომანში იმას გაიმეორებდნენ, რაც მართლა უთქვამთ ცხოვრებაში, არამედ იმიტომ, რომ ის, რასაც გამოგონილი პერსონაჟები, მაგალითად უილიამი, ამბობდნენ, მართლა უნდა თქმულიყო იმ ეპოქაში.

არ ვიცი, რამდენად დავრჩი ამ მიზნის ერთგული. არა მგონია, მისთვის მეღალატოს, როცა გვიანდელ ავტორთა (მაგალითად, ვიტგენშტაინის) ციტატებს შუა საუკუნეების სიტყვებად ვასაღებდი. ყოველთვის მშვენივრად ვიცოდი, რომ ჩემი შუა საუკუნეების პერსონაჟები კი არ იყვნენ თანამედროვენი, არამედ თანამედროვენი ფიქრობდნენ შუა საუკუნეების ყაიდაზე. ვფიქრობ, ხომ არ მივანიჭე ჩემს გამოგონილ პერსონაჟებს უნარი, შუა საუკუნეების დამახასიათებელი აზრების disiecta membra[303]-იდან კონცეპტუალური თხაირმები შეეკოწიწებინათ, რომლებსაც შუა საუკუნეები თავისად სულაც არ აღიარებდა? მაგრამ მიმაჩნია, რომ ისტორიული რომანის მიზანი ესეცაა: არა მხოლოდ გამოავლინოს წარსულში იმის მიზეზები, რაც შემდეგ მოხდა, არამედ აღწეროს პროცესიც, განვითარება, რომლის გამოც იმ მიზეზებმა სწორედ ის შედეგები გამოიწვია.

თუკი რომელიმე ჩემი პერსონაჟი, ორი შუასაუკუნეობრივი მოსაზრების შედარების შედეგად მესამე, უფრო პროგრესულ მოსაზრებამდე მივა, ის ზუსტად იმეორებს იმას, რაც შემდეგ კულტურამ გააკეთა ისტორიაში. და თუ ეს პროგრესული იდეა ჯერ არავის გამოუთქვამს, ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაცას, თუნდაც გულში, არ უფიქრია მასზე (და, შეიძლება, მოსაზრების ხმამაღლა გამოთქმისაგან თავს იკავებდა, ვინ იცის, რა შიშისა თუ რიდის გამო).

ერთმა რამემ კი მართლა ძალიან გამახალისა: როცა კრიტიკოსი ან მკითხველი რომელიმე ჩემს პერსონაჟზე იტყოდა ან დაწერდა, მეტისმეტად თანამედროვედ აზროვნებსო, სწორედ იქ მქონდა ხოლმე სიტყვასიტყვით გამოყენებული XIV საუკუნის ტექსტების ამონარიდები.

ხოლო ის ადგილები, სადაც მკითხველი ნამდვილი შუა საუკუნეების ამბებითა თუ მოქმედებებით ტკბებოდა, მე სრულიად უსინდისოდ გათანამედროვებულად მიმაჩნდა. საქმე ისაა, რომ თითოეულ ჩვენგანს საკუთარი, და, როგორც წესი, მცდარი წარმოდგენა აქვს შუა საუკუნეებზე. მხოლოდ ჩვენ, იმ დროის ბერებმა, ვიცით სიმართლე, მაგრამ ბოლომდე რომ ვთქვათ ის, ალბათ, კოცონი არ აგვცდება.

დასასრულისთვის

რომანის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ ვიპოვე ჩემი 1953 წლის ჩანაწერი, მაშინდელი, როცა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვსწავლობდი.

„ჰორაციუსი და მისი მეგობარი გრაფ პ.-ს იხმობენ აჩრდილის საიდუმლოს ამოსახსნელად. გრაფი პ. – ექსცენტრიკული, ფლეგმატური ხასიათის ჯენტლმენი; მის საპირისპიროდ – დანიის გვარდიის ახალგაზრდა კაპიტანი: ამერიკული მეთოდი. მოქმედება ჩვეულებრივად ვითარდება, ტრაგედიის წესებით. ბოლო მოქმედებაში გრაფი პ. ოჯახს შეკრებს და საიდუმლოს გაუმხელს: მკვლელი ჰამლეტია. მეტისმეტად გვიანაა. ჰამლეტი კვდება“.

მრავალი წლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მსგავსი მოსაზრება ჩესტერტონს აქვს გამოთქმული სადღაც. როგორც ამბობენ, ახლახან ჯგუფ „ულიპოს“[304] ყველა შესაძლო დეტექტიური სიუჟეტის კომბინაციების შეჯერებით დაუსკვნია, რომ ისღა დარჩა, დაიწეროს

წიგნი, სადაც მკვლელი მკითხველი აღმოჩნდება.

დასკვნა: არსებობს აკვიატებული იდეები და ისინი არასოდეს არავის არ ეკუთვნის, წიგნები ერთმანეთს ელაპარაკებიან და ნამდვილმა გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავეები ჩვენ ვართ.

შენიშვნა ახალი გამოცემისთვის

ჩემი ოცდაათი წლის წინანდელი რომანის ამ გამოცემაში აქა-იქ შეტანილი მცირე შესწორებები რომანის ორიგინალურ ტექსტს არც ნარატიულ სტრუქტურას უცვლის და არც ენობრივ სტილს, რომელიც – და ეს სრულიად გარდაუვალი იყო – შუა საუკუნეების ჟამთააღმწერლისა უნდა ყოფილიყო. ზოგან ერთი რომელიღაც სიტყვა შემაწუხებლად მეორდებოდა სულ რამდენიმე პწკარის დაშორებით; ზოგანაც რიტმი არ მომწონდა, ხანდახან ერთი ზედსართავის შეცვლა ან ერთი ნაწილაკის მოშორება კმარა, რომ მთელმა აბზაცმა შეიძინოს ჰაეროვნება. კბილს რომ გიბჟენენ, ხანდახან გეჩვენება, რომ ახლად გაკეთებული კბილი პირში არ გეტევა; ექიმი წამით გადაატარებს ბორცვზე ბორმანქანას და ვეებერთელა მასა თვალის დახამხამებაში მსუბუქდება, კბილები იდეალურად ერგება ერთმანეთს.

ჩავასწორე მცირე შეცდომები, რომლებიც შუა საუკუნეების წყაროების ნაჩქარევი თარგმანით იყო გამოწვეული; მაგალითად, მცენარეთა ერთ ძველ წიგნში მქონდა ამოკითხული cicerbita (ვარდკაჭაჭას ერთ-ერთი ნაირსახეობა). როგორც ჩანს, მაშინ cucurbita წავიკითხე, რის შედეგადაც დავწერე გოგრა, თუმცა, გოგრა შუა საუკუნეების ევროპაში საერთოდ არ იყო ცნობილი, რადგან ის მოგვიანებით ამერიკის კონტინენტიდან შემოვიდა. იგივე ეხება წიწაკას და ვიოლინოს. იმ ეპოქაში ხმარობდნენ არა ვიოლინოს, არამედ ჩელოს მსგავს ინსტრუმენტს, რომელსაც veilla-ს ეძახდნენ. სადღაც ადსო ამბობს, „რამდენიმე წამშიო“, თუმცა წამი, როგორც დროის ერთეული, შუა საუკუნეებში არ არსებობდა. მართალია, მონათხრობი ისეა წარმოდგენილი, როგორც შუა საუკუნეების ტექსტის მეცხრამეტესაუკუნისეული ფრანგული თარგმანის თარგმანი, ასე რომ შეიძლებოდა, სიტყვა წამის ხმარება ჩემი აბატი ვალესთვის მიმეწერა და ამისთვის ყურადღებაც არ მიმექცია. მაგრამ როცა ადამიანი შესწორებას მიჰყოფ ხელს, უკიდურეს წვრილმანებსაც უკირკიტებ.

ყველაზე საგრძნობი ცვლილება, ალბათ, ბიბლიოთეკარის სახის აღწერასა და ლათინურ ციტატებს შეეხო. მინდოდა, ხორხეს აღწერაში მომეშორებინა შემაწუხებელი ნეოგოთიკური იერი, თუმცა აქაც სულ რამდენიმე პწკარია შეცვლილი. ლათინური ენა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო და არის იმისთვის, რომ ტექსტს მონასტრის სურნელი შეენარჩუნებინა და შუა საუკუნეების მოსაზრებებიც უფრო დამაჯერებელი და ავთენტიკური ყოფილიყო. თანაც ლათინურს ერთგვარი პენიტენციური ფუნქციაც ჰქონდა. მაგრამ შემაწუხა იმან, რომ ბევრი მკითხველი მეუბნებოდა, ლათინური ლექსიკონის გამოყენება დამჭირდა ციტატების შინაარსის გასაგებადო. ეს კითხვას აბრკოლებდა. ის არ მადარდებდა და არც ახლა მადარდებს, რომ ლათინური კვლავაც ბევრგანაა წიგნში, განსაკუთრებით წიგნების სათაურებში: ეს ისტორიული დისტანცირების მიზნითაც მნიშვნელოვანი და საჭიროა. მაგრამ ზოგან შევნიშნე, რომ ვინც ციტატის შინაარსს ვერ გაიგებდა, ვერ მიხვდებოდა, რას ვამბობდი იმ მონაკვეთში. გერმანელმა გამომცემელმა საჭიროდ მიიჩნია, მცირე ლექსიკონი დაერთო გამოცემისთვის მკითხველისთვის ლათინური ციტატების განსამარტავად. ეს მეტისმეტი მეჩვენა. ჩემმა ამერიკელმა გამომცემელმა, ჰელენ ვოლფმა კი შენიშნა, რომ ევროპელ მკითხველს ლათინური არ ეუცხოება, თუნდაც ის სკოლაში არ ჰქონდეს ნასწავლი. ლათინური ჩვეული და შინაურია ევროპელისთვის, მისი თვალი მუდმივად ხვდება ლათინურ წარწერებს ტაძრების, სასახლეების კედლებზე. ევროპელს უამრავი ფილოსოფიური, იურიდიული, რელიგიური

ლათინური გამოთქმა ესმის ცხოვრების მანძილზე, ამიტომ მას არ შეაშინებდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, dominus ან legitur. ამერიკელი მკითხველისთვის კი მათი აღქმა ბევრად უფრო ძნელია, როგორც ჩვენთვის, მაგალითად, უნგრული ციტატებით სავსე წიგნის წაკითხვა იქნება. ამრიგად (ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ), ჩემს მთარგმნელთან, ბილ უიევერთან ერთად ლათინური ციტატების ოდნავ შემსუბუქებას შევუდექი. ზოგან ტექსტშივე ვაკეთებდით ერთგვარ პერიფრაზს ინგლისურად, თუ მთელი ციტატისა არა, მისი არსებითი ნაწილისა მაინც. მუშაობის პროცესში მახსენდებოდა, რომ ჩემს მხარეში, როცა დიალექტზე ლაპარაკობენ, სათქმელის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ხშირად იტალიურად იმეორებენ ხოლმე, რათა აზრი უფრო ნათელი იყოს. მერე, როცა ინგლისური თარგმანი ხელახლა წავიკითხე, მივხვდი, რომ ის ცვლილებები საგრძნობლად ამსუბუქებდა ბევრ მონაკვეთს. იგივე კრიტერიუმი გამოვიყენე ამ იტალიური გამოცემისთვისაც. მაგალითს მოვიყვან: ერთგან უილიამი ბეკონის სიტყვებს იგონებს და ამბობს: „ქრისტიანული მეცნიერება ხელახლა უნდა დაეუფლოს ცოდნის ამ მარაგს, ჩამოართვას იგი წარმართთა და მწვალებელთ, tamquam ab iniustis possessoribus“. ახალ გამოცემაში ეს მონაკვეთი ასეა ფორმულირებული: „ქრისტიანული მეცნიერება ხელახლა უნდა დაეუფლოს ცოდნის ამ მარაგს, ჩამოართვას იგი წარმართთა და მწვალებელთ, tamquam ab iniustis possessoribus, თითქოს არა მათ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს ჭეშმარიტების ეს საგანძური“.

მოკლედ, ეს ცვლილებები, როგორც უკვე ვთქვი, იმდენად მკითხველისთვის არაა, რამდენადაც ჩემთვის, ავტორისთვის, რომელიც თავიდან კითხულობს საკუთარ ტექსტს; მინდოდა, მე მეგრძნო თავი სტილისტურად უფრო კომფორტულად, სისხარტე შემეძინა იმ პასაჟებისთვის, სადაც, ჩემი აზრით, თხრობა მეტისმეტად იყო დამძიმებული.

უმბერტო ეკო

სქოლიო

[1] „მელქელი მამა ადსონის ჩანაწერები, ფრანგულად თარგმნილი მამა ჟ. მაბიიონის გამოცემიდან“, პარიზი, ლა-სურის საბატოს სტამბა, 1842 (ფრ.).

[2] ძველი ანთოლოგია, ანუ ძველი შრომებისა და თხზულებების – წერილების, ჩანაწერებისა და ეპიტაფიების – კრებული, ღირსი მამის, თეოლოგიის დოქტორის, წმინდა ბენედიქტეს ორდენისა და წმინდა მავრის კონგრეგაციის პრესვიტერის – ჟან მაბიიონის გერმანულენოვანი შენიშვნებით, დანართებითა და გამოკვლევით. ახალი გამოცემა, რომელიც მაბიიონის ცხოვრებას და მის თხზულებებს შეიცავს, კერძოდ კი, მიმართვას მის უწმინდესობა კარდინალ ბონასადმი „ზიარების კვერზე, ხმელსა და მჟავეზე“. ესპანეთის ეპისკოპოსის, ილდეფონსის შენიშვნებით ამავე საკითხზე და ევსებიუს რომაელის ეპისტოლით თეოფილე გალისადმი „უხილავ წმინდანთა თაყვანსაცემად“, პარი-ზი, ლევეკის სტამბა, სენ-მიშელის ხიდთან, 1721, ხელმწიფის ნებართვით (ლათ.).

[3] მონტალანი, სენტ-ოგიუსტენის სანაპირო (სენ-მიშელის ხიდთან) (ლათ.).

[4] ისე ცოცხლადაა ჩემში აღბეჭდილი თითოეული წვრილმანი, რომ საკუთარ თავს ვეკითხები, მართლა გადამხდა თუ მესიზმრა ყოველივე (ფრ.).

[5] La Repubblica, 1977 წ. 22 სექტემბერი (ავტ. შენიშვნა).

[6] ალბერტ დიდი (ალბერტ ფონ ბოლშტედტი) – გერმანელი ფილოსოფოსი, თეოლოგი

და ბუნებისმეტყველი, დომინიკელი (დაახლ. 1193-1280).

[7] პარაცელსუსი (ფსევდ. ნამდვილი სახელია ფილიპუს ავრეოლუს თეოფრასტუს ბომბასტუს ფონ ჰოენჰაიმი) – გამოჩენილი ექიმი და ალქიმიკოსი (1493-1541).

[8] Liber aggregationis seu liber secretorum Alberti Magni, Londinium, juxta pontem qui vulgariter dicitur Flete brigge, ccccLxxxv. (ავტ. შენიშვნა).

[9] Les admirables secrets d'Albert le Grand, A Lyon, Chez les Héritiers Beringos, Fratres, à l'Enseigne d'Agrippa, Mdcclxxv; Secrets merveilleux de la Magie Naturelle et Cabalistique du Petit Albert, A Lyon, ibid., Mdccxxix. (ავტ. შენიშვნა).

[10] კემპელი (თომას კემპელი, 1380-1471) – ბენედიქტელი მწერალი სქოლასტიკოსი, ავტორი „ქრისტეს მიბაძვისა", რომელშიც გადმოცემულია ზოგადქრისტიანული ჭეშმარიტებანი.

[11] „სად არ ვეძიე სიმშვიდე და ვპოვე იგი ოდენ კუთხეში, წიგნით ხელში" (ლათ.).

[12] „ბენედიქტელთა ჟამნი" (ფრ.).

[13] ვხედავთ ბუნდოვნად, როგორც ანარეკლს სარკეში (ლათ.).

[14] მსოფლიოს დედაქალაქი, ანუ რომი (ლათ.).

[15] პრაქტიკული გამოყენებისთვის (ლათ.).

[16] როცა, სხვათა შორის (ლათ.).

[17] ბოეთიუსი ანიციუს მანილიუს ტორკვატუს სევერინუს (დაახლ. 480-524) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და ფილოსოფოსი. ლათინურად თარგმნა და კომენტარები დაურთო არისტოტელეს ზოგიერთ ლოგიკურ შრომასა და პორფირიოსის „შესავალს". ლოგიკის საკითხებზე დაწერა ორიგინალური შრომებიც. ადრეულ შუა საუკუნეებში ბოეთიუსის ნაწერები იყო ერთადერთი საშუალება არისტოტელეს ლოგიკის გასაცნობად. ფართოდ იყო ცნობილი ბოეთიუსის მათემატიკური შრომები და ტრაქტატი მუსიკის თეორიის შესახებ.

[18] ირლანდია.

[19] ნორთუმბრია – ძვ. სამეფო (VII-X სს.) ახლანდელი დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

[20] გარყვნილი (ბერძ.).

[21] კაცის მიერ მართულნი (ლათ.).

[22] ალანუს ალენ დე ლილი (XII ს.) – სახელგანთქმული ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. მას ეკუთვნის ზნეობის სასწავლებელ ლექსთა, ანუ არაკთა, კრებული, ცნობილი „პარაბოლების" სახელწოდებით.

[23] სამყაროს ყოველი ქმნილება, ნაწერი თუ ნახატი

მისივე სარკისებრი ანარეკლია (ლათ.) [24] მომცროთავიანს, გლუვბალნიანსა და წვეტიანყურას, დიდთვალებას, ფართონესტოებიანსა და ყელმოღერებულს, უხვფაფარასა და გრძელკუდას, მრგვალჩლიქიანს (ლათ.).

[25] ჟან ბურიდანი (XIV ს.) – ფრანგი ფილოსოფოსი, სქოლასტიკოსი, პარიზის უნივერსიტეტის რექტორი, ოკამის მოწაფე, არისტოტელეს „ეთიკის" კომენტარების ავტორი.

[26] ზოგად ცნებაზე (ლათ.).

[27] თომა აკვინელი (1226-1274) – შუა საუკუნეების ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი.

[28] ღვთისმსახური ხარ მარადის (ლათ.).

[29] ბერების წინაშე (ლათ.).

[30] „უწიგნო მონასტერი… იგივეა, რაც ქალაქი მეომართა, ციხე მცველთა, საზრდო საკმაზის, სატრაპეზო სანოვაგის, ბაღი ბალახის, მდელო ყვავილის, ხე ფოთლის გარეშე…“ (ლათ.).

[31] სამყარო ბერდება (ლათ.).

[32] ფერწერა მდაბიოთა საკითხავია (ლათ.).

[33] ქმედით ერთობაში (ლათ.).

[34] შეთანხმების თანახმად (ლათ.).

[35] დაშლილი ნაწილები (ლათ.).

[36] დიადს მდაბალი ვით დავადარო (ლათ.).

[37] აწ იესო მოვიდეს უმალ და კაცთ უნდა აკეთონ სინანულობა (ლათ.).

[38] მინორიტები („უმცროსი ძმები“) – ფრანცისკელთა ორდენის განშტოება. ქადაგებდნენ უკიდურეს ასკეტიზმს.

[39] განვედი უკან (ლათ.).

[40] „ხე სიცოცხლისა და ჯვარცმისა“ (ლათ.).

[41] შუა საუკუნეების იტალიელი ღვთისმეტყველი, ფრანცისკელთა ორდენის გენერალი (1221-1274).

[42] „მამა ცელესტინუსის ძმანი და ღატაკი მიმდევარნი“ (ლათ.).

[43] ფრატიჩელები („ნახევრად ძმები“) – დაბალი რანგის ფრანცისკელი ბერები.

[44] ბეგინები (ბეგარდები) – ასე უწოდებდნენ XIII-XIV საუკუნეებში ფრატიჩელებს და მიმდინარეობა „თავისუფალი სულის“ წევრ ბერებს, რომლებიც ინკვიზიციის დევნის გამო ქალთა ნახევრად მონაზვნურ ორდენს – ბეგინებს აფა-რებდნენ თავს.

[45] მტკიცედ დასაცავად (ლათ.).

[46] ქვეყნად მოწანწალეს (ლათ.).

[47] „წესთა შემქმნელისთვის“ (ლათ.).

[48] თავისუფალი სულის (ლათ.).

[49] დედიშობილა მამრი დედიშობილა დიაცთან დაწვესო (ლათ.).

[50] თუმც ერთურთის შეუცნობლად (ლათ.).

[51] პავლიკიანობა – (ბერძნ. Paulikianoi, სავარაუდოდ – პავლე მოციქულის სახელიდან), დიდი მწვალებლური მოძრაობა შუა საუკუნეების ქრისტიანობაში, ჩაისახა VII ს. ბიზანტიის იმპერიის აღმ. ნაწილში. პავლიკიანობა უარ-ყოფდა ღვთისმშობლის კულტს, მოციქულებს, წმინდანებს, ეკლესიას, სამღვდელოებას და განსაკუთრებით, ბერ-მონაზვნებს. წმინდა წიგნად მხოლოდ ახალ აღთქმას (პეტრეს ეპისტოლეების გარეშე) აღიარებდა. პავლიკიანობა, როგორც სარწმუნოება, საბოლოოდ ჩამოყალიბდა IX ს. I ნახევარში. პავლიკიანობის მიმდევრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბალკანეთში ბოგომილობის ჩამოყალიბებაში.

[52] ბოგომილობა – მწვალებლური მოძრაობა X-XIV სს. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. აღმოცენდა X ს. დასაწყისში პავლიკიანთა გავლენით. ბოგომილობა გმობდა სიმდიდრეს,

უარყოფდა აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიას, საეკლესიო იერარქიას, ტაძრებს, საეკლესიო საიდუმლოებებს და წეს-ჩვეულებებს. არ ცნობდა ძველ აღთქმას, ჯვრის თაყვანისცემას, წმინდანებს, წმინდა ნაწილებს. ბოგომილობამ გავლენა მოახდინა პატარიელების, კათარების, ალბიგოელების მწვალებლობის ჩამოყალიბებაზე.

[53] მიქაელ ფსელოსი (1018-1078/96) – ცნობილი ბიზანტიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ისტორიულ-მემუარული თხზულების „ქრონოგრაფიის“ ავტორი.

[54] ცხოველი ხე (ლათ.).

[55] პირველმოვლენილი, სერაფიმთაგან განწმენდილი, ზეცის მხურვალებით დადაგული და გამობრძმედილი. ჭეშმარიტი სიტყვის მქადაგებელი, ქვეყნის წყვდიადის გამნათებელი... (ლათ.).

[56] მოსვენებას გვიქადს ოდენ სიკვდილი, აღსასრული ყოველი გარჯის (ლათ.).

[57] „მკურნალთა თეატრი“ (ლათ.).

[58] „ბალახთა ღირსებებზე“ (ლათ.).

[59] „მცენარეთა შესახებ“ (ლათ.).

[60] ნათელი (ლათ.).

[61] „წიგნთა მეთვალყურემ დაწვრილებით აღნუსხოს ყოველივე წიგნის შინაარსსა თუ მის შემქმნელზე და დაალაგოს თითოეული მათგანი რიგის მიხედვით“ (ლათ.).

[62] არშიებზე მოთავსებული მცირე ტექსტები, შენიშვნები.

[63] იდუმალი (ლათ.).

[64] წმინდაა, წმინდაა, წმინდაა (ლათ.).

[65] „სასწაული ახდენილა,

დედამიწას ფრთა შეუსხამს,

თავად ცის თაღს ასცდენია“ (ძვ. გერმ.).

[66] „ფეხქვეშ – ზეცა,

თავზე – მდელო,

სასწაულთა სასწაული ახდენილა“ (ძვ. გერმ.).

[67] არ შეგშვენით ფუჭსიტყვაობა და სიცილი! (ლათ.).

[68] ფსევდოდიონისე არეოპაგელი – VI ს. ბერძენი ფილოსოფოსი.

[69] სარკესა და გამოცანაში (ლათ.).

[70] „ანტიქრისტეს შესახებ“ (ლათ.).

[71] შუშის თვალები ლითონის ჩარჩოში (ლათ.).

[72] შუშები თვალისთვის, საკითხავად (ლათ.).

[73] ვითარცა უკანონო მფლობელთ (ლათ.).

[74] ჩინეთის სახელი შუა საუკუნეებში.

[75] აკურთხებდეთ (ლათ.).

[76] მიიღონ გლახაკთ (ლათ.)

[77] თუმცა კი შეეძლო, არსად წერია, რომ გაეცინოს (ლათ.).

[78] „უფალო, შეგვიწყალე“ (ლათ.).

[79] „შეწევნა ჩვენი სახელითა უფლისა“ (ლათ.).

[80] „შემოქმედისგან მიწისა და ცისა“ (ლათ.).

[81] „ვადიდოთ უფალი“ (ლათ.).

[82] „მადლი ვუთხრათ უფალს“ (ლათ.).

[83] „უფალო, განახვნე ბაგენი ჩემნი შენდა სადიდებლად“ (ლათ.).

[84] „მოდით, ვუგალობოთ“ (ლათ.).

[85] „შენ, უფალო“ (ლათ.).

[86] საპასუხო პარტია, როცა გალობაში ორი ქორო ენაცვლება ერთმანეთს.

[87] მუხლი, სტროფი.

[88] ღმერთი სიწმინდის საკვირველი ბრწყინვალებაა და ამოვა ნათელი აღმოსავლეთით (ლათ.).

[89] სამყაროს ყოველი ქმნილება, როგორც წიგნი ან ნაწერი (ლათ.).

[90] მწამს ერთი ღმერთი (ლათ.).

[91] თავისი არსით (ლათ.).

[92] არის სოფლად ერთი სახლი, ხმაურით სავსე, გუგუნებს, დრტვინავს სავანე იგი ჩუმი ბინადრის.

არ ცხრება ხმები, მოძრაობა სახლის კედლებში, თუმც იქ ბინადრობს, სხვაგანაა მისივე მკვიდრი (ლათ.).

[93] აფრიკის კიდე (ლათ.).

[94] სამყაროს სარკე (ლათ.).

[95] ფლაგელანტები (ფლაგელანტი – ის, ვინც თავს იმათრახებს (ფლაგელუმ – ლათ. მათრახი)) – რელიგიური მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა იტალიაში 1210 წელს. ფლაგელანტები თავს იმათრახებდნენ მონანიებისა და „სისხლით მონათვლის“ ნიშნად, რომელიც თითქოს ცოდვების გამოსყიდვის საშუალება იყო.

[96] არიმასპები – მითური ცალთვალა ხალხი (სკვითური მოდგმისა) (ჰეროდოტესა და პომპონიუს მელას მიხედვით).

[97] დონატისტები – IV-V სს. რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრები რომის ჩრდ. აფრიკაში. მიმდინარეობა აღმოცენდა 311 წელს. დონატისტები ქადაგებდნენ შეურიგებლობას იმ ქრისტიანების მიმართ, რომლებიც განუდგნენ რწმენას IV ს-ის დამდეგს (როდესაც ქრისტიანობა იდევნებოდა).

[98] პოეტის მონაყოლი ამბები – fabulae fabulare-ს (ლაპარაკს) იმიტომ უკავშირდება, რომ ისინი მომხდარს კი არ ასახავს, არამედ ზეპირად გადმოცემულს (ლათ.).

[99] „სიცილი ბრიყვთა ღორის ჭყივილზე უარესია“ (ლათ.).

[100] ლაზათიან (ლათ.).

[101] „ბერთა ქცევასა და საუბარზე“ (ლათ.).

[102] პიერ აბელარი (1079-1142) – ფრანგი ფილოსოფოსი და თეოლოგი, რომელსაც კათოლიკური ეკლესია სასტიკად ებრძოდა და მწვალებლობაში ადანაშაულებდა.

[103] ღმერთი არ არსებობს (ლათ.).

[104] „შენ ხარ პეტრე“ ან: „შენ ხარ ქვა“ (ლათ.).

[105] „სიბრიყვის სარკე“ (ლათ.).

[106] გაისმა ამაზრზენი ხმა უკანალიდან (ლათ.).

[107] ბერთა ორდენი (ლათ.).

[108] Drigontia (Drygunthia), იგივე დრაგოვიცა ან დროგომეტია, სავარაუდოდ დღევანდელი პლოვდივი (იგივე ფილიპოპოლისი).

[109] პატარიელები – სახალხო მოძრაობის – პატარიის წევრები. პატარია ჩრდ. იტალიის ქალაქებში წარმოიშვა მე-11 ს. II ნახევარში და მოგვიანებით რელიგიური, კლიუნიელთა რეფორმის მომხრეთა ბრძოლის ფორმა მიიღო.

[110] ვალდენსები – რელიგიური სექტა, რომელიც შეიქმნა მე-12 ს-ში. მისი მიმდევრები სიღარიბეს ქადაგებდნენ. მე-13 ს-ის დამდეგს ვალდენსების ნაწილი პაპის ზეგავლენით ჩამოშორდა მოძრაობას, ხოლო უკიდურესი ფრთა კათარებს შეერწყა.

[111] კათარები – მე-11-13 სს.-ში ევროპაში გავრცელებული ერესის მიმდევრები, უპირატესად ხელოსნები; ქადაგებდნენ ასკეტიზმს, საკუთრება ცოდვად მიაჩნდათ, მკაცრად ამხელდნენ სასულიერო პირთა ბიწიერებას.

[112] „მიხსენი ლომის ხახისაგან“ (ლათ.).

[113] ის უდიდესი ლაბირინთია, სამყაროს ხატი (ლათ.).

[114] შემსვლელისთვის განიერია, გამომსვლელისთვის – ვიწრო (ლათ.).

[115] წყალი სიცოცხლის წყაროა (ლათ.).

[116] აფრიკის კიდის საიდუმლო (ლათ.).

[117] ბერძნულია, გაუგებარია (ლათ.).

[118] „გამოცხადება იესო ქრისტესი“ (ლათ.).

[119] „ოცდაოთხი უხუცესი ტახტზე“ (ლათ.).

[120] „სიკვდილია მისი სახელი“ (ლათ.).

[121] „დაბნელდა მზეც და ჰაერიც“ (ლათ.).

[122] „და იქმნა სეტყვა და ცეცხლი“ (ლათ).

[123] „იმ დღეებში, როცა“ (ლათ.).

[124] „პირველი მოკვდავთაგან“ (ლათ.).

[125] „ცით ჩამოვარდა ვეებერთელა მნათობი“ (ლათ.).

[126] „თეთრი ცხენი“ (ლათ.).

[127] „მშვიდობა და წყალობა თქვენდა“ (ლათ.).

[128] „სამყაროს მესამედი გადამწვარია“ (ლათ.).

[129] „ხილულის შესახებ“ (ლათ.).

[130] „ცხრილები“ (ლათ.).

[131] „მხედველობაზე“ (ლათ.).

[132] „მნათობთა გამოსხივებაზე“ (ლათ.).

[133] „მხეცთა შესახებ“ (ლათ.).

[134] „ურჩხულთა მრავალფეროვნების შესახებ“ (ლათ.).

[135] „განისვენონ შრომისაგან მათთა“ (ლათ.).

[136] მომდინარეობს სიტყვიდან „მოსარაბები“ (ესპ. mozárabes) – ასე უწოდებდნენ ესპანეთის მუსლიმური სამთავროების ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს.

[137] ასასინები – შიიტური სექტის წევრები VII-VIII საუკუნეებში; მკვლელები, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებებით გაბრუებულები, თავიანთი მბრძანებლის – ჰასან იბნ საბას („მთის მოხუცის“) დავალებებს ასრუ-ლებდნენ.

[138] „კვინტუს სერენუსი მცენარეთა და სამკურნალო ბალახთა შესახებ“, „ფენომენები“, „ეზოპეს წიგნი ცხოველთა ბუნებაზე“, „ეთიკური სიტყვათწყობანი კოსმოგრაფიის შესახებ“, „წიგნი სამ ნაწილად: ზღვისგადაღმა წმინდა მიწებიდან მოსული ადამნანის ეპისკოპოს არკულფუსის მიერ აღწერილი საკვირველებანი“, „წიგნაკი კვინტუს იულიუს ილარიონისა სამყაროს წარმოშობის შესახებ“, „სოლინუს პოლიჰისტორი დედამიწის წარმომავლობისა და საკვირველებათა შესახებ“, „ალმაგესტუსი...“ (ლათ.).

[139] ჰუმილიატები – რელიგიური მოძრაობის მიმდევრები ჩრდილოეთ იტალიაში, კერძოდ ლომბარდიაში, XII-XIII საუკუნეებში. ქადაგებდნენ ასკეტური ცხოვრების წესს.

[140] პინცოკერები – ფრანცისკელთა ორდენის ერთ-ერთი განშტოების წევრები, რომლებიც უკიდურესი სიღარიბის წესს იცავდნენ.

[141] ლემურები – რომაულ მითოლოგიაში: ბოროტმოქმედთა, დამნაშავეთა აჩრდილები, რომლებიც წესის მიხედვით არ დაუმარხავთ.

[142] მაგრამ ცოდნა ბუნების კანონით განმტკიცდება და ყველაზე სწორად ემსახურება მიზანს (ლათ.).

[143] ერთი (ლათ.).

[144] ან (ლათ.).

[145] ლათინურში უ და ვ ერთი – V – გრაფემით გამოისახება.

[146] „მწვალებლურ უკუღმართობათა გამოძიების შესახებ“ (ლათ.).

[147] ამ ქვაში ზეცასთან მსგავსებაა (ლათ.).

[148] ძვლის ან ლითონის წაწვეტებული ხელსაწყო, რომელსაც ქვის ან ხის დაფებზე საწერად იყენებდნენ.

[149] ბუნებრივ მიზეზთა ყოველი შედეგი ხაზებით, კუთხეებითა და გეომეტრიული ფიგურებით განისაზღვრება, ყველა სხვა შედეგის განსაზღვრა კი სწორედ ამის გამოა შეუძლებელი (ლათ.).

[150] შეინანეთ და იქმოდეთ კეთილს, რამეთუ ახლო არს სასუფეველი უფლისა (ლათ.).

[151] კმარა ამაზე! (ლათ.).

[152] Ribelle იტალიურად აჯანყებულს, მეამბოხეს ნიშნავს.

[153] მისი ძუძუები ზომიერია, მკვრივი, თუმცა არა გამომწვევი, შემოსილია, მაგრამ სამოსი გამომწვევად არ ეტმასნება (ლათ.).

[154] „ამბავი ბერ დულცინუსისა, ერეტიკოსისა“ (ლათ.).

[155] და მიესაჯოს სიკვდილი ცეცხლზე დაწვით, რათა გამოესალმოს სიცოცხლეს და მისი სული სამუდამოდ განცალკევდეს სხეულისაგანო (ლათ.) [156] მოვკვდებით უფლისათვის (ლათ.).

[157] „ფიზიოლოგი“, ანუ „სახისმეტყველი“ – ძველ მწერლობაში მეტად პოპულარული ნაწარმოები, რომელიც შეიცავს დაკვირვებას ბიბლიურ ცხოველთა (ლომის, არწივის და სხვ.) და ზღაპრულ არსებათა (ფენიქსის, კენტავრის, სირენას და სხვ.) თვისებებზე, ასევე ცნობებს ქვებსა და ხეებზე, მისტიკური და ზნეობრივი ხასიათის შენიშვნების თანდართვით. ავტორობა სხვადასხვა პირს მიეწერება: პეტრე ალექსანდრიელს, ბასილი დიდს და უფრო ხშირად ეპიფანე კვიპრელს.

[158] შენს ამბავს ჰყვება (ლათ.).

[159] და ყოველივე იყო მშვენიერი (ლათ.).

[160] ხატი უფრო ნათლად ასახავს ჭეშმარიტებას, თუ უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის ხატია, წრფელი და აშ-კარა, და არა ხატი თავად ჭეშმარიტებისა (ლათ.).

[161] ნაღვლიანია სხეული ყოველი თანაყოფის შემდეგ (ლათ.).

[162] კერძოობითი წანამძღვრებიდან არაფერი ზოგადი არ გამომდინარეობს (ლათ.).

[163] საშუალო ტერმინი ერთ წანამძღვარში მაინც მთელი მოცულობით უნდა იყოს აღებული (ლათ.).

[164] „ღატაკ სოფლელ ქალებზე“ (ლათ.).

[165] „მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის ის, ვინც საეროებთან მრუშობს, კიდევ უფრო მომაკვდინებლად სცოდავს ის, ვინც სასულიერო პირებთან მრუშობს, მათთან, ვისაც წმინდა აღთქმა აქვს დადებული, მაგრამ ყველაზე მძიმე ცოდვა ბერებთან მრუშობაა, რომლებიც მკვდრები არიან ამ ქვეყნისათვის“ (ლათ.).

[166] გრძნობითი წადილის გამოვლინებას, რამეთუ ის სხეულებრივ გარდაქმნას იწვევს, ვნება უნდა ეწოდოს, და არა ნების გამოხატულება (ლათ.).

[167] წადილი ილტვის იმ საგნის შესაცნობად, რომელმაც ის აღძრა, რათა დაკმაყოფილდეს სურვილი (ლათ.).წადილი ილტვის იმ საგნის შესაცნობად, რომელმაც ის აღძრა, რათა დაკმაყოფილდეს სურვილი (ლათ.).

[168] სიყვარული იქითკენ ისწრაფვის, რომ სიყვარულის საგანი შეერწყას მას, ვისაც უყვარს; და სიყვარული უფრო შემეცნებითია, ვიდრე თავად ცოდნა (ლათ.).

[169] ჩემში და ჩემზე (ლათ.).

[170] დაპირისპირების წყაროა (ლათ.).

[171] თანაზიარობა (ლათ.).

[172] დიადი სიყვარულის გამო, რომელსაც ყოველივეს მიმართ განიცდის (ლათ.).

[173] ზრუნვა საყვარელზე (ლათ.).

[174] იტალიურად კრავი agnello ჰგავს სიტყვა ანგელოზს – angelo.

[175] agnoscit – ცნობა (ლათ.).

[176] ovis (ლათინურად – ცხვარი) წარმოიშვა სიტყვიდან oblatione – მიძღვნა, მსხვერპლად შეწირვა.

[177] cane – ძაღლი, canor – ყეფა.

[178] vitello – ხბო, viridatas – მამრი, virgo – ქალწული (ლათ.).

[179] აფრიკის კიდის სიმბოლო კერპშია მეოთხის პირველსა და მეშვიდეზე (ლათ.).

[180] ახლანდელი ნორჩა – წმინდა ბენედიქტეს მშობლიური ქალაქი უმბრიის რეგიონში.

[181] სამეფო გვირგვინი უფლის ხელიდან (ლათ.).

[182] იმპერიის დიადემა პეტრეს ხელიდან (ლათ.).

[183] წმინდა მონანიების ტარიფებზე (ლათ.).

[184] სამყარო ფეთქავს, ღმუილით ხეთქავს ზღვათა ჯებირებს, ზანზარებს, არღვევს საზღვარს ყოველგვარს.

ფსკერით აღმართავს უსასრულო,

თვალუწვდენელ ტალღათა კლდეებს

საბედისწერო ღმუილი ზვირთთა

და აგუგუნებს შემზარავი მორევის ქვესკნელურ წიაღს... (ლათ.).

[185] პირველად პოემა, პირმშო პოეზიის, პაპისაგან პატივდებული, პოეტურ პწკართა პაექრობით, პროზის პათოსით, პანეგირიკად პირმეტყველებდეს... (ლათ.) [186] ცეცხლოვანი, მხარშველი (რამეთუ უმს მოხარშულად აქცევს), მდაგველი, მწველი (ძირიდან წვა), მხეთქველი (რამეთუ ნაკვერჩხალს ხეთქავს), ალოვანი (ალისფრის გამო), კვამლოვანი, მშანთველი (დაშანთვიდან), მაცოცხლებელი (რამეთუ მკვდარს თუ შეახეს, აცოცხლებს), ქვოვანი (რამეთუ ქვით ინთება, თუმცა ეს არასწორია, რადგან ის ნაპერწკლით ინთება), კიდევ ენეონი, ღმერთ ენეასგან, რომელიც ამ სტიქიას შთაბერავს სულს (ლათ.).

[187] მამისა და ასულის სახელით (ლათ.).

[188] აქ ლომები არიან (ლათ.).

[189] სამოთხის წყარო (ლათ.).

[190] კლონმაკნოისი – მონასტერი ირლანდიაში, დაარსებულია VI ს.-ის შუახანებში. მოგვიანებით მას „შვიდ ტაძარსაც“ უწოდებდნენ.

[191] მეტონიმიის ერთ-ერთი სახე – ზოგადის აღმნიშვნელი სიტყვის შეცვლა კერძოობითის აღმნიშვნელით, მთელის აღმნიშვნელისა – ნაწილის აღმნიშვნელით, მრავლობითისა – მხოლობითით და პირიქით.

[192] „სარკე სიყვარულისა“ (ლათ.).

[193] შავი და მწარე (ლათ.).

[194] სასიყვარულო ავსილობა (ლათ.).

[195] „კანონთა შესახებ“ (ლათ.).

[196] „მისი გამოსახულების შესახებ“ (ლათ.).

[197] ერთხელ განდევნა (ლათ.).

[198] მშვიდობის მტერი (ლათ.).

[199] „რამეთუ ერთხელ“ (ლათ.).

[200] „გამოვიდა მთესველი“ (ლათ.).

[201] ნართექსი – ქრისტიანული ტაძრის შესასვლელი, სათავსი, ჩვეულებრივ, დასავლეთის მხარეს. განკუთვნილია მათთვის, ვისაც მლოცველთა მთავარ სადგომში შესვლის უფლება არ ჰქონდა.

[202] სახელები საგანთა არსიდან გამომდინარეობს (ლათ.).

[203] სახელები (ლათ.).

[204] „სამი წიგნი მცენარეთა შესახებ“ (ლათ.).

[205] „ბალახთა საგანძური“ (ლათ.).

[206] წმინდა რომის [ეკლესია] (ლათ.).

[207] უფლის ძაღლები (ლათ.).

[208] რწმენის თესლის ღვთიური ამონაყარი (ლათ.).

[209] ეშმაკის საბლით (ლათ.).

[210] დასხდენ მთავარნი,

ჩემთვის ძვირსა იტყოდეს,

შემეწიე მე, უფალო ღმერთო ჩემო, და

მაცხოვნე მე წყალობითა შენითა (ლათ.).

[211] გრიგორიანული საგალობლის ნევმები (აკორდები).

[212] წერის უცოდინარი წინამძღვარი (ლათ.).

[213] სურნელთა თუნდაც უმცირეს სხვაობას (ლათ.).

[214] დღე განკითხვისა (ლათ).

[215] „შემოათრიეთ, მეძავის გაგდებულებო!“ – ეს არის ხალხურ ლათინურზე, ე. წ. „ვოლგარეზე“, დაწერილი ერთ-ერთი პირველი ნიმუში, შესრულებული რომში, წმინდა კლემენტის ეკლესიის კედელზე.

[216] „ვიცი, რომ ის მიწები, აქ აღწერილი საზღვრებით 30 წელი ეკუთვნოდა წმინდა ბენედიქტეს მონასტერს“ – ხალხურ ლათინურზე დაწერილი პირველი ფრაზა, რომელიც ზუსტადაა დათარიღებული: 960 წელს სასამართლოზე წარმოთქმული მოწმის სიტყვები მოსამართლეს სიტყვასიტყვით ჩაუწერია საქმეში.

[217] ოთხიდან პირველსა და მეშვიდეს შეეხე (ლათ.).

[218] აფრიკის კიდეში, ამინ (ლათ.).

[219] სიკვდილი დასვენებაა წარმავალისთვის, დასასრული ყოველი წვალების (ლათ.).

[220] სიცილით დაიხოცეთ, ხარხარმა დაგიმანჭოთ პირი! (ლათ.).

[221] ცრემლიანია დღე, როდესაც

ფერფლიდან აღდგება განკითხვისათვის

ცოდვიანი ადამიანი:

მიეტევოს უფლისა მიერ!

ნეტარო იესო, მბრძანებელო,

უწყალობე სიმშვიდე ყოველს (ლათ.).

[222] Coena Cypriani – ადრეული შუა საუკუნეების თხზულება, რომელსაც წმინდა კვიპრიანეს – კართაგენის ეპისკოპოსისა და ეკლესიის წინამძღვრის – კალამს მიაკუთვნებენ. ნაწარმოებში აღწერილია ნადიმი, რომელშიც საღ-მრთო წერილის უამრავი პერსონაჟი მონაწილეობს, და თითოეული მათგანი კომიკურად აკეთებს იმას, რაც ბიბლიაში მასზეა ნათქვამი.

[223] ბერების ოხუნჯობანი (ლათ.).

[224] მიყვარს ხალისი, მხიარულება. პაპო იოანე, ნუ განრისხდები. თუკი გენებოს, თავადაც იცინე! (ლათ).

[225] გაუდერიკუსი სიცილისაგან

ფეხზე ვეღარ დგას,

ზაქარიაც საკუთარი თავით ნეტარებს, გაშოტილი, სარეცლიდან

იმოძღვრება ანასტასიუს... (ლათ.).

[226] უსათაურო წიგნი (ლათ.).

[227] ტონი, სიმაღლე, რიტმი (ლათ.).

[228] მატერიალური სუპოზიცია – შუა საუკუნეების ტერმინოლოგიით, სიტყვის გამოყენება საკუთარ სახელად (ამგვარად გამოყენებისას, როგორც წესი, სიტყვას ბრჭყალებში სვამენ), განსხვავებით მისი ჩვეულებრივი მნიშვნე-ლობით გამოყენებისგან, რომელსაც ფორმალურ სუპოზიციას (suppositio formalis) უწოდებდნენ.

[229] სიტყვაზე (ლათ.).

[230] საგანზე (ლათ.).

[231] ქალწულთა ნამუსის ახდასა და მეძავთა სიყვარულზე (ლათ.).

[232] ნადირი (არაბ.) – ცის სფეროს წარმოსახვითი წერტილი, რომელიც მოთავსებულია ჰორიზონტის ქვეშ, ზენიტის პირდაპირ.

[233] მთელი სხეული ენად აქცია (ლათ.).

[234] „აქ ლომები არიან“ – ფრაზა, რომელიც ძველ გეოგრაფიულ რუკებზე უცნობ მხარეებს ეწერა ხოლმე და უცხოს, ანუ საშიშს, ნიშნავდა. ზოგადად მიანიშნებს ისეთ თემებზე, რომლებზეც არაფერია ცნობილი ან არ შეიძლება ცოდნა.

[235] ფალარიდეს ხარი (იგივე სპილენძის ხარი, სიცილიური ხარი) – უძველესი დასასჯელი მოწყობილობა, რომელსაც ძვ. წ. VII ს.-ში იყენებდა ტირანი ფალარიდე.

[236] უნდა გადააგდოს კიბე, რომლითაც ავიდა (ძვ. გერმ).

[237] არც მიწისძვრაში იყო უფალი (ლათ.).

[238] არავისი (იურიდიული ტერმინი).

[239] აიღე და წაიკითხე (ლათ.).

[240] სადღაა დიდება ბაბილონისა? (ლათ.).

[241] რა შვებაა, რაოდენი სიხარული და ნეტარებაა (ლათ.).

[242] და დუმილით ესაუბრო უფალს (ლათ.).

[243] ღმერთი ხმაურიანი არარაა, მას არ ეხება არც ახლა, არც აქ (ძვ. გერმ.).

[244] „დამჭკნარი ვარდის სახელიღა რჩება, გვრჩება შიშველი სახელები“ (ლათ.).

[245] „ვარდის კოკორო, კორდზე გაშლილო, სრულქმნილო და ამპარტავანო,

მომნუსხველო თვალის ყოველის,

მეწამულისფრით ნაბანო კვირტო,

ამომსკდარო ნოყიერი, ნექტარივით ტკბილი მიწიდან; მშვენიერებავ, განწირულო შავი ბედისთვის“.

ხუანა ინეს დე ლა კრუსი

[246] სამყაროს სიძულვილის შესახებ (ლათ.).

[247] „სად არიან...“, ფრაზიდან Ubi sunt qui ante nos fuerunt („სად არიან ისინი, ვინც ჩვენამდე იყო?“). ესაა სიტყვები შუა საუკუნეების სტუდენტური ჰიმნიდან De brevitate vitae („სიცოცხლის ხანმოკლეობაზე“), იგივე Gaudeamus igitur („გავერთოთ, ძმებო“).

[248] „ვა, შარშანდელი თოვლი სად არი?“ (ფრანგ). – სიტყვები ფრანსუა ვიიონის ბალადიდან „ძველი დროის ბანოვანები“ (მთარგმნელი დავით წერედიანი).

[249] ალესანდრო მანძონის (1821-1827) „დანიშნულნი“ პირველად ამ სათაურით გამოვიდა, 1821 წ.

[250] ავტორი მიანიშნებს XVII საუკუნის ფრანგი პოეტის, ფრანსუა დე მალერბის ცნობილ სტრიქონებზე ლექსიდან „ბატონ დიუ პერიეს ნუგეში“ (Consolation à M. duPérier): Mais elle était du monde où les plus belles choses Ont le pire destin,

Et rose, elle a vécu ce que vivent les roses L’espace d’un matin.

„მაგრამ ის იყო სამყაროდან, სადაც მშვენიერს მშვენიერთაგან

ნაღვლიანზე ნაღვლიანი ერგება ბედი, და ვარდს სიცოცხლის ხანგრძლივობაც ვარდის ხვდა წილად, ჩაიქროლა, როგორც ერთმა ლამაზმა დილამ“.

[251] სტრიქონი ამერიკელი მწერალი ქალის, გერტრუდ სტაინის ურითმო ლექსიდან (1931) „წმინდა ემილია“.

[252] ეზოტერიკული ქრისტიანული ორდენი „ვარდისა და ჯვრის საძმო“, რომელიც დაახლოებით მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და მისი სიმბოლოები იყო ვარდი და ჯვარი. მათგან წარმოიშვა მოგვიანებით გერ-მანიაში ე. წ. როზენკროიცერების ორდენი.

[253] უილიამ შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“, II მოქმედება, II სურათი (თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა).

[254] XIII საუკუნის იტალიელი პოეტის ჩელო დ’ალკამოს ცნობილი სტრიქონები ლექსიდან Rosa fresca e aulentissima („ვარდი ქორფა და სურნელოვანი“).

[255] პარაფრაზი თომას ედისონის სიტყვებისა: Genius is one per cent inspiration and ninety-nine per cent perspiration (გენიოსი ერთი პროცენტი შთაგონებაა და ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი – შრომა).

[256] მატიე ჟოზეფ ბონავენტურა ორფილა (1787-1853) – ფრანგი ქიმიკოსი, ავტორი ნაშრომისა „ტრაქტატი მინერალური, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის შხამებზე, ანუ ზოგადი ტოქსიკოლოგია“ (1813-1815).

[257] ფრანგი მწერლის, შარლ ჰიუსმანსის (1848-1907) რომანი „უფსკეროდ“ (1891).

[258] იტალიური კომუნისტური გაზეთი.

[259] Summa-ს (ლათ. მწვერვალი) მრავლობითი ფორმა. შუა საუკუნეებში „მეცნიერული ნაშრომის“ სინონიმი იყო. მაგ.: თომა აკვინელის „ნაშრომი მწვალებელთა წინააღმდეგ“

(1258); მისივე „ნაშრომი თეოლოგიაზე“ (1261); ანონიმური „ნაშრომი ფილოსოფიაზე“ (1270).

[260] „ღვთაებრივ კომედიაში, სამოთხე. X“ დანტე ახსენებს ქუჩა ვიკო დელი სტრამის, როგორც შუა საუკუნეების პარიზის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ადგილსამყოფელს.

[261] ჰონორიუს ავგუსტოდუნელი (XII საუკუნის I ნახევარი) – გავლენიანი საეკლესიო ავტორი, თეოლოგი, ენციკლოპედისტი. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომებია „განმანათლებელი“ (Elucidarium), „ბუნების გასაღები“ (Clavis physicae) და „სამყაროს ხატი“ (Imago Mundi).

[262] რატომ არ ძალუძთ ყრმათ კოიტუსი (ლათ.).

[263] „ბესტიარიუმი“ („წიგნი მხეცთა შესახებ“) – შუა საუკუნეებში გავრცელებული წიგნები, სადაც მოცემული იყო ცხოველების ნახევრად მეცნიერული და ნახევრად ზღაპრული აღწერები.

[264] ოტიონი (Autun, ძველად ავგუსტოდუნი) – პატარა ქალაქი საფრანგეთის დასავლეთში, რომელიც ცნობილია წმინდა ლაზარეს ეკლესიით (1120-1132).

[265] მუასაკი (Moissac) – პატარა ქალაქი საფრანგეთში, სადაც შემორჩენილია X-XII საუკუნეების მონასტერი წმინდა პეტრეს ტაძრით (გამოირჩევა რელიეფებით შესასვლელზე, გალავანზე, კაპიტოლიუმის დარბაზში).

[266] კონკი (Conques) – პატარა ქალაქი საფრანგეთში, სადაც შემონახულია შუა საუკუნეების ბენედიქტელთა მონასტერი, XI საუკუნის წმინდა რწმენის ბრწყინვალე ტაძრით. ტაძრის შესასვლელს საშინელი სამსჯავროს შთამ-ბეჭდავი გამოსახულება ამშვენებს.

[267] „წმინდა ბრანდანის მოგზაურობა“. წმინდა ბრანდან კლონფერტელი (484-577) – ირლანდიელი ბერი, მოგზაური. გადმოცემით, მან ცურვით მოიარა სამყარო აღთქმული კუნძულის (სამოთხის) საძებნელად.

[268] კელის სახარება (Book of Kells) – მდიდრულად ილუსტრირებული ხელნაწერი, რომელიც შექმნილია ირლანდიელი ბერების მიერ დაახლოებით 800 წელს. მასში შედის ოთხთავი, შესავალი და კომენტარები. ითვლება ირლანდიური შუა საუკუნეების ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნიმუშად.

[269] კენინგი (kenningar) – მეტაფორა, რომელიც ახასიათებს ძველ ანგლოსაქსურ, სკანდინავიურ და კელტურ ტექსტებს.

[270] „საგნები გქონდეს, სიტყვები მოვლენ“ (ლათ.).

[271] „სიტყვები გქონდეს, საგნები მოვლენ“ (ლათ.).

[272] Venerabilis Inceptor – ღირსი წამომწყები (ლათ.) – ოკამის საპატიო სახელი.

[273] მარსელ პრუსტის რომანიდან „სვანის მხარეს“ (1913), რომელშიც ნამცხვრის გემო ნაწარმოების გმირს ბავშვობის მოგონებებს გაუცოცხლებს.

[274] როცა უკვე ჩავლილია (ფრ.).

[275] ემილიო სალგარი (1862-1911) – იტალიელი საბავშვო მწერალი.

[276] სიტყვები ფრანჩესკო პეტრარკას 128-ე სონეტიდან: „დუმილს ვამჯობინებ იმაზე, კეისარო, თუ რაოდენი სისხლი დაღვარე...“ მიიჩნევა პრეტერიქციის კლასიკურ მაგალითად. პეტრარკა ამბობს, რომ არ სურს კეისარზე ლაპარაკი, მაგრამ შემდგომ დაწვრილებით აღწერს მის ნამოქმედარს.

[277] Espresso - იტალიური ყოველდღიური გაზეთი.

[278] ციტატები ალესანდრო მანძონის რომანიდან „დანიშნულნი“.

[279] ჟან ფეკამპელი (ფეკამპი – მონასტერი საფრანგეთში) – „მონასტრული ცხოვრების ქრონიკების“ (XII ს.) ავტორი.

[280] წმინდა ჰილდეგარდა ბინგენელი (1098-1179) – გერმანელი წმინდანი, ავტორი ლათინურ ენაზე დაწერილი მისტიკური ნაშრომისა „გზათა მკვლევი“.

[281] Lector in Fabula. Milano, Bompiani, 1977.

[282] Opera Aperta. Milano, Bompiani, 1962.

[283] „ეპოქის სულის“ (გერმ.).

[284] ა. მანძონის ისტორიული ტრაგედია (1822).

[285] ა. მანძონის რომან „დანიშნულნის“ ტექსტში შეტანილია XVII საუკუნის ორიგინალური „პროკლამაციები“, ე. წ. გრიდა.

[286] ცნობილია, რომ თავისი რომანის ენის ფლორენციული ნორმისათვის მოსარგებად მანძონი მილანიდან ფლორენციაში გადავიდა. ამ პერიოდს ის „არნოს წყალში განბანად“ მოიხსენიებს.

[287] „გრან-გინიოლი“, ფრანგული თეატრი, რომელიც XIX-XX საუკუნის მიჯნაზე შეიქმნა და სისასტიკის ესთეტიკას ემყარებოდა.

[288] ცდისა და შეცდომის მეთოდი (ინგლ.).

[289] მეურნე ადამიანი (ლათ.).

[290] კაროლინა ინვერნიციო (1858-1916) – იტალიელი მწერალი ქალი, პოპულარული ბულვარული რომანების ავტორი.

[291] „ჯგუფი 63“ – ავანგარდული ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც პალერმოში დაფუძნდა 1963 წლის ოქტომბერში. ჯგუფში შედიოდა 43 ადამიანი: კრიტიკოსები, პოეტები, პროზაიკოსები, მათ შორის უმბერტო ეკო, ნანი ბალესტრინი, რენატო ბარილი, ანჯელო გულიელმი, ედოარდო სანგვინეტი და სხვები, რომლებიც მწვავედ აკრიტიკებდნენ ორმოცდაათიანი წლების ტრადიციულ მოდელებზე მიჯაჭვულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ისინი ემხრობოდნენ გამოხატვის ახალ ფორმებს, ექსპერიმენტს, ტრადიციული ფორმების მსხვრევას. ჯგუფი 1969 წელს დაიშალა. მან სათავე დაუდო რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ გამოცემას და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ისეთი გამომცემლობების სამომავლო საქმიანობა, როგორებიცაა „ფელტრინელი“ და „ეინაუდი“.

[292] ახალი რომანი (ფრ.) – XX საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში ჩამოყალიბებული ლიტერატურული მიმდინარეობა. სხვაგვარად მას „ანტირომანს“ უწოდებდნენ. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებს შემოაქვთ გამოხატვის ახალი ხერხები, მათ ნაწარმოებებში პრაქტიკულად არ არსებობს პერსონაჟი, სიუჟეტი.

[293] ფარული აზრი (ფრ.).

[294] ყველა შემთხვევისთვის (ფრ.).

[295] ქმნის ნება (გერმ.).

[296] ორიგინალური სათაური: Unzeitgemässe Betrachtungen, 1873-1876.

[297] „ავინიონელი ქალიშვილები“ (1907) – პიკასოს ნახატი.

[298] ჯონ ქეიჯი (1912-1992) – ამერიკელი მუსიკოსი, კომპოზიტორი, პოეტი, ფილოსოფოსი, მინიმალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი მუსიკაში.

[299] ამალია ლიანა კამბიაზი ნეგრეტი ოდესკალკი (1897-1995) – იტალიელი მწერალი ქალი, ბულვარული რომანების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორი XX საუკუნეში. ცნობილი იყო ლიალას სახელით.

[300] Barth J. The Literature of Exhaustion. - Athlantic Monthly, aug. 1967.

[301] Barth J. The Literature of Replenishment. Athlantic Monthly, Jan. 1980.

[302] იგულისხმება უ. ეკოს ადრეული პერიოდის ნაშრომი ტექსტის სემიოტიკის შესახებ – „ღია ნაწარმოები“ (1962).

[303] განცალკევებული ნაწილები (ლათ.) [304] Oulipo – „Ouvroir de Littérature Potentielle“ – „პოტენციური ლიტერატურის სახელოსნო“, რომელიც 1960 წელს დააფუძნეს რაიმონ კენომ და ფრანსუა ლე ლიონმა. მისი წევრები იყვნენ ცნობილი ფრანგი მათემატიკოსები და ლიტერატორები, მათ შორის ჟორჟ პერეკი, ჟაკ რობო და სხვები. ჯგუფის მიზანი იყო სიუჟეტური თამაშები მათემატიკასა და საჭადრაკო წესებზე დაყრდნობით, ლიტერატურის „შექმნა“ მათემატიკური კომბინაციებით.

https://www.facebook.com/groups/ELLIB/